

პროლოგი

ქრისტეს ორმაგი ბუნება ჩემთვის მუდამ ღრმა, ამოუხსნელ საიდუმლოს წარმოადგენდა. უაღრესად ადამიანურმა და ამავდროულად, ზეადამიანურმა მისწრაფებამ – კაცი ღმერთს სწვდეს, ან უფრო უკეთ რომ ვთქვათ, დაბრუნდეს ღმერთში და მასთან გაიგივდეს, ამ მისწრაფებამ, რომელიც ასე იდუმალი და თან ძალიან ნამდვილია, ჩემში დიდი ჭრილობები გახსნა და ახალი წყაროები აღმოაცენა.

ჯერ კიდევ სიყმაწვილიდან მოყოლებული, ეს იყო ჩემი პირველყოფილი შფოთვა და აქედანვე იღებდა სათავეს ჩემი ყველა სიხარული თუ ტკივილი: განუწყვეტელი, უმოწყალო ჭიდილი ხორცსა და სულს შორის.

ჩემში იყო ყველა უძველესი ადამიანური და უფრო წინარე ბნელი ძალა ბოროტისა, ჩემშივე იყო დავანებული ყოველი უძველესი ადამიანური და უფრო წინარე ნათელი ძალა ღვთისა. ჩემი სული კი იყო ის ასპარეზი, სადაც ეს ორი ლაშქარი ერთმანეთს დაუნდობლად ერკინებოდა.

და იმთავითვე მაშფოთებდა ეს საფიქრალი: მიყვარდა ჩემი სხეული და არ მემეტებოდა დასაღუჰად. ჩემი სულიც მიყვარდა და არ მინდოდა დაცემულიყო. და ამიტომაც ცდას არ ვაკლებდი, რომ ეს ორი მოქიშპე კოსმოგონიური ძალა ერთმანეთთან შემერიგებინა; ეგრძნოთ, მტრები კი არა, ერთმანეთის მოკეთენი რომ იყვნენ და მეც მეხარა მათი ჰარმონიით.

ყოველი ადამიანი ღმერთკაცია – ხორცი და სული. აი, ამიტომაც ქრისტეს საიდუმლო ზოგადსაკაცობრიო და არა მხოლოდ ერთი, კონკრეტული რელიგიის საიდუმლო. ყოველ ადამიანში იფეთქებს ხოლმე ჯანყი ღმერთსა და კაცს შორის და იმავდროულად, შერიგებისაკენ სწრაფვაც. მეტწილად, ასეთი დაპირისპირება გაუცნობიერებლად ხდება, მცირე ხანს გასტანს, რადგან უძლოურ სულს არ ძალუძს დიდხანს გაუმკლავდეს ხორცს: თვითონაც მიძიმდება, ხორცად იქცევა და ბრძოლაც იქ წყდება. მაგრამ ზნეობრივ ადამიანებში, რომელთაც გონება დღედაღამ უზენაესი ვალდებულებებისკენ აქვთ დრეკილი, ხორცსა და სულს შორის ჭიდილი უმოწყალოდ იფეთქებს ხოლმე და შესაძლოა, სიკვდილამდეც კი გასტანოს. - რაც უფრო ძლიერია სული და ხორცი, მით უფრო შედეგიანია ეს ჭიდილი და საბოლოო ჰარმონიაც - სრულყოფილი. ღმერთს არ უყვარს უძლოური სული და უღონო ხორცი. სულს სჭირდება ძლიერი, ამბოხით აღსავსე მოჰაეჭრე: სული მტაცებელი ფრინველია, განუწყვეტლივ ხორცს ეტანება, ჭამს მას და იმით ანადგურებს, რომ იმსგავსებს ხოლმე.

ჭიდილი ხორცსა და სულს შორის, ამბოხი და აჯანყება, და ზავება და მორჩილება, დაბოლოს, ამ ჭიდილის უზენაესი მიზანი, ზიარება ღმერთთან – აი, ის აღმართი, რომელსაც ქრისტე დაადგა, ჩვენც მოგვიწოდებს იმ გზას მივსდიოთ და მის სისხლიან ნაფეხურებს მივყვეთ.

მაგრამ როგორ უნდა ვიაროთ იმ უმაღლესი მწვერვალისაკენ, რომელსაც მხოლოდშობილმა ძემ, მხსნელმა ქრისტემ მიაღწია? – აი, ეს არის მთავარი კითხვა და უზენაესი ვალდებულება მებრძოლი ადამიანისა.

რომ შევძლოთ და მივსდეთ ქრისტეს, აუცილებელია გავისიგრძეგანოთ მისი ბრძოლა, განვიცადოთ მისი შფოთვანი, თუ ვით სძლია მიწის აყვავებული მანები, თუ ვით გაიღო მსხვერპლად ადამიანის დიდი და მცირე სიამენი და, მსხვერპლიდან მსხვერპლამდე, ღვაწლიდან ღვაწლამდე, როგორ ავიდა წვრთნის მწვერვალზე — ჯვარზე.

არასდროს მივყოლივარ ამგვარი შიშით მის სისხლიან გზას გოლგოთამდე, არასდროს განმიცდია იმგვარი სიმძაფრით, თანაგრძნობითა და სიყვარულით ქრისტეს ცხოვრება და ვნებანი, როგორც იმ დღეებსა და ღამეებში, როდესაც „ქრისტეს უკანასკნელ ცდუნებას“ ვწერდი. ადამიანის შფოთვებისა და დიდი იმედის ამ აღსარების წერამ ისე შემძრა, რომ თვალეები ცრემლით მევსებოდა. მანამდე არასდროს მიგრძნია ამგვარი სიტკბოებითა და ტკივილით, თუ ვით ეცემა წვეთწვეთობით ჩემს გულს ქრისტეს სისხლი.

რადგანაც ქრისტემ იმისათვის, რომ ასულიყო მსხვერპლის გაღების მწვერვალზე - ჯვარზე, უარყოფის მწვერვალზე - ღმერთთან, განვლო ყველა ის ეტაპი, რომელსაც მებრძოლი ადამიანი გადის ცხოვრების განმავლობაში. უკლებლივ ყველა ეტაპი განვლო და ამიტომაცაა მისი ტკივილი ჩვენთვის ესოდენ ახლობელი და მისი საბოლოო გამარჯვებაც ჩვენს საკუთარ, მომავალ გამარჯვებად მიგვაჩნია. რაც კი ღრმად ადამიანური ახასიათებდა ქრისტეს — გვეხმარება, რათა გავუგოთ, გვიყვარდეს და მივყვეთ მის ვნებებს ისე, როგორც საკუთარ ვნებებს. რომ არ ყოფილიყო მასში ცხოველმყოფელი, ადამიანური ნიშან-თვისებანი, ვერასდროს შეძლებდა ასე დამაჯერებლად და ფაქიზად შეხებოდა ჩვენს გულს; და ვერ შეძლებდა ცხოვრების მაგალი თად დაგვსახოდა. ჩვენ ვიბრძვით და ვხედავთ, რომ ისიც ჩვენ თან ერთად იბრძვის და მხნეობას გვმატებს: ვხედავთ, რომ არ ვართ მარტოდმარტონი სამყაროში..

ქრისტეს ყოველი წუთი ბრძოლა და გამარჯვებაა. მან გაიმარჯვა უბრალო, ადამიანურ სიამეთა დაუმარცხებელ ხიბლზე, სძლია ცდუნებებს, სრულად გარდაქმნა ხორცი სულად და აღმართს დაადგა: მიაღწია გოლგოთის მწვერვალს და ჯვარს ეცვა.

მაგრამ ბრძოლა იქ არ დასრულებულა: მას, ჯვარზე გაკრულს, ცდუნება ელოდა, უკანასკნელი ცდუნება – ჯვარცმულის გულწასული თვალეების წინაშე ძლიერ ელვასავით სტყორცნა ბოროტმა სულმა ნეტარების მოჩვენებითი ხედი, ბედნიერი ცხოვრების ილუზია: მოეჩვენა, თითქოს ადამიანის მარტივი, ჩვეულებრივი გზა აერჩია, დაქორწინებულიყო, ჰყავდა შვილები, ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა. და ახლა, უკვე მოხუცი, ჩამომჯდარიყო საკუთარი სახლის ზღურბლზე, იხსენებდა ახალგაზრდობისდროინდელ მისწრაფებებს და ნეტარებით იღიმოდა: რა კარგად, რა გონივრულად მოიქცა, რომ ადამიანური ყოფა ამჯობინა და რამხელა უგუნურება იყო ის, რაც სურდა – ეხსნა სამყარო! რა ბედნიერებაა, რომ გადაურჩა ტანჯვას, წამებასა და ჯვარს! — აი, რა იყო ის უკანასკნელი ცდუნება, მის წინაშე რომ გაიელ ვა და შეაძრწუნა მხსნელის ბოლო წუთები.

მაგრამ წამსვე გამოეხსნა ამ ცდუნებას და იხილა: არა, არ უღალატია, დიდება შენდა, ღმერთო! არ შემდრკალა, აღასრულა ის ბრძანება, ღმერთმა რომ მიანდო, არ

დაქორწინებულა, არ უცხოვრია ბედნიერად, მსხვერპლშეწირვის მწვერვალს მიაღწია, ჯვარზეა ახლა გაკრული.

და სიხარულით დახუჭა თვალები. და მაშინ გაისმა ხმა საზეიმო: „აღსრულებულ არს“.

ანუ, აღვასრულე ჩემი მოვალეობა, ჯვარს ვეცვი, ცდუნებას არ ავყოლივარ!

ეს წიგნი იმისათვის დაიწერა, რომ მაგალითად დამესახა მებრძოლი ადამიანისათვის და დამედასტურებინა, რომ არ უნდა ეშინოდეს ტკივილისა, განსაცდელისა თუ სიკვდილისა, ვინაიდან ნებისმიერის დამარცხებაა შესაძლებელი და დამარცხებულან კიდევ. ქრისტეს ეტკინა და იმ წუთიდან წმინდა გახდა ტკივილი. ცდუნებაც ბოლომდე არ შეეპუა, რათა თავგზა აერია მისთვის და დამარცხდა თვითონ ცდუნება: ჯვარს ეცვა ქრისტე და მეყსეულად დამარცხდა სიკვდილი.

მისი ცხოვრების თითოეული დაბრკოლება ხდებოდა საფუძველი და ქვაკუთხედი ახალი გამარჯვებისა: ახლა კი ჩვენ წინაშეა მაგალითი, რომელიც გზას გვიკვალავს და მხნეობას გვმატებს.

ეს წიგნი ბიოგრაფია არ არის, ეს არის მებრძოლი ადამიანის აღსარება. მისი გამოქვეყნებით მე ჩემი ვალი აღვასრულე: ვალი ადამიანისა, რომელმაც ბევრი იბრძოლა, ბევრი სიმწარე ნახა ცხოვრებაში და ბევრი იმედიც ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, ყოველი თავისუფალი ადამიანი, ვინც კი ამ, სიყვარულით აღსავსე წიგნს წაიკითხავს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე და უფრო უკეთ ვიდრე ოდესმე, შეიყვარებს ქრისტეს.

I

ღვთიურმა, გრილმა სიომ დაჰქროლა და გონება წაჰგვარა.

ზემოდან მაცდურად დასცქეროდნენ მოკაშკაშე ვარსკვლავები, აყვავებული ცა, ქვემოთ კი, მიწაზე, ღღის მცხუნვარებაშერჩენილ, გავარვარებულ ლოდებს ოხშივარი ასდიოდა. ცა და დედამიწა ღრმა სიჩუმეს მოეცვა, ირგვლივ საუკუნოვანი, დუმილზე უფრო იდუმალი, ღამეული ხმები ისმოდა. მხოლოდ სიმშვიდე და ნეტარება: ღმერთს მიეღულა მზე და მთვარე - თვალები მისი, ჩასძინებოდა. სრული წყვილია. შუაღამე იქნებოდა. გაბრუებული ფიქრს წაედო - რა სამოთხე, რა სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ! მაგრამ უეცრად თითქოს სიო გარდაისახა, უცნაურად დამძიმდა, ღვთიური უკვე აღარ ეთქმოდა, რაღაც ბინძურ და ტლანქ სიმყრალედ იქცა, თითქოს ქარი ჰაერს ხარბად შთანთქავდა და ასე ცდილობდა დამცხრალიყო, მაგრამ არ შეეძლო, ვერ ახერხებდა, თითქოსდა სურდა იქ ქვემოთ, იმ მყრალ ადგილებში, იმ დამძიმებულ, სველ მიწებებში გაწოლილიყო ისე, ვით მხეცი ანდა სოფელი. მდორე ჰაერი რაღაც შემაშფოთებლად იდგა და ივსებოდა ადამიანთა, ცხოველებისა თუ სხვა ბანჯგვლიან არსებათა თბილი ამონასუნთქით, ახალგამომცხვარი პურის, ადამიანის ოფლის მჟავე სუნი და ქალების თმაში შეზელილი დაფნის ზეთის მძაფრი სურნელი რომ ერთვოდა.

შეიგრძნობდი, შეიყნოსავდი, მაგრამ ვერაფერს იხილავდი. თუმცა ნელ-ნელა თვალი მაინც ეჩვეოდა და წყვდიადში გაარჩევდი ასხეპილი, მკაცრი ფინიკის ხის შადრევანს, ღამეზე უფრო კუნაპეტ კვიპაროსს, ხშირფოთლოვან ზეთისხილის ბაღებს, ქარი რომ არხევდათ და ვერცხლისფრად ანათებდნენ იმ სიშავეში. მწვანედ შეფენილი მაღლობიდან ადგილ-ადგილ შეჯგუფებული, ადგილ-ადგილ კი განცალკევებული ოთხკუთხა ქოხები ილანდებოდა. ღამისაგან, ტალახისა და ალიზისგან შეკოწიწებულ, თაბაშირით მიმოთხვრილ ქოხებს თეთრ საბნებად დაჰფენოდა ტერასები და იქიდან ოხშივრად გამოდენილ სუნსა და ჭუჭყზე მიხვდებოდი, რომ შიგნით ადამიანთა სხეულები განისვენებდნენ.

მაგრამ სიჩუმემ დიდხანს არ გასტანა. მშვიდი და ნეტარებით სავსე ღამე შიშით აღივსო: ადამიანთა კიდურები შვებას ვერსაით ჰპოვებდნენ და ერთმანეთში იხლართებოდნენ, მკერდ თაგან ოხვრა გაისმოდა, ათასობით პირიდან აღმომხდარი, სასო წარკვეთილი ხმები ჯიუტად მიიწევდნენ ერთმანეთისკენ, მაგრამ ვერაფრით ეთვისებოდნენ იმ მუნჯსა და ღმერთჩამდგარ ქაოსს: რატომ ყვიროდნენ? ცდილობდნენ პასუხისთვის მიეგნოთ, მაგრამ ვერ ეპოვათ და გაურკვეველ, აბდაუბდა ბოდვებად იფანტებოდნენ.

და უეცრად, სოფლის სიღრმიდან, ყველაზე უფრო მაღალი ტერასიდან რაღაც გამყინავი, სულისშემძვრელი ამოძახილი გაისმა, თითქოს ვიღაცას შიგნეულს უგლეჯენო: „ღმერთო ისრაელისა, ღმერთო ისრაელისა, ადონაი უფალო, როდემდე?“. ეს არ იყო მხოლოდ ერთის ხმა, მთელი სოფლის ღალადი იყო. ელოდნენ და ყვიროდნენ - მთელი სოფელი ერთად, გარდაცვლილთა ძვლებიანად და ხეთა ფესვებიანად... ეს იყო ამოძახილი ისრაელის მიწისა, რომელსაც სამშობიარო ტკივილები დაწყებოდა, მაგრამ ვერ შობდა და გაჰყვიროდა.

წუთიერად კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. და უცებ ისევ ის ხმა, ახლა უკვე ერთიანად საყვედურად და მრისხანებად გარდაქმნილი: „როდემდე? როდემდე?“ – შეძახილმა ციდან მიწამდე ჩამდგარი ჰაერი თითქოს შუაში გახლიჩა. სოფლის ძაღლებიც გამოფხიზლდნენ და აყეფდნენ, ქოხმახებში შეშინებული ქალები ქმრების მკლავებს შეეყუჟნენ.

ამოძახილი სიზმარში ჩასწვდა ჩაძინებულ ახალგაზრდა კაცს, გვერდი იბრუნა, სიზმარიც დაფრთხა და გაუჩინარდა. მთა ნელ-ნელა გამჭვირვალდა, შიგნეული გამოაჩინა: ქვისგან კი არა, ძილისა და ბურანისგან იყო შემართული. სიზმრად ნახული გოლიათების მთელი ხროვა, რომელიც აღმართს მიუყვებოდა და ველურად მიაბოტებდა, წვერ-ულვაშებსა და სქელ წარბებში ჩაკარგული სახეები თუ ვეება ტორები რომ ჰქონდათ – უცებ დაიქსაქსა – გრძელდებოდნენ, ფართოვდებოდნენ, სახეს იცვლიდნენ და ძაფივით იბურდებოდნენ, ხან ქარისგან მიმოხნეული ღრუბლებივით იფანტებოდნენ და სადაცაა მძინარის საფეთქლებს შორის სამუდამოდ გაუჩინარდებოდნენ...

მაგრამ მოასწრო და გონება კვლავ დაუმძიმდა, ძილში ჩაყვინთა - ისევ იხილა ქვისგან წამომართული მთა, ღრუბლებიც ისევ გახშირდნენ და ძვალ-ხორცად იქცნენ, ქოშინისა და შუეპოვარი ნაბიჯების ხმამაც იმატა და კვლავ გამოიკვეთა მთის წვერზე მდგომი, ფეხშიშველი, მკერდმოღეღილი, ერთიანად აწითლებული ჟღალწვერა და მის

უკან კი მრავალთავა მხეცად ქმნილთა ჯგრო, კბოდებიდან მთის წვერისკენ რომ მიიწევდა. დედამიწასაც კვლავ თავს დაემხო მწყობრად ნაგები თალი ცისა, რომელზედაც ახლა მხოლოდ ერთი ვარსკვლავი ეკიდა აღმოსავლეთით – ერთი, მაგრამ ვეება, როგორც სინათლის ლუკმა. თენდებოდა.

ჭაბუკმა, ნახერხზე რომ მიწოლილიყო, ღრმად ჩაისუნთქა, ჩავლილი ღღის სიმძიმის მერე ისვენებდა: წამიერად ქუთუთოები შეარხია, თითქოს ცისკრის ვარკვლავმა თვალი მოსჭრაო, მაგრამ მაინც ვერ გამოაღვიძა: ძილს ღრმად წაეღო. სიზმრად იხილა: მთის წვერზე იდგა ჟღალწვერა, ვიწრო და ღრმანაოჭიანი შუბლიდან, იღლიებიდან, ფეხებიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ბრაზისა და სირბილისაგან გათანგულს ოხშივარი ასდიოდა. საწყევრად და საგინებლად მომართულიყო, მაგრამ მაინც თავს იკავებდა – „როდემდე, აღონაი უფალო, როდემდე?“ - მხოლოდ ჩურჩულით საყვედურობდა და საგინებელ სიტყვებს იხშობდა, თუმცა სიშმაგეს მაინც ვერ იოკებდა. გადატრიალდა, ძილი შეიბრუნა და ელვის უსწრაფესად განივრცო მის წინ უგრძესი გზა. წინა სიზმარი სხვამ ჩაანაცვლა: მთები დადაბლდნენ, ადამიანები გაუჩინარდნენ და მძინარემ იხილა ზემოთ, ზეცის ჩამოწნულ თავანზე როგორ ათროლოდა და მრავალფერ დაგვირისტებულ ნაქარგობად გაიშალა ქანაანის მიწა. მისგან ჩრდილოეთით ჩანდა იდუმეას უდაბნო, ლეოპარდის სხეულივით რომ ირხეოდა; უფრო მიღმა მდორე და მომწამვლელი მკვდარი ზღვა იდგა და სინათლეს შთანთქავდა; ხოლო მის იქით – იაჰვეს მცნებებშემორტყმული და უკაცური იერუსალიმი, რომლის ბილიკებზეც ნაკადულებად მოედინებოდა ღვთის ზვარაკთა - ცხვრებისა და წინასწარმეტყველთა სისხლი. მოშორებით, კერპშემოსილი და შერყვნილი სამარია მოჩანდა, რომლის შუაგულში ღრმა ჭიდან ერთიანად შეღებილი ქალი წყალს იღებდა; ჩრდილოეთის კიდესთან კი მზეშემოსილი, მოცინარი და სიმწვანეში ჩაფლული გალილეა ჩამომდგარიყო. და სიზმრის ერთი კიდიდან მეორემდე გადაჭიმულიყო მდინარე იორდანე – როგორც ღმერთის სამეფო ძარღვი, განურჩევლად რომ რწყავს უნაყოფო უდაბნოებსა და ნაყოფიერ მიწებს, იოანე ნათლისმცემელსა და სამარიტელ ერეტიკოსებს, მეძავებსა თუ გენესარეთის მეზადურებს.

წმინდა მიწებისა და წყლების ხილვამ სიხარულით აღავსო ჭაბუკი და ძილში ხელები გაიწვდინა, რომ შენებოდა; მაგრამ დაძენძილ წყვდიადში ჯერ ნელ-ნელა ამოიკვეთა და აცახცახდა აღთქმული მიწა, განთიადის შუქით ვარდისფრად ანთებული, ნოტიო ქართა და უძველესი ადამიანური ვნებით სავსე აღთქმული მიწა ჯერ აინთო და მერე ჩაქრა. და როგორც კი ჩაქრა, მაშინვე გმინვა-გმოზის ხმები გაისმა და კაქტუსოვან კლდე-ღრეებში კვლავ გამოჩნდა ახლა უკვე სახეცვლილი, ამოუცნობი, მრავალთავა ჯგრო: რანაირად ჩამომჭკნარიყვნენ, რანაირად დაჩაჩანაკებულიყვნენ ის ბრგე გოლიათები, ქონდრისკაცებად ქვეულიყვნენ და მათი წვერი მიწას სცემდა! სულმიხდილი კაცუნები ახლა უკვე ქომინ-ქომინით მიუყვებოდნენ გზას და თითოეულს ჩაებლუჯა უცნაური საწამებელი იარაღი - ზოგს სისხლიანი შოლტი, ზოგს მამა და სახრე, ზოგიერთს სქელი, ფართოთავიანი ლურსმანი, ხოლო სამ დაგონჯილ ჯუჯას უმძიმესი ჯვარი მოჰქონდა, უკან კი ელამი ქონდრისკაცი მოდი ოდა და ეკლის გვირგვინს მოაბრძანებდა.

ჟღალწვერა მათკენ შებრუნდა, დააკვირდა და ღონიერი თავი ამრეზით გაიქნია: „არა სწამთ და ამიტომაც დაბეჩავდნენ; არა სწამთ და მეც ამიტომ ვიტანჯები..“ - ჩაძინებულს კი ყურად სწვდა მისი ბუტბუტი. ჟღალწვერამ ბანჯგვლიანი ხელი გაიშვირა:

- შეხედეთ! — თქვა და ქვემოთ გაშლილ მინდორზე მიუთითა, დილის ნისლში რომ ჩაძირულიყო.

- ვერაფერს ვხედავთ, მეთაურო! მხოლოდ წყვდიადს.

- ვერაფერს! ანუ არ გწამთ?

- გვწამს, მეთაურო, გვწამს და ამიტომაც მოგყვებით. მაგრამ ვერაფერს ვხედავთ.

- ისევ შეხედეთ!

მკლავი მახვილივით მოიქნია, ნისლი გააპო, მდელიო გამოიკვეტა: ქვემოთ მშვიდად ციმციმებდა ტბა, რომელსაც ნისლი დასთამაშებდა და აფხიზლებდა. ფინიკის პალმების მიღმა, კენჭოვანი ყურეთი გარშემორტყმულ დაბლობზე, სოფლები და დაბები ბუდეებში ჩადებული კვერცხებივით თეთრად ელავდნენ.

- იქ არის! — თქვა წინამძღოლმა და მწვანეში ჩაფლულ ერთ დიდ სოფელზე მიუთითა.

სამ ქარის წისკვილს, სოფელს რომ დაჰყურებდა, დილაუთენია გაშლოდა ფრთები და ტრიალებდნენ.

მძინარე ჭაბუკის ხორბლისფერ სახეს უცაბედად შიში მოეფინა. ხელი აიქნია, რათა განედევნა სიზმარი, მის ქუთუთოებს კრუნხვით რომ დასჯდომოდა. მთელი ძალა მოიკრიბა, რათა ძილს დახსნოდა. ეს სიზმარია, — ფიქრობდა, — უნდა გავიღვიძო, უნდა გადავრჩე. მაგრამ ქონდრისკაცები ჯიუტად დასტრიალებდნენ თავს, ფეხს არ იცვლიდნენ; ველურსახიანი ჟღალწვერაც შემადრწუნებლად იშვერდა თითს მინდორზე გადაშლილი დიდი სოფლის მიმართულებით და ამბობდა:

- აი, იქ არის! იქ ცხოვრობს და იმალება, ძონძები მოსავს, ფეხშიშველი დაიარება, ღურგლობას იჩემებს, თავს იკატუნებს, თითქოს ის არ იყოს, უნდა, რომ გადარჩეს; მაგრამ სად წაგვივა?! ღმერთმა მას დაადგა თვალი, აბა, სწრაფად მისკენ!

ნაბიჯის გადადგმა დააპირა, გზას რომ დასდგომოდა, მაგ რამფეხებსა და მკლავებზე ქონდრისკაცები ჩამოეკიდნენ და გააკავეს.

- ბევრნი არიან, ძონძებში გახვეულნი და უხამურნი რომ დადიან, მეთაურო, ღურგალიც მრავლადაა; მიგვანიშნე მაინც, ვინ არის, როგორია, სად ბინადრობს, როგორ უნდა ვიცნოთ. სხვანაირად ნაბიჯსაც კი არ გადავადგამთ! ეს იცოდე, მეთაურო, სხვანაირად არ დავიძვრებით, დავიღალეთ!

- როგორ და, მივალ და ვეამბორები — აჰა, ნიშანი! ახლა კი წინ, გზას დაადექით! ოღონდ ფრთხილად! არ იხმაუროთ! ამ დროს მას სძინავს, ჩუმად იყავით, არ გაიღვიძოს და არ გაგვექცეს! ღმერთის სახელით, მისკენ, აბა, მიდით!

- აბა, წავედით, მეთაურო! - ერთხმად დაჰყვირეს ქონდრისკაცებმა და ფართო ტერფები წინ გადადგეს, გზას გაუყვნენ. მაგრამ ერთი საცოდავი, ელამი და კუზიანი ქონდრისკაცი — ეკლის გვირგვინს რომ მოათრევდა, ბუჩქს წაეპოტინა და აყვირდა:

- არსადაც არ წამოვალ! მომბეზრდა! უკვე რამდენი ღამეა დავსდევთ?! რამდენი ქვეყანა და სოფელი მოვიარეთ? აბა, მოითვალეთ: იუდეის უდაბნოში მდებარე ესეველთა მთელი მონასტრები მოვათვალიერეთ, ბეთანიაშიც ვიყავით, სადაც ის უბედური ლაზარე სულ ტყუილად გამოვასალმეთ სიცოცხლეს, იორდანეშიც ჩავედით, მაგრამ იქიდან ნათლისმცემელმა გამოგვდევნა, ეგ ის არ არის, ვისაც ვეძებთო — ვთქვით და გამოვეშურეთ. იერუსალიმშიც ხომ ვიყავით, მწიგნობარ-ფარისევლთა მიწურებიც მოვიარეთ, მაგრამ ვერავინაც ვერ ვიპოვეთ ღარიბ-ლატაკების, მეძავების, მატყუარების, ქურდებისა და მკვლელების გარდა და წამოვედით. ის დაწყევლილი სამარიაც შემოვირბინეთ, გალილეაშიც კი ჩავედით, მაგდალაც ხომ გადავთელეთ, კანაცა და კაპერნაუმიც, ბეთსაიდაც. ქონდაქონ, ნავდანაც ვეძებდით მას — ყველაზე ღვთისმოსავსა და ღვთისმოშიშს. „შენ ხარ, — დავყვირებდით ვილაცას, — რას იმალები? ადექი, დაიხსენი ისრაელი!“, ის ვილაც კი შეხედავდა ჩვენს იარაღებს, ხელთ რომ გვეპყრა, შიში აიტანდა, წამოხტებოდა და გაჰკიოდა: „არ ვარ, მე არ ვარ“ და ღვინოში, თამაშებსა და ქალებში იხრჩობოდა, თვრებოდა, იგინებოდა, მრუშობდა, რათა გვერწმუნა, რომ ცოდვილი იყო; არ იყო იგი, ვისაც ვეძებდით და გადარჩენილიყო... მეთაურო, ნუ შემომწყურები, მაგრამ აქაც იგივე დაგვემართება. სულ ტყუილად დავეძებთ, ვერ ვიპოვით. ის ჯერ არ დაბადებულა!

- თომა, შე ურწმუნო! — წამოიყვირა ჟღალწვერამ და საკინძით დაითრია, კარგა ხანს ჰაერში გაკიდებული ეჭირა და იცინოდა: — ურწმუნო თომა, კარგი ხარ!

მერე ისევ თანამგზავრებს მიუბრუნდა:

- ეს არის სახრე და ჩვენ კიდევ უღელში შებმული ხარები ვართ; დაე, გვდიოს, სახრედ გადაგვეჭიროს, რათა არასდროს დავშომშინდეთ!

ქოსა სიმწრისგან აყვირდა, სტკიოდა. ჟღალწვერამ ისევ ძირს ჩამოსვა და თანამგზავრთა ჯგროს მიახეთქა. კვლავ იცინოდა.

- რამდენი ვართო? - თქვა, - თორმეტი! თითო კაცი ისრაელის თითოეული ტომიდან: ეშმაკები, ანგელოზები, ჯუჯები, ქონდრისკაცები, სულყველანი ღმერთისაგან შობილები და გადაჯიშებულები — აირჩიეთ, რომელიც გინდათ!

კარგ გუნებაზე იყო. შევარდენივით მრგვალი თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. მომუშტული ხელები გაშალა, თომას მხარზე ურტყამდა ხან გამეტებით და ხან დაზოგვით, ჰაერში აათამაშებდა, ხარხარებდა; მერე მეორეს მისწვდა:

- ოჰ, მშვიდობა ჩვენს წუწურაქს, ჩვენს გესლიან, მტაცებელ ფრინველს, მშვიდობა ჩვენს უკვდავ აბრამს! ჰეი, შენც, შე ჭორიკანა ვერცხლისმოყვარე, შენც მშვიდობა. შენც, შენც, ჩვენო ღვთისმოშიშო და მშიშარავ: არ იპარავ, არ მრუშობ, არ კლავ - და ეს იმიტომ, რომ გეშინია; და მთელი ეგ შენი ღირსებები შიშის ასულები არიან მხოლოდ. ხო, შენც, შე ქველო სახედარო, ცემაში რომ სულს გხდიან და ხმასაც არ იღებ. შიმშილსაც ითმენ, წყურვილსაც, სიცივესაც და მათრახებსაც: შე შრომის

მონავ, შე ბეჩავო მეჯამჭურჭლევ, მთელი ეგ შენი სიქველენი სილატაკის ასულები არიან მხოლოდ. ოჰო, მშვიდობა შე ცბიერო მელაკუდავ, ლომის — იაჰვეს ბუნაგის გარეთ რომ დაყუდებულ ხარ და შიგ შესვლა ვერ გაგიბედავს. და შენც თვინიერო ცხვარო, ბლავილით რომ კუდში მისდევ ღმერთს, რომელიც ბოლოს მაინც სწორედ შენ შეგჭამს; აი, შენც, შე გრძნეულო ლევის ძეო, ღმერთით მოვაჭრევ, ერთ დრაჰმადაც კი რომ გაჰყიდი. შენ არა ხარ, ხალხს ღმერთის სახელით რომ უმასპინძლდები, კარგად გამოათრობ და მერე ქისასა და გულს ერთად გიხსნიან, შე ცრულმერთავს ჰა, შენც მშვიდობა, გულღრძო, შმაგო და უსულგულო ასკეტო, ვინაც საკუთარ თავს აკვირდები და იმის მიხედვით ძერწავ გულღრძო, შმაგსა და უსულგულო ღმერთს, მერე მუხლს იყრი მის წინაშე და თაყვანს სცემ, მხოლოდ იმიტომ, რომ შენა გგავს. შენც, აი შენ, ვის სულსაც სავანშო გაუხსნია, ჩამომჯდარხარ მის ზღურბლზე, ჩაყოფ ხელს ქისაში, შეიწყალებ ღატაკს და ღმერთს მიასესხებ, მოიმარჯვებ მერე დავთარს და ჩაწერ ხოლმე — ამდენი ხუთეული შეწყალება გავეცი ამაზე და ამაზე, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათს; და ანდერძად იბარებ, რომ კუბოში ჩაგატანონ ეგ დავთარი, რათა ღმერთის წინაშე გახსნა, ანგარიში რომ გაასწოროთ და ამით საუკუნო მილიონები ამოიგო. აჰა, შენც, შე მატყუარავ, ფლიდო, მეზლაჰრევ, ღმერთის ყველა მცნებას რომ არღვევ — კიდეც იპარავ, კიდეც მრუშობ, კლავ კიდეც და მერე ცრემლად იღვრები, გულზე მჯილის ცემით შენს ცოდვებს საკრავზე ჩამომამღერებ. ვერაფერს იტყვი, ჭკუის კოლოფი კი ყოფილხარ, მიხვდი ხო, რომ ღმერთი ყველაფერს მიუტევებს მომღერალს, თითქოსდა თვითონ სიმღერაზე ჭკუას კარგავდეს. შენც, აი, შენ ჩვენი უკანალის მხამიანო ნესტარო, თომავ, და მეც, ხო, მეც დიდი მშვიდობა — მე შერეკილს, გონამღვრეულმა ცოლ-შვილი რომ მივატოვე და მესიის საძებნელად დავძრწი გიჟივით! ჩვენ ყველა ერთად — ეშმაკებიც, ანგელოზებიც, ჯუჯებიცა და ქონდრისკაცებიც, სულ ყველანი, ყველანი საჭირო ვართ ჩვენი მიზნისთვის!

გაიცინა, ხელისგულებზე დაიფურთხა, გაიჯგინა და:

- აბა, მისკენ დავიძრათ! — შეჰყვირა და ძუნძულით დაუყვა დაღმართს ნაზარეთისაკენ.

ადამიანები და მთები კვამლად იქცა და გაიფანტა, ჩაძინებულს ქუთუთოები უსიზმრებო წყვდიადმა აუვსო; და მაინც, ღრმა ძილში, სხვა არაფერი ესმოდა გარდა ქვემოთ ჩამომავალთა მძიმე, ფართო ნაბიჯების ხმისა.

მძინარეს გული გამალებით უცემდა: „მოდიან! მოდიან!“ — მის არსებას შემადრწუნებელი ხმა მოედო — „მოდიან!“ - და წამოხტა. ასეთი რამ ეჩვენა ძილში. ელდანაცემივით წამოვარდა, სახელოსნოს კარს დაზგა მიაყუდა, ზედ კი მთელი თავისი იარაღები დაახროვა - რანდები, საჭრეთლები, ხერხები, ეჩოები, ჩაქუჩები, სახრახნისები და კიდეც ერთი უმძიმესი ჯვარი, იმ დღეებში რომ თლიდა; შემდეგ ისევ ნახერხსა და ნაფოტებში ჩაიმუხლა და ლოდინს მიეცა.

უცნაურმა სიჩუმემ დაისადგურა - მშფოთვარე, მდორე და მახრჩობელა სიჩუმემ. სოფლიდან ჩქამიც კი არ ისმოდა, არავითარი ნიშანი არც სოფლიდან და არც ღმერთისგან. ყველაფერი, თვით უძილო დემონიც კი, უფსკერო, ბნელ, დამშრალ ჭაში ჩაყვინთულიყო - ძილი იყო ეს, სიკვდილი, უკვდავება თუ თვით ღმერთი?

ახალგაზრდა კაცს შეეშინდა; საფრთხე გაისიგრძეგანა და მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, უნდოდა ყელში წვდომოდა იმას, ვინაც ახრჩობდა და გამოფხიზლდა.

ოფლად იღვრებოდა. სიზმრიდან ბევრი ვერაფერი გამოიტანა. მხოლოდ ეს: თითქოს ვიღაც მოსდევდა. მაგრამ ვინ იყო? ერთი? ბევრი? ადამიანები? დემონები? – ეს არ ახსოვდა. სმენა დაეხშო, მიაყურადა: სოფლიდან ღამის სიჩუმეში მრავალსული სუნთქვა აღწევდა. შიგადაშიგ, რომელიღაც ხის შრიალი, ძაღლის საბრალო წკმუტუნი და სოფლის კიდიდან ჩვილის აკვანთან მომღერალი დედის ჩუმი ხმა თუ ისმოდა... ღამე გაეჯერებინა კარგად ნაცნობ და საყვარელ შრიალსა თუ ამოსუნთქვებს, თითქოს მიწა ლაპარაკობს, თითქოს ღმერთი საუბრობსო და ჭაბუკიც ოდნავ დამშვიდდა. სულ რაღაც წუთით მოიცვა შიშმა, იფიქრა, რომ მარტოდმარტო დარჩენილიყო სამყაროში.

სადურგლოს მიშენებული მიწურიდან, სადაც მისი მშობლები იწვნენ, სიკვდილთან მორკინალი მამის სუნთქვა ესმოდა; საბრალო ვერ იძინებდა, იძაბებოდა, პირს საცოდავად მანჭავდა, რომ ელაპარაკა, წლებია უკვე ასე იტანჯებოდა, რათა ადამიანური ხმა გამოეცა, ქვეშაგებზე იწვა დავრდომილი იმგვარად, რომ ენის გამოძრავებაც კი არ შეეძლო: მწოლიარე ოფლად იღვრება, იბრძვის, დორბლი სდის, და შიგადაშიგ, საშინელი მცდელობის ფასად, ძლივძლივობით, უსასოოდ აღმოხდება მხოლოდ ერთი სიტყვა, მუდამ ერთი და იგივე სიტყვა: „ადონაი!“ ადონაი და სხვა არაფერი, მხოლოდ ადონაი... და როცა ამას მოახერხებს, ერთი საათით თითქოს მშვიდდება, ჰა და ჰა, ორი საათი გასტანოს ამ სიმშვიდემ და მერე ისევ შფოთი იპყრობს, ისევ იწყებს პირის მანჭვას, ისევ ცდილობს ილაპარაკოს.

- ჩემი ბრალია... ჩემი ბრალი... - აბუტბუტდა ჭაბუკი და თვალები ცრემლით აევსო, — ჩემი ბრალია...

იმ მშვიდ ღამეში ვაჟს ესმოდა მამის მშფოთვარე ხმა, თვითონაც შფოთი მოეძალა და უნებურად მასაც პირის მანჭვა დაეწყო, თან სულ ოფლად იღვრებოდა. თვალები დახუჭა, ყური მიუგდო მოხუცი მამის გმინვას, თვითონაც გაიმეორა – ამოისუნთქებდა და ჰაერთან ერთად აღმოხდებოდა სასოწარკვეთილი, გაბმული ხრიალი — და ამგვარ ტანჯვაში, როგორც იქნა, ისევ ჩასთვლიმა. .

და ის-ის იყო, ძილმა წაიღო, სახლი შეზანზარდა, კარზე მიბჯენილი დაზგა გადმოყირავდა, გადმოცვივდა იარაღები და ჯვარი, ღია კარის ზღურბლზე კი ჟღერა გოლიათი წამოიმართა, რომელიც ხარხარებდა და ხელებს განზე შლიდა.

ჭაბუკმა ერთი შეპყვირა და გაელვია.

II

ადგა, დაზგაზე ჩამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო, აიხედა: თავს ზემოთ სალტე ქანაობდა, რომელზეც ორ წყებად აესხათ ბასრი ლურსმნები. ყოველ საღამოს,

დაძინებამდე, სხეულს ამ სალტით იმათრახებდა, სისხლს იდენდა, რათა ღამით მაინც მოჰგვროდა სიმშვიდე და რამე მაცდუნებელ ფიქრს არ მიედრიკა. შინაგან ცახცახს აეტანა; აღარ ახსოვდა რა ცდუნებები ეწვივნენ ძილში, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც დიდ საფრთხეს გადაურჩა. „არა, აღარ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია, დავიღალე...“ - აბუტბუტდა და თვალეები ჭერს მიაჰყრო. ახალშობილი, მკრთალი შუქი გაუბედავად მოცურავდა კარის ღრიჭოებიდან; სახურავის მოყვითალო ჩალას რაღაცნაირი, რბილი ბრწყინვა დაეფინა და სპილოსძვლისფრად ააელვარა.

„მეტი აღარ შემიძლია, დავიღალე.“ - ისევ ბუტბუტებდა, შინაგანი ამბოხისგან კრიჭა ეკვროდა. თვალეები სივრცეს გაუშტერა, მთელმა ცხოვრებამ გაურბინა თვალწინ - აი, ეს მამამისის კვერთხი, რომელიც მაშინ აყვავდა, როცა დედაზე დაინიშნა, მერე ის მეხი, დამბლა რომ დასცა დანიშნულ სიძეს, შემდეგ საბრალო დედამისი, რომელიც ასე უსიტყვოდ უყურებდა, უყურებდა და ხმას არ იღებდა, მაგრამ მისი მღუმარებიდან ჭაბუკს ესმოდა, კარგად ესმოდა საყვედური. მართალი იყო დედამისი... თავად კი ეს ბოლო წლებია საკუთარი ცოდვები ლახვარივით ესობა გულში და სულ ამოდ ებრძვის შიშს, რომელიც ვერ დაამარცხა. სხვა ყველაფერს, ყველა დემონს სძლია - სიღარიბეს, ქალის ნდომას, ოჯახური სიამეებით ტკბობას, ყმაწვილურ ჟინს - ეს ყველაფერი დაამარცხა, მაგრამ შიშს კი ვერაფერი მოუხერხა, ებრძვის, ებრძვის და ვერ იმარჯვებს. როგორმე შიშსაც უნდა აჯობოს, უნდა შეძლოს მისი ძლევა, უკვე კაცია, უკვე დროა...

„მამაჩემს რომ დამბლა დაეცა - ჩემი ბრალია... მაგდალინელი რომ მეძავია — ჩემი ბრალია... ისრაელი რომ უღელქვეშ გმინავს, მაგაშიც მე ვარ დამნაშავე...“

მეზობლად, ბიძამისის - რაბინის სახლის სახურავზე მამალი შეფრთხილდა და ომანხანად აყვილდა; ალბათ მასაც მობეზრდა ღამე, დაიღალა და მზეს შეჰყიოდა, ამოსულიყო.

კედელს მიყრდნობილს მამლის ხმა მისწვდა. სახლებს სინათლე ეფინებოდა და კარსაც თანდათანობით აღებდნენ; ქუჩები ნელ-ნელა ახმაურდა - მიწას, ხეებსა და სახლების ჭუჭრუტანებს დილის ფუსფუსი დაეტყო, ნაზარეთი იღვიძებდა. გვერდითა მიწურიდან უცებ ოხვრა შემოესმა და მიხვდა, რომ რაბინმა ძრწოლით შეჰტალადა ღმერთს, რომელსაც იმ სიტყვას ახსენებდა, თავის დროზე ისრაელს რომ აღუთქვა: „ღმერთო ისრაელისა, — ყვიროდა, - ღმერთო ისრაელისა, როდემდე?“ - და მოისმოდა შეფიცრულ იატაკზე მისი მუხლების გამეტებით დარტყმის ხმა.

ჭაბუკმა თავი გააქნია: „აჰა, ლოცულობს, - ჩაილაჰარაკა, - მეტანიებს აკეთებს, ღმერთს მოუხმობს საშველად, სადაცაა კედელზე მომიბრახუნებს, რათა მეც მივბაძო“.

წარბები ბრაზით შეეჭმუნა.

„მართო ღმერთი მე არ მყოფნის, ადამიანებიც მინდა!“ - თქვა და მუშტი მძლავრად მისცხო შუაკედელს, რათა შეშლილი რაბინისთვის ეჩვენებინა, რომ თავითონაც ფხიზლად იყო და ლოცულობდა.

წამოხტა. აჩეჩილი სამოსი მხრებზე ჩამოუცურდა, შიშველი სხეული გამოუჩნდა – თხელი, მზემოკიდებული, ლურჯი და წითელი ძარღვებით დასერილი სხეული. უცბად შეისწორა ტანსაცმელი და დარცხვენილმა დაიფარა სიშიშველე.

ჭერში დატანებული სანათურიდან დილის მსუბუქი შუქი ჩამოიღვარა და მოეფინა სახეზე — სიჯიუტე, ტკივილი და სიამაყე ერთდროულად რომ იკითხებოდა. დაწვებსა და ნიკაპს შავი წვერი უფარავდა, კენიანი ცხვირი შვენოდა, სქელი, ოდნავ გაპობილი ტუჩებიდან უთეთრესი კბილები ელვარებდა. ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ რაღაც შეფარული, გამაოგნებელი ხიბლი ჰქონდა. ეგებ წამწამების გამო იყო, ხშირი, გრძელი წამწამებისა, მთელ სახეს რაღაც უცნაურ, მოლურჯო ჩრდილში რომ ახვევდა? თუ თვალების სხივი იყო, დიდი, შავი თვალებისა – ნათელი და მრუმე, შიში და სითბო ერთდროულად რომ ჩასდგომოდა? მოჭუტავდა თვალებს, გრძელი წამწამების ჩრდილიდან მზერას მოგაპყრობდა და მაშინვე თავბრუს დაგახვევდა.

იღლიებსა და წვერში გაფანტული ნახერხი ჩამოიფერთხა, უკვე გარკვევით ესმოდა მძიმე ნაბიჯების ხმა, თანდათან რომ ახლოვდებოდა. ეცნო ნაბიჯები.

„ის არის. ისევ იწევს. ისევ ის მოდის, რა უნდა ჩემგან?“ – შელონებულმა ჩაიბუტბუტა და კარს აეკრა, მიაყურადა.

მაგრამ უეცრად ადგილზე გაშეშდა: ვინ მიადგა მისი დაზგა კარს და ვინ დაახვავა ზედ ჯვარი და ხელოსნის იარაღები? ვინ ჩაიდინა ეს? როდის? დემონებითაა ღამე აღსავსე და ხილვებით - შენ გძინავს და ისინი კი დაკეტილ კარში შემოაღწევენ და გადიან, თავდაყირა ტოვებენ სახლს და ჩვენს გონებას.

„ამ ღამით ვიღაც მოვიდა ძილში, — ჩუმად იმეორებდა, თით ქოს ეშინია, ისევ აქ არ იყოს ის ვიღაც და არ აყურადებდეს, - ვიღაც მოვიდა, ნამდვილად ასე იყო. ღმერთი? ღმერთი თუ დემონი? რანაირად უნდა გაარჩიო? ისინი ხომ სახეებს ცვლიან ხოლმე, ღმერთი ბნელად იქცევა, დემონი კი ნათელი ხდება, ხოლო საბრალო ადამიანს ამ დროს გონება აქვს ამღვრეული...“. გააჟრჟოლა. საით წავიდეს? ორი გზაა. რომელი არჩიოს?

მძიმე ნაბიჯების ხმა უფრო და უფრო ახლოვდებოდა. შეშფოთებული ჭაბუკი ადგილს ვერ პოულობდა, თითქოს სამალავს ეძებს, თავი რომ შეაფაროსო. ეშინოდა ამ კაცისა და უნდოდა გარიდებოდა. ღრმად ჩაბუდებოდა ძველი ჭრილობა, რომელსაც ვერაფრით იშუშებდა: ბავშვები იყვნენ, თამაშობდნენ. ის სამი წლით იყო უფროსი. თამაშისას წააქცია და უმოწყალოდ სცემა. ძლივს წამოდგა ნაცემი, არაფერი უთქვამს, მაგრამ მას შემდეგ ტოლებთან სათამაშოდ აღარ გასულა — რცხვენოდა, ეშინოდა, ეზოში მარტოდმარტო შეყუჟულიყო, საკუთარ თავში იხვევდა ბრაზს, რათა ერთ დღესაც ეს სირცხვილი ჩამოერეცხა; დაემტკიცებინა მათთვის, რომ ყველას დასჯაბნიდა, ყველას ერთად წააქცევდა, მოერეოდა. ამდენი წელი გასულიყო და ის ჭრილობა კი ჯერაც ღიად, სისხლმდინარედ დარჩენოდა.

„ისევ მე დამდევს, - ჩურჩულებდა, - ისევ დამდევს! რა უნდა ჩემგან? არ გავუღებ!“

ერთბაშად კარი წინლმა შეაჯანჯლარა; ჭაბუკი წამოხტა, მთელი ძალა მოიკრიბა, დაზგა გადადგა, კარი გააღო. ზღურბლზე გოლიათივით კაცი იდგა, ერთიანად აწითლებული, ფეხშიშველი, მკერდმოღელი, ნიკაპს კი ჟღალი, თხასავით წვერი უფარავდა. ხელში შემწვარი სიმინდის ტარო ჩაებლუჯა და ხარბად ილუკებოდა. უცებ მოავლო მზერა სახელოსნოს, კედელზე აყუდებული ჯვარი რომ დაინახა, სახე შეემღვრა და შეაბოტა.

ერთ კუთხეში ფეხი მოირთხა, შეშლილივით იქნევდა ყბებს და სიტყვას არ სძრავდა. თვითონ მისგან ზურგმექცევით იდგა და ღია კარიდან გაჰყურებდა ვიწრო, ნახევრად გამოღვიძებულ ქუჩას, ჯერ კიდევ რომ არ ავარდნოდა მტვერი, ჯერაც ნოტიო მიწას კი ოხშივარი ასდიოდა. სინათლე და ღამის სიგრილე თანაბრად ეფინებოდა წინ ჩამომდგარი ზეთისხილის ხის ფოთლებს და იფიქრებდით, შემოგცინისო. შთაგონებულმა ჭაბუკმა დილა მთელი სისავსით შეისუნთქა.

მაგრამ ჟღალწვერას ხმამ მოაბრუნა: - კარი დაკეტე, — შეუღრინა, — სალაპარაკო მაქვს.

ამ ველური ხმის გაგონებისთანავე, შეცბა, გაიჭრა, კარი დაკეტა, მერე დაზგაზე ჩამოჯდა და ლოდინად იქცა.

- მოვედი, - თქვა ჟღალწვერამ, - მოვედი, ყველაფერი მზადაა.

და დადუმდა, სიმინდის ტარო მოისროლა, ლურჯი, უნდო თვალებიდან წამოსული მზერა ჭაბუკის თვალებს ჩაასო. სქელი, დაძარღვული კისერი წაიგრძელა და:

- მზადა ხარ? და ისევ შენს სიტყვაზე ხარ?

სინათლე მომატებულიყო, უკვე თავისუფლად გაირჩეოდა ჟღალწვერას ნაკვთები: უტიფარი, ანგრეული სახე — ერთი კი არა, თითქოს ორიო. როცა ერთი მათგანი გაიცინებდა, მეორედან ბოროტი მზერა გიჰყრობდა, ერთს რომ სტკიოდა, მეორეს უგრძნობლობა აღბეჭდოდა და როცა სულ ერთი წამით, ეს ორი სახე ერთმანეთს დაუზავდებოდა, მაშინაც კი მიხვდებოდით, რომ ამ დროებითი გაყუჩების მიღმა, დაუნდობელი ბრძოლა გაეჩალებინათ ღმერთსა და დემონს.

ჭაბუკი უტყვად იდგა. ჟღალწვერა მრისხანედ ჩაეძია:

- მზადა ხარ და შენს პირობაზე დგახარ? — ისევ გაუმეორა და ის-ის იყო, უნდა ამდგარიყო კიდევ, რათა მკლავზე მოექაჩა, შეენჯღრია, გამოეფხიზლებინა და პასუხი მიეღო, რომ უეცრად საყვირის ხმა მოედო მიდამოს და ვიწრო ქუჩა ცხენოსნებით გაივსო. მხედრებს უკან რომაელი ჯარისკაცები მოსდევდნენ მძიმე, მწყობრი ნაბიჯებით. ჟღალწვერამ მუშტი შეკრა და აღმართა:

- ღმერთო ისრაელისა, - კბილებში გამოცრა, - მოიწია ჟამმა: დღეს! და არა ხვალ! სწორედაც დღეს!

ისევ ჭაბუკს მიუბრუნდა:

- მზადა ხარ? — კვლავ ჰკითხა და ისე, რომ პასუხს აღარ დალოდებია: — არა, არა, ჯვარს არ იტვირთავ, ამას მე გეუბნები! ხალხი შეგროვდა, ბარაბაც ჩამოვიდა მთებიდან თავის თანამზრახველებთან ერთად, ციხეს გავტეხავთ, ზილოტსაც მოვიტაცებთ, და მაშინ მოხდება, თავს ნუ აქნევ, მაშინ მოხდება სასწაული! აი, თუ გინდა, ემაგ ბიძაშენს, რაბინსაც ჰკითხე. გუშინ ყველა ერთად შეგვკრიბა სინაგოგაში და ისე, თქვენი მეუფება, რად არ მობრძანდა? ჰოდა, შეგვკრიბა, წამოდგა და გვითხრა — მესია ასე არ მოდისო. გაჰყვიროდა: „მესია არ მოვა, სანამ ჩვენ გულხელდაკრეფილნი ვიქნებით! ღმერთმა, ხალხმა, ყველამ ერთად უნდა იბრძოლოს, რათა მესია მოვიდეს“. დიახ, რომ იცოდე, ესეც გვითხრა: მარტო ღმერთი არ კმარაო, არც ცალკე ხალხი, ორივე ერთადაა საჭიროო, გაიგონე?

მხარზე მოჰკიდა ხელი, შეანჯღრია.

- ჰეი, შენ, გესმის? რაზე ფიქრობ? იქ უნდა ყოფილიყავი და ბიძაშენისთვის ყური დაგეგდო, რათა გონს მოსულიყავ, შე უბედურო! ამბობს, რომ ზილოტი, რომლის ჯვარზე გაკვრაც უნებებიათ დღეს ურჯულო რომაელებს, შეიძლება ის იყოს, ვისაც ამდენი თაობაა მოველით. თუ არ დავებმარებით, თუ არ გადავარჩინთ, იცოდე, მოკვდება ისე, რომ ვერ გავიგებთ, ვინ არის სინამდვილეში. თუ თავს შევაკლავთ და გადავარჩინთ, სასწაული მოგვევლინება! რომელი სასწაული? რომელი და, ძონძები შემოეცლება და მის თავზე დავითის სამეფო გვირგვინი გაბრწყინდება. გუშინ ყველა ცრემლებად დავიღვარეთ. მერე მოხუცმა რაბინმა ხელი გაიწვდინა ცისკენ და შესძახა: „ღმერთო ისრაელისა, დღეს! ხვალ კი არა, სწორედ დღეს!“ და ჩვენც აღვაპყარით ხელები ცისკენ, შიშითა და გოდებით შევძახეთ: „დღეს, ხვალ კი არა, არამედ დღეს!“. ჰეი, დურგლის ძევ, გესმის? თუ სულ ტყუილად მალაპარაკებ?

ჭაბუკს ნახევრად დახუჭული თვალები იმ კედლისაკენ მიეპყრო, ბასრლურსმნებიანი სალტე რომ ქანაობდა, ყურს უგდებდა: ჟღალწვერას უხეში, ამაზრზენი ხმის მიღმა, გვერდითა ოთახიდან ისმოდა მოხუცი მამის მოგუდული, ხრინწიანი ბორგვა - პირს ამაოდ მანჭავდა, სიტყვა რომ მოეყოლებინა... ჭაბუკის გულში ეს ორი ხმა ერთმანეთს ენივთებოდა და უცებ გაიაზრა, რომ ყველა მცდელობა ადამიანისა სულ ამაოდ იკარგება.

ჟღალწვერა ახლა მხარზე დაეჯაჯგურა, შეანჯღრია:

- რაზე ფიქრობ, შე მეოცნებე? გაიგე, რას ამბობს მამაშენის ძმა, მოხუცი სვიმეონი?

- მესია ასე არ მოდის... - წაიბუტბუტა ჭაბუკმა და თვალები ახალგამოჩორკნილ ჯვარს მიაშტერა, რომელსაც განთიადის ვარდისფერი, ნაზი შუქი ეცემოდა, - არა, მესია ასე არ მოდის. ის არასდროს იტყვის უარს თავის ძონძებზე, არასდროს დაიდგამს თავზე სამეფო გვირგვინს, არასდროს დაანებებს ხალხს, რომ გადაარჩინონ. არც ღმერთი იქცევა ასე. მესია ვერ გადარჩება. თავის ძონძებში უნდა მოკვდეს. ყველანი, თვით მორწმუნენიც კი უარყოფენ მას, მარტოდმარტო მოკვდება, უდაბური მთის მწვერვალზე, თავზე კი ეკლის გვირგვინი დაედგმევა მხოლოდ.

ჟღალწვერა შემობრუნდა, გაოგნებულმა შეხედა. სახის ერთ ნახევარს ნათელი მოჰფენოდა, მეორე კი ბნელს მოეცვა.

- საიდან იცი? ვინ გითხრა? — ჩაეძია.

მაგრამ ჭაბუკმა არ უპასუხა. დაზვიადან ჩამოხტა, უკვე კარგა გვარიანად გათენებულიყო, ერთ მუჭა ლურსმანსა და ჩაქუჩს დასტაცა ხელი და გვარს მიაშურა. ჟღალწვერა ერთი ნახტომით მიიჭრა ჯვართან და გაცოფებულმა დაუწყო მუშტების ქნევა, თან აფურთხებდა ჯვარს, ისე თითქოს ადამიანი ყოფილიყო. მერე ჭაბუკს მიაშტერდა, წვერი, უღვაში, წარბები მიაბჯინა სახეზე ეკლებად.

- არც კი გრცხვენია! — დაჰყვიროდა, — ყველა დურგალმა, მთელი ნაზარეთის, კანას, კაპერნაუმის ყველა დურგალმა თქვა უარი, ზილოტისთვის ჯვარი გამოეთალა და შენ?.. შენ როგორ არ გრცხვენია? ან არ გეშინია? მესია რომ მოგვევლინოს და იხილოს, ჯვარს რომ თლი მისთვის, მერე რას იზამ? იქნებ ზუსტად ისაა, იქნებ ზილოტია, დღეს რომ უნდა აცვან ჯვარს, რა იცი, იქნებ სწორედ ისაა მესია? ნუთუ სიმამაცე არ გეყო, ასისტავისთვის რომ გეპასუხა: მე ჯვრებს ისრაელის გმირებისთვის არ ვამზადებო?!

დურგალს გონება ამღვრეოდა, ის კი მხრებზე ჩაებლაუჭა: - რატომ არ მპასუხობ? სად იყურები? ერთი მოსდო და კედელს მიანარცხა:

- მხდალი ხარ, მხდალი! — შეშლილივით ღრიალებდა, - მხდალი ხარ, აი, ამას მე გეუბნები! შენ, შენ ვერასდროს ვერაფერს შეძლებ ცხოვრებაში!

მჭახე ხმამ გახლიჩა გარეთ ჰაერი და ჟღალწვერამაც ჭაბუკს ზურგი აქცია, კარისკენ მიტრიალდა, მიაყურადაც ქალები, კაცები, უამრავი ხალხი ღრიანცელით ახლოვდებოდა: „მაცნე! მაცნეს“ - ჭექდა ბრბო.

„ძენო და ასულნო აბრაამისა, ისააკისა, იაკობისა! მთავართა ბრძანებაა, ყური დამიგდოთ, მომისმინოთ: მიატოვეთ თქვენი სახელოსნოები და დუქნები, შეეშვიოთ მუშაობას ყანებში! თქვენ, დედებო, ხელი მოჰკიდეთ თქვენს ჩვილებს და თქვენც, მხცოვანნო, მოიმარჯვეთ ხელჯოხები, მოდიოთ, მოდიოთ, ყველანი მოდიოთ - მკელობელნი, ბრმანი, დავრდომილნი, მოდიოთ, იხილეთ! იხილეთ, როგორ ისწავლის ჭკუას ყველა, ვინც კი აღსდგება ჩვენი პატრონის - იმპერატორის წინააღმდეგ - მრავალი წელი მოეთვალოს მის მეუფებას! მოდიოთ, იხილეთ როგორ მოკვდება ის ურჯულო მეამბოხე ზილოტი!“

ჟღალწვერამ კარი გააღო და დაინახა აზვირთებული ხალხის ტალღა. დაინახა კისერმოგრეხილი, დაგვალული, უმუზარადო მაცნე, ერთ მომცრო ლოდზე შემხტარი. შეაფურთხა.

- წყეულიმც იყავ, მოღალატე! — ამოიხავლა და ფეთიანივით დაკეტა კარი.

მერე კვლავ ჭაბუკს მიუბრუნდა, თვალებიდან სულ ბალღამი გადმოსდიოდა.

- აჰა, გაიხარე მამაშენის ვაჟით, სიმონით! ეგ მოღალატე! — დაიღრიალა.

- მაგისი ბრალი არ არის, არა! ჩემი ბრალია! — დანანებით ამოთქვა ჭაბუკმა, - მე...

და მერე დასძინა:

- თავის დროზე, ჩემი გულისათვის გააგდო ეგ დედაჩემმა სახლიდან, ჩემი გულისთვის, და ახლა ხედავ..

ჟღალწვერას წამიერად სახის ერთი ნახევარი გაუნათდა, თითქოს ჭაბუკს თანაუგრძნო, სიბრალულით მიმართა:

- და რანაირად ზღავ ყველა მაგ ცოდვისთვის, შე უბედურო? — ჭაბუკი დუმდა. სახე უცახცახებდა, ხმის ამოდებას ამაოდ ცდილობდა, ენა ებმობდა.

- ჩემი სიცოცხლით, ძმაო ჩემო, ჩემი სიცოცხლით ვზღავ, იუდა! — ძლივს ამოთქვა, - სხვა არაფერი გამაჩნია.

ჟღალწვერა შეცბა. სინათლე კარის ღრიჭოებიდან და ჭერის სანათურიდან უკეთ შემოდის. ჭაბუკს თვალები უბრწყინავდა, დიდრონი, შავი თვალები. ხმა კი სიმწარითა და შიშით გაჯერებოდა.

- შენი სიცოცხლით? — თქვა ჟღალწვერამ და ჭაბუკს ნიკაპზე ხელი ამოჰკრა, — თვალს ნუ მარიდებ, უკვე კაცი ხარ, შემომხედე! შენი სიცოცხლით? რისი თქმა გინდა?

— არაფრის. თავჩალუნული უხმოდ იდგა და უეცრად აღმოხდა: - ნუ მკითხავ, ნუ მკითხავ, იუდა, ჩემო ძმაო!

იუდამ ჭაბუკის ძირს დახრილი სახე ხელებში მოიქცია, თავი აუწია, კარგახანს დაჟინებით ჩასჩერებოდა. შემდეგ მშვიდად გაუშვა ხელი და კარისაკენ გასწია. მისი გული ამბოხმა მოიცვა უცაბედად.

გარეთ ღრიანცელი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ტყაპა ტყუპი გასდიოდა შიშველ ფენისგულებსა და სანდლებს მიწაზე სრიალისგან, ჰაერი ზარის ხმასავით იმეორებდა ბრინჯაოს სამაჯურასხმული ქალებისა და ფეხებზე სქელ, სპილენძის რგოლებიანთა ჟღარუნა სიარულს. ზღურბლზე შემდგარი ჟღალწვერა შუკაში მიმავალ ხალხს უყურებდა: უფრო და უფრო მრავლდებოდნენ და მიიწევდნენ სოფლის მეორე ბოლოში მდებარე იმ წყეული გორაკისაკენ, სადაც ზილოტი ჯვარს უნდა ეცვათ. კაცები არ ლაპარაკობდნენ, კბილებში ცრიდნენ წყევლა-გინებას, ქვაფენილზე ხელჯოხების გამეტებული დარტყმების ხმა ისმოდა და ვიღაცები ჩუმად ისინჯავდნენ უბეში ჩამალულ დანებს. ქალებიც შეძრწუნებულნი მიაბიჯებდნენ. ბევრს თავსაბურავი გადაეძრო, თმა გაეშალა და მოსთქვამდა.

ნაზარეთის რაბინი, სვიმეონი ყველაზე წინ მიდიოდა. დაბალი, წლებისაგან მოკაკული, ავი სენისგან დაკვრანჩხული, ჭლექიანი, გალუული ძვლებისგან ხუნულასავით აჩონჩხილი მისი სხეული, მხოლოდ მოუდრეკელი სულიდა რომ იმაგრებდა და ჩამოშლას არ ანებებდა. უღონო, ჩიტისბრწყალეა ხელში გველისთავიანი, სამღვდელო კვერთხი ჩაებლუჯა და ქვაფენილს გამეტებით სცემდა. ისედაც ხომ ცოცხალმკვდარს ჰგავდა და ცეცხლმოდებული ქალაქივით ასდიოდა სიბრაზისგან ბოლი. მისი თვალების ცეცხლისაგან მიხვდებოდით, რომ ეს მიხრწნილი სხეული — ხორცის, ძვლებისა და თმა-წვერის გროვა ერთიანად ხანძარში იყო გახვეული. ხოლო როცა პირს გახსნიდა და ამოიძახებდა — „ღმერთო ისრაელისა“ - კეფიდანაც კვამლი ასდიოდა. მის უკან კი მოკაკული, სქელწარბა, წვერმეჩხერი ბებრები მოქანაობდნენ — ხელჯოხებზე დაბჯენილნი და მსხვილ დაკოჟრილ ძვლებს

ძლივძლივობით მოათრევდნენ. უკან კაცები მოჰყვებოდნენ, მერე ქალები და ბავშვები მოაბიჯებდნენ და თითოეულ მათგანს ხელში ჭვა ეჭირა, ბავშვებს კი – მხარზე შურდულები შემოეგდოთ. ყველა ერთად მოდიოდა, ულაპარაკოდ, მაგრამ მათი მღუმარება ზღვასავით ღმუოდა.

კარის სახელურზე ჩამოყრდნობილი იუდა კი გაჰყურებდა ქალებსა და კაცებს, თან გული ბოდმით ევსებოდა: „ესენი, - ფიქრობდა და სისხლი ტვინში ასხამდა, — აი, ესენი სასწაულს ჩაიდენენ ღმერთთან ერთად; დღეს! და არა ხვალ, სწორედაც რომ დღეს“.

ვიღაც ველური, მკერდმოღელი და თეძობმოსწორებული ქალი ჯგროს გამოეყო, დაინარა, ჭვა აიღო, მთელი ძალით ესროლა დურგლის სახლის კარს და შეჰყვირა:

- წყეულიმც იყავ, შე ჯვარმცმელო!

და უეცრად, გზის მთელ სიგრძეზე, წყევლა-კრულვისა და გინების ხმები გაისმა, ბავშვებმაც ჩამოიხსნეს მხრებიდან შურდულები; ჟღალწვერამ კიდევ ერთხელ გაიხედა და კარის ჩაკეტვა მოასწრო.

- შე ჯვარმცმელო! შე ჯვარმცმელო! — ყოველი მხრიდან მოისმოდა შეძახილები და კარზე ჭვებს რახარუხი გაჰქონდა.

ჯვრის წინ ჩამუხლული ჭაბუკი კი ჩაქუჩს იქნევდა, აჭედებდა, მძლავრად ურტყამდა, თითქოს ეწადა ქუჩიდან შემოსული წყევლისა და გინების ხმების გადაფარვა; მკერდი უდუღდა, წარბები შეეჭმუხნა; გამალებით იქნევდა ჩაქუჩს და შუბლიდან ოფლი წურწურით მოსდიოდა.

ჟღალწვერამ იქვე ჩაიმუხლა, მკლავში ხელი ჩაავლო, ჩაქუჩი წაჰგლიჯა და დაუნდობლად მოუქნია ჯვარს, შეარყია.

- მაინც წაიღებ? – კი. - არ შეგრცხვება? – არა.

- არ დაგანებებ! ახლავე დავლენწავ ამ ჯვარს! ხელები გაასავსავა, აქეთ-იქით ეცა, ნაჯახს ეძებდა.

- იუდა, იუდა, ჩემო ძმაო, — შეემუდარა ჭაბუკი, – გზაზე ნუ გადამეღობები!

ეს არ იყო ჩვეულებრივი ხმა, რაღაც ბნელი, ღრმა და ამოუცნობი გამხდარიყო. შემდრკალი ჟღალწვერა ჩუმად დაეკითხა:

- რომელი გზა იგულისხმე?

შიშით უყურებდა ჭაბუკს, სინათლე ახლა მთელ სახესა და შიშველ ნეკნებს რომ უჩენდა; პირი კი ისე მოეკუმა, თითქოს ყელში ამომსკდარი საზარელი ღრიალის შეკავებას ცდილობსო.

ჟღალწვერამ ახლავა შეამჩნია, თუ როგორ გამხდარიყო და სახეზეც მიტკლისფერი დასდებოდა. მისი უმოწყალო გულიც კი სიბრალულით აღივსო. ლოყები ერთიანად ჩასცვენოდა; განა რამდენი ხანი გასულიყო მას მერე, რაც ბოლოს ენახა? რამდენიმე

დღე თუ იქნებოდა. ერთი ხანობა გენესარეთის სოფლებში დაწანწალებდა, რკინაზე მუშაობდა – თოხებს, სახნისებს, ნამგლებს გამოჰირავდა, ცხენებს ნალებს აჭედებდა, მაგრამ როგორც კი ზილოტის ჯვარცმის ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ უკან გამოეშურა, ნაზარეთში დაბრუნდა. არადა, სულ ახლახან სხვანაირი დატოვა ეს თავისი ძველი მეგობარი და როგორი დაუხვდა! თვალები რატომ ჩაჭლამებოდა? საფეთქლები რად დაეჭიმა? ან ეს ჭმუხვა რაღა იყო პირის გარშემო?

- რა მოგივიდა? რამ ჩამოგადნო? ან ვინ გტანჯავს? – პასუხს ელოდა.

ჭაბუკმა ოდნავ ჩაიციხა; უნდოდა მიეხალა: „ღმერთი“, მაგრამ თავი შეიკავა. აი, ეს იყო ის მომწყდარი ღრიალი, მასში რომ ჩაკეტილიყო და ვერაფრით ახერხებდა აღმოფრქვევას.

- ვიბრძვი, – ესლა უპასუხა.

- ვის ებრძვი? — ჩაეძია.

- არ ვიცი. ვიბრძვი.

ჟღალწვერა ჭაბუკს ჯიუტად აკვირდებოდა თვალბში: ეკითხებოდა, სთხოვდა, ემუქრებოდა, მაგრამ მისი უნუგემო და უსასოო შავი თვალბი არას პასუხობდნენ.

უცბ იუდას გონება დაებინდა. ასე დახრილმა, მის ბნელსა და არაფრისმთქმელ თვალბს რომ ჩასჩერებოდა, უცბ კაშკაშად იხილა აყვავებული ხეები, კამკამა წყლები, უამრავი ადამიანი და ამ ყველაფრის მიღმა — უზარმაზარი, შავი ჯვარი, რომელიც ამ კაშკაშს ფარავდა.

თვალბი გაუფართოვდა, უკან დაიხია. სიტყვის თქმა ეწადა, უნდოდა ამოეთქვა: „როგორ, ნუთუ შენა ხარ... შენ?...“, მაგრამ ტუჩები ვერ გაეხსნა, თითქოს ერთმანეთზე მიჰყინვოდა; მერე მოუნდა ჭაბუკი გულში ჩაეკრა და ჩაჭხუტებოდა, დაეკოცნა, მაგრამ გაშლილი მკლავები ჰაერში გაუშემდა.

ამნაირად ჟღალთმააშლილი, თვალბგაფართოებული რომ დაინახა, უცბ თვითონ შეჰყვირა ჭაბუკმა.

თვალწინ დაუდგა ის ღამეული ზმანება – ქონდრისკაცების ჯგრო, ჯვარცმის იარაღები, აღბორგებულთა ხმები: „მისკენ, სწრაფად, მისკენ გასწით!“, და მათი ჟღალწვერა მეთაური, ახლალა შეიცნო, იუდა იყო იგი, მჭედელი, ვინც ურტყამდა და ხარხარებდა.

ჟღალწვერას ტუჩები აუთრთოლდა:

- ნუთუ შენა ხარ... როგორ, შენ?! - ძლივს ამომარცვლა.

- მე ვარ? და ვინ ვარ? — კითხვითვე მიუგო.

აღარაფერი უპასუხებია; უღვაშებს აცმაცუნებდა და უყურებდა. მისი სახის ნახევარი კვლავ ნათელს მოეცვა, მეორე კი - ბნელს. გონებაში იკრებდა იმ საკვირველ მინიშნებებს, ამ ჭაბუკს თან რომ სდევდა დაბადებიდან თუ უფრო ადრეც... თუნდაც იოსების კვერთხი, სასიძობის კვერთხთა შორის მხოლოდ ერთმა რომ გამოიღო

ყლორტები, აყვავდა და რაბინმაც ამიტომ მიათხოვა მას უმშვენიერესი მარიამი, რომელსაც ღმერთისთვის მიეძღვნა თავი. და შემდეგ მეხი, ქორწილის დღეს რომ გავარდა და სიძეს მანამ დასცა დამბლა, სანამ ცოლთან პირველად დაწვებოდა. მერე, იმასაც ამბობდნენ, პატარძალმა თეთრი შროშანი დაყნოსა და მუცლად ვაჟი იღო... და იმ ღამით, როცა შობა, სიწმრად იხილა - ცა გაიხსნა, ჩამოეშვენენ ანგელოზები, მისი სახლის ბანზე ჩიტებივით ჩამოსხდნენო, ბუდეები აიშენეს და აჭიკჭიკდნენო; სხვები ზღურბლის მცველებად დადგნენ, ზოგნიც სახლში შევიდნენ, ცეცხლი დაანთეს, რათა თბილი წყლით განებანათ ახალშობილი; თან ფაფა მოამზადეს, ახალნალოგინარისთვის რომ ეჭმიათო...

ჟღალწვერა ნელა, გაუბედავად მიუახლოვდა ჭაბუკს, სახეში ჩააშტერდა: ძრწოლით, ვედრებითა და შიშით იყო აღსავსე მისი ხმა:

- ნუთუ შენა ხარ? შენ?.. – გაუმეორა, თუმცაკი ველარ გაბედა იმ სიტყვის წარმოთქმა.

ჭაბუკი შეცბა.

- მე? როგორ თუ — მე? – თქვა და ირონიულად გაეღიმა, - შენ რა, ვერ მხედავ? ლაპარაკიც კი არ შემიძლია, სინაგოგაში მისვლის თავიც კი არა მაქვს, როგორც კი ხალხს დავინახავ, გავრბივარ, არც კი მრცხვენია, ისე ვარღვევ ღმერთის მცნებებს — შაბათსაც ვმუშაობ, არც მამაჩემი და დედაჩემი მიყვარს, ტყუილსაც ვამბობ, და მთელი დღეები მზერით ვმრუშობ.

ჯვარი მიწიდან წამოსწია, კვლავ შემართა, მერე ისევ ჩაქუჩს დასტაცა ხელი.

- ახლა კი, აგე, რას ვაკეთებ, რათა ჯვარს ვაცვა! – თქვა და ისევ გაღიმება სცადა.

ჟღალწვერა კი ვერაფერს ამბობდა, იხრჩობოდა. კვლავ კარი გააღო. ახლა სულ სხვა ახმაურებული ჯგრო გამოჩნდა გზის ბოლოში — თმაგაწეწილი დედაბრები, უუნარო ბერიკაცები, მკელბელნი, ბრმანი, კეთროვანნი, ნაზარეთის მთელი ლექი.

ქოშინ-ქოშინით მიიზლაზნებოდნენ, ძლივს მიდიოდნენ ჯვარცმის ბორცვისკენ. დათქმული დრო ახლოვდებოდა. დროა წავიდეს, დროა ხალხში გაერიოს, რათა ყველანი ერთად დაესხნენ თავს და მოიტაცონ ზილოტი — და აი, მაშინ გამოჩნდება, არის თუ არა იგი მხსნელი – ფიქრობდა, მაგრამ ადგილიდან კი ვერ იძვროდა. უეცრად ცივმა ქარმა დაჰბერა... არა, არც დღევანდელი ჯვარცმულია იგი, ვისაც ამდენი საუკუნეა მოელის ებრაელთა ტომი. ხვალ! ხვალ! ხვალ! რამდენი წელია გვტანჯავ, ღმერთო აბრაამისა? ხვალ! ხვალ! ხვალ! ანუ როდის? ადამიანები ვართ, მოგვბეზრდა, დავიღალეთ!

განრისხებული იყო. ბრაზით აკვირდებოდა ჭაბუკს, რომელიც გულადმა გაწოლილიყო და ჯვარზე ლურსმნებს აჭედებდა: „მართლა რომ ეს იყოს? - ფიქრობდა და ჟრუანტელი უვლიდა ტანში, – იქნებ ეს არის, ეს ჯვარცმელი? უსწორმასწორო და უჩინარია გზები ღვთისა; ნუთუ მართლა აი, ეს არის? “

დედაბრებისა და ხეიბრების მიღმა გამოჩნდა სასტიკი, უტყვი ბადრაგი რომაელთა - ფარ-შუბებით შეიარაღებულთ თავებზე რკინის მუზარადები ეხურათ. ხალხს ნახირივით ერეკებოდნენ და ამრეზით, ქედმაღლურად დაჰყურებდნენ ებრაელებს.

ჟღალწვერას ცეცხლი მოედო, სისხლი აუდუღდა. მერე კი ჭაბუკს ისე შეხედა, თითქოს ის იყო დამნაშავე, მისი დანახვაც კი აღარ უნდოდა, მუშტი შეკრა:

- მივდივარ, - დაუყვირა, - გტოვებ და რაც გინდა, ის ქენი, შე ჯვარმცემლო! მხდალი ხარ, ლეში და შენს ძმასავით მოღალატე! მაგრამ ღმერთი ცეცხლს დაგატენს, ისევე როგორც მამაშენს დამართა, ერთიანად გადაგზუგავს! ამას მე ვამბობ და აი, ნახავ, გაგახსენებ მერე ჩემს სიტყვებს!

III

ჭაბუკი მარტოდმარტო დარჩა. ჯვარს დაეყრდნო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. სუნთქვა ეკვროდა, ქოშინებდა. წამიერად მის გარშემო სამყარო აქანავდა, მაგრამ ისევ შედგა. გაიგონა, როგორ ანთებდა ცეცხლს დედამისი, რათა დილაუთენია სამზადისს შესდგომოდა და ჯვარცმის სანახავად წასვლა მოესწრო. მეზობლის ქალები ერთიანად გაკრეფილიყვნენ. ოჯახის თავი ისევ ოხრავდა და სიტყვის წარმოთქმას ლამობდა, მაგრამ მხოლოდ მისი ხორხილა ხროტინებდა. გარეთ კი ქუჩა ისევ დაცარიელდა.

იდგა ასე, ჯვარს დაყრდნობილი, თვალდახუჭული არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ საკუთარ გულისცემას აყურადებდა და უეცრად ტკივილისაგან შეკრთა. თითქოს უხილავი მტაცებელი ფრინველი კლანჭებით დააცხრა კეფაზე. „ისევ მოვიდა... ისევ მოვიდა.“ - ჩურჩულებდა და ცანცანებდა. გრძნობდა, როგორ უგლეჯდა კეფას ეს კლანჭები, ძვლებამდე ატანდა, ტვინს ეხებოდა. კრიჭა შეკრა, რომ არ დაეყვირა, დედამისს კვლავ არ შეშინებოდა და წიოკი არ აეტენა. თავზე ხელები წაივლო და მაგრად მოუჭირა, თითქოს ეშინოდა არ გაექცესო. „ისევ მოვიდა... ისევ მოვიდა..“ - ჩურჩულებდა და ერთიანად კანკალებდა.

პირველად, სულ პირველად, როცა ჯერაც 12 წლისა იყო და ხუცებთან ერთად იჯდა სინაგოგაში, ყურს უგდებდა როგორი ოხვრითა და ოფლისღვრით განმარტავდნენ ღმერთის სიტყვას, სულ პირველად მაშინ იგრძნო კეფაზე რაღაც მდორე, მსუბუქი ჟრუანტელი, ძალიან ნაზი, როგორც ალერსი. თვალეები დახუჭა: რა ტკბილი იყო ეს ყოველივე, თითქოს ბუმბულებიანმა ფრთებმა წარიტანა მეშვიდე ცაზე, ეს უნდა ყოფილიყო სწორედ სამოთხე! და დაკეცილი წამწამებიდან და ნახევრად გაპოხილი ბაგეებიდან გადმოიღვარა უსაზღვრო და ღრმა ღიმილი, მთელ სხეულსა და სახეზე ალერსად მოედო. ხუცებმაც იხილეს ეს საიდუმლო ღიმილი, აღიარეს, რომ ყრმა ღმერთის ხელში იყო, პირზე ხელი აიფარეს და გაჩუმდნენ.

წლები გავიდა. ელოდა, ელოდა, მაგრამ ის ტკბილი ალერსი მეტად აღარ შეუგრძნია. და აი, ერთ დღეს, პასექის დღეს, გაზაფხულზე, ღმერთის სიხარულის დღეს, დედამისის სოფელ კანაში წავიდა, რათა საცოლუ შეეგულა. დედა შეუჩნდა, სურდა დაექორწინებინა. ოცი წლისა თუ იქნებოდა, ხშირი, ხვეული წვერი

აღინტვიფრდა, სისხლი უღუღდა, ღამითაც ვეღარ იძინებდა. დედამ წაასწრო ყმაწვილური ადგნებისას, აიძულა კანაში ერთად წასულიყვნენ და საცოლვე თვითონ შეერჩია.

ჰოდა, იდგა ხელში თეთრი ვარდით და სოფლის ქალწულებს აკვირდებოდა, როგორ ცეკვავდნენ ერთიანად გაფურჩქნილი ვერხვის ძირში. ასე იდგა და აკვირდებოდა, ყველა მათგანი სურდა, მისი გული ამორჩევას ვერ ახერხებდა, რომ უეცრად უკნიდან შემოესმა ისეთი კისკისი — თითქოს მიწის გულიდან ცივი წყარო ამოჩუხჩუხდა. მიტრიალდა და იხილა, როგორ მოიხრებოდა თმაგაშლილი, ნაირგვარ სამკაულასხმული — სამაჯურებით, ბეჭდებითა და საყურებით შემკული - წითელსანდლებიანი, ერთადერთი ასული რაბინისა, მამამისის ძმისწული, საამო ნიავს მოყოლილი, აშოლტილი მაგდალინელი. ჭაბუკს გონება აერია. „აი, ეს მინდა! ეს მინდაო“ – აყვირდა. „აი, ეს მინდა“ - თქვა და ვარდი მაგდალინელს გაუწოდა. მაგრამ როგორც კი ხელი გაიშვირა, ათი კლანჭი ერთბაშად დაესო, ორი შლეგი ფრთა სცემდა თავზე და საფეთქლებზეც ეხეთქებოდა. დაიღრიალა და მიწაზე დაემხო, დუჟი სდიოდა. საცოდავმა დედამისმა სახეზე თავსაბურავი წააფარა, მერე წამოაყენა, ჩაიხუტა და დარცხვენილმა სასწრაფოდ უკან წაიყვანა.

სწორედ მას შემდეგ დაიღუპა. სავსემთვარისას, როცა მინდვრიდან ბრუნდებოდა, ანდა ღამის მდუმარებაში – სიზმრად, და უფრო ხშირად გაზაფხულზე, როდესაც ყვავილობს და სურნელს აფრქვევს მთელი სამყარო, ანუ ყოველთვის, როცა უნდა ეხარა, უმარტივეს ადამიანურ სიამებებს მისცემოდა — ეჭამა, დაეძინა, მეგობრებში გარეუღიყო, ეხალისა და ქუჩაში შემხვედრ ასულზე გაეფიქრებინა: „აი, მომწონსო“, ათი კლანჭი უცაბედად ჩაესობოდა და სურვილიც მაშინვე უქარწყლდებოდა.

მაგრამ არასდროს ისე ველურად არ დასტყდომია თავს კლანჭების სიშლეგე, როგორც ახლა, გამთენიისას. თავისი დაზგის ქვეშ მოიკუნტა, თავი მხრებში ჩარგო, საკმაოდ დიდხანს იყო ასე, სამყარო კი იხრჩობოდა. მხოლოდ საკუთარი გულ-გვამის ამბოხს გრძნობდა და ზემოდან ფრთები ტყლაშუნით ეხათქუნებოდა თავზე.

ნელ-ნელა კლანჭები რომ დაეხსნებოდა, სათითაოდ თავისუფლდებოდა ხოლმე ჯერ გონება, შემდეგ კი ძვლები, ხოლო ბოლოს — კეფა და მაშინვე გრძნობდა ჭაბუკი სიმსუბუქესაც და საშინელ დაღლილობასაც. დაზგის ქვეშიდან გამოხონდა, ხელით გამალებით მოისინჯა თმაში ჩამალული კეფა. მოეჩვენა რომ გახვეტოდა, თუმცა თითებით ვერანაირ ჭრილობას ვერ მიაგნო. დამშვიდდა. მაგრამ როგორც კი წამოდგა და სინათლეზე თავის ხელს დააკვირდა, ერთიანად გააჟრჟოლა: თითებიდან სისხლი ჟონავდა.

- ღმერთი გამმაგდა, – ჩურჩულებდა, – გამმაგდა... სისხლის ღვრა დაიწყო.

მიმოიხედა, არავინ იყო. თუმცა ჰაერში რომელიღაც მხეცის მყრალი სუნი ტრიალებდა. „ისევ მოვიდა... ჩემ გვერდითაა, ჩემ ფეხქვეშაა, თავზე მადგას..“ - ფიქრობდა შეშინებული.

თავი ჩალუნა, იცდიდა. ჰაერი მუნჯად, უძრავად იდგა, სინათლე ციმციმებდა – ეგებ კეთილისმანუწყებელი და უსაფრთხო — მის მოპირდაპირე კედელზე და ჩალით

ნაგებ ჭერზე. „სიტყვა არ წამცდება, – გაიფიქრა ჭაბუკმა, – კრინტსაც არ დავძრავ. იქნებ შევებრალო და წავიდეს...“

მაგრამ როგორც კი ეს გადაწყვიტა, თავისთავად ალაპარაკდა. მისი ხმა საყვედურით იყო სავსე:

- რად მასისხლიანებ? რატომ მიმღვრევ გონებას? როდემდე უნდა მდიო, რა გინდა?

დადუმდა. პირდაფიქნილი, თმააბურძგნილი, შიშჩამდგარი თვალებით იყურებოდა და მოკაკული აყურადებდა გარემოს.

თავდაპირველად არაფერი: ჰაერი უძრავად დაუნჯებულისყო. მაგრამ, უეცრად, ზემოთ ვიღაც ამეტყველდა. მიაყურადა, უსმენდა. უსმენდა და თავს მთელი ძალით იქნევდა, თითქოს ეწინააღმდეგებოდა: „არა! არა! არა!“.

ბოლოს თავადაც ალაპარაკდა. ახლა უკვე ხმა აღარ უკან კალებდა:

- არ შემიძლია! უსწავლელი, ზარმაცი და მშიშარა ვარ, მიყვარს კარგი დროსტარება, სმა-ჭამა. მინდა ვიქორწინო, შვილები მყავდეს. დამეხსენი!

ისევ დადუმდა. ყური მიუგდო:

- რას ამბობ? მეტად ხმამაღლა ლაპარაკობ, არ მესმის!

ყურებზე ხელისგულები აიფარა, რათა ოდნავ მაინც შეემცირებინა ზემოდან გადმოფრქვეული საშინელი ხმის სიმძლავრე. დაძაბული, სუნთქვაშეკრული უსმენდა. უსმენდა და უპასუხებდა:

- ხო, ხო, მეშინია... ვილაპარაკო? და რა უნდა ვთქვა? როგორ უნდა გამოვხატო? უსწავლელი ვარ, არ შემიძლია, ხომ გეუბნები! რა თქვი? სასუფეველი ცათა? არ მაინტერესებს ეგ შენი სასუფეველი ცათა, მე მიწა მომწონს: მინდა ვიქორწინო, რამდენჯერ მითქვამს, მაგდალინელი უნდა შევიერთო ცოლად, მერე რა რომ მეძავია. ეგეც ხომ ჩემი ბრალია, მეძავი რომ გახდა, ამიტომ თვითონვე გამოვიხსნი... არა, რა სამყარო, არა, არა, სამყარო არა, მაგდალინელი უნდა გამოვიხსნა. ესეც მეყოფა... უფრო ნელა ილაპარაკე, რომ გავიგო!

ხელი მოიჩრდილა, ჭერის სანათურიდან ჩამოღწეული მსუბუქი სინათლე თვალს სჭრიდა; ზემოთ იყურებოდა, ჭერს მიშტერებოდა და იცდიდა. სუნთქვას იკავებდა და აყურადებდა; და რომ უსმენდა, სახე თანდათან ონავრულად უნათლებოდა, სიამედაფენილი, სავსე ტუჩები გაეპო და უეცრად სიცილი აუტყდა.

- კი, კი, – ჩურჩულებდა, – მშვენივრად მიმხვდარხარ: დიახ, განგებ, განგებ ვაკეთებ! რათა შეგეზიზლო, წახვიდე, ვინმე სხვა აირჩიო და მე გადავრჩე!

სითამამე მოიკრიბა:

- დიახაც, სწორედაც განგებ ვაკეთებ! და მთელი ცხოვრება ჯვრებს შევჭედავ, რათა შენ მიერ გამორჩეული მესიები მერე ამ ჯვრებზე აცვან!

თქვა და კედლიდან ლურსმნებიანი თასმა ჩამოხსნა, გამოცოცხლდა. ჭერის სანათურს ახედა, მზე ზენიტზე იდგა, ზემოთ კი ცა მოჩანდა — ლურჯი და რკინასავით მოუდრეკელი. უნდა ეჩქარა. შუადღისას, როცა პაპანაქება დაისადგურებდა, ჯვარცმა უნდა მომხდარიყო.

ჩაიმუხლა, ჯვარს მხარი შეუდგა, მოეხვია. ცალი მუხლი გაშალა, წამოაყენა, უმძიმესი იყო, შეუძლებელი მოეჩვენა მისი აწევა, ძლივს-ძლივს მიახონებდა მიწაზე კარის მიმართულებით, სადაცაა მიათრევდა კიდეც, მაგრამ ორი-სამი ნაბიჯი რომ გადადგა, უეცრად მუხლები მოეკვეთა, თავბრუ დაეხვა, პირქვე დაეცა და ზედ ზღურბლზე ჯვარცმამ ქვეშ მოიყოლა.

მიწური შეჯანჯღარდა. ქალის მკივანი ხმა გაისმა და ღია შუაკარში დედა გამოჩნდა: მაღალი, შავგვრემანი, დიდთვალება, უკან რომ მოეტოვებინა ახალგაზრდული წლები და შემოდგომის ტკბილ-მწარე შფოთში გადადიოდა. ცისფერი გვირგვინი ეკრა მის თვალებს, თავისი ვაჟით პირხმელსა და ხორბლისფერკანიანს, ნიკაპი უფრო გამოკვეთილი და მკაცრი ჰქონდა. იისფერი თავსაბურავი ეფარა თავზე და ერთადერთი სამკაული — მოგრძო ვერცხლის საყურეები ამშვენებდა.

მოღიავებულ შუაკარში, მის უკან, გამოჩნდა თავის ქვეშაგებზე წამომჯდარი, წელსზევით შიშველი, გაფითრებული და მოშვებული, შუშისთვალეა ოჯახის მამა. ეს-ესაა ცოლს მისთვის ეჭმია და ჯერ კიდეც ტანჯვით ღეჭავდა პურს, ზეთისხილსა და ხახვს. გულმკერდის თეთრი და მეჩხერი ბალანი დაენერწყვა და ნამცეცებით ავსებოდა. გვერდზე ის საბედისწერო კვერთხი ედო, მათი ნიშნობის დღეს რომ აყვავდა, ახლა კი ერთიანად ჩამომხმარიყო.

დედა შემოვიდა, დაინახა, თავისი ვაჟი როგორ იტანჯებოდა ჯვარქვეშ მოყოლილი, ღაწვების ხოკვით უყურებდა ისე, რომ მისვლა და წამოყენება არ უცდია. უკვე დაქანცა იმის ყურებას, თუ როგორ მოუყვანდნენ ხოლმე გულწასულსა და ხელში ატატებულ შვილს დროდადრო, იმის გაძლებაც აღარ ჰქონდა, თუ როგორ დაეხეტებოდა მინდვრებსა და უდაბნოებში, დღელამ მშიერი, არც საქმე უნდოდა, იჯდა ასე გონწართმეული, გახევებული და ცარიელ ჰაერს მიშტერებოდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯვარს შეუკვეთავდნენ ჯვარცმისათვის, მთელი ჟინით იწყებდა და დღედაღამ მუშაობდა. არ დადიოდა სინაგოგაში, არც კანაში ფეხის გადგმის სურვილი ჰქონდა, არც რაიმე დღესასწაული იზიდავდა და როდესაც სავსე მთვარე ანათებდა, გონება აერეოდა ხოლმე და საცოდავ დედას ესმოდა, როგორ ბოდავდა და ყვიროდა ისე, თითქოს რაღაც დემონს ეჩხუბებო.

ან კი რამდენჯერ გაქცეულა თავის მაზლთან, წმინდა რაბინთან, რომელსაც დემონების განდევნა ხელეწიფებოდა და ამიტომაც მასთან მთელი ქვეყნიდან მოდიოდნენ დემონებით შეპყრობილნი განსაკურნავად. აი, გუშინაც ხომ მუხლებში ჩაუვარდა: „უცხოებს შველი, ჩემი ვაჟის განკურნება კი რატომ არ გინდა?“ - მუდარით ეკითხებოდა. რაბინმა თავი გადაიქნია და მიუგო: „მარიამ, ის, რაც შენს ვაჟს წვრთნის, დემონი კი არ არის, ღმერთია; აბა, მე აქ რა შემიძლია, რა უნდა ვქნა?!“ „როგორ, ნუთუ საშველი არ არის?“ - ნუგეშს ითხოვდა უბედური დედა. „ხომ გეუბნები, ღმერთია-მეთქი, არა, არანაირი საშველი არ არის“. „და რისთვისაა წვრთნის?“ - განმარტებას

სთხოვდა მარიამი. რაბინმა ამოიხრა და არაფერი უპასუხა. „რატომ წვრთნის, რატომ?!“ - ისევ ჩაეძია საბრალო ქალი. „იმიტომ რომ უყვარს, მარიამ!“ - ბოლოს ესლა უპასუხა მოხუცმა რაბინმა. შეძრწუნებული უყურებდა მაზლს, კიდევ უნდოდა ეკითხა, მაგრამ რაბინმა ერთბაშად მოუჭრა: „ასეთია ღვთის კანონი, ნულარ მეკითხები!“ – წარმოთქვა მჭმუნვარემ და მარიამს ანიშნა გასცლოდა. _ ეს უბედურება მრავალი წელია მოჰყვებოდა. და მარიამიც, მიუხედავად იმისა, რომ დედა იყო, გადაიღალა. და ახლა, რო დესაც დაინახა ზღურბლზე ასე გადამზობილი, საფეთქლები დან სისხლმდინარი ვაჟი, არც კი განძრეულა. მხოლოდ გულის სიღრმიდან ამოჰყვა ოხვრა. ოხრავდა არა თავისი ვაჟის, არამედ საკუთარი ბედისწერის გამო. ყოველმხრივ უიღბლო აღმოჩნდა მისთვის ეს ცხოვრება: უბედური იყო ქმართან; უბედური იყო შვილთან; მანამ დაქვრივდა, სანამ იქორწინებდა; დედა იყო, მაგრამ ამ დროს შვილი არ ჰყავდა. და ბერდებოდა, ემატებოდა თმაში ჭაღარა ისე, რომ არასდროს განუცდია სიყმაწვილის სილაღე, ქმრის სითბო, დიასახლისის სიმყუდროვე და სიამაყე, დედობის სიტკბო და იმედი. მის თვალებს უკვე ტირილიც აღარ შეეძლო. რაც კი რამე ცრემლი ჰქონდა ღმერთისაგან დასალვრელი, უკვე დაღვარა და ახლა აი, თავის ვაჟსა და ქმარს გამომშრალი თვალებით აცქერდებოდა. და თუ მაინც ატირდებოდა, მხოლოდ მაშინ, როცა მარტო დარჩებოდა ან როდესაც გაზაფხულზე ამწვანებულ მინდვრებს გახედავდა და აყვავებული ხეების სუნს გრძნობდა. მაგრამ ასეთ დროს ქმარს ან შვილს კი არ დასტიროდა, დასტიროდა თავის ცხოვრებას, ასე უაზროდ რომ გაეფანტა.

ჭაბუკმა წამოიწია და სამოსის კალთით სისხლი მოიწმინდა. პირი იბრუნა, დედის მკაცრი მზერა დაიჭირა და გაბრაზდა. სცნობდა ამ გამომხედვას, არაფერს რომ არ პატიობდა, სცნობდა ამ მოკუმულ ტუჩებს, შხამმდინარ ტუჩებს. მეტის გაძლება არ შეეძლო. თვითონაც ძლიერ დაიღალა ამ სახლში ყოფნით – უძლური ბერიკაცისა და შეუწყნარებელი დედის ყურებით და მისი ყოველდღიური, აუტანელი მითითებებით — „ჭამე, იმუშავე, და ქორწინდი! ჭამე, იმუშავე, დაქორწინდი“...

დედამ მოკუმული ტუჩები გახსნა:

– იესო, — ჰკითხა დაყვედრებით, – ახლა ვიღას ეჩხუბებოდი ამ უთენია?

ვაჟმა ენაზე იკბინა, რამე მწარე სიტყვა რომ არ დასცდენოდა, კარი გააღო, მზე შემოიჭრა და ქარი — უდაბნოს ხვატმოყოლებული. საფეთქლიდან ოფლი და სისხლი მოიცილა, მხარი ისევ ჯვარს მიუმარჯვა და უსიტყვოდ მოიკიდა.

დედამ ზურგზე ჩამოშლილი თმა აიწია, თავსაბურავის ქვეშ მიმალა, ნაბიჯი გადადგა წინ და საკუთარ ვაჟს მიუახლოვდა. მაგრამ როგორც კი დღის სინათლეზე შეათვალიერა შვილი, შეძრწუნებულმა უკან დაიხია. როგორ მყისიერად ეცვლება და წყალივით ელევა სახე! ყოველდღე, თითქოს პირველად ხედავსო, ყოველდღე პოულობდა მის თვალებში, შუბლზე, პირზე იდუმალ სინათლეს, ღიმილს, ხან სატანური რომ ეჩვენებოდა და ხან სევდით სავსე, ხედავდა რაღაც მოუხელოთებელ ბრწყინვალეებას, რომელიც მის შუბლს, ნიკაპსა და ყელს მოსდებოდა და ერთიანად ნთქავდა. აი, დღეს, თვალებში უკვე დიდი შავი ცხლის ალი დასთამაშებდა.

წამიერად შეშინდა. უნდოდა დაეკვივლა — „ვინ ხარ?“ - მაგრამ ჩაიხშო ეს კვილი და „შვილო“ - წარმოთქვა ტუჩებაცანცანებულმა. გაჩუმდა, თითქოს ცდილობდა გარკვეულიყო, ეს კაცი მართლა მისი შვილი იყო თუ არა; ანდა ენახა, მობრუნდებოდა, რომ შეეხედა დედისათვის, სიტყვა დაეტოვებინა, თუ არა? მაგრამ ის არ მობრუნებულა. ნაბიჯი წადგა, ზურგზე ჯვარი შე მოიყუდა და ზღურბლი გადაიარა, ისე, რომ არც კი წატორტმა ნებულა. დედამისი კი, კარის ძგიდეს ჩამოყრდნობილი, უყურებდა როგორ მსუბუქად მიაბიჯებდა ქვაფენილზე და მიჰყვებოდა აღმართს. საიდან აქვს ასეთი ძალა, ღმერთო?! თითქოს ჯვარი კი არა, ფარფატა ფრთები მოესხა ზურგზე."

- ღმერთო და უფალო, - ჩურჩულებდა განცვიფრებული დედა, - ვინ არის, ეს ვინ არის? ვისი შვილია? მამამისს არ ჰგავს, არავის არ ჰგავს, დღითი დღე იცვლება, ერთიც არის და მრავალიცაა, ველარ წვდება ჩემი გონება.

და მოაგონდა, გაზაფხულის ერთ საღამოს, ჭასთან, რომლის თავზეც ვენახი მტევნებით დახუნძლულიყო, კალთაში ეჯდა, ძუძუს აჭმევდა ახალშობილს და სწორედ ამ დროს ჩაეძინა. სულ ერთი წუთით, მაგრამ ამ ერთმა წუთმა უზარმაზარი სიზმარი დაიტია: ხედავს, ცაში დგას ანგელოზი და ხელში ვარსკვლავი შუქურასავით უჭირავს, დედამიწას ანათებს. წყვილი რომ გადაიფარა, ერთიანად აკაშკაშებული დაკლაკნილი გზა გამოჩნდა, რომელიც ელვად ჩამოდიოდა და მის ფეხებთან წყდებოდა... და მაშინ, როცა მოხიბლული გასცქეროდა და ვერ ხვდებოდა, სად იწყებოდა ეს გზა და რატომ მთავრდებოდა მის ფეხქვეშ, აიხედა და რას ხედავს? სწორედ ის ვარსკვლავი დასდგომოდა თავს. ამ ვარსკვლავით გაჩირადდებულ გზაზე სამი მხედარი გამოიკვეთა, რომელთა თავებზეც ოქროს გვირგვინები ბრწყინავდა. წამიერად შედგნენ, ცას ახედეს, შენიშნეს, რომ ვარსკვლავიც შეყვინდა, მერე სამივემ ცხენებს მათრახები გადაუჭირეს და გაქუსლეს. დედა ახლა კარგად არჩევდა მათ სახეებს: ერთი მათგანი — შუაში რომ იდგა, თეთრი ვარდივით იყო, უწვერული, ქერათმიანი. მისგან მარჯვნივ მოდიოდა პირყვითელა კაცი, წამახულ შავწვერიანი და მოჭუტულ, ვიწროთვალეზიანი. მარცხნივ კი არაბი ამოსდგომოდა, თეთრი ხუჭუჭი თმა, ყურებზე ოქროს რგოლები და მოელვარე, ქათქათა კბილები რომ ჰქონდა. და მანამ სანამ დედა კარგად გაარჩევდა და ჩვილს ხელით მოუჩრდილავდა, მეტისმეტ ბრწყინვას თვალი რომ არ მოეჭრა მისთვის, სამი მხედარი მოუახლოვდა კიდეც, ჩამოხდნენ ამხედრებულნი და მის წინ მუხლი მოიყარეს. ჩვილმა ძუძუს წოვას თავი ანება და დედამისის მუხლებზე დადგა, ფეხი გამართა.

პირველი თეთრი უფლისწული მიუახლოვდა, თავიდან გვირგვინი მოიხსნა და მოწიწებით დადო ჩვილის ფეხებთან. შემდეგ შავგვრემანი მიუახლოვდა, ჩაიჩოქა, გულის ჯიბიდან ერთი მუჭა ლალისა და ზურმუხტის ქვები ამოალაგა და ჩვილის თავზე სიყვარულით მიმოაბნია. მესამე კი ის პირყვითელა კაცი იყო, ვინაც ხელი გაიწვდინა და ჩვილის ფეხქვეშ ფარშევანგის მოფრთხილვე ფრთები დააწყო... ჩვილი სამივეს უყურებდა, უღიმოდა, მაგრამ საჩუქრებს არ შეხებია...

უეცრად სამივე უფლისწული გაუჩინარდა და ახლა ყრმა მწყემსი მოევლინა, ცხვრის ტყაპუჭმოსილი, ხელებშორის მოქცეული თასი ისე მოჰქონდა, თითქოს

პეშვში ცხელი რძე მოეკავებინა. ჩვილმა როგორც კი ეს იხილა, დედის მუხლებზე აცეკვდა, მერე სახე დახარა თასზე და ბედნიერი დაეწაფა რძეს...

კარის ძგიდეს ჩამოყრდნობილი სიზმარს მისხალ-მისხალ მოიხილავდა და ოხრავდა. რა იმედებს ამყარებდა დედისერთაზე, რა აღარ ეწინასწარმეტყველათ მისთვის მისნებს, როგორ უყურებდა თვით წმინდა რაბინი ყრმას, როგორ იღებდა წმინდა წერილს და კითხულობდა წინასწარმეტყველთა სიტყვებს ჩვილის თავზე, უსინჯავდა მას მკერდს, თვალებს, ფეხისგულებს, რათა რამე ნიშნით ეცნო! მაგრამ ვაი, რომ რაც დრო გადიოდა, დედის იმედები თანდათანობით ქარწყლდებოდა, უხეირო გზა აერჩია მის ვაჟს, სულ უფრო და უფრო შორდებოდა კაცთა მოდგმის გზას.

მარიამმა თავსაბურავი მტკიცედ მოიხვია და გაინასკვა, კარი ჩარაზა და ისიც აღმართს აუყვა, ჯვარცმის სანახავად, რათა დრო გაეყვანა.

IV

მიდიოდა საბრალო დედა, ეშურებოდა, უნდოდა, რომ ხალხს შერეოდა და მათში ჩაკარგულიყო. წინიდან ქალების წყევლა-კრულვა მოესმოდა, უკან კი გაშმაგებული, დაუბანელი, დაუვარცხნელი, ფეხშიშველი კაცები მოქოშინებდნენ, უბეში პატარა ჯაყვები რომ ჩამალათ. მათ მიღმა მოხუცები, შემდეგ მკელობელნი, ბრმანი, ხეიბარნი მიუყვებოდნენ აღმართს. მიმავალთა ფეხქვეშ მიწა იბზარებოდა, მტვერი კორიანტელად ადიოდა, ჰაერში ჭუჭყის სუნი იდგა, ხოლო მალა მზე იწვოდა.

უცებ ერთი დედაბერი შემობრუნდა, მარიამი დაინახა და მიაწყევლა; მერე ორი მეზობლის ქალი მოუტრიალდა და ზედ სახეში მიაფურთხეს, რათა ბოროტი თვალისაგან თავი დაეცვათ. ერთმა პატარძალმა კაბის კალთები ზიზღით აიკეცა, რომ გვერდზე ჩავლისას ჯვარმცმელის დედა არ შეხებოდა. მარიამმა ამოიოხრა, იისფერ თავსაბურავში ისე გამოეხვია, მხოლოდ თვალებიღა მოუჩანდა, უნუგემო, გამწარებული და ნუშივით თვალები, ერთიანად საყვედურით აღსავსე. მიდიოდა, ქვებს ახტებოდა, ლამობდა თავი ხალხის ჯგროსთვის შეეფარებინა. აქეთ-იქიდან ხმაური აწყდებოდა, მაგრამ გულს იმაგრებდა, წინ მიიწევდა. „ჩემი შვილი, ჩემი ნებიერა, - თან ფიქრობდა, - ძე ჩემი, ჩემი ნებიერა, როგორ წამიხდა!“ - და თავსაფრის კიდეს კბენდა სიმწრისაგან, ტირილი რომ არ წასცდენოდა.

ბრბომდე მიაღწია, კაცების ხროვას გადაუსწრო და ქალებში გაერია; პირზე ხელი აეფარებინა, მხოლოდ თვალებიღა უჩანდა, ვერც ერთი მეზობლის ქალი ველარ იცნობდა და ცოტა დამშვიდდა.

უეცრად, მის ზურგს უკან ღრიანცელმა იმატა, კაცები გამოიჭრნენ, ქალებში გზა გაიკვლიეს, წინ წავიდნენ და იმ ყაზარმას მიუახლოვდნენ, სადაც ზილოტი ჰყავდათ დატყვევებული, კარის შემტკრევასა და ტყვის გათავისუფლებას აპირებდნენ. მარიამი გამოცალკევდა, კარს ამოეფარა. უყურებდა დუჟმორეულთა გრძელ გაზეთილ წვერს, მოშვებულ თმას და მოხუც რაბინს, ვიღაც ველური შესახედაობის გოლიათს

რომ მხრებზე შეესვა და ცისაკენ ხელაპყრობილი დაღაღებდა. რას ყვიროდა? მარიამმა ყური მიუგდო და გაიგონა:

- ჩემო შვილებო, გჯეროდეთ ისრაელის ხალხისა, წინ! ყველა ერთად, წინ! არ შეშინდეთ! რომი კვამლია, ღმერთი მიჰბერ-მოჰბერავს და გაფანტავს! გაიხსენეთ მაკაბელები, გაიხსენეთ, როგორ განდევნეს და შეარცხვინეს ქვეყნის ზედამდგომელები – ბერძნები! ასევე განვდევნით და შევარცხვენთ ჩვენც რომაელებს. ერთია უფალი ძალთა, ჩვენი ღმერთი!

ღვთისგან შეპყრობილი მოხუცი რაბინი სხმარტალებდა და გოლიათის ფართო ბეჭებზე ლამის ცეკვავდა. სირბილის თავი აღარ ჰქონდა, დაუძლურდა, გატეხა მარხვამ, მეტანიებმა, დიდი იმედების მსხვერველამ; ვეება მთიელმა ხელში აიტაცა, ახლა ხალხის წინ მიარბენინებდა და ბაირადივით აფრიალებდა.

- ჰეი, ბარაბა, — აფრთხილებდნენ, — დაგივარდება!

მაგრამ იგი ყურს არავის უგდებდა, მხრებზე შემოსკუპებულ მოხუცს მსუბუქად მიარბენინებდა და მიიწევდა.

ღმერთს უხმობდნენ და მათ თავზე ჰაერსაც ცეცხლი მოეკიდა, ალი ავარდა, ცა და მიწა შეაერთა, ხალხს საფეთქლები გაეხვრიტა. ეს სამყარო კი, ქვებით, ბალახითა და ხორციით ნაგები, უცებ შეთხელდა, გამჭვირვალდა და მის მიღმა ცეცხლითა და ანგელოზებით ნაგები, სულ სხვა სამყარო გამოჩნდა.

იუდა აენტო, ბარაბას დასწვდა, მხრებიდან მოხუცი რაბინი წარსტაცა, საკუთარ მხრებზე შემოისვა და აღრიალდა: „დღეს, ხვალ კი არა, დღეს, დღეს!“. რაბინიც აღტყინდა და წვრილი, მიხრწნილი ხმით გამარჯვების საგალობლის მღერა დაიწყო, ხალხმაც მაშინვე ხმა შეუწყო: „ყოველი თესლები გარემომადგა მე, და სახელითა უფლისაითა ვერეოდე მათ. გარემომადგეს და მომიცვეს მე, და სახელითა უფლისაითა ვერეოდე მათ; მომადგეს მე, ვითარცა ფუტკარნი გოლსა, და აღეტყინნეს, ვითარცა ცეცხლი ეკალთა შორის, და სახელითა უფლისაითა ვერეოდე მათ!“.

მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც ამას მღეროდნენ და წარმოსახვაში ურჯულოებს ფანტავდნენ, მათ წინ აღიმართა ნაზარეთის შუაგულში მტკიცედნაგები, ოთხკუთხა და ოთხკოშკა, უზარმაზარი ციხე, რკინისაგან ჩამოსხმული ოთხი არწივი რომ გადაფოფრებოდა – მტრის ყაზარმა. შიგნით, ყოველ კუთხე-კუნჭულში დემონი სახლობდა; კოშკებზე ფრიალებდა ყვითელი და შავარწივიანი ბაირალები რომისა; უფრო ქვემოთ ნაზარეთის სისხლისმსმელი ასისტავი რუფუსი იდგა თავის ჯართან ერთად; სულ ქვემოთ კი ცხენები, ძაღლები, აქლემები და მონები მოჩანდნენ. და მათ მიღმა, ერთ ბნელ ჯურღმულში გამოემწყვდიათ წვერგაბურძგნილი, ქალებისა და ღვინის უარყოფელი, მუამბოხე ზილოტი. თავის ერთი გაქნევა და მის ზემოთ ყველა წყეული ფენა — ადამიანები, მონები, ცხენები, კოშკები ერთიანად დაინგრეოდნენ. ასეა მუდამ – ღმერთი უსამართლობის საძირკველში, ღრმად მარხავს ხოლმე განმგმირავ და დამცირებულ ყვირილს სამართლიანობისთვის.

ზილოტი უკანასკნელი ჩამომავალი იყო მაკაბელთა დიდებული ტომისა: ღმერთი თავის კალთის ქვეშ იფარავდა, რათა ეს წმინდა თესლი არ დაკარგულიყო. ერთ ღამეს,

წყეულმა მეფე ჰეროდემ ორმოც ყმაწვილს კუპრი მოასხა, ჩირაღდნებით ცეცხლი მიუთო და დაწვა. ეს იმიტომ, რომ მათ ის ოქროს არწივი ჩამოანგრის, იუდეის მოღალატე მეფემ მანამდე შეუბღალავი ტაძრის კარიბჭეზე რომ აღმართა. ორმოცდაერთნი იყვნენ სულ შეთქმულნი. მათგან ორმოცი შეიპყრეს, მაგრამ მეთაური კი გააქცათ. ისრაელის ღმერთმა მას ხელი დაადო და გადაარჩინა – ჯერ კიდევ უწვერული ყმაწვილი, სწორედ ეს ზილოტი, მაკაბელთა მესამე თაობის ჩამომავალი.

მას შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში მთებში დაეხეტებოდა და ცდილობდა წმინდა მიწის გათავისუფლებას, ღმერთს ისრაელისთვის რომ ეჩუქებინა. „მხოლოდ ადონაი არის ჩვენი ბატონი, — ქადაგებდა, — ნუ გადაუხდით ხარკს მიწიერ მთავრებს, ნუ დაანებებთ მათ, თავიანთი არწივიანი კერპებით შებღალონ ღვთის ტაძარი, ნუ შესწირავთ მსხვერპლად ხარებსა და ცხვრებს ტირან იმპერატორს! ერთია ღმერთი, ჩვენი ღმერთი! ხალხიც ერთია, ისრაელის ხალხი! და ერთი არის ნაყოფი მთელი დედამიწის ხისა - მესია!“.

მაგრამ უეცრად, ღმერთმა მასზე ზრუნვა აღარ იწება და ნაზარეთის ასისტავმა, რუფუსმა შეიპყრო. ერთიანად დაიდრა ქალი თუ კაცი ახლომდებარე სოფლებიდან, მეთევზეებიც კი ჩამოვიდნენ გენესარეთის ტბიდან, რადგან რამდენიმე დღე იყო კარდაკარ, თევზსაჭერი ნავიდან ნავზე დაძრწოდა და ხალხს მოუხმობდა ეს ბნელი, დაუნდობელი და ორაზროვანი უწყება: „ზილოტს ჯვარს აცვამენ. ისიც იღუპება, მორჩა, დამთავრდა!“ და მოწოდება: „გიხაროდენ, ძმებო, მხსნელი მოგვევლინა, წაიმძღვარეთ პალმის რტოები და ყველა ერთად ნაზარეთისკენ გაემართეთ, რომ მიესალმოდით!“.

მოხუცი რაბინი ჟღალწვერას მხრებზე მუხლებით შედგა, ხელი ყაზარმის მიმართულებით გაიშვირა და დასჭეჭა:

- მოვიდა! მოვიდა! ამომშრალ ჭაში დგას მესია და ელის. ვის ელის? ვის და ჩვენ, ისრაელის ხალხს გველის! წინ! შეამტვრიეთ კარი, გამოიხსენით მხსნელი, რათა მან ჩვენ დაგვიხსნას!

- ისრაელის ღმერთის სახელით! – არაადამიანურად დაიღრიალა ბარაბამ და ნაჯახი აღმართა.

ხალხი აბობოქრდა, უბეებიდან ჯაყვები დააძრეს, დაგეშილმა ბავშვებმა შურდულები მომართეს, ყველა დაიდრა ალაყაფისკენ ბარაბას წინამძღოლობით. ღვთიური ნათებისგან თვალთ დაუბნელდათ და ვერავინ შეამჩნია პატარა ჭიშკარი, რომელიც უცებ გაიხსნა და იქიდან ერთიანად გაფითრებული მაგდალინელი გამოვიდა, ცრემლიან თვალებს იმშრალედა. სასიკვდილოდ განწირული მის სულს შებრალებოდა და ღამით დამშრალ ჭაში ჩამძვრალიყო, რათა მისთვის უკანასკნელი სიამე მიენიჭებინა, ის უტკბესი სიამე, რისი მიღებაც ამ სამყაროსგან შეუძლია ადამიანს. მაგრამ სასიკვდილოდ განწირული ზილოტთა უცნაური მოდგმისა იყო და ფიცი ჰქონდა დადებული, სანამ ისრაელი არ გათავისუფლდებოდა, თმა არ შეეჭრა, ღვინო არ დაეგემოვნებინა და ქალს არ გაჰკარებოდა. მაგდალინელი კი მთელი ღამე მის პირისპირ იჯდა და უმზერდა: თუმცა მსხვერპლი მაგდალინელს მიღმა, მისი შავი

თმის მიღმა, ძალიან შორს იყურებოდა და ხედავდა იერუსალიმს, არა ამჟამინდელს — დაცემულსა და წაბილწულს, არამედ მომავლის წმინდა იერუსალიმს, შვიდი ტრიუმფალური კოშკითა და შვიდი მფარველი ანგელოზით დამშვენებულს, რომლის ფერბთქვეშაც განრთხმულიყო დედამიწის სამოცდაჩვიდმეტი ერი. სიკვდილმისჯილი მომავალი იერუსალიმის გრილ მკერდს გრძნობდა და შიშაც სადღაც უჩინარდებოდა. სამყარო ტკბებოდა, მრგვალდებოდა, მის ხელისგულს ავსებდა. თვალებს მილულავდა, ხელის მტევანში მოიქცევა მომავალი იერუსალიმის მკერდს და მხოლოდ ერთზე ფიქრობდა - ღმერთზე, წვერშემოსილ, ღვინისა და ქალის უარყოფელ ღმერთზე ისრაელისა. მთელი ღამე ზილოტს კალთაში ეჯდა მომავლის იერუსალიმი და მასში ქმნიდა ცათა სასუფეველს, ისეთს როგორც ეწადა ყოფილიყო - არა ანგელოზებითა და ღრუბლებით შეფენილი, არამედ ალიზით ნაგები და ადამიანებით სავსე, ზამთარში თბილი და ზაფხულში გრილი სასუფეველი ცათა.

მხცოვანმა რაბინმა შენიშნა, როგორ გამოვიდა ყაზარმის ჭიშკრიდან თავისი დამცირებული ასული და თვალი აარიდა: ცხოვრების უდიდეს სირცხვილად მიაჩნდა იგი. როგორ იშვა მისი წმინდა, ღვთისმოშიში წიაღიდან ეს მეძავი? რომელმა დემონმა ან რომელმა უკურნებელმა სენმა დარია ხელი და სამარცხვინო გზაზე დააყენა? ერთხელაც, რაღაცა დღეობიდან რომ დაბრუნდა კანაში, ცრემლად დაიღვარა, სიკვდილს ნატრობდა, მერე ერთბაშად გახალისდა, ნელსაცხებლებს მიეტანა, ირთვებოდა, დასეირნობდა. ბოლოს მამისეული სახლიც დატოვა, წავიდა და მაგდალაში დასცა კარავი, გზაჯვარედინზე, საქარავნე გზის გასწვრივ...

მკერდმოშიშვლებული უშიშრად გაემართა ხალხისაკენ, ტუჩებიდან და ლოყებიდან ფერუმარილი გადღაბნოდა, თვალები ამოღამებოდა მთელი ღამე სიკვდილმისჯილის ყურებასა და ტირილში; დაინახა, როგორ აქცია პირი დარცხვენილმა მამამისმა და მწარე ღიმილი დაეფინა სახეზე: უკვე გარდასული ამბავი იყო მისთვის ეს სირცხვილიც, ღვთის შიშიც, მამის სიყვარულიცა და ხალხის აზრიც; ავი ენები ამბობდნენ, შვიდ დემონს შეუპყრიაო, მაგრამ შვიდი დემონი კი არა, შვიდი ლახვარი ჩასობოდა მის გულს.

მხცოვანმა რაბინმა ისევ ხმა აღიმალლა, რათა მზერა ყველას მისთვის მიეპყრო და არა მისი ქალიშვილისთვის; ისიც ჰყოფნიდა, რომ მას ღმერთი ხედავდა და ისვე განსჯიდა. და ჟღალწვერას მხრებიდან მიიხედ-მოიხედა.

- გაახილეთ თვალნი სულისა, - ღაღადებდა, - ზეცას ახედეთ: ჩვენ ზემოთ ღმერთია, ზეცა გაიხსნა, ანგელოზთა ლაშქარი მოჩანს, ჰაერი წითელი და ცისფერი ფრთებით აივსო!

ზეცა მართლაც ცეცხლმა დაფარა და მზერამიპყრობილმა ხალხმა იხილა, როგორ მოიწევდა აბჯარასხმული ღმერთი ციდან. ბარაბამ კვლავ აღმართა ნაჯახი: „დღეს, და არა ხვალ, დღეს, დღეს!“ – აყვირდა და ყაზარმას შეესივნენ. რკინის კარს ეცნენ, ძალაყინები მიუმარჯვეს, კიბეები ააყუდეს, ცეცხლი აანთეს; უეცრად, ალაყაფი გაიღო და ორი რკინის ცხენოსანი გამოჩნდა, თავიდან ფეხებამდე იარაღასხმულნი, უმოძრაოსახეებიანი, მზემოკიდებულნი, კარგად ნაკვებნი და თავდაჯერებულნი. ცხენებს დეზი ჰკრეს, მათრახები გადაუჭირეს და მაშინვე გზები აივსო გაქცეული

ხალხის ნატერფალეებითა და ზურგებით, ღრიანცელით რომ მირბოდნენ ჯვარცმის ბორცვისკენ.

მოშიშვლებული, ერთიანად კაჟის ქვებით სავსე, წყეული ბორცვი ძეძვს გადაეფარა. რომელი ქვაც უნდა აგელო, მის ქვეშ სისხლის შემხმარ წვეთებს ნახავდი. ყოველთვის, როცა ებრაელები თავს წამოყოფდნენ და თავისუფლებას მოითხოვდნენ, ეს ბორცვი ჯვრებით ივსებოდა, რომლებზეც ამბოხებულნი იგრიხებოდნენ და გოდებდნენ. ღამღამობით ბორცვს ტურები მიესეოდნენ ხოლმე და ჯვარცმულებს ფეხებს უჭამდნენ, გათენებულზე კი ყვავები უკორტნიდნენ თვალებს.

სულმიხდილი ხალხი ბორცვის ძირში შედგა. რკინის მხედრებიც დაერივნენ, ალყაში მოიქციეს შეჯგუფებული ებრაელები და გალავნად შემოერტყნენ. შუადღე ახლოვდებოდა, ჯვარი კი ჯერ არ ამოეტანათ; ბორცვის თავზე ორი ბოშა ჩამომდგარიყო, ჩაქუჩები და ლურსმნები მოემარჯვებინათ და იცდიდნენ. სოფლის დამშეული ძაღლებიც შემოსეოდნენ ბორცვს, სადაც ცეცხლმოკიდებული ცის ქვეშ იხრუკებოდნენ ჯვარცმის მომლოდინე კაცები: მოელვარე შავი თვალები, კეხიანი ცხვირები, ჩაცვნილი ლოყები და საფეთქლებზე ჩამოშვებული გაზეთილი კულულები ჰქონდათ. შორიახლოს ჩამომდგარიყვნენ მათი ცოლები, იღლიები აქოთებოდათ და თმა გაპოხვოდათ, მზის გულზე ოფლად იღვრებოდნენ და ყარდნენ.

მეთევზეთა პატარა ჯგუფიც მოსულიყო, მზისა და ქარისაგან სახე, მკერდ და მკლავებგამომხმარნი, დაძრულიყვნენ გენესარეთის ტბიდან იმის მოლოდინით, რომ სასწაული - ზილოტი ეხილათ, რომელიც ზუსტად იმ დროს, როცა ურჯულონი ჯვარცმისათვის მოამზადებდნენ, შემოიძარცვავდა ძონძებს და მახვილადმართულ ანგელოზად გარდაიქმნებოდა. წინა ღამით ჩამოსულიყვნენ, თევზით სავსე გოდრები გასაყიდად წამოემძღვარებინათ. თევზი რომ გაყიდეს, დუქანს მიაშურეს, დალიეს, დათვრნენ, დაავიწყდათ, რა უნდოდათ ნაზარეთში, ქალის წადილი მოეძალათ და ამღერდნენ, მერე ერთმანეთს დაერივნენ, ბოლოს დაშოშმინდნენ – გამთენიისას კვლავ გაახსენდათ ღმერთი ისრაელისა, დაიბანეს და ნაბახუსევნი აიზლაზნენ, სასწაული რომ ენახათ. ელოდნენ და ელოდნენ, მობეზრდათ. ერთი-ორი მათრახიც იგემეს ზურგზე და ჩამოსვლა ინანეს.

- გეუბნებით, მერწმუნეთ, ისევ ჩვენს ნავებთან დავბრუნდეთ, - თქვა ერთ-ერთმა მათგანმა, გაკაჟებული სხეული, მუქი წვერი და ლოკოკინას ნიჟარასავით შუბლი რომ ჰქონდა, - დამიჯერეთ, ამასაც აცვამენ ჯვარს და არც ახლა გაიხსნება ცა. არც ღვთის რისხვას უჩანს დასასრული და არც კაცთა უსამართლობას. აბა, შენ რას იტყვი, ზებედეს ძევ?

- და არც პეტრეს ჭკუასუსტობას უჩანს დასასრული, - მიუგო თანამგზავრმა, მკაცრი იერის მქონე, წვერგაბურძენილმა კაცმა და გაიცინა, - ნუ მიწყენ, პეტრე, მაგრამ თმა გაგითეთრდა, თუმცა ჭკუა არ მოგმატებია. ერთ წამში აბედივით აენტები და ჩაქრები ხოლმე. განა, შენ არ იყავი, რომ შეგვყარე? გიჟივით რომ დახტოდი ნავიდან ნავზე და გაჰყვიროდი: „სწრაფად, ძმებო, იჩქარეთ! ადამიანი ერთადერთხელ იხილავს სასწაულს ცხოვრებაში! ნაზარეთში წავიდეთ, ვნახოთ!“. ახლა კი, ორი მათრახი მოგხვდა ზურგზე და მაშინათვე დაფრთხი, სხვანაირად აჭიკჭიკდი:

„სწრაფად, ძმებო, ვიჩქაროთ, გავიქცეთ!“ . რა შესაფერისად გეძახიან ლერწამს, საითაც ქარი დაუბერავს, იქით რომ ირწევი!

ორ-სამ მეთევზეს, მათ საუბარს რომ შეესწრნენ, გაეცინათ. ერთმა მწყემსმა კი, თხის სუნად რომ ყარდა, სახრე ასწია და თქვა:

- კარგი, იაკობ, ასეც ნუ გაწირავ, მერე რა, რომ მერყევია, მაინც ყველას გვჯობია: გული აქვს ოქროსი.

- მართალი ხარ, ფილიპე, მართალი, ნამდვილად ოქროს გული აქვს! – აღნიშნა ყველამ ერთად და გასამხნეველად პეტრეს ხელი დაჰკრეს მხარზე.

მაგრამ პეტრე ბრაზისგან ძლივს სუნთქავდა. ყველაფერი, ყველაფერი და ლერწამს რომ ეძახდნენ, ეგ სწყინდა. შეიძლება მართლაც ასე იყო და ქარი თავის ნებაზე აქანავებდა, მაგრამ ეს შიშის გამო კი არ ემართებოდა, უბრალოდ დამყოლი გული ჰქონდა.

იაკობმა დაინახა, როგორ დაღონდა პეტრე და ინანა, ასე უდიერად რომ მიმართა მასზე ასაკით უფროსს. შეეცადა, საუბრის თემა შეეცვალა:

- პეტრე, ერთი მითხარი, შენი ძმა, ანდრია როგორაა? ისევ იორდანის უდაბნოშია?

- ისევ იქ არის, - მიუგო პეტრემ და ამოიოხრა, — ამბობენ მოინათლა კიდევ და თავისი მასწავლებელივით კალიებითა და ველური თაფლით იკვებებო. თავი მომაჭერით, მალე თუ არ ვნახოთ ეგეც სოფელ-სოფელ მლაღადებელი: „შეინანეთ, შეინანეთ! მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა!“ ნეტა რომელი სასუფეველი? სულ დაკვარგეთ სირცხვილი და ეგაა!

იაკობმა თავი გადაიქნია. სქელი წარბები შეჭმუხნა და თქვა:

- მგონი, ჩემს ბედოვლათ ძმასაც იგივე დაემართა, იოანეს! ისიც ბერად წავიდა მონასტერში, გენესარეთის უდაბნოსკენ. ამბობს, რომ მეთევზეობისთვის არაა გაჩენილი და ხელში შემატოვა ორი მოხუცი და ხუთი ნავი, მე მარტომ უნდა ვზიდო მთელი ტვირთი.

- კი, მაგრამ რა აკლდა მაგ დალოცვილს? ყველაფერი ჰქონდა ღმერთისგან, ამ ყვავილობის ჟამს რა ჯანდაბა ეწია? - იკითხა მწყემსმა ფილიპემ და ფარული სიხარულით აღევსო გული იმის გამო, რომ მდიდრებსაც თავისი ვარამი აქვთ და მათაც შესჩენიათ გულისგამომხვრელი ჭია.

- რა ვიცი, უცებ აერია გონება, - მიუგო იაკობმა, — მთელი ღამეები ლოგინში წრიალებდა ხოლმე, ბორგავდა, ისე როგორც უმწიფარ ყმაწვილებს ემართებათ, ქორწინების დრო როცა უწევთ.

- მერე დაქორწინებულიყო! გასათხოვრების მეტი რაა!

— ამბობს, ცოლის შერთვა არ მინდაო.

- აბა, რა მინდაო?

- რა და, მასაც ცათა სასუფეველი ნებავს, ანდრიასაკით.

მეთევზეები სიცილისაგან ლამის დაიხოცნენ.

- სიკეთეში მოიხმაროს! — თქვა ერთმა ასაკოვანმა მეთევზემ და სიმწრით მომუჭა დაკოჟრილი ხელები.

პეტრემ დააპირა რამე ეთქვა, მაგრამ ვერ მოასწრო, ხრინწიანი ხმები გაისმა:

- ჯვარმცმელი ჯვარმცმელი! აი, ისიც!

შეშფოთებულებმა ერთდროულად მიიხედეს: ხუროს ძე აღმართს მოუყვებოდა, ჯვარმოკიდებული ძლივძლივობით მოაბიჯებდა.

- ჯვარმცმელი! ჯვარმცმელი! — ამოიქუხა ხალხმა, — მოღალატე!

ბოშებმა ბორცვის წვერიდან დაინახეს ჯვარი და სიხარულისგან აჩოჩქოლდნენ. მზისგან ერთიანად შეხრუკულებმა ხელისგულებზე დაიფურთხეს, წერაქვებს დაავლეს ხელი და თხრა დაიწყეს. გვერდით ქვაზე სქელი, ფართოთავიანი ლურსმნები დაეწყით. მართალია, სამი შეუკვეთეს, მათ მაინც ხუთი გამოეჭედათ.

ქალებსა და კაცებს ხელებით ცოცხალი ჯაჭვი გაეკეთებინათ, რათა ჯვარმცმელისთვის გზა გადაეღობათ. მაგდალინელი ბრბოს გამოეყო და აღმართზე ამომავალ მარიამის ძეს მიაშტერდა. გული ტკივილით ევსებოდა. ახსოვდა, როგორ თამაშობდნენ პატარაობისას, ის სამი წლის იყო, თვითონ - ოთხისა. როგორი მძაფრი, გამოუთქმელი სიხარული, უსიტყვო სითბო აკავშირებდათ ერთმანეთთან! მაშინ იყო, ორივემ ღრმად, ძალიან ბუნდოვნად რომ იგრძნო, ერთი კაცი იყო, მეორე – ქალი, ორი სხეული, ოდესღაც ერთი მთლიანობა, რომელიღაც უსულგულო ღმერთის ნებით რომ გაიხლიჩა, ახლა ეპოვათ ამ ნაწილებს ერთმანეთი და სურდათ შერწყმა, რათა ისევ ერთ მთლიანობად გარდაქმნილიყვნენ. და რაც უფრო იზრდებოდნენ, მით ცხადად გრძნობდნენ, თუ რამხელა სასწაულია ქალი და კაცი, ანუ ეს ორნი და ერთმანეთს უთქმელი ძრწოლით უყურებდნენ. და ელოდნენ, დამშეული მხეცებივით, ელოდნენ როდის მოაწევდა შიმშილის დაცხრომის დრო, რათა ერთმანეთში ჩაღვრილიყვნენ და რაც ღმერთმა გაყო, თანაყოფით კვლავ გაემთლიანებინათ. თუმც ერთ საღამოს, დღეობისას კანაში, როცა მისმა გულის სწორმა ნიშნობის ვარდი გაუწოდა, მათ რომელიღაც უმოწყალო ღმერთი დაესხა თავს და კვლავ ერთმანეთს დააცილა. და იმ დროიდან, იმ დროიდან...

მაგდალინელს თვალები ცრემლით აევსო. ერთი ნაბიჯი გადადგა, ჯვარმოკიდებული ახლა უკვე მის წინ მოდიოდა.

მაგდალინელი გადაიხარა, სურნელოვანი თმა მის შიშველ, სისხლიან მხრებს შეეხო.

- ჯვარმცმელო! — ძლივს ამოთქვა და აცანცანდა.

ჭაბუკი შემობრუნდა, ელვასავით მიაშუქა ქალს თავისი დიდრონი, სევდიანი თვალები. ტუჩები უთამაშებდა, პირი მოექცა. მაგრამ ერთბაშად თავი დახარა და მაგდალინელმა ვერ მოასწრო გაერჩია – ტკივილი აღბეჭდოდა სახეზე, შიში თუ ღიმილი? მისკენ გადახრილი მაგდალინელი სულმოუთქმელად ეუბნებოდა:

- არ გრცხვენია? არ გახსოვს? სადამდე დაეცი! - და მეყსეულად, თითქოსდა მისიცი მოისმინა, თვითონვე მიაგო პასუხი:

- არა, არა! ღმერთი არ არის, უბედურო, ღმერთი არ არის, დემონია!

ამასობაში ხალხიც მეტად შექუჩებულიყო, მისთვის გზის გადასაკეტად. ვიღაც მოხუცმა ხელჯოხი მოიმარჯვა და გადასცხო. ორმა მწყემსმა, თაბორის მთიდან რომ ჩამოსულიყვნენ სასწაულის სანახავად, სახრები გადაუჭირა. და ბარაბამაც ნაჯახი ხელში აათამაშა. ხნიერმა რაბინმა დაინახა, რომ მისი ძმისწული საფრთხეში იყო, ჟღალწვერას ზურგიდან ჩამოხობდა და მის მისაშველებლად გაიქცა.

- შესდექით, შესდექით, შვილებო! — ყვიროდა, - ღმერთის გზას ნუ გადაღობავთ, დიდი ცოდვია! ხელს ნუ შეუშლით! აღსრულდეს, რაც დაწერილია! დაე, მივიდეს ჯვარი ნიშნულამდე, ღმერთის გზავნილია! დაე, ბოშებმაც მოამზადონ სამსჭვალეები! დაე, ღვთისგან მოვლენილიც ავიდეს ჯვარზე! ნუ შიშობთ, გწამდეთ და ნუ გეშინიათ! ასეთია შჯული ღვთისა: დანამ ძვლამდე თუ არ ჩააღწია, სასწაული არ აღსრულდება! დაუჯერეთ თქვენს მრავლისმომსწრე რაბინს, შვილნო ჩემნო, ჭემმარიტებას გეუბნებით: თუკი ადამიანმა უფსკრულამდე არ ჩააღწია, ზურგზე ფრთებიც არ გამოესხმევა!

მწყემსებმა სახრები ძირს ჩაწიეს, სამიზნედ მომარჯვებული ქვებიც დასცვივდათ, ხალხი მიდგა-მოდგა, რათა ღვთის გზა გაეთავისუფლებინათ: და ზურგზე ჯვარმოკიდებულმა მარიამის ძემ ბარბაც-ბარბაციტ გაიარა. ზეთისხილის ბალებიდან ჭრიჭინების ხმა აღწევდა და ჰაერს ავსებდა. დამშეული ნაგაზი ბორცვზე შემომდგარიყო და საზარლად ყეფდა. ქვემოთ კი, მოსეირეთა შორის, იისფერთავსაბურავიან ქალს განმგმირავი ხმა აღმოხდა და გული წაუვიდა.

პირდაფჩენილი, თვალეზადმოკარკლული პეტრე იდგა და მარიამის ძეს უყურებდა. იცნო. კანაში მარიამისა და პეტრეს მამისეული სახლები ერთმანეთის პირისპირ იდგა. მარიამის მოხუცი მშობლები კი - იოაკიმი და ანა - მისი დედ-მამის ძველი და გულითადი მეგობრები იყვნენ. წმინდა ადამიანები იყვნენ ისინი, მათი ღარიბული სახლი მუდამ ანგელოზებით იყო სავსე. ერთ დღეს, მეზობლებმა თვით ღმერთიც კი იხილეს, უპოვრად გარდასახული, მათი სახლის ზღურბლზე როგორ გადავიდა. მიხვდნენ, რომ ღმერთი იყო, რადგან იოაკიმისა და ანას სახლი უცებ შეირყა, თითქოს მიწისძვრააო. ცხრა თვის შემდეგ კი სასწაული მოხდა: მოხუცმა ანამ, სამოცი წლისა იქნებოდა, მარიამი შვა. პეტრე ამ დროს ხუთისაც არ იყო, მაგრამ ძალიან კარგად ახსოვდა ის სიხარული — როგორ აღტყინდა მთელი სოფელი და ქალიან-კაციანად მათ სახლს მიაშურეს მისალოცად. ზოგს ფქვილი და რძე მიჰქონდა, ზოგს ფინიკები და თაფლი, ზოგს შესამოსელი, მშობიარესა და ჩვილისთვის ნაირგვარი საჩუქრები. პეტრეს დედა ბებიაქალი იყო, წყალი გააცხელა, შიგ მარილი ჩაყარა და მტირალი ჩვილი დაბანა... და ანლა კი რას ხედავს: აგერ, მარიამის ძე მის წინ მიდის, ზურგზე ჯვარი მოუგდია, მთელი ხალხი მას აფურთხებს და ქვებს ესვრის. უყურებდა, უყურებდა და გული სიბრაზით ევსებოდა. რა უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილა მარიამის ძე, რალა იგი ამოირჩია ისრაელის ღმერთმა იმ ჯვრების გამოსაჩორკნად, რომლებზედაც წინასწარმეტყველთ გააკრავდნენ?! „ყოვლისშემძლეა, — ფიქრობდა პეტრე და მთელ ტანში ჟრუანტელი უვლიდა, -

ყოველიშემძლეა ღმერთი, შეიძლებაოდა მე ავერჩიე საამისოდ, მაგრამ გადავრჩი. მარიამის ძე ამჯობინა“. და პეტრეს აბობოქრებული გული მაშინვე დაცხრა, ღრმა მადლიერებით აღივსო მარიამის ძის მიმართ, რომელმაც საკუთარ მხრებზე იტვირთა ეს ცოდვა. – ამ ფიქრში გართულიყო პეტრე, რომ მარიამის ძე სუნთქვა შეკრული შედგა.

- დავიღალე, დავიღალე, – ჩურჩულებდა და აქეთ-იქით იყურებოდა, რათა ლოდი თუ არა, ადამიანი მაინც ეპოვა ჩამოსაყრდნობად. მაგრამ ვერაფერს ხედავდა, გარდა ათასობით თვალისა, მას რომ ზიზღით უყურებდა და ათასობით შემართული მუშტისა, მისთვის რომ მოეღერებინათ. მოეჩვენა, რომ ციდან ფრთები შრიალით გადმოეშვა. გული აუფანცქალდა: იქნებ ამ მძიმე წუთს ღმერთს შეებრალოს და ანგელოზები გამოუგზავნოს. მზერა ცას მიაპყრო – ანგელოზები არსად იყვნენ, მხოლოდ ყვავები დაყრანტალებდნენ. გაბრაზდა, სიჯიუტე მოეძალა: მტკიცედ გადადგა ფეხი, დაიძრა ბორცვზე ასასვლელად, მაგრამ ფეხქვეშ ქვები გაუსხლტა და ფეხი დაუცდა; წაიბორძიკა, სადაცაა დაეცემოდა, მაგრამ პეტრემ მიუსწრო და შეაკავა, ჯვარი ჩამოართვა, მხრებზე მოიგდო.

- მოიცა, მოგეხმარები, დაღლილი ხარ, — უთხრა.

მარიამის ძე შემობრუნდა, შეხედა, ვერ იცნო. მთელი ეს გზა სიზმარით ეჩვენებოდა, უცებ მხრები შეუმსუბუქდა და ახლა თითქოს დაფრინავსო, ისე როგორც სიზმარში ხდება ხოლმე. „არა, ჯვარი არ იქნებოდა! — გაიფიქრა, — ჯვარი კი არა, ფრთები, ფრთები იქნებოდა“. სახიდან ოფლი და სისხლი მოიწმინდა და პეტრეს მხნედ მიჰყვა უკან.

ჰაერს ცეცხლი ეკიდა, ქვებს ადნობდა. ნაპატივები ძაღლები, ბოშებს რომ მოეყვანათ სისხლის ასალოკად, იმ კლდის ძირში მიწოლილიყვნენ, სადაც მათი პატრონები თხრიდნენ, ქოშინებდნენ და ენაგადმოგდებულებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. ამ ხვატში გრძნობდა, როგორ ჭრაჭუნობდნენ ხალხის თავები, როგორ უდუღდათ ტვინი, ყველა საზღვარი ირყეოდა, ადგილს იცვლიდა – გონიერება და სიგიჟე, ჯვარი და ფრთები, ღმერთი და კაცი ერთმანეთში არეულიყვნენ.

რამდენიმე გულმოწყალე ქალმა მარიამი გონს მოიყვანა, თვალები გაახილა თუ არა, დაინახა ფეხშიშველი, ჩონჩხადქცეული თავისი ვაჟი და მის წინ კაცი, რომელიც ჯვარს ეზიდებოდა. უკვე ბორცვამდე მისულიყვნენ. ამოიგმინა, აქეთ-იქით აწყდებოდა, თითქოს შველას ითხოვსო. დაინახა თანასოფლელები, მეთევზეები, უნდოდა მათთან მისულიყო, ნუგეში ეპოვა, მაგრამ ვერ მოასწრო: ყაზარმიდან საყვირის ხმა გაისმა და ცხენოსნების ახალი რაზმი გამოჩნდა. აღელვებული ხალხი აჩოჩქოლდა, ერთმანეთს შეერია და ის-ის იყო, მარია ლოდზე უნდა შემდგარიყო, რათა ენახა რა ხდებოდა, რომ იქაურობა რკინის მუზარადიანი, წითელტოგიანი ცხენოსნებით აივსო. მათი ნასუჟი ცხენები კი ხალხს უმოწყალოდ ქელავდნენ.

ზურგს უკან ხელებშებორკილი მეამბოხე ზილოტი მოდიოდა. ტანსაცმელი დაგლეჯილ-გასისხლიანებული ჰქონდა, მეჩხერწვერიანს გრძელი თმა სისხლისა და ოფლისგან ზურგზე მისწებებოდა, მოდიოდა და შეუვალი მზერით იყურებოდა წინ.

ხალხი მისმა ხილვამ დააფრთხო. ადამიანი იყო ეს კაცი, ძონძებში გამოხვეული ანგელოზი თუ დემონი, ამ მოკუმული ტუჩებით რაღაც საზარელ და გამოუთქმელ საიდუმლოს რომ აკავებდა?! ხნიერი რაბინი და ხალხი შეთანხმებულიყვნენ, რომ ზილოტის გამოჩენისთანავე ხმამაღლა ეგალობათ საბრძოლო ფსალმუნი „მიმოიფანტნენ მტერნი ჩემნი“, რათა მემბოხე გაემხნეებინათ. მაგრამ ახლა თითქოს ხორხები დაეხშოთო, ყველა მიხვდა, რომ ამ კაცს გამხნეება არ სჭირდებოდა. ის სიმხნევეზე მალლა იდგა; ზურგს უკან შებორკილი ხელებით ამაყად და დაუმარცხებლად მოჰქონდა მათი თავისუფლება.

აღმოსავლეთის მზეებისგან გარუჯული ასისტავი დაწინაურებულიყო და ცხენის კუდზე თოკით გამობმული მემბოხე მიჰყავდა. ებრაელებს ვეღარ იტანდა, აგერ, უკვე ათი წელია, რაც ჯვრებს დგამს და მათ ზედ აკრავს. ათი წელია, მათ ქვითა და მიწით უქოლავს პირებს, რომ არ იყვირონ. ჯანდაბა! ერთი ჯვარს ეცმის, მაგრამ ათასობით სხვა ჩნდება და მღელვარედ ელის საკუთარ რიგს. თანაც წინაპარი მეფის რაღაც სულელურ ფსალმუნებს გალობენ და სიკვდილისა არ ეშინიათ. სისხლისმსმელი ღმერთიც ჰყავთ, ვინაც ახალშობილი მამრობითი სქესის ბავშვების სისხლს ეხარბება. მათ თავისი სჯული აქვთ, ათრქიან კაციჭამია მხეცს რომ მოჰგავს. აბა, საიდან უნდა მოუარო? როგორ უნდა დასცე? სიკვდილისა არ ეშინიათ. და ვისაც კი სიკვდილისა არ ეშინია, - ბევრჯერ გაუფიქრია ასისტავს აქ, აღმოსავლეთში, ხო, ვისაც სიკვდილისა არ ეშინია, ის უკვდავია!

ცხენს აღვირი მოქაჩა, შეაყენა. გაზეთილთწვერიანი ებრაელები მიმოიფანტნენ, ნაყვავილარი სახეებითა და ბოროტად მოელვარე თვალებით რომ ჩამომდგარიყვნენ. ზიზღით მიაფურთხა. წავიდეს, უნდა წავიდეს აქედან, ისევ რომში დაბრუნდეს, სადაც ბევრი აბანოა, ბევრი თეატრი, ამფითეატრები და დაბანილი ქალები არიან... როდის წავა აქედან, როდის?! ეზიზღებოდა აღმოსავლეთი, მისი მყრალი სუნები, ეზიზღებოდა ებრაელები.

ჯვარი უკვე ბორცვის წვერზე აღემართათ, ბოშათა ოფლი ქვებს ეღვრებოდა, მარიამის ძე ერთ კბოდეზე ჩამომჯდარიყო, გასცქეროდა ბოშებს, ჯვარს, ხალხს, ასისტავს — მათ წინ რომ ჩამოხდა, უყურებდა, უყურებდა და ვერაფერს ხედავდა, გარდა თავის ქალათა ზღვისა და მის ზემოთ ცეცხლმოდებული ზეცისა. პეტრე მიუახლოვდა, დაიხარა, სურდა სიტყვა ეთქვა, მაგრამ მისი სმენა აქაფებული ზღვის ხმას დაეხშო, არაფერი ეყურებოდა.

ასისტავმა ნიშანი მისცა, ზილოტს ხელები შეუხსნეს, ისიც ზანტად გაიზმორა და გახდა დაიწყო. მაგდალინელი ცხენების ფეხებს შორის გასხლტა, ხელები გაშალა, სურდა მიახლოებოდა და მოჰხვეოდა, მაგრამ იმან ხელი ჰკრა, მოიშორა. ერთმა მოხუცმა ქალმა, დიდებულის იერი რომ ჰქონდა, ამაყად, უთქმელად გააპო ბრბო, ზილოტთან მივიდა, მკლავები მოჰხვია, ისიც დაიხარა, ორივე ხელზე ეამბორა, კარგა ხანს ჰყავდა მკერდზე მიხუტებული და თითქოს სუნთქვაშეკრული იჭერდა — მერე კი ზურგი შეაქცია. მოხუცი ქალი ცოტა ხანს კიდევ იდგა უსიტყვოდ და ცრემლგამშრალი უყურებდა.

- ჩემი ლოცვა გაიყოლე! - ჩაიჩურჩულა და მოპირდაპირე მხარეს, კბოდეს მიაშურა, სადაც ბოშების ძაღლები გაწოლილიყვნენ ჩრდილში და ქოშინობდნენ.

ასისტავმა ერთი კი გახედა და ისევ ცხენს მოახტა. ისეთი ადგილი შეარჩია, რომ ყველას შესძლებოდა მისი დანახვა და მოსმენა, ხალხს მათრახით ანიშნა გაჩუმებულიყვნენ და დაიძახა:

- ებრაელებო, ისმინეთ ჩემი სიტყვა, რომი გელაპარაკებათ, სიჩუმე!

თითი ზილოტისკენ გაიშვირა, რომელსაც უკვე შემოედარცვა თავისი ძონძები, მზის გულზე ჩამომდგარიყო და იცდიდა.

- აი ამან, ვინაც ახლა შიშველი დგას, გაბედა და რომს აღუდგა. ჯერ კიდევ ყმაწვილმა, საიმპერიო არწივები ჩამოანგრია, მთებს მიაშურა, ხალხსაც მოუწოდებდა, მთებში გახიზნულიყვნენ და დროშა აღემართათ. მოუწოდებდა – აი, დადგა დღე, როცა თქვენი წიაღიდან მესია უნდა იშვას და რომი დააქციოსო! ჩუმად, გაჩუმდით, ნუ ღრიალებთ! მემამბოხე, მკვლელი, მოღალატე – ეს ყველაფერი მისი ცოდვებია! და ახლა მისმინეთ, ებრაელებო, გეკითხებით და თქვენ განსაჯეთ: როგორ სასჯელს იმსახურებს, გადაწყვიტეთ!

გაჩუმდა, მის ქვემოთ ბრბო ბობოქრობდა, იცდიდა. აღმდგარმა ხალხმა ღრიანცელი ატეხა, აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ყველა ერთად მიიწევდა, რათა ასისტავს მიახლოებოდნენ, მისი ცხენის ფეხებამდე მიაღწევდნენ და დამფრთხალნი ისევ უკან იხევდნენ, ტალღებივით მიმოდიოდნენ.

ასისტავი გამწარდა. ცხენს დეზი ჰკრა და პირდაპირ მათ მიაგდო.

- თქვენ გეკითხებით, — ამოიხრიალა, - მემამბოხე, მკვლელი და მოღალატე როგორ სასჯელს იმსახურებს? მიპასუხეთ!

ჟღალწვერა შლეგივით წამოხტა, უკვე აღარ შეეძლო გული დაეოკებინა, სურდა მთელი ძალით ეყვირა – გაუმარჯოს თავისუფლებას! დააპირა კიდევ, მაგრამ მისმა თანამებრძოლმა, ბარაბამ მოასწრო და გააკავა, პირზე ხელი ააფარა, არ დაანება სიტყვის თქმა.

კარგა ხანს სხვა არაფერი ისმოდა გარდა ღმუილისა, თითქოს ზღვააო. სიტყვის წარმოთქმას ვერავინ ბედავდა, მაგრამ უსიტყვო ღმუილი, ქშენა, ოხვრა აწყდებოდა კიდით კიდეს და ამ დაუოკებელ ღრიანცელში უცებ წვრილი, ვაჟური ხმა გაისმა. ყველა შიშითა და ძრწოლით მიბრუნდა: ჟღალწვერას კვლავ მხრებზე შეესვა ჩონჩხივით ხელებადმართული მოხუცი რაბინი, რომელიც ისე ღაღადებდა, თითქოს თან ლოცულობს და თან წყევლისო:

- რა სასჯელი? რა სასჯელი ერგება და სამეფო გვირგვინი!

ხალხმა ერთბაშად ამოიღრიალა, რათა მისი ხმა გადაეფარათ, შეებრალათ თავისი რაბინი. ასისტავმა ვერ გაიგონა, ყურთან ხელი მიიტანა და მოსასმენად მოიმართა:

- რაო ხანამმა? – დაიყვირა და ცხენს დეზი ჰკრა.

- რას იმსახურებს და სამეფო გვირგვინს! - მთელი ძალა მოიკრიბა და კიდევ ერთხელ შესძახა რაბინმა.

სახე გაბრწყინებოდა, ერთიანად ანთებულიყო, ისე აღმართულიყო მჭედლის ზურგზე მოსხმარტალე, იტყოდით, ჰა, სადაცაა გაფრინდებაო.

- სამეფო გვირგვინს! – კვლავ შეჰყვირა ბედნიერმა და იმით გაგულისებულმა, რომ იგი თავისი ხალხისა და ღმერთის ხმად ქცეულიყო, ხელები აქეთ-იქით ისე გაშალა, თითქოს ჰაერში ჯვარს ეცმისო.

ასისტავი ცოფებს ყრიდა. ცხენიდან ჩამოხტა, უნაგირიდან მათრახი ჩამოხსნა და ხალხისაკენ გაემართა. მძიმედ მიაბიჯებდა, ქვებს ედებოდა, ტლანქად მიიწევდა ისე, როგორც მძვინვარე მხეცი, კამეჩი თუ გარეული ღორი. ხალხი ადგილზე გაშეშდა, გაისუსა. ისევ არა ისმოდა რა, გარდა ზეთისხილის ჭალიდან მოღწეული ჭრიჭინების ხმისა და ყვავების ჩხავილისა, რომლებიც ჩქარობდნენ.

ორიოდე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა. ხველა აუტყდა პირდაუბანელი და გაოფლიანებული, აქოთებული ებრაელების სუნის გამო. ცოტა კიდევ დაწინაურდა, მოხუცი რაბინის წინ შედგა. რაბინი კი ასისტავს მჭედლის ბეჭებიდან დაჰყურებდა და მთელ სახეზე ნეტარების ღიმილი დაჰფენოდა. დადგა ის წამი, მთელი ცნოვრება რომ ოცნებობდა – ისიც წინაპარი წინასწამეტყველებივით მომკვდარიყო.

ასისტავმა თვალები მოჭუტა და დაჟინებით მიაშტერდა. მთელი ძალა მოიკრიბა და აღმართული მკლავი დაიმორჩილა, ერთი დარტყმით რომ არ გაეპო მოხუცებული მუამბოხისთვის თავი. ბრაზი მოთოკა, ამ ბერიკაცის სიკვდილი რომს ხელს არ აძლევდა, ისევ აღდგებოდნენ და კვლავ პარტიზანულ ომს დაიწყებდა ეს წყეული დაუჩოქებელი ხალხი. რომისთვის კი ახლა არახელსაყრელი იყო, ისევ ამ ებრაელი კრანანების ბუდეში მოეფათურებინა ხელი. ამიტომაც ბრაზი ჩაიხშო, მათრახი მკლავზე დაიხვია, რაბინს მიუბრუნდა და ხრინწიანი ხმით მიუგო:

- შენ იმიტომ ხარ პატივსაცემი კაცი, მოხუცო, რომ მე გცემ პატივს! მე ანუ რომს მსურს ასე და ჩემი ნებით გაქვს ეგ პატივი! სხვა პატივი შენ არ გაგაჩნია! ამიტომაც არ აღვმართავ ხელს შენზე! როგორც მომესმა, შენ უკვე განსაჯე, აი, ახლა კი მე განვსჯი!

და ორ ბოშას მიუბრუნდა, ჯვარს აქეთ-იქით რომ დასდგო მოდნენ და იცდიდნენ:

- ჯვარს აცვით! — დაიღრიალა.

- დიახ, მე უკვე განვსაჯე, – მშვიდად მიუგო რაბინმა, – შენც უკვე განსაჯე, ასისტავო! მაგრამ კიდევ ერთია, ვინც უნდა განსაჯოს და ის ჩვენზე ძლიერია.

- ვინ, იმპერატორი?

- არა, ღმერთი!

ასისტავმა გაიცინა:

- იმპერატორის ხმა ნაზარეთში მე ვარ! იმპერატორი ხმა ღვთისაა მთელ სამყაროში. ღმერთმა ანუ იმპერატორმა ანუ რუფუსმა უკვე განსაჯა! — თქვა და მკლავზე გადახვეული მათრახი გამოიხსნა, გორაკის წვერისკენ გაეშურა, გზად კი გონწართმეულივით სცემდა მათრახს ქვებსა და ეკლებს.

- ღმერთმა მოგიზღას, შე წყეულო, შენც და შენს შვილებსაც და მათ შვილებსაც ღმერთმა მოგიზღათ! — ჩაილაპარაკა ერთმა მოხუცმა და ხელები ცისკენ აღაპყრო.

აბჯარასხმული ცხენოსნები უკვე ჯვარს გარს შემორტყმოდნენ, ქვემოთ კი ხალხი გმინავდა და მოლოდინისგან აცანცანებულნი ფეხისწვერებზე შემდგარიყვნენ, რათა ეხილათ აღსრულდებოდა თუ არა სასწაული. ბევრს მზერა ცისკენ მიემართა, ელოდნენ როდის გაიხსნებოდა. ქალებმა ნაირფერი ფრთებიც კი დალანდეს ჰაერში. მჭედლის ფართო მხრებზე მუხლმოყრილი რაბინი მთელი არსებით ცდილობდა ცხენების ფეხებსა და ჯარისკაცების წითელ ტოგებს შორის გაერჩია, რა ხდებოდა ზემოთ, ჯვრის გარშემო. უყურებდა იმედისა თუ უიმედობის მწვერვალს, უყურებდა და არ ლაპარაკობდა. ელოდა. მოხუცი რაბინი მას ზედმიწევნით იცნობდა, ყველაფერი მოეხსენებოდა ისრაელის გულქვა ღმერთის შესახებ, რომელსაც საკუთარი ათი მცნება და კანონები ჰქონდა, რომელიც სიტყვას აძლევდა, ამ სიტყვაზე იდგა, მაგრამ სულ არ ჩქარობდა მის აღსრულებას. ღმერთს თავისი საზომი ჰქონდა, მისით ზომავდა დროს, თაობებს. თაობები მიდიოდნენ, მისი სიტყვა კი იდგა ჰაერში უსაგნოდ და მიწამდე არ აღწევდა. და თუ მაინც ჩამოაღწევდა, მაშინ, ვაი, და სამგზის, ვაი, იმ ადამიანს, რომელსაც ღმერთი გამოარჩევდა და ამ სიტყვას გაანდობდა! წმინდა წერილის დასაწყისიდან ბოლომდე, რამდენჯერ მომხდარა ისე, რომ ღვთის რჩეულები დაუხოცავთ და ღმერთს მათთვის დახმარების ხელი არ გაუწვდენია! რატომ? რატომ? განა მის ნებას არ აღასრულებდნენ? იქნებ მისი ნება სწორედ ის იყო, რომ ყველა მისი რჩეული დაეხოცათ? – ეკითხებოდა საკუთარ თავს რაბინი, მაგრამ ვერ ბედავდა, ფიქრს უფრო მეტად ჩაღრმავებოდა. მორევი არის ღმერთი, - ფიქრობდა, - ზღვის მორევი, არ ეგების მეტისმეტად მივუახლოვდე!

მარიამის ძე კი ისევ ლოდზე იჯდა, მოშორებით, აცანცანებულ მუხლებზე მაგრად შემოეჭდო მკლავები და იყურებოდა. ორ ბოშას ზილოტი გაეკავებინა, რომელიც მცველებიც მიახლოებოდნენ და ახარხარებულნი მასხრად იგდებდნენ, აგინებდნენ, ცდილობდნენ ჯვარზე აეყვანათ. ძალებმა ეს ჯაჯგური რომ დაინახეს, რაღაც იყნოსეს და ისინიც ღრენა-ღრენით შეერივნენ მოხარხარებს.

მოხუცი ქალი, კბოდეს რომ ჩამოყრდნობოდა, უცებ მისკენ გამოემართა, მიუახლოვდა:

- ყოჩაღად, შვილო! – გაამხნევა, - ნუ შედრკები, თავს ნუ შეირცხვენ! გაუძელი!

- ზილოტის დედაა, — ჩურჩულებდა მოხუცი რაბინი, - დედა მისი, მაკაბელთა ტომის დედოფალი...

ზილოტს ილღიებქვეშ ორმაგი თოკი ამოუდეს, ჯვრის მკლავებზე კიბეები ააყუდეს და ნელ-ნელა მისი ჯვარზე აწევა დაიწყეს. მძიმე და ზორბა ტანისა იყო და ჯვარიც გადაიხარა, სადაცაა წაიქცეოდა. ასისთავმა მარიამის ძეს წიხლი მიჰკრა, ისიც შეშინებული წამოხტა, წერაქვს ხელი დაავლო და ჯვარს ეცა, ქვებითა და სოლებით გაამაგრა, რომ არ წაქცეულიყო.

მარიამი კი, დედამისი, ვეღარ უძლებდა. რცხვენოდა, რადგან მის ვაჟს, მის ნებიერას ჯვარმცმელთა შორის ხედავდა. გული გაიმაგრა და იდაყვებით გასასვლელი გაითავისუფლა. გენესარეთის მეთევზეებს შეებრაღათ ქალი, თვალი აარიდეს, ვითომ

არ დაენახათ. მარიამი ცხენებს შორის მიიწევდა, რათა თავისი შვილისათვის ხელი დაეკლო და წაეყვანა.

ერთ ხანდაზმულ მეზობლის ქალს შეეცოდა, მკლავში ხელი წაავლო და ურჩია:

- მარიამ, ნუ იზამ ამას! სად მიდიხარ? მოგკლავენ!

- ჩემი შვილი უნდა გამოვიხსნა იქიდან, — უპასუხა მარიამმა და ცრემლად დაიღვარა.

- ნუ ტირი, მარიამ, - ანუგეშა დედაბერმა, - აი, იმ დედას შეხედე, რა მედგრად დგას და თვალს არ აცილებს, როგორ აკრავენ ჯვარზე მის ვაჟს. შეხედე იმ ქალს და ძალა მოიკრიბე!

- მართო ჩემი შვილისთვის კი არ ვტირი, მაგ დედისთვისაც ვტირი, მეზობელო!

მაგრამ დედაბერმა, რომელსაც ბევრი ეტანჯა ცხოვრებაში, გაქუცული თავი გადააქნია და თქვა:

- ეჰ, ისევ ჯვარმცმელის დედობა გერჩივნოს ჯვარცმულის დედობას!

მარიამს ეს სიტყვები არ გაუგონია, ჩქარობდა. აღმართს დაადგა. აცრემლებული თვალებით აქეთ-იქით იხედებოდა და შვილს ეძებდა. მაგრამ სამყარო დაბინდულიყო მის გარშემო და დედამაც ამ მძიმე ნისლში ძლივს გაარჩია ცხენები, რკინის იარაღები და მიწიდან ცამდე აღმართული, ახლად გამოჩორკნილი, ვეება ჯვარი.

ერთი ცხენოსანი შემობრუნდა, მარიამი დაინახა, მათრახი აღმართა და ანიშნა მოშორებოდა. დედა შედგა, დაიხარა, ცხენების ფეხებშორის გახედა თავის ვაჟს, რომელიც ჩაჩოქილიყო და მთელი ძალით იქნევდა წერაქვს, ჯვარს ამაგრებდა.

- შვილო! - შეჰყვირა, - შვილო, იესო!

მისი ხმა ისეთი შემზარავი იყო, რომ ერთიანად გადაფარა მთელი ის ღრიანცელი, ადამიანები, ცხენები და მყეფარი ძაღლები რომ გამოსცემდნენ. ვაჟი შემობრუნდა, დაინახა დედამისი, სახე უფრო მოელუშა და მეტი გაშმაგებით დაიწყო წერაქვის ქნევა.

დაკიდებულ კიბეებზე მოქანავე ბოშებს კი უკვე აეყვანათ ზილოტი ჯვარზე, თოკებით შეკრულს იკავებდნენ, რათა არ განძრეულიყო და ახლა სამსჭვალებს იმარჯვებდნენ, ხელები რომ მიეხედათ. მარიამის ძეს სახეზე დაეწვეთა სისხლის თბილი და მძიმე წვეთები. შეეშინდა, წერაქვი მიაგდო, ცხენების უკან გამოხტა და პირდაპირ სიკვდილმისჯილის დედის გვერდით აღმოჩნდა. ცახცახებდა, შიშით ელოდა ხორცის გაგლეჯის ხმის მოსმენას, მთელი სისხლი ხელისგულებზე შემოაწვა, ძარღვები დაებერა, ძლიერად ფეთქავდნენ, თითქოს გასკდომას ლამობნო. ხელისგულებზე რაღაც მრგვალ ნახვრეტებს გრძნობდა, თითქოს სამსჭვალის თავი იყო და ტკივილისგან ეკრუნჩხებოდა.

- შვილო! — ისევ გაისმა დედამისის ხმა, — შვილო, იესო!

ღრმა გმინვა მოისმა ჯვრიდან, შიგნეულიდან წამოსული ველური გმინვა, მაგრამ არა ადამიანის შიგნეულიდან, არამედ დედამიწის გულიდან გაისმა: „ადონაი“

ხალხმა გაიგონა ეს გულისშემძვრელი გმინვა და ვერ მიხვდა, ხალხი გმინავდა თუ დედამიწა... თუ ჯვარცმულის გმინვა იყო, რომელსაც პირველ სამსჭვალს ასობდნენ? არა, ყველაფერი ერთად იყო, ყველა ერთად ეცმოდა ჯვარს – ხალხიც, მიწაცა და ზილოტიც, ყველა გმინავდა. სისხლმა გაასხა, ცხენებს შეეშხეფა, ერთი მსხვილი წვეთი კი მარიამის ძის ტუჩებსაც მისწვდა - თბილი, მლაშე სისხლის წვეთი, და ჯვარცმელი წააბარბაცა, მაგრამ დედამ მიუსწრო, მკლავში ხელი ჩაავლო და შეაკავა.

- შვილო, ჩემო შვილო, – ბუტბუტებდა, – შვილო, იესო...

თუმცა იგი, თვალდახუჭული ხელებზე, ფეხებსა და გულში აუტანელ ტკივილს გრძნობდა.

პირგამეხებული, დიდებული ქალი კი თავის ვაჟს უყურებდა, რომელიც ერთმანეთზე ჯვარედინად გადადებულ ორ ძელზე იკრუნჩხებოდა, ტუჩებს იკბენდა და ხმას არ იღებდა. მაგრამ უკნიდან შემოესმა ხუროს ძისა და დედამისის ხმა, ბრაზმა დაახრჩო, შემობრუნდა: აი, ეს არის განდგომილი იუდეველი, მისი ვაჟისთვის ჯვარი ვინაც გამოჩორკნა, ესაა დედა, რომელმაც იგი შობა... და საყვედურით აევსო გული – ასეთი მოღალატე შვილები უნდა ცოცხლობდნენ, ჩემი ვაჟი კი ჯვარზე უნდა გმინავდეს და იგრიხებოდეს?! ხელგაშლილი მიუახლოვდა ხუროს ძეს და თავზე დაადგა. მანაც ახედა, დაინახა – გაფითრებული, შეშლილი და უმოწყალო. დაინახა და თავი დახარა. მოხუც ქალს ტუჩები აუცახცახდა:

- წყეულიმც იყავ, — უთხრა ჩუმად, ხავილით, - ჩემი წყევლა გდევდეს და როგორც შენ აცვი ჯვარს იგი, ზუსტად ისე ჯვარცმულიყავ!

შემდეგ დედამისს მიუბრუნდა

- და ამ ტკივილის გემო, მე რომ მტანჯავს, მარიამ, შენც გეხილოს!

თქვა, პირი იბრუნა და თვალები კვლავ თავის ვაჟზე გაუშტერდა. მაგდალინელი ჯვრის ძირს მოხვეოდა, ზილოტის ფეხებს ეხებოდა და დასტიროდა. მისი თმა და მკლავები კი ერთიანად სისხლს შეეღება.

ბოშები დანით ჭრიდნენ ჯვარცმულის სამოსს და ინაწილებდნენ. მხოლოდ თეთრი თავსაბურავი დარჩენოდათ, სისხლის სველლაქებშერჩენილი.

- მოდი, ეს ხუროს ძეს მივცეთ! რაც უნდა იყოს, კარგად იმუშავა ამ უბედურმა! — თქვეს და განედეს. ის კი მზის გულზე მოკუნტულიყო და ერთიანად კანკალებდა. სისხლიანი თავსაბურავი გადაუგდეს.

- შენი წილია, ოსტატო, – თქვა ერთმა, — ეს ერთი და სხვა მრავალი!

მეორე ბოშამ გაიცინა:

- შენც გადმოგსხმოდეს მისი წყალი, ოსტატო! - თქვა და ზურგზე შინაურულად დაჰკრა ხელი.

- შვილნო ჩემნო, წავიდეთ, – შესძახა მოხუცმა რაბინმა და ხელები ფართოდ გაშალა, თითქოს ამ დაბნეული, იმედგაცრუებული ქალებისა და კაცების მოქუჩება განეზრახა, - წავიდეთ! ერთი დიდი საიდუმლო უნდა გაგანდოთ, მხნეობა მოიკრიბეთ!

გაჰყვნენ. ვიწრო გზაზე მიმავლებს ცხენოსნები მოსდევდნენ და ერეკებოდნენ, შეიძლებოდა ისევ სისხლი დაღვრილიყო. ხალხი გარბოდა, ქალები წივილ-კივილით აფარებდნენ თავს სახლებს, კარებს რაზავდნენ... მოხუცი რაბინი ამ ორომტრიალში ორჯერ დაეცა, ისევ ხველა აუტყდა და სისხლს აფურთხებდა. აქოშინებული ხალხი ჯგროდ გარბოდა, იუდამ და ბარაბამ რაბინი ხელში აიყვანეს და სინაგოგაში შეცვივდნენ. შიგნით შეიყუჟნენ, ეზო ხალხით გაივსო, ალაყაფის კარი ჩარაზეს.

ახლა უკვე ყველაფერი რაბინის სიტყვებზე იყო დამოკიდებული, ელოდნენ — ამდენ სიმწარეგადახდენილთათვის რა საიდუმლო უნდა გაენდო ისეთი მოხუცს, რომ ოდნავი სიამე მაინც მოჰფენოდა მათს გულს. წლებია უკვე, უბედურება უბედურებით ეცვლებოდათ, ერთი ჯვარცმა მეორე ჯვარცმით. დროდადრო, ერთადერთ იმედად ხან იერუსალიმიდან, ხან მდინარე იორდანიდან, ხან უდაბნოდან ან მთებიდან გამოჩნდებოდნენ ხოლმე ძონძებში გამოხვეული, ჯაჭვებასხმული, პირზე დუჟმორეული რჩეულნი ღვთისა, თუმცა ბოლოს მაინც ყველას ჯვარზე აკრავდნენ.

ხალხის ხმაში ბზარი გაჩნდა, აჩურჩულდნენ. კედლიდან მომზირალი ეს პალმის რტოები და დავითის ვარსკვლავები, ბიმზე გაშლილი გრაგნილები, რომლებიდანაც სულ მედიდური სიტყვები იკითხებოდა — რჩეული ხალხი, აღთქმული მიწა, სასუფეველი ცათა, მესია — მათ უკვე ვეღარ ანუგეშებდათ. მეტისმეტად გაჭიანურდა იმედების ხანა, ახლა უკვე უიმედობის ჟამი სუფევდა: ადამიანი ჩქარობს, მაგრამ ღმერთს არსად ეჩქარება, მათ კი მოცდა აღარ ძალუძდათ. და უკვე ვეღარც ფრესკებადქმნილი ის იმედები ანუგეშებდათ, სინაგოგის ორ კედელზე რომ დაფენილიყვნენ. ერთხელ, სიყმაწვილეში, რაბინი ეზეკიელს კითხულობდა და უცებ ღვთისგან შეპყრობილივით წამოიჭრა. ყვიროდა, ტიროდა, როკავდა და ვერ მშვიდდებოდა: მის არსებაში ღმერთის სიტყვებს ხორცი შეესხათ. ფუნჯებსა და საღებავებს დასტაცა ხელი, სინაგოგაში გამოიკეტა და წმინდა სიშლეგით შეპყრობილმა, კედელზე თავისი ხილვების გადატანა დაიწყო, ასე მაინც რომ დამცხრალიყო: უკიდევანო უდაბნო, თავის ქალები, ადამიანთა ძვლების მთები და მათ ზემოთ ზეცა მოჩანს, რომელიც გავარვარებულ რკინასავით გაწითლებულა. ზეცის გულიდან უზარმაზარი ხელი ეშვება, ეზეკიელის კისერს სწვდება და ჰაერში გაკიდებული უჭირავს იგი. ხილვა მეორე კედელზეც გადადის: ეზეკიელი ახლა უკვე მუხლებამდე ჩაფლულა ძვლების გროვაში, ერთიანად გამწვანებულა, ღია პირიდან დიდი გრაგნილი გადმოსვლია, რომელზეც ცეცხლოვანი ასოებით იკითხება: „ხალხო ისრაელისა, ხალხო ისრაელისა, მესია მოვიდა“. იქვე ძვლები ერთად ქუჩდება, კბილებითა და ტალახით სავსე თავის ქალები ამ ძვლებს ზემოდან ედგმებიან, ის

ვეება ხელი ისევ ციდან ეშვება და ხელისგულზე უსვენია ხელახლა აშენებული, ნათლით მოსილი, ერთიანად ზურმუხტითა და ლალით ნაგები, ახალი იერუსალიმი.

ხალხი ნახატებს უყურებდა და თავს აქნევდა, ჩურჩულებდნენ. მოხუცი რაბინი გაბრაზდა:

- რას ჩურჩულებთ, რას გმინავთ? - დასძახა, - როგორ არ გჯერათ ჩვენი დიდი მამების ღმერთისა? კიდეც ერთი ეცვა ჯვარს, მხსნელი კიდეც ერთი ნაბიჯით მოგვიახლოვდა; ესაა ჯვარცმა, მცირედმორწმუნენო!

ბიმიდან გრაგნილი დაიტაცა და გაბრაზებულმა გაშალა. ღია სარკმლიდან მზის სხივები შემოდის. ციდან უცებ ერთი ყარყატი ჩამოეშვა და მოპირდაპირე სახლის სახურავზე შემოჯდა, თითქოს მასაც სურს მოსმენაო. და მაშინვე იქაურობა აღივსო სიხარულითა და გამარჯვებული ხმით, რაბინის შეძრული გულიდან რომ ამოდის: „რამეთუ აღაშენოს უფალმან სიონი და გამოუჩნდეს მას დიდებითა მისითა. მოჰხედნა ლოცვასა ზედა მდაბალთასა და არა შეურაცხ-ყო ვედრებაი მისი. დაიწერენ ესენი ნათესავად სხუად, და ერი დაბადებადი აქებდეს უფალსა; რამეთუ მოიხილა მალლით წმიდით მისით, უფალმან ზეცით ქუეყანად გარდამოიხილა, რათა შეისმინოს სულთქმა შებორკილებულთა და განკსნნეს ნაშობნი მოკლულთანი, თხრობად სიონს სახელი უფლისა და ქებულება მისი — იერუსალემს, შეკრებად ერისა ერთად და მეფენი მონებად უფლისა“.

- როდის? როდის? — ხალხის მასიდან ვიღაცას აღმოხდა.

ყველა შეტრიალდა. ერთი გაღეული, ჩამომხმარი ბერიკაცი ფენისწვერებზე შემდგარიყო და გაიძახოდა:

- მაგრამ როდის, როდის იქნება ეგ, რაბი?

რაბინმა უკმაყოფილოდ გადაახვია წინასწარმეტყველთა სიტყვებიანი გრაგნილი და ჰკითხა:

- რაო, მანასე, გეჩქარება? სად გეჩქარება?

- დიანაც, მეჩქარება! — მიუგო მოხუცმა და ცრემლი წამოსცვივდა, - დრო სადღა მაქვს, მალე მოვკვდები.

რაბინმა ხელი გაიწვდინა და მუხლებამდე ძვლებში ჩაფლულ ეზეკიელზე მიუთითა:

- შენც აღსდგები, მანასე! აი, შეხედე!

- ხომ გეუბნები, მოხუცი ვარ, დავბრმავდი, ვერაფერსაც ვლარ ვხედავ.

პეტრე შუაში ჩადგა. დღე ილეოდა, იმ ღამით კი სათევზაოდ უნდა გასულიყო გენესარეთის ტბაში, ეჩქარებოდა.

- რაბი, აქ იმისთვის შეგვყარე, რომ რაღაც საიდუმლო უნდა გაგენდო ჩვენთვის. აბა, რომელი საიდუმლო?

ყველას სუნთქვა შეეკრა. რაბინის გარშემო მოგროვდნენ, ეზოდანაც შემოეჭეჭყა ხალხი, ძალიან ცხელოდა, ირგვლივ მძიმე, დაგუბებული სუნი იდგა და მეკანდელები საკმეველში გუნდრუკი ჩაამატა, ჰაერი რომ ცოტათი მაინც გაწმენდილიყო.

მხცოვანი რაბინი ამბიონზე შედგა, რათა კარგად გამოჩენილიყო.

- შვილნო ჩემნო, - თქვა და ოფლი მოიწმინდა, - გული ჯვრებით აგვევსო, მე შავი წვერი გამიხუნდა, ღია წვერი გამიჭალარავდა, კბილები ჩამომცვიდა, და რაც ახლა მოხუცმა მანასემ იკითხა, იგივე მაინტერესებდა მეც წლების განმავლობაში: „როდემდე, უფალო, როდემდე? ნუთუ ისე უნდა მოვკვდე, რომ მესია ვერ ვიხილო?“ – ვეკითხებოდი, სულ ვეკითხებოდი და ერთ ღამესაც სასწაული მოხდა: ღმერთმა მიპასუხა. არა, ეს სასწაული არ იყო. ღმერთი ყოველთვის გვპასუხობს, როცა ვეკითხებით, მაგრამ რადგანაც ჩვენი ხორცი ბინძური და დახშულია, მისი ხმა არ გვწვდება. თუმცა იმ ღამით გავიგონე — და სწორედ ეს იყო სასწაული.

- და რა გაიგონე? გაგვიმხილე, რაბი! - შესძახა პეტრემ, იდაყვებით გზა გაითავისუფლა და რაბინის წინ დადგა. ისიც დაიხარა, პეტრეს შეხედა და გაუღიმა:

- შენი არ იყოს, პეტრე, ღმერთიც მებადურია. ღამით გამოდის და თევზაობს; მახსოვს ახალმთავარეობა იყო, მაგრამ იმ ღამით მრგვალზე მრგვალი, სავსე მთვარე გადმოეკიდა ცაზე, რომელიც რძესავით ქათქათებდა, გამჭვირვალე და მსუბუქი იყო. თვალის მოხუჭვა ვერ შევძელი, შინ ვეღარ ვეტეოდი, ვიწრო ქუჩებს დავადექი, ნაზარეთს გავცდი, გზას ავუყევი და ერთ ლოდზე ჩამოვისვენე. თვალი ჩრდილოეთისკენ, წმინდა იერუსალიმის მიმართულებით გამიშტერდა. ამ დროს, მთვარე დაიწია, მომიახლოვდა, ადამიანივით შემომხედა და გამიღიმა. მეც ვუყურებდი მის პირს, მის ღაწვებს, თვალის გუგებს და გული მიკვნესოდა, რადგანაც ვგრძნობდი, რომ ის მე მელაპარაკებოდა, ღამის სიჩუმეში მთვარე მესაუბრებოდა, მაგრამ მე მისი ნათქვამის გაგება არ შემეძლო... ქვემოთ, მიწაზე ფოთოლიც კი არ ირხეოდა, მოუმკელ ყანას პურის სუნი ასდიოდა, ირგვლივ თაბორის, გილბოასა და კარმელის მთებიდან ნისლი რძესავით იღვრებოდა. „ღმერთის ღამეა ეს ღამე, – ვფიქრობდი, – ეს სავსე მთვარე კი მისი ღამეული სახე უნდა იყოს და აი, სწორედ ასეთი იქნება მომავლის იერუსალიმის ღამეებიც“.

ვფიქრობდი და თვალები ცრემლით მევსებოდა, გული – შიშითა და საყვედურით: დავბერდი, ნუთუ ისე უნდა მოვკვდე, რომ ჩემმა თვალებმა მესიის ხილვით ვერ გაიხარონ?

ფეხზე წამოვხტი, ისევ წმინდა სიშლეგემ შემეძვყო. ქამარი შემოვიხსენი, სამოსი შემოვიძარცვე, ღვთის წინაშე შიშველი დავრჩი – ისეთი, როგორც დედამ მშობა: შემომხედოს, დაინახოს როგორ დავბერდი, როგორ ჩამოვხმი, ჩამოვიძენძე ისე, ვით ლელვის ფოთოლი შემოდგომობით ანდა ჩიტებისაგან გამოკენკილი მტევანი. დამინახოს, იქნებ შევებრალო და მალე აღასრულოს!

ასე, დედიშობილა რომ ვიდექი უფლის წინაშე, უცებ ვიგრძენი – მთვარის შუქი შემოვიდა ჩემს სხეულში, ერთიანად სულად ვიქეცი, ღმერთს შევენივთე, გავიგონე მისი ხმა, მაგრამ არა გარედან, არა ზემოდან, არამედ ჩემი საკუთარი არსების შიგნით. დიახ, ჩემში. სწორედ იქიდან მოისმის ხოლმე ჳემმარტი ხმა ღმერთისა. და მომესმა:

„სვიმეონ, სვიმეონ, ისე არ მოგკლავ, რომ შენი თვალით არ ნახო, არ მოუსმინო და საკუთარი ხელით არ შეეხო მესიას!“ . „უფალო, კიდეც გაიმეორე, რაც მასმინე, უფალო!“ - შევლალადე. „სვიმეონ, სვიმეონ, ისე არ მოგკლავ, რომ შენი თვალით არ ნახო, არ მოუსმინო და საკუთარი ხელით არ შეეხო მესიას!“ . სინარულისგან ლამის ჭკუიდან შევიშალე. ხელ-ფეხს ვიქნევდი და მთვარის შუქზე დედიშობილა ვცეკვავდი. რამდენ ხანს ვცეკვავდი? ერთი ელვის ხანგრძლივობა? ათასი წელი? ეს არ ვიცი. თითქოს ავივსე და დავმშვიდდი. ჩავიცვი, ქამარი შემოვირტყი და ნაზარეთში ჩამოვედი. ჩემს დანახვაზე, სახლების ბანებიდან მამლები ყიოდნენ, ზეცა იცინოდა, ჩიტები იღვიძებდნენ, კარები იღებოდა და მესალმებოდნენ, ჩემი ღარიბული სახლი კი ერთიანად გაბრწყინებულიყო — სახურავიან-ზღურბლიან-ფანჯრებიანად ზურმუხტოვანი გამხდარიყო. მივდიოდი და ხეები, ქვები, ადამიანები, ჩიტები ჩემი არსებიდან სხივებად გასულ ღმერთის სურნელს იყნოსავდნენ. თავად ასისტავიცი კი, სისხლისმსმელი ასისტავიცი, გაოგნებული შედგა და: „რა დაგემართა, რაბინო? — მკითხა, — ანთებული ჩირაღდანივით ხარ. ჭკუით იყავ, ნაზარეთი ცეცხლს არ მისცეს“. მაგრამ არაფერი მიპასუხია, რათა ჩემი სუნთქვა მისით არ დამებინძურებინა.

წლებია ამ საიდუმლოს ვინახავ. ამით ვხარობდი, ვამაყობდი, ოღონდ მარტოდმარტო ვხარობდი ამ საიდუმლოთი და ველოდი. მაგრამ დღეს, ამ შავ დღეს, როდესაც კიდეც ერთი ახალი ჯვარი დაესო ჩვენს გულებს, ვეღარ გავუძელი, ხალხი შემებრალა და ამიტომაც ახლა განვაცხადებ ამ სასინარულო ცნობას: მოდის, შორს აღარ არის იგი, აქვე ახლოს, რომელიღაც ჭასთან თუ შეისვენა წყურვილის მოსაკლავად, რომელიმე თონესთან თუ შედგა, რათა ერთი ლუკმა პური მიიღოს, მაგრამ აი, სადაცაა მოვა იგი, გამოჩნდება, რადგანაც ასე დამაიმედა ღმერთმა, ის კი ტყუილად არავის ანუგეშებს: ისე არ მოკვდები, მოხუცო სვიმეონ, ისე არ მოკვდები, რომ საკუთარი თვალით არ იხილო, არ მოუსმინო და საკუთარი ხელით არ შეეხო მესიასო. ვგრძნობ, როგორ ყოველდღიურად მეცლება ძალა და რაც მეტად ვუძღურდები, მით უფრო მეტად გვიახლოვდება ჩვენი მხსნელი. ოთხმოცდახუთი წლის ვარ, განა რამდენხანს ვიცოცხლებ, რომ დაიგვიანოს?!

უცებ მოსიარულე მკვდარივით აჩონჩხილი, მკვეთრი პირი სახის კაცი წამოიჭრა:

- და ათასი წელი რომ იცხოვრო, რაბუნი? და საერთოდ რომ არ მოკვდე, რაბუნი? ასეთი რამეც ხომ გვინახავს: აგერ, ენოქი და ელია დღემდე ცოცხლობენ! — თქვა და ელამი თვალები ბოროტად აუციმციმდა.

რაბინმა ვითომ ვერ გაიგონა, მაგრამ იმ ბრუციანი კაცის მწარე სიტყვები ლახვარივით ჩაესო გულში; ხელი ასწია და მბრძანებლურად თქვა:

– მარტო მინდა დავრჩე ღმერთთან, წადით!

სინაგოგა დაცარიელდა, ხალხი გაიფანტა, მოხუცი რაბინი მარტოდმარტო დარჩა. შემოსასვლელი კარი ჩაკეტა. იმ კედელს მიეყრდნო, რომლიდანაც წინასწარმეტყველი ეზეკიელი გაჰყურებდა სივრცეს და თავისთვის ალაპარაკდა: „ღმერთია! — დაბეჯითებით წარმოთქვა, — ყოვლისშემძლეა და რაც ნებავს, იმას აკეთებს. იქნებ მართალია ბრძენი თომა? ვაი ჩემს თავს, თუ ღმერთმა ასე გადამიწყვიტა – ათასი წელი ვიცოცხლო! და სულაც რომ არ მომაკვდინოს? მაშინ მესია როდისლა მოვა?

ნუთუ ამაოა ისრაელის ტომის იმედი? ათასობით წელია, საკუთარ წიაღში ინახავს ღვთის სიტყვას და ისე ასაზრდოებს, ვით ღვთის წიაღი ნაყოფს. ამ იმედმა ძვალ-ხორცი გამოგვიხრა, დავიქანცეთ, მხოლოდ ამ ძის მოლოდინითა ვცოცხლობთ, აბრაამის მოდგმა ტკივილებისგან იტანჯება და გმინავს. გაათავისუფლე, დაიხსენი იგი, უფალო! შენ ღმერთი ხარ და უძლებ! ჩვენ ვეღარ ვუძლებთ, შეგვიბრალე!“.

ბოლთას სცემდა სინაგოგაში, დღე მიწურულიყო, კედლებზე მიიკარგა ფრესკები, ეზეკიელი ჩრდილმა შთანთქა. უყურებდა მოხუცი რაბინი, მის გარშემო ჩრდილები როგორ იწელებოდა და ახსენდებოდა ყველაფერი, რაც კი ენახა და გამოეცადა ცხოვრებაში: მესიის სახილველად რამდენჯერ და როგორი მღელვარებით გაქცეულა გალილეადან იერუსალიმში, იერუსალიმიდან უდაბნოში, მაგრამ მესიის ნაცვლად ყოველთვის ჯვარი ეგებებოდა იმედის ზღვარზე და გაწბილებული ბრუნდებოდა ნაზარეთში. თუმცა დღეს...

თავზე ხელები შემოიჭდო:

- არა, არა, – შეძრწუნებული ბუტბუტებდა, – არა, არა, შეუძლებელია!

უკვე რამდენი დღე და ღამეა, გონებას უღრევს ეს რაღაცა, სადაცაა ამოხეთქავს კიდეც: კვლავ ახალი იმედი იშვა, მის გონზე უფრო დიდი იმედი, როგორც სიგიჟე, ვით დემონი და შიგნიდან ღრღნის. ეს პირველად არ დამართნია. უკვე წლებია, ეს სიგიჟე კლანჭებითაა ჩაფრენილი მის ტვინს, განაგდებს ხოლმე, მაგრამ ისევ უბრუნდება. დღე არა, ღამე მოაკითხავს ხოლმე, წყვილიაღში ან სიზმრებში დაატყდება თავს. მაგრამ დღეს, დღეს, შუადღისას... ის რომ იყოს?

კედელს მიეყრდნო, თვალები დახუჭა. აი, ისიც მის თვალწინაა, ზურგზე ჯვარმოკიდებული მიბარბაცებს და მის გარშემო ჰაერი თრთის. ასე ათრთოლდება ჰაერი მთავარანგელოზთა გარშემოც... თვალებს მიაპყრობს და თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში არასდროს უხილავს ამხელა ზეცა ჩამდგარიყოს ადამიანის თვალებში. ნუთუ ის არის? უფალო, უფალო, რისთვის მტანჯავ? რად არ მომაგებ პასუხს?

ყველა წინასწარმეტყველებამ გაუელვა გონებაში. მის მოქანცულ ცნობიერებას ხან ნათელი მოეფინებოდა, ხან უიმედობის წყვილიაღი. აი, ხედავს – პატრიარქები ჩამომდგარან: დაუსრულებელი სვლით მიიწევს მისი მრავალტანჯული, დაწყლულებული ტომი მოკლეფეხება მოსეს წინამძღოლობით – მონობის მიწიდან ქანაანის მიწისკენ, და ახლა ქანაანიდან მომავლის იერუსალიმისკენ. მაგრამ ამ ახალ მსვლელობისას მოსე კი არ წინამძღვრობს, არამედ ვიღაც სხვა, — რაბინი გონებას ძაბავს, — დიან, ვიღაც სხვა, ზურგზე ჯვარმოკიდებული...

აფორიაქებული მიიჭრა კართან, გამოაღო. გრილმა ჰაერმა დაჰკრა, შეისუნთქა. მზე ჩასულიყო, ჩიტები ბუდეებს შეეყუჟოდნენ, გზებზე ჩრდილები გაწოლილიყვნენ, მიწა ცხრებოდა. კარი გადაკეტა, ქამარზე მძიმე გასაღები ჩამოიკიდა, წამიერად შეყოვნდა, მაგრამ ერთბაშად გადაწყვიტა და წელში მოხრილი რაბინი მარიამის სახლისაკენ გაეშურა.

მარიამი თავისი სახლის პაწაწინა ეზოში, მაღალ სკამზე ჩამომჯდარიყო და ძაფს ართავდა. დღე ჯერ კიდევ არ შერეოდა ღამეს, ზაფხული იყო და სინათლე ზანტად ეცლებოდა მიწის ზედაპირს, თითქოს განშორება ეძნელებოდა. ადამიანები და პირუტყვი გარესამუშაოებიდან ბრუნდებოდნენ, დიასახლისები ვახშმის მოსამზადებლად ცეცხლს ანთებდნენ. საღამოსპირს კვამლის სუნი ავსებდა. მარიამი ძაფს ართავდა და მისი გონებაც თითისტართან ერთად ბრუნავდა, ტრიალებდა, წარმოსახვა და ხსოვნა ერთმანეთს ერეოდა, მისი ცხოვრება სანახევროდ სინამდვილე, სანახევროდ კი ზღაპარი იყო... წლები თითქოს მშვიდად გადიოდა ყოველდღიურ ჯაფაში, მაგრამ უცებ, დაუპატიჟებლად, ფარშევანგივით დაატყდებოდა ხოლმე რამე სასწაული და მის ნატანჯ ცხოვრებას გრძელსა და ოქროცურვილ ბუმბულებში გამოახვევდა.

- საითაც გნებავს, იქით მიგყავარ, უფალო, შენ განაგებ ჩემს ცხოვრებას: შენ შემირჩიე ქმარი, მიბოძე ვაჟი, შენვე მომანიჭე ტკივილი. ამბობ – ვიყვირო, და მეც ვყვირი. ამბობ – გავჩუმდე, და მეც ვჩუმდები. და ვინ ვარ მე? ვინ და, შენს მუჭში მოქცეული ტალახის გროვა და როგორც გინდა, ისე მძერწავ. მაგრამ რაც გნებავს, ის დამმართე, ოღონდ ჩემი ვაჟი შეიბრალე, დაინდე ჩემი ვაჟი, უფალო!

უეცრად თეთრი მტრედი გადმოფრინდა მოპირდაპირე სახლის სახურავიდან, წამიერად მის თავს ზემოთ შეიფრთხილა და ნებიერად დაეშვა ამწვანებულ ეზოში. თავიდან მარიამის ფეხებთან დაგოგმანებდა, მერე კუდი გაშალა, კისერი წაიგრძელა, თავი ასწია და შეხედა. მტრედის მრგვალი თვალები ლალივით ბრწყინავდა მოსაღამოებულზე. უმზერდა, ელაპარაკებოდა, თითქოს რაღაც საიდუმლოს განდობა სურსო. ოჰ, ნეტავ მოხუცი რაბინი მოსულიყო, მან ხომ იცის ჩიტების ენა და განუმარტავდა... მტრედს უყურებდა, შეებრალა, თითისტარი გვერდით გადადო, მიუალერსა, მტრედმაც ერთი შეიფრთხილა და მუხლებზე შეაფრინდა. თითქოს სწორედ ეს იყო მისი საიდუმლო, უნიფათო ადგილს მიაგნო და თავი ფრთებქვეშ მშვიდად შეეუჟა.

მარიამმა მისი სხეულის სითბო შეიგრძნო, გაიღიმა. „რა იქნებოდა, ყოველთვის რომ ასე საამოდ გადმოდიოდეს ადამიანზე ღმერთი“ - და როგორც კი ეს გაიფიქრა, გაახსენდა ის დილა, როცა ისინი, ორნი, ერთმანეთზე დანიშნულნი ერთად ავიდნენ ელია წინასწარმეტყველის გორაზე, ცას შეკიდებულ კარმელის მთაზე, რათა ცეცხლოვანი წინასწარმეტყველისთვის ეთხოვათ, ეშუამდგომლა ღმერთთან და ვაჟი მისცემოდათ, რომელსაც მას მიუძღვნიდნენ. იმ საღამოსვე უნდა ექორწინათ და გათენებამდე გაეშურნენ, რათა დაელოცა ისინი ცეცხლოვანსა და ელვარე მეუდაბნოეს. ცა იყო კამკამა და თბილი, საამო შემოდგომა იდგა: უკვე აეღოთ მოსავალი, ქვევრებში მაჭარი დუღდა, სახურავზე ლელვი ჩირად ხმებოდა. მარიამი თხუთმეტი წლისა იყო, სასიძო კი ოდნავ ჭადარაშერეული, რომელსაც ხელთ ეპყრა ის საბედისწერო აყვავებული კვერთხი და ზედვე ეყრდნობოდა.

შუადღისაკენ მიაღწიეს წმინდა მთის წვერს, მუხლი მოიყარეს, თითისწვერებით შეეხნენ სისხლიან, ბასრ გრანიტს და აცახცახდნენ: გრანიტიდან ერთი ნაპერწკალი გამოხტა და მარიამს თითი დაუწვა. იოსებმა ის იყო, დააპირა მწვერვალის საშიშ პატრონს შევედრებოდა, რომ ცის სიღრმიდან რისხვითა და სეტყვით სავსე

ღრუბლები დაეშვნენ, ბასრი გრანიტის თავზე ქარბორბალასავით შედგნენ და ღმუილით დატრიალდნენ. და სანამ იოსები თავის დანიშნულს ხელს დასტაცებდა, რათა რომელიმე გამოქვაბულისთვის შეეფარებინათ თავი, ღმერთმა საშინელი მეხი გამოსტყორცნა, ცა და მიწა გააერთიანა და მარიამიც გულწასული დავარდა ძირს. გონს რომ მოეგო და თვალები გაახილა, მიმოიხედა და დაინახა გრანიტზე პირქვედამხობილი, გაშეშებული იოსები...

მარიამმა მტრედს ხელი ფრთხილად გადაუსვა, რათა მის მუხლებში მიყუჟული ფრინველი არ დაეფრთხო.

- მაშინ კი როგორ საზარლად გადმოვიდა ღმერთი ჩემზე.. როგორ საზარლად მელაპარაკა... მაგრამ რა მითხრა? — ბუტბუტებდა.

ეს მისთვის რაბინსაც ბევრჯერ უკითხავს, რადგან შეპყრობილი იყო იმ ზებუნებრივი სასწაულებით, მარიამის ცხოვრებას რომ არ აკლდა.

- მიდი, მარიამ, გაიხსენე, ასე ელვითა და მეხით ელაპარაკება ხანდახან ღმერთი ადამიანებს, გაიხსენე, რომ შენი ვაჟის ბედისწერა ამოვიცნოთ, — ემუდარებოდა.

- ქუხილი იყო, რაბი, ციდან ეტლივით ეშვებოდა და ჩემზე გადმოდიოდა, — ერთსა და იმავეს უმეორებდა ისიც.

- ქუხილის მიღმა, მის მიღმა რაღა იყო, მარიამ?

- კი, მართალი ხარ, რაბი, ქუხილის მიღმა ღმერთი ლაპარაკობდა, მაგრამ სიტყვაც კი ვერ გავიგე, გთხოვ, მომიტევე.

ეფერებოდა მტრედს, მთელი ოცდაათი წლის შემდეგ თავს ძალას ატანდა, გაეხსენებინა ის ქუხილი და მასში დამალული სიტყვა ამოეცნო...

თვალები მილულა. მუჭში გრძნობდა მტრედის სითბოს, მის გულისცემას. და უეცრად, ისე რომ ვერც კი მიხვდა რანაირად და რატომ, თუმცა დაბეჯითებით შეეძლო ეთქვა, რომ ის ჭეჭა-ქუხილი და მტრედი ერთი იყო, ეს გულისცემა იყო ქუხილი, ყველაფერი ერთად კი — ღმერთი. მარიამმა შეჰკვივლა და შეშინებული წამოიჭრა. პირველად ახლა, სწორედ ამ მტრედის ღულუნიდან სრული სიცხადით გაარჩია ქუხილში ჩამალული ის საიდუმლო სიტყვები: „გიხაროდენ, მარიამ... გიხაროდენ, მარიამ... — აი, რას ეუბნებოდა ღმერთი, — გიხაროდენ, მარიამ...“.

შემოტრიალდა, თავის ქმარს შეხედა, ისევ კედელს რომ მიყრდნობოდა და ენის ამოდგმას ცდილობდა. მთელი დღეები ასე იტანჯებოდა, ოფლად იღვრებოდა... წინ ჩაუარა, არაფერი უთქვამს, ზღურბლთან შეყოვნდა, გზას გახედა — ვაჟი შინისკენ ხომ არ მოდიოდა. შუადღისას დაინახა, როგორ მოიხვია თავზე ჯვარცმულის სისხლიანი თავსაბურავი და დაბლობისკენ დაეშვა... სად წავიდოდა? რად აგვიანებს? ნუთუ ისევ მინდვრებში გაათენებს?

დედა ზღურბლზე იდგა და გზას გაჰყურებდა. უცებ მოხუცი რაბინი შენიშნა — თავის კვერთხს მძიმედ ეყრდნობოდა და ძლივძლივობით მოაბიჯებდა. საფეთქლებთან ჭალარა თმას კარმელის მთიდან მონაბერი, სალამოს ნიავი უთამაშებდა.

მარიამი შინ მოწიწებით შეუძღვა რაბინს, რომელიც ჯერ ძმასთან მივიდა, ხელზე მოეფერა, არაფერი უთქვამს მისთვის, ან კი რა უნდა ეთქვა? მისი გონება ჩაწყვდიადებულ წყლებში ჩაძირულიყო, შემდეგ კი მარიამს გამოელაპარაკა:

- მარიამ, თვალები გიბრწყინავს... რა მოხდა? ნუთუ ისევ უფალი მოვიდა შენთან?
- გაიხსენე, რაბი! - თქვა მარიამმა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა ეთქვა.
- გაიხსენე? ღვთის გულისათვის, რა გაიხსენე? — დაეკითხა.
- ქუხილის სიტყვა!

რაბინი შეკრთა.

- დიდია ღმერთი ისრაელისა, - შეჰყვირა და ხელები აღაპყრო, - სწორედ ამისთვის გამოვეშურე შენთან, მარიამ, რათა ისევ მეკითხა... იცი ალბათ, დღეს კიდეც ერთი იმედი ეცვა ჯვარს და ჩემს გულსაც...

- გამახსენდა, რაბი! - გაიმეორა მარიამმა, - ამ საღამოს, გარეთ რომ ვიჯექი და ძაფს ვართავდი, ის ჭექა-ქუხილი წარმომესახა და პირველად ვიგრძენი, როგორ დაიწმინდა ჩემში ის გრუხუნის და მის მიღმა მშვიდი, სუფთა ხმა გამოიკვეთა, ხმა ღვთისა: „გიხაროდენ, მარიამ!“.

რაბინი სკამზე მიესვენა, თავი ხელებში ჩარგო და ფიქრმა წაიღო. მოგვიანებით, თავი ასწია.

- სხვა არაფერი, მარიამ? კარგად ჩაუღრმავდი საკუთარ თავს, იქნებ კიდეც გაგაგონა რამე?! შენმა ნათქვამმა შესაძლოა ისრაელის ბედი განსაზღვროს...

მარიამს შიში მოჰგვარა რაბინის სიტყვებმა. მისი გონება ისევ ქუხილს უტრიალებდა, გულ-მკერდი უცახცახებდა.

- არა, — წაიბუტბუტა ბოლოს დაზაფრულმა, — დიახ, რაბი. კიდეც სხვა რამეებიც ჩამესმა, ბევრი სხვა რამ გავიგონე, მაგრამ არ შემიძლია, მთელი ძალ-ღონით ვცდილობ, სხვას ვერას ვარჩევ, მეტი არ მესმის.

რაბინმა აღელვებულ ქალს თავზე ხელი დაადო:

- იმარხულე და ილოცე, მარიამ, - უთხრა - გონებას ყოფით ამბებზე ნუ მოაცდენ, ხანდახან - მეც არ ვიცი, ეს რა არის - გვირგვინი, ელვა თუ სინათლე, მაგრამ ხანდახან შენს სახეს დასთამაშებს იგი. იმარხულე და ილოცე, რათა გაიგონო... „გიხაროდენ, მარიამ“ - კეთილისმარჯობად იწყება ღვთის სიტყვა, ჰოდა, ეცადე დანარჩენიც აღიდგინო.

მარიამი ხელსაბანს მიუახლოვდა, რათა მისთვის მღელვარება არ შეემჩნია, ბრინჯაოს თასი ჩამოხსნა, ცივი წყლით აავსო და ფინიკთან ერთად მიართვა რაბინს.

- არ მშია, არ მწყურია, მარიამ, — მიუგო მან, — დიდი მადლობა! დაჯექი, რაღაც მინდოდა მეთქვა!

მარიამმა დაბალი სკამი მოიმარჯვა და რაბინის ფეხებთან ჩამოჯდა. მთელი არსებით მოიმართა მოსასმენად.

რაბინი გონებაში სიტყვებს სათითაოდ წონიდა, არ იყო ადვილი სათქმელი, რაც უნდა ემცნო: გამჭვირვალე და ხელთუქმნელი იმედი უნდა გამოეთქვა და არ იცოდა, რომელი ხელთუქმნელი და გამჭვირვალე სიტყვები მიესადაგებინა, თანაც ისე, რომ დედას არ შეშინებოდა.

- მარიამ, - ამოთქვა ბოლოს, - აქ, ამ სახლში, უდაბნოს ლომივით დაძრწის ერთი საიდუმლო... შენ სხვა ქალთაგან გამორჩეული ხარ, ნუთუ ამას ვერ გრძნობ, მარიამ?

— ვერა, რაბი! - ჩაიბუტბუტა მარიამმა, - მეც სხვა ქალებივით ვარ: თავს არ ვარიღებ საოჯახო საზრუნავს და ხალისით ვეშურები ყოველ საქმეს. არ მბეზრდება სადილ-ვანშმის მომზადება, სისუფთავეზე ზრუნვა, წყაროზე სიარული, მეზობელ ქალებთან ტკბილად მასლაათი, საღამოობით წინკარში ჯდომა და გამვლულების თვალიერება. და ჩემი გულიც, ისევე როგორც ყველა სხვა ქალისა, ჩემი გულიც ტკივილითაა სავსე, რაბი.

- არა, შენ სხვა ქალებს არ ჰგავხარ, მარიამ! — მტკიცედ გაიმეორა რაბინმა და ხელი ასწია, თითქოს ასე საპირისპირო აზრს აბრკოლებსო, - და შენი ვაჟიც...

რაბინი შეყოვნდა. როგორ უნდა შეეხებოდა, რა სიტყვები უნდა მოეძებნა ამის სათქმელად? ყველაზე რთული სწორედ ეს იყო. ზეცას ახედა, ყური მიუგდო. ზემოთ, ხეებზე, ჩიტები დასაძინებლად შეუყუჟულიყვნენ, ღამის ჩიტები იღვიძებდნენ, ბორბალი ტრიალდებოდა, ადამიანთა ნატერფალქვეშ დღე ილეოდა.

რაბინმა ამოიოხრა: როგორ ენაცვლებიან დღეები, ერთი მეორეს რა სიმშაგით მიერეკება, თენდება, ღამდება, მზე გადადის, მთვარე იცვლება, ბავშვები კაცდებიან, შავი თმა ჭაღარავდება, ზღვა ხმელეთს შთანთქავს, მთები შიშვლდებიან, მაგრამ ის კი, ვისაც მოველით, არსაიდან ჩანს.

- ჩემი ვაჟი... - აკანკალებული ხმით თქვა მარიამმა, - რა ჩემი ვაჟი, რაბი?

- იგი სხვა ვაჟებს არ ჰგავს, მარიამ, - ომახიანად მიუგო რაბინმა.

კვლავ სიტყვებს არჩევდა და ცოტა ხანში დასძინა:

- ზოგჯერ, ღამღამობით, როცა მარტოა და ჰგონია, რომ ვერავინ ხედავს, მთელი სახე უბრწყინავს ხოლმე. კი, მარიამ, სიბნელეში მისი სახე ერთიანად მოკაშკაშეა. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ ზემოთ, კედელზე პატარა ჭუჭრუტანა გავაკეთე, იქიდან ვუთვალთვალე ხოლმე და ვაკვირდები, რას აკეთებს. ამას იმიტომ გიმხელ, რომ დავიბენი, ჩემი სიბრძნე ვერაფერში ვეღარ მშველის, ვხსნი და ვკითხულობ წმინდა წერილს, მაგრამ ვერაფრით ამომიცნია, ვინ არის იგი... აკი გითხარი, ჩუმად ვადევნებ თვალს და წყვილიადმი ვხედავ ხოლმე დიდ სინათლეს, რომელიც მას მოსავს და თავზე დასდგომია. ამიტომაცაა, რომ დღითი დღე ფითრდება და ილევა. ეს სენი არ არის, არც ლოცვისა და მარხვის ბრალია, არა, არა, ნათელი არის ის, რაც მას შთანთქავს.

მარიამმა ამოიოხრა: „ვამ იმ დედას, ვისი ვაჟიც სხვებს არა ჰგავს...“ - გაიფიქრა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

რაბინი მარიამისკენ გადაიხარა, ხმა დაიდაბლა, ტუჩები ეწვოდა.

- გიხაროდენ, მარიამ! ასე არ გამცნო ყოვლისშემძლე ღმერთმა? შეუცნობელია მისი ნება, შესაძლოა შენი ვაჟი...

მაგრამ უბედურმა დედამ შეჰკვივლა:

- რაბინი, შემიბრალე! ნუთუ ჩემი ვაჟი?.. ვინ არის იგი? წინასწარმეტყველი? არა, არა, ღმერთს ასეც რომ ჰქონდეს დაწერილი, სიტყვა შეცვალოს! მინდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი იყოს, როგორც სხვები, არც მეტი და არც ნაკლები, ისე ვით მისი თანატოლები... იმუშაოს ისე, როგორც ოდესღაც მამამისი მუშაობდა და გამოთალოს სათლები, აკვნები, გუთნები, საოჯახო ნივთები და არა ის, ახლა რისთვისაც ირჯება – არა ეს ჯვრები, კაცთა დასასჯელად. მინდა იქორწინოს კარგი ოჯახის შვილზე, მზითვიანზე და ესეც მეოჯახე კაცი დადგეს - შვილები იყოლიოს, ყოველ შაბათს მივდიოდეთ ერთად სალოცავად - დიდება, შვილები, შვილიშვილები; მივდიოდეთ სასეირნოდ და ყველა ჩვენ შემოგვნატროდეს – აი, რა მინდა!

რაბინი კვერთხს მძიმედ ჩამოეყრდნო, წამოდგა.

- მარიამ, – თქვა მკაცრად, – ღმერთი რომ დედებს უსმენდეს, უსაფრთხოებასა და დროსტარებაში დავლპებოდით. იფიქრე იმაზე, რაც გითხარი, როცა მარტო დარჩები!

თქვა და ძმას მიუბრუნდა, გამოსამშვიდობებლად, რომელიც გადმოკარკლული, არაფრისმთქმელი თვალებით იყურებოდა და ენაგადმოგდებული ჰაერს ნერწყვავდა, ცოდვილობდა ხმა ამოელო. მარიამმა თავი გააქნია:

- დილიდან ასე წვალობს და ჯერ კიდევ ვერ დამშვიდდა, – მიუახლოვდა და დანერწყვილი პირი მოსწმინდა. — და სწორედ იმ დროს, როცა რაბინი რძალს ხელს უწვდიდა დასამშვიდობებლად, კარი ფრთხილად გაიღო და ზღურბლზე მარიამის ძე გამოჩნდა. სიბნელეში ჭაბუკის სახე კაშკაშებდა, თავს სისხლიანი თავსაბურავი მოეხვია. ბნელოდა და არ ჩანდა მისი მტვრიანი, ერთიანად დასისხლიანებული ფეხები და არც ცრემლი, ჯერ კიდევ რომ დაწვებს უწვავდა.

ზღურბლს გადმოაბიჯა, აქეთ-იქით მიმოიხედა, რაბინი და დედამისი გაარჩია და შიგნით, წყვდიადში, კედელთან ახლოს მამამისის უგრძობი თვალები შენიშნა.

მარიამმა ჭრაქის ანთება მოინდომა, მაგრამ რაბინმა შეაჩერა:

- მოიცადე, — უჩურჩულა, — დაველაპარაკები.

გული გაიმაგრა და მიუახლოვდა:

- იესო, — ხმადაბლა, ალერსიანად მიმართა, ისე რომ დედას ვერ გაეგონა, — იესო, შვილო, როდემდე აპირებ მასთან ბრძოლის გაგრძელებას?

და მაშინ აღმოხდა ხმა საზარელი, რომელმაც მიწა შეარყია:

- სიკვდილამდე!

და უცებ, თითქოს მთელი ძალა გამოეცალათ, ძირს დაეცა. შმაგივით სუნთქავდა. მოხუცმა რაბინმა ისევ სცადა დალაპარაკებოდა, დაიხარა, მაგრამ მაშინვე უკუიქცა, ეგონა მოგიზგიზე ცეცხლს მიუახლოვდა, სახე დაეწვა. „ღმერთია მასში, – გაიფიქრა, – ღმერთია და არავის ანებებს მიუახლოვდეს. ჯობს წავიდე!“.

ჩაფიქრებულმა რაბინმა ძმის ოჯახი დატოვა. მარიამმა კარი დაკეტა, მაგრამ ისე თითქოს წყვილიდში მხეცი ყოფილიყო, ჭრაქის ანთებას ვერ ბედავდა. შუაგულ ოთახში იდგა, აყურადებდა ქმარს, სასომინდილი რომ ლულულულებდა, თავის ვაჟს, მიწაზე განრთხმულს, შემადრწუნებლად რომ სუნთქავდა, იფიქრებდით ახრჩობნო. მაგრამ ვინ ახრჩობდა?.. უბედური დედა ლოყებს იხოკავდა, პასუხს ეძებდა, ეკითხებოდა და შესჩიოდა ღმერთს:

– დედა ვარ, – ასძახოდა ვედრებით, — არ გეცოდები? – მაგრამ პასუხი არ იყო.

შეძრწუნებული მარიამი უსიტყვოდ იდგა და სხეულის ყველა ძარღვი უთრთოდა, რომ უეცრად საზარელი ღრიალი, გამარჯვებულის ხმა გაისმა. დავრდომილმა იოსებმა როგორღაც ხმა ამოიღო და ამომარცვლა სრული სიტყვა, რომელიც ჭოხს ექოდ მოედო: „ა-დო-ნა-ი!“. და როგორც კი ეს აღმოთქვა, მოხუცი მაშინვე ღრმა ძილს მიეცა.

მარიამმა ძალა მოიკრიბა, ჭრაქი აანთო, საცეცხლესთან მივიდა, ჩაიმუხლა, მოთუხთუხე ქოთანს თავი გადახადა, რათა ენახა – კერძი ხომ არ დამშრალიყო, ანდა მარილი ხომ არ აკლდა...

VI

ცას ნათელი შეეპარა. ნაზარეთს ჯერაც ტკბილად ეძინა და სიზმრებში ჩაფლულიყო, ცისკრის ვარსკლავი ზანზალაკივით ჟღარუნებდა მის სასთუმალთან, ლიმონისა და ფინიკის ხეებს კი რიჟრაჟისფერი საბურველი შემოეხვიათ. ღრმა მდუმარება სუფევდა ირგვლივ. ჯერ შავ მამალსაც არ ეყვილა, რომ მარიამის ძემ კარი გააღო. თვალების გარშემო, უპეებზე მუქი ლურჯი რგოლები დაჩნეოდა, თუმცა ხელიც არ აუკანკალდა, დედ-მამისთვის ერთხელაც კი არ შეუხედავს, არც კი მობრუნებულა, ისე გამოხსნა ჭიშკარი და სამუდამოდ მიატოვა მშობლების სახლი. ორი-სამი ნაბიჯი გადადგა წინ და შეჩერდა. თითქოს უკნიდან მძიმე ნაბიჯების ხმა მოესმაო, შებრუნდა. არავინ იყო. ლურსმნებასხმული, ტყავის სარტყელი წელზე მჭიდროდ შემოიკრა, თავზე სისხლისლაქებდაჩნეული თავსაბურავი მოიხვია და დაკლაკნილ, ვიწრო გზას გაუყვა. მეზობლის ძაღლმა საბრალობლად შეუყეფა, იქვე რომელიღაც ბუმაც იგრძნო, რომ სინათლე მიეახლა და შიშით თავზე გადაუფრინა. აჩქარებით ჩაუარა ჩარაზულ ჭიშკრებს, ბაღ-მინდვრებში შეაბიჯა, დილის მახარობელი ჩიტები უკვე ჟღურტულუბდნენ; ერთ-ერთ ბოსტანში ბერიკაცსაც მოესწრო და შრომის უღელში შებმულიყო, ოწინარს ატრიალებდა, ჭიდან წყალს იღებდა. დღე იწყებოდა.

არც აბგა ჰქონდა, არც ხელჯოხნი და არც სანდლები ეცვა. წინ კი გრძელზე გრძელი გზა ედო: ჯერ კანა უნდა გაიაროს, შემდეგ — ტიბერია, მაგდალა და კაპერნაუმი, გენესარეთის ტბასაც უნდა შემოუაროს, რომ უდაბნომდე მიაღწიოს. ბევრი სმენოდა

უდაბნოს მონასტრის შესახებ, რომელსაც თეთრკვართიანი, სპეტაკი და უბრალო ადამიანები შეჰფარვოდნენ. ისინი ხორცს არ ჭამდნენ, ღვინოს არ სვამდნენ, ქალს არ ეკარებოდნენ. მხოლოდ ღმერთს ევედრებოდნენ, ბალახეულს სცნობდნენ, კრეფდნენ და სხეულის სნეულებებს ასე წამლობდნენ; საიდუმლო შელოცვებით კი დემონების მიერ შეპყრობილ სულს კურნავდნენ. რამდენჯერ ოხვრით უამბია მისთვის ამ წმინდა მონასტერზე ბიძამისს - რაბინს! თერთმეტი წელი მსახურობდა იგი იმ მონასტერში, ღმერთს ადიდებდა და სნეულებს უვლიდა; მაგრამ ერთ დღესაც, ვაი იმ დღეს, მას ცდუნებამ დარია ხელი, — ყოვლისშემძლეა, რომ იცოდეთ, — ეუბნებოდა, — ქალი იხილა, წმინდა ცხოვრება მიატოვა, თეთრი კვართი გაიხადა, იქორწინა და მამა გახდა, იწვნია კიდევ! მაგდალინელის მამა გახდა. სამართლიანად დასაჯა ღმერთმა განდგომილი!

- წავალ და იქ შევეფარები, მის ფრთებქვეშ... - აბუტბუტდა მარიამის ძე და ფეხი ააჩქარა. შვებას გრძნობდა, რადგან კარგა ხანია სწორედ ამას ესწრაფოდა – მას მერე, რაც თორმეტი წლისა შესრულდა, მას მერე სურდა წამოსულიყო მშობლების სახლიდან, ყველაფერი მიეტოვებინა, თავი დაეხსნა დედის რჩევებისაგან, მამის ლულულდისა და გულისგამაწვრილებელ, ამაო, ყოველდღიური საზრუნავისგან; ჩამოეფერთხა ადამიანთა მტვერი ფერხთაგან, უდაბნოში გახიზნულიყო. და აი, დღეს, როგორც იქნა, გადაწყვიტა, ყველაფერზე უარი ეთქვა. საბოლოოდ მიატოვა ყოფილი ორომტრიალი და მთლიანად ღმერთს მიეცა, გამოხსნა ჰჰოვა!

გაფითრებული, ნაღვლიანი სახე წამიერად გაუბრწყინდა: შესაძლოა, ღმერთი ამდენ ხანს იმისთვის სდევნიდა, რომ სწორედ იქ წაეყვანა, სადაც ახლა საკუთარი გულის კარნახით მიდის. ნუთუ დადგა დრო და მისი ნება ღმერთის ნებას დაუზავდა? განა ეს არ არის ადამიანის უზენაესი მოვალეობა?! და განა ბედნიერებაც ეს არ არის?!

იგრძნო, როგორ შეუმსუბუქდა გული. აღარც კლანჭებს გრძნობდა, აღარც ბრძოლები უწევდა და აღარც ხმები ჩასძახოდა! ძალიან მშვიდად, ღმობიერად მივიდა ღმერთი მასთან ამ დილით, ვით მსუბუქი, ნაზი სიო, ჩასჩურჩულა – წავედითო! და მანაც კარი გამოაღო. და როგორი საოცარია ეს შერიგება, რა უსაზღვროა ბედნიერება! „არა, არა, ვერ გავჩუმდები, – გაიფიქრა, – გამოხსნის საგალობელი უნდა ვიმღერო! „ხელისაღმპყრობელი ჩემი ხარ შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ მას...“. სიხარული გულში ვეღარ ეტეოდა, მის ბაგეთაგან იღვრებოდა, განთიადის თბილ ნათელში იბნეოდა, ღვთისაგან ნაწყალობევ ზეთისხილის ხეებს, ვაზებსა და პურის თავთავებს შორის იღვრებოდა – და სიხარულის ფსალმუნიც მისი გულიდან ზეცას სწვდებოდა. ის იყო, თავი ასწია და გალობისთვის შეემზადა, რომ უეცრად სუნთქვა შეეკრა: იმ წამს მკაფიოდ გაიგონა გამალებული ნაბიჯების ხმა. ფეხი შეანელა, მიაყურადა – და მის უკან ნაბიჯების ხმაც მიწელდა; მუხლები მოეკვცა, შედგა და ხმაც მყისვე შეწყდა.

- ვიცი, ვინც არის, — ჩურჩულებდა და ცანცახებდა, — ვიცი...

მაგრამ მაინც გული გაიმაგრა, სწრაფად შემობრუნდა, რათა ეხილა, თუმც არავინ იყო!

— მზის ამოსვლისას ცა ჟოლოსფრად შეიფერა. ნიავი არ იძვროდა, მწიფე თავთავები მკის მოლოდინში დახრილიყვნენ. გარშემო არავინ ჩანდა — არც კაცი, არც ცხოველი, მხოლოდ გაშლილი ყანა იყო. უკან კი – ნაზარეთში, თითო-ოროლა სახლის საკვამურიდან უკვე ამოდიოდა კვამლი. ქალები იღვიძებდნენ.

გული ჩაუწყნარდა: „დროს ნუ დავკარგავ, – გაიფიქრა, – ჯობს აღარ დავაყოვნო! ამ გორაკს თუ შემოვუვლი, კვალს ავუჩუქებ.“ – და გაიქცა.

მის ირგვლივ მთელი ზღვა იდგა ნათესებისა: აქ, გალილეის ამ მდელოზე აღმოცენდა პირველად პურის თავთავი; აქვე დამწიფდა ყურძენი და მთის ციცაბო ფერდობებს ველურ ვაზად მოედო. შორიდან ხარშებმული ურმის ჭრიალი მოისმა; მიწას განრთხმული ვირები ფეხზე წამოდგომას ლამობდნენ, ჰაერს ხარბად ისუნთქავდნენ და კუდაპრეხილნი ყროყინებდნენ. პირველი მთიბავებიც გამოჩნდნენ: სიცილისა და ხალისიანი გადაძახილის ხმები ისმოდა, ალესილი ნამგლები სინათლეზე უბრწყინავდათ. მზე დასდგომოდა მთიბავებს და მათს მკლავებს, ყელს და იარაღებს ზედ ეფინებოდა. შორიდან შენიშნეს, როგორ გარბოდა იგი და სიცილისგან ლამის ჩაბჟირდნენ:

- ვის მისდევ, ადამიანო, — მისძახოდნენ, — ან ვინ გდევნის?

მაგრამ როგორც კი მიუახლოვდნენ და დააკვირდნენ, იცნეს... ყველა უცებ დადუმდა, ერთმანეთს ამოეფარნენ და:

- ჯვარცმელი! — აჩურჩულდნენ, — ჯვარცმელი, წყეულიმც იყოს! გუშინ ვნახე, ჯვარცმისას...

- ერთი მაგის თავსაბურავს შეხედეთ, სულ სისხლიანია!

- ხო, მაგას ეგ ერგო წილად იმ ჯვარცმულის სამოსიდან: მის თავზე უცოდველის სისხლია!

გზა განაგრძეს, მაგრამ აღარ ეცინებოდათ, ხმას ვერ იღებდნენ.

მარიამის ძემ მთიბავები ჩამოიტოვა, ყანა გადავლო და ფერდობზე შეფენილ ვენახს მიადგა. ლედვის ხე შენიშნა, შეჩერდა, უნდოდა ფოთოლი მოეწყვიტა და დაეყნოსა. ძალიან მოსწონდა ლედვის ფოთლის სურნელი, ადამიანის ოფლის სუნს აგონებდა. როცა პატარა იყო, თვალებს დახუჭავდა ხოლმე, შეიყნოსავდა ლედვის ფოთლის სუნს და ასე ეგონა, დედის კალთაში იჯდა და ძუძუს წოვდა. მაგრამ როგორც კი შედგა და ფოთლის მოწყვეტა დააპირა, ცივმა ოფლმა დაასხა: ის ხმა, ადევენებული ნაბიჯების ხმაც, შეწყდა. ტანში გასცრა და ისე, რომ გაწვდილი ხელი არ დაუშვია, იქაურობა მოათვალიერა. გარშემო სიმშვიდე სუფევდა, მხოლოდ ღმერთი, სხვა არავინ! მიწას სინოტივე, ფოთლებს კი ცვარი დასდებოდა, ხოლო იქვე, ქვის ნაპრაღში ჩარჩენილი პეპელა ამაოდ ცდილობდა სველი ფრთები გასაფრენად გაეშალა.

- ვიყვირებ, – გაიფიქრა, – ვიყვირებ, რომ გავთავისუფლდე!

როდესაც მარტოდმარტო დარჩებოდა მთაზე თუ უდაბურ მინდორში, სულ გრძნობდა ხოლმე, რომ ყოველი მხრიდან ღმერთი ედგა და არ იცოდა რატომ –

მეტისმეტი სიხარულის, სიმწარისა თუ შიშის გამო – მაგრამ ამ დროს თვითონ ველურ ხმებს გამოსცემდა, თითქოს მთელი არსებით ცდილობდა მას გაქცეო და: ხან მამალივით აყვილდებოდა, ხან მშიერი ტურასავით გაჰკიოდა, ხანაც კი ნაცემი ძაღლივით წკმუტუნებდა. და ახლაც, ის-ის იყო, უნდა დაეყვირა, რომ პეპელას მოჰკრა თვალი, რომელიც ფრთების გასწორებას ცდილობდა. დაიხარა, ნაზად აიყვანა ხელში და მალლა, ლელვის ხის ფოთოლზე შემოსვა, რომელსაც მზის სხივები ეცემოდა.

- დაო, ჩემო, — ჩურჩულებდა, - დაო, ჩემო... - და თანაგრძნობით შესცქეროდა.

ფოთოლზე გასაშრობად შემოსმულ პეპელას მალე ზურგი აქცია და კვლავ გზას დაადგა. მყისიერად, რამდენიმე ნაბიჯით უკან, სველ მიწაზე უჩუმარ ნაბიჯების ხმას ყური ჰკიდა. თავდაპირველად, ნაზარეთიდან რომ დაიძრა, ამ ნაბიჯების ხმა ძალიან მსუბუქად იგრძნო, თითქოს სადღაც შორეთიდან მოისმისო; თან დათანობით, უფრო გამკვეთრდა, თითქოს უახლოვდებოდა და - ცოტა ხანში, - ფიქრობდა მარიამის ძე და ტანში ცრიდა, - ცოტა ხანში მწვდება კიდეც. „ღმერთო, ჩემო ღმერთო, — ჩურჩულებდა, - შემეწიე, მალე მივაღწიო მონასტრამდე, სანამ დამეწეოდეს, სანამ მეცემოდეს“.

ყანას უკვე მზის სხივები დაჰფენოდა. ჩიტების ჭიკჭიკი შემოესმა, ცხოველები და ადამიანები ახმაურდნენ... მიწიდან შერეული გუგუნნი ავარდა ცისკენ — თხების არვე და ცხვრის ფარა მთის ფერდობს მიუყვებოდა, მწყემსმა ყრმამ სალამური დააკვნესა და სამყაროში გათენდა კიდეც. სადაცაა დიდ ვერხვს მარცხნივ მოიტოვებდა და თავის საყვარელ, საამო სოფელსაც დაინახავდა – კანას. ჯერ კიდევ მაშინ, როცა უწვერული ყმაწვილი იყო და ღმერთს ჯერ არ ჩაესო მისთვის თავისი კლანჭები, რამდენჯერ მოსულა აქ დედასთან ერთად, რამდენჯერ დასწრებია მოჰრიაშულე დღესასწაულებს! რამდენჯერ აღტაცებულა გარშემო სოფლებში მცხოვრები ასულებით, ამ დიდი, ხშირფოთლოვანი ვერხვის ძირში თავდავიწყებით რომ ცეკვავდნენ. მაგრამ ერთხელ, ოცი წლისა იქნებოდა მაშინ, ამ ვერხვის ხეს რომ აეკრა – ხელში ვარდით...

გააჟრჟოლა. კვლავ წარმოუდგა თვალწინ იგი: საიდუმლო სატრფო, ათასგზის საყვარელი, რომლის მკერდშიც ჩამალულიყვნენ – მარჯვნივ მზე, მარცხნივ მთვარე, და გამჭვირვალე კაბის მიღმა ადიოდნენ და ჩადიოდნენ, ადიოდნენ და ჩადიოდნენ დღეები და ღამეები...

- მომწყდი! თავი დამანებე! მე ღმერთს ვეკუთვნი და მასთან შესახვედრად მივდივარ უდაბნოში! — შესძახა და გზა განაგრძო.

ვერხვის ხეს გასცდა, მის წინ კანა გადაიშალა – თაბაშირით შელესილი, დაბალი, ოთხკუთხედვერანდიანი სახლები ოქროსფრად აებრდღვიალებინა გასაშრობად გამოფენილ სიმინდსა და გოგრებს. ფეხშიშველი ასულები ვერანდებზე ამძვრალიყვნენ, ბამბის ძაფზე წიწაკების გირლიანდებს ასხამდნენ და სახლებს რთავდნენ.

სატანისაგან დაგებული მახე თავდახრილმა გაიარა, ჩქარობდა, არ უნდოდა ვინმე შეხვედროდა, ვინმეს დაენახა, მის ზურგს უკან კი ნაბიჯები ქვაფენილს უკვე ძლიერად ედებოდა.

მზე შუბისტარზე დადგა და სამყაროს ნათელი მოჰფინა. მთიბავები ცელებს იქნევდნენ, მღეროდნენ და მკიდნენ. ერთი ჰეშვი უცებ ერთ ილლიად იქცეოდა, ერთი შეკვრა – მთელ ძნად და კალოზე თივის კოშკები იდგმებოდა. „ხვავი და ბარაქა!“ - ნაჩქარევად მიაძახებდა მარიამის ძე მთიბავებს და სწრაფადვე გაეცლებოდა. კანა ზეთისხილის ბაღებს მიღმა დარჩა. ჩრდილები იგრიხებოდნენ ხეების ძირში. და როცა მარიამის ძე ასე ხარობდა სამყაროთი და გონება ღმერთისაკენ მიემართა, მის ყნოსვას ახალგამომცხვარი პურის სურნელი მისწვდა. ერთბაშად იგრძნო, რომ მოშობოდა. და იგრძნო თუ არა ეს, სხეულიც ერთიანად შეუფრთხილდა: ამდენი წელია შიოდა, მაგრამ პურის წმინდა წადილს ვერასდროს გრძნობდა! ახლა კი...

ხარბად შეისუნთქა ჰაერი, სურნელს მიჰყვა, თხრილს გადააბიჯა, მესერს გადაახტა, ვენახში შევიდა. ქვემოთ ერთი ფუტურო ზეთისხილის ხე და დაბალი გომური შენიშნა, რომლიდანაც კვამლი ამოდიოდა და ჩალის სახურავს ზემოთ იფანტებოდა. მკვირცხლი, გრძელცხვირა დედაბერი ქოხის შესასვლელთან ჩადგმულ თონეში ჩაყუდებულიყო და პურს აკრავდა. მის გვერდით, ყვითელლაქებიანი შავი ძაღლი წინა ფეხებით თონეზე შემხტარიყო და დამშეულს ალესილი კბილებით სავსე ხახა დაეფჩინა. როგორც კი ვენახიდან გამოვიდა, ძაღლმა მისკენ ყეფით გაიწია. დედაბერი შეკრთა, შემობრუნდა და სტუმარი დაინახა თუ არა, პატარა, მიმქრალ თვალებში სინარული ჩაუდგა, რადგან ამ სიმარტოვეში კაცს ხედავდა. ასტამომმარჯვებულმა საქმეს თავი ანება.

– მობრძანდი! — მიიპატიჟა, — საიდან მოემართები, ღმერთმა მშვიდობის გზა კი მოგცეს! ეგებ გშია კიდევ?

– ნაზარეთიდან.

- გშია? - ისევ ჰკითხა დედაბერმა და გაიცინა, — ნესტოები მწევარივით გითამაშებს.

- მშია, დედაკაცო, მაპატიე.

დედაბერს ყურთ აკლდა და ვერ გაიგონა.

– რა თქვი? – ჰკითხა, – ხმამაღლა ილაპარაკე!

– მშია, მაპატიე, დედაკაცო.

- გაპატიო? კი მაგრამ, რატომ? შიმშილი სირცხვილი არ არის, არც წყურვილია სირცხვილი და არც სიყვარული. ეს ყველაფერი ღმერთისგანაა. მოდი, აიღე, ნუ გრცხვენია.

გულლიად გაიცინა და ერთადერთი კბილი გამოუჩნდა.

— პურსა და წყალს აქ იპოვი, აი, სიყვარულს კი — იქით, მაგდალაში.

თქვა და კვერი გაუწოდა, თონის პირზე რომ ჩამოედო, სხვა პურებისგან განცალკევებით.

- აჰა, ეს პური, რომელსაც ყოველთვის მოვიტოვებთ ხოლმე ცხობისას, ჭრიჭინობელას პურს ვეძახით, მგზავრებისთვისაა. ჰოდა, ეს პური ჩემი არ არის, შენია, გატეხე და მიირთვი.

მარიამის ძე ბებერი ზეთისხილის ხის ძირას ჩამოჯდა და ჭამის ნეტარებას მიეცა. ეს რა გემრიელი პური იყო, რა გრილი წყალი, და ის ორი ზეთისხილიც, დედაბერმა რომ გაუწოდა, რა გემრიელი, რა ტკბილი იყო, თხელკანიანი და ლამის ვაშლის სიდიდისა! მშვიდად ღეჭავდა, აგემოვნებდა, გრძნობდა, რომ მისი სული და სხეული ერთმანეთს ენივთებოდა, იმ წუთას ერთარსებად ქცეულიყვნენ ისინი, ერთი მათგანი იღებდა პურს, ზეთის ხილს, წყალს, მაგრამ ორივე ერთად ხარობდა და ნაყრდებოდა. თონეს ჩამოყრდნობილი დედაბერი კი კმაყოფილი შესცქეროდა.

- მართლა გშეებია, - სიცილით უთხრა, - მიირთვი, ახალგაზრდა კაცი ხარ, წინ დიდი გზა გიწევს, ბევრი განსაცდელიც. ჭამე, რათა ძალა მოიკრიბო.

პურის ყუა მოუტეხა, კიდევ ორი ზეთისხილი მიაწოდა. სწრაფად შეისწორა თავშალი, თავიდან რომ ჩამოსცურებოდა და გაქუცული კეფა გამოუჩნდა.

- საით მიდიხარ, შვილო? კეთილ გზაზე გევლოს!

— უდაბნოში.

- სად? გარკვევით მითხარი!

- უდაბნოში-მეთქი! — მიუგო.

დედაბერმა უკბილო პირი მომუწა, უცებ მზერაში მრისხანება ჩაუდგა

- მონასტერში? — მოულოდნელი ბრაზით შეჰყვირა, - რისთვის? იქ რა ჯანდაბა დაგრჩენია? შენი სიჭაბუკე მაინც არ გენანება?

ჭაბუკი დუმდა. დედაბერი გაქუცულ თავს იქნევდა და გველივით სისინებდა.

- ღმერთის საპოვნელად მიდიხარ, არა? - გესლიანად ჩაეძია.

- დიას! - მიუგო ხმადაბლა.

დედაბერმა წიხლი უთავაზა ძაღლს, გაჩხინკულ ფეხებში რომ ებლანდებოდა და ჭაბუკს მიუახლოვდა.

- შე უბედურო, — წამოიყვირა, - ღმერთი მონასტრებში კი არ არის, ღმერთი ადამიანთა სახლებშია! სადაც ქალი და კაცია, ღმერთიც იქ არის! სადაც შვილები, შვილიშვილები, საჭმელი, კინკლაობა და შერიგებაა, იქ არის ღმერთი! ნუ დაიჯერებ, რასაც ბერები გეუბნებიან. ისინი ასე ამართლებენ ხოლმე ყველაფერს, რაზედაც ხელი არ მიუწვდებათ. ხოლო იგი, ვისზედაც გეუბნები, რომ ყური უგდო და თაყვანი სცე, სახლისაა! მონასტრის ღმერთი არ არის ნამდვილი ღმერთი! იგი ბერებისა და უქნარებისთვისაა!

დედაბერი ლაპარაკობდა და თუნბთუნებდა. იქოთქოთა, იქაქანა, ჯავრი ამოიყარა და დამშვიდდა, ვაჟს მხარზე შეეხო და უთხრა:

- მაპატიე, შვილო, მაგრამ ერთადერთი ვაჟი მყავდა – აი, შენსავით წარმოსადეგი. ერთ დილას ტვინი გადაუბრუნდა, კარი გააღო და უდაბნოს მონასტერში წავიდა – მკურნალებთან, ჭირი მაგათ! ისეთი სენი შეჰყროდეთ, რომ ველარავინ მოარჩინოთ! და შვილი დავკარგე. ახლა კი აგერ, ვაცხოვრებ და ვაცხოვრებ, მაგრამ ვინ დავანაყრო, ვის ვაჭამო? აღარც შვილი მყავს, არც შვილიშვილი... მარტოდმარტო დავრჩი ფუტურო ხესავით.

წამიერად გაჩუმდა, უპეები ამოიმშრალა და განაგრძო:

- წლები გავატარე ასე – აღვაპყრობდი ღმერთისკენ ხელებს და შევძახებდი: „რისთვის დავიბადე? ერთი ვაჟი მყავდა, რისთვის წამართვი იგი?“ ვყვიროდი, ვყვიროდი, მაგრამ, აბა, ვინ გაიგონებდა?! მარტო ერთხელ, წმინდა ელიას დღეს, შუაღამისას, დავინახე როგორ გაიხსნა ცა. იყვირე, სანამ არ მოგბეზრდებაო! — მომაქუხა და ისევ დაიხურა. მას მერე აღარ მიყვირია...

მარიამის ძე წამოდგა. მასპინძელთან გამომშვიდობება დააპირა, მაგრამ იმან ხელი გაასავსავა და ისევ მოჰყვა გველივით სისინს:

- უდაბნო, ხო? ახლა შენც უდაბნო მოგინდა, არა? თვალები არ გაქვს, შვილო? ან მზეს ვერ ხედავ, ან ვენახს, ან ქალებს? გუბნები, მაგდალაში წადი, შენი ჯანი იქ გამოსცადე! ან წმინდა წერილი არ წაგიკითხავს? მე არ მინდა, ამბობს იქ ღმერთი, მე არ მინდა თქვენი ლოცვები და მარხვები, ხორცი მინდაო! ანუ ბავშვები მოავლინეთო!

- მშვიდობით, დედაკაცო, – თქვა ახალგაზრდამ, – ღმერთმა ასმაგად მოგიზღოს, დღეს რომ დამაპურე!

- ღმერთი შეგეწიოს შენც, შვილო, – უპასუხა გულმომბალმა დედაბერმა, – ღმერთმა გადაგიხადოს იმ სიკეთისთვის, რაც მე მიყავი: რა ხანია, ჩემს ეზოში კაციშვილს არ შემოუხედავს. და თუ შემოუხედავს, ისიც ბებერს...

ვენახი ისევ გადაჭრა, თხრილს გადაახტა, გაღმა გავიდა.

- აღარ შემიძლია ადამიანების ატანა, – ჩურჩულებდა, – არ მინდა! მაგათგან გამოწვდილი პურიც კი შხამივითაა. ერთადერთი გზალა დამრჩა - ღმერთის გზა, რომელსაც დღეს დავადექი. მართალია, მოკვდავთა შორის გადის, მაგრამ მათ არ შეეხება, ისე გამიყვანს უდაბნომდე. ეჰ, ნეტა როდის მივაღწევ!

ჯერ კიდევ ამ ნატვრას უტრიალებდა ფიქრით, უკნიდან რომ სიცილი მოესმა. შემფოთებული შებრუნდა. სიცილი ჰაერს ტალღებად უვლიდა, შემალონებელი, ვერაგი, ავისმომასწავებელი სიცილი.

- ადონაი! — ჩამხმარი ხორხიდან ხავილი აღმოხდა, — ადონაი!

თმა ყალყზე ადგა. უყურებდა ჰაერს, რომელიც ხარხარებდა. შეშლილივით გაიქცა და მაშინვე დაედევნა ის ნაბიჯებიც.

- სადაცაა დამეწევა... სადაცაა მწვდება... - ჩურჩულებდა და გარბოდა.

ქალები ჯერ კიდევ თიბავდნენ, კაცებს ნათიბის შეკვრები მიჰქონდათ კალოზე, მოშორებით სხვები ხორბალს ანიავებდნენ. თბილი ნიავი უბერავდა, თივას

ფანტავდა, მიწას ოქროსფრად აფერადებდა და მძიმე მარცვალს კალოზე გროვად ტოვებდა. გამვლელები მუჭით ხორბალს აიღებდნენ, ემთხვეოდნენ და ხვავიან მომავალ წელს უსურვებდნენ ყანის პატრონებს.

მოშორებით, ორ ბორცვს შორის, ტიბერიაც გამოჩნდა - ვეება, ახალაშენებული, კერპთაყვანისმცემელი ქალაქი, ქანდაკებებით, თეატრებით, ლუქნებითა და კოპწია ქალებით სავსე ტიბერია. მარიამის ძემ შეხედა და შიშმა მოიცვა. ერთხელ, ბავშვობაში ბიძამისმა — რაბინმა წაიყვანა იქ. რაბინი კი იმიტომ ეხმოთ, რომ ერთი რომელი ქალისგან დემონები განედევნა: აბანოს დემონს შეეპყრო იგი — გარეთ, ქუჩებში სულ შიშველი გამორბოდა და გამვლელებს ედევნებოდა. მის სასახლეში რომ შევიდნენ, სწორედ იმ დროს მოუარა ბოროტმა სულმა და კარისაკენ შიშველი გამოიქცა. მონები დაედევნენ გასაკავებლად. რაბინი შედგა, კვერთხი წინ წასწია, ქალმა კი ვაჟი დაინახა თუ არა, მაშინვე მას ეცა. მარიამის ძემ შეჰყვირა და გული წაუვიდა. და მას მერე, ეს ურცხვი ქალაქი რომ გაახსენდებოდა, შიშისაგან ცახცახებდა ხოლმე.

- წყეული ქალაქია, შვილო ჩემო, - ეუბნებოდა რაბინი, - როცა გზად მისი გავლა მოგიწევს, სწრაფად გაეცალე, მიწას უყურე და სიკვდილზე იფიქრე, ან ცას უყურე და ღმერთზე იფიქრე. ჩემი ლოცვა-კურთხევა გდევდეს, კაპერნაუმში თუკი წახვალ, სხვა გზით მოუარე!

ურცხვი ქალაქი კი მზის გულზე გაწოლილიყო და თითქოს იცინოდა, ადამიანები შედი-გამოდოდნენ მის კარიბჭეებში, ფეხოსნები, ცხენოსნები მიმოდოდნენ, ორთავიანი არწივის გამოსახულებიანი ბაირაღები კოშკებზე ფრიალებდნენ, რკინის იარაღები მზის სხივს ირეკლავდნენ. ერთხელ მარიამის ძე, ნაზარეთის გარეუბანში მწვანე ჭაობში ჩაფლულ ცხენის ლეშს წააწყდა. მის გაფატრულ, ნაწლავებგადმოყრილ, ჭუჭყით სავსე ფაშვს კიბორჩხალებისა და ნეხვის ჭიების მთელი ჯარი შესეოდა, ზემოდან კი ღრუბელივით დასდგომოდა და დაბზუოდა ურიცხვი ოქრომწვანე ბუზანკალი. ორ ყორანს მის გრძელწამწამა, დიდ თვალეებში ჩაერგო ნისკარტები და გამალებით უკორტნიდნენ... მჭიდროდ დასახლებული, გამოცოცხლებული ქალაქივით ბრწყინავდა ლეში, ირხეოდა, იფიქრებდი საგაზაფხულო მდელიოზე მწოლიარე ხარობს, ტკბებაო, მაგრამ ნალებდაჭედილი ჩლიქები ცისკენ მიექცია.

- იმ ცხენის ლეშივითაა ტიბერიაც.. — ჩურჩულებდა მარიამის ძე და ვერაფრით მოეხერხებინა, მზერა მოეწყვიტა, — ასეთი იყო სოდომი და გომორიც; ასეთივეა ადამიანის ცოდვილი სული...

ამასობაში, ვირზე შემომჯდარი ერთი ჭარმაგი კაცი წამოეწია. როგორც კი მარიამის ძე შენიშნა, შეჩერდა.

- რას მიშტერებინარ? — თქვა, — ნუთუ ვერ ცნობ? ეს ჩვენი ახალი მეფის ასულია - ტიბერია, ეგ მეძავი. ბერძნები, რომაელები, ბელუინები, ქალდეველები, ბოშები და ებრაელები, ყველანი ზედ დაჭენაობენ, ისე რომ, ცარიელ ადგილს ველარ უპოვი. გესმის, რასაც გეუბნები? ცარიელ ადგილს ვერ მონახავ შიგნით, ეს ჭეშმარიტებაა!

აბგიდან მუჭით ნიგოზი ამოიღო, შესთავაზა.

- კარგი ადამიანი ჩანხარ, — უთხრა, - მორიდებული... გამომართვი, გზაში თავს შეიქცევ. მაგრამ არ დაგავიწყდეს, დამლოცო და თქვა: სიკეთე ჰქონდეს კაპერნაუმელ მოხუც ზებედესო!

ორად გაყოფილი თეთრი წვერი, სქელი, მსუყე ტუჩები, ხარივით ჩასკვნილი კისერი და შავი ცოცხალი თვალები ჰქონდა - მახვილი მზერით. ამ ტანმრთელ ბერიკაცს ცხოვრების განმავლობაში არაფერი დაუკლია: ბევრი ესვა, ბევრი ეჭამა, ბევრი ეკოცნა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამძლარიყო!

ერთი მკერდმოღეღილი, მუხლებმოშიშვლებული, გაბანჯგვ ლული ახმახი მიუახლოვდათ, ხელში მწყემსის დაგრებილი სახრე ეჭირა, მათთან ჩამოდგა და ისე, რომ მოხუცს არც კი მისალმებია, სახეარეულმა მიმართა მარიამის ძეს:

- თქვენ ხუროს ძე ხომ არ ბრძანდებით, ნაზარეთიდან? შენ ის არა ხარ, ჯვრებს რომ ამზადებ და ზედ გვაკრავ?

შორიახლოს, ყანებში მთიბველმა ქალებმა ყური ჰკიდეს მათ. ლაპარაკს და მიუახლოვდნენ.

- მე... - თქვა მარიამის ძემ, — მე...

და გაქცევა დააპირა.

- სად მიდიხარ? - იღრიალა და მხარში წაავლო ხელი, — ვერ გადამირჩები, შე ჯვარმცემლო, მოლალატევ, ცოცხლად შეგჭამ!

მაგრამ ჯანიანმა მოხუცმა ახმახს სახრე წაართვა, მსხვერპლი ხელიდან გამოსტაცა და უთხრა:

- ფილიპე, გაჩერდი! მეც მომისმინე, ხნიერი კაცი ვარ ბოლოს და ბოლოს. ერთი მითხარი, განა სამყაროში რამე ხდება ღვთის ნების გარეშე?

- არა, ზებედე-ბატონო, არაფერი ხდება! — დაეთანხმა განრისხებული.

- მაშ, ღვთის ნება ყოფილა ისიც, რომ ამაღ ჯვრები თალოს და შეეშვი! შენთვისვე აჯობებს, ღმერთის საქმეში თუ არ ჩაერევი. არ ძალგიძთ მისი წინააღდგომა!

- როგორც იქნა, გამოეხსნა მარიამის ძე მწყემსის ტორებს და გზა განაგრძო. მიმავალს ორი დედაბერი წყევლიდა და ცელებს გამწარებით უღერებდნენ.

- ზებედე-ბატონო, — თქვა ახმახმა მწყემსმა, — წავიდეთ და ორივემ ხელები დავიბანოთ, ჯვარმცემელს რომ შევეხეთ; წავიდეთ და პირი გამოვირეცხოთ, მას რომ დაველაპარაკეთ.

- ნეტა ერთი შენ, მოგცლია, - თქვა მოხუცმა, — წამო, წავიდეთ, გზაში გამართობ მაინც! მეჩქარება. ჩემი ვაჟები აქ არ არიან: ერთი ნაზარეთში წავიდა, ჯვარცმა უნდა ვნახოთ, მეორე კიდევ — უდაბნოში, თავისი ჭკუით, უნდა განიწმინდოს. ჰოდა, ასე მართო შემოვრჩი ამ ჩემს თევზსაჭერებს. წამომყევი, ბადეები ამომათრევი, უკვე თევზით იქნება სავსე. კიდევ გიწილადებ.

გზას დაადგნენ, მოხუცი კარგ გუნებაზე იყო.

– ეს ღმერთიც რა შავ დღეშია, – თქვა და გაიცინა, – ჩვენი ველარაფერი გაუგია. თევზები არიან და შესთხოვენ: გზას ნუ აგვირევ, უფალო, და ბადეებში ნუ შეგვრეკავო! მეთევზეები პირიქით შესთხოვენ: გზა აურიე, უფალო, თევზებს და ბადეებში შერეკო! და ამ ღმერთმა რომლის თხოვნა უნდა შეისმინოს? ამიტომაც, ხან თევზებს უსმენს, ხან მეთევზეებს და აი, ასე ბრუნავს სამყარო!

ამასობაში, მარიამის ძე აღმართიან საძოვარს აჰყვა, რათა იმ წყეულ სოფელში, მაგდალაში არ გაევიღო და არ წარწყმედილიყო. უყურებდა ამ თვალწარმტაც, ფინიკებში ჩაფლულ გზაგასაყარს, რომელზეც დღედაღამ გადიოდნენ ქარავნები – ზოგი მათგანი ევფრატიდან და არაბეთის უდაბნოდან მოდიოდა და დიდი ზღვისაკენ მიემართებოდა, ზოგიერთი კი დამასკოდან და ფინიკიიდან - ნილოსის ამწვანებული ხეობისაკენ აგრძელებდა გზას. აგერ, სოფლის შესასვლელში, კამკამა წყლით სავსე ჭის კიდეზე ქალი ჩამომჯდარა, მკერდმოღეღილი, ფერუმარილნაცხები და ვაჭრებს მაცდურად უღიმის... არა, უნდა გაეცალოს აქაურობას, პირდაპირ ტბისკენ უნდა მოჰრას გზა, რათა უდაბნომდე მიაღწიოს! იქ, ერთ ამომშრალ ჭაში სუფევს ღმერთი და მას ელის.

ღმერთზე ფიქრმა გაამხნევა, აჩქარდა. მზეს თითქოს შებრალებოდა მთიბავი ქალწულები, დასავლეთისკენ გადახრილიყო, მცხუნვარება ოდნავ დაეცხრო. ქალები გულაღმა გაწოლილიყვნენ თივის ბულულებზე, ისვენებდნენ, ერთმანეთს ეშაირობდნენ და კისკისებდნენ. მკერდმოღეღილი, დასიცხული ქალები მთელი დღე მზის გულზე მუშაობდნენ, კაცებს გვერდით ედგნენ და იმათსავით ოფლად იღვრებოდნენ, ცეცხლმოკიდებული ქალწულები კი ახლა შაირობითა და ხალისით იშომინებდნენ ნაჯაფარ სხეულებს.

მარიამის ძემ მათს სიცილ-კისკისს ყური ჰკიდა და გაწითლდა, მხოლოდ იმას ნატრობდა, აღარასდროს მოესმინა ადამიანის ხმა. ფიქრი სხვაგან წაუვიდა, გაახსენდა ახმახი მწყემსის – ფილიპეს სიტყვები და ამოიოხრა:

- მაგათ რა იციან, როგორ ვიტანჯები, — ჩურჩულებდა, - რაკი ჯვრებს ვაკეთებ, რა ჰგონიათ? რა იციან, სინამდვილეში, მაგ დროს მე ვის ვერკინები...

ქოხმახის წინ ორი მიწათმოქმედი გაბურძგნილი წვერიდან და თმიდან თივას იცლიდა, ბანაობდნენ. ძმები უნდა ყოფილიყვნენ, მოხუცი დედა კი მწირ ვახშამს უმზადებდათ – კოცონზე სიმინდს წვავდა და ჰაერში მისი სურნელი ტრიალებდა.

მიწათმოქმედებმა დაქანცული და მტვერში ამოგანგლული მგზავრი რომ დაინახეს, შეებრაღათ და უნმეს:

- ჰეი, სად მიდიხარ? გეტყობა, შორიდან მოემართები, მაგრამ აბგაც კი არ გაქვს, მოდი ერთი, პური გაგვიტეხე.

- სიმინდის ტაროც მიირთვი, — შესთავაზა მოხუცმა დიასახლისმა.

- ერთი თასი ღვინო მაინც დაგვილიე, ცოტა იქნებ მოფერიანდე, - ისევ შეიპატიჟეს ძმებმა.

- არ მშია, არ მინდა, დიდი მადლობა! — მიუგო და სწრაფადვე გაეცალა. თან ფიქრობდა: „რომ იცოდნენ ვინა ვარ, ჩემთან გამოლაპარაკებაც კი შესძაგდებოდათ“.

- როგორც გენებოს, – მიაძახა ერთმა გულდაწყვეტით, – მაგრამ მგონი, არ გვკადრულობ.

„მე ჯვარმცმელი ვარ!“ - უნდოდა ეთქვა, თუმცა შეეშინდა. თავი ჩაღუნა და გზა განაგრძო.

ღამე ალესილი ხანჯალივით აღიმართა. გორაკებმა შევარდისფრებაც კი ვერ მოასწრეს, მიწა ერთიანად გალურჯდა და უცებ გაშავდა. სინათლე, ხის კენწეროებსღა რომ შერჩენოდა, ელვის სისწრაფით აიჭრა ცაში და გაუჩინარდა. წყვდიადმა მარიამის ძეს გორაკის წვერზე მიუსწრო. იქ, ზემოთ ერთი კედარი იდგა, ქარებისაგან არაერთგზის გალახული, მრავალნაცადი, მაგრამ მაინც ძლიერი. ყანიდან ჰურისა და დამწვარი ფიჩხის სურნელი აღწევდა, აქა-იქ მიმოფანტული ქოხებიდან კი სავანშმო კვამლი იფანტებოდა.

მარიამის ძეს შიოდა, სწყუროდა და წამიერად შენატრა იმ მუშაკებს, რომლებმაც დღიური სამუშაო მოამთავრეს, დაქანცულები და მშვივრები თავიანთ ღარიბულ ქოხებს უბრუნდებოდნენ და შორიდანვე ამხნევებდათ საკვამურიდან ამოსული კვამლის ხილვა, ვანშმის სამზადისში მყოფი ცოლის წარმოდგენა.

უეცრად იგრძნო, მელიებსა და ჩიტებზე უფრო მარტოსული რომ იყო და მათზე უფრო გარიყული. მათ ხომ ბუდეები მაინც აქვთ, რომელშიც თბილი, საყვარელი არსებები უსხედან და ელიან. მას კი არავინ ჰყავს, დედაც კი არ ჰყავს. კედრის ძირში მოიკეცა, გორგალივით მოიკუნტა, ერთიანად კანკალებდა და ბუტბუტებდა:

- გმადლობ, უფალო, ყველაფრისთვის! გმადლობ ამ მარტოსულობისთვის, გმადლობ შიმშილისთვის, სიცვიისთვის არაფერი არ მაკლია! - ეს თქვა თუ არა, უსამართლობის შეგრძნება დაეუფლა, გალიაში გამომწყვდეული მხეცივით აცეცებდა თვალებს, ღაწვები ბრაზისა და შიშისაგან უთამაშებდა. მუხლებზე წამოიწია და ჩაბნელებულ ბილიკს მიაშტერდა, საიდანაც ჯერ კიდევ მოისმოდა ზემოთ ამომავალთა ნაბიჯებისა და ქვების ცვენის ხმა. საზარელი ღრიალი აღმოხდა ხორხიდან, სრულიად უნებლიედ. თვითონაც შეაშინა ამ ხმამ:

- მოდი, დედაკაცო, ნუ იმალები! აჰა, დაღამდა. ვერავინ გხედავს, გამოჩნდი!

სუნთქვა შეეკრა, ელოდებოდა.

კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ ღამეული მშვიდი, ტკბილი, მარადიული ხმები ისმოდა — ჭრიჭინების, კუტკალიებისა და ფრინველების ფრთხილ-გადაძახილი, საბრალობლად რომ ოხრავდნენ... შორიდან ატანდა ძაღლების ყეფა, თითქოს ვერ შეჰგუებოდნენ, რომ მათი დანახვა სიბნელეში შეუძლებელი იყო და კაცთა მოდგმას შეახსენებდნენ თავს..

კისერი წაიგრძელა, სჯეროდა, რომ კედრის ძირში, მის წინ ვიღაც იდგა. ახლა უკვე მუდარით შესჩურჩულებდა: „დედაკაცო... დედაკაცო...“, რათა უხილავის გული მოეგო და უცდიდა...

უკვე აღარ კანკალებდა, შუბლიდან და ილღიებიდან ოფლი სდიოდა.

უყურებდა, უყურებდა, აყურადებდა. უცებ მოეჩვენებოდა, რომ წყვილიადში ვიღაც გადაიხარხარებდა, თითქოს იხილა კიდეც, ჰაერი როგორ იკუმშებოდა და იკვრებოდა, სხეულად როგორ იქცეოდა და ქრებოდა...

მარიამის ძე ოფლად იღვრებოდა, ცდილობდა სიბნელეში რამე გაერჩია, აღარ ყვიროდა, აღარ ევედრებოდა, მხოლოდ ოფლად იღვრებოდა. ჩამუხლულიყო კედლის ძირში კისერგაწვდილი და ელოდა...

ქვებზე დგომისგან მუხლები დაუწყლულდა, კედარს მიეყრდნო, თვალები დახუჭა და ამ დროს, სრულ სიმშვიდეში, მდუმარებაში, წამწამებს შორის გაარჩია იგი. სხვაგვარს ელოდა და სხვაგვარი მოეახლა. ელოდა, როგორ მოვიდოდა გატანჯული დედამისი, დაადებდა თავზე ხელებს და შეაჩვენებდა, მაგრამ ახლა! ნელა, ცანცახით გაახილა თვალები: ქალის ვეება სხეული აელვარდა მის წინაშე, ერთიანად რკინის მსხვილი ფარფლებით დაფარული, მაგრამ თავი ადამიანისა კი არ ჰქონდა, არწივისა ედგა მხრებზე – ყვითელი თვალებით, და კაუჭა ნისკარტში ხორცის ნაფლეთი მოექცია. დაჟინებით, დაუნდობლად უმზერდა მარიამის ძეს.

- სხვაგვარი წარმომედგინე, – ჩურჩულებდა, – და სულ სხვა მოხვედი... შენ არ ხარ დედა... ჯანდაბა, ბოლოს და ბოლოს, მითხარი ვინა ხარ?!

ეკითხებოდა, ელოდა, კვლავ ეკითხებოდა. წყვილიადში კი მხოლოდ ყვითელი თვალები ელვარებდნენ.

და უეცრად მარიამის ძე ყველაფერს მიხვდა.

- წყევლის დემონი! — აღმოხდა და გულადმა დაეცა მიწაზე.

VII

ზემოდან ზეცა აფრქვევდა ნაპერწკლებს, ქვემოთ კი მიწა კაწრავდა ქვებითა და ეკლებით. მკლავები განზე გაეშალა და ისე იკლაკნებოდა, თითქოს მთელი დედამიწა ჯვარი იყო, თვითონ კი – მასზე ჯვარცმული და ტკივილისაგან გმინავდა.

თავზე ღამემ გადაუარა, თავისი მცირე და დიდი ამალით – ღამის ფრინველებითა და ვარსკვლავებით. გარშემო მდებარე კალოებიდან ადამიანთა მორჩილი ძაღლები ყეფდნენ და პატრონების ქონებას დარაჯობდნენ. სციოდა, კანკალებდა. წამიერად ჩათვლემდა და სიზმარიც მაშინვე ააფარფატებდა, შორეულ, თბილ მხარეებში მიჰყავდა, მაგრამ ისევ ძირს ანარცხებდა — მიწაზე, ქვებზე.

შუალამისას, ქვემოდან გორაკის წვერს მხიარული ზანზალაკების ხმა მისწვდა, ზანზალაკების ჟღარუნის მიღმა მეაქლემის სევდიანი მღერაც ისმოდა. ვიღაც საუბრობდა, ვიღაც ოხრავდა, იქვე ქალის ტკბილი ხმაც გაისმა სიბნელეში, თუმცა გზაზე მალევე ისევ მდუმარებამ დაისადგურა. ოქროსუნაგირიან აქლემზე ამხედრებული, ცრემლებისაგან სახეწაშლილი, ლოყებზე ფერუმარილმითხაპნილი

მაგდალინელი მოდიოდა ღამის წყვილიაღში. მდიდარი მექარავნები სამყაროს ოთხივე კუთხიდან ჩამოსულიყვნენ მასთან, მაგრამ ვერც ჭასთან იპოვეს იგი და ვერც თავის მიწურში ნახეს, ამიტომაც მეაქლემეს დაავალეს, ყველაზე ჯიშთან აქლემზე შემჯდარიყო, მოეძებნა მაგდალინელი და სწრაფად მიეყვანა მათთან. ძალზე გრძელი და დაბრკოლებებით აღსავსე აღმოჩნდა მათი გზა, მაგრამ მაგდალინელის სხეულზე ფიქრით გულს იმაგრებდნენ. თუმც არ დაუხვდათ ეს სხეული, ვერ იპოვეს, მეაქლემე გაგზავნეს მის მოსაძებნად და ახლა ერთად ჩამომსხდარიყვნენ მის ეზოში, თვალდახუჭულნი მოელოდნენ.

ზანზალაკების ხმა ღამეში მიიკარგა, გამორეულდა, მარიამის ძეს ეს ხმა ნაზ ღიმილს აგონებდა, დიდ მინდორში ჩამოდენილ წყაროს ახსენებდა, რომელიც რაკრაკით, ალერსიანად იმეორებდა მის სახელს. და ასე, ნაზად, დაყვავებით, აქლემის ზანზალაკებს ფიქრმიდევნებული კვლავ ძილს მიეცა.

და იხილა სიზმარი: თითქოს მთელი სამყარო ერთი მწვანე, აყვავებული მდელო იყო, ხოლო ღმერთი კი - შავგვრემანი მწყემსი ყრმა, რომელსაც ახლად ამოწვერილი, ჯერაც თოთო, ორი შავი რქა ამშვენებდა. ბინძური წყაროს პირას ჩამომჯდარიყო და სალამურს აკვნესებდა. ასეთი ტკბილი, ალერსიანი ხმა არასდროს მოესმინა მარიამის ძეს. ღმერთ-მწყემსი უკრავდა და მიწა მუჭა-მუჭა ბუჟდებოდა, ირწეოდა, მრგვალდებოდა, ცოცხლდებოდა და უეცრად მდელო რქებდაგრეხილი, ლამაზი ირმებით აივსო. ღმერთი დაიხარა, წყალს ჩახედა და შლამიან წყალში თევზები გაჩნდნენ. ხეებს მიაპყრო მზერა და ფოთლები დაგორგოლავდნენ, ჩიტებად იქცნენ და აჭიკჭიკდნენ; სალამურზე დაკვრა განაგრძო, უფრო მძლავრად, უფრო ხმამაღლა და უეცრად, მიწიდან ადამიანის ზომის ორი მწერი ამოძვრა და საგაზაფხულო მდელოზე ერთმანეთის ხვევნა დაიწყეს. მდელოს ერთი ბოლოდან მეორემდე მიმოდინდნენ, ერთმანეთს ეტმასნებოდნენ, შორდებოდნენ, კვლავ ეხვეოდნენ, ურცხვად იცინოდნენ, მწყემსს შესცინოდნენ და უსტვენდნენ. მწყემსმა ყრმამ სალამური ტუჩებიდან მოიშორა, ურცხვ, თავაშვებულ წყვილს უყურებდა. მაგრამ უცბადვე მოიღუშა, სალამური მოიქნია, ზედ ფეხით შედგა, მიწა გაიხსნა და ერთმანეთის მიყოლებით გაუჩინარდნენ ირმები, ჩიტები, ხეები, წყლები და ერთმანეთს მიწებებული ქალ-კაციც...

მარიამის ძემ შეჰყვირა, გამოელვიძა... მაგრამ გამოლვიძების წამს მაინც მოასწრო და თვალი შეავლო კაცისა და ქალის ერთმანეთზე აკრულ სხეულებს, რომლებიც მისი წიაღის ბნელ ჯურღმულში შთაინთქნენ. შიშისაგან ფეხზე წამოხტა:

- ანუ ეს ტალახი, - ჩურჩულებდა, - მთელი ეს სიბინძურე, ჭუჭყი ჩემშია!

ღურსმებასხმული ტყავის სალტე შემოიხსნა, სამოსელი შემოიგლიჯა და მღუმარედ, შეუბრალებლად მოჰყვა საკუთარი ფერდების, ზურგის, სახის გამათრახებას. გრძნობდა, როგორ ჟონავდა სისხლი და წვეთები ეშეფებოდა, ამოისუნთქა.

თენდებოდა. ვარსკვლავები მიიმალნენ, დილის სიგრილე ძვლებში ატანდა. მის თავსზემოთ, კედრის ხე ჭიკჭიკითა და ფრთების შრიალით აივსო. ჰაერი კი ცარიელი

იყო. არწივისთავა, რკინისაგან ჩამოსხმული წყევლის დემონი დღის სინათლეზე კვლავ უხილავი გამხდარიყო.

„წავიდე, გავეცალო აქაურობას, - ფიქრობდა, — მაგდალაში არ შემიცდეს ფეხი, წყეულიმც იყოს იგი! პირდაპირ უდაბნოსკენ უნდა წავიდე, მონასტერს შევაფარო თავი! იქ, იქ მოვკლავ ჩემს სხეულს და სულად გარდავქმნი“.

ხელი გაიწვდინა, კედრის ძლიერ ტანს მოეფერა, შეიგრძნო, როგორ ამოდიოდა ხის სული მისი ფესვებიდან, კენწერომდე აღწევდა და ნორჩ შტოებად იტოტებოდა.

- მშვიდობით, დაო ჩემო, — ჩურჩულებდა, — წუხელ შენს ჭერქვეშ შევრცხვი, მაპატიე.

თქვა დამაშვრალმა და მწუნარე ოხვრით დაუყვა დაღმართს.

დასახლებას მიაღწია. დაბლობი იღვიძებდა, მზის პირველი სხივები ევინებოდა და გადავსებულ კალოებს ოქროსფრად ღებავდა.

- მაგდალაში არ შემიცდეს ფეხი, - კვლავ ჩურჩულებდა, - მეშინია...

შეჩერდა, რათა თვალთ გამოეზომა, თუ საიდან აჯობებდა გზის მოჭრა ისე, რომ ტბამდე მიეღწია. მარჯვნივ ვიწრო გზა შენიშნა და მას დაადგა. იცოდა, რომ მაგდალა მის ხელმარცხნივ იყო, ტბა კი მარჯვნივ, ამიტომაც გულდამშვიდებით მიაბიჯებდა.

მიდიოდა, მიდიოდა და მის გონებას ფიქრები ათამაშებდნენ — მეძავი მაგდალინელიდან ღმერთთან მიჰყავდათ, ჯვრიდან სამოთხეში, დედამისიდან მამამისთან, შორეულ ზღვებამდე, შორეულ ხმელეთამდე, ათასსახოვან — თეთრ, ყვითელ და შავ ადამიანებთან. ცხოვრებაში არასოდეს გასცდენია ისრაელის საზღვრებს, მაგრამ პატარაობისას, მამამისის დარიბულ მიწურში ჩამუხლული, თვალებს დახუჭავდა და მისი გონება ოქროს ზანზალაკებმული, ნაცადი შევარდენივით მიმოდიოდა ქალაქიდან ქალაქში, ზღვიდან ზღვაზე, და სიხარულისგან ბობოქრობდა. მაგრამ ახლა ამ ფიქრებს აღარ მიჰყვებოდა, რადგან სხეული დაიმსხვრია, ხორცისაგან თავი დაიხსნა და ცისკენ მიემართებოდა. მეტი არც არაფერი ეწადა.

მიდიოდა და მიჰყვებოდა ბილიკს, რომელიც იკლაკნებოდა, იგრიხებოდა, ვენახებს შორის, ზეთისხილის ბაღებში გადიოდა, ისევ აღმართს მიუყვებოდა. მარიამის ძე გზას მიჰყვებოდა, ისე როგორც წყალს მიჰყვებიან ხოლმე ანდა მეაქლემის მონოტონურ, სევდიან სიმღერას. მთელი ეს სვლა სიზმარივით ეჩვენებოდა, ჰაეროვნად მიაბიჯებდა, მისი ფეხები მსუბუქად ედებოდა მიწას და ადამიანურ ნაფეხურს ტოვებდა — ხუთ ნათითურს, ნატერფალს. ზეთისხილის ხეები დახუნძლულ ტოტებს არხევდნენ და ესალმებოდნენ, ყურძნის მტევნები მიწას სცემდნენ, მათი შემღვრეული მარცვლები კი მზეზე ბრწყინავდნენ. ასევე ბრწყინავდნენ თეთრთავსაბურავიანი ასულები — გარუჯული, მკვრივი წვივები რომ მოუჩანდათ — და თბილად ესალმებოდნენ:

- შალომ! მშვიდობა შენდა!

შიგადაშიგ, როცა გზაზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა, უკნიდან კვლავ მძიმე ნაბიჯების ხმა ესმოდა, ინთებოდა და ქრებოდა რკინის ელვარება ჰაერში და ბოროტი სიცილის ხმაც სწვდებოდა ხოლმე მის სასმენელს. თუმცა მარიამის ძე მოთმინებით იტანდა ამას, გამოხსნისკენ მიემართებოდა, სადაცაა ტბაც გამოჩნდებოდა და ლაჟვარდოვანი წყლის მიღმა, წითელ კლდეებს შორის, შევარდენის ბუდესავით გამოკიდებულ მონასტერსაც დაინახავდა...

და ასე, მონასტერზე ფიქრში გართული, უეცრად შეძრწუნებული შედგა: მის წინ, ფინიკების ხეივნის მიღმა, ჩახუთულ ტბორებზე მაგალაა გადაშლილიყო. მისმა გონებამ კი შორიდან მოუარა, მაგრამ ფეხებმა მაინც აქ მოიყვანეს, პირდაპირ აქ - მისი ბიძაშვილის, მაგდალინელის ამ დაწყევლილ, სურნელებით სავსე სენაკში.

- არ მინდა! არ მინდა! — ჩურჩულებდა შეშინებული და უკან გაბრუნებას ცდილობდა.

მაგრამ მის სხეულს გაბრუნება არ უნდოდა. მეძებარი ძალღვივით ჩამომდგარიყო და ჰაერში სუნს იღებდა.

„უნდა წავიდე“ - კვლავ გადაუწყვიტა საკუთარ თავს, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

უყურებდა მარმარილოს კიდეებიან, უძველეს ჭას, თაბაშირით შებათქაშებულ, სუფთა სახლებს. ძაღლები ყუფდნენ, ფრინველები კაკანებდნენ, ქალები იცინოდნენ, ტვირთაკიდებული აქლემები ჭის გარშემო განრთხმულიყვნენ და იცოხნებოდნენ...

„არა, უნდა ვნახო, უნდა ვნახო! — საკუთარი წიაღიდან მოესმა ტკბილი ხმა, — აუცილებლად უნდა ვნახო! ღმერთი მოუძლოდა აქ ჩემს ფეხებს, თავად ღმერთი და არა გონება, იმისათვის, რომ ვნახო, ფეხებში ჩავუვარდე და პატიება ვთხოვო... ჩემი ბრალია, ჩემი! სანამ მონასტერში მივალ და თეთრი კვართით შევიმოსები, პატიება უნდა ვთხოვო. სხვაგვარად, ვერ გადავრჩები... გმადლობ, უფალო, გმადლობ, რომ იქ მომიყვანე, სადაც მოსვლა მე არ მინდოდა!“

სიხარულით აევსო გული. ქამარი მაგრად შემოიჭირა და მაგდალასკენ დაეშვა.

ჭის გარშემო, მუცელზე გაწოლილი აქლემების ჯგროს ჭამა მოემთავრებინა და ახლა ნელა, ზანტად იცოხნებოდნენ. ტვირთი ჯერ კიდევ ზურგზე ეკიდათ და ალბათ შორეული, კეთილსურნელოვანი ქვეყნებიდან მოდიოდნენ, რადგანაც ჰაერში სანელებლების სუნი იდგა.

ჭასთან შეჩერდა. ერთი დედაბერი წყალს იღებდა, მგზავრს თასი გაუწოდა, შესვა. უნდოდა ეკითხა სახლში იყო თუ არა მარიამი, მაგრამ შერცხვა. „ღმერთმა მომიყვანა მის სახლთან და ღმერთსვე ვენდობი. ცხადია, შინ იქნება“ - გაიფიქრა და დაჩრდილულ შუკას გაუყვა. ბევრი უცხო მგზავრი მიმოდიოდა - ზოგი თეთრ უბრალოსამოსიანი, ზოგი ძვირფას ინდურ სამოსში გამოწყობილი. პატარა ჭიშკარი გაიღო, ერთი სქელგავიანი, შავულვაშა დიასახლისი გამოჩნდა, იესო დაინახა და სიცილისაგან ლამის დაიხრჩო.

- ოხ, ოსტატს ვახლავართ, ერთი ამას დამიხედეთ! შენც თაყვანისსაცემად მიდიხარ? - თქვა და ხარხარით დაკეტა კარი.

მარიამის ძე ერთიანად აწითლდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა, „უნდა მივიდე, აუცილებლად, - ფიქრობდა, — უცილობლად უნდა ჩავუვარდე ფეხეში და პატიება ვთხოვო...“.

აჩქარდა. სახლი სოფლის მეორე ბოლოში იყო, ბროწეულების ხეივანში. კარგად ახსოვდა: მწვანე, ცალკარიანი ჭიშკარი და მასზე მაგდალინელის ერთ-ერთი ბედუინი საყვარლის მიერ მიხატული ორი გველი – შავი და თეთრი გველები, ერთმანეთს რომ ჩახვეოდნენ, ჭიშკრის თავზე კი დიდი ყვითელი ხვლიკი გაეკრათ.

გზა აერია, გამობრუნდა, ისევ მიტრიალდა, კითხვის დასმისა რცხვენოდა. სადაცაა შუადღე ჩამოდგებოდა, იქვე ზეთისხილის ხის ჩრდილს შეეფარა, სული რომ მოეთქვა. ამ დროს ერთმა მდიდარმა ვაჭარმა ჩამოიარა, რომელსაც შავი, თხასავით წვერი ჰქონდა და შავი, ნუშივით თვალები, უამრავი ბეჭედი აესხა თითებზე და მუშკის სურნელს აფრქვევდა. მარიამის ძეც მას გაჰყვა უკან.

„ღმერთის ანგელოზი იქნება იგი, - მისდევდა და ფიქრობდა, თან თვალს ვერ აშორებდა მის დიდებულად ნაგებ სხეულს და ძვირფას მოსაცმელს, მხრებს რომ უფარავდა და ჯადოსნური ფრინველებითა და ყვავილებით იყო ნაქარგი, - ღმერთის ანგელოზი იქნება, მიწაზე ჩამოსული საიმისოდ, რომ გზა მიჩვენოს“.

მტკიცედ, ფართო ნაბიჯებით მიაბიჯებდა უცხო ბატონიშვილი, მწვანე ჭიშკარიც გამოჩნდა - ერთმანეთზე გადასკვნილი ორი გველით. გარეთ, პატარა სკამზე ერთი დედაბერი ჩამომჯდარიყო, მაყალზე კიბორჩხალებს წვავდა, გვერდით კი - ორი ღრმა კეცით ბარდის ცხელ-ცხელი, წიწაკამოყრილი კოტლეტები და მოხალული გოგრის თესლი მოედგა და ყიდდა.

ბატონიშვილი დაიხარა, ვერცხლის მონეტა მისცა მოხუცს და შევიდა. მარიამის ძეც უკან მიჰყვა.

ეზოში, ერთიმეორის უკან, ფეხმორთხმით ჩამომსხდარიყვნენ ვაჭრები. ოთხნი იყვნენ და საკუთარ რიგს ელოდნენ. ორი მათგანი მოხუცი იყო, შეღებილი ფრჩხილები და წამწამები რომ ჰქონდათ, ორი კი ახალგაზრდა – ინით შეფერილ წვერულვაშიანი. მზერა ყველას პატარა ჩარაზული კარისკენ მიეპყრო, რომლის მიღმაც მარიამის საძინებელი იყო. შიგადაშიგ, ხან ხვნიშის, ხან სიცილის, ხან წამოყვირების, ხან საწოლის ჭრაჭუნის ხმები გამოდიოდა შიგნიდან, მომლოდინენიც მაშინვე შეწყვეტდნენ ახლად დაწყებულ საუბარს და აღგზნებულები ადგილზე იშმუშნებოდნენ. კარგა ხნის წინ შესული ბედუინი დასრულებას აგვიანებდა, ძალიან აგვიანებდა, ეზოში მყოფებს კი – მოხუცებსაც და ახალგაზრდებსაც, ეჩქარებოდათ. ინდოელი ბატონიშვილი რიგში ჩაჯდა, მის უკან კი მარიამის ძემ მოიკალათა.

ეზოს შუაგულში უზარმაზარი ბროწეულის ხე იდგა – ნაყოფით დახუნძლული. მის გარშემო, ჭიშკართან ორი ვეება კვიპაროსი — ხმალივით ტანაშოლტილი მამრი და ფართოდ გაშლილი, სწოროტება მდედრი ხეები აღმართულიყვნენ. ბროწეულის ხეზე

წნელისაგან შეკრული გალია ეკიდა, რომელშიც ჭრელი კაკაბი მიმოდიოდა, ნისკარტით გალიის წნელებს კენკავდა და კაკანებდა.

თაყვანისმცემლები უბიდან ფინიკებს იღებდნენ, პირს ისველებდნენ, მუსკატის კაკალს აკნატუნებდნენ, რათა მათს პირებს კარგი გემო დასდებოდათ, ხან ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ, რომ ეს გაწელილი დრო როგორმე გაეყვანათ. მობრუნდნენ და ბატონიშვილს მიესალმნენ, მის უკან მჯდომ მარიამის ძეს კი ეჭვის თვალით დაუწყეს მზერა. წინ მჯდომმა მოხუცმა ამოიოხრა და თქვა:

- ჩემს სატანჯველზე დიდი ტანჯვა არ არსებობს; აგერ სამოთხის წინ ვდგავარ და კარი კი ჩარაზულია.

ახალგაზრდა კაცმა, კოჭებზე ოქროს რგოლები რომ აესხა, გაიცინა:

- ევფრათიდან მომაქვს სანელებლები, დიდი ზღვისკენ მივემართები. ხედავთ ჩვენ წინ იმ წითელკლანჭებიან კაკაბს? მთელ დუჟინ დარიჩინსა და წიწაკას გადავიხდი მარიამის საყიდლად, ოქროს გალიაში ჩავსვამ და თან წავიყვან. სანამ დრო გაქვთ, მოასწარიტ, სწრაფად ქენით თქვენი საქმე, ჩემო თანამეინახებო, თორემ მერე მის ერთ კოცნასაც ვერ ეღირსებით.

- შენ გაგიმარჯოს, მამაცო კაცო! — საუბარში ჩაერთო მეორე მოხუცი, რომელსაც შევერცხლილი და გაზეთილი წვერი, წვერილი ხელები და ინით შეღებილი ხელისგულები ჰქონდა, ჯანი მოგცეს, შენი სიტყვა კი მის კოცნას დღეს ნამდვილად დაატკბობს.

ბატონიშვილს ხშირწამწამებიანი თვალები ძირს დაეხარა, ტანს ოდნავ არხევდა და ტუჩებს ისე ამოძრავებდა, იფიქრებდი ლოცულობსო. წინ, სამოთხეში შეღწევაც კი არ სჭირდებოდა, უკვე ისე ჩაძირულიყო მარადიულ ნეტარებაში. უსმენდა კაკბის კაკანს, უსმენდა ხვნეშისა და ჭრაჭუნის ხმას, რომელიც ჩარაზული საძინებლის მიღმიდან გამოდიოდა, უსმენდა მოხუც ქალს, კართან რომ ჩამომჯდარიყო და ცოცხალ კიბორჩხალებს მაყალზე ყრიდა, ისინი კი ნაკვერჩხალზე ხტოდნენ...

„ესაა სამოთხე, - ფიქრობდა დაღლილი, - ეს არის ის ბლანტი ძილი, რომელსაც სიცოცხლეს ვუწოდებთ, როცა სამოთხეზე ვოცნებობთ. სხვა სამოთხე კი არ არსებობს. ახლა უკვე შემიძლია ავდგე და წავიდე. მეტი სიხარული მე არ მჭირდება...“

მის წინ მჯდომმა ახმახმა, მწვანე ჩალმა რომ ეხურა, მუხლზე დაჰკრა ხელი და გაიცინა.

- ჰეი, ინდოელთა ბატონიშვილო, ამ ყველაფერზე შენი ღმერთი რაღას ამბობს?

ახალგაზრდა კაცმა ქუთუთოები აახმახმა.

- რა ამ ყველაფერზე? - ჰკითხა.

- აი, ამაზე — კაცებზე, ქალებზე, კიბორჩხალებზე, სიყვარულზე...

- რას და, იმას, რომ ყველაფერი სიზმარია, ჩემო ძმაო.

- ნეტა თქვენ, ჭაბუკნო, ნეტა თქვენ! – საუბარში ჩაერთო ჭადრაწვერიანი მოხუცი, რომელიც ახლა ქარვის კრიალოსანს მარცვლავდა, - ნეტავ თქვენ და თქვენს გონებას, ნუ გაიღვიძებთ, ნუ!

კარი გაიღო და თვალეზდასიებული ბედუინი გამოიზღაზნა. მოხუცი, რომლის ჯერიც მოსულიყო, წამში წამოხტა, ოცი წლის ვაჟივით მიიჭრა კართან:

- მიდი, მიდი, სწრაფად! ჩვენც შეგვიბრალე! — მიაძახა მომდევნო სამმა მომლოდინემ, რომელთაც რიგი მის მერე უწევდათ.

ბედუინს ყველა შურის თვალთ უყურებდა და ვერავინ ბედავდა დალაპარაკებას. გრძნობდნენ, რომ იგი ძალიან შორს, ღრმა წყლებში დალივლივებდა. და მართლაც, არც კი შემობრუნებულა, ერთხელაც არ შეუხედავს მათთვის, ეზო ისე გადაჭრა, ჭიშკარში გავიდა, ბეწვზე გადარჩა, რომ მაყალი არ ამოებრუნებინა, და შეშლილ ქუჩებში მიიკარგა. და მაშინ, ფიქრებისთვის სხვა მიმართულება რომ მიეცა, მწვანეჩაღმიანმა სქელმა ახმახმა სხვათა შორის წამოიწყო საუბარი ლომებზე, თბილ ზღვებსა და მარჯნის კუნძულებზე...

დრო გადიოდა. შიგადაშიგ გაიგონებდი როგორ ნელა, რბილად წკარუნებდნენ კრიალოსნის მარცვლები, მზერა კი მომლოდინეებს კვლავ პატარა კარისკენ მიემართათ. აგვიანებდა, მოხუცი გამოსვლას აგვიანებდა...

ინდოელი ბატონიშვილი ბედნიერი სახით წამოდგა... ყველა გაკვირვებული მოუბრუნდა: რატომ ადგა? ნუთუ არ აკოცებს? წავა? სახე გაბრწყინებოდა, ლოყები ოდნავ შეფაკლოდა, კარგად მოიხვია ნაქარგი მოსასხამი, ხელის მტევანი გულსა და პირთან მიიტანა გამომშვიდობების ნიშნად და აჩრდილივით, უსიტყვოდ გადააბიჯა ზღურბლს.

- გაიღვიძა... - თქვა კოჭებზე ოქროსრგოლებასხმულმა ჭაბუკმა და გაღიმება სცადა. მაგრამ ყველა მათგანი უეცრად რაღაც უცნაურმა, გაუგებარმა შიშმა მოიცვა და სასწრაფოდ მოჰყვნიენ ალექსანდრიისა და დამასკოს მონათა ბაზრებისა თუ მოგებათა და წაგებათა შესახებ საუბარს... თუმცა მალევე გადავიდნენ ქალებსა და ვაჟებზე, მოურიდებლად საუბრობდნენ და ტუჩებს ილოკავდნენ.

— უფალო, უფალო, – ჩურჩულებდა მარიამის ძე, — ეს სად მომიყვანე, რომელ ეზოში მომიყვანე? ვისთან ერთად ჩამაყენე რიგში, რა ხალხთან ვარ?! სამარცხვინოა, უფალო, უდიდესი სირცხვილია ეს, ძალა მომეცი, რომ გავუძლო!

თაყვანისმცემლებს მოშივდათ. ერთმა გასძახა დედაბერს და მანაც ოთხ კაცს პური, კიბორჩხალები და კატლეტები შემოუტანა, დოქით ფინიკის ღვინოც მოაყოლა. ფენი მოირთხეს, საჭმელი შუაში ჩაიდგეს და ყბების ქნევას მოჰყვნიენ. ერთი მათგანი კარგ გუნებაზე დადგა, კიბორჩხალას ქერქი კარისკენ მოისროლა და შეჰყვირა:

- დედაბერო, მალე მორჩი, გეყოფა აწი, დაამთავრე!

ყველა ახარხარდა.

- უფალო, უფალო, – ისევ აჩურჩულდა მარიამის ძე, — ძალა მომეცი, რომ არ წავიდე მანამ, სანამ ჩემი რიგი მოაწევდეს!

წვერსურნელოვანი მოხუცი მას მოუბრუნდა, შეებრაღა:

- ჰეი, შენ, არა გშია? ან არ გწყურია? მოდი, ერთი ლუკმა მაინც შეჭამე, ძალა მოგეცეს.

- ხო, ძალა მოიკრიბე, შე საბრალოვ, — დამცინავად უთხრა მწვანეჩაღმიანი ახმახმა, - შენი ჯერი რომ მოვა და შეხვალ, არ შეგვარცხვინო ჩვენ, კაცები!

მაგრამ მარიამის ძე ერთიანად აწითლებულიყო, თავი ჩაელუნა, დუმდა.

- ესეც სიზმარშია, - თქვა მოხუცმა და წვერი ჩამოიფერთხა, რომელიც კიბორჩხალას ფხებითა და ნამცეცებით ავსებოდა, — წმინდა ბელზებულს (ბელზებულს ებრაულად ორი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. ღმერთი ბუზებისა, 2. უწმინდურ სულთა მთავარი) ვფიცავ, სიზმარშია; ახლა ადგება და ესეც წავა, აგერ მე და აგერ თქვენ!

მარიამის ძეს შეეშინდა, გარშემო მიმოიხედა: იქნებ მართალი იყო ინდოელი ბატონიშვილი და ეს ყველაფერი - ეზო, ბროწეულები, მაცალი, კაკბები, ადამიანები, ეს ყველაფერი იქნებ მართლა სიზმარი იყო?.. ვინ იცის, იქნებ ახლაც კედრის ძირას წევს და ესიზმრება?

შემობრუნდა, თითქოს დახმარებას ითხოვსო. და ამ დროს დაინახა, როგორ ჩამომდგარიყო ჭიშკართან, მამრი კვიპაროსის გვერდით, ერთიანად რკინაში ჩასმული, იარაღსხმული, გახევებული, არწივისთავიანი თავისი თანამგზავრი. და მისი დანახვისას, ახლა პირველად იგრძნო, რომ შემსუბუქდა და იმედი მიეცა.

ქანცგაწყვეტილი მოხუცი საძინებლიდან გამოვიდა, შიგნით კი მწვანეჩაღმიანი ახმახი შევიდა. დრო გავიდა, ოქროსრგოლებიანი ჭაბუკის ჯერიც დადგა. მერე ქარვისკრიალოსნიანი მოხუციც შევიდა. მარიამის ძე მარტოდმარტო დარჩენილიყო ეზოში და თავის რიგს ელოდა.

მზე სადაცაა ჩავიდოდა, ცაზე მონანავე ორი ღრუბელი ოქროსფრად ავსებულებოდა და ერთ ადგილას შემდგარიყო. ალაგ-ალაგ ოქროვანი ეფინა ხეებსა და მიწას.

ქარვისკრიალოსნიანი მოხუციც გამოვიდა, წუთით ზღურბლზე შედგა, გაოფლილი თვალები, ცხვირი, ტუჩები შეიმშრალა და ჭიშკრისაკენ ტაატ-ტაატით გაემართა.

მარიამის ძე წამოდგა. მამრი კვიპაროსისკენ მიბრუნდა, მისი თანამგზავრიც მისკენ დაიძრა, რათა მიჰყოლოდა. სცადა დალაპარაკებოდა, შევედრებოდა: გარეთ, კარს მიღმა დამელოდე, მარტო მინდა დავრჩე მასთან, არსად წავალო, — მაგრამ იცოდა მის სიტყვებს ქარი წაიღებდა და აღარაფერი უთქვამს. წელზე სარტყელი მოიჭირა, თვალები ცისკენ ადაპყრო, წამით შეყოვნდა, მაგრამ ამ დროს ჩახლეჩილი, გაბრაზებული ხმა მოისმა საძინებლიდან: „კიდეც არის მანდ ვინმე? შემოსვლას არ აპირებს?“ - მაგდალინელის ხმა იყო. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ფეხი გადადგა, კარი სანახევროდ ღია იყო, შევიდა, სულ ცახცახებდა.

სრულიად შიშველი და ოფლდასხმული მაგდალინელი გულაღმა იწვა, ყორნისფერი თმა ბალიშზე ეღვრებოდა, მკლავები თავქვეშ ამოედო, სახე კედლისკენ

მიექცია და ამოქნარებდა. გამთენიიდან მოყოლებული კაცებთან შერკინებით დაქანცულიყო. მისი სხეული, თმა, ფრჩხილები ყველა ტომის სურნელს აფრქვევდნენ. ყელი, მკერდი და მკლავები კი ნალოშნით ჰქონდა სავსე.

მარიამის ძემ თვალი აარიდა, საძინებლის ზღურბლზე შეჩერდა. ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა. მაგდალინელი კი, კედლისაკენ პირმიქცეული, უძრავად იწვა და ელოდა, მაგრამ ზურგიდან არც კაცის ოხვრა არ ესმოდა, არც ტანსაცმლის გახდის ხმა და არც ხშირი სუნთქვა. შეეშინდა. თავი სასწრაფოდ მოაბრუნა, რომ დაენახა და უეცრად შემადრწუნებელი ხმა აღმოხდა, ზეწარს ეცა, შემოიხვია.

- შენ?! შენ?! — ამბობდა და ხელებს ტუჩებსა და თვალზე იფარებდა.

- გთხოვ, მარიამ, გთხოვ, მაპატიე!

მაგდალინელს ხრინწიანი, შემადრწუნებელი სიცილი აუტყდა, თითქოს მისი ყელის ყველა იოგი ერთად მოიჭიმაო.

- მარიამ, – კვლავ თქვა, – მაპატიე!

და უეცრად, მარიამი მუხლებზე დაეცა, ზეწარში გამოხვეულმა მუშტი ჰაერში აღმართა და მთელი არსებით შესძახა:

- ამისთვის მოეხეტე? იმისთვის შეერიე ჩემს საყვარლებს, რომ დამცინო და აქაურობა აბუჩად აიგდო? რომ აქ, ამ ჩემს თბილ ლოგინში ჩამომითრიო შენი კუდიანი ღმერთი? დაგაგვიანდა, ძალიან დაგაგვიანდა! არც შენი ღმერთი არ მჭირდება. მაგან მომიკლა გული!

ამბობდა, გმინავდა და ზეწარს მიღმა გამალებით ადი-ჩადიოდა მისი მკერდი.

- გული მომიკლა... გული, გესმის, გული მომიკლა... – კვლავ ამოიგმინა, ორი ცრემლი ჩამოუგორდა თვალებიდან და გრძელ წამწამებს დაეკიდა.

- ნუ მკრეხელობ, მარიამ! ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი და არა ღმერთისა. იმიტომ მოვედი, რომ პატიება გთხოვო.

მაგრამ მარიამი გამძვინვარდა:

- შენი ღმერთიც შენნაირია, მსგავსნი ხართ, ვერც კი გარჩევთ ერთმანეთისგან! ზოგჯერ, ღამით, წყეულიმც იყოს ეგ დრო, ღამით, როცა მასზე ფიქრი მომეძალება, მაშინაც შენი სახით მოდის, თავს შენი სახით მესხმის ხოლმე ღამის წყვილიადში. და თუ მოხდა, რომ – ჯანდაბა იმ წამს – შენ წაგაწყდი სადმე ქუჩაში, ასე მგონია, მაშინაც ღმერთს ვუყურებ, რომელიც მოდის და თავს მესხმის.

ჰაერში მუშტი გაშალა:

- ღმერთს შეეშვი, – შეჰყვირა, – შეეშვი და გამეცალე! ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს! ერთადერთი თავშესაფარი და ნუგეშილა დამრჩენია – ეს ჭაობი! ეს ერთადერთი სინაგოგალა დამრჩა, სადაც შევდივარ, ვლოცულობ და განვიწმინდები – ხო, ეს ჭაობი!

- ყური დამიგდე, მარიამ, მაცადე გითხრა! ნუ გამაგდებ, ამიტომ მოვედი, დაო ჩემო, იმისთვის მოვედი, რომ ჭაობიდან ამოგიყვანო. ბევრი ცოდვა მაქვს, უამრავი და უდაბნოში მივდივარ, რათა გამოვისყიდო ეს ყოველივე. მარიამ, ცოდვა მრავლად მიმიძღვის, მაგრამ, მათ შორის, უმძიმესი შენი უბედურებაა!

მაგდალინელმა ბასრფრჩხილებიანი ხელები მოულოდნელი სტუმრისაკენ გაიშვირა, თითქოს ლოყები უნდა ჩამოუნოკოსო.

- და რომელი უბედურება? — ამოიკვილა, - ძალიანაც კარგად, მშვენივრად ვარ, არაფერში არ მჭირდება შენი სიბრალოლი! მარტოდმარტოც გადასარევად ვართმევ თავს, არავისი და ხმარება არ მჭირდება - არც კაცთა მოდგმის, არც დემონების და არც ღმერთების! მარტო ვიბრძვი, რომ გადავრჩე და გადავრჩები!

- რომ გადარჩე? ვისგან ან რისგან?

— არა იმ ჭაობისგან, შენ რომ ფიქრობ! დალოცვილი იყოს იგი! იგია ჩემი ყველა იმედი. იგია ჩემი გამონსნის გზა.

- ჭაობი?

- ხო, ჭაობი! სირცხვილი, ჭუჭყი, ეს საწოლი, ეს სხეული, დაკბენილი, მთელი სამყაროს ნერწყვით, ოფლითა და მტვრით მოთხვრილი! ასე ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ უცოდველი კრავივით, არ მომიახლოვდე, შე მშიშარავ! არ მინდიხარ, მეზიზღები, არ შემეხო! მთელი მიღეთის კაცებს მივეცი ჩემი თავი, იმისთვის რომ ერთი კაცი ანუ შენ დამევიწყებინე!

- ჩემი ბრალია, - გაიმეორა მოგუდული ხმით და მოშვებული სარტყელი წელზე შემოიჭირა, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა სისხლის შხეფები, - ჩემი ბრალია. მაპატიე, დაო ჩემო, მაგრამ გამოვისყიდი, ვზღავ ამისთვის.

ქალის ყელიდან ველურმა სიცილმა ამოხეთქა:

- „ჩემი ბრალია... ჩემი ბრალი, დაო... მე გადაგარჩენ...“ - უბადრუკად შემომბლავი იმის ნაცვლად, რომ კაცურად ასწიო თავი და სიმართლეს თვალი გაუსწორო! ჩემი სხეულის წადილი გკლავს, მაგრამ ამის თქმას ვერ ბედავ და ახლა ჩემს სულს ებლაუჭები. თანაც, გინდა, რომ გამოიხსნა! რომელ სულს უნდა უმკურნალო, ექიმბაშო? ქალის სული სხეულია და ეს შენც კარგად იცი, მაგრამ ვინ მოგცა საამისო ვაჟკაცობა, რომ ამ სულს შეეხო, მას აკოცო! კოცნით დაიხსნა! მეცოდები, მეცოდები და მეზიზღები!

- შვიდ დემონს შეუპყრიხარ, უსირცხვილოვ — ახლა უკვე თვითონაც აღარ დაინდო, ხმა აღიმალლა და ერთიანად ცეცხლი მოედო სახეზე, — შვიდი დემონი გდევენს! მართალს ამბობს უბედური მამაშენი!

მაგდალინელი აბობოქრდა, ბრაზით მოკრიფა გაშლილი თმა, დაახვია და წითელი აბრეშუმის თასმით შეიკრა. კარგა ხანს სიტყვა არ დასცდენია. ბოლოს, ტუჩები შეარხია:

- შვიდი დემონი კი არა, მარიამის ძევ, შვიდი დემონი არა, შვიდი ჭრილობაა! შეიგნე, რომ ქალი დაჭრილი ფურირემია და უბედურს სხვა სიხარული არ გააჩნია გარდა იმისა, რომ თავისი ჭრილობები ლოკოს და ლოკოს...

თვალეები ცრემლმა ამოუვსო. ხელის მტევნით მოიწმინდა, ერთი კვლავ შეხედა, ისევ აირია:

- აქ რას მიდგახარ? ჩემს ლოგინთან რა ხელი გაქვს? რას ელი ჩემგან? წადი!

იესომ ნაბიჯი გადადგა წინ, მიუხლოვდა:

- მარიამ, გაიხსენე, ჯერ კიდევ ბავშვები რომ ვიყავით...

- არა, არაფერს გავიხსენებ! რა კაცი ხარ? ისევ განაგრძობ ჩემთან ღლაბუცს, არც კი გრცხვენია? ერთხელაც კი არ გეყო სიმამაცე, რომ მარტოდმარტო დამდგარიყავი, როგორც კაცი, მარტო და სხვის იმედად არ ყოფილიყავ. ხან დედაშენის კაბის კალთას ებლაუჭები, ხან ჩემი კაბის კალთას, ხან კიდევ ღმერთისას! არ შეგიძლია მარტო დარჩენა, იმიტომ რომ გეშინია! არ შეგიძლია გაბედულად ჩახედო თვალეებში შენს სულს, შენს სხეულს, იმიტომ რომ გეშინია! უდაბნოში მიდიხარ, რათა შეეფარო, ქვიშაში ჩარგო თავი და ესეც იმიტომ, რომ გეშინია! გეშინია, გეშინია, უბადრუკო! მეზიზღები, მეცოდები და როცა კი მანსენდები, გული მიკვდება...

მეტი აღარ შეეძლო, ცრემლად იღვრებოდა. თვალეებს შლეგივით იმშრალეებდა, მაგრამ სდიოდა და სდიოდა ცრემლი და ზეწარს აღჰობდა.

კაცს კი გული გაგლეჯას ჰქონდა. ოხ, ღმერთის რომ არ შინებოდა, მივარდებოდა, შემოეხვეოდა, ცრემლს შეუშრობდა, თმაზე მოეფერებოდა, დაამშვიდებდა, ხელს მოჰკიდებდა და თან წაიყვანდა! - მართალია! თუ კაცია, სწორედ ასე უნდა მოიქცეს, რომ გადაარჩინოს. რა ლოცვები, რის მარხვები და მონასტრები, რა დროს ესაა. რა მათი საქმეა, რანაირად გამოიხსნიან ქალს ამ ყოველივესგან? მოჰკიდოს ხელი, ამ საწოლს მოაშოროს, წაიყვანოს, შორს რომელიმე სოფელში სახელოსნო გახსნას, რათა იქ იცხოვრონ ისე, როგორც სხვა ქალეები და კაცები ცხოვრობენ, გააჩინონ ბავშვები, სტკიოდეთ და უხაროდეთ ისე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს... ესაა გზა ქალის გამოხსნისა და მასთან ერთად, კაცის გამოხსნისაც. სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს!

უკვე ღამდებოდა. სადღაც შორს ჭექა-ქუხილი ატყდა. კარის ღრიჭოდან ელვის შუქი შემოიჭრა, გაანათა და ჩააქრო მარიამის ერთიანად გაფითრებული სახე. ისევ განმეორდა გრგვინვა, ახლა უფრო ახლოს. არეული ცა მიწაზე ჩამოსულიყო.

ვაჟმა უსაშველო დაღლილობა იგრძნო, მუხლები მოეკვეთა და იატაკზე ფეხი მოირთხა. მძალე სუნი ეცა, პირზე ხელი წაივლო, გულისრევა რომ შეეჩერებინა - მუსკატის, ოფლის, თხის სუნი ერთმანეთში არეულიყო.

წყვდიაღში მარიამის ხმა გაისმა: - ჩამოვალ, ჭრაქს ავანთებ... შიშველი ვარ, მიბრუნდი!

- წავალ, - თავისთვის ჩაილაპარაკა და მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ წამომდგარიყო.

მარიამს ვითომ არ გაუგონიაო, განაგრძო:

– ერთი გარეთ გახედე, კიდეც ვინმე ხომ არაა... და თუ არის, უთხარი – წავიდეს!

ჭაბუკმა კარი გამოაღო, თავი გაყო. ჰაერი ბნელს მოეცვა, ბროწეულის ხეების ფოთლებს აქა-იქ მსხვილი წვეთები ეცემოდა... ცაც, მიწის თავზე, ისე ირწეოდა, იფიქრებდი, სადაცაა დაემხოზაო. დედაბერს მხურვალე მაყალი კვიპაროსის ხის ძირში გადაეტანა და თვითონაც იქვე შეყუჟულიყო.

- არავინაა, - თქვა ჭაბუკმა და კარი მიაჯახუნა. ქარიშხალი ატყდა.

ამასობაში, მაგდალინელი საწოლიდან ჩამოვიდა, თბილი მოსასხამი შემოიხვია, რომელსაც ამოქარგული ლომები და ირმები ამშვენებდა და რომელიც დილით ერთმა არაბმა საყვარელმა უსახსოვრა. გააჟრჟოლა, მის ზურგსა და გვერდებს სამოსის სითბო ეამა. ფეხისწვერებზე შედგა და კედლიდან ჭრაქი ჩამოხსნა.

- არავინაა, — გაიმეორა ჭაბუკმა უკვე მომღბალი ხმით.

— და დედაბერი?

- კვიპაროსის ქვეშაა, ქარიშხალია გარეთ.

მარიამი ეზოში გაიჭრა, ანთებული მაყალი დაინახა და მიუახლოვდა.

- მოხუცო ნოემი, — თქვა და ხელი ჭიშკრის ურდულს წაავლო, — წაილე შენი მაყალი და კიბორჩხალები და გასწი! ჭიშკარი უნდა ჩავრაზო. დღეს აღარავის მივიღებ!

- საყვარელი გყავს შიგნით? – ჩაიბურტყუნა დედაბერმა უკმაყოფილოდ, რადგან ღამის კლიენტებს კარგავდა.

- კი, შიგნითაა. წადი! — უპასუხა მაგდალინელმა.

დედაბერი ბურტყუნ-ბურტყუნით წამოიზღაზნა და თავისი ნივთების მოგროვება დაიწყო.

- მოკითხვა ჩამოძონძილ რაინდს! – ჩაილაპარაკა.

მაგრამ მარიამს ეჩქარებოდა და ხელით უბიძგა. ჭიშკარი ჩარაზა. ცა გახსნილიყო, ერთიანად მის ეზოში ჩამოქცევას ლამობდა. მარიამი კი სუფთა, მხიარული ხმით ღლინებდა, თითქოს ბავშვია და წვიმას პირველად ხედავსო. შინ რომ შებრუნდა, ძვირფასი მოსაცმელი ერთიანად გალუმპვოდა. სტუმარი ოთახის შუაგულში ჩამომდგარიყო და ორჭოფობდა: წასულიყო თუ დარჩენილიყო? რომელი უნდა ყოფილიყო ნება ღვთისა? აქ მყუდროდაა, თბილად, ამ გულისამრევ სუნსაც შეეგუა. გარეთ კი წვიმა და სუსხიანი ქარია. მაგდალაში არავის იცნობს და კაპერნაუმიც შორსაა. წავიდეს თუ დარჩეს? მისი სული ზანზალაკივით ჟღარუნობდა.

- იესო, ღმერთი წვიმას ნიაღვარივით გვასხამს. მთელი დღის უჭმელი იქნები, მომეხმარე, ცეცხლი დავანთოთ და საჭმელი მოვამზადოთ...

ხმა დედასავით ნაზი და მზრუნველი გახდომოდა.

- არა. წავალ, — ისევ გაიმეორა და კარისაკენ მიბრუნდა.

- მოიცა, ერთად ვივანხმობთ! — შეევედრა მაგდალინელი, — გეზიზღება? მეძავთან ერთად ჭამას უფროთხი?

ვაჟმა ბუხრის წინ, ორ საცეცხლურ ქვასთან ჩაიმუხლა, მერე კუთხიდან შეშა და აბედი აიღო და ცეცხლი გააჩაღა.

მაგდალინელს სახეზე ღიმილი ეფინა, გული დამშვიდებოდა. წყლით სავსე ვარცლი სამფეხზე შემოდგა, კედელზე ჩამოკიდებული ტომრიდან ორი პეშვი ხმელი ცერცვი ამოიღო და ვარცლში ჩაყარა. ანთებული ცეცხლის წინ ჩაიმუხლა და მიაყურადა. გარეთ ცა ჩამოქცევას ლამობდა.

- იესო, - ისევ გაისმა მისი ხმა, - წელან მკითხე, თუ განსოვს, ბავშვები რომ ვიყავით და ვთამაშობდითო...

მაგრამ ბუხრის წინ ჩამუხლული მარიამის ძე ცეცხლს უყურებდა და გონება სხვაგან უქროდა. უკვე უდაბნოს მონასტრამდეც კი მიედწია, თეთრი კვართით შემოსილიყო, სიმშვიდეში ნეტარებდა და მისი გული, როგორც პატარა, ბედნიერი ოქროს თევზი, ღმერთის ღრმა წყლებში მშვიდად ცურავდა. გარეთ ქვეყანა ინგრეოდა, მის შიგნით კი სიმშვიდე, სიყვარული, უნიფათობა სუფევდა.

- იესო, - ისევ განაგრძობდა, - მკითხე, განსოვს თუ არა, ბავშვები რომ ვიყავით და ვთამაშობდითო...

მაგდალინელის სახე ცეცხლის ალს ირეკლავდა და გახურებული რკინასავით ღუოდა, მაგრამ სიმშვიდეში ჩაძირულ ვაჟს მისი არ ესმოდა.

- იესო, - ქალი მაინც არ ჩუმდებოდა, - შენ სამი წლისა იყავი მაშინ, მე კი შენზე ერთი წლით უფროსი. ჩემი სახლის კარს სამი საფეხური ჰქონდა, ვიჯექი ხოლმე ზედა საფეხურზე და გიყურებდი, როგორ საათობით ეწვალეობდი, როგორ ეცემოდი, დგებოდი და პირველ საფეხურზე ამოსვლაც კი არ შეგეძლო. ხელსაც არ შეგაშველებდი ხოლმე, რადგან მინდოდა თვითონ მოსულიყავი ჩემამდე, გეწვალა და ისე მოგედწია... განსოვს?

ერთი დემონი, იმ შვიდიდან რომელიღაცა ერთი დემონი აიძულებდა ელაპარაკა და გვერდით მჯდომი კაცი გამოეწვია.

- მერე, კარგა ხნის შემდეგ, როგორღაც ამოხვიდოდი, პირველ საფეხურს რომ დააბიჯებდი, უკვე მეორეზე ამოსასვლელად იწყებდი ბრძოლას... შემდეგ მესამე რჩებოდა, სადაც ვიჯექი გასუსული და გელოდი. ხოლო შემდეგ...

ჭაბუკი შეხტა, ხელი აიქნია და დაიყვირა:

- გაჩუმდი! გეყოს, არ გააგრძელო!

მაგრამ ქალს სახე უბრწყინავდა და უცნაურად უთამაშებდა, ცეცხლის ალი მის წარბებს, ნიკაპს, მოღერებულ ყელს ლოკავდა. ერთი მუჭა დაფნის ფოთოლი აიღო, ცეცხლში შეყარა და ამოიოხრა:

- მერე ხელს ჩამჭიდებდი, ჰო, ხელს ჩამჭიდებდი ხოლმე, იესო, გავდიოდით ეზოში და კენჭებზე ვწვებოდით. ფეხებს ვხლართავდით ერთმანეთში, ვგრძნობდით,

როგორ ენივთებოდა ერთიმეორეს ჩვენი სხეულების სითბო, როგორ ამოდიოდა ფეხებიდან თეძოებამდე, თეძოებიდან ბეჭებამდე და თვალებს ვხუჭავდით...

- გაჩუმდი! - კვლავ წამოიყვირა და სცადა ხელი პირზე აეფარებინა, მაგრამ შეჩერდა, შეეშინდა მის ტუჩებს შეხებოდა.

ქალმა ხმას დაუწია, ამოიოხრა:

- იმისთანა სითბო ცხოვრებაში აღარ მიგრძნია, — წაიჩურჩულა.

და ცოტა ხანში:

- მას მერეა, რომ იმ სითბოს დავეძებ კაციდან კაცში, სწორედ იმ სითბოს და ვერ ვპოულობ...

ვაჟს თავი მუხლებში ჩაერგო. „ადონაი უფალო, — ჩურჩულებდა, — ადონაი, დამეხმარე!“.

ოთახის სითბოსა და სიჩუმეში მხოლოდ ცეცხლის ხმა ისმოდა, რომელიც შეშას შთანთქავდა და ატკაცუნებდა. საჭმელიც თუხთუხებდა და სურნელს აფრქვევდა. გარედან ადამიანის ხმასავით შემოდიოდა ციდან ჩამოქცეული წყლის რაკრაკი, მიწა რომ წიაღს უხსნიდა და ხმას უწყობდა.

- იესო, რაზე ფიქრობ? - ჰკითხა მარიამმა და ახლა უკვე შეხედვაც ვეღარ გაუბედა.

- ღმერთზე, — უპასუხა მოგუდული ხმით, — ღმერთზე, ადონაიზე!

მაგრამ როგორც კი ეს წარმოთქვა, მაშინვე ინანა, რომ მისი წმინდა სახელი ამ სახლში ახსენა.

მაგდალინელი წამოიჭრა, საცეცხლესა და კარს შორის მიმოდიოდა, გონება ისევ ამღვრეოდა.

„ის არის, — ფიქრობდა, — სწორედ იგია ჩემი ყველაზე დიდი მტერი. ის დგება ხოლმე მუდამ ჩვენ შორის, ბოროტია, ჩვენი შურს და არ გვანებებს, რომ გავიხაროთ...“ კარს უკან დადგა, ყური მიუგდო: ცა ღმუოდა, ქარიშხალი ამოვარდნილიყო და ეზოში ბროწეულის ხეები ტოტებს ერთმანეთს ახლიდნენ.

- წვიმა შენელდა! — თქვა ბოლოს.

- წავალ, — ისევ თავისი თქვა და წამოდგა.

- ჯერ გეჭამა რამე, ძალა მოგეცემა. ან ასეთ დროს სად უნდა წახვიდე? სრული უკუნეთია და წვიმს.

კედლიდან მრგვალი სუფრა ჩამოიღო, ძირს გაშალა. ვარცლი ცეცხლიდან გადმოდგა, კედელში დატანებული კარადა გახსნა, გამომხმარი ქერის კვერი და თიხის ორი ჯამი გამოდგა.

- აი, ესაა მეძავის ვახშამი, - თქვა, - თუ არ იუკადრისებ, ღვთისმომშიშო, თუ არ შეგეზიზღება, მიირთვი.

ჭაბუკს შიოდა და ხელი დასტაცა საჭმელს. ქალმა ჩაიჭირქილა:

- ასე შეექცევი? - მაცდურად ჰკითხა, — ისე შეჭამ, რომ არ ილოცებ? განა მადლობა არ უნდა უძღვნა ღმერთს, რომელიც გვაძლევს პურს, ცერცვსა და მეძავებს?

ახალგაზრდა კაცს ლუკმა ყელში გაეჩხირა.

- მარიამ, რატომ გძულვარ? რატომ არ დამინდობ? რატომ მაქეზებ? შენთან ახლა პურს რომ ვტეხავ, ნიშნავს შევრიგდით. რაც მოხდა, მოხდა, მაპატიე. შენდობისთვის მოვედი.

- ჭამე, ჭამე და ნუ მოთქვამ. როცა არ გპატიობენ, თვითონვე უნდა მოიპოვო იგი, თუ კაცი ხარ.

პურს ხელი წაავლო, მოიტეხა და გაიცინა:

- დალოცვილ იყოს მისი სახელი, ვინც ამ სამყაროს მოუვლენს პურს, ცერცვს და მეძავებს... და ღვთისმოსიშ, მოულოდნელ სტუმრებსაც მოუვლენს.

ჭრაქის შუქზე, ერთმანეთის პირისპირ ჩამუხლულებს ხმა აღარ ამოუღიათ. ორივეს მოშიებოდა, ორივემ ბევრი იბრძოლა დღეს და მადიანად შეექცეოდნენ, რათა ძალა მოეკრიბათ.

გარეთ ნელ-ნელა გადაიკარა. ცაც ჩაცხრა, მიწა გაძდა, მხოლოდ ნაკადულების მხიარული ხმაღა აღწევდა, სოფლის შუკებს კისკისით რომ მიუყვებოდნენ.

ჭამეს. კარადაში ერთი ხელადა შავი ღვინოც გადაენახა. დალიეს. რამდენიმე დაშაქრული ფინიკითაც ჩაიტკბარუნეს პირი. კარგა ხანს მდუმარედ ისხდნენ, ცეცხლს უყურებდნენ, როგორ ინთებოდა და ქრებოდა. მათი გონებაც ადიოდა და ჩადიოდა, ცეცხლის ენებთან ერთად ცეკვავდა.

მარიამის ძე წამოდგა, საცეცხლეს შეშა დაუმატა, ციოდა. მაგდალინელმა ისევ აიღო ერთი მუჭა დაფნის ფოთოლი და ცეცხლში შეყარა, ოთახში მისი სუნი დატრიალდა. კართან მივიდა, გამოაღო. ქარი ამოვარდნილიყო და ღრუბლები მიმოეფანტა, მარიამის ეზოს ორი დიდი, ახალგანბანილი, ნათელი ვარსკვლავი დასდგომოდა თავზე.

- გადაიღო? - იკითხა ჭაბუკმა და კვლავ ოთახის შუაგულში გაჩერდა, ისევ ორჭოფობდა.

მაგდალინელმა არ უპასუხა. სუფრა აიღო, სკივრიდან ფუმფულა მატყლის ლეიბები და საგებელი ამოალაგა, თავისი საყვარლების სახსოვარი, და ცეცხლის წინ ლოგინი დაუგო.

- აქ დაიძინებ, — თქვა, — ცივა, ქარი ამოვარდა, შუალამეა. სად წახვალ ასეთ დროს? გაცივდები. აქ დაიძინე, ცეცხლთან ახლოს.

ვაჟს გააჟრჟოლა.

- აქ? - იკითხა.

- გეშინია? ნუ გეშინია, ჩემო უმწიკვლო მტრედო, არ წაგბილწავ. შენს უბიწოებას არ შევბღალავ, მაგაზე ნუ იღარდებ!

ცეცხლს შეშა დაამატა, ჭრაქს შუქი მოუკლო.

- ძილი ნებისა, — უთხრა, - ხვალ ორივეს ბევრი საქმე გვაქვს. შენ გზას განაგრძობ, რათა გამოხსნა ვპოვო. მეც გზას განვაგრძობ – ჩემს საკუთარ გზას, რათა მეც ვპოვო გამოხსნა. ორივეს ჩვენი გასავლელი გზა გვაქვს. აღარასდროს გადავიკვეთებით. ღამე მშვიდობისა!

მარიამი საწოლზე დაემხო, თავი ბალიშში ჩარგო, მთელი ღამე ზეწარს კბილებით გლეჯდა და ყვირილს ძლივს იკავებდა, თავს ებრძოდა – არ ეტირა, არ გაეგო მისი ხმა კაცს, ცეცხლის გვერდით, მშვიდად რომ ეძინა და არ გაქცეულიყო. მთელი ღამე უსმენდა, როგორ ზომიერად, მშვიდად სუნთქავდა, ვით ძუძუთი დანაყრებული ჩვილი. თვითონ კი ვერ იძინებდა, გულში გოდებდა დიდხანს, ნაზად და მძინარ კაცს დედასავით უნანავებდა.

დილით კი, გამთენიისას, ნახევრად თვალდახუჭულმა, წამწამების ჩრდილიდან დაინახა, როგორ ადგა მისი სტუმარი, წელზე ტყავის სარტყელი შემოიჭირა და კარი გააღო. შეყოვნდა. უნდოდა წასულიყო და თან ეძნელებოდა. შებრუნდა, საწოლს შეხედა, გაუბედავად გადადგა ნაბიჯი, მიუახლოვდა. ოთახში ჯერ კიდევ ბოლომდე არ შემოსულიყო სინათლე, დაიხარა, თითქოს სურს ქალი კარგად დაინახოს, თითქოს უნდა შეეხოსო. მარცხენა ხელი ტყავის სარტყელის ქვეშ ამოედო, მარჯვენას კი ნიკაპსა და პირზე ისვამდა.

ქალი გულადმა, უძრავად იწვა, მოშიშვლებულ მკერდს თმა უფარავდა, წამწამების მიღმიდან უყურებდა და მთელი სხეული უცანცაზებდა.

კაცმა ტუჩები შეარხია:

- მარიამ...

თქვა, მაგრამ როგორც კი საკუთარი ხმა გაიგონა, ძრწოლვამ აიტანა, ერთი ნახტომით მიიჭრა ზღურბლთან, წამში გადაჭრა ეზო, ჭიშკარს ურდული ჩამოჰგლიჯა...

და მარიამ მაგდალინელიც წამოიჭრა საწოლიდან, ზეწრები მოისროლა და მწარედ ატირდა.

VIII

გენესარეთის ტბის მიღმა, უდაბნოში, მოწითალო ფერფლისფერ კლდეებს შორის ჩასობილი, იმავე ფერის ლოდებით ნაგები მონასტერი აღმართულიყო. შუაღამე იდგა. გეგონებოდა წარღვნააო, ციდან ისე მოჩქეფდა წყალი. აფთრები, მგლები, ტურები და სადღაც შორს კი – ლომების წყვილი - ველური ხმით შეღმუოდნენ გაბმულ ჭექა-ქუხილს. გაუვალ წყვდიადში ჩაძირულ მონასტერს დროდადრო ელვა ისე

გადაეჭირებოდა, რომ იფიქრებდი – სინას ღმერთი ამათრახებსო. ბერები თავ-თავიანთ კელიებში შეყუჟულიყვნენ და პირქვედამხობილნი ადონაის ევედრებოდნენ, რათა დაენდო დედამიწა, კიდეც ერთი წარღვნისაგან გადაერჩინა. განა თავად არ მისცა სიტყვა პატრიარქ ნოეს?! განა მაშინ თავადვე არ გადაჭიმა ცასა და მიწას შორის ცისარტყელა - ნიშნად შერიგებისა?!

წინამძღვრის კელიაში შვიდსანთლიანი შანდალი ანათებდა. ფერმკრთალი, დაქანცული, თეთრწვერიანი წინამძღვარი იოაკიმი მაღალ, კვიპაროსის ხის სავარძელში იჯდა, ხელები გულზე დაეკრიფა და თვალდახუჭული უგდებდა ყურს. უსმენდა მის წინ, ფეხზე მდგომ ყმაწვილს - მორჩილ იოანეს, რომელიც ბიშოპს დამდგარი დანიელ წინასწარმეტყველის წიგნს უკითხავდა:

„და მომევიტონა ღამეული ხილვა: ვიხილე, ზეციური ოთხი ქარი ვით აწყდებოდა დიდ ზღვას. და ოთხი ვეება მხეცი ამოვიდა ზღვიდან და ერთუროს ჰგავდნენ ისინი. ერთი მათგანი ლომს მოჰგავდა და არწივის ფრთები მოესხა. ვუყურებდი, როგორ დააგლიჯეს ეს ფრთები და დააყენეს ფეხზე ისე, როგორც კაცი და კაცის გული ჩაუნერგეს მკერდში. და ჰა, გამოჩნდა მეორე მხეციც – დათვს მოჰგავდა. და ვილაცამ შეჰყვირა: „ჭამე ხორცი მრავალი“. ვუყურებდი და აჰა, მესამე მხეციც გამოჩნდა — ავაზას ჰგავდა, ფრინველივით მოესხა ოთხი ფრთა ზურგზე. ოთხი თავი ჰქონდა ამ მხეცს და მას გადაეცა ხელმწიფება.“.

მორჩილი ერთი წუთით გაჩერდა, შეშფოთებული მოტრიალდა, წინამძღვარს შეხედა. აღარ ესმოდა მისი ოხვრა, არც მისი თითების სავარძელზე კაკუნის ხმა აღარ ისმოდა, სულგანაბული იჯდა, სუნთქვასაც არ იმჩნევდა. ხომ არ მოკვდა? რამდენი დღეა უარს ამბობს საჭმელზე და პირში ლუკმასაც არ იკარებს, ღმერთზე გაბრაზდა, სიკვდილი უნდა. სურს, რომ მოკვდეს და ეს ძმებსაც გარკვევით ამცნო, – მოკვდეს, რათა მოცილოს სხეულის ტვირთი მისმა სულმა, ჩამოიხსნას მისი სიმძიმე და ზეცაში ასვლა შეძლოს, ღმერთი იპოვოს. წინამძღვარი იოაკიმი ღმერთს ემდუროდა, მისი ნახვა სურდა, მასთან საუბარი. მაგრამ, სხეულის სიმძიმე არ ანებებდა, აბრკოლებდა ზეცად ასვლაში და ამიტომაც გადაწყვიტა – განაგდოს იგი, აქ დატოვოს, მიწაზე და თვითონ — ნამდვილი იოაკიმი ცად ამალღდეს და ღმერთს უთხრას, რაზეც ემდურის. ეს იყო მისი ვალი. განა თვითონაც ერთ-ერთი არ არის ისრაელის მამათაგან? ხალხს პირი კი აქვს, მაგრამ საუბრის უნარი – არა, არ შეუძლიათ წარსდგნენ ღმერთის წინაშე და საკუთარი სატკივარი მოახსენონ. იოაკიმს კი შეუძლია, შეუძლია და ასე უნდა მოიქცეს კიდეც.

მორჩილმა შეხედა: შვიდსანთლიანი შანდლის შუქზე წინამძღვრის თავი ჭიისგან გამოჰმული, გამოფულუროებული ხესავით ჩანდა, მზისგან და მარხვისაგან გამომხმარიყო და როგორ ჰგავდა ახლა იგი წვიმებისაგან ჩამორეცხილ, უძველეს მხეცთა თავის ქალებს, ქარავნები რომ პოულობენ ხოლმე დროდადრო უდაბნოში! რა ხილვები აღარ უნახავს ამ თავს, რამდენჯერ გახსნილა ზეცა მის წინაშე და რამდენჯერ – ჯოჯოხეთის ჯურღმულები! იაკობის კიბესავით იყო მისი გონება და მასზე ადი-ჩადიოდნენ ისრაელის მოლოდინები და იმედები.

წინამძღვარმა თვალეები გაახილა. მის წინ მდგომ, გაფითრებულ მორჩილს შეხედა. შანდლის შუქზე ამოღერილი ქერა ღინღლი ქალწულებრივად უკრთოდა, ხოლო მისი დიდრონი თვალეები შფოთითა და მწუხარებით აღვსილიყო.

წინამძღვრის მკაცრ სახეს სითბო დაეფინა. ეს მშვენიერი ყმაწვილი ძლიერ უყვარდა, მამამისისგან გამოეხსნა – ზებედესგან, აქ მოეყვანა და ღმერთისთვის მიეძღვნა იგი. მოსწონდა მისი მორჩილებაც და სიველურეც, მისი მდუმარე ბაგეები და ხარბი თვალეები, მისი სიტკბოც და მისი ცეცხლიც. ერთ დღეს, - ფიქრობდა, — ერთ დღესაც, იგი ისაუბრებს ღმერთთან. რაც მე ვერ შევძელ, იგი შეძლებს; იმ ორ ჭრილობას, მხრებზე რომ მაჩნევია, იგი ფრთებად გამოისხამს. მე ვერ შევძელი, ცოცხალი ავსულიყავი ზეცაში, მაგრამ იგი შეძლებს.

ერთხელ, თავის მშობლებთან ერთად მოვიდა იგი მონასტერში, რათა პასექის დღესასწაული აქ ეზეიმათ. წინამძღვარი ზებედეს შორეული ნათესავი იყო, სიხარულით მიიღო ისინი, თავის სუფრასთან მიიწვია საჭმელად და სწორედ მაშინ, იოანე თექვსმეტი წლისაც არ იქნებოდა, სწორედ მაშინ სუფრის გარშემო რომ ისხდნენ და მიირთმევდნენ, თავდახრილმა იოანემ წინამძღვრის მზერა იგრძნო, რომელიც მის კეფას ხვდებოდა, ქალას უხსნიდა და თავის ქალის ძვლების მიღმა, მის გონებაში მზის სინათლედ შედიოდა. შეეშინდა, თავი ასწია, აიხედა და საპასექე სუფრის თავზე, ჰაერში მათი ორი მზერა ერთიმეორეს შეენივთა... და იმ დღიდან მოყოლებული, ყმაწვილი ვეღარც თევზსაჭერ ნავზე ჩერდებოდა, აღარც გენესარეთის ტბა ჰყოფნიდა, ოხრავდა, ფერ-ხორცს კარგავდა, თითქოს ჰკნებოდა. ერთ დღესაც, მოხუც ზებედეს მობეზრდა და – „შენი გონება სხვაგან არის, არა თევზებთან, - უთხრა, - ღმერთთანაა იგი, ჰოდა, მიდი, გასწიე მონასტრისკენ. ორი ვაჟი მყავდა და ღმერთმა მოინდომა ერთმანეთში გაგვეყო ისინი, ჰოდა, გავიყოთ, როგორც შენ გინდა, ისე იყოს!“.

უმზერდა ახლა წინამძღვარი მის წინ მდგომ ყმაწვილს, უნდოდა ესაყვედურა, მაგრამ უყურებდა და სახეზე სითბო ეფინებოდა.

- რატომ გაჩერდი, შვილო ჩემო? — ჰკითხა, — შუაში გაწყვიტე ხილვა. არ შეიძლება! წინასწარმეტყველია, ბოლოს და ბოლოს, პატივისცემას იმსახურებს.

ყმაწვილს შერცხვა და გაწითლდა, ისევ გადაშალა ტყავის გრაგნილი ხატსასვენზე და გააგრძელა მეფსალმუნის ხმით — ერთ ტონალობაში კითხვა.

„მაშინ მოვიწადინე სინამდვილის გაგება იმ მეოთხე მხეცზე, რომელიც ყველასგან გამორჩეული და საზარელი იყო, რომელიც რკინის კბილებითა და სპილენძის ბრჭყალებით ნთქავდა, მუსრავდა და ფეხებით თელავდა. მოვიწადინე გამეგო იმ ათი რქის შესახებ, თავზე რომ ჰქონდა...“.

- გაჩერდი, - შესძახა წინამძღვარმა, - კმარა!

ყმაწვილი მისი ხმის გაგონებისას შეცბა, წმინდა ტექსტი მოკირწყლულ იატაკზე დააფინა, გადაახვია, ტუჩები ნაზად შეახო, ეამბორა და კუთხისაკენ წავიდა, იქ დადგა, მზერა კი კვლავ რაბინისთვის მიეპყრო. ისიც თითებით ჩაფრენოდა სკამის სახელურს და ყვიროდა:

- ეს ყოველივე, რაც კი იწინასწარმეტყველე, ეს ყოველივე უკვე მოხდა, დანიელ! ოთხმა მხეცმაც გადაგვიარა. ფრთოსანმა ლომმაც გადაგვიარა და დაგვთრგუნა. გადაგვიარა და შეგვჭამა დათვმაც, რომელიც ებრაელთა ხორციტ საზრდოობს. გადაგვიარა და დაგვკბინა აღმოსავლეთმა, დასავლეთმა, ჩრდილოეთმა და სამხრეთმა – ოთხთავიანმა ავაზამ. ჯერ კიდევ თავზე გვაზის, ჯერ არ გადაუვლია, არ წასულა საზარელი, ათრქიანი, რკინის კბილება მხეცი. ყველა სირცხვილი და საშინელება, რასაც დაგვპირდი, უფალო, და იწინასწარმეტყველე, რომ მოგვივლენდი, უკვე ვიწვნიეთ, უკვე ყველა მოგვივლინე, გიხაროდენ! მაგრამ კარგსაც ხომ დაგვპირდი და რად არ გვიგზავნი? რად გენანება ჩვენთვის? გულმოწყალებდ მოგვივლინე გასაჭირნი. გულმოწყალებდვე მოგვივლინო იქნებ შენი წყალობანიც! აბა, სად არის ძე კაცისა, რომლის მოსვლასაც გვპირდებოდდი? წაიკითხე, იოანე!

ყმაწვილი კუთხეს მოშორდა, მკერდზე მიხუტებული გრაგნილი ისევ ბიმზე გაშალა და კითხვა განაგრძო. მაგრამ ახლა მისი ხმა უფრო ველურად ჟღერდა, ისევე როგორც ხმა რაბინისა:

„და ვხედავდი ჩემს ღამეულ ხილვებში, როგორ მოდიოდა ცათა ღრუბლებზე კაცის ძის მსგავსი: მოიწევდა და მიეახლა იგი დიდ რაბინს. მიენიჭა მას ხელმწიფება, სუფევა და დიდება. მეფობა, ხელმწიფება და ცისქვეშეთის ყველა სამეფოს დიდება უზენაესის ერს მიეცემა. მისი სამეფო საუკუნო სამეფო იქნება და ყველა ხელმწიფე მისი მსახური და მორჩილი იქნება“.

წინამძღვარი თავს ველარ იკავებდა. სავარძლიდან წამოიმართა, ერთი ნაბიჯი გადადგა, მერე მეორე, ბიმთან მივიდა, წაიბოროცკა, ლამის დაეცა, მაგრამ მოასწრო და ხელის მტევნით ჩამოეყრდნო წმინდა წერილს, მყარად დადგა.

- სად არის ძე კაცისა, რომლის მოსვლასაც გვპირდებოდდი? შენ თავადვე თქვი, თუ არ გითქვამს? ვერ უარყოფ, დაგვპირდი და აქაც წერია!

ხელი ბრაზითა და მედიდურად დასცხო წინასწარმეტყველთა წიგნს.

- აი, აქ წერია! ისევ წაიკითხე, იოანე!

მაგრამ მორჩილმა სიტყვის წაკითხვაც ვერ მოასწრო, რომ წინამძღვარმა სასწრაფოდ დაიტაცა გრაგნილი, ზემოთ აღმართა - სინათლეზე და ისე, რომ ნაწერისთვის არც შეუხედავს, გამარჯვებული ხმით შესძახა:

- „მეფობა, ხელმწიფება და ცისქვეშეთის ყველა სამეფოს დიდება უზენაესის ერს მიეცემა. მისი სამეფო საუკუნო სამეფო იქნება და ყველა ხელმწიფე მისი მსახური და მორჩილი იქნება“.

გაშლილი გრაგნილი ხატსასვენზევე დატოვა. ფანჯრიდან წყვდიადს გახედა:

- აბა, სად არის ძე კაცისა? - იყურებოდა სიბნელეში და ყვიროდა, - ის შენ უკვე აღარ გეკუთვნის, იგი უკვე ჩვენ გვეკუთვნის, რაკილა ჩვენთვის განამწესე! სად არის, რომ მიანიჭო ხელმწიფება, სუფევა და დიდება, რათა შენი ხალხი ხელმწიფებდეს მთელ სამყაროში — ხალხი ისრაელისა! დავიქანცეთ ცაში ყურებით და მისი გახსნის მოლოდინით. როდემდე? როდემდე? ასე რატომ გვტანჯავ? კი, ვიცით, ვიცით, რომ

ჩვენი ათასი წელი ერთი წუთია შენტვის, უფალო! მაგრამ თუკი სამართლიანის სახელი გაქვს, შენი საზომით კი არა, ადამიანთა საზომით უნდა გამოგეთვალა დრო და აი, ეს იქნებოდა ჭეშმარიტი სამართალი შენი, უფალო!

ფანჯრისაკენ წავიდა, მაგრამ მუხლები ეკვეთებოდა და შედგა, ხელები გაშალა, თითქოს ჰაერზე წონასწორობის დაცვას ცდილობსო. ყმაწვილმა მიიღბინა, რომ ხელი შეეშველებინა, მაგრამ წინამძღვარი გაბრაზდა, ანიშნა - არ შეხებოდა. მთელი ძალღონე მოიკრიბა, სარკმელთან მივიდა, ჩამოეყრდნო. კისერი დაეჭიმა და სარკმლის მიღმა იყურებოდა: სრული წყვდიადი იყო გარეთ, ელვამ იკლო, მაგრამ წყლის ღმუილი ჯერ კიდევ ისმოდა კლდეებიდან, მონასტერს გალავნად რომ შემოვლებოდნენ. ყოველ გაელვებაზე, კაქტუსები დაგორგოლავდებოდნენ, სახეს იცვლიდნენ, იფიქრებდით - ცალხელა, ხეიბარი ხალხის გროვად იქცნენ, კეთრისაგან გამოჭმული ცალი ხელი კი ზეცისაკენ აღუმართავთო.

წინამძღვარს სული და სხეული ერთიანად დაეჭიმა, ყურს უგდებდა: შორიდან უდაბნოს მხეცების ღრიალი აღწევდა. არა, არ შიოდათ, ეშინოდათ. ერთი, სხვათაგან გამორჩეულად ძლიერი სიბნელეში მოდიოდა - ცეცხლსა და ქარიშხალში გამოხვეული... აყურადებდა წინამძღვარი უდაბნოს ხმებს და უეცრად შეკრთა. შებრუნდა და დაინახა, რომ ვიღაც უხილავი შემოსულიყო! შანდლის შვიდი ცეცხლი შეირხა, ლამის ჩაქრა. კუთხეში აყუდებული ქნარის ცხრავე სიმი მოიჭიმა, თითქოს ვიღაცის ხელმა რისხვით ჩამოჰკრა დასაწყვეტადო. წინამძღვარი აცანცანდა.

- იოანე! — ძლივს, ჩუმად ამოთქვა, - იოანე, ახლოს მოდი!

ყმაწვილი კუთხიდან წამოიჭრა, მიუახლოვდა.

- მიბრძანე, რაბი! - თქვა და ცალი მუხლით მიწას დაეყრდნო - მეტანიისთვის.

- იოანე, წადი და ბერებს უხმე! რაღაც მაქვს მათთვის სათქმელი, სანამ წავიდოდე.

- სანამ წახვიდოდე, რაბუნი? - ჰკითხა ყმაწვილმა და გააჟრჟოლა.

თვალი მოჰკრა, ორი ვეება, შავი ფრთა როგორ ირხეოდა რაბინის უკან.

- მივდივარ, - თქვა წინამძღვარმა და მისი ხმა უეცრად გაშორეულდა, თითქოს სხვა ნაპირიდან მოდისო, - მივდივარ! ვერ დაინახე შვიდი ცეცხლი როგორ შეირხა, თითქოს პატრუქიდან მოწყვეტა სურთო?! ვერ გაიგონე ქნარის ცხრავე სიმი როგორ მოიჭიმა, თითქოს გაწყვეტა სურთო?! მივდივარ, იოანე, წადი და ბერებს მოუხმე, მათთან საუბარი მწადია.

ყმაწვილმა თავი დახარა და გაუჩინარდა. წინამძღვარი მარტო დარჩა. კელიის შუაგულში, შვიდსანთლიანი შანდლის ძირში იდგა. ახლა უკვე მარტოდმარტო დარჩენილიყო ღმერთთან, შეეძლო მასთან თავისუფლად ესაუბრა, კაციშვილი ვერ გაიგებდა. თავი მშვიდად ასწია, რადგან იცოდა - მის წინ ღმერთი იდგა.

- მოვდივარ, — უთხრა, - მოვდივარ! რაში გარგია შუა სენაკში შემოჭრა, სინათლის ჩაქრობა ან ქნარის სიმების დაწყვეტა ჩემს მოსატაცებლად? ისეც მოვდივარ, არა მხოლოდ შენი ნებით, არამედ უფრო საკუთარი ნებით მოვდივარ. მოვდივარ და ხელთ მიჰყრია ფირფიტები, რომლებზეც ჩემი ხალხის საყვედურები წერია. და მინდა

განახო, გელაპარაკო. ვიცი, არ მისმენ. არავისაც არ უსმენ. მაგრამ არ შევწყვეტ შენს კარზე ბრახუნს მანამ, სანამ არ გამიღებ. და თუ არ გამიღებ – არავინაა აქ, რომ მომისმინოს, ამიტომაც გეუბნები ასე თავისუფლად, - თუ არ გამიღებ, შემოვამტვრევ მაგ შენს კარს! ველური ხარ შენ თვითონ და ველურები გიყვარს, მხოლოდ მათ უწოდებ შვილებს. აქამდე მეტანიებს ვაკეთებდით, ცრემლებს ვღვრიდით და ვამბობდით: „იყავნ ნება შენი!“ მაგრამ მეტი აღარ შეგვიძლია, უფალო! როდემდე უნდა ველოდოთ?! შენც ველური ხარ და ველურები გიყვარს, ჰოდა, გავველურდებით: ახლა უკვე ჩვენი ჯერია, აწ უკვე იყავნ ნება ჩვენი!

წინამძღვარი ლაპარაკობდა და ყური ჰაერისკენ ჰქონდა, რათა რამე მაინც გაეგო. წვიმა შეწყდა, ჭექა-ქუხილი გაშორებულადა, ყრუდ ფეთქებოდა იქით – სადღაც აღმოსავლეთით, უდაბნოსკენ. რაბინის ჭალარა თავს კი ზედ დასდგომოდა შვიდი უძრავი ცეცხლის ალი.

წინამძღვარი გაჩუმდა, იცდიდა. კარგა ხანს ელოდა, კიდევ როდის შეირხეოდნენ ცეცხლის ალები, კიდევ როდის შეირხეოდა ქნარი, მაგრამ არაფერი! რაბინმა თავი გაიქნია: „წყულისმც იყოს ადამიანის სხეული, – აბუტბუტდა, — წყულისმც იყოს იგი, რომელიც შუაში ჩაკვებებულა და არ ანებებს სულს, უხილავი იხილოს და მოუსმინოს. მომკალი, უფალო, მომკალი, რათა შევძლო და წარვსდგე შენ წინაშე, სხეულის შუაკედლის გარეშე, მელაპარაკო და შევიმეცნო!“

ამასობაში კელიის კარი უხმაუროდ გაიღო და რიგრიგობით შემოლაგდნენ სულ თეთრებით მოსილნი, ძილსმოწყვეტილი ბერები, როგორც მოჩვენებანი. ყველა კედელთან აყუდა და უცდიდნენ. ყური მოეკრათ წინამძღვრის შემზარავი სიტყვებისთვის და სუნთქვა შეკვროდათ: „ღმერთთან ლაპარაკობს, ღმერთს ეჩხუბება, მეხი დაგვეცემა ახლა ალბათ“ - ფიქრობდნენ და შიშისაგან კანკალებდნენ.

წინამძღვარი უყურებდა, მაგრამ მისი მზერა სხვაგან იყო, ვერაფერს ხედავდა. მორჩილი მიუახლოვდა, მეტანიით მუხლი მოიდრიკა:

- რაბი, – მიმართა ჩუმად, რომ არ შეეკრთო, – რაბი, გეახლნენ.

წინამძღვარმა თავისი მორჩილის ხმა გაიგო, შემობრუნდა, დაინახა. კელიის შუაგულიდან დაიძრა, ნელ-ნელა მიაბიჯებდა, ცდილობდა დაემორჩილებინა მომაკვდავი სხეული და როგორც იქნა, სავარძლამდე მიაღწია. სავარძლის წინ, დაბალ ფეხსადგარზე შედგა. წმინდა სიტყვებამოკვეთილი თილისმა მკლავიდან ჩამოუცურდა. მორჩილმა მოასწრო და კვლავ მკლავზე მიაბა — არ შერყვნილა მიწასთან შეხებით, რომელზედაც ჩვენ დავაბიჯებთ. წინამძღვარმა ხელი მოჰკიდა სავარძელთან აყუდებულ სამღვდელმთავრო კვერთხს, რომელსაც სპილოს ძვლის სახელური ამშვენებდა. და უცებ, თითქოს ძალა მოეცაო, თავი მაღლა ასწია და განმგმირავი მზერა სტყორცნა კედელთან ჩამწკრივებულ ბერებს.

- ჰეი, ბერებო, - თქვა, — უკანასკნელი სიტყვა უნდა გითხრათ, მისმინეთ! ვისაც ეძინება, წავიდეს! რადგან მძიმეა ის, რაც უნდა შეგატყობინოთ და ამიტომაც, თქვენმა ყველა იმედმა და ყველა შიშმა უნდა გამოიღვიძოს, ყური მიუგდოს და პასუხიც გასცეს!

- გისმენთ, წმინდა წინამძღვარო, – თქვა ბერებიდან უხუცესმა, მამა აბაკუმმა და გულზე ხელი დაიდო.

- ეს იქნება ჩემი უკანასკნელი სიტყვა, ბერებო. და ვინაიდან შეუპოვარნი ხართ, ქარაგმებით უნდა დაგელაპარაკოთ.

- გისმენთ, წმინდა წინამძღვარო, - ისევ თქვა მამა აბაკუმმა. წინამძღვარმა თავი ჩაქინდრა, ხმას დაუწია:

- ჯერ ფრთები იშვა, ხოლო შემდეგ ანგელოზი! - თქვა და გაჩუმდა.

სათითაოდ მოატარა მზერა ბერებს და თავი გააქნია:

- რა პირდაღებულნი მომჩერებიხართ, ბერებო?.. ხელი ასწიე, ბაგე შეგერხა, რამის თქმა გინდა? რამე სხვა გაქვს სათქმელი, მამა აბაკუმ?

ბერმა ხელის მტევანი გულზე დაიდო, ალაპარაკდა:

- ახლა გვამცნე: ჯერ ფრთები იშვა, ხოლო შემდეგ ანგელოზიო. ასეთი რამ წმინდა წერილში არასოდეს გვინახავს, წმინდა წინამძღვარო.

- როგორ ნახავდით, ბერო აბაკუმ? თქვენი გონება, ვაი, რომ ჯერაც დაბინდულია. გადაშლით წინასწარმეტყველთა ნაწერებს და თქვენს თვალებს ასოებს იქით არაფრის წაკითხვა ძალუძთ. მაგრამ ასოებს, აბა, რისი თქმა შეუძლიათ? ისინი ციხის შავი გისოსებია, რომელთა მიღმაც გამოკეტილა სული და გაჰყვირის. ასოებსა და სტრიქონებს შორის, მათ გარშემო, დაუწერელ ფურცელზე მიმოდის თავისუფალი სული. მეც მასთან ერთად მიმოვდივარ და თქვენთან მომაქვს დიდი ცნობა: ჯერ ფრთები იშვა, ხოლო შემდეგ ანგელოზი იშვა, ბერებო!

მოხუცი აბაკუმი კვლავ შეეპასუხა:

- ჩვენი გონება ჩამქრალი პატრუქია, წმინდა წინამძღვარო! აღანთე იგი, რათა ქარაგმაში შევადწიოთ და ჩვენც ვიხილოთ!

- თავდაპირველად, აბაკუმ-ბერო, პირველად იყო თავისუფლების წყურვილი, მაგრამ თავისუფლება არ არსებობდა. და უეცრად, მონობის ფსკერზე, ერთმა კაცმა შებოროკილი ხელები გაიქნია - სწრაფად, ძლიერად, ისე თითქოს ფრთები იყო. შემდეგ მეორემ, მერე მესამემ, მერე სხვამ და შემდეგ კი მთელმა ხალხმა მიბაძა ერთიანად.

- ისრაელის ხალხმა? — გაისმა სიხარულით აღსავსე ხმები.

- დიახ, ბერებო, სწორედ ხალხმა ისრაელისა! ესაა ის დიდებული და იდუმალი წუთი, რომელსაც ჩვენ ახლა გავდივართ. თავისუფლების წყურვილი გამძაფრდა, ფრთები გაშმაგდნენ, მხსნელი მოვიდა! მხსნელი მოვიდა, ბერებო! და როგორ ფიქრობთ, რისგან არის შექმნილი თავისუფლების ეს ანგელოზი? ღვთის წყალობის ან მოწყალებისგან? იქნებ მისი სიყვარულისგან? ანდა მისი სამართლისაგან? არა! იგი ადამიანის მოთმინების, სიჯიუტისა და ბრძოლისგან არის შექმნილი!

- დიდ ვალსა და გაუსაძლის სიმძიმეს აკისრებ ადამიანს, წმინდა წინამძღვარო, - შეაწყვეტინა მოხუცმა აბაკუმმა, - ნუთუ მას ასე ძლიერ ენდობი?

მაგრამ წინამძღვარმა შეჰასუხება არად ჩააგდო, გონებით მესიისკენ მიმართულიყო.

- ის ჩვენი ძეა, — გაჰყვიროდა, - ამიტომაც ამბობს მასზე წმინდა წერილი: ძე კაცისა! აგერ, რამდენი თაობაა, ისრაელის ქალნი და კაცნი ერთმანეთს ერწყმიან და როგორ ფიქრობთ, რისთვის? იმისთვის, რომ მათი სხეულის ნაწილებმა სიამე ჰპოვონ, მათმა წიაღმა – სიხარული? არა და არა! ათასობით, ათასობით ხვევნა-კოცნაა საჭირო, რომ საბოლოოდ მესია იშვას!

წინამძღვარმა ძლიერად დაჰკრა კვერთხი მიწას.

- გახსოვდეთ იგი, სულ გახსოვდეთ იგი, ბერებო! შეიძლება დღისით მოვიდეს ან შუადღისას! შეიძლება შუალამისას! თქვენ კი მუდამ მზად უნდა იყოთ – განბანილნი, მშეირნი და უძილონი. ვაი თქვენ, თუკი განუბანელს, ჩაძინებულს და მაძლარს გპოვებთ!

ბერები ერთმანეთს მიაწყდნენ, ერთმანეთს შეეყუჟნენ, ვერ ბედავდნენ მზერა გაესწორებინათ წინამძღვრისთვის. გრძნობდნენ, როგორ გადმოდიოდა მათზე გრძნეული ცეცხლი მისი თავიდან.

მომაკვდავი წინამძღვარი თავისი სავარძლიდან ჩამოვიდა, მტკიცე ნაბიჯით გაემართა შეშინებული, დამფრთხალი მამებისაკენ, კვერთხი გაიშვირა და სათითაოდ შეახო მათ.

- გახსოვდეთ, ბერებო! კარგად გახსოვდეთ, - გაიძახოდა, - საკმარისია, თუნდაც წუთით შეწყდეს წადილი, რომ ფრთები ისევ ბორკილებად იქცევიან იფხიზლეთ, იბრძოლეთ, დღისით და ღამით ანთებული გქონდეთ თქვენი ჩირაღდანი – სული თქვენი! მძლავრად იქნეთ ფრთები! მე ღმერთს ვესწრაფვი, მასთან სასაუბროდ მივდივარ და აი, ამ ბოლო სიტყვებს გიტოვებთ: გამოჭედეთ, ჯერ გამოჭედეთ თქვენი ფრთები და მერე კი მძლავრად მოიქნით!

და მყისვე შეუწყდა სუნთქვა. წინამძღვარს სამწყსო კვერთხი ხელებიდან დაუცურდა. მშვიდად, ნება-ნება ჩაიმუხლა რაბინმა და უხმაუროდ დაეშვა ფილაქანზე. მორჩილმა შეჰყვირა, გაიქცა, რათა თავის მოძღვარს შედგომოდა მხრებში. ბერებიც მიეჭრნენ, დაიხარნენ, ფილაქანზე დააწვინეს, ჩამოხსნეს შვიდსანთლიანი შანდალი და გაფითრებული, უმოძრაო სახის გასწვრივ ჩამოუდგეს. ელვარებდა მისი წვერი, თეთრი მოსასხამი გადაეხსნა და გამოუჩნდა ბასრკბილებიანი, მძიმე კვართი, მკერდსა და ბეჭებს რომ უკაწრავდა და სისხლს ადენდა.

მოხუცმა აბაკუმმა წინამძღვარს გულზე ხელი დაადო და თქვა:

- აღესრულა!

- გათავისუფლდა! – დასძინა მეორემ.

- ერთმანეთს გაეყარნენ და თავ-თავის სამკვიდროს მიაშურა ორმა დობილმა: ხორცმა – მიწას, სულმა კი – ღმერთს! — წაიჩურჩულა ვიღაცამ.

ამ გულისთქმას გამოხატავდნენ და განსაბანად წყალს აცხელებდნენ, რომ უეცრად წინამძღვარმა თვალები გაახილა. დამფრთხალი ბერები უკუიქცნენ, შიშით უმზერდნენ. წინამძღვარს სახე ერთიანად უბრწყინავდა, გამხდარი, გრძელთითება ხელები ოდნავ ამოძრავა და თვალები აღმაფრენით მიაპყრო ჰაერს.

მოხუცმა აბაკუმმა ჩაიმუხლა, ხელით მკერდი მოუსინჯაწი ნამძღვარს:

– გული უცემს, — წაიჩურჩულა, – არ მომკვდარა.

მერე მორჩილს მიუბრუნდა, რომელიც რაბინის ფეხებთან დამხობილიყო და უკოცნიდა.

- ადექი, იოანე, ყველაზე ფეხმარდი აქლემი შეკაზმე, ნაზარეთიდან მოხუცი სვიმეონი მოიყვანე — რაბინი. ის უშველის! იჩქარე, იჩქარე, თენდება!

ირიჟრაჟა. ღრუბლები უკვე გაფანტულიყო, ახალგანბანილი, მაძლარი მიწა ბრწყინავდა და მადლიერად შეჰყურებდა ზეცას. ორი შევარდენი აიჭრა ცაში და მონასტრის თავზე კამარა შეკრეს.

მორჩილმა თვალები შეიმშრალა, თავიდან გამოიყვანა ყველაზე სხარტი, ახალგაზრდა აქლემი, რომელსაც შუბლზე თეთრი ვარსკვლავი ამოტვიფროდა. საბელი დასწია და პირუტყვმაც ჩაიჩოქა, ზურგზე მოახტა, ერთი მჭახედ შემოსძახა, აქლემიც აღიმართა, მიწას მოსწყდა და ნაზარეთისკენ გაექანა.

გენესარეთის ტბის თავზე დილა ბრწყინავდა და მის შუქზე წყალი ლაპლაპებდა. ღამეული წვიმისაგან ჩამორეცხილი მიწა ნაპირებისკენ ტალახისფრად ელვარებდა, ტბის კიდეებს მოლურჯო მწვანე გადაჰკვროდა, უფრო შორს კი – რძისფრად გადასარკულიყო. თევზსაჭერ ნაგებს სველი იალქნები გამოეფინათ გასაშრობად. ზოგიერთი უკვე სათევზაოდაც გასულიყო, თეთრ-მოვარდისფრო ზღვის ფრინველები მოლივლივე წყალზე დანავარდობდნენ, შავ-შავი თევზიყლაპიები კლდეებზე შემომდგარიყვნენ, მრგვალი თვალებიდან ნატყორცნი მზერა ტბის თვისჩაესოთ, ეგებ შემთხვევით თევზი ამოსხმარტალებულიყო ზღვის ქაფიდან და ჩაეჭირათ. სანაპიროდან შორიახლოს, ერთიანად დასველებული კაპერნაუმი იღვიძებდა: კრიახობდნენ ქათმები, ვირები ყროყინებდნენ, ცხვრები გაუბედავად ბლაოდნენ და ამ ხმებს მიღმა ადამიანთა გადალაპარაკებაც აღწევდა დროდადრო, რაც ჰაერს სიმტკიცესა და სიტკბოს ჰმატებდა.

მშვიდ ყურეში, ღონიერფეხება, ქვიშაში ჩაფლული ათამდე მეთევზე აუჩქარებლად და გაწაფულად ითრევდა ბადეს და ღიღინებდნენ. მათ მეთვალყურეობდათ მოხუცი ზებედე — ყბედი და ცბიერი ბატონი. თავს აჩვენებდა, თითქოს ყველა მათგანი შვილებივით უყვარდა, თითქოს გულშემატკივრობდა, მაგრამ ხარბი ბერიკაცი ამოსუნთქვასაც არ ანებებდა მასთან დღიურ მუშებად დამდგარ მეთევზეებს და მკლავების წამით მოდუნების ნებასაც კი არ აძლევდა.

ზანზალაკების ხმა გაისმა, თხა-ცხვრების ფარა ნაპირ-ნაპირ მიუყვებოდა ტბას, ძაღლები ყეფდნენ, ვიღაც უსტვენდა. მეთევზეები მიბრუნდნენ, რომ დაენახათ ვინ მოდიოდა, მაგრამ ზებედე წამოუხტათ:

- ფილიპეა, მთელი თავისი ფილიპეობით! — თქვა გაღიზიანებით, - ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ!

და თვითონაც თოკს ჩაეჭიდა, აქაოდა – გენმარებითო.

სოფლიდან სათითაოდ გამოკრეფილიყვნენ ბადეწამოკიდე ბული მეთევზეები, კვალში ცოლები ჩასდგომოდნენ, თავზე კი საგზალი შემოდგათ — დღიური საზრდო. მზისგან გარუჯული კაცები უკვე ტბაში გასულიყვნენ და ყოველი ორი-სამი ნიჩბის მოსმაზე, ხმადით ილუკმებოდნენ. ფილიპე ლოდზე შემომდგარიყო და უსტვენდა. ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ მოხუცმა ზებედეშ შუბლი შეჭმუნა, ხელები პირთან მოიმარჯვა და გასძახა:

- საქმე გვაქვს, ფილიპე, შემოგველე! შენი გზით წადი!

და ზურგი აქცია.

- იქით იონა ისვრის ბადეს, წავიდეს და მას ელაყბოს. ჩვენ აქ ჩვენს საქმეს მივხედოთ!

და ისევ ჩაეჭიდა თოკის ერთ ბოლოს, ამოზიდა.

მეთევზეები კვლავ სევდიანად აღილინდნენ. თვალს არ ამორებდნენ წითელი მათარების მსგავს ტივტივებს, უფრო და უფრო რომ უახლოვდებოდნენ.

მაგრამ ზუსტად იმ დროს, როცა ბადე ნაპირზე უნდა ამოეთრიათ, ყანებიდან, ყოველი მხრიდან რაღაც უცნაური ზარი მოესმათ – გამყინავი ხმა, თითქოს ვიღაცას დასტირიანო. ზებედეშ თავისი გაბანჯგვლული ყური მომართა, რაღა გაეგონა რა ხდებოდა. მეთევზეებმაც დრო იხელთეს და გაჩერდნენ.

- რა ხდება, მოტირალთა ხმასავითაა, ქალები მოთქვამენ, – თქვა ზებედეშ.

- ვიღაც დიდებული მოკვდებოდა, შენ დიდი დღე გქონდეს, ბატონო! – უპასუხა მოხუცმა მეთევზემ.

მაგრამ ზებედე უკვე ლოდზე შემხტარიყო და მახვილი თვალით მინდორს ზვერაჟდა. დაინახა, რომ ქალიან-კაციანად ყველანი ყანებში გარბოდნენ, ძირს ეცემოდნენ, კვლავ ფეხზე დგებოდნენ და მოთქვამდნენ. მთელი სოფელი აღმდგარიყო. ქალები თმას იგლეჯდნენ, მათ უკან კაცები, მიწისკენ თავდახრილები, უტყვად მიაბიჯებდნენ.

- რა ხდება, – დაიყვირა ზებედეშ, - სად მიდიხართ? ქალებს რა ატირებთ?

მაგრამ ისინი კალოებისკენ მიისწრაფოდნენ და ხმას არ იღებდნენ.

- სად მიდიხართ? ვინ მოკვდა? — ღრიალებდა ზებედე და ხელებს იქნევდა, – ვინ მოკვდა, ვინ?

ერთი ჯმუხი კაცი შეჩერდა და ქოშინით უთხრა:

– ხორბალი

- წესიერად მელაპარაკე, მე ბატონი ზებედე ვარ და ხუმრობის თავი არა მაქვს, ვინ მოკვდა-მეთქი?

- ხორბალი, ქერი, ჰური! — გაისმა ყოველი მხრიდან.

ზებედე-ბატონი პირდაღებული მისჩერებოდა. და უცებ ბარძაყებზე ხელი შემოიკრა, მიხვდა.

- წარღვნამ წაზიდა კალოებიდან მოსავალი, — აჩურჩულდა, — აი, ახლა სილატაკე უნდა ვიტიროთ!

ხმები მინდორს ერთიანად გადასწვდა, მთელი სოფელი კარში გამოიჭრა: ქალები კალოებზე ეცემოდნენ, ტალახში ხობავდნენ, ცდილობდნენ ღრმულებიდან და მიწის ნაპრალებიდან მცირეოდენი ხორბალი მაინც ამოეხვეტათ. მეთევზეებს მკლავებში ძალა წაერთვათ, ბადეების ამოთრევის ღონე აღარ შესწევდათ. ზებედეს ბრაზი მოერია, როცა დაინახა, როგორ მიშტერებოდნენ მინდორს, ასე უმოქმედოდ.

— აბა, საქმეს მიხედოთ! — შეჰყვირა და ლოდიდან ჩამოხტა, — მიდი, მოქაჩეთ!

კვლავ ჩაავლო თოკს ხელი, აქაოდა მეც ამოთრევას ვცდილობო.

- ჩვენ მეთევზეები ვართ, დიდება ღმერთს, მიწის მუშები არ ვართ; დელგმასთან ჩვენ, აბა, რა საქმე გვაქვს — თევზებმა ცურვა იციან, არ იხრჩობიან. ეს ჭეშმარიტებაა!

ფილიპემ თავისი ფარა მიატოვა, ლოდიდან ლოდზე დახტუნაობდა, ლაპარაკის საღერღელი აშლოდა, მოვიდა.

- ახალი წარღვნა გვიანლოვდება! — შეჰყვირა, — შემოიკრიბეთ, ღვთის გულისათვის, მოდით, უნდა გელაპარაკოთ! სამყაროს აღსასრული დგება! აჰა, მოითვალეთ, რამდენი უბედურება დაგვატყდა: გუშინწინ ჩვენი დიდი იმედი — ზილოტი ჯვარს აცვეს; გუშინ ღმერთმა ცა გახსნა და წარღვნა მოგვივლინა ზუსტად მაშინ, კალოები რომ სავსე იყო, განადგურდა მთელი ჩვენი საზრდო; და დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩემმა ცხვარმა ორთავიანი ბატკანი მოიგო... სამყაროს აღსასრულია, გეუბნებით. რჯულს გაფიცებთ, მიატოვებთ საქმეები და ვილაპარაკოთ!

მაგრამ მოხუცი ზებედე ფეხზე წამოიჭრა, სისხლმა აასხა ტვინში:

- ფილიპე, მომწყდი თავიდან, გეუბნები, — შეუყვირა, — ვერ ხედავ, საქმე გვაქვს. ჩვენ მეთევზეები ვართ, მაგ შენი მწყემსური ლაქლაქით კი წადი და მიწის მუშები აატირე! საქმეს მიხედეთ თქვენ!

- მერე განა მიწათმოქმედნი არ გეცოდება, ზებედე-ბატონო, შიმშილით სიკვდილი რომ ელით? - შეეპასუხა მწყემსი, — განა ისინიც ისრაელის ტომისანი არ არიან? ჩვენი ძმები არ არიან? ერთი ხე ვართ ჩვენ ყველანი, და იცოდე, რომ მიწის მუშაკნი ხის ფესვებია. ისინი თუ გახმებიან, ყველა გავხმებით. და ესეც იცოდე, ზებედე-ბატონო: მესია თუ მოვა და ჩვენ ყველანი ჩამომჭკნარები დავხვდებით, ვილა უნდა დაიხსნას, ხომ ვერ მეტყვი, ვის გადაარჩენს?

- მოხუცი ზებედე ისე დუღდა, სადაცაა ბრაზისაგან გასკდებოდა.

- მიდი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მომშორდი, გამეცალე! დავიღალე ამ მესიებზე ლაპარაკის მოსმენით. მოვა ჯერ ერთი - ჯვარს აცვამენ, მერე მეორე – იმასაც ჯვარს აცვამენ. არ იცი, რას ეუბნება ანდრია მამამისს - იონას? საითაც უნდა გაიხედო, სადაც უნდა წახვიდე - ყველგან ჯვარიაო, გაივსო მთელი წყალ-ხმელეთი მესიებითო... საკმარისია! მესიების გარეშეც მშვენივრად ვართ, ჩვენი ჭირიც გვყოფნის! მოდი და ერთი წველა ყველი მომეცი, რომ თევზი მოგცე: მომეცი, რომ მოგცე — აი, ეგაა ჩვენი მესია!

გაიცინა და თავის შეგირდებს მიუბრუნდა:

- აბა, სწრაფად, ხელი გაანძრიეთ, ცეცხლი დავანთოთ, თევზის საჭამადი მოვამზადოთ და წავიხემსოთ. მზე უკვე თავზე დაგვადგა და ეგაა.

და ის-ის იყო, ფილიპემ გაქცევა დააპირა, რათა თავისი ფარა მოეგროვებინა, რომ უცებ შედგა. ვიწრო ბილიკზე, რომელიც ტბას ნაპირ-ნაპირ მოუყვებოდა, მძიმედ დატვირთული ვირი გამოჩნდა, რომელსაც უკან ერთი ახმაზი მოჰყვებოდა. ფეხშიშველი, მკერდმოღეღილი, ჟღალწვერა კაცი. ხელში ორკაპა ჯონი ეჭირა, ცხოველს ხედნიდა და ჩქარობდა.

- ოჰო, მგონი, იუდა ისკარიოტელია, ავისმაუწყებელი წვეროსანი! – თქვა მწყემსმა და შეყოვნდა, - ისევ სოფელ-სოფელ დაეხეტება, ხან თოხებს ჭედავს, ხან ჯორების ნალებს. აბა, ერთი ვნახოთ, ეგ რაღას იტყვის.

- წყეულიმც იყოს, – წაიბუტბუტა ზებედემ, - მაღიზიანებს მაგისი წვერი. გამიგონია, რომ ეგეთი წვერი ჰქონია მაგის დიდ პაპასაც – კანს.

- იღუმეას უდაბნოშია დაბადებული, ეგ უბედური, სადაც ლომებიც კი ბინადრობენ. ჰოდა, ნუ წაეკიდები, — მიუგო ფილიპემ, ორი თითი ტუჩებთან მიიტანა და ვირს დადევენებულს დაუსტვინა.

- იუდა, – დაუძახა – მშვიდობა, იუდა! ახლოს მოდი, წესიერად გნახოთ!

ჟღალწვერამ გადააფურთხა, შეიგინა, არც მწყემსკაცა ფილიპე მოსწონდა და არც უმაქნისი ზებედე. მაგრამ მჭედელი იყო, საჭირო კაცი და მიუახლოვდა.

- აბა, რას გვეტყვი, რა ხდება იმ სოფლებში, შენ რომ დადიხარ? ბარში რა ხდება? - ჰკითხა ფილიპემ.

ჟღალწვერამ ვირს კუდზე მოქაჩა, გააჩერა.

- ყველაფერი გადასარევადაა, მრავალმოწყალეა უფალი, უყვარს თავისი ხალხი, დალოცვილი იყოს მისი სახელი! - მწარე სიცილით უპასუხა, - ნაზარეთში წინასწარმეტყველებს აცვამს ჯვარს, დაბლობზე წარღვნას უშვებს და თავის ხალხს სარჩოს ართმევს. არ გესმით? გლოვავა ყველგან, ქალები ხორბალს ისე დასტირიან, გეგონებათ, წინ შვილები უსვენიათო.

- ყველაფერი ღმერთის ნებაა, – შეეპასუხა მოხუცი ზებედე, რომელიც თან ბრაზობდა, რომ ამდენი ლაყობა მის სამუშაო დღეს აზარალებდა, – რაც უნდა მოგვივლინოს ღმერთმა, მე მას ვემორჩილები! ღმერთი მიცავს მაშინ, როცა ყველა

იხრჩობა და მე გადავრჩები. ღმერთი მიცავს მაშინაც, როცა ყველანი გადარჩებიან და მარტო მე ვიხრჩობი. გეუბნებით, მე მაინც ღმერთის მწამს.

ჟღალწვერას ამ სიტყვების გაგონებაზე დაავიწყდა, რომ დღიურად მომუშავე მჭედელი იყო და ყველა ეს ადამიანი სჭირდებოდა, რისხვით წამოენთო და კბილებში გამოსცრა:

– გწამს არა, ზებედე-ბატონო? იმიტომ რომ ეგ ყოვლისშემძლე უფალი საქმეებს გიკვარახჭინებს. რა თქმა უნდა, ენდობი, მთელ ხუთ თევზსაჭერ ნავს განაგებ, ორმოცდაათ მეთევზეს მონად მოიმსახურებ, იმდენ საზრდოს აძლევ, ჰა და ჰა, შიმშილისაგან სული არ გასძვრეთ და იმდენი შეძლონ, რომ გემსახურონ, შენ კი ამ დროს გულს ვერ იცხრობ, მუცელს იყორავ და სარდაფებს ავსებ სანოვავით. რატომაც არა, ალაპყრობ ხელებს ცისკენ და იტყვი: „სამართლიანია ღმერთი, მისი მწამს! მშვენიერია ეს სამყარო და დაე, ნურასდროს შეიცვლება!“. მაგრამ აბა, ერთი ზილოტისთვის გეკითხა, რომელიც გუშინწინ აცვეს ჯვარს, რადგან ჩვენი გამოხსნისათვის იბრძოდა. მიდი, ერთი მიწათმოქმედებსაც მოუსმინე, ერთ ღამეში რომ წაართვა ღმერთმა მთელი წლის სარჩო ხორბალი, ახლა კი ტალახში ხოხავენ, თავთავ-თავთავ აგროვებენ და ტირიან. ერთი მეც მკითხე, სოფელ-სოფელ რომ დავხეებ და ვაყურადებ ისრაელის ტკივილებს! როდემდე? აბა, როდემდე? არასოდეს გაგჩენია ეს კითხვა შენ, ზებედე-ბატონო!

– სიმართლე გითხრა, ჟღალი წვერის გამო არ გენდობი! შენ კაენის ტომიდან ხარ, ვინაც თავისი ძმა მოკლა. ჰოდა, წადი, გზას ეწიე, შენთან ლაპარაკი არ მინდა! — მიუგო ზებედემ და ზურგი აქცია.

ჟღალწვერამ სახედარს სახრე გადაუჭირა, ისიც უკანა ფეხებზე შეხტა, შეითამაშა და გზა განაგრძო.

– შენ დამაცადე, — ჩაიჩურჩულა, — დაიცადე, ხარბო ბერიკაცო, და ნახავ, მესია რომ მოვა და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

ლოდებს შემოუარა და მოუტრიალდა:

– ისევ შევხვდებით, ზებედე-ბატონო, – მიაყვირა, – განა არ მოვა მესია ერთ დღეს? როგორ არა! მოვა და ყველა მავნებელს თავის ადგილს მიუჩენს! მეც მწამს მისი. აბა, შენ იცი, ბატონო, სამსჯავროს დღეს შევხვდებით!

– კი, შევხვდებით, შენი წარწყმედის დღეს, შე წითელწვერავ! — ასძახა ზებედემ.

უკვე ბადის შუაწელიც ამოიზიდა, ქორჭილებითა და კაპარჭინებით სავსე. — ფილიპე ამ ორ მოკამათეს შორის იდგა და ვერ გადაეწყვიტა, ვის მიმხრობოდა. მართალი თქვა იუდამ და ვაჟკაცურადაც გამოუვიდა. თვითონაც არაერთგზის მონღომებია, ყველაფერი თავზე დაემხო და სახე გაეგლიჯა ამ გაუმაძღარი ბერიკაცისთვის, მაგრამ ვაჟკაცობა არასდროს ჰყოფნიდა. დაუნდობელი ბატონი იყო ეს უღმერთო, წყალსაც და ხმელეთსაც ეგ განაგებდა, ყველა საძოვარი, სადაც კი ფილიპე თავის თხა-ცხვარს აძოვებდა, მას ეკუთვნოდა და აბა, რანაირად უნდა შეწინააღმდეგებოდა? საამისოდ ან გიჟი უნდა ყოფილიყო, ან ვაჟკაცი, ფილიპე კი არც ერთი იყო და არც მეორე. ყბედი იყო, ენაჭარტალა და თანაც - წინდახედული.

ამიტომაც დუმდა, როცა ის ორნი კამათობდნენ, იდგა შემდრკალი და ვერ გადაეწყვიტა, ვისი მხარე დაეჭირა. ახლა უკვე ბადეებს ითრევდნენ წყლიდან, თვითონაც დაიხარა, მეთევზეებს ხელი შეაშველა კალათების გავსებაში, მოხუცი ზებედეც წელამდე ჩამდგარიყო წყალში – თევზებსა და მეთევზეებს მბრძანებლობდა.

მაგრამ ამ დროს, როდესაც ყველა ხარობდა და სიამაყით შესცქეროდნენ პირთამდე ავსებულ კალათებს, მოპირდაპირე კლდიდან ჟღალწვერას ხრინწიანი ხმა მისწვდათ:

- ჰეი, ზებედე-ბატონო!

ზებედემ წაუყრუა. ისევ გაისმა ჩახრინწული ხმა:

- ჰეი, შენ, ზებედე-ბატონო, შენს შვილს – იაკობს რომ მიხედო, შენთვისვე აჯობებს!

- იაკობს?! – აღმოხდა მოხუცს და წამოენთო.

თავისი უმცროსი ვაჟისგან — იოანესგან უკვე საკმარისად იწვინია, საბოლოოდ დაკარგა იგი და არ უნდოდა უფროსი ვაჟიც მის კვალს გაჰყოლოდა. სხვა ვაჟი არ ჰყავდა, არადა, საქმეებში თანადგომა სჭირდებოდა.

- იაკობს?! — ჩაეძია ალელვებული, – განა იაკობზე რა გაქვს სათქმელი, შე წყეულო?

- გზაში შემხვდა. დავინახე, როგორ ემასლაათებოდა და ესიყვარულებოდა ჯვარმცმელს!

- რომელ ჯვარმცმელს, ღმერთმა კი შეგაჩვენოს, გამაგებინე წესიერად?!

- რომელს და, ხუროს ძეს, ნაზარეთში ჯვრებს რომ ამზადებს და წინასწარმეტყველებს აცვამს ზედ... მორჩა, უბედურო ზებედე, მაგის საქმეც წასულია! ორად-ორი ვაჟი გყავდა და ერთი ღმერთმა წაგართვა, მეორე კიდეც – ეშმაკმა!

მოხუცი ზებედე პირგამეხებული იდგა. მოულოდნელად, წყლიდან თევზი ამოხტა, ზებედეს თავზე გადაისხმარტალა, კვლავ ტბაში ჩაეშვა და გაუჩინარდა.

- ავის ნიშანია! ავის! — ჩურჩულებდა შეძრწუნებული ბერიკაცი, – ეგება ჩემი შვილიც ასე, თევზივით უნდა გასხლტეს და წყლის სიღრმეებში ჩამეკარგოს?

ფილიპეს მიუბრუნდა:

- თევზი დაინახე? — ჰკითხა, - არაფერი ხდება ცისქვეშეთში შემთხვევით. რას ნიშნავდა ეს? თქვენ მწყემსებს...

- ცხვრის ზურგი რომ ყოფილიყო, გეტყოდი, ზებედე-ბატონო, მაგრამ თევზებისა არაფერი გამეგება, – გესლიანად მიუგო ფილიპემ, რადგან საკუთარ თავზე ბრაზობდა, ვაჟკაცობა რომ არ ეყო – იუდასავით, კაცურად ელაპარაკა.

- წავედი, ჩემს ფარას მივხედო, – ჩაილაპარაკა.

სახრე მხრებზე შემოიგდო და ლოდინდან ლოდზე ხტომით იუდას მიუახლოვდა.

- მოიცა, ძმაო, - დაუძახა, - საქმე მაქვს შენთან.

- გამეცალე, შე ლაჩარო, - შეუღრინა ჟღალწვერამ ისე, რომ არც მიბრუნებულა, - გამეცალე, შენს ცხვრებს მიხედე და კაცებს არ გაეკარო. მე კიდევ ძმა აღარ დამიძახო! სადაური შენი ძმა ვარ!

- მოიცადე, რაღაც მინდა გითხრა, ნუ ბრაზობ! იუდა ამჯერად გაჩერდა, დამცინავად უყურებდა:

- რატომ ერთი სიტყვა არ დაგცდა? მაგის გეშინია? ისევ გეშინია? ანუ ჯერაც ვერ მიმხვდარხარ, რა ხდება, ვინ მოდის, საით მივდივართ?! მოახლოვდა უამი, უბადრუკო, მოდის მეფე იუდეველთა, მთელი თავისი დიდებით მოდის და ვაი თქვენ - ლაჩრებს!

- იუდა, - ვედრებით შეეპასუხა ფილიპე, - თუ გინდა, თავ-პირი გამიერთიანე, ეგ შენი სახრე გადამიჭირე, რამდენჯერაც გინდა, ეგება თავმოყვარეობა გამელვიძოს, მეც აღარ შემიძლია, დამღალა გამუდმებით შიშმა!

იუდა ნელა მიუახლოვდა, მკლავზე მოქაჩა:

- ამას გულით ამბობ, ფილიპე, — ჩაეძია, - თუ ისე, ჰაერზე ლაპარაკობ?

- დავიღალე, გეუბნები, დავიღალე. დღეს საკუთარი თავი შემზიზღდა. მიწინამძღვრე, გზა მიჩვენე, იუდა, მზადა ვარ!

ჟღალწვერამ ირგვლივ მიმოიხედა, ხმას დაუწია და ჰკითხა:

- ფილიპე, შეგიძლია მოკლა?

- ვინ, ადამიანი?

- ხო, ადამიანი, აბა ცხვარი?!

- ჯერ არავინ მომიკლავს, მაგრამ კი, შემიძლია, ნამდვილად. ამასწინათ, სავსემთვარეობაზე, ქვემოთ ჩავედი და მარტომ მოვკალი ხარი.

— კაცის მოკვლა უფრო ადვილია. წამოდი ჩვენთან!

ფილიპე შეკრთა, ახლალა მიხვდა.

- შენც იმათგან ხარ... ზილოტებისგან? - ჰკითხა და შიში დაეღვარა სახეზე.

ბევრი რამ სმენოდა ამ სახიფათო საძმოს შესახებ, „წმინდა მკვლელთა“ შესახებ, როგორც მათ უწოდებდნენ, ხალხს რომ შიშის ზარს სცემდნენ ჰერმონის მთიდან ქვემოთ – მკვდარ ზღვამდე და კიდევ უფრო ქვემოთ – იდუმელს უდაბნომდე. დაიარებიან თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი რკინის ძალაყინებით, თოკებითა და დანებით და ქადაგებენ: „ნუ გადაუხდით ხარკს ურჯულოებს, მხოლოდ ერთია ჩვენი უფალი – ადონაი, დახოცეთ ყველა ებრაელი, ვინც შჯულის უარყოფს ან დასცინებს, ვინაც ჩვენი ღმერთის მტრებს — რომაელებს მოემსახურება. არ

დაინდოთ, დახოცეთ, გაუხსენით გზა მესიას, რომ შემოვიდეს! განწმინდეთ სამყარო, განამზადეთ გზები, რადგანაც მოდის იგი!“

დღისით-მზისით ესხმიან სოფლებსა და ქალაქებს, იღებენ თვითნებურ გადაწყვეტილებებს, ხოცავენ მოღალატე სადუკვეველებს, სისხლისმსმელ რომაელებს. მათი შიშით ძრწიან მდიდრები და ქურუმები და მათ წყევლიან მღვდელმთავრები, მაგრამ ისინი, დიახ, ისინი მაინც ჯანყდებიან, მაინც ესხმიან თავს რომაულ მხედროვნებს და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხოცვა-ჟლეტაა, მდინარეებად მოედინება ებრაელთა სისხლი.

- შენც იმათგან ხარ... ზილოტებისგან? - ისევ ხმადაბლა ჰკითხა ფილიპემ.

- რაო, გეშინია? – ჰკითხა ჟღალწვერამ და დამცინავად გაიღიმა, - მკვლელები არ ვართ, ნუ დაფრთხი. თავისუფლებისთვის ვიბრძვით, ჩვენი ღმერთის მონობისაგან გამოხსნისთვის, ჩვენი სულების მონობიდან გამოხსნისთვის, ჩემო ფილიპე დადგად რო, გვაჩვენო მართლა კაცი ხარ თუ არა! ადექი და წამოდი ჩვენთან!

მაგრამ ფილიპე თავჩაქინდრული იდგა, უკვე იხანა კიდეც იუდასთან ამგვარი საუბრის წამოწყება. ერთია – მამაცურად ლაპარაკობდე, იჯდე მეგობრებთან ერთად, ქეიფობდე და ბრტყელ ბრტყელ სიტყვებს აქუნებდე, იმუქრებოდე — ამას ვიზამ, სეირს ვაჩვენებო! მაგრამ ეგაა, იმის იქით ვერ მიდიხარ. კისერს წაიმტვრევ!

იუდა მისკენ გადახრილიყო და ჩასჩიჩინებდა. რანაირად შეცვლოდა ხმა და როგორ დამზოგავად ენებოდა მძიმე ტორით ფილიპეს მხარს!

- რა არის ადამიანის ცხოვრება, ფილიპე? – ეუბნებოდა, - რად ღირს? არაფრად ღირს, თუ თავისუფალი არ ხარ. ჩვენ თავისუფლებისთვის ვიბრძვით, დამიჯერე! წამოდი ჩვენთან!

ფილიპე ჩუმად იყო. ნეტავ გაქცევა შეძლებოდა. მაგრამ იუდა მაგრად ჩასჭიდებოდა მკლავზე:

- წამოდი ჩვენთან! კაცი არ ხარ? გადაწყვიტე, ბოლოს და ბოლოს! დანა თუ გაქვს?

- კი, მაქვს.

- სულ თან გქონდეს, უბეში შეინახე, შეიძლება ნებისმიერ წამს დაგჭირდეს. მძიმე დღეები გვიდგას, ჩემო ძმაო, განა არ გესმის, მსუბუქი ნაბიჯების ხმა რომ გვიახლოვდება? ეს მესიაა! როცა მოვა, გზა ჩაკეტილი არ უნდა დახვდეს! პურზე მეტად დანა გვჭირდება. აჰა, ამას შეხედე!

სამოსი გადაიწია. ზედ შიშველ სხეულზე, შავ მკერდთან ბედუინის ორღესული დანა უელავდა.

- ის ლენჩი იაკობი, ზებედეს ძე, სწორედ ისაა დამნაშავე, რომ დღეს ერთი მოღალატის გულს არ გავურჭე ეს დანა. გუშინ, სანამ ნაზარეთიდან წამოვიდოდი, მთელმა საძმომ სიკვდილი მივუსაჯეთ მას...

- ვის?

- და მე მხვდა წილად, რომ მომეკლა.

- ვინ უნდა მოკლა? – ისევ იკითხა ფილიპემ და სახე აელეწა.

- ეგ ჩემი საქმეა, – უკმეხად მიუგო ჟღალწვერამ, - ჩვენს საქმეებში ნუ ჩაერევი!

- როგორ, არ მენდობი?

იუდამ გარშემო მიმოიხედა, მერე დაიხარა, ფილიპე მკლავით დაითრია და:

- კარგად მოისმინე, რასაც გეტყვი, ფილიპე, და სიტყვა არ სად დაგცდეს, თორემ წასულია შენი საქმე: ახლა მონასტერში მივდივარ, უდაბნოში. ბერებმა დამიძახეს, რომ მათთვის იარაღები დავამზადო. სამ-ოთხ დღეში შენს სადგომში გამოვივლი. კარგად დაფიქრდი იმაზე, რაზეც ვილაპარაკეთ, არ გაბედო და სიტყვა არ დაგცდეს ვინმესთან ამ საიდუმლოს შესახებ, თვითონ გადაწყვიტე. და თუ კაცი ხარ და ისე გადაწყვეტ, როგორც საჭიროა, მაშინ გაგიმჟღავნებ, ვისზეც მივიტანთ იერიშს.

- ვისზე? მე ვიცნობ?

- ნუ ჩქარობ! ჯერ შენ ჩვენი ძმობის წევრი არა ხარ!

ტორი დაჰკრა გასამხნეველად და თქვა:

- აბა, კარგად იყავი, ფილიპე! აქამდე არარაობა იყავი, იცხოვრებდი თუ არ იცხოვრებდი — დედამიწისთვის სულერთი იყო. მეც ასე ვიყავი, არაფრისმაქნისი, მანამ საძმოს შევუერთდი და მას შემდეგ ვიქეცი სხვა ადამიანად. ახლა ჟღალწვერა იუდა კი აღარ ვარ – მჭედელი, რომელიც ვირივით მუშაობდა და ერთადერთი მიზანი ჰქონდა - როგორმე ეს მუცელი, ეს ფეხები და ეს მახინჯი თავი გამოეძღო, ახლა ერთი დიდი მიზნისთვის ვარ თავგამოდებული. გესმის? ერთი დიდი მიზნისათვის! და ვინც დიდი მიზნისთვის იღვწის, თუნდაც ყველაზე მდაბიო იყოს, თავადაც დიდი ხდება! გაიგე? სხვას ამჯერად არაფერს გეტყვი, აბა, შენ იცი!

თქვა, სახედარს ფერდში მიჰკრა და სწრაფად დაეშვა უდაბნოსკენ.

ფილიპე კი მარტო დარჩა. სახრეზე ნიკაპი ჩამოედო და იუდას გასცქეროდა, სანამ კლდეებს არ შემოუარა და თვალს არ მიეფარა.

„ვაი, რომ, მართალს ამბობს ეს ჟღალწვერა, – ფიქრობდა, - წმინდა სიმართლეს ამბობს. თითქოს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებიაო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? სანამ სიტყვებზე ვართ, ყველაფერი ჩინებულადაა, მაგრამ აი, საქმე რომ მოგვეკითხება – მაშინ? ჭკუას მოუხმე, შე უბედურო ფილიპე! შენს ცხვრებზეც იფიქრე. ამ ამბავს გულდასმით მოჩხრეკა სჭირდება. კაი, აგერ მე და აგერ ის, ვნახავთ რა იქნება“.

მხრებზე ისევ სახრე შემოიღო და თავისი თხა-ცხვრების ზანზალაკების ხმას მიჰყვა სტვენა-სტვენით.

ამასობაში მეთევზეებს ცეცხლი გაეჩაღებინათ და თევზის წვნიანს ამზადებდნენ. წყალი ადუღდა, ქორჭილები, მოლუსკები და ზღვის ზღარბები ჩაყარეს და ერთი მომწვანო ქვაც ჩაუშვეს, რათა საჭმელს ზღვის გემო უკეთ აეღო. ცოტა ხანში ქორჭილებსა და კაპარჭინებსაც ჩაუშვებდნენ. აბა, სად ეყოფოდათ ქორჭილები და

მოლუსკები! დამშეული მეთევზეები ცეცხლის გარშემო ჩაცუცქულიყვნენ და წყნარად საუბრობდნენ. მოხუცი მეთევზე გვერდით მჯდომისკენ გადაინარა და ხმადაბლა გადაულაპარაკა.

- რა კარგი ქნა, რომ ყველაფერი მიახალა პირში მჭედელმა. მოთმინება გვმართებს, ის დღეც დადგება, რომ ღარიბები თავზე მოვექცევით, მდიდრები კი დაბლა აღმოჩნდებიან. აი, ეგ იქნება სამართლიანობა!

- გგონია, მოხდება ეგ, მეგობარო? - დაეჭვებით იკითხა მეორემ, ბავშვობიდან რომ გაეტანჯა სიღუბნირეს, - გგონია, ეგ ოდესმე მოხდება ამქვეყნად?

- ღმერთი ხომ არსებობს! — მტკიცედ თქვა მოხუცმა, - არსებობს! ხომ არის სამართლიანი? განა შეიძლება ღმერთი სამართლიანი არ იყოს?! არა, არ შეიძლება! ჰოდა, მოხდება მხოლოდ მოთმინება გვმართებს, შვილო, მოთმინება.

- ჰეი, რას ჩურჩულებთ თქვენ მანდ? - გადმოსძახათ ზებედე-ბატონმა, რომელმაც რალაცას მოჰკრა ყური და დაიგესლა, - თქვენს საქმეს მიხედეთ და ღმერთს შეეშვიოთ! თავის საქმეს თვითონ მიხედავს! ერთი ამათ დამიხედეთ!

ყველა ერთბაშად გაჩუმდა. მოხუცი მეთევზე წამოდგა, ხის კოვზი აიღო და თევზის საჭამადს მოურია.

IX

იმ დროს, როდესაც ზებედეს ხელქვეითები ბადეებს კეცავდნენ და ტბაზე უმანკოდ დღე ისე ეშვებოდა, თითქოს ღმერთის ხელიდან პირველად იღვრებოდა, მარიამის ძე იაკობთან - ზებედეს უფროს ვაჟთან ერთად მიიკვლევდა გზას. მაგდალა უკან მოეტოვებინათ, დროდადრო ქალებს მიესალმებოდნენ, თანაუგრძობდნენ მათ, ვინც ხორბალს დასტიროდა და მერე ისევ მიიწევდნენ საუბარში გართულები. იაკობსაც მაგდალაში გაეთენებინა ღამე, ქარიშხალს მოესწრო მისთვისაც და ერთი მეგობრის სახლისთვის შეეფარებინა თავი, უთენია წამომდგარიყო და ისევ გზას დასდგომოდა. ლაჟვარდისფერ რიჟრაჟში გზას მიიკვლევდა, ტალახებში მიაბოტებდა, ეჩქარებოდა გენესარეთის ტბამდე მისვლა. თანთადანობით უყუჩდებოდა ის ტკივილები, ნაზარეთში ნანახმა რომ მოჰგვარა და ჯვარცმული ზილოტიც უკვე შორეულ მოგონებად ქცეულიყო. გონებაში ისევ თევზსაჭერი ნავები, ხელქვეითები, ყოველდღიური საზრუნავი უტრიალებდა. დელგმისგან გათხრილ ორმოებს ახტებოდა, თავზე კი მოღიმარი ზეცა დასცქეროდა, ხეებს, თან რომ იცინოდნენ და თან ტიროდნენ, წვეთები სცვიოდათ, ჩიტებიც შეფრთხილდნენ, ირგვლივ ღვთიური სიხარული სუფევდა. მაგრამ როგორც კი ინათა, იაკობმა თქემისგან წალეკილი კალოები შენიშნა და დაინახა, რომ გზაზე, ხორბალ-სიმინდის მთელი მოსავალი წყალს მოჰქონდა. თავდაპირველად რომ შეეტყოთ, ის მიწათმოქმედნი, ცოლებთან ერთად, უკვე ყანებში გამოსულიყვნენ და მოთქვამ-გოდებდნენ... და უეცრად, ერთ განადგურებულ კალოზე, ორ დედაბერთან ერთად, პირქვედამხობილი მარიამის ძე დაინახა.

თავის ხელჯოხს მაგრად მოუჭირა, შეიგინა. თვალწინ ისევ აღუდგა ჯვარი, ჯვარცმული, ნაზარეთი. და რას ხედავს, ეს ჯვარცმელი დაჩოქილა და ქალებთან ერთად დასტირის ხორბალს! ახირებული, უკუღმართი კაცი იყო იაკობი, მამამისის ყველა ხუშტური დაჰყოლოდა – უკმეზობა, სიუხეშე, უსულგულობა. დედამისს, იმ წმინდა ქალს – სალომეს საერთოდ არ ჰგავდა. არც თავისი ძმის - კეთილშობილი იოანეს მსგავსი იყო. ხელჯოხი მოიმარჯვა და გაშმაგებით გასწია კალოსაკენ.

იმ წუთას მარიამის ძე ფეხზე დგებოდა, რათა კვლავ გზაზე გასულიყო. ლოყებზე ჯერ კიდევ ცრემლები ჩამოსდიოდა. ორ დედაბერს ხელი ჩაეკიდა მისთვის, კოცნიდნენ და წასვლას არ ანებებდნენ. სხვა, აბა, ვინ ეტყოდა მათ ასეთ მანუგეშებელ სიტყვებს, როგორც ამ უცნობმა მგზავრმა დააიმედათ.

- ნუ ტირით, დედაკაცნო, ნუ ტირით, ისევ დავბრუნდები. თქვა და ნელ-ნელა გამოეხსნა მოხუცებს.

იაკობი ადგილზე გაშეშდა, გაოგნებული იდგა. ჯვარცმელს ცრემლით სავსე თვალები უბრწყინავდა, ხან ზემოთ - მოვარდისფრო ცას მიაჰყრობდა და ხან ქვემოთ — მიწასა და ადამიანებს, რომლებიც ძირს, ტალახში ემხოზოდნენ და მოთქვამდნენ.

„ესაა ჯვარცმელი? ნუთუ ეს? სახე ისე უბრწყინავს, როგორც ელია წინასწარმეტყველს“, ჩურჩულებდა იაკობი და შეშფოთებული აკვირდებოდა. მარიამის ძემ კალოს ზღუდეს გადმოაბიჯა და იაკობი დაინახა. იცნო, ხელი მკერდზე დაიდო, მიესალმა.

- საით გაგიწევია, მარიამის ძევ? — ჰკითხა ზებედეს ძემ და ხმა მოუღბა.

და სანამ პასუხს მოისმენდა, შესთავაზა:

- ერთად წავიდეთ! გზა გრძელია, თანამგზავრს ითხოვს.

„გზა გრძელია და თანამგზავრს არ ითხოვს“, - გაიფიქრა მარიამის ძემ, მაგრამ ფიქრი არ გამოუთქვამს.

- წავიდეთ, - თქვა და ერთად დაადგნენ გრძელ გზას კაპერნაუმისკენ.

კარგა ხანს არ გამოლაპარაკებიათ ერთმანეთს. ყოველ კალოსთან დამწუხრებული ქალები მოთქვამდნენ. ბერიკაცები ხელჯოხებს ჩამოყრდნობოდნენ, დასცქეროდნენ ხორბალს, რომელიც წყალს მიჰქონდა, პირმოქუშული კაცები კი ჩამდგარიყვნენ განადგურებული ნათესების შუაგულში, ზოგი უხმოდ იყო, ზოგიც – იგინებოდა. მარიამის ძემ ამოიოხრა.

- ეჰ, ნეტავ შეიძლებოდა, — წაიჩურჩულა, ნეტავ შემადლებინა, მე მოვკვდე და სხვები შიმშილს გადავარჩინო.

იაკობი თვალებგაფართოებული მიშტერებოდა:

- რომ შეგძლებოდა ხორბლად ქცეულიყავ, ხალხი დაგეპურებინა და სიკვდილისგან გეხსნა, დათანხმდებოდი ამას?

- ვინ არ დათანხმდებოდა?! – გაიკვირვა მარიამის ძემ.

იაკობს შევარდენივით თვალები და სქელი ტუჩები აუთამაშდა.

- მე! — უპასუხა.

მარიამის ძე ღუმდა, იაკობი კი ბობოქრობდა:

- მე რატომ უნდა დავიღუპო? — ბურტყუნებდა, - ღმერთმა მოავლინა დელგმა და მე რა შუაში ვარ?

და გაცოფებულმა ზეცას შეხედა:

- რისთვის დაუშვა ეს ღმერთმა? რა დაუშავა მას ხალხმა? არ მესმის. შენ გესმის, მარიამის ძევ?

- ნუ მეკითხები, ძმაო, ცოდვია. გუშინწინდლამდე მეც ეს კითხვა მაწვალებდა. ახლა გავიგე. ეს ის გველია, რომელმაც პირველქმნილნი დაგესლა და რის გამოც ღმერთმა სამოთხიდან განგვდევნა.

- ეს? რას გულისხმობ?

- ამ შეკითხვას!

- არ მესმის, — თქვა ზებედეს ძემ და ნაბიჯს აუჩქარა.

ახლა უკვე აღარ მოსწონდა ჯვარმცმელის თანამგზავრობა. მისი სიტყვები გულს უმძიმებდა. მისი სიჩუმე კი უფრო მეტად აუტანელი იყო. ამასობაში, ერთ-ერთ გორაკს მიაღწიეს და შორს გენესარეთის მოელვარე წყალიც გამოჩნდა. მეთევზეები უკვე სიღრმეში გასულიყვნენ სათევზაოდ. წითლად მოელვარე მზე უდაბნოდან ამოდიოდა. სანაპიროზე თეთრად ელვარებდა მდიდარი სოფელი.

იაკობმა თავისი ნაკვები იცნო და მისი გონება კვლავ თევზებზე ფიქრმა მოიცვა, არასასურველ თანამგზავრს მიუბრუნდა:

- სად მიდიხარ, მარიამის ძევ? — ჰკითხა, - აგერ, კაპერნაუმი!

მარიამის ძემ თავი ჩაქინდრა, არაფერი უპასუხა. შერცხვა ეთქვა — მონასტერში მივდივარ, განსაწმენდალო.

იაკობმა თავი ასწია, შეხედა. ბოროტმა აზრმა გაუელვა უეცრად:

- არ გინდა მითხრა? — დაუღრიალა, - საიდუმლოდ ინახავ, არა?

ნიკაპზე ხელი წაავლო და თავი აუწია: — თვალებში ჩამხედე! თქვი, ვინ გგზავნის? მაგრამ მარიამის ძემ ამოიოხრა:

- არ ვიცი, - ჩაიხურჩულა, — შეიძლება ღმერთი გგზავნის, მაგრამ შეიძლება...

გაჩერდა. შიშისაგან ენა სასაზე მიეკრა. მართლა დემონი რომ გზავნიდეს?!

იაკობს საზარელი, დამცინავი ხარხარი აუტყდა. მაგრად ჩაავლო მკლავში ხელი, შეანჯღრია:

- ასისთავი? — კბილებში გამოცრა, — ასისთავი, შენი ძმაკაცი? ეგ გგზავნის, ხო?!

რალა თქმა უნდა, იგი! ცხადია, ასისტავი აგზავნის ამ დამსმენს. ახალი ზილოტები გამოჩნდნენ მთასა და უდაბნოში, სოფლებში შედიან, ჩუმად ესაუბრებიან ხალხს შურისძიებასა და თავისუფლებაზე. ნაზარეთის ამ სისხლისმსმელ ასისტავს ხომ ყველა სოფელში ჰყავს მოსყიდული ებრაელები, დამსმენები. და ახლა ესეც, რა თქმა უნდა, ესეც, ეს ჯვარმცმელიც დამსმენი არის. წარბები შეჭმუხნა, ხმას დაუწია, ერთი მისცხო და გვერდზე მიაგდო.

- მომისმინე, რა გითხრა, ხუროს ძვე: ჩვენი გზები აი, აქ იყრება. შენ ვითომ არ იცი, სად მიდიხარ, მაგრამ მე ვიცი. წადი და ისევ შევხვდებით! სად წამიხვალ? კვალში ჩაგიდგები, შე უბედურო, და ვაი შენს დღეს, თუ დაგეწიე! ახლა კი მარტო ამ ერთ რამეს გეუბნები და კარგად დაიმახსოვრე: ამ გზიდან, რომელსაც ადგახარ, ცოცხალი ვერ გახვალ!

თქვა და ისე, რომ ხელი არც კი აუწევია, არც კი დამშვიდობებია, დაღმართზე ჩაირბინა.

მეთევზეებს უკვე ჩამოედგათ ცეცხლიდან სპილენძის თუნგი და გარშემო შემოსხდომოდნენ. პირველმა ზებედემ აიღო ხის ჩამჩა, ყველაზე დიდი ქორჭილა დაითრია და ჭამა დაიწყო. მეთევზეთაგან უხუცესმა ხელით შეაჩერა იგი:

- ბატონო, – თქვა, — ლოცვის თქმა დაგვავიწყდა.

ზებედე-ბატონმა, რომელიც უკვე ილუკმებოდა, ხის ჩამჩა ასწია და ღეჭვა-ღეჭვით წარმოთქვა სამადლობელი ისრაელის ღმერთისადმი, რომელიც აძლევს თევზს, ხორბალს, ღვინოსა და ზეთს, რათა ებრაელთა თაობები გამოიკვებონ და გაძლონ მანამ, სანამ უფლის დღე დადგებოდეს და მტრები მიმოიფანტებოდნენ, სანამ ყველა ერი ისრაელის ფერხთა წინ დაემხობოდეს და თაყვანს სცემდეს მას. და ყველა ღმერთიც დაემხობოდეს ადონაის ფერხთა წინ და თაყვანს სცემდეს მას. ამისთვის ვჭამთ, უფალო, ამისთვის ვქორწინდებით და ვაჩნთ ბავშვებს, ამისთვის ვცხოვრობთ — შენი გულისთვის! — თქვა, ერთი მიმოიხედა და ქორჭილა გადასანსლა.

და სწორედ იმ დროს, როცა ბატონი და ხელქვეითები საკუთარი შრომის შედეგით ნაყრდებოდნენ და ტბას — მათ მასაზრდოებელ დედას მიშტერებოდნენ, ტალახში ამოგანგლული და აქოშინებული იაკობიც გამოჩნდა. აჩოჩქოლდნენ, მიიწ-მოიწიეს, რომ მისთვის ადგილი გაეთავისუფლებინათ, გუნებაზე მოსულმა მხცოვანმა ზებედემ კი შესძახა:

- მშვიდობა პირმშოს! ბედი გწყალობს, დაჯექი, ჭამე! აბა, რა ცნობა მოგაქვს ჩვენთან?

ვაჟმა არაფერი უპასუხა. მამის წინ ჩაიმუხლა, მაგრამ ხელიც არ უხლია სურნელოვანი ქვაბისათვის, რომელსაც ორთქლი ასდიოდა.

ზებედე დამფრთხალი უყურებდა: კარგად იცნობდა თავის ვაჟს — უცნაური და უჟმური იყო და ამიტომაც ეშინოდა მისი.

- არა გშია? - ჰკითხა- რა გჭირს? რა სახე გაქვს? ახლა ვილას გადაეკიდე?

- ღმერთს, დემონებს, ადამიანებს, – უპასუხა დაბღვერილმა იაკობმა, — არ მშია.

„ეჰ, – გაიფიქრა ზებედე-ბატონმა, – მოეთრა, რომ ჭამა-სმა ჩაგვაშხამოს...“,

მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს გუნება არ შეცვლოდეს, ვაჟიშვილს მუხლზე ხელი მოუთათუნა და თვალი ჩაუკრა:

- უხ, შე ეშმაკო, ვის ელაპარაკებოდი გზაში?

იაკობი შეცბა:

- რაო, დამსმენებიც გვყავს? ვინ გითხრა? არც არავის!

თქვა და გაერიდა. ტბაში შევიდა, მუხლებამდე ჩადგა წყალში, დაიბანა. მერე კვლავ ერთად მსხდომ მეთევზეებს დაუბრუნდა. უყურებდა, როგორ მადიანად ილუკებოდნენ, ხალისობდნენ და თავი ველარ შეიკავა:

- ჭამეთ და სვით, რა გენაღვლებათ, სხვებს კი თქვენ გამო ჯვარს აცვამენ ნაზარეთში!

მათი დანახვაც აღარ უნდოდა, ადგა და ბურტყუნით გაეშურა სოფლისაკენ.

მოხუცი ზებედე შორიდან უყურებდა თავის ვაჟს - როგორ მიდიოდა, მერე თავი მძიმედ გააქნია და ჩაილაპარაკა:

- ვერაფერს იტყვი, ვაჟებში კი ნამდვილად გამიმართლა: ერთი ზედმეტად გულჩვილი, ზედმეტად ღვთისმოშიში გამომივიდა, მეორე კი მეტისმეტად უჯიათი – სადაც უნდა წავიდეს, აყალმყალს არ ასცდება! არც ერთი ნორმალურ კაცად არ დადგა - ხომ შეიძლებოდა ორივეს ზომიერად ჰქონოდა ეს თვისებები, ორივე ცოტა გულჩვილი, ცოტა უჯიათი, ცოტა კეთილი, ცოტა ავი, ცოტაც ეშმაკი და ცოტაც ანგელოზი რომ ყოფილიყო, ერთი სიტყვით, ადამიანები ყოფილიყვნენ...

ამოიოხრა და ერთი კაპარჭინა დაიტაცა, მწარე გემო რომ ჩაეწმინდა.

- კაპარჭინები არ გამომლეოდეს, – თქვა – და ეს ტბა, რომელიც კაპარჭინებს ამრავლებს და ღმერთი, რომელიც ტბებს აჩენს.

- აბა, მაშინ მოხუცმა იონამ რაღა უნდა ქნას, ბატონო? — თქვა მეთევზეთაგან უხუცესმა, – ზის ის უბედური ყოველ საღამოს კლდეზე, იერუსალიმს გასცქერის და თავის ვაჟს — ანდრიას მისტირის. ისიც კაი ხნის გასულია ამქვეყნიდან: ამბობენ, ვიღაც წინასწარმეტყველს გადაეკიდა, მასთან ერთად დადისო, რომელიც თაფლითა და კალიებით იკვებება, ადამიანებს იბირებს, იორდანეში შეჰყავს, რომ განბანოს ცოდვებისგან!

- ჰო, ვაჟები იყოლიე, აგაყვავებენო! - თქვა ზებედემ, - ერთი, ეგ დოქი მომაწოდეთ, ცოტა ღვინო უნდა იყოს შიგ, ჯავრი შემომაწვა გულზე!

კენჭოვანი სანაპიროდან თანაბარი, მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმა. თითქოს ტლანქი, გაბრაზებული მხეცი მოდისო. მხცოვანი ზებედე შემობრუნდა, წამოდგა:

- მშვიდობა იონას, კარგ კაცს! – ღვინით მოთხვრილი უღვაშების წმენდით შეჰყვირა, – მე ეს-ესაა ჩემს ვაჟებთან და ქორჭილებთან საქმე მოვაგვარე. მოდი შენც,

ქორჭილებთან მოგვარდი ჯერ და მერე გვიამბე, როგორაა ერთი შენი ვაჟი - წმინდა ანდრია?!

მოხუცი მეთევზე მიუახლოვდათ – ტანდაბალი, ჯმუხი, ფეხშიშველი, მზისგან გარუჯული. უზარმაზარ თავზე ალაგ წაბლისფერი, ალაგ ჭადარა თმა გაბურძგნოდა, კანი ერთიანად აქერცლოდა, თევზის ფარფლებივით დასკდომოდა, თვალები კი გახუნებოდა და ჩაქრობოდა. დაიხარა, სათითაოდ დაათვალიერა ყველა. ვიღაცას ეძებდა.

- ვის ეძებ, იონა-ბატონო? — ჰკითხა ზებედეშ, – ლაპარაკი გეზარება?

უყურებდა მის ფეხებს, თმა-წვერს, თევზის ფხები და წყალმცენარეები რომ გასჩროდა, ფართო, გაპობილ ტუჩებს და პირს, თევზივით რომ ალებდა უხმოდ და კუმავდა. ზებედეშ ხუმრობა სცადა, მაგრამ შიშმა დასძლია, სახიფათო ეჭვმა გაჰკრა გონებაში. დამფრთხალმა ორივე ხელი გამალა, თითქოს არ უნდოდა იონა მიახლოებოდა.

- მოიცა, ნუთუ წინასწარმეტყველი იონა შენ ხარ? - შეჰყვირა და უკან დაიხია, – ამდენი ხანია ჩვენთან ხარ და ამას გვიმალავ? გაფიცებ ადონაის სახელს, ილაპარაკე! მონასტრის წინამძღვარს ვუსმენდი ერთხელ: ყვებოდა როგორ გადაყლაპა ზვიგენმა იონა და მერე როგორ ამოძვრა მისი მუცლიდან, გამოვიდა გარეთ და ისეთივე ადამიანად დარჩა, როგორიც უწინ იყო. კი, კი, ვერავინ გადამარწმუნებს, წინამძღვარმა ზუსტად ისეთად აღგვიწერა იგი, როგორიც შენ ხარ: მისი თმა და მკერდი სავსე იყო წყალმცენარეებით, ხოლო წვერი — პატარ-პატარა ლიფსიტებითო. სანაძლეოს ჩამოვალ და ნუ მიწყენ, იონა-ბატონო, კარგად რომ გავჩხრიკო, შენს წვერებში ლიფსიტებსაც ვიპოვი.

მეთევზეები სიცილისაგან ლამის დაიხოცნენ, მაგრამ მოხუცი ზებედეშ თვალები შიშით შესცქეროდნენ ძველისძველ მეგობარს.

- ილაპარაკე, ღვთის კაცო, - ევედრებოდა, - ნუთუ წინასწარმეტყველი იონა ხარ, მართლა ეგრეა?

მხცოვანმა იონამ თავი გაიქნია, მსგავსი არაფერი ახსოვდა, რომ რამე თევზს გადაეყლაპა, თუმცა შეიძლება ასეც მომხდარიყო — ამდენი წელია დიდ თევზებზე ნადირობს და აბა, საიდან უნდა ახსოვდეს?

- ეგ არის, ეგ! – ბუტბუტებდა მოხუცი ზებედე და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს გაქცევას ლამობსო.

სმენოდა, რომ თავისებური ხალხია წინასწარმეტყველები, მათი ნდობა არ შეიძლებოდა: ცეცხლში უჩინარდებიან, ზღვაში, ჰაერში ქრებიან და მერე უცაბედად, ჰა, შენ წინ დგანან! განა ელია ცეცხლოვანი ეტლით არ ავიდა ზეცაში? და მიუხედავად ამისა, ისევ ცოცხალია და მეუფებს, და რომელი მთის წვერზეც უნდა ახვიდე, აჰა, შენ წინ დგას! ასევეა ენოქიც, უკვდავი ენოქი. და აგერ, ახლა იონა წინასწარმეტყველიც - თავს აჩვენებს, თითქოს მეთევზეა, პეტრესა და ანდრიას მამა. მაგის განაწყენება ხელს არ მაძლევს, ახირებული და უკუღმართები არიან, კაცმა არ იცის, რას დაგმართებენ, – და ხმა დაუტკბა:

- იონა-ბატონო, – მიმართა, – ძვირფასო მეზობელო, ვილაცას უნდა ეძებდე, იაკობს ხომ არა? ნაზარეთიდან კი დაბრუნდა, მაგრამ დაღლილი სოფელში წავიდა. თუ შენი შვილის, პეტრეს ამბის გაგება გინდა, კარგად არისო, კარგად, და მოდისო, ნუ იღარდებ. ბევრი მოკითხვაო... მისმენ, იონა-ბატონო? თავი მაინც დამიქნიე.

ტკბილად ესაუბრებოდა და ჯმუხ მხრებზე ხელს უთათუნებდა: „კაცმა არ იცის, ყველაფერი ხდება, შეიძლება ეს თევზის მსგავსი ცხოველი იონა წინასწარმეტყველიც კი იყოს. ამიტომ გონიერება გვმართებს!“

მოხუცი იონა დაიხარა, კალათიდან პატარა ჩიქვი ამოიღო, ერთ ლუკმად გადაუშვა და ფხებიანად ჩაღეჭა.

- წავედი! – ჩაიბურტყუნა და იქ მყოფთ ზურგი აქცია. კენჭოვანი სანაპირო მისმა ნაბიჯებმა ისევ აახმაურა. უეცრად თოლია გადმოფრინდა, სულ ერთი წუთით ზედ იონას თავზე ფრთები შეაფრთხიალა, თითქოს მოხუცი მეთევზის თმაში კიბორჩხალას ჰკიდა თვალი და ატაცება უნდაო, მაგრამ უსიამოდ აყაშყაშდა, გეგონებოდათ რაღაცამ დააფრთხო და იქაურობას გაერიდა.

- გონს მოეგეთ, – ახმაურდა მოხუცი ზებედე, - ის არის, თავს დავდებ, იონა წინასწარმეტყველია. ორი თქვენგანი წავიდეს და დაეხმაროს, სანამ პეტრე აქ არაა, ემანდ, რამე ხიფათს არ ვეწიოთ!

ორი ჯეელი წამოდგა. კი იცინოდნენ, მაგრამ მაინც დაეჭვებულნი ჩანდნენ.

- შენს კისერზეა ამის საზღაური, ზებედე-ბატონო, — შეასახელეს, - წავედით! წინასწარმეტყველები მხეცებივით არიან, უცებ, უმიზეზოდ დააღებენ ხახას და შენგან ძვალციც აღარ დარჩება! აბა, მშვიდობით!

მოხუცი ზებედე კმაყოფილებისგან გაიჯგინა: კარგად მოაგვარა საქმე წინასწარმეტყველთან, — იქ მყოფთ კი მიუბრუნდა:

- იჩქარეთ, აბა, მარდად! ხელები გაანძრიეთ, თევზი ჩაყარეთ კალათებში და სოფლებისკენ გასწიეთ. ცბიერები არიან სოფლელები, ჩვენნაირი ღვთისნიერები კი არა. რაც შეიძლება, ცოტა თევზი მიეცით და რაც შეიძლება, მეტი ხორბალი აართვით (თუნდაც შარშანდელი იყოს), მეტი ზეთი, ღვინო, ქათამი, კურდღელი გამოართვით... კარგად გაიგონეთ? - მეთევზეები მარდად დატრიალდნენ, კალათების ავსებას მოჰყვნენ.

ლოდებს მიღმა, შორიახლო, ერთი მხედარი გამოჩნდა – მორბენალ აქლემზე შემომჯდარი. მოხუცმა ზებედემ ხელის მტევნით მზერა მოიჩრდილა, დააკვირდა.

- ჰეი, აბა, ერთი თქვენც დააკვირდით, ჩემი ვაჟი, იოანე არ არის? – წამოიძახა.

მხედარი ახლა უკვე წვრილ ქვიშაზე გადმოვიდა, უახლოვდებოდათ.

- ეგ არის, ეგ! — წამოიძახეს მეთევზეებმა, – კეთილი შეხვედრა გქონოდეს, ბატონო!

მხედარმა მათ წინ ჩაუარა, ხელი დაუქნია, მიესალმა.

— იოანე, – დაუძახა მოხუცმა მამამ, – საით ისწრაფვი? სად მიდიხარ? ცოტა ხნით გაჩერდი, დაგინახოთ მაინც!

– წინამძღვარი კვდება, მეჩქარება!

- რა დაემართა?

— აღარ ჭამს. სურს, რომ მოკვდეს.

- კი მაგრამ, რატომ?

მაგრამ მხედრის სიტყვები ჰაერში გაიფანტა.

მოხუცმა ზებედემ ჩაახველა, წუთიერად ჩაფიქრდა, მერე თავი გააქნია და თქვა:

- ღმერთმა კი დაგვიფაროს წმინდანობისაგან!

მარიამის ძე იაკობს უყურებდა, რომელიც გაბრაზებული მიემართებოდა კაპერნაუმისკენ. თვითონ კი მიწაზე იჯდა, ფეხი მოერთხა, გული აღვსებოდა საყვედურით. იგი, ვისაც ასე ეწადა, რომ ჰყვარებოდა და ჰყვარებოდათ, ადამიანთა გულებში ამხელა მტრობას რად აღვიძებს? თავადაა დამნაშავე. არც ღმერთი, არც ადამიანები, თავად არის დამნაშავე: რატომ უნდა იქცეოდეს ასე არაკაცურად? რატომ უნდა მიუყვებოდეს გზას და იმის სიმამაცე კი არ ჰყოფნიდეს, ბოლომდე მიაღწიოს? საცოდავია, უბედური და არაკაცი! რატომ ვერ ბედავს იქორწინოს მაგდალინელზე, გამოიხსნას სირცხვილისა და სიკვდილისაგან? და როცა ღმერთი ჩაავლებს ხოლმე კლანჭებს და უბრძანებს: ადექი! რატომ ებღაუჭება მიწას, რატომ არ სურს წამოდგეს? ან ახლა, რატომ დაჯაბნა შიშმა და მიდის, რათა უდაბნოში შერგოს თავი? განა ღმერთი იქ ვერ მიაგნებს?

სადაცაა მზე თავზე წამოდგებოდა. დაკარგული მოსავლის გამო მოთქმა მინელდა, გატანჯული ადამიანები შეგუებოდნენ კიდეც უბედურებას; მოაგონდათ, რომ გლოვას არასდროს მოუტანია საშველი და გაყუჩდნენ. უხსოვარი დროიდან უსამართლოდ ევნებიან, შიმშილობენ, ათასობით წელია — ხილული და უხილავი ძალები თავს ესხმიან, მაგრამ როგორღაც ახერხებენ ცხოვრება განაგრძონ. ანუ მოთმინება ისწავლეს.

მწვანე ხვლიკი გამოძვრა ძეძვნარიდან. კაცი დაინახა – საზარელი მხეცი, თავს რომ დასდგომოდა, შეეშინდა და ყელქვეშ გული გამალებით აუძგერდა. მაინც გაბედა, მთელი სხეულით დაეკრა ცხელ ქვას, შავი, მრგვალი თვალები დაატრიალა და მარიამის ძეს ნდობით მიაჩერდა. თითქოს ესალმება, თითქოს ეუბნება: „დაგინახე, რომ მარტო ხარ და მოვედი, რათა მარტოობა შეგიმსუბუქო“. მარიამის ძემ სიხარულისგან სუნთქვა შეიკავა, რათა არ დაეფრთხო ხვლიკი. უყურებდა და გრძნობდა, რომ მის მსგავსად, გამალებით უცემდა გული თვითონაც... თავს არ აცილებდა და უცებ მათ შორის ორი ჰეპელა აფარფატდა, გვერდი-გვერდ მიმოფრენდნენ, არ სურდათ იქაურობას გასცლოდნენ. ორივე შავი იყო, წითლად დაწინწკლული. ლაღად დაფრინავდნენ, მზის შუქზე დათამაშობდნენ და უცებ ორივე მათგანმა დასისხლიანებულ თავსაბურავს მიაშურა, თითქოს სისხლის ლაქების ამოწოვა ინდომესო. მათი ალერსი იგრძნო თავის ქალაზე, ღმერთის კლანჭები

მოაგონდა, ასე მოეჩვენა, რომ პეპლების ფრთები და ის კლანჭები ერთსა და იმავე ნიშანს აძლევდნენ. ნეტავ შეიძლებოდა, ფიქრობდა, ნეტავ შეიძლებოდა, რომ ღმერთი ადამიანებზე ყოველთვის ასე გადმოდიოდა - არა ბასრკლანჭება არწივად, არა ჭეჭა-ქუხილად და მეხად, არამედ მოფარფატე პეპლებად.

და როდესაც ფიქრით პეპლებსა და ღმერთს ერთმანეთთან აკავშირებდა, ფენისგულებზე საამო ღიტიანი იგრძნო. დაიხედა და რას ხედავს - ფენებთან მონდომებით დაფუსფუსებენ მსხვილი რუხი ჭიანჭველები; ორ-ორად და სამ-სამად შეჯგუფებულნი ფართო საცეცებით ეზიდებიან ერთ მარცვალ ხორბალს. მინდვრიდან ადამიანთა ლუკმა მოეპარათ და თავიანთ ბუდეში მიჰქონდათ, თან კი ღმერთს - დიად ჭიანჭველას მადლს სწირავდნენ, მათზე ანუ თავის რჩეულ ხალხზე ზრუნვაც რომ არ ავიწყებოდა და ყანებს წარღვნას ზუსტად იმ დროს მოუვლენდა, როცა საჭირო იყო, როცა კალოებზე ხორბალი დახვავდებოდა.

მარიამის ძემ ამოიხრა. ესენიც ხომ ღვთის ქმნილებები არიანო, ფიქრობდა, ღვთის ქმნილებები არიან ადამიანებიც, ხვლიკებიც, ჭრიჭინებიც, ზეთისხილის ბაღებში რომ ვუსმენ ხოლმე, ტურებიც, ღამით რომ ჩხავიან, წარღვნა-მეწყერიც და შიმშილიც...

უკნიდან ვიღაცის სუნთქვის ხმა მოესმა. შეეშინდა. ისე განვლო კარგა ხანმა, რომ არც გახსენებია მისი თანყოფნა, მაგრამ მას არ დავიწყებოდა იგი, ზურგს უკან მოერთხა ფენი და სუნთქავდა.

- ღვთის ქმნილებაა წყევლის დემონიც, - ჩაილაპარაკა.

იგრძნო, რომ ყოველი მხრიდან ღმერთის სუნთქვა შემოდგომოდა. მასზე მიმოდიოდა, ხან თბილი და საამო იყო, ხან სასტიკი და უმოწყალო. ხვლიკები, პეპლები, ჭიანჭველები, წყევლის დემონი - ყველაფერი ღმერთი იყო.

გზიდან ეჭვნების წკარუნისა და საუბრის ხმა შემოესმა, მიტრიალდა. აქლემების გრძელი ქარავანი იხილა - ძვირფასი ნივთებით დატვირთული, მათ კი წინ ერთი უბრალო ვირი მიუძღვოდათ. ალბათ უდაბნოდან მოდიოდნენ, ნინევეასა და ბაბილონიდან დაძრულები - პატრიარქ აბრაამის ნაყოფიერი მიწა-წყლიდან. ალბათ მოეზიდებოდნენ აბრეშუმის ქსოვილებს, სუნელებსა და სპილოს ძვალს, შესაძლოა მონა ქალები და კაცებიც მიჰყავდათ და მიდიოდნენ დიდი ზღვისკენ, რომელშიც მრავალგვარი ხომალდები დაცურავენ...

ქარავანს ბოლო არ უჩანდა. „რა სიმდიდრეს ფლობს ეს დედამიწა, - ფიქრობდა მარიამის ძე, - რა საოცრებებს“ მწვანე ჩალმებიანი და თეთრად მოსილნი, შავწვერა, ოქროსსაყურებიანი, მდიდარი ვაჭრები მიჰყვებოდნენ ქარავანს კუდში და აქლემების ზანტი მოძრაობის რიტმს აყოლილნი რხევა-რხევით მიაბიჯებდნენ. მარიამის ძეს გააჟრჟოლა.

„მაგდალაში გაჩერდებიან! — უეცრად გაუელვა თავში, - მაგდალაში გაჩერდებიან, მაგდალინელის კარი კი დღე-ღამე ღიაა და შევლენ. უნდა გადავარჩინო! ნეტავ შევძლო მისი გადარჩენა! ისრაელის მოდგმა კი არა, შენ, შენ უნდა გადავარჩინო, მაგდალინელო! მე არ ვარ წინასწარმეტყველი, როგორც უნდა ვეცადო, სიტყვის

თქმასაც კი ვერ ვბედავ. ღმერთს ჩემი ბაგეები გიზგიზა ნაკვერჩხლით არ შეუღესავს, თავისი ელვა არ ჩაუმარხავს ჩემს წიაღში, რომ ანთებული, შეპყრობილი დავრბოდე გზებზე და ვლაღადებდე! დაე, ნუ იქნება სიტყვები ჩემთვის, მისი იყოს, არ მალეღვებს. მე პირს გავხსნი და დაე, მან ილაპარაკოს. არ ვარ წინასწარმეტყველი, ადამიანი ვარ – ერთი ჩვეულებრივი და მშიშარა, ისიც კი არ შემეძლია, რომ სირცხვილის სარეცლისგან დაგიხსნა და აჰა, უდაბნოს მონასტერში მივდივარ, რომ შენთვის ვილოცო. ყოვლისშემძლეა ლოცვა. ომებშიც ჭრის და ამარჯვებინებს. მანამ სანამ მოსეს ხელები ზეცად ჰქონდა აპყრობილი, ისრაელის ძენი დაუმარცხებელნი იყვნენ. დაიღლებოდა თუ არა და ხელებს ჩამოუშვებდა, ისინიც მარცხდებოდნენ. დღედაღამ ცად მექნება ხელები აპყრობილი შენთვის, მაგდალინელო!”

თქვა და მზეს შეხედა, როდის ჩავიდოდა, რათა სიბნელეში განეგრძო გზა და ისე გასცდენოდა კაპერნაუმს, კაციშვილს ვერ დაენახა, შემოევლო ტბისთვის, რათა უდაბნომდე მიეღწია. საშინელი წადილი მოეძალა, რომ იქამდე მიეღწია. კვლავ ამოიოხრა:

- ნეტავ წყალზე გავლა და ამ ტბის გადალახვა შემეძლოს! — ჩურჩულებდა.

ხვლიკი ისევ ცხელ ქვაზე დაკრულიყო და მზეზე იხრუკებოდა, პეპლებიც ზემოთ აფრინდნენ და სინათლეში გაუჩინარდნენ, ჭიანჭველები ისევ თავთავებს ეზიდებოდნენ, თავიანთ საცავებში დააბინავებდნენ თუ არა, კვლავ გამალებით მიიწევდნენ ყანაში და ისევ დატვირთულები ბრუნდებოდნენ. მზე ჩასვლის პირას იყო. ჩრდილები დაგრძელდნენ, მგზავრები შეთხელდნენ გზებზე, საღამოს შუქი ეცემოდა ხეებსა და მიწას და ოქროსფრად აელვარებდა. ტბის წყალიც რაღაცნაირად დამფრთხალიყო – ყოველი თვალის დახამხამებაზე ფერს იცვლიდა – წითლდებოდა, ხან ღია იისფერს გადაიკრავდა, ხანაც მუქდებოდა. დასავლეთისკენ ერთი დიდი ვარსკვლავი ჩამოეკიდა ზეცას.

„ახლა ღამე მოვა, ახლა მოვა ღვთის შავი ასული თავისი ქარავნით – ვარსკვლავებით...“ – გაიფიქრა მარიამის ძემ და სანამ ზეცა აღივსებოდა, მისი გონება აღივსო ვარსკვლავებით.

ის-ის იყო, წამოდგომას და გზაზე გასვლას აპირებდა, რომ უკნიდან საყვირისა და მგზავრის ხმა მოესმა, რომელიც მის სახელს გაჰყვიროდა. მიტრიალდა. დაისის მეჩხერ სინათლეში ვიღაც გაარჩია, რომელსაც ქსოვილებით სავსე ბოხჩა მოეგდო, აღმართზე ამოდიოდა და რაღაცას ანიშნებდა. ვინ უნდა იყოს? ფიქრობდა და ცდილობდა, რომ ბოხჩის ქვეშ მგზავრის სახის ნაკვთები ამოეცნო. სადღაც ენახა ეს ფერმკრთალი სახე, ახსოვდა ეს მეჩხერი წვერი და დაღრანკული, წვრილი ფეხები. და უეცრად აღმოხდა:

- შენა ხარ, თომა? შენ? ისევ დაიწყე სოფელ-სოფელ სიარული?!

ელამი და ცბიერი მოხეტიალე ვაჭარი უკვე მის წინ იდგა და ქოშინებდა. ბოხჩა ძირს დააგდო, ოფლიანი, წინ წამოწეული შუბლი მოიწმინდა, ელამი თვალები აქეთ-იქით უსხლტებოდა, უთამაშებდა — ვერ მიხვდებოდით, მისი მზერა სიხარულს გამოხატავდა თუ დაცინვას.

მარიამის ძეს უყვარდა იგი, ხშირად მიაკითხავდა ხოლმე სახელოსნოში, როცა ქამარში გაჩრილი საყვირით სოფელ-სოფელ ჩამოივლიდა. ჩამოედებდა ბოხჩას დაზგაზე და ალაპარაკდებოდა ყველაფერზე, რაც კი ენახა ხეტიალისას, დასცინოდა, იცინოდა, აჯავრებდა. არც ისრაელის ღმერთის სწამდა, არც სხვა ღმერთების. ამბობდა, ყველა მათგანი აბუჩად გვიგდებას, რაკილა მათთვის თხებს ვხოცავთ, საკმევებს ვაკმევთ და ხმის ჩახლეჩამდე ვუგალობთ მათ სიკეთეებსო... მარიამის ძეც უსმენდა მას, უსმენდა და დახურული გული ოდნავ ეხსნებოდა, აფასებდა მის გონიერებასა და გამძლეობას, მიუხედავად აქეთ-იქით წანწალისა, სილატაკისა, თავისი მოდგმის მთელი უბედურებისა და მონობისა, მაინც რომ პოულობდა ძალას საიმისოდ, სიცილითა და ხუმრობით დაემარცხებინა მონობა და სიღარიბე.

მოხეტიალე თომასაც უყვარდა მარიამის ძე, კეთილ და სნეულ კრავს აგონებდა, რომელიც ბღავილით დაეძებს ღმერთს, რათა უკან გაჰყვეს.

- შენ კრავი ხარ, – ეუბნებოდა ხშირად და სიცილით კვდებოდა, – კრავი ხარ, მარიამის ძე, მაგრამ შიგნით მგელიცა გყავს დამალული და საბოლოოდ სწორედ ეგ შეგჭამს!

და უბიდან ხან ერთ მუჭა ფინიკს ამოიღებდა, ხანაც ბროწეულს ან ვაშლს, რომელიც შორიახლო ბაღებიდან მოეპარა, რათა ხელცარიელი არ სწვეოდა.

- კიდეც კარგი, მოგაგენი, – თქვა, როგორც კი სული მოითქვა, – ღმერთს ჰყვარებიხარ! არ მეტყვი, საით მიდიხარ?

- მონასტრისკენ, – უპასუხა და ტბის მიღმა გაიშვირა ხელი.

- ვაჰ, კიდეც კარგი, გიპოვე! უკან დაბრუნდი!

– რატომ? ღმერთი...

მაგრამ თომა აილეწა.

- დამიჯერე და ნუ დაიწყებ ახლა ისევ ღმერთზე ლაპარაკს. მასთან ვერ მორიგდები. სულ მას მისდევ, სიკვდილის მერეც არ მოეშვები, როგორმე რომ დაეწიო, მაგრამ იმ დალოცვილს დასასრული არ აქვს. ჰოდა, შეეშვი, ნუ გარევე ჩვენს საქმეებში. ადამიანებიც გვყოფნის, უღირსი, ვერაგი ადამიანები! ყური და მიგდე: იუდას უფრთხილდი, ჟღალწვერას! სანამ ნაზარეთიდან წამოვიდოდი, დავინახე, როგორ ჩუმად ელაპარაკებოდა ჯვარცმულის დედას, მერე ბარაბას და სხვა სამ ზილოტს — დანიანებს, შენი სახელი გავიგონე, გირჩევ, უფრთხილდე, მარიამის ძე! ნუ წახვალ მონასტერში!

მაგრამ მან თავი გააქნია.

- ყველა ცოცხალი არსება, – თქვა, – უკლებლივ ყველა ღვთის ხელში ვართ. იგი, ვისაც მოინდომებს, მას დაიხსნის, ვისაც უნდა – იმას გაწირავს. ჩვენ რანაირად შეიძლება შევეწინააღმდეგოთ?! წავალ და ღმერთი იქნება ჩემი შემწე!

- წახვალ? - დაიყვირა გამწარებულმა თომამ, - აი, ამ წამს, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, იუდა უკვე მონასტერშია და უბეში დანა აქვს ჩამალული. შენ გაქვს დანა?

მარიამის ძეს გააჟრჟოლა:

- არა, — მიუგო, - რად მინდა?

თომამ ჩაიცინა:

- კრავი... კრავი... კრავი... — ჩურჩულებდა. მიწიდან ბოხჩა აიღო.

- კარგად იყავი! — თქვა, - და რაც გინდა, ის გიქნია! მე ჩემი მითქვამს! გეუბნები — გაეცალეო! გაფრთხილებ და - მაინც მივალო! ჰოდა, რაც გინდა ის ქენი, კისერს რომ წაიმტვრევ, მერე გამიხსენებ.

ელამი თვალეზი ისევ აუთამაშდა და კვლავ დაღმართს დაუყვავა, სტვენა-სტვენით.

უკვე გვარიანად მოსალამოვებულიყო. დაბნელდა, ტბა ჩაწყვდიადდა, კაპერნაუმში პირველი ჭრაქები ანთეს. დღის ჩიტებს თავი ფრთებში ჩაერგოთ და იძინებდნენ, ღამის ჩიტები იღვიძებდნენ, სანადიროდ გამოდიოდნენ.

„კარგია და წმინდაა ეს დრო, - გაიფიქრა მარიამის ძემ, — ვერავინ დამინახავს, დროა დავიძრა“.

გონებაში თომას ნათქვამმა გაუელვა:

- რაც ღმერთს უნდა, ის მოხდება, — ჩაილაპარაკა, — თუკი იგი მიბიძგებს, რომ წავიდე და სიკვდილი ვპოვო, დაე, ავჩქარდე, დაე, მალე აღსრულდეს, მე ამის გაძლება შემიძლია და გავუძლებ კიდეც.

და შეიმართა.

- წავედით! — მიმართა თავის უხილავ მეგზურს და ტბისკენ გაეშურა.

მშვიდი ღამე იდგა. თბილი, ალერსიანი, სამხრეთის სიო უბერავდა. კაპერნაუმი თევზისა და ჟასმინის სურნელს მოეცვა. მოხუცი ზებედე თავისი სახლის ეზოში იჯდა, დიდი ნუშის ხის ძირში, ცოლთან — სალომესთან ერთად. ვახშამი დაესრულებინათ და საუბრობდნენ. შიგნით კი მათი ვაჟი — იაკობი საწოლში წრიალებდა: ჯვარცმული ზილოტი, გამცემი ხუროს ძე, ღმერთის მიერ კაცთათვის მოვლენილი ახალი უსამართლობა — ჭირნახულის წართმევა, ყველაფერი გონებას ურევდა, გულს უფორიაქებდა და დაძინებას არ ანებებდა. და მოხუცი მამის სიტყვებიც აცოფებდა. საწოლიდან წამოხტა, ერთიანად გაშმაგებული კარში გაიჭრა, ეზოს ზღურბლს გადაახტა.

- სად მიდიხარ? — დაადევნა შეშფოთებულმა დედამ.

- ტბაზე, ცოტა ჰაერი ჩავისუნთქო, - შეუღრინა და წყვდიადში გაუჩინარდა.

მოხუცმა ზებედემ თავი გააქნია, ამოიოხრა:

- ქვეყანა წახდა, ჩემო ცოლო, - თქვა, - დღეს ახალგაზრდები საკუთარ ტყავში ველარ ეტევიან. ისინი ახლა უკვე აღარც ფრინველები არიან, აღარც თევზები, მფრინავ თევზებად იქცნენ. ზღვა აღარ ჰყოფნით და ცისკენ მიფრინავენ. მაგრამ ცაშიც ვერ ძლებენ და კვლავ ზღვაში ცვივიან. და მერე ისევ თავიდან! სულ გადაირივნენ. აჰა, ესეც, იაკობი, ჭკუადამჯდარი რომ მეგონა, მაგანაც იქ ჩაყო ცხვირი. დაინახე, როგორ ბობოქრობდა და შფოთავდა? ახლაც შინ ვერ გაჩერდა... რაც უნდა, ისა ქნას, მაგრამ ვინ მიხედავს ჩემს თევზსაჭერებსა და მსახურებს? ანუ მთელი ჩემი შრომა წყალში ჩაიყრება? დარდი შემომაწვა, ჩემო ცოლო, ღვინო მომიტანე, რვაფეხაც მოაყოლე, ეგება გადამიაროს!

მოხუცმა სალომემ ვითომ ვერ გაიგონაო. ამ საღამოს ძალიან შეაღონა თავისმა ბერიკაცმა, საკმარისია! სასაუბრო თემის შეცვლა სცადა.

- ახალგაზრდები არიან, — თქვა, - ნუ იღარდებ, გადაუვლით.

- მართალი ხარ, ჩემო ცოლო, ქალის ტვინი სულ სხვაა. რას ჩამოვმსხდარვართ და თავს ვიმტვრევთ. ეგ არის! ახალგაზრდები არიან და გადაუვლით. ავადმყოფობაა სიყმაწვილე, გაივლის. მეც, ახალგაზრდა რომ ვიყავი, ცეცხლი მეკიდა, საწოლში ვწრიალებდი, მეგონა ღმერთს ვეძებდი. სინამდვილეში ქალს ვეძებდი, ცოლს – სალომეს! მოგიყვანე და დავმშვიდდი. იგივე სჭირთ ჩვენს ვაჟებსაც. ჰოდა, ნულა ვიფიქრებთ ამაზე! უხ, გავმხიარულდი, სულზე უტკბესო, ღვინო მომიტანე, მისაყოლებელი და რვაფეხაც ნუ დაგავიწყდება, ერთი შენი სადღეგრძელო უნდა დავლიო, ჩემო სალომე!

ამ დროს, მათი კარ-მიდამოდან ცოტა მოშორებით, მოხუცი იონა თავის მიწურში მართოდმართო იჯდა და ჭრაქის შუქზე ბადეს კემსავდა. კემსავდა და კემსავდა, თუმცა ფიქრითა და გონებით ცხონებულ ცოლს კი არ დასტრიალებდა, შარშან ამ დროს რომ გარდაეცვალა, არც თავის ტვინგამოლაყებულ ვაჟს - ანდრიას, არც მეორეს – გადარეულ პეტრეს, რომელიც ჯერ კიდევ ნაზარეთის დუქნებში დაეხეტებოდა და სიმართლისთვის გაემეტებინა მოხუცი მამა, რომელიც მეზადურის მძიმე ჯაფას ვაივაგლახით უმკლავდებოდა... არა, იმათზე არ ფიქრობდა! გონებაში სულ ზებედეს სიტყვები უტრიალებდა და დიდ გაუგებრობაში ჩავარდნილიყო: იქნებ მართლა იონა წინასწარმეტყველია? უყურებდა თავის ხელებს, ფეხებს, მკლავებს — ერთიანად აქერცლილ-გარქოვანებული რომ ჰქონდა. მის სუნთქვასაც თევზის სუნი მოჰყვებოდა, მისი ოფლიც თევზის სუნად ყარდა. და ახლა გაახსენდა, რომ გუშინწინ, ცოლს რომ დასტიროდა, მის ცრემლებსაც თევზის სუნი ჰქონდა. და ის ცბიერი ზებედე ნუთუ სიმართლეს ამბობდა, ხანდახან წვერში კი პოულობს ხოლმე ლიფსიტებს... მართლა რომ იონა წინასწარმეტყველი იყოს? აჰ! ალბათ ამიტომაც, რომ არასოდეს არის ლაპარაკის გუნებაზე, სიტყვები ძლივძლივობით ამოდიან მისი წიაღიდან, და როცა მიწაზე დააბიჯებს, სულ რაღაცას წამოკრავს ხოლმე ფეხს და სულ ბარბაცებს. მაგრამ როგორც კი ტბაში ჩაყვინთავს, იმხელა შვებას ჰგვრის, იმხელა სინარულს, წყალი სხეულზე ელამუნება, ყურებში უბუტბუტებს, და ესეც ელაპარაკება, ისევე როგორც თევზებს, უსიტყვოდ ეპასუხება და მხოლოდ პატარა ბუშტუკები მობუყბუყებენ მისი პირიდან.

„ნამდვილად იონა წინასწარმეტყველი ვარ! როგორც ჩანს, აღვსდექი, ზვიგენმა უკან ამომანთხია, მაგრამ ახლა გონს მოვეგე, წინასწარმეტყველი კი ვარ, მაგრამ მეთევზედ ვაჩვენებ თავს, ჩქამს არ გამოვცემ, არ მინდა, ისევ რამე შარს გადავეყარო... – განარებულმა ტკბილ-მწარედ გაიღიმა. - კარგად გამომივიდა, - ფიქრობდა, - ამდენი წელია, ვერავინ შემეცნო, თვითონაც ვერ მივმხვდარიყავ... მარტო იმ ეშმაკის მოციქულმა ზებედეშ გამოიცნო, გაახაროს ღმერთმა, რომ მეც თვალი ამიხილა..“ ერთბაშად იარაღები ძირს დაყარა, ხელები სიამოვნებისგან მოიფშვნიტა, მერე კარადიდან დოქი გამოიღო, ღონიერი და აქერცლილი კისერი წაიგრძელა და რაკრაკ-რაკრაკით ჩამოცალა ღვინო.

კაპერნაუმში ორი ბერიკაცი ხალისიანად რომ სვამდა, ჩვენი ღამეული მოხეტიალე ნაპირ-ნაპირ მიუყვებოდა და ფიქრებში წასულიყო. მარტო არ იყო, ესმოდა მის უკან როგორ გაუდიოდა ქვიშას ხრამხრუში. მაგდალინელის ეზოს უკვე სხვა ვაჭრები მისდგომოდნენ და კოინდარზე ფეხმორთხმულნი, ფინიკისა და შემწვარი კიბორჩხალას ლეჭვა-ლეჭვით წყნარად საუბრობდნენ. მონასტერში კი ბერებს წინამძღვარი თავის კელიაში შეეყვანათ, წამოეწვინათ და ღამეს უთევდნენ. ჯერ კიდევ სუნთქავდა, თვალები დაექაჩა და ღია კარს მიშტერებოდა - ჩამოღვენთილი, მაგრამ დაძაბული სახით, თითქოს რაღაცას მოელისო.

- ყურს უგდებს, ეგება ნაზარეთიდან რაბინმა მოაღწიოს, რათა განკურნოს...
- ყურს უგდებს, იქნება მთავარანგელოზის ფრთების შრიალი გაიგონოს...
- ყურს უგდებს, ეგება ჩვენკენ მომავალი მესიის ნაბიჯების ხმა შეიცნოს...

ჩურჩულებდნენ ბერები, წინამძღვარს შეჰყურებდნენ და ყველა მათგანის სული ამ წუთას მზად იყო საიმისოდ, რომ სასწაულს შესწრებოდნენ. ყველამ სმენა გაიმახვილა, მაგრამ არაფერი ეყურებოდათ გარდა გრდემლზე უროს ცემის მძიმე ხმისა, ეზოს კუთხიდან რომ მოისმოდა. იუდას ცეცხლი გაეჩაღებინა და ღამის მყუდროებაში რვალს ჰქედავდა.

X

იქ ნაზარეთში კი, თავის ღარიბულ სახლში, იოსების ცოლს - მარიამს ჰრავაქი აენტო, კარი გაეღო და ძაფს ართავდა. ჩქარობდა, ხელსაქმე დროზე მოემთავრებინა, რადგან გადაეწყვიტა, ამდგარიყო და სოფლები მოევლო, თავისი ვაჟი მოეძებნა. ძაფს ართავდა, მაგრამ მისი გონება სხვაგან ქროდა, მინდორ-მინდორ დაეხეტებოდა, მაგდალასა და კაპერნაუმში მიმოდიოდა – სასოწარკვეთილი და უბედური, გენესარეთის ტბის ნაპირებს მიუყვებოდა. თავის ვაჟს დაეძებდა და ფიქრობდა: „ისევ ღმერთმა დაადგა თვალი, თავისი მათრახით მიერეკება, სულ არ ებრალება, არც მე ვებრალები, რა დავუშავეთ ასეთი? ნუთუ ესაა ის სიხარული და დიდება, რომელსაც გვპირდებოდა? იმისთვის ააყვავე იოსების კვერთხი, ამ ბერიკაცს გავყოლოდი ცოლად? რატომ გადმოუშვი ელვა და ჩამინერგე წიაღში ეს გონებაარეული დედისერთა? აყვავებული ნუშივით ვიყავი, როდესაც უბეზე აკრულს დავატარებდი

ჩემს ვაჟს, ერთიანად, თხემიდან ტერფამდე ვყვავდი. ჩაივლიდნენ მეზობლები, ნატვრით შემომხედავდნენ და იტყოდნენ: „კურთხეული ხარ ყველა ქალს შორის შენ, მარიამ!“ ჩამვლელი ქარავნები, შედგებოდნენ და: „ვინაა ეს აყვავებული ნუში?“ – იტყოდნენ ჩემზე, ჩამოხდებოდნენ აქლემებიდან და ძღვენს მიხვავებდნენ ფეხთით. და უეცრად დაუბერა ქარმა და განვიძარცვე, დავჭკნი... ამ გამოუსადეგარ მკერდზე ხელებს ვიცემ და ვყვირი: აჰა, აღსრულდა ნება შენი! ამაყვავე, ქარი დამბერე, განვიძარცვე, დავჭკნი. ნუთუ აღარ არსებობს იმის იმედი, რომ კვლავ აყვავდე, უფალო?“

„ნუთუ აღარ უნდა მქონდეს იმედი, რომ ოდესმე ჩემი გულიც ჰპოვებს სიმშვიდეს? – იკითხა მისმა ვაჟმაც დილაუთენია, ტბის შემოვლისას, წითელ-მწვანე კლდეებში ჩასობილი მონასტერი რომ დაინახა. – რაც უფრო წინ მივიწევ და მონასტერს ვუახლოვდები, გული მით მეტად მიშფოთავს. რატომ? ნუთუ სწორ გზას არ ვადგავარ, უფალო? განა ამ წმინდა უდაბნოსკენ არ მიმიძღვი? მაშ, რატომ არ გინდა ხელი შემომამშველო და გული დამიმშვიდო?“

მონასტრის დიდ კარიბჭეში ორი თეთრსამოსიანი კაცი გამოჩნდა. კლდეზე შემოდგნენ და კაპერნაუმისკენ დაიწყეს ყურება, რაღაცას აკვირდებოდნენ.

- ჯერ არა... ჯერ არავინ ჩანს... – თქვა ერთმა, მოკლევანებამ და კუზიანმა, მოსულელო არსებამ.

- ცოცხალს ვერ მოუსწრებს, – თქვა მეორემ, – ტანაწოწილმა, პირი ზვიგენივით რომ მოხეოდა და ყურებამდე ასდიოდა, – შენ წადი, იერობოამ, მე დავრჩები აქ სადარაჯოზე, სანამ აქლემი არ გამოჩნდება.

- ჰო, ჰო, წავალ და ვინილავ, სულს როგორ განუტევებს! — მხიარულად თქვა კუზიანმა და კლდიდან დაეშვა.

მარიამის ძე მონასტრის ჭიშკართან იდგა და ყოყმანობდა: შევიდეს? თუ არ შევიდეს? მისი გული ზარივით რეკდა. ერთიანად მოკირწყლულ ეზოში ერთ ფოთლოვან ხეს ან ყვავილს ვერ დაინახავდი, ჩიტიც კი არსად ჭაჭანებდა. კიდეებში მხოლოდ ველური კაქტუსები ყვავოდნენ... ეს ეზო მრგვალ, უკაცურ უდაბნოს ჰგავდა, რომელსაც გარშემო კლდეში ხვრელებად ჩადგმული კელიები ისე ერტყა, აკლდამები გეგონებოდათ.

„ნუთუ ეს არის ცათა სასუფეველი? – ეკითხებოდა საკუთარ თავს, – ნუთუ აქ ჰპოვებს სიმშვიდეს ადამიანის გული?“.

უყურებდა, უყურებდა და ვერ გადაეწყვიტა, ზღურბლზე გადასულიყო თუ არა. კუთხიდან ორი მეცხვარის ნაგაზი გამოხტა და ყეფა აუტენეს.

კუზიანმა მგზავრი შენიშნა, ძაღლებს დასტვინა, გააჩუმა. მერე კი შემობრუნდა და თავიდან ბოლომდე აათვალიერა უცხო სტუმარი. ძალიან სევდიანი ეჩვენა მისი თვალები, მეტისმეტად ღარიბული – მისი სამოსი, თანაც ფეხებიდან სისხლი სდიოდა. შეეცოდა.

- მობრძანდი, ძმაო, — უთხრა, - აქ, ამ უდაბნოში რომელმა ქარმა გადამოგადლო?

- ღმერთმა! – მიუგო ღრმად, უიმედოდ მარიამის ძემ.

ბერი შეშინდა. არასოდეს ენახა ადამიანის ბაგეებს ასე საშიშად წარმოეთქვათ ღმერთის სახელი. ხელები გულზე დაიკრიფა და გაჩუმდა.

- წინამძღვრის სანახავად მოვედი, – ცოტა ხნის მერე დასძინა სტუმარმა.

- შეიძლება შენ ნახო, მაგრამ ის ვერ დაგინახავს. რა გინდა მისგან?

- არ ვიცი. სიზმარი ვნახე. ნაზარეთიდან მოვდივარ.

- სიზმარი? – სიცილით ჰკითხა ქარაფშუტა ბერმა.

- დიახ, საშინელი სიზმარი, რაბი. იმის მერე ჩემმა გულმა სიმშვიდე ვეღარ ჰპოვა. წმინდა კაცია წინამძღვარი, ღმერთმა მისცა უნარი – გაიგოს რას ამბობენ ჩიტები და სიზმრები, ამიტომ მოვედი.

გონებაშიც კი არასოდეს გაუვლია, ამ მონასტერში მოსულიყო და წინამძღვრისთვის ეკითხა, თუ რას ნიშნავდა ის სიზმარი, რომელიც ჯვრის დამზადების ღამეს ნახა - ის ველური დევნა, რომელიც სიზმრად ნახა და ჟღალწვერა, გააფთრებული რომ მიიწევდა წინ და ის ჯუჯები, მას რომ უკან მიჰყვებოდნენ საწამებელი იარაღებით ხელში. მაგრამ ახლა, უეცრად, მონასტრის ზღურბლზე რომ იდგა და ვერ გადაეწვიტა, რა ექნა, ამ სიზმარმა ელვასავით გაურბინა გონებაში. ამიტომ მოვედი, — ხშიანობდა საკუთარ თავში, - ამ სიზმრის გამო მომავლინა ღმერთმა აქ, რათა გზა ეჩვენებინა და წინამძღვარმა განმიმარტოს იგი.

- წინამძღვარი კვდება, - თქვა ბერმა, - ძალიან დაგაგვიანდა, ჩემო ძმაო, სჯობს უკან გაბრუნდე!

- ღმერთი მომიძლოდა აქ, - თქვა მარიამის ძემ, - განა შეიძლება მან ადამიანები მოატყუოს?

ბერმა ჩაიქირქილა. მას ბევრი რამ ენახა ცხოვრებაში და ღმერთს აღარ ენდობოდა.

— განა იგი ძლევამოსილი არ არის? - თქვა, - რაც მოესურვება, იმას აკეთებს. უსამართლოც რომ არ იყოს, რანაირად ერქმეოდა ყოვლისშემძლე?

უცხო სტუმარს მხრებზე ხელი დაჰკრა. სიტბოს გამოხატვას შეეცადა, თუმცა მისი ტორი მეტისმეტად ტლანქი იყო და ჰაბუკს ეტკინა.

- ნუ იდარდებ, – უთხრა, - შიგნით შემოდი. აქ მე ვარ მასპინძელი.

ქარი ამოვარდნილიყო და ეზოს ფილაქანზე ქვიშას ქარბორბალასავით ატრიალებდა. ბორიაცი მზეს გარს უვლიდა. ჰაერი დაბნელდა.

ეზოს შუაგულში დამშრალი ჰა ხახადაფჩენილივით მოჩანდა. ოდესმე წყალიც იქნებოდა მასში, მაგრამ ახლა ქვიშას ამოევსო. მის ჩამონგრეულ ნაპირებზე ორი ხვლიკი აცოცებულებოდა გასათბობად.

წინამძღვრის კელია ღია იყო. ბერმა სტუმარს მკლავში ხელი ჩაავლო.

- აქ დამიცადე, — უთხრა, - ძმებს ვკითხავ, ნებას თუ დაგრთავენ. ფეხი არ მოიცვალო.

გულზე ხელები დაიწყო და შიგნით შევიდა. ძაღლები ახლა უკვე ზღურბლთან, აქეთ-იქით ჩამომდგარიყვნენ, კისერი წაეგრძელებინათ, თითქოს სუნს იღებენო და საბრალობლად წკმუტუნებდნენ.

წინამძღვარი კელიის შუაგულში იწვა, ფეხებით კარისკენ. მის გარშემო ღამისთევისგან ქანცაწყვეტილი ბერები დაყუდებულიყვნენ, ზეზეულად ეძინათ. მოკრძალებულ ქვეშაგებზე მწოლიარე მომაკვდავს კი სახე კვლავ ერთიანად დაჭიმვოდა და თვალებდაქაჩული მიშტერებოდა ღია კარს. შვიდსანთლიანი შანდალი ისევ თავთან ენთო და წინ წამოწეულ პრიალა შუბლს, მინავლებულ თვალებს, კენიანი ცხვირს, გალურჯებულ ტუჩებსა და გრძელ წვერს უნათებდა, გაძვალტყავებულ, მოშიშვლებულ მკერდამდე რომ სცემდა. თიხის საცეცხლოურში გავარვარებული ნახშირი ჩაედოთ და ჰაერში ვარდის ფურცლებს შეზავებული საკმევლის სუნი იდგა.

ბერი შევიდა, მაგრამ დაავიწყდა, რაც უნდა ეკითხა და ზღურბლზე, ძაღლებთან ჩაიფიცქა.

მზე ახლა უკვე კარს სცემდა სხივებს და თითქოს შემოსვლას ლამობდა, რათა წინამძღვრის ფეხებს შეხებოდა. მარიამის ძე კი გარეთ იდგა და იცდიდა. სრული სიმშვიდე სუფევდა. მხოლოდ ძაღლები ყმუოდნენ და შორიახლოდან გრდემლზე უროს ცემის ნელი, რიტმული ხმა მოდიოდა.

სტუმარი იცდიდა, დიდხანს იცდიდა, ამასობაში დღეც ჩამოდგა, ის კი მიავიწყდათ. თვითონაც აღარ ახსოვდა საკუთარი თავი ამ მზის გულზე დაყუდებულს, ცივი ღამის მერე ახლა ძვლები საამოდ უთბებოდა. უეცრად, ამ დიდი მდუმარების ჟამს, ბერის ხმა გაისმა, კლდიდან დაჰკიოდა:

- მოდიან... მოდიან.

წინამძღვრის კელიაში მყოფი ბერები გამოფხიზლდნენ, გარეთ გამოცვივდნენ. წინამძღვარი მარტოდმარტო დატოვეს,

მარიამის ძემ მხნეობა მოიკრიბა, გაუბედავად გადადგა ორიოდ ნაბიჯი, კელიის ზღურბლზე შეყოვნდა, შიგნით სიკვდილის ნეტარება იდგა და კიდეც — უკვდავების ნეტარება. წინამძღვრის გაძვალტყავებულ, ფერმკრთალ ფეხებს მზის სხივები შემოხვეოდა და ბრწყინავდა. ზემოთ, ჭერში ფუტკარი ბზუოდა, რომელიღაც შავლინლიანი მწერი კი ნელა დაჰფრენდა შვიდ სინათლეს, ერთიდან მეორეზე ფრთხილებდა, თითქოს ამოწმებს, რომლის ალზე ჯობია დავიწვაო.

და უეცრად წინამძღვარი გაინძრა. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, თავი წამოსწია — და როგორც კი თვალები ფართოდ გაახილა, გაოგნებისგან პირი დააღო, ნესტოებით ხარბად ისუნთქავდა ჰაერს, თითქოს სუნს იღებსო. მარიამის ძემ ხელი გულზე დაიდო, შემდეგ შუბლზე, მიესალმა. წინამძღვარმა ტუჩები შეარხია:

- მოხვედი... მოხვედი... მოხვედი... – აბუტბუტდა ისე ჩუმად, რომ მარიამის ძეს არაფერი გაუგონია.

და უცაბედად წინამძღვრის მკაცრ, მწუხარე სახეს გამოუთქმელი ბედნიერების ღიმილი დაეფინა. მყისვე დაეხუჭა თვალები, გაუხევდა ნესტოები, მოეკუმა პირი და გულზე ჯვარედინად დაკრეფილი ხელები აქეთ-იქით გადაუცვივდა – ფართოდ გაშლილი ხელის მტევნებით,

ამ დროს ეზოში შემოსულმა ორმა აქლემმაც ჩაიჩოქა. ბერები მისცვივდნენ, მოხუც რაბინს დაეხმარნენ ჩამოხდომაში, ახალგაზრდა მორჩილმა კი შიშით იკითხა:

— ცოცხალია? ჯერაც ცოცხალია?

- ჯერ კიდევ სუნთქავს, – უპასუხა ბერმა აბაკუმმა, – ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ესმის, მაგრამ არ ლაპარაკობს.

რაბინი დაწინაურდა, უკან მორჩილი მიჰყვებოდა ძვირფასი აბგიტ, რომელშიც მკურნალის მალამოები, ბალახეული და სხვადასხვა თილისმა ეწყო. კუდაპრეხილ შავ ძაღლებს თავიც კი არ მოუბრუნებიათ, ზედაც არ შეუხედავთ მათთვის, თავჩაქინდრულები მიწას ჩასჩერებოდნენ და ყმუოდნენ - საბრალობლად, ადამიანებივით.

რაბინმა მათი ყმული გაიგონა და თავი გააქნია: „ძალიან დამიგვიანდა..“ - გაიფიქრა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

წინამძღვართან ჩაიჩოქა, გადაიხარა, ხელი გულზე დაადო. საკუთარი ტუჩები წინამძღვრის ტუჩებთან ახლოს მიიტანა.

- ძალიან დამიგვიანდა, – ჩურჩულებდა, – ძალიან გვიან მოვედი... თქვენ იცოცხლეთ დიდხანს, მამებო!

ბერებმა შეიცხადეს, დაიხარნენ და გარდაცვლილს ეამბორენ ისე, როგორც წესი მოითხოვდა, როგორც თითოეული მათგანის მსახურებას შეშვენოდა: მოხუცი აბაკუმი თვალებზე ეამბორა, სხვა ბერები კი – წვერზე და გაშლილ ხელისგულებზე, მორჩილები — ფეხებზე. ერთ-ერთმა დაცარიელებული სავარძლიდან საწინამძღვრო კვერთხი აიღო და წმინდა ნეშტის მარჯვენა მხარეს დაასვენა.

ჩაჩოქილი მოხუცი რაბინი კი გარდაცვლილ წინამძღვარს უყურებდა და თვალს ვერ აშორებდა: რა იყო ეს გამარჯვებული ღიმილი მის სახეზე? რას ნიშნავდა ეს საიდუმლო ბრწყინვა, რომელიც დახუჭული თვალების გარშემო დასდებოდა? მზე ჩამოსულიყო და დასვენებულიყო ამ სახეზე, ჩაუქრობელი მზე, რომელიც არასოდეს ჩადიოდა. მაგრამ რომელი მზე?

გარშემო მიმოიხედა: მუხლმოდრეკილი ბერები ლოცულობდნენ, იოანე ტუჩებით დაწებებოდა გარდაცვლილის ფეხებს და ტიროდა. რაბინი მზერას დაატარებდა ერთი ბერიდან მეორეზე, თითქოს რაღაცას ეკითხებოდა და უეცრად, თვალი მოჰკრა მარიამის ძეს – კელიის შუა კუთხეში რომ იდგა უძრავად, მშვიდად და გულზე ხელები ჯვარედინად დაეწყო. სახეზე მასაც ზუსტად ისეთივე ღიმილი ეფინა, როგორიც მიცვალებულს – გამარჯვებული და ნეტარი ღიმილი.

- ძალთა მეუფევე, აღონაი, - აჩურჩულდა შეშინებული მოხუცი რაბინი, - კიდევ უნდა შემიშფოთო გული? დაეხმარე ჩემს გონებას, რათა მიხვდეს და სწორად განსაჯოს!

მეორე დღეს, სისხლივით წითელი, ბნელი ჰაერით გარემოცული, განრისხებული მზე ქვიშიდან აღმოხდა: უდაბნოდან ცხელმა ქარმა დაჰბერა აღმოსავლეთისკენ და ქვეყანაზე უკუნეთმა დაისადგურა. მონასტრის ძალები აყეფდნენ, მაგრამ ყველას ქვიშით ამოევსო ხანა და ისევ ჩაჩუმდნენ. მიწაზე განრთხმულ აქლემებს თვალები დაეხუჭათ და გაყურსულიყვნენ.

ბერებმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს, ხელჩაკიდებულნი თანდათანობით მიიწევდნენ წინ, რათა არ წაქცეულიყვნენ. ერთმანეთს ეკრობოდნენ, მხარდამხარ მიჰყვებოდნენ, მაგრად ჩაებლუჯათ ნეშტი, ქარს რომ არ წაერთმია მათთვის, დასამარხად მიასვენებდნენ. უდაბნო ირწეოდა, ზღვასავით ადი-ჩადიოდა, ბობოქრობდა.

- უდაბნოს ქარია, იაჰვეს სუნთქვა, - ჩურჩულებდა იოანე და მთელი ტანით ეკვროდა მარიამის ძეს, - ყველა მწვანე ფოთოლს მოსჰობს, წყაროს დააშრობს, ქვიშით ამოავსებს ყველაფერს. წმინდა ნეშტს თხრილში ჩავასვენებთ, ქვიშის ტალღები მოაწყდება და გადაფარავს.

როდესაც მონასტრის ზღურბლზე გადადიოდნენ, წუთიერად, ამ ბორიყში შავი, მხარზე უროშემოგდებული, ვეება ჟღალწვერა მჭედელი წამოიძარათა და მათ გახედა, მაგრამ მყისვე გადაფარა ქვიშამ იგი და გაუჩინარდა. ზებედეს ძემ წარმოიდგინა, რომ ქვიშის ნამქერში თვალი ურჩხულს მოჰკრა და შეეშინდა. თანამგზავრის მკლავს ჩაეჭიდა;

- ვინ იყო? - ჩუმად ჰკითხა, - დაინახე?

თუმცა მარიამის ძემ არაფერი უპასუხა. „ღმერთი ყველაფერს ხედავს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს, - გაიფიქრა, - ისე, როგორც თვითონ ნებავს. აგერ, ახლა, ქვეყნის კიდეში, ამ უდაბნოში მე და იუდას ერთმანეთთან შეგვახვედრებს. დაე, იყოს ნება შენი, უფალო.“

ერთად მიიწევდნენ წინ, წელში მოხრილიყვნენ და ფეხები ცხელ ქვიშაში ეფლობოდნათ. შესამოსელის კიდეებით იფარავდნენ პირსა და ცხვირს, მაგრამ წვრილი ქვიშა უკვე კაი ბლომად ჩასვლოდათ ხორხშიც და ფილტვებშიც. წინ მიმავალი მოხუცი აბაკუმი ქარმა წააბარბაცა და წააქცია. ქვიშის ნამქერით თვალისჩინწართმეულმა ბერებმა იგი ვერ შენიშნეს და ზედ გადაუარეს. უდაბნო სტვენდა, ქვები ხრიგინებდა, მოხუცი აბაკუმი კი ხრიალებდა, მაგრამ არავის ესმოდა მისი.

„რატომ არ ჰგავს იაჰვეს სუნთქვა დიდი ზღვიდან მონაბერ, გრილ სიოს? - ფიქრობდა მარიამის ძე და უნდოდა თანამგზავრის თვისაც გაეჩლო ეს ფიქრი, მაგრამ დალაპარაკება ვერ შეძლო. - რატომ არ ხდება ისე, რომ იაჰვეს ქარმა ამომშრალი უდაბნოს ჭები წყლით აავსოს? რად არ უყვარს მწვანე ფოთლები, რატომ არ ებრალება ადამიანი? ეჰ, ნეტავ ვინმეს, ერთ ადამიანს მაინც შეეძლოს მიეახლოს, ფეხებში

ჩაუვარდეს და სანამდის მტვრად აქცევდეს, მოასწროს, გააგებინოს ადამიანის მწუხარება, მიწისა და მწვანე ფოთლების ტკივილი.“.

იუდა ისევ იმ მოპირდაპირე კელიის დაბალ კარში იდგა, სახელოსნოდ რომ იყენებდნენ. ცალყბად იღიმოდა, გასცქეროდა დაკრძალვას და პროცესის მონაწილეებს, რომლებიც ხან ქარბორბალაში ინთქმებოდნენ და უჩინარდებოდნენ, ხან კვლავ ჩნდებოდნენ და მიიწევდნენ წინ. თვალი ჰკიდა კაცს, რომელსაც დაეძებდა და ერთიანად აუელვარდა ბნელი თვალები. „დიდია ღმერთი ისრაელისა, — ჩურჩულებდა ბედნიერი იუდა, — ყველაფერს კარგად მოაწყობს ხოლმე. პირდაპირ დანის წვერზე მომიგდო ეს გამცემი“.

კმაყოფილმა ულვაშზე წაივლო ხელი, შიგნით შევიდა. მიწური ბნელი იყო, მაგრამ ერთი კუთხიდან პატარა ღუმელში მოგიზგიზე ნაკვერჩხალი ბრწყინავდა. ფეხებმოკლე ბერს — ნახევრად წმინდა, ნახევრად შერეკილი რომ იყო, საბერველისთვის დაევლო ხელი და ცეცხლს უნიავებდა.

- ჰეი, მამა იერობოამ, - თქვა გუნებაზე მოსულმა მჭედელმა, - ესაა, ღმერთის ქარს რომ ეძახით ხოლმე? ძალიან მომწონს. ზუსტად ასე დავუნიავებდი მეც, ღმერთი რომ ვყოფილიყავი.

ბერმა გაიცინა.

- მე საერთოდ არ დავუნიავებდი, დავიღალე... - თქვა და საბერველი მიაგდო, რათა საფეთქლებიდან და კისრიდან ოფლი მოეწმინდა.

იუდა მიუახლოვდა:

- მამა იერობოამ, ერთ სიკეთეს მიზამ? — ჰკითხა, - გუშინ მონასტერში სტუმარი გწვევიათ, შავწვერა ჭაბუკი - ფეხშიშველი და შენსავით ჭკუასუსტი, თავზე რომ წითელი ლაქებით სავსე თავსაბურავი ახვევია.

- ხო, მე ვნახე ეგ პირველმა! — სიამაყით დაუდასტურა ბერმა, - მაგრამ იგი, ჩემო მჭედელო, ღმერთითაა შეპყრობილი. ამბობს, სიზმარი ვნახე და ჩამოვედი ნაზარეთიდან, რათა იგი წინამძღვარმა ამიხსნასო - ღმერთო, შეუნდე!

- ჰოდა, მისმინე! განა შენ არა ხარ აქ მესტუმრე? განა შენ არ მიუძღვი ხოლმე კელიაში, ვინმე თუ მოვა, შენ არ უგებ საგებელს და სავახშმოდ შენ არ მიგყავს ხოლმე?

- ხო, მე ვარ — თქვა, - მე სხვა არა მავალია რა, გარდა იმისა, რომ ვუმასპინძლო, დავრეცხო, დავასუფთაო და სტუმრებს ვემსახურო.

- ჰოდა, ამ საღამოს იმ კელიაში დაუგე ლოგინი, მე რომ გამომიყავით. მარტო ძილი არ შემიძლია, როგორ აგიხსნა, იერობოამ? ცუდ სიზმრებს ვხედავ, სატანა მოდის და მცდის, მეშინია არ მაცდუნოს. თუ ახლოს ადამიანის სუნთქვას ვგრძნობ, მშვიდად ვარ! მიდი, ასე ქენი და ცხვრების საკრეჭს გაჩუქებ, წვერის შესასწორებლად. თან ბერებსაც გაკრეჭ ხოლმე. თან აქლემებსაც გაკრეჭ ხოლმე და უსაქმურს აღარ დაგიძახებენ... გაიგე, რა გითხარი?

- აბა, მოიტა ეგ საკრეჭი!

მჭედელმა თავისი აბგა გაქეჟა, უზარმაზარი, დაჟანგებული მაკრატელი ამოიღო. ბერმა ხელიდან გამოსტაცა, სინათლისკენ მიაშვირა, ხსნიდა, კეცავდა, ვერ ძღებოდა მისი ყურებით...

- დიდი ხარ, შენ უფალო, და საოცარია საქმენი შენნი, - ჩურჩულებდა ღვთისმოსიშებით.

- ანუ შევთანხმდით? - ჰკითხა იუდამ და შეანჯღრია, რათა გამოეფხიზლებინა.

- ღამით შენთან გეყოლება, - მიუგო ბერმა, საკრეჭი გაიტაცა და წავიდა.

ბერები უკვე დაბრუნდნენ კიდეც. შორს წასვლა ვერ შეძლეს. იაჰვეს ქარი აბარბაცებდათ, ამიტომაც ერთი თხრილი იზოვეს, შიგ ჩაასვენეს ნეშტი, მოხუც აბაკუმს უხმეს, ლოცვა რომ ეთქვა, მაგრამ ვერსად იზოვეს იგი და ნაზარეთის რაბინი გადაიხარა თხრილისაკენ და დაცარიელებულ, უსულო სხეულს დასძახა: „მიწა ხარ და მიწად მიიქეც! განვიდა შენი სხეულიდან სული, უკვე აღარ გჭირდება. აღასრულე ვალი შენი. აღასრულე ვალი შენი, შენ სხეულო, დაეხმარე სულს, რომ მიწაზე ჩამოსულიყო, რაღაც ხანი ქვიშასა და ქვებზე დაეყო, შეცოდებანი ჩაედინა, სტკენოდა, ჰყვარებოდა სამშობლო თავისი - ზეცა, მამა თავისი - ღმერთი. ხორცო, წინამძღვარს აღარ სჭირდება, დროა განიხრწნა!“

სანამ რაბინი ლაპარაკობდა, წინამძღვრის ნეშტი უკვე წვრილი ქვიშის ფენამ დაფარა, სახე, წვერი, ხელები აღარც კი უჩანდა. ქვიშის ნამქერი კვლავ დატრიალდა და ბერებიც გზას დაადგნენ. და იმ დროს, როცა ჰკუასუსტმა ბერმა მაკრატელს ხელი დასტაცა და გაიქცა, ბერებმა მონასტერში შემოაბიჯეს, თვალეზე ბინდი გადაჰკვროდათ, ტუჩები დასკდომოდათ, იღლიები გამო ხეხეოდათ, თან მოჰყავდათ ბერი აბაკუმი, რომელსაც ქვიშაში სანახევროდ ჩაფლულს გადააწყდნენ უკანა გზაზე. - მოხუცმა რაბინმა სველი ჩვრით თვალეები, პირი და ყელი მოიწმინდა, დაცარიელებული საწინამძღვრო სავარძლის წინ ჩაიჩოქა და ჩარაზულ კარს მიღმა იაჰვეს სუნთქვას უსმენდა, რომელიც სამყაროს აჰკნობდა და ანადგურებდა. მის საფეთქლებს შორის, გონებაში მიმოდიოდნენ წინასწარმეტყველნი, ამგვარი, ცეცხლოვანი ქარით გაჰყვიროდნენ ღმერთის სახელს და ასეთივე ცეცხლოვანებით შეიგრძნობდნენ ბაგეებსა და თვალეებთან მოახლოებულ ძალთა უფალს. უდაბნოა, ცხელი ქარია, ჭექა-ქუხილია ღმერთი, ეს ვიცი, — ჩურჩულებდა, - და არა აყვავებული მდელო, ადამიანის გულიც მწვანე ფოთოლივითაა, ღმერთი ჰმუჭუნის და აჰკნობს, რა უნდა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ საიმისოდ, რომ ცოტა მრისხანებადამცხრალი მოგვევლინოს? ცხვრებს შევწირავთ და უარობს, ყვირის, არ მინდა ხორცი, მხოლოდ ფსალმუნნი დააცხრობენ ჩემს შიმშილსო; საგალობლებს ვუმღერო და, არ მინდაო, გაჰყვირის, სიტყვები რაში მჭირდებაო, მხოლოდ ცხვრის, თხის, მხოლოდშობილი ძის ხორცი თუ დააცხრობს ამ ჩემს შიმშილსო...

მოხუცმა რაბინმა ამოიოხრა. დაიღალა, გადაიქანცა ღმერთზე ფიქრით, ალაგს ეძებდა, რათა მშვიდად მიწოლილიყო. ღამენათევი, დაქანცული ბერები თავიანთ კელიებში გაფანტულიყვნენ, რომ ძილისთვის მიეცათ თავი და წინამძღვარი დასიზმრებოდათ, ორმოცი დღის განმავლობაში მისი სული მონასტერში იტრიალებს,

კელიებში შევა, რათა იხილოს, რას შვებიან ბერები, რჩევა მისცეს ანდა გაკიცხოს ისინი. ამიტომაც მიაშურეს დასაძინებლად, რომ ცოტა დაესვენათ და სიზმარშიც იგი ეხილათ. წინამძღვარმა აქეთ-იქით მიმოიხედა, ვერავინ დაინახა. მხოლოდ ორი შავი ძაღლი შემოსულიყო, ფილაქანზე გაწოლილიყვნენ და ცარიელ სავარძელს საბრალობლად შეჰყმუოდნენ. გარეთ კი ქარი გაშმაგებით ეჯახებოდა კარს, შიგნით შემოსვლას ლამობდა.

და სწორედ ამ დროს, როცა რაბინი ძაღლების გვერდით მისაწოლად შეემზადა, კუთხეში ფეხზე უძრავად მდგომი მარიამის ძე გაარჩია, მას რომ უმზერდა და თვალს არ აშორებდა. იმწამსვე ჩამოშორდა დაღლილი ქუთუთოებიდან ძილი, შემფოთებულმა ჩაიმუხლა და თავის ძმისშვილს მიაჩნა მიახლოებოდა. თითქოს ამ ნიშანს ელოდაო, იმასაც მწარე ღიმილი დაეფინა ტუჩებზე და მიეახლა.

- იესო, - უთხრა რაბინმა, - ჩაიმუხლე, შენთან ლაპარაკი მინდა.

- გისმენ, - მიუგო ახალგაზრდამ და მის გვერდით ჩაიმუხლა, - მეც მინდა შენთან ლაპარაკი, ძია სვიმეონ.

- აქ რას აკეთებ? დედაშენი სოფელ-სოფელ დაიარება, შენ დაგეძებს და მოთქვამს.

- ის კი დამეძებს, მაგრამ მე ღმერთს ვეძებ, ველარასოდეს გავუგებთ ჩვენ ერთმანეთს! — მიუგო ჭაბუკმა.

- უგულო ხარ. შენ არც არასოდეს გყვარებია დედა და მამა.

- ასე ჯობია! ჩემი გული გიზგიზა ნაკვერჩხალია - ვინც მას შეეხება, დაიწვება კიდეც.

- რა დაგმართნია? ასე როგორ ლაპარაკობ? ან რა გაწვალებს? - ჰკითხა რაბინმა და თავი წამოსწია, კარგად რომ დაკვირვებოდა მარიამის ძეს, - თვალები ცრემლით აგვესო. შვილო, შენ რაღაც დაფარული ტკივილი გჭამს. მითხარი შენი საწუხარი, რომ შეგიმსუბუქდეს. რაღაც ღრმა ტკივილი...

— რაღაც ტკივილი? — თქვა ვაჟმა და მწარე ღიმილი გადაეფინა სანთელივით გაფითრებულ სახეზე, — რაღაც ერთი ტკივილი? არა! ბევრია!

რაბინი შეცბა. ამ მწარე ამოძახილმა შეაკრთო და ვაჟს მუხლზე ხელი დაადო, გასამხნეველად.

- გისმენ, შვილო ჩემო, - მიუგო ტკბილად, — გამანდე შენი ტკივილები, გულიდან ამოიგლიჯე. მათ წყვილიადი ამძაფრებს, სინათლე აქრობს. ნუ მომერიდები, ნუ გეშინია, ილაპარაკე!

მაგრამ მარიამის ძემ არ იცოდა, რა უნდა ეთქვა, რით დაეწყო, რა ჩაემარხა ღრმად გულში და რა ამოეთქვა, რათა ტკივილი შემსუბუქებოდა: ღმერთი, მაგდალინელი, შვიდი ცოდვა, ჯვრები, ჯვარცმულები - ყველა ერთად უტრიალებდა გულსა და გონებაში და შიგნიდან ჭამდა.

რაბინი გულისყურით უსმენდა, ამხნეველად, ევედრებოდა, ის კი ხმას ვერ იღებდა.

- შვილო, არ ძალგიძს? — უთხრა ჩუმად, ალერსიანად, — არ შეგიძლია?
- არ შემიძლია, ძია სვიმეონ.
- ცდუნება ბევრია ხომ? — ჰკითხა კიდეც უფრო ხმადაბლა და ალერსიანად.
- კი, ბევრია! — შიშით უპასუხა ვაჟმა, — ბევრია, ბევრი!

- შვილო, — დაიწყო რაბინმა და ამოიხრა, - მეც ბევრი დავითმინე ყმაწვილკაცობისას... ღმერთი მეც მტანჯავდა, მეც მცდიდა, სურდა ენახა თუ ავიტანდი, რამდენს გავუძლებდი... მეც ბევრი ცდუნება მხვდა წილად... ზოგი მხეცად მომეველინა, მათი არ მეშინოდა. სხვები — მშვიდად და ტკბილად გამომეცხადებოდნენ, სწორედ მათი მეშინოდა, და როგორც იცი, აი, ამ მონასტერს მოვაკითხე, სადაც შენ მოხველ, რათა შვება მეპოვა. მაგრამ აჰ, სწორედ აჰ იყო, რომ ღმერთმა ცდუნებაში მომიხელთა. ქალად გადაცმული ცდუნება მომივლინა... მეც, საუბედუროდ, ცდუნებას ავყევი და მას მერეა, რომ ვფიქრობ - ნუთუ ეს უნდოდა ღმერთს? ნუთუ ამისთვის მტანჯავდა? თუმცა სწორედ მას მერე დავმშვიდდი. ღმერთიც დაცხრა. შევრიგდით. შენც ასევე დაუზავდები, შვილო ჩემო, და განიკურნები ამ სნეულებისგან.

მარიამის ძემ თავი გააქნია:

- მე ასე ადვილად ვერ განვიკურნები, - წაიბუტბუტა და გაჩუმდა. მის გვერდით მჯდომი რაბინიც დუმდა. ორივენი სწრაფად და მძიმედ სუნთქავდნენ.

- არ ვიცი, საიდან დავიწყო, - თქვა ვაჟმა და წამოდგომა სცადა, - არც დავიწყებ, მრცხვენია!

მაგრამ რაბინმა მუხლებზე მჭიდროდ მოჰხვია ხელები.

- ნუ დგები, — თქვა ფრთხილად, - ნუ გარბიხარ! სირცხვილის გრძნობაც ცდუნებაა. დაამარცხე! დარჩი! ცოტა ხანს მოითმინე, მე შეგეკითხები და შენ მიპასუხე: რატომ მოხვედი მონასტერში?

- გადასარჩენად.

- გადასარჩენად? რისგან? ვისგან გადასარჩენად?

- ღმერთისაგან!

- ღმერთისაგან? — შეშინებული ხმით შესძახა რაბინმა.

- სულ თან დამდეგდა, გონებაში ჩამებეჭდა, გულში ჩამისახლდა, მთელ შიგნეულში, ფრჩხილებშიც კი. და სულ მდეგნიდა.

- სად? სად გდეგნიდა?

- უფსკრულისაკენ.

- რომელი უფსკრულისაკენ?

- თავისი უფსკრულისაკენ. მეუბნებოდა, მომეყოლა. მაგრამ რა უნდა მომეყოლა? არაფერი მქონდა სათქმელი, ვუყვიროდი – შემეშვი, თავი დამანებე! მაგრამ მაინც არ მეშვებოდა. აჰა, ასე ხომ? არ მეშვები? მაშ, ახლა ნახავ! ნახავ, შეგძულდები და თავს დამანებებ და მეც ყველა ცოდვა ჩავიდინე.

- ყველა ცოდვა? - იკითხა რაბინმა.

თუმცა ვაჟი მას უკვე აღარ უსმენდა. ამბოხსა და ტკივილს ერთდროულად შეეპყრო იგი.

- რატომ მაინცდამაინც მე? მე რატომ ამირჩია? რატომ არ ჩაიხედავს ჩემს გულში, რათა დაინახოს, ყველა გველი ერთად რომ დაცოცავს და ერთად სისინებს?! სისინებენ და ცეკვავენ. ყველა ცოდვა ერთად. და მათ შორის პირველი...

წაიბარბაცა, თმის ძირებიდან ოფლი წურწურით წამოუვიდა და გაჩუმდა.

- პირველი? ანუ?.. - ხმადაბლა ჰკითხა რაბინმა.

- მაგდალინელი — თქვა ვაჟმა და თავი ასწია.

- მაგდალინელი?!

მოხუც რაბინს სახე ერთიანად გაფითრებოდა.

- ჩემი ბრალია, ჩემი, რომ ეს გზა აირჩია მე ვიყავი, ბავშვობიდან რომ მისი სხეულისაკენ მივიღტვოდით. ვაღიარებ, აჰა, ვაღიარებ, მოისმინე და ძრწოდე! სამი წლისა ვიქნებოდით, შენს სახლში რომ ვიპარებოდით ხოლმე, როცა არც ერთი შინ არ იყავით, მარიამს მივეჭრებოდით, ვშიშვლდებოდით, ძირს ვწვებოდით და ერთმანეთს სხეულებით ვეკვროდით. რა სიამოვნება იყო, რა ტკბილი ცოდვა! მას მერე დაიღუპა მაგდალინელი, დაიღუპა, რადგან ველარ შეძლო კაცის გარეშე ცხოვრება, კაცების გარეშე ცხოვრება...

იესომ რაბინს შეხედა, მაგრამ მას თავი მუხლებში ჩაერგო და დუმდა

- ჩემი ბრალია, ჩემი, ჩემი — ყვიროდა მარიამის ძე და მკერდზე მჯიღს იცემდა,

ცოტა ხანში კი:

- და მარტო ეს რომ ყოფილიყო! ბავშვობიდან, ღრმა ბავშვობიდან სახლობს ჩემს გულში არა მხოლოდ მრუშობის დემონი, არამედ ამპარტავნობისაც! სულ პატარა ვიყავი და ჯერ გამართულად სიარულიც არ შემიძლო, რომ კედელ-კედელ დავდიოდი, თავს ვიმაგრებდი, რათა არ დავცემულიყავი, გულში კი უსირცხვილოდ ვიმეორებდი: „ღმერთო, მაქციე ღმერთად! ღმერთო, მაქციე ღმერთად! ღმერთო, მაქციე ღმერთად!“ ერთ დღეს კი, დიდი ყურძნის მტევნით ხელში მივდიოდი, რომ ბოშა ქალი შემომეყარა. მომიახლოვდა, დაიხარა, ხელი დამიჭირა და მითხრა: „ყურძენი მომეცი და შენს ბედს გეტყვი“. მეც მივეცი ყურძენი. მან ჩემს ხელისგულს დახედა და წამოიყვირა: „ო, ო! ჯვარს ვხედავ! ჯვრებს ვხედავ და კიდეც ვარსკვლავებს! — მერე გაიცინა. — შენ შეიქნები მეფე იუდეველთა!“ - თქვა და წავიდა. მე კი დავიჯერე, ამპარტავნობამ შემიპყრო და მას მერეა, ძია სვიმეონ, მას მერეა, რომ

გონებაამღვრელი დავიარები. კაციშვილისთვის არ გამინდვია ეს ამბავი, შენ ხარ პირველი, ვისაც ვუყვები...

ისევ გაჩუმდა და მცირე ხანში:

- მე ვარ ლუციფერი! — წამოიყვირა, - მე ვარ! მე, მე ვარ!

თავჩარგული რაბინი წამოიწია და ხელი პირზე ააფარა:

- გაჩუმდი!

- ვერ გავჩუმდები — გზნებით შეჰყვირა ვაჟმა, - მორჩა, მორჩა, აღარ გავჩუმდები! მატყუარა ვარ, თვალთმაქცი და მზდალი! არასდროს ვამბობ სიმართლეს, არასდროს მყოფნის გამბედაობა! ქალს დავინახავ თუ არა, ვწითლდები და თავს ვხრი, მაგრამ თვალები მრუშობით მევსება. არ ვიპარავ, არ ვკლავ, არ ვურტყამ, განა იმიტომ, რომ არ მინდა, არა, არა, იმიტომ რომ მეშინია! მინდა ავუმხედრდე დედაჩემს, ასმეთაურს, ღმერთს ავუმხედრდე, მინდა და მეშინია, მეშინია! მეშინია! ჩემს გულში რომ ჩამოიხედო, ნახავ, როგორ მოცახცახე კურდღელივით ჩამჯდარა შიგ შიში. შიში, სხვა არაფერი! შიში არის ჩემი დედაც, მამაც და ღმერთიც!

მოხუცმა რაბინმა დასამშვიდებლად მისი ხელები ხელში მოიქცია. მაგრამ ის მაინც კანკალებდა და ტკივილისგან იკლაკნებოდა.

- ნუ გეშინია, შვილო ჩემო, - უთხრა რაბინმა და ანუგეშა, - რაც უფრო მეტი დემონია ჩვენში, მით მეტ ანგელოზად შეგვიძლია გარდავქმნათ ისინი. ანგელოზები მონანიე დემონებია, მერწმუნე, შვილო. მაგრამ ერთი რამ მინდა გკითხო: იესო, ქალთან ნამყოფი ხარ?

- არა, - ხმადაბლა მიუგო ვაჟმა.

- და არ გინდა?

ვაჟი გაწითლდა. ხმას არ იღებდა. სისხლი უფეთქავდა საფეთქლებზე.

- არ გინდა ქალთან წახვიდე? - ისევ ჰკითხა მოხუცმა.

- მინდა... - უპასუხა ვაჟმა ისე ხმადაბლა, რომ რაბინმა ძლივს გაიგონა.

მაგრამ მაშინვე შეკრთა, თითქოს გამოფხნიზლდაო:

- არ მინდა! არა, არ მინდა!

- კი მაგრამ, რატომ? - ჰკითხა რაბინმა, რომელსაც სხვა გამოსავალი ვერ მოეძებნა ვაჟის ტკივილების დასაყუჩებლად.

თავადვე გამოეცადა - არაერთი შეპყრობილი ენახა, რომლებიც ყვიროდნენ, იგინებოდნენ, იფურთხებოდნენ... მათ ვერავინ ჰგუობდათ, მოიყვანდნენ ცოლებს, გაუჩნდებოდათ ბავშვები და მშვიდდებოდნენ.

- მე ეგ ვერ მიხსნის, - თქვა ვაჟმა უკვე მშვიდად, - ვერაფერს მარგებს, არ მჭირდება!

- ვერ გიხსნის? — ჰკითხა გაოგნებულმა რაბინმა, - აბა, რა გინდა? რა გჭირდება?

ვაჟს გონებაში მაგდალინელი წარმოუდგა, წელგამართული, მკერდმოღვლილი, თვალდახატული, ტუჩებზე საცხით, იცინოდა და კბილები მზეზე უბრწყინავდა. მაგრამ უეცრად მისი სხეული გამრავლდა და ახლა ხედავდა მარიამის ძე ტბას, რომლის გარშემოც ათასობით კაცი და ქალი შეკრებილიყო, ათასობით მაგდალინელი – თავაწეულნი, ბედნიერნი, მზის სხივებით გაბრწყინებულნი, არა, ეს მზე კი არ იყო, თავად მარიამის ძე იღვრებოდა მათზე და ნათელს ჰფენდათ. სიხარული? სიყვარული? ხსნა? არ შეეძლო მათი გარჩევა ერთმანეთისგან. მხოლოდ და მხოლოდ ბრწყინვას ხედავდა.

- რაზე ფიქრობ? — ჰკითხა რაბინმა, - რად არ მჰასუხობ?

- ძია სვიმეონ, სიზმრების გჯერა? — მოუჭრა ვაჟმა, — აი, მე მჯერა. მარტო მათი მწამს. ერთხელ ერთი სიზმარი ვნახე: ვიღაც უხილავ მტრებს გამხმარ კვიპაროსზე ვყავდი მიბმული, მთელ სხეულზე კი გრძელი, წითელი გველები მაცოცდებოდნენ და სისხლი მდიოდა. თავზე ეკლის გვირგვინი მედგა და ამ ეკლებში ცეცხლის ასობით გიზგიზებდა წარწერა: „წმინდა მკრეხელი“. მე ვარ წმინდა მკრეხელი, ძია სვიმეონ, მე ვარ და ნულარაფერს მკითხავ, უფრო მეტად რომ არ ვიმკრეხელო.

- იმკრეხელე, შვილო ჩემო, დაიწყე, - მშვიდად მიუგო მოხუცმა რაბინმა და კვლავ ხელი მოჰკიდა ხელზე, — იმკრეხელე, რომ გათავისუფლდე...

- ჩემში რომელიღაც დემონი გაჰყვირის: „შენ არ ხარ ხუროს ძე. შენ ხარ მეფე დავითის ძე! შენ არ ხარ კაცი, შენ ხარ ძე კაცისა, რომელსაც დანიელი წინასწარმეტყველებდა. და უფრო მეტიც: შენ ხარ ძე ღვთისა და უფრო მეტი: თვით ღმერთი ხარ!“

რაბინი წელში მოხრილი უსმენდა და მოხუც ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ვაჟს კი ტუჩები გაშრობოდა, ენა სასაზე ეწებებოდა, ლაპარაკი აღარ შეეძლო. ან კი რაღაზე ელაპარაკა? უკვე ყველაფერიც ეთქვა... გრძნობდა, რომ გული დაეცალა. ხელი რაბინის ხელებიდან გათავისუფლა და წამოდგა. მოხუცს მიუბრუნდა.

- გაქვს კიდევ რამე კითხვა ჩემთან? — ჰკითხა შენიღბული ირონიით.

- არა! — უპასუხა მოხუცმა.

და იგრძნო, რომ მისი ძალა საბოლოოდ განქარდა. ცხოვრების გზაზე ბევრი დემონი განედევნა კაცთა გულებიდან. სამყაროსდასალიერიდან მოდიოდნენ მასთან შეპყრობილნი და შველოდა. მაგრამ ისინი პატარა, ადვილად დასამარცხებელი დემონებით იყვნენ შეპყრობილნი: რისხვის, სნეულების და მსგავსი დემონებით. აი, ახლა კი...

როგორ უნდა დაამარცხოს ასეთი დემონი?

იაჰვეს ქარი კვლავ ეჯახებოდა კარს და შიგნით შემოსვლას ლამობდა. სხვა არაფრის ხმა არ ისმოდა – არც ტურის კვილისა მიწაზე და არც ყვავის ჩხავილისა — ცაში. ყოველივე შიშს აეტანა, მღუმარებდნენ და ელოდნენ, როდის დაცხრებოდა რისხვა უფლისა.

მარიამის ძე კედელს მიეყრდნო, თვალები დახუჭა. პირში საშინელ სიმწარეს გრძნობდა, შხამის გემოს. მოხუც რაბინს თავი კვლავ მუხლებში ჩაერგო და ფიქრობდა. ჯოჯოხეთსა და დემონებზე ფიქრობდა და კიდეც - ადამიანის გულზე... „არა, ჯოჯოხეთი და დემონები ქვემოთ, მიწის სიღრმეებში კი არ არიან, არამედ ადამიანის მკერდში - თვით ყველაზე ღირსეული და სამართლიანი კაცის გულშიც კი. უფსკრული არის ღმერთი და ადამიანიც უფსკრულია“, - ფიქრობდა, მაგრამ ვერ ბედავდა მოხუცი თავის გულს ჩაჰკვირვებოდა, ჩაეხედა, დაენახა, რა იმალებოდა შიგნით.

კარგა ხანს დუმდნენ. ღრმა სიჩუმემ დაისადგურა. შავი ძაღლებიც დაღლილიყვნენ გარდაცვლილზე მოთქმა-ყმუილით, ძილს მისცემოდნენ, მაგრამ უეცრად რაღაც საამო, გამჭოლი სტვენა მოისმა ეზოდან.

პირველმა ეს ხმა ჰკუასუსტმა იერობამმა გაიგონა, ფეხზე წამოხტა. ყოველთვის, როცა იაჰვეს ქარი დაქროლავდა, ეს ტკბილი სტვენა ისმოდა ხოლმე ეზოში და გახარებული ბერიც გარეთ გავარდებოდა. მზე ჩადიოდა, მაგრამ გარემოს ჯერაც შერჩენოდა დღის სინათლე და ბერის მზერამაც ფილაქანზე, დამშრალ ჭასთან მაშინვე გაარჩია დიდი შავყვითელლაქებიანი გველი, რომელსაც ყელი ღონივრად წამოეწია, ენა გამოეყო და უსტვენდა. ასეთი ტკბილი და მომაჯადოებელი სტვენა თავის სიცოცხლეში არ გაეგონა იერობამს. შიგადაშიგ, ზაფხულობით, როცა ქალზე ფიქრს იწყებდა, სწორედ ასეთად ხედავდა მას – როგორც გველს, რომელიც ძილში მის საგებელზე მოსრიალებდა, ყურთან ენას მიუტანდა და ჩასტვენდა.

ამ საღამოსაც გამოვარდა იერობამი თავისი კელიიდან, სუნთქვაშეკრული მიუახლოვდა ცეცხლოვან გველს. უყურებდა, უყურებდა, თვითონაც უსტვენდა და ცეცხლი ედებოდა. დამშრალი ჭიდან, ველური კაქტუსებიდან და ქვიშიდან თანდათანობით გამოდიოდნენ სხვა გველები: ერთი ფირუზისფრად დახვეული, ერთიც მწვანე — ორი რქით თავზე, და კიდეც სხვები - ყვითლები, ჭრელები და შავები... მოსრიალებდნენ სწრაფად, წყალივით მოედინებოდნენ, პირველი გველისკენ მოიწევდნენ, რომელიც სწორედ მათ მოუხმობდა. მერე ყველა ერთმანეთს ჩაეხვია: ერთიმეორეს ეწებებოდნენ და ლოკავდნენ. ეზოს შუაგულში გველების გროვა აღიმართა, იერობამს კი დაღებული პირიდან დორბლი სდიოდა. „ეს არის სიყვარული, ასე შეერთდება კაცი ქალს, - ფიქრობდა, - ამიტომაც გამოგვდევნა ღმერთმა სამოთხიდან.“ - და მისი კუზიანი, ტრფობამიუკარებელი სხეულიც გველებთან ერთად ირწეოდა.

მოხუც რაბინსაც შემოესმა ეს გამომწვევი სტვენა, თავი წამოსწია, ყური მიუგდო. „გველები ირევიან, - გაიფიქრა, - გველები ირევიან ღმერთის ცეცხლოვან ქარში. ღმერთი მოქრის და სამყაროს დაწვა სწადია, გველები კი ამ დროს სიყვარულს ეძლევიან“...

წუთიერად, მოხუცის გონება მომაჯადოებელ დავიწყებაში ჩაიძირა, მაგრამ უეცრად გააქრჟოლა. „ყოველივე ღმერთისგანაა, ყველაფერს აქვს ორმაგი მნიშვნელობა, ერთი - ცხადი, მეორე კი - დაფარული, ხალხის მასა მხოლოდ ცხად მნიშვნელობას აღიქვამს და ამბობს — აჰა, ეს გველიაო, და იმის იქით მისი გონება ვეღარ მიდის. მაგრამ ღმერთითმოსილი გონი ხილული გველის მიღმა მის დაფარულ მნიშვნელობას ჭვრეტს. დღეს, აი, ამ წამს, მარიამის ძის აღსარების შემდეგ, ამ გველებს, კელიის კარს მიღმა რომ გამოცოცდნენ და სტვენენ, ნამდვილად რაღაც ფარული, ღრმა აზრი აქვს... მაგრამ რა აზრი?“

მიწაზე მოიკუნტა, საფეთქლები უხურდა: „ნეტავ რას ნიშნავს ეს ყოველივე?“ ცივმა ოფლმა დაასხა მზისგან დამწვარ სახეზე და ხან გვერდით მჯდომ ფერმკრთალ ჭაბუკს უყურებდა, ხანაც კი თვალდახუჭული და პირდაღებული უსმენდა გარედან შემომავალ გველების ხმას... „რას უნდა ნიშნავდეს?“

მისმა უწინდელმა მოძღვარმა, დიდმა მლოცველმა იოსაფატმა, რომელიც მონასტრის წინამძღვარი იყო მაშინ, როცა რაბინი აქ ბერად იდგა, მას ჩიტების ენა ასწავლა. მოხუც რაბინს შეეძლო გამოეცნო, რას ამბობენ მერცხლები, მტრედები და არწივები. გველების ენაც უნდა ესწავლებინა მისთვის წინამძღვარს, მაგრამ ვეღარ მოასწრო, მოკვდა და თან გაიყოლა ეს საიდუმლო...

„ეს გველები დღეს ნამდვილად რაღაცას გვაუწყებენ, მაგრამ რას?“

უეცრად შეკრთა, ფილაქნიდან წამოდგა, წინამძღვრის კვერთხი აიღო და ზედ ჩამოეყრდნო:

- იესო, - ხმადაბლა მიმართა, - რას გრძნობ გულში?

თუმცა ჭაბუკს არაფერი გაუგონია, გამოუთქმელ ნეტარებაში ჩაძირულიყო: ამდენი წლის შემდეგ, ამ საღამოს პირველად გადაწყვიტა აღსარება ეთქვა, ელაპარაკა და როგორც კი ეს ჩაიდინა, გულის წყვილიაღში ერთმანეთისგან გაარჩია ის გველები, მასში რომ სისინებდნენ და თითოეულს საკუთარი სახელი დაარქვა. და მიაკუთვნა თუ არა სახელი ყოველ მათგანს, მაშინვე იგრძნო, როგორ გასრიალდნენ მისი წიაღიდან გველები გარეთ და სიმსუბუქე იგრძნო.

- იესო, - ისევ ჰკითხა რაბინმა, - რას გრძნობ გულში? სიმსუბუქეს?

დაიხარა და ხელი შეახო:

— წამოდი, — უთხრა თბილად და ტუჩებზე თითი დაადო.

ხელი ჩაჰკიდა, კარგი გაადო, ზღურბლს გადააბიჯეს. ახლა უკვე ერთიანად აღგზნებული და ერთმანეთში ჩახლართული გველები მიწაზე ოდენ კუდებს სცემდნენ, გროვად წამომართულიყვნენ და ღმერთისაგან მონაქროლი, ცეცხლოვანი ქვიშის ქარბუქში ცეკვავდნენ. მერე ისევ ხევდებოდნენ, შეშდებოდნენ, უძრავად იდგნენ.

მათი ხილვისას მარიამის ძემ უკან დაიხია, მაგრამ რაბინმა ხელი ჩასჭიდა და გველების გროვისაკენ კვერთხი გაიშვირა.

- აჰა, ისინიც, — თქვა ჩუმად და ჭაბუკს ღიმილით შეხედა, — გავიდნენ.

- გავიდნენ? — დაეჭვებით ჰკითხა ჭაბუკმა, — მაგრამ საიდან?

- ვერ გრძნობ, რომ გული შეგიმსუბუქდა? საიდან და — შენი გულიდან!

თვალეზგაფართოებული მარიამის ძე ხან მოღიმარ რაბინს უყურებდა, ხან კი გველებს, რომლებიც ყველა ერთად, უჩვეულო როკვით იცვლიდნენ ადგილს და დამშრალი ჭისკენ მიიწევდნენ. ხელი დაიდო გულზე და იგრძნო, როგორ გამალებით, სიხარულით უცემდა.

- შიგნით შევიდეთ, — თქვა რაბინმა და კვლავ ხელი ჩაჰკიდა.

შევიდნენ. რაბინმა კარი დახურა.

- დიდება შენდა, ღმერთო, — თქვა მღელვარებით და უცნაური შემფოთებით შეხედა მარიამის ძეს.

„ეს სასწაულია, — ფიქრობდა, — სასწაულებითაა სავსე მთელი ცხოვრება ამ ჭაბუკისა, ახლა რომ წინ მიდგას.“

და ხან იმის სურვილი აიტანდა, ხელი გაეწვდინა მისკენ და დაელოცა, ხან კი მის წინ დაჩოქება და ფეხების დაკოცნა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა: აქამდეც რამდენჯერ გაუწბილებია იგი ღმერთს?! რამდენჯერ უნახავს წინასწარმეტყველების უკანასკნელ ჟამს მთებიდან და უდაბნოდან რომ გამოჩნდებოდნენ ხოლმე და რამდენჯერ უთქვამს: „ეს არის მესია! აი, ეს“, მაგრამ ამ დროს, ღმერთი მასზე იცინოდა და რაბინის გულიც, რომელიც ასაყვავებლად განმზადებულიყო, კვლავ დამშრალ კვირტად რჩებოდა. ამიტომაც თავი შეიკავა:

„ჯერ გამოვცდი, — გაიფიქრა, — ესენი ის გველები იყვნენ, მას რომ ჭამდნენ, გავიდნენ და განიწმინდა. ახლა უკვე შეუძლია ადგეს და ადამიანებს ელაპარაკოს. და მაშინ ვნახავთ.“

კარი გაიღო და მესტუმრე იერობოამი შემოვიდა. მწირი ვახშამი მოჰქონდა სტუმრებისთვის — ქერის პური, ზეთისხილი და რძე. ჭაბუკს მიუბრუნდა:

- ლოგინი მეორე კელიაში დაგიგე, ამაღამ იქ დაიძინებ, თან მარტოც არ იქნები.

მაგრამ ორივე სტუმრის გონება სხვაგან ქროდა და არაფერი გაუგონიათ. დამშრალი ჭის სიღრმიდან კი კვლავ გველების სისინი მოისმა, ოღონდ უკვე ძალაწართმეული ხმა და სტვენა.

- ქორწინდებიან, — ჩაიქირქილა ბერმა, — ღმერთის ქარი ქრის, მაგრამ ვითომც აქ არაფერიო, მათ არ ეშინიათ, ქორწილი აქვთ!

მოხუცს შეხედა და თვალი ჩაუკრა, მაგრამ იგი საჭმელს შეექცეოდა, პურს რძეში აწობდა და ლეჭავდა, რათა ძალა მოეკრიბა - პური, ზეთისხილი და რძე გონებად ექცია და მარიამის ძესთან საუბარი შესძლებოდა. კუზიანი ბერი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, მერე მობეზრდა და წავიდა.

ორივეს ფეხი მოერთხა, ერთიმეორის პირისპირ ისხდნენ, უსიტყვოდ ვახშობდნენ. კელიაში ჩამობნელდა. წინამძღვრის სავარძელი და ბიმი, რომელზედაც დანიელ წინასწარმეტყველის გადაშლილი წიგნი ესვენა, წყვდიადში ოდნავ ელვარებდნენ და ჰაერშიც ჯერ კიდევ იდგა საკმევლის სუნი. გარეთ კი ქარი ნელ-ნელა ცხრებოდა.

- ქარი ჩადგა, - როგორც იქნა, რაღაც თქვა რაბინმა, - გადაიარა ღმერთმა.

ჭაბუკს ხმა არ ამოუღია. „გავიდნენ, გავიდნენ, - ფიქრობდა, — გველები ჩემი წიაღიდან გავიდნენ... ნუთუ ეს სურდა ღმერთს? ნუთუ მართლა იმისათვის მომიყვანა აქ, უდაბნოში, რომ განვეკურნე? ჩამოჭბერა და გაიგონეს გველებმა, ჩემი გულიდან გამოცვივდნენ და გამშორდნენ... დიდება შენდა, ღმერთო!“

რაბინი ვახშობას მორჩა, ხელები აღაპყრო, ღმერთს მაღლი შესწირა და თავის თანამეინახეს მიუბრუნდა:

- იესო, - თქვა, - აქ ხარ გონებით? მოხუცი რაბინი ვარ, ნაზარეთიდან. მისმენ?

- დიან, გისმენ, ძია სვიმეონ, - თქვა ჭაბუკმა და დიდი სიღრმიდან ამოყვინთა.

- მოაწია ჟამმა, შვილო ჩემო, მზად ხარ?

- მზად? - იკითხა ჭაბუკმა და გააჟრჟოლა, - მზად რისთვის?

- მშვენივრად იცი, მე მეკითხები? მზად იმისთვის, რომ ადგე და ილაპარაკო!

- ვისთან? ვისთან ვილაპარაკო?

- ადამიანებთან.

- და რა ვუთხრა?

- ნუ ღელავ, მხოლოდ პირი გახსენ, სხვას არაფერს ითხოვს შენგან ღმერთი... გიყვარს ადამიანი?

- არ ვიცი... ადამიანებს რომ ვხედავ, მტკივა. სხვა არაფერი.

- ესეც კმარა, შვილო ჩემო, ესეც საკმარისია. ადექი და ელაპარაკე! შესაძლოა ამ დროს გამრავლდეს შენი ტკივილი, მათი ტკივილი კი შემსუბუქდეს. შეიძლება სწორედ ამისთვის მოგავლინა ღმერთმა ამქვეყნად... ვნახოთ!

- ამისთვის მომავლინა ღმერთმა? საიდან იცი ეს, რაბი? - კითხა ჭაბუკმა და მისი სული სხეულს გასცდა, გარეთ გავიდა, რათა მოესმინა.

- არ ვიცი, ეს ჩემთვის არავის უთქვამს, მაგრამ იქნებ ასეც იყოს, რაღაცები მენიშნა: ერთხელ, როცა ბავშვი იყავი, თიხისგან ჩიტი გამოძერწე, ეფერებოდი, ელაპარაკებოდი და უცებ მომეჩვენა, რომ თიხის ჩიტმა ფრთები გამოისხა და ხელისგულიდან გაგიფრინდა... შეიძლება ეს თიხის ჩიტი ადამიანის სული იყოს, იესო, შვილო ჩემო, ადამიანის სული - შენს ხელთ...

ჭაბუკი წამოდგა. კარი უჩუმრად გამოაღო, გარეთ გაიხედა და ყური მიუგდო. გველები ერთხელ და სამუდამოდ დამუნჯებულნი იყვნენ. გაუხარდა. მოხუც რაბინს მიუბრუნდა:

- დამლოცე, რაბი, - თქვა, — და ნუღარაფერს მეტყვი, მეტი არ შემიძლია. ვიკმარო!

და ცოტა ხანში:

— დავიღალე, ძია სვიმეონ, წავალ, დავწვები. ხანდახან ღმერთი ღამით მოდის ხოლმე და დღეს განგვიმარტავს. ღამე მშვიდობისა!

კარს მიღმა მესტუმრე ბერი ელოდებოდა:

- წავიდეთ, — თქვა, — გაჩვენებ, სადაც დაგიგე ლოგინი. რა გქვია, ჭაბუკო?

- ხუროს ძე.

- მე იერობოამი ვარ, სულელსაც მეძახიან და კუზიანსაც. რა, არ შემშვენის თუ? მე ჩემს საქმეს ვაკეთებ – ძვლებამდე ვღრღნი იმ გამხმარ ლუკმას, რომელიც ღმერთმა მიბოძა.

- რა გამხმარ ლუკმას?

კუზიანმა გაიცინა.

— ვერ გაიგე, ყრუ ხარ? ჩემს სულს-მეთქი. თუ გადავყლაპავ, მერე კარგად მეყოლე მოვა სიკვდილი და აქეთ მომინელებს.

შედგა. დაბალი კარი გამოაღო და თქვა:

- შედი, აი, იქ, მარცხნივ, კუთხეშია შენი ლოგინი!

ხითხითით უთავაზა მუჯლუგუნი და შიგნით შეაგდო.

- ტკბილი ძილი და კეთილი სიზმრები, ჭაბუკო! მონასტრის ჰაერმა ეგრე იცის, ქალებს ნახავ სიზმრად.

ეშმაკურად ჩაიცინა და კარი მაგრად მიაჯახუნა.

მარიამის ძე სიბნელეში შედგა. თავიდან ვერაფერს ხედავდა, ნელ-ნელა შებათქაშებული კედლების ოდნავი ნათება გააჩნია, ნიშაში შედგმული დოქიც აელვარდა, კუთხიდან კი ორი თვალი მიშტერებოდა და ნაპერწკლებს ყრიდა.

ფრთხილად, ხელისცეცებით წაიწია წინ. ფეხი წამოკრა გაშლილ საგებელს, შედგა. ორი თვალიც მას გაჰყვა.

- საღამო მშვიდობისა, მეგობარო, - მიესალმა მარიამის ძე, მაგრამ არავინ უპასუხა.

გორგალივით ჩახვეული, მუნღლებში ნიკაპჩარგული იუდა კედელთან იჯდა და უყურებდა. მძიმედ, ქოშინივით ისმოდა მისი სუნთქვა. „მოდი... მოდი... მოდი...“-იმეორებდა გულში და უბეში ჩადებული დანა მუჭში მოექცია. „მოდი... მოდი...“

მოდით...“- ბუტბუტებდა და უყურებდა მარიამის ძეს, რომელიც მართლა მიდიოდა, უახლოვდებოდა. „მოდით... მოდით... მოდით..“ - ჩურჩულებდა...

გაახსენდა, გაღმა სოფელში, სადაც დაიბადა, იღუმეას კერიოთში, სწორედ ასე ეძახდა ხოლმე დედამისის გრძნეული ძმა ტურებს, კურდღლებსა და კაკბებს, როცა მათი მიტყუება სურდა. ძირს გაწვებოდა, თვალეში ცეცხლი აენთებოდა, ცხოველს თვალს არ აშორებდა და ძახილს მოჰყვებოდა თბილად, თხოვნით, ბრძანების ტონით: „მოდით, მოდით, მოდით..“ - და ცხოველსაც თავბრუ ესხმოდა, თავჩაღუნული, სულმიხდილი იმის ხახაში ჩავარდებოდა, ვინაც უხმობდა...

და უეცრად იუდამაც ამნაირად, მიტყუების ძახილი მოიშველია. თავიდან ძალიან ჩუმად, ნაზად ეძახდა, თანდათანობით ხმას აძლიერებდა, ბრაზდებოდა, აშინებდა და მარიამის ძეც, რომელიც უკვე დასაძინებლად მიწოლილიყო, შეშინებული წამოხტა ფეხზე. ვინ იყო მის გვერდით? ვინ ეძახდა? მძვინვარე მხეცის სუნი იგრძნო ჰაერში და მიხვდა ვინც იყო.

- იუდა, ძმაო ჩემო, შენ ხარ? — ჩუმად იკითხა.

- ჯვარმცემლო! - დაუღრიალა და რისხვით დაჰკრა მიწას ფეხი.

- იუდა, ძმაო, - კვლავ თქვა ჭაბუკმა, — ჯვარმცემლს ჯვარცმულზე მეტად სტკივა.

ჟღალწვერა მთელი სხეულით მოტრიალდა მარიამის ძისკენ.

- ჩემს ძმებს, ზილოტებს შევფიცე. ჯვარცმულის დედას შევფიცე რომ მოგკლავ. კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჯვარმცემლო! მოგიტყუე და შენც მოხვედი.

წამოხტა, კარი ურდულით გადარაზა, შემობრუნდა და კვლავ კუთხეში მოიკუნტა, იესოსკენ მიექცია სახე.

- გაიგონე, რაც გითხარი? ახლა ცრემლები არ დამანახო! მოემზადე!

- მზად ვარ!

- ხმა არ ამოიღო! სწრაფად! სანამ ღამეა, გაქცევაც რომ მოვასწრო!

- იუდა, ძმაო, აბა, შენ იცი! მე მზად ვარ. შენ კი არ მომიტყუე, ეს ღმერთმა მიხმო და მეც მოვედი. მისი მადლით, ყველაფერი კარგად მოეწყო და შენც დროულად მოხვედი. ამ საღამოს ჩემი გული განიწმინდა, შემსუბუქდა, ახლა უკვე შემიძლია ღმერთის წინაშე წარვსდგე. დავიღალე, სიცოცხლემ და მასთან ბრძოლამ დამღალა. ჰა, ჩემი ყელი, იუდა, მზად ვარ!

მჭედელმა ერთი დაიღმუვლა, კოპები შეყარა. ძალიან აღიზიანებდა, სძულდა კიდევ ამგვარი მორჩილება, ცხვარივით რომ გაეწვდინათ მისკენ ყელი... მას წინააღმდეგობა სწადდა, რათა სხეული სხეულს შესჭიდებოდა, სისხლი ადუღებოდათ და მხოლოდ ასე, ბოლო წამს მოსულიყო ბრძოლის სამართლიანი საზღაური, ისეთი, როგორიც კაცებს შეშვენიით - სიკვდილი ან გამარჯვება...

მარიამის ძეს კი ყელი მიეშვირა და ელოდებოდა. მაგრამ მჭედელმა ხელი მიჰკრა, გვერდით მიაგდო.

- რად არ მეურჩები? – შეუღრინა, – შენ რა კაცი ხარ? ადექი, ერთმანეთს შევერკინოთ!

- არ მინდა, იუდა, ძმაო ჩემო! შეგერკინო? მაგრამ რისთვის? მეც ის მინდა, რაც შენ გწადია. და ცხადია, ღმერთსაც ეს სურს. ამიტომაც მოაწყო ასე კარგად ყველაფერი: ხომ ხედავ, მე მოვედი ამ მონასტერში და შენც აქ დამხვდი. მოსვლისთანავე განიწმინდა ჩემი გული და ახლა მზად ვარ სიკვდილისთვის. შენც დანა მოგიმზადებია და კუთხეში მიმალულხარ ჩემს მოსაკლავად. კარი გამიღეს და შემოვედი. სხვა რაღა ნიშანი გინდა, იუდა, ძმაო? – შეპყრობილი მჭედელი საკუთარ უღვაშს ღეჭავდა და ხმას არ იღებდა. სისხლი უღუღდა, თავში ასდიოდა, წითლდებოდა, ფითრდებოდა, ისევ ამღვრეოდა გონება.

— ჯვრებს რად ამზადებ? — ამოიხავლა ბოლოს.

ჭაბუკმა თავი ჩაქინდრა. ეს მისი საიდუმლო იყო და როგორ გაენდო? რანაირად შეიძლებოდა, მჭედელს ერწმუნა იმ სიზმრებისა, რომლებსაც ღმერთი უგზავნიდა, ხმებისა, მარტოობისას რომ ესმის ხოლმე, კლანჭებისა, კეფაზე რომ ებლაუჭება და მისი ცაში აყვანა სურს, ხოლო მას კი ეს არ უნდა, ეურჩება და თვითონ ცოდვას ებლაუჭება, რათა მიწას არ განეშოროს?..

- ამის ახსნა არ შემიძლია, იუდა, ჩემო ძმაო, მომიტევე, - მიუგო ნაღვლიანად, — არ შემიძლია.

მჭედელმა ადგილი მოიცვალა, რათა სიბნელეში ჭაბუკის სახე გაერჩია. გამომცდელად ჩააჩერდა, ნელა დაიხია უკან და ისევ კედელს მიეყრდნო. „რა ადამიანია, ვერ ვხვდები, - ფიქრობდა, - ღმერთს ჰყავს შეპყრობილი თუ დემონს? წყეულიმც იყოს, რომელიღაცას ნამდვილად ჰყავს. წინააღმდეგობასაც არ მიწევს და ეს არის ყველაზე დიდი ურჩობა. მე ცხვრებს არს ვერჩი, ადამიანების დაკვლა შემიძლია, ცხვრებისა - არა“

დაიღრიალა:

- შე მშიშარავ! უბედურო, ჯანდაბამდის გზა გქონია ერთ ლოყაში გითავაზებენ? შენ მაშინვე მეორეს უშვერ. დანას ხედავ? და მაშინათვე ყელს იწვდენ. კაცს შენზე ხელის გასვრაც კი შეზიზღდება...

- სამაგიეროდ, ღმერთს არ ეზიზღება, – მშვიდად ჩაილაპარაკა მარიამის ძემ.

მჭედელი ხელში დანას ატრიალებდა, ვერ გადაეწყვიტა რა ექნა. წამიერად, სიბნელეში მოეჩვენა, რომ ჭაბუკის დახრილ თავს უცნაური ნათელი დასთამაშებდა. მკლავებში ძალა წაერთვა და შეეშინდა.

- უჭკუო არა ვარ, – თქვა, - თუ მეტყვი, გავიგებ! ვინ ხარ? რა გინდა? საიდან მოდიხარ? რას ნიშნავს ის ზღაპრები, შენზე რომ თხზავენ - აყვავებული კვერთხი, მეხი, სიშმაგე, უცებ რომ შეგიპყრობს ხოლმე, ანდა ის ხმები, სიბნელეში რომ გესმის? რა არის შენი საიდუმლო, აღარ იტყვი?

- ტკივილი, იუდა, ჩემო ძმაო, ტკივილია ჩემი საიდუმლო.

- ვისთვის, რისთვის, ვის გამო გტკივა? შენი საკუთარი უბედურებისა და სიღატაკის გამო? იქნებ ისრაელის გამო გტკივა? ილაპარაკე! ისრაელის გამო? ეს უნდა მითხრა, გესმის? ეს, ეს, სხვა არაფერი! ისრაელის ტკივილი გღრღნის?

- ადამიანის ტკივილი, იუდა, ძმაო!

- ადამიანებს შეეშვი! ბერძნებიც ადამიანები არიან, წყულომც იყვნენ, ამდენი წელი რომ გვტანჯავდნენ. რომაელებიც ადამიანები არიან, ღღემდე რომ გვტანჯავდნენ და ჩვენს ღმერთსა და ტაძარს ბილწავდნენ. ეგენი რაში გენაღვლება? ისრაელს შეხედე! თუ გტკივა, ისრაელის გამო გტკიოდეს, ყველა დანარჩენს ჯანდაბამდის გზა ჰქონია!

- მე ტურების გამოც კი მტკივა, იუდა, ძმაო, ბელურების გამოც და ბალახის გამოც.

- ოჰო! – დაცინვით წამოიძახა ჟღალწვერამ, — ჭიანჭველების გამოც?

- ხო, ჭიანჭველების გამოც! ყველაფერი ღმერთისგანაა! ჭიანჭველას შევხედავ და მის შავ, მოელვარე თვალებში ღმერთს ვხედავ.

- და თუ ჩემს სახეს დააკვირდები? მაშინ რას დაინახავ?

- იქაც, ძალიან ღრმად, მაგრამ იქაც ღმერთის სახეს დავინახავ.

- და სიკვდილის არ გეშინია?

- რატომ უნდა მეშინოდეს, იუდა, ძმაო? სიკვდილი კარია, მაგრამ არა ის, რომელიც იხურება, არამედ კარი, რომელიც იღება. იღება და შიგნით შედიხარ.

- სად შიგნით?

- ღვთის უბეში.

ალეწილმა იუდამ ერთი ამოიოხრა: „ვერ გამოიჭერ, – გაიფიქრა, – ამას ვერაფრით გამოიჭერ, რადგან სიკვდილის არ ეშინია..“. ნიკაპზე ხელი შემოედო, იესოს უყურებდა და უჭირდა გადაწყვეტილების მიღება.

- და რომ არ მოგკლა, - თქვა ბოლოს, — რას აპირებ?

- არ ვიცი. რასაც ღმერთი გადაწყვეტს. ვფიქრობ, ავდგე და ადამიანებს ვესაუბრო.

- და რას ეტყვი?

- ეგ საიდან უნდა ვიცოდე, ძმაო, იუდა? მე პირს გავხსნი და ღმერთი ილაპარაკებს.

ჭაბუკის თავზე სინათლე გაძლიერდა და მოეფინა მის ჩამომდნარ, მწუხარე სახეს, დიდ შავ თვალებს, ენით აღუწერელი სითბოთი რომ უმზერდნენ იუდას. შეძრწუნებულმა ჟღალწვერამ მზერა აარიდა და გაიფიქრა: „რომ ვიცოდე, იმისთვის გავა ხალხში სალაპარაკოდ, რომ ებრაელთა გულები აღანთოს რომაელების წინააღმდეგ, არ მოგკლავდი.“

- იუდა, ძმაო, რატომ აყოვნებ? - ჰკითხა ჭაბუკმა, — განა ჩემს მოსაკლავად არ მოგავლინა ღმერთმა? იქნებ სულ სხვაა მისი ნება და თვითონაც არ იცი, მე მიყურებ და ცდილობ ასე შეიცნო იგი? მე სიკვდილისთვის მზად ვარ და სიცოცხლისთვისაც... ახლა კი შენ გადაწყვიტე!

- ნუ ჩქარობ! — მძიმედ უპასუხა, - ღამე დიდია, დრო ჯერ კიდევ გვაქვს.

ცოტა ხნის მერე კი:

- შეუძლებელია შენთან ლაპარაკი, - გამმაგებით შესძახა იუდამ, - შეუძლებელი! ერთს გეკითხები, სხვას მპასუხობ, კაციშვილი ვერ გაგიგებს. მანამ სანამ შეგხვდებოდით და მოგისმენდი, უფრო მტკიცე იყო ჩემი გონება და გული.. ნუ მიყურებ, სახე მიაბრუნე, დაიძინე! მარტო დარჩენა მინდა, რომ ყველაფერი დავალაგო, ვნახო, რას ვიზამ.

თქვა და ბურტყუნით იბრუნა პირი კედლისაკენ.

მარიამის ძე თავის ლოგინზე წამოწვა, ხელები გულზე ჯვარედინად დაიწყო, დამშვიდდა.

„ყველაფერი ღმერთის ნებაა“ – გაიფიქრა და დანდობილად მილულა თვალები.

მოპირდაპირე კლდის ხვრელიდან ბუ გამოფრინდა. იგრძნო, რომ ღმერთის ქარბორბალას გადაევლო, აქეთ-იქით მიმოიფრინა და წყნარი ღუღუნით თავისი მეწყვილის ძებნა დაიწყო: „ღმერთი წავიდა, - ეძახდა, - კვლავ გადავრჩით, ჩემო სიყვარულო. გამოდი!“ ზემოთ, კელიის სანათი ვარსკვლავებით აივსო. მარიამის ძემ თვალები გაახილა, სიხარულით შეხედა ვარსკვლავებს – ნელა ჩნდებოდნენ, კვლავ ქრებოდნენ, სხვა ვარსკვლავები ამოდიოდნენ და დრო გადიოდა.

იუდა თავის ქვეშაგებზე წრიალებდა, ფეხებს იქნევდა, მძიმედ სუნთქავდა, ბუტბუტებდა, შიგადაშიგ წამოდებოდა, კართან მივიდოდა და კვლავ უკან ბრუნდებოდა, წამწამებს შორის უყურებდა მას მარიამის ძე და იცდიდა. „ყველაფერი ღმერთის ნებაა“, ფიქრობდა და ელოდებოდა. დრო გადიოდა.

გვერდით, თავლაში, რომელიღაც აქლემმა შიშით დაიფრუტუნა. ალბათ მგელი ანდა ლომი ეზმანა. აღმოსავლეთიდან ახალი ვარსკვლავები აღმოხდნენ - დიდრონი, ველური, ჯარივით მწყობრი ვარსკვლავები.

უეცრად, ამ ღრმა წყვილიაღში, მამლის ყვილი გაისმა. იუდა ფეხზე წამოხტა. ერთი ნაბიჯით მიიჭრა კართან. მთელი ძალით გამოგლიჯა და გაიჯახუნა. მისი მძიმე ნაბიჯების ხმა მოედო არემარეს.

და მაშინ მარიამის ძე გადმოტრიალდა. მოშორებით, ბნელ კუთხეში ფეხზე მდგომი, უძინარი, თავისი სანდო თანამგზავრი იხილა.

- მაპატიე, დაო, – უთხრა, - ჯერ დრო არ დამდგარა.

გენესარეთის ტბაზე იმ დღეს ვეება ტალღები აღიმართა. ნოტიო, თბილი ქარი ქროდა, სადაცაა შემოდგომაც დადგებოდა, მიწას ვაზისა და გადამწიფებული ყურძნის სურნელი ასდიოდა. კაპერნაუმელები ქალიან-კაციანად გამოკრებილიყვნენ დილაუთენია. რთველის დრო იდგა, სავსე მტევნები მიწას სცემდნენ და თავის რიგს ელოდნენ. ქალწულებიც ყურძნის მარცვლებივით ჩამტკბარიყვნენ, მტევნებს შეექცეოდნენ და მათს ტუჩებს თრობა მორეოდა. სიყმაწვილის ვნებით აცეტებული ვაჟები კი დაჟინებით უმზერდნენ ზვარში ჩამდგარ ასულებს, ყურძენს რომ კრეფდნენ და თან კისკისებდნენ. ვაზიდან ვაზამდე ლაპარაკი და სიცილ-კისკისი ხმიანობდა. დროდადრო ქალწულები გულს მოიცემდნენ, ვაჟებს გამოაჯავრებდნენ და ისინიც უფრო მეტად აიღეწებოდნენ, ახლო-ახლო უტრიალებდნენ. რთველის ცბიერი დემონი ქირქილით მიმოდიოდა აქეთ-იქით და ქალებს თავის ნესტარს ასობდა.

მოხუცი ზებედეც მდიდრული სახლი ერთიანად დუღდა. მარცხნივ, ეზოში, საწნახელი იდგა, ყმაწვილებს პირთამდე სავსე კალათები მიჰქონდათ და შიგნით ცლიდნენ. ოთხი ჯგელი — ფილიპე, იაკობი, პეტრე და სოფლის მეწაღე — ერთი კეთილი ახმახი, ნათანიელი, გაბანჯგვლულ წვივებს იბანდნენ და საწნახელში ჩასადგომად ემზადებოდნენ. კაპერნაუმში უკლებლივ ყველას, ლატაკსაც კი თავისი წილი მოსავალი ერგებოდა წლის სამყოფი ღვინისათვის და ყოველწლიურად ეს საწნახელი ყურძნით ივსებოდა, მუშაკიც თავის წილ ბადაგს დაწურავდა და შინ მიჰქონდა. წუწურაქი მოხუცი ზებედე კი აიღებდა თავის სარგოს და აავსებდა ხოლმე ქვევრებსა და კასრებს მთელი წლის მარაგით.

ზებედე-ბატონი მაღალ ფიცარნაგზე იჯდა, მოგრძო დაფა და ჯაყვა მოემარჯვებინა და თითოეულ კალათს ნაკაწრით ნიშნავდა დაფაზე, გონებაში კი ყველა პატრონის სახელს იწერდა, რათა ხვალ-ზეგ — ბადაგს რომ დაანაწილებდნენ, ვინმე არ დაჩაგრულიყო. ხარბი იყო მოხუცი ზებედე და არავინ ენდობოდა, ამიტომაც ყველას ასი თვალი და ასი ყური გამოება და აკვირდებოდა.

ეზოში გამომავალი სახლის ფანჯარა ღია იყო. ფანჯრის მიღმა დიასახლისი ტანტზე მიწოლილიყო, უყურებდა და უსმენდა ყველაფერს, რაც კი გარეთ ხდებოდა. ასე დროებით ავიწყდებოდა ის გაუსაძლისი ტკივილი, მუხლებსა და მკლავებს რომ უღრღნიდა. მეტისმეტად ლამაზი უნდა ყოფილიყო სიყმაწვილეში, ძვალწვრილი და ოდნავ შავგვრემანი, დიდთვალემა, ჯიშინი. სამი სოფელი ეცილებოდა ერთმანეთს — კაპერნაუმი, მაგდალა და ბეთსაიდა, რათა მისი ხელი ეთხოვათ. სამი სასიძო მოადგა მამამისს, რომელიც ბევრ ნავს ფლობდა და პატივსაცემ კაცად მიიჩნეოდა. თითოეული მათგანი დიდი ძღვენითა და მაყრიონით, აქლემებითა და პირთამდე სავსე გოდრებით მივიდა ქალის ხელის სათხოვნელად. მაგრამ ცბიერმა მოხუცებულმა გონებით კარგად გასინჯა სასიძოების სხეული, სული და ქონება და აი, ეს, ზებედე ამოარჩია. ზებედემაც იქორწინა და დიდხანს ტკბებოდა მისი მშვენებით, რომელსაც ახლა სიბერე მისძალეობდა. ჩამოჰკნა მისი სილამაზე, დრომ შეჰამა, ამიტომაც მისი ჭარმაგი

ბერიკაცი შიგადაშიგ, დიდი დღესასწაულებისას, ღამით გადაიკარგებოდა ხოლმე და ქვრივებთან ატარებდა დროს.

თუმცა დღეს მოხუცი სალომეც განალისებულიყო. წუხელ მისი ნებიერა ვაჟი, იოანე დაბრუნდა წმინდა მონასტრიდან. მართალია, ფერმკრთალი და გამხდარი ჩანდა, ლოცვასა და მარხვას დაესუსტებინა, მაგრამ ახლა თავისთან ეყოლება, წასვლას აღარ დაანებებს, ყუათიანად გამოკვებავს, არაფერს მოაკლებს, რათა ისევ მოძლიერდეს და ძველებური იერი დაუბრუნდეს. „დიდია ღმერთი, ქედს ვიხრით მისი მადლის წინაშე, კარგია იგი, მაგრამ ნულა მოინდომებს ჩვენი შვილების სისხლი შესვას... ზომიერი მარხვა, ზომიერი ლოცვა იკმაროს, ასე უფრო დაუზავდება ადამიანი ღმერთს“, ფიქრობდა მოხუცი დედა და კარს თვალს არ აშორებდა, ელოდა, როდის შემოაღებდა თავისი ნაბოლარა იოანე, რომელიც რთველში გარეულიყო.

ეზოს შუაგულში, ვეება, ნაყოფით დახუნძლული ნუშის ხის ძირში ჟღალწვერა იუდა ჩამუხლულიყო, პირგამეხებული იქნევდა უროს და ღვინის კასრებზე რკინის სალტეებს აკრავდა. მარჯვნიდან თუ შეხედავდით, მისი სახე ერთიანად გაბოროტებული და არეული გეჩვენებოდათ, ხოლო მარცხნიდან თუკი დააკვირდებოდით – მწუნარებასა და შფოთს შენიშნავდით. რამდენიმე დღე გასულიყო მას მერე, რაც ქურდულად გამოიპარა მონასტრიდან, სოფლებში დაეხეტებოდა და კასრებს კრავდა ახალდაწურული ბადაგისათვის. კარდაკარ დადიოდა, მუშაობდა, აყურადებდა რაზე ლაპარაკობდნენ და გონებაში იწერდა თითოეულის ნათქვამსა და ნამოქმედარს, რათა მერე ყოველივე საძმოსთვის ემცნო. მაგრამ სადღა იყო ის ძველი, უკმეხი და მოჩხუბარი ჟღალწვერა?! იმ დღის მერე, რაც მონასტრიდან გამოიქცა, ვეღარ სცნობდნენ.

- ვაჰ, იუდა ისკარიოტელო, ხმა ამოიღე, შე ჟღალწვერავ! - დაუყვირა ზებედემ, - რაზე ფიქრობ? ჭეშმარიტება ჯერ ვერ შეიცანი? კრიჭა გახსენი, დალოცვილო, ერთი სიტყვა მაინცა თქვი, რთველია, ბოლოს და ბოლოს, ხუმრობა საქმე ხომ არაა, ასეთ დღეს ხალებიანი თხებიც კი იცინიან ხოლმე.

- განსაცდელში ნუ ჩააგდებ, ზებედე-ბატონო, - ჩაერია ფილიპე, — თქვა, მონასტერში ვიყავიო და ეტყობა, ბერობა სწადია. არ გაგიგია? ეშმაკი სიბერეში ბერად შედგება ხოლმე!

იუდა შებრუნდა, ფილიპეს სიძულვილით სავსე მზერა სტყორცნა, მაგრამ არ შესიტყვებია, ეზიზღებოდა, ეს ხომ კაცი არ იყო, ჭორიკანა, მოლაყბე ბოლო წუთას შეშინდა და უარი თქვა საძმოში შესვლაზე, ცხვრები მყავსო, - მოიმიზეზა, - სად დავტოვო?..

მოხუც ზებედეს სიცილი აუტყდა ჟღალწვერას მიუბრუნდა:

— გონს მოეგე, შე უბედურო, — უთხრა, - ბერობა გადამდები სენია, ფრთხილად იყავი, არ გადაედოს! აგერ, ვაჟი ბეწვზე გადამირჩა: ჩემმა დედაბერმა კი გაიხაროს, ავად გახდა, მისმა ნებიერამაც შეიტყო ეს ამბავი, მოხუცი წინამძღვრისგან უსწავლია ბალანუელით წამლობა და ჩამოვიდა, რათა დედამისს უმკურნალოს, და ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, აწი ფეხსაც აღარ მოიცვლის აქედან. ან სად წავა? გიჟი კი არ არის! იქ, უდაბნოში შიმშილი, წყურვილი, მეტანიები და ღმერთია, აქ კი - საჭმელი, ღვინო,

ქალები და ღმერთი. ჰო, ღმერთი ყველგანაა. ჰოდა, რატომღა წავა უდაბნოში მის საძებნელად? აბა, შენ რას იტყვი, იუდა ისკარიოტელო?

მაგრამ ჟღალწვერა ისევ უროს იქნევდა და ხმას არ იღებდა. ისედაც, რა უნდა ეთქვა მისთვის? ყველაფერი მშვენივრად მისდიოდა ამ ბერიკაცს, აბა, საიდან გაიგებდა სხვის მწუხარებას? თვითონ ღმერთიც კი, რომელიც სხვებს, ერთი პატარა წაფორხილების გამო ნაცარტუტად აქცევდა, ზებედეს – ამ მრუშ, გამოუსადეგარსა და წუწურაქ ბერიკაცს ისე ელოლიავებოდა - ემანდ, არ იწვიმოს და არ დასველდესო - სელის სამოსივით გადაეფარებოდა ხოლმე ზამთრობით და სველი ტილოსავით - ზაფხულობით. მაგრამ რატომ? რა ნახა მასში ასეთი? ეგება ამ ავყია ბერიკაცსაც ისრაელზე ფიქრი და ზრუნვა ჭამდა? მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. მას ხომ საძაგელი რომაელები უყვარს, ვინაიდან მის ქონებას იცავენ. ღმერთმა კარგად ამყოფოს ეგენიო, ამბობდა ხოლმე, წესრიგს ამყარებენო. ეგენი რომ არა, ჩხუბისთავები და ჩამოკონკილი მაწანწალები წაგვლეკავდნენო და მერე - მშვიდობით, ჩვენო ქონებაო, „მაგრამ, მაცადე ბერიკაცო, დრო დადგება და... რისი გაკეთებაც ღმერთს ავიწყდება, ზილოტები იყვნენ კარგად, აი, ისინი გაიხსენებენ, გააკეთებენ... მოითმინე, იუდა, ხმას ნუ ამოიღებ, მოითმინე და საბაოთის დღეც დადგება“

თავი ასწია და ფირუზისფერი თვალები ზებედეს მიანათა, წარმოიდგინა, რომ გულაღმა იწვა ეს წუწურაქი ბერიკაცი თავის საწნახელში და საკუთარ სისხლში ცურავდა. ამის გაფიქრებაზე, იუდას მთელ სახეზე ღიმილი მოეფინა.

ამასობაში ოთხ ახმანს ფეხები საგულდაგულოდ დაებანათ და საწნახელშიც ჩამდგარიყვნენ. აბიჯებდნენ, ყურძენს ჭყლეტდნენ, მუხლებამდე ეფლობოდნენ, დაიხრებოდნენ, მუჭა-მუჭა ამოიღებდნენ ყურძნის მარცვლებს, ჭამდნენ, წვერ-ულვაში ყურძნის წიპწებით ევსებოდათ, ხან ხელიხელჩაკიდებულნი ცეკვავდნენ და ხანაც თითოეული მარტო ჩადგებოდა, ფეხებს აათამაშებდა და ლაზღანდარობდა. ბადაგის სურნელს დაეთრო ისინი. და მხოლოდ სურნელიც არ იყო: ხედავდნენ ღია ჭიშკრის მიღმა, ვაზებთან წახრილ ქალებს როგორ მოუჩანდათ მთელი მათი მშვენიერება მუხლებიდან ზემოთ და როგორ ყურძნის მტევნებივით უელავდათ მკერდი ვაზის ფოთლებს შორის...

უყურებდნენ ღვინის მწურავები და გონება ებინდებოდათ - ეს საწნახელი კი არ იყო, არც მიწა და ყურძენი იყო, ეს სამოთხე იყო, ნამდვილი სამოთხე, რომელშიაც მოხუცი საბაოთი ფიცარნაგზე იჯდა, ხელში მოგრძო დაფა და ჯაყვა ეჭირა და აღნუსხავდა, თუ რა ეკუთვნოდა თითოეულს — რამდენი გოდორი ყურძენი და რამდენი კასრი ღვინო, რამდენი კალათი საჭმელი და რამდენი ქალი!

- რჯულს გეფიცებით, – წამოიძახა პეტრემ, - ახლა ღმერთი რომ მოსულიყო და ეთქვა ჩემთვის: „ჰეი, პეტრევ, ჩემო პეტრევ, დღეს კარგ გუნებაზე ვარ, მთხოვე რაც გინდა და შეგისრულებო“, ვეტყოდი, „ყურძენს ვჭყლეტდე, ჩემო ღმერთო, მარადიულად ყურძენს რომ ვჭყლეტდე, ეგ მომმადლე-მეთქი“.

- განა ღვინის სმას არა სთხოვდი, შე სულელო? – ჩააჟინდა ზებედე.

- არა, არა, ღმერთია მოწმე, ყურძნის დაწურვას ვთხოვდი მარტო!

მხოლოდ იუდა არ იცინოდა. ჩაფიქრებული, შთაგონებული სახე ჰქონდა. ერთი წამით შეჩერდა, მზეს მიეფიცხა. წელს ზევით შიშველი იყო და გულზე ამოსვირინებული დიდი თევზი შავად მოუჩანდა. ერთმა ძველმა პატიმარმა, წლების წინ ისე ოსტატურად დაამჩნია, რომ იფიქრებდით, სადაცაა კუდს გაიქნევს და გახარებული შესცურავს მისი მკერდის ჟღალი ბეწვის ზღვაშიო. ხოლო თევზის ზემოთ ჯვარი ენატა, ოთხივე მხარეს მოკაუჭებული ფორმისა.

მაგრამ ფილიპეს უცებ თავისი ცხვრები გაახსენდა და რაკი, დიდად არ ეხერხებოდა მიწის დამუშავება, ვაზის მოვლა თუ ყურძნის დაწურვა, პეტრეს წაელაზღანდარავა:

- შენც საქმე გიპოვია, რა! მარადიული ყურძნის ჭყლეტა! მე კიდე ვთხოვდი, რომ ცა და მიწა ერთ მწვანე მდელოდ ექცია, თხებიტა და ცხვრებით აევსო. მე მოვწველიდი, მთიდან რძეს გადმოვღვრიდი, რომელიც ბარში მდინარეებად და ტბებად დადგებოდა, რათა სილატაკეს შეესვა იგი. და ყოველ საღამოს შევიკრიბებოდით ერთად მწყემსები, მწყემსმთავრად ღმერთი გვეყოლებოდა, ცეცხლს დავანთებდით, მწვადს შევწვავდით და ზღაპრებს მოვყვებოდით. აი, ეს იქნებოდა სამოთხე!

- ჯანდაბამდის გზა გქონია, შე ყეყეჩო, - ჩაიჩურჩულა იუდამ და კვლავ ზიზღით შეხედა ფილიპეს.

იქვე შიშველი, გაბანჯგვლული, ფერდებზე მოხვეული ფერადი ძონძით მოსილი ყმაწვილები მიდი-მოდდიოდნენ, მათს საუბარს ყურს მოჰკრავდნენ და იცინოდნენ, რადგან თვითონაც ჰქონდათ საკუთარი სამოთხე, მაგრამ ვერაფრით გაამხელდნენ და გოდრებს საწნახელში ჩააპირქვავებდნენ თუ არა, ერთი ნახტომით გადაეკლებოდნენ ზღურბლს და ისევ ყურძნის მკრეფავ ქალწულებთან ამოყოფდნენ თავს.

ზებედემაც დააპირა რაღაც სალაზღანდარო ეთქვა, მაგრამ ადგილზე გაშეშდა. ჭიშკარში ერთი უცნაური მგზავრი დამდგარიყო და მათს საუბარს ყურს უგდებდა. მიწამდე სცემდა მხრებზე მოგდებული შავი თხის ტყავ-ბეწვი, ფეხშიშველსა და თმაგაწეწილს სახე გოგირდის სანთელივით გაჰყვითლებოდა, მის შავ, დიდრონ თვალეში კი ცეცხლი ენთო.

საწნახელში ფეხების მოძრაობა შეწყდა, ზებედემაც უკან ჩაიბრუნა თავისი ხუმრობა და ყველამ ჭიშკრისკენ ქნა პირი: ვინაა ეს ცოცხალმკვდარი კაცი, ზღურბლზე რომ ჩამომდგარა? სიცილი აღარ ისმოდა, ყველა დამუნჯდა, ფანჯრიდან დედაბერმა სალომემ გამოიხედა, ახალმოსულს შეხედა და შეჰყვირა:

- ანდრია!

- შვილო, ანდრია, - შესძახა ზებედემაც, - ეს რა დაგმართნია? რას დამგვანებინარ? ჯოჯოხეთიდან მოდინარ თუ იქით მიეშურები?

პეტრე საწნახელიდან გადმოხტა, ძმას ხელები ჩაავლო, სიყვარულითა და შიშით უყურებდა, არაფერს ეუბნებოდა. ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ანდრიაა, ის ახოვანი ჭაბუკი, შეუდარებელი ვაჟკაცი, თევზაობისა და ქეიფის დიდოსტატი, ვინაც სოფლის ულამაზეს ქალწულზე იყო დანიშნული - ქერათმიან რუთზე?! ერთ ღამეს რუთი

მამამისთან ერთად ტბაში დაიხრჩო, როცა ღმერთმა საშინელი ქარი მოავლინა და სასიკვდილოდ გაწირა იგი, ანდრია კი იქ წაიყვანა, სადაც მხოლოდ ღმერთს მიეცემოდა მთელი არსებით. პეტრე ფიქრობდა კიდეც – ეგება, კარგად რომ დაძებნოს, სწორედ მასში იპოვოს რუთი... ცხადი იყო, ღმერთს კი არა, თავის დაწინდულს ეძებდა ანდრია. - უყურებდა, შიშით უყურებდა და ფიქრობდა: „როგორი მივაბარეთ ღმერთს და როგორი დაგვიბრუნა უკან“.

- ჰეი, ამდენი ხანი რას უყურებ და სინჯავ? – გასძახა მოხუცმა ზებედემ პეტრეს, — შემოუშვი, შიგნით შემოვიდეს, უცებ ქარმა არ დაჰბეროს და არ წააქციოს... შემოდი, ანდრია, შვილო, მოდი, ყურძენი აილე, იგემე პურიცა გვაქვს და თევზიც, დიდება ღმერთს, ჭამე, იქნებ ცოტა ფერი მოგეცეს, ამ დღეში მყოფი არ დაგინახოს უბედურმა მამაშენმა იონამ და შიშისაგან ისევ ზვიგენს არ ჩაუვარდეს ხახაში

მაგრამ ანდრიამ ჩონჩხადქცეული მკლავი აღმართა:

- არ გრცხვენიათ? - შეჰყვირა, - ღმერთის არ გეშინიათ? სამყარო იქცევა და თქვენ აქ ყურძენის ჭყლეტა და სიცილ-ხარხარი აგიტენიათ!

- ოჰო, აბა, ამასთანაც კაი შარში ჩავვარდებით - ჩაიჩურჩულა ზებედემ და ახლა უკვე მრისხანედ მიუბრუნდა ანდრიას.

- ახლა მისმინე! გირჩევნია ჩვენ შეგვეშვა! ჯერ არ მოსულხარ და უკვე თავი მოგვაბეზრე. ამას ქადაგებს შენი წინასწარმეტყველი – ნათლისმცემელი? გააგებინე, რომ სიმღერა მოუძველდა: დადგა სამყაროს აღსასრული, საფლავები გაიხსნება და გარდაცვლილები გამოვლენო, ღმერთი მიწაზე ჩამოვაო, მესიის მოსვლა გარდაუვალია, ღმერთი თავის დავთარს გაშლის და მერე ვაი, ჩვენო!.. სიცრუეა! სრული სიცრუე! თქვენ რა, არ გესმით? თქვენი საქმე აკეთეთ, ყურძენი დაწურეთ!

- შეინანეთ! შეინანეთ! — გაჰყვიროდა იონას ძე.

ძმას მკლავებიდან დაუსხლტდა, ეზოს შუაგულში შეჩერდა, ზებედეს პირისპირ და თითი ცისკენ აიშვირა.

- შენთვის სიკეთე მინდა, ანდრია, – თქვა ზებედემ, – დაჯექი, ჭამე, ღვინო დალიე და კვლავ გონს მოხვალ. შიმშილმა გონი აგირია, შე საბრალოვ!

- შენ აგირია გონი სიმაძღრემ, ზებედე-ბატონო, - მიუგო იონას ძემ, - მაგრამ შენს ფერხთა ქვეშ მიწა გაიხსნება, უფალი მიწისძვრაა - ამ საწნახელსაც შთანთქავს, შენს ნავებსაც და შენც, მუცელლორო!

ერთიანად ანთებულიყო, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა - ხან ერთს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს და გაჰყვიროდა:

- სამყაროს აღსასრული ისე სწრაფად დადგება, რომ ეს ბადაგი დაღვინებასაც ვერ მოასწრებს! შეიმოსეთ ჯვალოები, თავზე ნაცარი დაიყარეთ, მკერდზე მჯილს იცემდეთ და იძახდეთ: შევცოდე! შევცოდე! მიწა ხე არის, დალჰა, მესია მოდის, თავისი მახვილით მოდის მესია!

იუდამ ურო გვერდზე მიაგდო, ზედა ტუჩი უთამაშებდა და ბასრი კბილები მზის შუქზე უელავდა. თუმცა ზებედეს მოთმინების ფიალა აევსო.

- პეტრე, თუ ღმერთი გწამს, წაიყვანე აქედან, წადით! - თქვა, - ჩვენ აქ საქმე გვაქვს. მოდის! მოდის! ხან ცეცხლით, ხან დავთრით, აგერ ახლა, ინებეთ, მახვილით მოდისო! გეუბნებით, თავი დაგვანებეთ, ჩვენ შეგვეშვით, შფოთისთავებო! ეს სამყარო ყველაფერს უძლებს, ამასაც გაუძლებს და თქვენს საქმეს დაუბრუნდით, ნუ გეშინიათ!

პეტრემ ძმას მხარზე მსუბუქად დაჰკრა ხელი, რათა დაემშვიდებინა:

- გაჩუმდი, - ჩაულაპარაკა, - წყნარად, ძმაო, ნუ ყვირი! ეტყობა, გზამ დაგღალა, შინ წავიდეთ, დაისვენებ. მოხუცი მამაც გნახავს და გულს გაუხარებ.

ხელი მოჰკიდა და მზრუნველად გაუძღვა, თითქოს ბრმა მიჰყავსო. ვიწრო გზას დაადგნენ, თვალს მიეფარნენ. ზებედე-ბატონს სიცილი აუვარდა:

- ვაი, უბედურო იონავ, თევზთწინასწარმეტყველო, მტერსაც არ ვუსურვებ, შენს ადგილას ყოფნას!

მაგრამ ამ დროს მოხუცი სალომე ალაპარაკდა – ჯერ კიდევ გრძნობდა ანდრიას დიდი თვალებიდან წამოსულ ცეცხლს, ერთიანად რომ სწვავდა.

- ზებედე, - თქვა და ჭადარა თავი გაიქნია, - ზებედე, წყეულო ბერიკაცო, სიტყვებს დაუკვირდი და ნუ იცინი ანგელოზი თავზე გვადგას და ყველაფერს იწერს – რასაც დასცინი, ზუსტად ის დაგემართება!

- დედა მართალია, - თქვა იაკობმაც, რომელსაც აქამდე სიტყვა არ დაეძრა, - ცოტაც მოიცადე და შენც იგივე მოგივა - ნებიერა იოანესგან. და რალატომღაც მგონია, რომ ჯერ ყველაფერი წინ გაქვს: ყურძნის მკრეფავები მეუბნებიან, რომ იოანე ყურძენს კი არ კრეფს, ქალებში ჩამჯდარა და ღმერთზე ლაყბობს, მარხვასა და უკვდავ სულებზე... მეც მტერსაც არ ვუსურვებდი შენს ადგილას ყოფნას, მამაჩემო!

მწარედ ჩაიცინა, ვერ იტანდა თავის ნალოლიავენ, უსაქმურ ძმას და გული რომ ეჯერა, გამმაგებით გააგრძელა ყურძნის ჭყლეტა.

ზებედეს სისხლმა აასხა ტვინში. უფროსი ვაჟის უტიფრობა აღიზიანებდა, იმიტომ რომ ძალიან ჰგავდა და წაეჩხუბებოდა კიდევ, ამ დროს ჭიშკარში ნაზარეველი იოსების ცოლი, მარიამი რომ არ გამოჩენილიყო – იოანეს მკლავს ჩამოყრდნობილი. წვივებთხელი ფეხები ერთიანად მტვერში ამოგანგლოდა და სისხლი სდიოდა აქეთ-იქით სიარულისგან. უკვე მერამდენე დღეა, რაც სახლი დატოვა, სოფლიდან სოფელში დაეხეტება, თავის ბედკრულ ვაჟს დაეძებს და ტირის. ღმერთმა გონება აურიო, კაცთა ცხოვრების გზას ააცდინა - მოთქვამს დედა და ცოცხალს დასტირის... ემუდარება, ყველას ეკითხება: მაღალია, გამხდარი, ფეხშიშველი, ცისფერ სამოსზე შავი ტყავის ქამარშემოკრული, იქნებ გინახავთ? მაგრამ არავის უნახავს იგი. თუმცა ზებედეს უმცროსმა ვაჟმა იოანემ გაიხაროს, მისი წყალობით კვალს მიაგნო: მონასტერშია, უდაბნოში, თეთრი კვართი მოსავს, მიწაზე დამხობილა და ლოცულობსო... იოანეს შეებრალა საბრალო დედა და ყველაფერი გაანდო. და ახლა, ყმაწვილის მკლავს

ჩამოყრდნობილი, ზებედეს ეზოში შედის, ცოტა სული რომ მოითქვას, სანამ უდაბნოსკენ დაადგებოდეს გზას.

მოხუცი სალომე მედიდურად წამოიმართა:

- მობრძანდი, საყვარელო მარიამ, - უთხრა, - შინ შემოდი!

მარიამმა თავსაბურავი ჩამოიფხატა, წელში მოიხარა, მოკრძალებულად გადაჭრა ეზო, თავის ხანდაზმულ მეგობარს ხელებზე მოეჭიდა და ატირდა.

- ცოდვას ასე მოთქმა, შვილო, - დაუყვავა დიასახლისმა, ხელი შეაშველა და ტანტზე ჩამოსვა, - ახლა შენი ვაჟი ღვთის უბეშია, უსაფრთხოდ.

- მძიმეა დედის ტკივილი, ჩემო სალომე, - მიუგო მარიამმა და ამოიოხრა, - ერთადერთი ვაჟი მომცა ღმერთმა და ისიც განწირული.

ზებედე-ბატონმა მისი ჩივილი გაიგონა. გულქვა როდი იყო, თუკი მის ინტერესს არ შეეხებოდი. ფიცარნაგიდან ჩამოვიდა მარიამის სანუგეშებლად.

- სიჭაბუკის ბრალია, მარიამ, - უთხრა, - სიჭაბუკით მოსდის, ნუ იდარდებ, გაუვლის. ეს დალოცვილიც ღვინოსავითაა, მაგრამ სწრაფადვე გამოვდივართ სიმთვრალიდან, ვფხიზლდებით და უკანაც ველარაფრით დავბრუნდებით, მის უღელში. შენი ვაჟიც გამოფხიზლდება, მარიამ. აი, ჩემიც, აქ რომ ხედავ, ახლა იწყებს გამოფხიზლებას, დიდება შენდა ღმერთო!

იოანე გაწითლდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. შინ შევიდა, რათა ცივი წყალი და დათაფლული ლეღვი გამოეტანა სტუმრის გასამასპინძლებლად. გვერდიგვერდ ჩამომსხდარი ორი ქალი, თავმიყრდნობილნი ღმერთისაგან შეპყრობილი ვაჟის შესახებ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, არ უნდოდათ კაცებს გაეგონათ და ჩარეულიყვნენ მათ იდუმალ ქალურ სიტკბოებაში, ტკივილი რომ ანიჭებდა ამ ორ დედას.

- ლოცულობსო — გამანდო შენმა ვაჟმა, დაო სალომე, სულ ლოცულობს, ხელები და ფეხები დაუწყლულდა მეტანიებისგანო. არ ჭამს, ჩამოდნა და ჰაერში ფრთებს ხედავსო. წყალსაც კი არ სვამს, იმისთვის რომ ანგელოზები იხილოსო... სადამდე მიიყვანს ეს გასაჭირი, დაო სალომე? ბიძამისმაც კი, რაბინმა, ამდენი შეპყრობილი რომ განუკურნავს, ჩემს შვილს ვერაფერი უშველა, მისი განკურნება არ შეუძლია... რატომ დამწყევლა ღმერთმა ასე, ჩემო სალომე, რა დავუშავე?

თავი მოხუცი მეგობრის კალთაში ჩარგო და ატირდა.

იოანე გამოვიდა ლანგრით ხელში, რომელზედაც წყალი და ხუთი-ექვსი ლეღვი ეწყო

- ნუ ტირი, - უთხრა და ლეღვი შესთავაზა, - შენი ვაჟის სახეს წმინდა ბრწყინვალება დასთამაშებს. ამას ყველა ვერ ამჩნევს, მაგრამ ერთ ღამეს მე დავინახე, ეს ნათელი როგორ ულოკავდა სახეს და შემეშინდა. ბერი აბაკუმიც ყოველდამ ნახულობდა სიზმრად გარდაცვლილ წინამძღვარს. ამბობდა, ხელი შენი ვაჟისთვის ჰქონია ჩაკიდებული, კელიიდან კელიაში დაატარებდა და თითით ყველას მასზე

მიანიშნებდაო... არ ლაპარაკობდა მხოლოდ ილიმოდა და ანიშნებდაო. ბერ აბაკუმსაც ეშინოდა, - წამოხტებოდა ზეზე, ბერებს გააღვიძებდა და ყველა ერთად შეეცდებოდა ხოლმე სიზმრის ახსნას: რისი თქმა სურდა მათთვის წინამძღვარს? რატომ მიანიშნებდა ახალ სტუმარზე და ილიმოდა? და სულ ახლახან, იმ დღეს, როცა წამოვედი, ღმერთმა გონება გაუნათათ და სიზმარი ახსნეს: გარდაცვლილი იმას გვაუწყებს,

რომ იგი უნდა გახდეს წინამძღვარიო... მაშინვე მიეახლნენ, უკლებლივ ყველა ბერი მივიდა შენს ვაჟთან, ფეხებში ჩაუვარდნენ და ემუდარებოდნენ, დათანხმებულიყო — ღვთის ნებაა, რომ მონასტრის წინამძღვარი შენ გახდეო. მაგრამ იგი უარობდა: „არა არა, — ამბობდა, - ეს არ არის ჩემი გზა, ღირსი არ ვარ, უნდა წავიდე!“. შუადღე იყო, მონასტრიდან რომ გამოვედი და ჯერ კიდევ მესმოდა მისი ხმა, როგორ უარობდა. ბერები კი ემუქრებოდნენ, რომ კელიაში გამოკეტავდნენ, კარს ჩარაზავდნენ, რათა არსად წასულიყო.

- გიხაროდეს, ჩემო მარიამ, - თქვა მოხუცმა სალომემ და დანაოჭებული სახე გაუნათდა, — ბედნიერი დედა ხარ ღმერთმა დაჰბერა შენს წიაღს და შენ ამას ვერ გრძნობ!

ღვთითკურთხეული უსმენდა და უნუგემოდ აქნევდა თავს

- მე არ მინატრია წმინდანი ვაჟი, - ჩურჩულებდა, - მირჩევნია ადამიანი იყოს, ისეთი როგორებიც სხვებს ჰყავთ, მინდა ოჯახი შექმნას და შვილიშვილები მაჩუქოს. აი, ეს მგონია გზა ღმერთისა.

- ეგ კაცთა გზაა, - მორიდებულად შეეწინააღმდეგა იოანე, - რომელსაც შენი ვაჟი მისდევს, სწორედ ისაა ღმერთის გზა.

ვენახებიდან ხმაურისა და სიცილ-კისკისის ხმა მოისმა, ორი ახალგაზრდა მტვირთავი შემოვიდა ეზოში, ორივე ცქმუტავდა

- ცუდი ამბავი გვაქვს, ბატონო, — ყვიროდნენ და სიცილით იფხრიწებოდნენ, - ამბობენ, მაგდალაში ყველა აღდგა, ქვებს დასტაცეს ხელი და თავიანთ ჯადოქარს მოსაკლავად მისდევნო!

- რას ამბობ, ვინ ჯადოქარს? — იკითხეს საწნახელში ჩამდგარმა კაცებმა და ცეკვა შეწყვიტეს, - მაგდალინელს?

- ხო, მაგდალინელს, წყეულიმც იყოს! ორმა მეჯოგემ ჩამოიარა და ეს ამბავი გვაცნობეს. გუშინ, ამ შაბათ დღეს ნაზარეთიდან მაგდალაში შიში და მძვინვარება, ის ავაზაკი ბარაბა შეჭრილა...

- აჰა, ახლა ესეც, დღე კი დაუბნელდეს - უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა მოხუცმა ზებედემ, - იმ სახედამანჭულმა ზილოტმა უნდა გადაარჩინოს ისრაელი?! თავიდან მოგვწყდეს ეგ არაკაცი! და კიდევ რაო?

- რაო და, სადამოს მაგდალინელის სახლში შეუვლია და მამაკაცებით გადავსებული ეზო დახვედრია. ეგ უღმერთო წმინდა დღეს - შაბათსაც კი მუშაობდა თურმე. სად ყოფილა, ვინმეს ღმერთი ენახოს და არ შეშინებოდეს! ჰოდა, შეიჭრა

ბარაბა, უბიდან დანა დაუძვრია, ვაჭრებმაც ხმლები იშიშვლეს თურმე, მეზობლებიც შერევინ და ერთი ალიაქოთი ამტყდარა. ორი ჩვენებურიც დაჭრილა, მოვაჭრეები აქლემებს შემოხტომიან და უკანმოუხედავად გაქცეულან, ბარაბას კი კარი შეუმტვრევია, ის დედაკაცი რომ ეპოვა და მიეხრჩო. მაგრამ სადღა ყოფილა შენი მაგდალინელი?! გაფრენილა ჩიტი, მეორე კარიდან გასულა და გაქცეულა! მთელი სოფელი დასდევნებია, მაგრამ ამასობაში ჩამოლამდა და სადღა იპოვიდნენ?! როცა გათენდა, ყოველ მხარეს მიმოფანტულან, ეძებდნენ, კვალისთვის რომ მიეგნოთ, ამოუცვნიათ კიდეც ქვიშაში მისი ნაკვალევი, კაპერნაუმისკენ წამოსულა!

- სათანადოდ დავხვდეთ! - თქვა ფილიპემ და თხასავით მოლაფშული ტუჩები მოილოკა, - მარტო ეგ ერთიღა გვაკლდა სამოთხეში – ევა სულ დაგვაკვიწყდა! კეთილი იყოს მისი ფეხი!

- მაგ დალოცვილის წისქვილი შაბათსაც ფქვავს! - თქვა კეთილშობილმა ნათანიელმა და ცბიერად ჩაიღიმა უღვაშებში.

გაახსენდა, ერთ საღამოს, შაბათის წინადღით, როგორ დაიბანა, გაიპარსა, სუფთა ტანსაცმელი ჩაიცვა, რადგან აბანოს ცდუნებამ დარია ხელი, მაგდალაში გაიტყუა და პირდაპირ მაგდალინელის სახლთან მიიყვანა, მან კი გაიხაროს! ზამთარი იყო და მაგდალინელის წისქვილიც უმოქმედოდ იყო, ამიტომ მარტოდმარტო აღმოჩნდა შიგ და მთელი შაბათის განმავლობაში ფქვავდა და ფქვავდა... ნათანიელმა სიამოვნებისგან გაიღიმა. დიდი ცოდვააო, ამბობენ. დიახ, მართლაც დიდი ცოდვაა, მაგრამ ღმერთში არის ჩვენი გზნებანიც, ამიტომაც ღმერთი შეგვინდობს. მშვიდი, ღარიბი, ნაღვლიანი, უცოლშვილო ნათანიელი მთელი თავისი დღე და მოსწრება შარაგზის განაპირას, ერთ მერხთან იჯდა და სოფლელებისთვის წაღებს კერავდა, ხოლო მწყემსებისთვის - ქალამნებს... აბა, ამასაც ცხოვრება ერქვა? ჰოდა, ერთხელაც გავიდა გარეთ, ერთადერთხელ ცხოვრებაში, მანაც ადამიანურად გაიხარა, მერე რა რომ შაბათი იყო, ღმერთი ხომ გულმოწყალეა, ესმის ამგვარი საქმეებისა და მოგვიტევებს...

მოხუცმა ზებედემ ცხვირი ჩამოუშვა:

— უქნარები! — აბუზღუნდა, — ნაბიჯს ვერ გადადგამენ ისე, რომ თვალები არ დაივსონ: ხან წინასწარმეტყველებიო, ხან მეძავებიო, ხან მოტირალი დედები, ხან ბარაბებიო, დავიღალე!

მესაწნახელებს მიუბრუნდა: - თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ! ყურძენი დაწურეთ!

მოხუცმა სალომემ და იოსების ცოლმა – მარიამმაც შეიტყვეს ეს ახალი ამბავი, ერთმანეთს გადახედეს და მაშინვე უსიტყვოდ ჩაქინდრეს თავები. იუდამ ურო მიაგდო, გამოვიდა და ჭიშკრის ძელს ჩამოეყრდნო. ყველაფერი გაიგონა, გონებაში ჩაიბეჭდა და გავლისას გაავებული მზერა სტყორცნა ზებედეს. მერე ყური მოკრა ხმაურს, დაინახა, როგორ გაეხვია მტვერში გზა - კაცები მორბოდნენ, ქალები ყვიროდნენ: „დაიჭირეთ! დაიჭირეთ!“ და სანამ სამი კაცი საწნახლიდან გადმოხტომას მოასწრებდა და წუწურაქი ბერიკაციც თავისი ფიცარნაგიდან ჩამოხდებოდა, ენა გადმოგდებული, ქანცგაწყვეტილი მაგდალინელი ეზოში შემოვარდა და მოხუც სალომეს ჩაუვარდა ფეხებში:

- მიშველე, დედაკაცო, - დაიყვირა, - მიშველეთ, მსდევენთან!

დედაბერს შეებრაღა ცოდვილი ქალი, წამოდგა, ფანჯარა დაკეტა და თავის ვაჟს მიუბრუნდა:

- ჭიშკარი ჩარაზე, შვილო, — უთხრა. შემდეგ კი მაგდალინელს მიმართა: - ჩაიკუზე, დაიმალე!

იოსების მარიამი ჩაჩოქილიყო და ამ დაცემულ ქალს ძრწოლითა და თანაგრძნობით უყურებდა. მხოლოდ ღირსეულმა ქალებმა იციან, თუ როგორი მწარე და აუტანელია ღირსება და ამიტომაც ებრალებოდა მაგდალინელი. თუმცა ამავე დროს, ველურ მხეცად ეჩვენებოდა ამ ცოდვილი, ბნელი, წაბილწული და საშიში ქალის სხეული. მისი ვაჟი ოცი წლისა როცა იყო, ბეწვზე გადარჩა, რომ ამ მხეცს არ წარეტაცა მისგან. მაგრამ გადარჩა... „გადაურჩა ქალს, - გაიფიქრა მარიამმა და ამოიოხრა, - ქალს გადაურჩა, მაგრამ ღმერთს ვერა...“

მოხუცმა სალომემ მაგდალინელს გაოფლილ თავზე ხელი დაადო:

- რად ტირი, შვილო? - ჰკითხა თანაგრძნობით.

- არ მინდა მოვკვდე, - უპასუხა მაგდალინელმა, - ლამაზია ეს ცხოვრება, არ მინდა მოვკვდე!

იოსების მარიამმაც ხელი გაუწვდინა, უკვე აღარ ეკრძალებოდა, აღარ ეზიზღებოდა მასთან შეხება:

- ნუ გეშინია, მარიამ, — უთხრა, - ღმერთი დაგიცავს და არ მოკვდები.

- ეგ როგორ, ბიცოლა მარიამ? - ჰკითხა მაგდალინელმა და თვალეზი გაუბრწყინდა.

- ღმერთი დროს გაძლევს, დროს იმისთვის, რომ მოინანიო, მაგდალინელო! — სარწმუნოდ უპასუხა იესოს დედამ.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ეს სამი ქალი ერთმანეთს მშვიდად ესაუბრებოდა და მათი ტკივილები სადაცაა ერთმანეთს შეენივებოდნენ, ვენახში ჩოჩქოლი ატყდა: „მოდინან! მოდინან! აი, ისინიც“. და ვიდრე მოხუცი ზებედე თავისი ფიცარნაგიდან ჩამოხტომას მოასწრებდა, გაცოფებული ახმახები მოადგნენ ჭიშკარს, ბარაბა კი, ერთიანად რომ ანთებულებოდა და ღრიალებდა, ზღუდეს გადმოახტა.

- ჰეი, ზებედე-ბატონო, — დაუძახა, - შენი ნებართვით თუ უნებართვოდ, მაინც შემოვალთ. ისრაელის ღმერთის სახელით!

და სანამ მოხუცი მასპინძელი რამეს ეტყოდა, ბარაბამ მუჯღლუგუნე ჰკრა, შუა კარი შეამტვრია და ნაწნავებში სწვდა მაგდალინელს.

- წამოდი, შე მეძავო! წამოდი! — ყვიროდა და ეზოში მიათრევდა.

გაღმასოფლელელებიც შეეშველნენ, ხელი წაავლეს მაგდალინელს და სიცილ-ხარხარით წაათრიეს თხრილისაკენ, ტბასთან ახლოს, და შიგ ჩააგდეს. შემდეგ ქალები და კაცები გარშემო შემოეყარნენ, წინსაფრები და უბეებიც კი ქვებით ჰქონდათ ამოვსებული.

სალომემ თავს ძალა დაატანა და თუმცაღა ტკივილებისგან იტანჯებოდა, ეზოში გამოაღწია და ქმარი შეაჩვენა:

- სირცხვილი შენ, ზებედე-ბატონო, - დაუყვირა, - უსაქმურები შემოგეჭრნენ შინ და ხელიდან გამოგტაცეს ქალი, რომელიც წყალობას გთხოვდა!

მერე თავის ვაჟს, იაკობს მიუბრუნდა, ეზოს შუაგულში რომ ჩამომდგარიყო და ყოყმანობდა:

- შენც მამაშენის კვალს დაადექი, ხომ? არ გრცხვენია? ეგება შენ მაინც მოიქცე ღირსეულად? შენც პირადი სარგებელი დააყენე ღმერთზე მაღლა? დაედევნე და დაიცავი ქალი, რომელსაც გამხეცებული სოფელი ჩაქოლვას უპირებს!

- მივდივარ, დედა, დამშვიდდი — მიუგო ვაჟმა, რომელსაც ამქვეყნად არავისი ეშინოდა დედამისის გარდა.

რამდენჯერაც დედის მრისხანება თავს დაატყდებოდა, შიში იპყრობდა. რადგანაც, გრძნობდა, რომ ეს დაუნდობლად მკაცრი ხმა მას კი არ ეკუთვნოდა, არამედ ძირძველი, უდაბნოში მოხეტიალე, მრავალგანსაცდელგამოვლილი ისრაელის მთელი მოდგმის ხმა იყო იგი.

იაკობი თავის ორ ამხანაგს, ფილიპესა და ნათანიელს მიუბრუნდა და თქვა:

- წავედით!

კასრებისაკენ გაიხედა, იუდა დაძებნა თვალით, თუმცა ის იქ არ იყო.

- მეც მოვდივარ, - თქვა შემფოთებულმა ზებედემ. ცოლთან მარტო დარჩენისა შეეშინდა. დაიხარა, ხელჯოხი აიღო და ვაჟს უკან მიჰყვა.

ერთიანად დაწყლულებული მაგდალინელი თხრილის კუნჭულში მიყუჟულიყო, თავზე მკლავები მოეხვია და კიოდა. თხრილის კიდეზე ქალები და კაცები შემომდგარიყვნენ, უყურებდნენ და ხარხარებდნენ. ახლომახლო ვენახებში მომუშავე მტვირთავებსა თუ ყურძნის მკრეფავებს სამუშაო მიეტოვებინათ და სეირის საყურებლად გამოსულიყვნენ. პატარა ვაჟებს ერთი სული ჰქონდათ, ეს განთქმული, ნახევრად შიშველი, დასისხლიანებული სხეული დაენახათ, ხოლო ქალწულებს სძულდათ და შურდათ ამ ქალისა, რომელიც ყველა კაცისთვის სასურველი იყო, მათ კი არც ერთი მოსურნე არა ჰყავდათ.

ბარაბამ ხელი ასწია, რათა ხმაური შეწყვეტილიყო, მსჯავრი გამოეტანათ და ჩაექოლათ. ამასობაში იაკობი მიუახლოვდათ, უნდოდა ავაზაკი ზილოტისკენ წასულიყო, მაგრამ ფილიპემ მკლავში ხელი წაავლო და შეაჩერა.

- რას აპირებ? - ჰკითხა, - სად მივდივართ? მარტო სამნი ვართ, ჩვენ არაფერი შეგვიძლია, აქ კი მთელი სოფელია შეკრებილი, ვერ დავჯაბნით!

მაგრამ იაკობს საკუთარი წიაღიდანაც კი ესმოდა დედამისის მრისხანე ხმა და შეჰყვირა:

- ჰეი, ბარაბა, შე ყაჩაღო, აქ იმისთვის მოეთრიე, რომ ხალხი დახოცო? ქალს თავი დაანებე, მაგას ჩვენ განვსჯით! მაგდალადან და კაპერნაუმიდან უხუცესები შეიკრიბებიან და ისინი განსჯიან. მამამისიც ჩამოვა ნაზარეთიდან, რაბინი! შჯულის კანონი ასეთია!

- ჩემი ვაჟი მართალია, - გამოენტო მოხუცი ზებედე, რომელმაც ძლივს მოაღწია თავისი მძიმე ხელჯოხით, - მართალია, რადგან შჯულიც ამას ქადაგებს!

ბარაბამ ერთი გახედა და მთელი ტანით მოტრიალდა მათკენ:

- სოფლის უხუცესები მოსყიდულები არიან! — შეჰყვირა, - ზებედეც მოსყიდულია, არ ვენდობი! მე ვარ შჯული! და თუ ვინმეს ეჭვი შეგაქვთ ამაში, გამოდით და შემერკინეთ!

მაგდალასა და კაპერნაუმიდან მოსული კაცები და ქალები ბარაბას შემოეყარნენ. მათი თვალების ლაბირინთებში მკვლევლობის ხილვის წადილი ბრწყინავდა. სოფლიდან შურდულიანი ვაჟების ჯგროც შემოუერთდათ.

ფილიპემ ნათანიელს მკლავში ხელი ჩაავლო, უკან დაიხია და იაკობს მიუბრუნდა:

- მიდი, თუ ასე გსურს, მარტო მიდი, ზებედეს ძევ. ჩვენ არ მოვდივართ! ჯერ არ გავგიჟებულვართ!

- არ გრცხვენიათ, თქვე ლაჩრებო?

- არა, არ გვრცხვენია მარტო შეები!

იაკობი ახლა მამას მიუბრუნდა მაგრამ მან ჩაახველა და თქვა:

- მე ბერიკაცი ვარ!

- ანუ რაო? - დაიძახა ბარაბამ და დამცინავად ჩაიცინა

მოხუცი სალომე თავისი უმცროსი ვაჟის მკლავს ჩამოყრდნობოდა და ისიც ბრბოსკენ მოიწევდა, უკან კი იოსების ცოლი - თვალცრემლიანი მარიამი მიჰყვებოდათ. იაკობი შემობრუნდა, დედა დაინახა და შეცბა: მის წინ საშინელი ავაზაკი იდგა, გაშმაგებულ ბრბოსთან ერთად, უკან კი - მრისხანე და უტყვი დედამისი...

- ჰა, რას ვშვებით? - ამოიღრიალა ბარაბამ და კალათები აიკეცა.

- თავს არ შევირცხვენ! — ჩაილაპარაკა ზებედეს ძემ და წინ წაიწია.

ბარაბაც მაშინვე თავს დაესხა.

- მოკლავს! - წამოიძახა უმცროსმა ძმამ და უფროსისკენ გასაქცევად მოემზადა.

მაგრამ დედამ შეაჩერა.

— შენ გაჩერდი! — უთხრა, - ნუ ჩაერევი!

და სწორედ იმ დროს, როცა ორი მოქიშპე ერთმანეთს უნდა შებმოდა, მხიარული ხმა გაისმა ტბის ნაპირიდან:

- მარან ათა! მარან ათა!

და ერთი მზისაგან გარუჯული, აქოშინებული ყმაწვილი მოიჭრა, მათ წინ დადგა, ხელებს იქნევდა და ყვიროდა:

- მარან ათა! მარან ათა! უფალი მოდის!

- რაო? — ყველამ ერთხმად შეჰყვირა და გარს შემოერტყნენ, - ვინ მოდისო?

- უფალი — უპასუხა ყმაწვილმა და უკან, უდაბნოსკენ მიანიშნა, - უფალი მოდის! აი, შეხედეთ!

ყველა შებრუნდა. მზე გადადიოდა, დღეს სიტკბო ედებოდა. სანაპიროზე ვიღაც გამოჩნდა, აღმართს მოუყვებოდა, სულ თეთრები ემოსა, როგორც მონასტრის ბერს. ტბის ნაპირას ოლეანდრები ყვაოდნენ, თეთრსამოსიანმა ხელი გაიწვდინა, ოლეანდრის წითელი ყვავილი მოწყვიტა და ტუჩებს შორის მოიქცია. წინ, ქვიშაზე მოგოგმანე ორმა თოლიამ გზა დაუთმო, გაატარეს,

დარბაისელმა სალომემ თავი მძიმედ წამოსწია და ჰაერი ღრმად შეისუნთქა:

- შვილო, — უთხრა თავის ვაჟს, — ვინ მოდის? ჰაერი შეიცვალა!

- დედა, სადაცაა გული გამისკდება, - უპასუხა ვაჟმა, - მგონი ისაა!

- ვინ ის?

— ჩემად!

- ვინ არიან, უკან რომ მოჰყვებიან? ვაიმე, მთელი ჯარი მოსდევს, შვილო!

- ესენი ღატაკები არიან, დედა, რთველის შემდეგ ნარჩენებს რომ კრეფენ ხოლმე. ჯარი არ არის, ნუ გეშინია!

და მართლაც, ჯარივით მოჰყვებოდა უკან მთელი ჯგრო ჩამოძონძილი კაცებისა და ქალ-ბავშვებისა, ჩანთებითა და კალათებით ხელში, ჩამოკრეფილ ვენახებში რომ იფანტებოდნენ და ეძებდნენ. ყოველწლიურად, მკისას, რთვლობისას, ზეთისხილის აღებისას, მთელი გალატაიდან მოედინებოდა ეს მშიერ-მწყურვალე ჯოგი მონამკალის, მონაკრეფი ყურძნისა და ზეთისხილის ნარჩენების შესაგროვებლად, რასაც კი მოსავლის პატრონები ღარიბებისთვის შემოიტოვებდნენ ხოლმე, მით უფრო, რომ ისრაელის შჯულის ავალელებათ ამას.

უეცრად თეთრსამოსიანი კაცი შედგა. ხალხი დაინახა და შეეშინდა. „გავიქცე?! — იმ ძველმა შიშმა ისევ შეიპყრო, უნდა დაბრუნდეს უდაბნოში, ღმერთი ხომ იქაა. აქ ადამიანები არიან, - გავიქცევი“ მისი ბედი კვლავ წვრილ ძაფზე ჩამოეკიდა. უკან გაბრუნდეს? თუ წინ წავიდეს?

თხრილის გარშემო მდგომთაგან ყველა მას უყურებდა. იაკობი და ბარაბა ჯერ კიდევ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, უძრავად. მაგდალინელმაც თავი ასწია, სმენად იქცა. სიცოცხლე იყო თუ სიკვდილი? ან რას ნიშნავდა ეს სიჩუმე? ჰაერი მართლაც შეცვლილიყო, და უეცრად წამოხტა, ხელები აღაპყრო და შეჰყვირა:

- მიშველეთ!

თეთრსამოსიანს ხმა ეცნო, შეცბა.

- მაგდალინელი! — ჩაიჩურჩულა, - მაგდალინელი! უნდა გადავარჩინო! — და შეკრებილებისკენ გაეშურა.

ხელები განზე გაეშალა და მიდიოდა. და რაც უფრო უახლოვდებოდა შეკრებილებს, მათ გაცოფებულ, ბნელ, გატანჯულ სახეებსა და ბრაზით სავსე თვალებსაც უკეთ არჩევდა და გულიც უფრო მეტად უძგერდა, მისი წიაღი კი ივსებოდა ღრმა თანაგრძნობით და სიყვარულით. „ესენი ადამიანები არიან, - ფიქრობდა, - და ყველანი ძმები არიან, თუმცა ეს ჯერ არ იციან, ამიტომაც იტანჯებიან და ევნებიან... ეს რომ იცოდნენ, რა სიხარული, სიყვარული და ბედნიერება დაისადგურებდა მათ გულებში“

როგორც იქნა, მიაღწია, ერთ ლოდზე შედგა, მკლავები განზე გაშალა და მისი გულის სიღრმეთაგან ამოფრინდა გამარჯვებული, სიხარულით აღსავსე სიტყვა:

- ძმებო!

ხალხი სახტად დარჩა, ერთმანეთს უყურებდნენ, მაგრამ არავინ გამოჰასუხებია.

- ძმებო, - ისევ გაისმა გამარჯვების ხმა, - მშვიდობა თქვენდა!

- ჯანდაბა შენდა, შე ჯვარცმელო! — შეეპასუხა ბარაბა და მიწიდან მძიმე ქვა აიღო.

- შვილო! — გაისმა შემადრწუნებელი კვილი.

მარიამი მიეჭრა და თავისი ძე ჩაიხუტა. ტიროდა, იცინოდა, ეფერებოდა, მაგრამ მან უტყვად მოიშორა დედის მკლავები და ბარაბასკენ გაეშურა,

- ბარაბა, ძმაო ჩემო, - თქვა, - მშვიდობა შენდა! მეგობარი ვარ, კარგი ცნობა მომაქვს, დიდი სიხარული!

- არ მომიახლოვდე! — დაიღრიალა ბარაბამ და წინ ჩამოუდგა, რათა მისი მზერისაგან დაეფარა მაგდალინელი.

მაგრამ როგორც კი საყვარელი ხმა გაიგონა, ქალი მაშინვე წამოიჭრა:

- იესო, - შესძახა, - მიშველე!

იესო ერთ ნაბიჯში მიიჭრა თხრილის კიდესთან. მაგდალინელი ხელებითა და ფეხებით ლოდებს ეჭიდებოდა და ამოსვლას ლამობდა. იესო დაიხარა, ხელი გაუწოდა, ისიც მაგრად მოეჭიდა და ძლივძლივობით ამოაღწია ქანცგაწყვეტილმა, სისხლმდინარემ და მიწაზე განერთხა.

ბარაბა მივარდა, ზურგზე მთელი ძალით დაჰკრა წიხლი.

- ეს ჩემია, მე უნდა მოვკლა! — დაიღრიალა და ქვა შემართა, - შაბათი შებილწა, უნდა მოვკვდეს!

- მოკვდეს! მოკვდეს! - ღრიალებდა ბრბო, რომელსაც შეეშინდა მსხვერპლი ხელიდან არ გასხლტდომოდა.

- მოკვდეს! - წამოიძახა ზებედემაც, რომელმაც შენიშნა, რომ ახალმოსულს სულ ჩამოძონძილი ლატაკები შემორტყმოდნენ გარს და ჭკუა არც ერთ მათგანს მოეკითხებოდა. მერე ნახონ უბედურება, ამ ჩამოძონძილებს ნებაზე თუ მიუშვებენ.

- მოკვდეს! — ისევ წამოიძახა ზებედემა და ხელჯოხი მოიქნია, - მოკვდეს!

იესო ბარაბასთან მივიდა, აღმართული ხელი გაუკავა:

- ბარაბა, — მიმართა მშვიდად, მწუხარედ, - ნუთუ ღმერთის მცნებები ერთხელაც არ დაგირღვევია? ნუთუ ცხოვრებაში არასოდეს მოგიპარავს? არ მოგიკლავს? არ გიღალატია ან ტყუილი არ გითქვამს?

შემდეგ მყვირალ ბრბოს მიუბრუნდა. სათითაოდ დააკვირდა ყოველ მათგანს და თქვა:

- ვინც უცოდველია, დაე, პირველმა მან ესროლოს ქვა!

ჯგრო შეჩოჩქოლდა. ერთმანეთის მიყოლებით იხევდნენ უკან და ცდილობდნენ ჩამოეცილებინათ მზერა, რომელიც შიგნეულსა და ხსოვნას უმღვრევდათ. კაცებს გაახსენდათ ყველა ის ტყუილი, რაც მათს ბაგეებს დასცდენოდა ცხოვრებაში, ის უღირსი ქმედებანი, რაც ჩაუდენიათ, რამდენი უცხო ქალისთვის უტკენიათ გული.. ქალებმა კი თავსაბურავები ჩამოიფხატეს და ხელებიდან ჩასაქოლად მომზადებული ქვები დასცვივდათ.

მოხუცი ზებედე მიხვდა, რომ ეს დაძონძილი ლატაკები სადაცაა გაიმარჯვებდნენ და გონება აემღვრა. იესო ისევ შემობრუნდა, სათითაოდ ჩახედა ყველას თვალებში და გაიმეორა:

- თქვენგან ვინც არის უცოდველი, დაე, იმან ესროლოს პირველმა ქვა!

- მე ვარ! - წამოიჭრა ზებედე, - ბარაბა, ეგ ქვა მომეცი, მოწმენდილ ცას ჭეჭა-ქუხილის არ ეშინია. მე ვესვრი!

ბარაბამ გაიხარა, ქვა მიაწოდა, გზა დაუთმო. ზებედემა ქვა ჩაბლუჯა, მაგდალინელს თავზე დაადგა, ახლოდან რომ ესროლა, პირდაპირ თავში. მაგდალინელი ჩაჩოქილიყო, იესოს ფეხებში მოკუნტულიყო ჩუმად. გრძნობდა, სადაც იყო და სიკვდილისა არ ეშინოდა.

გამმაგებული ლატაკები მოხუც ზებედეს უყურებდნენ. და ერთ-ერთი, ყველაზე უფრო დაჩონჩხილი, წამოიჭრა:

- ჰეი, ზებედე-ბატონო, - დაუყვირა, - ღმერთი არსებობს! ხელს გაგიხმობს, ნუთუ არ გეშინია? აბა, გაიხსენე: განა ლატაკი არასოდეს დაგიჩაგრავს? განა ობლის წილი ყურძენი არ დაგიტაცია? განა არასდროს შესულხარ ღამით ქვრივი ქალის სახლში?

წყეული ბებერი უსმენდა, მაგდალინელის თავზე ქვას ხან შემართავდა, ხანაც ჩამოუშვებდა და უეცრად საზარელი ღრიალი აღმოხდა. მკლავი ერთიანად გაუშეშდა, ძალა წაერთვა, ის დიდი ქვაც დაუვარდა, ფეხზე დაეცა, თითები დაუქეჟა.

- სასწაული! სასწაული! — აყვირდნენ ლატაკები, — უცოდველია მაგდალინელი!

ბარაბა გადაირია, ნაყვავილარი სახე წითლად აენტო. მარიამის ძეს ეცა, ხელი აღმართა და სახეში შემოულაწუნა. იესომ მშვიდად მიუშვირა მეორე მხარე:

- მეორე ლოყაზეც შემომარტყი, ბარაბა, ძმაო, - უთხრა.

ბარაბას ხელი დაუბუჟდა, თვალები გაუფართოვდა. ეს ვინ არის? ეს რა არის? მოჩვენებაა? ადამიანია თუ ეშმაკი? უკან დაიხია, ხმას ვერ იღებდა.

- მეორე ლოყაშიც შემომარტყი, ბარაბა, ძმაო, - ისევ წააქეზა მარიამის ძემ.

ამ დროს კი, შორიახლოს, ლელვის ხის ძირში მდგომი იუდაც შენიშნეს. მათ უყურებდა. ყველაფერი დაინახა, ხმას არ იღებდა. ჩაქოლავდნენ მაგდალინელს თუ არა - ეს არც ანაღვლებდა, მაგრამ სიამოვნებდა, როცა ხედავდა ბარაბა და ლატაკები როგორ უშიშრად ლანძღავდნენ ზებედეს. ხოლო როცა ტბის სანაპიროზე მომავალი, თეთრი კვართით მოსილი იესო იხილა, გული აუჩქარდა: „ახლა გაცნადდება, - ბუტბუტებდა, - ახლა გამოჩნდება, ვინ არის, რა უნდა, რა აქვს სათქმელი ადამიანებისთვის“, და ყურთასმენა გაიმახვილა. თუმცა პირველივე სიტყვა „ძმებო“ - ეხამუშა, სახე მოელუშა. „ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია, - ისევ აბურტყუნდა, - არა, ყველა ძმები როგორ ვართ! არც ებრაელები და რომაელები არიან ძმები და არც ყველა ებრაელია ერთმანეთისთვის. ჩვენი ძმები არ არიან მოსყიდული სადუკეველნი, ის მღვდელმთავრები ტირანთან რომ ჩამომსხდარან და ხითხითებენ... ვერაფერი დასაწყისია, ნეტა, გონს მოგებოდეს“. მაგრამ როდესაც დაინახა, იესომ როგორ მიუშვირა ბარაბას მეორე ლოყა - ყოველგვარი ბრაზის გარეშე, რაღაც ზეადამიანური მიმტევებლობით, იუდაც შეშინდა. „ეს რა არის?! — გაჰყვიროდა გულში, - ეს, მეორე ლოყის მიშვერა, მხოლოდ ანგელოზს შეუძლია, მხოლოდ ანგელოზს ან ძალს...“

ერთი ნახტომით მიიჭრა, ბარაბას მკლავში ხელი წაავლო სწორედ იმ დროს, როცა მარიამის ძეს უნდა დასხმოდა თავს.

- არ მიეკარო, - შეუღრინა, - წაეთრიე!

ბარაბა გაოგნებული უყურებდა იუდას. ორივენი ხომ ერთი საძმოს წევრები იყვნენ, ერთად ბევრჯერ შესულან სოფლებსა და ქალაქებში და ისრაელის გამცემებიც ერთად დაუხოცავთ, მაგრამ ახლა...

- იუდა, - გადაულაპარაკა, - შენ? შენ?..

- ხო, მე! წადი!

ბარაბა გვერდით გადგა. საძმოში იუდა მასზე უფრო გავლენიანი იყო, ვერ შეეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არც პატივმოყვარეობა ანებებდა, ასე წასულიყო.

- წადი! — ისევ უბრძანა ჟღალწვერამ.

ავაზაკთა ბელადმა თავი ჩაქინდრა და წამწამებს შორის ბოროტად გახედა მარიამის ძეს.

- სად გამეჩქევი? — წაიჩურჩულა და მუშტი მოკუმა, — ისევ შევხვდებით!

თავისიანებს მიუბრუნდა და გესლიანად გამოსცრა:

- წავედით!

XIII

სადაცაა მზე ზეცის კიდეს მიაღწევდა. დღის სიმხურვალე მინელდა, ქარი ჩადგა, ტბა ვარდ-ლაჟვარდისფრად აელვარდა. აქა-იქ, კლდეზე გაუმაძღარი ყარყატები ცალფეხზე შემომდგარიყვნენ და წყალს თვალს არ ამორებდნენ.

უპოვართა ამაღა მარიამის ძეს მოლოდინით შეჰყურებდა, წასვლას არ ჩქარობდნენ. მაგრამ რას ელოდნენ? მივიწყებოდათ შიმშილი და სილატაკე, მდიდართა უსულგულობა, ერთ-ორ მარცვალსაც რომ არ ტოვებდნენ ჩამოკრეფილ ვენახებზე, ოდნავ მაინც რომ დაეტკბოთ ყელი. დილიდან გადადიოდნენ ვენახიდან ვენახში, მაგრამ კალათები მაინც დაცარიელებული ჰქონდათ. განა იგივე არ დახვდათ მონამკელში? ყანიდან ყანაში გადადიოდნენ, მაგრამ ჩანთებდაჩუტულნი ბრუნდებოდნენ შინ, სადაც პირდაფჩენილი, აღნავლებული მშერი ბავშვები მოელოდნენ... თუმცა ახლა, ვერ მიმხვდარიყვნენ რატომ ან როგორ, მაგრამ ისეთი შეგრძნება დაეუფლათ, თითქოს უეცრად მათი კალათები პირთამდე აივსო. უყურებდნენ წინ მდგომ, თეთრკვართიან კაცს და გული წასასვლელად არ უწევდათ... ელოდნენ. მაგრამ რას ელოდნენ? ეს არ იცოდნენ.

მარიამის ძეც მათ უმზერდა უცნაური მოლოდინით. გრძნობდა, რომ ყველა იქ მდგომი მისგან ხსნას მოელოდა. რა უნდათ ან რას ითხოვენ მისგან? თვითონაც რომ არაფერი გააჩნია, რისი

მიცემა ძალუძს? უყურებდა, უყურებდა, წამიერად შედრკა კიდევ, ისევ იფიქრა - გავიქცევიო, მაგრამ შერცხვა. რა ეშველება მაგდალინელს, ფეხებში რომ ჩავარდნია? ან ამდენ მუდართით მაცქერალს რა უყოს, როგორ მიატოვოს ისინი უნუგეშოდ? წავიდეს, მაგრამ სად წავიდეს? ღმერთთა ყველგან და მასაც იქით ერეკება, საითაც კი მისი მადლი ინებებს. არა, მისი მადლი კი არა, მისი ძალა – ყოვლისშემძლეობა! და უეცრად მარიამის ძე მიხვდა, რომ მისი სახლი ეს მიწაა, ეს დედამიწა და სხვა სახლი არ გააჩნია. მისი უდაბნო კი ეს ხალხია, ადამიანები და სხვა უდაბნო მისთვის არ არსებობს. თავი დახარა:

- იყავნ ნება შენი, უფალო, – წაიჩურჩულა და ღვთის წყალობას მიენდო.

ლატაკთაგან ერთი მოხუცი წინ გამოვიდა და ამოთქვა:

- მარიამის ძეო, გვშია, მაგრამ ჩვენ პურს არ გთხოვთ. შენც ლატაკი ხარ, ჩვენნაირი. პირი გახსენ და ერთი კარგი სიტყვა გვითხარი, იგი გაგვადლობს.

ერთ ჭაბუკსაც გული მოეცა:

- მარიამის ძეო, – თქვა, — უსამართლობა გვახრჩობს, ჩვენი გული მეტს ვეღარ გაუძლებს. შენ აღგვითქვი, რომ კეთილი ცნობა მოგაქვს ჩვენთან. ჰოდა, გვამცნე ეს სიკეთე, მოგვანიჭე სამართალი!

მარიამის ძე მათ უმზერდა, თავისუფლებისა და შიმშილის ხმას უსმენდა და ამით ტკბებოდა. თითქოს წლებია, ამ ხმას ელოდა, მაგრამ მხოლოდ ახლა ჰპოვა იგი ამ ხმამ და სახელდებით მიმართა... თავშეყრილთ მიუბრუნდა და ხელგაშლილმა უთხრა:

- ძმებო, წავიდეთ!

და უეცრად, თითქოს წლებია ამ მოწოდებას მოელოდნენო, თითქოს პირველად გაიგონეს საკუთარი, ჭეშმარიტი სახელიო, ხალხს სიმშვიდის ტალღამ გადაუარა.

- გამოგყვებით — ყველამ ერთხმად შესძახა, - ღმერთის სახელით!

მარიამის ძე წინ გაუძღვა, მიჰყვნენ. ოღროჩოღრო ბორცვი ზაფხულის მცხუნვარებისგან ჯერ კიდევ ყვითელ-მწვანედ ანთებულიყო, ტბის ნაპირის გასწვრივ კი ოდნავ მაღლდებოდა, მთელი დღე მზე აჭერდა და ახლა, საღამოს ამ სიტკბობაში, ქონდრისა და მწიფე ზეთისხილის სურნელი ასდიოდა. რომელიღაც ძველი, კერპთაყვანისმცემლური ტაძარი მდგარა ამ ბორცვის თავზე, ჯერ კიდევ მიმოფანტულიყო დამსხვრეული სვეტის თავების ნაწილები და ღამღამობით ტბაში სათევზაოდ გასული თავზეხელაღებული მეთევზეები ხედავენ ხოლმე მარმარილოზე ჩამომჯდარ თეთრ აჩრდილს, მოხუცმა იონამ კი ერთხელ, შებინდებულზე მისი ტირილის ხმაც გაიგონა.

სწორედ ამ ბორცვისაკენ მიიწევდნენ, მარიამის ძე მიუძღოდათ და მას მიჰყვებოდა ლატაკთა დიდი ოჯახი.

მოხუცი სალომე თავის უმცროს ვაჟს მიუბრუნდა და სთხოვა:

- შვილო, ხელი შემაშველე, ჩვენც წავიდეთ!

მარიამი კი გაამხნევა:

— ნუ ტირი. ვერ ხედავ, შენს ვაჟს თავზე როგორი ნათელი ადგას?

- მე ვაჟი არ მყავს, ვაჟი აღარ მყავს, — შეჰქვითინა მარიამმა, – იგი ამათ, ამ უპოვრებს ჰყავთ და არა მე...

მოთქვამდა, დასტიროდა საკუთარ ვაჟს და მიაბიჯებდა. ახლა უკვე დანამდვილებით იცოდა, შვილმა სამუდამოდ რომ მიატოვა... იცოდა, რადგან იესოს რომ მიეჭრა, რათა მოჰხვეოდა და შინ წაეყვანა, მან შეშფოთებით შეხედა, თითქოს

ვერ იცნოო. და როცა შესძახა – დედაშენი ვარო, მან ხელი მოჰკიდა და გვერდზე გასწია.

მოხუცმა ზებედემ რომ დაინახა მისი ცოლიც ამ ხალხთან ერთად მიუყვებოდა აღმართს, მოიღუშა, ხელჯოხს ჩაეჭიდა, თავის ვაჟს – იაკობსა და მის ორ ამხანაგს – ნათანიელსა და ფილიპეს მიუბრუნდა, მეამბოხე, ახმაურებულ ჯგროზე ანიშნა და თქვა:

- მგლები არიან, დამშეული მგლები, წყეულიმც იყვნენ! ჩვენც ვიყმუვლოთ მაგათთან ერთად, ემანდ, ცხვრები არ ვეგონოთ და არ შეგვჭამონ. უკან გავყვით და დაიმახსოვრეთ, რაც უნდა უთხრას მაგათ ამ შერეკილმა მარიამის ძემ, ჩვენ სტვენით უნდა ჩავაჩუმოთ იგი, გესმით? თავის წამოწევაც კი არ უნდა დავანებოთ. წინ, ყველა ერთად და ოთხი თვალი გამოიბით – თქვა და ისიც კოჭლობ-კოჭლობით აუყვა აღმართს.

ამ დროს იონას ორი ვაჟიც გამოჩნდა. პეტრეს თავისი ძმისთვის ხელი ჩაეკიდა და გულდინჯად ესაუბრებოდა, რომ არ აეღელვებინა, თუმცა იგი შეშფოთებული უმზერდა აღმართზე ამავალთ და თეთრკვართიან მათ წინამძღოლს.

- ვინ არიან? სად მიდიან? – ჰკითხა პეტრემ იუდას, რომელიც ჯერ კიდევ გზაზე იდგა და ორჭოფობდა.

- მარიამის ძეა, — უპასუხა სახემოღუშულმა ჟღალწვერამ.

— და მის უკან? ეს ხალხი ვინაა?

- ღატაკები, რთველის მერე გაკრეფილ ვაზს რომ უტრიალებენ ხოლმე. იხილეს იგი და მისცვივდნენ, ჰოდა, მათთან სასაუბროდ მიდის ახლა.

— და რა უნდა ჰქონდეს სათქმელი, ან რა უნდა ურჩიოს? მაგას ორი შეკვრა თივის განაწილებაც კი არ შეუძლია.

იუდამ მხრები აიჩეჩა:

- ვნახოთ! – ჩაიბურტყუნა და ისიც აღმართს აუყვა.

ამ დროს, ორი შავგვრემანი ქალი ვენახიდან გამოვიდა. დაქანცული იყვნენ, თავზე კი ყურძნით სავსე მოზრდილი კალათები შემოედგათ. დაინტერესდნენ, რა ხდებოდა, ჩვენც წავიდეთ, დროს გავიყვანთო – და უკან გაჰყვნენ.

მოხუც იონას ზურგზე მძიმე ბადე მოეგდო და მოშიებული თავისი მიწურისაკენ ეშურებოდა. ვაჟიშვილები რომ დაინახა, აღმართზე მიმავალი ხალხიც შენიშნა და პირდაღებული შედგა, თევზივით მრგვალი თვალები მათ მიაპყრო. არაფრის ფიქრი არ გასჩენია, არც კი უკითხავს, ვინმე ხომ არ მოკვდა, ან ვინმეს ქორწილი ხომ არ არის, სად მიდის ერთად ამდენი ხალხიო. საერთოდ არ ფიქრობდა, იდგა და პირდაღებული უყურებდა.

- ჰეი, თევზთა წინასწარმეტყველო, იონა, – გამოსძახა ზებედემ, – დიდი მხიარულებაა! მარიამ მაგდალინელი ქორწინდებაო, წამო, გავერთოთ!

იონამ სქელი ტუჩები შეარხია, უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ მხოლოდ მხრები შეათამაშა, ბადე ბეჭებზე შემოიხვია და თავისი უბნისაკენ გაუყვა გზას მძიმე ნაბიჯით. ეზო-კარს რომ მიუახლოვდა, თითქოს მძიმე სამშობიარო ტკივილების შემდეგ, როგორც იქნა, ფიქრი შვაო - „ჯანდამბამდე გზა გქონია, შე ყეყეო ზებედე!“ - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა, კარს ხელი ჰკრა და შიგნით შევიდა.

როდესაც მოხუცმა ზებედემ, თავისიანებთან ერთად, ბორცვის წვერს მიაღწია, იესო უკვე წაქცეული სვეტის თავთან ჩამომჯდარიყო, მაგრამ ჯერ სიტყვაც არ ეთქვა, თითქოს მათ მოსვლას ელოდაო. წინ ღარიბები ჩამოსხდომოდნენ ფეხმორთხმით, ქალები იდგნენ და შესცქეროდნენ. მზე უკვე ჩასულიყო, მაგრამ ჩრდილოეთისკენ, ებრონის მთას ჯერ კიდევ შემოენახა მისი სინათლე და წასვლას არ ანებებდა.

იესოს ხელები გულზე ჯვარედინად დაეწყო და სინათლეს აკვირდებოდა, სინათლეს, რომელიც წყვდიადს ებრძოდა. შიგადაშიგ, თვალს შეკრებილთა სახეებს მოავლებდა – მისკენ მოცქირალ, ტკივილიან და შიმშილისაგან დაუძლურებულ სახეებს: თვალები მასზე მიეღურსმათ, ისე უმზერდნენ თითქოს იგი იყო დამნაშავე ყველაფერში და სამართალს სთხოვდნენ.

როგორც კი ზებედე მიუახლოვდა თავისიანებთან ერთად, ფეხზე წამოდგა: - მშვიდობა თქვენდა, – თქვა, - მოდით, ყველანი შემოიკრიბეთ, ჩემს ხმას მჭექარება არა აქვს და მინდა, რომ გაგაგონოთ.

ზებედე, რახან სოფლის უხუცესიც იყო, წინ გავიდა და ერთ ლოდზე ჩამოესვენა. მარჯვნივ თავისი ორი ვაჟი ჩამოუდგა, იმათ კიდევ - ფილიპე და ნათანიელი, მარცხნივ – პეტრე და ანდრია. უფრო უკან, ქალების გუნდში მოხუცი სალომე და იოსების ცოლი მარიამი ჩამდგარიყვნენ, ხოლო მეორე მარიამი - მაგდალინელი კვლავ იესოს ფეხებთან მოკუნტულიყო და სახე ხელებში ჩაერგო. მოშორებით, ქარისაგან გამოქცეული, გატანჯული ფიჭვის ძირას მოლოდინად ქცეული იუდა იდგა. მისი მკაცრი ლურჯი თვალებიდან მოისრული სხივი წიწვებს შორის ატანდა და მარიამის ძეს ესობოდა.

მარიამის ძე კი შეფარულად თრთოდა და ცდილობდა გამხნევებულიყო: სწორედ ის ჟამი იყო ახლა, ამდენი წელიწადი რომ ეკრძაღვოდა, მაგრამ მაინც დადგა ეს წუთი, ღმერთმა გაიმარჯვა და იქ მოიყვანა, სადაც თვითონ ნებავდა — ხალხის პირისპირ, სასაუბროდ. მაგრამ რა უნდა უთხრას ამ ხალხს? ერთბაშად გაუელვა გონებაში თავისი ცხოვრების მცირეოდენმა სიხარულებმა და უმეტესმა სიმწარემ, ბრძოლამ ღმერთთან, და ყველაფერმა, რაც კი მარტოდმარტო ხეტიალისას დაუნახავს – მთები, ყვავილები, ჩიტები, მწყემსები — მხრებზე შემოგდებულ ყელგამოღადრულ ცხვარს სიხარულით რომ მიაძუნძულებდნენ ხოლმე, მეთევზეები - ბადეებს რომ ისვრიან წყალში, მიწათმოქმედნი - ხორბალს რომ თესავენ, მომკიან და მერე ჭირნახულს შინ ეზიდებიან ტომრებით... მის გონებაში ცა და მიწა იხსნებოდა და იხურებოდა, ღვთის ყველა სასწაული უტრიალებდა და ვერ გაეგო, რომელი გამოერჩია, ყველა მათგანის გაცხადება სურდა, რათა ნუგეში ეცა უნუგეშოთათვის... მის წინაშე სამყარო ღვთის ზღაპრად გაიხსნა, ისეთ ზღაპრად, რომელსაც დიდება უამბობდა ხოლმე, რათა არ ეტირა — მეფისწულებით და ურჩხულებით სავსე ზღაპარს, რომელსაც ახლა ზეციდან მოვლენილი ღმერთი უყვებოდა ადამიანებს.

მკლავები გაშალა და გაიღიმა:

- ძმებო, - დაიწყო და ხმა მოსინჯა, ჯერაც კანკალებდა, სიმტკიცე აკლდა, - ძმებო, იგავებით უნდა დაგელაპარაკოთ, მომიტევეთ, ერთი უბრალო ადამიანი ვარ, არც ცოდნა მაქვს დიდი, თანაც ღარიბი და უსამართლობის მსხვერპლი ვარ თქვენსავით... ჩემს გულს ბევრი რამ აქვს სათქმელი, თუმცა გონებას არ ძალუძს მათი მოწოდება. როგორც კი რამის თქმას დავაპირებ, უნებლიეთ ზღაპრად მოედინება ჩემი სიტყვა. ძმებო, მომიტევეთ, იგავებით რომ უნდა დაგელაპარაკოთ...

- გისმენთ, მარიამის ძევ, — ერთხმად შესძახეს, - გისმენთ!

იესომ კვლავ განაგრძო:

- გამოვიდა მთესველი თავისი თესლის დასათესად. ერთი მარცვალი გზაზე დაუვარდა, მოვიდნენ ჩიტები და გაკენკეს, ერთი მარცვალი ქვას დაეცა, იქ მიწა არ იყო, რომ გაღვივებულიყო და გახმა. ერთი მარცვალი ეკლებში ჩავარდა, გაიშალნენ ეკლები და მოახრჩვეს იგი. და ბოლოს, ერთი მარცვალი ნოყიერ ნიადაგში ჩავარდა, ფესვი გაიდგა, ჯეჯილად იქცა, ნაყოფი გამოიღო და ადამიანები დააპურა. ჩემო ძმებო, თქვენგან ვისაც ყური აქვს სმენად, დაე, ისმინოს!

ყველა დუმდა, პირდაფჩენილნი შეჰყურებდნენ ერთიმეორეს. მაგრამ მოხუცი ზებედე საჩხუბრად მიზეზს ეძებდა და უცებ წამოხეთო:

- ვერაფერს მივხვდი, - თქვა, - და მომიტევე. დიდება ღმერთს, ყურები კი მაქვს და ვისმენ, მაგრამ მაინც ვერაფერს მივხვდი. რისი თქმა გნებავს, უფრო გასაგებად ვერ გვეტყვი?

მედიდურად გადაისვა თეთრ წვერზე ხელი და დამცინავად მიმოიხედა:

- ეგება შენ ხარ ეგ მთესველი, ასე გგონია, ხომ?

- დიახ, მე განლავარ, - მიუგო იესომ მოკრძალებულად.

- რა სითავხედება! – თქვა უხუცესმა მრისხანედ და ხელჯოხნი მიწას დაჰკრა, – და ჩვენ კიდევ ქვები, ეკლები და ყანები ვართ, სადაც შენ თესავ, ხო ასეა?

– კი, ასეა, - მშვიდად მიუგო მარიამის ძემ.

ანდრია მთელი არსებით უსმენდა. უყურებდა იესოს და გული ლამის ამოვარდნოდა. ასე უცემდა გული მაშინაც, როცა მდინარე იორდანის სანაპიროზე, ნადირის ტყავში გამოხვეული, მზისგან სახედაშაშრული იოანე ნათლისმცემელი დაინახა.

ერთიანად ჩამოედნო იგი ლოცვას, ღამისთევასა და შიმშილს, მხოლოდ ორი დიდრონი თვალი შემორჩენოდა - ისე, როგორც ანთებული ნაკვერჩხლები და კიდევ ღონიერი ხორხი, საიდანაც ხმა ამოსჭექდა: „შეინანეთ! შეინანეთ!“. ამ სიტყვების გაგონებისას იორდანე ტალღებს სცემდა, ჩერდებოდნენ ქარავნები, აქლემებს აღარ შეეძლოთ გზის გაგრძელება... მაგრამ ახლა მას, ვინც წინ ედგა და უღიმოდა, მშვიდი და მოცახცახე ხმა ჰქონდა, ერთი უწრთობი ჩიტი იყო, ცდილობდა რომ ეჭიკჭიკა,

თანაც არც თვალეები უელავდა, მხოლოდ სითბო მოჰყვებოდა მის მზერას, ანდრიას გულიც ამ ორს შორის ჩამდგარიყო, ფრთხილებდა და ბორგავდა.

იოანე ნელ-ნელა გასცილდა მამამისს და იესოს მიუახლოვდა. სადაცაა ფეხებშიც კი ჩაუვარდებოდა, ზებედე მ რომ დაინახა და კიდევ უფრო მეტად გაბრაზდა: ყელში ამოსვლოდა ეს ცრუწინასწარმეტყველები, ყოველდღიურად ახალ-ახალნი რომ მოვევლინებოდნენ ხოლმე და ყველას თითქოს პირი შეუკრავსო, თავს ესხმოდნენ წარჩინებულებს, ქურუმებსა და მეფეებს. რაც კი კარგი და მყარი აქვს ამ სამყაროს, სწორედ მისი დანგრევა ეწადათ და აჰა, ინებეთ, ახლა ეს უხამური მარიამის ძეც! — კისერი უნდა მოვუგრიხო, მანამ სანამ სულ თავს გავიდოდეს!

შემობრუნდა და ხალხში თანამოაზრეთა ძებნა დაიწყო. დაინახა თავისი უფროსი ვაჟი, წარბებშეკრული იაკობი და ვერ მიხვდა, მწუხარებისგან მოქუფრულიყო ასე თუ ბრაზისაგან. დააკვირდა ცოლს, თვალეებაცრემლებული რომ მოიწევდა მისკენ, ახლა ღატაკებსა და მაწანწალებს მოავლო თვალი, ამაზრზენი შესახედავი იყვნენ, ყველა მათგანი დამშეული და პირდაფრენილი შეჰყურებდა მარიამის ძეს – შოშიებივით შეჰყურებდნენ, დედისაგან საკვებს რომ ელიან.

- ჯანდაბა თქვენ, მაწანწალებო! — წაიბუტბუტა და თავისი ვაჟის გვერდით მოიკუნტა, - არაფერს ვიტყვი, თორემ კაი დღეში აღმოვჩნდები!

უეცრად მშვიდი, თანაგრძნობით აღსავსე ხმა მოესმა. იესოს ფეხებთან ვიღაც მიმჯდარიყო და ალაპარაკდა. უკან მსხდომნი წამოიმართნენ, რათა მოსაუბრე დაენახათ. ზებედეს უმცროსი ვაჟი იყო, რომელიც ნელ-ნელა იესოს ფერხთით მიცოცებულიყო და ყელმოღერებული უდასტურებდა:

- შენ ხარ მთესველი, - ამბობდა, - ჩვენ ქვები, ეკლები და ყანები, მაგრამ რა არის შენი თესლი, რომელსაც თესავ?

ნაყვავილარი, უმანკო სახე ასწითლებოდა. ნუშისებრი, შავი თვალეები იესოს მშფოთვარედ შესცქეროდნენ. ნორჩი სხეული ერთიანად დასჭიმოდა და პასუხს ელოდა. ამაზე იყო ახლა დამოკიდებული მისი ცხოვრება, - ასე ფიქრობდა, - ამჟამინდელი ცხოვრებაცა და სამერმისიც.

იესო მისკენ დაიხარა. მღუმარედ უსმენდა მის გულისცემას და ცდილობდა, სათანადო სიტყვა შეერჩია – ყოველდღიური და თან მარადიული... ცხელი ოფლით დაენამა სახე.

- რა არის თესლი, შენ რომ თესავ? - ისევ ჩაეძია ზებედეს ძე.

იესო ერთიანად შეკრთა, მკლავები გაშალა, იქ მყოფთ თვალი მოავლო და:

- გიყვარდეთ ერთმანეთი! – ამოხეთქა მისი წიაღიდან ღალადისმა, - გიყვარდეთ ერთმანეთი!

და როგორც კი ეს წარმოთქვა, იგრძნო, რომ გული შეუმსუბუქდა და სვეტის თავზე ჩამოესვენა ქანცგაწყვეტილი.

ჩოჩქოლი ატყდა, ხალხი წამოიშალა, ბევრმა თავი გააქნია ურწმუნოდ, ზოგმა ჩუმ-ჩუმად ჩაიცინა კიდევ.

- რა თქვა? - იკითხა ბერიკაცმა, რომელსაც ყურთ აკლდა.

- ერთმანეთი გიყვარდეთო! — როგორღაც გააგებინეს.

- ეს რანაირად? შეუძლებელია! - თქვა და წამოენთო, - მშიერს რანაირად უნდა უყვარდეს მადლარი?! წარმოუდგენელია, ჩაგრულს მჩაგვრელი უყვარდეს ვერ დავიჯერებ! წავიღეთ!

იუდა ისევ ფიჭვის ხეს მიყრდნობოდა და ბოღმამორეული ჟღერს მუჭში იქცევდა.

- აჰა, იმისთვის დაშვერი, ეს რომ გეთქვა, ხუროს ძეო? - ჩურჩულებდა, - ესაა ხომ ის საოცარი მცნება, რომელსაც გვპირდებოდით? ანუ რომაელებიც უნდა გვიყვარდეს? ჩვენც ყელი მივუშვიროთ, როგორც შენ მიუშვირე მეორე ლოყა, და შევეკვდროთ: „მოდო, ძმაო ჩემო, მოდი, გამოლადრე!“.

იესოს მისწვდა მისი ჩურჩული, დაინახა, როგორ მოელუშათ სახეები იქ მყოფთ, როგორ აუწყლიანდათ თვალები და ტანჯვა აღებეჭდა სახეზე. ძალა მოიკრიბა, წამოდგა:

- გიყვარდეთ ერთმანეთი! გიყვარდეთ ერთმანეთი! - ისევ გაისმა მისი მავედრებელი და დაჟინებული ხმა, - სიყვარული არის ღმერთი! ერთ დროს მეც მეგონა, რომ ღმერთი მძვინვარეა, მთებს შეეხება თუ არა, მყისვე ფერფლად აქცევს, ადამიანებს მისწვდება და მუსრს გაავლებს. ამიტომაც, გადასარჩენად მონასტერს შევეფარე, პირქვე დავემხე და ველოდი — აი, ახლა მოვა! მოვა და მეხად დამეცემამეთქი. თუმცა ერთ დილას მართლაც მოვიდა იგი, საამო ნიავად მომეკვლინა და გამამხნევა: „ადექი, შვილო ჩემო“. მეც ავდექი და აი, აქ ვარ!

ხელები გადააჯვარედინა და მთელი ტანით წინ გადმოიხარა, თითქოს ყველას თავს უკრავს მდაბლადო.

მოხუცმა ზებედემ ჩაახველა, ძირს დააფურთხა და ხელჯოხნი მაგრად ჩაბლუჯა.

- საამო ნიავია ღმერთი, არა? — წაიღრინა ჩუმად, - ჯანდაბამდე გზა გქონია, შე ღვთისმგმობელო!

მარიამის ძე ქადაგებდა, ხალხში გასულიყო, სათითაოდ ებაასებოდა, სათითაოდ ევედრებოდა, ბოლთას სცემდა, ხელებს ალაპყრობდა და მგზნებარედ წარმოთქვამდა:

- იგი მამაა, არც ერთ ტკივილს თუ ჭრილობას დაუურვებელს არ დატოვებს. რაც უფრო მეტად გვტკივა და გვშია ამ მიწაზე, მით უფრო მეტად მოგვენიჭება შვება ზეცაში...

დაიღალა, ისევ სვეტის თავთან მივიდა და ჩამოჯდა.

- შენ გაიხარე, სამყურები ბლომადაა, რომ ჭამო! — წამოიძახა ვილაცამ და გარშემო სიცილი ატყდა.

მაგრამ შთაგონებულ იესოს არაფერი გაუგონია.

- ნეტარ არიან ისინი, ვისაც შია და სწყურია სიმართლისათ ვის... - შესძახა.

- მარტო სიმართლე არა კმარა, - წამოენტო უპოვართაგან ერთ-ერთი, — არ კმარა სიმართლე, პურიც გვინდა!

- პურიც, - თქვა იესომ და ამოიოხრა, — მართალია... მაგრამ მათ ღმერთი დააპურებს. ნეტარ არიან მწუხარენი, რადგან მათ ღმერთი ანუგეშებს. ნეტარ არიან ლტაკნი და დამდაბლებულნი და ჩაგრულნი, რადგანაც მათთვის ანუ თქვენთვის — ღარიბთათვის, თავმდაბალთათვის, ჩაგრულთათვის ღმერთს განმზადებული აქვს სასუფეველი ცათა.

ორმა ქალმა, თავზე ყურძნით სავსე კალათებშემოდგმულნი რომ ჩამომდგარიყვნენ, ერთმანეთს მყისიერად გადახედეს და უსიტყვოდ ჩამოდგეს კალათები. ერთმა მარჯვენა მხარეს მიაშურა, ხოლო მეორემ – მარცხენა მხარე, ჩამოატარეს კალათები და ღარიბებს ყურძნით გაუმასპინძლდნენ.

იესოს ფეხებთან მიყუჟული მაგდალინელი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა თავი წამოეწია და ხალხს დანახვებოდა. თუმცა თავისსავე თმაში ჩამალული მარიამის ძეს უჩუმრად ფეხებს უკოცნი და.

იაკობს მეტის გაძლება აღარ შეეძლო, წამოენტო და წავიდა. ანდრიამ კი ძმის ხელებიდან თავი გაითავისუფლა თუ არა, იესოს პირისპირ დადგა და ველური ხმით მიმართა:

- მე იუდეის იორდანიდან მოვდივარ, სადაც ერთი წინასწარმეტყველი ქადაგებს: „ადამიანები თივის ზვინია, მე კი ცეცხლი! მოვედი, რათა დავწვა ისინი და მიწა განვწმინდო... სული განვწმინდო იმისათვის, რომ მასში მესია შემოვიდეს" შენ კი, ხუროს ძეო, სიყვარულს ქადაგებ! ნუთუ გარშემო არ იყურები, ვერაფერს ხედავ? მზაკვრები, მკვლელები, ქურდები, უღირსები, მდიდრები და ღარიბები, მჩაგვრელები და ჩაგრულები, სწავლულნი და ფარისეველნი, ყველა, ყველანი აქ არიან! მატყუარა და უღირსი ვარ მეც, ეს ჩემი ძმაც - პეტრე და ეს მაძლარი მოხუცი ზებედეც, რომელიც სიყვარულის გაგონებისას თავის ნავებსა და მსახურებზე იწყებს ფიქრს და კიდევ იმაზე, თუ როგორ ასწაპნოს თანასოფლელებს რაც შეიძლება მეტი ყურძენი საწნახელიდან!

ზებედე ამის მოსმენისას სულ გაგიჟდა. ჩასუქებული ყელი აუწითლდა, ძარღვები დასკდომაზე ჰქონდა. წამოიმართა და ხელჯოხნი მოიმარჯვა მოსაქნევად, მაგრამ ღარბაისელმა მეუღლემ მიუსწრო და ხელიდან გამოსტაცა:

- არა გრცხვენია? — უთხრა ჩუმად, — წამო, წავიდეო!

- მაწანწალები და ბოგანოები ჩემს მიწა-წყალზე გაბატონებას ვერ ეღირსებით! — ხმამაღლა მეჰყვირა, ყველას, რომ გაეგონა.

მძვინვარებდა და ბობოქრობდა, მერე მარიამის ძეს მიუბრუნდა:

- შენთვისვე აჯობებს, ოსტატო, მესიობას თუ არ დაიჩემებ, იმიტომ რომ შენც ჯვარს გაცვამენ, უბედურო, და მერე დამშვიდდები, განა შენი ბრწყინვალეობა მედარდება, ისედაც წარწყმედილი ხარ, მე ბედკრული დედაშენი მეცოდება, ერთადერთი ვაჟი რომ ჰყავხარ.

თქვა და მარიამზე მიუთითა, რომელიც დამხობილიყო და თავს ქვებს ახლიდა,

ბერიკაცი მრისხანებას ვერ იცნობდა, ხელჯოხს იქნევდა და გაჰყვიროდა:

- სიყვარულიო, ყველა ძმები ვართო, მიდიო, მიდიო, მისდიო, ძაღლებო! მაგრამ მე ჩემი მტერი რანაირად უნდა მიყვარდეს? როგორ უნდა შემეყვარდეს უპოვარი, რომელიც ჩემს სახლს უტრიალებს, რათა კარი შემომიტვიროს და გამძარცვოს? გიყვარდეთო! ერთი ამ ქარაფშუტას დამიხედეთ! გაიხარონ რომაელებმა, კარგად იყვნენ, კიდევ კარგი, რომ ეგენი განაგებენ აქ ყველაფერს.

ბრბომ ამოიგმინა, ღატაკები ამღელვარდნენ და მისკენ გაიწიეს. ფიჭვის ძირიდან იუდაც გამოენთო. შეშინებულმა სალომემ ქმარს პირზე ხელი ააფარა, რომ გაეჩუმებინა. მერე ხალხს მიუბრუნდა, აღშფოთებულნი რომ უახლოვდებოდნენ ბერიკაცს და შეევედრა:

- ნუ მოუსმენთ ამას, შვილებო, სიბერისგან მოსდის, სხვა რამეს ფიქრობს ხოლმე სინამდვილეში და სხვას ამბობს.

მერე ქმარს გაუმეორა ბრძანების კილოზე:

- წავედით!

თავის ნებიერა ვაჟსაც შეხედა, ჩუმად, ნეტარი რომ ჩამომჯდარიყო იესოს ფეხთით და გასძახა:

— წამოდი, შვილო, დადამდა უკვე.

- მე აქ დავრჩები, დედა! – უპასუხა ჭაბუკმა.

ლოდებზე დამხობილი მარიამიც წამოდგა, ცრემლი შეიმშრალა, ბარბაც-ბარბაცით გაეშურა თავისი ვაჟისაკენ, რათა შინ წაეყვანა. უბედურს ძლიერ ეშინოდა იმ სიყვარულისა, ღარიბები რომ ავლენდნენ მისი ძის მიმართ და იმ მუქარისაც, სოფლის მდიდარ უხუცესს რომ წასცდა.

- გაფიცებთ, ღმერთის სახელით, გაფიცებთ, ნუ მოუსმენთ, – ჩამოუარა და სათითაოდ უთხრა ყველას, — ნუ მოუსმენთ! ავადაა.... ავად... ავად...

აკანკალებულმა შეხედა ვაჟიშვილს, რომელიც ფეხზე იდგა, ხელები ჯვარედინად დაეკრიფა და მიღმა, ტბისკენ იყურებოდა:

- წამოდი, შვილო, – უთხრა დაყვავებით, — წამოდი, შინ დავბრუნდეთ...

დედის ხმის გაგონებისთანავე შემობრუნდა, გაოცებულმა შეხედა, თითქოს ვერ ხვდება, ვინ არისო...

- წამოდი, შვილო, - შეემუდარა მარიამი და წელზე ხელები შემოჰხვია, — ასე რატომ მიყურებ, შვილო? ნუთუ ვერ მცნობ? დედაშენი ვარ. წამოდი, შენი და-ძმა გელოდება ნაზარეთში და მოხუცი მამაშენიც...

ვაჟმა თავი გააქნია:

- რომელი დედა? - თქვა მშვიდად, — რომელი და-ძმა? დედაჩემი და ჩემი და-ძმანი აი, ესენი არიან...

და ხელი გაიშვირა ბეჩავი ლატაკებისკენ, მათზე მიუთითა და აგრეთვე ფიჭვის ძირში ფეხმოუცვლელად ჩამომდგარ, ჟღალწვერა იუდაზე, რომელიც მას შეპყრობილივით უყურებდა.

- და მამაჩემი...

თითი ზეცისკენ გაიშვირა:

- ...ღმერთია!

ღვთისგან დამეხრილ, უბედურ მარიამს თვალები ცრემლით ავესო.

- ჩემზე უბედური დედა ქვეყნად არ არსებობს, — ამოიქვითინა, — ერთადერთი ვაჟი მყავდა და ისიც...

მოხუცმა სალომემ გაიგონა ეს სასოწარკვეთილი ხმა, ქმარს თავი ანება და უკან დაბრუნდა. მარიამს ხელი ჩაჰკიდა, მაგრამ იგი გაუძალიანდა — ისევ თავისი ვაჟისკენ იწევდა:

- არ მოდიხარ? — ამოთქვა, - არ მოდიხარ? უკანასკნელად გეუბნები: წამოდი!

ელოდა. მისი ვაჟი უსიტყვოდ იდგა და ისევ ტბისაკენ იყურებოდა.

- მაშ, არ მოდიხარ? - გამკინავი ხმა აღმოხდა.

ხელი აღმართა:

— დედის წყევლის არ გეშინია?

- მე არაფრისა მეშინია, - მიუგო ვაჟმა, ისე რომ, არც კი მიბრუნებულა მისკენ, - არავისი მეშინია, გარდა ღმერთისა.

მარიამს სახე აელეწა, მუშტი შეკრა, ის-ის იყო, უნდა მიეწყევლა კიდეც, რომ მოხუცმა სალომემ მოასწრო და პირზე ხელი ააფარა:

- ნუ იზამ ამას, — ურჩია, - ნუ იზამ!

წელზე ხელი მომხვია და სულ ძალით გაიყოლია.

- წავიდეთ, - ეუბნებოდა გზადაგზა, - მარიამ, შვილო, რალაც მაქვს შენთვის სათქმელი.

ორი ქალი დაღმართს დაუყვა კაპერნაუმისაკენ, დაწინაურებული მოხუცი ზებედე ბოღმამორეული მიდიოდა და ხელჯონს გამეტებით სცემდა ეკალ-ბარდებს, სალომე კი მარიამის დამშვიდებას ცდილობდა;

- რა გატირებს, შვილო, - ეუბნებოდა, - ნუთუ ვერ დაინახე?!

მარიამმა გოცებით შეხედა, ქვითინს უკლო.

- რა? რა უნდა დამენახა? - ჰკითხა.

- ვერ დაინახე ლაჟვარდოვანი ფრთები, ათასობით ლაჟვარდისფერი ფრთა მის უკან მაშინ, როცა ლაპარაკობდა? მარიამ, ვფიცავ, მის უკან ანგელოზთა კრებული იდგა!

მაგრამ სასოწარკვეთილი მარიამი თავს უნიათოდ იქნევდა და ჩურჩულებდა;

- ვერაფერი დავინახე... ვერაფერი... არაფერიც არ დამინახავს!

და ცოტა ხანში;

- რა შვებაა მაგის ანგელოზები, ჩემო სალომე? — ამოიქვითინა, - მერჩივნა, შვილები და შვილიშვილები დასდევენოდნენ, შვილები და შვილიშვილები და არა ანგელოზები!

მაგრამ დარბაისელი სალომეს თვალებიც ლაჟვარდოვანი ფრთებით აღვსილიყო, ხელი გაიწვდინა, მარიამს გულთან მიადო და ხმადაბლა, ისე, თითქოს დიდ საიდუმლოს უმხელსო, ჩურჩულით უთხრა:

- კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, მარიამ!

იგი კი ისევ ტიროდა, თავს იქნევდა და უმწეოდ მიჰყვებოდა.

ამასობაში გაბოროტებული ბოგანოები იესოს გარს შემორტყმოდნენ, ჯოხებს იქნევდნენ და იმუქრებოდნენ, ცარიელ კალათებს გამეტებით იქნევდნენ აქეთ-იქით და გასძახოდნენ:

- მართალ სიტყვას ამბობ, მარიამის ძეო, სიკვდილი მდიდრებს!

- გვიწინამძღვრე, წავიდეთ და დავწვათ ზებედეს სახლი!

- ეგრე კი არა, - ეწინააღმდეგებოდნენ სხვები, - დავანგრიოთ, მისი ხორბალი დავინაწილოთ, ზეთი, ღვინო და მდიდრული სამოსით სავსე სკივრები დავიტაცოთ... სიკვდილი მდიდრებს!

იმედგაცრუებულმა იესომ მკლავები აიქნია, შესძახა:

- მე ეს არ მითქვამს! ეს არ მითქვამს! ძმებო, მხოლოდ სიყვარული!

მაგრამ შიმშილით გონარეულნი რას მოუსმენდნენ!

- ანდრია მართალია, - გაჰყვიროდნენ, - ჯერ ცეცხლი და მახვილი და მერე სიყვარული!

ანდრია კი იესოს გვერდით იდგა, თავჩაქინდრული მდუმარედ უსმენდა. მისი მასწავლებელი, იქ, უდაბნოში, ამბობდა სიტყვებს, მოკვდავთ თავებს ქვებივით რომ უნეთქავენ, ეს კი აქ სიტყვას პურივით უნაწილებს ადამიანებს... ნეტა, რომელია მათგან მართალი? რომელი? ამ ორთაგან რომლის გზას მოაქვს ხსნა – ძალადობას თუ სიყვარულს? - და ამ დროს, როცა ამ ფიქრთა ჭიდილში იყო, კეფაზე უჩვეულო სიტბოს გამომცემი შეხება იგრძნო. იესო მიახლოებოდა და ხელები თავზე მზრუნველად დაედო. მისი გრძელი, ჩამოქნილი თითები ანდრიას მთელ თავზე გადაშლილიყვნენ. ის კი უძრავად იდგა. გრძნობდა, როგორ იხსნებოდა მის თავზე ნაწიბურები, როგორ თაფლივით იღვრებოდა მის ტვინში, მერე პირამდე ჩადიოდა, ყელს ევლებოდა, გულს ეფინებოდა, მთელ შიგნეულს ედებოდა და ფეხის ტერფებამდე იტოტებოდა რაღაც დიდი, გამოუთქმელი სიტკბოება. მთელი სიღრმით, მთელი სხეულით, მთელი სულით, ძირფესვიანად უხაროდა, ისე, როგორც უხარია ხოლმე ხეს გვალვაში მორწყვა. გატრუნულიყო. ნეტავ არასდროს მოსცილდებოდეს ეს ხელები! გრძნობდა, ამდენი ბრძოლის შემდეგ, მშვიდობასა და სიმტკიცეს დაესადგურებინა მის არსებაში.

ოდნავ მოშორებით, ორი განუყრელი მეგობარი, ფილიპე და ნათანიელი ერთმანეთს ეკამათებოდნენ:

- მე მომწონს, - ამბობდა კეთილი აყლაყუდა, - მისი სიტყვები თაფლივით ტკბილია. დამიჯერებ? როცა ვუსმენდი ტუჩებიც კი მოვილოკე.

- მე არ მომწონს, - საპირისპიროს გამოთქვამდა მწყემსი, - არა, არ მომწონს! სხვა რამეს ამბობს და სხვას აკეთებს. გაჰყვირის, სიყვარული გადაგვარჩენს, სიყვარულიო — და ამ დროს ჯვრებს თლის და ჯვარზე აცვამს!

- ეგ ჩავლილი ამბავია, ფილიპე, დამიჯერე, ჩავლილია. ეგ ყველაფერი უნდა გამოევლო, უნდა გამოეცადა და გამოსცადა კიდეც. ახლა ღმერთის გზას ადგას.

- მე საქმეები მჭირდება! — დაიჟინა ფილიპემ, — აბა, ჯერ მოვიდეს და დალოცოს ჩემი ცხვრები, მუნი რომ შეჰყრიათ და თუ განიკურნებიან, მისას ვიწამებ. სხვანაირად, კი - სადაც სხვები, ისიც იქ! რა თავს იქნევ? თუკი ქვეყნიერების გადარჩენა ნებავს, ადგეს და ჩემი ცხვრებით დაიწყოს!

ღამე ჩამოწვა. ტბა, ვენახები და ყველაფერი - სულიერი თუ უსულო ბინდმა გადაფარა. დავითის ეტლი გამოჩნდა ცაზე. უდაბნოს თავზე, აღმოსავლეთით, ცას ღვინის წვეთივით ჩამოეკიდა წითელი ვარსკვლავი.

იესომ უეცრად დაღლაც იგრძნო, შიმშილიც და განმარტოება მოესურვა. შეკრებილთაც ნელ-ნელა გაახსენდათ, შინ რომ უნდა დაბრუნებულიყვნენ, გაახსენდათ თავიანთი კარ-მიდამო, მომლოდინე შვილები... ყოველდღიურ საზრუნავზე ფიქრმა ელვასავით დაუარათ და გონს რომ მოვიდნენ, მალულად, თითქოს გარბიანო - თითო-თითოდ თუ დაწყვილებულად იწყეს გაპარვა.

დამწუხრებული იესო ისევ მარმარილოს გადამტვრეულ სვეტზე იჯდა. კაციშვილს არ აუწევია ხელი, კაციშვილი არ დამშვიდობებია, არავის უკითხავს - ხომ არ შიოდა ან ღამით სად დაბინავდებოდა. ბნელით მოცულ მიწას ჩასცქეროდა და

უსმენდა ნაბიჯების ხმას რომელიც ნელ-ნელა შორეულდებოდა და იკარგებოდა. და უცებ იღუმალეობამ დაისადგურა თავი აწია, გარშემო მიმოიხედა - ყველანი გაკრეფილიყვნენ, სრული წყვილი იდგა. მის თავზე მხოლოდ ვარსკვლავები კიაფობდნენ. მის წიაღში კი - შიმშილი და დაღლილობა მძლავრობდა. სად წავიდეს? ვის კარზე დააკაკუნოს? ისევ მიწაზე მოიკუნტა, საყვედურით აევსო გული „მელიებსაც კი აქვთ სორო სადაც დაიძინებენ, - ჩურჩულებდა, - მე კი არა მაქვს.“ თვალელები დახუჭა რომ ცრემლი აელაგმა და გულდაგულ გაეხვია თავის კვართში, რადგან ღამეს გვარიანი სიცივეც მოჰყოლოდა და აკანკალებდა. უეცრად, მარმარილოს ნანგრევებს უკან ვიღაცამ ამოიხრა და თავშეკავებული ტირილის ხმაც მოესმა. თვალელები გაახილა. სიბნელეში ქალის სილუეტი გაარჩია, რომელიც მას მიეახლა და ქვებისგან დაწყლულებულ ფეხებს თავისი გაშლილი თმით უმშრალებდა. სურნელით იცნო.

- მაგდალინელო, დაო ჩემო, - თქვა და თავზე ხელი დაადო - მარიამ, დაო ჩემო, შინ დაბრუნდი და ცოდვას ნულარ მიეცევი.

- იესო, ძმაო ჩემო, - ამბობდა და ფეხებს უკოცნიდა - ნება მომეცი შენს ჩრდილს ვსდიო, ვიდრე ცოცხალი ვარ. ახლა უკვე ვიცი, რა არის სიყვარული.

- სახლში დაბრუნდი, - გაუმეორა იესომ, - და როცა ამის დრო დადგება, თვითონ მოგიხმობ.

- მინდა შენთვის მოვკვდე, იესო, - შეჰლაღადა ქალმა

- ამის დროც მოვა, მაგდალინელო, ნუ ესწრაფვი, ჯერ ადრეა. საჭირო დროს გიხმობ, ახლა კი წადი...

ქალმა სცადა შეწინააღმდეგებოდა, მაგრამ იესოს ხმა გაუმკაცრდა:

- წადი!

მაგდალინელი დაღმართს დაუყვა, ცოტა ხანს კიდევ ისმოდა მისი მსუბუქი ნაბიჯების ხმა, შემდეგ, ნელ-ნელა მიიკარგა. მხოლოდ მისი სხეულის სურნელი შემორჩა ჰაერს, მაგრამ ღამის ქარმა დაჰბერა და ისიც გაფანტა.

მარიამის ძე ახლა უკვე სულ მარტო დარჩა. მის თავზე იდგა ღმერთი - თავისი ღამეული, ბნელი სახით, ვარსკვლავებით რომ დაჭორფლოდა. ყური მიუგდო ვარსკვლავოვან წყვილადს, თითქოს რაღაც ხმის მოსმენა სწადიაო - ელოდებოდა. არ ესმოდა. უნდოდა რამე ეკითხა უხილავისთვის, თუნდაც: „კმაყოფილი ხარ ჩემით, უფალოო?“ მაგრამ ვერ ბედავდა. ბევრი რამის თქმაც უნდოდა, მაგრამ აშინებდა ის უცაბედი მდუმარება მის გარშემო რომ ჩამოწოლილიყო: „რა თქმა უნდა, არ იქნება კმაყოფილი, არ იქნება კმაყოფილი ჩემით, - გაიფიქრა და გააჟრჟოლა - მაგრამ რა ჩემი ბრალია, უფალო? ხომ არ დამიმალავს, რამდენჯერ გამიმეორებია, რომ ლაპარაკი არ შემიძლია! მაგრამ შენ მაინც მიბიძგებდი, ხან სიცილით, ხან რისხვით. აი, ამ დილას კი, მონასტერში, მაშინ, როცა ბერები უკან მომდევდნენ, რომ მე უღირსი წინამძღოლად დავესვი და ყველა კარი ჩაერაზათ, რათა ვერსად გავქცეულიყავ, შენ გამიღე ერთი პატარა, საიდუმლო კარი, თმაში მწვდი და აქ მომაგდე, აქ ამდენი ადამიანის წინაშე! „ილაპარაკე, დრო დადგა“ - მიბრძანე მაგრამ მე გაუბედაობისგან

კრიჭა შემეკრა. და შენც ვეღარ აიტანე თავს დამესხი, მაიძულე, მე კი არა, შენ, შენ გამიხსენ პირი ძალით და ანთებული ნაკვერჩხლით კი არ შემიღესე, როგორც გჩვევია ხოლმე შენს წინასწარმეტყველებთან, არა, ანთებული ნაკვერჩხლით კი არა, თაფლით ამომივსე პირი! და მეც ვილაპარაკე, თუმცა რისხვით იყო აღვსილი ჩემი გული და მეც მიბიძგებდა მეყვირა ისე, როგორც შენი წინასწარმეტყველი ნათლისმცემელი გაჰყვირის: „ღმერთი ცეცხლია, მოდის! სად დაემალეებით, ურჯულონო, უსამართლონო და უღირსნო, იგი მოდის!“ - ამის თქმა სურდა ჩემს გულს, მაგრამ შენ პირი დამითაფლე და გავიძახოდი: „სიყვარული! სიყვარულიო!“. უფალო, შენ წინაშე უძლური ვარ! აი, დაგნებდი, ფარ-ხმალი დაყვარე. დაე, იყოს ნება შენი“

თქვა და დამშვიდდა. თავი მკერდზე ჩამოუვარდა, როგორც თვლემამორეულ ჩიტს, თვალეები დახუჭა და ძილს მიეცა. და მაშინვე ეჩვენა, რომ უბიდან ვაშლი ამოიღო, გახლიჩა, თესლი ამოაცალა და წინ – მიწაში ჩათესა. ნათესი კი მიწაში გაღვივდა, ფესვები გაიდგა, აღმოცენდა, ტანი აიყარა, ფოთლები და ტოტები გაშალა, აყვავდა, ნაყოფი გამოიღო და წითელი ვაშლებით დაიხუნძლა..

ქვები ახმინდა, ვილაც მოაბიჯებდა. ძილი დაუფრთხა და განეშორა. იესომ წამწამები აახამხამა. კაცი იდგა მის წინ, უკვე მარტო აღარ იყო. გაუხარდა. მშვიდად, გულით შეეგება ადამიანთან თბილ თანყოფნას.

ღამეული სტუმარი მიუახლოვდა და დაიჩოქა.

- მოგშივდებოდა, — თქვა, — პური, თევზი და თაფლი მოგიტანე.

- ვინა ხარ, ძმაო ჩემო?

- იონას ძე ვარ, ანდრია!

— ყველამ დამტოვა, წავიდნენ... მართლაც, მშოიდა. და ძმაო ჩემო, შენ საიდან გაგახსენდი და ღვთის ეს წყალობა მარგუნე — პური, თევზი და თაფლი? კეთილი სიტყვის გარდა აღარაფერი მაკლია ახლა.

- ისიც მზადა მაქვს, — უპასუხა ანდრიამ.

სიბნელემ სიმამაცე შეჰმატა. იესო ვერ ხედავდა, რომ კაცს ფერმკრთალ ღაწვებზე ცრემლი დაჰკიდებოდა. და ვერც მის ხელებს ვერ ხედავდა – ერთიანად მოცახცახეს.

- მაშ, ჯერ კეთილი სიტყვა მომაგებე, ძმაო ჩემო, — ღიმილით გაუწოდა ხელი იესომ.

- მოძღვარო... - ჩაიჩურჩულა იონას ძემ, დაიხარა და ფეხთ ემთხვია.

დრო არც მინდორია, ჰექტრობით რომ იზომებოდეს და არც ზღვაა, მილებით გამოვითვალათ. დრო ოდენ გულისცემა არის. ნეტავ, რამდენ ხანს გასტანეს ამ ნიშნობებმა? დღეები? თვეები? თუ წელიწადები? მარიამის ძე სოფელ-სოფელ დაეხეტებოდა, მთიდან მთაზე გადადიოდა, ხანაც ნავით — ტბის ერთი სანაპიროდან მეორეზე. მხიარული და გულმოწყალე იყო, ბაგეთაგან კი კეთილი სიტყვა სდიოდა და სიძესავით თეთრი ემოსა. დედამიწა იყო მისი დანიშნული: ფეხს დაადგამდა და ყვავილებად იფურჩქნებოდა ნიადაგი. შეხედავდა ხეს და ისიც აყვავდებოდა, ნავზე როგორც კი ფეხს შედგამდა, ზურგის ქარიც მყის დაჰბერავდა, ადამიანები უსმენდნენ და მიწა ფრთებივით ეშლებოდათ, მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა ნიშნობა გრძელდებოდა, ქვას ასწევდი და მის ქვეშაც კი ღმერთს იხილავდი, კარზე თუ მიაკაკუნებდი, შიგნიდანაც ღმერთი გამოგხედავდა, ღიმილს შემოგაგებებდა; მეგობრისა თუ მტრის თვალეში ჩაიხედავდი და იხილავდი, რომ მისი მზერის ნაპერწკლებშიც ღმერთი იჯდა და გიღიმოდა.

ფარისევლები ბოლმინად აქნევდნენ თავს და ამბობდნენ:

- იოანე ნათლისმცემელი მარხულობს, ტირის, იმუქრება, არ იცინის, ხოლო მისი უთვალსაჩინოესობა, სადაც კი ქორწილსა და დღეობას დაიგულებს, იქ პირველი გაჩნდება და ტოლსაც არავის უდებს მოლხენაშიო. სვამს, ჭამს, იცინის. აი, გუშინწინ კი, ერთ-ერთ ქორწილში - კანაში, ასულებთან ცეკვაშიც კი გარეულა უსირცხვილოდო. სად გაგონილა წინასწარმეტყველი ილხენდეს და ხალისობდესო?..

ამღვრეული თვალებით უმზერდნენ და ტუქსავდნენ, ის კი გაუღიმებდა და მიუგებდა:

- მე წინასწარმეტყველი არ ვარ, ჩემო ძმებო, ფარისევლებო... წინასწარმეტყველი კი არა, სიძე ვარ!

- რაო, სიძეო? - შეჰყვირებდნენ ფარისევლები და სიბრაზისგან ლამის ტანზე ტანსაცმელი შემოეგლიჯათ.

- დიახ, სიძე ვარ, ჩემო ძმებო, ფარისევლებო. სხვას ვერაფერს აგიხსნით, გთხოვთ, მომიტევოთ.

მერე ისევ თავის მხლებლებს - იოანეს, ანდრიას, იუდას, სოფლის მაცხოვრებლებსა და იმ მეთევზეებს მიუბრუნდებოდა, რომლებსაც მისი სხივიანი და თბილი გამომეტყველება იზიდავდათ. ტოვებდნენ ყანებსა და ნავებს და მკერდზე ჩვილებაკრულ ცოლებთან ერთად მისი ქადაგების მოსასმენად გარბოდნენ.

- იხარებდეთ და ნეტარებდეთ, - ეუბნებოდა, - მანამ, სანამ სიძე ჯერ კიდევ თქვენთანაა. დადგება დრო ქვრივობისა და ობლობისა. მაგრამ მამას მიენდეთ, გწამდეთ. აბა, რისი იმედი აქვთ ამქვეყნიურ ყვავილებსა და ჩიტებს? ისინი არც თესავენ და არც მკიან, თუმცა მამა ასაზრდოვებთ. არც ძაფს ართავენ და არც ქსოვენ, მაგრამ რომელ მეფეს ჰმისავს მათზე უფრო მშვენიერი და დიდებული შესამოსელი? ნუ ზრუნავთ ხორცზე - რას ჭამთ და რას სვამთ, რას ჩაიცვამთ. იგი უწინაც მიწა იყო და მიწადვე მიიქცევა; სულზე იზრუნეთ - იმაზე, რაც უკვდავია და კიდევ - ცათა სასუფეველზე!

იუდა უსმენდა და შუბლს იჭმუხნიდა. მას სულაც არ აინტერესებდა სასუფეველი ცათა, რადგან უმთავრეს საზრუნავად მიწის სასუფეველი მიაჩნდა - ოღონდ არა მთელი დედამიწისა, არამედ მხოლოდ ისრაელის მიწისა, რომელიც ლოდებითა და ადამიანებითაა განმტკიცებული და არა ლოცვებითა და ღრუბლებით. და ამ მიწაზე დააბიჯებენ ბარბაროსი რომაელები, კერპთაყვანისმცემლები. ჯერ ესენი უნდა განდევნონ, ესენი და შემდეგ იზრუნონ ცათა სასუფეველზე.

იესო ხედავდა იუდას შეჯარულ წარბებს, მისი შუბლის მოთამაშე ნაოჭებში ამოიკითხა, რაზეც ფარულად ფიქრობდა და გაუღიმა:

- იუდა, ძმაო, — უთხრა, - ცა და მიწა ერთია, ქვა და ღრუბელიც ერთი არის, ხოლო ცათა სასუფეველი განა ჰაერშია, არამედ ჩვენში, ჩვენს გულებშია. სწორედ მასზე ვლაპარაკობ. გული განხენი და ნახავ, რომ მასში ცა და მიწა ერთიმეორეს შეენივებება, ებრაელნი და რომაელნი მორიგდებიან, ყველა ერთ სულად გარდაიქმნება.

მაგრამ ჟღალწვერა გულში ამბოხს მალავდა და ეს აწვალებდა, ითმენდა და ელოდებოდა. „ამ მეოცნებემ არც კი იცის რას ლაპარაკობს, — ჩურჩულებდა თავისთვის, - არც კი იცის რა სჭირს. როცა სამყარო შეიცვლება, გულიც მაშინ შემეცვლება. მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა ისრაელის მიწიდან რომაელები გაქრებიან“.

ერთ დღეს ზებედეც უმრწემესი ვაჟი იესოს გაენდო:

- მოძღვარო, იუდა არ მომწონს! მომიტევე, მაგრამ როცა ვუყურებ, რაღაც ბნელი ძალა მოედინება მისი სხეულიდან, ასე მგონია, ათასობით წვრილი ნემსი მოიწევს ჩემკენ და მჩხვლეტს. გუშინწინ კი შავი ანგელოზი შევნიშნე მასთან, ყურში რომ ეჩურჩულებოდა. ნეტავი რას ეუბნებოდა?

- ვიცი რასაც ეტყოდა... - მიუგო იესომ და ამოიოხრა.

- რას? მეშინია, მოძღვარო! გამიმხილე!

- მაშინ გაიგებ, როცა ამის დრო დადგება, ძმაო ჩემო. ჯერ მე თვითონაც არ ვიცი კარგად.

- რატომ არ იშორებ გვერდიდან? რატომ აძლევ უფლებას, დღედაღამ შენთან იყოს? და როცა მას ესაუბრები, ხმაც ბევრად უფრო დამტკბარი გაქვს, ვიდრე ჩვენთან ლაპარაკისას. კი, მაგრამ რატომ?

- ასეა საჭირო, იოანე, ჩემო ძმაო, იმას უფრო მეტად სჭირდება სიყვარული.

ანდრიაც მიენდო ახალ მოძღვარს და სამყარო მისთვისაც დღითი დღე იცვლებოდა, უფრო ტკბებოდა, არა, სამყარო კი არა, ეს მისი გული ტკბებოდა! ახლა უკვე ცოდვად არ მიაჩნდა საზრდოს მიღება და ხალისი, მიწა მის ფეხქვეშ უფრო გამყარდა, ზეცა კი თავზე მამასავით დასდგომოდა. და უფლის დღეც რისხვისა და ცეცხლის აღვლენისა კი აღარ იყო მისთვის, სამყაროს აღსასრულს კი არ უქადდა, არამედ ჭირნახულის დაბინავების, რთვლობის, ქორწილისა და ზეიმების ჟამად მიაჩნდა. ეს დღე სამყაროს მარადიულად განახლებადი ქალწულებაა,

ყოველდღიურად, გარიჟრაჟზე მიწა თავიდან იბადება, ღმერთი თავიდან ალუთქვამს მას სიტყვას და თავის წმინდა ხელისგულზე დასვენებულს დაატარებს.

დღეები გადიოდა და ანდრია მშვიდდებოდა, ხალისსა და საკვებს დაუზავდა, ფერმკრთალი ლოყებიც შეევისო და აუღაჟდაჟდა. სადილობისას თუ ვახშმობისას, როცა ჩეროში წამოწვებოდნენ ან ვინმე სახლში მიიპატიჟებდათ, იესო, ჩვეულებისამებრ, აიღებდა ხოლმე პურს, დალოცავდა, დაანაწილებდა და ამ დროს, ანდრიას არსებაში ეს პური სიყვარულად და ბედნიერებად გარდაიქმნებოდა. შიგადაშიგ, მხოლოდ თავისიანები ახსენდებოდა და ამოიოხრებდა ხოლმე.

- რა ეშველებათ მოხუც იონას და ზებედეს? - იკითხა ერთ დღეს და მზერა სადღაც შორეთში სტყორცნა, თითქოს ეს ორი მოხუცებული სამყაროს კიდეში ჩამომდგარიყო და მათ უმზერდა, — ან იაკობსა და პეტრეს? სად არიან? ქვეყნიერების რომელ კუთხეში დაეხეტებიან?!

- ყველას ვიპოვით, — უპასუხა იესომ და გაუღიმა, - და ყველა გვიპოვის! ნუ იღარდებ, ანდრია, მამის ეზო ფართოა და შიგ ყველანი დავეტევით.

ერთ საღამოს იესო ბეთსაიდაში შევიდა, ბავშვები შემოეგებნენ, მისალმების ნიშნად ზეთისხილისა და პალმის რტოებს იქნევდნენ. ჭიშკრები იღებოდა, გამორბოდნენ დიასახლისები, ივიწყებდნენ საოჯახო საქმეებს და იესოს აედევნებოდნენ, რათა კეთილი სიტყვა გაეგონათ. ვაჟები ზურგზე იკიდებდნენ დახეიბრებულ მოხუც მშობლებს, შვილიშვილები ჩაჰკიდებდნენ ხელს თვალისჩინწართმეულ ბაბუებს, მკლავმაგარი კაცები კი დემონებით შეპყრობილთ ეძალებოდნენ და მისდევდნენ მას, რათა ხელი შეევიდოდა სწულთათვის და განეკურნა.

ისე მოხდა, რომ იმ დღეს ერთიანად დაზურგული, მეწვრილმანე თომა მოადგა სოფელს, რათა თავისი ბოხჩა დაეცალა, გაეყიდა ძვირფასეული – თმის სარჭები, ძაფები, ვერცხლის საყურეები, უბრალო სამაჯურები და ქალების სასწაულმოქმედი თილისმები. იესომ იგი დაინახა და უეცრად ჰაერი შეიძრა – ეს არ იყო ის თომა, ეს აღარ იყო ის ელამი მეწვრილმანე... იგი შორეულ მიწაზე იდგა, ხელში თარაზო ეჭირა და გარშემო უამრავი ხალხი შემოჯაროდა... კირითხურონი აშენებდნენ, მუშები ქვიშას და ლოდებს ეზიდებოდნენ, ვება კარკასი შეეკრათ - მარმარილოსსვეტებიანი, დიდი ტაძარი შენდებოდა, რომელსაც ყოველი მხრიდან თარაზოთი ასწორებდა ხუროთმოძღვარი თომა... იესომ თვალით ანიშნა და თავისი წვრილმანებით დატვირთული თომაც მაშინვე მასთან გაჩნდა, ელამი და ცბიერი თვალეები ეშმაკურად უციმციმებდა. იესომ ხელი გაუწოდა:

- თომა, — უთხრა, - წამოდი ჩემთან. სხვა ქონებას გიბოძებ, სულის სამკაულებსა და სუნელებს მოგცემ, რათა დედამიწის კიდით-კიდემდე იმოგზაურო და გაავრცელო ისინი ხალხებში.

- დამაცადე, ჯერ ესენი გავყიდო და... - ქირქილით უთხრა ეშმაკმა ვაჭარმა, - მერე ვნახოთ, თუ ვიცოცხლეთ! — და მაშინვე წვრილი ხმით დასძახა მუშტრებს, თავისი თმის სარჭების, ძაფებისა და ფერ-უმარილის ქებას მოჰყვა.

სოფლის ერთ-ერთი უხუცესი — მდიდარი, მკაცრი და უხიაგი ბერიკაცი თავის წინკარში იდგა და გუნდ-გუნდად დაძრულ ხალხს უყურებდა. ბრბოს წინ ბავშვები მოუძლოდნენ, ზეთისხილისა და პალმის ხის რტოებს იქნევდნენ, კარზე აკაკუნებდნენ და გაჰყვიროდნენ: „მოდის, მოდის, დავითის ძე მოდის!“, მათ მოჰყვებოდა თეთრი კვართით შემოსილი კაცი - გრძელი თმა მხრებზე ეფინებოდა, მშვიდი სახე ჰქონდა, იღიმოდა და ხელებს განზე შლიდა ისე, თითქოს სახლებს აკურთხებდნენ. უკან კაცები და ქალები მოსდევდნენ და ერთიმეორეს ეცილებოდნენ, რომ როგორმე შეხებოდნენ, რათა მისგან ძალასა და სიწმინდეს ზიარებოდნენ. სულ ბოლოს ბრმები და ხეიბრები მოჩაქჩაქებდნენ, თანდათანობით სულ უფრო მეტი კარი იღებოდა და ამ მსვლელობას ახალი ჯგუფები უერთდებოდნენ.

- ეს ვილა არის? - შეშფოთდა უხუცესი ბერიკაცი და ჭიშკარს ჩასაკეტად მივარდა, რათა გასაძარცვავად არ შესცვენოდნენ.

- ახალი წინასწარმეტყველია, ანანია-ბატონო, - გაუჩერდა ერთი და მიუთითა, — აი, ეგაა, თეთრები რომ მოსავს. მაგას რომ უყურებ, ცალ ხელში სიცოცხლე უპყრია, მეორეში — სიკვდილი და ისე ანაწილებს, როგორც მოესურვება. კეთილი მინდა შენთვის და ამიტომ გირჩევ, მასპინძლობა გაუწიო!

ამის გაგონებაზე, ანანია-ბატონი შეშინდა. სული მეტად დამძიმებოდა და ღამღამობით ხშირად გაღვიძებია დაზაფრულს. ცუდი სიზმრები ეზმანებოდა - თითქოს ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაფლულიყო და იწვოდა... „იქნება ამას შეუძლია ეს შიში ამხსნას? ყველაფერი ჯადოქრობაა, ესეც ალბათ ჯადოქარია! მოდი, სუფრას გავუშლი, თუნდაც ხარჯში ჩავვარდე. მოილხინოს და იქნებ სასწაულიც კი მომივლინოს“.

გადაწყვიტა, გზაზე გადაუდგა და ხელი გულზე დაიდო.

- დავითის ძეო, - თქვა, - მოხუცებული კაცი ვარ, ანანია მქვია, მე ცოდვილი ვარ, შენ — წმინდანი. როცა გავიგე, ჩვენს სოფელში მობრძანდებოდი, სუფრა გავშალე. დამდე პატივი და შემობრძანდის წმინდანები ხომ სწორედ ჩვენთვის — ცოდვილთა განსაკურნად მოგვევლინებით ხოლმე. სიწმინდე სწყურია ჩემს ეზო-კარსაც.

იესო შედგა.

- კეთილად ამბობ, მოხუცო ანანია, — უთხრა, - მშვიდობა შენდა!

და მდიდრულ ეზო-კარში შეაბიჯა. მონებიც მიეახლნენ, ეზოში მაგიდები გაშალეს, ბალიშები მოიტანეს, იესო მოკალათდა, აქეთ-იქით შემოუსხდნენ იოანე, ანდრია, იუდა და ცბიერი თომა, რომელიც ამასობაში მოწაფედ შესდგომოდა, გამორჩენის მიზნით. მოხუცი მასპინძელი საპატიო სტუმარს წინ რომ ჩამოუჯდა, თან გონებაში ალაგებდა, რანაირად წამოეწყო საუბარი, რათა მისი ავი სიზმრები გრძნეულს როგორმე განედევნა. მდიდრულად გაწყობილ სუფრას ორი დოქი ღვინოც შეამატეს. როცა სტუმრებმა კარგად მოილხინეს და ასადგომად ემზადებოდნენ, ანანიას გულმა ველარ გაუძლო და ხარჯი გათვალა: „არაფერი დავაკელი, ვასვი და ვაჭამე თავის მხლებლებიანად. ახლა დროა, საზღაური მარგუნოს“.

- მოძღვარო, - უთხრა, - ცუდ სიზმრებს ვხედავ. შევიტყვე, უებრო გამომლოცველი ყოფილხარ. მე რაც შემეძლო გულითადად გიმასპინძლე, ახლა შენმა სიწმინდემაც იღონოს რამე ჩემთვის. შემიბრალე და განდევნე ისინი. ამბობენ, ლოცვითა და იგავებით შეგიძლია ბოროტის დამარცხება. გვითხარი ერთი იგავი, ეგებ მის ფარულ აზრს ჩავწვდე და განვიკურნო. განა ყველაფერი გრძნეულება არ არის? გთხოვ, გამოავლინე შენი გრძნეულება.

იესომ გაიღიმა. მოხუცს თვალებში ჩახედა. ბევრჯერ ენახა და ბევრჯერ შეუძრავს იგი მაძღართა მტაცებლურ კბილებს, მათ ცხოველურ გარეგნობას... საჭმელ-სასმელი არ აკლიათ, დროს ტარება და საერთოდ, ყველაფერი მათია, იპარავენ, იღხენენ, მრუშობენ და ვერც კი გრძნობენ, რომ ამ დროს ჯოჯოხეთის ცეცხლში იწვიან. მხოლოდ ხანდახან, ისიც ძილში, ეხილებათ თვალები, ჭკრეტენ საკუთარ ამოებას... უყურებდა იესო, უყურებდა ამ მაძღარი მოხუცის შიშჩამდგარ თვალებს და მართლაც იშვა მის წიაღში ერთი იგავი:

- გულისყური მომაპყარ, ანანია-ბატონო, - თქვა, - გული გახსენ, მოისმინე ჩემი სიტყვები, იგავს ვიტყვი.

- მთელი არსებით გისმენ, მზად ვარ!

- ძველ დროში, ბატონო ანანია, ერთი მდიდარი, უსამართლო და ურჯულო კაცი ცხოვრობდა. უდარდელად მოიღხენდა, ძვირფასად იმოსებოდა - მეწამულითაც კი და ეს მაშინ, როცა ერთ კონა მწვანილსაც კი არ გაიმეტებდა თავისი მეზობლისთვის - ლაზარესთვის, რომელსაც სულ სციოდა და შიოდა. ნასუფრალიც კი სანატრელი ჰქონდა, ამიტომ მაგიდის ქვეშ დაფორთხავდა, ნამცეცები რომ მოეგროვებინა და ძვლები გამოეხრა. თუმცა, დაინახავდნენ თუ არა მონები, მაშინვე გარეთ უკრავდნენ თავს. და ისიც დაჯდებოდა ზღურბლზე, მოდიოდნენ ძაღლები და ჭრილობებს ულოკავდნენ. როცა აღსასრულის დრო დაუდგათ და ორივე დაიხოცა, ერთი მათგანი მარადიულმა ცეცხლმა შთანთქა, მეორემ კი აბრაამის კალთაში ჰპოვა ნავსაყუდელი. ერთ დღეს მდიდარმა თვალი გაახილა და დაინახა, თავისი მეზობელი ლაზარე როგორ ტკბებოდა და ნეტარებდა აბრაამის კალთის ქვეშ. წამოიყვირა: „მამა აბრაამ, მამა აბრაამ, გაგზავნე ლაზარე, რომ თითი მაინც დაისველოს წყლით და წვეთი პირზე მაკკუროს, ვიწვი!“ მაგრამ აბრაამმა უპასუხა: „გახსოვს, როდესაც შენ გამაძღარი იხარებდი და ქვეყნიერების სიკეთით ტკბებოდი, ხოლო ამას სციოდა და შიოდა? ერთი ღერი მწვანილი მაინც მიგიცია მისთვის? ჰოდა ახლა მისი ჯერი დადგა! მან მარადიულად უნდა გაიხაროს, ხოლო შენ კი მარადიული ცეცხლით იწვოდე!“

იესომ ამოიოხრა და გაჩუმდა. მოხუცი ანანუა გაოგნებული მისჩერებოდა, ეგონა, კიდევ რამეს იტყოდა იესო, იგრძნო, რომ ტუჩები გაუშრა, ყელი ამოუხმა და ვედრებით შეხედა მეიგავეს:

- დაასრულე? — ხმა უცახცახებდა, - ნუთუ ასე დასრულდა იგავი?

იუდამ ჩაიხითხითა და ნიშნისმოგებით თქვა:

- ეგრე დაემართება ყველას, ვინც ამქვეყნად მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს, გაჭირვებული არ ენაღვლება, სწორედაც რომ ჯოჯოხეთში დაიხრუკება!

მაგრამ ზებედეს უმცროსმა ვაჟმა იესოს მკერდზე თავი მიადო და ჩუმად უთხრა:

- მოძღვარო, შენმა ნათქვამმა გული სულაც არ დამიმშვიდა. რამდენჯერ გიქადაგია ჩვენთვის - მიუტევე შენს მტერს, მტერიც გიყვარდესო. შვიდგზის და ასჯერ შვიდგზის რომ გიბოროტოს, შენ შვიდგზის და ასჯერ შვიდგზის სიკეთით მოეპყარო. მხოლოდ ეს გააქრობს ქვეყნიერებაზე ბოროტებასო. და ნუთუ ღმერთი არ მიუტევებს?

- ღმერთი სამართლიანია, — აენტო ჟღალწვერა და იქედნურად გადახედა მოხუც ანანიას.

- ღმერთი ყოვლადკეთილია, - შეეპასუხა იოანე.

- ნუთუ იმედი არ ისახება? — ამოიგმინა მოხუცმა მასპინძელმა, - ასე დასრულდა ეს იგავი?

თომა წამოიმართა, ნაბიჯი ჭიშკრისაკენ გადადგა და შეყოვნდა.

- არა, არ დამთავრებულა, ბატონო ჩემო, — გამომწვევად უთხრა, - გრძელდება...

- ჰოდა, გვიამბე, შვილო! — შეემუდარა.

- იმ მდიდარს ანანია ერქვა, - მიახალა და თავისი ავლა-დიდებით სავსე ბოხჩას ხელი დასტაცა, გარეთ გავარდა, შუა ქუჩაში შეჩერდა და სეირის მაცქერალ მეზობლებთან ერთად ხარხარებდა.

გაწილებულ უხუცესს ტვინში სისხლმა აასხა და თვალები ჩაუბნელა.

იესომ ხელი გაიწვდინა და თავის თანამგზავრს გრუზა თმა სიყვარულით აუჩქა.

- იოანე, — უთხრა ბოლოს, - ყველას ასხია ყურები, გაიგონეს, ყველას აქვს გონება, განსაჯეს, ღმერთი სამართლიანია, - ითქვა, თუმც იმის იქით ფიქრი ვერ გააწვდინეს, მაგრამ შენ, აი, შენ გულკეთილი ხარ იოანე, და აღნიშნე – ღმერთი სამართლიანია, მაგრამ არა მხოლოდ სამართლიანი, იგი ყოვლადკეთილიცაა. ამ იგავსაც სხვა დასასრული უნდა ჰქონდეს.

- მოძღვარო, - მიუგო ყმაწვილმა, - შემინდე და სწორედ ეს იკითხა ჩემმა გულმა: ადამიანი მიუტევებს და ნუთუ ღმერთი არ იქნება მოწყალე? შეუძლებელია, ეს ხომ დიდი მკრეხელობაა, დიახ, ამ იგავს სხვაგვარი დასასრული უნდა ჰქონდეს.

- ასეცაა, საყვარელო, - თქვა იესომ და გაიღიმა, - ანანია-ბატონო, ყური დამიგდე და გული განიმტკიცე. თქვენც მისმინეთ, თქვენ – ყველამ, ვინც ეზოში შემოკრებილხართ, თქვენც - მეზობლებო, ქუჩაში რომ დამდგარხართ და ხარხარებთ, ღმერთი მხოლოდ სამართლიანი კი არ არის, კეთილიცაა და უფრო მეტიც – იგი მამაა. გაიგონა ლაზარემ აბრაამის სიტყვა, ამოიოხრა და გაისაზრა: „ღმერთო, როგორ შეიძლება ვინმე იყოს ბედნიერი სამოთხეში, თუ იცის, რომ არსებობს თუნდაც ერთი ადამიანი, თუნდაც ერთი სულიერი, მარადიულ ცეცხლში რომ იწვის? განაგრძე იგი, უფალო, რათა მეც განვგრძოდე. იხსენი იგი, უფალო, რათა მეც დახსნილ ვიქმნა. სხვაგვარად ხომ მეც დავიწვები“. ღმერთმა მისი თხოვნა შეისმინა და ახარა: „ლაზარე, საყვარელო, ჩამოდი და მიუტანე მწყურვალს წყალი. დაუშრობელია ჩემი წყარო,

მიუტანე, რათა შესვას და განგრილდეს და მასთან ერთად შენც განგრილდე“. „მარადისობაში?“ - ჰკითხა ლაზარემ. „მარადისობაში“ — ამცნო ღმერთმა.

იესო ადგა, აღარაფერი უთქვამს. უკვე ბინდიც ჩამოწოლილიყო, მოჩურჩულე ხალხი თანდათანობით იფანტებოდა, ქალები და კაცები თავისი მიწურებისკენ ეშურებოდნენ, გულები კი აღვსებოდათ. „ნუთუ სიტყვას შეუძლია განაძღოს ადამიანი? შეუძლია, როცა იგი კეთილია“ - ფიქრობდნენ და მიდიოდნენ.

იესომ ხელი გაუწოდა მოხუც მასპინძელს, რათა დამშვიდობებოდა. მაგრამ იგი ფეხებში ჩაუვარდა:

- მოძღვარო, - წაიბუტბუტა. - მომიტევე!

და ცრემლებად დაიღვარა.

იმ ღამითვე, ზეთისხილის ხეივანში, სადაც დასაძინებლად მიწოლილიყვნენ, იუდა მარიამის ძეს მიადგა. ვერ მოისვენა, დალაპარაკება უნდოდა, ყველაფერი უნდა გაერკვიათ და პირისპირ ესაუბრათ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. როცა ურჯულო ანანიასთან სტუმრობისას, მდიდრის ჯოჯოხეთის ცეცხლში დაწვის ამბით ხარობდა და აღარც დამალა - „ეგრე მოუხდებაო!“ იესომ იუდას თვალი დაადგა. ხანგრძლივად უყურებდა, თითქოს წყრომას გამოხატავდა. მარტოოდენ მზერაც კი, მიხლოდ მისი ეს მზერაც გულს უფატრავდა. ჰოდა, უნდა ყველაფერი ითქვას, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვას. ეს ქარაგმები და მზერით მინიშნებები მას ხელს არ აძლევს.

- მშვიდობა, - შეაგება იესომ, — გელოდებოდი.

- მე შენთან კი არ ვგავარ, მარიამის ძეო, — მყისვე მიუგო ჟღალწვერამ, - ვერც იმ შენი საყვარელი იოანესავით უბიწობასა და კეთილშობილებას დავიჩემებ, ნურც ანდრეასნაირი ბნელიანი და თავქარიანი გეგონები, იქით რომ იხრება, საითაც ქარი დაუბერავს. მე ველად გაჭრილი მხეცი ვარ, დედაჩემმა ნაბუშრად გამაჩინა და უდაბნოში მიმაგდო, მგლის ძუძუს ვწოვდი, ამიტომაც გამოვედი ასეთი კუშტი, გაუტეხელი და პირდაპირი, ვინც მიყვარს, ფეხქვეშ ვეგები, ხოლო ვინც მძულს, დაუნანებლად ვკლავ.

ლაპარაკისას ხმა ეხრინწებოდა, თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა და წყვილიადს ანათებდა. იესომ თავზე დაადო ხელი, რათა დაემშვიდებინა, მაგრამ ჟღალწვერამ ამღვრეულად შეხედა, მისი ხელი მოიშორა და ამოიოხრა.

- შემიძლია, - განაგრძო და ჩანდა, რომ სიტყვებს მისხალ-მისხალ წონიდა, - ვინც მიყვარს, მისი მოკვლაც შემიძლია, თუ დავინახავ, რომ სწორი გზიდან გადაუხვევს.

- სწორი გზა, აბა, რომელია, ძმაო, იუდა?

- ისრაელის ხსნა!

იესომ თვალები დახუჭა. არაფერი უპასუხა. წყვილიადში მოელვარე ის ორი ცეცხლი ახლა მას მოჰკიდებოდა. იუდას სიტყვებიც სწვავდა. გამორჩეულად რატომ მხოლოდ ისრაელი? განა ყველანი ძმები არა ვართ?

ჟღალწვერა პასუხს ელოდა, მაგრამ მარიამის ძე დუმდა. ამიტომაც სულმოუთქმელად წაავლო მხარზე ხელი, შეაჯანჯღარა, თითქოს სურს, გამოაფხიზლოსო.

- მიმიხვდი? - ჩაეძია, - გაიგე, რაც გითხარი?

— გავიგე, — მიუგო და თვალი გაუსწორა.

- ერთხელ და სამუდამოდ გეუბნები, რათა იცოდე, ვინ ვარ და რა მინდა! მიპასუხე: გინდა თუ არ გინდა შენთან ერთად ვიყო? უნდა ვიცოდე.

- მინდა, იუდა, ძმაო ჩემო, როგორ არ მინდა.

- მაშინ ნება უნდა მომცე, საკუთარი აზრი თავისუფლად გამოვხატო, შეგეწინააღმდეგო... არას თქმა შემეძლოს მაშინ, როცა შენ კის ამბობ... იცი, რატომ გეუბნები ამას? იმიტომ, რომ შეიძლება ყველა გისმენდეს და გემორჩილებოდეს, მაგრამ მე ეგრე არ შემეძლია, მონა არ ვარ. ჰოდა, გადაწყვიტე! მე თავისუფალი ადამიანი ვარ.

- მეც ამას ვითხოვ, იუდა, ძმაო, თავისუფლებას.

ჟღალწვერა შეკრთა, იესოს მხარზე წაავლო ხელი:

- ჰოდა, გაათავისუფლე ისრაელი რომაელთაგან! - შეჰყვირა და მისმა ამონასუთქმა ჰაერმაც კი დათანგა იესო.

- მე სული უნდა გავათავისუფლო ცოდვისაგან.

გაშლეგებულმა იუდამ იესოს ხელი გაუშვა და მოკუმული მუშტი მთელი ძალით ჩაცხბო ზეთისხილის ხეს.

- აქ იყოფა ჩვენი გზები — დაიდრიალა და ბოროტად შეხედა, — ჯერ სხეული გაათავისუფლე რომაელთაგან და სულის გამოხსნაზე მერე იზრუნე. აი, ეს იქნება ხსნა! შეგიძლია ამ გზას დაადგე? სახლის შენებას ჭერიდან კი არ იწყებენ, არამედ საძირკვლიდან!

- სულია საძირკველი, იუდა!

- სხეულია საძირკველი, მარიამის ძეო! იქიდან უნდა დაიწყო! ერთხელ უკვე გითხარი და კიდევ გიმეორებ: გონს მოეგე, იმ გზას დაადექ, რომელზედაც გელაპარაკები! შეიგნე — შენთან ერთად იმიტომ მოვდივარ, რომ სწორი გზა გიჩვენო.

მათ სიახლოვეს, ზეთისხილის ხის ძირას, ანდრიას ძილში ჩაესმა საუბარი და გამოეღვიძა, მოძღვრის ხმა იყო და კიდევ მეორისა — ხრინწიანი და გაბრაზებული. შეშფოთდა - ღამით ხომ არ მოსდგომიან რაბის მტრები, რათა რამე ვნება მიაყენონ? იცოდა, რომ სადაც კი გაივლიდა, ყველგან უამრავი ახალგაზრდის, ქალისა და ლატაკის სიყვარულს იმკიდა, მაგრამ ასევე - მრავალი შეძლებულის, სასულიერო თუ საერო წარჩინებულთა მხრიდან დაბრკოლება აღემართებოდა ხოლმე. მისი გაქრობა უნდოდათ. იქნებ ამ ურჯულოებმა მოაგზავნეს ვინმე მის სავნებლად? ხმას მიჰყვა,

წყვედიადში ფრთხილად მიიპარებოდა, მაგრამ ჟღალწვერამ შრიალი გაიგონა და წამოიწია:

- ვინ არის მანდ? - შეჰყვირა.

ანდრიამ მისი ხმა იცნო.

- მე ვარ, ანდრია ვარ, იუდა, — უპასუხა.

- წადი დაიძინე, იონას ძევ, პირისპირ ვსაუბრობთ აქ ჩვენ.

- დაიძინე ანდრია, შვილო ჩემო, — გასძახა იესომაც.

იუდამ ხმას დაუწია. იესო ახლა მის მძიმე სუნთქვას გრძნობდა სახეზე.

- გახსოვს, მონასტერში გაგანდე, რომ საძმოს დავალებით უნდა მომეკალი. მაგრამ ბოლო წამს გადავიფიქრე, ვინანე, დანა ჩავაგე და გამთენიისას, მონასტრიდან ქურღივით გავიქეცი.

- რატომ ინანე, იუდა, ჩემო ძმაო? მე მზად ვიყავი.

- ვიცდიდი.

- რას უცდიდი?

იუდა გაჩუმდა. ცოტა ხანში კი უპასუხა:

- მენახა - მართლა ის იყავი, ვისაც ისრაელი მოელის, თუ - არა.

იესოს გააჟრჟოლა. ზეთისხილის ხეს მიეყრდნო. ერთიანად კანკალებდა.

- არ მინდა ავჩქარდე და მხსნელი შემომაკვდეს, არა, არ მინდა! - წამოიყვირა იუდამ და შუბლი მოიწმინდა, რომელიც მთლიანად ოფლით დაცვაროდა, — გესმის, გაიგე? არ მინდა, არა! - თითქოს ახრჩობენო, ხრიალით წარმოთქვამდა.

მერე ერთი ღრმად ამოისუნთქა:

- შეიძლება თვითონაც არ იცის-მეთქი, ვამბობდი, მოდი, დაველოდები, სიცოცხლეს არ მოვუსწრაფებ, ვნახოთ რას იტყვის, რას იზამს-მეთქი. და თუ ის არ არის, ვისაც მოველით, სასიკვდილო განაჩენი გვიანი არასდროს იქნება-მეთქი. ამას ვფიქრობდი, ვფიქრობდი და დაგინდე!

ღრმად და აჩქარებით სუნთქავდა, ფეხის წვერით მიწას ჩიჩქნიდა. უეცრად იესოს მხრებში ჩაავლო ხელი და სასოწარკვეთილად ამოთქვა:

- აღარ ვიცი, აღარ ვიცი, როგორ მოგმართო: მარიამის ძე? ხუროს ძე? თუ დავითის ძე? გესმის, არ ვიცი, ჯერ კიდევ არ ვიცი ვინ ხარ. მაგრამ ეგ თვითონაც არ იცი. უნდა ამოვხსნათ, როგორმე უნდა გავიგოთ ვინ ხარ, რომ ორივემ შვება ვიგრძნოთ! შეუძლებელია ყოველივეს ასე დატოვება! სხვებს რას უყურებ? ისინი ცხვრებით მოგყვებიან და შემოგბლავიან. ან ქალებს რას უყურებ, თავს რომ გეველებიან და მოთქვამენ. ქალები არიან - გული აქვთ, მაგრამ გონება არა, ვერაფერში გამოვიყენებთ. ჩვენ, ჩვენ ორმა უნდა დავადგინოთ ვინა ხარ, რა არის ის ცეცხლი, რომელიც გწვავს -

ისრაელის ღმერთი თუ რომელიმე დემონი? უნდა გავიგოთ, როგორმე მართლა უნდა გავიგოთ

იესო ერთიანად ცახცახებდა.

- როგორ მოვიქცეთ, იუდა, ძმაო ჩემო, ეს როგორ უნდა დავადგინოთ? მირჩიე რამე!

— საამისო ხერხი მოვიფიქრე.

- მაინც რა?

- იოანე ნათლისმცემელს მივაკითხოთ! მხოლოდ მას ეცოდინება... აკი, გაიძახის — ჩემ შემდგომ მოდისო, და როცა დაგინახავს, მაშინვე მიხვდება, ხარ თუ არა ის, ვისაც ველოდებოდით, და ყველანი დავმშვიდდებით...

იესო ფიქრებს მიეცა. რამდენჯერ შეუპყრია ამ შიშს, რამდენჯერ დამხობილა მიწაზე, რამდენჯერ დაუხოკავს სახე, რადგან დემონისაგან შეპყრობილად მიიჩნევდნენ და გვერდს შიშით უვლიდნენ ხოლმე, მაგრამ ის ამ დროს მეშვიდე ცაზე იმყოფებოდა, გალიიდან გამოღწეული მისი გონება ღვთის ჭიშკარზე აკაკუნებდა და კითხულობდა: ვინ ვარ? ან რისთვის დავიბადე? რა გავაკეთო საიმისოდ, რომ სამყარო ვიხსნა? რომელია უმოკლესი გზა? იქნებ მოკვდინება ჩემი?

თავი ასწია. იუდა მისკენ გადმოხრილიყო და უყურებდა.

- იუდა, ძმაო, ძმაო ჩემო, მოდი, დაწეკი, აქ — ჩემ გვერდით, ღმერთი ძილად მოგვეკვლინება. ხვალ კი უთენია დავადგეთ გზას იუდეის წინასწარმეტყველის საპოვნელად. დაე, ის მოხდეს, რაც ღმერთს ნებავს. მე მზად ვიქნები.

- მეც მზად ვიქნები! – თქვა იუდამ და გვერდით მიუწვა.

ალბათ ორივე ძალიან დაღლილიყო, მაშინვე ღრმა ძილს მიეცნენ. გათენების ჟამს, პირველს ანდრიას გაეღვიძა და ჰპოვა ისინი – მძინარენი და ერთმანეთს ჩახუტებულნი.

ტბას მზე მოეფინა, სამყარო განათდა. ჟღალწვერა დაწინაურებულიყო და გზას მიიკვლევდა, უკან იესო მიჰყვებოდა თავის ორ საყვარელ მოწაფესთან, იოანესა და ანდრიასთან ერთად. თომას ჯერ კიდევ ვერ დაეცალა თავისი ბოხჩა და ამიტომ სოფელში დარჩენა ამჯობინა, „სწორს ამბობს მარიამის ძე, — ორჭოფულად ფიქრობდა ცბიერი თომა, — თავზესაყრელი საჭმელ-სასმელი ექნებათ ლატაკებს, როგორც კი ფენებს გაფშეკენ – მარადისობაში. მაგრამ აქ რა ვქნათ, ამქვეყნად? გონს მოეგე, საწყალო თომა, რამე შარს არ გადაეყარო. უმჯობესია, ორივე სახეობის ძვირფასეულობით გავავსო კალათი: ზემოთ, თვალის ასახვევად - თმის სარკებსა და ფერ-უმარისს მოვალაგებ. და მხოლოდ შეძლებულ მუშტრებს გამოვუჩენ მთავარ სამკაულს – ცათა სასუფეველს.“ - ჩაიქირქილა, ზურგზე თავისი ბოხჩა მოიგდო, საყვირს ჩაჰბერა, წვრილი ხმით დასძახა და დილიდანვე მოჰყვა ბეთსაიდას ქუჩებში ამქვეყნიური წვრილმანების ქება-დიდებას.

კაპერნაუმში პეტრე და იაკობიც უთენია წამომდგარიყვნენ. ტბაზე გასულები ერთად ეზიდებოდნენ ბადეს, რომელიც უკვე გამოვსებულიყო თევზებით, გამოსაღწევს რომ ეძებდნენ, ფართხალებდნენ და მზის შუქზე ბრწყინავდნენ. სხვა დროს ორივენი სიხარულით ცას ეწეოდნენ ასეთი მძიმე ბადის მოზიდვისას, მაგრამ ახლა მათი გონება სხვაგან ქროდა და უბრად ირჯებოდნენ. მართალია, სიტყვას არ სძრავდნენ, მაგრამ ორივენი ხან საკუთარ ბედისწერას კიცხავდნენ, რომელმაც მამა-პაპიდან მოყოლებული ამ ტბას მიაჯაჭვა ისინი, და ხან საკუთარ გონებას ამუნათებდნენ, რომელიც ისევ ზომავდა, განსჯიდა, ორჭოფობდა და გულს გაფრენას არ ანებებდა. „განა ჩვენი ცხოვრება ცხოვრებაა? – ეკითხებოდნენ საკუთარ გულს, – ბადეს ვსტყორცნიდეთ, თევზებს ვიჭერდეთ, ვჭამდეთ, ვიძინებდეთ, მერე ისევ თენდებოდეს და კვლავ თავიდან ვიწყებდეთ იმავე, დღიურ სამუშაოს, ისევ ლუკმაპურისთვის ვჯახნობდეთ ყოველდღიურად, წლიდან წლამდე, მთელი ცხოვრება. მაგრამ როდემდე? როდემდე? ნუთუ ასე უნდა დავიხოცოთ?“ - ამაზე არასოდეს დაფიქრებულან აქამდე, მათი გულები მშვიდად მისდევდნენ წინაპართა მიერ გაკვალულ გზას. უხსოვარი დროიდან ამ ტბის გარშემო ცხოვრობდნენ მათი მშობლები, მათი პაპები, დიდი პაპები, თევზებს ერკინებოდნენ და ერთხელაც არ დაიკვნესებდნენ, ბოლოს კი გაშეშებულ ხელებს გულზე დაიკრეფდნენ და იხოცებოდნენ. და მოდიოდნენ მათი შვილები, შვილიშვილები, იმავე გზას აგრძელებდნენ, არც ისინი დაიჩვილებდნენ... ეს ორნიც - პეტრე და იაკობი - აქამდე მშვენივრად ცხოვრობდნენ, საწუწუნოდ არაფერი მიაჩნდათ, მაგრამ ამ ბოლო დროს, სამყარო რალაცნაირად დავიწროვდა მათ თვალში, დაპატარავდა და თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდათ. იყურებოდნენ შორს - ტბის მიღმა, მაგრამ სად? საით? ეს თვითონაც არ უწყოდნენ. აქ სუნთქვა უჭირდათ, იხრჩობოდნენ.

და თითქოს ეს სატანჯველი არ კმარაროდა! ჩამოივლიდნენ მგზავრები და ყოველდღიურად ახალ-ახალი ცნობები მოჰქონდათ – აქაოდა, დავრდომილები სიარულს იწყებენო, ბრმებს თვალისჩინი უბრუნდებათო, მკვდრები საფლავებიდან გამოდიანო... „ვინაა ეს ახალი წინასწარმეტყველი? – ეკითხებოდნენ გამვლელები, – თქვენი ძმები მასთან ყოფილან, გეცოდინებათ. ამბობენ, ნაზარეველი ხუროს ძე კი არა, დავითის ძეაო, მართალია?“ მაგრამ ისინი მხრებს აიჩეჩავდნენ, ისევ ბადეებს მიუბრუნდებოდნენ და ცრემლებს ძლივს იკავებდნენ. ტირილი უნდოდათ - ეგებ გულზე მოგვეშვასო. ზოგჯერ, როდესაც მგზავრები გასცილდებოდნენ, პეტრე თავის თანაშემწეს მიუბრუნდებოდა: „იაკობ, შენ გჯერა ამ სასწაულების?“... „ბადე გაითრიე და ბევრს ნუ ლაპარაკობ!“ - მიაძახებდა ზებედეს როხროხა ვაჟი, ერთს ღონივრად დაეჭიდებოდა და ორ მეტრზე მოზიდავდა სავსე ბადეს.

აი, დღესაც, გამთენიისას, ერთმა მეჯორემ ჩამოიარა:

- ჩვენი ახალი წინასწარმეტყველი დღეს წუწურაქ ანანias სტუმრობდა, ბეთსაიდაში. როცა ღზინი დაასრულა და ხელები დაუბანია, მოხუცი ანანiasთვის ერთი სიტყვა უთქვამს ყურში და ბერიკაციც მაშინვე გატეხილა, ცრემლებად დაღვრილა და მთელი თავისი ავლადიდება ღარიბებისთვის დაუნაწილებია.

- ასეთი რა სიტყვა უთხრა? – ჰკითხა პეტრემ და მისი მზერა კვლავ ტბის მიღმა ჩაიკარგა.

- ეჰ, ეგ რომ ვიცოდე! — ჩაიცინა მეჯორემ, - ყველა მდიდარს ყურში მაგას ჩავჭურჩულებდი, რომ ღატაკებს ამოესუნთქათ, კარგად იყავი, კეთილო მებადურო, - თქვა და გზა განაგრძო.

პეტრე მობრუნდა, რათა თავისი ამხანაგისთვის რამე ეთქვა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. განა რა უნდა უთხრას? ისევ ცარიელი სიტყვები? რომ მობეზრდა? უცებ მოუნდა, ყველაფერი ძირს დაეყარა, ამდგარიყო და იქაურობას გარიდებოდა, გაქცეულიყო. იონას მიწურშიც უკვე ვეღარ ეტეოდა. ვეღარც ამ წყლის აუზში ეტეოდა - გენესარეთის ტბაში. „ეს ცხოვრება არ არის, არა, არ არის, - ჩურჩულებდა, - უნდა გავაღწიო აქედან!“.

იაკობი შემობრუნდა:

- რას ჩურჩულებ? — ჰკითხა, — აღარ გაჩუმდები?!

- არაფერია, გულის გადასაყოლებლად, ჩემთვის რაღაცას ვბურტყუნებდი! — უპასუხა პეტრემ და გაშმაგებით სწვდა ბადეს.

და სწორედ ამ დროს, მწვანე ბორცვზე – იქ, სადაც იესო პირველად დაელაპარაკა ხალხს, ჯერ იუდა გამოჩნდა, ხელში დაგრეხილი ჯოხი მოემარჯვებინა, რომელიც გზად მუხის ხისათვის მოეტეხა, ძირს გამეტებით სცემდა და თან წინ მიიწევდა, უკან კი აქოშინებული სამი ამხანაგი მოსდევდა. წუთით შედგნენ ბორცვის წვერზე, რათა არემარისთვის თვალი მოევლოთ. ტბა საამოდ ციმციმებდა, თითქოს მოალერსე მზე სხივებს უგზავნის და ისიც იცინისო. წყლის ზედაპირზე თეთრი პეპლებივით მოჩანდნენ თევზსაჭერი ნავეები, მათზე კი თოლიებს მიაგავდნენ მეთევზეები. უკან კაპერნაუმი დუღდა, მზე შუბისტარზე შემომდგარიყო, შუადღე იდგა, მთელი თავისი დიდებულებით.

- აი, პეტრეც! - თქვა ანდრიამ და ქვემოთ, სანაპიროზე მდგომი თავისი ძმისკენ მიანიშნა, რომელიც ბადეს ეზიდებოდა.

- ჰა, იაკობიც! – თქვა იოანემ და ამოიოხრა, - ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს, მიწას მოშორდნენ...

იესომ გაიღიმა:

- ნუ ოხრავ, საყვარელო მეგობარო, – თქვა, - აქ მიწექით, დაისვენეთ, წავალ და მათ მოვიყვან.

დაღმართს დაუყვა, მიიჩქაროდა მსუბუქად – „როგორც ანგელოზი, - გაიფიქრა იოანემ და იმედით შეხედა, - მხოლოდ ფრთებილა აკლია“. ქვებზე აბიჯებდა და დაღმა ჩადიოდა. ნაპირს რომ მიუახლოვდა, სიარულს უკლო, მიუახლოვდა ტბისაკენ პირმიქცეულ ორ მეთევზეს და მათ უკან დადგა. კარგახანს ჩუმად უყურებდა და არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ რაღაც ძალას გრძნობდა, თავზემით რომ მიმოუდიოდა. მოითენთა. საოცარი სიმსუბუქე იგრძნო, უცებ, თითქოს მიწას მოსწყდა, თანდათანობით ამაღლდა, ღრუბელივით მიმოირწეოდა ტბის თავზე. ის ორი მეთევზეც კვალში ჩაუდგა და სამივენი ღრუბლებივით შედგნენ ჰაერში. ბადეც

უცრად განვთიურდა, უკვე ის ბადე აღარ იყო, თევზებით კი არა, ადამიანებით აღვსილიყო იგი, სიხარულით რომ როკავდნენ.

ორივე მეზადურს კეფაზე უცნაურმა, ალერსიანმა ჟრუანტელმა დაუარა. შეშინებულნი უკან შებრუნდნენ. იესო უძრავად, მდუმარედ იდგა და მათ უყურებდა.

- შეგვინდე, მოძღვარო! – შესძახა დარცხვენილმა პეტრემ.

- რატომ, პეტრე? რა ჩაიდინეთ, რომ შენდობას ითხოვთ?

- არაფერი, - წაიჩურჩულა პეტრემ და უცებ აღმოხდა: - ესაა ცხოვრება? მომბეზრდა!

- მეც! — თქვა იაკობმა და ბადე ძირს დააგდო.

- წამოდით, - უთხრა მათ იესომ და ორივე ხელი გაშალა, - მომყევით და ადამიანთა მეზადურებად გაქცევთ.

შუაში ჩაუდგა, ორივეს ხელები ჩასჭიდა და თქვა:

- წავედით!

- მოხუც იონას არ დავემშვიდობო? - ჰკითხა პეტრემ, რომელსაც უცებ მამა მოაგონდა.

- უკან ნულა მიიხედავ, პეტრე, დრო არ გვაქვს! უნდა გავეშუროთ!

- სად? — ჰკითხა იაკობმა და გაუბედავად შეხედა.

- ნუ მკითხავ! საამისო შეკითხვების ადგილი აქ არ არის, იაკობ! წავედით!

ამ დროს მოხუცი იონა ანთებულ საცეცხლესთან ტრიალებდა, საჭმელს ამზადებდა და ვაჟიშვილს - პეტრეს უცდიდა. ერთადერთილა შემორჩენია, ჯანმრთელად უმყოფოს ღმერთმა! პეტრე გონიერია და მეოჯახე. უმცროსი კი – ანდრია კარგახანია თვალთ აღარ ენახა - ხან ერთ შარლატანთან ერთად დაეხეტება, ხან მეორესთან, მოხუცი მამა კი მარტოდმარტო მიატოვა სასტიკი ქარებისა და ძველი ნავის პირისპირ. მარტო ეზიდება ბადეებს, მარტო ამზადებს საჭმელს და სახლ-კარსაც მარტოდ მარტო უვლის. მას მერე, რაც დედაბერი გარდაეცვალა, ოჯახის ყველა დემონს თვითონ უმკლავდებოდა ბერიკაცი. „თუმცა პეტრე მიმყოფოს კარგად ღმერთმა, ის მიდგას გვერდით და მამხნევეს“, საჭმელს გემო გაუსინჯა, უკვე გამზადებულიყო. მზეს გახედა, შუადღე ანლოვდებოდა. „მომშიებია, - წაიჩურჩულა, — მაგრამ დაველოდები. მარტო არ შევჭამ“ – და ლოდინს მოჰყვა.

ცოტა მოშორებით, ზებედეს სახლის კარი ღია იყო, ეზო – სავსე კასრებითა და გოდრებით, კუთხეში გამართულ არყის სახდელს ის დღეები ცეცხლი ჩაუმქრალად ჰქონდა შეკეთებული. გადმოდიოდა მილებიდან არაყი და იქაურობა ჭაჭის სუნში გახვეულიყო. მოხუცი ზებედე თავის დედაბერთან ერთად ხეივანში იჯდა, წინ პატარა ტაბლა დაედგათ და გულდინჯად ტრაპეზობდნენ. ზებედე-ბატონი მადიანად ილუკმებოდა, თანაც თავის მოგება-სარგებელზე ლაპარაკობდა. კარგახანია, ღობის

გასწვრივ მეზობლის სახლისათვის დაედგა თვალი, მისი ვალი ჰქონდა მოხუც ნაუმს, ვერ უხდიდა და მომდევნო კვირაში, თუკი ღმერთი ინებებს, სანაცვლოდ ამ სახლს დაესაკუთრება. უნდა წაართვას, უკვე წლებია მის კარ-მიდამოს თვალი დაადგა, შუა კედელს გახსნის, ეზოს გააფართოებს. საწნახელი კი აქვს, მაგრამ ზეთის გამოსახდელიც ხომ უნდა, რომ სოფელმა შიგ ზეთისხილი დაწნეხოს, ხოლო თვითონ წილი მიიღოს. მაგრამ სად უნდა დადგას ზეთის სახდელი? ამისათვის ზედგამოჭრილია მოხუცი ნაუმის სახლი, აუცილებლად... დედაბერი სალომე გულგრილად უსმენდა, მისი გონება საყვარელ უმცროს ვაჟს – იოანეს დასტრიალებდა. სად დაეხეტება? რა თაფლი სდის ნეტავ ასეთი იმ ახალი წინასწარმეტყველის ბაგეებს? როგორ უნდოდა კიდეც ეხილა, კვლავ მოესმინა, როგორ ლაპარაკობს და როგორ ჩამოჰყავს ღმერთი ადამიანის გულში. „კარგად მოიქცა ჩემი ვაჟი, სწორ გზას დაადგა, ჩემი ლოცვა შეეწიოს! გუშინწინ მეც დამესიზმრა, თითქოს კარი გავიჯახუნე, ეს სავსე ოჯახი, მთელი ავლადიდება მივატოვე, უხამური გავყევი მის კვალს, მშიერ-მწყურვალ მივრბოდი და სწორედ ამ დროს, პირველად განვიცადე, თუ რას ნიშნავს ბედნიერება..“.

- გესმის, რას გელაპარაკები? — ჰკითხა მოხუცმა ზებედემ, როგორც კი შენიშნა, რომ მის დედაბერს თვალი გაუშტერდა, - სადა ქრის ერთი, შენი გონება?

- ჰო, გისმენ, — გამოერკვა ქალი და ისე შეხედა, თითქოს პირველად ხედავსო.

ამ დროს ქუჩიდან ნაცნობი ხმები შემოესმათ. ბერიკაცმა გაიხედა და:

- აგე, ისინიც მოდიან! — წამოიძახა.

ხედავს, თეთრკვართმოსილ იესოს მარჯვნივ და მარცხნივ მათი ორი ვაჟი ამოსდგომია. ჭიშკართან მიიჭრა, ლუკმა, როგორც იქნა, გადაყლაპა და გასძახა:

- ჰეი, საით გაგიწევიათ? ასე უნდა? ჩემს სახლს ასე გულცივად ჩაუვლით და არც კი შეჩერდებით?!

- საქმე არ იცდის, ზებედე-ბატონო! — მიუგო პეტრემ.

სხვები უხმოდ აგრძელებდნენ გზას.

- რა საქმე გაქვთ ასეთი?

- უჰ, სარფიანი საქმეა — გამოსძახა პეტრემ და თავშეუკავებლად გადაიხარხარა.

- და შენც, იაკობ? შენც ამათთანა ხარ? — აღმოხდა მოხუცს სასოწარკვეთილად და თვალეები გაუფართოვდა.

ისევ ცოლთან მილასლასდა და შეხედა. იმან კი თავი გააქნია:

- დაემშვიდობე ჩვენს ვაჟებს, ზებედე-ბატონო, - და დასძინა, - მორჩა, წაგვართვა!

- ნუთუ იაკობიც? - თქვა სახტად დარჩენილმა მოხუცმა, - ეგ ხომ მაინც გონიერი იყო, შეუძლებელია!

მოხუც სალომეს აღარაფერი უთქვამს. ანკი რით უნდა ენუგეშებინა? რანაირად მიახვედრებდა? ჭიშკართან დადგა და თვალი გააყოლა გახარებულ ჯგუფს, სამეფო

გზას რომ დასდგომოდა, იორდანესა და იერუსალიმისკენ აეღოთ გეზი. ჩამომჰკნარი ხელი ასწია:

- ჩემმა ლოცვამ გაგაძლიეროთ, - ჩურჩულებდა შეუმჩნევლად, რათა მის ბერიკაცს არ გაეგონა.

სოფლის ბოლოს ფილიპეს გადაეყარნენ, ცხვრებს აძოვებდა ტბის განაპირას. ერთ წითელ ლოდზე შემხტარიყო, სახრეს დაყრდნობილი და ჭვემოთ ტბის წყალს დაჰყურებდა, რომლის მოლურჯო-მომწვანო ზედაპირზე მისი ჩრდილი შავად ისახებოდა და ირხეოდა. ფეხის ხმა და ხალისიანი გადაძახილი რომ შემოესმა, თავი წამოსწია, მგზავრები შეიცნო.

- მშვიდობა თქვენს მობრძანებას! — დაუძახა, - ჩვენც კეთილად დაგხვდით! აბა, საით გაგიწევიათ?

- ცათა სასუფეველისკენ! — შესძახა ანდრია, - არ წამოხვალ?

- ძმაო, ანდრია, გამარკვიე ერთი! თუ მაგდალასკენ მიდინართ ქორწილში, მეც გამოგყვებით. რომ იცოდეთ, ნათანიელმა მეც დამპატიჟა თავისი ძმისშვილის ქორწილში.

- მაგდალას არ გამოსცდები? — შესძახა ახლა იაკობმა.

- ცხვრები რომ მყავს?! — მიუგო ფილიპემ, — აბა, ვის დავუტოვო?

- ღვთის მოწყალებას — ჩაილაპარაკა იესომ, ისე რომ მისკენ არც გაუხედავს.

- მგელი შემიჭამს! — გაეპასუნა ფილიპე.

- დაე, შეჭამოს! — თქვა იოანემ.

„ესენი სულმთლად გადაირივნენ!“ - გაიფიქრა მწყემსმა და ჩასტვინა, რომ ცხვრები მოეჭუჩებინა.

თანამგზავრთა გუნდი გზას მიუყვებოდა. იუდა კვლავ დაწინაურდა, თავისი დაგრებილი სახრე მოიმარჯვა და აჩქარდა. ისევ ხალისიანად მიუყვებოდნენ გზას. მათი გული ბაღნარი იყო. შაშვებივით გალობდნენ და ხუმრობა-ხუმრობაში გზას კეცავდნენ. პეტრე დაწინაურებულ იუდას რომ მიუახლოვდა, შენიშნა, რომ მხოლოდ მას ჰქონდა მოღუშული სახე - არც უსტვენდა, არც საერთო მხიარულებაში მონაწილეობდა, გზას მიიკვლევდა მეტისმეტად აჩქარებული.

- მართლა, იუდა, დროული კითხვაა, სად მივდივართ? - გამოელაპარაკა პეტრე.

ქლალწვერამ ნახევარი სახით გაუცინა:

- ცათა სასუფეველში, - მიუგო.

- არ ვხუმრობ, თქვი, თუ ღმერთი გწამს, რა გზას ვადგავართ? მერიდება მოძღვარს ვკითხო.

- იერუსალიმში უნდა მივიდეთ.

- ოჰო! – წამოიძახა პეტრემ და თევზის სუნით გაჯერებული თმა გადაიწია, - სამი დღის სავალზე! რომ მცოდნოდა, სანდლებს ჩავიცვამდი, პურსა და ღვინოს გამოვავლოებდი ხელს და ჩემს წკეპლასაც წამოვიღებდი.

ქლალწვერამ ახლა მთელი სახით გაიცინა.

- ჰეი, უბედურო პეტრევ, – თქვა, – ჩვენი ურემი გადაბრუნდა, მორჩა აღარ გარგია აწი სანდლები, პური და ღვინო, არც ის შენი წკეპლა. გამოვედით, პეტრე, ვერ გაიგე? ცხოვრებაზე უარი ვთქვით, ხმელეთსა და ზღვას გავექვეცით და ჰაერში შევაბიჯეთ.

მერე პეტრესკენ გადაიხარა და ჩასჩურჩულა:

- დრო ჯერ კიდევ გაქვს, გაიქეცი!

- ახლა სადღა გავიქეცი, იუდა? - ამოთქვა პეტრემ - მკლავები გადაშალა, არემარეს მოავლო თვალი, – ეს ყოველივე ახლა უკვე უაზრობად მეჩვენება! — თქვა და ტბისკენ, თევზსაჭერი ნავებისა და კაპერნაუმის ქონმახებისკენ მიუთითა.

ქლალწვერამ ვეება თავი გააქნია და უთხრა:

- მეც მაგას არ გეუბნები?! ჰოდა, ბევრს ნულარ ლაპარაკობ, წავიდეთ!

XV

ჯერ სოფლის ძაღლებმა აიღეს სუნი და აყეფდნენ, შემდეგ ბავშვებმა გაიგეს და მაგდალაში გაიქცნენ, რათა ყველასთვის ემცნოთ:

- მოდის! მოდის!

- ვინ მოდის, ბავშვებო? — სახლებიდან გამოდიოდნენ და კითხულობდნენ.

- ახალი წინასწარმეტყველი!

ოჯახის ქალები თავ-თავიანთ ჭიშკრებთან გამოცვივდნენ, კაცებმა საქმეები მიატოვეს, ავადმყოფები უკანასკნელ ძალას იკრებდნენ და მირბოდნენ, რათა ერთხელ მაინც შეხებოდნენ მას, ვინაიდან გენესარეთის შემოგარენში სახელი უკვე გაეთქვა – ბრმები, ხეიბრები, მთვარეულები – მისი წყალობით განიკურნენო. და ისინიც სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ადიდებდნენ მის მადლს, და ძალას.

- ერთხელ შეახო ჩემს დაბნელებულ თვალებს ხელი და სინათლე დამიბრუნდა.

- ერთი მიბრძანა: გადაყარე ყავარჯნები და გაიარეო! და მეც ცეკვა-ცეკვით ავდექი!

- დემონების მთელი ლაშქარი ჩაბუდებულიყო ჩემში, მან კი ერთხელ ასწია ხელი და უბრძანა – წადით, ღორებს მიაშურეთო! და ისინიც მყის ამოცვივდნენ ჩემი წიაღიდან, ღორების კოლტს შეერივნენ სანაპიროზე, ჩემი სიშმაგე მათზე გადავიდა, ერთიმეორის მიყოლებით ხტებოდნენ წყალში და იხრჩობოდნენ.

მაგდალინელმა როგორც კი კეთილი ცნობა შეიტყო, თავისი მიწურიდან გამოვიდა. იმ დღიდან მოყოლებული, რაც მარიამის ძემ უბრძანა შინ დაბრუნებულიყო და აღარ მისცემოდა ცოდვას, ეზოშიც კი არ გამოუხედავს. ტიროდა და სულს განიბანდა ამ ცრემლებით. ცდილობდა ასე ამოეშალა გონებიდან თავისი ცხოვრება, დაევიწყებინა ყველაფერი - ის სირცხვილი, ღამისთევანი და ხელახლა დაბადებულიყო განწმენდილი სხეულით. პირველ დღეებში თავს იგვემდა და მოთქვამდა, დროთა განმავლობაში კი დამშვიდდა, ტკივილიც მიყუჩდა, ის ავი სიზმრები, მას რომ ტანჯავდნენ, სრულიად გაუჩინარდნენ, სამაგიეროდ, ახლა ყოველდღიურად სიზმრად იესო მოდიოდა მასთან, ჭიშკარს ოჯახის უფროსივით შემოაღებდა, ეზოში ჩამოჯდებოდა, აყვავებული ბროწეულის ძირში. დაღლილი და მტვრიანი იყო, შორი გზიდან მოდიოდა და მაგდალინელიც ყოველ საღამოს წყალს უცხელებდა, ფეხებს ჰბანდა, შემდეგ კი თმას ჩამოიშლიდა და უმშრალებდა. ისიც ისვენებდა და ტკბილად ესაუბრებოდა. რას ეუბნებოდა? ეს არ ახსოვდა. მაგრამ დილით რომ იღვიძებდა, ლოგინიდან ღამის წამოფრინებოდა, სინარულით იყო აღსავსე და ბოლო ხანს, მეზობლის ქალებს რომ არ გაეგოთ, ბუღბუღივით გალობდა ხმადებლა. ახლა კი ბავშვების შეძახილს მოჰკრა ყური თუ არა, წამოიჭრა, მრავალნაკოცნი სახე თავსაბურავით დაიფარა, ისე, რომ მხოლოდ დიდრონი თვალებილა მოუჩანდა, კარს ურდული ახსნა და გარეთ გავიდა, მასთან მისაგებებლად.

იმ საღამოს სოფელი დიდ მღელვარებაში იყო, ქალწულები იკაზმებოდნენ და ლამპრებს ამზადებდნენ, რათა ღამისწილში წასულიყვნენ, ნათანიელის ძმისშვილის ქორწილი იყო - შავტუხა, ჯმუხი, ცხვირბუშტა ჯეელისა, ბიძამისივით მეწაღეობა რომ აერჩია ხელობად. პატარძალი ერთიანად გახვეულიყო თეთრ მოსასხამში, რომლის ორი ჭრილიდან მხოლოდ თვალები და ყურებზე მოზრდილი ვერცხლის საყურეები მოუჩანდა. სახლის შუაგულში, შემადლებულ ადგილზე, სავარძელში დაესვათ და ელოდა, როდის მიულოცავდნენ სტუმრები, როდის შემოეცქრიალდებოდნენ სოფლელი ქალწულები ლამპრებით ხელში, მოვიდოდა რაბინი, რათა გადაეშალა წმინდა წერილი და ლოცვა წაეკითხა, და მერე კი როდის გაიკრიფებოდა ყველა და მარტო დარჩებოდა თავის ცხვირბუშტასთან.

ნათანიელმა ბავშვების შეძახილი გაიგონა - მოდის! მოდისო! - და გაიქცა, რათა ქორწილში თავისი მეგობრებიც მოეწვია, რომელიც სოფლის შესასვლელში, ჭასთან წყურვილს იკლავდნენ. დაჩოქილ მაგდალინელს იესოსთვის ფეხები უკვე დაებანა და ახლა თმით უმშრალებდა.

- თუ გვიკადრებთ, — უთხრა ნათანიელმა მოკრძალებით, - დღეს ჩემი ძმისშვილის ქორწილია და გვეწვიეთ, გაგვახარებთ. თან იმ ყურძნის ღვინოს მოგართმევთ, ზაფხულში ზებედე-ბატონის საწნახელში რომ დავწურეთ.

თანაც იესოს თხოვნით მიმართა:

- ბევრი რამ გვესმის შენი სიწმინდის შესახებ, მარიამის ძევ! წყალობა მიყავ და ბარემ, ახალშეუღლებულნი დამილოცე, რათა ვაჟები შვან ისრაელის დიდებისათვის.

იესო წამოდგა.

- ჩვენ კაცთა შორის სიკეთით ვხარობთ! მეგობრებო, ვეწვიოთ!

მაგდალინელს ხელი შეაშველა, რომ წამომდგარიყო და უთხრა:

- შენც წამოდი ჩვენთან ერთად, მარიამ!

თვითონ დაწინაურდა გახალისებული. მოსწონდა დღესასწაულები, ადამიანთა გაბრწყინებული სახეები, ახალგაზრდები, რომლებიც ქორწინდებიან და კერიის ცეცხლს არ აქრობენ. „ბალახები, ჭიკაძეები, ჩიტები, ცხოველები, ადამიანები - ყველაფერი წმინდაა, — ფიქრობდა ქორწილში მიმავალი, — ყველა ღმერთის ქმნილებაა. ცოცხლობენ იმიტომ, რომ ღმერთი ადიდონ! დაე, მარადიულად იცოცხლონ!“

ლამაზად თმადავარცხნილი, მორთულ-მოხატული, თეთრით მოსილი ქალწულები ლამპრებით ხელში ჩამწკრივებულიყვნენ ჩარაზული კარის მიღმა და ძველ საქორწინო სიმღერებს ასრულებდნენ – ჰატარძალს ხოტბას ასხამდნენ, სიძეს გამოაჯავრებდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ, რომ სწვეოდათ... ქორწილია, ებრაელი ქორწინდება, შესაძლოა, ამაღამ ერთმანეთს რომ უნდა შეენივთონ, სწორედ ამ ორი სხეულიდან იშვას მესია... მღეროდნენ და დრო გაჰყავდათ სიძის მოლოდინში, რადგან ტრადიციისამებრ, მას უნდა შეენგრია წიხლით კარი, რათა ქორწილი დაწყებულიყო.

როცა იესო, მხლებლებთან ერთად, კარს მიადგა, ქალწულები შემობრუნდნენ და მაგდალინელი დაინახეს. სიმღერა შეწყდა, სახეები მოეჭოფრა, ზურგი აქციეს – ამ წარწყმედილს ქალწულებთან რა ესაქმებაო? სად არის სოფლის უხუცესი, რომ გააგდოს და ქორწილი წაბილწვას გადაარჩინოსო?

გათხოვილმა ქალებმა მაგდალინელს მძულვარე მზერა სტყორცნეს. რჩეული ოჯახებიდან მოწვეული სტუმრები, ჩარაზულ კართან რომ იცდიდნენ, თანდათან აჩოჩქოლდნენ და აჩურჩულდნენ. მაგრამ თვითონ მაგდალინელი ანთებული ლამპარით ბრწყინავდა, იესოს გვერდით სულში ახალ ქალწულებას გრძნობდა და უმანკო ბაგეებს - სახეზე. ამასობაში, სოფლის უხუცესმაც მოაღწია, მექორწინებმა გზა დაუთმეს და ჩამომხმარი, უქმური ბერიკაცი მაგდალინელს მიუახლოვდა, კვერთხის ერთი ბოლო შეახო და ანიშნა იქაურობა დაეტოვებინა.

იესო სახეზეც, საკინძეჩახსნილ მკერდზეც და ხელებზეც იქ მყოფთა ავ მზერას გრძნობდა. მთელი სხეულით წამოენთო, თითქოს უთვალავი უხილავი ეკალი ესობაო. შეხედა სოფლის დაჩაჩანაკებულ უხუცესს, გაანჩხლებულ ქალებს, სახელაწილ კაცებს, აღშფოთებულ ქალწულებს და ამოიოხრა. როდემდე უნდა იბრძავებდნენ თვალს და ვერ ხედავდნენ, რომ ყველანი მოყვასნი ვართ?

ჩურჩული ნელ-ნელა ძლიერდებოდა და მუქარაშიც გადაიზარდა, ნათანიელი იესოს მიუახლოვდა, მასთან საუბარი ეწადა, მაგრამ მან მშვიდად ჩამოიშორა, გზა გაითავისუფლა და ქალწულებს მიუახლოვდა. მათი ლამპრები ამოძრავდნენ, გზა დაუთმეს, შუაში ჩადგა, ხელი აღმართა:

- ჩემო დებო, ქალწულებო, - თქვა, - ღმერთი შეეხო ჩემს ბაგეებს და კეთილი სიტყვა გამანდო, რათა ამ ქორწილის წმინდა ღამეს მას თქვენ უმასპინძლოთ. ჩემო

დებო, ქალწულებო, გულისყურით მომისმინეთ და თქვენც, ძმებო, დაწყნარდით, უნდა დაგელაპარაკოთ!

მისმა ხმამ და სიტყვამ ყველა შეაშფოთა. კაცები მიხვდნენ, რომ იესო განაწყენებული იყო, ქალებმა კი დამწუხრებულად აღიქვეს იგი. ყველა გაისუსა. ეზოს შიგნიდან მოესმათ, როგორ მოჭიმეს ბარბითებზე სიმები ბრმა მუსიკოსებმა. იესომ კვლავ ხელი ასწია:

- რა გგონიათ თქვენ, ჩემო დებო, ქალწულებო, — თქვა, - როგორ ფიქრობთ, რა არის ცათა სასუფეველი? ქორწილია იგი, სადაც ღმერთი სიძეა, პატარძალი კი – ადამიანის სული. ქორწილი ცაში იმართება და ყოველი თქვენგანი წვეულია ამ ლხინისა. მომიტევეთ, ჩემო დებო, ღმერთი მკარნახობს იგავებით გელაპარაკოთ:

„ერთ სოფელში ქორწილი იყო. ათმა ქალწულმა ხელი დაავლო თავ-თავის ლამპარს და სიძის მისაგებებლად გასწიეს. ხუთმა მათგანმა ჭკუა იხმარა – ზეთი წაიმძვარეს. იდგნენ პატარძლის სახლის წინ და ელოდებოდნენ, ელოდებოდნენ, მაგრამ სიძე იგვიანებდა, ბოლოს ძილი მოერიათ და ჩასთვლიმათ, და აი, სადღაც შუადამისას, ხმა მოესმათ: „სიძე მოდის! გაიქეციეთ და მიეგებეთ!“

ათივენი ფეხზე წამოხტნენ, რათა ჩამქრალ ლამპრებში ზეთი ჩაესხათ, მაგრამ მათგან ხუთს, იმ უგუნურ ხუთ ქალწულს ზეთი არ აღმოაჩნდა.

- ცოტა ზეთი გვიწილაღეთ, დებო, - შესთხოვეს გონიერ ქალწულებს, — ლამპრები ჩაგვიქრა.

იმათ კი უპასუხეს:

- მეტი აღარ გვაქვს. გაიქეციეთ და მოიტანეთ.

და სწორედ იმ დროს, როდესაც ის უგუნურნი ზეთის მოსატანად გაცვივდნენ, სიძე მოვიდა, გონიერი ქალწულები სახლში შევიდნენ და კარიც დაიკეტა.

დიდხანს არც წასულებს დაუგვიანიათ, ანთებული ლამპრებით დაბრუნდნენ და კარზე ბრახუნს მოჰყვნენ:

- გაგვიღეთ გაგვიღეთ! - გაიძახოდნენ და იხვეწებოდნენ.

მაგრამ შიგნით მყოფი გონიერი ქალწულები დასცინოდნენ

- ასე მოგიხდებათ, კარი უკვე ჩაიკეტა, გაბრუნდით უკან!

ისინი კი ტიროდნენ და იხვეწებოდნენ:

- გაგვიღეთ! გაგვიღეთ!

და მაშინ...“

იესო გაჩუმდა. გარშემო მყოფთ კვლავ თვალი მოავლო - სოფლის უხუცესს, ოჯახის ქალებს, მაცურებსა და ქალწულებს გადახედა, რომლებსაც ხელთ ანთებული ლამპრები ეპყრათ და გაუღიმა.

- და რა მოხდა მაშინ? - ჰკითხა ნათანიელმა, რომელიც პირდაღებული უსმენდა და გონებით კრეფდა მის სათნო სიტყვებს, - მერე რა მოხდა, მოძღვარო?

- შენ რას იზამდი, ნათანიელ, სიძე რომ ყოფილიყავ? - ჰკითხა იესომ და თავისი სუფთა, მომხიბვლელი თვალებით მზერა სტყორცნა.

ნათანიელმა ვერაფერი უპასუხა, რადგან მართლაც არ იცოდა რას იზამდა, სიძის ადგილას რომ ყოფილიყო. ხან ფიქრობდა რომ გაყრიდა იმ უგუნურ ქალწულებს, კარი ხომ უკვე დაიკეტა და სჯულის კანონიც ამას ავალებს. მაგრამ ხან მაინც სიბრალოელი მიეძალებოდა და ფიქრობდა, რომ კარს გაუღებდა...

- შენ რას იზამდი, ნათანიელ, სიძე რომ ყოფილიყავ? - გაუმეორა იესომ კითხვა და დამზოგავად, მაგრამ თხოვნით, დაჟინებით მიაჩერდა მეწაღის უბოროტო, კეთილ სახეს.

- მე გავუღებდი... - ჩუმად უპასუხა ნათანიელმა, სოფლის უხუცესს რომ არ გაეგონა.

მარიამის ძის თვალებიდან გადმონაშუქს ველარ უძლებდა.

- შენ გაგიმარჯოს, მეგობარო ნათანიელ, — უპასუხა გახარებულმა იესომ და ხელი გაიწვდინა, რომ დაელოცა, - და სწორედ ამისთვის, შენ ამქვეყნიურ ცხოვრებაშივე დაუბრკოლებლად შეხვიდოდი სამოთხეში. სიძეც ზუსტად ასე მოიქცა. მონებს უხმო:

„- კარი გახსენით, ქორწილია, ყველამ შესვას და შეჭამოს, ყველამ იცეკვოს. დაე, უგუნური ქალწულებიც შემოვიდნენ! დაბანეთ და შეუძმრალეთ მათ ფეხები, რადგან ბევრი ირბინეს აქეთ-იქით!“

მაგდალინელის გრძელწამწამა თვალები ცრემლმა დანამა. ნეტავ, შეეძლოს სახე დაუკოცნოს მას, ვის ბაგეთაგანაც ასეთი სიტყვები იღვრება. და კეთილი ნათანიელიც თხემიდან ტერფამდე გაბრწყინებულიყო, თითქოს უკვე მართლა სამოთხეში დაეგულებინოს თავი.

თუმცა სახემომწამულმა უხუცესმა კვერთხი ასწია:

- შჯულის კანონს ვერ ეთანხმები, მარიამის ძევ, — წაისისინა.

- შჯულის კანონი ვერ ეთანხმება ჩემს გულს, - მშვიდად მიუგო იესომ.

ამ პაექრობაში იყვნენ, რომ განბანილი, სურნელნაკურები სიძეც გამოჩნდა, მწვანე გვირგვინით შეემკო ხშირი შავი თმა. შეზარხოშებული იყო - კარგ გუნებაზე და ცხვირიც უპრიალებდა, კარს წიხლი ჰკრა, შეანგრია და მაცრებიც უკან მიჰყვინდნენ. იესოც შეჰყვა, მაგდალინელთან ერთად, ხელჩაკიდებული.

- ვის გულისხმობს უგუნურ და გონიერ ქალწულებში? - ხმადაბლა ჰკითხა პეტრემ იოანეს, - შენ რას მიხვდი?

- მე იმას მიხვდი, რომ ღმერთი მამაა, - უპასუხა ზებედეს ძემ.

ამასობაში რაბინიც მოვიდა, ქორწილი დაიწყო, სახლის შუაგულში სიძე-პატარძალი ჩამომდგარიყო, სტუმრები მიდიოდნენ, ულოცავდნენ, უსურვებდნენ

ვაჟს, რომელიც ისრაელს მონობიდან გამოიხსნიდა. შემდეგ კი ბარბითი გამოდგეს, დალიეს, იცეკვეს, იესოც თავისიანებთან ერთად ლხინს მიეცა და მთვარე რომ ამოვიდა, მექორწილები დაიშალნენ, თავ-თავიანთ გზას დაადგნენ. შემოდგომა იდგა, თუმცა ჯერ კიდევ ძალა ჰქონდა დღის სიმზურვალეს და ღამის გზა საამო იყო — ჩრდილოეთიდან წამოსული სიგრილით სავსე.

მიდიოდნენ იერუსალიმის მიმართულებით, შეზარხოშებულთათვის სამყაროც შეცვლილიყო, თითქოს სულებად ქცეულიყვნენ, მსუბუქად მიაბიჯებდნენ ფრთაშესხმულნი და გასცქეროდნენ მარცხნივ იორდანეს, მარჯვნივ კი გადახნულ, უხვნაყოფიერ ზებულონის დაბლობს, რომელიც მთვარის შუქქვეშ გაწოლილიყო — დაღლილი და შვებამოგვრილი, რადგან ამ წელსაც მოიხადა თავისი ვალი, ათასობით წლების წინათ ღმერთმა რომ დააკისრა: ნათესები აღმოაცენა, ვაზი მტევნებით დახუნძლა, ზეთისხილის ხეებს ნაყოფისგან ტოტები დაუზნიქა. და ახლა გაწოლილიყო დაღლილი და შვებამოგვრილი, მელოგინე ქალივით იწვა.

- ძმებო, რამხელა სიხარულია, - წამდაუწუმ იმეორებდა პეტრე და ვერაფრით ძღებოდა ასეთი საღამოს ხილვით, ამგვარი მგზავრობის დასაწყისით და გვერდით მყოფთა სიტკბოებით, - სინამდვილეა ეს ყველაფერი თუ სიზმარია? ეგებ მოგვაჯადოეს? უცებ სიმღერა მომეძალა, მინდა ვიმღერო და ამოვთქვა ეს სიხარული!

- ყველამ ერთად — თქვა იესომ, დაწინაურდა, ყელი მოიღერა და დაიწყო.

სუსტი, მაგრამ ტკბილი ხმა ჰქონდა, გზნებით აღსავსე, მისგან მარჯვნივ და მარცხნივ იოანესა და ანდრიას მელოდიური, წკრიალა ხმები ისმოდა.

კარგახანს, მხოლოდ სამი პირველი ხმა გალობდა — მოცახცახე და სიამის მომნიჭებელი სამი ხმა. ასე გულშიჩამწვდომად გაგონილი კი გაფიქრებინებდათ — სულ ესაა, მეტს ვეღარ გაუძლებენ, აი, ახლა ჩაუწყდებათო, მაგრამ რაღაც იდუმალი წყაროდან ისევ ამოხეთქავდა შეხმატკბილებულთა სანეტარო გალობა და უეცრად, ო, როგორი სიხარული იყო, რა ძალა! — ჰაერი შეძრა საზეიმო, სიმამაცით აღვსილმა, მოგუგუნე ხმებმა — პეტრეს, იაკობისა და იუდას ბაგეთაგან გადმოდენილმა. და ყველამ ერთად, თითოეულმა საკუთარი მადლით და ძალით, ზეცისაკენ აღავლინეს წმინდა სვლის საზეიმო საგალობელი:

„აჰა, ესერა რაი-მე კეთილ, ანუ რაი-მე შუენიერ, არამედ დამკვიდრებაი ძმათაი ერთად. ვითარცა ნელსაცხებელი თავსა ზედა, გარდამომავალი წუერთა ზედა, წუერთა ზედა აჰრონისთა, რომელი გარდამოვალნ სამხართა ზედა სამოსლისა მისისათა. ვითარცა ცუარი გარდამომავალი აერმონით მთასა ზედა სიონსა; რამეთუ მუნ ამცნო უფალმან კურთხევაი და ცხოურებაი უკუნისამდე!“

შუადამე კარგა ხნის გადასული იყო, ვარსკვლავები მიიმალნენ, უკვე თენდებოდა, რომ მგზავრებმა უკან მოიტოვეს გალილეის წითელი მიწა და შავნიადაგიან სამარიას მიადგნენ.

- გეზი ვიცვალოთ, — შესთავაზა იუდამ და შეჩერდა, - ეს მიწა დაწყევლილი და განდგომილია. აჯობებს ხილით გადავიდეთ იორდანეზე და მეორე ნაპირს გავუყვით. სჯულის ცხვრებთან შენება ცოდვაა, მათი ღმერთიც წარწყმედილია, მათი წყალიც

ბინძურია და მათი პურიც. დედაჩემისგან მსმენია, ერთი ლუკმა სამარიული პური იგივეა, რაც ერთი ნაჭერი ღორის ხორციო. ჰოდა, გვერდი ავუაროთ, გეზი ვიცვალოთ!

მაგრამ იესომ მშვიდად ჩაჰკიდა ხელი იუდას და გაუძღვა:

- იუდა, ძმაო, – უთხრა, - სიწმინდესთან შეხებით სიბინძურე განიწმინდება. ჩვენ სწორედ მათთვის მოვედით, ცოდვილთათვის. აბა, ღირსებით შემკულებს რაში ვჭირდებით? აქ, სამარიაში, ერთმა კეთილმა სიტყვამ შეიძლება რომელიმე სული გამოიხსნას. კეთილმა სიტყვამ, კეთილმა საქმემ, ერთმა კეთილმა გაღიმებამ შესაძლოა წინ შემომხვედრი რომელიმე სამარიტელი მოაქციოს, მიმიხვდი, იუდა, რაც გითხარი?

იმან კი კუშტად მიმოიხედა გარშემო, სხვებს რომ არ გაეგონათ და ჩუმად უთხრა:

- ეს ის გზა არ არის, არა, არ არის. მაგრამ მოვიცდი, მოთმინებით დაველოდები, როდის გავაღწევთ გაღმა, აი, იმ გრძნეულ ასკეტთან და მერე ის განსჯის. მანამდე კი, სადაც გინდა, იქ წადი და რაც გინდა, გააკეთე, მაინც არ მიგატოვებ.

მხრებზე თავისი მრუდე სახრე გადაიდო და დაწინაურდა.

მიდიოდნენ, მილაპარაკობდნენ, იესო მათ მამაზე, სიყვარულზე, ცათა სასუფეველზე უყვებოდა, უხსნიდა, თუ როგორი სულები არიან უგუნური და გონიერი ქალწულები, რას ნიშნავს ლამპარი, რას ნიშნავს ზეთი და ვინაა სიძე; და რატომ მოხდა, რომ ეს უგუნური ქალწულები არათუ შევიდნენ სიძის სახლში, უფრო მეტიც - მონებიც კი მიეახლნენ და მხოლოდ მათ განუბანეს მოქანცული ფეხები. ოთხ თანამგზავრს, სიტყვა-სიტყვით რომ იმახსოვრებდნენ მის მონათხრობს, თვალსაწიერი უფართოვდებოდათ, გულის სიმტკიცე ემატებოდათ და მათ ახლა ცოდვა იმ უგუნურ ქალწულად მოეჩვენათ, ჩამქრალი ლამპრით ხელში რომ ჩამომდგარა უფლის კართან და შესვლას ითხოვს, იხვეწება, ტირის...

მიდიოდნენ, მიდიოდნენ და უეცრად მათ თავზე ზეცამ პირი შეკრა, მიწა ბნელმა მოიცვა და ჰაერში წვიმის სუნი დატრიალდა.

- პირველ სოფელსაც მიაღწიეს, რომელიც გარიზინის წმინდა მთის ძირას მდებარეობდა. სოფლის შესასვლელში იაკობის ძველთაძველი ჭა გამოჩნდა – ფინიკის პალმებითა და ლერწმებით შემოსაზღვრული. იქ მიდიოდა ხოლმე პატრიარქი იაკობი, ამოჰქონდა ჭიდან წყალი, წყურვილს იკლავდა და თავის ცხვრებსაც არწყულებდა. ჭის ქვით ამოშენებული ზღუდე თოკის ხახუნს გაეცვითა, თაობები რომ წყალს ეზიდებოდნენ. იესო დაღლილი იყო და ქვებზე სიარულისგან ფეხებიდან სისხლი სდიოდა.

- მე აქ დავრჩები, — თქვა, - დავიღალე. თქვენ შედით სოფელში, ვინმეს კარზე დააკაკუნეთ და გამოგხედავთ რომელიმე კეთილი სული, პურს გვიწყალობებს. ეგებ ქალიც მოვიდეს ჭასთან წყლის ამოსაღებად და ჩვენც შემოგვთავაზოს. ენდეთ ღმერთს და ადამიანებს!

ხუთივე წავიდა. გზაში იუდამ ინანა და თქვა:

- მე ამ წარწყმედილ სოფელში არ შევალ. არც ამათ ბინძურ პურს შევჭამ. აი, ამ ლელვის ძირში გავჩერდები და დაგელოდებით.

ამასობაში, იესო ლერწმებს შორის, ჩრდილში მიწვა და ფიქრებს მინებდა. სწყუროდა, მაგრამ ღრმა იყო ჭა და რანაირად შეესვა წყალი? ძნელი გზა ედო წინ, სხეული კი დასუსტებოდა, აქამდეც ძლივს მოაღწია, ილღებოდა, იღვენთებოდა, ძალა არ შესწევდა – სული ეზიდა, ეცემოდა, მაგრამ მაშინვე დაჰბერავდა ღვთის საამო ნიავი და მის სხეულს ძალას შთაბერავდა, წამოდგებოდა და მიდიოდა... მაგრამ როდემდე? სიკვდილამდე? თუ სიკვდილის მერც?

და ასე, ღმერთზე, ადამიანებსა და სიკვდილზე ფიქრში იყო ჩაძირული, რომ უცებ ლერწმები შეირხა და ქალი გამოჩნდა - სამაჯურებითა და საყურეებით შემკული. თუნგი შემოედგა თავზე, ჭას მიუახლოვდა და თუნგი კიდეზე ჩამოდგა. იესო ლერწმებს შორის ხედავდა, როგორ ჩამოიხსნა თოკი, ნება-ნება ჩაუშვა სათლი, წყალი ამოიღო და თუნგი აავსო. წყურვილი უფრო გაუმძაფრდა.

- დედაკაცო, – გააგონა და ლერწმებიდან გამოვიდა, - იქნებ დამალევიყო.

უცხოს მოულოდნელად გამოჩენამ ქალი დააფრთხო.

- ნუ გეშინია, — უთხრა, - არაფერს გავნებ, მწყურია, გთხოვ. დამალევიწე.

- რანაირად შეიძლება, — მოუჭრა მან, — რომ შენ, გალილეველი – სამოსზე გეტყობა, რომ იქიდან ხარ, - სამართელ ქალს წყალსა სთხოვდე?

- რომ იცოდე, ვინ გეუბნება ამ სიტყვებს — „დედაკაცო, დამალევიწე“, ფეხებში ჩაუვარდებოდი და თვითონ სთხოვდი, შეესმია შენთვის წყალი უკვდავებისა.

ქალმა ორჭოფულად შეხედა:

- არც თოკი გაქვს და არც ვარცლი. რანაირად ამოიღებ. წყალს, რომ შემასვა?

- ვინც ამ ჭიდან წყალს დაღვეს, ისევ მოსწყურდება, – მიუგო იესომ, – მაგრამ ვინც იმ წყალს შესვამს, მე რომ მივაწვდი, აღარასოდეს მოსწყურდება, საუკუნოდ მოიკლავს წყურვილს.

- ბატონო, – გამომცდელად დასძინა ქალმა, – ბარემ მომაწოდე ეგ შენი წყალი, რომ დავლიო, საუკუნოდ მოვიკლა წყურვილი და ყოველდღე აქ სიარული არ დამჭირდეს.

- წადი, შენს ქმარს დაუძახე, - უთხრა იესომ.

- ქმარი არა მყავს, ბატონო.

- მართალს ამბობ. აქამდე ხუთი გამოიცვალე, მაგრამ ვინც ახლა გყავს, ის შენი არ არის.

- წინასწარმეტყველი ხარ, ბატონო? - გაოცებისგან შეჰყვირა ქალმა, — ყველაფერი იცი?

იესომ გაიღიმა:

- რამე გაინტერესებს მკითხო? ნუ მომერიდები!

- ერთ რამეზე მიჰსასუხე, ჩემო ბატონო: აქამდე ჩვენი წინაპრები გარიზინის ამ წმინდა მთაზე სცემდნენ ღმერთს თაყვანს. ახლა თქვენ ამბობთ, რომ მხოლოდ იერუსალიმში უნდა ვეთაყვანოთ ღმერთსო. მაგრამ სად არის ჭეშმარიტება? სად არის ღმერთი? განმანათლე.

იესომ თავი დახარა. დუმდა.ამ ცოდვილმა ქალმა, რომელსაც ღმერთზე საფიქრალი სტანჯავდა, მისი გული ბოლომდე შეძრა. ცდილობდა, საკუთარ თავში კეთილი სიტყვა ეპოვა, რათა ნუგეშ ეცა მისთვის. და უეცრად, თავი ასწია, სახე გაუბრწყინდა:

- დედაკაცო, ღრმად ჩაიმარხე გულში ის სიტყვა, რასაც გეტყვი: დადგება დღე და, თითქმის დადგა უკვე... დღე დადგება და არც ამ მთაზე, არც იერუსალიმში არ მიაგებენ ღმერთს თაყვანს ადამიანები. ღმერთი სულია და მხოლოდ სულით თაყვანიცემების.

გაოგნებულმა ქალმა იესოს ძრწოლვით შეხედა.

- შენ ხომ არა ხარ, - თქვა ფრთხილად და ხმა აუკანკალდა, - შენ ხომ არა ხარ იგი, ვისაც ჩვენ მოველით?

- და ვის მოველით?

- თვითონაც მშვენივრად იცი! რატომ გინდა, მათქმევინო მისი სახელი. თვითონაც იცი! ჩემი ბაგენი უღირსია მისი სახელის წარმოსათქმელად.

იესომ თავი დახარა, თითქოს საკუთარ გულს ყურს უგდებდსო. თითქოს გულს უნდა ემცნო მისთვის... და ქალიც, ცნობისწადილით მისკენ მიდრეკილი, მოუთმენლად, შიშით ელოდა ამ პასუხს.

ასე უტყვად და ძრწოლვით პასუხის მოლოდინში მყოფთ ხალისიანი ხმები მოესმათ: მოწაფეები გამოჩნდნენ, დიდი ამბით მოარბენინებდნენ ერთ პურს. იხილეს მოძღვარი უცხო ქალთან და შედგნენ. იესომაც დაინახა ისინი და გაუხარდა. ქალის მსახვრალ კითხვაზე პასუხის გაცემას გადაურჩა. თანამგზავრთ კი მიანიშნა, მიახლოებოდნენ.

- მოდით, - გასძახა, - ეს კეთილი დედაკაცი ღმერთმა გამოგვიგზავნა, რათა მისი მეშვეობით წყურვილი მოვიკლათ!

ისინიც მიუახლოვდნენ, მხოლოდ იუდა გადგა გვერდზე, სამარიული წყალი რომ არ დაელია და არ წარწყმედილიყო.

სამარიტელმა ქალმა თუნგი გაუწოდა, მწყურვალეებმაც შესვეს წყალი. მერე კვლავ გაავსო თუნგი, მოხერხებულად შემოიღვა თავზე და დაფიქრებული, გამოუმშვიდობებლად გაეშურა სოფლისაკენ.

- მოძღვარო, ვინ იყო ეს ქალი? - ჰკითხა პეტრემ, - ისე საუბრობდით, თითქოს წლებია ერთმანეთს იცნობთო.

- ჩემი ერთ-ერთი და იყო, — უპასუხა იესომ, — მწყუროდა და წყალი ვთხოვე, მანაც წყურვილი მომიკლა.

პეტრემ ჩვეული სიჯიუტით მოიქეჯა თავი:

- ვერ მიგიხვდი, - თქვა.

იესომ მეგობარს შეჭალარავებულ თავზე მიუალერსა:

- თანდათანობით შეიმეცნებ ყველაფერს, დროთა განმავლობაში, ნუ ჩქარობ! ახლა კი მოშეიბულნი ვართ.

ფინიკის პალმების ძირში მოიკალათეს, ანდრია იმის მოყოლა დაიწყო, თუ როგორ შევიდნენ სოფელში და კარდაკარ აკაკუნებდნენ, რათა შემწეობა მიეღოთ, მაგრამ ყველა სახლიდან უკმეხად იშორებდნენ და მასხრადაც იგდებდნენ. ასე მიდი-მოდიოდნენ, ვიდრე სოფლის მეორე ბოლოში, ერთმა დედაბერმა სანახევროდ არ გამოაღო კარი და რახან გარშემო კაციშვილი არ ჩანდა, ეს ერთი პური არ გადაუგდოთ. ჩვენც დავავლეთ ხელი და გამოვიქეციეთ.

- დასანანია, - თქვა პეტრემ, - რომ დედაბერს სახელი არ გამოვკითხეთ, ღმერთის წინაშე მოსახსენიებლად.

იესოს გაეცინა და მიუგო:

- გულს ნუ გაიტეხ, პეტრე! ღმერთმა იცის მისი სახელი.

იესომ პური აიღო, დალოცა, ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ის დედაბერი მოუვლინათ, ვინც მათ პური უწილადათ, შემდეგ გატეხა იგი ექვს დიდ ნაწილად, თითო - თითოეული მათ განისთვის. მაგრამ იუდამ ჯოხით გასწია თავისი წილი და პირი იბრუნა:

- მე სამარიულ პურს არ შევჭამ! ღორის ხორცს არ ვეკარები!

იესო არ შეეპასუხა. იცოდა, შეუვალი და უკმეხი რომ იყო, დრო სჭირდებოდა გულის მოსალბობად - დრო, სათანადო მოპყრობა და უზომო სიყვარული...

- ჩვენ, - მიმართა დანარჩენებს, - ჩვენ დავნაყრდეთ! სამარიული პური გალილეურია, თუკი მას გალილეველები ჭამენ, ღორის ხორცი კი ადამიანის ხორცად იქცევა მაშინ, როცა მას ადამიანები შეეჭყევიან. მაშ, ღმერთის დიდებით, მიირთვიეთ!

ოთხ თანამგზავრს გაეცინა. მადიანად ილუკმებოდნენ, გემრიელი იყო სამარიული პური, ისე როგორც ნებისმიერი პური. დანაყრდნენ. შემდეგ კი ხელები გულზე დაიკრიფეს და დაღლილებს მალევე ჩაეძინათ. მხოლოდ იუდამ ვერ მოისვენა, თავის სახრეს მიწაზე სცემდა, იფიქრებდით ამათრახებსო.

„შემილი სჯობს სირცხვილს!“ - ფიქრობდა და თავს ასე იმხნევებდა.

ლერწმოვანს წვიმის პირველი წვეთები დაეცა. მძინარენი შეკრთნენ.

- წვიმები წაეწყობა ამის შემდეგ, - თქვა იაკობმა, - მიწა წყურვილს მოიკლავს.

და სანამ იმაზე ფიქრობდნენ, სად ეპოვათ თავის შესაფარებლად მღვიმე, უეცრად ქარი ამოვარდა ჩრდილოეთიდან, ღრუბლები გაფანტა, ცა გადაწმინდა და კვლავ გზას დაადგნენ...

ლელვის ხეების განიერ ტოტებზე გრილი ნიავი მწიფე ნაყოფებს არხევდა, ბროწეულებიც დახუნძლილიყო, ხელს გაიწვდიდნენ მგზავრები, ნაყოფს მოწყეტდნენ და პირს ისველებდნენ. მინდვრებში მომუშავე მიწათმოქმედნი მათ დანახვაზე თავებს წამოწევდნენ და დამფრთხალნი გამოსცქეროდნენ: რას დაეხეტებიან ეს გალილეველები მათ მიწა-წყალზე? როგორ ჭამენ სამარიულ ჰურს და სამარიტელთა ხეებიდან ნაყოფს როგორ კრეფენ? აქედან მოშორდნენ!

ერთ ბერიკაცს გულმა ვერ გაუძლო და ყანიდან გამოიჭრა:

- ჰეი, თქვენ, გალილეველებო, — გამოსძახა მათ, - თქვენი ურჯულო კანონი ამ წმინდაქმნილ მიწას შეაჩვენებს და თქვენ აქ რა გესაქმებათ? აბა, მოწყდით აქედან!

- ჩვენ წმინდა იერუსალიმისკენ მივდივართ, მოსალოცად, - მიუგო პეტრემ და ბერიკაცს მხნედ ჩამოუდგა წინ.

- აქ უნდა ლოცულობდეთ, თქვე მკრეხელებო, ამ ღვთით მოსილ გარიზინის მთაზე! — არ შეეპუა მოხუცებული, — წმინდა წერილი წაგიკითხავთ? აქ, გარიზინის ფერდობზე, მუხის ძირში გამოეცხადა ღმერთი აბრაამს. მიუთითა გარშემო მთებსა და ველებზე, ებრონის მთიდან იდუმელისა და მადიამის მიწამდე და უთხრა: „აჰა, ესეც აღთქმული მიწა, სადაც მოედინება რძე და თაფლი! სიტყვა მოგეცი, რომ აღთქმულ მიწას გარგუნებდი და აი, იგი“ ერთმანეთს ხელი გაუწოდეს და აღთქმა დადეს. აი, რას ამბობს წმინდა წერილი! და ვისაც ღვთის თაყვანისცემა სურს, აქ, ამ წმინდა ადგილას უნდა ილოცოს და არა იერუსალიმში, რომელიც წინასწარმეტყველებს ხოცავს!

- ყველა ადგილი წმინდაა, - მშვიდად მიუგო იესომ, - და ღმერთიც ყველგან სუფევს, მოხუცო, და ყველანი და-ძმანი ვართ.

გაოგნებული მოხუცი მას მიუბრუნდა:

- როგორ, სამარიტელნი და გალილეველნიც?

- დიახ, სამარიტელნი და გალილეველნიც! და იუდეველნიც! ყველანი და-ძმანი ვართ.

მოხუცმა წვერი მოიქეჭა, საფიქრალს მიეცა. თანაც იესოს ათვალიერებდა, აკვირდებოდა.

- ღმერთი და ეშმაკიც? — ჰკითხა ბოლოს, ხმადაბლა, უხილავ ძალებს რომ არ გაეგოთ.

იესო შეკრთა. აქამდე არასოდეს დაფიქრებულა იმაზე, ღმერთის წყალობა ისეთი დიდი თუა, რომ ერთ დღეს ლუციფერსაც მიუტევენ და მასაც გაუხსნის ცათა სასუფევლის კარს.

- არ ვიცი, მოხუცო, — უპასუხა, - ეგ არ ვიცი. ადამიანი ვარ და ვფიქრობ ადამიანებზე, იმის იქით, ღმერთის საქმეა.

ბერიკაცს არაფერი უთქვამს. ისევ წვერს იქეჭავდა, ფიქრში ჩაძირულიყო და მზერას მიაყოლებდა უცნაურ მგზავრებს, წყვილ-წყვილად რომ მიდიოდნენ და ხეებს შორის უჩინარდებოდნენ.

მოსაღამოვდა. ცივი ქარი ამოვარდა, მოგზაურებმა ერთ მღვიმეს მიაგნეს და შეეფარნენ. ყველა ერთმანეთს შეეყუჟა, რომ გამთბარიყვნენ, თითოეულს გამოეზოგა ნატენი პური, შიმშილი დაიოკეს. ჟღალწვერა გარეთ გავიდა, ფიჩხი მოაგროვა, ცეცხლი დაანთო, დანარჩენებიც გამოცოცხლდნენ, ცეცხლს შემოუსხდნენ და მღვიმარედ აყოლებდნენ მზერას ცეცხლის ალს. ქარს უსმენდნენ, რომელიც დაუდგრომლად ქროდა, ტურებს, შემადონებლად რომ გაჰკიოდნენ, შორეული გრგვინვაც ეყურებოდათ გარიზინის მთის მხარიდან. მღვიმის შესასვლელიდან გაჰყურებდნენ ცაზე ნუგეშად დაკიდებულ დიდ ვარსკვლავს, მაგრამ ცოტა ხანში ღრუბლებმა ისიც გადაფარა. თვალები მიეღულათ, ერთიმეორის მხარზე ჩამოდეს თავი. იოანემ შეუმჩნევლად გაიხადა სელის მოსასხამი და იესოს მოაფარა. ყველა ერთად, ღამურებივით ერთმანეთში ჩახვეულნი, ძილს მიეცნენ.

მეორე დღეს იუდეაში შევიდნენ. ხედავდნენ, როგორ იცვლებოდა ხეთა წყება: სულ სხვანაირი ჯიშის ხეები ჩამწკვივებულიყვნენ გზაზე — შეყვითლებული ჭადრები, დახუნძლული კერატისა და მარადმწვანე ფიჭვის ნარგავები. არემარეც კლდოვანი იყო, უწყლო, რთულად გასავლელი. სოფლები კი, თავ-თავიანთი ქონმახების წინ რომ ჩამომდგარიყვნენ, კაჟის ქვისაგან ჩამოთლილებს ჰგავდნენ. შიგადაშიგ, ამ ქვებს შორის, რომელიღაც ლურჯი, ნაზი, საამური ყვავილი თუ გამოჩნდებოდა. ხან კი, ამ უსაშველო მღვიმარებაში, რომელიმე ღრმა ხეობიდან კაკაბი დაიკაკანებდა: „წყალი თუ ნახა და წყურვილს იკლავს“ - გაიფიქრა იესომ, ხელისგულზე შეიგრძნო მისი თბილი მუცელი და სიხარულით აივსო. - რაც უფრო უახლოვდებოდნენ იერუსალიმს, გარემო მით უფრო უდაბურდებოდა. იქაური ღმერთიც სხვა იყო და მიწაც აღარ იცინოდა, ისე როგორც გალილეაში... ამათი ღმერთი - კაჟის ქვისაგან იყო გამოთლილი, ისევე როგორც ეს სოფლები, ვით ეს ადამიანები. და ზეცაც, სამარიაში წუთიერად რომ წამოწვიმა და მიწა გააგრილა, აქ გავარვარებულ რკინას ჰგავდა. მძიმე ხვატი ითანგებოდა, წინ მიიწევდნენ დაქანცულნი კლდეებში გამოთლილ-ჩაშავებულ საფლავებს შორის. უხსოვარი დროიდან განისვენებდნენ იქ მათი წინაპრები, ისევ ქვად ქცეულნი. ამასობაში ჩამოლამდა კიდეც, თავი ცარიელ აკლდამებს შეაფარეს, მიწვნენ და ადრიანად დაიძინეს, რათა დილიდანვე მხნედ შესულიყვნენ წმინდა ქალაქში.

მხოლოდ იესოს არ მოუხუჭავს თვალი იმ ღამით. აკლდამებში დაიარებოდა, ღამეს აყურადებდა, მისი გული მშფოთვარებდა, იდუმალი ხმები, საშინელი გლოვა ისმოდა, თითქოს ტკივილისგან გატანჯული ათასობით ადამიანი გმინავსო... შუაღამისას ქარი ჩადგა, ღამე დამშვიდდა. და სწორედ ამ დროს, სიჩუმეში, სულისშემძვრელმა კვილიმა გააპო ჰაერი. თავიდან დამშეული ტურა ეგონა. მაგრამ შემდეგ, შეძრწუნებულმა იგრძნო, რომ ეს მისი გულის ხმა იყო.

- ღმერთო, - ჩურჩულებდა, - ღმერთო, ვინ მოთქვამს ჩემში? ვინ მწუხარებს?

დაიღალა, მანაც აკლდამას შეაფარა თავი, ხელები გულზე დაიკრიფა და ღვთის ნებას მიენდო. გამთენიისას სიზმარი იხილა; თითქოს მარიამ მაგდალინელთან ერთად იყო. უხმაუროდ. მშვიდად, ნაზად დაფრინავდნენ ერთი დიდი ქალაქის თავზე. მსუბუქად, დაუბრკოლებლად გადაევლებოდნენ სახურავებს, მიიწევდნენ. სადღაც, ქალაქის განაპირას, სულ ბოლო სახლის კარი გაიღო და მთასავით ბერიკაცი

გამოვიდა – ვება წვერი, ვარსკვლავციმციმა ლურჯი თვალეი ჰქონდა. სახელოები აეკაპიწებინა, ერთიანად გატალახიანებული ჰქონდა ხელები და მკლავები. შენიშნა ისინი, თავი ასწია და შეჰყვირა: „შესდექით! რაღაც მაქვს თქვენთვის სათქმელი!“. გაჩერდნენ: „გისმენთ, მოხუცო“. „მესია ისაა, ვისაც მთელი სამყარო უყვარს. მესია იგია, ვინც შეეწირება მთელი სამყაროს სიყვარულს!“ – თქვა ბერიკაცმა. „მეტი არაფერი?“ - ჰკითხა მაგდალინელმა. „ეს რა, ცოტაა?“ - ასძახა მოხუცმა მრისხანედ. „ნებას დაგვრთავთ, სახელოსნოში რომ შემოვიდეთ?“ - ახლა ეს იკითხა მაგდალინელმა. „არა! ვერ ხედავ, ხელები სულ თინაში მაქვს ამოვლებული?! მესიას ვძერწავ!“.

იესო შეკრთა, გაეღვიძა და იგრძნო, რომ სხეული შემსუბუქებოდა, თითქოს მართლაც ფრენა შეეძლო. თენდებოდა. მის თანამგზავრებსაც უკვე გაღვიძებოდათ და თვალთ ზომავდნენ გასავლელ გზას — კლდიდან კლდეზე, ბორცვიდან ბორცვზე და უფრო შორს, იერუსალიმისკენ.

გზას დაადგნენ, ეჩქარებოდათ. მიდიოდნენ, მიდიოდნენ, მაგრამ ეჩვენებოდათ, რომ წინ მდებარე მთები ადგილს იცვლიდნენ, ისინიც მიდიოდნენ და გზა სულ უფრო გრძელდებოდა.

- მგონი ვერასდროს მივალწევთ, ძმებო, იერუსალიმს. ვერ ამჩნევთ, რა ხდება? სულ უფრო მეტად შორეულდება! — თქვა სასოწარკვეთილმა პეტრემ.

- სულ უფრო მეტად გვიანლოვდება, – შეეპასუხა იესო, - პეტრე, გამხნევდი! როგორც ჩვენ მივაბიჯებთ მისკენ, ისიც ისე მოიწევს ჩვენკენ. მესიასავით.

- მესიასავით? — კითხვა შეაგება იუდამ და უცებ მოუბრუნდა.

- მესია მოდის, - თქვა იესომ მტკიცედ, – მესია მოდის და ეს შენ კარგად უწყი, იუდა, ძმაო. როცა მისკენ მივილტვით, გზად თუ მისხალ სიკეთეს ჩავიდენთ, კეთილ საქმეს ვიზამთ ან თუ კეთილ სიტყვას გავიმეტებთ, მესიაც აღარ დააყოვნებს, ჩვენთან მოვა. ხოლო თუკი უღირსები ვიქნებით, ბოროტები, მხდალები, მაშინ მესიაც განგვშორდება. მოძრავი იერუსალიმია მესია, ძმებო, ისიც გვესწრაფვის, ავჩქარდეთ, რათა მალე შევხვდეთ! გწამდეთ ღმერთისა და ადამიანის სულისა, რომელიც უკვდავია!

მხნეობა შეემატათ, ნაბიჯი ააჩქარეს, იუდა კვლავ დაწინაურდა და ახლა მთელ სახეზე ეფინა სიამე: „მართალს ამბობს, - თავისთვის ლაპარაკობდა და მიდიოდა, – კარგად ამბობს, მართალია მარიამის ძე. ზუსტად ამას გვეუბნებოდა მოხუცი რაბინიც. ჩვენზეა დამოკიდებული გამოხსნა. თუ გულზე ხელებს დავიკრეფთ, ისრაელის მიწა ხსნას ვერასდროს ჰპოვებს. ხოლო თუკი ყველა აღვდგებით, თავისუფლებას ვეზიარებით...“

იუდა თავისთვის მოლაპარაკობდა და მიდიოდა. უეცრად შედგა შეშფოთებული: „და მესია ვინ უნდა იყოს? — წაიჩურჩულა, – ვინ? იქნებ მთელი ხალხი არის მესია?“

იუდას გაღვითქული შუბლიდან ოფლი მოწურწურებდა. „იქნებ მთელი ხალხი?“ - პირველად მოუვიდა თავში ეს აზრი და შეაძრწუნა. „მართლა მთელი ხალხი რომ იყოს მესია? - იმეორებდა გონებაში. — მაგრამ მაშინ რაში გვჭირდება ეს

წინასწარმეტყველნი და ცრუწინასწარმეტყველნი, დიდი ამბითა და შიშით რომ მოველით, რათა ვინილოთ — მესია არის, თუ არ არის? არა, მესია მე მაინც ხალხი მგონია – მე, შენ, ყოველი ჩვენგანი, მთავარია, იარაღს მოვკიდოთ ყველამ ხელი“.

თქვა და გზა განაგრძო, თან სახრეს ჰაერში აშხუილებდა.

ასე გახალისებული მიდიოდა და თავის ახალ ფიქრს სახრესავით ათამაშებდა, რომ ჰოი, საოცრებას მის თვალწინ, ორწვერა ბორცვზე გამობრწყინდა ულამაზესი, ქათქათა, ამაყი და წმინდა იერუსალიმი. თანამგზავრებს არც კი მიახარა, მის უკან რომ მოუყვებოდნენ აღმართს. უნდოდა მარტო თვითონ დამტკბარიყო ამ ქალაქით – რაც შეიძლება დიდხანს ეცქირა. მისი ლურჯი თვალების ციმციმში ირეკლებოდნენ, კამკამებდნენ სასახლეები და კოშკები, ცინეთა კარიბჭეები და ქალაქის შუაგულში აღმართული, ოქროთი, კედრით და მარმარილოთი ნაგები, ღვთითმოსილი ტაძარი.

ამასობაში დანარჩენმა მეგზურებმაც მიაღწიეს და შეჰყვირეს:

- მოდიოთ, ჩვენი დედოფლის - იერუსალიმის მშვენიერება განვადიდოთ, - თქვა პეტრემ, უებრო მომღერალმა, - მოდიოთ, ყველამ ხმა შემიწყვეთ!

ხუთივემ გუნდი შეკრა, იესო ჩადგა მათ შორის და იგალობეს:

„ვიხარე, რომელთა მრჩეუეს მე: სახლსა უფლისასა შევიდეთ. დადგრომილ იყვნეს ფერხნი ჩუენნი ეზოთა შენთა, იერუსალემ. იერუსალემი შენებულ არს ვითარცა ქალაქი, რომლისა საყოფელნი მისნი მის თანა... იკითხეთ მშვედობა იერუსალემისა და განგებულებაც მოყუარეთა შენთან. იყავნ მშვედობა ძალითა შენითა და იეფობამ გოდოლ-ტაძრებსა შენსა. ძმათა ჩემთათას და მეგობართა ჩემთათვს ვიტყოდე მშვედობასა შენთს!“

XVI

გზები, ვერანდები, ეზოები, მოედნები - მთელი იერუსალიმი მწვანით შემოსილიყო. შემოდგომის დიდ დღესასწაულს ზეიმობდნენ და ათასობით ფანჩატური თუ საჩრდილობელი ზეთისხილისა და პალმის რტოების, ფინიკის, ფიჭვის და კედრის ტოტებისაგან გაემართათ. ისრაელის ღმერთიც ხომ ამას ავალებდათ — ხსომებოდათ ის ორმოცი წელიწადი, მათი წინაპრები უდაბნოში ხეტიალისას კარვებს რომ აფარებდნენ თავს. მკაც მოილიეს და რთველიც, წელიწადიც მიიწურა და წესისამებრ, ერთ კარგადნაკვებ ვაცს აჰკიდეს მთელი თავიანთი ცოდვები და მოიშორეს, ქვების სროლით უდაბნოსაკენ გააგდეს. ამიტომაც გრძნობდნენ უკვე სიმსუბუქეს, მათი სული განიწმინდა, ახალი წელი მოდიოდა, ღმერთი ახალ დავთარს გაშლიდა და რვა დღის განმავლობაში, ამ მწვანე კარვების ძირში უნდა ეჭამათ, ესვათ, ედიდებინათ ისრაელის ღმერთი, რომელმაც აკურთხა მკა და რთველი და კაციც მოუვლინათ, მათი ცოდვების ასაკიდებლად. ისიც ღვთისაგან მოვლენილი მესია იყო, ხალხის მთელ ცოდვებს იტვირთავდა და შედიოდა უდაბნოში, შიმშილისაგან კვდებოდა და ხალხის ცოდვებაც მას მიჰყვებოდა.

ტადრის ფართო ეზოში სისხლი მდინარესავით მიედინებოდა, ყოველდღიურად ურიცხვ საღმრთო მსხვერპლს ფატრავდნენ, წმინდა ქალაქი დამწვარი ქონის, ნეხვისა და ხორცის სუნად ყარდა. და მისი წმინდა ჰაერიც ბუკისა და საყვირის ხმებით გაჰკიოდა. უზომოდ ბევრს ჭამდნენ და სვამდნენ ადამიანები, სული უმძიმდებოდათ. პირველი დღე ფსალმუნებს, ლოცვებსა და მეტანიებს ეთმობოდა. ამ დროს უხილავი იაჰვე კმაყოფილი ჩამოდიოდა ფანჩატურიან კარვებში და ისიც ილხენდა, ხალხთან ერთად შეექცეოდა. ზოგიერთი მადლმოსილი იმასაც კი ამტკიცებდა, საკუთარი თვალით ვნახეთ, ტუჩებს რომ ილოკავდა და წვერს იწმენდდაო.

მაგრამ მეორე და მესამე დღეს ზედმეტი ხორცისა და ღვინის მიღებით ადამიანებს გონი ემღვრეოდათ და უტიფრად ლაზღანდარობდნენ, თავაშვებულად ხარხარებდნენ, დუქნის უწმაწურ სიმღერებსაც აღარ ერიდებოდნენ. დღისით-მზისით ქალები და კაცები ურცხვად ეხვეოდნენ ერთიმეორეს — ჯერ კარვებში, შემდეგ კი ყველას თვალწინ, ქუჩებში იცხრობდნენ ვნებას. და ყველა უბანი სავსე იყო ფერუშარილიანი, ერთიანად მუშკის სურნელმდინარი, სახელგანთქმული იერუსალიმელი მეძავებით. ქანაანის მიწის დასალიერიდან წმიდათა წმინდის თაყვანისსაცემად ჩამოსული მუშაკები და მეთევზეები წამში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მათ მრავალნაცად მკლავებში და თავს კარგავდნენ. ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ ასეთი ხელოვნებით შეიძლებოდა აღსრულებულიყო კოცნა და ასეთი საამო გემო ჰქონოდა.

შეშფოთებული იესო მიმოდიოდა ქუჩებში – გამომთვრალ და მიწას განრთხმულ ადამიანთა შორის და სუნთქვას იკავებდა: გულს ურევდა ეს სიმყრალე, ეს სიბინძურე და უტიფარი სიცილ-ხარხარი.

- წავიდეთ, გავეცალოთ, - სთხოვა თავისიანებს, - ნუღარ დავაყოვნებთ.

მარჯვნივ იოანე ამოუდგა, მარცხნივ — ანდრია და ასე ხელ კავგაყრილნი დაადგნენ გზას.

მაგრამ პეტრე ადგილ-ადგილ ჩერდებოდა გალილეველ მლოცველებთან საბაასოდ. ისინიც ღვინოს აწვდიდნენ, მისაყოლებელს სთავაზობდნენ, საუბარს გაუბამდნენ. პეტრე იუდას მოუხმობდა, იაკობიც მათ მიჰყვებოდა, რადგან არ უნდოდათ რომელიმე ნაცნობი გულნაკლული დაეტოვებინათ, მაგრამ წინ მიმავალნი ჩქარობდნენ, შეუჩერებლად მიდიოდნენ, დაუძახებდნენ და ისევ გზას აგრძელებდნენ.

- ოჰო, მოძღვარი არ გვანებებს, რომ ჩვენც კაცურად გამოვთვრეთ, — აბუტბუტდა ქეიფის გუნებაზე მოსული პეტრე, - კაი შარში ვართ!

- და ჯერ სადა ხარ, უბედურო პეტრე, - უთხრა იუდამ და თავი გააქნია, — გგონია, აქ სანადიმოდ მოვედით? შენ გგონია ქორწილისთვის ვართ აქ?

ამ საუბარში რომ იყვნენ და მიიჩქაროდნენ, ერთ-ერთი კარვიდან ჩახრენწილი ხმა მოესმათ:

- ჰეი, პეტრე, იონას ძევ, გალილეველო, მიდიხარ, გზაზე გადამეყარე და ისე ჩამიარე, არც კი შემამჩნიე? მოდი, ერთი ჭიქა დამილიე, ეგებ თვალებში სინათლე დაგიბრუნდეს და დამინახო!

პეტრემ ხმით იცნო და გაჩერდა:

- ჰეი, სიმონს გაუმარჯოს, ნამდვილ კვირენელს!

თქვა და თავის ორ თანამგზავრს მიუბრუნდა:

- აი, ამისგან კი თავს ვერ დავიძვრენტ, უნდა გავჩერდეთ და დავლიოთ. ეს განთქმული მსმელია – სიმონი, დავითის ჭიშკართან რომ ცნობილი დუქანია, მაგას ეკუთვნის. დიდი გამოჯეკილი ვინმე კია, მაგრამ კარგი კაცია, უნდა დავაფასოთ!

და მართლაც, სიმონი კარგი ადამიანი იყო. სიყმაწვილეში კვირენეადან ჩამოსულიყო იერუსალიმში, დუქანი გაეხსნა და ყოველ ჯერზე, როცა კი პეტრე იერუსალიმს მოადგებოდა, მასთან მიდიოდა ღამის გასათევად. დასხდებოდნენ ეს ორნი, ჭამდნენ, სვამდნენ, მასლაათობდნენ, ხუმრობდნენ, ხან სიმღერას დასძახებდნენ, ხან წაკინკლავდებოდნენ, მერე ისევ შერიგდებოდნენ, სმას განაგრძობდნენ, ბოლოს კი პეტრე საბანში გამოეხვეოდა, იქვე ტახტზე მიწვებოდა და გამოიძინებდა. და ახლა იდგა ეს სიმონი ვაზის რტოებით მოჩრდილული კარვის ძირში, ილღიაში დოქი ამოედო, ხელში ბრინჯაოს თასი ეკავა და მარტო სვამდა.

ორი ძველი მეგობარი ერთმანეთს გადაეხვია, ორივეს მოკიდებოდა ღვინო და ერთიმეორის მიმართ ისეთ სიყვარულს გრძნობდნენ, თვალები ცრემლით ავესოთ. როგორც კი ხვევნა-ჩახუტებისა და სიტყვა-პასუხის გაცვლის ჟინი ჩაუცხრათ, სიმონს სიცილი აუვარდა.

- თავს დავდებ, - თქვა, - აი, თავს დავდებ, რომ თქვენც მოსანათლად მიდიხართ. კარგადაც იქცევით, ჩემგან კურთხევა გაქვთ. აი, მეც გუშინწინ მოვინათლე და არც ვნანობ. ამასაც აქვს თავისი მადლი.

- და როგორ ამჩნევ, არის რამე უკეთესობა შენკენ? – ჰკითხა იუდამ, რომელიც არ სვამდა, მხოლოდ საჭმელს შეექცეოდა და ფხიზლად აკვირდებოდა ყოველივეს, რაც იქ ხდებოდა.

- რა გითხრა, აბა, მეგობარო? წლებია წყალში არ ჩავსულ ვარ. მე და წყალი ვერ მოვრიგდით ერთმანეთთან. მე ღვინის კაცი ვარ. წყალი ბაყაყებისთვის განკუთვნილი მგონია. მაგრამ გუშინწინ გულში ვთქვი: ჯანიც გავარდეს, წავალ და მოვინათლები! მთელი დუნია ინათლება, ახალმონათლულთაგან ზოგ-ზოგიერთი ღვინოსაც ხომ ეტანება, შეუძლებელია, რომ ყველა სულელი იყოს, წავალ, გავიცნობ, კლიენტებსაც მოვიზიდავ-მეთქი. დავითის კარიბჭე მთელმა სამყარომ იცის და ჩემი დუქანიც იქვე არ არის? ბევრი რომ არ ვილაპარაკო, წავედი, ველური კაცია წინასწარმეტყველი, ნამდვილი მძვინვარე მხეცი, რა გითხრათ, აბა? მისი ცხვირის ნესტოებიდანაც კი ცეცხლი იფრქვევა, ღმერთო, შენ მიშველე კისერში ხელი წამავლო და წყალში ისე ღრმად ჩამაყვინთინა, ყვირილი ავტეხე – არიქა, ეს უღმერთო, ახლა დამახრჩობს-მეთქი, მაგრამ ცოცხალი ვარ, აჰა, აგერ ვარ!

- და რამე უკეთესობას თუ ატყობ შენს თავს-მეთქი? - ისევ ჰკითხა იუდამ,

- ღვინოს ვფიცავ, გეფიცები, მიშველა ჩაყვინთვამ, ძალიან მარგო. შევმსუბუქდი. ნათლისმცემელი ამბობს, ცოდვები ჩამოგერეცხაო. მაგრამ ჩვენში რომ დარჩეს, მე მგონია, ჭუჭყი ჩამომერეცხა. იმიტომ რომ, იორდანედან რომ ამოვედი, წყლის ზედაპირს ერთი თითის სისქეზე ჰქონდა ზეთი მოდებული.

სიცილი აუტყდა, თასი შეავსო, მოიყუდა, მერე პეტრემ და იაკობმაც მიბაძეს. ისევ შეავსო და იუდას მიუბრუნდა:

- და შენ რატომ არ სვამ, ოსტატო? ღვინოა, შე დალოცვილო, წყალი ხომ არ არის?!

- მე არასდროს სვამ, - მიუგო ქლალწვერამ და თასი ჩამოიშორა.

სიმონს თვალები გაუფართოვდა.

— შენც იმათგან ხომ არ ხარ?.. - ხმადაბლა ჰკითხა.

- ხო, იმათგან, — უპასუხა იუდამ და ხელის ერთი აქნევით შეაწყვეტინა საუბარი.

ორმა ქალმა კეკლუცად ჩაუარათ, შეჩერდნენ, თვალი ჩაუკრეს ოთხ კაცს.

- და არც ქალი? - ჰკითხა გაოგნებულმა სიმონმა.

- არც ქალი! - ისევ უკმეხად უპასუხა ქლალწვერამ.

- კი მაგრამ, რატომ, უბედურო? - თავი ველარ შეიკავა და შესძახა სიმონმა, - აბა, რისთვის შექმნა ღმერთმა ღვინო და ქალი, იქნებ მითხრა? თვითონ რომ დრო გაიყვანოს თუ ჩვენ რომ დრო გავიყვანოთ?

ამ დროს ანდრიამ მოირბინა.

- აჩქარდით, აჩქარდით მოძღვარი გიხმობთ!

- ვინაა მოძღვარი? - იკითხა მედუქნე სიმონმა, - ისაა მოძღვარი, სულ თეთრები რომ აცვია, ის ფეხშიშველი?

მაგრამ სამი მეგობარი უკვე გზას დასდგომოდა, თავის კარავთან ჩამომდგარი სიმონ კვირინელი კი - ხელში ცარიელი თასითა და ილიაში ამოჩრილი დოქით - გაჰყურებდა მათ და თავს აქნევდა. „ესეც მეორე ნათლისმცემელი იქნება, - ჩურჩულებდა, - ესეც მეორე ღმერთგამწყურალი. ამ ბოლო დროს, რანაირად მომრავლდნენ სოკოებივით ეს წინასწარმეტყველები?! ერთი მაგისი სადღეგრძელოც ვთქვათ! ღმერთმა ეგებ ჭკუაზე მოიყვანოს!“ - ჩაილაპარაკა და თასი შეავსო.

ამასობაში იესო, თანამგზავრებთან ერთად, ტაძრის უზარმაზარ ეზოს მიადგა. შეჩერდნენ, ფეხები, ხელ-პირი განიბანეს, რათა ტაძარში შესულიყვნენ და თაყვანი ეცათ. მათ გარშემო ადამიანებითა და ცხოველებით გადატენილი ვერანდები, კარგად მოჩრდილული სტოები, თეთრი და ცისფერი მარმარილოს სვეტები მოჩანდა, რომლებიც ვაზითა და ოქროსფერი ყურძნის მტევნებით დახუნძლულიყო. შორიანლოს კი ხუხულები, კარვები და ორთვალეები, მეკერმეების ფარდულები, სადალაქოები, ღვინის დახლები და საყასბოები იდგა. ქარი ქროდა და თან მოჰქონდა

ჩხუბის, სიცილისა და ყვირილის ხმები. უფლის სახლი ოფლისა და ჭუჭყის სუნად ყარდა.

იესომ ხელისგული ცხვირსა და პირზე აიფარა და ირგვლივ მიმოიხედა, იქ არსად იყო ღმერთი. „მძულს და ვგმობ თქვენს დღესასწაულებს, სულს მიხუთავს ის სიმყრალე, რომელიც ჩემთვის შეწირული მსუქანი ცხვრებისგან მოდის. თქვენი საგალობლების და ქნარის ხმის მოსმენა არ შემიძლია...“ - ეს უკვე აღარ იყო წინასწარმეტყველი, არც ღმერთი იყო, ეს იესოს გული იყო, რომელიც აღდგა და ბობოქრობდა. თითქოს გული წაუვიდაო, უეცრად ყველაფერი გაქრა, ზეცა გაიხსნა და იქიდან ქროლვით გადმოეშვა თმაცეცხლოვანი ანგელოზი. თავსა და თმაზე ცეცხლის ალები და კვამლი ასდიოდა, ერთ შავ ლოდზე შედგა – ეზოს შუაგულში და მახვილი დიდებული მარმარილო-ოქროვანი ტაძრისაკენ მიმართა...

იესომ წაიბორძიკა, ანდრიას მკლავს წაეტანა. თვალები გაახილა და დაინახა ტაძარი, აზუზუნებული ხალხი, ანგელოზი კი სინათლეში გაუჩინარებულიყო და იესომაც ხელები გაშალა, თავისიანებს გადაულაპარაკა:

- მეტი აღარ შემიძლია, გული წამივა. გთხოვთ, გავშორდეთ აქაურობას!
- ისე წავიდეთ, რომ თაყვანი არა ვცეთ? – ჰკითხა შეწუხებულმა იაკობმა.
- ჩვენს გულში ვცემთ თაყვანს, იაკობ, - მიუგო იესომ, ყველა სხეული ტაძარია.

იქაურობას განერიდნენ. „ვერც ჭუჭყს უძლებს, ვერც სისხლს, ვერც ხმაურს, ეს არ არის მესია.“ - ფიქრობდა იუდა და სახრის შხუილით წინ მიიწევდა. გზად ერთი შლეგი ფარისეველი შეხვდათ, რომელიც ტაძრის ბოლო საფეხურზე დამხობილიყო, გაშმაგებით კოცნიდა მარმარილოს და მოთქვამდა. ყელსა და მკლავებზე ბლუჯად აესხა მსხვილ-მსხვილი თილისმები – საზარელი წარწერებით წმინდა წერილიდან. მეტანიისგან მუხლები აქლემის ჩლიქებივით გარქოვანებოდა, ხოლო სახე, ყელი და მკერდი დაესერა და ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა. ყოველ ჯერზე, როცა კი ღმერთის შტორმი ძირს დაანარცხებდა, ხელს დაავლებდა ბასრ ქვებს და ნამსხვრევებად აქცევდა ხოლმე.

ანდრიამ და იოანემ იესო სასწრაფოდ მოარიდეს, მისთვის თვალი რომ არ მოეკრა. პეტრე იაკობს მიუახლოვდა და უჩურჩულა:

- იცანი? ეს ხურო იოსების უფროსი ვაჟია, იაკობი. აქეთ იქით დაეხეტება, თილისმებს ჰყიდის, მაგრამ უცებ მოუვლის ხოლმე ბოროტი, ასე დაემხო და თავს იგვემს.

- ეს ისაა, გაშმაგებით რომ დასდევს ჩვენს მოძღვარს? - ჰკითხა იაკობმა და გვერდზე გადაგა.

- კი, ეგაა. ამბობს, ოჯახს გვირცხვენსო.

ტაძრის ოქროს ჭიშკარი გაიარეს, კედლების ხეივანსაც გასცდნენ და მკვდარი ზღვისკენ აიღეს გეზი. მარჯვნივ მოიტოვეს გეთსემანიის ბაღი და ზეთისხილის ჭაღა. თავზე მოელვარე ცა დაჰქათქათებდათ, ზეთისხილის მთაზე ავიდნენ და ქვეყნიერებაც უცებ დამშვიდდა. ზეთისხილის ყოველი ფოთლიდან სინათლე

მოჟონავდა, ყვავებმა გადაუფრინეს გუნდ-გუნდად და იერუსალიმის მიმართულებით წავიდნენ.

ანდრია იესოს ხელკავით მოჰყვებოდა და თავის ძველ მოძღვარზე - ნათლისმცემელზე უყვებოდა, თანაც რაც უფრო უახლოვდებოდნენ მის სამყოფელს, მით უფრო ძრწოლვით გრძნობდა მის ლომისებრ სუნთქვას.

- იგივე ელია წინასწარმეტყველია. კარმელის მთიდან ჩამოვიდა, რათა კვლავ ცეცხლით განკურნოს ადამიანთა სულები. ერთ ღამეს, ჩემი თვალით ვიხილე, მისი ცეცხლოვანი ეტლი როგორ დასტრიალებდა თავს ნათლისმცემელს. მეორე ღამეს, დავინახე, როგორ მოუტანა ერთმა ყვავმა ნისკარტით ანთებული ნაკვერჩხალი, რათა ეჭამა... ერთხელაც გავბედე და ვკითხე: „შენ ხარ მესია?“. ისე შეხტა, თითქოს გველმა დაგესლაო. „არა, - მიპასუხა და ამოიოხრა, - მე არ ვარ. მე ხარი ვარ და ვხნავ, ხოლო იგი თესლია“.

- და რატომ დატოვე იგი, ანდრია?

- იმიტომ, რომ თესლს ვეძებდი.

- მერე? იპოვე?

- კი, ვიპოვე! - უპასუხა, მაგრამ ისე ხმადაბლა, რომ მისი პასუხი იესომაც ვერ გაიგონა.

დაღლილ-დაქანცულები ნელ-ნელა მიუყვებოდნენ დაღმართს, მკვდარი ზღვისკენ. მზე უსაშველოდ აჭერდა, დაისიცხნენ. წინ მოაბის მთა აღემართათ, ვით ზეციური გალავანი, თანდათანობით რომ მალღებოდა. მათ უკან კი, იუდეის თაბაშირი ვით თეთრი მთები მოჩანდა. გზა სულ უფრო იხლართებოდა, ციცაბოდან თავქვე ეშვებოდნენ ღრმა ჭასავით ჩაქანებულში და ამოსუნთქვა უჭირდათ.

„ჯოჯოხეთში ჩავდივართ... ჯოჯოხეთისკენ მივექანებით...“ - ცალ-ცალკე ასე ფიქრობდნენ და კუპრისა და გოგირდის სუნს იყნოსავდნენ.

კამკაშა სინათლე თვალს სჭრიდათ, ძლივძლივობით მიიწევდნენ წინ, ფეხები დაწყლულებოდათ, თვალები ეწვოდათ.

ზანზალაკების ხმა მოესმათ, ორმა აქლემმა ჩაუარათ, აქლემები არც კი იყვნენ, მოჩვენებებს ჰგავდნენ და მზის ხვატმა შთანთქა.

- მეშინია, - წიბუტბუტა ზებედეს უმცროსმა ვაჟმა, — მგონი, ესაა ჯოჯოხეთი.

- აბა, მედგრად! — გაამხნევა ანდრიამ, — შენ რა, არ გსმენია, რომ სწორედ ჯოჯოხეთის გულშია სამოთხე ჩამალული.

- რა სამოთხე?

- მალე ნახავ.

მზე უკვე გადადიოდა, მოაბის მთებს მუქი ლურჯი დაეფინა, იუდეის მთებს კი – ვარდისფერი, მგზავრებმაც ღებნა ჰპოვეს – გზის მოსახვევში ისეთი შვება იგრძნეს მათმა თვალებმა და სხეულებმა, თითქოს კამკაშა წყალში შევიდნენო. ამ შუაგულ

უდაბნოში, საიდან გაჩნდა ეს სიმწვანე, ეს მორაკრაკე წყალი და დახუნძლოლი ბროწეულები, და ეს თეთრი, დაჩრდილოული სახლები? ჰაერს შეფრქვეოდა ჟასმინისა და ვარდის სურნელი.

- იერიქონი! – შესძახა გახარებულმა ანდრიამ, – ამაზე უტკბესი ფინიკები ქვეყნად არ არსებობს, და არც უფრო სასწაულებრივი ვარდებია სადმე. გამხმარიც კი, წყალში ჩადებ თუ არა, მყისვე ცოცხლდება.

წამსაც არ გაუვლია, რომ ჩამოღამდა და პირველი ჭრაქებიც აანთეს.

- გზას მიჰყვებოდე, ღამდებოდეს, სოფელს მიაღწევდე, ხედავდე როგორ ანთებენ ჭრაქებს, არ გაგაჩნდეს საჭმელი, არც ადგილი – მოსასვენებელი, და ბოლომდე მინდობილი იყო ღვთის წყალობასა და ადამიანთა სიკეთეს – აი, ესაა უდიდესი მადლი, – თქვა იესომ და შეჩერდა, რათა ამ წმინდა წუთით დამტკბარიყო.

სოფლის ძაღლებმა უცხო მგზავრების სუნი აიღეს და აყეფდნენ, სახლების კარები ბევრგან გაიღო, ანთებული ჭრაქებით ხელში გამოდიოდა ხალხი, სიბნელეს აკვირდებოდნენ და ისევ შიგნით შედიოდნენ. თანამგზავრებმა ჭიშკრებს ჩამოუარეს, აკაკუნებდნენ და ზოგან მასპინძლები სიხარულით სთავაზობდნენ თითო ნაჭერ პურს, მუჭა ფინიკსა თუ მწვანე ზეთისხილსა და ბროწეულს. ღმერთისა და ადამიანთა მიერ ნაწყალობები ეს სანოვაგე შეაგროვეს, ერთი მინდვრის ბოლოში ჩამოსხდნენ, წაიხემეს და მაშინვე მოეკიდათ ძილი. მთელი ღამე, მძინარენი უსმენდნენ, როგორ ზღვასავით ირწეოდა უდაბნო და მათ იავნანას დამღეროდა. მხოლოდ იესომ გაიგონა ძილში საყვირთა ხმა და იხილა, თუ როგორ ჩამოინგრა იერიქონის კედლები.

უკვე შუადღე ანლოვდებოდა, როცა დაღლილ-დაქანცული მეგობრები დაწყევლილ მკვდარ ზღვას მიადგენ – იმ ადგილს, სადაც მას მდინარე იორდანე უერთდებოდა. გაოგნებულნი მიაშტერდნენ სანაპიროს, რომელსაც ჯუჯა ხეები და გამხმარი კუნძულები ძვლებივით ამოზრდოდა. და ტყვიასავით უძრავი ჩანდა მდორე წყალი. თუკი ოდნავ დაიხრებოდი, მის კუნაპეტ სიღრმეში გაარჩევდი იმ ორ მეძავს – სოდომსა და გომორს, ერთმანეთს რომ გადანასკვოდნენ.

იესო კლდეზე ავიდა და იქიდან გადმოხედა არემარეს: სრული სიჩუმე ჩამოწოლილიყო... სიცხისაგან იწვოდა მიწა, იღვენთებოდნენ მთა-გორები.

იესომ ხელი მოჰხვია ანდრიას და დაეკითხა:

- აბა, სად არის ნათლისმცემელი? ვერავის ვხედავ... სულ ვერავის...

- ცოტა იქითაა, - უპასუხა ანდრიამ, – ლერწმებს მიღმა მდინარე მშვიდია, წყალს იგროვებს და სწორედ იქ ნათლავს წინასწარმეტყველი. წავიდეთ, ვნახოთ, გზა მახსოვს.

- დაღლილი ხარ, ჩემო ანდრია, აქ დარჩი, ამათთან ერთად. მარტო წავალ.

- არა, რაბი! ის ხომ ველური კაცია, წამოგყვები, შენთან ერთად მინდა ვიყო.

- მე კი მსურს, რომ მარტო წავიდე, ანდრია, დარჩი!

იესო ლელიანისაკენ გაუყვა. გული მძლავრად უცემდა. მკერდზე ხელმიდებული მიდიოდა, თითქოს გულს იჭერს და ასე ამშვიდებსო. უდაბნოდან ყვავების გუნდი წამოვიდა – იერუსალიმის მიმართულებით აეღოთ გეზი.

უეცრად იგრძნო, უკან ვიღაც მიჰყვებოდა. შემოტრიალდა. იუდა იყო.

- დაგავიწყდა ჩემთვისაც გეთქვა, – თქვა ჟღალწვერამ და გამომწვევად შეჰღიმა, – ყველაზე რთული წუთი დაგიდგა, ამიტომაც შენთან ერთად ვიქნები.

- წამოდი, – მიუგო იესომ.

იესო მიუძღვოდა, უკან იუდა მიჰყვებოდა. მიდიოდნენ უხმოდ, უსიტყვოდ. ლერწმებს შორის გზას მიიკვლევდნენ, ფეხები მეჩხერი მდინარის შლამში ეფლობოდათ. უეცრად შავი გველი გამოძვრა, იქვე, ლოდთან მისრიალდა, ნახევრად ლოდს შემოეხვია, ნახევარად წამოიმართა და დაუწყო მათ ყურება გაყინული თვალებითა და ჩუმი სისინით. იესო მოშორებით გადგა, ხელი ისე აღმართა – შინაურულად, თითქოს გველს ესალმებაო; იუდამ კი მუხის ტოტის ხელჯოხნი მოიმარჯვა, მაგრამ იესომ შეაჩერა:

- ნუ ავნებ, იუდა, ძმაო ჩემო, განა ისიც თავის წესს არ ადასრულებს, როდესაც გესლავს?!

მზე სულისშემხუთველად აჭერდა. მკვდარი ზღვიდან მონაბერ ჩრდილოეთის ქარს თან მოჰქონდა ხრწნის მყრალი სუნი. ახლა უკვე რალაცნაირი, ხრინწიანი, ველური ხმაც აღწევდა სადღაც შორიდან. შიგადაშიგ, იესო ზოგიერთ სიტყვასაც გამოარჩევდა: „ცეცხლი, ცული... ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი...“, შემდეგ - უფრო მკაფიოდ: „შეინანეთ! შეინანეთ!“ მერე გოდება და ცრემლნარევი ხმები შემოესმა. იესო ნელა მიიწევდა, ფეხაკრეფით, თითქოს ნადირის ბუნაგს ეპარებაო, ასე მიიკვლევდა ლელიანს, ხმა კი უფრო ძლიერდებოდა - და უეცრად ტუჩზე იკბინა, ყვირილი რომ შეეკავებინა. იორდანეს წყალში, ერთ ლოდზე ლერწამივით წვრილფეხება რამ შემდგარიყო - ადამიანი იქნებოდა, კალია თუ შიმშილის ანგელოზი? იქნებ შურისძიების მთავარანგელოზიც? ხალხი კი ტალღა-ტალღა აწყდებოდა ლოდებს და გოდებდნენ: ფრჩხილ-წამწამშელებილი არაბები, ცხვირზე მსხვილრგოლებასხმული ქალდეველები, ებრალები - გრძელი, ცხიმისანი ნაწნავებით. სამხრეთის ქარი ლერწამივით მიმოარხევდა მლაღაღებლის ხმას: „შეინანეთ! შეინანეთ! მოახლოებულ არს დღე უფლისა! თავს მიწას სცემდეთ, ქვიშას ჰწერწყვიდეთ, მწარედ გოდებდეთ! ძალთა უფალმა ბრძანა: იმ დღეს ვეტყვი მზეს, რომ შუადღისას ჩაესვენოს, ახალ მთვარეს რქებს მოვუდრეკ, წყვდიადს დავუშვებ ზეცასა და მიწაზე, თქვენს სიცილს კი ტირილად ვაქცევ, თქვენს სიმღერებს – ნატირლებად; ერთი ქარის ჩამოქროლებად აღმოვხდები და მთელი თქვენი შესამკობელი – ხელნი და ფეხნი, ცხვირნი და თმანი განგეძარცვებათ!“.

იუდა ერთი ნახტომით მიიჭრა იესოსთან, მხარში ხელი წაავლო და უთხრა:

- გესმის? გესმის? აი, როგორ უნდა ლაპარაკობდეს მესია! ეს არის ნამდვილი მესია, ეს!

- არა, ძმაო ჩემო, იუდა, - თქვა იესომ, — ასე ის ლაპარაკობს, ვისაც ხელთ არგანი უპყრია და გზას მესიას უთავისუფლებს.

იესო დაიხარა, წვრილი, მწვანე ფოთოლი მოგლიჯა და კბილებს შორის მოიქცია.

- ვინც გზას ამზადებს, სწორედ ის არის მესია! — გამოსცრა იუდამ.

იესოს უბიძგა, რათა ლელიანს მიღმა ვეღარ დამალულიყო და სახალხოდ გამოჩენილიყო.

- წადი, გიხილოს— მიუგო ბრძანების კილოთი, - თავადვე განსჯის!

იესოს მზე დაჰნათოდა, ორიოდ ნაბიჯი ძლივს გადადგა, თავბრუ ესმოდა, შედგა. მზერა ასკეტისათვის მიეპყრო, თვალებად ქცეული მისი სული ეძებდა, ადი-ჩადიოდა ლერწამივით წვრილი წვივებიდან აალებულ თავამდე და ცეცხლის ენებიდან წინასწარმეტყველის უხილავ სხეულამდე. ნათლისმცემელი ზურგით იდგა, მთელი ტანით იგრძნო დაჟინებული მზერა, მის სხეულზე რომ მიმოდიოდა, მრისხანედ შემობრუნდა, ორბისებრი, მოჭუტული თვალებით ცდილობდა გაერჩია, ვინ უყურებდა, ვინ იყო ის თეთრებით მოსილი ჭაბუკი, უხმოდ და უძრავად რომ ჩამომდგარიყო და თვალს არ აცილებდა... სადღაც, ოდესღაც უნახავს იგი. მაგრამ სად? როდის? ცდილობდა გაეხსენებინა, მთელი არსებით ცდილობდა. იქნებ დასიზმრებია კიდევ? ხშირად ეზმანებოდა ასე თეთრად მოსილები... კრინტს არა ძრავდნენ, მხოლოდ დაჟინებით უყურებდნენ, შემდეგ ხელს დაუქნევდნენ მისალმებისა თუ დამშვიდობების ნიშნად და ამასობაში, ეზოში მამალიც დაჰყვივლებდა, გათენდებოდა და ისინიც უჩინარდებოდნენ.

ნათლისმცემელმა იესო აათვალიერა და უცებ შეჰყვირა, გაახსენდა: ერთხელაც, შუადღისკენ, მდინარის ნაპირას წამოწოლილმა, თხის ტყავზე დაწერილი ესაია წინასწარმეტყველის წიგნი აიღო და უეცრად ქვები, ლოდები, წყლები, ლერწმები, მდინარეები ერთიანად გაუჩინარდნენ. ჰაერი ცეცხლით, საყვირების ხმითა და ფრთების შრიალით აღივსო. წინასწარმეტყველის სიტყვები კარიბჭესავით გაიხსნა და შემოვიდა მესია! ახსოვს: სულ თეთრებით მოსილი, თხელი, მზისაგან გარუჯული, ფეხშიშველი და როგორც ამას, კბილებს შორის მწვანე ფოთოლი მოექცია!

ასკეტის თვალები შიშმა და სიხარულმა ერთბაშად მოიცვა. ლოდიდან ჩამოხტა, იესოს მიაშურა და გაწვრილებული ყელი წაიგრძელა:

- ვინ ხარ? ვინ? – ჰკითხა აკანკალებული ხმით.

- ვერ მცნობ? – მის კითხვას კითხვა შეაგება იესომ და ერთი ნაბიჯით წაიწია.

მასაც ხმა უკანკალებდა: იცოდა, ნათლისმცემლის პასუხზე იყო დამოკიდებული მისი ბედი.

„ის არის, ის!“ - ფიქრობდა ნათლისმცემელი, თან გული ძლიერად უცემდა და ეშინოდა, ვერ გაებედა გადაწყვეტილება მიეღო. კვლავ დაეჭიმა ყელის ძარღვები:

- ვინ ხარ? – ისევ გაუმეორა.

- განა წმინდა წერილი არ წაგიკითხავს? - მიუგო იესომ, სიტკბო და საყვედურშერეული ხმით, თითქოს ამუნათებდეს, - წინასწარმეტყველთა წიგნები არ წაგიკითხავს? რას ამბობს ესაია? წინამორბედო, ნუთუ არ გახსოვს?

- შენ ხარ? შენ? — ჩურჩულებდა ასკეტი, მხრებში წაევლო ხელი და თვალებში ჩასჩერებოდა.

- მოვედი... - ნაღვლიანად აღმოხდა იესოს და სუნთქვა შეეკრა, ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდა. ფეხი ოდნავ წასწია, თითქოს მოსინჯა, შეძლებდა თუ ვერა ნაბიჯის წადგმას ისე, რომ არ წაქცეულიყო. ვერ შეძლო, არ ძალუძდა, წაიქცეოდა...

მისკენ გადახრილი ასკეტი წინასწარმეტყველი კი უსიტყვოდ მისჩერებოდა. ნუთუ მოესმა ის უბრალო და სანუგეშო სიტყვა, რომელიც იესოს აღმოხდა?

- მოვედი... - კვლავ ისე ჩუმად გაიმეორა მარიამის ძემ, რომ მის უკან მდგომი იუდას სმენასაც კი ვერ მისწვდა ეს სიტყვა.

ამჯერად წინასწარმეტყველი შეკრთა. დიახ, გაიგონა!

- ნუთუ? - იკითხა და გაოგნებისგან თმა ყალყზე დაუდგა.

ამ დროს მათ თავზე ყვავმა გადაიფრინა და ხრინწიანად დასჩხავლა — ისეთი ადამიანის ხმით, რომელიც თითქოს იხრჩობაო, ან იცინის, ან დასცინისო. ნათლისმცემელი შემოსწყრა. ქვის ასაღებად დაიხარა, უნდოდა ესროლა. ყვავი უკვე თვალს მიჰფარებოდა, თუმცა ის მაინც ეძიებდა და თან უხაროდა, რომ ასე დრო გაჰყავდა, რათა მისი გონება ნელ-ნელა დამცხრალიყო... წელში გაიმართა:

- მობრძანდი, - თქვა მშვიდად და უემოციოდ შეხედა.

იესოს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ყურებში საშინელი ზუზუნის ჩადგომოდა. ნუთუ წინასწარმეტყველმა მართლა დალოცა ამ სიტყვებით - კეთილი იყოს შენი მობრძანება? - მართლა რომ ეთქვა, რა სასწაული, რა სიხარული და რა საშიში იქნებოდა ეს ყველაფერი!

ნათლისმცემელმა იქაურობას მოავლო თვალი, მზერა მიაპყრო მდინარე იორდანეს, ლელიანში, ტალახში მუხლებზე დაცემულნი საქვეყნოდ რომ აღიარებდნენ საკუთარ ცოდვებს.

მერე თავის სამწყსოს ასე, ნაჩქარევად დაემშვიდობა და კვლავ იესოს მიუბრუნდა:

- აი, ახლა კი შემიძლია, რომ წავიდე.

- ჯერ ადრეა! ჯერ მე უნდა მომნათლო, წინამორბედო! — იესოს ხმა ახლა უკვე მტკიცე და შეუვალი იყო.

- მე? შენ, შენ უნდა მომნათლო მე, უფალო...

- ჩუმად, ნუ გამოთქვამ. ჯერ არ მოწვევულა ჩემი ჟამი. აღასრულე!

იუდას ყური მათზე ეჭირა, უნდოდა გაეგონა, რაზე საუბრობდნენ, მაგრამ ჩურჩულს ვერ არჩევდა. სიხარულნაზავი ჩურჩული ისე ესმოდა, თითქოს ერთმანეთს ორი ჩქარი ნაკადი ერთვისო.

მდინარის ნაპირზე კი ხალხი აჩოჩქოლდა: ვინ უნდა ყოფილიყო ეს უცნაური მოხეტიალე მლოცველი, რომელსაც თეთრი კვართი ემოსა, თავს მზე დაჰნათოდა და სინათლე იფარავდა? თანაც, ცოდვებიც კი არ მოენანიებინა, მაინც თავდაჯერებითა და რწმენით შედიოდა წყალში?

ნათლისმცემელი წინ გაუძღვა. ღრმად რომ შევიდნენ, იოანე ლოდზე შედგა, მის გვერდით კი მდინარის ფსკერზე მიაბიჯებდა იესო, ისე რომ წყალი ნიკაპამდე სწვდებოდა.

იმ წამს, როდესაც ნათლისმცემელმა ხელი შემართა, რათა წყალი სახეზეც ეპკურებინა და ლოცვა წარმოეთქვა, ხალხს ერთიანად აღმოხდა ხმა: უცრად იორდანეს წყალი უძრავად დადგა, ყოველი მხრიდან ფერად-ფერადი თევზები მოცურდნენ, გარს შემოევლნენ იესოს და ფარფლებისა და კუდების ქნევით იწყეს ნავარდი წყალზე, თითქოს ცეკვავენო. და ვიღაც უცნაური, გაბურძგნილი არსება - სათნო მოხუცი ამოვიდა წყლის სიღრმიდან, ლერწმებს ჩამოეყრდნო და პირდაღებული მისჩერებოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, თვალები კი სიხარულითა და შიშით ანთებოდა.

ამგვარი სასწაულის შემსწრე ხალხი აბობოქრდა. ბევრმა ზურგი აქცია სანაპიროს, რათა არ დაენახათ, რაც ხდებოდა. სხვები, შუა პაპანაქებაში, სიცივისაგან აძაგდადნენ. ერთ-ერთმა, იხილა რა მდინარის სიღრმიდან ამომავალი, ტლაპოში ამოგანგლული მოხუცი, შეჰყვირა: „აი, იორდანე“ — და გულწასული დაეცა.

ნათლისმცემელმა ღრმა ნიჟარა აავსო და ხელისკანკალით იწყო წყლის პკურება იესოს სახეზე:

- ნათელს იღებს მონა ღვთისა... - უცებ შეჩერდა, ველარ მიხვდა რა სახელი უნდა წარმოეთქვა.

იესოს მიუბრუნდა, რათა სახელი ეკითხა მისთვის, და მაშინ, როცა ყველა ფეხისწვერებზე შემდგარიყო და მოუთმენლად ელოდნენ შეეტყოთ მისი სახელი, სადღაც ზემოდან ფრთების შრიალმა მოაღწია: ციდან დაეშვა უქათქათესი მტრედი – იქნებ იაჰვეს სერაფიმიც?! — დაეშვა და ნათელღებულის თავს ზემოთ შედგა; ცოტა ხანს ასე, უძრავად იდგა, შემდეგ სამგზის შემოუფრინა, სამი გვირგვინი აღენტო და ყველამ გაიგონა ხმა, რომელიც ფრინველმა გამოსცა - თითქოს რაღაც სახელს ამბობსო, პირველსმენილ სახელს, დაფარულს, იფიქრებდით - ნათლის მცემლის შეკითხვას ზეცა პასუხობსო.

ადამიანებს სმენა დაეხშოთ, საფეთქლები დაეჭიმათ: ფრთების ხმაც იყო და სიტყვებიც, ხმა ღვთისა, ხმა ფრინველისა, უცხო რამ სანახაობა, იესოს კი მთელი სხეული დაეძაბა, სურდა გაეგო, რადგან იგრძნო, რომ ეს იქნებოდა მისი სახელი, ჭეშმარიტი სახელი მისი; მაგრამ ვერ გაიგონა, ოდენ შეიგრძნო, რომ ერთბაშად ახმაურდნენ მასში ზვირთები, ფრთები, სიტყვები – მკაცრი და დიადი სიტყვები

ერთად გაისმოდა. ზეცას მიაპყრო მზერა და იხილა, ფრინველი უკვე ცის კაბადონზე აფრენილიყო და ისე მოჩანდა, როგორც ნათელი ნათელსა შინა.

მარტოოდენ ნათლისმცემელმა, ვისაც მრავალი წელი განელია უდაბნოებსა და უდაბურ მარტოობაში და ღვთის ენაც კარგად უწყობდა, ყოველივე მყისვე გაიგო:

- ნათელს იღებს, – ცახცახებდა და ჩუმად, თავისთვის ბუტბუტებდა, - ნათელს იღებს მონა ღვთისა, ძე ღვთისა, იმედი ადამიანისა!

და იორდანეს მიაწინა, რომ უკვე შეეძლო წყლის დინება, საითაც სურდა, იქით მიემართა.

საიდუმლო უკვე აღსრულდა.

XVII

უდაბნოში მზე ლომივით ამოიმართა, ისრაელის ყველა კარზე მიაკაკუნა და ებრაელთა სახლებიდანაც დილის შმაგი ლოცვა აღმოხდა უმოწყალო ღმერთის მისამართით:

„გიგალობებთ შენ, განგადიდებთ შენ, ღმერთო ჩვენო და ღმერთო მამათა ჩვენთა, ყოვლისშემძლეო და მრისხანე! შენ, ვინაც ჩვენ შეგვეწევი და გვმბრძანებლობ. დიდება შენდა, შენ უკვდავო, დიდება შენდა, აბრაამის მცველო. ვინ გარდავალს ძალსა შენსა, მეუფებას შენსა, ვინაც კლავ და მკვდრეთით აღადგენ და გამოხსნას მიაწინებ? დიდება შენდა, დიდება შენ, მხსნელო ისრაელისა! შენ განდევნე, გაანადგურე და მიმოჰფანტე მტერნი ჩვენი, ოღონდ სწრაფად, სანამ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ!“

მზის ამოსვლამ იესოსა და ნათლისმცემელს იმ დროს მიუსწრო, ჩამონგრეული კლდის ქიმზე რომ ისხდნენ და საუბრობდნენ. მთელი ღამის განმავლობაში ამ ორს ხელთ ეპყრა სამყარო – ხან ერთს, ხან მეორეს და განსჯიდნენ, თუ როგორ უნდა წარემართათ ქვეყნიერების მომავალი. ერთის სახე მკაცრი იყო და შეუვალი, მისი ხელები ზემოთ-ქვემოთ მოძრაობდნენ, თითქოს მართლაც ცული უპყრია და იქნევსო. მეორეს სახე მშვიდი იყო, ჩაფიქრებული და თვალებიც სიბრალეულით ჰქონდა აღსავსე.

– და არ კმარა სიყვარული? – ჰკითხა.

- არ კმარა, არა! — მრისხანედ მიუგო ნათლისმცემელმა, – ხე დალპა, ღმერთმა თავისთან მიმიხმო და ცული მიბოძა. მოვიტანე და ხის ძირს მივადექ. მე ჩემი ვალი მოვიხადე, ახლა შენი ჯერია! ხელი მოჰკიდე ამ ცულს და მძლავრად მოიქნე!

- ცეცხლი რომ ვყოფილიყავი, დავწვავდი... ხის მჭრელი რომ ვყოფილიყავ, ცულს მოვიქნევდი... მაგრამ გული ვარ და მიყვარს...

- მეც გული ვარ, ამიტომაც არ შემძლია უსამართლობას შევეგუო, უსირცხვილობას და უღირსობას შევეგუო. რანაირად შეიძლება, რომ გიყვარდეს უსამართლონი, უღირსნი და უსირცხვილონი? მოიქნე! ადამიანის ვალდებულებათაგან ერთ-ერთი, თანაც უმთავრესი არის რისხვა!

- რისხვა? – ჰკითხა იესომ და გული აუჯანყდა, – განა ყველანი ძმები არ ვართ?!

- რაო, ძმებო? — ირონიულად შეუბრუნა კითხვა იოანე ნათლისმცემელმა, - ძმები, არა?! შენ გგონია, რომ ეგ არის გზა ღმერთისა – სიყვარული?! აჰა, შეხედე!

გაბანჯგვლული, გაძვალტყავებული ხელი გაშალა და მკვდარი ზღვისკენ გაიშვირა, საიდანაც აქოთებული სუნი მოდიოდა:

- ხომ ჩაყვინთე და დაინახე ორი მეძავი — სოდომი და გომორი? ღმერთი განრისხდა, ცეცხლი სტყორცნა, მიწა დაამხო და ხმელეთი ზღვად იქცა, სოდომი და გომორი შთანთქა. აი, ეგაა ღმერთის გზა და მას უნდა მიჰყვე! რას ამბობენ წინასწარ მეტყველნი? უფლის დღეს ხეც კი სისხლს დაანთხევსო, ქვები გაცოცხლდებიან, დაიდვრებიან ამოშენებული კედლებიდან თუ ღობე-ყორედან და მოსახლეობაზე დაეშვებიან, დახოცავენო. უფლის დღე მოახლოვდა. პირველმა შევნიშნე ეს და ხმა აღმომხდა, ღმერთის ცული დავიტაცე და სამყაროს ძირს მივადექი. გეძახდი, გეძახდი, შენ მოგიხმობდი, რომ მოსულიყავ. აი, მოხვედი და მეც მივდივარ!

და მაშინვე ხელებში სწვდა, თითქოს მძიმე ცული უნდა შეაჩეჩოსო. იესომ უკან დაიხია, შეეშინდა.

- ცოტა ხანსაც მადროვე, – შეეხვეწა, - ნუ ჩქარობ. უდაბნოში გავალ, ღმერთს დავეკითხები, იქ უფრო კარგად ისმის მისი ხმა.

- და ცდუნების ხმაც უფრო კარგად ისმის ხოლმე იქ — ეს განსოვდეს. სატანა გყავს ჩასაფრებული, თავის ლაშქარს მწყობრად აწყობს. იცის, რომ მისთვის შენ ახლა ან სიცოცხლე ხარ, ან სიკვდილი. ამიტომაც თავს დაგატყდება მთელი თავისი მრისხანებითაც და სიტკბოთიც. მუდამ განსოვდეს, რომ უდაბნო ტკბილ ხმებსაც იტევს და სიკვდილსაც.

— ტკბილი ხმები და სიკვდილი ვერ დამამარცხებენ, მეგობარო, მენდე.

- გენდობი! ვაი, რომ ასე არ იყო! წადი! სატანას დაელაპარაკე, ღმერთსაც ყური მიუგდე და გადაწყვიტე. თუკი იგი ხარ, ვისაც ველოდი, ნიშნავს, რომ უკვე ისედაც ყოველივე განსაზღვრულია და თავს ვეღარ აარიდებ. ხოლო თუ ის არა ხარ, რატომ უნდა ვიდარდო, რომც დაიღუპო? წადი და ვნახავთ! მაგრამ იჩქარე! არ მინდა ასე ეულად მივატოვო ეს სამყარო.

- რა გითხრა იმ მტრედმა, ნათლობისას ჩემს თავზე ფრთები რომ შეაფრთხილა?

- მტრედი არ იყო. დღე დადგება და მის სიტყვებს შენც გაიგონებ, მანამდე კი მახვილივითაა შემართული შენს კისერზე ეს სიტყვები.

იესო ადგა, ხელი გაუწოდა, ხმა უთრთოდა.

- საყვარელო წინამორბედო, – თქვა, - ეგებ სამუდამოდაც გემშვიდობებოდე!

ნათლისმცემელმა პირი იესოს ტუჩებს მიუახლოვა. კარგა ხანს ასე იყო. ანთებულ ნაკვერჩხალს მიუგავდა პირი და იესოს ტუჩები დასწვა.

- შენში გადმოვა ჩემი სული, — უთხრა და გაძვალტყავებული ხელი მტკიცედ მოუჭირა, - თუკი იგი ხარ, ვისაც ველოდი, ისმინე ჩემი უკანასკნელი აღთქმანი, რადგან მგონია, რომ ამ მიწაზე ველარასდროს ველარ შევხვდებით. ველარასოდეს!

- გისმენ, — წაიჩურჩულა იესომ და გააჟრჟოლა, — ველი შენს სიტყვებს.

- სახე იცვალე, მკლავში ძალა მოგემატა და გულიც უფრო განგიმტკიცდა. შენი ხვედრი მძიმეა, შენს შუბლზე სისხლსა და ეკლებს ვხედავ... გაუძელი, ძმაო ჩემო და უმეტესო ჩემზე, გაუძელ! წინ ორი გზა გადაგეშლება: კაცის გზა - გავაკებული და გზა ღვთისა - დიდი აღმართი. აი, ამ ძნელ გზას უნდა დაადგე! გემშვიდობები! და ნუ სწუხარ განშორებათა გამო. შენი ვალი მოთქმა-გოდება არაა, შენი ვალია ცული იქნის და ურტყა ისე, რომ ხელიც არ აგიცახცახდეს. ეს შენი გზაა. ნუ დაივიწყებ: დიან, ორივე ღვთის ასულია, მაგრამ პირველად ცეცხლი იშვა, ხოლო შემდეგ - სიყვარული. და დაე, ჩვენც ჯერ ცეცხლით შევებათ! აბა, მშვიდობით!

მზე უკვე ამოსულიყო, არაბეთის უდაბნოდან ქარავნებმაც გამოაღწიეს, მომლოცველთა ახალ-ახალი ნაკადი მოემართებოდა, გადაპარსულ თავებზე ფერად-ფერადი ჩაღმები ეხურათ. ზოგს ყელზე თილისმად დაეკიდა ნახევარმთვარის ფორმად ქმნილი გარეული ტახის თეთრი ეშვები, ზოგიერთ მათგანს პატარა რვალის ქალღმერთების ქანდაკებები მოჰქონდა, თითქოს მხოლოდ თედოები ემჩნეოდათ, ისეთი ფორმისანი იყვნენ, ხოლო სხვებს კი მოკლული მტრების კბილები ჩამოეკიდათ ყელზე მძივად და აღმოსავლეთის მხეცებივით მოდიოდნენ, რათა მონათლულიყვნენ. ნათლისმცემელმა დაინახა თუ არა ისინი, მჭახედ დასძახა და კლდიდან დაეშვა. აქლემებმა იორდანის შლამში ჩაიჩოქეს და გაისმა უმოწყალო ხმა უდაბნოსი: „შეინანეთ, შეინანეთს მოახლოებულ არს დღე უფლისა“.

ამასობაში, იესო თავის თანამგზავრებთან დაბრუნდა და იხილა როგორ უტყვად მოწყენილად ჩამომსხდარიყვნენ მდინარის პირა. მას ელოდნენ.

უკვე სამი დღე და სამი ღამე გასულიყო იესოს გაუჩინარებიდან. ნათლისმცემელსაც იმავე ხნით მიეტოვებინა ნათლობა და მასთან ლაპარაკობდა. მას სიტყვა არ ელეოდა და იესოც თავჩაქინდრული უსმენდა. რას უქადა, ასე მტაცებელი ფრინველივით რომ დასცხრომოდა თავზე? და რატომ იყო ერთი ასეთი გამმაგებული, მეორე კი - მწუხარე? - ბოლმით აღვსილი იუდა ამაზე ფიქრობდა და ბოლთას სცემდა. და როგორც კი ჩამოღამდა, კლდესთან ჩუმად მიიპარა, რომ მიეყურადებინა. ლაპარაკობდნენ ისევ ორნი, ლოყა ლოყაზე მიდებულნი ლაპარაკობდნენ. იუდამ სმენა კი დაძაბა, მაგრამ მხოლოდ გაურკვეველი ჩურჩული ესმოდა, სწრაფი ჩურჩული - გამდინარე წყლის ხმასავით, სხვა არაფერი. ერთი ჩამოასხამდა, მეორე კი ივსებოდა. თითქოს მარიამის ძე დოქი იყო წყაროს წყალთან შეყუდებული. ჟღალწვერა ისევ ჩამოხონდა კლდიდან და კვლავ შემოილივით მოჰყვა ბოლთის ცემას იმ შუა წყვდიადში: „სირცხვილი ჩემი, - ჩურჩილებდა, — თავის მოჭრაა, რომ ესენი ისრაელის შესახებ ბჭობენ, მე კი იქ არ ვარ! ნათლისმცემელს ჩემთვის უნდა გაენდო თავისი საიდუმლო, ჩემთვის უნდა ეანდერძებინა თავისი ცული, მე შემწევს ძალა აღვასრულო, მე შემიძლია და არა იმას! იმიტომ რომ მხოლოდ მე მტკივა ისრაელი ის კი, ჭკუასუსტი, დადის, ქადაგებს და სულ არ ეთაკილება,

გაიძახის - ყველა ძმები ვართ, მჩაგვრელებიც და ჩაგრულებიც, ისრაელიტებიც და რომაელებიც და ბერძნებიცო, წყეულიმც იყოს!“.

კლდის ძირში მიწვა, სხვა თანამგზავრთაგან მოშორებით, ასე ერჩივნა. მაშინვე წაართვა ძილმა თავი და ნათლისმცემლის ხმა მისწვდა მის სმენას. გაფანტულად აღწევდა მისი სიტყვები: „ცეცხლი, სოდომი და გომორი, მოიქნე, დასცხე!“ ფეხზე წამოხტა. მაგრამ როგორც კი თვალები მოიფშვნიტა და გამოერკვა ველარაფერი გაიგონა. მხოლოდ ღამის ჩიტების შეფრთხილება და გადაძახილი, ტურების კვილი და იორდანის ბუტბუტი აღწევდა ლელიანიდან... მდინარეზე ჩავიდა, გაცეცხლებული თავით წყალში ჩაყვინთა, რათა რისხვა ასე დაეცხრო. „რა, იმ კლდიდან აღარ ჩამოვა? – გაგულისებული იმეორებდა თავისთვის, - ჩამოვა და უნდა თუ არა, მაინც გავიგებ.“

ახლა კი, თვალი მოჰკრა თუ არა, იესო რომ უახლოვდებოდა, ფეხზე წამოხტა. დანარჩენი თანამგზავრებიც სიხარულით წამოიშალნენ და შეეგებნენ. მხრებზე, ზურგზე უთათუნებდნენ ხელებს, ეფერებოდნენ, იოანეს თვალები ცრემლით ამოევსებოდა. უყურებდნენ და მისი ცქერით ვერ ძლებოდნენ. მაგრამ თვითონ რაღაცნაირად დაფიქრებულიყო და ღრმა ნაოჭი აღბეჭდო და შუბლზე.

პეტრეს გულმა ვერ გაუძლო და ცნობისწადილით ჰკითხა:

- მოძღვარო, რაზე გელაპარაკებოდა ამდენი ხანი ნათლისმცემელი? რა გითხრა, ასე რომ დაგამწუხნა? თავს აღარ ჰგავხარ, რა თქვა ასეთი?

- მალე გაეცლება აქაურობას, - თქვა იესომ, - რამდენიმე დღეა დარჩენია! ეახელით, მოინათლეთ! მე მივდივარ.

- სად მიდიხარ, მოძღვარო? — აღმოხდა ზებედეს უმრწემეს ძეს და სამოსზე მოეჭიდა, — ყველანი შენთან ერთად წამოვალთ.

- უდაბნოში გავდივარ - თანამგზავრები არ მჭირდება: ღმერთს უნდა გავესაუბრო.

- ღმერთს? - იკითხა პეტრემ და სახე მოედრებლა, — ეგ იმას ნიშნავს, რომ აღარასოდეს დაგვიბრუნდება!

- დავბრუნდება, - თქვა იესომ და ამოიხრა, - უნდა დავბრუნდე. სამყაროს მომავალი ბეწვზე ჰკიდია. ღმერთი აღთქმას მომცემს თუ არა, დავბრუნდება!

- როდის? კიდეც რამდენი დღე ვერ გნახავთ? ან სად გვტოვებ? - სასოწარკვეთილნი ეკითხებოდნენ და ცდილობდნენ არ გაეშვათ.

მხოლოდ იუდა დამდგარიყო მოშორებით, ხმაგაკმენდილი უსმენდა მათ და მძულვარედ უყურებდა: „ცხვრები... ცხვრები... - ამრეზით ჩურჩულებდა, — დიდება ღმერთს ისრაელისა, რომ მე მგლად შემქმნა“.

- ღმერთი როცა ინებებს, მაშინ დავბრუნდება, ძმებო. მშვიდობით. აქ დარჩით და დამელოდეთ. მალე შევიყრებით!“

გულდათუთქულნი უყურებდნენ, როგორ თანდათანობით მიიწევდა უდაბნოსაკენ. უწინდელივით მიწას მსუბუქად კი არ ეხებოდა, მძიმე იყო მისი ნაბიჯი, საფიქრალით აღსავსე. ერთი ლერწამი გადატეხა, რათა საბრჯენად

მოემარჯვებინა, თაღვან ხიდზე ავიდა, სიმაღლეზე შედგა და ქვემოთ ჩაიხედა. დაინახა, მდინარის ირგვლივ, შლამიან დინებაში ჩამდგარი მლოცველები, მათი მზით გარუჯული სახეები ბედნიერებისგან ბრწყინავდნენ. გასწვრივ კი, სანაპიროზე, სხვები ჯერ კიდევ მჯილს იცემდნენ, საკუთარ ცოდვებს ჰაერს გაანდობდნენ და მომლოდინე თვალებით შეჰყურებდნენ ნათლისმცემელს, რათა მათთვისაც ენიშნებინა და წმინდა დინებაში ჩაეყვინათ. ველური ასკეტი ბეჭებამდე ჩამდგარიყო იორდანის წყალში, ჯოგად ნათლავდა ადამიანებს და ნაპირისკენ ერეკებოდა – უსიყვარულოდ, მრისხანებით, მათ კი უკან სხვა ჯოგები მოჰყვებოდნენ. მზეზე ბრწყინავდნენ მისი მრგვალი თვალები და მოშვებული შავი წვერი, არასდროს რომ არ შეხებია სამართებელი. მისი ვეებად გახსნილი პირიდან კი მარადიული ღაღადისი ამოდიოდა.

იესომ თვალი მიმოავლო მდინარეს, ხალხს, გაღმა – მკვდარ ზღვას, არაბეთის მთებსა და უდაბნოსაც გადასწვდა მისი მზერა. დაიხარა და დაინახა თავისი ჩრდილი, წყალთან ერთად რომ მიირწეოდა მკვდარი ზღვისაკენ.

„რა ბედნიერება იქნებოდა, - გაიფიქრა, - ვიჯდე მდინარის სანაპიროზე, ვუყურებდე როგორ მიედინება წყალი ზღვისკენ, როგორ მიმოიხრებიან მასზე ხეთა ანარეკლები, ჩიტები, ღრუბლები და ღამით ვარსკვლავები, და მეც მასთან ერთად ვდიოდე. და არ მიჭამდეს გულს ამქვეყნიური საზრუნავი..“

ამგვარმა ფიქრმა შეაკრთო, განდევნა ცდუნება და ხიდიდანაც ჩამოვიდა, სწრაფი ნაბიჯით გაეშურა და უტყვად მდგარ კლდეებს მიეფარა. ჟღალწვერა კი იდგა მდინარის ნაპირას და თვალს არ აშორებდა. მიხვდა, საცაა სამზერელიდან მიეკარგებოდა, შეეშინდა მისი კვალი არ დაჰკარგვოდა და უკან მიჰყვა. დაეწია ზუსტად მაშინ, ქვიშის უსაზღვრო ზღვაში რომ უნდა შესულიყო.

- დავითის ძეგ, - დაუძახა, - შესდექ! სად მტოვებ?

იესო შემობრუნდა.

- იუდა, ძმაო, - შეევედრა, - ნუ მომყვები. მარტო უნდა ვიყო.

- მინდა გავიგო! – თქვა ჟღალწვერამ და გზა განაგრძო.

- ნუ ჩქარობ! გაიგებ, როცა ამისი დრო დადგება. მხოლოდ ამ ერთ რამეს გამცნობ, ძმაო ჩემო, იუდა, გიხაროდეს! ყველაფერი აღსრულდება!

- ეგ „ყველაფერი აღსრულდება“ ჩემთვის არაფერს ნიშნავს! მგელს მხოლოდ დაპირება ვერ დაუცხრობს შიმშილს. შენ ვერ მიმხვდარხარ იმას, რაც მე ვიცი.

- გთხოვ, ცოტა ხანსაც მოითმინე! შეხედე ხეებს. განა ესენი სულსწრაფობენ, განა მათაც ეჩქარებათ ნაყოფის გამოსხმა?

- მე ხე არა ვარ, კაცი ვარ! — არ შეეპუა ჟღალწვერა, - და რახან კაცი ვარ, ანუ მოკვდავი — ნიშნავს, რომ უნდა ავჩქარდე! მე ჩემი კანონებით ვსაზღვრავ.

- ღმერთის კანონი ერთნაირად მიესადაგება ხეებსაც და ადამიანებსაც, იუდა.

ჟღალწვერამ კბილები გააღრჭიალა:

- და რა ჰქვია აი, მაგ კანონს? — დამცინავად ჰკითხა.

- დრო! — მიუგო იესომ მშვიდად.

იუდა შეეკვნა, მუშტი მოკუმა, იგი არ დაემორჩილება კანონს, რომელიც მეტისმეტად ნელა აღესრულება, რადგან მას ძლიერ ეჩქარება, თავის კანონს უნდა მიჰყვეს, რომელიც დროის საწინააღმდეგოდ მიედინება,

- ღმერთი უსასრულოდ ცოცხლობს, - შეჰყვირა, - იმიტომ რომ უკვდავია. მას შესწევს ძალა მოითმინოს, დაელოდოს. მაგ რამ მე კაცი ვარ, როგორც გითხარი, ის, ვისაც ეჩქარება. არ მინდა, ისე მოგვკვდე, რომ არ ვიხილო და არა მხოლოდ უნდა ვიხილო, უნდა შევეხო კიდევ – აი, ამ, ჩემი საკუთარი ხელებით უნდა შევეხო მას, რაზეც ვფიქრობ.

- იხილავ, - მიუგო იესომ და ხელი ასწია, რომ დაემშვიდებინა, - იხილავ და შეეხები, ძმაო, მენდე! აბა, დაგემშვიდობები! უდაბნოში ღმერთის წინაშე უნდა წარვსდგე!

- მეც მოვდივარ შენთან ერთად!

- უდაბნო ვერ დაიტევს ორს, უკან დაბრუნდი!

როგორც პატრონის ხმის გაგონებისას დაიღრენს ხოლმე მწევარი, ისეთნაირად აღმოხდა ხმა ჟღალწვერას და კბილები გააელვა, მაგრამ თავი ჩაღუნა და უკან გაბრუნდა. მძიმედ გადავლო ხიდი, მილაპარაკობდა და მიდიოდა. ფიქრობდა იმ წლებზე, ბარაბასთან ერთად რომ დაეხეტებოდა, ნეტავი იმ დროს! და მუამბოხებთან ერთად რომ დაძრწოდა მთებში, ან რა ქარი ქროდა მაშინ — სიშმაგისა და თავისუფლების ქარი, ან როგორი წინამძღოლი ჰყავდათ – ყაჩაღი ღმერთი ისრაელისა! აი, ასეთი წინამძღოლი სჭირდებოდა. რა ესაქმება ამ გონებაარეულთან, რომელსაც სისხლის ეშინია და გაჰყვირის — „სიყვარული, სიყვარულიო!“, თითქოს მეოცნებე ქალწული იყოს? მაგრამ მოდი, ცოტაც მოვიცადოთ, ვნახოთ ერთი, უდაბნოდან რას მოიყოლებს?!

იესო უკვე შესულიყო უდაბნოში და სიღრმისკენ მიიწევდა, ეჩვენებოდა, ლომის ბუნაგში შევდივარო და აჟრჟოლებდა, არა შიშისგან, არამედ რაღაც იდუმალი და აუხსნელი სიხარულისგან. უხაროდა, მაგრამ რატომ? ეს ვერ აეხსნა. და უეცრად გაახსენდა...

გახსენდა, რომ დიდი ხნის წინათ, სულ პატარა რომ იყო და წესიერად ლაპარაკიც კი არ შეეძლო, სიზმარი ნახა ერთ ღამეს — ეს პირველი სიზმარი იყო მის ცხოვრებაში, რომელიც დაამახსოვრდა. იხილა, თითქოს ღრმა მღვიმეს შეეფარა, ძუ ლომს წააწყდა, რომელსაც, ის-ის იყო, ბოკვრები დაეყარა და ძუძუს აწოვებდა. და როგორც კი შეხედა მათ, მყისვე შიშშილი და წყურვილი იგრძნო, ბოკვრებთან ერთად გაწვა და ლომის ძუძუს დაეწაფა. შემდეგ ყველანი მინდორში გამოვიდნენ, მზეზე თამაშს მოჰყვნენ. ასე თამაშში რომ იყვნენ, უეცრად დედამისი, მარიამი მოვევლინა, იხილა რა ლომებთან ერთად მოთამაშე შვილი, შეჰყვირა. ამ ყვირილზე იესოს გაელვიდა, შეხედა დედას, მის გვერდით მიწოლილს რომ ეძინა და: „რად გამაღვიძე, რად? - ჩასძახა, - ჩემს და-ძმასთან და დედასთან ერთად მერჩივნა“.

„ახლა მესმის რად მიხარია, - გაიფიქრა, - დედის - ლომის მღვიმეში, უდაბნოში შევდივარ და სწორედ ეს მანიჭებს სიხარულს“

შემაშფოთებელი სისინი ისმოდა აქეთ-იქიდან, რომელსაც გველები და კლდეთა შორის მოზუზუნე გამჭოლი ქარი გამოსცემდნენ, და კიდეც — უდაბნოს უნილავი სულები.

- სულო ჩემო, - აღმოხდა გზნებით, — აქ გამოჩნდება, უკვდავი თუ ხარ.

უკნიდან ნაბიჯების ხმა მოესმა, სმენად იქცა. ქვიშაში ვიღაც მოდიოდა - აუჩქარებელი, მტკიცე ნაბიჯებით უახლოვდებოდა. ისევ გააჟრჟოლა. „სულ დამავიწყდა იგი, — გაიფიქრა, - მაგრამ სამაგიეროდ, მას არ ვავიწყდები, სულ თან დამყვება დედაჩემი!“

უწყოდა, წყევლის დემონი რომ იყო, მაგრამ კარგა ხანია, რაც მას დედათი მიმართავდა.

გზა განაგრძო, გონება კვლავ წარსტაცა ფიქრმა, ისევ ის მტრედი გაახსენდა. თითქოს მის არსებაში უცხო ჩიტი გამომწყვდეულიყო, ეგებ სულაც ჩიტი კი არა, მისი სული იყო, რომელიც თავისუფლებისთვის ფრთხიალებდა. იქნებ გაფრინდა კიდეც და ის მტრედი რაღა იყო, ნათლობისას რომ დასტრიალებდა. დაჰლულუნებდა და მის თავზე კამარას კრავდა? არა არც ჩიტი იყო იგი, არც სერაფიმი! მისი სული იყო, სული, რომელიც თავს ევლებოდა.

მიხვდა. დამშვიდდა. კვლავ გზა განაგრძო. ესმოდა ქვიშის შრიალი უკან, მაგრამ ახლა უკვე განმტკიცებულიყო მისი გული, ყველაფრის ღირსეულად გადალახვა შეეძლო. „ყოვლისშემძლეა ადამიანის სული, — გაიფიქრა, - როგორადაც უნდა, ისეთად მოგვევლინება..“ აი, მაშინ ჩიტად გარდაისახა და ფრთები შრიალით შემოავლო თავზე... ასე მშვიდად მიმავალი უეცრად შედგა და შეჰყვირა. გონებაში გაჰკრა ეჭვი: „ვაითუ, ის მტრედი ოდენ თვალის საცდური, სასმენელის ზუზუნნი, ქარის ქროლვის ხმა იყო და სხვა არაფერი... მახსოვს, მისი სხეული ისე მსუბუქად, ყოვლისშემძლედ მომეჩვენა, ისე ბრწყინავდა, როგორც სული, და რისი მოსმენაც მწადდა, სწორედ ის გავიგონე, რისი ხილვაც მინდოდა, სწორედ იგი ვიხილე. და ჰაერსაც ისე ვძერწავდი, ისეთ ფორმას ვაძლევდი, როგორც მსურდა... ღმერთო ჩემო, ღმერთო, ახლა როცა განვმარტოვდებით, სიმართლე გამაგონე, აღარ ძალმიძს ამ ხმების აღქმა!“.

მზევ მასთან ერთად მიიწევდა, უკვე ცის თალის შუაგულამდე მიეღწია, თავს დაჰნათოდა. გავარვარებულ ქვიშაში კი ფეხები უხურდა. მიმოიხედა, რამე ჩრდილისმაგვარი რომ ეპოვა და უეცრად, ზემოდან ფრთების შრიალი მოესმა. აინება და ყორნების გუნდი დაინახა, ერთბაშად რომ ეძგერნენ თხრილს, რომელშიც რაღაც შავად მოჩანდა და ლპობის სუნს გამოსცემდა.

ნესტოებზე ხელი მოიჭირა, ახლოს მივიდა. ყორნები დასცხრომოდნენ ლემს, კლანჭებით ჩაფრენოდნენ და ძიძგნიდნენ. როგორც კი მიახლოებული ადამიანი შენიშნეს, მძულვარედ წამოფრინდნენ, თითოეულს ხორცის ნაფლეთი ჩაებლუჯა კლანჭებით, მაღლა აიჭრნენ, ჰაერში წრეს არტყამდნენ და დასჩხაოდნენ არამკითხე მგზავრს, მალე გასცლოდა იქაურობას. იესომ გადაიხედა თხრილში და იხილა

ნახევრად გამოჭმული შავი ცხოველი – გაფატრული მუცლით, მოკლე, მოვარდისფრო რქებითა და გახრწნილი ყელით, რომელზეც მძივადასხმული თილისმები მოუჩანდა.

„წმინდა ვაცი, - ჩურჩულებდა და ჟრუანტელი უვლიდა, - წმინდა ვაცი, საკუთარად რომ იტვირთა ადამიანთა ცოდვები, ვისაც სოფელ-სოფელ და მთა-მთა დევნიდნენ, მერე უდაბნოში შემოაგდეს და აქ მოკვდა..“

დაიხარა, ქვიშა შიშველი ხელებით როგორღაც ბლომად გადააყარა და ლეში მთლიანად ჩაფლა:

- ძმაო ჩემო, - წარმოთქვა, - უცოდველი იყავი, წმინდა, ისე როგორც ყველა ცხოველი, მაგრამ უბირმა ადამიანებმა შენ აგკიდეს თავიანთი ცოდვები და სასიკვდილოდ გაგიმეტეს. იქვე მიწად, ნუ განრისხდები მათზე! ადამიანებს, ამ საბრალო და უსუსურ ქმნილებებს, იმის სიმამაცე არ გააჩნიათ, თვითონვე ზღონ საკუთარი ცოდვებისთვის და სხვას, უბრალოს, არ აჰკიდონ შეცოდებანი... შენც მათ გამო ზღავ, ძმაო ჩემო, მშვიდობით!

გზა განაგრძო, მაგრამ უცბადვე მოტრიალდა შემოფოთებული, ხელი აიქნია და შესძახა:

- შეხვედრამდე!

გააფთრებით დაედევნენ ყორნები. მათ საძლომი ლეში გამოსტაცა და ახლა თვითონ მას ასდევნებოდნენ, ელოდნენ როდის დაეცემოდა, რათა ერთად მისეოდნენ, მუცელი გაეფატრათ და შეეჭამათ. მაგრამ მათ რატომ უნდა შემოსწყურეს? განა თავად ღმერთმა არ მიაკუთვნა ყორნებს ხვედრი, ლეში ეჭამათ? მაშასადამე, უნდა ზღოს კიდევ!

ამასობაში, მოსალამოვდა, დაიღალა. მოიკუნტა ერთ დიდ მრგვალ ლოდზე, წისქვილის ქვას რომ ჰგავდა. „მეტს ვეღარ ვივლი, წინ ვერ წავალ, — ჩურჩულებდა, - აქ, ამ ლოდზე მოვთავსდები და თავს დავიცავ“. ზეციდან უცებ დაეშვა ბნელი, მიწაზე განევრცო და არემარე გადაფარა. სიბნელეს თან ყინვაც მოჰყვა. სიცივისაგან იესო კბილებს აკაწკაწებდა, თავის თეთრ კვართში გაეხვია და თვალები მილულა. მაგრამ როგორც კი ძილმა წასძლია, შიშისაგან გამოფხიზლდა: ყორნები გაახსენდა, თანაც ყოველი მხრიდან დამშეული ტურების კვილი აღწევდა და იგრძნო, რომ უდაბნო მას გამძვინვარებულ მხეცად შემოსდგომოდა ყოველი მხრიდან. დამფრთხალმა კვლავ თვალები გაახილა: ცა გადაჭედილიყო ვარსკვლავებით, ნუგეშად ჰჰოვა ისინი. „ესენი სერაფიმებია, - გონებაში გაუელვა, - ესენი ექვსფრთიანი ცეცხლებია, რომლებიც ღმერთის ტახტის გარშემო გალობენ. მაგრამ შორს არიან, ძალიან შორს და ჩვენ არ გვესმის მათი გალობა. ახლა გამოჩნდნენ, რათა მართო არ დამტოვონ...“ ვარსკვლავ ნათელი მოეფინა მის გონებას, დაავიწყდა, რომ შიოდა, რომ სციოდა. თვითონაც ხომ ცოცხალი არსება იყო – ხანმოკლე ბრწყინვა სრულ წყვილიადში, ისიც უფალს უგალობდა. მისი სულიც ერთი ბეწო ციმციმაა, მოკრძალებული და უბრალოდმოსილი დობილი ანგელოზებისა... გული მოეცა, როგორც კი თავისი მაღალი წარმომავლობა გაახსენდა და იხილა საკუთარი სული, ანგელოზებთან ერთად, ღვთის ტახტრევის გარშემო. და მხოლოდ მაშინ გაბედა მშვიდად, უშიშრად დაეხუჭა თვალები და დაეძინა...

გამთენიისას, აღმოსავლეთისკენ მზირალმა იხილა ვეება მზე, ქვიშიდან რომ ამოდოდა. „აი, ესაა ღმერთის სახე, – გაიფიქრა და თვალები ხელით მოიჩრდილა, რათა მზეს თვალი არ მოეჭრა. „უფალო, – წაიჩურჩულა, – ერთი მწიკვი ქვიშა ვარ, მამჩნევ ამ უდაბნოში? ერთი მწიკვი ქვიშა, რომელიც გესაუბრება, რომელიც სუნთქავს და უყვარხარ. უყვარხარ და მამას გიწოდებს. სიყვარულის გარდა, მე სხვა იარაღი არ გამაჩნია. ამ იარაღით დავიწყე ბრძოლა, დამეხმარე!“.

თქვა და ლერწმის ღერით იმ ადგილას, სადაც ეძინა, წრემოხაზა.

- ამ კალოდან მე არ გავალ, – წარმოთქვა ხმამაღლა, უხილავი ძალების გასაგონად, მას რომ ჩასაფრებოდნენ, – ისე არ გავალ ამ კალოდან, რომ ღმერთის ხმა არ გავიგონო. მაგრამ ცხადლივ უნდა გავიგო, არა ბუნდოვანი ზუზუნით, როგორც სჩვევია, არა ჭიკჭიკის ან ქუხილის სახით, არამედ მკაფიოდ. ადამიანური სიტყვებით უნდა მელაპარაკოს, მამცნოს, რა სურს ჩემგან და რა შემიძლია... არა, რა შემიძლია სხვა რამეა, მამცნოს, როგორ უნდა მოვიქცე. მხოლოდ მაშინ გავალ ამ კალოდან, რათა სოფელ-სოფელ და კარდაკარ ჩამოვიარო, თუკი ასეთი იქნება მისი ბრძანება. ან რათა მოვკვდე, თუკი ასე ინებებს იგი. დავემორჩილები, მაგრამ ვიცოდე! ღმერთის სახელით!

შემდეგ ლოდზე ჩაიმუხლა, აღმოსავლეთით მიედრიკა სახე, დიდი უდაბნოსაკენ. თვალები დახუჭა და ის ფიქრები შემოიკრიბა, რომლებიც ჯერ კიდევ ნაზარეთს, მაგდალას, კაპერნაუმს, იაკობის ჭას, მდინარე იორდანეს დასტრიალებდნენ თავს და მათ დარაზმვას მოჰყვა. ბრძოლას იწყებდა.

ყელგაწვდილი, თვალდახუჭული ჩაიძირა ამ ფიქრებში. წყლის ხმაური, ლერწამთა შრიალი, ადამიანთა მოთქმა – ტალღა-ტალღა აღწევდა მდინარე იორდანედან ეს ხმები და მუქარები თუ შორეული, სისხლმდინარი იმედები. უპირველესად ის სამი დიდი ღამე აღუდგა გონებაში, რომელიც კლდეზე ველურ ასკეტთან დაჰყო და ეს სამი ღამე აბჯარასხმული შემოიჭრა უდაბნოში, რათა მასთან ერთად ჩაბმულიყო ბრძოლაში.

პირველი ღამე გიგანტურ კალიად დაატყდა თავს – განმგმირავი მოყვითალო თვალები, მოყვითალო ფრთები და მუცელზე გამოყვანილი უცნაური, მწვანე ასოები რომ ჰქონდა. მისი სუნთქვა მკვდარი ზღვა იყო. თავს დაესხა და გაცოფებული კვეთდა ჰაერს ფრთებით. იესომ შეჰყვირა და პირი იბრუნა. ნათლისმცემელი ედგა გვერდით, თავისი გაძვალტყავებული მკლავი წყვდიადში მიემართა იერუსალიმისკენ.

- შეხედე რას ხედავ?

- არაფერს.

- არაფერს? შენ წინ წმინდა იერუსალიმია, წმინდა მეძავი, ნუთუ ვერ ხედავ? რომაელის სქელ მუხლებზე ჩამომჯდარა და ხარხარებს.

„არ მინდა იგი, – ყვირის უფალი, – ნუთუ ესაა ჩემი ცოლი? არ მინდა იგი“. უფლის ფეხებთან მეც ძალღივით ვყეფ და გავყვირი: „არ მინდა იგი“. მის კომპომოსალტულ ნავსადგომში დავეხეტები და ვუყეფ: მეძავო! მეძავო ოთხი ციხის ფართო კარიბჭე

ამშვენებს მას: ერთში შიმშილი ჩამომჯდარა, მეორე ში — შიში, მესამეში — უსამართლობა, ხოლო მეოთხეში, ჩრდი ლოეთისკენ — უღირსობა. შევდივარ, მის ქუჩებში მიმოვდივარ, ადამიანებს ვაკვირდები. შეხედე მათს სახეებს: მხოლოდ სამი მათგანია მძიმე, ქონიანი, გამაძლარი, სამი ათასი კი — შიმშლის გან მიმკვდარებული. იცი, როდის აღიგვება პირისაგან მიწისა ეს სამყარო? როდის და, მაშინ, როცა სამი ბატონი ზედმეტსა ჭამს, ხოლო სამი ათასი ადამიანი შიმშილისაგან იხოცება. შეხედე, კი დევ ერთხელ დააკვირდი მათს სახეებს. ყველაზე მეტად შიში ემჩნევათ, ნესტოები უცანცახებთ, უფლის დღის სუნი მისდით. ქალებს შეხედე! მათგან ყველაზე უმწიკვლოც კი ვნებით უმზერს თავის მონას, ტუჩებს ილოკავს და ანიშნებს — მოდიო! ახლა ჭერქვეშ ჩაიხედე, კარგად დააკვირდი: მეფეს მუხლებზე უზის თავისი ძმის ცოლი, სიკვდილი! მაგრამ ის კი არ მოკვდება — ის სისხლის აღმრევი, მე, მე მოკვდება — მე, ასკეტი. რატომ? იმი ტომ რომ მოაწია დღემ უფლისა!

მთელი პირველი ღამის განმავლობაში იესო იჯდა ნათლის მცემლის ფეხით და უყურებდა იერუსალიმის ოთხ ღია ჭიმ კარს, რომლებშიც შედი-გამოდოდნენ შიმშილი, შიში, უსამართ ლობა და უღირსობა. ხოლო მის თავზე რისხვითა და სეტყვით სავსე ღრუბლები დაფარებულიყვნენ.

- მეორე ღამით კვლავ გაიწვდინა ლერწამივით წვრილი ხელი ნათლისმცემელმა, მერე გაიქნია, დრო და ადგილი გაფანტა და თქვა:

- ყური მიუგდე, რა გესმის? — არაფერი მესმის.

- როგორ არაფერი? ნუთუ არ გესმის უმჯულოება - ძუკნა, რომელიც უსირცხვილოდ აიჭრა ცაში, ღვთის ჭიმკართან როგორ ჰყეფს? განა თვითონ არ იხილე იერუსალიმი? არ მოუსმინე მღვდლებსა და მღვდელმთავრებს, სწავლულებსა და ფარისევლებს, ტაძარში რომ დადიან და ჰყეფენ? მაგრამ ღმერთი არ დაუშვებს ამ მიწიერ უსირცხვილობას. მთებს გადადგამს, გააცამტვერებს და ჩამოვა. წინ რისხვა მოუძღვის, უკან კი ზეცის სამი გააფთრებული მწევარი — ცეცხლი, კეთრი და ცოფი მოსდევს. სად არის, აბა, ის ტაძარი — ოქროცურვილი საოცარი სვეტებით რომ აღმართეს და თან ამბობდნენ: უკუნითი უკუნისამდე, უკუნითი უკუნისამდეო! ფერფლად იქცა ის ტაძარი! ფერფლად იქცევინა მღვდლები, მღვდელმთავრები, სწავლულნი და ფარისევლნი, ფერფლია მათი წმინდა თილისმები, მათი აბრეშუმის მოსასხამები და ოქროს ბეჭდები! ფერფლი! ფერფლი! ფერფლი! სად არის იერუსალიმი? ანთებული ჩირაღდნით ხელში დავეძებ. მთებს შორის, უფლის წყვდიადში და გავყვირი: იერუსალიმს იერუსალიმ! მაგრამ გარშემო უდაბნოა, სიცარიელე, ყორნებმაც კი მიატოვეს იქაურობა. მუხლებამდე ვეფლობი თავის ქალებსა და ძვლებში, ცრემლით მევსება თვალები, მაგრამ ტირილს ვუძალიანდები და ვიციანი, დავიხრები და ყველაზე სწორ ძვლებს ამოვარჩევ, სალამურად გარდავქმნი და უფალს ვუგალობ.

მთელი მეორე ღამის განმავლობაში ნათლისმცემელი იცინო და და ღვთის წვდიადში ხოტბას ასხამდა ცეცხლს, კეთრსა და სიშლეგეს. იესო ნათლისმცემელს მუხლებში ჩაუვარდა:

- არ შეიძლება სიყვარულმა იხსნას კაცობრიობა? – ეკითხებოდა, - სიყვარულმა, სიხარულმა და წყალობამ გამოიხსნას ეს სამყარო?

ნათლისმცემელმა კი ისე, რომ მისკენ არც მიბრუნებულა, უპასუხა:

- ნუთუ არ წაგიკითხავს წმინდა წერილი? მხსნელი ნეკნებს ამსხვრევს, კბილებს ამტვრევს, ცეცხლს მოუვლენს და მინდვრებს გადაწვავს, რათა დათესოს. ამოძირკვავს ეკლებს, მყრალ ბალახებს, ჭინჭრებს, რათა დათესოს, აბა, როგორ გააქრობ ამ სამყაროდან სიცრუეს, უღირსობას, უსამართლობას, თუკი უკეთურებს არ მოსპობ? ნუ გებრალემა, მიწა უნდა უნდა განიწმინდოს, მიწა უნდა მომზადდეს, რომ ახალი თესლი გაღვივდეს.

მეორე ღამემ ჩაიარა. იესო დუმდა, მესამე ღამეს ელოდა, იქნებ წინასწარმეტყველს ხმა მოლბობოდა.

მესამე ღამით ნათლისმცემელი კლდეზე მშფოთვარედ მიმოდიოდა, აღარც იცინოდა, აღარც ლაპარაკობდა, გამალებით აკვირდებოდა იესოს მკლავებს, ხელებს, ზურგს, მუხლებს, თავს აქნევდა და სიტყვას არ ძრავდა, ჰაერს ყნოსავდა. ვარსკვლავების შუქზე მისი თვალები ბრწყინავდნენ ხან მომწვანოდ, ხან მოყვითალოდ და ფერმკრთალი შუბლიდან სისხლი და ოფლი მოსდიოდა. ბოლოს კი, სადღაც გამთენიისას, როცა თეთრად ირიჟრაჟა, იესოს ხელები ჩასჭიდა, თვალებში ჩახედა, შუბლი შეჭმუნა:

- როცა პირველად დაგინახე, – უთხრა, - მდინარის ლელიანიდან რომ გამოჩნდი და ჩემკენ გამოემართე, გული ჩიტივით შემეფრთხილა, ისე, როგორც სამუელს შეუფრთხილა გული, როცა პირველად დაინახა ქერა უწვერული უფლისწული დავითი. სწორედ ასე დაემართა ჩემს გულსაც. მაგრამ ისიც ხორცია და ხორცი უყვარს, ამიტომაც არ ვენდობი. თუმც ამ საღამოს, თითქოს პირველად გიხილე — გაკვირდები, შენს სუნს ვიყნოსავ და სიმშვიდეს ვერა ვპოვებ. ვუყურებ შენს ხელებს და ეს ხელები არ არის ხისმჭრელისა, ეს არ არის მხსნელის ხელები. ისინი მეტად სუსტია და საბრალო, რანაირად მოიქნევენ ცულს? ვუმზერ შენს თვალებს და მხსნელისად არ მესახება, რადგან თანაგრძნობითაა აღსავსე.

წამოდგა და ამოიოხრა.

- შეუცნობელი და ბნელია შენი გზები, უფალო, – წაიჩურჩულა, – შენ შემძლე ხარ, თეთრი მტრედი მოავლინო საიმისოდ, რომ ცეცხლს მისცეს და ფერფლად აქციოს სამყარო. ჩვენ ცას ავცქერით - შენგან მოვლენილ მებს, არწივს, ყორანს ველოდებით, შენ კი ამ დროს თეთრ მტრედს გვიგზავნი. რა უნდა ვქნათ? რას აღვუდგეთ? დაე, ჰქმენ ისე, როგორც გინდა!

მკლავები გაშალა და იესოს ჩაეხუტა, ჯერ მარჯვენა მხარზე აკოცა, ხოლო შემდეგ მარცხენაზე.

- თუკი იგი ხარ, ვისაც ველოდი, - თქვა, - მე სხვაგვარი წარმომედგინე, მაგრამ სხვაგვარი მომევლინე. ნუთუ ამაოდ ვატარებდი ცულს და ხის ძირსაც სულ ამაოდ მივადექი მოსაჭრელად? იქნებ სწორედ სიყვარულია იგი, ვისაც ცული უნდა ეპყრას?

ექვები ღრღნიდა:

- არ შემიძლია განვსაჯო, - ბოლოს წაიბუტბუტა, - ისე მოვკვდები, ვერ გავიგებ. არა უშავს, ესაა ჩემი ბედისწერა. მკაცრია იგი და ამიტომაც ვაღიარებ.

იესოს ხელი დაუჭირა:

— კეთილი გზა! უდაბნოში ღმერთს ესაუბრე. მაგრამ სწრაფადვე გამობრუნდი, რათა სამყარო არ მიატოვო.

იესომ თვალები გაახილა, ჰაერში ერთხელ გაიღვავა და გაქრნენ მდინარე იორდანე, ნათლისმცემელი, ნათელღებულნი, აქლემები, ადამიანთა მოთქმა. მის წინ ისევ უდაბნო გადაიშალა. მზე ცის თაღზე შემომდგარიყო და იწვოდა. ქვებს პურის სუნი ასდიოდათ და იგრძნო, რომ შიმშილი უმკიდა წიაღს. „მშია“, - წაიჩურჩულა და ქვებს შეხედა, - „მშია!“ - თქვა და გაახსენდა პური, რომლითაც მოხუცი სამარიტელი ქალი გაუმასპინძლდათ: რა გემრიელი იყო იგი, თაფლივით ტკბილი! გაახსენდა თაფლი, რომლითაც სოფელ-სოფელ ხეტიალისას უმასპინძლებოდნენ, და გადამწიფებული ზეთისხილი, ფინიკები, წმინდა ვახშამი, როცა გენესარეთის სანაპიროზე ჩაიმუხლებდნენ და კოცონზე შემწვარ, სურნელოვან თევზს შეექცეოდნენ. შემდეგ კი გონებაში წამოუტივტივდა ლეღვი, ყურძენი, ბროწეულები...

ყელი გაუშრა, სწყუროდა. რამდენი მდინარე მიედინება დედამიწაზე, კლდიდან კლდეზე რამდენი წყარო მიჩუნჩუნებს, როგორ ივსება ისრაელის ერთი ბოლოდან მეორემდე იორდანე და მკვდარ ზღვაში იკარგება - მას კი წვეთი არ მოეპოვება წყურვილის მოსაკლავად! წყალზე ფიქრმა წყურვილიც მეტად გაუმძაფრა. თავბრუ დაეხვა, თვალთ დაუბნელდა... და ამ დროს კურდღლებს მიგვანებული ორი დემონი ამოხტა ცხელი ქვიშიდან, უკანა ფეხებზე შედგნენ, წაიცკვეს, მობრუნდნენ, მეუდაბნოე დაინახეს, სიხარულით აწყლოპინდნენ და ხტუნვა-ხტუნვით მიუახლოვდნენ. მუხლებზე აახტნენ, მხრებზე დაასკუპდნენ: ერთი წყალივით გრილი იყო, მეორე კი - პურივით თბილი და სურნელოვანი. და ის იყო, მათი დაჭერა მოინდომა, ერთი შეითამაშეს და ჰაერში გაუჩინარდნენ.

თვალები დახუჭა, კვლავ მოუხმო ფიქრებს, შიმშილსა და წყურვილს რომ გაეფანტა, ღმერთი შემოვიდა მის გონებაში და უკვე აღარც შიოდა და აღარც სწყუროდა. მის გონებაში შემოვიდა სამყაროს ხსნაც და რა იქნებოდა, უფლის დღეც რომ სიყვარულით დამდგარიყო! განა ღმერთი ყოვლისშემძლე არ არის? მაშ, რატომ არ უნდა მოავლინოს სასწაული, შეეხოს გულებს და აყვავოს? ისე, როგორც ეხება ხოლმე ყოველ წელიწადს, პასექის დღესასწაულზე, მცენარეთა კვირტებს, ბალახებს, ეკალ-ბარდებს და ისინიც იფურჩქნებიან? რა იქნება, ერთ დილას რომ გაიღვიძონ ადამიანებმა და მთელი მათი წიაღი აყვავებული იყოს?!

გაიღიმა. შიგნით სამყარო უყვავდა: სისხლისამრევი მეფე მონათლულიყო, სული განეწმინდა, თავისი რძალი - ჰეროდია განეგდო და ისიც თავის ქმარს დაბრუნებოდა. მღვდელმთავრებმა და მმართველებმაც გახსნეს სკივრები და საგანძურები, სიმდიდრე დატაკებს დაურიგეს. ღარიბებმა შვებით ამოისუნთქეს, გულიდან სიძულვილი, შური და შიში განაგდეს... იესომ თავის ხელებს შეხედა, ხოლო ცული, რომელიც წინამორბედმა მას გადასცა, ნუშის რტოდ აყვავებულიყო და ხელში ეჭირა.

ამ ნეტარებაში გაიარა მთელმა დღემ, ისევ ლოდზე მიწვა და ჩაეძინა და მთელი დამე ეხილვებოდა, როგორ მოჩუხჩუხებდნენ წყაროები, როგორ დახტოდნენ ციციქნა ბაჭიები, აყურადებდა რაღაც უცნაურ ხმაურს და გრძნობდა, გამალებით რომ დაეძებდა ვიღაცა ყნოსვით. შუალამისას, ერთი მშვიერი ტურა მიადგა ასე მოეჩვენა, რომ ყნოსავდა. ნუთუ მკვდარია? თუ ჯერ არ მომკედარა? შეყოყმანდა, წამიერად შედგა, მძინარე იესოს შეეცოდა, უნდოდა მკერდი გადაეხსნა და მისი შიმშილი ასე დაეცხრო, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან იცოდა, ეს სხეულიც ადამიანებისთვის უნდა მიეძღვნა.

გამთენიის ჟამს გამოეღვიძა, ზეცაზე დიდი ვარსკვლავები მიმოდიოდნენ, ხავერდოვანი იყო ჰაერი. „ამ დროს მამლები იღვიძებენ, - გაიფიქრა, - სოფლები იღვიძებენ“... ადამიანები ფხიზლდებიან და სანათურიდან შემოპარულ ვარდისფერ სხივს თვალს უსწორებენ. ამ დროს ჩვილებიც იღვიძებენ, ტირილს მორთავენ და დედებიც სავსე ძუძუს ახვედრებენ დასანაყრებლად... წუთიერად უდაბნოს თავზე სამყარო შეირყა, ადამიანებითა და მათი სახლებით, მამლებით, ჩვილებითა და დედებით - ყველაფრით, რაც კი დილის ნისლისა და ჰაერისგან შექმნილიყო. ახლა ამოვა მზე და შთანთქავს ამ ყოველივეს... მეუდაბნოეს გული მოეწურა. „ნეტავ შემეძლოს – გაიფიქრა, - რომ ეს ნისლი მარადიულად გადავაფინო! უფსკრულია ღმერთის სამსაჯვრო, საზარელი ნანგრევია მისი სიყვარული: ერთ სამყაროს აღმოაცენებს და ნაყოფის გამოსხმისას გააცამტვერებს, შემდეგ კი სხვას აღმოაცენებს“. „ვინ იცის, შესაძლოა სიყვარულს ეპყრას ხელში ცული...“ - გაახსენდა ნათლისმცემლის სიტყვები და გააჟრჟოლა, უდაბნოს გადახედა. სულმთლად წითლად შეფერილიყო და ნისლმოცული კრთოდა მზის ქვეშ, რომელიც რისხვით აღმოხდა ამ დილას. ქარმა დაჰბერა, კუპრისა და გოგირდის სუნი მოიყოლა და გონებაში წარმოუდგა მთელი თავისი სასახლეებით, თეატრებით, დუქნებით და საროსკიპოებით ერთიანად კუპრში ჩანთქმული სოდომი და გომორი. „შეიწყალე, უფალო, - გაჰყვიროდა აბრაამი, — ნუ გადაწვავ. განა შენ კეთილი არ ხარ?! შეიბრალე შენი ქმნილებანი“. „მე სამართლიანი ვარ, - მიუგო უფალმა, - და ამიტომ მათ გავაცამტვერებ“.

„ნუთუ ესაა გზა ღმერთისა? ანუ დიდი სირცხვილია გული შეგეძრას — ეს მიწის ბელტი, სველი თიხა – და ითხოვდე: „შესდექ!““. მაშ, რა არის ჩვენი ვალი? რა და მიწას დავხედოთ და ღვთის ნაკვალევი ამოვიცნოთ, რათა მივყვეთ მას. მიწას ჩავცქერი და ცხადად ვხედავ სოდომსა და გომორზე დაჩნეულ ღმერთის ნაფხურებს. იმისი ნაფხურია მთელი ეს მკვდარი ზღვა, დააბიჯა და შთაინთქნენ სასახლეები, თეატრები, საროსკიპოები, შთაინთქა მთელი სოდომი და გომორი! კვლავ დააბიჯებს და ისევ შთაინთქმება მიწა - მეფენი, მღვდელმთავრები, ფარისევლები, საღუკეველნი – ყველანი ფსკერზე აღმოჩნდებიან!“

და აყვირდა, ისე რომ თავადაც ვერ მიხვდა, რამ ააყვირა. გონება შეძვროდა და სრულიად მოეცვა სიშმაგეს. დაავიწყდა, რომ მუხლებმა უმტყუნა და წამოდგომა სცადა, რათა უფლის ნაკვალევს გაჰყოლოდა, მაგრამ მყისვე ჩაიკეცა სულმიხდილი და გულადმა გაწვა ქვიშაზე. „არ შემიძლია, ხომ ხედავ, რომ არ შემიძლია? - შეჰყვირა და მზერა ცეცხლმოდებულ ზეცას მიაპყრო. — არ შემიძლია! რატომ მაინცდამაინც მე? რისთვის ამირჩიე? ძალა არ შემეწევს, ვერ გავუძლებ!“.

დაუდგა გულაღმა დაცემული, მუცელგაფატრული და შავად მოელვარე ვაცი. გაახსენდა, რომ საცოდავ მსხვერპლს როცა დაბინდულ თვალებში ჩახედა, საკუთარი სახე დაინახა. „მე ვარ ვაცი, - ჩურჩულებდა, - მე ვარ... ღმერთმა გზაზე იგი იმისთვის შემახვედრა, რომ მივმხვდარიყავ, ვინ ვარ და საით მივდივარ...“ - და უეცრად ცრემლები გადმოსცვივდა. „არ მინდა... არა... არ მინდა... - ჩურჩულებდა, - არ მინდა მარტოობა, დამეხმარეთ“.

ასე პირქვედამხობილი გოდებდა, რომ უეცრად თბილმა ქარმა დაუბერა, კუპრისა და ლეშის სუნი მიმოფანტა და მიდამოს საამო სურნელი მოჰფინა. შორიდან მოისმა ეჟვნების ხმა, სამაჯურების ჟღარუნის, სიცილ-კისკისი და წყლის ხმები. მეუდაბნოეს გრილმა სიომ შვება მოჰგვარა. თვალები გაახილა: მის წინ, ლოდზე წამოყელყელავებულიყო გველი, რომელსაც თვალები და მკერდი ქალისას მიუგავდა, ენას ჰყოფდა და მომნუსხველად შესცქეროდა. მეუდაბნოეს შეეშინდა, უკან გახტა. ეს გველია თუ ქალი? იქნებ უდაბნოს ბოროტი სულია? ასეთი იყო ის გველიც, სამოთხის ბადის აკრძალულ ხეს რომ შემოეხვია, პირველი კაცი და პირველი ქალი რომ აცდუნა და ერთმანეთს შერთო, რამაც პირველი ცოდვა შვა... ქალის ვნებიანი სიცილი და ტკბილი ხმა გაისმა:

- შემებრალე, მარიამის ძევ! ხომ ამბობდი - არ მინდა მარტოობა, მომეშველეთო.. შემეცოდე და მეც მოვედი. ეგებ დაგეხმარო!

- არ მჭირდება, შენთვის არ მიხმია! ვინა ხარ?

- შენი სული ვარ!

- ჩემი სული?! — თქვა იესომ და შიშისაგან თვალები დახუჭა.

- ჰო, შენი სული! მარტო დარჩენის შეგეშინდა... სწორედ ასე ეშინოდა შენს წინაპარს - ადამს და „დამეხმარეთო“ - გაჰყვიროდა, შეერია ერთმანეთს მისი სული და ხორცი და მისი ფერდიდან ქალი იშვა, რათა მისი მარტოობის ზიარი გამხდარიყო...

- არ მინდა! არ მინდა! მახსოვს ის ვაშლი, რომლითაც შენ აცდუნე ადამი და ის მახვილიანი ანგელოზიც მახსოვს.

- გახსოვს? და ამიტომაც გტკივა, ყვირი და გზა ვერ გაგიგნია?! მე გიჩვენებ გზას. ხელი მომეცი და უკან არ გაიხედო, დაივიწყე! ჩემს მკერდს უყურე, წინ რომ მიიწევს და მას მიჰყევ, ქმარო ჩემო. მხოლოდ ესაა უსაფრთხო და ჭეშმარიტი გზა.

- ცოდვის ტკბილი სიამე გინდა რომ განმაცდევინო, ჯოჯოხეთისკენ მიბიძგებ, მაგრამ არ გნებდები, რადგან მე სხვა გზა მაქვს!

გველმა მაცდურად ჩაიციხა და წვეტიანი, შხამით სავსე კბილები გამოუჩინდა.

- შენ ის გინდა, რომ ღმერთის ნაკვალევს მიჰყვე, ანუ არწივისა და მატლის ნაკვალევს? გინდა, რომ შენ ერთადერთმა იტვირთო კაცობრიობის ცოდვები, ხუროს ძეო? ნუთუ შენი ცოდვები საკმარისი არაა? რა თავხედობაა, რომ შენს მოვალეობად მიგაჩნია სამყაროს გამოხსნა!

„მართალია... მართალია... - გაიფიქრა მეუდაბნოემ და აცახცახდა: — რა უკიდევანო თავხედობაა, რომ სამყაროს გამოხსნა მინდა!“.

გველი ლოდიდან ჩხრიალით ჩამოსრიალდა, თვალისმომჭრელად იკლაკნებოდა და მას უახლოვდებოდა. მეუდაბნოეს ფეხებთან მისრიალდა, ააცოცდა და მუხლებზე შემოეგრინა, შეისვენა, შემოერთყა ბეჭებზე, მხარზე გადმოეკიდა და პირდაპირ მკერდზე მიადო თავი. მეუდაბნოეც უნებურად დაიხარა, რათა მისთვის მოესმინა. გველმა ენით აულოკა ყური და გაისმა ძალზე მაცდური, შორეული ხმა, რომელიც თითქოს სადღაც გალილეიდან, გენესარეთის ტბის შემოგარენიდან მოდიოდა.

- მაგდალინელი... მაგდალინელი... მაგდალინელი...

- რაო? — შეცბა იესო, - რა მაგდალინელი?

- ... დაიხსენი! — ახლა უკვე მბრძანებლურად დასძახოდა გველი, - მიწას შეეშვი, დედამიწა კი არა, იგი, მაგდალინელი გამოიხსენი!

იესომ თავი გააქნია, რათა გველი ჩამოეშორებინა, მაგრამ იგი ყურში უსისინებდა:

- მისი სხეული ლამაზია, სასურველი, დამაცხრობელი, სრულყოფილი. ვის აღარ უგემნია იგი, მაგრამ ღმერთს მაინც შენთვის უნდა, ჯერ კიდევ ბავშვობიდანაა შენი ბედისწერა, ნუ იტყვი მასზე უარს ღმერთმა შექმნა კაცი და ქალი, რათა ერთმანეთს ისე მოერგონ, როგორც კლიტე და გასალები. ჰოდა, გააღე იგი მასში არიან ჩათესილი შენი შვილები, გორგალივით ჩახვეულნი, და ელიან, რომ სული შთაბერო, რათა გამოეხსნან, ადგენენ მზის გული იხილონ... გესმის, რასაც გეუბნები? თვალები გაახილე და მანიშნე. მხოლოდ ერთი მიმანიშნე და წამში მოგგვრი, გრილ სარეცელზე შეგახვედრებ შენს ცოლს.

- ჩემს ცოლს?

- დიახ, შენს ცოლს! ღმერთი შეგახსენებს, განა მე თვითონაც მეძავ იერუსალიმზე არ ვიქორწინეო? იგი ათასმა რჯულმა გათელა, მაგრამ მასზე ვიქორწინე, რათა გამომეხსნაო. განა წინასწარმეტყველმა ოსემაც მეძავ გომერზე, დებელაიმის ასულზე არ იქორწინა? შენც ამავეს გიბრძანებს ღმერთი, რათა მარიამ მაგდალინელთან დაწვე, ბავშვები გააჩენინო შენს ცოლს და ასე გამოიხსნა იგი.

გველს თავისი მკვრივი, მრგვალი და გრილი მკერდი იესოს მკერდზე მიედო და ნელ-ნელა ირწეოდა, იკლაკნებოდა, ეხვეოდა. ისიც გაფითრდა, თვალები დახუჭა და წარმოესახა კიდევ. როგორ მიირწეოდა მაგდალინელის მკვრივი, აშოლტილი ტანი გენესარეთის ტბის სანაპიროზე, როგორ იყურებოდა მდინარე იორდანისკენ და ოხრავდა; მერე ხელი გაიწვდინა, თითქოს დაეძებდა; და მისი უბე აღვსილიყო მათი შვილებით. მხოლოდ ისღა დარჩენოდა, თვალთ ენიშნებინა და რამხელა ბედნიერებას ეწეოდა! როგორ უცებ შეიცვლებოდა, დატკბებოდა, ადამიანური გახდებოდა მისი ცხოვრება! ეს მისი გზაა, დიახ, ეს არის! ნაზარეთში დაბრუნდება, დედისეულ სახლში, და-ძმებსაც შეურიგდება! სიგიჟე იყო ეს ყოველივე, ყმაწვილური გატაცება — ეხსნა სამყარო, მომკვდარიყო მოყვასისთვის, სიგიჟე იყო, მაგრამ მაგდალინელი გადაარჩენს, განიკურნავს ამ სიგიჟისგან... ისევ თავის სახელოსნოს დაუბრუნდება, თავის საყვარელ ჩვეულ საქმეს მოჰკიდებს ხელს — აკვნებს, გობებსა

და სახნისებს გამოთლის, შვილებს ამრავლებს, ადამიანურად იცხოვრებს, ოჯახის კაცად იქცევა. თანასოფლელებიც პატივისცემით მოეპყრობიან, გავლისას თავს დაუკრავენ, მთელი კვირა მუხლჩაუხრელად რომ იშრომებს, შაბათს სინაგოგაში წავა თავის შალ-აბრეშუმის სუფთა სამოსში გამოწყობილი, ცოლმა - მაგდალინელმა რომ შეუკერა. თავს ძვირფასი თავსაბურავი დაუმშვენებს, თითს კი საქორწინო ოქროს ბეჭედი და თავისი სავარძელის ექნება უხუცესთა შორის. ჩამოჯდება, დინჯად, უემოციოდ მოუსმენს აღტყინებულ, გონარეულ სწავლულებსა თუ ფარისევლებს, სიმწრის ოფკად რომ დაიღვრებიან, რათა წმინდა წერილი ახსნან... მას კი უღვაშებში ჩაცნება და თანაგრძნობით გახედავს მათ: როგორ უკვალოდ ქრებიან ეს ღვთის სწავლულები! და თვითონ როგორ გასაოცრად, მშვიდად და დაუბრკოლებლად ახსნა წმინდა წერილი, იმით რომ ცოლი შეერთო, შვილები ამრავლა, აკვნებს, გობებსა და სახნისებს ამზადებს...

თვალეები რომ გაახილა, კვლავ უდაბნო გადაეშალა თვალწინ. ეს რანაირად გაირბინა მთელმა დღემ! მზე ჩადიოდა. მის გულზე გრილი მკერდით აკრული გული ისევ პასუხს უცდიდა. ჩუმად, მაცდურად, დაყვედრებით სისინებდა, ნაზ იავნანად იღვრებოდა საღამოს ჰაერზე ეს ბგერები და მთელი უდაბნო ირწეოდა, რადგან გველი დედასავით უნანავებდა.

- გელოდები... გელოდები... - კვლავ მაცდუნებლად ჩაისისინა გველმა, — ჩამოლამდა და შემცივდა. გაბედე მიმანიშნე და კარიც მყისვე გაიღება, სამოთხეში შეხვალ... მიდი, გადაწყვიტე მაგდალინელი გელოდება...

მეუდაბნოეს წელი გაუშეშდა. და ის იყო პირი უნდა გაეხსნა და ეთქვა „დიახ“, იგრძნო - ვიღაც დაჰყურებდა. შეშინებულმა აიხედა და ჰაერში გაარჩია მკაცრად მომზირალი ორი თვალი, თეთრწარბებგადაფენილი შავი თვალეები, მას რომ უტყვად ანიშნებდნენ: არა! არა! არა! იესოს გული შეეკუმშა, ისევ ვედრებით ახედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: დამეხსენი გემუდარები, ნუ განრისხდები! მაგრამ ის თვალეები მრისხანებდნენ და წარბებიც მუქარით ადი-ჩადიოდნენ.

- არა! არა! არა! — ეძნელებოდა ოცნებასთან გამოთხოვება იესოს და ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა.

და მაშინვე გაეცალა გველი, დაიკლაკნა, დაიგრგვინა, გაიპო და ჰაერში მყრალი სუნი დატრიალდა.

იესო დაემხო. პირი, ცხვირი, ქუთუთოები ქვიშით გამოვესო. ფიქრის უნარიც კი დაკარგა, დაავიწყდა, რომ შიოდა და სწყუროდა, მხოლოდ ცრემლად იღვრებოდა. ისე ტიროდა, თითქოს ცოლ-შვილი ამოწყვეტოდეს, თითქოს მთელი მისი ცხოვრება გარდაქმნილიყო.

- უფალო, უფალო, — ჩურჩულებდა ქვიშაზე დამხობილი, - მამავ, სიბრალოლის გრძნობა არ გაგაჩნია? დაე, აღსრულდეს ნება შენი! აქამდეც ბევრჯერ შეგთხოვე, ნუთუ სულ უნდა გემუდარო? დაე, აღსრულდეს ნება შენი! მთელ ცხოვრებას ასე გავლევ, ამგვარ ტანჯვაში, მთელ ცხოვრებას ასე განვლევ, მორჩილებას აღვითქვამ და შეგპირდები: იყავნ ნება შენი!

ჩურჩულებდა, ტიროდა, პირი ქვიშით ევსებოდა და როდის-როდის ჩასთვლიმა. და როგორც კი სხეულის თვალები დახუჭა, სულის თვალები აეხილა: ერთი გველი- მოჩვენება წარმოესახა, ადამიანის ტლანქი ტანით ქვიშაზე გაწოლილიყო – ღამის სხეულზე განვრცობილიყო და წითელი, ფართო პირი დაეფჩინა. მისი პირის სიახლოვეს ფერადი მტრედი თრთოდა და ფრთხილებდა: ლამობდა ფრთები გაეშალა და გაფრენილიყო, თუმცა ვერ ახერხებდა, რის ვაივაგლახით მიიწევდა, გაუბედავად იქნევდა ფრთებს, შიშჩამდგარ ხმას გამოსცემდა და თავის დაღწევას ესწრაფოდა... მასზე მზერაშეყინული, პირდაფჩენილი გველი მსხვერპლზე იერიშის მიტანას არ ჩქარობდა, გრძნობდა - ასე ფრთხილ-ფრთხილით, თანდათანობით მტრედი სწორედ მის ხახას მიუახლოვდებოდა. იესო იდგა, უყურებდა და თავადაც იმ მტრედივით ცახცახებდა... გამთენიისას მტრედი ერთბაშად აღმოჩნდა ღია ხახაში: წუთიერად გაიფრთხილა, მრგვალი თვალები ერთიკ მოავლო გარემოს, თითქოს შველას ითხოვსო და კისერწაგრძელებული პირდაპირ თავით გადაეშვა უფსკრულადქცეულ გველის ხახაში. და იესომ სრულად იხილა, როგორ ნელ-ნელა ჩასრიალდა ამ ურჩხულის მუცელში ფრთების, ხორცისა და მეწამული ფეხების შეკვრა, ანუ მტრედი.

გაოგნებული იესო ფეხზე წამოიჭრა. უდაბნო ვარდისფრად ღელავდა. თენდებოდა.

- ღმერთი, - ცახცახით ამოთქვა, - ღმერთი... და მტრედი...

ხმა ჩაუწყდა. იმისი ძალაც არ შესწევდა, რომ საკუთარი ფიქრი ამოეთქვა და გულში ახმინებდა მას. „ადამიანის სული, - ფიქრობდა, — ადამიანის სულია მტრედი“.

ამ საფიქრალში ჩამხობილი კარგა ხანს არც კი განძრეულა. ამასობაში, მზე ამოვიდა, ქვიშას ცეცხლად მოედო, იესოს კეფიდან მხურვალეზად ეღვრებოდა მთელ სხეულში და გონებას, ყელს, გულსა და სისხლს უშრობდა. მთელი მისი არსება გვიან შემოდგომაზე ვაზს შერჩენილი ჩამომჭკნარი მტევანივით ეკიდა. ენა სასაზე ეწებებოდა, კანი ექერცლებოდა, ძვლებიც კი ამოუცვივდა და თითები ერთიანად გაულურჯდა.

მის არსებაში დრო ისე შეიკუმშა, გულისცემას დაემსგავსა, ისე განივრცო, როგორც სიკვდილი. აღარც შიოდა და სწყუროდა, აღარც ცოლი და შვილები ეწადინებოდა. მთელმა მისმა სულმა თვალებში დაივანა. უყურებდა, სხვა არაფერი, მხოლოდ უყურებდა. სადღაც, შუადღისას, თვალებზე ბინდი ჩამოაწვა, სამყარო ერთბაშად გაუჩინარდა, მის წინ ვეება პირი გადაიხსნა, რომლის ქვედა ყბა მიწა იყო, ზედა კი - ზეცა და ისიც ნელა, ტაატ-ტაატით მიიწევდა ღია პირისკენ, ცახცახებდა და კისერი მისკენ გაეწვდინა... - თეთრი და შავი ელვებივით გაკრთებოდნენ დღეები და ღამეები. ერთხელაც, შუაღამისას ლომი მოევლინა, ფაფარი ამაყად გადაიყარა და კაცის ხმით ალაპარაკდა:

- მივესალმები და ჩემს საბრძანებელში სიხარულით მივიღებ ძლევა მოსილ ასკეტს, რომელმაც შეძლო დაემარცხებინა მიწიერი სიამენი, მცირე სიკეთენი და სიხარული! ჩვენ არად მივიჩნევთ ყოველდღიურობას, არად გვიღირს მარტივი და ადვილად მიღწევადი სიკეთენი, იმისთვის ვიბრძვით, რაც რთულია, ჩვენთვის არ

კმარა ერთი ქალი – მაგდალინელი, ჩვენ სულ სხვა ქალი – მთელი დედამიწა გვიპყრია და მასზე გვინდა ვიქორწინოთ. პატარძალი ოხრავს, სიძევ, იჩქარე! ზეცამაც აანთო თავისი ლამპრები და მაყრიონიც კარზე მოგვადგა დროა, გავეშუროთ!

- ვინ ხარ? – იკითხა.

- შენი არსება! მე ის ლომი ვარ, შენს გულღვიძლს შორის დამკვიდრებული და დამშეული, ღამღამობით სამყაროს მთელი სასუფეველისა და წალკოტების შემუსვრა რომ სწადია და შიგნით შეჭრას ღამობს, რათა შიმშილი ასე დაიცხროს. ბაბილონიდან ალექსანდრიამდე, ალექსანდრიიდან რომამდე დავძრწი და გავიძახი: „მშია! ყველაფერი მე მეკუთვნის!“ მაგრამ როგორც კი ინათებს, ისევ შენს მკერდში ვძვრები, ვიკუნტები და ესოდენ საზარელი ლომი საბრალო ცხვრად ვიქცევი. თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს თავმდაბალი ასკეტი ვიყო, რომელსაც არაფერი ესაჭიროება, ხორბლის ერთი მარცვლით, ერთი პეშვი წყლითა და ღმერთის ხილვითაც კი შეუძლია თავი გაიტანოს — იმ ღმერთისა, გულის მოსაგებად მამას რომ უწოდებს. მაგრამ სინამდვილეში, ჩემი გული სიშმაგითაა აღვსილი და ერთი სული აქვს, რომ დაღამდეს ხოლმე, რათა განიძარცვოს ცხვრის ტყავი და ისევ ღამის ხეტიალს მიეცეს, იღრიალოს და თავისი ოთხი ფეხით გადათელოს ბაბილონი, იერუსალიმი, ალექსანდრია და რომი.

- მე შენ არ გცნობ! არასდროს მნდომებია სამყაროს სასუფეველი. ცათა სასუფეველიც მყოფნის.

- არა, არ გყოფნის! თავს ნუ იტყუებ, კარგად უწყი ყოველივე. თუმცა ვერ გაგიბედავს საკუთარ არსს ჩაწვდე, შენსავ გულში ჩაიხედო და მე მპოვო იქ... რატომ მიყურებ ასე შმაგად, რაღაც ცუდს გკარნახობს შენი გონება? გგონია, რომ მეც ცდუნება ვარ და ბოროტმა მომავლინა, რათა გადაგიბირო? უგუნურო მეუდაბნოევ, რას დაგმართებს, აბა, ცდუნება, თუკი იგი გარედან გიტევს? ციხე მხოლოდ შიგნიდან ტყდება. მე შენი ყველაზე უფრო სიღრმისეული ხმა ვარ, შენში დაბუნაგებული ლომი ვარ, შენ კი ცხვრის ტყავი აგიფარებია, რათა ადამიანებს მოახლოებისას არ შეეშინდეთ, რომ მათ შეჭამ. გახსოვს, როდესაც პატარა იყავი, ერთმა ქალდეველმა მისანმა ქალმა ხელისგულზე დაგხედა და თქვა: „ბევრ ვარსკვლავს ვხედავ.. და ბევრ ჯვარს ვხედავ... მეფე გახდები“. გულმავიწყობას რად იჩემებ? სინამდვილეში, დღედაღამ გახსოვს. ადექი, ძეო დავითისა, შენს სამეფოს დაეპატრონე!

იესო თავჩაქინდრული უსმენდა.

თანდათანობით ხმა შეიცნო, გაახსენდა: ხანდახან სიზმრად ესმოდა ხოლმე იგი, ხანაც – ცხადში. პირველად მაშინ გაიგონა, როცა იუდამ ბავშვობისას სცემა, მეორედ კი მაშინ, როცა სახლი დატოვა: დღეებისა და ღამეების განმავლობაში დაეხეტებოდა მინდორ-მინდორ, მაგრამ შიმშილმა შეაწუხა და დარცხვენილი დაბრუნდა შინ; და როდესაც მისი ორი ძმა – კოჭლი სიმონი და მორწმუნე იაკობი ზღურბლზე შეხვდნენ და დასცინეს, ეს ხმა მოესმა... სულ ცოტა ხნის წინაც, როცა ჯვარი მიჰქონდა ზილოტისათვის და გამძვინვარებულ ხალხს ჩაუარა, ზიზღით რომ უყურებდნენ და წყევლიდნენ, მასში ეს ლომი აგრგვინდა, თანაც ისე მძლავრად, რომ დაანარცხა იგი.

და აჰა, ამ ყოვლადმშვიდ ღამეს, ისევ გამოვიდა მისი არსებიდან ლომი, წინ დაუდგა და ღრიალებდა. ხან გაუჩინარდებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა, თითქოს მის წიაღში შედი-გამოდისო, ნებიერად უქნევდა კუდს, ეთამაშებოდა.. და იესო გრძნობდა, რომ გული სულ უფრო მეტად ევსებოდა რისხვით: მართალია და უნდა მივენდო ლომს, კმარა! მომბეზრდა ასე – სულ დამშეული ვიყო, სულ შევცნატროდე და თავს მდაბლად ვაჩვენებდე, მეორე ლოყას ვუშვერდე შემოსარტყმელად. მომბეზრდა, ასე თვინიერად ვეპყრობოდე კაციჭამია ღმერთს და მამად ვუხმობდე, რათა მისი გული მოვიგო. ველარ ვეგუები როგორ მაგინებენ ჩემი ძმები, როგორ დამტირის დედაჩემი, როგორ დამცინიან ადამიანები, როცა ფეხშიშველი გვერდით ჩავუვლი. მომბეზრდა, ბაზარში შევდიოდე და მხოლოდ თვალს ვავლებდე ფინიკებს, თაფლს, ღვინოს, ქალებს და ხელი არაფერზე მიმიწვდებოდა: მხოლოდ ძილში მყოფნიდეს ამ ყოველივეს დაგემოვნების სიმამაცე და ოდენ ჰაერს ვეხვეოდე! აღარ მოვიტმენ! ავდგები, მამაჰაპისიეულ ხმალს შემოვირტყამ, განა დავითის ძე არა ვარ? ჩემს სამეფოში უნდა შევიდე! მართალია ლომი: არა რაღაც გამონაგონი და ღრუბლები, არა ცათა სასუფეველი, არამედ ქვები, მიწა და ხორცი არის ჩემი სასუფეველი!

წამოდგა. როგორღაც ძალა ჰპოვა საიმისოდ, რომ წამომხტარიყო და კარგახანს ცდილობდა წელზე უხილავი მახვილის შებმას, თან ლომივით ღრიალებდა. აჰა, შეიბა კიდეც ის უხილავი მახვილი და შეჰყვირა: „წავედით!“ მიიხედა და ლომი აღარსად იყო. მხოლოდ რაღაც საზარელი ხარხარის ხმა მოესმა ზემოდან: „მხდალო“. და ერთბაშად გაიელვა მის თვალწინ კოშკ-გალავნიანმა ქალაქებმა, სახლებმა, გზებმა, მოედნებმა და ადამიანებმა. ირგვლივ კი მინდვრები, მთები და ზღვა ჩანდა. მარჯვნივ იდგა ბაბილონი, მარცხნივ - იერუსალიმი და ალექსანდრია, ზღვის გაღმა კი რომი მოჩანდა. და კვლავ გაისმა ის საზარელი ხმა: „მხდალო!“.

იესომ აიხედა: ყვითელფრთიანი ანგელოზი პირდაპირ მისკენ გადმოეშვა ციდან. ოთხივე სამეფოს გლოვის ზარი აღმოხდა, ადამიანებმა ხელები ცისკენ აღაპყრეს, მაგრამ მათი ხელები ერთიანად კეთრს გამოეხრა და ძირს იყრებოდა. პირს აღებდნენ, რათა მშველელი ეხმოთ, მაგრამ მათი კეთრისგან გამოჭმული ტუჩებიც ძირს ცვიოდა და გზები გაავსო.

და სწორედ მაშინ, როცა იესოს ხელები უნდა აღეპყრო და ღმერთს შევედრებოდა - შეიწყალე, შეიბრალებე ადამიანებო, - ცაზე სხვა, ჭრთელფრთიანი ანგელოზი გამოჩნდა, ყელსა და ფეხებზე ეჟვნებმოსხმული, ისიც პირდაპირ მისკენ დაეშვა. მთელ დედამიწას სიცილ-ხარხარის ხმა მოედო: კეთროვნები მიმორბოდნენ, ცოფი შეჰყროდათ მათ და რაც კი მათი სხეულებიდან გადარჩენილიყო, ყველა ნაწილი ხარხარებდა.

იესომ ყურები თითებით დაიცო, ეს ხმები რომ არ გაეგონა, ცახცახებდა. ამასობაში, მეწამულფრთებიანი, მესამე ანგელოზიც გადმოეშვა ციდან ელვასავით. ცეცხლის ოთხი მოგიზგიზე ენა, კვამლის ოთხი სვეტი აღიმართა და ვარსკვლავები გადაფარეს. მსუბუქმა ქარმა დაჰბერა, კვამლი გაფანტა და იესომ იხილა ის ოთხი ქალაქი — ოდენ ოთხ მუჭა ნაცრად ქცეული.

და კვლავ გაისმა ხმა: „აი, ეს არის სასუფეველი მიწისა, რომლის დაპყრობაც შენ გწადია, საბრალოვ! ესენი ჩემი საყვარელი სამი ანგელოზია: კეთრი, ცოფი და ცეცხლი. დადგა უფლის დღე ანუ დღე ჩემი!“ - დაიქუნა ხმამ და ელვასავით სწრაფადვე ჩაქრა.

დილამ მოუსწრო ლოდოდან ჩამოსულ და ქვიშაში პირქვე ჩამხობილ იესოს. ბევრი ტირილისაგან თვალები დასიებოდა, ეწვოდა. მიმოიხედა: იქნებ სწორედ ეს უსამანო უდაბნოა მისი სული? ქვიშა ირწეოდა, ცოცხლდებოდა. კვლავ მჭახე ხმები ეს მოდა - სიცილის, დაცინვისა და ტირილისა. კურდღლის, ციყვისა თუ მაჩვიანაირი პაწაწინა მხეცები მოხტოდნენ და უახლოვდებოდნენ. ყველა მათგანს მეწამული თვალები ჰქონდა... „აღდგა ცოფი, - გაიფიქრა, - აღდგა, რათა ბოლო მომიღოს...“ - ერთი შეჰყვირა და მხეცები გადაიკარგნენ. ახლა მთავარანგელოზი გამოეცხადა - ყელზე ნახევარმთვარე ეკიდა, წარბებს შორის კი ვარსკვლავი უციმციმებდა, აღიმართა და მწვანე ფრთები გაშალა.

- მთავარანგელოზო! — წაიბუტბუტა იესომ და თვალები ხელით მოიჩრდილა, რომ მის სინათლეს არ დაებრმავებინა.

მთავარანგელოზმა ფრთები დაკეცა, შეჰლიმა და ჰკითხა:

- ვერ მიცანი? არ გახსოვარ?

- ვერას ვინ ხარ? განზე გადექ, მთავარანგელოზო, თვალსა მჭრი!

- გახსოვს, როცა ბავშვი იყავი და ჯერ სიარულიც კი არ შეგეძლო, სახლის კარს ებლაუჭებოდი, დედაშენის კაბას ეპოტინებოდი, რომ არ წაქცეულიყავი და გულში მთელი ძალით გაიძახოდი: „ღმერთო, გარდამქმენ ღმერთად ღმერთო ჩემო, მაქცევე ღმერთად! ღმერთო, ღმერთად მქმენ“

- ნუ გამახსენებ იმ მკრეხელობას. როგორ არ მახსოვს!

- მე ისა ვარ, შენი შინაგანი ხმა. მაშინაც მე გავყვიროდი შენში და ახლაც ვყვირი, მაგრამ ისე იქცევი, თითქოს არ გესმოდეს ჩემი, იმიტომ რომ გეშინია. თუმცა ახლა თავს ვერ დაიძვრენ, მაინც მომისმენ, რადგან მოაწია ჟამმა. ჯერ კიდევ მანამ გამოგარჩიე სხვათაგან, სანამ დაიბადებოდი. ყველა ადამიანს შორის სწორედ შენ გამოგარჩიე. შენში ვიღვწი და შენში ვბრწყინავ, არ განებებ, დანებდე ყოფით სიკეთეებს, მცირეოდენი სიხარული დააგემოვნო, მარცვლისოდენა ბედნიერება... აჰა, ახლაც ამ უდაბნოში მოგიყვანე, ქალი მოგეახლა და განვაგდე მე იგი. სამეფოები მოგეახლნენ და განვდევენე. მე, მე განედევნე ისინი და არა შენ, რადგან უფრო დიდებული, ბევრად უფრო რთული საქმისთვის მეგულვები.

- რა დიდებული, რა რთული საქმე?

- ნუთუ არ გახსოვს, რას გაიძახოდი, ბავშვი რომ იყავ? გინდოდა ღმერთი გამხდარიყავ. საწადელთან დგახარ კიდევ!

- მე? მე - ღმერთი?..

- ნუ გეშინია და ნუ ოხრავ! დიახ, სწორედ რომ ღმერთად მოეკლინები კაცობრიობას! თითქმის უკვე ასეცაა! რა გგონია, იორდანეში რომ ნათელს იღებდი, რა სიტყვები გადმოვიდა შენზე მტრედიდან?

- თქვი! გამიმხილე!

- „შენ ხარ ძე ჩემი, მხოლოდშობილი!“ - აჰა, ის ცნობა, მაშინ მტრედმა რომ გაგანდო. მაგრამ იგი მტრედი კი არ იყო, მთავარანგელოზი გაბრიელი გამოგეცხადა! მაშ, გიხაროდეს, ძეო, მხოლოდშობილო, ძეო ღვთისა!

იესოს გულში ორი ვეება ფრთა გაიშალა და იგრძნო, როგორ ამოუწვა შუბლი დიდმა მუამბოხე ცისკრის ვარსკვლავმა. მის არსებაში კი ხმა გრგვინავდა: „მე არც კაცი ვარ, არც ანგელოზი, არც მონა შენი. მე ვარ ძე შენი, აღონაი შენს ტახტრევანზე მივიკუთვნებ ადგილს, რათა ცოცხალნი და მკვდარნი განვსაჯო. მარჯვენა ხელში კი ბურთს დავიჭერ - ამ სამყაროს და ვითამაშებ. განმიმზადე ადგილი, რათა ჩამოვჯდე“.

საზარელმა ხარხარმა შეძრა ჰაერი. შეკრთა იესო, ანგელოზი ველარსად იხილა და აღმოხდა განწირულის ხმა:

- ლუციფერი!

და ქვიშაში პირქვე ჩაემხო.

- კიდევ შევხვდებით, - ისევ გაისმა მედიდური დაჟინებით, - ნახვამდის, მალე, მალე შევხვდებით!

- არასოდეს! — აღმოხდა ქვიშაში ჩამხობილ იესოს, - არასოდეს... სატანავ!

- მალე შევხვდებით! — კვლავ გაისმა ხმა, - პასექის დღესასწაულზე მიხილავ, უბედურო!

იესო გოდებდა. მსხვილ, მდულარე ცრემლებს აფრქვევდა ქვიშაზე. ცრემლით განიწმენდა სულს. დიდხანს გაგრძელდა ასე. შეღამებისას, გრილმა სიომ დაჰბერა და მზის მცხუნვარებაც დაცხრა, შორეულ მთებს ვარდისფერი გადაეფინა. და სწორედ ამ დროს, გულისშემძვრელი ხმით უბრძანეს და მხარზეც უხილავი ხელი შეეხო:

- ადექი, დადგა დღე უფლისა! ადამიანებს უნდა გაანდო ცნობა! იარე მეც მოგყვები!

XVIII

როდის გადაიარა ეს უდაბნო? როგორ აღმოჩნდა მკვდარ ზღვასთან? ან როგორ აუარა მას გვერდი და ხნულებისკენ იქცია, პირი? როგორ შეუერთდა ადამიანთა ამონასუნთქით დამძიმებულ ჰაერს?! — არ ახსოვდა... თვითონ კი არ მიაბიჯებდა — აბა, სად შესწევდა ამის ძალა?! — ვილაცის უხილავი ხელები იღლიებში სწვდომოდა და მიჰყავდა. უდაბნოზე მიმოფანტული, მეჩხერი ღრუბლები უცებ შესქელდნენ, გაშავდნენ, ზეცა გადაფარეს და ქუხილის ხმა გაისმა, პირველი წვეთებიც ჩამოცვივდა.

მიწა ჩამუქდა, გზები უცნაურად გაუჩინარდა და გადმოეშვა ზეცის ჩანჩქერი, იესომ პეშვი მიუმარჯვა და წყალი შესვა, შედგა. საით წავიდეს? ელვა სერავდა ზეცას და სიბნელეში, წამიერად ლურჯად და ყვითლად ანათებდა მიწის პირს, რომელიც წყვდიადში ჩანთქმულიყო. საითაა იერუსალიმი? საით წავიდეს, რომ იოანე ნათლისმცემელი იპოვოს? ან თავისი თანამგზავრები, მდინარის პირას, ლელიანში რომ ელიან?! „ღმერთო, – წაიჩურჩულა, – მომფინე ნათელი. ელვა სტყორცნე, გამინათე გასასვლელი“. და როგორც კი ეს ითხოვა, მაშინვე გადმოეშვა ციდან ელვა, ღმერთმა ნიშანი მისცა და ისიც უკვე დაიმედებული დაადგა გზას, ნათებით ნაკარნახევს.

კოკისპირულად წვიმდა. ზეცის მამრი წყალი დედამიწის მდედრ წყლებს – ტბებსა და მდინარეებს ერთვოდა. მიწა, ზეცა და წვიმა ერთმანეთს ეხიდებოდნენ, რათა წინ გაძლოდნენ და ადამიანებთან მიეყვანათ იგი. შლამში ეფლობოდა, ეკალბარდებში იხლართებოდა, თხრილებში ფეხი უცდებოდა, მაგრამ ისევ ამოდიოდა. გაელვებისას, თავს წამომდგარი, დახუნძლული ბროწეულის ხე შენიშნა. ხელი შეავლო დაზნექილ ტოტს, ბროწეული მოწყვიტა, განახლეჩიდან გადმომარცვლა ლალის თვლები და ყელი გაიგრილა. შემდეგ მეორეც მოწყვიტა, მესამეც და ბროწეულის დამრგველის მარჯვენა დალოცა. მის სხეულს სიმტკიცე შეემატა, გზა განაგრძო. მიდიოდა, მიჰყვებოდა ბილიკს, დღე იყო თუ ღამე — ვერ არჩევდა, ირგვლივ მხოლოდ წყვდიადი სუფევდა. შლამში სიარულით ფეხები ისე დაუმძიმდა, თითქოს მთელი დედამიწა აჰკიდებიაო, მაგრამ მაინც მიიწევდა. და უეცრად, ელვის შუქმა მის წინ ბორცვზე გაშენებული პატარა სოფელი გამოაჩინა. აინთნენ და ისევ ჩაქრენ სოფლის ქათქათა სახლები. გული სიხარულით აუფრთხილდა: იქ ადამიანები ბინადრობენ — მისი ძმები. უსაშველოდ მოუნდა ადამიანის ხელს შეხებოდა, მისი ამონასუნთქი შეესუნთქა, პური ეჭამა, ღვინო შეესვა, ებაასა... რამდენი წელი გაატარა მარტოობაში, მთა-მინდვრებში ხეტიალში, ფრინველებსა და მხეცებთან ლაპარაკში. იქ ადამიანებთან ყოფნა არასდროს მონდომებია, მაგრამ ახლა, გრძნობდა — უდიდეს სიხარულს განაცდევინებდა, ვინმეს ხელს რომ შეხებოდა.

ძალა მოიკრიბა, ფეხი ააჩქარა, კლდოვან აღმართს აუყვა. ახლა უკვე იცოდა, სადაც მიდიოდა, საით მიჰყავდა გზას, რომელიც ღმერთმა უკარნახა. და რაც უფრო წინ მიიწევდა, ღრუბლები მით უფრო მეტად მეჩხერდებოდა, ოდნავ ცაც გადაიხსნა და ჩამავალმა მზემაც გამოანათა. სოფლიდან მამლების ყვილი და ძაღლების ყეფა მოესმა, ქალები ეზოდან ეზოში გადასძხოდნენ ერთმანეთს. ლაყვარდისფერი კვამლიც გამოიკვეთა, საკვამურებიდან რომ ადიოდა და თბილ, საამო სურნელს ტოვებდა.

- დალოცვილია კაცის მოდგმა... - ჩაილაპარაკა იესომ, სოფლის დასაწყისში კარმიდამოებს რომ ჩაუარა და ადგილ-ადგილ ლაპარაკსაც მიუგდო ყური.

ქვები, წყლები და სახლები ბრწყინავდნენ. არა, კი არ ბრწყინავდნენ, იცინოდნენ. დაგვალულმა მიწამ წყურვილი მოიკლა, დაფარული მზე კვლავ გამოჩნდა. წარღვნას გადაეწვლო, ყოველი სულიერი თავის ადგილს უბრუნდებოდა, ღრუბლები გაიფანტა, ულურჯესი ცა გამოკამკამდა და გულიც საგულეს ჩადგა. უზომოდ დაღლილი, მაგრამ

ბედნიერი იესო მიაბიჯებდა ახმაურებულ გზაზე. წინ ყრმა ქალი შემოხვდა, რომელიც ვეებაცურთან თეთრ თხას ერეკებოდა საძოვრისკენ.

- ყრმაო, რა ჰქვია ამ სოფელს? - ჰკითხა იესომ და გაუღიმა.

- ბეთანია.

- და რომელი სახლის კარზე შემიძლია მივაკაკუნო ღამის გასათევად? სტუმარი ვარ.

- რომელი კარიც ღია დაგხვდება, იქ შედი! — მიუგო ყრმამ ღიმილით.

„რომელი კარიც ღია დაგხვდებაო... სტუმართმოყვარე უნდა იყოს ეს სოფელი“, ფიქრობდა იესო, მიდიოდა და ათვალიერებდა გულდაგულ, რათა ღია კარი ეპოვა. შუკები მდინარეებად ქცეულიყვნენ, წყლიდან კი დიდი ლოდები ჩანდნენ, იესო ლოდიდან ლოდზე ხტოდა და ასე მიიწევდა, მაგრამ ღია კარს ვერსად წააწყდა. წვიმისაგან ჩაშავებული ჭიშკრები მაგრად ჩაერაზათ. პირველივე მოსახვევში მოღრეცილი, პატარა ლილისფერი კარი შენიშნა, რომელიც ბოლომდე მოღიავებულიყო. ერთი ფერხორციანი დედაკაცი, ძლიერი ნიკაპი და მსუქანი ტუჩები რომ ჰქონდა, შუა ეზოში დამდგარიყო და ფრინველებს გამეტებულად უყრიდა სავსე კალთიდან საკენკს. მეორე ქალიც დაინახა შიგნით - ჯარასთან მიმჯდარი ძაფს ართავდა და ღიღინებდა.

იესომ ფეხი წადგა ღია ჭიშკრისკენ და ზღურბლზე შედგა. გულზე ხელი დაიდო მისალმების ნიშნად და ქალის გამოელაპარაკა:

- სტუმარი ვარ, გალილეველი... მშია და მცევა, თავშესაფარი კი არ მაქვს. სანდო ადამიანი ვარ, შემომიშვით, თქვენს ოჯახში გამათევინეთ ღამე. რახან კარი ღია დამხვდა, გავბედე და შემოვედი, ნუ შემომწყურებით.

ქალი შემობრუნდა, კალთაში ისევ ბლომად ეყარა საკენკი. სტუმარი მშვიდად აათვალ-ჩაათვალიერა და შესცინა:

- სასიხარულოა შენი სტუმრობა, შემობრძანდი!

მქსოველიც ჯარას გამოეხსნა და ეზოში გამოვიდა. ძვალწვრილი და ფერმკრთალი იყო, შავი ნაწნავები ორ წყებად, გვირგვინივით შემოევლო თავზე, დიდი და მწუნარე თვალები ჰქონდა. გამხდარ ყელზე კი ცისფერქვებასხმული მძივი ეკიდა, ავი თვალისგან დასაცავად. უცხო მგზავრს შეხედა და სიმორცხვისგან გაწითლდა:

- მარტონი ვართ, — უპასუხა, - ჩვენი ძმა, ლაზარე შინ არ გახლავთ, იორდანეში მოსანათლადაა.

- და მერე რა, მარტონი რომ ვართ? — თქვა მეორემ, - ხომ არ შეგვჭამს! შემობრძანდი, ბატონო, ამას ნუ უსმენ. მშიშარაა. მეზობლებს დაგუდახებთ, რომ თანამეინახეობა გაგიწიონ, უხუცესებსაც მოვიწვევთ, რათა შეიტყონ ვინა ხარ, სად მიდიხარ და რა გაქვს სათქმელი ჩვენთვის. მოდი, გვეწვიე ჩვენს ღარიბულ ოჯახში რას შეუწუხებინარ, რით დაგეხმარო?

- მცევა, მშია და მეძინება, - უპასუხა იესომ და ზღურბლს გადააბიჯა.

- არც ერთი არაა საძნელო საქმე! - თქვა პირველად შემხვედრმა ახალგაზრდა ქალმა, - ნუ მოგერიდება ჩვენი! რომ იცოდე, მე მართა მქვია, ჩემს დას კიდეც - მარიამი. შენ რა გიწოდოთ?

- მე იესო ნაზარეველი ვარ.

- სანდო ადამიანი ვარო, არა? - გამოაჯავრა მართამ და გაიცინა.

- დიახ, ასეა, დაო ჩემო, მართა - დაბეჯითებით მიუგო იესომ.

და მიწურში შებიჯა. მარიამმა ჭრაქი აანთო, სადგამზე დადგა, იქაურობა განათდა: თაბაშირით შეთეთრებული, სუფთა კედლები გამოჩნდა, კედლის პირას ქვეშაგებით სავსე გრძელი ტახტი მოჩანდა, იქვე კვიპაროსის ხისგან გამოთლილი-მოჩუქურთმებული ორი სკივრი და რამდენიმე სკამი შემოეწყობოთ. ერთ კუთხეში საქსოვი ჯარა იდგა, ხოლო მეორეში - ორი ქოთანის, ზეთისა და მარცვლეულისთვის. შესასვლელთან, მარჯვნივ, სათუნგეზე ცივი წყლისგან დაცვარული თუნგი ჩამოედგათ, მის გვედით კი, საკიდზე გრძელი, თხელი პირსახოცი ქანაობდა. სახლში კვიპაროსის და კომშის ხის სუნი ტრიალებდა. ოთახის სიღრმიდან მოჩანდა განიერი, ჩამქრალი საცეცხლე, რომლის გარშემოც სამზარეულოს ჯამ-ჭურჭელი ეკიდა.

- ახლავე ცეცხლს დავანთებ, რომ გათბე. დაჯექი! - თქვა მართამ, სკამი საცეცხლესთან მიუდგა და თვითონ ეზოში გავარდა - ფიჩხი ამოიღლიავა, დაფნის ტოტები და ორი მოზრდილი ზეთისხილის ხის ჯირკი მოიყოლა. ჩაიმუნლა, აბედს სიფრთხილით მოუკიდა და ცეცხლიც აგუზგუზდა.

იესო იჯდა, თავი ხელებზე ჩამოეყრდნო და ქალს გასცქეროდა. „როგორი წმინდა რიტუალია, - გაიფიქრა, - შეშას ერთმანეთზე ალაგებდე, ცეცხლს ანთებდე და მისი ალი — ეს მოწყალე დობილი გათბობდეს! რა სიწმინდეა, სრულიად უცხო სახლში მშვიერსა და დაღლილს ორი აქამდე უცნობი და მზრუნველობდეს და განუგეშებდეს“. თვალები ცრემლით ამოევსო.

მართა წამოდგა, სათავსოში შევიდა: პური, ზეთისხილი, თაფლი და ღვინო მოიტანა ხელადით და სტუმარს ფერხთით ჩამოუწყო.

- ეს ისე, ლუკმა რომ გავტეხოთ, - თქვა, - მადა რომ გაგეხსნას, ახლავე ქოთანსაც შემოვდგამ ცეცხლზე და წვნიანსაც მოგიმზადებ, კარგად რომ დანაყრდე. შორიდან უნდა მოდიოდე, როგორც გეტყობა.

- კი, ქვეყნის დასალიერიდან, - მიუგო და მთელი არსებით მიეძალა პურს, ზეთისხილსა და თაფლს.

რა სასწაულია ეს ყოველივე, რამხელა სინარულია, როგორ წყალობასავით შეახვედრებს ღმერთი კეთილ ადამიანებს! პურს კბეჩდა, ილუკმებოდა და ღმერთს ადიდებდა.

მარიამი ჭრაქის სადგამის გვერდით იდგა და უტყვად უმზერდა ხან ცეცხლს, ხან მოულოდნელ სტუმარს, ხანაც თავის დას გახედავდა, რომელსაც სინარულის ფრთები გამოესხა და პირდაპირ დაფრინავდა, რაკი სახლში კაცი ეგულებოდა, რომელსაც მოემსახურებოდა.

იესომ ღვინით სავსე ხელადა აიღო და ორივეს მადლიერად შეხედა:

- მართა და მარიამ, ჩემო დებო, – მიმართა, – გაგეგონებათ, რომ ნოეს დროს, როცა წარღვნა მოევლინათ, ყველა ცოდვილი ადამიანი დაიხრჩო. თუმცა რამდენიმე კეთილშობილი კიდობანში შევიდა და გადარჩა. მარიამ და მართა, შემოგფიცავთ: თუკი ისევ მოხდება წარღვნა და თუ ჩემი ხელით აღსრულდება იგი, მოგიხმობთ თქვენ, ჩემო დებო, რათა ახალ კიდობანში შეგაფაროთ. ეს იმიტომ, რომ აგერ ერთი უცხო, ჩამოძონძილი, ფეხშიშველი სტუმარი მოგადგათ, თქვენ მას ცეცხლი დაუნთეთ და გაათბეთ, დააპურეთ, კეთილი სიტყვებით დატკბეთ და მის გულში მთელი ცათა სასუფეველი აღიმართა. ჩემო დებო, მშვიდობა გქონდეთ!

მარიამი მიუახლოვდა და ფეხით ჩამოუჯდა.

- შენი სიტყვები მატყვევებს, უცნობო, - თქვა და აღმური მოეკიდა, - კიდეც გვიამბე რამე.

მართამ ქოთანი ცეცხლზე შემოდგა, სუფრის გაშლას შეუდგა, ჭიდან ცივი წყალი შემოიტანა, მერე მეზობლის ყრმა გაგზავნა სოფლის სამი პატივცემული უხუცესის კარზე, რადგან წესისამებრ, მათთვის უნდა შეეტყობინებინა, სტუმარი რომ მოადგა მათს სახლს.

- კიდეც გვიამბე რამე, - თხოვნა გაუმეორა მარიამმა, რადგან იესო ისევ დუმდა.

- რისი მოსმენა გწადია, მარიამ? - ჰკითხა იესომ და შავ ნაწნავებზე ნაზად ჩამოუსვა ხელი, — დუმილი სჯობს, რადგან დუმილით განცხადდება ყოველივე.

- ქალს დუმილი შვებას ვერ ჰგვრის, - თქვა მარიამმა, – უბადრუკს სანუგეშო სიტყვაც სჭირდება.

- ვერც სიტყვა მოჰგვრის შვებას, ამას ყურს ნუ დაუგდებ! - წამოენთო მართა და თან ჭრაქში ზეთს ამატებდა, რათა სინათლეს უხუცესების მოსვლამდე და მძიმე საუბარის დასრულებამდე გაეძლო, - ვერც კეთილი სიტყვა მოუტანს შვებას საცოდავს, ქალს ქმარიც უნდა, ფეხს ერთხელ რომ დაჰკრავს და სახლს შეაზანზარებს, შვილიც - ძუძუს რომ მოაწოვებს და მკერდს შეიმსუბუქებს... ბევრი რამ უნდა ქალს, იესო გალილეველო, ბევრი, მაგრამ თქვენ კაცებმა, აბა, რა იცით?!

გალიმება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო; ოცდაათი წლისა იყო და ჯერ ისევ ბედს ელოდა.

გაჩუმდნენ. ცეცხლს ყურს უგდებდნენ, ზეთისხილის შტოებს რომ ატკაცუნებდა და მოთუხთუხე თიხის ქოთანს ლოკავდა, სამივე მათგანს ცეცხლის აღში ჩაკარგოდა მზერა. ბოლოს მარიამი ალაპარაკდა:

- იმ დროს, როდესაც ქალი ზის და ძაფს ართავს, ნეტა იცოდე რამდენი რამე უტრიალებს გონებაში, ეს რომ იცოდე, შეგებრალეობდა იგი, იესო ნაზარეველო!

- ვიცი, - თქვა იესომ და გაიღიმა, — ერთ დროს თვითონაც ქალი ვიყავ, სხვა ცხოვრებაში, ქალი, რომელიც ძაფს ართავდა.

- და რაზე ფიქრობდი?

- ღმერთზე. სხვა არაფერზე, მარიამ, მხოლოდ ღმერთზე და შენ რაზე ფიქრობ?

მარიამმა არ უპასუხა, მაგრამ მღელვარებისგან გული აუჩქარდა, მართა უსმენდა მათს საუბარს და თავისთვის ბუტბუტებდა, ოხრავდა, თუმცა ხმას არ იღებდა. ბოლოს მაინც ვეღარ გაძლო და მტკიცედ თქვა:

- ჩვენ ორივენი, - უეცრად ხმა გაუმკაცრდა, - მარიამიც, მეც და ამქვეყნიერების ყველა უქმრო ქალი სწორედ ღმერთზე ვფიქრობთ, მაგრამ იგი ჩვენს კალთაზე დამხობილ კაცად წარმოგვესახება და ეს იცოდე.

იესომ თავი ჩაქინდრა, არაფერი თქვა. მართამ ქოთანი ცეცხლიდან გადმოდგა, ვახშამი გამზადებულიყო. სათავსოში შევიდა, რათა ჯამები და ჩამჩა გამოეტანა ცხელი წვნიანის გადმოსაღებად.

- რაღაცას გეტყვი, რაც ძაფის რთვისას, ერთხელ გონებაში მომივიდა, - თქვა მარიამმა ხმადაბლა, რათა სათავსოში მის დას არ გაეგონა, — იმ დღეს მეც ღმერთზე ვფიქრობდი და ვთქვი: „ღმერთო, თუკი ოდესმე ინებებ ჩვენს ღარიბულ სახლში შემოსვლას, შენ იქნები მასპინძელი, ჩვენ კი — სტუმრები!“ და აი, ახლა...

ხმა ჩაუწყდა, გაჩუმდა.

- და ახლა რა? — ჰკითხა იესომ და მისკენ გადაიხარა, უკეთ რომ გაეგონა.

ამასობაში, მართამ ჯამები შემოიტანა.

- მოდიო, ვივანშმით – თქვა მარიამმა, - სანამ უხუცესები შემოგვსწრებიან.

სამივემ ჩაიბუხლა, იესომ პური აიღო, მაღლა ასწია და ლოცვა წარმოთქვა ისე გულითადად, ისეთი ვნებით, რომ დები გააოგნა და გაცებულები უყურებდნენ. შეეშინდათ, რადგან სახე ერთიანად გაბრწყინებოდა, მის თავზე კი ჰაერს ცეცხლი მოსდებოდა და ელვარებდა, მარიამმა ხელები აღმართა და შესძახა:

- უფალო, შენ ხარ მასპინძელი, ჩვენ კი სტუმრები. გვიბრძანე!

მღელვარების დასამალავად იესომ თავი დახარა, ეს პირველი აღიარება იყო პირველი სულისაგან, ვინაც შეიცნო იგი.

უკვე სუფრიდან დგებოდნენ, რომ კარი გაიღო და ერთი ჭარმაგი მოხუცი ჩამოდგა ზღურბლზე - მდინარესავით წვერი, ძვალმსხვილი, დაკუნთული მკლავები და ცხვრის მატყლივით გაწეწილი, ტყესავით დაჩრდილული მკერდი მოუჩანდა. ხელში დიდი კვერთხი ეჭირა, თავის სიმაღლეზე უგრძესი, არა დასაბჯენად, არამედ უფრო იმისთვის, მიწაზე დაეკრა და მწყობრში ჩაეყენებინა ადამიანები.

- უხუცესო მელქისედეკ, - შესძახეს ქალწულებმა ერთხმად და თაყვანი სცეს, - მობრძანდი ჩვენს ღარიბულ ოჯახში.

ნაბიჯი გადადგა და ზღურბლიც დაცარიელდა. ახლა მეორე გამოჩნდა - ისიც ასაკოვანი, ცხენივით თავი ჰქონდა, უკბილო იყო და გამხდარი, მაგრამ თვალებიდან ისეთ ცეცხლის ალს აკვესებდა, დიდხანს ცერავინ გაუძლებდა. გველს თვალების უკან

შხამი აქვსო - ამბობენ, მას კი თვალების უკან ცეცხლი ჰქონდა და ცეცხლს უკან - მახვილი და ბოროტი გონი...

ქალწულებმა თავი მდაბლად დაუკრეს, შემოიპატიჟეს. უკან კი მესამე მოხუცი გამოჩნდა – ბრმა, დაბალი და მსუქანი. კვერთხით მოიკვლევდა გზას, ეს კვერთხი იყო მისი თვალები და უშეცდომოდ მიუძღოდა. გულკეთილი და ხუმარა იყო და როდესაც თანასოფლელებს გაასამართლებდა, გული დასჯას არ ანებებდა. „მე ღმერთი არ ვარ, - ამბობდა ხოლმე, - ვინაც განსჯის, ის განისჯება. დაზავდით, შერიგდით, იმქვეყნად მე არ მომეკითხოს თქვენ გამო!“. და ხან თავისი ჯიბიდან ამოიღებდა ფულს დახმარებისათვის, ხანაც ციხის კარზე მიდიოდა საშუამავლოდ, დამნაშავედ მხილებულისთვის სასჯელი რომ შეემსუბუქებინა. ბევრი სულელსაც ეძახდა, ზოგიც - წმინდანს, უხუცეს მელქისედეკს კი თვალით არ დაენახვებოდა, მაგრამ ვერ ვნებდა, რადგან სწორედ ის იყო სოფლის ყველაზე უფრო მძლავრი ბატონი და აარონის სამღვდლო მოდგმის შთამომავალი.

- მართა, - თქვა მელქისედეკმა, რომლის კვერთხიც ჭერს სწვდებოდა, - მართა, აბა, რომელია ის უცხო სტუმარი, ჩვენს სოფელში რომ შემოსულა?

იესო ბუხრის კუთხიდან წამოდგა, ჯერ კიდევ ცეცხლს რომ ეფიცებოდა.

- შენ ხარ? – თქვა უხუცესმა და თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

- მე გახლავარ! – მიუგო იესო ნაზარეტელმა.

- გალილეველი ხარ? — უნდოდ ჩაიფრუტუნა მეორე მოხუცმა, მოქამულსახიანმა, - კარგს არაფერს უნდა ველოდოთ ნაზარეთიდან, ასე ამბობს წმინდა წერილი.

- საბოლოოდაც ნუ გადაუსვამ ხაზს, სამუელ-ბატონო, — შეეპასუხა ბრმა უხუცესი, - მართალია, სულელები არიან გალილეველნი, მოლაყბენი და უბირები, მაგრამ წესიერი ადამიანები არიან. ეს ჩვენი სტუმარიც ასეთი უნდა იყოს, მისი ხმა მკარნახობს.

და იესოს მიუბრუნდა:

- კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენთან, შვილო ჩემო, – უთხრა.

- ვაჭარი უნდა იყო, – ჰკითხა უხუცესმა მელქისედეკმა, – და რას ჰყიდი?

სანამ უხუცესები აზუსტებდნენ სტუმრის ვინაობას, ღია კარში სოფლის მდიდარი და გავლენიანი კაცები შემოდიოდნენ. გაეგოთ, უცხო რომ სტუმრობდათ, შესაფერისად შემოსილიყვნენ და მოსულიყვნენ მისასაღმებლად. აინტერესებდათ, საით მიდიოდა და რა უნდოდა. შემოვიდნენ და სამი უხუცესის უკან, იატაკზე ფეხი მოირთხეს.

- არაფერს ვყიდი, - თქვა იესომ, — ჩემს სოფელში ვდურგლობდი, მაგრამ საქმე მივატოვე, დედაჩემის სახლიდან წამოვედი და ღმერთს მივუძღვენი თავი.

- კარგადაც მოქცეულხარ, შვილო ჩემო, - თქვა ბრმამ, - ქვეყნიერებისგან გადარჩენილხარ. თუმცა უბედურო, საქმე ბოროტ ეშმაკთან დაგიჭერია, ანუ ღმერთთან. მაგას როგორ გადაურჩები?

თქვა და სიცილისაგან ლამის ჩაბჭირდა.

უხუცესი მელქისედეკი ამ სიტყვებმა საშინლად გააბრაზა. მაგრამ არაფერი უთქვამს.

- ბერი ხარ? - წაისისნა მეორე უხუცესმა, - ლევიტელი? ზილოტი? ცრუწინასწარმეტყველი?

- არა, არა, უხუცესო, - უპასუხა შეწუხებულმა იესომ, - არც ერთი!

- და აბა, ვინ ხარ?

ამ დროს ოთახში მორთულ-მოკაზმული ქალებიც შემოვიდნენ, რათა უცხოელისთვის თვალი დაეკრათ და შეეტყოთ, მოხუცი იყო თუ ახალგაზრდა, ლამაზი იყო თუ არა, ან რას ყიდდა... იქნებ სულაც სასიძო იყო და ამ მშვენიერი ქალწულების - მარიამისა და მართას გასაცნობად გამოევლო ამხელა გზა?! უკვე დროა, მათაც შეიგრძნონ კაცის მკლავები, თორემ საბოლოოდ შეიშლებიან ეს უბედურებიო - ფიქრობდნენ და უფრო ამიტომ მოიკაზმენ და კაცების უკან ჩამოდგნენ.

- აბა, ვინ ხარ? - ისევ ჰკითხა მოჟამულსახიანმა უხუცესმა.

იესომ ხელისგულები ცეცხლს მიუშვირა. უცებ შესცივდა, ააკანკალა. მის სამოსს ჯერ კიდევ ორთქლი ასდიოდა. ჩუმად იყო და ფიქრობდა: „კარგი დროა სალაპარაკოდ - საიმისოდ, რომ გავახმაურო სიტყვა, რომელიც ღმერთმა გამანდო. დროა მივუთითო ამ კაცებსა და ქალებს, რომლებიც ამოა საზრუნავებში იკარგებიან, დროა გამოვადვიო მათში მიძინებული ღმერთი.. და რას ვყიდი? რას და ცათა სასუფეველს - ვუპასუხებ ასე. სულის გამოხსნას და საუკუნო სიცოცხლეს ვთავაზობს დაე, გაიმეტონ რაც კი აქვთ და რაც არა აქვთ, რათა ეს დიდი მარგალიტი მოიპოვონ“.

ოთახს თვალი მიმოავლო, ჭრაქისა და ცეცხლის შუქზე, თავის გარშემო შემოკრებილთა სახეები გაარჩია - ყოველდღიურ, მდაბალ ზრახვათა და კაციჭამია სადარდელთაგან ჩამოქნილი, შიშისაგან დამანჭული, მტაცებლური, გაბოროტებული სახეები, შეებრაღა ისინი. სცადა წამომდგარიყო, ექადაგა, მაგრამ უზომოდ დაღლილი იყო, რამდენი ღამეა ჭერქვეშ არ მოუსვენია, თავი ბალიშზე არ მიუდვია. ეძინებოდა. ბუნრის შებოლილ კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

- დაღლილია, - შეჰბედა მარიამმა თავისსავე მოწვეულებს და ვედრებით შეხედა, - დაღლილია, უხუცესებო, ნუ გააწვალებთ...

- მართალია! - თქვა მელქისედეკმა, კვერთხს დაეყრდნო და წასასვლელად წამოიმართა, - მართალს ამბობ, მარიამ! ისე ველაპარაკებით, თითქოს განვსჯით და ის კი გვაავიწყდება, — მიუბრუნდა მეორე უხუცესს, - გვაავიწყდება, სამუელ-ბატონო, რომ ხშირად ანგელოზები მიწაზე ჩამოდიან და ლტაკებივით დადიან - ფეხშიშველნი, კვერთხისა და აბგის გარეშე, სწორედ ამისნაირად... კარგი იქნება, სულ გვახსოვდეს ეს და ისე მივიღოთ სტუმარი, როგორც ანგელოზს შევეგებებოდით. გონიერება გვკარნახობს ამას.

- ჭკუასუსტობა გვკარნახობს მაგას, - ისევ გადაიხარხარა ბრმა უხუცესმა, - სულ მაგას არ გეუბნებით?! და განა მართო უცხო სტუმარს, ყველა ადამიანს ანგელოზივით უნდა მოვექცეთ, აგერ, თავად სამუელ-ბატონსაც კი!

უჟმურსახიანი უხუცესი გაბრაზდა, შეჰასუხება დააპირა, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა. „მდიდარია ეს ბეცი, - გაიფიქრა, - ერთ დღესაც, შეიძლება დამჭირდეს. წავუყრუებ. მე ამას მკარნახობს გონიერება“.

ცეცხლის მკრთალი ნაშუქი იესოს თმას, დაღლილ სახეს, გაღვლილ მკერდს ეფინებოდა და მის ყორნისფერ წვერზე ცისფერ ანარეკლებად ისახებოდა.

- კარგი კაცია, - ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ ქალები, - მერე რა, რომ ღარიბია, დაინახე მისი თვალები? ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი თბილი თვალები, ჩემი ქმარიც კი არ მიყურებს ასე, როცა მის მკლავებში ვარ.

- მე ამაზე უფრო ცეცხლოვანი თვალები არ მინახავს, - შეეპასუხა მეორე ქალი, — შიში და ძრწოლაა. ყველაფერს მიგატოვებინებს და მთაში გიკრავს თავს.

- ის თუ შენიშნე, მართა როგორ ჭამდა თვალებით? გაგიჟდება ამ საღამოს ეგ უბედური.

- მაგრამ თვითონ ჩუმად მარიაშს უყურებდა ხოლმე, - თქვა სხვა ქალმა, - დები ერთმანეთს თუ არ წაკიდოს, ნახავთ! სამეზობლოში არაფერი გამოგვეპარება.

- წავედით! - ბრძანა უხუცესმა მელქისედეკმა, — ამაოდ დავშვერით აქ მოსვლით, სტუმარს ეძინება, აბა, უხუცესებო, კარში გავიღეთ!

და კვერთხით ქალებსა და კაცებს შორის გასასვლელი გაითავისუფლა.

მაგრამ სწორედ იმ დროს, ზღურბლზე რომ გადადიოდა, ნაბიჯების ხმა მოესმა ეზოდან. მოულოდნელად, აქოშინებული, ფერმიხდილი კაცი შემოიჭრა და პირდაპირ ცეცხლის წინ ჩაიკეცა. ორივე და შეშინებული მიეჭრა და ჩაეხვივნენ.

- ძმაო, — ჩასძახოდნენ, - რა დაგემართა? ვინ მოგდეკდა?

პირველი უხუცესი მიბრუნდა ახალმოსულთან და კვერთხით შეეხო:

- ლაზარე, - უთხრა, - მანაქიმის ძევ, თუ რამე ცუდი ცნობა მოგაქვს, ქალებს დავითხოვთ, კაცები დავრჩებით მხოლოდ და მოგისმენთ.

- მეფემ იოანე ნათლისმცემელი შეიპყრო და თავი მოჰკვეთა! — ერთი ამოსუნთქვით ამცნო მათ ლაზარემ.

წამოდგა, სულ ცახცახებდა. მიწისფერი ედო სახეზე, რომელიც ღრმა ნაოჭებს დაესერა, მწვანე თვალები კი ცეცხლის შუქზე ველურ კატას მიუგავდა, ისე ანათებდნენ.

- აჰა, ტყუილად არ დაგვიკარგავს ეს საღამო, - სიხარულით თქვა ბრმა უხუცესმა, - ამხელა დღის განმავლობაში, გაღვიძებიდან დაძინებამდე, როგორც იქნა, რაღაც მოხდა, სამყარო შეიძრა. მოდი, ისევ ჩამოვსხდეთ და მოვაცოლოთ! მიყვარს ახალი ამბები, თუნდაც არასასიამოვნო მოსასმენი იყოს.

და ლაზარეს შეუძახა:

- აბა, გვიამბე, – როდის, რატომ, როგორ მოხდა ეს ცუდი ამბავი? ყველაფერი მოგვიყევი, არაფერი გამოგრჩეს, არსად გვეჩქარება... მიდი, დაიწყე, გისმენთ!

იესო ფეხზე წამომხტარიყო. ლაზარეს უყურებდა. ტუჩები უცახცახებდა: ეს ახალი ნიშანია, რომელიც ღმერთმა მოუვლინა. ამ სამყაროდან განვიდა წინამორბედი, აღასრულა თავისი ვალი – გზა მოამზადა და წავიდა... „ახლა ჩემი ჯერია... ჩემი ჯერია.“
- ფიქრობდა იესო და ჟრჟოლას აეტანა, მზერა კი ლაზარეს გამწვანებულ-გაფითრებული ტუჩებისათვის მიეპყრო.

- მოკლა? - შესძახა მელქისედეკ-ბატონმა და კვერთხი მიწას მრისხანედ დასცხო, – სადამდე მივდივით! იმასაც მოვესწართ, რომ სისხლისაღმრევი წმინდანს კლავდეს, მრუში – ასკეტს! მოაწია ბოლო ჟამმა!

ქალები შიშმა შეიპყრო და კვილი მორთეს. ბრმა უხუცესს შეებრაღა ისინი.

- მგონი, აჭარბებ, მელქისედეკ-ბატონო, - თქვა, - მშვენივრად დგას ფეხზე ეს სამყარო, ნუ შეშინდით თქვენ, ქალებო!

- სამყაროს ყელი გამოელადრა, უდაბნოს ხმა ჩაწყდა! აწი ვიღა მოუხმობს ღმერთს ჩვენთვის – ცოდვილთათვის? — მოთქვამდა ლაზარე და ცხარე ცრემლი სდიოდა, — დაობლდა, სამყარო დაობლდა!

- ძალაუფლების წინააღმდეგ არ უნდა აღდგე, - წაისისინა მეორე უხუცესმა, - რასაც ძლიერნი აკეთებენ, დაიბრმავე თვალები და ნუ დაინახავ. ღმერთი ხომ ხედავს, მის საქმეში ნუ ჩაერევი!

- ანუ მონები ვიყოთ? — დაიღრიალა მელქისედეკმა, - მაშინ მითხარი, რატომ მისცა ღმერთმა თავი ადამიანს? იმიტომ რომ ტირანები დახოცოს. ამას მე ვამბობ!

- უხუცესებო, იყუჩეთ და მოვუსმინოთ, რა უბედურება დატრიალდა, - თქვა აღელვებულმა ბრმა ხუცესმა, - მოყევი, შვილო, ლაზარე!

- მოსანათლად მივდიოდი, იქნებ ჩემს ჯანსაც ეშველოს-მეთქი, - დაიწყო ლაზარემ, — ამ ბოლო დროს, იცით, კარგად ვერ ვარ, სულ უფრო დამჯაბნა ავადმყოფობამ, თავბრუ მეხვევა, თვალები შემიშუპდა, თანაც თირკმელები...

- კარგი, კარგი, ეგ ხომ ვიცით, - შეაწყვეტინა უსინათლომ, - მერე? განაგრძე!

- იორდანეს მივალწიე, ხიდს, რომლის ძირშიც ხალხი იკრიბება და ინათლება, ტირილისა და ყვირილის ხმები მესმოდა, ვიფიქრე – არაფერია, ადამიანები საკუთარ ცოდვებს ინანიებენ და ტირიან-მეთქი. კიდევ უფრო მივუახლოვდი და რას ვხედავ? მდინარის შლამში პირქვე ჩამხობილან ქალები და კაცები და მოთქვამენ. ვეკითხები: „რა ხდება, ძმებო? რას დასტირით?“. „წინასწარმეტყველი მოკლეს“ — მომაცხეს გულმდუღარედ. „ვინ გაიმეტა?“. „ურჯულო და უნამუსო ჰეროდემ!“. „როდის? როგორ?“ – ვიკითხე გაოგნებულმა. „მთვრალი ყოფილა, მის წინაშე შიშველი ცეკვავდა თურმე უსირცხვილო მისი გერი - სალომე, რომლის სილამაზესაც ეს მრუში სულ გაუგოებია. რა გინდა მოგცეო? — უკითხავს და მუხლებზე დაუსვამს იგი, - გინდა

ჩემი ნახევარი სამეფო გიბოძო? — არაო, — უთქვამს ქალს. - აბა, რას მოითხოვ? - იოანე ნათლისმცემლის თავი მომართვანო! იმანაც აუსრულა, ვერცხლის ლანგრით მიართვეს ნათლისმცემლის თავი“,

ლაზარემ ლაპარაკი შეწყვიტა და კვლავ ჩაიკეცა. ყველა დუმდა. ჭრაქი აშიშინდა, აპარპალდა, სადაცაა ჩაქრებოდა. მართა ადგა, ზეთით შეავსო, ლაზარე ისევ გონს მოეგო.

- აი, ეს არის ბოლო ჟამი... - ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ გაიმეორა მელქისედეკმა და წვერი ხელით ჩამოივარცხნა. ამ ხნის განმავლობაში გულში მთელ სამყაროს წონიდა და სინჯავდა, გაახსენდა ყველა უსჯულოება, უღირსობა: ყოველ ჯერზე იერუსალიმიდან ცნობები მოდიოდა - კერპთაყვანისმცემლნი წმინდა ტაძარს ბილწავენ, ქურუმები ყოველ დილას მსხვერპლად სწირავენ ერთ ხარსა და ორ ცხვარს - განა ისრაელის ღმერთს, არამედ რომის უღმერთო, წყეულ იმპერატორსო. მდიდრები ყოველ დილით ქალაქში გასვლას რომ მოინებებენ, მათ კართან ღამით შიმშილისგან დახოცილთა გვამებზე აბიჯებენ, აბრეშუმის სამოსს აიკეცავენ, უგულოდ გადაუვლიან და ტაძრის მიმდებარე სტოებისკენ მიემართებიან სასეირნოდ... ყველაფერი გაისიგრძეგანა მელქისედეკმა და დაასკვნა - მოაწიას უკანასკნელმა ჟამმა. კვლავ იესოს მიუბრუნდა:

- შენ რას იტყვი?

- მე უდაბნოდან მოვედი, - თქვა მან და უეცრად ხმა ისე განუმტკიცდა, ყველა მისკენ შემობრუნდა, — უდაბნოდან რომ მოვდიოდი, ვიხილე, სამი ანგელოზი ციდან როგორ გადმოეშვა და სადაცაა მიწას მოვევლინებთან. ჩემი თვალით ვნახე, ცის კიდეზე რომ გამოჩნდნენ. დიახ, ისინი მოდიან! პირველი მათგან არის კეთრი, მეორე — ცოფი, მესამე კი - ყველაზე უფრო მოწყალე მათ შორის — ცეცხლი არის. და ჩამესმა ხმა: „ხუროს ძეო, ააშენე კილობანი და შეიფარე იქ ყოველი კეთილი, ვისაც კი ნახავ! ოღონდ იჩქარე! უფლის დღე დადგა, დადგა დღე ჩემი მოვლივარ!“

სამმა უხუცესმა ერთად შეჰყვირა. იატაკზე ფეხმორთხმული კაცები წამოიშალნენ და ლოყები ჩამოიხოკეს. დაფეთებული ქალები კი კარს მიაწყდნენ გასაქცევად. მარიამი და მართა იესოს გვერდით ისე დადგნენ, თითქოს გადარჩენას სთხოვენო. განა არ შეჰფიცა მათ, კილობანში რომ შეიყვანდა? დადგა ამის დრო.

მოხუცმა მელქისედეკმა ჭალარა საფეთქლებიდან ოფლი მოიწმინდა.

- მართალს ამბობს უცხო სტუმარი, - შესძახა, - მართალს ამბობს! ისმინეთ, ძმებო, სასწაული: ამ დილით, როცა გავიღვიძე და წესისამებრ, წმინდა წერილი გავშალე, პირდაპირ იოველ ნასწარმეტყველის სიტყვები მომხვდა თვალში: „ჩაბერეთ საყვირის სიონზე, დაეცით ყიჟინა ჩემს წმიდა მთაზე! დაე, შეძრწუნდნენ ქვეყნის მკვიდრნი, რადგან უფლის დღე მოდის, ახლოვება. დღე ბნელი და უკუნი, დღე ღრუბლიანი და ჯანღიანი! ბინდივით ევინება მთებს კუმტი და უშქარი, ძლიერი ხალხი, რომლის მსგავსი არ ყოფილა დასაბამიდან და არც მის მერე იქნება მომავალ თაობებში. მის წინ ცეცხლი ჭამს, მის უკან ალი ბუგავს; მის წინ მიწა ედემის ბაღივითაა, მის უკან უკაცრიელი უდაბნოა, ვერავინ დააღწევს თავს. ცხენების რემას ჰგვანან და მხედრებივით მიჰქრიან; ეტლებივით მიგრიალებენ მათათა მწვერვალებზე, ჩალის

მჭამელი ცეცხლის ალივით გრიალებენ, როგორც ძლიერი ხალხი, საბრძოლოდ დარაზმული. მის წინაშე ძრწიან ხალხები, ყველას ფერი მისდის. ფალავნებივით დარბიან, მეომრებივით ადიან გალავანზე და თითოეული თავის გზას მიჰყვება და არ ბრკოლდებიან გზაში!“. ეს შემზარავი ცნობა ორ-სამჯერ წავიკითხე და ეზოში ფეხშიშველმა გალობა დავიწყე. შემდეგ მიწაზე დავემხე და მთელი ხმით შევთხოვე: „უფალო, თუკი მალე მოხვალ, ნიშანი მომეც, რომ მოვემზადო, რომ შევიბრალო ლატაკები, გავხსნა ჩემი სათავსოები და ცოდვები გამოვისყიდო... მომივლინე ელვა, ხმა ან სულიერი, რომელიც ამას მამცნობს, რათა ყოველივე მოვაგვარო“

და იესოს მიუბრუნდა:

- შენ ხარ ნიშანი, — უთხრა, - ღმერთმა შენ გამოგზავნა! მოვასწრებ? თუ ვერ მოვასწრებ? მითხარი, როდის გაიხსნება ზეცა, შვილო ჩემო?

- უხუცესო, ყოველი წუთი, — თქვა იესომ, - ყველა ჩავლილი წუთი ზეცაა, გასახსნელად განმზადებული, ყოველ წუთას კეთრი, ცოფი და ცეცხლი თითო ნაბიჯით გვიახლოვდებიან. მათი ფრთების ფათხუნს უკვე თმაც მაგრძნობინებს.

ლაზარეს გაოცებისგან მწვანე თვალები გაფართოებოდა და იესოს უყურებდა, ძლივძლივობით გადადგა მისკენ ნაბიჯი:

- შენ ხომ არ ხარ იესო ნაზარეველი? - ჰკითხა, - ამბობენ, როცა ჯალათმა მახვილი აღმართა, ნათლისმცემელმა ხელი უდაბნოსკენ გაიშვირა და შესძახა: „შენ, იესო ნაზარეველო, მიატოვე უდაბნო, დაბრუნდი ადამიანებთან დაბრუნდი, რათა არ გაიწიროს ეს სამყარო!“ თუკი მართლაც იესო ნაზარეველი ხარ, ბატონო, დალოცვილია მიწა, რომელზეც დააბიჯებ. ჩემი სახლი განიწმინდა, მოვინათლე, განვიკურნე! შენს ფეხთით დავეცემი და თაყვანს გცემ! – თქვა და აღასრულა კიდეც, რომ იესოსთვის დაწყლულებული ფეხები დაეკოცნა.

მაგრამ მაშინვე გონს მოეგო გამჭრიახი უხუცესი სამუელი. წამიერად თითქოს გონება დაებინდა, თუმცა მაშინვე განმტკიცდა. „სულო და გულო, რაც კი გინდა, ყველაფერს ნახავ ამ წინასწარმეტყველებებში, - გაიფიქრა, - ერთგან უფალი თავის ხალხზე რისხვას მოავლენს და განადგურებას უქადის, მეორეგან კი რძე და თაფლივით დატკბება. გააჩნია დილით რა გუნებაზე გაგვეღვიძება, მაგის მიხედვით ვირჩევთ შესაბამის წინასწარმეტყველებას. ჰოდა, გუნებას ნუ წავიხდენთ.“ ცხენივით თავი გააქნია და უღვაშებში ჩაიხვიხვინა, ისე სიტყვაც არ დასცდენია. „დაე, ხალხს ეშინოდეს, სასარგებლოა შიში! ეგ რომ არ ყოფილიყო, ღარიბებიც უფრო გაბედულნი და ძლიერები იქნებოდნენ და აი, მაშინ დავიღუპებოდი!“ - ამიტომაც ხმას არ იღებდა და დამცინავად უყურებდა ლაზარეს, რომელიც უცხო სტუმარს ფეხებს უკოცნიდა და ელაპარაკებოდა:

- თუკი ის გალილეველნი, იორდანეში რომ გავიცანი, თუკი ისინი შენი მოწაფენი არიან, მოძღვარო, რაღაც დამაბარეს შენთან, შემთხვევით სადმე რომ გადაგყროდი, მითხრეს, რომ იერუსალიმში დაგელოდებიან, დავითის კარიბჭესთან, სიმონ კვირინელის დუქანში. წინასწარმეტყველის სიკვდილით დასჯამ ყველა შეაშინა, ამიტომ მიმოიფანტნენ. დევნა დაიწყო.

ამასობაში ქალები თავის ქმრებს შინისაკენ ეწეოდნენ. სწორად მიხვდნენ ისინი – გამჭოლი მზერა აქვს ამ უცხო სტუმარს, გიყურებს და გონებას გიხვრეტს, გელაპარაკება და ქვეყანა იხვეწავს. გავასწოთ, გავიქცეთ!

უსინათლო უხუცესს კვლავ შეეცოდა თანასოფლელები.

- გამხნევდით, შვილებო, – შესძახა, - დიდი ამბების მომსწრენი შევიქენით, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ ყველაფერი მშვიდად დალაგდება, აი, ნახავთ. სამყარო მყარია, მტკიცე საძირკველი აქვს. ყველაფერს, რასაც კი ღმერთი უძლებს, ისიც გაუძლებს. თვალხილულთ ნუ მოუსმენთ, მე მომისმინეთ. მართალია, ბრმა ვარ, მაგრამ ყოველ თქვენგანზე უკეთ ვხედავ: უკვდავია ისრაელის მოდგმა, ღმერთის ბეჭდითაა დამოწმებული ეს უკვდავება! განა მთელი დედამიწა ჩვენ არ გვებოძა?! ჰოდა, ნუ შიშობთ შუალამე მოახლოვდა, დავუბრუნდეთ ჩვენ-ჩვენს სახლებს, მოვისვენოთ! — თქვა, კვერთხი წინ გაიშვირა და კარისკენ გაემართა.

სამი უხუცესი დაწინაურდა, უკან კაცები მიჰყვნენ, შემდეგ კი ქალები. სახლი დაცარიელდა.

დებმა სტუმარს ლოგინი ხის ტახტზე გაუშალეს. მარიამმა სკივრიდან აბრეშუმის ქვეშაგები ამოიღო, თავისი სამზითვო. მართამაც ატლასის საპირიანი ბუმბულის საბანი გამოიტანა, რომელსაც საგულდაგულოდ ინახავდა ამდენი წლის განმავლობაში და იმ მრავალსაწადად ღამეს ელოდა, როცა მასში თავის ქმართან ერთად გაეხვეოდა. სურნელოვანი ბალახებიც – შამშკვლავი და პიტნა მიმოუბნია სათუმალზე.

- ამაღამ ისე დაიძინებს, როგორ სიძე, - თქვა მართამ და ამოიოხრა.

მარიამმაც ამოიოხრა, მაგრამ არაფერი უთქვამს. „ღმერთო, - მხოლოდ გულში თქვა, - ნუ შემრისხავ! მშვენიერია ეს სამყარო, დაე, მე ვოხრავდე. მშვენიერია, ოღონდ მარტოობისა მეშინია. და ეს სტუმარიც ძალიან მომწონს“.

დები შიგნით, პატარა საძინებელში შევიდნენ და თავიანთ ხმელ ლეიბებზე მიესვენენ. ორი კაცი ხის ტახტზე თავშექცევით იწვა და ტერფებით ერთმანეთს ეხებოდნენ. ლაზარე სიხარულს განიცდიდა: რა ჰაერია, რა სიწმინდე, რა ნეტარება სუფევს მთელ სახლში! მშვიდად, ღრმად სუნთქავდა, ფეხისგულებით ფრთხილად ეხებოდა წმინდა ტერფებს და გრძნობდა, როგორ ეღვრებოდა და ეტოტებოდა მთელ სხეულში რაღაც საიდუმლო ძალა, ღვთაებრივი რწმენა... და უკვე აღარც თირკმლები სტკიოდა, აღარც გული უჩერდებოდა, მშვიდად, თანაბრად დიოდა სისხლი მისი ფეხისგულებიდან თავისაკენ და ერთიანად არწყულებდა მის დაუძლურებულ, ნატანჯ სხეულს. „აი, ესაა ნათლობა, - ფიქრობდა, - ამ საღამოს მოვინათლე. ჩემმა დებმაც ნათელი იღეს. მდინარე იორდანე თავად მოვიდა ჩემს სახლში“.

მაგრამ დები თვალებს როგორ მოხუჭავდნენ?! წლებია უცხო კაცს არ დაუძინია მათ ჭერქვეშ. უცხო მგზავრები მუდამ სოფლის რომელიმე უხუცესის სახლში რჩებოდნენ, ან რატომ უნდა შემოსულიყვნენ მათ ღარიბულ და განაპირა მიწურში. თანაც ძმა დაუსნეულდათ და უცნაური განბდა, არ უყვარდა ხალხთან ყოფნა. თუმც ამ საღამოს, რა მოულოდნელი სიკეთე ეწვიათ. ნესტოები უთრთოდათ, ჰაერს ხარბად

ისუნთქავდნენ: ეს როგორ შეიცვალა მათ ჭერქვეშ ჰაერი, რა საამო სურნელი მოეფინა — განა შაშვკლავისა და პიტნისა, არა, კაცის სურნელი იყო.

- ღმერთმა იმისთვის მოავლინა, რომ კიდობანი ააგოს... სიტყვა მოგვცა, რომ შიგ შეგვიყვანს... გეყურება, დაო, რას გეუბნები, გძინავს?

- არ მძინავს, - უპასუხა მარიამმა და ორივე ხელი გულზე დაიდო, ტკივილს გრძნობდა.

- ღმერთო ჩემო, - განაგრძო მართამ, - ნეტავ მალე იქნებოდეს სამყაროს აღსასრული, რომ მასთან ერთად შევიდეთ იმ კიდობანში. სხვა არაფერი მაინტერესებს, უნდა ვემსახური და შენ კიდევ ებაასე ხოლმე. თან ამბობს, რომ საუკუნო წყლებზე გაცურავს ის სკივრიო. და მეც საუკუნოდ ვემსახურები მას და შენაც საუკუნოდ ებაასები. აი, ასე წარმომიდგენია სამოთხე, შენ, მარიამ?

- მეც, — მიუგო მარიამმა და თვალები დახუჭა.

ქალები ლაპარაკობდნენ და ოხრავდნენ, იესოს კი მოსვენებით ეძინა, ისე ღრმად, თითქოს მთელი სულით და სხეულით შესულიყო მდინარე იორდანეში, გრილდებოდა, სხეულიდან უდაბნოს ქვიშას ირეცხავდა, სულიც უმსუბუქდებოდა, განიწმინდებოდა.

და წამიერად, ძილში ეჩვენა, რომ მდინარე იორდანე გადმოკვეთა, ფუნდაუკარებელ, ხავერდოვან ბილიკს დაადგა და აყვავილებულ მდელოზე აღმოჩნდა. და თითქოს იგი იესო კი არ იყო - მარიამის ძე ნაზარეთიდან, არამედ პირველქმნილი ადამი იყო. ეს-ესაა ღმერთის ხელით შექმნილი მისი სხეული ჯერ კიდევ რბილი თიხა იყო - აყვავებულ მინდორში, მზეზე გასაშრობად მიწოლილი, რათა ძვლები გამაგრებოდა, სახეზე ფერი დასდებოდა და სხეულის სამოცდათორმეტივე სახსარი მომართულიყო, ადგომა და სიარული რომ შესძლებოდა. ასე იწვა მზის გულზე და შრებოდა, მის თავზე კი ჩიტები ფრთხიალებდნენ, ხიდან ხეზე დაფრინავდნენ, აყვავებულ მდელოზე დაგოგმანებდნენ, ერთმანეთს ეჭიკჭიკებოდნენ, უყურებდნენ და აკვირდებოდნენ ამ უცნაურ, ახალ ქმნილებას, ბალახზე მიწოლილს... მიფრინდებოდა რომელიმე ფრთოსანი, რაღაცას ჩაუქვლურტულებდა და გაფრინდებოდა.

თითქოს ჩიტების ენაც ესმოდა და უხაროდა მათი მიყურადება, ფარშევანგმა კუდი ამაყად გაშალა და მედიდურად მოჰყვა სეირნობას, მაცდურ მზერას სტყორცნიდა ძირს გაწოლილ ადამს და უყვებოდა: „მეც დავფრინავდი, მაგრამ ერთი ანგელოზი შემეყვარდა და ფარშევანგად ვიქეც. განა არსებობს ჩემზე უფრო ლამაზი ჩიტი?“ იქვე გვრიტი ხიდან ხეზე დაფრთხიალებდა, ყელს ცისაკენ გაიწვდენდა და იძახდა: „სიყვარული! სიყვარული! სიყვარული!“ მერე შაშვი იტყოდა თავისას: „ფრინველთა შორის მხოლოდ მე ვარ, საშინელ ყინვაშიც კი რომ ვჭიკჭიკებ და ასე ვთბები!“ და მერცხალიც: „მე რომ არ ვიყო, ხეები ხომ არასოდეს აყვავდებოდნენ!“ და მამალი: „მე რომ არ ვიყო, ვერასოდეს გათენდებოდა!“ იქვე ტოროლა: „დილით ცას ვიდრე მივწვდები, ჩემს ბარტყებს ვემშვიდობები, რადგან არ ვიცი, გალობას ცოცხალი თუ გადავურჩები!“ და ბულბული: „ასე ნუ მიმზერ, ახლა მწირის სამოსი მმოსავს, მაგრამ მეც დიდი ფრთები მქონდა, საუცხოო ფრთები, რომლებიც გალობად

გარდავქმენი“. მერე ყვითელნისკარტა შავი შაშვი მიფრინდა, პირველქმნილს მხარზე დაასკუპდა და თითქოს დიდ საიდუმლოს გაანდობსო, ყურში უჩურჩულა: „გვერდიგვერდ არის სამოთხისა და ჯოჯოხეთის კარიბჭენი. და ორივე ერთნაირია, ორივე მწვანე და ორივე მშვენიერი. გახსოვდეს, ადამ! გახსოვდეს, ადამ! გახსოვდეს, ადამ!“.

გამთენიისას, იმ შავი შაშვის ჩურჩულის დროს გამოელვია.

XIX

„დიდი ამბები მაშინ ხდება, როცა ღმერთი და ადამიანი ერთმანეთს ეზიარება. უადამიანოდ ღმერთი ვერ ჰპოვებდა დედამიწაზე სათანადო გონს, რომ ზედმიწევნით განეჭვრიტა საკუთარი ქმნილებანი და სრულყოფილად შეეცნო თავისი სიბრძნე და ძლევამოსილება. და ამ მიწაზე ვერ ჰპოვებდა გულს, მისთვის უცხო საზრუნავებით რომ შეიძვრებოდა და მოიწადინებდა, თვითონ შეექმნა ის სიკეთენი თუ საწუნარი, რაც თავად ღმერთმა ან არ ინება, ან დაავიწყდა, ან შეეშინდა. ამიტომაც ჩაჰბერა ძალა და სიმამაცე ადამიანს – შესაქმეთა გასაგრძელებლად.“

თავის მხრივ კი, ღმერთის შეწევნის გარეშე, ისე, როგორც იბადება — შიშველი, დაუცველი, უნუგემო ადამიანი გაქრებოდა შიმშილის, შიშისა თუ სიცივისგან. და თუკი მაინც გადარჩებოდა, მთელი ცხოვრება ლოკოკინასავით მოუწევდა ხოხვა ლომებსა და ჭიანჭველებს შორის. თუმცა დიდი ბრძოლის შედეგად, ორ ფეხზეც რომ დამდგარიყო, მაინც ვერასდროს დააღწევდა თავს საკუთარი დედის ანუ მაიმუნის თბილ და სათუთ მკლავებს...“ ფიქრობდა იესო და დღეს, პირველად, მთელი არსებით შეიგრძნო, რომ ღმერთსა და ადამიანს შეუძლიათ ერთარსად იქცნენ.

დილაუთენია დაადგა იერუსალიმის გზას და იდაყვებზე ღმერთის შეხებას გრძნობდა. მიდიოდნენ ისინი ერთად, ერთი საზრუნავით: დედამიწას გზა დაებნა – ნაცვლად იმისა, ზეცისკენ აღმართს აჰყოლოდა, ჯოჯოხეთისკენ დაუყვა დაღმართს. ამიტომაც ახლა ორივეს — ღმერთს და ღმერთის ძეს ერთად უნდა ებრძოლათ, რომ იგი კვლავ სწორ გზაზე დაეყენებინათ. და ჩქარობდა იესო, ერთი სული ჰქონდა კვლავ ეხილა თანამგზავრები და ბრძოლა დაეწყო.

და მზე, რომელიც მკვდარი ზღვიდან აღმოხდა, და ჩიტები, რიჟრაჟმა რომ ააჭიკჭიკა, და ხეთა მთრთოლავი ფოთლები და მოკირწყლული გზა, წინ რომ გადაეშალა და იერუსალიმის გალავნამდე მიჰყავდა იგი, ყველაფერი, ყველაფერი ერთხმად მოუხმობდა: „ჩქარა! ჩქარა იმოქმედე! ვილუპებით“. „ვიცი, ვიცი, - ექომამებოდა იესოც, - ვიცი და მოვდივარ!“.

მისი თანამებრძოლნიც სისხამდილიდან კედელ-კედელ დადიოდნენ. იერუსალიმის ქუჩებში ჯერ კიდევ სიმშვიდე იყო, მაგრამ ისინი მაინც დაცალკევებულნი, ორ-ორად დაფანტულნი დაიარებოდნენ - პეტრე და ანდრია, იაკობი და იოანე, იუდა კი – კენტად მიუძლოდათ წინ. ეშინოდათ, გაფაციცებით იყურებოდნენ აქეთ-იქით, უკან ვინმე ხომ არ ასდევნებოდათ და გარბოდნენ. მათ წინ

დავითის კარიბჭე აღიმართა. მარცხნივ, პირველივე ვიწრო ქუჩაზე შეუხვდეს და უჩუმრად შეიპარნენ სიმონ კვირინელის ღუქანში.

ჩამრგვალებული, წითელცხვირა და თვალბდასიებული მედუქნე, ის-ის იყო, თავისი ჩალის ლეიბიდან წამომდგარიყო. გვიანობამდე სვამდა მუდმივ კლიენტებთან ერთად, მღეროდა, ჩხუბობდა და ახლა ნაბახუსევზე, უგუნებოდ გაღვიძებული დახლს წმენდდა წუხანდელი ღრეობის ნარჩენებისგან. ფეხზე კი იდგა, მაგრამ ჯერ არ გამოფხიზლებულიყო. სიზმარში ეგონა თავი, ასუფთავებდა დახლს ტილოთი და ასე ძილ-ბურანში მყოფი უეცრად ღუქანში აქოშინებული ადამიანების შემოცვენის ხმამ შეაცბუნა. თვალები ეწვოდა, პირი უშრებოდა, წვერში კი აქა-იქ სიმინდის მარცვლები გასჩროდა.

- ვინ ხართ მანდ, თქვე შეჩვენებულებო? - ჩახრენწილი ხმით გასძახა, - იქნება თავი დამანებოთ? ამ დილაუთენია სასმელ-საჭმელად რამ მოგიყვანათ? თქვენს გუნებაზე არა ვარ, სხვაგან წადით!

საკუთარმა ხმამ გამოაფხიზლა და ნელ-ნელა გაარჩია თავისი ძველი მეგობრის — პეტრესა და მისი გალილეველი მეგზურების სახეები, მიუახლოვდა, დააკვირდა და სიცილი აუვარდა:

- რა სახეები გაქვთ? ენები შეწიეთ, არ გადმოგიცვივდეთ? ჭიპები დაიცავით, შიშისაგან არ გაგისკდეთ! ფუი, ფუი, თვალი არ გეცეთ, გალილეველნო!

- ღვთის გულისათვის, სიმონ, შენი ღრიალით ქალაქს ნუ გააღვიძებ, - შესთხოვა პეტრემ და ხელი პირზე ააფარა, - კარი ჩარაზე! მეფემ იოანე ნათლისმცემელი დასაჯა, შენ რა, არ გაგიგია? თავი მოკვეთა და ლანგარზე დადო...

- კარგად უქნია, აბა, ტვინი წაუღეს ჭორებმა, თავისი ძმის ცოლი როგორ შეირთოო... ძალიანაც კარგი! მეფეა და რასაც უნდა, იმას იზამს. მეც ტვინი გამომილაყა მაგისმა მოთქმამ - შეინანეთ, შეინანეთო. მორჩა, ძმაო!

- ახლა იმასაც ამბობენ, ყველა მონათლულს დახოცავსო, მისი მახვილი არავის ასცდებო. და ჩვენც მონათლულები ვართ, გესმის?

- მერე ვინ გითხრათ, თქვე ჩერჩეტებო, მოინათლეთო? ეგრე მოგიხდებათ!

- და შენც ხომ მოინათლე, შე ღვინის კასრო? — განრისხდა პეტრე, - ეგრე არ გვითხარი? რა გაყვირებს?

- ეგ სხვა რამეა, უგუნურო მეთევზევ, მოვინათლე კი არა - აბა, ის რა ნათლობა იყო? — წყალში ჩავყვინთე, დავიბანე. და რასაც ის ცრუწინასწამეტყველი მიქადაგებდა, ქარს ვატანდი. ასე იქცევა, ვისაც ტვინი აქვს. მაგრამ თქვენ თავგამოლაყებული ხართ, სადაც კი ცრუწინასწარმეტყველებსა და ეფოდიან (ეფოდი - ებრაელი სასულიერო პირის შესამოსელის ნაწილი. წინსაფრის მსგავსი) კურდღლებს დაინახავთ, იქ დაერჭობით და ტოლს არავის უდებთ, წყალში გადახტივით - გეტყვიან და თქვენც გადახტივით და გაძაგძაგებთ მერე, შაბათს ტილებს ნუ გაიცლით, ნუ დახოცავთო, დიდი ცოდვანო — გეტყვიან, და თქვენც უჯერებთ. მაგრამ ის ტილები კი გჭამენ მერე, ნუ გადაიხდით ხარკსო, არ იხდით და თავს გაჭრიან, ეგრე მოგიხდებათ!

დასხედით, ცოტა დავლიოთ, რომ აზრზე მოხვიდეთ და მეც გამოფხიზლდები ამასობაში!

დუქნის შუაგულში ორი განიერი კასრი იდგა. ერთზე წითლად მამალი მიეხატათ, მეორეზე კი – ნაცრისფერი ღორი. მამლიანი კასრიდან ერთი ხელადა ღვინო გადმოასხა, ექვსი ჭიქა გამოიტანა, აყროლებულ წყალში გაავლო, ვითომ გასარეცხად. ღვინის სუნი ეცა თუ არა, გამოფხიზლდა.

კარში ვიღაც უსინათლო კაცი შემოეხეტა: ჯოხი ფეხებშორის მოიქცია, ძველისძველი ბარბითი მოიმარჯვა, ერთი ჩაახველა და გაადაფურთხა, ყელი რომ ჩაეწმინდა. ელიაკიმი ახალგაზრდობაში მეაქლემე იყო და ერთხელაც ნაშუადღევს, უდაბნოს რომ გადიოდა, ფინიკის ძირში, წყლის პირას, ნაბანავები შიშველი ქალი დაინახა. იმის ნაცვლად, რომ პირი ექცია ამ უსირცხვილოს, თვალი აერიდებინა, ლამაზ ბედუინ ქალს მიაშტერდა. მისდა ჭირად, ქალის ქმარი ლოდის უკან ჩაჩოქილიყო, ცეცხლს ანთებდა, რათა საჭმელი მოემზადებინათ. დაინახა მეაქლემე, რომელიც მიიწევდა და თვალებით ჭამდა მისი ცოლის სიშიშვლეს, ეცა და ორი ანთებული ნაკვერჩხალი შიგ თვალეში ჩაუქრო საწყალს... ამის მერე მიეძალა ელიაკიმი გალობასა და სიმღერას. იერუსალიმის დუქნებსა და სახლებში დადის თავისი ბარბითით და ხან ღვთის სიკეთეს უგალობს, ხან ქალის სიშიშვლეს უმღერს, სამაგიეროდ, ხმელ ჰურს მიუგდებენ. მუჭა ფინიკს, ორ ზეთისხილს და ასე გააქვს თავი.

ბარბითი მოიმარჯვა, ხმა ჩაიწმინდა, ყელი დაჭიმა და თავისი საყვარელი საგალობელი დაიწყო: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალეებითა შენითა აღხოცე უსჯულოებაი ჩემი...“

ამ დროს მედუქნე შემოვიდა ხელში ღვინით სავსე ხელადითა და ჭიქებით, გალობის ხმაზე კინალამ გაგიჟდა:

- კმარა, კმარა! - დაიღრიალა, - შენც ტვინი წაიღე სულ ერთი და იგივე მოთქმა: „მიწყალე მე... მიწყალე მე...“ დაიკარგე აქედან! მე ვიყავი, რომ შევცოდე? მე ვიყავი, რომ ბანაობისას შიშველ ქალებს ვუყურებდი? ღმერთმა იმისთვის მოგვცა თვალეები, რომ ვერ ვხედავდეთ, ეს ჯერ კიდევ ვერ გაიგე, ხო? ჰოდა, ეგრე მოგიხდება! გასწი, აქედან მოშორდი!

უსინათლომ აიღო თავისი ხელჯოხი, ბარბითი იღლიაში ამოიჩარა და ჩქამის გაუღებლად გასწია.

- „მიწყალე მე, ღმერთო... მიწყალე მე, ღმერთო...“ - აღშფოთებული მედუქნე ფსალმუნის სიტყვებს იმეორებდა, - დავითმა თვალი ვერ მოაშორა სხვის ქალებს, ამ უკუღმართმაც თვალი ველარ მოსწყვიტა სხვის ცოლს და ახლა ჩვენ უნდა ვზლოთ! ეგრეა, ძმაო!

სასმისები ღვინით შეავსო, დალიეს. ისევ შეავსო თავისი და გადაკრა.

- წავალ, ღუმელში ცხვრის თავს შევაგდებ თქვენთვის, ცოტა რომ წაინემსოთ. სად გაგონილა, დედა ჭამდეს და შვილს შიოდეს!

თქვა და გაიჭრა ეზოში, სადაც თვითონვე გაემართა ღუმელი, ფიჩხი შეაწყო, ზეთისხილის შტოებიც შეყარა, ცეცხლი დაანთო, ლანგრით ცხვრის თავი შეაგდო და უკან დაბრუნდა - ღვინო და მუსაიფი სწყუროდა.

მაგრამ მისი თანამეინახენი სულ არ იყვნენ საუბრის გუნებაზე, ცეცხლთან მიყუჟულნი თან კარს თვალს არ აშორებდნენ,

ეკლებზე ისხდნენ, წასვლას ეპირებოდნენ. ერთ სიტყვას ძლივს მიუგდებდნენ მასპინძელს და მაშინვე დამუნჯდებოდნენ. იუდა ადგა, კართან მივიდა. გულს ურევდა ამ მხდალების ყურება, თავი რომ დაეკარგათ შიშისაგან. როგორ მორბოდნენ! გულამომჯდარნი გამოცვივდნენ იორდანედან იერუსალიმისკენ და ამ მიყრუებულ დუქანს შეაფარეს თავი. ახლა კი კურდღლებივით დაუცქვეტიათ ყურები, ცახცახებენ და ერთი სული აქვთ, სადმე გაიქცნენ... თავიდან მომწყდით, გალილეველნო! მადლობა შენ, ისრაელის ღმერთო, რომ ამათნაირად არ შემქმენი. მე უდაბნოში ვიშვი და გალილეის ფაფუკი მიწით მოზელილი კი არა ვარ, ბედუინების გრანიტისგან ვარ ნაქანდაკარი. და თქვენ, ყველანი, ვინც მას ეთაყვანებოდით, ფიცს აძლევდით და ამბორსუყოფდით, ახლა მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობთ. აი, მე კი, ეს ველური კაცი, ჟღალწვერა და ყაჩაღი, მას არ მივატოვებ, აქ დაველოდები, სანამ უდაბნოდან არ დაბრუნდება და არ გავიგებ, თან რა მოაქვს... მხოლოდ ამის მერე გადავწყვეტ, რადგან ჩემს ტყავზე კი არ ვზრუნავ, ერთადერთი მაქვს საწუხარი – ისრაელის ტკივილი.

ხმადაბალი კინკლაობის ხმაზე შებრუნდა.

- გეუბნებით, გალილეაში დავბრუნდეთ, იქ უსაფრთხოდ ვიქნებით. ჩვენი ტბა გაიხსენეთ, ძმებო! — თქვა პეტრემ და ამოიოხრა.

წარმოიდგინა კიდეც როგორ ირწეოდა მისი მწვანე ნავი ლაჟვარდისფერ ტალღაზე და გული მოეწურა. მონატრა კენჭოვანი სანაპირო, ოლეანდრები, თევზით სავსე ბადეები და თვალეები ცრემლით აევსო.

- დავბრუნდეთ, იქ დავბრუნდეთ!

- მაგრამ ჩვენ ხომ სიტყვა მივეცით, რომ აქ, ამ დუქანში დაველოდებოდით, ღირსების ამბავია პირობის შესრულება - თქვა იაკობმა.

- კვირინელს დავუბაროთ და ყველაფერს აუხსნის, - ითავა პეტრემ, - თუკი საერთოდაც მოვა აქ...

- არა, არა! — შეეპასუხა ანდრია, — ამ ცოფიან ქალაქში ასე მარტოდმარტო როგორ უნდა მივატოვოთ? აქ დაველოდებით.

- მე მგონია, გალილეაში სჯობს დაბრუნება! — ჯიუტად გაიმეორა პეტრემ.

- ძმებო, - თქვა იოანემ და თანამგზავრთა მხრებსა და ხელებს ვედრებით შეეხო, - ძმებო, გაიხსენეთ ნათლისმცემლის უკანასკნელი სიტყვები! ჯალათის მახვილქვეშ ხელები აღაპყრო და შესძახა: „იესო ნაზარეტელი, მიატოვე უდაბნო, მე მივდივარ, ადამიანებს დაუბრუნდი. მოდი, რათა ეს სამყარო მარტო არ დარჩეს!“. ამ სიტყვებში დიდი აზრია. ღმერთმა შემინდოს, თუ რამე მკრეხელობას ვამბობ, მაგრამ...

სუნთქვა შეეკრა. ანდრიამ ხელი სტაცა:

- თქვი, იოანე, რაღაც საზარელზე ფიქრობ და თქმას ვერ ბედავ?

- ...მაგრამ თუკი ჩვენი მოძღვარი მართლა არის... - ენა დაება.

- ვინ, ვინ არის?

ჩუმი, შიშით აღვსილი ხმით წარმოთქვა იოანემ:

- ...მესია!

ყველა შეძრწუნდა. მესია?! ამდენი ხანია მასთან არიან და გონებაშიც არ გაუვლიათ! თავიდან კარგ ადამიანად აღიქვეს, წმინდანად, რომელიც ქვეყნად სიყვარულს ამკვიდრებს. შემდეგ წინასწარმეტყველად ცნეს, მაგრამ ძველებივით ბობოქარ წინასწარმეტყველად კი არა, მხიარულ და მშვიდ მოძღვრად, ცათა სასუფეველი დედამიწაზე რომ ჩამოჰქონდა, სიკეთისა და სამართლიანობის ნიშნად. მან წინაპართა მრისხანე ღმერთს - იაჰვეს მამა უწოდა, ისიც მოლბა და ყველანი მის შვილებად ვიქცით, და ახლა ეს სიტყვა - მესია რას ნიშნავს, რატომ დასცდა იგი იოანეს ბაგეებს? რას ნიშნავს და: დავითის მახვილს, ისრაელის მეუფებას, ომს და ესენი, მოწაფეები, ვინც პირველნი შეუდგნენ მას, დიდი წინამძღოლები, ოთხმმართველნი და პატრიარქნი არიან მისი ტახტის გარშემო! როგორც ღმერთს ცაში, თავის გარშემო, სულ ანგელოზები და მთავარანგელოზები ჰყავს, სწორედ ასევე იქნებიან ისინი, დედამიწაზე ერის მამებად და პატრიარქებად მოგვევლინებიან! ამ ფიქრზე თვალები გაუბრწყინდათ.

- ჩემს სიტყვას უარყოფ, მეგობრებო, - თქვა პეტრემ და ერთიანად გაწითლდა, - მე მას არასდროს მივატოვებ!

- არც მე!

- არც მე!

- არც მე!

იუდამ ბრაზით გადააფურთხა, კარის ძელს მუშტი მიჰკრა.

— აი, ყოჩაღ! — დაიღრიალა, - სანამ უძღური გეგონათ, მხოლოდ გაქცევაზე გეჭირათ თვალი. ახლა კი მისი დიდებულება იყნოსეთ და: მე მას არასდროს მივატოვებ! აგერ ვნახავთ, ერთ დღესაც ყველა თქვენგანი მიატოვებს და მე, მხოლოდ მე არ ვუღალატებ — აგერ, სიმონ კვირინელი იყოს მოწმე!

მედუქნემ, მათ რომ უყურებდა და ჩამოკიდებულ უღვაშებში ეცინებოდა, იუდას თვალი ჩაუკრა:

- ერთი ამათ შეხედეთ! — თქვა, - და ამათ უნდათ სამყაროს ხსნა?!

მაგრამ უცებ ღუმლიდან დამწვრის სუნი ეცა:

- ცხვრის თავი იწვის! — შესძახა და მკვირცხლად გაქანდა ეზოში.

თანამგზავრები ერთმანეთს შეძრწუნებულები უყურებდნენ:

- ამიტომ იყო, რომ ნათლისმცემელმა როგორც კი იგი დაინახა, ადგილზე გაქვავდა! – თქვა პეტრემ და შუბლზე ხელი იტაცა.

დაწყნარდნენ. გონება მოიკრიბეს.

- და მტრედი თუ იხილეთ, ნათლობისას თავს რომ დასტრიალებდა?

- მტრედი არა, ელვა იყო ის!

- არა, არა! მტრედი! და ლულუნებდა.

- კი არ ლულუნებდა, ლაპარაკობდა. ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ამბობდა: „წმინდა! წმინდა! წმინდა!“.

- სულიწმინდა იყო! – თქვა პეტრემ და თვალეში შუქი ჩაუდგა, - სულიწმინდა ჩამოვიდა ზეციდან და ყველანი გავხევდით, ნუთუ არ გახსოვთ? ფეხის გადადგმა მინდოდა, რომ მივახლოვებოდი, მაგრამ ერთიანად დამიბუჟდა და ვერ შევძელი. დაძახება მინდოდა, მაგრამ ტუჩები გამიშეშდა. ქარი ჩადგა, ლერწმიანი, მდინარე, ადამიანები, ჩიტები – ყველა და ყველაფერი ადგილზე გაქვავდა შიშისაგან, მხოლოდ ნათლისმცემლის ხელი მოძრაობდა ნელ-ნელა და ნათლავდა...

- მე არაფერი დამინახავს და არც გამიგონია! — თქვა აღელვებულმა იუდაამ, - თვალეები და ყურეები დაგიტვრათ ეტყობა.

- ვერ დაინახე, ჟღალწვერავ, იმიტომ რომ არ გინდოდა დაგენახა! — მიუგო პეტრემ.

- აი, და შენც წვერგაბურძგნილო, იმიტომ დაინახე, რომ ძალიან გინდოდა. მოინებე სულიწმინდა გეხილა და აისრულე კიდეც. ახლა კი ამ ჭკუასუსტებსაც აიძულე იმავეს და თავ-გზას უბნევ.

აქამდე იაკობი მხოლოდ უსმენდა, არ ლაპარაკობდა. ფრჩხილებს იკვნეტდა და ჩუმად იყო. მაგრამ ახლა თავი ველარში კავა:

- გაჩუმდით! — თქვა, - ნაპერწკალს ცეცხლად ნუ წარმოვისახავთ! მოდით, კარგად განვსაჯოთ ეს ამბავი. ნათლისმცემელმა ნამდვილად თქვა ეს სიტყვები, სანამ თავს მოკვეთდნენ? ძალიან მეეჭვება. ჯერ ერთი, რომელი ჩვენგანი იყო იქ და ეს სიტყვები რომელმა გავიგონეთ? და მეორეც: რომც ჰქონოდა ნათლისმცემელს გონებაში ეს სიტყვები, არასოდეს გაახმაურებდა! იმიტომ რომ ასე მეფეც შეიტყობდა და მსტოვრებს გაგზავნიდა, რათა გაეგოთ, ვინ არის ეს უდაბნოში მყოფი იესო, მერე შეიპყრობდა და იმასაც თავს მოკვეთდა, ეს ჭეშმარიტებაა, როგორც მამაჩემი ამბობს ხოლმე, ჰოდა, ფუჭ ოცნებებს ნუ მივეცემით!

მაგრამ პეტრე გაბრაზდა:

- მე კიდეც გეუბნები, რომ ეს ჭეშმარიტებაზე მეტია რა მნიშვნელობა აქვს, გონება რას გკარნახობს, თუკი არასწორად გკარნახობს! მიდი, ანდრია, დავლიოთ, გონების ხმა ჩავახშოთ და მერე ვნახოთ!

ერთი ფეხშიშველი, თეთრ სუდარაში გამოხვეული, ყელზე თილისმებასხმული და სახედაღარული ახმახი ღუქანში შემოვარდა, ხელი გულზე დაიდო და დამხვდურებს მიესალმა:

- მშვიდობა, ძმებო, - შეჰყვირა, - მივდივარს ღმერთთან მივდივარ! რამეს ხომ არ დამაბარებდით?! - და ისე, რომ პასუხს აღარ დალოდებია, უკან მოკურცხლა, გვერდითა სახლში რომ შესულიყო.

ამ დროს მედუქნეს ლამის შეეჯახა, ლანგრით ხელში რომ შემოდიოდა და შემწვარი ხორცის სურნელს აფრქვევდა. თვალი ჰკიდა ამ გადარეულ ახმახს და მიაძახა:

- დაიკარგე აქედან და მოკითხვა გადაეცი! აჰა, ესეც კიდეც ერთი.. — თქვა და სიცილისაგან ლამის მოკვდა, - მგონი, მართლა ბოლო ჟამი დადგა, სულელებით აივსო ქვეყანა. ამბობენ, ამას გუშინწინ ღამით უნახავს ღმერთი – საქმეზე რომ მიდიოდა, წინ შემოხვდაო, იმის მერე, აბა, ამქვეყნად ყოფნა რაღად უნდა! ლუკმას აღარ იღებს პირში, ამბობს, ცაში ვარ მიწვეული, იქ უნდა მოვილხინოო. ასე, სუდარაში გამოხვეული, კარდაკარ დაძრწის, დანაბარებს აგროვებს, ყველას ემშვიდობება და მიდის... აი, ასე ემართებათ, ვინც მეტისმეტად ახლოს მიდის ღმერთთან. ფრთხილად! თქვენთვისვე ვამბობ, გირჩევნიათ, მისგან თავი შორს დაიჭიროთ. მეც კი ვიდრეკ ქედს მისი მადლის წინაშე, მაგრამ მაინც ვერიდები. ერთი, ეს ჩამადებინეთ სადმე!

ოხშივარადენილი ცხვრისთავიანი ლანგარი მაგიდის შუა გულში ჩადგა. პირი, თვალები, ყურებიც კი უცინოდა.

- აბა, ცინცხალი თავი! — შესძახა, - იოანე ნათლისმცემელი! გემრიელად მიირთვიო!

იოანეს გული შეუღონდა და უკან დაიწია. ანდრიასაც, საჭმლისაკენ გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა. ლანგარზე დადებული თავი - ოდნავ გახელილი სევდიანი თვალებით მათ სათითაოდ უყურებდა.

- შე გაიძვერა სიმონ! - თქვა პეტრემ, - რა გინდა, შეგვეზიზღოს და პირი აღარ დავაკაროთ? რანაირად შევჭამო ახლა ცხვრის თვალები, ასე ძალიან რომ მიყვარს? მეგონება, რომ ნათლისმცემლის თვალებსა ვჭამ.

მედუქნე კი სიცილისაგან იკრუნჩხებოდა:

- ნუ სწუხარ, ჩემო პეტრე, მე შევჭამ. მაგრამ ჯერ იმ მოლაქლაქე ენას ამოვაჭამ და ვიგემებ: „შეინანეთ! შეინანეთ! მოაწია უკანასკნელმა ჟამმაო, სამყაროს აღსასრულმა!“, თუმცა მაგ უბედურის ბოლო ჟამმა რომ დაასწრო?!“

თქვა, დანა აიღო, ენა ამოჭრა და ერთ ლუკმად გადასანსლა. პირთამდე სავსე ჭიქაც ჩაცალა და ღვინის ორი კასრი დალოცა.

- მებრალებით! საუბრის თემას შევცვლი, ნათლისმცემლის თავზე რომ აღარ იფიქროთ და ცხვრის თავს შეექცეთ. აბა, თუ მიხვდებით, ვინ დახატა ეს საოცრება, კასრებზე რომ ხედავთ? ეს მამალი და ღორი? ვინ დახატავდა, თუ არა მე, საკუთარი ხელით, აბა, რა გგონიათ? მაგრამ თუ ხვდებით, რატომ მაინცდამაინც მამალი და

ღორი? თუმცა საიდან უნდა მიხვდეთ, თქვენ სულელო გალილეველებო? ჰოდა, ახლავე აგინხნით, რომ გაგინათოთ ეგ გონება!

პეტრე ისევ თავს დასშტერებოდა, ხედავდა, რომ ცივდებოდა, მაგრამ მაინც ვერ გაებედა, თვალები ამოეღო და შეეჭამა - ისევ ნათლისმცემელი უტრიალებდა გონებაში: სწორედ ასე, თვალებგადმოკარკლოული უყურებდა ხოლმე ისიც ადამიანებს.

- აბა, ყური დამიგდეთ, - განაგრძობდა მედუქნე, - რომ გონება გაგინათოთ-მეთქი! როცა ღმერთმა სამყარო შექმნა - ნეტა რაში სჭირდებოდა იმ დალოცვილს ამდენი სულელი! - და ხელები დაიბანა, რომ თიხა ჩამოერეცხა, მოუხმო ყველა პირველქმნილს და სიამაყით ჰკითხა: „ჰეი, ჩიტებო და ცხოველებო, როგორია ეს სამყარო, რომელიც შევქმენ, რამე ნაკლს ხომ არ ამჩნევთ?“ ყველა მაშინვე მოჰყვა ყმუილს, ღრიალს, კნავილს, ბლავილს, კიკინს და ჭიკჭიკს: „არაფერს! არაფერს! არაფერს!“ „დალოცვილები იყავით! — თქვა ღმერთმა, - მეც, რწმენას ვფიცავ, ვერანაირ ნაკლს ვერ ვპოულობ! დაილოცოს ჩემი ხელები!“. მაგრამ თვალი მოჰკრა მამალს და ღორს, რომლებსაც თავები დაეხარათ და ხმას არ იღებდნენ. „ჰეი, ღორო, - დაუძახა ღმერთმა, - და შენც, ოქროსდებებიანო მამალო, თქვენ რატომ არაფერს ამბობთ? იქნებ არ მოგწონთ ეს ყოველივე, რაც შევქმენი? განა რამე აკლია?“. მაგრამ ისინი ხმას არ იღებდნენ, მათ ეშმაკი წვრთნიდა თურმე ამ დროს, ჩუმად ყურში კარნახობდა: „დაბლარი აკლიაო — ასე უთხარით — რომელიც ყურძენს გამოისხამს, დაწურავ, კასრში მოათავსებ და ღვინოდ აქცევო!“. „რატომ არაფერს ამბობთ, ცხოველებო?“ — ისევ შეჰყვირა ღმერთმა და ხელი აღმართა. და მხოლოდ მაშინ გაბედეს და, ეშმაკმა მისცა მათ ამის ძალა, თავი ასწიეს: „აბა, რა გითხრათ, შემოქმედო? დალოცვილია შენი ხელები, მშვენიერია ეს სამყარო! მაგრამ ერთი პატარა დაბლარი აკლია, რომელიც ყურძენს გამოისხამს - დაწურავ, კასრებში მოათავსებ და დააღვინებ!“ „ასე ხომ?! — თქვა განრისხებულმა ღმერთმა.

„ღვინო და ქეიფი, თრობა და დავიდარაბა მოისურვებო? დაე, იშვას ვაზი!“ დაიხარა, თიხა აიღო, შტო გამოძერწა და დარგო. „ჩემი წყევლა ეწიოს ყველას, ვინც უზომოდ დაღვეს - გონება მამლის ტვინად, ხოლო სახე კი ღორის დინგად ქცეოდეს!“.

თანამესუფრენი ახარხარდნენ, დაავიწყდათ ნათლისმცემელი, შემწვარ თავს ეცნენ. პირველმა იუდამ სტაცა ხელი, თავი ორად გადახლიჩა და მუჭი ცხვრის ტვინით ამოივსო. ამათ შემხედვარე მედუქნეს შეეშინდა, ძვალსაც კი არ დამიტოვებენო — გაიფიქრა.

- მოყვასნო, - შესძახა, - არაფერი დაიკლოთ, ჭამეთ და სვით, მაგრამ ნეტარი იოანე ნათლისმცემელი არ დაივიწყოთ! ვაი, მის თავს!

ხელში შეეყინა ყველას საჭმელი. პეტრე, თვალს რომ ღეჭავდა და ის იყო, უნდა გადაეყლაპა კიდეც, დაიბნა: გადასაყლაპად შეეზიზღა, გადმოსაგდებად კი დაენანა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მხოლოდ იუდას არ ჩაუგდია მისი ნათქვამი აინუნში. მედუქნემ სასმისები შეავსო.

- მარადიული ხსოვნა იყოს მისი საბრალო თავისა! მისი ბედი გწვეოდეთ!

- შენც მისი ბედი გწვეოდეს, შე გაიძვერა! — თქვა პეტრემ, ერთი შეხედა და თვალი გადაყლაპა.

- თქვენ იდარდეთ, თორემ მე არაფრისაც არ მეშინია, - მიუგო მედუქნემ, — ღმერთის საქმეში არ ვერევი და არც სამყაროს გამოსახსნელად მეწვის გული! მედუქნე ვარ, ანგელოზი ან მთავარანგელოზი კი არა, როგორც შენ, გადავრჩები! — თქვა და ლანგარზე შემოტოვებული თავის ნარჩენები ერთიანად შთანთქა.

პეტრემ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა. ერთი ველური შესახედაობის, სახენაყვავილარი კაცი მოსდგომოდა კარს და იყურებოდა. თანამეინახეებს შიშისაგან გულები გადაუქანდათ, პეტრე კი იაკობის ფართო ბეჭებს ამოეფარა.

- ბარაბაა! — კბილებში გამოსცრა იუდამ და წარბები შეყარა, - შემოდი.

ბარაბამ სქელი კისერი წაიგრძელა, მბჟუტავ სინათლეზე მოწაფეები შეათვალიერა და ბოროტად ჩაიქირქილა.

- მშვიდობა თქვენდა, ჩემო ცხვრებო, - თქვა, - დედამიწის ოთხივე კუთხე მოვიარე, რომ მეპოვეთ.

მედუქნე უკმაყოფილოდ წამოდგა და ჭიქა მოუტანა.

- შენლა გვაკლდი, ბარაბა მეთაურო! — წაიბურტყუნა.

მისდამი მწყრალად იყო: ყოველ ჯერზე, როცა კი დუქანში მოვიდოდა, გამოთვრებოდა და რომაელ ჯარისკაცებთან აყალმაყალს აწყობდა, ბოლოს კი შარში ეს ეხვეოდა.

- შენებურებს ნუ დაიწყებ ახლა აქ, შე მამლაყინწა!

- სანამ წარწყმედილები დააბიჯებენ ისრაელის მიწაზე, მე არ დავმშვიდდები და შეიგნე, ბოლოს და ბოლოს! მისაყოლებელი მომიტანე, შე უჯიათო!

მედუქნემ ძვლებით სავსე ლანგარი მიუწია.

- ჭამე, — უთხრა, - ძაღლის კბილები გაქვს მაინც და ძვლებს გაღრღნი.

ერთი მოყუდებით გამოცალა ჭიქა ბარაბამ, უღვაშები მოიწმინდა და დამხვდურებს მიუბრუნდა:

- და სად ბრძანდება მწყემსი კეთილი, ჩემო ცხვრებო? — თქვა და თვალები აუბრიალდა, - მაგასთან ერთი საქმე შემომრჩა გასარჩევი!

— ჯერ არ დაგიღვევია და უკვე დათვერი კიდევ! — მკაცრად შეაწყვეტინა იუდამ, — შენმა ვაჟკაცობამ ისედაც ბევრ შარს გადაგყარა, საკმარისია!

- რა საქმე გაქვს მასთან? — შეჰბედა იოანემ, — წმინდა ადამიანია და როცა დააბიჯებს, ძირს იყურება, ჭიანჭველასაც კი რომ არ დაადგას ფეხი.

- ჭიანჭველას არ დაადგას ფეხი. ეგ ნიშნავს, რომ ეშინია! აბა, ახლა, ეგ კაცია?

- შენგან იხსნა მაგდალინელი და მაგიტომ დასდევ, მაგრამ მაინც ვერაფერს ავნებ!
— ახლა უკვე იაკობიც შეეპასუხა.

- დამამცირა! — წაიღრინა ბარაბამ და თვალები რისხვით აევსო, — დამამცირა და ამისთვის ზღავს!

მაგრამ იუდამ ბარაბას მკლავში სტაცა ხელი, გვერდით გაიყვანა. სხვათა შეუმჩნეველად, გაბრაზებით ჰკითხა:

— აქ რას დაეხეტები? გალილეის მთები რად მიატოვე? საძმომ შენ იქ გაგამწესა, აქ კი, იერუსალიმში სხვები არიან მიჩენილნი.

- ჩვენ რა, განა თავისუფლებისთვის არ ვიბრძვით? — შეეპასუხა გაბოროტებული ბარაბა, — ჰოდა, თავისუფალი ვარ და როგორც მომესურვება, ისე მოვიქცევი, აქ მოვედი, მენახა, ვინ არის ასეთი ეს ნათლისმცემელი, სასწაულებს რომ სჩადის და რაღაც მინიშნებებს იძლევა. იქნებ სწორედ ისაა, ვისაც მოველი-მეთქი? როგორც იქნა, მოვიდა, რომ სათავეში ჩაგვიდგეს და წმენდა დაიწყო-მეთქი, მაგრამ ველარ მოვუსწარი, თავი მოუჭრიათ. შენ რას იტყვი, იუდა, ჩემო მეთაურო?

- მე იმას ვიტყვი, რომ ახლავ ადგები და წახვალ, სხვების საქმეებში ნუ ჩაერევი!

- წავალ? ამას მართლა მეუბნები? მოვედი და ხუროს ძეს გადავეყარე, რომელსაც ამდენი ხანია დავსდევ. და ახლა ღმერთმა ცხვირწინ რომ მომიგდო, ავდგე და ასე მივატოვო?

- წადი! — ბრძანების კილოთი გაუმეორა იუდამ, — ეს ჩემი საქმეა, არც გაბედო, შეეხო!

- და რას უპირებ? საძმოს უნდა, რომ მოკლას იგი. ხომ იცი, ეგ რომაელებთან არის შეკრული, ფულს უხდიან, რათა ცათა მონობაზე აღარ იფიქრონ. და ახლა შენ... რას უპირებ, აღარ იტყვი?

- ეგ ჩემი საქმეა! წადი!

ბარაბა შებრუნდა, უკანასკნელად შეხედა იესოს თანამზრახველებს, რომლებიც მათკენ იყურებოდნენ გაფაციცებით.

- აბა, ჩემო ცხვრებო, — ბოროტად შესძახა, - ბარაბას ეგრე ადვილად ვერავინ გადაურჩება, მალე შევხვდებით! - თქვა და დავითის კარიბჭისკენ აიღო გეზი, თვალს მიეფარა.

მედუქნემ პეტრეს თვალი ჩაუკრა და გადაულაპარაკა:

- ბრძანება მისცა. „საძმოო“!. ამას დამიხედეთ ერთი! რომაელის მოკვლისთვის ათი ებრაელი დაიხოცება, ათიც და თხუთმეტიც! დაიმახსოვრეთ ეს!

მერე დაიხარა და პეტრეს ყურში უჩურჩულა:

- მისმინე, ამ იუდა ისკარიოტელს ნუ ენდობით! ეს ჟღალწვერები...

მაგრამ ხმა გაიკმინდა, რადგან ჟღალწვერა ისევ თავის სკამს დაუბრუნდა.

შეწუხებული იოანე ფეხზე წამოდგა, კართან მივიდა, გაიხედა, გზა მოათვალიერა, მაგრამ მოძღვარი არსად ჩანდა. კარგა ხნის გათენებული იყო, ხალხი ამოძრავდა, გზები გადაივსო. დავითის კარიბჭის მიღმა კი უდაბნო, ქვიშა, ნაცარი მოფენილიყო, ერთ მწვანე ფოთოლსაც კი ვერ დაინახავდით. მხოლოდ თეთრი, ფეხზე წამომდგარი ლოდები, საფლავის ქვები თუ მოჩანდა. ჰაერი ძაღლებისა და აქლემის ლეშის სუნად ყარდა... იოანეს შეეშინდა ამ სისასტიკის. აქ ქვისაა ყველაფერი, ღმერთიც ქვისაა, ვისაც ესენი თაყვანს სცემენ. აბა, სად არის მამა ღმერთი, ჩვენი მოწყალე, ვინაც მოძღვარი მოგვივლინა?! ეჰ ნეტავ როდის გამოჩნდება საყვარელი მასწავლებელი, რომ კვლავ გალილეას დაუბრუნდნენ?!

- ძმებო, გავეშუროთ! - თქვა პეტრემ, რონელიც უკვე ვეღარ ჩერდებოდა და წამოდგა, - აღარ მოვა!

- მესმის, მესმის, როგორ მოდის, - ჩურჩულებდა დამფრთხალი იოანე.

- საიდან გესმის, შე მეოცნებევ? - ჰკითხა იაკობმა, რომელსაც არაფრად ეპიტნავებოდა თავისი ძმის წარმოსახვანი და უკვე სული უსწრებდა, ისევ ტბასთან და თავის ნავებთან დაბრუნებულიყო, - საიდან გესმის? თქვი-მეთქი!

- გულიდან მესმის, - მიუგო უმცროსმა ძმამ, - ჯერ გული ხედავს და მასვე ესმის პირველს...

იაკობმა და პეტრემ მხრები აიჩეჩეს. მედუქნე კი გამოენთო:

- მართალია ეს ყმაწვილი, - თქვა, - რა მხრებს იჩეჩავთ? მეც გამიგია, ადამიანის გული ნოეს კიდობანიაო. მასში ზის ღმერთი თავის ყველა ქმნილებასთან ერთად, გარშემო ყველაფერი იხრჩობა, იძირება და მხოლოდ ეს კიდობანი მიცურავს წყალში და მიჰყავს თავისი მგზავრები. მან ყველაფერი იცის, დიახაც, რა გაცინებთ? დიახ, ყველაფერი იცის ადამიანის გულმა!

უცებ საყვირების ხმა გაისმა, ხალხი გზიდან გადავიდა, ხმაური ატყდა. იესოს თანამზრახველებიც შეჩოჩქოლდნენ, კართან მიიჭრნენ.

მშვენიერი ყმაწვილები – ლევიტელები მოდიოდნენ, ხელით მოაბრძანებდნენ ოქროცურვილ ტახტრევანს, რომელზედაც ცბიერი მმართველი მიწოლილიყო — აბრეშუმით მოსილი, ქონიანი, მაძლარსახიანი, ოქროსბეჭდებასხმული — და საკუთარ წვერს ეფერებოდა.

- კაიაფა! — თქვა მედუქნემ, - ეგ ბებერი თხა, მღვდელმთავარი! ცხვირზე ხელი მიიჭირეთ, თევზი თავიდან ყარს!

და თვითონაც ცხვირზე ხელი წაივლო, გადააფურთხა.

- ისევ თავისი ბაღნარებისკენ მიემართება, რომ ჭამოს, სვას და თავის ქალებთან თუ ვაჟებთან გაერთოს. ოჰ, ერთი, ღმერთი ვყოფილიყავი რა! ამბობენ, ბეწვზე ჰკიდია სამყაროო. ამ ბეწვს გავწყვეტდი, დიახაც, ღვინოს გეფიცებით, გავწყვეტდი, რომ ეს სამყარო ეშმაკებში ჩანთქმულიყო!

- გავეშურეთ! - თქვა ისევ პეტრემ, — გული კარგს არ მიგრძნობს! ჩემს გულსაც აქვს თვალეები და ყურები, წადიო - მეუბნება, წადით, თქვე უბედურებო!

ისე თქვა, თითქოს თავისი გულის ხმა შეესმინოს, თითქოს მართლაც გულს ეკარნახოს და ამ ხმას დაეფრთხოს. უკან დაიხია, ჯონს სტაცა ხელი, შემთხვევით კუთხეში რომ წააწყდა. ყველანი წამოიშალნენ, იხილეს რა პეტრეს სიშლეგე და თვითონაც უარესი დაემართათ.

- სიმონ, თუ მოვა, ხომ იცნობ, ამას დაგიბარებ, რომ უთხრა - გალილეაში წავედით, - სთხოვა პეტრემ.

- და დანახარჯს ვინ გადაიხდის? - იკითხა შემფოთებულმა მედუქნებ, - ცხვრის თავისა და ღვინისას ვინ გადაიხდის?

- სხვა ცხოვრების გწამს, სიმონ კვირინელო? - ჰკითხა პეტრემ.

- დიახაც, მწამს!

- ჰოდა, პირობას გაძლევ და თუ გინდა წერილობითაც დაგიდასტურებ - იქ გადაგიხდი!

მედუქნემ თავი მოიქექა.

- რაო? არ გწამს სხვა ცხოვრების? - ახლა მკაცრად დაეკითხა პეტრე.

- ხო, კაი, მწამს, პეტრე! კი მწამს, მაგრამ ესე ძალიანაც არა...

XX

და სწორედ ამ დროს ზღურბლს ცისფერი ჩრდილი დაეცა. ყველამ ერთად დაიხია უკან: ფეხებდასისხლიანებული იესო იდგა, ტალახში ამოთხვრილსამოსიანი და შეუცნობელსახიანი. ვინ იყო? კეთილი მასწავლებელი თუ ველური ნათლისმცემელი? დაგრეხილი ნაწნავები მხრებამდე სცემდა, კანი გაუხეშებოდა და აქერცვლოდა, ლოყები ჩასცვენოდა და თვალეებიც ისე გასდიდებოდა, რომ მთელ სახეს უფარავდა. მარჯვენა ხელი მთელი ძალით შეეკრა მუშტად - ზუსტად ასე ჰქონდა შეკრული მუშტი იოანე ნათლისმცემელს, ზუსტად ასეთი თმა ჰქონდა, ლოყებიცა და თვალეებიც - სწორედ ამგვარი. გაოგნებული, უტყვად მდგომი მოწაფეები უყურებდნენ და ვერ ხვდებოდნენ: ნუთუ ეს ორნი ერთმანეთს შეენივთნენ და ერთარსად იქცნენ?

„ამან მოკლა ნათლისმცემელი, — გაიფიქრა იუდამ და გზა დაუთმო, რომ მშფოთვარე სტუმარს გაეგლო. - ამან მოკლა.. ამან..." შენიშნა, ზღურბლზე გადასვლისას როგორი მკაცრი მზერა სტყორცნა იესომ თითოეულს, როგორ იკვნეტდა ტუჩებს. „ყველაფერი, სულ ყველაფერი წაართვა, - ფიქრობდა, - მისი სხეული დაიტაცა და თავად მოირგო, მაგრამ სული? მაგრამ მისი ველური სიტყვები? აი, ახლა იტყვის რამეს და ვნახავთ..."

კარგახანს ყველა ღუმდა. დუქნის ჰაერი შეიცვალა, მედუქნეც სადღაც, კუთხეში მიყუჟულიყო და თვალებგაფართოებული უყურებდა სტუმარს. იესო ნელა მიდიოდა, ტუჩებს იკვნეტდა, საფეთქლებზე ძარღვები დაჰბერვოდა. და უცებ მისმა ჩახრენწილმა, ველურმა ხმამ შეძრა ჰაერი. თანამგზავრებს გააჟრჟოლათ: ის არ იყო მისი ხმა, ეს საშიში წინასწარმეტყველის – ნათლისმცემლის ხმა იყო.

- გაიქცით, არა?

არავინ გასცა პასუხი. მოწაფეები ერთმანეთის ზურგს უკან იმალებოდნენ.

- გაიქცით? – რისხვით იკითხა, – პეტრე, მიპასუხე!

- მოძღვარო, - სიმტკიცეგამოცლილი ხმით თქვა პეტრემ, - იოანემ თავისი გულის ხმაში შენი ნაბიჯების ხმა შეიცნო და წამოვდექით, რათა შეგგებებოდით...

იესომ წარბები შეჰყარა. სიმწარემა და რისხვამ დარია ხელი, მაგრამ თავი შეიკავა.

- წავედით! - თქვა და კარისაკენ შემობრუნდა.

ამ დროს შენიშნა იუდა, მოშორებით მდგომი მკაცრი, ლურჯი თვალებით რომ აკვირდებოდა ახალმოსულს.

- შენც მოდიხარ, იუდა? — ჰკითხა.

— მე არ დაგტოვებ და ეს იცი! სიკვდილამდე!

- ეს არაა საკმარისი! გესმის? არ არის საკმარისი... სიკვდილის მერეც! წავედით!

კასრებს უკან მიმალული მედუქნე წამოხტა:

- კარგად იყავით! - შესძახა, - უნიფათოდ გეველოთ! და როცა სამოთხეს მშვიდობით მიაღწევთ, გალილეველნო, არ დაივიწყოთ ჩემი ღვინო და ცხვრის თავი, რომლითაც გაგიმასპინძლდით!

- უკვე მოგეცი სიტყვა! – მიუგო პეტრემ. მისი სახე შეუვალი და მწუხარე იყო. სირცხვილისაგან იწვოდა, რომ შიშით იცრუა. ცხადია, ამას მასწავლებელიც მიხვდა და ამდაც შეჰყარა ასე რისხვით წარბები. „პეტრე, შე არაკაცო! მატყუარავ! შე მოღალატე! — გულში საკუთარ თავს ლანძღავდა პეტრე, – როდის იქცევი ადამიანად? როდის დასძლევ შიშს? როდის შეწყვეტ ქარის წისქვილივით ტრიალს?“

დუქნის შესასვლელში შეყოფდნენ და უცდიდნენ, საით გასწევდა მოძღვარი. მაგრამ იგი უძრავად იდგა, აყურადებდა და უსმენდა: დავითის კარიბჭის მიღმა რაღაც მწარე და მონოტონური მელოდია ჟღერდა – დაბზარული, წვრილი ხმით თქმული. კეთროვნები იყვნენ, რომლებიც მტვერში გაწოლილიყვნენ, გამოჰმულ ხელებს გამვლულებისკენ იშვერდნენ და ჩუმად უმღერდნენ დავითის დიდებულებასა და ღვთის წყალობას, რომელმაც მათ მიანიჭა კეთრი, რათა ამ მიწაზევე ზღონ ცოდვებისთვის და მეორე დღეს, ანუ მომავალ ცხოვრებაში, მათი სახე მარადიული ბრწყინვით მზესავით გაკაშკაშდეს.

იესო მოიღუშა. ქალაქისკენ იქცია პირი: დახლები, სახელოსნოები, დუქნები უკვე გაეღოთ და ქუჩებიც სავსე იყო ხალხით. როგორ მიმორბოდნენ, როგორ ყვიროდნენ,

როგორ ოფლად იღვრებოდნენ! უცებ ეს ქალაქი ცხენების, ადამიანების, ხარების, საყვირების ხახიდან ამოფრქვეულ საზარელ ღრიალად მოეჩვენა, ეს წმინდა ქალაქი მძვინვარე მხეცად წარმოუდგა, რომლის წიაღიც სავსე იყო კეთრით, ცოფითა და სიკვდილით.

მისი ქუჩები სათითაოდ და ყველა ერთად ღრიალებდნენ, ხალხი მიმორბოდა. „რა ეჩქარებათ? რატომ დარბიან? – ფიქრობდა იესო, — ან სად მიდიან?“ და ამოიოხრა: „ყველა, ყველა – ჯოჯოხეთისკენ“.

შეძრწუნდა. იქნებ მისი ვალი აქ, ამ კაციჭამია ქალაქში დარჩენაა, რათა ავიდეს ტაძრის სახურავზე და იქადაგოს: „შეინანეთს მოახლოვდა დღე უფლისა“. რადგან ამათ, ამ უბედურებს, ქუჩებში სირბილისაგან დაქანცულებს უფრო მეტად სჭირდება რომ შეინანონ, რომ ნუგეში ჰპოვონ, ვიდრე გამრჯე გალილეველ მეთევზეებსა და მიწათმოქმედებს. „აქ უნდა დავრჩე, პირველად აქ ვიქადაგებ მიწის წარწყმედისა და ცათა სასუფევლის შესახებ!“

ანდრიას გულმა ველარ გაუძლო და მიუახლოვდა:

- მოძღვარო, – თქვა, – ნათლისმცემელი შეიპყრეს, მოკლეს!

- მან მოასწრო და თავისი ვალი აღასრულა. ახლა ჩვენი ჯერი დადგა, ანდრია! - მშვიდად მიუგო იესომ და შეამჩნია ნათლისმცემლის ნამოწაფარს თვალები ცრემლით რომ ამოევსო.

- ნუ დაღონდები, ანდრია, - უთხრა და მხარზე მიუალერსა, - რადგანაც იგი არ მომკვდარა! მხოლოდ ის კვდება, ვინც ვერ ასწრებს უკვდავად იქცეს. მან კი მოასწრო. ღმერთმა დრო მისცა.

და ამ სიტყვების თქმისას გონება გაუნათდა: ჭეშმარიტად, ამ სამყაროში ყველაფერი დროზეა დამოკიდებული. თუკი დრო გაქვს, მოასწრებ, რომ შენს წიაღში არსებული ადამიანური თიხა მოზილო, სულად აქციო. და მერე უკვე სიკვდილისა არ შეგეშინდება. თუ დრო არ გაქვს, დაღუპული ხარ... „ღმერთო ჩემო, - გულში შესთხოვა იესომ, – ღმერთო, დრო მომეც... ახლა უკვე მხოლოდ ამას გთხოვ.. დრო მომეცი...“ გრძნობდა, რომ მასში ჯერ კიდევ ბევრი თიხა იყო, ჯერ კიდევ მძლავრად არსებობდა ადამიანი, ჯერ კიდევ ბრაზდებოდა, შიში და შური ეძალებოდა და როცა კი მაგდალინელი ახსენდებოდა, ყოველთვის მზერა ემღვრებოდა. აი, გუშინაც, საღამოს, როცა ლაზარეს დას - მარიამს ჩუმად უყურებდა...

გაწითლდა, შერცხვა, და მაშინვე გადაწყვიტა: „უნდა წავიდე ამ ქალაქიდან ჯერ კიდევ არ დამდგარა ჩემი სიკვდილის ჟამი, ჯერ მზად არ ვარ... ღმერთო ჩემო, – ისევ შესთხოვა, - ღმერთო, დრო მომეც, სხვა არაფერი! მხოლოდ დრო მომეც...“ და თანამგზავრებს მიუბრუნდა:

- მეგობრებო, გალილეაში ვბრუნდებით! ღვთის სახელით!

ცხენებივით ირბინეს, დაიქანცნენ, დაიმშენ და ახლა საყვარელ თავლაში ბრუნდებიან - თანამგზავრები გენესარეთის ტბისკენ გაქანდნენ. წინ კვლავ ჟღალწვერა მიუძღოდათ.

წლებია, მის გულს ასე არაფერი გახარებია. ძალიან მოსწონდა უდაბნოგამოვლილი მასწავლებლის სახე, მისი სიველურე, მისი ხმა... „აჰა, მოკლა წინასწარმეტყველი, - იმეორებდა გუნებაში, - შეინივთა იგი, ცხვარი და ლომი ერთმანეთს შეერია, ერთარსად იქცნენ, ისე ვით უძველესი მხეცები! იქნებ სწორედ ცხვარ-ლომი არის მესია?“ დაწინაურდა, თან უსტვენდა და დროდადრო უცდიდა. „სხვაგვარად შეუძლებელია, სანამ ტბამდე მივალწევდეთ, ერთ ღამესაც ალაპარაკდება, ყველაფერს იტყვის! საიდუმლო უნდა გაგვანდოს! უნდა გვითხრას, რა ქნა იქ — იმ უდაბნოში, ნახა თუ არა ისრაელის ღმერთი და რაზე ისაუბრეს — მეც სწორედ მაშინ განვსჯი.“

პირველმა ღამემ ჩაიარა. იესო უტყვად შესცქეროდა ვარსკვლავებს. მის გარშემო კი დაქანცულ თანამგზავრებს ეძინათ. მხოლოდ იუდას ლურჯი თვალები ელვარებდნენ ღრმა წყვილიადში. მარტო ამ ორს არ ეძინა, ერთიმეორის პირისპირ ისხდნენ და არ ლაპარაკობდნენ.

გამთენიისას კვლავ გზას დაადგნენ, უკან მოიტოვეს იუდეის კლდეები, სამარიის თეთრ მიწაზე შეაბიჯეს. იაკობის ჭა უდაბნოდ ქცეულიყო, არც ერთი ქალი აღარ იღებდა წყალს ამ ჭიდან, რომ მათთვის წყურვილი მოეკლა. სწრაფად გაიარეს უცხო მიწები და ძვირფასი მთებიც გამოჩნდა — თოვლით დაფარული ჰერმონის მთა, საამური თაბორისა და კარმელის წმინდა მთები.

დღე მიილია. ხშირფოთლოვანი კედრის ხის ძირში მიწვნენ, ჩამავალ მზეს უყურებდნენ და იოანემ საღამოს ლოცვა წარმოთქვა: „განგვიხვენ კარი შენი, უფალო. დღე ილევა, მზე ჩაესვენა, მზე იკარგება. შენი კარისკენ მოვდივართ და განგვიღე იგი ჩვენ, უფალო. მარადიულო, შენ გევედრებით, მოგვიტევე! მარადიულო, შენ გევედრებით, შეგვიწყალენ! მარადიულო, გვიხსენ!“

ჰაერს მუქლურჯი დაჰკრავდა, კაბადონზე მზე უკვე აღარ ჩანდა, მაგრამ ჯერ არც ვარკვლავები მოფენილიყვნენ და შემსუბუქებული ზეცა მიწისკენ მოიწევდა. ამ გაურკვეველ ნახევარ ბინდში, მხოლოდ იესოს გრძელი თითები ელვარებდნენ: ხელებით მიწას დაყრდნობოდა, მის გულში ჯერაც საღამოს ლოცვა გაისმოდა და ფიქრობდა... უფლის კარზე სასოწარკვეთილთა მოცახცახე ხელებით კაკუნის ხმას უსმენდა. მაგრამ კარი არ იღებოდა. მაინც აკაკუნებდნენ და ყვიროდნენ. რას ყვიროდნენ?..

თვალები დახუჭა, რათა კარგად გაერჩია მათი ხმა. დღის ფრინველები ჩაბუდებულიყვნენ, ღამის ფრინველებს კი ჯერ თვალებიც არ გაეხილათ... დასახლებები შორს იყო, არც ხალხის ღრიანცელი ისმოდა და არც ძაღლების ყეფა. თანამგზავრები კი საღამოს ლოცვას კითხულობდნენ, მაგრამ ეძინებოდათ და წმინდა სიტყვებს საკუთარ თავშივე იმარხავდნენ, ყოველგვარი გამოძახილის გარეშე. თუმცა იესოს სადღაც შიგნიდან ესმოდა, როგორ აკაკუნებდნენ უფლის კარზე ანუ მის გულზე ადამიანები. აკაკუნებდნენ მის თბილსა და კაცთმოყვარე გულზე და იძახდნენ:

— გაგვიღე! გაგვიღე! გვიხსენი! - იესომ მკერდზე მუშტი დაირტყა, თითქოს თავადაც აკაკუნებდნენ და საკუთარ გულს სთხოვს — გაიღოს. და სწორედ ამ დროს,

მარტოდმარტო ფიქრებში რომ ჩაძირულიყო, ზურგზე ვილაცის მზერა იგრძნო. შებრუნდა: იუდა გამჭოლი, ანთებული თვალებით მისჩერებოდა. იესოს გააჟრჟოლა — დაუდგრომელი, ამაყი მხეცი იყო ჟღალწვერა. თითოეულ თანამგზავრს შორის, ყველაზე უფრო ახლობლადაც და ყველაზე უფრო შორეულადაც მას მიიჩვედა. სხვისთვის არც ერთისთვის არ მიუცია პირობა, მხოლოდ ამას მისცა. მარჯვენა ხელი გაუწოდა:

- იუდა, ძმაო, — უთხრა, - შეხედე რა მიჭირავს? ჟღალწვერამ ბინდ-ბუნდში კისერი წაიგრძელა, რომ გაერჩია.

- არაფერი! — უპასუხა, - ვერაფერს ვხედავ!

- მალე იხილავ, - უპასუხა იესომ და გაუღიმა.

- სასუფეველი ცათა, - თქვა ანდრია.

- თესლი, - თქვა იოანემ, - გახსოვს, მოძღვარო, რა გვითხარი, პირველად რომ გველაპარაკე ტბასთან? გამოვიდა მთესველი თესვად...

- და შენ, პეტრე? — ჰკითხა იესომ.

- აბა, რა გითხრა, მასწავლებლო? - თუ ჩემს თვალებს დავეკითხები, არაფერიც არ გიჭირავს, ხოლო თუ გულს დავეკითხები — ყველაფერი. ამ ორს შორის ირყევა ჩემი გონება.

- და შენ, იაკობ?

- არაფერი! არაფერი გიჭირავს, მოძღვარო, შემინდე!

- შეხედეთ! — თქვა იესომ და მკლავი მთელი ძალით აღმართა, თუმცა მყისვე დაუშვა. თანამგზავრები დაფრთხნენ. იუდა კი სიხარულისგან სულმთლად გაწითლდა, მთელი სახე უბრწყინავდა, იესოს ხელი გამოსტაცა და ეამბორა:

- მოძღვარი, - შესძახა, - დავინახე! დავინახე! ნათლისმცემლის ცული გიჭირავს!

მაგრამ მაშინვე შერცხვა, თავისთავზე გაბრაზდა, სიხარულის შეკავება რომ ვერ შეძლო, უკან დაიხია, კედრის ტანს მიეყრდნო და მასწავლებლის მძიმე, მშვიდი ხმაც გაისმა:

- მან მომიტანა იგი და დამპალი ხის ძირში დამიდო. ის იმიტომ დაიბადა, რომ ჩემთვის ცული გადმოეცა. იმის იქით კი აღარ შეეძლო წასულიყო. მე მოვედი, დავინარე და ცული ავიღე სწორედ ამიტომ დავიბადე. და ჩემი ვალის აღსრულება ახლა იწყება: ძირს უნდა დავცე უნაყოფო ხე... მეგონა, სიძე ვიყავ და ხელში ნუშის აყვავებული შტო მეჭირა, მაგრამ არა, ხისმჭრელი ვარ. გახსოვთ, როგორ ცეკვა-ცეკვით დავდიოდით გალილეაში, რანაირად გავყვიროდით: მშვენიერია ეს მიწა, მიწა და ცა ერთი არის, ახლა სამოთხე გაიხსნება და შევიდეთო?! მეგობრებო, სიზმარი იყო ეს, გავიღვიძეთ.

- როგორ, ცათა სასუფეველი არ არსებობს? — აღმოხდა შეძრწუნებულ პეტრეს.

- არსებობს, პეტრე, არსებობს, მაგრამ ის ჩვენშია. ჩვენში არის სასუფეველი ცათა, ხოლო გარეთ კი — სასუფეველი ბოროტისა. ეს ორი სასუფეველი ერთმანეთს ებრძვის. ომი! ომი! ჩვენი უპირველესი ვალი არის, რომ ამ ცულით ძირს დავცეთ სატანა.

- რომელი სატანა?

- რომელი და, ეს სამყარო, ჩვენ გარშემო რომ დგას! მედგრად, მეგობრებო! ქორწილში კი არ მიგიწვიეთ, საომრად გიხმეთ! შემინდეთ, რადგან ეს თავადაც არ ვიცოდი, მაგრამ თქვენ შორის თუკი ვინმე ფიქრობს ცოლზე, შვილზე, ყანაზე, ბედნიერებაზე, წავიდეს! სირცხვილი არ არის. ადგეს, წყნარად დაგვემშვიდობოს და კეთილი გზა ჰქონდეს! დრო ჯერ კიდევ აქვს.

გაჩუმდა. თანამგზავრებს გადახედა. არავინ იძვროდა. ცისკრის ვარსკვლავი კედრის შავ ტოტებში წყლის ვეება წვეთივით ციმციმებდა. ღამის ჩიტებმაც შეისწორეს ბნელი ფრთები და გაიღვიძეს. მთებიდან გრილმა სიომ დაჰბერა. და საღამოს ამ სიტკბოებაში, უცაბედად, პეტრე წამოხტა:

- სადაც შენ ბეწვი დაგვარდება, ჩემი თავიც იქვე იყოს, მოძღვარო! — შესძახა მგზნებარედ, - შენთან ერთად ვიბრძოლებ, სიკვდილამდე!

- დიდი მისიაა, პეტრე! რთულ გზას ვადგავართ, ჩვენ წინააღმდეგ აღდგებიან, აბა, რომელს უნდა თავი გამოიხსნას? როდის ყოფილა, რომ რომელიმე წინასწარმეტყველს ხალხის გამოხსნა მოეწადინებინოს და იმავე ხალხს არ ჩაექოლოს იგი? რთულ გზას ვადგავართ, კბილებსა და სულს მოუფრთხილდი, არ დაგცვივდეს! სუსტია ხორცი, ნუ ენდობი! გესმის, პეტრე? შენ გეუბნები...

პეტრეს თვალებზე ცრემლი დაეკიდა.

- არ მენდობი, არა, მოძღვარო?! — წაიბუტბუტა, - მაგრამ მე, ვისაც ახლა მიყურებ და არ მენდობი, ერთ დღესაც შენთვის მოვკვდები!

იესომ ხელები გაშალა, მივიდა და პეტრეს მუხლზე მიუაღერსა:

- შეიძლება!... შეიძლება!... - ჩურჩულებდა, - მაჰატიე, პეტრე, საყვარელო!

სხვებს მიუბრუნდა:

- იოანე ნათლისმცემელი წყლით ნათლავდა, - თქვა, - თუ მოკლეს იგი. მე ცეცხლით მოვნათლავ, ამ საღამოს პირდაპირ გეტყვით, რომ მზად იყოთ, რადგან როცა ავი დრო დაგვიდგება, მერე მე არ დამადანაშაულოთ. და სანამ გზას დავადგებოდეთ, გაგიმხელთ საით მივეშურებით: სიკვდილისკენ! და სიკვდილის შემდეგ — უკვდავებისკენ! აი, ესაა გზა. მზად ხართ?

თანამგზავრები გახევდნენ. მკაცრი იყო ეს ხმა, აღარც თრთოდა, აღარც იცინოდა, პირდაპირ იარაღის ასხმისაკენ მოუწოდებდა. ანუ სანამ ცათა სასუფეველს მიაღწევენ, სიკვდილის გზა უნდა განვლონ? ნუთუ სხვა ხსნა არ არსებობს? ისინი ხომ უბრალო, ღარიბი ადამიანები არიან, მხოლოდ ლუკმაპურისთვის ბრძოლა ძალუძთ... თანაც უსწავლელნი. სამყარო კი მდიდარია და ყოვლისშემძლე, მას, აბა,

როგორ შეერკინონ? ანგელოზები მაინც მოევლინებოდნენ ციდან შემწედ! მაგრამ არც ერთ მათგანს არ უხილავს ანგელოზი, მიწაზე მოსიარულე, ლატაკების და დევნილების დამხმარე. ჩუმად იყვნენ, გულში წონიდნენ და ზომავდნენ საფრთხეებს. იუდა კი მათ დაბნეულობას ამაყად, ქედმაღლურად დასცქეროდა და დასცინოდა. მხოლოდ ის არ ზომავდა საფრთხეს. უშიშრად მიდიოდა ომში, სიკვდილი არად მიაჩნდა: არ ადარდებდა სხეული და არც სული ადარდებდა. მას მხოლოდ უკიდევანო ნდომა და სიხარული ასულდგმულებდა - საკუთარი წადილისთვის დაღუპულიყო.

ბოლოს, პირველმა პეტრემ გაბედა და ჰკითხა:

- მოძღვარო, ანგელოზები მოგვევლინებინა ციდან, რომ დაგვეხმარონ?

- ჩვენ ვართ ღმერთის ანგელოზები ამ მიწაზე, პეტრე! — მიუგო იესომ, - სხვა ანგელოზი აქ არ არსებობს.

- მაგრამ ნუთუ მარტონი შევძლებთ ფონს გავიდეთ? რას ამბობ, მასწავლებელო? — ჰკითხა იაკობმა.

იესო წამოდგა, ცალი წარბი უთრთოდა:

- წადით! — შეჰყვირა, - დამტოვეთ!

იოანეს აღმოხდა:

- მოძღვარო, მე მარტო არ დაგტოვებ! სიკვდილამდე შენთან ვიქნები!

- არც მე, მოძღვარო, - თქვა ანდრიამ და მუხლებში ჩაუვარდა.

პეტრეს ისევ დაეკიდა თვალზე მსხვილი ცრემლები, მაგრამ არაფერი უთქვამს. იაკობმა თავი ჩაქინდრა, ვაჟკაცი იყო და შერცხვა.

- შენ, იუდა, ძმაო ჩემო? — ჰკითხა იესომ და ჟღალწვერას შეხედა, რომელიც ყველას უხმოდ და დაუნდობლად უმზერდა.

- მე არაფერს გპირდები, - მყისვე უპასუხა, - და არც ცრემლს ვაფრქვევ პეტრეს მსგავსად. მანამ სანამ ცული გიპყრია, შენთან ვიქნები! მიატოვებ და არ დაგინდობ! შენ არ მოგყვები, კარგად იცი, მე ცულს მივყვები...

- არ გრცხვენია? მოძღვარს როგორ ელაპარაკები? — უსაყვედურა პეტრემ.

მაგრამ იესოს არ სწყენია, პირიქით, გამოესარჩლა:

- იუდა მართალია! მეც ცულს მივყვები, მეგობრებო!

ყველანი კედრის ძირში წამოწვნენ. ვარსკვლავები გამრავლდა ცაზე.

- ამ წუთიდან, - თქვა იესომ, - ჩვენი ალამი საბრძოლო დროშაა! ომში მივდივართ! ღვთის ამ დროშაზე ერთი ვარსკვლავი და ერთი ჯვარია ამოქარგული. გავიმარჯვებთ!

ყველა თავის საფიქრალს მიეცა, მაგრამ ერთსულოვნებამ გულისცემა გაუმამაცათ თითქოს.

- კვლავ იგავებით ვისაუბრებ, — უთხრა იესომ თანამგზავრებს, წყვდიადში რომ ჩაძირულიყვნენ, — აჰა, ესეც უკანასკნელი იგავი, სანამ საბრძოლველად გავემართებოდეთ: დაიხსომეთ, დედამიწა შვიდ სვეტს ებჯინება, ეს სვეტები კი წყალზე დგანან, წყალი – ღრუბლებზე, ღრუბელი – ქარზე, ხოლო ქარი: ქარიშხალზე, ქარიშხალი – ელვაზე და ეს ელვა კი ღმერთის ფეხით ცულად არის აყუდებული.

- ვერ მიგიხვდი, მოძღვარი, – თქვა იოანემ და გაწითლდა.

- მაშინ მიხვდები, როცა უკვე მოხუცებული ასკეტად დაეყუდები ერთ კუნძულზე და შენს თავზე ცა გაიხსნება, შენს გონებას ცეცხლი მოიცავს, იოანე, ელვის ძეო! — უპასუხა იესომ და საყვარელ მოწაფეს თმაზე მიუაღერსა.

გაჩუმდა. პირველად დაინახა ასე ცხადად, რაც არის ღმერთის ელვა: ცულია იგი, ცეცხლმოდებული, რომელიც ღმერთის ფეხითაა აყუდებული და ამ ცულზე წყებად ჰკიდია ქარიშხალი, ქარი, ღრუბელი, წყალი და მთელი დედამიწა.

მრავალი წელი ცხოვრობდა ადამიანებს შორის, მრავალი წელი გაატარა წმინდა წერილთან, მაგრამ არც ერთმა აზიარა ამ დიდებულ საიდუმლოს. და რომელი საიდუმლოა? რომელი და ის, რომ ძე ღვთისა მესიაა, იგი მოვა და განწმენდს მიწას.

- მეგობრებო, - თქვა და წამიერად, იმ წყვდიადში პეტრემ შენიშნა, მისი შუბლიდან როგორ აფრინდა ორი ელვა, როგორც რქები, - მეგობრებო, უდაბნოში წავედი, იცით, ღმერთს რომ შევხვედროდი. მშიოდა, მწყუროდა, ვიწვოდი, ერთ ლოდზე მოკაკული ვიჯექი და ღმერთს ვეძახდი, მოსულიყო. ტალღა-ტალღა ეშვებოდნენ ჩემზე დემონები – ლვებოდნენ, ქაფდებოდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ: ჯერ სხეულის დემონები, შემდეგ გონების დემონები, სულ ბოლოს კი – ყოვლისშემძლეობისა და გულის დემონები. მაგრამ რკინის ფარად მეპყრა ღმერთი და ჩემ გარშემო ქვიშა ივსებოდა დამსხვრეული კბილებით, რქებითა და კლანჭებით. და მაშინ გაისმა ჩემ თავზე ხმა: „ადექი, ცული აიღე, წინამორბედმა რომ გადმოგცა და მოიქნე!“

- როგორ, არავინ გადარჩება? — შესძახა პეტრემ.

მაგრამ იესომ ვერ გაიგონა.

- და უეცრად ისე დამიმძიმდა ხელი, თითქოს ვიღაცამ ცული დამაჭერინაო. და როგორც კი წამოვდექი, კვლავ ხმა გაისმა: ხუროს ძეო, ახალი წარღვნა დგება, მაგრამ არა წყლით, არამედ ცეცხლით შეჰკარ ახალი კიდობანი, აირჩიე და შეიყვანე შიგ წმინდანნი!“. ვიწყებ შერჩევას, მეგობრებო, კიდობანი უკვე მზადაა და კარიც კი ღიაა უკვე. შიგნით შემოდით!

ყველა შეიძრა, მისცვივდნენ და იესოს უკან შეიყუჟნენ, თითქოს ის ყოფილიყოს კიდობანი, რომელშიც უნდა შესულიყვნენ.

- და კვლავ გაისმა ხმა: „დავითის ძე, როგორც კი ცეცხლი ჩადგება და კიდობანი ახალ იერუსალიმში ჰპოვებს ნავსაყუდელს, ადი შენს წინაპართა ტახტრევანზე და წარუძებ ადამიანებს! ძველი მიწა გაქრება და ძველი ზეცაც გაქრება. ახალი ზეცა

გაიშლება წმინდათა თავზე და ვარსკვლავები შვიდგზის უფრო გაბრწყინდებიან. და შვიდგზის მეტად გაბრწყინდება კაცთა მოდგმის თვალელებიც“.

- მოძღვარო, - შეჰყვირა ისევ პეტრემ, — ისე არ დავინოცოთ, რომ ეს დღე არ ვიხილოთ და შენი ტახტრევნის გარშემო არ დავსხდეთ შენი მიმდევრები.

მაგრამ იესო მას არ უსმენდა. უდაბნოს ცეცხლოვან ხილვაში ჩაძირული განაგრძობდა:

- და გაისმა უკანასკნელად ხმა: „ძეო ღვთისა, დალოცვილ იყავ!“

„ძე ღვთისა! ძე ღვთისა!“ - აგუგუნებდნენ მოწაფენი საკუთარ გულებში, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვერ ბედავდნენ.

ცაზე უკვე ყველა ვარსკვლავი დამსხდარიყო, უფრო ქვემოთაც ჩამოსულიყვნენ ამ საღამოს, ცასა და ადამიანთა შორის იდგნენ და ციმციმებდნენ.

- და ახლა, მოძღვარო, - ჰკითხა ანდრიამ, - საით მივდივართ, პირველად სად უნდა შევიდეთ?

- ღმერთმა ეს ჩემი ხორცი ნაზარეთის მიწით მოზილა, უპასუხა იესომ, - ამიტომაც, ვალდებული ვარ, უპირველესად ნაზარეთში ჩავიდე და იქ ვიბრძოლო! სწორედ იქიდან უნდა დაიწყოს ჩემმა ხორცმა სულად გარდაქმნა.

- ხოლო შემდეგ – კაპერნაუმში, ჩვენი მშობლები რომ დავიხსნათ, - თქვა იაკობმა.

- ხოლო შემდეგ კი მაგდალაში, — თქვა ანდრიამ, - საბრალო მაგდალინელიც რომ შევიყვანოთ კიდობანში.

- შემდეგ კი მთელ სამყაროში! — შესძახა იოანემ და მკლავები აღმოსავლეთ-დასავლეთისკენ გაშალა.

პეტრე მათ უსმენდა და იცინოდა.

- მე სტომაქის ამბავი მაფიქრებს... იმ სკივრში რა უნდა ვჭამოთ? მოდი, მხოლოდ ის ცხოველები შევიყვანოთ, რომლებიც იჭმევა. რაში გვჭირდება, ღმერთმანი, ეს ლომები და კოლოები?

შიოდა და მისი ფიქრი და გონება საჭმელს დასტრიალებდა. ყველას გაეცინა.

- საჭმლის გარდა ტვინში არაფერი გიტრიალებს, - გაუბრაზდა იაკობი, - აქ ჩვენ სამყაროს გამოხსნაზე ვბჭობთ!

- და თქვენც, ყველას ეგ გაქვთ გონებაში, - შეეპასუხა პეტრე, — მაგრამ არ აღიარებთ. მე კიდევ, რაც კი თავში გამიელვებს, ყველაფერს ვამხელ, კარგი იქნება ეს თუ ცუდი. გონება გადამიბრუნდება და მეც ვბრუნდები. ამიტომაც მიწოდებენ ავი ენები ქარის წისქვილს. მართალი არ ვარ, მოძღვარო?

იესოს სახე დაუთბა, გაიღიმა. ერთი ძველი ამბავი გაახსენდა:

- ერთ დროს, - დაიწყო, - ერთი რაბინი ცხოვრობდა. მოინდომა, ვინმე ისეთი მესაყვირე მოეძებნა, ვინც საყვირს ისე ჩაჰბერავდა, რომ ამ ხმის გაგონებისას მორწმუნენი სინაგოგას მოაწყდებოდნენ.

ხმა გავარდა - ვინც კი კარგი მესაყვირეა, შემოიკრიბეთო. რაბინი ყველას გამოცდის და საუკეთესოს აირჩევსო. მოვიდა ხუთი საუკეთესო მესაყვირე. თითოეულმა ჩაჰბერა საყვირს და როდესაც დაასრულეს, რაბინი ადგა და სათითაოდ გამოიკითხა: „რაზე ფიქრობ, შვილო ჩემო, როცა საყვირს ჩაჰბერავ ხოლმე?“ ერთმა უთხრა: „ღმერთზე ვფიქრობ!“ მეორემ თქვა: „ისრაელის გამოხსნაზე!“, მერე მესამემ: „ღატაკებზე, რომელთაც შიათ!“, სხვამ: „ობლებსა და ქვრივებზე!“.

მხოლოდ ერთი იდგა მათგან განცალკევებით, კუთხეში და არ ლაპარაკობდა. „შენ, შვილო ჩემო, შენ რაზე ფიქრობ, როცა საყვირს ჩაჰბერავ ხოლმე?“ - ჰკითხა რაბინმა. „რაბუნი, - უპასუხა და გაწითლდა, - ღატაკი და უსწავლელი ვარ, ოთხი ასული მყავს და გამზითვება არ შემიძლია, რომ დათხოვდნენ ის საბრალონი. როცა საყვირს ჩავბერავ, ვფიქრობ: „ღმერთო, ხომ ხედავ, მე აქ შენთვის ვმუშაობ და ვიღვწი... ჰოდა, შენც გამომიგზავნე ოთხი სიძე ჩემი ასულებისათვის!“ „დალოცვილი იყავი! — უთხრა რაბინმა, - მე შენ გირჩევ!“

იესო პეტრეს მიუბრუნდა და გაიცინა:

- გლოცავ, პეტრე! — თქვა, - მეც შენ გირჩევ! საჭმელზე ფიქრობ? შენც საჭმელზე ლაპარაკობ. ღმერთზე ფიქრობ და მაშინ ღმერთზე ლაპარაკობ. გულახდილად გიყვარს თქმა! ამიტომაც გეძახიან ქარის წისქვილს. მაგრამ მე შენ გირჩევ — ქარის წისქვილი ხარ, რომელიც ხორბალსა ფქვავს იმისთვის, რომ პურად აქციოს და ადამიანები დააპუროს. - ერთი ნაჭერი პური ჰქონდათ. იესომ იგი აიღო და გაანაწილა. მხოლოდ თითო ლუკმა შეხვდათ, მაგრამ მოძღვარმა დალოცა იგი და დანაყრდნენ. შემდეგ კი ერთიმეორის მხარზე მიდეს თავები და ჩაეძინათ.

ღამით ყველაფერი ძილს მიეცემა, ყოველივე ისვენებს და იზრდება - ქვებიც, წყლებიც და სულებიც.

ცისკარზე, როდესაც თანამგზავრებმა გაიღვიძეს, მათი სულები მათსავ სხეულებზე გაშლილ-განვრცობილიყო და სიხარულითა და რწმენით აღვსილიყო.

გამთენიისას გზას დაადგნენ. გრილი იყო ჰაერი, ღრუბლები შეიყარა ცაზე, შემოდგომის ზეცად იქცა. დაგვიანებული წეროები სამხრეთისკენ მიფრინავდნენ და მერცხლებს მიუძლოდნენ თანამგზავრები მსუბუქად მიაბიჯებდნენ, ზეცა და მიწა ერთმანეთს შენივთდა მათ გულებში - ყველაზე უფრო უსახური ქვაც კი ღმერთით აღვსილიყო და ბრწყინავდა.

წინ იესო მიდიოდა, მარტოდმარტო, დამშვიდებული. ახლა მხოლოდ ღვთის წყალობის იმედად იყო. იცოდა, რომ უკან ვეღარ დაბრუნდებოდა, ბედს წინ მიჰყავდა, მას მიჰყვებოდა და რასაც კი ღმერთი ინებებდა, ის აღსრულდებოდა. მისი ბედი? უეცრად ისევ გაიგონა იმ იდუმალი ნაბიჯების ხმა, უმოწყალოდ რომ ადევენებოდა ამდენი ხნის განმავლობაში. მიაყურადა. კი, ის იყო. სწრაფი, მძიმე და მტკიცე

ნაბიჯების ხმა. მაგრამ ახლა უკან კი არ მიჰყვებოდა, გადაესწრო და წინ მიუძღოდა... „ასე ჯობია, — გაიფიქრა, - ასე ჯობია. ახლა გზას მაინც არ ავცდები...“

გაუხარდა. ფეხს აუჩქარა. მოეჩვენა, რომ ის ნაბიჯები ასწრაფებულიყო, თავადაც მიბაძა. მიდიოდა, ქვებზე წაიბოროდიკებდა, თხრილებს ანტებოდა, გარბოდა: „გავეშუროთ! გავეშუროთ!“ - ებუტბუტებოდა უხილავ წინამძღოლს და მიიწევდა. უეცრად კი ხმა აღმოხდა: ფეხებსა და ხელებზე შემწარავი ტკივილი იგრძნო, თითქოს ლურსმნები ჩაარჭვესო. ლოდზე ჩაიკეცა, ცივი ოფლი წასკდა... წამიერად გონება აერია. მის ფეხქვეშ მიწა გაირღვა და ბნელი, უდაბური, უცხო ზღვა გაიშალა. მხოლოდ ერთი პაწაწინა ნავი დაცურავდა მედგრად - აფრებგაშლილი. იესო მას უყურებდა, უყურებდა და იღიმოდა: „ესაა ჩემი გული, - ბუტბუტებდა, — ეს არის ჩემი გული!“ - და გონება კვლავ განუმტკიცდა, ტკივილები დაუცხრა და როცა მოწაფეებმაც მიაღწიეს მასთან, იხილეს, როგორ მშვიდად იჯდა ლოდზე მათი მოძღვარი და უღიმოდათ.

- ნუღარ დავყოვნდებით, ვიჩქაროთ! — თქვა და წამოდგა.

XXI

ამბობენ, შაბათი დღე ერთი მაძლარი ყრმაა, რომელიც ღმერთის კალთაში ზის და ისვენებსო. და მასთან ერთად ისვენებენ წყლები, ამ დღეს ბუდეებს არც ჩიტები აშენებენ და არც ადამიანები შრომობენ: ჩაიცვამენ, მოიკაზმებიან და სინაგოგაში მიდიან, რათა იხილონ რაბინი, რომელიც მათ წინაშე გადაშლის წმინდა გრაგნილს და წითელ-შავი ასოებით დატანილ ღვთის სჯულს ამოიკითხავს. სინაგოგაში მიდიან, რომ მოუსმინონ მორწმუნე სწავლულებს, რომლებიც ყოველ სიტყვასა და ყოველ ბგერაში გასაოცარი ოსტატობით ეძიებენ ხოლმე ღვთის ნებას.

დღესაც შაბათია და აი, მორწმუნენიც ნაზარეთის სინაგოგიდან გამოდიან. ჯერ კიდევ თვალწინ უდგათ ის ხილვანი, მოხუცმა რაბინმა - სვიმეონმა რომ გაანდოთ. და ისეთი კაშკაშა ნათელი ჩადგომიათ თვალეებში, რომ ბრმებივით დაბოროდიკობენ, სოფლის მთავარ მოედანზე დაბორილობენ, უსაგნოდ დასერილობენ ვეება ფინიკების ჩრდილში, რათა ცოტა აზრზე მოვიდნენ.

დღეს რაბინმა წმინდა წერილი რომ გაშალა, პირდაპირ ნაუმის წინასწარმეტყველებაზე გადაიფურცლა, მერე თითი ბრმად დაადო ამ წმინდა სიტყვებს: „ეგერა, ფერჯნი მთათა ზედა მანარებელისა და მიმთხრობელისათა მშვდობისა“ - წაიკითხა, ხელმეორედ წაიკითხა და შესძახა წმინდა რაბინმა:

- ეს მესიაა, იგი მოდის! გარშემო მიმოიხედეთ, საკუთარ თავში ჩაიხედეთ! ყველგან, ყველგან ნიშნებია – მისი მოსვლის მაუწყებელი! ჩვენშია რისხვა, ჩვენში არის სირცხვილი და იმედი. ჩვენშივეა ეს ხმა: კმარა! ახლა კი გარეთ გაიხედეთ: ზის სატანა სამყაროს ტანტზე, ერთ მუხლზე უზის ადამიანის გამომჰალი სხეული და იავნანას ჩასჩურჩულებს; მეორე მუხლზე - ადამიანის მეძავი სული წამოუსვამს... და ჰა, დადგა ის ქამი. რომელზედაც ღმერთის ბაგენი ანუ წინასწარმეტყველნი

ქადაგებდნენ. გაშალეთ წმინდა წერილი, ნახეთ! რას ამბობს? რას და: „ოდეს დაემხოს ისრაელი საკუთარი ტახტრევანიდან და წმინდა მიწას ბარბაროსთა ნატერფალი ოდეს დააჩნდეს, ნიშნავს – დადგა ბოლო ჟამი“. აი, ნახეთ კიდევ რას ამბობს წმინდა წერილი: „უკანასკნელი მეფე გახრწნილი, უსჯულო და უღმერთო იქნება. მისი შვილები კი — უღირსნი. და ისრაელის თავს მოშორდება მეფის გვირგვინი“. უკანასკნელი, გახრწნილი და უსჯულო მეფე იგივე ჰეროდესია! ჩემი თვალთ ვნახე იგი, იერიქონში რომ მიმიხმო, განსაკურნებლად. და მეც წავილე საიდუმლო ბალახეული და მივეახლე. მივედი და მას შემდეგაა, რომ ხორცის გემო აღარ გამისინჯავს, რადგან ვიხილე, მისი ხორცი როგორ ღვებოდა; მას შემდეგაა ღვინოსაც ვერ ვსვამ, რადგან ვიხილე მის სისხლს მატლები როგორ ეხვია... და ოცდაათზე მეტი წელია, ეს სიმყრალე არ შორდება ჩემს ყნოსვას... მოკვდა, გაიხრწნა... მოვიდნენ მისი უღირსი, უგვანი ვაჟები და თავებიდან ჩამოუცურდათ მეფის გვირგვინი. მოვიდნენ წინასწარმეტყველნიც, მოაწია უკანასკნელმა ჟამმა! უკვე გაისმა ხმა იორდანეში: „მოდის?“ და გუგუნებს ხმა ჩვენში: „მოდის!“ აჰა, დღეს კი, წმინდა წერილი გავშალე ასოები ერთად შექუჩდნენ და შეჰყვირეს: „მოდის!“ მე დავბერდი, თვალთაგან სინათლე გამომეცალა, კბილებიც დამცვივდა, მუხლები დამიუძღურდა და მიხარია. მიხარია, რადგან ღმერთმა ასეთი სიტყვით მანუგეშა: „სვიმეონ, მანამ არ მოკვდები, სანამ მესიას არ იხილავ!“ და რაც მეტად მიახლოვდება მე სიკვდილი, მით უფრო მეტად გვიახლოვდება ჩვენ მესია, გულები განიმტკიცეთ, შვილნო ჩემნო! რადგან მონობა არ არსებობს და არც სატანა არ არსებობს, რომაელები არ არსებობენ! მხოლოდ მესია არსებობს და ის ჩვენთან მოდის! კაცებო, თქვენ იარაღი აისხით, ომი იწყება. ქალებო – თქვენ კი ლამპრები აანთეთ, სიძე მოდის! არ ვიცით, ზუსტად რა დროს, რა წამს, მაგრამ აქვია! შესაძლოა დღესაც მოვიდეს, შეიძლება ხვალ. იფხიზლეთ! ახლომანლო მთებიდან მესმის, როგორ იძვრის ქვები მის ტერფთა ქვეშ. მოდის! გავეგებოთ, შესაძლოა, ვიხილოთ კიდევ!

და ხალხი გარეთ გავიდა, ფინიკის დიდი ხეების ძირში მიმოიფანტნენ. მოხუცი რაბინის ეს სიტყვები სულ არ ჰგვრიდათ სიამოვნებას და ცდილობდნენ, მეხსიერებიდან ამოეშალათ ისინი, რათა ჩამქრალიყო ცეცხლის ალი მათ სულებში და კვლავ ყოველდღიურ საზრუნავში ჩაძირულიყვნენ... დასეირნობდნენ, ერთი სული ჰქონდათ, როდის მოშუადღევდებოდა, რათა კვლავ სახლებში დაბრუნებულიყვნენ და ლაპარაკ-ლაპარაკში, კამათში, ჭამისას ჩაეხშოთ ეს წმინდა სიტყვები...

და უეცრად მათ წინ ძონძებშემოსილი, ფეხშიშველი და სახე გაბრწყინებული მარიამის ძე გამოჩნდა. უკან ოთხი დამფრთხალი მოწაფე ცხვრის ფარასავით მოჰყვებოდა, სულ ბოლოს კი მარტოდმარტო მოაბიჯებდა ჟღალწვერა იუდა.

კაცები გაოგნდნენ: საიდან გაჩნდნენ ეს ძონძებში გამოხვეული ადამიანები? განა ეს მარიამის ძე არ არის? აი ის, წინ რომ მოუძღვით?

- შეხედეთ, როგორ მოაბიჯებს! მკლავებს ისე შლის, გეგონება ფრთებს იქნევსო.
- ღმერთმა ტვინი გადაუბრუნა და ჰგონია, რომ დაფრინავს.
- ლოდზე შედგა, გვანიშნებს, რომ მივუახლოვდეთ, სალაპარაკოდ ემზადება.
- წამოდი ერთი, გავერთობით!

მართლაც, იესო მოედნის შუაგულში, ლოდზე შემომდგარიყო. მის გარშემო ხალხი მოგროვდა, იცინოდნენ - გაუხარდათ ამ შეშლილის გამოჩენა, იქნებ ასე დავიწყებოდათ რაბინის ის მძიმე სიტყვები: ომიო, იფნიზლეთო, აჰა, მოდისო! — წლებია უკვე ეს სიტყვები ჩაესმოდათ... მობეზრდათ... და ჰა, ახლა, მადლობა ღმერთს, მარიამის ძე გაახალისებთ, ყველაფერი დაავიწყდებათ.

იესომ ხელები გაშალა და ანიშნა, ყველა მის გარშემო შეკრებილიყო. მოედანი გაივსო წვეროსნებით, მოსასხამებით და ქუდებით. შიმშილის მოსაკლავად ზოგი ფინიკს ჭამდა, ზოგი მზესუმზირას შეეკეცოდა, ხოლო ხანდაზმულები და ღვთისმომშიშნი გრძელ კრიალოსნებს მარცვლავდნენ, ცისფერი ტილოს პატარა ნასკვებისგან რომ შეეკრათ და თითოეულ ამ ნასკვში წმინდა წერილის თითო ფრაზა გამოეკვანდათ.

იესოს თვალები უელავდა. ამდენი ხალხის მიუხედავად, მის გულში შიშის ნასახიც კი არ იყო.

- ძმებო, - შესძახა, - გულისყური გახსენით და მომაპყარით, ისმინეთ სიტყვა, რომელსაც გეუბნებით! ესაია ჩემზე ამბობს ამ სიტყვებს: „უფლის სული გადმოიღვარა, მე გამომარჩია, რათა ღატაკებს კეთილი ცნობა მივახარო. გამომგზავნა, რათა მონებს თავისუფლება მივანიჭო, ბრძებს კი თვალი ავუხილო!“. და ეს დღეც დადგა, მან რომ იწინასწარმეტყველა. ძმებო, ისრაელის ღმერთმა მე გამომგზავნა, რათა კეთილი ცნობა გახაროთ. შორს, იუდეის უდაბნოში გამომცადა, სწორედ იქიდან მოვდივარ ახლა! დიდი საიდუმლო გამანდო ღმერთმა, მეც მივიღე იგი, მერე მინდვრები და მთები გადმოვიარე - ნუთუ ჩემი ნაბიჯების ხმა არ გესმოდათ იმ მთებიდან? — და აქ მოვედი, ამ სოფელში, სადაც ვიშვი, რათა პირველად აქ ვიქადაგო და გახაროთ: მოაწია ცათა სასუფეველმა!

ერთმა მოხუცმა, ორი კუზი რომ ამოსვლოდა აქლემივით, კრიალოსანი ასწია და ჩაიქირქილა:

- ცარიელ სიტყვებს არახუნებ, ხუროს ძეო, სულ ცარიელ სიტყვებს. ეს ცათა სასუფეველიო, სამართალიო, თავისუფლებაო - სრული ქაოსია! მოგვბეზრდა უკვე! სასწაულები, სასწაულები - გვინდა! ჩაიღინე სასწაული და გირწმუნებთ! თუ არა და, ნულა ყბედობ!

- ყველაფერი სასწაულია, მოხუცო, - მიუგო იესომ, - სხვა რა სასწაული გინდა? ძირს დაინდე: ყველაზე უფრო უსახურ ბალახსაც კი თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს, რომელიც თავს ადგას და გაზრდაში ეხმარება. ხოლო თუკი თვალებს დახუჭავ, მოხუცო, განა სასწაული არ არის ჩვენი შინაგანი სამყარო? განა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა არ არის ჩვენი გული?

გაოცებული ხალხი უსმენდა. მერე ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

- ეს მარიამის ძე არ არის? ასე მტკიცედ რანაირად ლაპარაკობს?

- დემონი ლაპარაკობს მისი პირით. სად არიან მისი ძმები, რომ შებოჭონ, ემანდ, ვინმე არ დაკბინოს.

- სიტყვას აგრძელებს, ჩუმად!

- უფლის დღე დადგა, ძმებო, მზად ხართ? სულ ცოტა დრო დაგრჩენიათ, უხმეთ ღარიბებს და გაუნაწილეთ თქვენი სიმდიდრე. რაში გჭირდებათ მიწიური სიმდიდრენი? ცეცხლი მოიწევს მათ გადასაბუგად! სანამ ცათა სასუფეველი დადგებოდეს, ცეცხლთა სასუფეველი დგება! უფლის დღეს კი, მდიდართა სახლების კედლებში ჩაშენებული ქვებიც კი აღდგებიან და საკუთარ პატრონებზე დაეშვებიან; სკივრებში გადამალულ ოქროს მონეტებს ოფლი შეჭამს, ღატაკთა ოფლი და სისხლი ამოავსებს მაგ თქვენს სკივრებს! ზეცა გაიხსნება და ციდან ცეცხლად დაეშვება წარღვნა, ახალი კიდობანი კი ცეცხლის ალებს შორის გასცურავს. ჩემს ხელთაა კიდობნის გასაღები, მას მე გავაღებ და ავარჩევ, შიგ ვინ შევიდეს! ჩემო ძმებო, ნაზარეველნო, თქვენგან ვიწყებ! თქვენ პირველებს გიწვევთ შიგნით, მოდიეთ, შემოდით კიდობანში! ღმერთის ცეცხლი უკვე დაეშვა და სადაცაა თავს დაგვატყდება.

- ჰაჰაჰა, მარიამის ძე მოსულა, რომ გამოგვიხსნას! - ხორხოცებდნენ შეკრებილნი და იესოს დასცინოდნენ.

ზოგიერთები მიწისკენ დაიხარნენ, ხელებში ქვები მოიმარჯვეს და ელოდებოდნენ.

მოედანზე მწყემსი ფილიპე შემოვარდა. როგორც კი თავისი მეგობრების მოსვლის ამბავი შეიტყო, მაშინვე გამოიქცა. თვალები ჩასწითლებოდა და დასიებოდა, თითქოს ბევრი უტირიაო, ლოყები ჩასცვენოდა. იმ დღეს, როდესაც იესოსა და მის თანამგზავრებს დაემშვიდობა და ომანთანად გაჰყვიროდა - ვერ გამოგყვებით, ცხვრები მყავს, ვის დავუტოვოო - ლიბანელი მეკობრეები დასხმიან თავს და ყველაფერი წაურთმევიათ. სამწყემსო სახრის გარდა აღარაფერი დარჩენოდა ფილიპეს. ახლა კი ეს სახრე მოემარჯვებინა და ტახტიდან ჩამოგდებული მეფესავით დაიარებოდა სოფელ-სოფელ, მთა-მთა და თავის ცხვრებს დაეძებდა. იგინებოდა, იმუქრებოდა, ერთ ფართო ალამს აფრიალებდა და ამბობდა, რომ ლიბანში უნდოდა წასვლა. მაგრამ ღამით, როცა მარტო დარჩებოდა, ტიროდა ხოლმე. ფილიპე მოედნისკენ მირბოდა, თავისი ძველი მეგობრების სანახავად, თანაც უნდა ეთხოვა მათთვის, ერთად წასულიყვნენ ყველანი ლიბანში. სიცილ-ხარხარის გაგონებამ გააკვირვა: „რა ხდება აქ? — წაიჩურჩულა, - რა აცინებთ?“ და მიუახლოვდა.

იესო გაცოფებულიყო.

- რა აცინებთ? - შეჰყვირა, - ქვებს აგროვებთ, რომ ძე კაცისა ასე ჩაქოლოთ? რას ბაქიბუქობთ თქვენი სახლებით, ზეთისხილის ბალებითა და ვენახებით? ნაცარტუტაა! ყოველივე ნაცარია! თქვენი ძენი და ასულნიც ნაცარია! ცეცხლის ალები - ეს უძლეველი ყაჩაღები დაეშვებიან მთებიდან და ერთიანად გაიტაცებენ მთელ თქვენს ცხვრის ფარას!

- „რა ყაჩაღები? რომელი ცხვრები? ან ეს ცეცხლის ალები რაღას ნიშნავს?“ - ბუტბუტებდა ფილიპე და სახეზე ნიკაპჩამო ყრდნობილი უსმენდა.

იესო კი ლაპარაკობდა. ღარიბთა უბნებიდან ერთიმეორის მიყოლებით მოდიოდა მდებრიო ხალხი. გაიგეს, ვიღაც ახალი წინასწარმეტყველი ღატაკთათვის მოსულაო და

გამორბოდნენ. ასეც უთქვამთ, ცალ ხელში ზეცის ცეცხლი უჭირავს, რათა მდიდრები გადაწვასო, მეორე ხელში კი – სასწორი, რათა სიმდიდრე ღარიბ ხალხს გაუნაწილოსო; იგი ახალი მოსეა და ახალ, სამართლიან სჯულს დაამკვიდრებსო. და ლატაკებიც მოდიოდნენ, გაფაციცებით მიეპყროთ ყური. აჰა, დადგა მათი სასუფეველი, აი, ესაა სასუფეველი ღარიბთა!

იესო ის იყო, სიტყვის გაგრძელებას აპირებდა, რომ ოთხი მძლავრი მკლავის მოხვევა იგრძნო უკნიდან. ხელი დასტაცეს, ლოდიდან ჩამოათრეეს და მსხვილი თოკი შემოახვიეს, შეკრეს. იესომ თავი მიაბრუნა და დაინახა – მისი ძმები იყვნენ, იოსების ვაჟები – კოჭლი სიმონი და მორწმუნე იაკობი.

- სახლში! სახლში, შე შეპყრობილო! — დაჰყვიროდნენ და გამმაგებით მიათრევდნენ.

- სახლი არა მაქვს, დამანებეთ თავი ესაა ჩემი სახლი და ესენია ჩემი ძმები! — ყვიროდა იესო და ხალხისკენ მიანიშნებდა.

- სახლში, სახლში! - ყვირილით ეპასუხებოდნენ ძმები და თანაც დასცინოდნენ.

ერთმა ხელი მოიქნია და ქვა დაუმიწნა. იესოს შუბლი გაუხეთქა და მისი სისხლის პირველი წვეთი დაეცა მიწას. ორ კუზიანი ბენრეკი კი გაავებულად ყვიროდა:

- სიკვდილი მას! სიკვდილი! ჯადოქარია, გვწყევლის! ცეცხლს მოუხმობს, რომ გადაგვბუგოს და გადაგვბუგავს კიდეც!

- სიკვდილი მაგას! სიკვდილი! — ყოველი მხრიდან გაისმა ხმები.

პეტრე წამოიჭრა:

- სირცხვილი თქვენ, - გაჰყვიროდა, - რა დაგიშავათ? უბრალოა!

ერთი ხეპრე მიეჭრა:

- მგონი, შენც მაგასთან ხარ, არა? - და პირდაპირ ყელში სტაცა ხელი.

- არა! არა! - ამოიხრიალა პეტრემ, - არა, არ ვარ მაგასთან! - ცდილობდა მისი ტორი მოეშორებინა.

იესოს დანარჩენ სამ თანამგზავრს თავგზა არეოდა. იაკობი და ანდრია საკუთარ შესაძლებლობებს ზომავდნენ, იოანეს კი თვალები ცრემლით ავსებოდა. მაგრამ იუდამ ხალხი იდაყვები, მიფანტ-მოფანტა, მოძღვარს მიეჭრა, ორი შეშლილი ძმის მკლავებიდან გამოიხსნა, თოკი შემოხსნა.

- წაეთრიეთ! — შეუყვირა, - თორემ ჩემთან გექნებათ საქმე! გზა!

- შენ თვითონ წადი და შენს მიწა-წყალზე იბატონე! - შეუტია კოჭლმა სიმონმა.

- სადამდეც მკლავი გამიწვდება, ყველგან ვიბატონებ, შე ცალფენა!

და ოთხივე მოწაფეს მიუბრუნდა:

- არა გრცხვნიათ? — დაუყვირა, — უარყავით კიდეც? წინ! გარშემო დავუდგეთ, კაციშვილი რომ ვერ შეეხოს.

მოწაფეებს შერცხვათ. ღარიბებ-უპოვრებიც და დაძონძილებიც მათ მიემხრნენ:

- ჩვენც თქვენთან ვართ, ძმებო! — გაიძახოდნენ, — სეირს ვუჩვენებთ ამათ!

- მეც თქვენთან მიგულგეთ, - გაისმა უდრეკი ხმა. ფილიპე თავის სახრეს იქნევდა და გზას მიიკვლევდა, - დამიცადეთ!

- ფილიპეს გაუმარჯოს! — მიესალმა ჟღალწვერა, - ჩვენთან წამოდი! ღარიბებო, ჩაგრულებო, შემოგვიერთდით!

დაინახეს, რომ ლატაკი ხალხიც აღდგა და სოფლის თავკაცები გადაირივენ: ნუთუ ეს ხუროს ძე აქ იმისათვის მოვიდა, რომ ღარიბებს ტვინი გადაუბრუნოს და ამქვეყნიური წესრიგი თავდაყირა დააყენოს?! ამბობს, ახალი სჯულით მოვდივარო... სიკვდილი მაგას! სიკვდილი!

ალყაში მოიქცეის. ზოგიერთებმა კვერთხები მოუღერეს, ზოგიც დანებით და ქვებით დაეტაკნენ. მოხუცები უკან გადგნენ და იმუქრებოდნენ დამხვდურთა გასამხნევებლად. იესოს თანამებრძოლნი მოედნის ირგვლივ ტანაშოლტილ ჭადრებს ამოეფარნენ. მოწინააღმდეგე მხარე პირდაპირ მათზე მიიწვედა, თავს ესხმოდნენ. მოქიშპეთა შორის კი დროდადრო იესო ჩადგებოდა, მკლავებს გაშლიდა და გაჰყვიროდა: „ძმებო! ძმებო!“, მაგრამ არავინ უსმენდა. ქვები არ სცდებოდა მიზანს და პირველი დაშავებულნიც ღრიალებდნენ.

შუკიდან ქალი გამორბოდა, მოედანზე შემოიჭრა. იისფერი თავსაბურავიდან ოდნავ უჩანდა სახე. დიდი შავი თვალები ცრემლებით ავსებოდა.

- ღვთის გულისათვის, — აღმოხდა ვედრებით, - ნუ მოკლავთ!

- მარიამია! — გაისმა შეძახილები, — დედამისი!

მაგრამ, აბა, ბერიკაცებს დედა რატომ შეებრალებოდათ?! ჭკუიდან გადასულიყვნენ და გაბოროტებულნი ღრიალებდნენ:

- მოკვდეს! მოკვდეს! მოვიდა, რომ ხალხი აგვიმხედროს, ჩვენი სიმდიდრე ამ ფეხშიშველებსა და უმაქნისებს დაურიგოს! სიკვდილი მაგას!

ერთმანეთს უკვე ხელდახელ შებმოდნენ, ძიძგილაობდნენ. იოსების ორი ვაჟი მიწაზე განრთხმულიყო და ღრიალებდნენ, რადგან იაკობს ქვით დაეხეთქა მათთვის თავები. იუდას კი დანა დაეძრო, იესოს წინ ტრიალებდა და არავის ანებებდა მასთან მიახლოებას. ფილიპესაც გაანსენდა თავისი დაკარგული ცხვრები, თვალთ დაუბნელდა და განურჩევლად ურტყამდა თავში სახრეს ყველას, ვისაც მისწვდებოდა.

- ღვთის გულისათვის, - კვლავ გაისმა მარიამის მუდარა, - ავად არის, ავად! გონებაარეულია, შეიბრალებთ!

მაგრამ მისი ვედრება აურზაურმა შთანთქა. იუდამ ვება ახმახი მოიგლო ფეხქვეშ, ყელზე დანა მიაბჯინა, მაგრამ იესომ მიუსწრო და ხელი აუკრა.

— იუდა, ძმაო! — შესძახა, - არ გვინდა სისხლისღვრა! სისხლი არა!

- აბა, რა გვინდა? წყალი? - შესძახა გამძვინვარებულმა ქლადწვერამ, - ცული რისთვის გიჭირავს, დაგავიწყდა? მოაწია ჟამმა!

პეტრესაც უთავაზეს ერთი-ორი და სულ გაშმაგდა. მოზრდილ ქვას სწვდა და ბერიკაცებს დაერია. ამ გაწამაწიაში კი მარიამი თავის ვაჟს მიუახლოვდა, ხელზე ხელი მოჰკიდა:

- შვილო, - უთხრა, - რა დაგემართა? ასე რამ შეგცვალა? წამოდი სახლში, დაიბანე, ტანსაცმელი გამოიცვალე, შენი სანდლები ჩაიცვი. ჭრილობები გაქვს, შვილო!

- მე სახლი არ გამაჩნია, - მიუგო მან, - და არც დედა მყავს! შენ ვინა ხარ?

მარიამი გულმდუღარედ ატირდა, სახე ჩამოიხოკა და ამის შემდეგ სიტყვა აღარ დაუძრავს.

პეტრემ ქვა მოიქნია, ორკუზიან ბერიკაცს მოხვდა ფეხზე. ისედაც კოჭლმა ტკივილისაგან დაიღრიალა და კვანჭალ-კვანჭალით დაუყვა შუკებს, რაბინის სახლისაკენ. ამ დროს აქოშინებული რაბინიც გამოჩნდა. აურზაურის შესახებ უკვე მასაც გაეგო. წმინდა წერილი მიატოვა, მთელი არსებით რომ ჩაფლულიყო, რათა ასობსა და მარცვლებს შორის ღმერთის ნება ამოეკითხა. აყალმყალის გაგონებისთანავე, თავის სამღვდლო კვერთხს ხელი დაავლო და გაიქცა, რათა ენახა რა ხდებოდა. გზაში რამდენიმე დაშავებული შეხვდა, მათგან შეიტყო ყოველივე. ხალხი ჩამოიშორა, გზა გაითავისუფლა და მარიამის ძეს მიუახლოვდა.

- ეს რას ნიშნავს, იესო? - მკაცრად ჰკითხა, - განა შენ ის არ ხარ, ვისაც სიყვარული მოაქვს? და ეს არის სიყვარული? რას სჩადი?

მერე იქ მყოფთ მიუბრუნდა:

- შვილნო ჩემნო, შინ დაბრუნდით, თქვენს სახლებში! - და დასძინა, - ეს ჩემი ძმისშვილია, ავად არის ეს უბედური, ავადაა უკვე წლებია. გულში ბოროტს ნუ ჩაიდებთ იმის გამო, რაც თქვა, აპატიეთ! განა თვითონ ლაპარაკობს, სხვა ლაპარაკობს მისი პირით.

- ღმერთი ლაპარაკობს! — თქვა იესომ.

- შენ გაჩუმდი! - თქვა რაბინმა და საყვედურით შეახო კვერთხი.

მერე ისევ ხალხს მიუბრუნდა:

- დაეხსენით, შვილებო, ჯიბრში ნუ ჩაუდგებით! არც კი იცის, რას ამბობს. ჩვენ ყველანი - მდიდარნიცა და ღარიბნიც, აბრაამის თესლი ვართ, ერთმანეთს ნუ წავეკიდებით! ჯერ შუადღეა, შინ დაბრუნდით. ამას კი, ამ ბედკრულს, მე განვკურნავ.

და მარიამს გადახედა:

- მარიამ, შინ წადი და ჩვენც ახლავე მოვალთ!

დედამ შვილს ვედრებით სავსე მზერა შეავლო, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა; ამოიოხრა, სიმწრით თავისი თავსაბურავის კიდეს კბილი ჩაავლო და უსწორმასწორო შუკაში თვალს მიეფარა.

ზეცა საავდრო ღრუბლებმა მოქუფრეს. იმ დროს, როცა დაპირისპირებულნი ერთმანეთს წაეკიდნენ, წვიმას ეპირებოდა, რათა მიწა განწმენდილიყო. ქარი ამოვარდა, ჭადრისა და ლელვის ხეებს უკანასკნელი ფოთლები სცვიოდა და აქა-იქ იფანტებოდა. მოედანი დაცარიელდა. იესო ფილიპეს მიუბრუნდა, ხელი გაუწოდა:

— ფილიპე, ძმაო, — უთხრა, - მშვიდობა!

- მშვიდობა, მოძღვარო, - მიუგო მან და ხელზე ხელი მოუჭირა.

თავისი სამწყემსო ჯოხი გაუწოდა:

- გამომართვი, ჩამოეყრდნობი!

- წავედით, მეგობრებო, - თქვა იესომ, - ჩამოიბერტყეთ მტვერი თქვენს ფეხთაგან! მშვიდობით, ნაზარეთო!

- სოფლის ბოლომდე გამოგყვებით, — თქვა რაბინმა, - ვინმემ არა დაგიშავოთ რა.

იესოს ხელი ჩაჰკიდა და ეს ორნი დაწინაურდნენ. რაბინი ხელისგულით გრძნობდა იესოს ხელის სიმხურეს.

- საკუთარ თავზე ნუ აიღებ, შვილო ჩემო, სხვათა საზრუნავს! — უთხრა, - ბოლოს მოგიღებს!

- მე არ გამაჩნია საკუთარი საზრუნავი, რაბი! დაე, ბოლო მომიღოს! — უპასუხა იესომ.

ნაზარეთის ბოლოს მიადგნენ, წინ ბალები გადაეშალათ, უფრო მიღმა კი — ყანები. მოწაფეები წყაროსთან შეჩერდნენ და სისხლი ჩამოიბანეს. მათთან ერთად რამდენიმე უპოვარი და ხეიბარიც გამგზავრებულიყო იმის იმედით, რომ ეს ახალი წინასწარმეტყველი სასწაულს მოუვლენდათ. ისეთი აღტყინებით და სიხარულით ლაპარაკობდნენ, იფიქრებდით გამარჯვებულნი დიდი ბრძოლიდან დაბრუნდნენო.

ოთხი მოწაფე კი მდუმარედ მიდიოდა, შეწუხებული იყო ოთხივე და ლამობდნენ, მოძღვარს მიახლებოდნენ, რათა მისი ნუგეში მიეღოთ. ნაზარეთმა, მოძღვრის სამშობლომ, მათ დასცინა და გამოდევნა, წარუმატებლად დაიწყო დიდი ლაშქრობა! — და თუკი ასე გამოგყრიან კანადანაც? - დარდობდნენ, - და კაპერნაუმიდან და გენესარეთის შემოგარენის ყველა ადგილიდან, მაშინ? სად გავეშურებით? ვის ვუქადაგებთ ღმერთის სიტყვას? თუკი ისრაელის ხალხი უარგვყოფს და დაგვცინებს, მაშინ ვისლა უნდა მივმართოთ? ურწმუნობს?

უყურებდნენ მას, მაგრამ ვერც ერთი ბედავდა გამოლაპარაკებას. თუმცა იესომ ამოიკითხა მათ თვალეებში შიში, პეტრეს ხელი მოჰკიდა და დაამუნათა:

- პეტრე, მცირედმორწმუნევ, ბეწვაყალყული, შავი მხეცი კრთის შენს მზერაში! ეს შიშია! რამ დაგაფრთხო?

- როცა შენგან შორსა ვარ, მეშინია, მოძღვარო! ამიტომაც მოგიახლოვდი! ამიტომაც მოგეკვრით ყველა. გვიამბე რამე, რათა გული განვიმტკიცო!

იესომ კი გაიღიმა და თქვა:

- როცა სულში ღრმად ჩავიხედავ, არ ვიცი, როგორ ანდა რატომ, მაგრამ ყოველთვის იგავი მოდის ჩემი წიალიდან. კვლავ იგავს მოვუხმობ, რომ გესაუბროთ, მეგობრებო:

„ერთმა ძლიერმა მმართველმა თავისი ვაჟი დააქორწინა და ბრძანა, სასახლეში მდიდრული სუფრა გაეშალათ. და როდესაც საკლავი დაიკლა და სამზადისს შეუდგნენ, მონები დაგზავნა, რათა სტუმრები მოეწვია: ყველაფერი მზადაა, მეწვიეთ! თუკი გიყვარვართ, ჩემი ვაჟის ქორწილში მოილხინეთო. მაგრამ თითოეულმა მიპატიჟებულმა რალაცა მოიმიზეზა, რომ არ მოსულიყო: „ყანა ვიყიდე, შესათვალაიერებლად მივდივარ“ - თქვა ერთმა. „სულ ახლახან თვითონვე ვიქორწინე, ვერ მოვალო“ - თქვა მეორემ. „ხუთი უღელი ხარი ვიყიდე, უნდა გავხედნოო“ - მიუგო სხვამ... დაბრუნდნენ მონები და თავიანთ ბატონს მოახსენეს: „მოწვეულთაგან არავინ ინება თქვენთან მოსვლა, მოუცლელობა მოისაბაბეს“. მმართველი გაწყრა და ბრძანა: „გადით ახლავე, მოედნები და გზაჯვარედინები დაიარეთ, სადაც კი ღარიბებსა და ხეიბრებს ნახავთ, აქ მომიყვანეთ! ჩემი მეგობრები დავპატიჟე, მაგრამ უარმყვეს. ჰოდა, ჩემს სახლს ახლა უცხო სტუმრებით გავავსებ, რათა ჭამონ, სვან და ჩემი ძის გაბედნიერებით გაიხარონო!“

იესო გაჩუმდა. თავიდან მშვიდად საუბრობდა, მაგრამ მერე და მერე, რაც უფრო გაუხანგრძლივდა სიტყვა, მით უფრო წარმოუდგა თვალწინ ნაზარეველები, ებრაელები და წარბები შეეჭმუნა. მოწაფეები გაოცებულნი უყურებდნენ.

- ვინ არიან მოწვეულნი და ვინ არიან უცხო სტუმრები? ან რომელი ქორწილია? რა იგულისხმე, ვერ გავიგეთ, მოგვიტევე, მოძღვარო, - თქვა პეტრემ და უსასოოდ მოიქექა ვეება თავი.

- გაიგებთ, — უთხრა იესომ, - როცა სტუმრებს მოვუხმობ, კილობანში რომ შემოვიდნენ და უარზე დადგებიან, მიზეზად კი მოიშველიებენ - ვენახები, ყანები და ცოლები გვყავსო, მაშინ გაიგებთ! მათი თვალეები, ყურეები, ტუჩეები, ნესტოეები, ხელეები — ხუთი უღელი ხარია, რომლებიც ხნავენ. გაინტერესებთ, რას ხნავენ? რას და — ჯოჯოხეთს!

ამოიოხრა, თანამგზავრებს გადახედა და იგრძნო, რომ მარტოდმარტო იყო ამ სამყაროში.

- ვლაპარაკობ, — წაიბუტბუტა, - და ვისთან ვლაპარაკობ? ჰაერთან! ვლაპარაკობ და მხოლოდ მე მესმის. როდის გამოისხამს უდაბნო ყურებს, რომ მომისმინოს?

- ნუ შემოგვწყრები, მოძღვარო, — თქვა ისევ პეტრემ, — ჩვენი ტვინი ერთი მუჭა მიწაა. მოითმინე და განაყოფიერდება.

იესომ მოხუც რაბინს შეხედა. იგი მიწას ჩაშტერებოდა, მხოლოდ მან გაიგო ამ იგავის დაფარული, საშიში აზრი და წამწამებგაცვენელი, მოქანცული თვალები ცრემლით აევსო.

ნაზარეთის გასასვლელში, ხის ფარდულის წინ მეზვერე იდგა და გადასახანდს კრეფდა. მათე იყო მისი სახელი. რამდენი ძვირფასეულიც კი შედიოდა და გადიოდა, ყველაფრისთვის ბაჟს უხდიდნენ რომაელებს. დაბალი, ჩასუქებული, უფერული კაცი იყო. ყვითელი, ფაფუკი ხელები ჰქონდა, თითები მელნით მოთხვროდა, ფრჩხილები ჩაშავებოდა, ყურები გაბანჯგვლოდა, ხმა კი – საჭურისივით გასწვრილებოდა. მთელ სოფელს სძულდა იგი, ეზიზღებოდათ და ხელს არავინ გაუწვდიდა ჩამოსართმევად. და როცა ფარდულს ჩაუვლიდნენ, პირს მიიქცევდნენ. განა წმინდა წერილი არ ამბობს: მხოლოდ ღმერთის წინაშე ვართ ვალში, მხოლოდ მას უნდა მივუმაღლოთ ხარკი და არა ადამიანებსო? ეს კიდევ ტირანის მონაა, მებაჟე, რჯულის კანონს არღვევს, უწესოდ ცხოვრობს. მის გარშემო ჰაერიც კი შვიდ მილზეა მოწამლული.

- გავერიდოთ, აჩქარდით! – თქვა პეტრემ, – სუნთქვა შეიკავეთ. პირი აარიდეთ!

მაგრამ იესო მასთან მივიდა. მათე ფარდულის წინ იდგა, ხელში კალამი ეჭირა, ქოშინით სუნთქავდა და ვერ გაეგო, რა ექნა: გარეთ დარჩენილიყო? - ეშინოდა. ფარდულს შეჰფარვოდა? - არ უნდოდა. რა ხანია, ეწადა თავისი თვალთ ეხილა ის ახალი წინასწარმეტყველი, რომელიც ქადაგებს – ყველანი ძმები ვართო. განა ის არ არის, ვინაც ერთ დღეს თქვა: „ღმერთს მონანიე ცოდვილი უფრო მეტად უყვარს, ვიდრე ის, ვისაც არასოდეს შეუცოდავსო“? და განა იმასვე არ ეკუთვნის ეს სიტყვები: „ამქვეყნად მართალთათვის კი არ მოვსულვარ, ცოდვითათვის მოვედი, მათთან საუბარი და პურის გატეხვა მწადიაო“? ხოლო სხვა დღეს კი, როცა ჰკითხეს: „რაბი რა არის ჭეშმარიტი სახელი ღვთისა?“ - მან უპასუხა: „სიყვარული!“.

უკვე რამდენი დღე და ღამეა, ეს სიტყვები ტრიალებდა მათეს გულში, ისიც ოხრავდა და ამბობდა: როდის ვიხილავ, რათა ფეხებში ჩავუვარდე?! და ახლა, აჰა, მის წინ დგას იგი, მას კი შეხედვისა ერიდება... თავჩაქინდრული, უძრავად დგას და უცდის. მაგრამ რას უცდის? ამასობაში, გაშორდება, გაივლის და სამუდამოდ დაკარგავს მას.

იესომ ნაბიჯი გადადგა, მიუახლოვდა:

- მათე, — წარმოთქვა ხმადაბლა, ისე თბილად, რომ მებაჟემ იგრძნო, ერთბაშად როგორ გაულღვა გული.

თავი ასწია. იესო იდგა მის წინ და მათეს უყურებდა. მისი მზრუნველი, მანუგეშებელი მზერა მებაჟის მთელ არსებას სწვდებოდა – გულს უმშვიდებდა, გონს უნათებდა და მთელი ტანით ცახცახებდა, თითქოს მზე ჩადგა მის წიაღში და სითბო მოჰფინა. რა სიხარული, რა სიმტკიცე და რამხელა შერიგება იყო ეს ყოველივე! ნუთუ ასეთი უბრალოა ეს სამყარო, ნუთუ გამოხსნაც ასე მარტივად, უცებ ხდება?

მათე ფარდულში შევიდა, ძველი დავთარი დახურა, ერთი სუფთა, ხელუხლებელი დავთარი იღლიაში ამოიჩარა, ქამარზე რკინის სამელნე ჩამოიკიდა და კალამი ყურთან გაიჩყო. შემდეგ მაშრიდან გასაღები გამოიხსნა, ფარდული ჩაკეტა და

გასაღები ყანებისკენ მოისროლა. და როცა ყოველივე დაასრულა, მუხლებაკანკალებული იესოს მიუახლოვდა. შედგა. გაებედა მისვლა თუ არა? გამოუწვდის მოძღვარი ხელს თუ არა?

თავი ასწია, იესოს მავედრებელი მზერა მიაპყრო, მან გაუღიმა და ხელი გაუწოდა:

- მათე, — თქვა, — წამოდი ჩვენთან!

მოწაფეები შეცბნენ, განზე გადგნენ. მოხუცი რაბინი გადაიხარა და იესოს ყურში ჩასჩურჩულა:

- შვილო ჩემო, მეზვერეა! დიდი ცოდვაა! სჯულის კანონს უნდა უსმინო!

- რაბი, — მიუგო მან, — მე ჩემს გულს ვუსმენ!

ნაზარეთს გასცდნენ, ბაღები განვლეს და მინდვრებზე გავიდნენ. ცივი ქარი ქროდა. წინ, მოშორებით – პირველი თოვლით დაფიფქული ებრონის მთა ელვარებდა. - რაბინმა კვლავ ხელი ჩასჭიდა იესოს, არ უნდოდა ისე დაშორებოდა, რომ ბოლო სიტყვა არ ეთქვა... მაგრამ, აბა, რა უნდა უთხრას ან საიდან უნდა დაიწყოს? ამბობენ, იუდეის უდაბნოში მას თავად ღმერთმა მიანდოო ცალ ხელში – ცეცხლი, მეორეში კი - თესლი. ამბობენ, იგი დაწვავს სამყაროს და მის ადგილას ახალს დათესავს, აღმოაცენებს... რაბინი იესოს უსიტყვოდ უმზერდა: დაუჯეროს? განა წმინდა წერილი არ ამბობს, რომ ღვთის რჩეული გამხმარ ხეს ჰგავს, ქვებზე რომ ამოსულა და ყველასგან მიტოვებულ-უარყოფილია? „არადა, ჰგავს! ეგებ სწორედ ეს იყო...“ გაიფიქრა მოხუცმა და მხარზე დაეყრდნო:

- ვინ ხარ? - დაეკითხა კრძალვით, რათა სხვებს არ გაეგონათ.

- ამდენი ხანია, დაბადების წამიდან ჩემთან ხარ, ძია სვიმეონ, და ჯერ კიდევ ვერ შემიცან?

მოხუც რაბინს სუნთქვა შეეკრა:

- ამას ვერ უძლებს ჩემი გონება, ვერ ვიგებ, შვილო...

- და ვერც შენი გული უძლებს, ძია სვიმეონ?

- მას არ ვუსმენ, შვილო ჩემო! ადამიანს უფსკრულისაკენ მიუძღვის იგი!

- დიახ, ღმერთის უფსკრულისაკენ ანუ ხსნისკენ! - თქვა იესომ და თანალმობით შეხედა მოხუცს.

- რაბი, არ გახსენდება ისრაელის ტომის სიზმარი, ერთ ღამეს რომ მოევლინა ძილში დანიელ წინასწარმეტყველს, ბაბილონში?! და ვხედევდ, ვითარმედ საყდარნი დაიდგნეს და ძუელი დღეთა დაჯდა. და შესამოსელი მისი, ვითარცა თოვლი სპეტაკი, და თმ თავისა მისისა, ვითარცა მატყლი განწმედილი, საყდარი მისი — ალი ცეცხლისა, ეტლისთუალნი მისნი – ცეცხლი მოტყინარე. მდინარე ცეცხლისა იზიდვოდა, გამომავალი წინაშე მისსა, ათასნი ათასთანი ჰმსახურებდეს მას და ბევრნი ბევრთანი წარდგომილ იყვნეს წინაშე მისსა სამსჯავროს. და ჯდა და წიგნნი განეხუნნეს. ვხედევდ მას შინა ჳმისაგან სიტყუათა დიდთაჲსა, რომელთა რქანი იგი

იტყოდიან. მხილველ ვიყავ, ვიდრემდის მოიკლა მკეცი და წარწყმდა, და სხეული მისი მიეცა დასაწუელად ცეცხლითა. და ნეშტათაცა მკეცთაჲ გადადგა მთავრობაჲ. და სიგრძე სიცოცხლისა მიეცა მათ ვიდრე ჟამისამდე და წამისა. ვხედვედ ხილვასა შინა ღამისასა: და, აჰა, ღრუბელთა თანა ცისათა მომავალ... აბა, ვინ? ვინ გადმოვიდა, რაბი, გახსოვს?

- ძე კაცისა, - უპასუხა მოხუცმა რაბინმა, რომელიც წლებია სწორედ ამ სიზმრით საზრდოობდა და ყოფილა ღამეები, რომ თავადაც მოვლენია ძილში ეს სიზმარი.

- და ვინ არის ძე კაცისა, რაბი?

მოხუც რაბინს მუხლები მოეკვეთა. იესოს შიშით შეხედა.

- ვინ, ვინ არის? - წაიბუტბუტა და იესოს ბაგეებს მიაშტერდა.

- მე ვარ - მშვიდად მიუგო მან და რაბინს თავზე ხელი დაადო, თითქოს ლოცავსო.

მოხუცმა რაბინმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ პირი არ დაემორჩილა.

- გამხნევდი, რაბი, - თქვა იესომ და ხელი გაუწოდა, - ბედნიერი ხარ, რომ იმის ღირსი გახდი, სიკვდილამდე გეხილა იგი, ვისაც მთელი ცხოვრება მოელოდი. ღმერთმა პირობა აასრულა სვიმეონ!

რაბინი იდგა, თვალები გაფართოებოდა და უყურებდა... ეს რა სამყარო გადაიშალა მის წინაშე? ტანტრევენები, ფრთები თეთრი ელვა და ქვემოთ რომ მოიწევდნენ - ღრუბლები და ზედ ძე კაცისა მოაბიჯებდა? ნუთუ სიზმარი იყო იგი? იქნებ თავად იყო წინასწარმეტყველი დანიელი და მის წინ მომავლის კარიბჭენი გაიხსნა? იქნებ ახლა თავად ხედავდა ამ ყოველივეს? მიწა არ იყო, ღრუბლები იყო. და ეს ახალგაზრდა კაციც, ხელი რომ გამოუწოდა და გაუღიმა, მარიამის ძე კი არ იყო, არამედ სწორედ იგი — ძე კაცისა!

თავბრუ დაეხვა. თავისი სამღვდლო კვერთხი მოიმარჯვა, ჩამოეყრდნო, რათა არ დაცემულიყო და უყურებდა. უყურებდა, როგორ მიდიოდა სამწყემსო ჯოხს დაბჯენილი იესო საშემოდგომო ხეების ქვეშ. ცა ქვემოთ ჩამოწეულიყო, წვიმა თავს ველარ იკავებდა ღრუბლებში და გადმოეშვა. მოხუც რაბინს სამოსი დაუსველდა, ტანზე მიეკრო, თმიდანაც წყალი სდიოდა, აკანკალა, მაგრამ მაინც შუა გზაზე იდგა უძრავად, მათ უყურებდა - დაძონძილებს, ფეხშიშველებს, რომლებიც მიიწევდნენ წინ, აღმართს მიუყვებოდნენ... სად მიდიოდნენ? საით? რისთვის მიდიოდნენ? იმისთვის, რომ ამ ძონძებში განვეულებმა, უპოვრებმა, უსწავლელებმა ცეცხლს მისცენ მთელი ეს სამყარო? უფსკრული არის ნება ღვთისა...

- ადონაი უფალო, — ჩურჩულებდა, - ადონაი... - ჩურჩულებდა და ცრემლი სდიოდა.

ზის რომი მორჭმით — ერებს ზემოთ, ზის, ყოვლისშემძლე, გაუმაძღარი მკლავები ფართოდ გაუშლია და იღებს გემებს, ქარავნებს, ღმერთებს, მთელი მიწის და ზღვის ნაყოფებს. თავად არც ერთი ღმერთის არ სწამს და უშიშრად, დამცინავი ხელგაშლილობით მასპინძლობს თავის სასახლეში ყველა სხვა ღმერთს: შორეული სპარსეთიდან - აჰურა მაზდას ცეცხლსახოვან ძეს, მითრას, რომელიც სასიკვდილოდ განმზადებულ წმინდა ხარზე ამხედრებულა; მკერდმრავალი ნილოსიდან - ისიდას, გაზაფხულობით, აყვავებულ მინდვრებზე რომ დაიარება და თავისი ქმარ-ძმის, სეთისგან დაფლეთილი ოსირისის ორმოც ნაგლეჯს დაეძებს ხოლმე; სულისშემძვრელ დატირებათა სამშობლოდან, სირიიდან - უმშვენირეს ადონისს; ფრიგიიდან — ატიის, რომელიც აკლდამაში წევს და დამჭკნარი ია-იები მიმოჰფანტვია მთელ სხეულზე; უსირცხვილო ფინიკიიდან – ათასქმრიან ასტარტეს; აზიისა და აფრიკის ყველა ღმერთს და დემონს გულდიად ხვდება, საბერძნეთიდან კი — თეთრ ოლიმპოსს და უშავეს ჰადესს მასპინძლობს.

მასპინძელია ყველა ღმერთის, გზები გახსნა, ზღვა გაწმინდა მეკობრეთაგან, ხმელეთი კი - ყაჩაღებისგან, წესრიგი და მშვიდობა დაამყარა მთელ სამყაროში, მასზე ძლიერი არავინაა, თვით ღმერთიც კი. ახლა ყველა მის ფეხქვეშაა: ღმერთებიცა და ადამიანებიც, რომელიც მოქალაქენიც და მონებიც. მრავალნაქარგ პერგამენტად დაიგრაგნა დრო მის ხელში, და ადგილიც. მარადიული ვარ! - შესძახა სიამაყით და ორთავიან არწივს მიუაღერსა, რომელსაც სისხლიანი ფრთები დაუკეცავს და თავისი დედოფლის ფეხთით ისვენებს. ო, რამხელა ბრწყინვალეაა, რა ურყევი სიხარულია, ყოვლისშემძლე და უკვდავი იყო, - ფიქრობს რომი და მის ფერხორციან, ფერ-უმარილით შეღებულ სახეს ფართო ღიმილი ეფინება.

იღიმის რომი, ბედნიერად იღიმის და აზრად არ მოსდის, სინამდვილეში ვისთვის გახსნა ხმელეთისა და ზღვათა გზები. ვისთვის დაშვრა და ამდენი საუკუნე ვისთვის იბრძოდა, რომ ამქვეყნად მშვიდობა და უსაფრთხოება მოეტანა. იმარჯვებდა, კანონმდებლობდა, მდიდრდებოდა, მთელ სამყაროში განივრცებოდა, მაგრამ ვისთვის? ვისთვის და იმ ფეხშიშველისთვის, სწორედ ახლა ნაზარეთიდან კანასკენ რომ მიუყვება უდაბურ გზას და უკან მისდევს დაძონძილი ხალხის კრებული. არც ის იცის, სად დაიძინოს, არც ის - რითი შეიმოსოს, რა შეჭამოს. მისი ყველა სკივრი, ყველა ჯოგი და რემა, მთელი მისი აბრეშუმის ძვირფასეული ზეცაში სუფევს, მაგრამ უკვე დაიძრნენ და მალე მიწაზე იქნებიან.

მტვერსა და ქვებში მიიკვლევს გზას, ფეხებიდან სისხლი მოსდის, მწყემსის უბრალო ჯოხი უჭირავს, შიგადაშიგ შედგება ხოლმე, ჩამოეყრდნობა სამწყემსო ჯოხს და მდუმარედ უმზერს მის გარშემო მთებს და მთებზე ერთ სინათლეს – ღმერთს, რომელიც იქ, ზემოთ ზის და აკვირდება ადამიანებს. შემდეგ მწყემსის ჯოხს კვლავ აიღებს, ემშვიდოებება ღმერთს და გზას მისდევს.

და კანასაც მიაღწიეს. სოფლის შესასვლელში, ერთი ახალგაზრდა ქალი შენიშნეს, ჭიდან წყალს რომ ეზიდებოდა თავისი თუნგიტ - გაბერილი მუცელი ჰქონდა, ფერმკრთალი და ბედნიერი სახე უჩანდა. იცნეს. სწორედ ის ასული იყო, რომლის ქორწილშიც ამ ზაფხულს იყვნენ და რომელსაც ვაჟი უსურვეს.

- ჩვენი ლოცვა შეეწია, - თქვა იესომ და გაიღიმა.

ის კი გაწითლდა, ჰკითხა — ხომ არ გწყურიათ... არ სწყუროდათ... თუნგი თავზე შემოიდგა, სოფელში შევიდა და გაუჩინარდა.

პეტრე წინ წავიდა, სახლებს ჩამოუარა, აკაკუნებდა. ზღურბლიდან ზღურბლზე გადადიოდა, რაღაც იდუმალ სიმთვრალეს ჰყავდა შეპყრობილი, ცეკვავდა და გაჰყვიროდა:

- გააღეთ! გააღეთ!

და კარებიც იღებოდა, ქალები გამოდიოდნენ. საღამოსპირი იყო, მინდვრებიდან მუშაკებიც შინ ბრუნდებოდნენ და გაოგნებით კითხულობდნენ:

- რა ხდება? რატომ აკაკუნებთ კარებზე?

- უფლის დღე დადგა, - პასუხობდა პეტრე, წარღვნა მოდის, ახალ კიდობანს შევაცურებთ, და ვისაც გწამთ, შიგნით შემოდით. აი, მოძღვარს უპყრია ხელთ გასაღები, იჩქარეთ!

ქალები შეშინდნენ, კაცები იესოს მიუახლოვდნენ: იგი ერთ ლოდზე ჩამომჯდარიყო და მიწაზე მწყემსის ჯოხით ჯვრებს და ვარსკვლავებს ხატავდა.

მთელი სოფლის სნეულები და ხეიბრები მასთან მოგროვდნენ.

- მოძღვარო, შეგვეხე, რომ განვიკურნოთ! ერთი კეთილი სიტყვა გვითხარ, რომ დავივიწყოთ ჩვენი კეთრი, სიბრმავე და ხეიბრობა!

ერთ ტანმაღალ მოხუც დედაკაცს კი, სულ შავები რომ ემოსა, უცებ აღმოხდა:

- ერთი ვაჟი მყავდა, ჯვარს აცვეს. გთხოვ, აღადგინე!

ნეტავ ვინ იყო ეს მოხუცი დედაკაცი? გაოგნებული სოფლელები შემობრუნდნენ. მათი სოფლიდან ჯვარზე არავინ გაუკრავთ. თვალთ ეძებდნენ, საიდან მოდიოდა ეს ხმა, მაგრამ მოხუცი ქალი ბინდში გაუჩინარებულიყო.

იესო კი, მიწისაკენ გადახრილი, ჯვრებსა და ვარსკვლავებს ხატავდა და საბრძოლო საყვირის ხმას უგდებდა ყურს, მოპირდაპირე ბორცვიდან რომ მოისმოდა. მძიმე, მწყობრი ნაბიჯების ხმაც გაისმა და საღამოს მზეზე აელვარდნენ რკინის ფარები და ჩაჩქნები. სოფლელები შემოტრიალდნენ, სახეები მოელუშათ.

- ნადირობიდან ბრუნდება ეს წყეული, აჯანყებულთა შესაპყრობად წავიდა ისევ.

- თავისი დაკუთებული ასულიც ჩვენს სოფელს აჰკიდა, აქ ჩამოიყვანა, სუფთა ჰაერი განკურნავსო. მაგრამ ისრაელის ღმერთს ხომ დავთარი უჭირავს ხელში და ყველაფერს იწერს, არაფერს აპატიებს. კანას მიწა შეჭამს მაგის შვილს!

- ნუ გაჰყვირით, უბედურებო! აჰა, ისიც! - სამი მხედარი მოდიოდა. შუაში იდგა ნაზარეთის ასისტავი - რუფუსი, ცხენს დეზი ჰკრა, სოფლელების ჯგუფს მიუახლოვდა და მათრახი აღმართა:

- რატომ შეიკრიბეთ? - შეჰყვირა, - ახლავე დაიშალეთ!

მისი სახე მწუხარე იყო, სულ რამდენიმე ღამეში დაბერებულიყო, თმა გაჭადრაკებოდა. მის დიდ საწუხარს - ერთადერთ ასულს, ერთ დილას რომ დავრდომილი დახვდა ლოგინში, ბოლო მოელო მისთვის. ასე, ცხენით მიმოდოდა და სოფლელებს ფანტავდა, რომ მოშორებით, ლოდზე ჩამომჯდარ იესოს მოჰკრა თვალი. წუთიერად სახე გაუნათდა. ცხენს დეზი ჰკრა, მიუახლოვდა:

- ხუროს ძეო, - თქვა, - კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა იუდეიდან. შენ გეძებდი.

და სოფლელებს მიუბრუნდა:

- სალაპარაკო მაქვს მასთან, წადით!

დაინახა მოწაფეები და დაძონძილი ხალხი, რომელიც ნაზარეთიდან ჩამოჰყოლოდა, ზოგიერთი მათგანი იცნო და წარბები შეჰყარა:

- ხუროს ძეო, ჯვარს აცვი და შენც ჯვარს გაცვამენ - ეს დაიხსომე! ხალხს ნუ აქეზებ, ტვინს ნუ ურევ, ჩემი ხელი მტკიცე არის, ხოლო რომი კი - უკვდავი!

იესომ გაიღიმა. მან კარგად იცოდა, რომ არც რომი იყო უკვდავი, მაგრამ არაფერი უთქვამს.

სოფლელები ბურტყუნ-ბურტყუნით დაიფანტნენ, შორს დადგნენ და სამ მემამოხეს უყურებდნენ, რომლებიც ლეგიონერებს შეეპყროთ, ბორკილებდადებულებს მიათრევდნენ, ერთ მაღალ, წვერფიწალა ბერიკაცსა და მის ორ ვაჟს თვალს არ აშორებდნენ. რომაელთა მუზარადები შორის სამივე თავაწეული მოდიოდა, ხალხს უმზერდნენ და ვერაფერს ხედავდნენ - მათ წინ, ჰაერში ჩამომდგარი, ისრაელის განრისხებული ღმერთის გარდა.

იუდამ იცნო, მისი ძველი თანამებრძოლები იყვნენ, შეხედა, ნიშანი მისცა, თუმცა ისინი ისე დაებრმავებინა ღვთის ბრწყინვალეობას, რომ ვერც იუდა დაინახეს.

- ხუროს ძეო, — ცხენიდან გადმოიხარა და მიმართა ასისთავმა, — არსებობენ ღმერთები, რომლებსაც ვძულვართ და გვხოცავენ, კიდეც სხვა ღმერთები, რომლებიც თავის დახრასაც კი არ კადრულობენ, რომ დაგვინახონ, და კიდეც სხვები — უფრო კეთილზრახვიანნი და ძალიან მოწყალენი, უბედურ მოკვდავებს რომ კურნავენ სნეულებისგან. ხუროს ძეო, რომელია ამათგან შენი ღმერთი?

- ღმერთი ერთია, — თქვა იესომ, — ნუ მკრეხელობ, ასისთავო!

რუფუსმა თავი გააქნია:

- არანაირი სურვილი არ მაქვს შენთან ღმერთზე ვილაპარაკო, - თქვა, - მძულს ებრაელები, სულ ღმერთის გამო იგვემებით. მე მხოლოდ იმის კითხვა მინდოდა, შეუძლია შენს ღმერთს...

გაჩერდა, შერცხვა ებრაელისთვის რამე ეთხოვა, მაგრამ მაშინვე წარმოუდგა თვალწინ პატარა, ქალწულებრივი სარეცელი და ზედ უძრავად მიწოლილი ასულის ფერმკრთალი სხეული, ორი დიდი მწვანე თვალი მას უყურებდა, მას უმზერდა და ევედრებოდა...

სირცხვილს აჯობა, კიდეც უფრო გადმოიხარა უნაგირიდან:

— ხუროს ძეო, შენს ღმერთს შეუძლია სნეულები რომ განკურნოს?

ძრწოლვით უმზერდა იესოს და პასუხს ელოდა:

— შეუძლია? — ისევ ჰკითხა, რადგან ხედავდა, იესო დუმდა.

იესო ნელა წამოდგა იმ ლოდიდან, რომელზედაც იჯდა, მხედარს მიუახლოვდა:

— მშობლების ცოდვებს შვილები ზღავენ, — თქვა, — ასეთია ღმერთის კანონი.

— უსამართლოა! — შეჰყვირა ასისტავმა და გააჟრჟოლა.

— სამართლიანია! — შეეპასუხა იესო, — ერთი ფესვია მამაც და შვილიც. ერთად აღიან ცაში, ერთად ჩადიან ჯოჯოხეთში. ერთს დაარტყამ და ორივე დაშავდება, ერთი შესცოდავს და ორივე ზღავს. შენ ჩვენ გვდევნი და გვხოცავ, ასისტავო, მაგრამ ისრაელის ღმერთმა შენს ასულს მოჰკითხა და ლოგინს მიაჯაჭვა.

— სასტიკ სიტყვებს ამბობ, ხუროს ძეო! ერთხელ შევესწარი, როგორ ლაპარაკობდი ნაზარეთში, გისმენდი და მომეჩვენა, რომ შენი სიტყვები იმაზე უფრო თბილი იყო, ვიდრე რომაელს შეეფერება, მაგრამ ახლა...

— მაშინ ცათა სასუფეველი ლაპარაკობდა, ახლა კი ბოლო ჟამი მეტყველებს! იმ დღის შემდეგ, შენ რომ მისმენდი, ასისტავო, დიდი მსაჯული დაჯდა თავის ტახტზე, დავთრები გადამალა, დაუძახა და სამართალიც მყისვე მის წინ გაჩნდა - მანვილით ხელში.

— ანუ სამართლიანობასა და შენ იქით ვედარ მიდის შენი ღმერთი? - შეჰყვირა აღშფოთებულმა ასისტავმა, — იქ გაჩნდა მაშ, რა იყო ის ახალი ცნობა, გალილეაში რომ ქადაგებდი ამ გაზაფხულს? სიყვარული! სიყვარულიო! ჩემს ასულს ღმერთის სამართალი არაფერში სჭირდება, მას სიყვარული სჭირდება სწორედ. კი იმ ღმერთისას ვიწამებ, რომელიც შეძლებს დაივიწყოს სამართალი და ჩემი შვილი განკურნოს! სწორედ ამიტომ შევძარი მთელი ქვეყანა, რომ შენ მეპოვე. სიყვარული, გესმის? სიყვარული და არა სამართლიანობა!

— უმოწყალო, უსიყვარულო, რომაელო ასისტავო, რა აიძულებს მაგ შენს ველურ პირს ამ სიტყვების თქმას?

— რა და, შვილის სიყვარული და მისი ტკივილი! მე იმ ღმერთს ვეძებ, ვინც ჩემს შვილს განკურნავს, რათა ვიწამო!

— ნეტარ არიან, ვისაც ღმერთი სასწაულების გარეშე სწამთ!

— ნეტარ არიან! მაგრამ მე სასტიკი და ურჯულო ადამიანი ვარ. ბევრი ღმერთი მინახავს რომში, ათასობით ღმერთი გვიზის გალიებში, უკვე მომბეზრდა.

— და სად არის შენი ასული?

— აქვე, სოფლის მაღლობზე, ბაღში.

— წავიდეთ!

ასისტავმა ერთი შეხედა და ცხენიდან ჩამოხტა, იესოსთან ერთად წინ წავიდა. მათ უკან კი, მოშორებით მოწაფეები მიდიოდნენ, უფრო უკან სოფლის ხალხი. სწორედ ამ დროს, გზის ბოლოში თომაც გამოჩნდა - სიხარულით გაბრწყინებული. ჯარისკაცებს მიჰყვებოდა უკან და თავის ძვირფასეულს ასალებდა.

- ჰეი, თომა, - დაუძახეს მოწაფეებმა, — ჩვენთან ერთად არ მოდიხარ? აი, ახლა ნახავ სასწაულს და ირწმუნებ!

- ჯერ ვნახო, - მიუგო თომამ, — ჯერ უნდა ვნახო და შევეხო!

- რას უნდა შეეხო, შე გაქნილო ვაჭარო?

- ჭეშმარიტებას.

- და ჭეშმარიტებას სხეული აქვს? აბა, რას მიედ-მოედები, გონებასუსტო?

- თუკი სხეული არ აქვს, რად მინდა? - თქვა თომამ და გადაიხარხარა, - მე შეხება მჭირდება. მე არც ჩემს თვალებს ვენდობი და არც ჩემს ყურებს, მხოლოდ ხელებს, ხელებს ვენდობი.

სოფლის ზედა ნაწილს მიადგნენ და ერთ კოპწია, თაბაშირით შელესილ სახლში შევიდნენ.

თეთრ ლოგინში თორმეტიოდე წლის ასული იწვა, დიდი მწვანე თვალები გაეხილა. როგორც კი მამა დაინახა, მაშინვე სახე გაუბრწყინდა. სულმა გაიბრძოლა, რომ უმოდრაო სხეული წამოეყენებინა, მაგრამ ვერ შეძლო და მის სახეზეც სიხარული წამში ჩაქრა. იესო დაიხარა, ასულს ხელზე ხელი მოჰკიდა. მთელი თავისი ძალა ხელისაკენ მიმართა - მთელი თავისი ძალა. სიყვარული და წყალობა. ხმას არ იღებდა, მზერა ორ მწვანე თვალში ჩაესო და იგრძნო, როგორ მძლავრად გადმოიღვარა მისი სული ხელის თითებიდან და ასულის სხეულში შევიდა. ისიც იესოს უყურებდა, პირი ოდნავ გაეხსნა და უღიმოდა.

მოწაფეები ფეხაკრეფით შეიპარნენ ოთახში, წინ-წინ თომა მიდიოდა, ზურგზე თავისი ძვირფასეულის ბოხჩითა და ქამარში გაყრილი საყვირით შეიარაღებული. გარშემო, ბაღსა და ვიწრო ქუჩაზე სოფლელები შეკრებილიყვნენ. ყველას სუნთქვა შეკვროდა და ელოდნენ. კედელს მიყრდნობილი ასისტავი თავის ასულს უყურებდა და ცდილობდა მღელვარება დაემალა.

ნელ-ნელა ასულს ლოყები აუწითლდა, მკერდი წამოსწია, რაღაც თბილი ჟრუანტელი აღწევდა იესოს ხელიდან მის გულში და გულიდან ფეხისგულებამდე. მისი წიაღი მსუბუქი ნიავის ჩამობერვისას მოცახცახე ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. და იესომ იგრძნო, რომ მის მუჭში მოქცეული ასულის ხელი გულივით ძგერდა. და მხოლოდ მაშინ ალაპარაკდა:

- ყრმაო, - უბრძანა ალერსიანად, - ადექი!

და ისიც მშვიდად შეირხა, თითქოს დაბუჟებული იყო და გადაუარა, გაიზმორა, თითქოს ახლა გაიღვიძაო, ხელებით ლოგინს დაეყრდნო, სხეული წინ წამოსწია და ერთი ნახტომით აღმოჩნდა მამამისის მკლავებში. თომას ელამი თვალები

გაუფართოვდა ხელი გაიწოდა, ასულს შეახო, თითქოს უნდა დარწმუნდეს, რომ ნამდვილიაო. მოწაფეებიც გაოგნდნენ და შეეშინდათ. გარშემო შეკრებილმა ხალხმა კი ერთი დაიღრიალა და მაშინვე შიშისაგან ხმა ჩაუვარდა. აღარაფერი ისმოდა გარდა ყრმის კისკისისა, რომელიც მამას ეხვეოდა და კოცნიდა.

იუდა მოძღვარს მიუახლოვდა. ბოროტი და ველური სახე ჰქონდა.

- შენს ძალას ფუჭად ხარჯავ ურწმუნოებზე, — უთხრა, - ჩვენს მტრებს სიკეთეს უკეთებ და ნუთუ ეს არის სამყაროს აღსასრული, რომელიც მოგაქვს? ესაა შენი ცეცხლი?

მაგრამ იესო, ძალიან შორს, უკუნ ზეცაში ირწეოდა და მას არ უსმენდა. ყველაზე მეტად სწორედ თვითონ შეეშინდა, როცა იხილა, როგორ წამოფრინდა ყრმა ლოგინიდან. მოწაფეები შემოეხვივნენ, ცეკვავდნენ და სიხარულის მოთოკვას ვერ ახერხებდნენ. ესე იგი, სწორად მოიქცნენ, ყველაფერი რომ მიატოვეს და მასთან ერთად წამოვიდნენ. ჭეშმარიტია იგი, სასწაულებს სჩადის, ის არის! თომასაც გადმოედგა გონების სასწორი და წონიდა: სასწორის ერთ პინაზე მისი ძვირფასეულობა ეწყო, მეორეზე კი – სასუფეველი ცათა. პინები კარგა ხანს თამაშობდნენ და ბოლოს გაჩერდნენ. ცათა სასუფეველი უფრო მძიმე იყო და ასეთი მონობა მას აწყობს, ასე შეიძლება ათასობით მოგება ნახოს, ჰოდა, მაშინ – წინ, ღვთის სახელით! მასწავლებელს მიუახლოვდა:

- მოძღვარო, სწორედ შენი გულისათვის, რაც მაბადია, ღარიბ-ღატაკებს დავურიგებ! ძალიან გთხოვ, არ დაგავიწყდეს ეს, როცა ცათა სასუფეველი მოაწევს. ყველაფერს გწირავ და შენთან ერთად მეც მოვდივარ! დღეს ვინილე და შევეხე კიდეც ჭეშმარიტებას.

თუმცა იესო ჯერ კიდეც ძალიან შორს იყო და კი გაიგონა თომას სიტყვები, მაგრამ არ უპასუხებია.

- მხოლოდ საყვირს დავიტოვებ, – განაგრძობდა ძველი ვაჭარი, - რათა ჩავბერო, მის ხმაზე ხალხი მოგროვდეს ხოლმე და გაიგოს, რომ ახალ, უკვდავ საუნჯეს ვყიდით – წყალობას!

ასისტავი, ისე რომ მკლავებიდან არ მოუშორებია თავისი ასული, იესოს მიუახლოვდა:

- შენ, ღვთის კაცო, - თქვა, – ჩემი ასული ადადგინე! რა გინდა, რომ გაგიკეთო? რაც გინდა მთხოვე!

- შენი ასული სატანის ბორკილებისგან გამოვიხსენი, – მიუგო იესომ, — ამიტომაც, ასისტავო, ახლა შენ გამოიხსენი ეს სამი მეამბოხე რომის ბორკილებისაგან!

რუფუსმა თავი დახარა და ამოიოხრა:

- არ შემიძლია, – წაიბუტბუტა შეწუხებულმა, – მართლა არ შემიძლია! მე რომის იმპერატორს შევფიცე, ისე როგორც შენ შევფიცე ღმერთს, რომელსაც ეთაყვანები. განა სწორია ფიცის გატეხვა? სხვა რამ მთხოვე, ნებისმიერი რამე, ოღონდ ეს არა! ზეგ იერუსალიმში ვბრუნდები და სანამ წავალ, მინდა ამ სიკეთისთვის გადაგიხადო!

· – ასისტავო, ერთ დღეს, ერთ მძიმე დღესაც კვლავ შევხვდებით წმინდა იერუსალიმში, — მიუგო იესომ, — და მაშინ გთხოვ, მანამდე კი მოითმინე!

ხელი ასულს ქერა თმაზე დაადო და კარგახანს ასე იყო. თვალები დაეხუჭა და მისი თავის სითბოს, თმის სინაზეს, ქალის სიტკბოს შეიგრძნობდა.

- შვილო ჩემო, - თქვა ბოლოს და თვალები გაახილა, - მხოლოდ ერთ სიტყვას გეტყვი და არ დაივიწყო: ხელი მოჰკიდე მამაშენს და სწორ გზაზე გაუძევი.

- და რომელია სწორი გზა, ღვთის კაცო? – ჰკითხა ასულმა.

- სიყვარული!

ასისტავმა ბრძანება გასცა, სასმელ-საჭმელი მოიტანეს, სუფრა გაშალეს:

- გეპატიჟებით, - უთხრა იესოს და მოწაფეებს, - დღეს ამ სახლში შეჭამთ და დალევთ. ჩემი შვილის აღდგომას ვზეიმობ! წლებია აღარაფერი გამხარებია. დღეს სიხარულით გაიხსნა ჩემი გული. მობრძანდით!

იესოსკენ გადაიხარა:

- დიდი ვალი მაქვს იმ ღმერთისა, შენ რომ თაყვანს სცემ, - უთხრა, - მიბოძე იგი და რომში გავგზავნი სხვა ღმერთებთან ერთად.

- თავადაც წავა იქ, - მიუგო იესომ და ეზოში გავიდა, რათა ცოტა ამოესუნთქა.

დადამდა. მაღლა, ცაზე ვარსკვლავები აენტენენ, ხოლო ქვემოთ კი — სოფელში ჭრაქები და ადამიანთა თვალები გააბრწყინეს. ყოველდღიური საუბრები ამ სადამოს ამალდნენ - იგრძნეს, რომ ღმერთი ძველი ლომივით შემოვიდა მათ სოფელში.

სუფრა გაშალეს, იესო თავის მოწაფეებს შორის დაჯდა, პური გატეხა. ღუმდა. მასში ჯერ კიდევ ფრთხილებდა მშფოთვარე სული, თითქოს დიდ საფრთხეს გადაურჩაო თუ თითქოს რაღაც დიდებული, ხელშეუხები გმირობა ჩაიდინა. მის გარშემო მოწაფეები ისხდნენ და ისინიც ღუმდნენ, მაგრამ გულები სიხარულით უცემდათ. ანუ ეს ყოველივე — უკანასკნელი ჟამი, ცათა სასუფეველი ფუჭი ოცნება და სულიერი მღელვარება კი არ იყო, არამედ ჭეშმარიტება! ეს ფეხშიშველი შავგვრემანი კაცი კი – მათ გვერდით რომ იჯდა, ჭამდა, ლაპარაკობდა, იცინოდა და სხვა ადამიანებივით ეძინა, ისიც ნამდვილი იყო, ჭეშმარიტად ღვთისაგან წარმოგზავნილი!

როცა ვახშამი დაასრულეს და ყველა დასასვენებლად წამოწვა, მათემ ჭრაქის ქვეშ ჩაიხუხლა, უბიდან სუფთა დავთარი ამოიღო, ყურიდან კალამი გამოიხსნა, დაუწერელ ქალღმრთელზე სახით დაემხო და კარგახანს ჩაფიქრებული დასცქეროდა. როგორ დაიწყოს? ან საიდან უნდა დაიწყოს? ღმერთმა ამ წმინდა ადამიანის გვერდით განამწესა, რათა მის მიერ წარმოთქმული სანდო სიტყვები და ჩადენილი სასწაულები ჩაიწეროს, დავიწყებას რომ არ მიეცეს, მომავალმა თაობებმაც რომ გაიგონ და ისინიც ხსნის გზას დაადგნენ. სწორედ ეს არის ვალი, რომელიც ღმერთმა მას დააკისრა. წერა-კითხვა იცის, ანუ დიდი მისია აქვს:

რაც დასაკარგად იწირება, ჩაიჭიროს თავისი კალმით, ფურცელს გაანდოს და ამგვარად უკვდავყოს იგი. და დაე, სძულდეთ იგი მოწაფეებს, დაე, არ უნდოდეთ მასთან ყოფნა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ დროს იგი მეზვერე იყო... ახლა სწორედ ის უჩვენებს მათ, რომ მონანიე ცოდვილი გამართლდება, ვიდრე ამპარტავანი, უცოდველი ადამიანი.

კალამი რკინის სამელნეში ჩააწო, მარჯვენა ყურთან ფრთების შრიალის ხმა მოესმა, თითქოს რომელიღაც ანგელოზი მიუახლოვდა და კარნახობსო. სწრაფი, მტკიცე ხელით დაიწყო წერა: „წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აბრაამისა. აბრაამმა შვა...“ — წერდა, წერდა და ამასობაში თეთრად ინათა, პირველი მამლის ყვილის ხმაც გაისმა.

წავიდნენ. წინ თომა მიდიოდა საყვირით ხელში, ჩაპბერავდა, სოფელს გააღვიძებდა, კარგად იყავითო – დასძახებდა, – ცათა სასუფეველში შეხვედრამდეო! უკან იესო მიჰყვებოდა მოწაფეებთან, დაძონძილებსა და ხეიბრებთან ერთად, რომელთაგანაც ზოგიერთი ნაზარეთიდან, ზოგიერთი კი კანადან გამოჰყოლოდა და იცდიდნენ. შეუძლებელია, ფიქრობდნენ ისინი, შეუძლებელია, დადგება ის დალოცვილი დრო, ჩვენკენაც რომ მოიხედავს, შიმშილისა და სნეულებისგან დაგვიხსნისო. იუდა უკან მიჰყვებოდათ. ერთი ფართო ხურჯინი მოეგდო მხარზე, კარებს მიადგებოდა, სახლის პატრონებს გამოიჭერდა და ელაპარაკებოდა - ნახევრად თხოვნით და ნახევრად მუქარით.

- ჩვენ თქვენთვის ვიღვწით, რომ გადარჩეთ, უბედურებო! ჰოდა, თქვენც დაგვენმარეთ, რომ შიმშილით არ დავიხოცოთ. გეცოდინებათ, წმინდანებსაც სჭირდებათ ჭამა, რათა ძალა მოიკრიბონ და ადამიანები გამოიხსნან. ერთი პური იქნება თუ ერთი მუჭა ზეთისხილი, ყველი, ყურძენი, ფინიკი ან რაც კი გექნებათ - ღმერთი ყველაფერს ჩაიწერს და იმ სამყაროში გადაგიხდით. ერთ მარცვალ ზეთისხილს მოგვცემთ და ერთი ძირი ზეთისხილის ხით გადაგიხდით.

ხოლო თუკი რომელიმე დიასახლისი სანოვავის გაცემისგან თავს შეიკავებდა:

- რას ძუნწობ? - შეჰყვირებდა, - ხვალ-ზეგ, იქნებ ამ საღამოსაც, ცა გაიხსნება, ცეცხლი გადმოვა და მთელი შენი სიმდიდრიდან მხოლოდ ის გადარჩება, რასაც გასცემ. და თუ გადარჩი, ჩემთვის მოცემული ერთი პურის, ზეთისხილისა თუ ერთი ჭიქა ზეთის გამო გადარჩები, უბედურო!

ქალებიც შეშინდებოდნენ, სათავსოებს ხსნიდნენ და სანამ სოფლის ბოლოში გავიდოდა, ნაწყალობევით პირთამდე ავსებდა ხურჯინს იუდა.

ზამთრის პირი იყო, მიწა კანკალებდა. მრავალი ხე გაშიშვლდა და მათაც სციოდათ. სხვა ხეები კი — ზეთისხილი, ფინიკი თუ კვიპაროსი — ღმერთისაგან დალოცვილნი, ზამთარ-ზაფხულ უცვლელად ინარჩუნებდნენ სამოსს. უპოვარ ადამიანებსაც გაშიშვლებული ხეებივით სციოდათ. იოანემ იესოს მხრებზე მოაფარა თავისი სელის მანტია და ახლა თვითონ კანკალებდა. ერთი სული ჰქონდა, კაპერნაუმში ჩაეღწიათ, რათა დედამისის სკივრები გაეხსნა. ბევრი რამ მოექსოვა მოხუც სალომეს თავისი ცხოვრების განმავლობაში, დედოფლის მსგავსი მოწყალე გული ჰქონდა და გასცემდა კიდევ. ახლა თავის თანამგზავრებს დაურიგებდა თბილ

ტანსაცმელს, ძუნწმა ზებედემ კი რამდენიც უნდა იბურტყუნოს, მაინც სალომე განაგებდა სახლს თავისი სიჯიუტითა და სიკეთით.

ფილიპესაც ეჩქარებოდა. კაპერნაუმში მცხოვრებ, თავის გულითად მეგობარზე — ნათანიელზე ფიქრობდა, მთელი დღეები თავდახრილი რომ კერავდა სანდლებსა და ქალამნებს. ასე იკარგებოდა მისი ცხოვრება — აბა, სად ჰქონდა იმის დრო, რომ გონება ღმერთისაკენ მიემართა, იაკობის კიბეს ცისკენ გაჰყოლოდა და ასულიყო? როდის მივაღწევთ, - ფიქრობდა ფილიპე, - რომ განვუცხადო დიდებული საიდუმლო, რათა ისიც გადარჩესო, ის საწყალი!

ვიწრო გზას დაადგინენ, მარცხნივ მოიტოვებს ღვთისკენ მოძულებული ტიბერია, იმ წყეულ ტეტრარქიანად, ნათლისმცემელი რომ მოაკვლევინა. მათე პეტრეს მიუახლოვდა, რათა კარგად გამოეკითხა ყველაფერი, რაც კი მდინარე იორდანედან და ნათლობიდან დაამახსოვრდა, რომ ზედმიწევნით ჩაეწერა, მაგრამ პეტრემ უკან დაიხია, პირი იბრუნა - მებაჟის ამონასუნთქი ჰაერი რომ არ ჩაესუნთქა. მათე დამწუხრდა, ილლიაში ამოიჩარა დავთარი, რომელზედაც წერა უკვე დაეწყო. უკან ჩამორჩა, ორ მეჯორეს გადააწყდა, ტიბერიაში რომ დაიარებოდნენ და მათ დაუწყო გამოკითხვა, რათა გაეგო, თავის ფურცლებზე დაეტანა, თუ როგორ მოხდა ის უწმინდური მკვლელობა. მართალი იყო თუ არა, რომ მთვრალი ტეტრარქის წინ ცეკვავდა მისი გერი სალომე... ყველაფერი დაწვრილებით უნდა შეეტყო მათეს, რათა ფურცელზე უკვდავეყო.

ამასობაში, მაგდალასაც მიადგნენ და მის შესასვლელში - დიდ ჭას. მზე ღრუბლებმა გადაფარეს, მიწის სახეს ბნელი მოედო, წვიმის შავი ძაფებიც ჩამოეკიდა, ცა და მიწა ერთიმეორეს შეერთო. მაგდალინელმა ჭერის სანათურს მიაპყრო მზერა, მოქუფრული ცა დაინახა. დაზამთრდაო, — ჩაიჩურჩულა, - სწრაფად უნდა გავაკეთოო! - თითისტარს ერთი ჰკრა და სწრაფ-სწრაფად დაახვია სულ ნარჩევი, თეთრი მატყლი, რათა თბილი მანტიის მოქსოვა მოესწრო თავისი საყვარელი არსებისთვის, რომ არ შესციებოდა. შიგადაშიგ, სიამაყით გახედავდა ეზოში მდგარ დიდ ბროწეულს, ნაყოფით რომ დახუნძლულიყო. ჯერ არ კრეფდა მაგდალინელი, ინახავდა, იესოსთვის ჰქონდა შეთქმული. ღმერთი ძალიან მოწყალეაო, - ფიქრობდა, - ერთ დღეს ისევ ჩამოივლის მისი საყვარელი არსება მის ქუჩაზე და მაშინ ბროწეულით აივსებს კალთას, მივა, ფეხებთან დაუწყობს, რომ დაიხაროს, ერთი ცალი აიღოს და პირი გაისველოს. უყურებდა, შეჰხაროდა ბროწეულის ხეს და გონებაში მთელ თავის ცხოვრებას აღიდგენდა. მარიამის ძით - იესოთი იწყებდა და იესოთივე ამთავრებდა. რა სიმწარე და სიხარული იყო იგი. რად მიატოვა? უკანასკნელ ღამეს მისი სახლის კარი გააღო და ქურდივით გაიპარა. სად წავიდა? ისევ აჩრდილებს ებრძვის ნეტავ? იმის ნაცვლად, რომ მიწა თხაროს, ხე გამოთალოს ანდა ზღვაში გავიდეს და ითევზაოს, ცოლი შეირთოს — ესეც ხომ ღმერთისაგანაა, და მასთან იწვეს... რა იქნება, რა იქნება კვლავ მაგდალაში გამოიაროს, რომ ისიც გაიქცეს ბროწეულებით ხელში და ფეხებში ჩაუვარდეს.

ასე იჯდა, ფიქრობდა ამ ყოველივეზე და ჯიუტად, სწრაფად ატრიალებდა თითისტარს, რომ უეცრად ქუჩიდან ნაბიჯების ხმა და ხმაური მოესმა. საყვირს

ჩაჰბერეს — ეს რა, ელაში თომა არ არის, ვაჭარი თომა? და წვრილი ხმაც იქვე გაისმა: „გააღეთ, კარები გააღეთ! მოაწია ცათა სასუფეველმა“.

მაგდალინელი ფეხზე წამოხტა, მკერდი უთრთოდა: მოვიდა! მოვიდა! მთელ სხეულში დაუარა ცივმა და თბილმა ჟრუანტელმა. გარეთ უთავშლოდ გავარდა, თმა მხრებზე ეღვრებოდა, ეზო გადაიარა, ზღურბლზე შედგა და უფალი დაინახა. სიხარულისგან შეჰყვირა და ფეხებში ჩაუვარდა:

– მოძღვარო, — ჩურჩულებდა, — მოძღვარო, მოხვედი?

ბროწეულებიც დაავიწყდა და თავისი აღთქმაც, წმინდა მუხლებს ეხვეოდა და ლურჯ-შავი თმა მიწაზე ეღვრებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ დაჰკრავდა ის ძველი, წყეული სურნელება.

- ჩემო მოძღვარო, მოხვედი, - ჩურჩულებდა და ნაზად ექაჩებოდა თავისი ღარიბული სახლისაკენ.

იესოც დაიხარა, ხელი მოჰკიდა, აიყვანა. მოხიბლულსა და დარცხვენის ეჭირა ხელში, ისე თითქოს გამოუცდელ სიძეს უჭირავს პატარძალიო. და იესოც მთელი სხეულით ცახცახებდა. ეს არ იყო მაგდალინელი, რომელიც ხელში აიყვანა. ეს ადამიანის სული იყო, თვითონ კი — სიძე. მაგდალინელიც ცახცახებდა, აწითლებულიყო, მკერდზე თმა ჩამოიფარა რომ სიშიშველე დაემალა. და ყველა მას უყურებდა გაოგნებული: როგორ ჩამოდნა და გაფითრდა, იისფერი რკალები გასჩენოდა თვალებს გარშემო, მისი მსუყე ტუჩებიც დამჭკნარიყო, ყვავილს ჰგავდა, რომელსაც უკვე აღარ რწყავენ. მიდიოდნენ ეს ორნი და ეგონათ, რომ სიზმარი იყო, მიწას ფეხს არ აკარებდნენ, ჰაერში ადიოდნენ და ირწეოდნენ. იქნებ ქორწილი ჰქონდათ და ეს ჩამოძონძილი ხალხი, მთელი გზა უკან რომ მოსდევდა, იქნებ მათი ხელისმომკიდებებიც კი იყვნენ? და ეს ბროწეულიც, ეზოში რომ გამოჩნდა, იქნებ კეთილი სული იყო, კერიის ქალღმერთი, ან ვინმე უბრალო, სამგზისნეტარი ქალი, რომელმაც ძეები და ასულები შვა და ახლა ეზოს შუაგულში სიამაყით ჩამომდგარა.

- მაგდალინელო, — უთხრა იესომ, — ყველა ცოდვა მოგეტევა, რადგან ძალიან შეიყვარე!

და გაბრწყინებული მაგდალინელიც დაიხარა, სურდა ეთქვა: ქალწული ვარო! მაგრამ სიხარულისგან ვეღარ შეძლო რამე ეთქვა. გაიქცა, ბროწეულები ჩამოკრიფა, კალთა აივსო და წითელი, გემრიელი ნაყოფი თავისი საყვარელი არსების ფეხებთან დაახვავა. და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეწადა, როგორადაც სახავდა იგი გონებაში: იესო დაიხარა, ერთი ბროწეული აიღო, გახლიჩა, მუჭი მისი მარცვლებით აივსო და პირი გაისველა. შემდეგ მოწაფეებიც დაიხარნენ, მათაც აიღეს თითო ბროწეული და პირი ჩაიგემრიელეს.

- მაგდალინელო, - თქვა იესომ, - ასე რატომ მიყურებ? თითქოს მემშვიდობებო.

- მე შენ ყოველწამს გესალმები და გემშვიდობები, მას შემდეგ რაც დავიბადე, საყვარელო, - უპასუხა მაგდალინელმა ისე ჩუმად, რომ მხოლოდ იესომ და იოანემ გაიგონეს, რომლებიც მასთან ახლოს იდგნენ.

გაჩუმდა და ცოტა ხანში:

- მე შენ უნდა გიყურო, - თქვა, - რადგან კაცისგან იშვა ქალი და ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა, გამოეხორცოს მას. შენ კი ცას უნდა უყურო, რადგან კაცი ხარ, ხოლო კაცი ღმერთმა შექმნა. ჰოდა, ნება მომეცი გიყურო, შვილო.

ისე ხმადაბლა თქვა ეს დიდი სიტყვა „შვილო“, რომ იესომაც ვერ გაიგონა. მაგრამ მარიამს მკერდი ისე დაებერა და აუთრთოლდა, თითქოს ვაჟს ძუძუს აწოვებდნენ.

ხალხში ჩურჩული ატყდა, ახალ-ახალი სნეულები მოდიოდნენ, ეზო ივსებოდა.

- მოძღვარო, - თქვა პეტრემ, - ხალხი სწუხს, ეჩქარებათ...

- რას ითხოვენ?

- ერთ კეთილ სიტყვას, ერთ სასწაულს. ამას შეხედე!

იესო შემობრუნდა. ქარიშხლის ბორიყში უამრავი თვალი შენიშნა და უთვალავი სანახევროდ გახსნილი პირი - მოლოდინად რომ ქცეულიყო. ხალხის სიმრავლეს ერთი ბერიკაცი გამოეყო, წინ გამოვიდა. წამწამებდაცვენილი მისი თვალები ორ ჭრილობად მოჩანდა, ჩონჩხადქცეულ ყელზე ათი თილისმა ეკიდა და თითოეულ თილისმაში ათი მცნების თითო მცნება ჩამალულიყო. ზღურბლზე შედგა, თავის ორკაპა ჯოხს ჩამოეყრდნო.

- მოძღვარო, - თქვა და მისი ხმა რისხვად და საყვედურად გაისმა, - მოძღვარო, მე ასი წლისა ვარ, მუდამ წინ მიმიძღვის აი ეს, ყელზე ჩამოკიდებული ათი მცნება ღვთისა. ერთიც არ დამირღვევია. ყოველ წელს მივდივარ იერუსალიმში და წმინდა საბაოთს ერთ ყოჩს ვწირავ, სანთლებს ვანთებ, საკმეველს ვუკმევ. ღამითაც ვფხიზლობ, ვგალობ, ხან ვარსკვლავებს ავხედავ, ხან მთებს გავყურებ და ველოდები, სხვა საზღაური მე არ მინდა, ველოდები ჩამოვიდეს უფალი და დავინახო... უკვე წლებია, მაგრამ ამაოდ... ცალი ფეხი სამარეში მიდგას, მაგრამ ჯერ ვერ ვიხილე უფალი. რატომ? რატომ? მითხარი ვემდური, დიდი სამდურავი მაქვს მასთან, მოძღვაროს როდის ვიხილავ უფალს? როდის დავმშვიდდები?

და რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო რისხვა ერეოდა, ორკაპა ჯოხს იქნევდა და გაჰყვიროდა.

იესომ გაიღიმა და უპასუხა:

- მოხუცო, ერთ დროს, ერთი დიდებული ქალაქის აღმოსავლეთ კარიბჭეში მარმარილოს ტახტრევანი იდგა. და ამ ტახტრევანზე მარჯვენა თვალით ბრმა ათასობით მეფე ავიდა - აგრეთვე, მარცხენა თვალით ბრმა ათასობით მეფე. ათასობით - ორივეთვალხილული მეფე იხსნა და ყველა მათგანი მოუხმობდა ღმერთს, რათა ეხილათ. მაგრამ ყველა ისე ჩავიდა სამარეში რომ საწადელს ვერ ეწივნენ. და როცა ეს მეფეები აღესრულნენ ერთი ღატაკი ფეხშიშველი და მოშიებული მოვიდა და ტახტრევანზე დაჯდა. „ღმერთო, - წაიჩურჩულა, - ადამიანის თვალს არ ძალუძს მზეს შეხედოს, დაბრმავდება. მაშ, რანაირად შეიძლება გიხილოს შენ, ყოვლისშემძლე, და არ დაბრმავდეს იგი? შემიბრალე, უფალო, მოალბე შენი ძალა, მოამქრალე შენი ბრწყინვა, რათა შევძლო ღატაკმა და უუნარომ დაგინახო!“ და აი, მაშინ, ისმინე

მოხუცო! სწორედ მაშინ ღმერთი იქცა ნაჭერ პურად, ჭიქა წყლად, ერთ ხელ თბილ სამოსად, ქონად და ქალად - ამ ქონის წინ რომ იდგა და ჩვილს ძუძუს აწოვებდა. და ღარიბმაც ხელები გაშალა და ბედნიერმა გაიღიმა: „გმადლობ, უფალო, - წაიბუტბუტა, - ჩემ გამო დაიმდაბლე თავი შენი, პურად, წყლად, თბილ სამოსად და ჩემს ცოლ-შვილად იქეცი, რომ მე დამენახე. და გიხილე. ქედს ვიხრი შენი მარადიული და მრავალი სახის წინაშე!“.

ყველა გაჩუმდა. მოხუცმა ხარივით დაიწმუვლა, ორკაპა ჯოხით გზა გაიკვლია და ხალხის მასას შეერია. და მაშინ ერთმა ახალდაქორწინებულმა ყმაწვილმა კაცმა მუშტი შეკრა და შესძახა:

- ამბობენ, ცეცხლი უპყრია და სამყაროს გადასწვავს, ჩვენს სახლებსა და შვილებსაც დაჰბუგავსო... განა ესაა სიყვარული, რომელსაც ჩვენ გვიქადაგებ? ნუთუ ეს არის სამართალი? ცეცხლია იგი?

იესოს თვალები ცრემლით აევსო. შეებრალა ახალდაქორწინებული ყმაწვილი. და მართლაც, განა ესაა სამართალი, რომელიც მოაქვს? ცეცხლია იგი? ნუთუ სხვა გზა გამომხსნისა არ არსებობს?

- პირდაპირ გვითხარი, რა უნდა ვქნათ, რათა გადავრჩეთ? — წამოიძახა ერთმა დიდებულმა და იდაყვებით ჩამოიშორა შეკრებილნი, ახლოს რომ მისულიყო და პასუხი გაეგო, რადგან ყურთ აკლდა და კარგად არ ესმოდა.

- გულები და საგანძურები გახსენით და თქვენი ქონება უპოვართ დაურიგეთ! — მქუხარედ შესძახა იესომ, - ვისაც დაენანება და თავისი ბოლო ჟამისთვის პურს, ქილა ზეთს თუ მიწის ნაგლეჯს ვერ გაიმეტებს, ეს პური და ქილა და მიწა ყელზე ჩამოეკიდება და ჯოჯოხეთში ჩაიყოლებს.

- ყურები მიზუზუნებს, - თქვა დიდებულმა, - თავბრუ დამეხვა. უნდა წავიდე, მომიტევე!

და გუნებაწამხდარი გაეშურა თავისი მდიდრული სამყოფელისკენ: „გესმის რა ხდება? იმ ქეციანებს უნდა გავუნაწილოთ თურმე ჩვენი ქონება და ეს არის სამართალი? ჯანდაბამდის გზა ჰქონია!“ - თავისთვის მილაპარაკობდა, იგინებოდა, ქოთქოთებდა.

იესო უყურებდა როგორ შორდებოდა იგი. ამოიოხრა:

- ფართოა ჯოჯოხეთის კარი, - თქვა, - ფართოა მისი გზა და ყვაველებით მოჩითული. ღმერთის სასუფეველის კარიბჭე კი ვიწროა და გზაც - აღმართიანი. სანამ ვცოცხლობთ, შეგვიძლია ავირჩიოთ: სიცოცხლე ნიშნავს თავისუფლებას! მაგრამ თუკი სიკვდილი მოვა, ყველაფერი ამაოა - ხსნას ველარ ჰპოვებ...

- თუ გინდა რომ დაგიჯერო, - შეჰყვირა ერთმა ყავარჯნიანმა, - ჩაიღინე სასწაული და განმკურნე! ნუთუ კოჭლი უნდა შევიდე ცათა სასუფეველში?

- ან მე ასე - კეთროვანი?

- ან მე - ცალხელა?

- ანდა მე – ბრმა?

ხეიბრები აღდგნენ, იმუქრებოდნენ, იესოს წინ უტიფრად გაჰყვიროდნენ. ერთმა ცალთვალა ბერიკაცმა ჯოხი აღმართა:

- ან განგკურნავ, - დაიღრიალა, — და ან ჩვენი სოფლიდან ცოცხალი ვერ გააღწევ!

პეტრემ ბერიკაცს ჯოხი გამოსტაცა და შეუყვირა:

— ამისთანა სულის პატრონი, ვერასოდეს ეღირსები თვალის სინათლეს, ბრმავ!

ხეიბრები გაცოფდნენ და იერიშზე გადმოვიდნენ. გამწყრალი მოწაფეებიც იესოს გვერდით დადგნენ. შეშინებულმა მაგდალინელმა ხელი გაიწვდინა კარის ჩასარაზად, მაგრამ იესომ შეაჩერა.

- მაგდალინელო, დაო ჩემო, — უთხრა, - წარწყმედილია ეს ხალხი, ისინი ხორცს ემონებიან. მათს სულს ადათ-წესები, ცოდვები და ქონი ახრჩობს. მათ ხორცში, ძვლებში, შიგნეულში ვიქეჩები, სულს დავეძებ და ვერ ვპოულობ. ვაი, რომ მათ მხოლოდ და მხოლოდ ცეცხლი განკურნავს!

ხალხს მიუბრუნდა. მისი თვალები ახლა უკვე მრისხანე იყო და უმოწყალო:

- გახსოვთ, როგორ გადავწვავთ ხოლმე მინდორს, რათა განოყიერდეს და კეთილი თესლი გაღვივდეს? სწორედ ასევე გადაწვავს ღმერთი მიწას, არ დაინდობს ნარეკლებსა და სარეველებს. აი, ასეთია სამართალი! მშვიდობით!

და მერე თომას მიუბრუნდა:

- საყვირს ჩაჰბერე, თომა, მივდივართ!

სამწყემსო ჯოხი მოიმარჯვა, დამფრთხალი ხალხი ჩამოეცალა, გაიარა. მაგდალინელმა სახლიდან თავსაფარი დაიტაცა, მიატოვა ნახევრად დართული ძაფი – თითისტარზე, თიხის ქოთანს - ღუმელზე, შინაური ფრინველები - უსაკენკოდ, კარის გასაღები შუა გზაზე მოისროლა და ისე, რომ უკან არც მიუხედავს თავზე თავსაბურავმობვეული უნემოდ გაჰყვა მარიამის ძეს.

XXIII

ბინდდებოდა, კაპერნაუმს რომ მიაღწიეს. ქარიშხალს უკვე გადაევიდა მათ თავზე, ახლა ჩრდილოეთის ქარი ქროდა და მათ სამხრეთისკენ ერეკებოდა.

- ყველანი ჩვენებთან მოვისვენებთ, – თქვეს ზებედეს ვაჟებმა, - დიდი სახლია, ყველას დაგვიტევს. იქ შევეხიზნებით.

- და ზებედე-ბატონი? — სიცილით იკითხა პეტრემ, – თავის მფარველ ანგელოზსაც კი არ მიაწვდის ჭიქა წყალს და...

იოანე გაწითლდა:

- მე მჯერა მოძღვრისა, - თქვა, - მისი ამონასუნთქი მამასაც კი გააკეთილშობილებს, აი, ნახავ!

თუმცა იესო წინ მიდიოდა და არ გაუგონია მათი საუბარი. მისი თვალსაწიერი სავსე იყო ბრმებით, კეთროვანებითა და ხეიბრებით... ნეტავ შეეძლოს, თითოეულ სულს დაქროლოს და შესძახოს: გაიღვიძე! და თუკი მართლა გაიღვიძებს დავრდომილი, სხეული სულად ექცევა და განიკურნება...

როცა სოფელში შევიდნენ, თომამ საყვირი მოიმარჯვა, პირთან მიიტანა, რომ ჩაებერა. მაგრამ იესომ ხელით შეაჩერა და უთხრა:

- არ გინდა, დაღლილი ვარ...

და მართლაც, სახე გაფითრებოდა, ხოლო თვალებს გარშემო, უპეები ჩალურჯებოდა. მაგდალინელმა პირველი მოსახლის კარზე დააკაკუნა, ჭიქა წყალი ითხოვა, იესომ შესვა და შეხედა:

- ერთი ჭიქა ცივი წყალი მმართვეს შენთან, მაგდალინელო, – უთხრა და გაუღიმა.

გაახსენდა ის, რაც კიდევ ერთ ქალს - სამარიტელს უთხრა იაკობის ჭასთან.

- საზღაურად ერთ ჭიქა უკვდავების წყალს გიბოძებ! - გაუმეორა.

- კარგა ხანია უკვე მიბოძე, ჩემო მოძღვარო, - მიუგო მაგდალინელმა და გაწითლდა.

ნათანიელის სახლს ჩაუარეს. კარი ღია იყო, სახლის პატრონი ეზოში, ლედვის ხის ძირს მისდგომოდა სასხლავით ხელში და გამხმარ ტოტებს ასხეპდა. ფილიპე მეგზურებს გამოეყო და უმაღლ ჭიშკარში შევიდა.

- ნათანიელ, — უთხრა, — უნდა დაგელაპარაკო, მაგ ხეს შეეშვი!

სახლში შევიდნენ, ნათანიელმა ჭრაქი აანთო.

- მიატოვე აქაურობა, ეს კარ-მიდამო, — უთხრა ფილიპემ, - გამოგვყევი!

- საით?

- საით? ნუთუ ვერაფერს მიხვდი ჯერაც? სამყაროს აღსასრულმა მოაწია. დღეს-ხვალ ზეცა გაიხსნება და ყოველივე ნაცრად იქცევა. აჩქარდი, რათა კიდობანში შემოხვიდე და გადარჩე.

- რომელ კიდობანში?

- ჩვენი მოძღვრის — მარიამის ძის, დავითის ძის უბეში. ეს - ესაა უდაბნოდან დაბრუნდა, იქ ღმერთს შეხვდა, მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, წარწყმიდონ და გამოიხსნან ეს სამყარო. ღმერთმა ჩვენს მოძღვარს თავზე ხელი დაადო და უთხრა: - წადი, ამოარჩიე - ვინ გადარჩეს, შენ ახალი ნოე ხარო! აჰა, კიდობნის გასაღები, რათა გახსნა და დაკეტო, - და მას მისცა ოქროს გასაღები, ყელზე აქვს ჩამოკიდებული, მაგრამ ადამიანიური თვალისთვის უჩინარია.

- წესიერად მელაპარაკე, ფილიპე, ვერაფერი გავიგე! როდის მოხდა ყველა ეს სასწაული?

- ზუსტად მაგას გიყვებოდით: ნათლისმცემელს რომ თავი მოჰკვეთეს, მაგ დროს, მისი სული იორდანის უდაბნოში მყოფი რაბის სხეულში შევიდა. უნდა ნახო, როგორია, ვედარც კი იცნობ: შეიცვალა, გამკაცრდა, ნაპერწკლები სცვივა ხელებიდან. აი ახლაც, კანაში ნაზარეთის ასისტავის ასულს შეეხო, ლოგინს იყო მიჯაჭვული საბრალო, და იმ წამსვე წამოფრინდა ფეხზე, ცეკვას მოჰყვა ყრმა. ეგრე იყო, ჩვენს მეგობრობას გეფიცები! მაგრამ ნუღა ვყოვნდებით, წავიდეთ!

- რას ამბობ, ფილიპე, ძლივს მშვენივრად ამეწყო საქმე და იმდენი შეკვეთა მაქვს... შეხედე ამ სანდლებსა და ქალამნებს, ყველა შეკვეთილია. საქმე კი კარგად მიმდის, მაგრამ ახლა...

სინანულით მოათვალიერა ყოველივე: თავისი საყვარელი ნივთები, სკამი, რომელზედაც იჯდა ხოლმე და კერავდა, მეწაღის დანები, სადგისები, გასანთლოული ძაფი, ხის ლურსმნები...

და კვლავ ამოიოხრა:

- როგორ შეველიო ამ ყველაფერს? — წაიჩურჩულა.

- ოქროს იარაღებს ჰპოვებ იქ, ზემოთ, შენ ნუ სწუხხარ! ოქროს სანდლებს შეუკერავ ანგელოზებს, უთვალავი მარადიული შეკვეთა გექნება, გამოჭერი და კერე. საქმე არ მოგაკლდება! ოღონდ სწრაფად იმოქმედე, წამოდი და მოძღვარს უთხარი: „მეც შენთან ვარ!“ — სხვა არაფერი. უთხარი: „შენთან ვარ და სადაც წახვალ, იქ გამოგყვები, სიკვდილამდე!“ - სწორედ ასე შევფიცეთ ყველამ.

- სიკვდილამდე! — თქვა მეწაღემ და გააჟრჟოლა. ვეება იყო ტანად, მაგრამ გული მეწისქვილისა ჰქონდა.

- უბრალოდ, ეგრე ვამბობთ, სულელო! — დაამშვიდა მწყემსმა, - ასე შევფიცეთ ყველამ, მაგრამ ნუ გეშინია, განა მართლა სიკვდილისაკენ მივდივართ, პირიქით – დიდებისაკენ მივემართებით. ეს, ჩემო ძმაო, ჩვენნაირი ადამიანი კი არ არის, არა! იგი ძეა კაცისა!

- მოიცა, ეგ რა, იგივე არ არის?

- იგივეო? არ გრცხვენია, მაგას რომ ამბობ? განა არასდროს გსმენია დანიელის წინასწარმეტყველება? ძე კაცისა მესიას ნიშნავს, ანუ მეფეს! ძალიან მალე სამყაროს ტახტზე ავა და ჩვენ, ვისაც ჭკუა გვეყო და მივყვებით, სიმდიდრესა და წოდებებს გავინაწილებთ. და შენც მერე ფეხშიშველი კი აღარ ივლი, ოქროს ხამლები გეცმევა და ანგელოზები შეგიკრავენ საბელებს. სარფიანი საქმეა, გეუბნები, ნათანიელ, და ხელიდან ნუ გაუშვებ. მართო ისიც საკმარისია სათქმელად, რომ თვითონ თომაც - ჩვენთან მოვიდა. მაგ ვერაგმა რაღაც იყნოსა, მთელი თავისი ავლადიდება ღარიბ-ღატაკებს დაურიგა და წამოვიდა. ჰოდა, წამოდი შენც, ზებედეს სახლში იმყოფებიან ახლა, წავიდეთ?

მაგრამ ნათანიელს მაინც ვერ გადაეწყვიტა, ყოყმანობდა.

- შენს კისერზე იქნება ჩემი ცოდვა, ფილიპე, - უთხრა ბოლოს, - თუკი ბედმა მიმუხთლა! მაგრამ კარგად დაიმანსოვრე, თუკი ასე მოხდა, ორივე შავ დღეში აღმოვჩნდებით და კიდევ, რაც უნდა მოხდეს, მაინც არ მოვინათლები!

- კარგი, კარგი, — თქვა ფილიპემ, — ყველაფერი უკეთ იქნება, აბა, როგორ? ჯერ კი არ გავგიჟებულვარ. ანუ გადავწყვიტეთ! წავედით!

კარი ჩაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიღო და ხელიხელგადახვეულნი ზებედეს სახლისაკენ გაეშურნენ.

იესო და მოწაფეები ბუხრის წინ, ცეცხლთან ისხდნენ და თბებოდნენ. განარებული მოხუცი სალომე ოთახიდან ოთახში დარბოდა, ყველა სენი დაავიწყდა, სუფრა გაშალა, ვერ ძღებოდა თავისი ვაჟების ცქერითა და ამ წმინდა ადამიანის მსახურებით, რომელიც ცათა სასუფეველს ჰპირდებოდათ. იოანე დაინარა, დედას ყურში ჩასჩურჩულა და ცალი თვალით მიანიშნა მოწაფეებზე, ისევ საზაფხულო სამოსი რომ ეცვათ და კანკალებდნენ. მანაც ღიმილით უპასუხა, სხვა ოთახში გავიდა, სკივრები გახსნა, ამოალაგა ჯვალოს სამოსები და სანამ თავისი ბერიკაცი შემოუსწრებდა, სწრაფად დაურიგა თანამგზავრებს. ყველაზე უფრო სქელი, თეთრი ძაფით ნაქსოვი მოსასხამი კი იესოს მოახურა მხრებზე. ისიც შებრუნდა და თბილად შეჰღიმა:

- სიკეთე გქონდეს, დედა სალომე, — უთხრა, - სწორი და სამართლიანია ხორცზე ზრუნვა, რადგან იგი აქლემია, რომელსაც ზურგზე სული შეუსვამს და უდაბნოში დაატარებს. დაე, ვიზრუნოთ მასზე, რომ გაუძლოს და აიტანოს!

მოხუცი ზებედეს შემოვიდა, მოულოდნელ სტუმრებს შეხედა, ცალყბად მიესალმა და კუთხეში დაჯდა. სულ არ ეპიტნავებოდა ეს შეთქმულები – ასე ეძახდა – ნეტავ ერთი ვინ დაპატიჟა, რომ მოსულან და მისი სახლი დაუპყრიათ? მის პურმარილიან დედაკაცს კი აგერ, სუფრაც კი გაუშლია მათთვის! წყეული იყოს ის დრო, როცა ეს ახალი შეშლილი მოევლინა ამ სამყაროს. ის არ ეყო, რომ ორივე ვაჟი წაჰგვარა, მარტოდმარტოა მთელი დღე და თავის გულუბრყვილო ცოლთანაც სულ ჩხუბობს, რადგან ის ვაჟების მხარესაა – კარგად მოიქცნენ, იგი ნამდვილი წინასწარმეტყველიაო, მეფე გახდება, რომაელებს განდევნის და ისრაელის ტახტზე ავაო. და ამ ტახტზე, მარჯვენა მხარეს იოანეს მოისვამს და მარცხენა მხარეს იაკობსო, დიდ მმართველებად დაიყენებს - მეთევზეები კი არა, სახელოვანი და ძლიერი მმართველები გახდებიანო. აბა, რა გინდოდა, მთელი ცხოვრება ამ წყალში ამომპალიყვნენო? – დღენიადაგ ამ და სხვა სისულელებით ულაყებდა ტვინს ეს ჩერჩეტი, ფენს დაჰკრავდა, გაჰყვიროდა. ეს კი ხან აგინებდა და რაც კი ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ამსხვრევდა, ხან პირს იქცევდა და ისევ ტბის ნაპირს მიაშურებდა. ამ ბოლო დროს, ღვინის სმასაც კი მიეძალა. და ჰა, რას ხედავს, ეს შეთქმულები დღეს მის სახლში შეკრებილანს მთელი ცხრა კაცი! და მათთან ერთად ეს წყეული, ასგზის ნათრევი მაგდალინელი. მაგიდის გარშემო შემომსხდარან და ერთიც კი არ მობრუნებულან, რომ ოჯახის უფროსისთვის შეეხედათ, მისგან ნებართვას დალოდებოდნენ... აი, სადამდე მივდით! ამ მუქთახორებისთვის იმუშავეს ამდენი წელი მანაც და მისმა წინაპრებმაც? ბრაზი მოაწვა, თვალეებზე ბინდი გადაეკრა და წამოუხტა:

- ერთი რა გკითხვოთ, ბატონებო, მომისმინეთ! - დასძახა, - ეს სახლი, აბა, ვისი არის, თქვენი თუ ჩემი? ჭეშმარიტად, მიპასუხეთ!

- ვისია და ღმერთისაა, - მიუგო პეტრემ, რომელსაც უკვე მოესწრო ჭამა-სმა და გუნებაზეც მოსულიყო, - ღმერთისაა, ზებედე-ბატონო! როგორ, ჯერ არ გაგიგია ახალი ამბები? მორჩა, ჩემი და შენი აღარ არსებობს, ყველაფერი ღმერთისაა!

- მოსეს რჯული... - დაიწყო ზებედე.

მაგრამ პეტრემ შეაწყვეტინა:

- რაო, რაო? მოსეს რჯულიო? ეგეც მორჩა, ზებედე-ბატონო, ეგეც ჩაბარდა წარსულს! ახლა კაცის ძის რჯული გვაქვს, გესმის? ყველანი ძმები ვართ! ჩვენი გული განივრცო და მასთან ერთად რჯულიც განივრცო, ახლა უკვე ყველა ადამიანს იტევს იგი. ახლა მთელი დედამიწა აღთქმული მიწაა! მოიშალა საზღვრები. მორჩა! აგერ, მე რომ მიყურებ, ზებედე-ბატონო, უნდა წავიდე და ღვთის სიტყვა ერებს შორის ვიქადაგო. რომამდე ჩავალ, ნუ ხითხითებ, დიან, დიან, რომამდე ჩავალწევ, იმპერატორს ყელში ვწვდები, ძირს ჩამოვადებ და მე ავალ მის ტახტზე. აბა, შენ რა გგონია? მოძღვრის თქმით, უკვე მეთევზეები კი აღარ გვქვია და კი აღარ ვითევზავებთ, ჩვენ ახლა მებადურები ვართ, ოღონდ ადამიანთა მებადურები. და შენთვისვე გეუბნები, წესიერად გვიმასპინძლე, ღვინო და საჭმელი მოგვიტანე, იმიტომ რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ დიდებული მმართველები გავხდებით. ოღონდ იჩქარე! პურის ერთ გამხმარ ნატებს გაიმეტებ და სამაგიეროდ, მთელ თონე პურს დაგიბრუნებთ! თანაც რა პურს?! მარადიულს! ჭამ, ჭამ და რომ არ დაილევა!

- შე უბედურო, უკვე გხედავ, როგორ ჩამოგკიდებენ ფეხებით და თავდაყირა გაგაკრავენ ჯვარზე, - დაიღრინა ზებედე, თუმცა პეტრეს სიტყვებმა შეაშინა და კვლავ კუთხეში მიიყუჟა.

„მოდო, წავუყრუებ, - გაიფიქრა, - კაცმა არ იცის, რა მოხდაბა... ეს სამყარო ბურთივით დათამაშობს. ერთ მშვენიერ დღეს ეს შეთქმულები შეიძლება... ჰოდა, უკან დასახევი გზა დავიტოვო, ეგრე აჯობებს!“

მოწაფეებს უღვაშებში ეცინებოდათ. მიხვდნენ, რომ პეტრე კარგ გუნებაზე იყო და ზებედეს ემასხრებოდა, მაგრამ გულში ისინიც ამავეს ფიქრობდნენ, თუმცა ჯერ ისე არ გამომთვრალიყვნენ, რომ ხმამაღლა ეთქვათ: ძალაუფლება და წოდება, აბრეშუმის სამოსელი, ოქროს სამკაულები, ულავი საჭმელ-სასმელი - აი, ესაა სასუფეველი ცათა, და კიდევ — ებრაელთა ფეხქვეშ მთელი სამყარო ძრწოდეს.

მოხუცმა ზებედე კიდევ ერთი ჭიქა რომ გადაკრა, სიმამაცე მოემატა:

- ჰეი, მოძღვარო, - თქვა რიხიანად, - შენ რატომ არაფერს ამბობ? თუ ცეცხლს უკიდებ და მერე გამდინარე წყალში დგები, გასაგრილებლად? ერთი მითხარი, მაგ შენს ღმერთს გაფიცებ, განა შეიძლება ვუყურებდე ჩემი ქონების განიავებას და ხმასაც არ ვიღებდე?

- ზებედე-ბატონო, - უპასუხა იესომ, - ერთ დროს, ერთმა მდიდარმა ჭირნახული მოიწია, რთველი მოილია, ზეთისხილი ჩამოკრიფა, ამოავსო ქვევრ-კასრები,

მოინადიმა, მერე წამოწვა მხარ-თედოზე თავის ეზოში და თქვა: „სულო ჩემო, ამდენი ქონება გაქვს, ჭამე, სვი და განისვენეო!“. დაასრულა თუ არა ხმამაღლა ნაფიქრი, ციდან ხმა ჩამოესმა: „უგუნურო, უგუნურო, ამაღამვე ამოგართმევ სულს! ვისდა დარჩება შენი სარჩო-საბადებელი?“ ზებედე-ბატონო, ყური გაქვს და მომაპყარი, გონება გაქვს და გულისხმაპყავ რისი თქმაც მწაღია! ეს ზეციური ხმა, დაე, სულ შენთან იყოს, დღისითაც და ღამითაც.

მოხუცმა მასპინძელმა თავი გააქნია და ამის მერე აღარაფერი უკითხავს.

სწორედ ამ დროს, კარი გაიღო და ფილიპე შემოვიდა, რომელსაც ზორბა ახმახი, ნათანიელი შემოჰყვა, მისი გული უკვე ორ ხმაზე აღარ რეკდა, საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო, იესოს მიუახლოვდა, დაიხარა, ფეხებზე ემთხვია და უთხრა:

- შენთან ვარ, მოძღვარო, სიკვდილამდე!

იესომაც წაბლისფერთმიან და ხარივით ღონიერ თავზე ხელი დაადო:

- მშვიდობა, ნათანიელ, - უთხრა, - მშვიდობა შენ, ვინაც სანდლებს კერავ ხალხისთვის და თვითონ კი ფეხშიშველი დაიარები! ეს მე ძალიან მომწონს. მოდი ჩემთან! — თქვა და მარჯვენა მხარეს დაისვა, პურის ნაჭერი და ერთი თასი ღვინო მიწოდა.

- პური იგემე, ღვინოც შესვი ამ თასით და ჩემიანი ხარ!

ნათანიელმა პური შეჭამა, ღვინო მიაყოლა და მაშინვე იგრძნო, როგორ განუმტკიცდა ძვლები და სული. სასმელმა გონება შეუვარდისფრა: ღვინო, პური და სული ერთარსად ქცეულიყვნენ.

ნათანიელი ეკლებზე იჯდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ერიდებოდა.

- თქვი, ნათანიელ, უთხრა მოძღვარმა, - გული გადაგვიშალე, რომ დარდი შეგიმსუბუქდეს!

- მოძღვარო, - მიუგო ნათანიელმა, - რომ იცოდე, სულ სიღარიბეში ვიყავი, ლუკმაპურისთვის ვმუშაობდი, არასოდეს შემომრჩენია იმისი დრო, რჯული შემესწავლა. ბრმა ვარ და შემინდე! მინდოდა ეს გცოდნოდა. აჰა, ვთქვი და გულზე მომეშვა.

იესომ ხელი მოჰხვია ახალზიარებულს ფართო მხრებზე და გაუღიმა.

- ნათანიელ, - თქვა, - ნუ დარდობ! ღმერთის უბემდე ორი ბილიკი მიდის: ერთი გონებისაა, ხოლო მეორე კი — გულისა. მომისმინე, ერთ იგავს გაიმბობ:

„ერთი ლატაკი, ერთი მდიდარი და ერთი უზრუნველი დაიხოცნენ. ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე დროს და ღვთის სამსჯავროზე წარსდგნენ. მათგან არც ერთს ცხოვრებაში არასოდეს შეესწავლა რჯული. ღმერთმა შუბლი შეჭმუხნა და ღარიბს ჰკითხა:

- სანამ ცოცხალი იყავ, რატომ არასდროს წაიკითხე რჯულის კანონი?

- უფალო, მიუგო მან, — ღარიბი ვიყავ, ლუკმაპურს მიდევნებული, დღედაღამ ვმუშაობდი, ცოლ-შვილი რომ გამომეკვება, დრო არ მქონდა.

- შენი აზრით, ჩემს მონაზე – ჰილელზე უფრო ღატაკი იყავ? - თქვა განრისხებულმა ღმერთმა, - იმას გროშებიც არ გააჩნდა, რომ სინაგოგაში გადასახადი გადაეხადა და შესულიყო, რათა რჯულის განმარტება მოესმინა. ამიტომაც სახურავზე აიპარა და იქ გაწოლილი, სანათურიდან უსმენდა წმინდა წერილს. ამ დროს მოთოვა, მაგრამ ისე იყო ღვთის სიტყვით შეპყრობილი ჰილელი, რომ ვერ მიხვდა და დილით, როცა რაბინი სინაგოგაში შემოვიდა, ხედავს – ბნელა. აიხედა და დაინახა, რომ სანათურზე ადამიანის მწოლიარე სხეულია. ავიდა, გადათოვლა, ამოიყვანა ჰილელი და გულში ჩაიკრა, ქვემოთ ჩამოიყვანა, ცეცხლი დაანთო, მოასულიერა და ამის შემდეგ ნება დართო, დაუბრკოლებლად შესულიყო და მოესმინა რჯულისათვის. მერე კი თვითონ გახდა სახელგანთქმული რაბინი, მთელმა სამყარომ იცის უკვე მისი სახელი — ჰილელი. აბა, რას იტყვი?

- ვერაფერს, უფალო, — წაიბუტბუტა ღარიბმა და ტირილი დაიწყო.

ღმერთი მდიდარს მიუბრუნდა:

- აბა, რატომ არასდროს დაინტერესდი რჯულით, სანამ ცოცხალი იყავი?

- მე ძალიან მდიდარი ვიყავ, უდიდესი მამულის მესაკუთრე. ბევრი საქმე მქონდა და ბევრი საზრუნავი... როგორ მომესწრო?

- განა უფრო მდიდარი იყავ, - მიუგო ღმერთმა, - ვიდრე თავად ელიაზარი, ძე ხარსომისა, რომელსაც მამამ ათასი სოფელი და ათასი გემი უანდერძა? ის კი ყველაფერს ტოვებდა და სადაც კი ბრძენს დაიგულებდა, მასთან მიდიოდა რჯულის განმარტების მოსასმენად! აბა, რას იტყვი?

- ვერაფერს უფალო, - წაიბუტბუტა მდიდარმა და ისიც ატირდა.

ღმერთი დარდიმანდს მიუბრუნდა:

- აბა, შენ რაღას მეტყვი, ყოვლადმშვენიერო, რატომ არასდროს შეისწავლე რჯული?

- მე მეტისმეტად თვალტანადი ვიყავ, ბევრი ქალი მეხვეოდა თავს, სულ ვქეიფობდი, დროს სად ვნახავდი რჯულისათვის?

- როგორ, ნუთუ იოსებზე მშვენიერი იყავ, რომელიც პეტეფისის ცოლს შეუყვარდა და ისეთი ღამაში იყო, მზის ბრწყინვალეობას არ უდებდა ტოლს! და როცა კი რჯულის კანონს გაშლიდა, ასოები ჭიშკრებივით იხსნებოდა, სხივმოსილი აზრები კი ამ ჭიშკრებში დიოდა. აბა, რას იტყვი?

- ვერაფერს, უფალო, — წაიბუტბუტა დარდიმანდმა და ისიც ატირდა.

ღმერთმა ტაში შემოჰკრა, სამოთხიდან მოუხმო ჰილელს, ელიაზარსა და იოსებს. ისინიც მოვიდნენ.

- განსაჯეთ ეს ადამიანები, რომლებმაც სიღარიბის, სიმდიდრისა და მშვენიერების გამო რჯული არ შეისწავლეს. ჰილელ, განსაჯე ეს ღარიბი კაცი!

- უფალო, — უპასუხა მან, — რანაირად შემიძლია მისი განსჯა, როცა ვიცი, რაც არის სიღარიბე, ვიცი რაც არის შიმშილი... გთხოვ, მიუტევე!

- შენ ელიაზარ? — თქვა ღმერთმა, — აჰა, შენ მდიდარი, განსაჯე იგი!

- უფალო, - მიუგო ელიაზარმა, - როგორ უნდა განვსაჯო, როცა ვიცი, რასაც ნიშნავს სიმდიდრე – სიკვდილს! გთხოვ, მიუტევე!

- შენი ჯერია, იოსებ! აჰა, შენ მშვენიერი! განსაჯე იგი!

- უფალო, როგორ უნდა განვსაჯო, როცა ვიცი, რა ძნელი და რა საშინელი სატანჯველია - შენი სხეულის მშვენიერება დაამარცხო! გთხოვ, მიუტევე!”

იესო გაჩუმდა, გაიღიმა და ნათანიელს შეხედა. მან კი მღელვარედ ჰკითხა:

- მერე? ღმერთი როგორ მოიქცა?

- ისე, როგორც შენ მოიქცეოდი, - უპასუხა იესომ და გაეღიმა.

და კეთილმა მეწაღემაც შვებით ამოისუნთქა:

- ესე იგი, გადავრჩენილვარ!

მოძღვრის ორივე ხელი ჩაბლუჯა, მაგრად მოუჭირა:

- ჩემო მოძღვარო, - შეჰყვირა, - მივხვდი! შენ თქვი, ორი ბილიკი მიდის ღვთის უბემდეო: გონების ბილიკი და გულის ბილიკიო. მე გულის ბილიკს დავადექი და შენ გპოვე!

იესო ადგა, კართან მივიდა, გამოაღო. ძლიერი ქარი ამოვარდნილიყო, ტბა ღმუოდა. ცაზე კი წვრილი, უთვალავი ქვიშა ბრწყინავდა – ვარსკვლავები. გაანსენდა უდაბნო და გააჟრჟოლა. კარი დაკეტა:

- ღმერთის დიდი ძღვენია ღამე, - თქვა, - ადამიანის დედაა იგი, ნელა, ნაზად მოდის და მალავს მას თავის უბეში, გრილ ხელს დაადებს შუბლზე და ღღის საზრუნავებს სხეულიდან და სულიდან უქრობს. დროა, ძმებო, რომ ჩვენც მის მკლავებს მივენდოთ!

მოხუცმა სალომემ გაიგონა მისი სიტყვები და წამოდგა. მაგდალინელმაც მიბაძა, ამდენ ხანს კუთხეში რომ მიყუჟულიყო და ბედნიერი უსმენდა საყვარელი არსების ხმას. ქალებმა ქვეშაგები გაშალეს. იაკობი ეზოში გავიდა, ზეთისხილის ფიჩხი ამოიღლიავა და საცეცხლესთან დაახვავა. იესო ოთახის შუაგულში დადგა – იერუსალიმისკენ პირმიქცეული, ხელები აღაპყრო და იღუმალი ხმით წარმოთქვა ღამის ლოცვა: „განგვილე კარი შენი, უფალო! დღე გასრულდა, მზე ჩაესვენა. შენს კარიბჭესთან ვდგავართ, უფალო, გევედრებით, მოგვიტევე! გევედრებით, შეგვიწყალე! გვიხსენ, უფალო!“

- და კარგი სიზმრებიც მოგვივლინე, - თქვა პეტრემ, — უფალო, დამასიზმრე ჩემი ძველი მწვანე ნავი — ახალთახალი წითელი აფრით!

შემთვრალიყო და კარგ გუნებაზე იდგა.

იესო შუაში დაწვა, მის გარშემო კი, ოთახის მთელ სიგრძე - განეზე – მოწაფეები მოეწყვნენ. ზებედე-ბატონი და მისი ცოლ იქ ვეღარ დაეტივნენ და გვერდით გავიდნენ დასაძინებლად. მათთან ერთად იყო მაგდალინელიც. განაწყენებული ბერიკაცი ბურტყუნებდა, მერე მწყრალად მიუბრუნდა თავის დედაბერს და მაგდალინელის გასაგონად უთხრა:

- აჰა, ინებე! გარეულებმა შინაურები გარეთ გაყარესო.. აი სადამდე დავბეჩავდით!

მაგრამ დედაბერი კედლისაკენ გადაბრუნდა და არაფერი უთქვამს.

მათე ისევ მარტო დარჩა, არ დაუძინია, ჭრაქის ქვეშ ჩაიმუხლა, უბიდან რვეული ამოიღო და წერა განაგრძო. აღწერდა, თუ როგორ შევიდა იესო კაპერნაუმში, როგორ მოვიდა მათთან მაგდალინელი და როგორ თქვა მოძღვარმა იგავი: „ერთ დროს, ერთმა მდიდარმა ჭირნახული მოწია...“ აღწერა ყოველივე, ჭრაქი ჩააქრო და დასაძინებლად მოემზადა – ოღონდ, განცალკევებით, რადგან მოწაფეები ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდნენ მის ამონასუნთქს.

პეტრემ თვალის დახუჭვაც კი ვერ მოასწრო, ისე ჩაეძინა. და მაშინვე გადმოეშვა ზეციდან ანგელოზი, ქუთუთოები ნელ-ნელა გაუხსნა და სიზმრად ჩადგა თვალეში ნანატრი: ზღვის ნაპირზე უამრავი ხალხი ირეოდა, მოძღვარი კი სანაპიროზე იდგა და გასცქეროდა წითელაფრებიან, ახალთახალ, მწვანე გემს, რომელიც წყალზე ირწეოდა. გემის კიჩოზე კი ბრწყინავდა დიდი თევზი – ზუსტად ისეთი, როგორიც პეტრეს მკერდზე დაეხატა. „ვისია ეს მშვენიერი გემი?“ - ჰკითხა იესომ. „ჩემი!“ - ამაყად მიუგო პეტრემ. „მიდი, პეტრე, დანარჩენებსაც დაუძახე, ზღვაში შედით, რომ ვიამყო თქვენი ვაჟკაცობით!“. „დიდი სიამოვნებით, მოძღვარო!“ - თქვა პეტრემ, თოკი გამოხსნა და გემზე შეხტა, დანარჩენი მოწაფეებიც შეხტნენ, ზურგის ქარმა დაჰბერა, წითელი აფრა გაიშალა და სიმღერ-სიმღერით შეცურეს გაშლილ ზღვაში.

მაგრამ უცებ ქარიშხალი ამოვარდა: გემი ატორტმანდა, იქცეოდა, გვერდები დაემსხვრა, წყლით აივსო და იძირებო და. მოწაფეები აყვირდნენ, გემბანზე დამხობილნი მოთქვამდნენ. პეტრე კი ანძას მოსჭიდებოდა და ყვიროდა: „მოძღვარო, მოძღვარო, გვიშველე!“ და აჰა, სრულ წყვდიადში, თეთრითმოსილი იესო შენიშნა — ტალღებზე მოაბიჯებდა იგი და მისკენ მოიწევდა. მოწაფეებმა თავები წამოსწიეს, დაინახეს: „მოჩვენება! მოჩვენება!“ - ყვიროდნენ და ცანცახებდნენ. „ნუ გეშინიათ! - შესძახა მათ იესომ, — მე ვარ!“. პეტრემ კი მიუგო: „უფალო, თუკი მართლა შენ ხარ, მიბრძანე წყალზე გავიარო და შენთან მოვიდე!“ „მოდი!“ - უბრძანა იესომ. გადმოვიდა პეტრე გემიდან, ტალღებზე დააბიჯა და წავიდა. მაგრამ შეხედა რა აღელვებულ ზღვას, შიმშა შეიპყრო და ჩაძირვა იწყო. „უფალო, მიხსენ მე! — აღმოხდა, - ვინჩობი!“. იესომ ხელი გაუწოდა, წამოაყენა: „მცირედმორწმუნევე, - უთხრა, - რამ დაგაეჭვა? არ გწამს ჩემი? შეხედე!“ — ხელი ტალღებზე ასწია და თქვა: „დამშვიდდით!“ - და მაშინვე ჩადგა ქარი, წყალი დამშვიდდა, პეტრემ კი, კიდევ ერთხელ რომ გამოიცადა მისი სული და ამჯერადაც დამარცხდა, მოთქმა დაიწყო.

მძინარემ მთელი ძალით შეჰყვირა, თვალები გაახილა. წვერი ცრემლით დასველებოდა. ტანტზე წამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო და ამოიოხრა. მათემ, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეძინა, მისი ოხვრა გაიგონა და ჰკითხა:

- რატომ ამოიოხრე, პეტრე?

პეტრემ წამით იფიქრა – წავუყრუებ, არ ვუპასუხებო. მებაჟებთან ლაპარაკი დიდად არ ეპიტნავებოდა, მაგრამ სიზმარი სულს უზუთავდა, უნდა ამოეთქვა, რომ სული შემსუბუქებოდა... მათესთან მიჩოჩდა, სიზმრის განდობა მოესურვა, უყვებოდა და უყვებოდა. ხოლო მათე კი უსმენდა და ვერ ძლებოდა, გონებაში იწერდა, რომ გათენებისთანავე თავის ფურცლებზე გადაეტანა.

პეტრემ მოყოლა დაასრულა, მაგრამ მისი გული ზუსტად ისე ქანაობდა, როგორც ის გემი, მის სიზმარში. და უეცრად, შეშინებული წამოიჭრა:

- იქნებ მართლა მოვიდა ღამით მოძღვარი და ზღვაში მართლა გამიყვანა, რომ გამოვეცადე? ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი ცოცხალი ზღვა და ასეთი ნამდვილი გემი და ასეთი ხელშესახები შიშაც არასდროს გამომიციდია. იქნებ სიზმარი სულაც არ იყო, შენ რას იტყვი, მათე?

- ნამდვილად არ იყო სიზმარი. ეს სასწაული ნამდვილად მოხდა, - მიუგო მათემ და გონებაში დალაგება დაიწყო იმისა, თუ როგორ აღწერდა ამ ამბავს ხვალ თავის დავთარში.

იცოდა გაუძნელებოდა, რადგან ვერ დაეჯერებინა, რომ ნამდვილი სიზმარი იყო. არც ის უწყობდა, ცხადი თუ იყო, რადგან სიზმარსაც ჰგავდა იგი და ცხადსაც. ეს სასწაული მოხდა, მაგრამ არა ამ მიწასა და ზღვაზე, არამედ სადღაც სხვაგან. თუმცა სად?

თვალები დახუჭა, რომ ფიქრში ეპოვა პასუხი, მაგრამ მაშინვე ეწვია ძილი და წარიტაცა.

მთელი დღე გადაუღებელივ წვიმდა და ქარი ქროდა. მეთევზეები სათევზაოდ არ გასულან. თავიანთ ქოხებში შეყუჟულნი ბადეებს აკერებდნენ და იმ უცნაურ სტუმარზე საუბრობდნენ, ზებედე-ბატონის სახლში რომ გაათია ღამე. ამბობენ, იოანე ნათლისმცემელიაო, მკვდრეთით აღსდგაო; ჯალათმა როგორც კი მოკვეთა თავი, ძირს დაიხარა, თავი აიღო, მიიწება კისერზე, ჭეშმარიტად ასეო. მაგრამ ისევ ჰეროდემ რომ არ შეიპყროს და კვლავ თავი არ მოკვეთოს, ადგა და ნაზარეველი ხუროს ძის სხეულში შევიდაო, ეს ორნი ახლა ერთიაო... შეხედავ და ვერაფერს ხვდები: თან ერთია და თან ორია, რას გაუგებო... ასე პირისპირ რომ დადგები და სახეზე დააკვირდები, ერთ კეთილ ადამიანად მოგეჩვენება, გიყურებს და გიღიმისო, მაგრამ ცოტა თუ გვერდით გაიწევი, მისი ერთი თვალი ისე ცოფდება, თითქოს შენი შეჭმა უნდაო, მეორე თვალი კი მხნეობას გმატებს, რათა მიუახლოვდეო... უახლოვდები და თავბრუ გესხმის, კაცმა არ იცის, რა შეიძლება გააკეთო – სახლსა და ცოლ-შვილს მიატოვებ, ყველაფერზე უარს ამბობ და მიჰყვებიო! ერთი მოხუცი მეთევზე უსმენდა, უსმენდა, მერე თავი გააქნია და თქვა:

- ეგრე უცოლოებს ემართებათ, სამყაროს გადარჩენა რომ მოუნდებათ ხოლმე, ვაი მაგათ ჰატრონს! მაგ დროს თესლი თავში ადის და გონებას უმღვრევთ. დაქორწინდი, შენი ძალა ცოლზე გამოსცადე, ბავშვები შობე და დამშვიდდები!

მოხუცმა იონამაც გუშინ გაიგო ახალი ამბავი, თავის მიწურში იცდიდა... „შეუძლებელია, - ფიქრობდა, - როგორ არ მოვლენ ჩემი ვაჟები, რომ ნახონ, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი..“ მთელი ღამე ელოდებოდა, მაგრამ ამაოდ... დღეს კი თავისი მაღალყელიანი, საომარი ფეხსაცმელები გადმოიღო, რომელიც მაშინ შეიკერა, როცა იქორწინა და მხოლოდ საგანგებო დღეებში იცვამდა ხოლმე, გაცრეცილი ჩალმაც მოირგო თავზე და თავსხმაში თავისი მეგობრის — ზებედეს სახლისაკენ გასწია. კარი ღია დახვდა, შევიდა.

საცეცხლეში ცეცხლი ენთო, ათიოდე კაცს მოერთხა ფეხი ცეცხლის პირას და კიდევ ორ ქალს. ერთი მოხუცი სალომე იყო, მაგრამ მეორე – ახალგაზრდა სადღაც ჰყავდა ნანახი და ვერ იხსენებდა. სახლში ნახევრად ბნელოდა. ცეცხლის შუქზე, წუთიერად თავები რომ მოაბრუნეს, თავის ორ ვაჟს ჰკიდა თვალი – პეტრესა და ანდრიას. მაგრამ არც ერთს გაუგია, როგორ შევიდა, არც ერთი შემობრუნებულა, რომ დაენახა. ყველას კისერი წაეგრძელებინა და პირდაღებულნი უსმენდნენ მათ პირისპირ მჯდომს, რომელიც ლაპარაკობდა. რას ეუბნებოდა? მოხუცმა იონამ ყური მიუგდო, ისიც პირდაღებული ცდილობდა, რომ გაეგონა. შიგა და შიგ, თითო-ოროლა სიტყვა ესმოდა - სამართალი, ღმერთი, ცათა სასუფეველი... სულ იგივე და იგივეა, ამდენი წელია ესმის, მობეზრდა! იმის ნაცვლად, ასწავლიდნენ თევზი როგორ დაიჭირო, აფრა როგორ გაჭიმო, გემი როგორ მართო, ან როგორ არ შეიცივნო, არ დასველდე, არ მოიშოო, ესენი სხედან და ზეცაზე ლაპარაკობენ... ეგება, ერთი-ორი სიტყვა მიწისა და ზღვის ამბებზეც დაგცდენოდან, თქვე კაი ხალხო? მოხუცი იონა გაბრზდა, ჩაახველა, რომ გაეგონათ და შემობრუნებულიყვნენ. მაინც არავის გაუხედავს მისკენ. გაჩხინკული ფეხი გადადგა, თავის მძიმე ფეხსაცმელი იატაკს დაკრა, დააბრაზუნა, მაგრამ ამაოდ. ყველა ფერმკრთალ კაცს მიშტერებოდა, რომელიც საუბრობდა.

მხოლოდ სალომე შემობრუნდა, შეხედა, მაგრამ ვერ დაინახა. მოხუცი იონა მიუახლოვდა, საცეცხლესთან მივიდა, თავისი ორი ვაჟის უკან ჩაიმუხლა. პეტრეს მხარზე დაადო ხელი, შეანჯღრია. პეტრე შემოტრიალდა, თითი ტუჩებთან მიიტანა, ანიშნა ჩუმად ყოფილიყო და ისევ იმ ფერმკრთალს მიუბრუნდა – ვითომც იონა არ მოსულიყო, მამამისი, ვითომც თვეებს არ განევლო, რაც არ ენახა. ჯერ საყვედურით აევსო გული, შემდეგ ბრაზით, მოჭერილი ფეხსაცმელები გაიძრო, რათა მოძღვრისათვის სახეში გაექანებინა – ეგებ ენა ჩაეგდო და თვითონ დალაპარაკებოდა თავის შვილებს.

ის იყო, მოიმარჯვა კიდევ ფეხსაცმელები, რათა ესროლა, უკნიდან ვიღაცის ხელმა შეაჩერა. შემობრუნდა. ზებედე იყო.

- ადექი, იონა-ბატონო, — ჩაულაპარაკა, - შიგნით შევიდეთ. წამოდი, შე ბედკრულო, რაღაც უნდა გითხრა.

მოხუცმა მეთევზემ ფეხსაცმელები იღლიებში ამოიჩარა, გაჰყვა ზებედეს, შიდა ოთახში შევიდნენ, გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ – სკივრზე.

- იონა-ბატონო, - დაიწყო ზებედემ. ენა ებმოდა, მეტისმეტი დაელია, ღვინოში რომ ჩაეხშო დარდი, - იონა-ბატონო, ჩემო მრავალჭირნახულო, ორი ვაჟი გყავდა, მაგრამ დაივიწყე ისინი! მეც ორი ვაჟი მყავდა და დავივიწყე. ასე ამბობენ, ჩვენი მამა ღმერთიაო და აბა, ჩვენ მათთვის რაღას წარმოვადგენთ? ისეთნაირად გვიყურებენ, თითქოს გვეუბნებიან – შენ ვილა ხარ ბერიკაცო?.. სამყაროს აღსასრული დგება, უბედურო იონა! თავიდან მეც ვბრაზდებოდი, ვფიქრობდი, ახლა ბარჯს მოვიქნევ და აქედან გავყრი-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ხსნა არსაით არის, ჩემს ნაჭუჭში შევიყუყუე და გასაღები მაგათ მივეცი. ცოლიც რომ გადამიდგა! მაგათ მხარესაა, სულ გამომტერდა ეგ უბედური, ჰოდა, კრინტსაც აღარ ვძრავ და შენც, იონა-ბატონო, გიჯობდეს, მე მომბაძო. ეს მინდოდა მეთქვა შენთვის. თითების უკან რანაირად დავიმალებით? ეს ჭეშმარიტებაა, მორჩა, ეშმაკი დაგვეპატრონა!

მოხუცმა იონამ ისევ ჩაიცვა ფენსაცმელები, ჩაღმა თავზე მოიხვია, ზებედეს შეხედა, კიდევ რამის თქმას ხომ არ აპირებსო. და რაკი მასპინძელს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი, კარი გააღო, ჯერ ცას ახედა, მერე მიწას დახედა – სრული წყვდიადი იყო, წვიმდა, ციოდა. „ეშმაკი დაგვეპატრონა, - წაიბუტბუტა, - ეშმაკი დაგვეპატრონა.“ - და ტყაპატყუპით გაეშურა თავისი მიტოვებული ქონისაკენ.

ქოშინ-ქოშინით მიდიოდა მოხუცი იონა, მარამის ძე კი ცეცხლისაკენ ხელებს იწვდიდა, თითქოს ღვთის სულს ევედრება, ალში რომ მიმალულა და ადამიანებს ათბობსო. ხელებს შლიდა, გული გაეხსნა და საუბრობდა:

- ნუ გგონიათ, იმისათვის მოვედი, რომ კანონები და წინასწარმეტყველებანი გავაცამტვერო, – ეუბნებოდა, - მე ძველ აღთქმათა მოსაშთობად კი არ მოვსულვარ, არამედ იმისთვის, რომ წინ წავიდეთ. უკვე შეიმეცნეთ მოსეს ფირფიტებზე ამოტვიფრული: „არა კაც-ჰკლა!“, მე კი გეტყვით თქვენ: ვინც თავის ძმაზე გაბრაზდება და ხელს აღმართავს, ან თუნდაც მხოლოდ ავ სიტყვას ეტყვის, ცეცხლის გეენაში ჩავარდება. თქვენ იხილეთ მოსეს ფირფიტებზე ამოტვიფრული: „არა იმრუშო“. და მე გეტყვით თქვენ: ვინაც კი ქალს ნდომით შეხედავს, მან უკვე იმრუშა გულში და ეს დაბინდული თვალი მრუშს ჯოჯოხეთისკენ გაუძღვება., „პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა!“ — ჭადაგებს ძველი რჯული. და მე გეტყვით თქვენ: ნუ დაატყვევებთ გულს დედისა და მამის სახლში, გარეთ გაუშვით, რათა ყველა სახლში შევიდეს, მთელი ისრაელი მოიაროს – ჰერმონის მთიდან იდუმეის უდაბნომდე და უფრო შორს, აღმოსავლეთით, დასავლეთით, მთელ სამყაროში განივრცოს იგი... რადგან მამაჩვენი ღმერთია, დედა კი - მიწა, ჩვენ სანახევროდ მიწა ვართ - ნახევრად ზეცა. პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა – ნიშნავს - პატივი ეცი ზეცას და მიწას.

მოხუცმა სალომემ ამოიოხრა:

- სასტიკ სიტყვას ამბობ, მოძღვარო, – თქვა, – დედისათვის ძალიან მძიმეს!

- ღმერთის სიტყვა მუდამ მძიმეა, დედაკაცო, – მიუგო იესომ.

- მიიღე ჩემი ორი ვაჟი, – ჩურჩულებდა მოხუცი დედა და ხელები გულზე ჯვარად დაეწყო, - მიიღე ჩემი შვილები, შენ გაკუთვნის! _

იესომ შვილებდათმობილი დედის მოთქმა გაიგონა და იგრძნო, რომ მის კისერზე იყო ახლა სამყაროს ყველა შვილი – ყველა ვაჟი, ყველა ასული. კვლავ გაახსენდა ის შავი ვაცი, უდაბნოში რომ იხილა, რომელსაც ყელზე ცისფერ თილისმებად ეკიდა მთელი ხალხის ცოდვები. უტყვად გადაიხარა სალომესკენ, თავის ორ ვაჟს მას რომ უძღვნიდა და თითქოს უთხრა: აჰა, შენ ჩემი ყელი, ზედ დაკიდე შენი ვაჟები...

სალომემ ერთი იღლია ფიჩხი შეყარა საცეცხლეში, ცეცხლი ავარდა. იესო კარგახანს უყურებდა როგორ შიშინით შთანთქავდა ცეცხლის ალი ტოტებს. კვლავ თანამგზავრებს მიუბრუნდა:

- ვისაც დედა ან მამა ჩემზე მეტად უყვარს, - თქვა, - არ არის ჩემი ღირსი... ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი. ძველი აღთქმა საკმარისი არ არის.

და ცოტა ხნის შემდეგ:

- ადამიანი საზღვარია: ადგილი, სადაც მიწა მთავრდება და ცა იწყება, თუმცა ეს საზღვარი განუწყვეტლივ იცვლის ადგილი ზეცისკენ მიდის, და მასთან ერთად იცვლიან ადგილს, წინ მიიწევენ ღმერთის აღთქმანი, მოსეს ფირფიტებიდან ვირჩევ ღმერთის ძველ აღთქმებს და უფრო შორს მიმაქვს.

- მოძღვარო, ეს ნიშნავს, რომ ღვთის ნება ცვალებადია? — ჰკითხა გაკვირვებულმა იოანემ.

- არა, იოანე, საყვარელო, მაგრამ ადამიანის გულს შეუძლია გაიშალოს და ღმერთის უფრო მეტი ნება დაიტიოს.

- არ შევდრკეთ! წავიდეთ და მთელ სამყაროს ვუქადაგოთ ეს ახალი მცნებანი! - შესძახა პეტრემ და წამოიჭრა, - აქ რას ვუსხედვართ?

- მოიცადე, სულსწრაფო, წვიმამ მაინც გადაიღოს, რომ არ დავსკვლდეთ! — დაცინვით უთხრა თომამ.

იუდამ კი ბრაზიანად გააქნია თავი:

- ჯერ რომაელები განვდევნოთ, ჯერ სხეულები გამოვიხსნათ და მერე სულები! ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჭერიდან ნუ დავიწყებთ შენებას, ჯერ საძირკველი უნდა ჩავყაროთ!

- სულია საძირკველი, იუდა!

- მე გეუბნები, რომ საძირკველი სხეულია!

- იუდა, თუკი ჩვენში ჯერ სული არ შეიცვალა, ვერასოდეს შეიცვლება სხეული. შიგნითაა მტერი, შიგნით გვყავს რომაელები და შიგნიდანვე იწყება ხსნა.

იუდა ფეხზე წამოხტა, მძვინვარებდა. დიდხანს იკავებდა თავს, რომ არ ეყვირა. უსმენდა, უსმენდა და ბრაზს უკვე ველარ იოკებდა.

- ჯერ რომაელებს გავყრიოთ! - ისევ შეჰყვირა, იხრჩობოდა, - ჯერ რომაელებს!

- მაგრამ როგორ გავყრიით? – ჰკითხა ნათანიელმა, რომელიც უკვე ღელავდა და კარისაკენ იყურებოდა, - აბა, მოგვანსენე, ისკარიოტელო, რომაელებს როგორ განვდევნით?

— აჯანყებით! — შეჰყვირა მან, - გაიხსენეთ მაკაბელნი, მათ ბერძნები ხომ განდევნეს! ახლა ჩვენი ჯერია, ჩვენ ვართ ახალი მაკაბელნი და რომაელები უნდა განვდევნოთ! ხოლო შემდეგ, როცა მხოლოდ ჩვენ დავრჩებით, აი, მერე გავუსწორდებით მდიდრებსა და ღარიბებს, ჩაგრულებსა და მჩაგვრელებს, მხოლოდ შემდეგ!

ყველა დუმდა.. ვერ გაეგოთ: ორი გზა იყო, და რომელს უნდა დასდგომოდნენ? მოძღვარს უყურებდნენ და იცდიდნენ. ის კი ჩაფიქრებული უმზერდა ცეცხლის აღს. ნეტავ როდის შეიცნობენ ადამიანები, რომ მხოლოდ ერთი რამ არსებობს სამყაროში, ამ ხილულსა და იმ უხილავ სამყაროში მხოლოდ ერთი რამე არსებობს – სული!

პეტრე წინ წამოდგა:

- მე, - დაიწყო, - რთულ საუბარს ვერ ვიგებ და მომიტევეთ! რომელია საძირკველი, მაგას საქმე გამოაჩენს. აგერ მე და აგერ თქვენ! მოძღვარო, ნება მოგვეცი, რომ კეთილი ცნობა ადამიანებს ვამცნოთ, ცალ-ცალკე წავიდეთ და ვიქადაგოთ. რომ დავბრუნდებით, მერე განვაგრძოთ საუბარი.

იესომ თავი ასწია, მოწაფეებს გადახედა – პეტრეს, იოანესა და იაკობს ანიშნა, მიუახლოვდნენ. ხელები მძიმედ დაადო სათითაოდ თავზე და უთხრა:

- წადით ჩემი კურთხევით და იქადაგეთ კეთილი ცნობა ადამიანებში. ნუ გეშინიათ! ღმერთის ხელში ხართ, დასაღუპად არ გაგიმეტებთ! ბელურაც კი არ ვარდება მიწაზე მისი ნების გარეშე, ნუთუ თქვენ არა სჯობიხართ ბელურებს?! ღმერთია თქვენთან! მალე დაბრუნდით და ისე, რომ თქვენს კისერზე ათასობით სული ეკიდოს. თქვენ ხართ ჩემი მოციქულები!

სამმა მოციქულმა ლოცვა-კურთხევა მიიღო, კარი გააღეს, ქარ-წვიმის მიუხედავად, თითოეული თავის გზას დაადგა.

დღეები გადიოდა. ზებედე-ბატონის ეზო დილაობით შეჭირვებულებით ივსებოდა და საღამოს ცარიელდებოდა. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ სნეულები, შეპყრობილნი, ხეიბრები და მოთქვამდნენ, მოითხოვდნენ, გაჰყვიროდნენ, რომ სასწაული ჩაედინა და განეკურნა ისინი ძეს კაცისა — განა ამისთვის არ გამოგზავნა იგი ღმერთმაო? ჰოდა, მოგვხედოს, გვიშველოსო! მათი შეძახილების გაგონებისას, ისიც სწუნდა, გამოდიოდა ეზოში, ხელს შეახებდა და სათითაოდ დალოცავდა ხოლმე ყველას.

- ორნაირი სასწაული არსებობს, ძმებო, - ეუბნებოდა, - სხეულისა და სულის სასწაულები. მხოლოდ სულისა იწამეთ! შეინანეთ, განიწმინდეთ სულები და თქვენი ხორციც განიწმინდება! სული ხეა, ხოლო მისი ნაყოფი - სენი, ჯანმრთელობა, სამოთხეცა და ჯოჯოხეთიც.

ბევრმა დაუჯერა და როგორც კი ირწმუნებდნენ, მაშინვე გრძნობდნენ, მათ ძარღვებში სისხლი როგორ იწყებდა დენას და დაბუჟებულ ხორცს ალავსებდა, ყავარჯნებს გვერდზე მოისვრიდნენ და აცეკვდებოდნენ. ბრმები, როცა იესო მათ ჩამქრალ თვალებზე ხელს შეახებდა, გრძნობდნენ, როგორ იღვრებოდა მისი თითებიდან უხილავი სხივი, თვალებს ახელდნენ და სიხარულით შეჰყვირებდნენ: ვხედავთ!

მათეს კი კალამი მოემარჯვებინა, თვალგაფაციცებული და ყურებმომართული ერთ სიტყვასაც არ ტოვებდა ისე, რომ არ ჩაეწერა. და ასე, ნელ-ნელა, დღითი დღე იკვრებოდა სახარება ანუ კეთილი ცნობა, ფესვებს იდგამდა, იტოტებოდა, ხედ იქცეოდა, რომელიც ნაყოფს გამოიღებდა და ამ ნაყოფით ასაზრდოებდა უკვე ამქვეყნად მოვლენილთ და ჯერაც დაუბადებელთ. მათე უბით დაატარებდა წმინდა წერილს, ხედავდა, რომ მოძღვრის სიტყვები და საქმეები ზუსტად ისეთი იყო, როგორც საუკუნეთა წინათ იქადაგეს წინასწარმეტყველება. და თუ ზოგჯერ ისინი შეუსაბამო იყო ერთმანეთის, უფრო იმიტომ, რომ ადამიანის გონს არ შესწევს უნარი, ჩაწვდეს წმინდა ნაწერის დაფარულ აზრს. შვიდი საფეხური აქვს ღმერთის სიტყვას, მათე ცდილობდა ამოეცნო, ეს შეუსაბამო მონაკვეთები რომელ საფეხურზე უნდა მოეთავსებინა. ხანდახან, შესაძლოა, სააღბათოდაც კი მიესადაგებინა და გულიც დაემშვიდებინა, რომ ღმერთი ამას მიუტევებდა და არათუ მიუტევებდა, თავად ღმერთის ნება აღესრულებოდა მათეს ხელით. ყოველთვის, როცა კალამს ხელში აიღებს ხოლმე, განა თავად ანგელოზი არ მოდის და ყურში არ კარნახობს, რა დაწეროს?

და დღეს პირველად მიხვდა მათე, საიდანაც უნდა დაეწყო, როგორ უნდა აღეწერა იესოს ცხოვრება და მისი ღვაწლი. უპირველესად აღსაწერია, სად დაიბადა, ვინ იყვნენ მისი მშობლები და წინაპრები – ანუ მთელი თოთხმეტი თაობა. იშვა იგი ნაზარეთში ღარიბი მშობლებისაგან – ხურო იოსებისა და მარიამის — იოაკიმისა და ანას ასულისგან. კალამი ხელში აიღო, გულში ღმერთს მოუხმო, რომ მისი გონებისთვის ნათელი მოეფინა და ძალა მიეცა. მაგრამ როგორც კი პირველი ასოები ქალღმრთელზე კოხტად გამოიყვანა, მაშინვე ხელი გაუშეშდა. ანგელოზი დაატყდა თავს, ფრთების მრისხანე შრიალის ხმა მოესმა ჰაერიდან და საყვირმა ჩასძახა ყურში: „არა ძე იოსებისა! რას ამბობს ესაია წინასწარ მეტყველი? „იხილე, ქალწული მუცლად იღებს და შობს ძესო!“ დაწერე: „მარიამი ქალწული იყო, ჩამოვიდა მის სახლში მთავარანგელოზი გაბრიელი, მანამ სანამ მარიამს ქმარი შეიცნობდა, და უთხრა: „მიმადლებულო მარიამ, გიხაროდენ, უფალი შენთანა!“ და მაშინვე მუცლად იღო მისმა წიაღმა. გესმის? აი, ეს უნდა დაწერო! და არა ნაზარეთში! ის ნაზარეთში არ დაბადებულა! გაიხსენე მიქაა წინასწარმეტყველი: „და შენ, ბეთლემ, სახლი ეფრათასი, მცირე ხარ ყოფად ათასეულთა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდად ყოფადი, მთავრად ისრაელსა ზედა და გამოსავალნი მისნი დასაბამით დღეთაგან საუკუნოისათა“. ანუ ბეთლემში იშვა იესო, ერთ თავლაში! ან რას ამბობს უცდომელი ფსალმუნნი? „შვა თავლაში, სადაც ცხვრები აწოვებენ. რათა მწყემსად ქმნას იაკობის ფარისათვის!“ რატომ აყოვნებ? ხელი გაგითავისუფლე, წერე!“ მაგრამ მათე გაბრაზდა. უხილავ ფრთას მიუბრუნდა და ჩუმად შეუღრინა, მძინარ მოწაფეებს რომ არ გაეგონათ: „ეს არ არის სიმართლეს არ მინდა! არ დავწერ!“

და დამცინავად მოედო მისი ხმა ჰაერს: „შენ რა გესმის, მიწავ, რა იცი რაა სიმართლე? შვიდსაფეხურიანია სიმართლე, ყველაზე მაღალ საფეხურზე სუფევს ღმერთის ჭეშმარიტება და იგი სრულებით არ ჰგავს ადამიანთა ჭეშმარიტებას. მე სწორედ მაგ ჭეშმარიტებას გკარნახობ ყურში, მახარებელი მათე! წერე: „და აღმოსავლეთით მოვიდა სამი მოგვი, დიდი ვარსკვლავი მოუძლოდათ, მოვიდნენ და ჩვილს თაყვანი სცეს...“ მათეს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. „არ დავწერ! არ და ვწერ!“ - გაჰყვიროდა, ხელი კი სურვილის წინააღმდეგ გაურბოდა და მაინც წერდა.

იესოს ძილში შემოესმა მათეს შფოთვა და თვალები გაახილა. დაინახა ჭრაქის სინათლესთან მჯდომი, ვიღაც უხილავთან მოკამათე მათე, რომელიც კალამს შმაგად დაასრიალებდა ფურცელზე, წერდა ისე გამალებით, იფიქრებდით, სადაცაა გადაუტყდებაო.

- მათე, ძმაო ჩემო, – უთხრა ხმადაბლა, - რატომ ღრიალებ? ვინ გადგას თავზე?

- მოძღვარო, - მიუგო მან, კალამი კი ისევ წერდა, - ნუ მეკითხები, დრო არა მაქვს. დაიძინე!

„ღმერთი უნდა იყოს... ღმერთი ადგას თავზე...“ - გაიფიქრა იესომ და თვალები დახუჭა, რათა ხელი არ შეეშალა მათეს ამ წმინდა ტყვეობისათვის.

XXIV

დღეები ღამეებს ენაცვლებოდა, ღამეები - დღეებს. ახალი მთვარე ძველდებოდა, ძველს ისევ ახალი ცვლიდა. გარეთ წვიმდა, ციოდა, მაგრამ იქ, მოხუცი სალომეს სახლში საცეცხლე ენთო და ღამეებს წმინდად ათევდნენ. ყოველ საღამოს, სამუშაოებიდან მოდიოდნენ სალომეს სახლში კაპერნაუმის ღარიბ-ღატაკები, უსმენდნენ ახალ მანუგეშებელს და თავის ქონებში გამდიდრებულნი და დაიმედებულნი ბრუნდებოდნენ. მან მათი ვენახები, მათი ნაკვები და მათი სიხარული მიწიდან ზეცაში გადაიყვანა, აუხსნა, თუ რამდენად უფრო მტკიცეა ზეცა დედამიწაზე და უბედურთა გულებიც მოთმინებითა და იმედით აღავსო. ის კი არა, თვით ზებედე-ბატონის მოუდრეკელი გულიც კი მოალობო: იესოს სიტყვები ნელ-ნელა მის არსებაშიც აღწევდნენ, უშფოთველ თრობად ეფინებოდნენ მის გონებას, რომელშიც ამქვეყნიური ფიქრები უჩინარდებოდა და მის ადგილას წარუვალა სიმდიდრითა და მარადიულობით ნაკები, უცნაური ახალი სამყარო ჩნდებოდა, სადაც ზებედეს, მის ვაჟებს, სალომეს, მათ ხუთ თევზსაჭერ ნავსა და სავსე სკივრებსაც კი მარადიულად უნდა ეცოცხლათ. ჰოდა რატომ იბუზღუნოს ამ დაუპატიჟებელი სტუმრების დანახვასას, მის სახლში რომ ათენ-ღამებენ და მის სუფრას უსხედან შინაურულად?! საზღაურის მიღების დროც ხომ დადგება?! კი, დადგება!

ზამთრის თბილი დღეების სეზონმაც მოაწია. მზემ გამოანათა, მიწას ძვლები გაუთბა, ზებედეს ეზოში კი ნუშის ხე დაიბნა, იფიქრა გაზაფხულდაო და კვრიტები გამოიღო. ამ მოწყალე, თბილ დღეებს ელოდნენ ალკუნებიც, რათა კლდეებში კვერცხები დაედოთ.

ღვთის ყველა ჩიტი გაზაფხულზე დებს კვერცხებს, მხოლოდ ალკუნები ირჩევენ ზამთარს. ღმერთს შეებრალა ისინი და იმგვარად მოაწყო, ზამთრის რამდენიმე დღის განმავლობაში მზემ რომ დაათბოს დედამიწა. ახლა კი ეს ზღვის ბუღბუღები —

ალკუნები სიხარულით დაფრინავენ, დასჭიკჭიკებენ გენესარეთის წყალსა და კლდეებს და ღმერთს მადლობას სწირავენ, ამ ზამთარსაც რომ ალუსრულა მათ თავისი აღთქმა.

თბილმა დღეებმა დანარჩენი მოწაფეებიც წაახალისა: ახლომდებარე სოფლებსა და თევზსაჭერ ხომალდებზე მიმოიფანტნენ, რათა მათაც მოესინჯათ საკუთარი ფრთები: ფილიპემ და ნათანიელმა ხმელეთი აირჩიეს, რომ მეგობარ მუშაკებთან და მწყემსებთან ღვთის სიტყვა ექადაგათ; ანდრია და თომა ტბისაკენ გაემურნენ, მეთევზეებთან შესახვედრად; იუდამ მარტოდ მარტომ გასწია მთებისაკენ, რათა ბრაზი ასე ჩაეხშო გულში – მოძღვრის ბევრი აზრი მოსწონდა, მაგრამ ვერაფრით შეჰგუებოდა, ხან რომ ველური ნათლისმცემელი დაიქუხებდა მისი პირიდან, ხან კი ისევ ძველი ხუროს ძე ღაღადებდა: სიყვარული! სიყვარულიო! რა სიყვარული, შე გონებაამღვრეულო? ვინ უნდა გიყვარდეს? ეს ქვეყანა დასნეულებულია და მარტო დანა თუ უშველის! მე ვამბობ მაგას!

მხოლოდ მათე დარჩა სახლში. არ უნდოდა, მოძღვარს მოშორებოდა, იქნებ ისევ ეთქვა რამე და ვერაფრით გაიმეტებდა, მისი სიტყვები ქარს წაეღო, ეგება რამე სასწაულიც ჩაედინა და ესეც ხომ საკუთარი თვალთ უნდა ეხილა, რომ მოეყოლა... თანაც, აბა, სად წავიდეს? ვისთან უნდა ილაპარაკოს? კაციშვილს არ სურს მასთან მიახლოება, იმიტომ რომ ოდესღაც იგი ბინძური მებაჟე იყო. ამიტომაც დარჩა, თავისთვის კუთხეში მიუყუელიყო, ჩუმიად აკვირდებოდა იესოს, რომელიც ეზოში იჯდა - დაკვირვებული ნუშის ხის ძირში, და მის ფეხთით მჯდომ მაგდალინელს ესაუბრებოდა ხმადაბლა. მათემ მიაყურადა, რამე მაინც რომ გაეგონა, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ რაბის მკაცრსა და მწუხარე სახეს ხედავდა და დროდადრო, ხელს - მაგდალინელის თმას რომ ენებოდა.

ამ შაბათ დღეს, დილაუთენია გამოემურნენ მლოცველები შორეული სოფლებიდან: მებატონეები ტიბერიადან, გენესართიდან – მეთევზეები, მთებიდან — მწყემსები, რათა ახალი - ნასწარმეტყველისთვის მოესმინათ, რომელიც მათ ჯოჯოხეთსა და სამოთხეზე უამბობდა, კიდეც უბედურ ადამიანებზე და ღვთის წყალობაზე. მადლობა ღმერთს, მზეა, ამწვანებულ მთაზე ავლენ, იესოსაც თან წაიყვანენ, რბილ ბალახზე წამოწვებთან და მოუსმენენ, გაზაფხულის მდელოზე მიწოლილებს შეიძლება ტკბილადაც კი ჩაეძინოთ.

ჭიშკარი დაკეტილი დაუხვდათ და გარეთ, ქუჩაში მოგროვდნენ, მოძღვარს უხმეს, მათთან რომ გასულიყო.

- მაგდალინელო, დაო ჩემო, - თქვა იესომ, - მომისმინე, მოვიდნენ, რათა წამიყვანონ.

მაგრამ მაგდალინელი მოძღვრის თვალეში ჩაკარგულიყო და ვერ შეეცნო, რასაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ეუბნებოდა. არც ახლა ესმოდა, არაფერი გაუგია... მხოლოდ მისი ხმა ახარებდა, ისედაც ყველაფერს ამბობდა მისი ხმა: მაგდალინელ კაცი არ იყო, რომ სიტყვები დახმარებოდა. ერთხელაც ჰკითხა „რატომ მელაპარაკები მომავალ ცხოვრებაზე, მოძღვარო! კაცი ხომ არ ვარ, მარადიული, სხვა ცხოვრება რომ მჭირდებოდეს? ქალი ვარ და ის ერთი წუთიც, რომელსაც ჩემს ძვირფას ადამიანთან

დავყოფ, მარადიული სამოთხეა ჩემთვის. ხოლო წუთი კი, რომელსაც იმისგან შორს გავატარებ, ვინც მიყვარს, მარადიულ ჯოჯოხეთად მექცევა. ჩვენ, ქალები, აქ. ამ მიწაზე შევიცნობთ მარადისობას!”

- მაგდალინელო, დაო ჩემო, - გაუმეორა იესომ, - ჩემს წასაყვანად მოვიდნენ. უნდა წავიდე!

აღგა. კარი გამოაღო. ქუჩა სავსე იყო თვალებგაფართოებული, მოლოდინად ქცეული ხალხით, მას მოუხმობდნენ მგმინავი სნეულები და ხელებს იწვდიდნენ... მაგდალინელიც გავიდა, პირზე ხელი აიფარა, რომ არ ეყვირა: „ხალხი მხეცია, სისხლისმსმელი მხეცი, მას შემეიჭამენ...“ - ჩურჩულებდა და უყურებდა, როგორ დინჯად მიდიოდა წინ იესო, უკან კი მოგნიასე ხალხი მისდევდა.

შვიდად მიაბიჯებდა იესო ტბის გასწვრივ ამართული მთისკენ, სადაც ერთხელ უკვე გაუწოდა ხელები ხალხს და შესძახა: „სიყვარული! სიყვარული!“ თუმცა იმ დღიდან დღევანდლამდე მისი გონება გამძვინვარდა, უდაბნომ გული გაუმკაცრა და ჯერ კიდევ გრძნობდა ნათლისმცემლის ნაკვერჩხლებივით გიზგიზა ტუჩებს თავის პირთან. ინთებოდნენ და ქრებოდნენ მასში წინასწარმეტყველებანი, ღვთაებრივი, არაადამიანური შეძახილები გაისმოდა მის წიაღში და ხედავდა ღმერთის სამ ასულს – კეთრს, ცოფსა და ცეცხლს, რომლებიც ზეცას აპობდნენ და მიწაზე მოიწევდნენ.

როცა მთის წვერს მიაღწია და სასაუბროდ შეემზადა, მასში ძველი წინასწარმეტყველი აღდგა და შეჰყვირა:

- „არავინ იქნება დამაშვრალი მათ შორის, არც შებარბაცებული, არ ჩათვლემს, არ დაიძინებს, სარტყელი არ შეეხსნება ყელზე და ფეხსამოსის თასმები არ დაუწყდება. წამახული აქვს ტრები და ყველა მშვილდი მოზიდული აქვს; კაჟივითაა მისი ენის ფლოქვები და მისი ეტლის ბორბლები ქარიშხალია. მისი ღრიალი ლომის ღრიალია, ლომის ბოკვერებივით ბდღვინავს; მიღრიალებს და მსხვერპლს დაეცემა, გაიტაცებს და ვერავინ იხსნის.“

- და რომელია ეგ ლაშქარი? – შესძახა შიშით ერთმა ბერიკაცმა და ჭადარა თმა ყალყზე დაუდგა.

- რომელია ეგ ლაშქარი? იკითხავთ თქვენ ყრუ, ბრმა, უგუნური ადამიანები, - და იესომ ხელი ცისკენ აღმართა, - რომელია და ღვთის ლაშქარი, უბედურებო! შორიდან ღმერთის მებრძოლები ანგელოზებად მოჩანან, ახლოდან კი ცეცხლის ალს ჰგვანან. მეც ანგელოზები მეგონენ, ამ ზაფხულს, როცა აქ, ამავე ლოდზე ვიდექი, ანგელოზებად წარმოვისახე და გავიძახოდი: სიყვარული! სიყვარული-მეთქი! მაგრამ ახლა უდაბნოს ღმერთმა თვალები ამიხილა და ვიხილე: ცეცხლის ალია ისინი! მეტად ვეღარ მოგიტმენთო, ამბობს ღმერთი, ვისწრაფვი! გლოვა ისმის იერუსალიმსა და რომში, გლოვა ისმის მთებსა და სამარხებში. დედამიწა დასტირის თავის შვილებს. ჩემი ანგელოზები ჩამოდიან გადაბუგულ დედამიწაზე, სანთლით ეძებენ, მაგრამ სადღაა რომი? სადღაა იერუსალიმი? თითებით ნაცარს სინჯავენ და დაყნოსავენ: ეს იქნებოდა რომი, ამბობენ, აი, ეს კი — იერუსალიმი და ამ ნაცარსაც ქარს ატანენ.

- ხსნა არ არსებობს? — შეძრწუნებულმა შეჰყვირა სრულიად ახალგაზრდა დედამ, ხელში ჩვილი რომ ეჭირა, — ჩემ გამო არ გეკითხები, ჩემი ვაჟის გამო ვწუხვარ.

- არსებობს! – უპასუხა იესომ, – ღმერთი ყოველი წარღვნისას ერთ კიდობანს მოავლენს ხოლმე და შიგნით ეზიდება მომავალი სამყაროს საფუარს. კიდობნის გასაღები კი მე მომაბარეს!

- და ვინ გადარჩება მაგ საფუარისთვის? ვის გადაარჩენ? დრო მოგვეცემა თუ არა? – შესძახა ერთმა ბერიკაცმა და ქვედა ყბა აუცახცახდა.

- ჩემ წინაშეა სამყარო და მე გამოვარჩევ: ერთ მხარეს დგანან ისინი, ვინც განცხრომით ჭამეს და სვეს, მეტად მიეძალნენ ვნებას; მეორე მხარესაა მშვივრები და უსამართლოდ ჩაგრულები. მე მშვივრებსა და ჩაგრულებს ვირჩევ! ისინი იქნებიან ქვები, რომლითაც ავაშენებ ახალ იერუსალიმს!

- ახალ იერუსალიმს? – შესძახა თვალეზანთებულმა ხალხმა.

- დიახ, ახალ იერუსალიმს! მეც არ ვიცოდი ეს საიდუმლო, ღმერთმა გამანდო უდაბნოში, რომ მხოლოდ ცეცხლის შემდეგ დამკვიდრდება სიყვარული! ჯერ ეს სამყარო უნდა დაინაცროს და შემდეგ დარგავს ღმერთი თავის ახალ ვაჟს. ნაცარზე უკეთესი გამანოყიერებელი ნიადაგისთვის არაფერია!

- უკეთესი გამანოყიერებელი ნიადაგისთვის არაფერია! – ექოსავით გაისმა ჩახრენწილი, მაგრამ მხიარული ხმა.

იესო შეცბა, შებრუნდა. თითქოს მისი ხმა იყო, მაგრამ უფრო ბოხი და მხიარული. იუდა დაინახა და შეეშინდა: მისი სახიდან ნაპერწკლები ცვიოდა ისე, იფიქრებდით, უკვე შემოერთყა მომავალი ცეცხლის ალიო. მიეჭრა იესოს და ხელი გამოსტაცა:

- მოძღვარო, - ჩურჩულებდა უჩვეულო სინაზით, - ჩემო მოძღვარო...

იუდა ცხოვრებაში არასოდეს მოჰყრობია ასე სათუთად ადამიანს. დაიხარა – თითქოს რამე უნდა სთხოვსო, მაგრამ თავადაც არ იცოდა, რა უნდოდა. იქვე ფრინტა ამოსულიყო ნაადრევად, დასწვდა და ძირიანად ამოგლიჯა.

საღამოს, როცა იესო დაბრუნდა, კვლავ თავის სკამზე ჩამოჯდა ბუხრის წინ, მზერა ცეცხლს მიაპყრო და უეცრად იგრძნო, რომ მის წიაღში ღმერთი ჩქარობდა. მოცდა უკვე აღარ შეეძლო. მწუხარებამ, ამბოხმა და სირცხვილმა ერთად შეიპყრო იგი. დღეს ისევ ესაუბრა ადამიანებს, მათ ცეცხლოვანება მიმოაფრქვია, კეთილი მეზადურები და მიწათმოქმედები წამით შეშინდნენ, მაგრამ მაშინვე გონს მოეგნ, დამშვიდდნენ, ყველა ეს მუქარა ჩვეულებრივ ზღაპრად მოეჩვენათ და რამდენიმეს ბალახზე ტკბილად ჩაეძინა კიდეც, მისი ხმა კი იავნანად ჩაესმოდათ.

აღლევებული იყო, მდუმარედ შეჰყურებდა ცეცხლს. მაგდალინელი კუთხეში ჩამომდგარიყო და იესოს თვალს არ სწყვეტდა, მასთან ლაპარაკი ეწადა, მაგრამ ვერ ბედავდა. ქალის ხმა კაცს ხან რომ ამშვიდებს და ხანაც აცოფებს – იცოდა ეს მაგდალინელმა და ჩუმად იყო.

სიჩუმეს დაესადგურებინა. სახლში თევზისა და როზმარინის სურნელება ტრიალებდა. ეზოში გამავალი ფანჯარა ღია იყო, სადღაც იქვე ბუშმაღა აყვავებულიყო და ღამის ნიავს შემოჰქონდა მისი ტკბილ-მწარე სურნელება.

იესო ადგა, ფანჯარა მიხურა. მთელი ეს საგაზაფხულო სურნელები ცდუნების ორთქლი იყო და არა მისი სულის ქარი... სწრაფად გავიდეს დრო, რათა მის შესაფერის ქარს გაჰყვეს, ღმერთი ჩქარობდა.

კარი გაიღო და იუდა შემოვიდა. ლურჯი თვალები უციმციმებდა. შენიშნა, რომ მოძღვარი ცეცხლს მისჩერებოდა, მაგდალინელი ფეხზე იდგა, ზებედეს იქვე ჩასძინებოდა და ხვრინავდა, ჭრაქის ქვეშ კი მეკალმე იჯდა, ფურცელს კაწრავდა.. თავი გააქნია: ნუთუ ეს იყო მათი დიდი ლაშქრობა? ასე იწყებენ სამყაროს დაპყრობას? ერთი გონებაარეული, მეორე - მწერალი, მესამე კი - გზას გადამცდარი ქალია, აგრეთვე, რამდენიმე მებაღური, ერთიც მეწაღე, ერთი მოვაჭრე და კაპერნაუმელი უქნარა - ნუთუ ეს არის დიდი ლაშქარი? კუთხეში მიიყუჟა. მოხუც სალომეს სუფრა უკვე გაეწყო კიდეც და ყველანი მიიპატიჟა .

- არ მშია, - ამოიღრინა, - მეძინება! — და თვალები დახუჭა, რომ არავისთვის შეეხედა.

იუდას გარდა, ყველანი ვახშამს შემოუსხდნენ. ფარვანა შემოფრინდა ღია კარიდან, ჭრაქის ალს შემოუფრინა თუ არა, წამით შეჩერდა და იესოს დააფრინდა თმაზე, შემდეგ კი მთელ სახლში იწყო ფარვატი.

- დაუპატიჟებელი სტუმარი გვეწვია, - თქვა მოხუცმა სალომემ, - სიკეთე მოეტანოს!

იესომ პური დალოცა, გატეხა, დაანაწილა, უხმოდ შეექცეოდნენ, თუმცა მოხუც ზებედეს გაეღვიძა და ისიც სუფრას მიუჯდა, ველარ გაუძლო მდუმარებას, გული შეუღონდა :

474

- თქვით რამე, ხალხო, - წამოიძახა და მუშტი დაჰკრა სუფრაზე, - რა ხდება? მკვდარი ხომ არ გვისვენია წინ? არ გაგიათ, სადაც სამი-ოთხი კაცი ზის და ღმერთზე არ ლაპარაკობს, ქელეხში ჯდომას ნიშნავსო? ერთხელ ნაზარეთის მოხუცმა რაბინმა, ღმერთმა აცხონოს, მითხრა და დღემდე მახსოვს. ჰოდა. ილაპარაკე, მარიამის ძევ! კვლავ შემოიყვანე ღმერთი ჩემს ჭერ ქვეშ! ისე, ნუ მიწყენ, მარიამის ძეს რომ გეძახი, ჯერ კიდეც ვერ გამიგია, როგორ მოგმართო: ზოგი ხუროს ძეს გიწოდებს, ზოგი - დავითის ძეს, ზოგი ღმერთის ძეს, ზოგი კი ძეს კაცისა, ველარაფერი გავიგე. სამყაროსაც ვერ გადაუწყვეტია ჯერ, როგორც ჩანს.

- მოხუცო ზებედე, — მიუგო იესომ, — ღვთის ტახტრევნის გარშემო უთვალავი ფრთაშრილა ანგელოზია - ვერცხლისა და ოქროს ფრთები ასხიათ, მათი ხმა კი მორაკრაკე ნაკადულივითაა და უფალს ადიდებენ, ოღონდ კრძალვით და ვერც ერთი ანგელოზი ვერ ბედავს მიახლოებას, ერთის გარდა!

- და რომელია ის ერთი? - ჰკითხა ზებედემ და შეჟუჟუნებუ ლი თვალები გაუფართოვდა.

- დუმბილის ანგელოზი, – მიუგო იესომ და კვლავ გაჩუმდა.

მოხუც მასპინძელს ენა დაება, თასი ღვინით შეივსო და ერთ ყლუპად დაცალა.

„შეუცნობელია ეს ჩემი სტუმარი, - გაიფიქრა, - თითქოს სუფრასთან ლომი ზისო“. გაიფიქრა თუ არა, მაშინვე შიშმა შეიპყრო და წამოდგა:

- წავედი, ჩემს ბებრუხანა მეგობარს, იონას მოვინახულებ, ადამიანურად მაინც დავილაპარაკებთ, - თქვა და კარისკენ გასწია.

მაგრამ იმ წუთას ეზოდან მსუბუქი ნაბიჯების ხმა მოისმა.

- აჰა, სტუმარიც გვეწვია, – თქვა სალომემ და შესაგებებლად წამოდგა.

ყველამ მიიხედა. ზღურბლზე ნაზარეთის მოხუცი რაბინი იდგა.

როგორ დაბერებულიყო, გალეულიყო, მხოლოდ ძვლებიღა შერჩენოდა ტყავგადაკრული, იფიქრებდით - სული კბილით უჭირავსო და სადაცაა გაუსნლტებაო. ამ ბოლო დროს, მოხუც რაბინს ძილი აღარ ეკარებოდა და თუ მაინც ჩათვლემდა ხოლმე, ისიც გამთენიისას, ერთ უცნაურ სიზმარს ხედავდა, სულ ერთსა და იმავეს: ანგელოზებსა და ცეცხლს და იერუსალიმს, რომელიც დაჭრილ მხეცს მოჰგავდა, სიონის მთაზე შემომდგარიყო და ღრიალებდა. აი, გუშინწინაც, გარიჟრაჟზე, ისევ ნახა ეს სიზმარი, ვეღარ მოისვენა, ადგა, შინიდან წავიდა, მინდვრები გადაიარა, ესდრაელონის დიდი ველიც განვლო და კარმელის ღვთაებრივი მთა აღემართა წინ. ელია წინასწარმეტყველი იქნებოდა აუცილებლად ამ მთის წვერზე შემომდგარი. იცოდა, რომ იქ, მწვერვალზე სამი მაღალი ლოდი ეგდო, სამსხვერპლოდ გამოსადეგი და გარშემო სულ ძვლები, რქები და შიგნეულობა ეყარა... მაგრამ მოხუცი რაბინი როგორც კი ამ ადგილს მიუახლოვდა და შეხედა, შეჰყვირა: ეს ლოდები კი არ იყო, სამი დევკაცი იდგა მთის წვერზე, თოვლივით თეთრი სამოსი ეცვათ, სახეები კი გაცისკროვნებოდათ. შუაში მარიამის ძე – იესო იდგა, მისგან მარცხნივ - ელია წინასწარმეტყველი, რომელსაც ხელის გულზე გიზგიზა ნაკვერჩხლები უჩანდა, მარჯვნივ კი მოსე, ხელში ორი ფირფიტით – ცეცხლის ასოებამოტივფრულით.

რაბინი მათ წინ პირქვე დაემხო: „ადონაი! ადონაი!“ - ბუტბუტებდა და ცახცახებდა. იცოდა, რომ არც ელია და არც მოსე არ მომკვდარან, უფლის საზარელ დღეს ისინი კვლავ გამოჩნდებოდნენ დედამიწაზე, ბოლო ჟამის მაუწყებლად. და აჰა, გამოჩნდნენ, რაბინი ცახცახებდა. თავი ასწია, რომ ეხილა ამ ბინდში სამი ვეება ლოდის ელვარება.

უკვე მრავალი წელია, რაც რაბინი წმინდა წერილს დასტრიალებს, იაჰვეს მონაბერს ისუნთქავს, რათა ხილულთა და უხილავთა მიღმა ჰჰოვოს ღვთის დაფარული არსი, რომელსაც ახლა ჩაწვდა და შეიცნო: თავისი სამღვდლო კვერთხი აიღო, რანაირად მოიკრიბა ამდენი ძალა ამ გალეულმა სხეულმა და მოვლო ნაზარეთი, კანა, მაგდალა, კაპერნაუმი, მარიამის ძეს დაეძებდა ყველგან. გაიგო, რომ იუდეის უდაბნოდან დაბრუნებულიყო და მის ნაკვალევზე სიარულისას, მთელ გალილეაში იხილა რაბინმა, როგორ თხზავდნენ მიწათმოქმედნი და მეზადურები მითებს ახალ წინასწარმეტყველზე – მით უმეტეს, იმაზე, თუ რა სასწაულები ჩაედინა, რა სიტყვები წარმოეთქვა, რომელ ლოდზე შემდგარიყო სალაპარაკოდ და მერე ეს ლოდი რომ

გაყვავილებულა. გზაზე ერთ ბერიკაცს შეხვდა, გამოჰკითხა, მან კი ხელები ცისკენ აღმართა:

- ბრმა ვიყავი, მხოლოდ ერთხელ შემახო ხელი თვალებზე და სინათლე დამიბრუნა! ნურავის ეტყვიო – გამაფრთხილა, მაგრამ მე მაინც სოფელ-სოფელ დავდივარ და ამ ამბავს ვყვები.

- ახლა სად არის, შეგიძლია გზა მიმასწავლოო? — სთხოვა.

- ზებედე-ბატონის სახლში დავტოვე, კაპერნაუმში. იჩქარე რომ მიუსწრო, სანამ ცას წასულა, — უპასუხა.

ამასობაში, დაღამდა კიდეც. რაბინმა თავს ძალა დაატანა, რომ წყვილიაღში მიეგნო ზებედეს სახლ-კარისთვის. და როცა შიგნით შევიდა, მოხუცი სალომე მისასალმებლად შეეგება.

- სალომე, – მიმართა შემოსწრებულმა და ზღურბლს გადააბიჯა, — მშვიდობა შენს სახლს! აბრაამისა და ისააკის მადლი გფარავდეთ მასპინძლებს! - შებრუნდა, იესო რომ დაინახა, თვალთ დაუბნელდა.

- მრავალი ჩიტი მოფრინავს და შენს ამბებს მაუწყებენ. უმძიმესი და უგრძესი გზა აირჩიე, შვილო ჩემო. ღმერთი იყოს შენთან!

- ამინ! — დაფიქრებით მიუგო იესომ რაბინს. მოხუცმა ზებედემ გულზე ხელი დაიდო თავაზიანად და მიესალმა;

- რა ქარმა გადმოგაგდო ჩვენკენ, რაბი? – ჰკითხა.

მაგრამ რაბინმა არა მიუგო რა, ვერც კი გაიგონა. ცეცხლის პირას ჩამოჯდა. დაღლილს სციოდა, შიოდა, მაგრამ ჭამის თავი აღარ ჰქონდა. ორი-სამი გზა იშლებოდა მის წინ, მაგრამ არ იცოდა, რომელი აერჩია... რატომ მოვიდა? იმისთვის, რომ თავისი ხილვა იესოსთვის მოეყოლა? და თუ ეს ხილვა ღმერთისაგან არ იყო, მაშინ? მოხუცმა რაბინმა უწყობდა, რომ ცდუნებას შეუძლია ღმერთის სახით მოვევლინოს და დააბნიოს ადამიანი. თუ იესოს განუცხადებს, რაც იხილა, ვაითუ ამპარტავნობის დემონმა შეიპყროს მისი სული, აი, მაშინ კი დაილუპება და რაბინის კისერზე იქნება ეს ცოდვა. იქნებ არც განუცხადოს ეს საიდუმლო და უბრალოდ, სადაც კი წავა, ყველგან გაჰყვას? მაგრამ განა სწორი იქნება, რომ ნაზარეთის მოხუცი რაბინი ამ გამბედავ მეამბოხეს გაჰყვას, რომელიც იმას იჩემებს — ახალი რჯული მომაქვსო? განა თავად არ იხილა, გზად მომავალმა, რომ მთელ კანას რჯულის საწინააღმდეგო მისი სიტყვები ეკერა პირზე? ამბობდნენ, წმინდა შაბათი იყო, იესო ყანაში მიდიოდა და დაინახა კაცი, მინდორში მომუშავე, თხრილებს კვალავდა ბაღის მოსარწყავად: „ადამიანო! — გასძახა, - თუ იცი, რასაც სჩადი, სიკეთე შენდა! მაგრამ თუკი არ იცი, წყეულიმც იყავ, რადგან რჯულის კანონს არღვევ“. მოხუცი რაბინი ადგილზე გაშეშდა ამის გაგონებაზე. „საშიშია ეს მეამბოხე, – გაიფიქრა, — დიდი სიფრთხილე გმართებს, სვიმეონ, ამ სიბერეში არ წარიწყმიდო სული“.

იესო მიუახლოვდა და გვერდით მიუჯდა. იუდა იატაკზე გაწოლილიყო და თვალები დაეხუჭა; მათე ამოჩემებულ ადგილზე — ჭრაქის ქვეშ იჯდა, ხელში კალმით

და იცდიდა; მაგრამ იესოს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ცეცხლს დაჰყურებდა, შემას თანდათანობით ფერფლად რომ აქცევდა და გრძნობდა, რომ მის გვერდით მოხუცი რაბინი ისე ცმუკავდა, თითქოს კიდეც გზას უნდა დაადგესო.

ამასობაში, დიასახლისმა რაბინს ლოგინი გაუშალა მოსასვენებლად - მოხუცი ადამიანია, ფუმფულა ლეიბი და ბალიში ეამებაო. გვერდით წყალიც მიუდგა თუნგივით, ღამით რომ მოსწყურებოდა... ზებედე მიხვდა, რომ ახალ სტუმართან საუბარს ვერ გააბამდა, თავის ხელჯოხს დაწვდა და იონასთან გაეშურა, რათა მშვიდად ამოესუნთქა, რაკი მის სახლში ლომები დაბინადრებულიყვნენ. მაგდალინელი სალომეს გაჰყვა, რათა იესო და რაბინი მარტო დაეტოვებინა. მიხვდა, რაღაც მძიმე საიდუმლოზე უნდა ესაუბრა ამ ორს.

თუმცა ისინი კარგა ხანს უხმოდ ისხდნენ. იცოდნენ, სიტყვებს რომ არ ძალუძდათ მათი გულების შემსუბუქება. მხოლოდ ღუმილი ანიჭებდათ შვებას და აი, ღუმდნენ კიდეც. დრო თვალსა და ხელს შუა გაიჰარა. მათეს, კალმით ხელში, ჩაეძინა. ზებედეც რომ გული იჯერა იონასთან მასლაათით, დაბრუნდა შინ და თავისი დედაბრის გვერდით დაიძინა. შუალამე იყო, რაბინმაც რომ იკმარა ღუმილი და წამოიმართა:

- გვიანია უკვე, თანაც ვთქვით, რაც უნდა გვეთქვა, იესო, დანარჩენზე ხვალ ვისაუბროთ! — თქვა წყნარად და ლოგინისკენ წალასლასდა.

მზე კარგა ხნის ამოსული იყო, უკვე შუადღე ახლოვდებოდა, მოხუც რაბინს კი თვალები ჯერაც არ გაეხილა. იესო ტბის სანაპიროსკენ წასულიყო და მეთევზეებს ესაუბრებოდა. იონას ნავზე ავიდა, თევზაობაში რომ წაშველებოდა. იუდა კი მეძებარი ძაღლივით დაძრწოდა მარტოდმარტო.

სალომემ დახედა რაბინს, დააკვირდა - ხომ სუნთქავსო. გული რომ დაიიმედა, დიდება შენდა, ღმერთოო – წაიბუტბუტა და ფეხაკრეფით გაცლას აპირებდა, რომ სწორედ ამ დროს მოხუცმა რაბინმა თვალები გაახილა, მიხვდა, დიასახლისი რასაც შეეწუხებინა და კეთილად გაუღიმა:

- ნუ გეშინია, სალომე, - უთხრა, - არ მოვმკვდარვარ. ჯერ სიკვდილის უფლება არ მოუნიჭებიათ ჩემთვის!

- დავბერდით — სინანულით უჰასუხა სალომემ, — დრო თავისას შვება ორივენი დავბერდით, ცხოვრებას დავშორდით და ღმერთს მივუახლოვდით. არავინ იცის, რა დროს და რა წამს მოგვაკითხავს არსთა გამრიგე, მაგრამ მგონი, შესცოდე, ახლახან რომ თქვი, სიკვდილის უფლება ჯერ არა მაქვსო...

- დიახ, ჯერ სიკვდილი არ შემიძლია, ჩემო სალომე, - დაიჩემა რაბინმა, - ისრაელის ღმერთმა გამანდო: სვიმეონ, ისე არ მოკვდები, რომ მესია არ იხილოო!

მაგრამ როგორც კი ეს სიტყვები დაასრულა, მყისვე თვალები გაუფართოვდა. ეგებ მესია უკვე იხილა და სწორედ იესოა იგი? ეგება, კარმელის მთის ხილვა ღმერთისაგან იყო მოვლენილი? და თუ ასეა, მისი სიკვდილის ჟამიც დამდგარა. ცივმა ოფლმა დაასხა. ვერ მიმხვდარიყო, გახარებოდა თუ წუხილს მისცემოდა. მისი სული სიხარულით იყო სავსე: მესია მოვიდა! მაგრამ დაუძლოურებულ სხეულს სიკვდილი

მაინც არ ეწადა... ძლივძლივობით წამოეგა, ზღურბლთან მიბარბაცდა, ჩამოჯდა, მზეს მიეფიცნა და ფიქრმა წაიღო.

მოსაღამოვებულზე, დაღლილ-დაქანცული იესოც დაბრუნდა. მთელი დღე მოხუც იონას ეხმარებოდა, თევზით ნავი პირამდე ამოუვსო. იონამ მადლობის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ ამოთქვა - იდგა გაოცებული, მოსხმარტალე თევზებს შორის, უყურებდა იესოს და იცინოდა.

იმავე საღამოს მოწაფეები ახლომახლო სოფლებიდან დაბრუნდნენ. იესოს შემოუსხდნენ და უყვებოდნენ, რა იხილეს, რა გარდახდათ თავს: რომ მუშაკებსა და მეთევზეებს უქადაგეს უფლის დღის მოწევნა, რომ საგანგებოდ იმკაცრებდნენ ხმას, რათა შეეშინებინათ, თუმცა ისინი მსვიდად უსმენდნენ, ბადეებს აკერებდნენ, ბოსტნებს მარგლავდნენ, შიგადაშიგ თავს გააქნევდნენ, იტყოდნენ: „ვნახოთ... ვნახოთ...“ - და მათს საუბრებს როგორღაც თავს არიდებდნენ.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, სამმა მოციქულმაც მოაღწია. იუდა კი ამ დროს მდუმარედ იჯდა მოშორებით, მაგრამ მათი დანახვისას, სიცილი აუტყდა.

- ეს რა დაგმართნიათ, მოციქულებო? - შესძახა, - მიგბეგვეს, თქვე საცოდავებო?

და მართლაც, პეტრეს მარჯვენა თვალი დასიებოდა, იოანესთვის ლოყები დაეკაწრათ, იაკობი კი კოჭლობდა.

- მოძღვარო, - თქვა პეტრემ და ამოიოხრა, - დიდი ტვირთია ღმერთის სიტყვა, ძალიან დიდი ტვირთია!

ყველამ გაიცინა, მაგრამ იესომ მათ ფიქრიანი მზერა მიაპყრო.

- გვცემეს, - განაგრძობდა პეტრე, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, ყველაფერი ამოეთქვა და გული მოეოხებინა, - თავიდან ვიფიქრეთ, ყველა ჩვენ-ჩვენს გზას დავადგეთო, მაგრამ მერე მარტო წასვლისა შეგვეშინდა, ისევ შევიყარეთ და სამივენი ერთად ვქადაგებდით. მე ლოდზე ან ხეზე შევხტებოდი სოფლის შუა მოედანზე, ტაშს შემოვკრავდი ან თითებს პირთან მივიტანდი და ჩავსტვენდი, და ხალხიც ასე გროვდებოდა. სადაც ბევრი ქალი იყო, იქ იოანე ლაპარაკობდა. აი, სწორედ მაგიტომ აქვს ლოყები ჩამოხოკილი. სადაც კაცები ჭარბობდნენ, იქ კიდევ იაკობი წარდგებოდა, საგანგებოდ ხმადაბოხებული, და ამიტომაც ჩაეხრინწა და როცა აღარ შეეძლო გაეგონებინა, მერე მე ვლაპარაკობდი. რას ვამბობდით? იმავეს, რასაც შენ ამბობ ხოლმე, მაგრამ პასუხად დამშალ ხილს გვესროდნენ, დაგვცინოდნენ, იმიტომ რომ, მათი თქმით, თურმე სამყაროს აღსასრული ჩვენ მოგვაქვს... თავს გვესმოდნენ, ქალები ფრჩხილებით გვკაწრავდნენ, კაცები კი მუშტებს გვიქნევდნენ... აი, რა დაგვემართა!

იუდა ისევ ხმამაღლა იცინოდა, მაგრამ იესო მიუბრუნდა, მწყურალად შეხედა და ისიც მყისვე ჩაჩუმდა.

- ვიცოდი, - მიმართა შეღონებულ მოციქულებს, - რომ თქვენ ცხვრებივით გგზავნით მგლების ხროვაში, შეურაცხყოფდნენ, ჩაგქოლავდნენ, უმსგავსოებად მოგნათლავდნენ, იმიტომ რომ უმსგავსონი თვითონ არიან. ცილს დაგწამებდნენ, რომ

სარწმუნოების, ოჯახისა და სამშობლოს წარწყმედა გინდათ, მაგრამ ჩვენი რწმენა უფრო წმინდაა, ჩვენი ოჯახი უფრო - დიდი, ჩვენი სამშობლო კი - მთელი სამყარო! მტკიცედ დადექით, მეგობრებო! დაემშვიდობეთ პურს, სინარულს და კეთილდღეობას! ომში ჩავებით!

ნათანიელი შებრუნდა ფილიპესკენ და მშფოთვარე მზერა მიაპყრო, მაგრამ მან თვალი ჩაუკრა, თითქოს მიანიშნა - ნუ გეშინია, ასე იმისთვის ამბობს, რომ ჩვენ გამოგვცადოსო...

რაბინი ისევ თავის ლოგინზე მისვენებულიყო. დაუძლურებულს გონების თვალი ფართოდ გაეხილა, ყველაფერს ხედავდა და უსმენდა, ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნდა და სიმშვიდე დაეუფლა. მასში რაღაცა ხმამ იმძლავრა. ვისი იყო? ნუთუ თავისი ხმა იყო ან იქნებ ღმერთისა? ეგებ ორივესიც კი! მოუწოდებდა: „სვიმეონ, გაჰყევ, ყველგან გაჰყევ, სადაც კი წავა!“.

პეტრე ისევ საუბარს აპირებდა, რომ გული მოეოხებინა და სხვა ამბებიც მოეყოლა, მაგრამ იესომ ხელით ანიშნა და უთხრა:

– საკმარისია!

წამოდგა. თვალწინ დაუდგა უტიფარი და სისხლმდინარი იერუსალიმი – შემართული სასოწარკვეთის მწვერვალზე, საიდანაც იწყება ხოლმე სასობა და იმედი. კაპერნაუმი გაქრა – ისიც, კეთილი მეთევზენიც და მიწათმოქმედნიც ტბამ შთანთქა. ზებედეც სახლი დავიწროვდა, კედლები ერთმანეთს ისე მიუახლოვდნენ, თითქოს შენივთნენ. იხრჩობოდა. კარისაკენ გაექანა და ერთბაშად გამოაღო.

ნეტა აქ რას უზის?! ჭამს, სვამს, ქალები მზრუნველობენ, ცეცხლს უნთებენ, რომ არ შეცივდეს, დილა-საღამოს სუფრას უშლიან და თევზაობაში გაჰყავს დრო... რატომ? ნუთუ ასე გამოიხსნის ამ სამყაროს? რა სამარცხვინო საქციელია!

ეზოში გავიდა. თბილი, სურნელოვანი ნიავი ქროდა, ღამის ყელსა და მკლავებზე ვარსკვლავები თილისმებად ქანაობდნენ, მის ფეხქვეშ კი მიწა აფუებულებოდა, თითქოს უთვალავ ჩვილს ძუძუ უნდა მოაწოვოსო.

სამხრეთისაკენ იქცია პირი, წმინდა იერუსალიმისაკენ. ისე გაფაციცებით უგდებდა ყურს, იფიქრებდით, ამ უკიდევანო წყვილიაღმის მისი სახე — ის სისხლმდინარი კლდეები უნდა დაინახოსო. შეძრწუნებული და სასოწარკვეთილი, გონებით მდინარეებზე, მთებსა და მინდვრებზე მიმოდიოდა და ის იყო, წარმოესახა, თითქოს წმინდა ქალაქს უნდა მიახლებოდა, უეცრად იგრძნო – ეზოში, იმ დაკვირვებული ნუშის ხის ძირში როგორ შეტორტმანდა ვეება ჩრდილი და ღამის ამ მყუდროებაში ცხადად შეიცნო მისი ღრმა ამონასუნთქი. აღარ შეშინებია. რა ხანია შეეგუა ამ ხმას. მხოლოდ მოლოდინად იქცა და ნუშის ძირშივე მშვიდი, მბრძანებლური ხმა გაისმა:

- წავედით!

შეშფოთებული იოანე ეზოში გამოვიდა. თითქოს მასაც რაღაც მოესმა.

- მოძღვარო, - წაიჩურჩულა, - ვის ელეპარაკები?

მაგრამ იგი სახლში შევიდა, კუთხეში მიღებული თავისი სამწყემსო ჯოხი აიღო და თქვა:

– მეგობრებო, დროა! წავედით!

კარისაკენ ისე გაემართა, ერთხელაც არ მიუხედავს, რათა ენახა, ვინმე მაინც თუ მიჰყვებოდა.

მოხუცი რაბინი ლოგინიდან მარდად წამოხტა, ქამარი მჭიდროდ შემოიჭირა, სამღვდლო კვერთხი აიღო და გასძახა:

- მეც შენთან ერთად მოვდივარ, შვილო! — და პირველი მივიდა კართან.

მოხუცი სალომე ხელსაქმეს აყოლებდა გულს. იგუმანა რაც ხდებოდა, საქსოვი სკივრში შეინახა და განაცხადა:

- მეც მოვდივარ, - მერე ქმარს დაუბარა - ზებედე, გასაღებს გიტოვებო და მშვიდობა უსურვა.

გასაღები ქამრიდან ჩამოიხსნა და სახტად დარჩენილ ქმარს გადასცა. თავშალი საგულდაგულოდ მოიხვია. თავის, ამდენი ხნის ნაშრომ-ნაამაგარს თვალი მიმოავლო, თავი დაუკრა, გამოემშვიდობა. გული ოცი წლის ასულივით უცემდა. ბედნიერი და მღუმარე მაგდალინელიც მყისვე წამოდგა.

მოწაფეებიც წამოიმართნენ, ერთმანეთით მხნევდებოდნენ და სიმამაცე ემატებოდათ.

- საით მივდივართ? - ჰკითხა თომამ და საყვირი ქამარში გაიჩარა.

- კი, მაგრამ ამ დროს? რატომ ვჩქარობთ? ხვალინდელი დღეც ხომ გათენდება? - იკითხა ნათანიელმა და უჟმურად შეხედა ფილიპეს.

მაგრამ იესოს უკვე ეზო გადაეკვეთა და სამხრეთის გზას დასდგომოდა.

XXV

და შეიძრა საძირკველი სამყაროსი, ვინაიდან ადამიანის გული შეიძრა. გაეთელა იგი ფეხქვეშ ლოდების გროვას – სახელი მისი იერუსალიმ, გაეთელა წინასწარმეტყველებებსა და მესიის მოსვლებს, ანათემებს, ფარისევლებსა და სადუკეველთ, მაძღარ მდიდრებს და მშიერ ღარიბებს და ღმერთ იაჰვეს, წვერ-ულვაშიდან უფსკრულამდე რომ სდიოდა კაცთა მოდგმის სისხლი უკუნითი უკუნისამდე. რომელი მხრიდანაც კი უნდა მიახლებოდი, იგი მაინც ღრიალებდა, იმუქრებოდა: კეთილ სიტყვას ეტყოდი და მუშტს შემართავდა, ხორცი მინდაო – შეჰყვირებდა. და თუკი მსხვერპლად შესწირავდნენ ცხვარს ანდა ახალშობილ ძეს, – არ მჭირდებაო მე ეგ ხორცი – შესძახებდა, - სამოსს ნუკი შემოიფლეთო, გულები შემოიფლითეთო, ხორცი სულად იქცითო, სული კი – ლოცვად და ჰაერში მიმოფანტეთო.

ადამიანის გულიც ფეხქვეშ გაეთელა ებრაელთა რჯულის ექვსას სამეტ დაწერილ და ათასობით დაუწერელ მცნებას. „დაბადება“, „ლევიტელთა“, „რიცხვთა“, „მსაჯულთა“ და „მეფეთა“ ქვეშ გათელილიყო იგი, ადგილიდან ვედარ იძვროდა.

და უეცრად, ყველაზე უფრო მოულოდნელ ჟამს, ნაზმა სიომ დაჰბერა, მაგრამ არა ციდან, არამედ ქვემოთ – მიწიდან და ადამიანის გულის უკლებლივ ყველა ფოთოლი შეარხია. და მაშინვე დაიბზარა, გადაიხარა და ნგრევა იწყო — ჯერ შიგნით, გულში, შემდეგ ტვინში, შემდეგ კი ზემოთ, დედამიწაზე, ნგრევა იწყო ვებერთელა ლოდების გროვამ – სახელი მისი იერუსალიმ, წინასწარმეტყველებებმა და ანათემებმა, ფარისევლებმა, სადუკევლებმა, „მსაჯულთა“ და „მეფეთა“ და მიუკარებმა იაჰვემაც კვლავ მოირგო შემოქმედის წინსაფარი, მოიმარჯვა თარაზო და საზაზავი, დედამიწაზე ჩამოვიდა, რათა ახლა მას დაენგრია გარდასული და აწ უკვე ადამიანებთან ერთად აეგო მომავალი, ხოლო ამის ქმნა უპირველესად, იერუსალიმს აღმართული, ებრაელთა ტაძრით დაიწყო.

იესო ყოველდღე მიდიოდა ტაძართან, სისხლით მოკირწყლულ ფილაქანზე მიმოდის, უყურებდა ამ გადატვირთულ ტაძარს და გრძნობდა, როგორ გამეტებით ურტყამდა მისი გული და ნანგრევებად აქცევდა ტაძარს, თუმც იგი მაინც ფეხზე იდგა, მზეზე ბრწყინავდა — გვირგვინოსან, ოქროსრქებიან ხარს მოჰგავდა. თეთრი მარმარილოთი იყო ნაგები და ლაჟვარდოვანი ორნამენტებით შეემკოთ მისი კედლები, რომლებიც ისე აღმართულიყვნენ, იფიქრებდით, ეს ტაძარი აბობოქრებულ ზღვაში ცურავსო. მის ფერხით კი სამი ტერასა გაწოლილიყო: ყველაზე ფართო, ქვედა ტერასა კერპთაყვანისმცემელთათვის იყო განკუთვნილი, შუა ტერასა – ისრაელის ხალხისათვის, ზედა კი - ოცი ათასი ლევიტელისთვის, რომლებიც ტაძარს ხეხავდნენ, აკრიალებდნენ, ანთებდნენ, აქრობდნენ საკმევებს და მერე ფერფლისგან ასუფთავებდნენ... ტაძრის შიგნით დღედაღამ იწვოდა შვიდი სახის გუნდრუკ-საკმეველი და ისეთი კვამლი იდგა, შვიდი მილის მოშორებითაც კი გრძნობდნენ თხები და აცემინებდნენ.

იმ უბრალო კიდობანმა, მათ მომთაბარე წინაპრებს უდაბნოში რომ გადაჰქონდათ და რომელშიც რჯულს ინახავდნენ, სიონის ამ მწვერვალზე მოაღწია, ფესვები გაიდგა, ტანი აიყარა, კვიპაროსის ხით, ოქროთი და მარმარილოთი შეიმოსა და ტაძრად იქცა. თავიდან უდაბნოს ველური ღმერთი უარს ამბობდა ნაგებობაში შესულიყო და იქ დაფუძნებულიყო, მაგრამ ისე მოეწონა იკაროსის ხის სურნელება, საკმევლისა თუ შენაწირი ქონის სურნელი, რომ ერთ დღესაც შიგნით შევიდა და დასახლდა.

ორი მთვარე მილეულიყო იმ დღიდან, რაც იესომ კაპერნაუმი მიატოვა და აქ ჩამოვიდა. ყოველდღე მიდიოდა ტაძართან, დადგებოდა მის წინ და უყურებდა. და ყოველდღე ასე ეგონა, რომ პირველად ხედავდა ტაძარს, თითქოს ყოველ დილას ელის, დანგრეული დახვდეს იგი, რათა ფეხით შედგეს და ზედ გადაიაროს. მას არაფერში სჭირდებოდა ეს ტაძარი, არც აშინებდა, მის გულში უკვე დანგრეულიყო კიდევ იგი. ერთ დღეს კი, როცა მოხუცმა რაბინმა ჰკითხა - რატომ არ შედიხარ, რომ ილოცო, თავი გააქნია და უპასუხა:

- წლების განმავლობაში ტაძრის გარშემო დავდიოდი, ვუტრიალებდი, ახლა ტაძარი დადის ჩემ ირგვლივ.

- მკრეხელობას ამბობ იესო, - შეეპასუხა მოხუცი და თავი მხრებში ჩამალა, - არ გეშინია?

- ვამბობ „მე“, - მიუგო იესომ, - და ამ დროს ეს სხეული კი არ საუბრობს, მიწა იგი; მარიამის ძე კი არ საუბრობს, ისიც მიწაა, რომელსაც მხოლოდ პაწაწინა ნაპერწკალი აქვს ცეცხლისა; ჩემს ბაგეთაგან წარმოთქმული „მე“ ღმერთს ნიშნავს!

- კიდევ უფრო საზარელი მკრეხელობაა ეს! — შესძახა რაბინმა და სახეზე ხელები აიფარა.

- მე ვარ წმინდა მკრეხელი, არ დაგავიწყდეს! — მიუგო იესომ და გაიცინა.

ერთ დღეს შენიშნა, რომ მისი მოწაფეები ამ ქედმაღალნა გებობას მოწიწებით შესცქეროდნენ და გაბრაზდა:

- ნუთუ გაოცებთ ეს ტაძარი? — ჰკითხა დაცინვით, - აბა, - ამდენი წელი დასჭირდა მის აგებას? მთელი ორმოცდაექვსი წელიწადი, თანაც ათი ათასი მუშა აგებდა... აი, მე კი შემოძლია სამ დღეში დავანგრეო იგი! კარგად შეხედეთ, უკანასკნელად ხედავთ ამ ტაძარს, გამოემშვიდობეთ, რადგან მისგან ერთი ლოდიც კი არ დარჩება!

შეშინებულმა მოწაფეებმა უკან დაიხიეს: მოძღვარს გონება ხომ არ არევია? ამ ბოლო დროს, რაღაც ძალიან უცნაური და უკმეხი გახდა... და ჯიუტიც... რაღაცნაირმა შეუცნობელმა, უცნაურმა ქარებმა დაჰბერეს და წარიტაცეს იგი: ხან ამომავალი მზესავით უბრწყინავს სახე და მის გარშემო ყველაფერი იღვიძებს ამ დროს, ხან კი წყვდიადს ემსგავსება და თვალები სასოწარკვეთით აქვს აღსავსე.

- მოძღვარო, — შეჰბედა იოანემ, — არ გენანება?

— რა?

- ტაძარი! რატომ უნდა დაანგრეო?

— იმისათვის, რომ ახალი ავაშენო! სულ სამ დღეში ავაგებ ახალს, მაგრამ მანამდე, ჯერ ეს უნდა ჩამომეცალოს ადგილიდან.

ხელში ფილიპეს ნაჩუქარი სამწყემსო ჯოხი ეკავა და ფილაქანს ურტყამდა. ახლა მის სახეზე რისხვის ქარი ქროდა... უყურებდა ფარისევლებს, რომლებიც კედლებს ბორძიკ-ბორძიკით მიჰყვებოდნენ და ეხლებოდნენ, თითქოს ღმერთის მეტისმეტი ბრწყინვალეობა თვალს სჭრითო:

- მლიქვნელებო! - შეჰყვირა მათ, - ღმერთმა დანა რომ ჩაგცეთ გულში და გაგიფატროთ, იქიდან მხოლოდ გველები და მორიელები და სიმყრალე ამოცვივდება.

ფარისევლებმა გაიგონეს, გაცოფდნენ და მყის გადაწყვიტეს, რომ დამიწებინათ ეს თავხედი.

მოხუცმა რაბინმა იესოს პირზე ხელი ააფარა, გააჩუმა...

- შენ რა, მართლა სიკვდილს მიელტვი? – უსაყვედურა ერთ დღეს და თვალები ცრემლით აევსო, – მწიგნობარნი და ფარისევლები პილატესთან დადიან და შენს მოკვლას მოითხოვენ, ნუთუ არ იცი?

- ვიცი, რაბი, – უპასუხა იესომ, – ვიცი მაგრამ კიდევ სხვა რამეებიც ვიცი, ძალიან ბევრი...

თომას უბრძანა, საყვირისთვის ჩაებერა, როგორც სჩვეოდა. თვითონ კი სოლომონის სტოაში, ერთ სხვენზე ავიდა და ქადაგებას მოჰყვა:

- დადგა უფლის დღე! უკვე დადგა!

სულ ასე გაჰყვიროდა, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, თითქოს ზეცას აიძულეებს გაიხსნას და ცეცხლის ალები გადმოუშვასო, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ყოვლისშემძლე ჯადო არის ადამიანის ხმა: ცეცხლს მოუხმობ, წყალს მოუხმობ, ჯოჯოხეთსა და სამოთხეს მოუხმობ „მოდის!“ და ისიც მოდის. სწორედ ასე მოუხმობდა იგი ცეცხლს, რადგან მას უნდა განეწმინდა ეს სამყარო, ის გაუხსნის გზას სიყვარულს. და სიყვარულიც ნაცარს მიელტვის, სიხარულით დააბიჯებს ხოლმე მასზე...

- მოძღვარო, - შეჰბედა ერთ დღეს ანდრიამ, – რატომ აღარ იცინი, რატომ აღარ გიხარია უწინდებურად? სულ რატომ ბრაზობ?

მან არაფერი უპასუხა. ანკი, რა უნდა ეთქვა, ანდრიას კეთილი გული რას ჩასწვდებოდა? როგორ მიხვდებოდა, რომ ეს სამყარო ძირფესვიანად ამოსაძირკვი იყო, რათა ახალი აღმოცენებულიყო...

- ძველი რჯული უნდა მოისპოს და მე მას მოვსპობ! გულის ფირფიტებზე კი ახალი რჯული უნდა ამოიკაწროს, მე ვიზამ ამას! რჯულს განვაჯრცობ, რომ მტერ-მოყვარე დაიტიოს, იუდეველები და კერპთაყვანისმცემლები შეარიგოს და აყვავდეს ათი მცნება. სწორედ ამისთვის მოვედი აქ, იერუსალიმს, აქ გაიხსნება ზეცა! და რა ჩამოვა ციდან? ან დიდი სასწაული და ან სიკვდილი! რასაც ღმერთი ინებებს! მე იმისთვისაც მზად ვარ - ავმალდე და იმისთვისაც, რომ ჯოჯოხეთში ჩავინთქა. იყავნ ნება შენი, უფალო!

პასექის დღესასწაული ახლოვდებოდა. იუდეის მკაცრ მიდამოს მოულოდნელი, საგაზაფხულო სითბო მოეფინა, საზღვაო და სახმელეთო გზები გაიხსნა და მლოცველებიც მოდიოდნენ ებრაული სამყაროს ოთხივე კიდიდან; ხოლო ტაძრის ტერასებს კი დასაკლავი ცხოველების ბლავილი, ნეხვისა და ადამიანთა ჭუჭყის სუნი მოსდებოდა.

სოლომონის სტოასთან ამ დღეს უამრავი უპოვარი, ლატაკი და ხეიბარი მოგროვილიყო — შიმშილისაგან გამოღუული, ფერმკრთალი სახეები ჰქონდათ, თუმცა თვალები უელავდათ. შურით უმზერდნენ კარგადნაკვებ სადუკეველებს, მდიდარ, უდარდელ ბატონებსა და ოქროსსამკაულებასხმულ ქალებს.

- აბა, როდემდე იხარხარებთ? – წამოიღრინა ერთმა, – მალე გამოვჭრით ამათ ყელს. ასე თქვა მოძღვარმა: ღარიბები დახოცავენ მდიდრებს და მათ ქონებას გაინაწილებენო.

- არასწორად გაგიგია, მანასე, - შეეკამათა ერთი ფერმკრთალი კაცი, თვალები და თმა ცხვრისას რომ მიუგავდა, - არ იარსებებენ მდიდრები და ღარიბები, ყველანი ერთნი ვიქნებით, აი, ამას ნიშნავს ცათა სასუფეველი!

- ცათა სასუფეველი რომაელთა განდევნას ნიშნავს! - წამოენტო ერთი ახმახი, – რომაელებთან ერთად ცათა სასუფეველი ვერ იქნება!

- შენ ვერაფერი გაგიგია მოძღვრის სიტყვებიდან, აარონ, - თქვა ერთმა ასაკოვანმა კურდღლისტუჩა კაცმა და გაქუცული თავი გააქნია, - არ არსებობს განსხვავება ისრაელიტებსა და რომაელებს, ბერძნებსა და ქალდეველებს და ბედუინთა შორის, ყველა, ყველანი ძმები ვართ!

- ყველა ნაცარი ვართ! – შეჰყვირა ვიღაც სხვამ, — აი, მე ეს გავიგე, ჩემი ყურით მოვისმინე მოძღვარმა თქვა: ზეცა გაიხსნება, პირველი წარღვნა ხომ წყლით მოევლინა, მეორე ცეცხლით მოხდებაო და ჩვენ ყველას – მდიდრებსაც და ღარიბებსაც, ისრაელიტებსაც და რომელებსაც ნაცრად გვაქცევსო!

- „და დაშთის მას შინა ლელწამი, ანუ ვითარცა კუფხალნი მოსთულებულია ზეთისხილისანი ორნი, ანუ სამნი მწუერვალსა ზედა ზენაკიდესა!“ - თქვა ესაია წინასწარმეტყველმა, მედგრად, ჩვენ ვართ ზეთისხილის ის მარცვლები, რომლებიც ხეს შერჩებიან! მთავარია, მოძღვარი გყავდეს ახლოს, არსად წავიდეს! _ თქვა ერთმა კუპრივით შავმა კაცმა და ჭრიჭინობელასავით თვალები მიაშტერა ბეთანიის თეთრ გზას, - დღეს რაღაც აგვიანებს, - დაიჩურჩულა, - აგვიანებს... ფხიზლად იყავით, არ გაგვექცეს!

- და სად წაგვივა? - იკითხა კურდღლისტუჩა მოხუცმა, - ღმერთმა უბრძანა, რომ იერუსალიმში იბრძოლოს. ჰოდა, აქ იბრძოლებს!

მზე ცის კაბადონზე დადგა, დამტვერილი ფილაქანი ჭუჭყითა და ნამწვით აივსო. ფარისეველმა იაკობმა ჩამოიარა, მკლავები თილისმებით აევსო და თითოეულის მადლს აქებდა – ეს ჩუტყვავილას კურნავს, ეს მწვავე ტკივილს, ეს — წითელ ქარს, ეს — დემონებს განდევნის, აი ეს კი — ყველაზე უფრო ძლიერი და ყველაზე ძვირადღირებული, მტრებს დაგიხოცავთო... დაინახა რა უპოვრები და ხეიბრები, ზიზღით თვალი აარიდა და ბოროტად ჩაიქირქილა:

— ფუი ეშმაკს! — თანაც იქვე სამგზის გადააფურთხა.

და სწორედ იმ დროს, როცა ლატაკები ერთმანეთს ექაქანებოდნენ და თითოეული მათგანი მოძღვრის სიტყვას საკუთარი გულის წადილის შესატყვისად განმარტავდა, ერთი ვეება წმინდა კაცი მოევლინათ, ხელში მაღალი კვერთხით, ოფლსა და მტვერში ამოგანგლულიყო, ფართო, გადატკეცილი სახე კი ერთიანად უბრწყინავდა.

- მელქისედეკი! — შესძახა კურდღლისტუჩა მოხუცმა, - აბა, რამე კარგი ამბავი მოგაქვს ბეთანიიდან? სახე გინათებს!

- გიხაროდენ და ნეტარებდეთ, შვილნო ჩემო! - შესძახა ბაისელმა თავკაცმა და ცრემლმორეულმა ჩამოუარა ყველას, სათითაოდ გადაეხვია, - მკვდარი აღსდგა! ჩემი თვალით ვნახე, აკლდამიდან როგორ წამოდგა, გაიარა! წყალი მიაწოდეს და დალია, პური მისცეს და შეჭამა, ალაპარაკდა!

- ვინ? ვინ აღსდგა? ვინ არის იგი?

ყველა ერთად მიაწყდა უხუცესს, ეკითხებოდნენ, გვერდითა სტოებიდან კი ქალები და კაცები გამოცვივდნენ ამ სიტყვების გაგონებისას, შემოეყარნენ, ზოგიერთი ლევიტელი და ფარისეველიც კი მიუახლოვდა. ამ დროს ბარაბამ ჩაიარა, ყური მოჰკრა რა ღრიანცელს, ისიც შეჩერდა. მელქისედეკმა გაიხარა, ამდენი ხალხი რომ იხილა, მისი სიტყვების მომლოდინე, კვერთხს ჩამოეყრდნო და სიამაყით დაიწყო თხრობა:

- ლაზარე, ელიაკიმის ძე, ლაზარე, აბა, რომელი იცნობთ? გუშინწინ მოკვდა და დავმარხეთ. გაიარა ერთმა დღემ, მეორე დღემაც გაიარა და მესამემაც, დაგვავიწყდა. და აი, სწორედ მეოთხე დღეს, ქუჩიდან ყვირილი შემოგვესმა, გარეთ გავცვივდით და რას ვხედავთ - მარიამის ძე, ნაზარეველი იესო მოდის. ლაზარეს დები - მართა და მარიამი ფეხებში ჩაუცვივდნენ, კოცნიდნენ და თან ძმას დასტიროდნენ.

„- შენ რომ მასთან ყოფილიყავი, რაბი, იგი არ მოკვდებოდა...“ - მოთქვამდნენ და თმას იგლეჯდნენ.

„- დაგვიბრუნე, რაბი, ერთი უხმე და თვითონ მოვა!“ - იესომ ხელი მოჰკიდა ორივე დას, წამოაყენა და თქვა:

„- წავედით!“

ყველანი ავედევნეთ, უკან გავყევით და აკლდამას მივალწიეთ. იესო შედგა, სისხლი თავში აუვარდა, თვალები გადაუტრიალდა, თითქმის გაუქრა, მხოლოდ სითეთრე მოუჩანდა. ერთი ისეთი დაიღრიალა, იფიქრებდით - მასში ხარია და ის ბლავისო. ყველანი შევშინდით.

და უეცრად, როცა ასე ვიდექით შიშისაგან აცახცახებულნი, იესოს რაღაც ველური, არაამქვეყნიური, უცნაურად მრისხანე ხმა აღმოხდა, მხოლოდ მთავარანგელოზები რომ ყვირიან ისე:

„— ლაზარე, გამოდი გარეთ!“

და მაშინვე გავიგონეთ აკლდამიდან, როგორ შეიძრა და დაიბზარა მიწა, აკლდამის ლოდი ატორტმანდა და ნელ-ნელა გადაგორდა. შიში და ძრწოლა იდგა ირგვლივ. არასოდეს შემშინებია სიკვდილისა ისე, როგორც ამ აღდგომისა შემეშინდა. ვფიცავ, ვინმემ რომ მკითხოს, რა გირჩევნია - ლომის ხილვა თუ აღდგომისო, დაუფიქრებლად - ლომთან შეხვედრას ვამჯობინებდი.

- უფალო შეგვიწყალენ უფალო შეგვიწყალენ! — გაიძახო და ხალხი და მოთქვამდნენ, - მერე, მერე? განაგრძე, მელქისედეკ-ბატონო!

- ქალები კიოდნენ, კაცთაგან უამრავი კლდეებს მიღმა დაიმალა, ხოლო ვინც კი დავრჩით, შიშისაგან ვკანკალებდით: აკლდამის ლოდი ნელ-ნელა გადაგორდა და

ვიხილეთ ორი ყვითელი მკლავი, შემდეგ თავი — გამწვანებული, მიწით სავსე, მერე კი სუდარაში გამოხვეული ჩონჩხივით სხეული, ჯერ ერთი ფეხი რომ გადმოდგა, მერე მეორე და გამოვიდა. ლაზარე იყო.

მელქისედეკი გაჩუმდა. ფართო სახელოთი ოფლი მოიწმინდა. მის გარშემო მყოფნი მოთქვამდნენ. ზოგი ტიროდა, ზოგი კი ცეკვავდა. ბარაბამ გაბანჯგვლული ხელი ასწია:

- ტყუილია! ტყუილია! — შესძახა, - ესეც რომაელებმა მოისყიდეს! ლაზარესთან ერთად შეეკრა რომაელებს! სიკვდილი მოღალატეებს!

- ხმა ჩაიწყვიტე! — უკნიდან გაცოფებული ხმა მოესმა, - აბა, რომელ რომაელებთან?

ხალხმა ერთბაშად გაიხედა და მაშინვე უკან დაიხიეს: ასისტავი რუფუსი ბარაბასკენ მიდიოდა, ხელში მათრახი აღემართა. ერთი ფერმკრთალი, ქერათმიანი ასული მკლავზე ექაჩებოდა, აკავებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ყრმა იდგა და მელქისედეკს უსმენდა, დიდი, მწვანე თვალებიდან ცრემლი სდიოდა. ბარაბა ხალხის ბრბოში გასხლტა, გაუჩინარდა. ფარისეველი იაკობი უკან დაედევნა თავის თილისმებთან და ერთი სვეტის უკან მიმალულს წაასწრო, იქ კარგახანს ლაპარაკობდნენ თავითავზემიდებულნი. ყაჩაღი და ფარისეველი ერთმანეთს ძმად შეეფიცნენ. პირველმა ბარაბამ დაიწყო:

- როგორ ფიქრობ, სიმართლეა? - ჰკითხა შემფოთებული.

- რა?

- ის, რომ მკვდარი აღადგინა...

- ახლა კარგად მოისმინე, რასაც გეტყვი! მე ფარისეველი ვარ, შენ – ზილოტი! მე აქამდე იმას გავიძახოდი, რომ ისრაელს მხოლოდ ლოცვა, მარხვა და წმინდა რჯული გამოიხსნის-მეთქი. მაგრამ ახლა...

- რა ახლა? — ჰკითხა ზილოტმა და თვალები აუელვარდა.

- ახლა, ზილოტო, მეც შენს მხარეს გადმოვდივარ! მხოლოდ ლოცვა და მარხვა არ კმარა, აქ უკვე მახვილის გაშიშვლებაა საჭირო! გესმის?

ბარაბამ ბოროტად გაიცინა:

- მე მასწავლი მაგას? დანაზე უფრო კარგი ლოცვა არ არსებობს! და მერე?

- მერე ის, რომ მისგან დავიწყოთ!

- ვისგან? გარკვევით მელაპარაკე!

- ლაზარესგან! ისევ მიწაში უნდა ჩავაბრუნოთ, სანამ ხალხი მას ხედავს, არ შეწყვეტს ლაყბობას – მკვდარი იყო და მარიამის ძემ აღადგინაო; და ეს ცრუწინასწარმეტყველიც უფრო მეტ სახელსა და დიდებას მოიხვეჭს... მართალი ხარ შენ, ბარაბა, ეგ რომაელებთანაა შეკრული და ამიტომ გაჰყვირის - მიწის სასუფეველზე ნუ დარდობთო, ცათა სასუფეველზე იფიქრეთო! და როცა ჩვენ

ზეცისკენ ავწევთ თავს და მას შევხედავთ, რომაელები კისერზე მოგვასხდებიან. გაიგე, რას გეუბნები?

- ანუ, რას ამბობ? ეგეც მოვკლათ, იმის მიუხედავად, რომ შენი ძმაა?

— ეგ არ არის ჩემი ძმა, არ მჭირდება მისი ძმობა! - შეჰყვირა ფარისეველმა და ლამის სამოსი შემოიფლითა, - შენთვის დამითმია!

თქვა, სვეტს მოშორდა და კვლავ თავისი თილისმების ქებას მოჰყვა. კარგად გამოუვიდა, რომ ბარაბას შეხვდა და აამხედრა, გახარებული იყო...

სოლომონის სტოასთან კი ღატაკთა ბრბო დაიღალა იესოს ლოდინით და ნელ-ნელა გაიკრიფნენ, უხუცესმა მელქისედეკმა ორი თეთრი მტრედი იყიდა, რათა შეეწირა ისრაელის ღმერთისათვის, მადლობის ნიშნად, რომელმაც მისი ხალხი შეიბრალა და ამდენი წლის ლოდინის შემდეგ, ეს ახალი წინასწარმეტყველი მოუვლინა.

ლოდებსა და ადამიანთა სახეებს მეტისმეტი მცხუნვარებისგან ცეცხლი მოჰკიდებოდათ, აღარც ჩანდნენ მზის სინათლეზე, და უეცრად ბეთანიის გზაზე ჩოჩქოლი ატყდა, სიხარულის ყიჟინა გაისმა - მთელი სოფელი ამდგარიყო და მოეშურებოდა. წინ ბავშვები გამორბოდნენ - დაფნისა და პალმის რტოებით ხელში, მათ უკან სახეგაბრწყინებული იესო მოდიოდა, უფრო უკან - აღტყინებული მოწაფეები, თითქოს ყოველმა მათგანმა თითო მკვდარი აღადგინაო, სულ ბოლოს კი ხმაჩახლეჩილი ბეთანიელები მოუყვებოდნენ გზას და ყველანი ერთად, ტაძრისაკენ მიიწევდნენ. იესო ორ-ორ კიბეს ახტებოდა, ადიოდა. პირველი ტერასა გადაიარა, მეორემდე მიაღწია, სახიდან და ხელებიდან რაღაც შეუცნობი ნათელი ეფრქვეოდა და კაციშვილი ვერ ბედავდა მიახლოებას. მოხუცმა რაბინმა, რომელიც იესოს ქოშინ-ქოშინით მისდევდა, წამიერად სცადა მოძღვრის გარშემო შემოვლებულ უხილავ კალოს შეხტომოდა, მაგრამ მყისვე უგან გახტა, თითქოს ცეცხლის ალი მისწვდაო.

აჰა, ეს-ესაა გამოვიდა ღვთის სამჭედლოდან და სისხლი უდუღს, ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა ყოველივე: ნუთუ ასეთი ძალა აქვს სულს? ისეთი დიდი, რომ შეუძლია მთებს მოუხმოს და მიეახლონ? რომ მიწა გადახსნას და მკვდრები აღადგინოს? სამ დღეში რომ დაანგრეოს სამყარო და კვლავ ააშენოს? მაგრამ თუკი ასეთი დიდია სულის ძალა, მაშინ დალუპვისა და გამოხსნის მთელი სიმძიმე ადამიანის მხრებზე ყოფილა. ღმერთისა და ადამიანის საზღვრები ხომ ერთმანეთს ერთვის... - შემადრწუნებლად საშიში იყო ეს ფიქრები და იესოს საფეთქლები უხურდა.

სუდარაში გამოხვეული ლაზარე ფეხზე დააყენა, აკლდამაში დატოვა და მსწრაფლ გაეშურა იერუსალიმის ტაძრისაკენ. პირველად გრძნობდა ასე ცხადად, რომ ამ სამყაროს საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი და ახალი იერუსალიმი წამოიმართოს აკლდამიდან. დადგა ამის დროს სწორედ ეს იყო ნიშანი, რომელსაც ელოდა - ლაზარე იყო ეს გახრწნილი სამყარო და მოაწია ჟამმა, რომ ებრძანებინა: „სამყარო, აღსდექ!“ ეს იყო მისი ვალი. და კიდევ უფრო დიდებული იყო ის, რომ გრძნობდა - ძალა შესწევდა ამ ყოველივესი. ახლა თავს აღარ დააღწევდა, ვეღარ იტყოდა - არ შემიძლია! იმიტომ რომ ყველაფერი შეუძლია და თუ სამყარო ვერ გადარჩება, მას დაეკისრება მთელი ცოდვა, მისი ბრალი იქნება მხოლოდ.

იესოს სისხლი მოაწვა თავში: მიმოიხედა გარშემო და დაინახა ღარიბ-ღატაკები, მას რომ უმზერდნენ იმედითა და სასოებით. შემზარავი შეძახილით შეხტა შემადლებულზე, მის გარშემო ხალხი მოგროვდა, მდიდრები და გაზულუქებულნიც კი მოსულიყვნენ მის მოსასმენად თუ საქირქილოდ. იესო მათკენ შებრუნდა, თვალი მოავლო ყველას და მუშტი შემართა:

- ისმინეთ თქვენ, მდიდრებო, ისმინეთ თქვენ — ამ სამყაროს მმართველებო, უსამართლობა, უღირსება და შიმშილი დიდხანს აღარ გასტანს. ღმერთმა გიზგიზა ნაკვერჩხლით შემილესა ბაგეები, რათა გამოგაფხიზლოთ: როდემდე ინებივრებთ თქვენს სპილოს ძვლის საწოლების ფუმფულა ლეიბებზე? როდემდე გაძლებით ღატაკების ხორციით? როდემდე შესვამთ მათ სისხლს, ოფლსა და ცრემლს? ვეღარ გგუობთ! – გაჰყვირის ჩემი ღმერთი. ცეცხლი მოდის, მკვდრები აღდგებიან, ბოლო ჟამმა მოაწია.

ორი ვება, ჩამოძონძილი ღატაკი მიიჭრა მასთან და ხელში აიტაცეს, ხალხი აბობოქრდა, პალმისა და ბზის რტოებს იქნევდნენ, გულანთებული წინასწარმეტყველი კი თითქოს ცეცხლს აფრქვევდა და გაჰყვიროდა:

- აქ იმისათვის მოვედი, რომ არა მშვიდობა, არამედ მახვილი აღვმართო! განხეთქილება ჩამოვადგო თქვენს სახლებში, გავყარო ძე მამას, ასული – დედას, რძალი – დედამთილს. ვინც მე მომყვება, ის ყოველივეს მიატოვებს. ვინც ამ მიწაზე ითხოვს თავისი სიცოცხლის ხსნას, ის საბოლოოდ კარგავს მას. და ვინც მე შემომწირავს ამქვეყნიურ სიცოცხლეს, იგი მარადიულ სიცოცხლეს ჰპოვებს.

- რჯულის კანონი რას ამბობს, შე მეამბოხევ? — გაცოფებით გასძახა ვილაცამ, — წმინდა წერილი რას ამბობს, შე ეშმაკისეულო?

- მეკითხებით, რას ამბობენ დიდი წინასწარმეტყველები - იერემია და ეზეკიელი? — კითხვაზე კითხვით მიუგო თვალეზანთებულმა იესომ, — რას და: დავცემ რჯულს, რომელიც მოსეს ფირფიტებზეა ამოტვიფრული და ახალ რჯულს ამოვკაწრავ ადამიანთა გულებზეო; გაქვავებულ გულებს კი ამოვაცლი და მათ ადგილას ღმობიერ გულებს ჩავუნერგავ, ამ გულებში კი ახალ იმედს ჩავთესავო! მე, სწორედ მე ამოვშანთავ ახალ გულებზე ახალ რჯულს, რადგან მე ვარ ახალი იმედი! სიყვარულს განვაგრცობ: ღვთის ოთხივე კარს – აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთ და ჩრდილოეთს გავხსნი, რათა ყველა ერი შემოვიდეს. ღვთის უბე მხოლოდ ებრაელთათვის არ არის, მთელ სამყაროს დაიტევს იგი. ღმერთი არ არის ისრაელიტი, უკვდავი სული არის იგი!

მოხუცმა რაბინმა ხელისგულები აიფარა სახეზე. სურდა მეეძახა: „იესო, ჩუმად! ეს ხომ დიდი მკრეხელობაა“ - მაგრამ ვერ მოასწრო. აღტყინებული ღარიბები სიხარულისგან ღრიალებდნენ, ლევიტელები უსტვენდნენ, ფარისეველმა იაკობმა კი ტანსაცმელი შემოიფლითა და იფურთხებოდა. რაბინის მზერა იესოს მზერას შეეგება: „მორჩა! - ჩუმად მოთქვამდა და მიდიოდა, - დაღუპულია იგი, მორჩა! ნეტავ რომელი დემონი ან რომელი ღმერთი მძლავრობს მასში და ხმინობს?“

მილასლასებდა, დაღლილობისგან ფეხი ერეოდა, ამ დღეების და კვირების განმავლობაში, იესოს ადევნებული, სულ ცდილობდა ამოეცნო, ვინ იყო იგი. მისი

დაუძლიერებული სხეული ჩამოიღვენთა, ძვალი და ტყავილა დარჩენილიყო. სული ძლივს ეჭირა, რადგან ჯერ კიდევ ვერ ამოეცნო, იყო თუ არა იგი მესია, რომლის ხილვაც ღმერთმა აღუთქვა. ის სასწაულები, რაც მან ჩაიდინა, სატანასაც ხომ შეუძლია?! მას მკვდრების აღდგენაც შეუძლია ეს კი ნიშნავს, რომ სასწაულები არ იყო საკმარისად სანდო და სარწმუნო, რათა მოხუც რაბინს რამე დასკვნა გამოეტანა. და არც წინასწარმეტყველებები იყო საკმარისი საამისოდ. მრავლისშემძლე და ვერაგი მთავარანგელოზია სატანა, ზედმიწევნით შეუძლია მიუსადაგოს თავისი სიტყვა და საქმე წინასწარმეტყველებებს და ადამიანები მასხრად აიგდოს. სწორედ ამიტომ ვერ იძინებდა ღამლამობით რაბინი და ღმერთს შესთხოვდა, შეესმინა მისი ვედრება, უფრო მტკიცე, უფრო სანდო რამ ენიშნებინა. მაგრამ რა ნიშანი უნდა ყოფილიყო ასეთი? რაბინმა კარგად უწყობდა, მხოლოდ მისი სიკვდილი რომ იქნებოდა ყოველივეს გაცხადება, წარმოიდგინა ეს და გააჟრჟოლა.

მტვრიან გზაზე ბარბაც-ბარბაცით მიიწევდა წინ, ბორცვის თავზე მზით მოსილი ბეთანია გამოჩნდა. აღმართს აუყვა, ძლივ ძლივობით, სვენებ-სვენებით.

ლაზარეს სახლის კარი ღია იყო, სოფლელები შედიოდნენ, რათა ეხილათ და შეხებოდნენ მკვდრეთით აღდგენილს, ყური მიეგდოთ, მართლა თუ სუნთქავდა, მართლა თუ ლაპარაკობდა, მართლა გაცოცხლებულიყო თუ მოჩვენება მოვლენოდათ... ლაზარეც იჯდა ოთახის სიღრმეში, ერთი კუთხე ამოერჩია, რადგან სინათლეს ვერ ჰგუობდა, მუცელი შებერვოდა და ერთიანად უცნაური სიმწვანე დასტყობოდა, ისე როგორც ოთხი დღის მკვდარს გადაეკლება ხოლმე... შემუშებული სახე დახეთქვოდა, მოყვითალო სითხე სდიოდა და თეთრ სუდარაზე ეღვრებოდა. ჯერ ისევ სუდარა ჰქონდა მოხვეული, რადგან ტანზე მიწებებოდა და ვერ აცლიდნენ. თავიდან ძალიან ყარდა და ვინც კი მიუახლოვდებოდა, ყველას სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ ნელ-ნელა სუნი განქარდა, ახლა მხოლოდ ნოტიო მიწისა და საკმევლის სუნი ასდიოდა. შიგადაშიგ, ხელით წვერსა და თმაში დაბურდულ ბალახს მოიცლიდა, მისი დები კი — მართა და მარიამი - მიწისა და პატარა მატლებისგან უსუფთავებდნენ სხეულს. ერთ გულმოწყალე მეზობელს ქათამი მიეტანა და ახლა მოხუცი სალომე საცეცხლესთან ფუსფუსებდა, რათა მკვდრეთით აღმდგარისთვის წვნიანი მოემზადებინა ძალის აღსადგენად. სოფლელებიც მიდიოდნენ, ცოტა ხნით ჩამოუსხდებოდნენ გვერდით, ყურადღებით აკვირდებოდნენ და ელაპარაკებოდნენ. ისიც ამდენი მომკითხავ-მომნახულებლით გაბეზრებული, მხოლოდ ჰო-არას პასუხობდა, ორ-სამ სიტყვას მიუგდებდა მათ და მერე სხვები მოდიოდნენ უკვე ახლომდებარე სოფლებიდან... ბრმა უხუცესმაც საგულდაგულოდ შეამოწმა ხელით მისი სხეული და მხნედ დაელაპარაკა:

- აბა, როგორი დრო გაატარე ჯოჯოხეთში? გიხაროდეს, ლაზარე, ახლა იმქვეყნიური ყველა საიდუმლო იცი, მაგრამ ნუ განაცხადებ მათ, უბედურო, ნუ გააგიჟებ მიწაზე მყოფთ...

მერე კი დაიხარა და ყურში უთხრა:

— მართო მატლები, ხო? სხვა არაფერი, არა? - თან ვითომ ხუმრობდა, მაგრამ შიშისგან კანკალებდა.

ცოტა ხანს ელოდა, ლაზარე რას უპასუხებდა, თუმცა იგი დუმდა. უსინათლო გაუნაწყენდა, კვერთხს დაავლო ხელი და წაცუნცუნდა.

მაგდალინელი ზღურბლზე იდგა და იერუსალიმისაკენ მიმავალ გზას გაჰყურებდა. გული ჩვილივით უტიროდა: ღამდამობით, სულ ცუდ სიზმრებს ნახულობდა, ხედავდა, რომ იესო ქორწინდებოდა, რაც სიკვდილის მაუწყებლად მიაჩნდა, ხოლო წინა ღამით ესიზმრა, რომ ერთმა თევზმა ფრენა მოინდომა, წყლიდან ამოხტა, ფრთები გაშალა და მიწაზე დაეხეთქა. ქვიშაზე სხმარტალებდა, ცდილობდა ისევ წამომართულიყო, მაგრამ ვეღარ შეძლო, იტანჯებოდა. თვალედაბინდული მისკენ შებრუნდა, თითქოს შველას სთხოვდა. ისიც მაშინვე მივარდა, რომ აეყვანა, ისევ ზღვაში გადაეგდო, მაგრამ როცა ასაყვანად დაიხარა, იგი უკვე მკვდარი იყო. მერე ხელში ეჭირა და დასტიროდა, ცრემლები ეცემოდნენ მკვდარ თევზს და ისიც იზრდებოდა, ფორმას იცვლიდა. ბოლოს კი ისე გადიდდა, რომ მკვდარ ადამიანად გარდაისახა.

- აღარ გავუშვებ იერუსალიმში... აღარ დავანებებ... - ოხრავდა და თეთრ გზას გაჰყურებდა, იქნებ გამოჩნდესო.

მაგრამ გზაზე იესოს ნაცვლად, კოჭლობითა და ბარბაც-ბარბაცით მომავალი, მოხუცებული მამამისი - რაბინი გამოჩნდა. „საბრალო მოხუცი, — გაიფიქრა მაგდალინელმა, - რა უნდა ასე დაუძღურებულს, რომ არ ჩერდება?! ან სად მიჰყვება, ბებერი, ერთგული ძაღლივით რომ დასდევს რაბის... მესმის, ღამდამობით როგორ დგება, ეზოში გადის, მეტანიებს ასრულებს და ღმერთს შესთხოვს, დაეხმაროს, ნიშანი მისცეს. მაგრამ ღმერთმა მიატოვა იგი და ტანჯავს, თავგზას უბნევს, და ეს იმიტომ რომ ვუყვარვარო - ინუგეშებს თავს უბედური...“

ხედავდა, როგორ მოუყვებოდა აღმართს და თავის სამღვდელო კვერთხზე ხშირ-ხშირად ეყრდნობოდა, რათა სული მოეთქვა. ხან იერუსალიმის მიმართულებით გაიხედავდა, მკლავებს გაშლიდა, ამოიოხრებდა... იმ დღეების განმავლობაში, მამამ და შვილმა ბეთანიაში რომ გაატარეს, დაავიწყდათ ყოველივე გარდასული, ახლა უკვე ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. მოხუცი მიხვდა, რომ მისმა ასულმა ის მცდარი გზა უარყო და თავადაც აპატია. მთელ ცოდვებს ცრემლი ჩამოჰბანსო - სჯეროდა რაბინს, მაგდალინელს კი უკვე ისედაც ბევრი ეტირა.

ქანცგაწყვეტილმა მოხუცმა ძლივს მოაღწია ზღურბლთან, მაგდალინელი კარიდან ჩამოეცალა, რათა გასასვლელი გაეთავისუფლებინა, მაგრამ იგი შედგა, ხელი ვედრებით ჩასჭიდა და უთხრა:

- შვილო ჩემო, მაგდალინელო, ქალი ხარ და დიდი ძალა აქვს შენს ცრემლებს, დიდი ძალა აქვს შენს ალერსს, გთხოვ, ჩუვარდი ფეხებში და შეევედრე, რომ აღარ წავიდეს იერუსალიმში. დღეს კიდეც უფრო მეტად გაშმაგდნენ სწავლულები და ფარისევლები, დავინახე, როგორ შეთქმულად ლაპარაკობდნენ, შხამი სდიოდათ პირებიდან, სიკვდილს უმზადებენ.

- სიკვდილს?! - შესძახა მაგდალინელმა და გული მოეწურა, - სიკვდილს?! მაგრამ, მამა, ის რანაირად უნდა მოკვდეს?! ის ვერ მოკვდება!

მოხუცმა რაბინმა თავის ასულს შეხედა და მწარედ გაუღიმა:

- ყოველთვის ასე გვგონია ხოლმე იმათზე, ვინც ჩვენ გვიყვარს! — წაიბუტბუტა და გაჩუმდა.

- მაგრამ იესო ხომ ჩვენნაირი ადამიანი არ არის, არა! — აღმოხდა სასოწარკვეთილ მაგდალინელს, — არ არის! არა! — იმეორებდა და იმეორებდა, რათა ასე დაეფრთხო მოძალებული შიში.

- შენ რა იცი? - ჰკითხა მოხუცმა და გული აუჩქარდა, რადგან ქალის წინათგრძნობას ენდობოდა.

- ვიცი, — მიუგო მაგდალინელმა, — ნუ მეკითხები საიდან, მაგრამ ვიცი და ღრმად ვარ დარწმუნებული! ნუ გეშინია, მამა! ვინ გაბედავს, რომ მას შეეხოს მას მერე, რაც ლაზარე აღადგინა?

- სწორედ ლაზარეს აღდგომის შემდეგ კიდეც უფრო გამძვინვარდნენ. თავიდან მხოლოდ უსმენდნენ და მხრებს იჩეჩავდნენ, თუმცა ახლა, ამ სასწაულის ამბავი რომ ქვეყნიერებას მოედო, ხალხი მეტად გამამაცდა. მესია აი, ეს არისო - გაჰყვირიან - მკვდრებს აღადგენსო, ღვთისგან აქვსო მომადლებული ძალმოსილება, მას უნდა გავყვეთო! დღეს ქალი თუ კაცი პალმის რტოებით მისდევდა უკან, ხეიბრებს კი ყავარჯნები მოელერებინათ და იმუქრობდნენ, ღარიბებიც გამხნევდნენ... მწიგნობარი ფარისევლები ამ ყველაფერს რომ ხედავენ, გიჟდებიან. ცოტა ხანსაც თუ დავაცდითო, - ამბობენ, - მორჩა, წასულია ჩვენი საქმეო! — და ანასგან კაიაფასთან მიდიან, კაიაფასგან — პილატესთან, და იესოს სამარეს უთხრიან... შვილო ჩემო, მაგდალინელო, მოეხვიე მუხლებზე და ნუ დაანებებ იერუსალიმში კვლავ წავიდეს, გალილეაში დავბრუნდეთ!

უცებ ნაიარევი შავსახიანი გაახსენდა:

- მაგდალინელო, - დასძინა, - ახლა რომ მოვდიოდი, გზაში ბარაბა შემხვდა, სახე სიკვდილივით ჩაშავებოდა. ჩემი ნაბიჯის ხმა რომ გაიგო, ბუჩქებში დაიმალა. ცუდი ნიშანია!

დაძაბუნებულ სხეულს ძლივს იკავებდა. ასულმა ხელი შეაშველა და შინ შეიყვანა. სკამი მიუმარჯვა და მოხუცი დაჯდა, ასული მის წინ ჩაიმუხლა.

- ახლა სად არის? — ჰკითხა, - სად დატოვე იგი, მამა?

- ტაძარში. გაჰყვირის, რომ ცეცხლოვანი თვალები წმინდა ნაგებობას დაწვავენო! და რა სიტყვებს წარმოთქვამს, ღმერთო, როგორ მკრეხელობს! ამბობს, მოსეს რჯულს დავამხობ და ახალს შემოვიღებო. სინას მთაზე კი არ წავალ ღმერთთან შესახვედრად, მე მას ჩემს გულში შევხვდებიო!

მოხუცმა ხმას დაუწია:

- ზოგჯერ, შვილო, - თქვა და აცახცახდა, - ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, გონება ხომ არ აერია-მეთქი. იქნებ ლუციფერი...

- გაჩუმდი! — თქვა მაგდალინელმა და მოხუცს პირზე ხელები ააფარა.

ეს ორნი ჯერ კიდევ ლაპარაკში იყვნენ, ზღურბლზე ერთი მეორის მიყოლებით რომ შემოლაგდნენ მოწაფეები. მაგდალინელი ფეხზე წამოიჭრა, შეხედა, მათთან ერთად იესო არ იყო.

- მოძღვარი სადაა? - სულისშემძვრელი ხმით იკითხა, - სად არის მოძღვარი?!

- ნუ გეშინია, - უპასუხა სახემოდუშულმა პეტრემ, - ნუ გეშინია, ახლავე მოვა!

თავისი ძმის ფერხთით მიმჯდარი მარიამიც წამოდგა, შეშფოთებული მიუახლოვდა მოწაფეებს, შეძრწუნებულ-გამეხებულ სახეები რომ ჰქონდათ და თვალები კი - დაბინდული. კედელს მიეყრდნო:

- მოძღვარი? - სულშეკრულმა წაიჩურჩულა.

- ახლავე მოვა, მარიამ! სადაცაა მოვა... - უპასუხა იოანემ, - რამე რომ დამართნოდა, ხომ არ მივატოვებდით?

ცხვირპირჩამომტირალი მოწაფეები ერთმანეთისგან შორიანლო ჩამოსხდნენ.

მათემ უბიდან ქალღებები ამოიღო და კალამიც შეამზადა.

- თქვი, მათე! - ბრძანა მოხუცმა რაბინმა, - თქვი, ჩემი კურთხევა გაქვს!

- რაბუნი, ახლა, ყველა ერთად რომ ვბრუნდებოდით, იერუსალიმის კარიბჭესთან ასისტავი რუფუსი წამოგვეწია.

„- შესდექით! — შეჰყვირა, - ბრძანება მაქვს!“

ჩვენ შიშისაგან გავქვავდით, მაგრამ იესომ ხელი მშვიდად გაუწოდა რომაელს:

„- მოყვასო! — თქვა, - რა გინდა?“

„- მე არაფერი, - უპასუხა რუფუსმა, - პილატე გიხმობს, გთხოვ, წამომყვივი!“

„- მოვდივარ“, - მშვიდად თქვა იესომ და იერუსალიმისკენ იქცია პირი.

მაგრამ ჩვენ ყველანი მივეჭერთ:

„- სად მიდინარ? - ვყვიროდით, - არ გაგიშვებთ!“

ასისტავი შუაში ჩადგა:

„- ნუ გეშინიათ, კარგ საქმეზე მიმყავს, - გვითხრა, - სიტყვას გაძლევთ“

„- წადით — გვიბრძანა მოძღვარმა, - და ნუ გეშინიათ. ჯერ არ დამდგარა დრო!“

მაგრამ იუდა წამოხტა:

„- მე შენთან ერთად წამოვალ, მოძღვარო, - უთხრა, - მარტო არ გაგიშვებ!“

„- წამოდი, — უთხრა მოძღვარმა, - მეც ვერ დაგტოვებ!“

და იერუსალიმისაკენ გაბრუნდნენ. წინ მიმავალ იესოს მეგობარი ძალღვივით მიედევნა იუდა... - სანამ მათე ლაპარაკობს, მოწაფეებიც შექუჩდნენ, ჩაიმუხლეს, ჩუმად იყვნენ.

- შეშინებული სახეები გაქვთ, - თქვა რაბინმა, - რაღაცას მალავთ!

- სხვა საწუხარებიც გვაქვს, რაბი, - ჩაიჩურჩულა პეტრემ. - სხვა საწუხარები... — და კვლავ გაჩუმდა.

და მართლაც, ბნელი დემონები ჩამდგარიყვნენ მათ შორის გზაში, სახლისაკენ რომ მოდიოდნენ. ლაპარაკობდნენ, მკვდრების აღდგომა დაიწყოს, უფლის დღე მოახლოვდაო, მოძღვარიც ტახტზე ავა და ძალაუფლების დანაწილების დროც ახლოსააო. და სწორედ აქ, დანაწილების დროს, მოწაფეები ერთმანეთს წაეკიდნენ:

- მე მის მარჯვენით უნდა დავჯდე! — ამბობდა ერთი, - რადგან ყველაზე მეტად ვუყვარვარ!

- არა, მე! — მე! — მე! — გაჰყვიროდა ყველა ერთად ან სათითაოდ.

- მე მას პირველმა ვუწოდე მოძღვარი! — თქვა ანდრიამ.

- მე ყველაზე ხშირად ვნახულობ მას სიზმრად, ჩემ სიზმრებში ხშირად მოდის, — ჩაეჭრათ პეტრე.

- მე, საყვარელოო, მიწოდებს ხოლმე... - თქვა იოანემ.

- მეც! — მეც! — მეც! — ისევ ახმაურდნენ.

პეტრეს სისხლი აუდუღდა:

- აბა, ყველამ ხმა გაკმინდეთ! — შეჰყვირა, - განა გუშინწინ მე არ მითხრა? „პეტრე, შენ ხარ კლდე და შენზე უნდა დავაშენო ახალი იერუსალიმი?!“

— არა, ახალი იერუსალიმი არ უთქვამს! აი, აქ ჩავიწერე მისი სიტყვები — თქვა მათემ და დავთარი ამოიღო უბიდან.

- აბა, რა მითხრა, კალმოსანო? მე ეგრე გავიგონე! - დაეკითხა მრისხანედ პეტრე,

- რა თქვა და: „შენ ხარ კლდე და მე ამ კლდეზე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას!“. ჩემს ეკლესიას და არა იერუსალიმსო, დიდი განსხვავებაა ამ ორ გამოთქმას შორის.

- აბა, კიდევ რა მითხრა? - გაანჩხლდა პეტრე, - რატომ გაჩერდი? ყველაფრის თქმა ხელს არ გაძლევს, ხომ? გასაღების შესახებ რომ მეუბნებოდა... წაიკითხე!

მათემ ზანტად გადაშალა დავთარი და წაიკითხა:

- „მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებს.“

- განაგრძე! განაგრძე! — გაჰყვიროდა გულმოცემული პეტრე.

მათემ ნერწყვი გადაყლაპა, ისევ დავთარს ჩააჩერდა:

- „და რასაც შეკრავ მიწაზე, შეკრული იქნება ცაშიც, ხოლო რასაც გახსნი მიწაზე, გახსნილი იქნება ცაშიც...“ - აჰა, ესაა სულ!

- და შენ რა, ეს გეცოტავება? — ჰკითხა პეტრემ და ამაყად გადახედა მოწაფეებს, მამლაყინწურად გაიბღინდა, — გეცოტავება? ხომ მოისმინეთ, მე მიპყრია გასაღები. მე

გავაღებ და ჩავკეტავ სამოთხის კარს. თუ მინდა შეგიშვებთ და თუ არ მინდა, ფეხსაც არ დაგადგმევინებთ!

აი, აქ კი გადაირივნენ მოწაფეები. ერთმანეთს ხელითაც კი შეეხებოდნენ, სოფლელებისა რომ არ შერცხვენოდათ. ბრაზი კი ჩაყლაპეს, მაგრამ მაინც სახემოქუფრულ-მოღუშული იყვნენ.

XXVI

იესო და ასისტავი წინ მიდიოდნენ, იუდა კი მეძებარვით მისდევდათ უკან. იერუსალიმის ვიწრო, დაკლავნილ ქუჩებში შევიდნენ, ტაძართან აღმართული კოშკისაკენ გაემართნენ, სადაც პილატე პონტოელის საბრძანისი იყო. პირველმა ასისტავმა დაიწყო:

- მოძღვარო, - მიმართა აღელვებულმა, — ჩემი ასული კარგადაა და სულ შენზე ფიქრობს. როცა კი გაიგებს, რომ ხალხთან სასაუბროდ გამოხვედი, სახლიდან ჩუმად გვეპარება და შენს მოსასმენად მოდის ხოლმე. დღეს კი, ტაძართან რომ ვიდექით, მე გავაკავე, თორემ უნდოდა მოსულიყო და ფეხები დაეკოცნა შენთვის.

- და რატომ არ გამოუშვი? - ჰკითხა იესომ, — სულ ერთი წუთიც კი კმარა საიმისოდ, რომ ადამიანის სული გადარჩეს. რატომ გაუშვი ეს ერთი წუთი, რატომ გაუშვი იგი ხელიდან?

„როგორ შეიძლება, რომ რომაელმა ქალმა ებრაელს ფეხები დაუკოცნოს!“ - გაიფიქრა დარცხვნილმა რუფუსმა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ხელში მოკლე მათრახი ეჭირა და მოზუზუნე ხალხის ბრბოში გზას იკვლევდა, ხვატი იდგა, სხეულები იღვენთებოდნენ, ბუზები კი ღრუბლებივით ირეოდნენ. ასისტავი ებრაულ ჰაერს ისუნთქავდა და გული ერეოდა. ამდენი წელია პალესტინაშია და ჯერაც ვერ მიეჩვია ამ ებრაელებს. ბაზარი გაიარეს, ლერწმით იყო გადახურული და გრილოდა. სვლა შეანელეს.

- რანაირად შეგიძლია, - თქვა ასისტავმა, - რომ ამ ძაღლების ხროვას ესაუბრო?

იესო გაწითლდა:

- ესენი ძაღლები არ არიან, - მიუგო, - ესენი სულები არიან ანუ ღმერთის ნაპერწკლები. თავად ღმერთი კი ხანძარია, ასისტავო, ყოველი სული — ნაპერწკალი, რომელსაც პატივი უნდა სცე.

- მე რომაელი ვარ, - უპასუხა რუფუსმა, - რომაელია ჩემი ღმერთიც. მას გზები გაჰყავს, ციხეებს აგებს, ქალაქებში წყალი შეჰყავს, რკინას იარაღად აქცევს და ომში მიდის. ის წინ მიგვიძღვის, ჩვენ კი უკან მივყვებით. და ჩვენთვის ეგ სული, შენ რომ ამბობ, და სხეული ერთი არის, მათზე მაღლა კი რომის ნება დგას. და როცა ვკვდებით, ორივე მათგანი კვდება, მაგრამ ჩვენი ძენი რჩებიან. აი, ესაა ჩვენთვის უკვდავება. შენ კი ცათა სასუფეველზე რასაც ამბობ, — ეგ ყველაფერი ჩვენ ზღაპრებად გვეჩვენება, მომიტევე!

გაჩუმდა და ცოტა ხანში:

- ჩვენ იმისთვის ვართ შექმნილნი, — თქვა, - რომ ადამიანები ვმართოთ. ადამიანები კი სიყვარულით არ იმართებიან.

- სიყვარული უიარაღო არ არის, — თქვა იესომ და ახალპირგაპარსული ასისტავის ცივ ლურჯ თვალებსა და თითებკოტიტა ხელებს შეხედა, - ისიც ომში მიდის, თავს ესხმის!

- მაშინ იგი სიყვარული არ ყოფილა! — თქვა ასისტავმა.

იესომ თავი დახარა: „რამე ახალი ტიკი უნდა შევარჩიო, ახალი ღვინო უნდა ჩავასხა, - გაიფიქრა, - ახალი სიტყვა!“

უკვე თითქმის მიაღწიეს. ჯერ ციხე-კოშკი, ხოლო შემდეგ კი სასახლე აღიმართა მათ წინ. ეს ციხე-კოშკი ამპარტავან რომაელ მმართველს - პილატე პონტოელს იცავდა. ებრაელთა მოდგმა მასაც ეზიზღებოდა, სურნელნაპკურებ ცხვირსახოცს აიფარებდა ხოლმე, როცა იერუსალიმის ქუჩებში დადიოდა ან როცა იძულებული ხდებოდა, ებრაელებთან ესაუბრა. არც ღმერთებისა სწამდა, არც ადამიანებისა და არც პილატე პონტოელისა, არაფრისა არა სწამდა. ყელზე ოქროს ჯაჭვით ეკიდა პატარა, კარგად ალესილი სამართებელი, რათა ვენები გადაეჭრა მაშინვე, როგორც კი ჭამა, სმა და მმართველობა მობეზრდებოდა, ან თუ ოდესმე იმპერატორი განდევნიდა. ხშირად ესმოდა, ებრაელები ხმისჩახლეჩამდე რომ მოუხმობდნენ მესიას, რათა მოსულიყო და გამოეხსნა ისინი და ეს რომ ესმოდა ხოლმე, იცინოდა. ალესილ სამართებელზე მიუთითებდა თავის ცოლს და ასე ეტყოდა: „აი, ესაა ჩემი მესია. ეს გამომიხსნის!“ მაგრამ ცოლი სახეს მიაბრუნებდა და პასუხს არ სცემდა.

კოშკის განიერ შესასვლელთან იესო შედგა:

- ასისტავო, — უთხრა, - ჩემი ვალი გაქვს, გახსოვს? ახლა დადგა გადახდის დრო.

- ჩემი ცხოვრების მთელ სიხარულს შენ გიმადლი, იესო ნაზარეველო, - უპასუხა რუფუსმა, — მთხოვე რაც გინდა.

- თუ შემიპყრობენ, საპყრობილეში ჩამაგდებენ ან თუ მომკლავენ, ნურაფერს იზამ საიმისოდ, რომ გამომიხსნა! პირობას მაძლევ?

შეაბიჯეს. დარაჯებმა ხელი ასწიეს, ასისტავს მიესალმენ.

- როგორ, ეს არის თხოვნა? – ჰკითხა გაოგნებულმა რუფუსმა, - ვერაფერი გამიგია ამ ებრაელებისა.

ორი ვება შავკანიანი მონა პილატეს დარბაზის კართან იდგა მოდარაჯედ.

– კი, ესაა ჩემი თხოვნა, ასისტავო, - თქვა იესომ, - მპირდები?

რუფუსმა მონებს ანიშნა, რომ კარი გაეღოთ.

პილატემაც – იმ ხმელ-ხმელმა, პირგაპარსულმა კაცმა, მაღალ, არწივებამოკვეთილ ტახტზე რომ იჯდა და კითხულობდა, ვიწრო შუბლი, ნაცრისფერი, მკაცრი თვალები და უწვრილესი ტუჩები რომ ჰქონდა – თავი ასწია და მის წინ ჩამომდგარ იესოს შეხედა.

- აჰ, შენ ხარ იესო ნაზარეველი ანუ მეფე იუდეველთა? - დამცინავად გამოსცრა კბილებში და თავისი სურნელოვანი ხელსახოცი ნესტოებში შეიჩურთა.

- მე მეფე არ ვარ, - მიუგო იესომ.

- რაო? შენ რა, მესია არ ხარ? განა მესია არაა ის, ვისაც შენი ხალხი — აბრაამის ჩამომავალნი მოელიან თაობიდან თაობამდე, რათა გამოიხსნას ისინი, ისრაელის ტახტზე ავიდეს და განგვდევნოს ჩვენ — რომაელები? აბა, რად ამბობ, მეფე არა ვარო?

- ჩემი სამეფო მიწაზე არ არის.

- და მაშ, სად არის? წყალზე? ჰაერში? - იკითხა პილატემ და სიცილისაგან ლამის დაიხრჩო.

— ცაშია, - მშვიდად უპასუხა იესომ.

- ჰოო, კარგი, კარგი, - თქვა პილატემ, — ცა შენი იყოს, აი, მიწას კი ნუ შეეხები!

პილატემ თითიდან ოქროს ბეჭედი წამოიძრო, სინათლეზე ასწია და ბეჭდის წითელ თვალს მიაშტერდა. მასში ამოკვეთილ თავის ქალას გარშემო წარწერა ამშვენებდა: „ჭამე, სვი, დატკბი. ხვალ შენც ამაღ გადაიქცევი“.

- მეზიზღება ებრაელები, - დაიწყო პილატემ, — არასდროს იბანენ და ღმერთიც თავისნაირი ჰყავთ: დაუბანელი, ჭუჭყიანი, გრძელნაწნავიანი, ფრჩხილებდაუჭრელი და მათსავით ყბედი.

- მაგ ღმერთმა უკვე ხელი აღმართა რომზე, — ისევ მშვიდად მიუგო იესომ.

- რომი უკვდავია! — უპასუხა პილატემ და დაამთქნარა.

- რომი ის ვება ქანდაკებაა, რომელიც დანიელ წინასწარმეტყველს ხილვად ეჩვენა.

- ქანდაკებო? რა ქანდაკება? თქვენ ებრაელებს რაც გესიზმრებათ, ის გელანდებათ ცხადშიც. მოჩვენებებით ცხოვრობთ და მოჩვენებებითვე იხოცებით...

- ასე იწყება ადამიანის ბრძოლა - ხილვებითა და მოჩვენებებით. მერე ნელა-ნელა, ჩრდილი მყარდება, სული ხორციით იმოსება და მიწაზე ჩამოდის. დიახ, დანიელ წინასწარმეტყველსაც ჰქონდა ხილვა, და ვინაიდან იხილა, კმარა! ეს ხილვა მალე ხორცს შეისხამს, მიწად ჩამოვა და რომს დაანგრევს.

- ჰეი, იესო ნაზარეველო, ვაფასებ შენს სიმამაცეს თუ სისულელეს — ეგ აღარ ვიცი. როგორც ჩანს, სიკვდილისა არ გეშინია და ამიტომაც ლაპარაკობ ასე გაბედულად! მომწონხარ, იცი?! ბარემ, მიაგებ დანიელის ხილვის შესახებ.

- ერთ ღამეს, დანიელ წინასწარმეტყველმა ვებერთელა ქანდაკება იხილა. ოქროსი იყო მისი თავი, ვერცხლის გულ-მკერდი და მკლავები, მუცელი და მხრები კი - ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, რკინის წვივებით, მაგრამ ფეხები ჰქონდა მიწისა. უეცრად რაღაც უხილავმა ხელმა მიწის ფეხებზე ქვა ესროლა და ჩამოშალა. და ეს მთლიანი ქანდაკება - თავისი ოქროვერცხლიანად და ბრინჯაორკინებიანად ერთიანად

ჩამოიფშვნა. ის უხილავი ხელი, პილატე პონტოელო, ისრაელის ღმერთია სწორედ, ქვა კი – ეს მე ვარ, ვეებერთელა ქანდაკება - თქვენი რომია.

პილატემ ისევ დაამთქნარა.

- მივხვდი, - დაიწყო დაღლილი ხმით, - თამაშს მიგიხვდი, იესო ნაზარეველო, მეუფეო იუდეველთა! რომს აგინებ, რომ მე გამამწარო, განმარისხო და ჯვარზე გაგაკრა, შენი ჭკუით - გმირად რომ იქცე. ყოველივე განგისაზღვრავს და კარგადაც და გიგემავს. გავიგე, აგე, მკვდრების გაცოცხლებაც კი დაგიწვია გზას უჩვენებ და ის შენი მოწაფეებიც ხვალ-ზეგ მთელ ქვეყანას მოსდებენ, რომ შენ არ მომკვდარხარ, აღსდექი და ცაში ახვედი... მაგრამ სულ ფუჭად დამშვრალხარ, ჩემო ბრძენთაბრძენო შენი თამაში ველარ გაჭრის, რამე სხვა ხერხი უნდა მოიფიქრო. მე შენ არ მოგკლავ, გმირად არ გაქცევ, ღმერთი ვერაფრით გახდება, დაივიწყე ეს ყველაფერი!

იესო დუმდა. ღია ფანჯრიდან მზეს ხედავდა, რომლის შუქზეც იაჰვეს უზარმაზარი ტაძარი ელვარებდა, ისე როგორც კაციჭამია, მძვინვარე მხეცი, მის ჩაშავებულ და მოღიავებულ პირს კი ჯგროებად აწყდებოდა ხალხის ნაკადი. პილატე თავის ოქროს ჯაჭვს ხელში ათამაშებდა, არაფერს ამბობდა. ეთაკილებოდა ებრაელისთვის რამე ეთხოვა, თანაც ცოლისთვის მიცემული სიტყვის გატეხვაც არ უნდოდა.

- სხვა არაფერი? – ჰკითხა იესომ და კარისაკენ გაემართა. პილატე ფეხზე წამოდგა:

- შეჩერდი! მინდოდა რაღაც მეთქვა და ამიტომაც დაგიძახე. ჩემი ცოლი ამბობს, რომ ყოველდღე ესიზმრები, თვალის დახუჭვას ვერ ასწრებს, რომ შენც იქვე გამოცხადები და საყვედურობ, შესჩივი, რომ შენი მოკვლა სურთ და ყოველდღე სთხოვ, გიშუამდგომლოს ჩემთან, რათა შენს თანამემამულეთ – კაიაფასა და ანას შენი მოკვლის უფლება არ მივცე. გუშინდღე კი ძილში კიოდა, შეშინებულს გაელვცა და ლამის ცრემლად დაიღვარა. ამბობს, რომ ძლიერ ებრალები, თუმცა რატომ – ეგ არ ვიცი. ქალური სისულელები მე არ მესმის. ჰოდა, მუხლებში ჩამივარდა, რომ დამეძახა შენთვის და გამეფრთხილებინე, სწრაფად გაცელო აქაურობას. წადი, წადი, იჩქარე, რომ გადარჩე! შენც ხომ გრძნობ, ნაზარეველო, შენი ჯანისთვის იერუსალიმის ჰაერი მაწყინარია. გალილეაში დაბრუნდი! კი არ გაიძულე, მხოლოდ შენთვისვე ვამბობ: წადი, დაბრუნდი გალილეაში!

- ჩვენი ცხოვრება ბრძოლაა, - ისევ ისე, მშვიდად და მტკიცედ თქვა იესომ, – ბრძოლაა და ეს კარგად იცი, რადგანაც შენც ჯარისკაცი ხარ, თან რომაელი! მაგრამ ერთი რამ შენ არ უწყია: ღმერთია ჩვენი წინამძღოლი, ჩვენ კი – მისი ჯარისკაცები. იმ წამიდან, რა წამსაც კაცი იბადება, ღმერთი უჩვენებს მას მიწას და ამ მიწაზე ქალაქს თუ სოფელს, ზღვას, მთასა თუ უდაბნოს და ეუბნება: „შენ, აქ იბრძოლებს“. იუდეველთა მბრძანებელო, ერთ ღამეს ღმერთმა ხელი მომკიდა, აქ მომიყვანა - იერუსალიმს, ამ ტაძრის წინ დამაყენა და მითხრა: „შენ აქ იბრძოლებ!“ მშიშარა არ ვარ, იუდეველთა მბრძანებელო, მე არაფრისა მეშინია, მე აქ ვიბრძოლებ!

პილატემ მხრები აიჩეჩა. ინანა კიდევ, ვილაც ებრაელს გული რომ გადაუშალა და შინაურული ამბებიც კი გაანდო. ბოლოს, ჩვეულებისამებრ, ხელები მოიფშვინტა, თითქოს იბანსო:

- აწი როგორც გინდოდეს, ისე ქენი, - თქვა, - აი, მე კი ხელი დამიბანია!

იესომ ხელი ასწია გამომშვიდობების ნიშნად. და ის-ის იყო, ზღურბლზე უნდა გადაებიჯებინა, რომ:

- ჰეი, მესიავ, - დამცინავად შესძახა პილატემ, - აბა, ერთი მეც გამიმხილე, რა არის ის საოცარი მცნება, ამქვეყნად რომ მოგაქვს?

- ცეცხლი, — მშვიდად მიუგო კვლავ იესომ, — ცეცხლი, რომელიც მიწას განწმენდს.

— რომაელთაგან?

- არა! ურწმუნოთაგან, უსამართლოთაგან, უღირსთა და გაუმაძღართაგან!

- და მერე რა იქნება?

- მერე განწმენდილ მიწაზე აღეშენება ახალი იერუსალიმი.

— და ვინ ააგებს, აი, მაგ ახალ იერუსალიმს?

- მე!

პილატე ახარხარდა.

- აჰა! — თქვა, - სიმართლე თუ არ მითქვამს ჩემი ცოლისთვის: შეშლილი ხარ! შემოიარე ხოლმე ხანდახან, გამახალისებ და დროის გასაყვანად გამომადგები. ახლა კი დამტოვე!

ტაში შემოკრა, ორი ვეება შავკანიანი მონა მყისვე შემოვიდა და იესო გარეთ გაიყვანეს.

იუდა კოშკის მიღმა ელოდა მშფოთვარედ. რაღაც ფარული ჭია უღრღნიდა გულს მოძღვარს ამ ბოლო დროს. სახე დღითი დღე უმკაცრდებოდა, სულ უფრო მწუხარე ხდებოდა მისი ხმა, მწუხარე და მუქართ ალსავსე. ხშირად მარტოდმარტო მიდიოდა იერუსალიმის გარეუბანში, გოლგოთის მთაზე, საათობით იჯდა ხოლმე იმ ადგილას, სადაც რომაელები მეამბოხეებს ჯვარს აცვამდნენ. და რაც უფრო მეტად მძვინვარებდნენ და უსაფრდებოდნენ ქურუმები თუ მღვდელმთავრები, მით უფრო მეტად ამხელდა მათ. უწოდებდა ასპიტებს, თვალთმაქცებს, მლიქვნელებს; კოლოს გადაყლაპვას რომ უფროთხით და ამ დროს აქლემებს სანსლავთო. მთელი დღეები ტაძართან იდგა, საზარელ სიტყვებს წარმოთქვამდა, თითქოს სიკვდილს დაეძებო. ამას წინათ კი, როცა იუდამ ჰკითხა - როდის განიძარცვები ცხვრის ტყავისგან, რათა ლომი მთელი თავისი დიდებულებით გამოჩნდესო? - იესომ თავი გააქნია და იუდას არასოდეს უნახავს ცხოვრებაში ასეთი მწარე ღიმილი ადამიანის ბაგეებზე. იმ დღის მერე, იუდა წამით არ ტოვებდა, არ შორდებოდა. როცა გოლგოთისაკენ მიმავალს დაინახავდა, ჩუმად დაედევნებოდა - სადმე ჩასაფრებულმა მტერმა არ ავნოსო. ახლაც, გზაზე, ამ წყეულ კოშკთან ბოლთას სცემდა და ბოროტად უყურებდა ბრინჯაოთი აღკაზმულ რომაელ მცველებს, რომლებსაც უხეში, უბირი, უტიფარი გამომეტყველება ჰქონდათ, მათ უკან კი მაღალ ძელებზე მათი დამპყრობლური, არწივებიანი დროშა ფრიალებდა. რა უნდა მისგან პილატეს? - თავის თავს

ეკითხებოდა იუდა, - რატომ მიიხმომ?.. იერუსალიმის ზილოტებისგან იცოდა იუდამ, რომ ანა და კაიაფა ხშირად დაიარებოდნენ ამ სასახლეში და იესოს ცილს სწამებდნენ, თითქოს ამბოხის მოწყობა განეზრახა, რათა რომაელები განედევნა და თვითონ გამხდარიყო მეფე. მაგრამ პილატე ეწინააღმდეგებოდა: სულელიაო, - ამბობდა, - რომაელების საქმეში ეგ არ ერევაო, ერთხელ საგანგებოდ მივუჩინე ჯაშუშები და ჰკითხესო: „ისრაელის ღმერთს სურს, რომ რომაელებს ხარკი ვუხადოთ? შენ რას იტყვი?“ მან კი, ძალიან სწორად და ჭკვიანურად უპასუხა: „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმერთისაო“. და პილატე გაიცინებდა: განა სულელი არ არისო? - გაუმეორებდათ, - აბა, სხვას რას ნიშნავს ეგ. სულელიაო! თუკი თქვენს რჯულს თელავს, თქვენ თვითონვე დასაჯეთო, მე კი ხელები დამიბანია, რომი მაგაზე ხელს არ გაისვრისო. აი, ასე ეტყოდა და გაისტუმრებდა, მაგრამ იქნებ აზრი შეიცვალა?

შედგა, კედელს მიეყრდნო, მუშტებს მოკუმშავდა და მაგრად უჭერდა, ბრაზი ახრჩობდა.

უცებ შეკრთა. საყვირის ხმა გაისმა. ხალხი ჩამოეცალა ოთხ ლევიტელს, რომლებმაც კოშკის კართან მოოქრული ტახტრევანი დაასვენეს. აბრეშუმის ფარდები გადაიწია და გადმოიზღაზნა მსუქანი, დონდლო, მრგვალოვალე და ყვითელი, სულ ოქროთი მოსირმულ მოსასხამში გამოხვეული კაიაფა. ალაყაფის ორი, მძიმე კარი გაიხსნა და ზუსტად ამ დროს გამოვიდა გარეთ იესო. ერთმანეთს ზღურბლზე გადაეყარნენ, პირისპირ იდგნენ: იესო იყო ფეხშიშველი, დაფლეთილი თეთრი კვართი ემოსა, შედგა და მდუმარედ შეხედა მღვდელმთავარს. მანაც მზერა მიაპყრო და იცნო, თვალები დაახამხამა, თხასავით ტუჩები გაუტოკდა:

- აქ რა გინდა, შე მეამბოხე?

მაგრამ იესო უძრავად იდგა. უყურებდა, დიდრონი თვალებიდან გამოსული მკაცრი, მწუხარე მზერა მისთვის ჩაესო და:

- არ მეშინია შენი, სატანის მღვდელმთავარო! - უპასუხა.

- აქედან გააგდეთ! — შეუძახა თავის ოთხ მზიდავს კაიაფამ და თვითონ ეზოს შეეფარა, სქელი საჯდომითა და მოგრეხილი ფეხებით ძლივს მიაბოტებდა,

ოთხი ლევიტელი იესოს მიეჭრა, მაგრამ იუდა დააცხრა მათ:

- ხელი გაუშვით! — დაუღრიალა.

ქეთ-იქით მიჰფანტ-მოჰფანტა, იესოს ხელი ჩაავლო და მოსალოდნელ ხიფათს გაარიდა.

- ვიჩქაროთ! — ჩაულაპარაკა.

იუდა გზას უქცევდა, აქლემებს, ცხვრებს, ადამიანებს ერეკებოდა და იესოს გასასვლელს უთავისუფლებდა. ციხესიმაგრე განვლეს, კედრონის ხეობას გაუყვნენ, მოპირდაპირე ფერდობს დაადგნენ და ბეთანიის გზაზე გავიდნენ.

- რა უნდოდა პილატეს შენგან? - ჰკითხა იუდამ და დაინტერესებულმა მოუჭირა მკლავზე ხელი.

- იუდა, - საკმაო დუმილის შემდეგ აღმოთქვა იესომ, - დღეს ერთ საზარელ საიდუმლოს გაგანდობ.

ჟღალთმიანმა თავი დახარა, მოლოდინად იქცა.

- მოწაფეთა შორის ყველაზე ძლიერი ხარ და მგონია, რომ მხოლოდ შენ შეძლებ ამას გაუძლო. სხვებისათვის არაფერი მითქვამს და არც ვაპირებ, ვერ გაუძლებენ.

იუდა სიამაყისგან ერთიანად გაწითლდა.

- გმადლობ, მოძღვარო, რომ მენდობი! — თქვა, - აგერ ნახავ, არ შეგარცხვენ!

- იუდა, იცი, საყვარელი გალილეა რისთვის დავთმე და იერუსალიმში რატომ მოვედი?

- იმიტომ რომ მოსახლენი აქ უნდა აღსრულდეს!

- ასეა, უფლის ცეცხლი აქედან ააღდება. ველარც ვიძინებ, ღამღამობით წამოვხტები და ცას ავყურებ, ხომ არ გაიხსნა-მეთქი? ჯერ კიდევ არ გადმოღვრილა ცეცხლი იქიდან? გათენებისთანავე მეც ტაძარში გავრბოდი, ვლაპარაკობდი, ვიმუქრებოდი, ცისკენ ხელს ვიშვერდი, ვუბრძანებდი, ვაფიცებდი, ვითხოვდი ცეცხლი გადმოსულიყო, მაგრამ ამაოდ... დახურული იყო ზეცა, უტყვად და მშვიდად იდგა ჩემ თავზე. და უეცრად, ერთ დღესაც...

ხმა ჩაუწყდა. იუდა მისკენ გადაიხარა, რომ მიმხვდარიყო, მაგრამ მხოლოდ ხშირი სუნთქვა და კბილების კრაჭუნის ხმა გაიგონა.

- მერე? მერე? - ჰკითხა სულსწრაფად.

იესომ ძლივს ამოთქვა:

— ერთ დღეს, როცა გოლგოთის წვერზე მარტოდმარტო ვიყავი, ესაია წინასწარმეტყველი წარმომესახა. არა, არა, კი არ წარმომესახა, ჩემი თვალით ვიხილე, როგორ აღმართულიყო გოლგოთის ქვებზე, მთელი სხეულით აღმართულიყო ჩემ წინ და ხელთ ეჭირა ვაცის ტყავი, თავი რქებითა და თილისმებით რომ ჰქონდა შემკული, სწორედ იმ შავი ვაცივით, უდაბნოში რომ წავაწყდი. თხის ტყავზე კი წარწერა იყო. „წაიკითხე!“ - მიბრძანა და ჩემ წინ, ჰაერში გაიშალა ეს ტყავი. ამ ბრძანებისთანავე გაუჩინარდა წინასწარმეტყველი და ვაციც გაქრა, მხოლოდ წარწერა დარჩა ჰაერში გამოკიდებული — შავი, სადა ასოებით შედგენილი და წითელი საზედაოთი შემკული წარწერა.

იესომ სინათლეს გაუშტერა თვალი, ფერი დაკარგა. იუდამ იმარჯვა და მკლავში ჩაავლო ხელი.

- აჰა, იგი! — შეშინებული ბუტბუტებდა, - აჰა, ჰაერი სავსეა ამ ნაწერებით!

— წაიკითხე! — მხნედ უთხრა იუდამ, თუმცა თვითონაც ცახცახებდა.

და იესომ ჩახრინწული ხმით დაიწყო, ისე ამოიკითხა, თითქოს ეს ასოები მძვინვარე მხეცები იყვნენ, მათ მისდევდა, ისინი კი გაურბოდნენ... მარცვლავდა და ოფლს იწმენდა:

- „ჩვენი შეცოდებანი იტვირთა, ჩვენი ცოდვებით დაიჭრა, ჩვენმა უსჯულოებამ გასრისა იგი, მაგრამ მას – მწუხარება და ტკივილიანს სიტყვაც კი არ დაუძრავს. მიტოვებული, ყველასაგან უარყოფილი მიუყვებოდა გზას მორჩილად, ისე როგორც სასაკლაოსკენ თვინიერად მიმავალი კრავი, ყელის გამოსაჭრელად“.

იესო დადუმდა. ერთიანად გაფითრებულიყო.

- ვერაფერი გამიგია, - თქვა იუდამ, თან ფეხის წვერით კენჭებს აგროვებდა, — ვერაფერს ვხვდები... ვინ არის კრავი და ვინ მიჰყავთ სასაკლაოზე? ვინ უნდა მოკვდეს?

- იუდა, - პასუხი დააყოვნა იესომ, - მე ვარ ის კრავი, ძმაო.

- შენ? ნუთუ შენ? - ჰკითხა იუდამ და უკან დაიხია, - ანუ მესია არ ხარ?

- ვარ.

- ვერაფერი გამიგია! – ისევ შესძახა იუდამ და კენჭები მიჰფანტ-მოჰფანტა.

- ეს არის ჩვენი გზა, იუდა, და ნუ გაიკვირვებ! იმისათვის რომ სამყარო გადავარჩინო, ჩემი ნებითვე უნდა შევეწირო. კარგახანს მეც ვერ გამეგო ეს... სულ ამოდ მიგზავნიდა ღმერთი ნიშნებს – ხან ხილვებად დღისით და ხან ძილში – სიზმრებად. იქ, უდაბნოში გამოფატრული ვაციც კი მანახა, კისერზე ხალხის ყველა ცოდვა რომ ეკიდა. ხოლო იმ დღიდან, რაც დედაჩემის სახლიდან წამოვედი, ძალღივით დამდევს ერთი აჩრდილი, ხან უკან მომყვება, ხან კი დაწინაურდება და გზას მიჩვენებს. იკითხავ რომელ გზასო? გეტყვი: რომელსა და – ჯვარს!

იესომ თვალი მოავლო იქაურობას:

მის უკან იდგა იერუსალიმი — უთეთრესი მთის მწვერვალღივით, წინ კი – კლდეები აღმართულიყო, ალაგ-ალაგ შევერცხლილი ზეთისხილის ფოთლები და შავი კედრები ჩანდა. მზე სისხლისფრად ჩადიოდა.

იუდა სიმწრისგან წვერს იგლეჯდა. მას სულ სხვანაირად წარმოედგინა მესია - მახვილღივით შემართული, ერთს რომ შესძახებდა და იოსაფატის ხევიდან, აკლდამებიდან ყველა თაობის მიცვალებული ებრაელი წამოხტებოდა, ცოცხლებს შეერეოდნენ, მათთან ერთად აღდგებოდნენ ებრაელთა ცხენები და აქლემები, უკლებლივ ყველანი - ფეხოსნებიც და მხედრებიც თავს დაესხმებოდნენ რომაელებს და მუსრს გაავლებდნენ. მესია კი დავითის ტახტზე ავიდოდა და მის ფეხთით ბალიშივით დაეფინებოდა მთელი ეს სამყარო, აი, ასეთი უნდა ყოფილიყო მესია, რომელსაც იუდა ისკარიოტელი მოელოდა და ახლა კი!..

იესოს შმაგად შეხედა, ტუჩები მოიკვნითა, რამე ცუდი რომ არ ეთქვა და კვლავ კენჭების ფანტვას მოჰყვა ფეხის წვერებით. იესომ სიბრალეულითა და თანაგრძნობით შეხედა:

- გამხნევდი, იუდა, ძმაო, - თბილად უთხრა, - მეც ამავეს ვიზამ! სხვანაირად ვერას გავაწყობთ, ესაა გზა ხსნისა!

- და შემდეგ? - ჰკითხა იუდამ ისე, რომ მზერა კენჭებისთვის არ მოუცილებია, - მერე რა იქნება?

- მერე სრული დიდებით დავბრუნდები, რათა მკვდრები და ცოცხლები განვსაჯო.

- როდის?

- ამ თაობიდან ბევრი აღსასრულს ვერც მოასწრებს, რომ კვლავ მიხილავს.

- წავიდეთ! - თქვა იუდამ და აჩქარდა.

იესო ქოშინით მიედევნა, ფეხს ვერ უწყობდა. მზე სადაცაა იუდეის მთებს უკან ჩაესვენებოდა, უცნაურმა კვილის ხმამ მოაწია შორიდან - მკვდარი ზღვის გადაღმა ტურები იღვიძებდნენ.

იუდა მიდიოდა და თან გმინავდა. მიწა იძვროდა მასში, ყველაფერი ინგრეოდა. მას სიკვდილით ხსნისა არ სჯეროდა და ყველაზე არასაიმედო გზად ესახებოდა იგი... მკვდრეთით აღმდგარი ლაზარეც მხოლოდ გულს ურევდა: მკვდარზე უმეტეს მკვდარი იყო იგი და მყრალი. ან მესია როგორ დააღწევდა თავს სიკვდილს? არა, არა, არ ენდობოდა იგი სიკვდილს!

შებრუნდა, რომ იესოს შეპასუხებოდა, ენის წვერზე მომდგარი ავი სიტყვები ეთქვა, მაგრამ როგორც კი პირი მისკენ იბრუნა, შიშისაგან შეჰყვირა: იესოს სხეულიდან ვეებერთელა ჩრდილი ეცემოდა. ადამიანის ჩრდილი არ იყო, ვეება ჯვარი იყო იგი. მაშინათვე ხელი წაავლო გვერდით მყოფს და ჩრდილისკენ მიუთითა:

- შეხედე!

იესოსაც გააჟრჟოლა.

- იყურე! - თქვა ხმადაბლა, - იყურე, იუდა, ძმაო ჩემო!

და ასე, ხელგადახვეულნი დაადგნენ ბეთანიის პატარა აღმართს, იესოს მუხლები ეკვეთებოდა და იუდა აკავებდა. უნმოდ მიდიოდნენ. ერთი წამით იესო დაიხარა და შემთბარი ქვა აიღო. კარგახანს ჰქონდა მუჭში მოქცეული. ქვა იყო ეს თუ საყვარელი ადამიანის ხელი იყო? გარშემო მიმოიხედა - ეს მინდვრები, ეს მიწა, რომელიც ზამთარში სიკვდილს მიეცა, როგორ ახასხასდა, როგორ აყვავდა..

- იუდა, ძმაო ჩემო, - თქვა, - დარდს ნუ მიეცემი! აბა, გაიხსენე როგორ ჩადის მიწაში პურის მარცვალი, როგორ გზავნის ღმერთი წვიმას, რათა მიწა გაანოყიეროს, გააფუოს და ჯეჯილი ამოიყვანოს, რომელიც პურის თავთავებად იქცევა და ადამიანებს გამოკვებავს?! პურის მარცვალი ჯერ უნდა მოკვდეს, რომ მერე თავთავებად აღდგეს იგი... სწორედ ასევეა ძე კაცისა.

თუმცა იუდა ნუგეშს ამით ვერ პოულობდა, ხმაგაკმენდილი მიუყვებოდა აღმართს. მთების მიღმა მზე ჩაესვენა, მიწაზე ღამემ დაისადგურა, ბორცვის წვერზე პირველი ჭრაქები აციმციმდნენ.

- აბა, ლაზარე გაიხსენე... - თქვა კვლავ იესომ. მაგრამ იუდას გული აერია და ფურთხებით განაგრძო გზა.

მართამ ჭრაქი აანთო და ხელი თვალებზე ააფარა ლაზარეს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შეპყრებოდა სინათლეს. პეტრემ მათეს მკლავში ხელი წაავლო, ორივემ ჭრაქის ქვეშ ჩაიმუხლეს. მოხუც სალომეს შავი ძაფის გორგალი ეპოვა, ქსოვდა და თავის ორ ვაჟზე ფიქრობდა: ღმერთო, როდის მოვესწრები, ცეცხლის გვირგვინები ვიხილო მათ თავებზე და გენესარეთის ტბაც მათი იყოსო...

იესომ ძალიან დაიგვიანა, მაგდალინელის წუხილი კი შფოთვად იქცა, სახლში ველარ გაჩერდა და გზას დაადგა, იქნებ წინ შევეგებო საყვარელ არსებასო.

ეზოში შექუჩებული მოწაფეები ჭიშკარს უხმოდ გასცქეროდნენ. ბრაზი ჯერ კიდევ არ დასცხრომოდათ. მთელ სახლში სიმშვიდე სუფევდა, სუნთქვასაც ვერ გაიგონებდით. სწორედ ახლა დადგა შესაფერისი დრო პეტრესათვის, რა ხანია, ეწადა გაეგო, რას წერდა ხოლმე ყოველ საღამოს ეს მეზვერე თავის დავთარში. და დღევანდელი ჩხუბის მერე, აფორიაქებულმა გულმა ველარ გაუძლო... უსინდისო ხალხია ეს კალმოსნები, წინდახედულება გმართებს, რადგან არ იცი, მომავალ თაობებს შენზე რა სისულელეებს უამბობენ. თუ გაუბედავს და რამე ვერაგული ჩაუდენია, ამ დავთარს და კალამს ააცლის და ახლავე ცეცხლს მისცემს. პეტრემ პირფერულად მოჰკიდა მკლავზე ხელი მათეს და მის გვერდით ჩაიმუხლა ჭრაქთან.

- მათე, წამიკითხე ერთი, შენს განარებას, - სთხოვა, - მაინტერესებს, რა დაწერე მოძღვარზე.

მათეც შეგულიანდა. უბიდან მშვიდად ამოიღო დავთარი, ლაზარეს დის – მარიამისგან ნაჩუქარ, ძვირფას თავსაბურავში რომ ჰქონდა გამოხვეული, სათუთად გამოხსნა, თითქოს ჩვილი ყოფილიყოს და ფსალმუნით დაამღერა, თანაც სხეულით ირწეოდა, საკუთარსავე ხმას აყოლებდა მოძრაობას.

- წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. აბრაჰამ შვა ისაკ; ისაკ შვა იაკობ; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი; ხოლო იუდა შვა ფარეზ და ზარა...

პეტრემ თვალები დახუჭა და უსმენდა. მის თვალწინ ჩაიარეს ებრაელთა თაობებმა: აბრაამიდან დავითამდე — თოთხმეტი თაობა და დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე – თოთხმეტი (რაობა და ბაბილონის ტყვეობიდან ვიდრე ქრისტემდე – თოთხმეტი თაობა... ეს რა ხალხია, რა ურიცხვი და უკვდავი ლაშქარია! რა უდიდესი სიხარული და რამხელა სიამაყეა – იყო ერთი მოგანი! პეტრემ თავი კედელს მიაღო და უსმენდა... განვლეს თაობებმა, მიაღწიეს ქრისტეს წლებამდე, უსმენდა: რამდენი სასწაული გარდახდენილა, რამდენი რამ იყო მისთვის უცნობი, ერთხელაც რომ არ უეჭვია! იშვა იესო ბეთლემში და მისი მამა არათუ ხურო იოსები, თავად სულიწმინდაა. და მოვიდა სამი მოგვი, მოვიდნენ და თაყვანი სცეს. ის სიტყვები კი, მტრედმა რომ თქვა ნათლობისას, რას ნიშნავდა? თვით პეტრემ ვერ გაიგონა. მაშ, ვინ უთხრა იგი მათეს, რომელიც იქ არც კი იყო? პეტრე სიტყვებს ველარ არჩევდა, მხოლოდ მუსიკად ჩაესმოდა, გულშიჩამწვდომ, მწუხარე ძილისპირულად და ასე, ნელ-ნელა მიელულა თვალი... ახლა კი უკვე ძილში სწვდებოდა სიტყვების მუსიკა, თანაც ყოველი სიტყვა თითო ბროწეულს ჰგავდა, იერიქონში რომ იგემა შარშან,

ჰაერშივე რომ იხლიჩებოდნენ და იქიდან ხან ცეცხლი, ხან ანგელოზები, ხან ფრთები და ხან საყვირები იფრქვეოდა...

და ძილის ამ ნეტარებაში, უეცრად მხიარული შეძახილები და ღრიანცელი ჩაესმა, შეკრთა. დაინახა მის წინ მჯდომი მათე კვლავ მუხლებზე გაშლილ თავის დავთარს კითხულობდა, გაახსენდა ყოველივე და შერცხვა, რომ ძილმა თავი წაართვა. მივარდა, მხურვალედ ჩაეხვია და აკოცა.

- შემიძღე, ძმაო, მათე, — უთხრა, — ახლა შენ რომ გისმენდი სამოთხე მოვკვლე თითქოს!

ზღურბლზე იესო გამოჩნდა. სიხარულისგან ერთიანად გაბრწყინებული მაგდალინელი მოჰყვებოდა: თვალბში ცეცხლი ჩასდგომოდა, ტუჩებზე, მოშიშვლებულ ყელზე, მთელ სახეზე ალმური ასდიოდა. იესომ რომ დაინახა, როგორ ეხვეოდა და კოცნიდა პეტრე მებაჟეს, გული დაუამდა და მაგდალინელს გადაულაპარაკა:

- აი, ესაა სასუფეველი ცათა.

მერე ლაზარეს მიუახლოვდა, იმანაც მოიწადინა ფეხზე მდგომი შეჰგებებოდა, მაგრამ თირკმელები ისე საშინლად სტკიოდა, წელი ვერ აითრია და ისევ დაჯდა. თითები კი შეახო უღონოდ იესოს ხელს. მასაც გააჟრჟოლა. გათოშილი და შავი იყო ლაზარეს ხელი და მიწის სუნი ასდიოდა.

იესო კვლავ გარეთ გავიდა, რათა ჰაერი ჩაესუნთქა. მკვდრეთით აღმდგარი ჯერ კიდევ სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე იდგა, ღმერთს ჯერ კიდევ ვერ დაეძლია მასში ლპობა. სიკვდილი არსად გამოვლენილა ისეთი ძალმოსილებით, როგორც ლაზარეს სხეულში გამოვლინდა და იესოც შიშმა და მწუხარებამ მოიცვა.

იღლიაში საქსოვამოჩრილი მოხუცი სალომე იესოს მიუახლოვდა, ფეხის წვერებზე შედგა, რომ ჩაეჩურჩულებინა:

- მოძღვარო.. — და ისიც დაიხარა, უკეთ რომ გაეგონა.

- თქვი, სალომე...

- მოძღვარო, როცა ტახტზე ახვალ, ერთი თხოვნა უნდა შემისრულო. ხომ დაგიმტკიცეთ უკვე ერთგულება...

- თქვი, დედაკაცო, - გაამხნევა და თანაც გული მოეწურა. ნეტავ როდის შეიგნებენ ადამიანები, რომ კეთილი საქმის წილ საზღაურს არ გამოელოდნენ?

- ამას გთხოვ ახლა, როცა ტახტზე ახვალ, შვილო, მარჯვნივ იოანე მოისვი, მარცხნივ კი — იაკობი, ჩემი ვაჟები...

იესომ ტუჩზე იკბინა, რომ არაფერი წამოსცდენოდა და თვალი დახარა.

- გაიგონე, შვილო? იოანემ...

იესომ ერთი შეხედა და ადგილი მოინაცვლა. ჭრაქის გვერდით ჩამოდგა, მათე შეამჩნია, რომელსაც მუხლებზე ედო გაშლილი დავთარი, თვალდახუჭული შთაგონებას მისცემოდა, ჯერ კიდევ მასში ჩაძირულიყო, რაც წაიკითხა.

- მათე, — წყნარად გასძახა იესომ, — მაჩვენე შენი დავთრები! რა ჩაგიწერია?

იმანაც სიხარულით გაუწოდა თავისი ნაწერები და უთხრა:

- ჩემო მოძღვარო, აქ მომავლის ადამიანებს ვუამბობ შენი ცხოვრებისა და საქმეების შესახებ.

იესომ ჭრაქის შუქთან ჩაიმუხლა და კითხვა დაიწყო.

პირველივე სიტყვებმა შეაშფოთა. სწრაფად კითხულობდა, გამალებით ფურცლავდა დავთარს, სახე აუჭარხლდა, მათე მას კრძალვით შესცქეროდა, კუთხეში მოკუნტულიყო და გული გამალებით უცემდა. იესო ფურცლავდა, ისევ ფურცლავდა გაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით, თუმცა მეტს ვეღარ გაუძლო, ფეხზე წამოხტა, მათეს სახარება გაშმაგებულმა მოისროლა.

- ეს რა არის? — შეჰყვირა, — სიცრუეს სიცრუე! სრული სიცრუე! მესიას არ სჭირდება სასწაულები, თავადაა სასწაული, სხვა სასწაული მას არ სჭირდება! მე ნაზარეთში დავიბადე და არა ბეთლემში, არასოდეს დამიდგამს ფეხი იქ და არც მოგვები მახსოვს, ეგვიპტეშიც არასოდეს წავსულვარ და ეს, აქ რომ წერ, თითქოს მტრედმა ნათლობისას ჩემ შესახებ ასე შესძახა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი“ — შენ ვინ გითხრა, ვინ განგიცხადა? მე იქ ვიყავი, არაფერი გამიგონია და შენ, რომ არც კი ყოფილხარ იქ, საიდან შეიტყვე ეს სიტყვები?

- ანგელოზმა მამცნო, — მიუგო აცახცახებულმა მათემ.

— ანგელოზმა? და რომელმა ანგელოზმა?

- მან, რომელიც ყოველ სადამოს მოდის ხოლმე, როგორც კი კალამს ავიღებ ხელში, ჩამომიდგება და ჩამჩურჩულებს, მკარნახობს, რა და როგორ დავწერო.

- ანგელოზი გკარნახობს? — ჩაეძია შეძრწუნებული იესო, - ნუთუ ანგელოზი გკარნახობს იმას, რასაც აქ წერ?

მათე გამხნევდა და თქვა:

- დიახ, ანგელოზი! ხანდახან კიდევ ვხედავ ხოლმე, მაგრამ მეტწილად მისი ხმა ჩამესმის. ბაგეს მარჯვენა ყურთან მომიახლოებს, ვგრძნობ როგორ შემეფარებს ხოლმე ფრთებქვეშ და მიმსუბუქებს წერას, თუმცა მე კი არ ვწერ, სიტყვა-სიტყვით გადმომაქვს, რასაც მკარნახობს. აბა, ჩემით რანაირად მოვიფიქრებდი ყველა ამ სასწაულს?

- ანგელოზი? - ახლა თავისთვის ჩაილაპარაკა იესომ და ფიქრს მიეცა.

ბეთლემი, მოგვები, ეგვიპტე, შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი... და ნუთუ ეს ყოველივე ჭეშმარიტი სიმართლეა? ნუთუ ესაა ჭეშმარიტების უმაღლესი საფეხური, რომელზეც

მხოლოდ ღმერთი სუფევს? და თუ ის, რაც ჩვენ ჭეშმარიტება გვგონია, ღვთისთვის ტყუილია, მაშინ?

დუმდა. დაიხარა, ფრთხილად წამოკრიფა ნაწერები და მათეს დაუბრუნა. მანაც კვლავ გადაახვია ისინი ძვირფას თავსაბურავში და უბეში ჩამალა.

- წერე, რასაც ანგელოზი გიკარნახებს, - თქვა იესომ, - მე უკვე... - თუმცა გადაიფიქრა, აღარ დაუსრულებია აზრი.

მოწაფეები ისევ ეზოში იყვნენ, იუდას შემოჰხვეოდნენ და ეკითხებოდნენ, თუ რისთვის მიიხმომ პილატემ იესო თავისთან. მაგრამ იუდამ ზურგი აქცია მათ, ეზოდან გავიდა და ჭიშკრის წინ განმარტოვდა. დასანახავად ეზიზღებოდა ისინი, უკვე მათი მოსმენაც აღარ შეეძლო. მას მხოლოდ იესოსთან განდობა სურდა, საზარელმა საიდუმლომ ისინი ერთმანეთს შეანივთა და დანარჩენებისგან განაცალკევა. იუდა ხედავდა, როგორ შთანთქავდა ღამე მთელ სამყაროს. მის თავს ზემოთ პირველი მანათობელი ვარსკვლავები აკიაფდნენ. - „ღმერთო ისრაელისა, - გულს ასკდებოდა, — დამეხმარე, რომ არ შევიშალო“

შეშფოთებულმა მაგდალინელმა იუდას მიაგნო და გვერდით ამოუდგა. იუდამ სცადა გასცლოდა, მაგრამ მაგდალინელი სახელოზე მოეჭიდა და შეაჩერა.

- იუდა, - უთხრა, - შეგიძლია გამანდო საიდუმლო, ხომ კარგად მიცნობ!

- რა საიდუმლო? პილატეს უნდოდა მისთვის ეთქვა, რომ ფრთხილად იყოს: კაიაფას...

— არა, ეგ არა, კარგად უწყი, რომ მეორე საიდუმლოზე გეუბნები.

- რომელ მეორე საიდუმლოზე? ისევ ცეცხლი მოგეკიდა, მაგდალინელო? ნაკვერჩხლებს მიგიგავს თვალები.

თქვა და უგულოდ გაიცინა. მაგდალინელმა კი თავსაფრის კუთხე შეიკეცა.

- რატომ უნდა აერჩიე მაინცდამაინც შენ, - ჩურჩულებდა, - რატომ, იუდა ისკარიოტელო?

ახლა კი ჟღალწვერას ჩაუდგა რისხვა თვალებში და მაგდალინელს მკლავში წაავლო ხელი.

- აბა, ვის ამჯობინებდი, მარიამ მაგდალინელო? ცხრაპარასკევა პეტრეს ხომ არა? ან იქნებ კეთილშობილ იოანეს? ეგებ სულაც გინდოდა, რომ ქალი აერჩია? მე ვარ უდაბნოს კაჟი, მხოლოდ მე გავუძლებ, ამიტომაც გამომარჩია!

მაგდალინელს თვალები ცრემლით აევსო:

- მართალი ხარ, ქალი ვარ, საბრალო და უსუსური არსება... - წაიბუტბუტა, ისევ სახლში შევიდა და საცეცხლეში მოზრდილი ჯირკი შეაგდო.

მართამ სავახშმოდ სუფრა გაშალა. მოწაფეები ეზოდან შემოლაგდნენ და მაგიდას შემოუსხდნენ. ლაზარეს ქათმის წვნიანი შეერგო, სისხლად ქცეოდა,

მოფერიანებულიყო. ჰაერის, სითბო საკვების წყალობით, მისი ხრწნადი სხეული ნელ-ნელა მკვრივდებოდა და ძლიერდებოდა.

შიდა კარი გაიღო და აჩრდილივით მობარბაცე, ფერმიხდილი მოხუცი რაბინი შემოვიდა, თავის სამღვდლო კვერთხს მთელი ტანით დაყრდნობოდა, რადგან მუხლები უკვე ღალატობდნენ, სხეულის სიმძიმეს ვეღარ უძლებდნენ. იესოს გახედა, ანიშნა — მინდა დაგელაპარაკოო, ისიც ადგა, ხელი მოჰკიდა, ლაზარესთან მიიყვანა და გვერდით ჩამოუსვა

- რაბი, — უთხრა, - მეც შენთან საუბარი მწადია,

- დღევანდელის გამო უნდა გისაყვედურო, შვილო ჩემო, - თქვა მოხუცმა რაბინმა და მკაცრ მზერაში სითბო ჩაეფინა, - დასამალი არაფერია, დაე, ქალებმაც გაიგონონ და კაცებმაც და ლაზარემაც, აკლდამიდან რომ აღსდგა და უკვე ისედაც ეზიარა ბევრ საიდუმლოს... ყველამ მომაპყარით ყური და განსაჯეთ.

- ადამიანებს რისი განსჯის უნარი აქვთ? — უპასუხა იესომ, - ამ სახლში ერთი ანგელოზი დაბუდებულა და ის გვისმენს. თუ არ გჯერა, ჰკითხე მათეს. დაე, მანვე განსაჯოს! რა უნდა მისაყვედურო მაინც, რაბი?

- რად აიჩემე წმინდა რჯულის მოსპობა? აქამდე ხომ შენც იმდაგვარად მიაგებდი მას პატივს, როგორც ვაჟიშვილი უნდა უდასტურებდეს პატივისცემას თავის მოხუც მამას. დღეს, ტაძრის წინ კი, შენი საკუთარი ალამი ააფრიალე. ხვდები მაინც, სადამდე მიგიყვანს ასეთი ამბოხი?

- სადამდე და სიყვარულამდე, რაბი! ღმერთის ფერხთა ქვეშ! იქ ჩადგება და დაივანებს ჩემი გულიც.

- ნუთუ იქამდე წმინდა რჯული ვერ მიგიყვანს? არ განსოვს, რას გვიამბობს წმინდა წერილი? სანამ იგი სამყაროს შექმნიდა, 914 თაობით ადრე დაიწერა ჩვენი რჯული. მაგრამ არა პერგამენტებზე, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდნენ ცოცხალი არსებები, რომ მათი ტყავი დასაწერად გამომდგარიყო; არც ხეზე, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდნენ ხეები; და არც ქვებზე, მაშინ არც ქვები არსებობდა! არამედ უფლის მარცხენა მკლავზე, თეთრ ცეცხლზე დაიწერა შავი ალით. და ამ რჯულის თანახმად შექმნა ღმერთმა სამყარო!

- არა! არა! — შეჰყვირა იესომ, რადგანაც მეტი აღარ შეეძლო, - არა! არა!

მოხუცმა რაბინმა მზრუნველად მოჰკიდა ხელი:

- ასე რატომ გაჰყვირი, შვილო ჩემო?

იესომ დაირცხვინა. თითქოს აღვირი გასნლტომოდეს ხელიდან, სულის მოთოკვა ვეღარ შეძლო. თითქოს თხემიდან ტერფებამდე იარები სწვავსო - სადაც უნდა დაგეკარებინათ ხელი, როგორ სათუთადაც უნდა შეხებოდით, გაჰყვიროდა, რადგან სტკიოდა.

ყვირილისაგან რომ დაიქანცა და ცოტათი დამშვიდდა, მოხუც რაბინს ხელზე შეეხო და მორიდებით უთხრა:

- წმინდა წერილი... წმინდა წერილი, რაბი, ახლა ჩვენი გულის ფურცლებია. ყველა სხვა ფურცელი უკვე დავხიე!

მაგრამ როგორც კი ეს თქვა, მაშინვე ინანა:

- არა, მე არა... მე კი არა... — ჩაიჩურჩულა, - ღმერთმა დახია, რომელმაც გამომგზავნა.

მოხუცი რაბინი იესოს გვერდით იჯდა, მის მუხლებს ეხებოდა და გრძნობდა, როგორ ასდიოდა სხეულს ცეცხლოვანი, საშინელი რაღაც ძალა და როდესაც უეცრად ღია ფანჯრიდან ძლიერმა ქარმა დაჰბერა და ჭრაქი ჩააქრო, რაბინმა ოთახის შუაგულში იხილა ცეცხლის სვეტივით ერთიანად გაბრწყინებული მარიამის ძე, რომელიც სრულ წყვილიად ანათებდა. თვალი მოავლო, მარჯვენა და მარცხენა მხარეს ისევ ხომ არ ედგნენ მოსე და ელია, მაგრამ ვერავინ დაინახა. იესო განმარტოებულიყო თავის ბრწყინვალეობაში, ლამის სწვდებოდა და წვავდა ლერწმის ჭერს. მოხუცმა რაბინმა კინაღამ შეჰყვირა, რომ იესომ უცებ მკლავები განზე გაშალა, ახლა ჯვარი იყო იგი და ცეცხლის ალი ედებოდა.

მართა წამოდგა, ჭრაქი აანთო. ყველაფერი კვლავ მწყობრში ჩადგა, იესოც ისევ ისე, თავჩაქინდრული იჯდა და ფიქრობდა. რაბინმა კვლავ მიმოიხედა, არავის არაფერი დაუნახავს წყვილიადში, ყველა სუფრას შემოსხდომოდა და მშვიდად ელოდებოდნენ ვახშამს. „ღმერთს ვყავარ ჩაჭერილი, - გაიფიქრა რაბინმა, - და მათამაშებს. შვიდი საფეხური აქვს ჭეშმარიტებას. საფეხურიდან საფეხურზე დამატარებს და თავბრუს მახვევს.“

იესოს არ შიოდა და სავანშიმოდ არ დამჯდარა. არც რაბინი გაჰკარებია სუფრას. ლაზარეს ჩამოუსხდნენ, თვალები მძინარესავით რომ დაეხუჭა, სინამდვილეში კი — არ ეძინა, ფიქრობდა... მეტავ რას ნიშნავდა ის სიზმარი, რომელიც ნახა: თითქოს მოკვდა, თითქოს დამარხეს და უეცრად შემოესმა საზარელი ხმა: „ლაზარე, გამოდი გარეთ!“, ისიც სუდარაშემოხვეული გამოვიდა - და გაელვიდა? და სუდარაში გამოხვეულს გამოელვიდა, ზუსტად ისე, როგორც სიზმარში? მაგრამ იქნებ ცხადი იყო? იქნებ მოკვდა მართლაც და იმქვეყნად იმოგზაურა?..

მოხუცი რაბინი იესოს მიუბრუნდა:

- რად გამოიყვანე აკლდამიდან, შვილო ჩემო?

- არ მინდოდა, - მიუგო იესომ ხმადაბლა, - არ მინდოდა რაბი. როცა ვინილე, როგორ გადაიწია საფლავის ლოდი, მეც შევშინდი. გაქცევა მინდოდა, მაგრამ შემრცხვა. იქ დავრჩი და შიშისაგან ვკანკალებდი.

- ყველაფერს გავუძლებ, - თქვა რაბინმა, - ყველაფერს, გარდა იმ სიმყრალისა, გახრწნილ სხეულს რომ დაჰკრავს. მეც მინახავს ერთი საზარელი სხეული, ჯერ ცოცხალი რომ იყო, ჭამდა, ლაპარაკობდა, ოხრავდა, მაგრამ იხრწნებოდა - მეფე ჰეროდე. წყეული, ჯოჯოხეთური სული იყო იგი! ის ქალი მოკლა, ვინც უყვარდა - მშვენიერი მარიანა, ერთგული მეგობრები გაიმეტა, თავისი სარდლები და ვაჟებიც დახოცა. სამეფოს მბრძანებლობა მოიპოვა, ციხე-კოშკები, სასახლეები, ქალაქები ააგო და იერუსალიმის წმინდა ტაძარიც, სოლომონის ძველ ტაძარზე უფრო მდიდრული.

ქვებზე, რკინაზე, ოქროზე ღრმად ამოკვეთა თავისი სახელი. უკვდავება ეწადა, მაგრამ უეცრად, დიდების მწვერვალზე მყოფს ღმერთი სწვდა ყელში და მაშინვე ლპობა იწყო. შიმშილს ვერ იოკებდა, სულ ჭამდა, მაგრამ ვერ ძლებოდა. გამოწვლილი შიგნეული მყრალ ჭრილობად ექცა და უსაშველო ტკივილისგან ისე ღრიალებდა, რომ ღამდამობით ტურებსაც კი აფრთხობდა და შიშისაგან კანკალებდნენ. მუცელი, ფეხები და ილღიები დაუსივდა. მატლები გამოუფუთფუთდა ასოდან და პირველად სწორედ იგი დაუღპა. და ისეთი მყრალი სუნი ასდიოდა, რომ ახლოს ვერ გაეკარებოდი. მონებს გული მისდიოდათ, იორდანესთან ახლოს, კალიროს თბილ წყლებზე წაიყვანეს, მაგრამ ვერაფერი ეშველა. გამთბარ ზეთში ჩასვეს, მაგრამ უარესი დაემართა, მაშინ სახელი უკვე განთქმული მქონდა, რომ სნეულებს ვკურნავდი და მეფის ყურამდეც მიაღწია ამ ხმამ, მიმიხმო. იერიქონში ჰყავდათ იგი, ბაღში გაეყვანათ. იერუსალიმიდან იორდანემდე აღწევდა მისი აქოთებული სუნი. პირველად რომ მივუახლოვდი, გული შემიწუხდა. მალამოები შევუზავე და წავუსვი, შეუმჩვენლად თავი ჩავწიე, გული ამერია. გავიფიქრე. „კი მეფეა, მაგრამ ესაა ადამიანი — სიმყრალე და ჭუჭყი და ამ დროს სული სად არის, რომ ყველაფერი განწმინდოს-მეთქი?“

რაბინი ხმადაბლა ლაპარაკობდა, სხვებს ჭამის დროს რომ არ გაეგონათ მისი ნაამბობი. იესო კი იჯდა მოკუნტული, სასოწარკვეთილი და უსმენდა. ზუსტად იმაზე ფიქრობდა, რომ რაბინისთვის ეთხოვა, ამ საღამოს მასთან სიკვდილზე ესაუბრა, ცოტა გაემხნეებინა. უკვე დრო იყო სიკვდილს გაშინაურებოდა, მისჩვეოდა. მაგრამ ახლა... სცადა, ხელის აწევით ენიშნებინა რაბინისთვის გაჩუმებულიყო, უნდოდა დაეყვირა: კმარა! მაგრამ რაღა გააჩერებდა მას! ჩქარობდა, რომ მთელი სიმყრალე, მთელი სიბინძურე ამოეთქვა, მეხსიერებიდან მოეშოთ და განწმინდილიყო!

- სულ ამო იყო ის მალამოები, ისინიც მატლებმა მოინეღეს. მაგრამ კიდევ ერთი დემონი იჯდა ამ სიმყრალის ტახტრევანზე და ჰეროდე მისი კარნახით ბრძანებებს გასცემდა: მდიდარნი და ძალმოსილნი ისრაელისა თავის ეზოში შეაკრებინა და გამომწყვდია. კვდებოდა და თავის დას – სალომეს შეჰყვიროდა: როგორც კი სული აღმომხდება, ყველანი დახოცე, უკლებლივ! ჩემი სიკვდილით რომ ვერ გაიხარონო. მოკვდა. დიდი ჰეროდე, იუდეის უკანასკნელი მეფე მოკვდა! მე კი ხეივანის მიღმა სიხარულისგან ვხტოდი. იუდეის უკანასკნელი მეფე მოკვდა, დადგა ის მადლმოსილი ჟამი, რომელსაც მოსე თავის მცნებაში წინასწარმეტყველებდა: „და მოვა ბოლოს მეფე, მფლანგველი და დავრდომილი. მისი ძენი კი უღირსნი იქნებიან, და შემოვა უცხო ლაშქარი და ერთი მეფე დასავლეთიდან, რათა წმინდა მიწა დაიპყროს. და ეს იქნება ბოლო ჟამი!“ ამას ამბობს მოსე წინასწარმეტყველი, ყველაფერი უკვე აღსრულდა, ბოლო ჟამი დადგა!

იესო შეკრთა, პირველად გაიგონა ეს წინასწარმეტყველება.

— ეს სად ამოიკითხე? - წამოიძახა, - ვინ არის წინასწარმე ტყველი?

- არცთუ დიდი ხნის წინათ, პერგამენტს გადააწყდნენ ქვევრში, იუდეის უდაბნოს ერთ-ერთ გამოქვაბულში. ვიღაც ბერმა იპოვა იგი, გაშალა და წითელასოებიანი სათაური ამოიკითხა: „მოსე მცნება“. სანამ დიდი პატრიარქი აღესრულებოდა, იხმო თურმე თავისი მემკვიდრე — ისუ ნავეს ძე და უკარნახა ის,

რაც მომავალში მოხდებოდა. და აჰა, ის ჟამიც დამდგარა, რომელიც მან იწინასწარმეტყველა: ის დავრდომილი მეფე ჰეროდე იყო, უცხო ლაშქარი – რომაელები, რომლებიც ახლა გვმბრძანებლობენ, ბოლო ჟამი კი, თუკი კარგად დაუკვირდები, დაინახავ, რომ კარზეა მომდგარი!

იესო წამოდგა, აღელვებული ადგილს ველარ პოულობდა. თანამგზავრებს გახედა, მაღიანად რომ შეეჭყედნენ ვახშამს და გარეთ გავიდა. მაღლა აიხედა: დიდი მწუნარე მთვარე ამოიწვერა მოაბის მთებიდან. სადაცაა აღივსებოდა, სავსემთვარეობა დადგებოდა და პასექსაც მოიყოლებდა.

თითქოს პირველად ეხილოს მთვარე, ისე უყურებდა - გაოგნებული. რა იყო იგი, მთებიდან რომ ამოდოდა, ძაღლებს აფრთხობდა, მოფარებულში შეიყუჩებოდნენ და იქიდან შეჰყეფდნენ? ასე შიშისმომგვრელად ამოდის უდაბნოშიც და შხამს ანთხევს. ამ დროს ადამიანის გულიც შხამით ივსება ხოლმე. იესომ იგრძნო, რომ ყვრიმალებს, კისერს, ხელებს რაღაც შხამიანი ენა ულოკავდა, სინათლეში ჰხვევდა მის სახეს, სხეულს კი – თეთრ სუდარაში.

იოანეს გულმა უგრძნო, რომ მოძღვარს რაღაც ტკივილი ღრღნიდა და დაედევნა. ეზოში რომ გავიდა, იხილა იგი – მთვარის შუქში გახვეულიყო.

- რაბი, - მოწიწებით მიმართა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა.

იესო შემობრუნდა, დააკვირდა, თუმცა მის წინ მდგომი უწვერული ჭაბუკი გაქრა და მის მაგივრად ვინმე წმინდა მოხუცი იდგა ახლა ეზოს შუაგულში, მთვარის შუქზე; ჯერაც დაუწერელი წიგნი გადაეშალა ცალ ხელში, მეორეში კი ეჭირა კალამი, როგორც წვერწამახული შუბი. უსპეტაკესი წვერი მუხლებამდე სცემდა.

- ჭექა-ქუხილის ძეო, - შესძახა ამელვარებულმა იესომ, - აღწერე: მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და დასასრული, ყოვლის მპყრობელი! საყვირივით ხმა ხომ ჩაგესმა?

იოანე შიშმა შეიპყრო. მოძღვარს გონება აერია. იცოდა, რომ მთვარე ათრობდა, ამიტომაც გამოჰყვა ეზოში, რათა ისევ შიგნით შეეყვანა. მაგრამ ვაი, რომ დაგვიანებულიყო. ძალზე დაგვიანებულიყო!

- მოძღვარო, — ჩაულაპარაკა, — მე ვარ, იოანე, შენი საყვარელი იოანე ვარ! სჯობს შეგბრუნდეთ, ლაზარეს სახლს ვსტუმრობთ...

- დაწერე! — ისევ ბრძანებით წარმოთქვა, — და ვიხილე შვიდი ანგელოზი, რომლებიც იდგნენ ღმერთის წინაშე, და მიეცა მათ შვიდი საყვირი. მაშინ მოვიდა სხვა ანგელოზი, რომელიც დადგა საკურთხევლთან, და ჰქონდა სასაკმევლე ოქროსი; და მიეცა დიდძალი საკმეველი, რათა ყველა წმიდის ლოცვასთან ერთად ტახტის წინ, საკურთხევლზე დაედო იგი. და ავიდა საკმევლის კვამლი წმიდათა ლოცვებთან ერთად, ანგელოზის ხელით, ღმერთის წინაშე. აიღო ანგელოზმა სასაკმევლე, აავსო იგი საკურთხევლის ცეცხლით და გადმოათხია მიწას; და იქმნა გრგვინვა და გრიალი, ელვა და მიწისძვრა. და შვიდი ანგელოზი, რომელთაც ჰქონდათ შვიდი საყვირი, გაემზადა საყვირთა ჩასაბერად. პირველმა ჩაჰბერა და იქმნა სეტყვა და ცეცხლი, სისხლში არეული, თავს დაატყდა მიწას და ხეთა მესამედი დაიწვა და მთელი ბალახი გადაიბუგა. მეორე ანგელოზმა ჩაჰბერა და თითქოს უზარმაზარი მთა, ცეცხლით

მოლაპლაპე, ჩავარდა ზღვაში, და ზღვის მესამედი სისხლად იქცა. და ამოწყდა სულდგმულთა მესამედი, ზღვაში მცხოვრები, და ხომალდთა მესამედი დაიღუპა. მესამე ანგელოზმა ჩაჰბერა და ჩამოვარდა ზეცით ლამპარივით მოელვარე ვეება ვარსკვლავი და დაეცა მესამედს მდინარეთა და წყაროებს წყალთა. ხოლო სახელად ვარსკვლავისა ითქმის აფსინთი, და წყლის მესამედი აფსინთად იქცა, და ურიცხვი ხალხი ამოწყდა წყალთაგან, რადგანაც მწარენი გახდნენ. მეოთხე ანგელოზმა ჩაჰბერა და მოიწყლა მესამედი მზისა, მესამედი მთვარისა და მესამედი ვარსკვლავებისა და დაბნელდა მესამედი მათი; და აღარ ნათობდა მესამედი დღისა, ისევე, როგორც ღამის. მეხუთე ანგელოზმა ჩაჰბერა და ვიხილე ვარსკვლავი, რომელიც ზეცით ვარდებოდა ქვეყნად, და მიეცა მას გასაღები უფსკრულის ჭისა; გააღო უფსკრულის ჭა და ამოვარდა კვამლი ჭიდან, როგორც ვეება ღუმელის კვამლი, და დაბნელდა მზე და ჰაერი ჭის კვამლისაგან. გამოვიდა კვამლიდან კალიის გუნდი ქვეყნად, და მიეცა მას ხელმწიფება, მსგავსი იმისა, როგორიცა აქვთ მიწის მორიელთ. ხოლო კალიები გარეგნობით ცხენებსა ჰგვანდნენ, საომრად გამზადებულთ, და თავს ედგათ გვირგვინი, როგორც ოქროსი; და სახე მათი, როგორც სახე კაცთა. მათი თმა დედათა თმას მოგაგონებდათ, კბილები კი მიუგავდათ ღოჯებს ლომისას. ტანთ ეცვათ ჯაჭვნი, როგორც რკინისანი, და მათი ფრთების ხმა, როგორც ცხენმრავალ ეტლთა გრიალი, რომელნიც მიჰქრიათ საომრად. მეექვსე ანგელოზმა ჩაჰბერა და...

მაგრამ იოანეს ყოველივე ამის მოსმენისას, ძალა აღარ შესწევდა, ტირილი აუვარდა და იესოს ფეხებში ჩაუვარდა:

- მოძღვარო, – ემუდარებოდა, – მოძღვარო, გაჩუმდი... ნურაფერს იტყვი, მოძღვარო...

იესო ტირილის მწუხარე ხმამ შეაკრთო, დაიხარა, ფერხთით საყვარელი მოწაფე რომ დაინახა, უთხრა:

- იოანე, საყვარელო, რა გატირებს?

იოანეს მოერიდა ეღიარებინა, რომ მყისიერად მთვარის შუქმოფენილ მოძღვარს გონება აერია.

- მოძღვარო, — უთხრა, – დავბრუნდეთ ჩვენებთან რაბინი გკითხულობს და მოწაფეებიც ღელავენ.

- და შენ ამიტომ მწუხარებ, იოანე, საყვარელო? როგორც გენებოს!

შიგნით რომ შევიდა, კვლავ მოხუცი რაბინის გვერდით დაჯდა. მოქანცულ ბერიკაცს დაბუჟებული ხელები გაოფლიანებოდა - ეწვოდა, თანაც შეშფოთებით აკვირდებოდა მას.

- შვილო ჩემო, მთვარეს ნუ შეხედავ, — ურჩია და ოფლით დაცვარული ხელი მოჰკიდა, — ნათქვამია, იგი სატანის რჩეული საყვარლის – ღამის რძემდინარი ძუძუ არისო.

მაგრამ იესოს გონებიდან სიკვდილი არ სცილდებოდა.

- რაბი, - მიმართა, - მგონი, სიკვდილზე რაც თქვი, მცდარია. სიკვდილს ჰეროდეს სახე არ აქვს. არა, იგი თვითონვეა ძლევამოსილი, ღმერთის კლიტემპსურობელია და ის ალებს კარიბჭეს. რაბი, სხვაგვარი სიკვდილიც ხომ გსმენია, მანუგეშე!

მოწაფეებს უკვე ევახშმათ, საუბარი შეწყვიტეს და მათკენ მიდრიკეს ყური. მართამ მაგიდა აალაგა, ორივე მარიამი კი იესოს ფეხთით მიუყუჟლნი, დროდადრო და შეფარვით ერთიმეორის მკლავებს, მკერდს, თვალებს, ტუჩებს და თმას უყურებდნენ, შეშფოთებულნი ერთმანეთის სილამაზეს ამოწმებდნენ.

- შვილო ჩემო, - თქვა რაბინმა, - მართალი ხარ. ურიგოდ ვილაპარაკე ღმერთის შავ მთავარანგელოზზე. იგი ყოველთვის მომაკვდავის სახეს მიიღებს ხოლმე: თუკი ჰეროდე კვდება, ისიც ჰეროდედ იქცევა, მაგრამ თუკი ვინმე წმინდანი კვდება, მისი სახეც მზესავით ბრწყინავს. იგი დიდი მთავარია, თავისი ეტლით მოელავს, წმინდანს მიწიდან გამოიხსნის და ცაში აჰყავს. ადამიანო, თუ გინდა შენი მარადიული სახე იხილო, შეხედე, როგორ მოგევლინება უკანასკნელ წამს იგი - სიკვდილი.

ყველა ხმაგაკმენდილი უსმენდა რაბინს და კარგახანს, თავ-თავიანთ სულებს მოიხილავდნენ გონებაში. მდუმარებამ მოიცვა ისინი, თითოეული მათგანი ცდილობდა საკუთარი სიკვდილი შეეცნო. ბოლოს იესომ თქვა:

- რაბი, როცა თორმეტი წლისა ვიყავი, სინაგოგაში გისმენდი, როგორ უამბობდი ნაზარეველებს ესაია წინასწარმეტყველის წამებისა და სიკვდილის ამბავს. მაგრამ მრავალი წელი გავიდა და კიდევ დამავიწყდა. ახლა საოცრად მომინდა, ისევ მოვისმინო მისი ამბავი, რათა სული დავიმშვიდო და სიკვდილსაც დავუზავდე. თან ძალიან შემეშფოთა სული ჰეროდეს სიკვდილის ამბავმა, რაბი.

- ამ საღამოს სიკვდილი რატომ ამოიჩემე, შვილო? ეს იყო შენი სათხოვარი?

- დიახ! ამაზე დიდი სათხოვარი არ გამაჩნია!

და მოწაფეებს მიუბრუნდა:

- სიკვდილი ნუ შეგაშინებთ, ძმებო! დალოცვილია იგი! უიმისოდ განა შევძლებდით ღმერთთან სამუდამოდ მიახლებას? ჭეშმარიტად გეტყვი, იგი არის კლიტემპსურობელი და ის შეალებს კარიბჭეს!

მოხუცმა რაბინმა გაკვირვებით შეხედა.

- იესო, როგორი სიყვარულით ლაპარაკობ სიკვდილზე? რა ხანია ასე თბილად და ტკბილად არაფერზე გილაპარაკია.

- ესაიას სიკვდილზე გვიამბე და მიხვდები, რომ არ ვცდები.

მოხუცმა რაბინმა გვერდზე გაიწია, ლაზარეს რომ არ შეხებოდა;

- ურჯულო მეფემ - მანასემ დაივიწყა მამამისის, ღვთისმოსიში ეზეკიას მცნებანი, მასში სატანამ დაიბუდა და დაიპყრო. მანასეს აღარ შეეძლო მოესმინა ღვთის ხმა ანუ ესაიას ხმა, ამიტომაც მთელ იუდეაში მკვლელები დაგზავნა, რომ მისთვის ყელი გამოეჭრათ და ველარ ეყვირა, ესაია კი ბეთლემში, ერთი ვეება კედრის ფულუროში იმალებოდა, მარხულობდა და ლოცულობდა, რათა ღმერთს ისრაელი შებრალებოდა

და გამოეხსნა. ერთ დღეს, ურჯულო სამართელმა ჩამოიარა, ესაია ლოცულობდა და ფულუროდან ხელი გამოუჩნდა. ურჯულო სამართელმა დაინახა თუ არა, მაშინვე მეფესთან გაიქცა, დაასმინა, შეიპყრეს წინაწარმეტყველი და მიჰგვარეს მას, „მოიტანეთ ბირდაბირი, რომლითაც ხეებს ჭრიან და გახერხეთ იგი“ - ბრძანა წყეულმა მეფემ. ძირს გააწვინეს ესაია, ორი კაცი ჩაეჭიდა ბირდაბირის სახელურებს აქეთ-იქიდან და ხერხვა დაიწყეს. „უარყავი შენი წინასწარმეტყველებანი, - ჩასძახოდა მეფე, - თუ გინდა, რომ სიცოცხლე გაჩუქო!“ მაგრამ ესაია უკვე თითქმის სამოთხის კართან იყო და მიწიერი ხმები აღარ ესმოდა. „უარყავ ღმერთი! - კვლავ შეჰყვირა მეფემ, - და ვაიძულებ ჩემს ხალხს, რომ შენ წინაშე დაემხონ და თაყვანი გცენ!“ „შენ სხვა ძალა არ შეგწევს, - მიუგო წინასწარმეტყველმა, — გარდა იმისა, რომ ჩემი სხეული მოაკვდინო. ჩემს სულს კი ვერ შეეხები, ვერც ხმას ჩამიხშობ, რადგან ორივე უკვდავია: ერთი ღმერთთან დაივანებს, ხოლო მეორე კი — ჩემი ხმა - არასოდეს ჩაწყდება დედამიწაზე და მარადიულად გამოაფხიზლებს ადამიანებს!“ — თქვა და სიკვდილმაც მყისვე მოაგელვა თავისი ცეცხლოვანი ეტლი, თავზე ოქროს გვირგვინი უბრწყინავდა, შემოიჭრა და ესაია წარიტაცა.

იესო ადგა, თვალები უბრწყინავდა, ცეცხლოვანი ეტლი ელვარებდა მის თავზე.

- მეგობრებო, - თქვა და სათითაოდ შეავლო თვალი მოწაფეებს, - საყვარელო თანამგზავრებო, ყურად იღეთ სიტყვა, რომელსაც ახლა გეტყვით, თუკი გიყვარვართ: მუდამ მღვიძარენი, მუდამ აღჭურვილნი იყავით! ვისაც სანდლები გაქვთ, შეიმოსეთ! ვისაც ხელჯოხები გაქვთ, მოიმარჯვეთ! მზად იყავით დიდი სვლისთვის. აბა, რა არის ეს სხეული? ოდენ სულის კარავია იგი. „კარავს ვკეცავთ და მივეშურებით“ - ყოველ წამს შეგეძლოთ თქმა, - მივდივართ და სამშობლოში ვბრუნდებითო. და სადაა ჩვენი სამშობლო? ზეცაშია იგი!

მეგობრებო, კიდევ ერთი რამ მინდა გახსოვდეთ: როცა ძვირფას საფლავთან აღმოჩნდებით, ნუ იტირებთ! მუდამ გახსოვდეთ დიდ ნუგეშად, რომ სიკვდილი კარიბჭეა უკვდავებისა. სხვა კარიბჭე კი არ არსებობს. და ის, ვინც მოკვდა - თქვენთვის ძვირფასი — კი არ აღესრულა, უკვდავებას ეზიარა!

XXVII

გარიჟრაჟიდან მოყოლებული, მთელი დღის განმავლობაში და უფრო მეტად კი - ღამით, როცა ვერავინ ხედავდა, ქვებსა და მტვერს იცლიდა და ისრაელის მიწიდან ზემოთ ამოდოდა გაზაფხული. სამარიაში შარონის ველი, გალილეაში კი ესდრაელონის დაბლობი სულ ერთ ღამეში მოიქარგა ყვითელგულა გვირილებითა და ველური შროშანებით. იუდეის მწუხარე კლდეებს შორის კი სისხლის მსხვილი წვეთებივით აბრიალდნენ ხანმოკლე მშვენების ფრინტები. ვაზებმაც თვალი გაახილეს, მათ თითოეულ მომწვანო კვირტში ისახებოდა ყურძნის მარცვლები და ჯიშინი მტევნები საბადაგოდ. ყოველი კვირტის გულის სიღრმეში კი ადამიანთა სიმღერა ღვიოდა. თითოეულ ფოთოლს ხომ თავისი მფარველი ანგელოზი დარაჯობს და გაზრდაში ეხმარება: იფიქრებდი, შესაქმის პირველი დღეები ბრუნდება, რომლის დროსაც ღვთის ყოველი სიტყვა ახალშობილ მიწას ეცემა და ნაირგვარი ხეებით, მინდვრის ყვავილებითა და სიხასხასით ამშვენებს.

გათენებულზე, გარიზინის მთის ძირას, იაკობის ჭიდან ისევ აავსო თუნგი სამარიტელმა ქალმა და გახედა გალიელის გზას, თითქოს იმ ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცის გამოჩენას მოელოდა, რათა კიდევ ერთხელ ყური მოეკრა იმისი საუბრისთვის უკვდავების წყლის შესახებ. მხიარულ ქვრივს ამ გაზაფხულისპირას კიდევ უფრო მოეშიშვლებინა ორბორცვიანი, მხურვალე მკერდი.

გაზაფხულის ამ ღამეს ისრაელის უკვდავი სული იერს იცვლიდა, ბულბულად იქცეოდა, ყოველი ებრაელი ასულის სახლის ღია ფანჯარაზე ჯდებოდა, გათენებამდე ჭიკჭიკებდა და დაძინებას არ ანებებდა. „მარტოს რად გძინავს? — შესჭიკჭიკებდა და უწყრებოდა, - როგორ ფიქრობ, რისთვის გიბოძე გრძელი თმა, მკვრივი მკერდი და ჯიშინი თეძოები? ადექი, მოიკაზმე, ფანჯარაში გადმოდექი, დილასისხამზე გადააბიჯე ზღურბლს, თუნგი აიღე და წაგოგმანდი ჭისკენ, თვალი ჩაუკარი დასაქორწინებელ ებრაელ ვაჟებს, გზად რომ შეხვდები, მერე დაოჯახდი და შვილები გამიჩინეო. ბევრი მტერი გვყავს ებრაელებს, მაგრამ მანამ, სანამ ჩემი ასულები შვილებს მიძღვნაინ, უკვდავი ვარ. მძულს ისრაელის მიწის ყამირი, უნაყოფო ხეები და ქალწულებიო.“

იდუმეის უდაბნოში კი, ღმერთშემოსილ ებრონის მთის ძირას, დილაუთენია გამოსულიყვნენ ებრაელი ბავშვები და მესიობანას თამაშობდნენ აბრაამის საფლავთან. ტირიფებისგან მშვილდები მოერკალათ, ლერწმის ისრებს ცისკენ სტყორცნიდნენ და მოუხმობდნენ, ჩამოსულიყო ციდან მახვილალესილი და ოქროს გვირგვინიანი მესია — მეფე ისრაელისა. წმინდა საფლავზე ცხვრის ტყავიც კი გაუფინეს — ტანტრევანი მოუმზადეს, რომ ზედ დაბრძანებულიყო. სიმღერაც მიუძღვნეს და ტაშს აყოლებდნენ, რათა გამოჩენილიყო. და უეცრად, აკლდამის უკან, დოლის ხმა და გამარჯვების ყიჟინა გაისმა, სახეშელებილი უძლეველი მესია კი მედიდურად წარმოდგა. სიმინდის ფოჩების წვერ-ულვაში დაეკოსებინა, ღრიალებდა, ხელთ გრძელი, პალმის რტოსაგან დამზადებული მახვილი ეპყრა და ბავშვების ჯგროს დაერია, იმდენი ურტყა მათ ყელ-კისერზე, სანამ უსულოდ არ მოეფინენ ძირს.

ბეთანიაშიც თენდებოდა, ლაზარეს სახლში დღის სულმა შეაღწია, იესოს კი თვალიც არ მოუხუჭავს მთელი ღამის განმავლობაში. ძალიან გაუხანგრძლივდა ეს გაურკვევლობა, სხვა გზა არ იკვეთებოდა მის წინაშე, გარდა ერთისა – სიკვდილის გზისა. ჩემზე მიუთითებდნენ წინასწარმეტყველნი, რომ მე ვარ ის კრავი, რომელმაც თავის თავზე უნდა აიღოს მთელი სამყაროს ცოდვები და ამ პასეჟის დღესასწაულზე დაიკლას. ჰოდა, ბარემ ერთი საათით ადრე აღსრულდეს! უძლურია ეს სხეული, ვერ ვენდობი, შეიძლება ბოლო წამს შედრკეს, შემეშინდეს, სიმხდალემ მძლიოს. დაე, ახლა, სანამ ჯერ კიდევ ძალა შემწევს მხნედ შევეგებო, დაე, მოვიდეს სიკვდილი... ნეტავ მალე ჩამოდგეს დილა, რომ ტაძარში წავიდე და ერთბაშად ყველაფერს ბოლო მოვუღლო!

გადაწყვეტილება მიიღო და ოდნავ გონებაც დაუმშვიდდა. თვალები დახუჭა, ჩაეძინა და სიზმრად იხილა: თითქოს ზეცა ზღუდეშემოვლებული ნაკრძალი იყო, მტაცებლებით სავსე. თვითონაც ნადირი იყო და მათთან თამაშობდა. დაუდევრად, უცებ ზღუდეს გადმოახტა და მიწაზე ჩამოვარდა. ადამიანებმა დაინახეს თუ არა იგი, იხუვლეს: ქალები კვილს მოჰყვნენ და ქუჩებიდან ბავშვები გახვეწეს, მას რომ არ

დაეფლითა ისინი. კაცებმა ხელთ იგდეს შურდულები, ქვები, ხანჯლები და მოსაკლავად დაედევნენ... დაკოდლი მთლიანად სისხლად იღვრებოდა, ბოლოს კი პირქვე დაემხო მიწაზე და ამ დროს, მის გარშემო მსაჯულები მოგროვდნენ, რათა განესაჯათ იგი. მაგრამ განა ადამიანები იყვნენ? მელები, ძალები, ღორები და მგლები დამდგარიყვნენ მსაჯულებად. სამართალი არკვიეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მაგრამ სწორედ დასასჯელად რომ მიჰყავდათ, უეცრად მოაგონდა, რომ შეუძლებელი იყო მისი მოკვდინება, რადგანაც ზეცის მარადი მხეცი იყო. და როგორც კი ეს გაახსენდა, ერთმა ქალმა ხელი ჩაჰკიდა, მარიამ მაგდალინელი აღმოჩნდა იგი, და ქალაქიდან გაიყვანა, მინდვრებში გავიდნენ: „ნუ წახვალ ცაში! - შეემუდარა - გაზაფხულია, ჩემთან დარჩი...“ მიდიოდ - მიდიოდნენ, სამარიის საზღვარს მიადგნენ და სამარიტელი ქალიც გამოჩნდა, მხარზე თუნგშემოდგმული. გაუწოდა წყალი და შესვა, შემდეგ კი მანაც ხელი მოჰკიდა და წაიყვანა, უხმოდ მიიყვანა გალილეის საზღვრებამდე. და ამ დროს ბებერი, აყვავებული ზეთისხილის ხეების ძირას დედამისი შეიცნო. შავი თავსაბურავი ეხურა და ტიროდა. დაინახა, რომ მის ძეს სისხლი სდიოდა, დაჭრილი იყო, თავს კი ეკლის გვირგვინი ედგა. ყოველივე ამის შემხედვარემ ხელები აღაპყრო და შესძახა: „როგორც მე დამწვი, ისე დაგწვავს ღმერთი! ხალხის ყბაში ჩამაგდე და მთელი ქვეყნიერება დამცინის. სამშობლოს, რჯულს და ისრაელის ღმერთს აღუდექი. ნუთუ არც ღმერთის გეშინია, არც არავისი არ გრცხვენია? არასოდეს გიფიქრია დედაშენზე და მამაშენზე? ჩემი წყევლა გდევდეს თან!“ - თქვა და გაუჩინარდა.

შეშინებულს გამოელვია, ოფლში ცურავდა. გარდიგარდმო მოწაფეები მიწოლილიყვნენ და ხვრინავდნენ. გარეთ, ეზოში მამალმა დაიყვლა. პეტრემ მამლის ყვილზე თვალები ოდნავ გაახილა. დაინახა, რომ იესოს ელვია და ფეხზე იდგა.

- მოძღვარო, — უთხრა, - მამალი სანამ დაიყვილებდა, სიზმარში გიხილე. თითქოს ჯვრისმაგვარი ორი ხე გეჭირა, უეცრად ისინი შენს ხელში ღირად და ხემად გადაიქცნენ, შენც უკრავდი და მღეროდი. სამყაროს ყველა მხარიდან მოდიოდნენ მხეცები, რათა მოესმინათ... რას ნიშნავს ნეტავ? მოხუცმა რაბინმა ეგებ იცოდეს...

- მანდ არ მთავრდება შენი სიზმარი, პეტრე, - მიუგო იესომ, - რატომ იჩქარე გაღვიძება? ეგ სიზმარი სხვაგვარად მთავრდება.

- როგორ სხვაგვარად? ან შენ საიდან იცი, მოძღვარო, ჩემი სიზმრის დასასრული?

- სიმღერის მოსასმენად თავმოყრილი მხეცები მომღერალს დაესხნენ თავს და შეჭამეს.

პეტრეს მოულოდნელობისგან თვალები გაუფართოვდა. რაღაც კი იგუმანა, მაგრამ მაინც ვერ ირწმუნა.

- არაფერი მესმის, - ჯიუტად გაიმეორა.

- მერე გაიგებ, - უპასუხა იესომ, - სულ სხვა დილას, მამალი რომ დაიყვილებს.

ფეხი სათითაოდ წაჰკრა მძინარე თანამგზავრებს.

- გაიღვიძეთ, ზარმაცებო! — დასძახა, - დღეს ბევრი საქმე გვაქვს.

- მივდივართ? – ჰკითხა ფილიპემ და თვალები მოიფშვინტა, – გვიჯობს, გალილეაში დავბრუნდეთ, იქ უსაფრთხოდ ვიქნებით!

იუდამ კბილები დააღრჭიალა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ქალებმაც გაიღვიძეს. მეორე ოთახიდან მათი საუბარი შემოესმათ. მოხუცი სალომე ცეცხლის დასანთებად გამოვიდა, მოწაფეები უკვე ეზოში გაკრეფილიყვნენ და ელოდებოდნენ იესოს, რომელიც ხმადაბლა ესაუბრებოდა რაბინს — უკვე მძიმე ავადმყოფი რომ იწვა ოთახის ერთ კუთხეში.

- საით გაგიწევია, შვილო ჩემო? — ჰკითხა მოხუცმა, - საით უნდა გაილაშქრო? ისევ იერუსალიმში? ისევ ხელი უნდა აღმართო ტაძრის დასანგრევად? შენც უწყი, სიტყვა საქმედ იქცევა ხოლმე, როცა იგი დიდებული სულიდან გამოდის. შენი სული კი დიდებულია და ყველაფერზე პასუხს აგებ, რასაც ამბობ. თუ იტყვი — ტაძარი დაინგრესო, ერთ დღეს იგი მართლაც დაინგრევა, სიტყვები მოზომე!

- ვზომავ ჩემს სიტყვებს, რაბი! მთელ სამყაროზე ვფიქრობ, როდესაც ვლაპარაკობ. კიდევ გამოვარჩევ - რა უნდა ითქვას და რა არა. პასუხისმგებელი ვარ ჩემს სიტყვებზე!

- ნეტავ შემეძლოს მანამ ვიცოცხლო, სანამ საბოლოოდ არ ვირწმუნებ, ვინ ხარ! მეტად დავბერდი, სამყარო მოჩვენებასავით დამტრიალებს თავს და ცდილობს შემოაღწიოს, თუმცა ჩარაზულია ყველა კარი!

- რამდენიმე დღეს უნდა გაძლო, რაბი! პასექამდე სული მიიტანე და ყველაფერს იხილავ... ჯერ არ დამდგარა დრო!

რაბინმა თავი გააქნია.

- როდის მოაწევს ეს დრო? — გულნაკლულად ჩაილაპარაკა, - ღმერთმა დამცინა? აბა, რად არ აღასრულა სიტყვა, რომელიც მომცა? ვკვდები, მე ვკვდები, მაგრამ სად არის, აბა, მესია?

მოხუცი რაბინი იესოს მხრებზე ჩაეჭიდა, მთელი დარჩენილი ძალა მოიკრიბა და შეანჯღრია.

- პასექამდე, რაბი! ნახავ, რომ ღმერთი დანაპირებს აღასრულებს! - მერე მისი ხელებიდან გამოიხსნა თავი და ეზოში გავიდა.

- ნათანიელ, - გასძახა, - და შენც, ფილიპე, გავარდით სოფლის ბოლოში, განაპირა სახლთან მიირბინეთ და იქ, ჭიშკრის ძელზე გამობმულ ვირს დაინახავთ, თავის ჩოჩორთან ერთად. გამოხსენით და აქ მოიყვანეთ. და თუ ვინმე შეგედავოთ - სად მიგყავთო, უპასუხეთ, რომ მოძღვარს სჭირდება და მალე დაგიბრუნებთ-თქო!

- ასე მგონია, კაი შარსაც გადავეყრებით, — წასჩურჩულა ნათანიელმა მეგობარს.

- წავედით! - თქვა ფილიპემ, - რასაც გვეუბნება, გავაკეთოთ და რაც იქნება, იქნება!

მათე დილიდანვე საწერ-კალამს მიმარჯვებოდა, ოთხი თვალი და ოთხი ყური გამოესხა.

„ისრაელის დმერთო, - ფიქრობდა, - ყველაფერი როგორ ისე ცხადდება, ღვთით გასხვივოსნებულმა წინასწარმეტყველებმა რომ გვამცნეს! აი, რას გვაწვდის ზაქარია წინასწარმეტყველი: „იხარებდ ფრიად, ასულო სიონისაო, ქადაგებდ, ასული - იერუსალმისაჲ. აჰა, მეუფე შენი მოვალს შენდა მართალი და მაცხოვარი, თავადი მშვიდი, და მჯდომარე კარაულსა ზედა, და კიცუსა ახალსა. და მოისპოს მშვილდი საბრძოლელი... და ემთავროს წყალთა ვიდრე ზღუადმდე და მდინარეთა მომვლელთა ქუეყანისათა!“

- მოძღვარო, - ჰკითხა მათემ უფრო იმიტომ, რომ გადაემოწმებინა, - გადაღლილი ხარ და ფეხით წასვლა არ შეგიძლია იერუსალიმამდე?

- არა! - მიუგო იესომ, - რატომ გგონია? უცებ მომინდა სახედარზე ამხედრებული წავსულიყავი.

- უმჯობესი არაა, თეთრ ცხენზე ამხედრდე?! — საუბარში ჩაერთო პეტრე, - განა ისრაელის მეფე არა ხარ? სწორედაც თეთრ ცხენზე ამხედრებული უნდა შეხვიდე შენს დედაქალაქში.

იესომ წამით გადახედა იუდას, პეტრეს კი არა მიუგო რა.

ამასობაში მაგდალინელიც გამოვიდა, ზღურბლზე შედგა. მთელი ღამის უძინარს თვალები ეხუჭებოდა. ჭიშკრის ძელს მიეყუდა, იესოს უყურებდა თვალმოუშორებლად - ისე უნუგეშოდ, თითქოს ემშვიდობებოდა. უნდოდა ეთხოვა მისთვის — ნუ წახვალო, მაგრამ ხმა ჩაეხშო. მათემ დაინახა, როგორ ამოდ ცდილობდა სიტყვის წარმოთქმას, მაგრამ ვერ ახერხებდა საბრალო მაგდალინელი და მიხვდა ყოფილი მებაჟე, რომ წინასწარმეტყველები არ ანებებდნენ ეთქვა: „არ ანებებენ, მათი წინასწარმეტყველების აღსრულებისას რომ არ დაბრკოლდეს მოძღვარი. სახედარზე ამხედრებული შევა იგი იერუსალიმში, უნდა თუ არა ეს მაგდალინელს და თუნდაც მოძღვარს, მაინც შევა! რადგან ასეა დაწერილი.“

ამ დროს გახარებული ფილიპე და ნათანიელი შემოცვივდნენ ეზოში, თოკზე გამობმულ სახედარსა და უბელო ჩოჩორს მოარბენინებდნენ.

- ზუსტად ისე იყო ყველაფერი, როგორც შენ გვითხარი, მოძღვარო, - თქვა ფილიპემ, - აჰა, ვირიც მოგგვარეთ და ბარემ წავიდე!

იესომ მოიხედა. ქალები იდგნენ წინკარში, ხელებდაკრეფილნი, მწუხარენი, მაგრამ უნჯად უყურებდნენ: მოხუცი სალომე, ორი და, მათ წინ კი - მაგდალინელი.

- მართა, - გასძახა იესომ, - რამე მათრახი გექნებათ სახლში...

— არა, მოძღვარო, - უპასუხა მართამ, - მხოლოდ ჩემი ძმის სახრე გვაქვს.

- მომიტანე!

მოწაფეებმა თვინიერ ცხოველს სამოსი გადააფარეს, რათა რბილად გადამჯდარიყო ზედ მოძღვარი, ამ სამოსზე კი მარიამმა წითელი ნაქსოვი დააფინა, რომელიც მისი ნახელავი იყო, შავი კვიპაროსები მიეჭარგა კიდეებში.

- გავდივართ უკვე! ყველანი მზად ხართ? – ჰკითხა იესომ, — ვინმეს შიში ხომ არ შემოგპარვიათ?

- მზად ვართ, მოძღვარო! — მიუგო პეტრემ, დაწინაურდა, სახედარს აღვირში ხელი წაავლო და გაუძღვა.

ბეთანიელებს რომ მოესმათ მიმავალთა ხმა, კარდაკარ გამოეფინენ.

- საით გაგიწევიათ? რატომ ამხედრებულა სახედარზე დღეს მოძღვარი?

მოწაფეები გზადაგზა ჩუმად უმხელდნენ საიდუმლოს:

- უსათუოდ დღეს ტახტზე უნდა ავიდეს!

- კი მაგრამ, რომელ ტახტზე?

- ჩუმად, საიდუმლოა! ასე ნუკი უყურებთ, ისრაელის მეფეა!

- აბა, რას ამბობთ? – გაცეებით შესძახებდნენ ქალები, - ჩვენც თქვენთან ერთად წამოვალთ!

და ასე შეიკრიბა მის გარშემო ხალხი.

ბავშვებმა პალმის რტოები მოამტვრიეს, წინ წავიდნენ და ტკბილად გალობდნენ: „კურთხეულ არს მომავალი, უფლის სახელით!“ კაცები სამოსს განიძარცვავდნენ, გზაზე აფენდნენ, რათა მოძღვარს ზედ გაევილო. როგორ შეფრფინვოდნენ! რა მშვენიერი დარი იდგა! როგორ დაიზაფხულეს ყვავილებმა! და ამ დილას ჩიტებიც როგორ ჭიკჭიკებდნენ და იერუსალიმისკენ მიმავალთ თავს დაფრთხილებდნენ!

იაკობი ძმას მიუბრუნდა:

- გუშინ დედაჩვენს უთხოვია, თავის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩვენ დაგვისვას, დიდების ტახტზე როცა ავა. მაგრამ არაფერი უთქვამსო, ეგებ გაუნაწყენდა კიდეც?! სახე მოელუშაო - ასე თქვა დედამ.

- ნამდვილად გაბრაზდებოდა, — უპასუხა იოანემ, - არ უნდა ეთხოვა დედას.

- აბა, რა უნდა ექნა? კაცმა არ იცის, შეიძლება ჩვენ ისე და გვტოვოს და საუკეთესო ადგილი იუდა ისკარიოტელს არგუნოს. ვერ ხედავ, ეს ბოლო დღეებია, როგორ ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობენ და ერთმანეთს არ შორდებიან? მომისმინე, იოანე, მიდი, შენც დაელაპარაკე, სულ ისე არ დავრჩეთ ბოლოს მოახლოვდა ძალაუფლებათა განაწილების დრო!

მაგრამ იოანემ თავი გააქნია:

- ძმაო ჩემო, — უთხრა, - შენედე, როგორი მწუხარეა, გეგონება სიკვდილთან შესახვედრად მიდისო,

„მინდა ვიცოდე, — ფიქრობდა იქით მათე და ხალხის ტალღას უკან მიჰყვებოდა მარტოდმარტო, — ვიცოდე, ახლა რა მოხდება. წინასწარმეტყველები სახელებით არაფერს ამბობენ. ზოგი ტახტრევანს ახსენებს, ზოგი სიკვდილს, ამ ორთაგან ნეტა რომელი ახდება? შეუძლებელია ვინმემ რომელიმე წინასწარმეტყველება ახსნას მანამ, სანამ ნამდვილად არ დასრულდება ყოველივე. მხოლოდ მერე გაცხადდება, რისი თქმა ენება წინასწარმეტყველს. ჰოდა, ახლაც მოთმინებით დაველოდები რა მოხდება სალამოს და რომ დავბრუნდებით, ზედმიწევნით აღვწერ“.

ამასობაში, სასურველ ამბავს ფრთები შეესხა და ახლომანლო სოფლებში, ზეთისხილის ხეივნებისა და ვენახების გასწვრივ მიმოფანტულ ქოხმახებს მოედო. საიდან აღარ გამორბოდა მოსახლეობა, თანაც - ქალიან-კაციანად, წინასწარმეტყველს მოწიწების ნიშნად, სამოსებსა და თავსაბურავებს უფენდნენ გზაზე. უამრავი ხეიბარი, სნეული და ღარიბ-ღატაკი აედევნა. იესო უკან მიიხედავდა ხოლმე დროდადრო, გულშემატკივართა ლაშქარს გადახედავდა და დიდი სიმშვიდევ ეუფლებოდა. ასე დიდებით მიმავალმა უეცრად დაიძახა:

- იუდა!

მაგრამ უჟმური მოწაფე ჩამორჩენილიყო და ხმა ვერ მიაწვდინა.

- იუდა! — ისევ დაუძახა იესომ სასოწარკვეთილად.

- აქ ვარ! - შესძახა ჟღალწვერამ და მოწაფეები მისწი-მოსწია, ადვილად რომ გაეკლო.

- რად მიხმე, მოძღვარო?

- ჩემ გვერდით იყავ და არ მომშორდე!

- რაბი, არ მოგშორდები! — აღუთქვა და პეტრეს თოკი ხელიდან გამოსტაცა, ახლა თვითონ გახდა მეწინავე.

- მარტოდმარტო ნუ მიმატოვებ, იუდა, ძმაო! — ვედრებით უთხრა იესომ.

- რად უნდა მიგატოვო, რაბი? განა ასეთია ჩვენი პირობა?

უახლოვდებოდნენ იერუსალიმს. წინ, სიონის მთაზე, წმინდა ქალაქი აღიმართა — მზის გულზე თეთრად გაბრწყინებული. ერთ პატარა სოფელს ვიდრე გასცდებოდნენ, უწყვეტლივ ჩაესმოდათ მშვიდი, გულშიჩამწვდომი დატირება — გაზაფხულის თბილი წვიმის მინამგვანი.

— ვის გლოვობენ? მოუკვდათ ვინმე? - იკითხა იესომ თანაგრძნობით.

უკან მიდევნებულმა მუშაკებმა კი სიცილით ამცნეს:

- ნუ ნაღვლობ, მოძღვარო! არავინაც არ მომკვდარა! წესი აქვთ ეგეთი: სოფლელი ქალწულნი საფქვავს რომ დაატრიალებენ, თანაც დაიტირებენ.

- კი მაგრამ, რატომ?

- რომ შეეჩვიონ, მოძღვარო! გლოვაც ისწავლება და როცა ამის დრო მოუწევთ, დატირება უნდა შეეძლოთ!

კლდოვანი აღმართი აიარეს და ხალხმრავალ ქალაქში შევიდნენ. სამყაროს ყველა ებრაული ტომი აქ აყაყანებულებოდა, ჭრელ ჯგროებად ირეოდნენ და თითოეული ჯგრო ადგილობრივ სურნელებასა და სიმყარულს აფრქვევდა. ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ ზეგინდელი უკვდავი დღესასწაულის მოლოდინში, რომლის ძალითაც ყველა ებრაელი ერთმანეთს ძმობას გამოუცხადებდა! ხედავდნენ თვინიერ სახედარზე ამხედრებულ იესოს, რომელსაც უკან პალმის რტოების ქნევით მოჰყვებოდა ხალხი გუნდ-გუნდად და ხალისობდნენ:

— ეს ვინლა უნდა იყოს? — იკითხავდნენ გაოცებით.

ხეიბრები, სნეულები, უპოვრები კი პასუხად მუშტებს შემართავდნენ და იმუქრებოდნენ:

- სულ მალე ნახავთ! ეს იესო ნაზარეველია, მეფე იუდეველთა!

იესო სახედრიდან ჩამოხდა, ტაძრის კიბე აირბინა, ჩქარობდა. სოლომონის სტოაში შევიდა, შედგა და გარშემო მიმოიხედა: დახლები გაეშალათ, უამრავი ადამიანი ყიდდა, ყიდულობდა, ვაჭრები სარფიანად მორიგებას ცდილობდნენ, ჯუჯღუნებდნენ და საკუთარ საქონელს აქებდნენ; მევახშეები, მეღუქნეები, მეძავეები - ყველანი იქ იყვნენ. იესოს ნადველი ჩაუდგა თვალეში და უეცრად მრისხანება მოეძალა: შოლტი აღმართა, მტრედებით მოვაჭრეთა დახლებს, მეკერმეთა ტაბლებს, სანოვაგით სავსე ფარდულებს ჩამოუარა, მაგიდები სულ წიხლებით ააყირავა, ვაჭრებს, შოლტი გადაჰკრა და განდევნა: „გარეთ! გარეთ! გადით აქედან!“ - შოლტს იქნევდა და ყვიროდა. და გულში კი მწუხარებით იმეორებდა: „უფალო, უფალო, რასაც გადაწყვეტ, დაე, აღსრულდეს! ოღონდ მალე! სხვას არაფერს გთხოვ, დააჩქარე, სანამ ჯერ კიდევ შემიძლია, რომ გავუძლო“.

უკან კი მრავალრიცხოვანი ხალხი მიჰყვებოდა. მისი მიმდევრებიც შლეგებივით გაჰყვიროდნენ: „გარეთ! გარეთ! გაეთრიეთ!“ და დახლებს აყირავებდნენ. სამეფო სტოაში, კედრების ხეივანში იესო შედგა. მთელი სხეულიდან კვამლი ასდიოდა, გრძელი, შავი თმა ზურგზე სცემდა, თვალეებიდან კი ნაპერწკლები სცვიოდა.

- მოვედი, რათა ცეცხლს მივცე ეს სამყარო! - შესძახა, - იოანე უდაბნოში გაჰყვიროდა: შეინანეთ, შეინანეთ, მოახლოვდა დღე უფლისაო! და მე გეტყვით თქვენ: დრო აღარა გაქვთ შესანანებლად, დადგა, უკვე დადგა იგი და მე ვარ უფლის დღეს! იოანე უდაბნოში წყლით ნათლავდა, მე ცეცხლით ვნათლავ ადამიანებს, მთებს, ქალაქებს, ქარავნებს და ვხედავ კიდევ, როგორ ედება ცეცხლი სამყაროს ოთხივე კუთხით, სულის ოთხივე კუთხე მძლავრდება და მიხარია. დადგა, დადგა დღე უფლისა ანუ დღე ჩემი!

- ცეცხლი! ცეცხლი! - ყვიროდა ბრბო, - ცეცხლს მივცეთ და გადავწვათ აქაურობა!

ლევიტელები შუბებსა და ხმლებს დასწვდნენ, მათ თილისმებასწმული იაკობი - იესოს ძმა მეთაურობდა, და მოძღვარს მისცვივდნენ შესაპყრობად. მაგრამ ხალხი ცოფიანივით გამძვინვარდა, მოწაფეებიც აგულიანდნენ, ისინიც ეკვეთნენ და

ღრიალებდნენ. ზემოთ, პილატეს კოშკის თავზე კი რომაელი დარაჯები ჩამომდგარიყვნენ, დაჰყურებდნენ მათ და იცინოდნენ.

პეტრემ ერთ-ერთი დახლიდან ანთებული ჩირაღდანი დაიტაცა:

— წინ, ძმებო! — შეჰყვირა, - ცეცხლს მივცეთ, დადგა ჟამი!

დიდძალი სისხლი დაიღვრებოდა ღვთის ეზოში, პილატეს კოშკიდან რომაელთა საყვირების მუქარასავით ხმა რომ არ გაეგონათ. დიდი მღვდელმთავარი – კაიაფა ტაძრიდან გამოვიდა და ლევიტელებს უბრძანა, იარაღი დაეშვათ. თავად უკვე მზაკვრულად გაეთხარა საფლავი მემამოხისთვის და სულ მალე ჩუმად და დაუბრკოლებლად ჩააგდებდა მასში.

მოწაფეები იესოს გარს შემორტყმოდნენ და მოლოდინით შესცქეროდნენ: მისცემს თუ არა ნიშანს? რაღას უცდის? ან როდემდე უნდა ელოდოს? რატომ აგვიანებს? იმის ნაცვლად, რომ ზეცისაკენ აღმართოს ხელი და ცას ახედოს, მიწას ჩასცქერის? შესაძლოა, თავად სულ არ ეჩქარება, მაგრამ ამათ, ამ ღარიბმა ადამიანებმა მას შესწირეს ყველაფერი და დრო დადგა, საზღაურიც მიიღონ.

- მოძღვარო, – მიმართა აღელვებულმა პეტრემ, – გადაწყვიტე! ნიშანი მოგვეცე!

იესო კი უძრავად იდგა, თვალები დაეხუჭა და შუბლიდან ღვარად სდიოდა ოფლი. „მოახლოვდა დღე შენი, უფალო, მოაღწია ბოლო ჟამმა. მე მოვიყვან მას, ვიცი, ვიცი, რომ მე მოვიყვან, მაგრამ მხოლოდ ჩემი სიკვდილით...“ - ფიქრობდა ამას და ძალას იკრებდა.

იაკობი მიუახლოვდა, მხარზე ხელი შეახო და შეანჯღრია:

– თუკი ახლა ნიშანს არ მოგვცემ, — უთხრა, – დავლუპულ ვართ! ის, რაც დღეს შენ ჩაიღინე, სიკვდილს ნიშნავს!

- კი, სიკვდილს ნიშნავს, - მიეჭრა თომაც, - მაგრამ ჩვენ სიკვდილი არ გვინდა, რომ იცოდე!

- რა სიკვდილი?! - შეჰყვირეს გაოგნებულმა ფილიპემ და ნათანიელმა, - ჩვენ ხომ აქ იმისთვის მოვედით, რომ დიდება ვპოვოთ!

იოანემ იესოს გულზე თავი მიდრიკა:

– მოძღვარო, რას ფიქრობ?

იესომ იგი ჩამოიშორა და გასძახა:

- იუდა, მომიახლოვდი! – მიუბრუნდა იუდას და მის ღონიერ მკლავს დაეყრდნო.

- მედგრად, მოძღვარო! — უჩურჩულა ჟღალწვერამ, — დადგა ჟამი, თავს ნუ შევირცხვენთ.

იაკობი ამრეზით უყურებდა იუდას. ჯერ იყო და მოძღვარს მისკენ არც კი გაუხედავს და ახლა ამათი მეგობრობა და საიდუმლო ლაპარაკი რაღას ნიშნავს?

- რაღაცას გეგმავენ ეს ორნი...

- შენ რას იტყვი მათე?

- მე მხოლოდ ვისმენ და ვხედავ, რასაც თქვენ ამბობთ და აკეთებთ და მერე ვიწერ ხოლმე. ესაა სულ ჩემი საქმე.

იუდას მკლავზე დაყრდნობილმა იესომ წამიერად გონება დაკარგა, ანაზღად იუდამ თავისუფალი ხელი შეაშველა, რომ არ დაცემულიყო.

- დაილაღე, მოძღვარო? – ჰკითხა მზრუნველად.

— კი, დავილაღე!

- ღმერთი გაიხსენე და დაღლილობა ვედარ გძლევის, – გაამხნევა ჟღალწვერამ.

იესო მალევე განმტკიცდა, მოწაფეებს გადასძახა:

- წავედით!

მაგრამ ადგილიდან არც ერთი იძვროდა. წასვლა არ უნდოდათ. ანკი სად უნდა წასულიყვნენ? ნუთუ ისევ ბეთანიაში? კი, მაგრამ როდემდე? საკმარისია ასე ყოფილი.

- მგონი, დაგვცინის, — ხმადაბლა უთხრა ნათანიელმა თავის მეგობარს, — არსადაც არ წავალ!

- მოითმინე! — უპასუხა ფილიპემ.

- კიდეც მე მოვითმინო? — კბილებში გამოსცრა ნათანიელმა, - სანამ მდიდარს გუნება გამოუკეთდა, ლატაკს სული გასძვრა კიდეცო. მე არსადაც არ გავყვები! - თქვა და იმათ ამოუდგა გვერდით, რომლებიც სახტად დარჩენილიყვნენ და კვლავ უკან, ბეთანიაში აპირებდნენ გაბრუნებას.

მათ ზურგს უკან ლევიტელები და ფარისევლები დამცინავად ხარხარებდნენ. ერთმა ახალგაზრდა ლევიტელმა, კუზიანმა და შაშურმა, ლიმონი გაუქანა პეტრეს და ზედ სახეში მოარტყა.

- შენს ხელებს ვენაცვალე, სავლე, - გაისმა შეძახილები, - ზუსტად მოახვედრე!

პეტრემ გაიწია ლევიტელის მისაბეგვად, მაგრამ ანდრია არ დაანება:

- მოითმინე, ძმაო ჩემო, უთხრა, – ჩვენი დროც დადგება!

- როდის, ანდრია, – წაიბურტყუნა უკმაყოფილოდ, – როდის დადგება? ვერ ხედავ, რა შავ ღღეში ჩაცვკვივდით?

უდრტვინველად მიუყვებოდნენ გზას. ხალხი ლანძღვა-გინებით შემოეფანტათ, ახლა უკვე აღარავინ მიაცილებდათ ხალისით, აღარავინ უფენდა ფეხქვეშ თავის ძონძებს მოძღვარს, პატივისცემის გამოსახატავად. სახედარს ფილიპე მიუძღოდა, უკან კი, კუდზე ნათანიელს წაევლო ხელი. ორივეს ერთი სული ჰქონდა, პატრონისთვის დაებრუნებინათ ვირი უვნებლად. მზე მწველად აჭერდა, ხორშაკი გზაზე მიმავალთ მტვრის კორიანტელს აყრიდათ და ხილვადობას უძნელებდათ. ბეთანიას რომ მიუახლოვდნენ, უეცრად წინ გადმოუხტათ ბარაბა, თავის ორ წვეროსან თანამზრახველთან ერთად.

- აბა, სად მიგყავთ თქვენი მოძღვარი? – იკითხა გამომწვევად.

- ლაზარესთან მიჰყავთ, უნდა აღადგინოს! — უპასუხეს ბარაბას მისივე ამფსონებმა და ისე ახარხარდნენ, ლამის დაიხრჩვენენ.

ბეთანიაში დაბრუნებულებს მოხუცი რაბინი სულმობრძავი დახვდათ. მის გარშემო ქალები ჩაჩოქილიყვნენ, უტყვად, უძრავად უმზერდნენ, როგორ გადიოდა მოხუცი ამქვეყნიდან. იცოდნენ, რომ ვერაფერს შეძლებდნენ მის დასაბრუნებლად. იესო მიუახლოვდა, შუბლზე ხელი დაადო მომაკვდავს, მანაც ძლივს გაიღიმა, თვალდახუჭულმა.

მოწაფეები ეზოში მოქუჩდნენ, კუშტად იმზირებოდნენ და ხმას არ იღებდნენ. იესომ იუდას გადაულაპარაკა:

- იუდა, ძმაო ჩემო, დადგა ჟამი! მზად ხარ?

- ისევ გეკითხები, მოძღვარო? მაინცდამაინც მე რატომ ამარჩიე?

- შენ სხვებზე ძლიერი ხარ და ეს კარგად იცი. ვერ გაუძლებენ ესენი. იყავი მღვდელმთავარ კაიაფასთან? ელაპარაკე?

— ველაპარაკე. დაზუსტებით უნდა რომ იცოდეს - როდის და სად?

- უთხარი, რომ პასექის ღამეს, ნავახშმევს, გეთსიმანიაში ვიქნები! მედგრად იყავი, იუდა, ძმაო ჩემო! მეც ვეცდები უფრო განვმტკიცდე!

იუდამ თავი ჩაქინდრა, არაფერი უთქვამს. გარეთ გავიდა, მთვარის ამოსვლას ელოდებოდა, რომ ისევ გზას დასდგომოდა.

- რა შეგემთხვავთ იერუსალიმში? - ჰკითხა მოხუცმა სალომემ თავის ვაჟებს, - რა დაგემართათ? რამ დაგამუნჯათ?

- დედა, მგონი, ქვიშაზე წამოვიწყეთ სახლის აშენება, - უპასუხა იაკობმა, - არაფერი გამოგვივა!

- კი მაგრამ რაბი? და შეპირებული დიდება? ოქრო-სირმებიანი ფარჩა? და სამთავრობო ტახტრევნები? ნუთუ დაგვცინა? - ეკითხებოდა დედა ვაჟებს და ხელებს ასავსავებდა, მაგრამ არავინ უპასუხებდა.

მოაბის მთებიდან მწუხარე მრგვალი მთვარე აღმოხდა ცაზე. წამით მთის წვერზე შედგა, შეისვენა, ქვეყნიერებას გადმოხედა და მაშინვე მთას განერიდა, აღმართს აუყვა. ლაზარეს ღამეული სოფელი, თითქოს უცებ თაბაშირით შეილესაო, თეთრად გაბრწყინდა.

გათენდა. მოძღვრის გარშემო მოგროვილი მოწაფეები მის რჩეულ სიტყვას ელოდნენ. ის კი მდუმარედ აკვირდებოდა თითოეულს, თითქოს პირველად და უკანასკნელად უყურებდა მათ... მხოლოდ შუადღისას ალაპარაკდა:

- ძმებო, მინდა თქვენთან ერთად აღვნიშნო წმინდა პასექის დღესასწაული. სწორედ ამ დღეს დაიძრნენ ჩვენი წინაპრები, რათა უკან მოეტოვებინათ მონობის მიწა და თავისუფალ უდაბნოში შესულიყვნენ. ამ პასექის დღესასწაულზე, ჩვენც

პირველად უარს ვამბობთ სულ სხვაგვარ მონობაზე და სულ სხვა თავისუფლებას უნდა ვეზიაროთ. გულისყურით მომისმინეთ!

ყველა დუმდა. ვერ ამოეცნოთ მისი სიტყვები: რომელ ახალ მონობას ან რომელ ახალ თავისუფლებას გულისხმობდა? ვერაფერი გაიგეს. ცოტა ხნის შემდეგ, პეტრემ ჰკითხა:

- მხოლოდ ერთი რამ ვიცი, მოძღვარო: პასეჟი ცხვრის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ სადა გვყავს ცხვარი?

იესომ მწარედ გაიცინა:

- ცხვარი მზადაა სამსხვერპლოდ, პეტრე! სწორედ რომ მარტოდმარტო მიდის, რათა დაიკლას და ქვეყნიერების ღარიბ-ღატაკებმა ახალი პასეჟი იზეიმონ. ჰოდა, ცხვრის გამო ნუ სწუხხარ!

ლაზარე, რომელიც კუთხეში უჩუმრად იჯდა, უეცრად წამოდგა, გაძვალტყავებული ხელი გულთან მიიტანა და თქვა:

- მოძღვარო, სიცოცხლეს გიმადლი. თუნდაც ასეთი, როგორც არის ჩემი სიცოცხლე, ჯოჯოხეთის წყვილია მანც ასგზის ჯობია. ამიტომ, მე მოგიძღვნი პასეჟისთვის ცხვარს. მეგობარი მყავს მთაში, მწყემსია და მას მივაშურებ.

გაოგნებული მოწაფეები ლაზარეს ცნობისწადილით უყურებდნენ: როგორ მოემადლა ძალა საიმისოდ, რომ წამომდგარიყო ეს ცოცხალ-მკვდარი არსება და კარისკენ წასულიყო?! ლაზარეს დები მიეჭრნენ, არ უშვებდნენ, მაგრამ მშვიდად ჩამოიშორა ორივე, ჯოხი მოიმარჯვა და ზღურბლს გადააბიჯა.

სოფლის ვიწრო ქუჩებს გაუყვა. მის დანახვაზე, შეშინებული, გაოგნებული ქალები კარდაკარ გარეთ გამოდიოდნენ და უკვირდათ - რანაირად მიაბიჯებდა ეს ჩონჩხადქცეული კაცი, ან ფეხები როგორ არ ღალატობდნენ და ან წელი როგორ აეთრია... სა

შინელ ტკვილს განიცდიდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და შიგადაშიგ სტვენასაც კი ცდილობდა, რათა მხნედ დანახვებოდა ქუჩაში გამომზირალ ცნობისმოყვარეებს, ეჩვენებინა, რომ თითქოს ჰქონდა გრძნობა, თუმცა ტუჩებს თავს მანც ვერ უყრიდა. ამიტომ სტვენა გადაიფიქრა, სერიოზული სახე მიიღო და იმ მთის აღმართს დაადგა, სადაც მისი მეგობარი ფარას მწყემსავდა.

თუმცა მცირე გზაც არ გაევილო, აყვავებული ბუჩქნარიდან ბარაბა რომ გამოხტა და წინ აესვეტა: რა ხანია, ამ სოფელს უტრიალებდა და სწორედ ამ წუთს მოელოდა, როცა ეს წყეული მკვდრეთით აღმდგარი შინიდან ცხვრის გამოყოფდა და ბარაბა სულს ამოხდიდა საბოლოოდ, რათა ადამიანებს აღარ მოხვედროდა თვალში და ისინი სასწაულებზე ფიქრს გადაჩვეოდნენ. მით უმეტეს, ახლა უფრო უნდა ადესრულებინა დაუყოვნებლივ, რადგან ძალიან ბევრი რამ დაიჩემა მარიამის ძემ იმ დღიდან, რაც ლაზარე აღადგინა. ჰოდა, ისევ საფლავში ჩანთქავს მას, რომ სხვები გადაარჩინოს!

- ჰეი, ჯოჯოხეთის მოციქულო, - შესძახა, - ძლივს არ გადაგაწყდის?! აბა, ერთი მიპასუხე, ღმერთს გაფიცებ, როგორი დრო გაატარე იქ, ქვემოთ? ან რომელია უკეთესი - სიცოცხლე თუ სიკვდილი?

- რაც ერთი, ის მეორე! — მიუგო ლაზარემ და გაცლა დააპირა, მაგრამ ბარაბამ ხელები გაშალა და გზა გადაუღობა.

- მომიტევე, შე მართლა მაქციავ, მაგრამ პასეჟი ახლოვდება ცხვარი კი არ მყავს, თუმცა ამ დილით ღმერთს შევფიცე, გზად შემხვედრ პირველივე ცოცხალ არსებას შევწირავდი ცხვრის მაგივრად. მეც ხომ მინდა დღესასწაულს შევეგებო! ჰოდა, ყელი გამოსწი! ბედნიერი კაცი ყოფილხარ, რა გინდა, ღმერთს ეწირები...

ლაზარემ სცადა დაეყვირა, თუმცა ბარაბა ყელში სწვდა, მაგრამ უცებ თვითონვე შიშმა სძლია: რაღაც თონთლოს, ბამბასავით რბილს წაატანა ხელი, ჰაერზედაც უფრო მსუბუქს. ბარაბას ფრჩხილები ლაზარეს ყელს ჩაესო, მაგრამ წვეთი სისხლიც არ გამოსვლია. „იქნებ მოჩვენებაა?“ - გაიფიქრა ბარაბამ და შემუშუპებულ პირისახეზე ფითრმა გადაჰკრა.

- გტკივა? - ჩაეკითხა,

- არა, — მიუგო ლაზარემ და ბარაბას ხელიდან გაუსხლტა, რომ გაქცეულიყო.

- გაჩერდი! — დაუდრიალა ბარაბამ და ახლა თმაში სწვდა.

მაგრამ ხელში შერჩა თმაცა და კეფის კანიც, ლაზარეს თავის ქალა კი ყვითლად ალაპლაპდა მზის სინათლეზე.

- წყეულიმც იყავ! — წაიჩურჩულა ბარაბამ და აკანკალდა, - მართლა, მოჩვენება ხომ არა ხარ?!

მარჯვენა მკლავზე მოქაჩა და შეანჯღრია.

- მითხარი, რომ მოჩვენება ხარ და დაგეხსნები!

უფრო გამეტებით მოქაჩა და ახლა მკლავი შერჩა ხელში ლაზარესი. ბარაბა გააცოფა საზარელმა შიშმა, გახრწნილი მკლავი აყვავებული ბუჩქებისკენ მოისროლა, გულისრევით გადააფურთხა, ერთიანად დაზაფრულს თმა ყალყზე დაუდგა. დანა დააძრო, მყისვე უნდოდა მოეკლა იგი, რათა თავი გადაერჩინა: კისერში ზიზღით წაავლო ხელი, ლოდზე მიაწვინა და დანა დაუსვა ყელზე, მაგრამ დანა დაბლაგვებულივით არ ჰრიდა. ბარაბას სული შეეხუთა: იქნებ მკვდარს ვკლავო? — გაიფიქრა. უნდოდა გაქცეულიყო, დაღმართზე დაშვებულიყო, მაგრამ ლაზარეს შეხედა და გადაიფიქრა, შეეშინდა ისევ არ იპოვოს და აღადგინოს თავისმა წყეულმა მეგობარმაო, შიში დასძლია, ხელი თავსა და ფეხებში წაავლო, გასაწური ტანსაცმელივით გადაგრინა, შუაში წინლი მისცხო და ორად გააპო, სხეულის ნაწილები ბუჩქებში შეჩურთა და იქაურობას ძუნძულით გასცილდა. გადარეულივით მირბოდა, პირველად შეეშინდა ცხოვრებაში, უკან მიხედვასაც ვერ ბედავდა. ერთი იერუსალიმში შევასწროო, - ჩურჩულებდა, - იაკობი ვნახო, თილისმა მომცეს და ეს დემონი განვდევნოო...

ამ დროს კი, ლაზარეს სახლში მოწაფეებს შეჰყურებდა იესო და ფიქრობდა, სათანადო სიტყვებს არჩევდა, რათა როგორმე მათი გული და გონება განემტკიცებინა, არ დამორჩილებოდნენ შიშს იმის მერე, რისი ხილვაც მოუწევდათ მომავალში და არ დაფანტულიყვნენ.

- მე ვარ გზა, - ეუბნებოდა მათ, - და მე ვარ სახლი, რომელშიც უნდა დაბრუნდეთ. და თვითონვე ვარ მგზავრიც და მე ვარ ისიც, ვისთან შესახვედრადაც უნდა წახვიდეთ. მენდეთ, ჩემი რწმენა გქონდეთ, ნუ შეშინდებით, რაც უნდა ნახოთ, რასაც უნდა შეესწოთ, ნუ შეშინდებით, რადგან მე სიკვდილი არ შემიძლია. გაიგონეთ? არ შემიძლია, რომ მოვკვდე!

ეზოში მარტოდმარტო დარჩენილიყო იუდა და ჩვეულებისამებრ, კენჭებს აძრობდა მიწიდან ფეხისწვერით. იესო დროდადრო რომ გახედავდა ხოლმე, მის სახეს გამოუთქმელი მწუხარება ეფინებოდა.

- მოძღვარო, — საყვედური გააგონა იოანემ, — სულ იუდას რატომ უხმობ? რატომ გყავს ყოველთვის ახლოს? თუკი კარგად დააკვირდები მის თვალებს, დანას შეამჩნევ მათში.

- არა, იოანე საყვარელო, - უპასუხა იესომ, - დანას - არა, ჯვარს დაინახავ, მოწაფეები შეკრთნენ და ერთმანეთს გადახედეს.

- ჯვარს?! - შესძახა იოანემ და იესოს ჩაეხუტა, - მოძღვარო, ჯვარცმული ვინ იქნება?

- ვინც მას თვალებში ჩახედავს და დააკვირდება, იმ ჯვარზე საკუთარ თავს იხილავს. მე შევძელი და ჩემი სახე დავინახე.

მაგრამ მოწაფე ვერაფერს მიუხვდნენ, ზოგიერთმა გაიხუმრა კიდეც.

- კიდეც კარგი, რომ გვითხარი მოძღვარო, - წამოიძახა თომამ, - ამის შემოგომ მეცოდინება და არასოდეს მოვიწოდებ, ჟღალწვერას თვალებში ჩავხედო.

- შენ შვილები და შვილიშვილები ჩახედავენ, თომა, - თქვა იესომ და კვლავ იუდას გახედა, ახლა ზღურბლზე რომ იდგა და იერუსალიმისკენ იყურებოდა.

- რთულად ლაპარაკობ, მოძღვარო, — წყენა აღარც მათემ დამალა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელში კალამი ეჭირა და ცდილობდა ჩასჭიდებოდა სიტყვებს, რათა დაეწერა, — უცნაურია შენი სიტყვები, რანაირად გადავიტანო ჩემს ფურცლებზე?

- იმისათვის არ ვლაპარაკობ, რომ შენ გიკარნახო, მათე, — კუშტად მიუგო იესომ, — შესატყვისად მოგიხსენიებენ თქვენ, მწერლებს მამლაყინწებად. ასე გგონიათ, რომ თუ არ მოუხმობთ, მზე არ ამოვა. ახლა ისე მომინდა, გამოგტაცო ეგ ფურცლები და კალმები და ცეცხლს მივცე!

მათემ სასწრაფოდ მოაგროვა ფურცლები და ჩაიხუტა. იესო კვლავ მრისხანებდა:

- მე რასაც ვამბობ, თქვენ სულ სხვანაირად წერთ, ისინი კი ვინც მოგისმენენ, მცდარად გაიგებენ ყოველივეს! ვამბობ: ჯვარი, სიკვდილი, ცათა სასუფეველი,

ღმერთი და თქვენ, აბა, როგორ აღიქვამთ? თითოეული თქვენგანი ამ წმინდა სიტყვებს საკუთარ ვნებებს, ინტერესებსა და სურვილებს უსადაგებს, და ჩემი სიტყვა, ჩემი სული იკარგება, მეტი აღარ შემიძლია!

წამოდგა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს იხრჩობოდა. უეცრად მოეჩვენა, რომ გული და გონება ქვიშით ამოევსო.

მოწაფეები დაფრთხნენ: თითქოს მოძღვარს ისევ სახრე ეჭირა ხელში, მათ ჭკუაზე მოსაყვანად; თითქოს თვითონ ზანტი ხარები იყვნენ და განძრევა ეზარებოდათ; თითქოს ურემი იყო სამყარო, ამ ურემში კი თვითონ შებმულიყვნენ და იესო მათ სახრეს სცემდა, მაგრამ ისინი ფეხს არ იცვლიდნენ. მათ შემყურე იესოს გული ეწურებოდა: გრძელი გზა ედოთ წინ – მიწიდან ზეცისაკენ, ესენი კი უძრავად იდგნენ.

- განა როდემდე ვიქნები თქვენთან? – შესძახა, - ვისაც რამე საძნელო კითხვა ჩაგრჩენიათ გულში, იჩქარეთ და მკითხეთ; ვისაც თითო-ოროლა თბილი სიტყვა გაქვთ სათქმელი, ბარემ შემაწიეთ, რათა როცა თქვენგან წავალ, გულს არ დაგაკლდეთ და თავი არ დაიმუნათოთ ამის გამო – ნეტავ, მოგვესწრო, როგორ არასდროს განვუცხადეთ, რომ მიმხვდარიყო როგორ გვიყვარსო! თუმცა გვიანი იქნება მერე, ძალზე გვიანი.

ოთახში მიყუჟულ ქალებს ნიკაპები მუხლებზე ჩამოეყრდნოთ და უსმენდნენ. შიგადაშიგ ოხრავდნენ, მათ ყველაფერი კარგად უწყოდნენ, მაგრამ არაფრის თქმა არ შეეძლოთ. და უეცრად მაგდალინელმა შეჰყვირა, პირველად სწორედ მან შეიგრძნო, რაც უნდა აღსრულებულიყო და გულიდან სამგლოვიარო დატირება ამოასკდა. წამოხტა, შიდა ოთახში შეიჭრა, ბალიშის ქვეშ ხელი მოაფათურა, თავისი ალუბასტრის ჭურჭელი იპოვა, სულ თან რომ დაჰქონდა და რომელიც უწინდელ საყვარელს ერთი ღამის საფასურად ეჩუქებინა მისთვის. სავსე იყო იგი არაბული ნელსაცხებლით. სანამ იესოს დაჰყვებოდა, სულ თან ჰქონდა და ოცნებობდა საცოდავი – ვინ იცის, ღმერთი მოწყალეა, იქნებ ერთ დღესაც დასჭირდეს თავისი საყვარელი იესოსთვის თმაზე საპკურებლად... იქნებ ისეთი დღეც გათენებოდა, თვით იესოს მოესურვებინა და გვერდი დაემშვენებინა როგორც სიძეს - ასეთი იყო მისი ფარული წადილები, გულში სიღრმეში ჩამალული, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ მის გულისსწორს სიკვდილი ჩასაფრებოდა, თან სდევდა არა სიყვარული, არა ვნება, არამედ სიკვდილი. და სიკვდილსაც, ისევე როგორც ქორწილს, სწორედ ეს სურნელები სჭირდებოდა. ალუბასტრის ჭურჭელი ბალიშის ქვეშიდან გამოიღო, გულზე მიიხუტა როგორც ჩვილი და ატირდა. კარგა ხანს ჩუმად ქვითინებდა, რათა არავის გაეგონა, შემდეგ ცრემლები მოიწმინდა, გავიდა და იესოს ფეხებში ჩაუვარდა. სანამ იესო მის წამოყენებას მოასწრებდა, უკვე გაეხსნა ალუბასტრის ჭურჭელი და წმინდა ფეხთმირონს აპკურებდა. მედეგ თმა ჩამოიშალა და იმითვე შეუმშრალა – სათუთად და კრძალვით, სურნელის ბოლო წვეთები მისთვის ესოდენ ძვირფას თავზე აპკურა. მერე ისევ დავარდა მოძღვრის ფეხთით და ამბორს უყოფდა.

მოწაფეები შეშფოთდნენ.

- საცოდაობაა ამ ძვირფასი ნელსაცხებლის ასე გაფლანგვა - დაენანა მეწვრილმანე თომას, - რომ გაგვეყიდა, ბევრ ლატაკს ლუკმას ვუწილადებდით.

- ობოლ ასულთა გამზითვებასაც შევძლებდით, - დაუდასტურა ნათანიელმა.

- ცხვრების ყიდვასაც შევძლებდით, - ჩაილაპარაკა ფილიპემ.

- კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს, - წაიჩურჩულა იოანემ და ამოიოხრა, - ასეთ სურნელებს მხოლოდ გარდაცვლილ მდიდრებს აპკურებენ. ასე არ უნდა მოქცეულიყავ, მარიამ! ახლა სიკვდილს რომ მისწვდეს მისთვის საამო ეს სუნი, მერე რა უნდა ვქნათ?

იესოს გაეღიმა მათ დაბნეულობაზე და მიმტევებლურად თქვა:

- გლახაკნი მარად თქვენთან იქნებიან, მე კი — არა! ამიტომაც ნუ დაგენანებათ ჩემთვის ერთი შუშა ნელსაცხებელი. ხანდახან ასეთი ფლანგვაც ადის ხოლმე ცაში და თავის სამგზის კეთილშობილ ძმას, მეუფებას გვერდს დაუმშვენებს. შენ კი, საყვარელო იოანე, ნუ იდარდებ: სიკვდილი მაინც მოდის და სჯობს, სუნელნაპკურები თმით შევეგებო.

მთელი სახლი, ისე როგორც მდიდრული სამარხი, კეთილშობილურად სურნელებდა. იუდა შემოვიდა, გამჭოლად გახედა მოძღვარს — ვაითუ, მოწაფეებს საიდუმლო გაანდო და ამიტომ აპკურებენ ამ მკვდრის სურნელსო! მაგრამ იესომ გაუღიმა:

- იუდა, ძმაო ჩემო, - უთხრა, - მერცხალი უფრო მარდად დაფრინავს ცაში, ვიდრე ირემი დარბის ამ მიწაზე. მერცხალზე უფრო სწრაფი კაცის გონებაა; კაცის გონებაზე უსწრაფესი კი ქალის გულია.

თქვა და თვალთ მადღალინელზე მიანიშნა.

ამ დროს პეტრემ სულ სხვა ინტერესი გამოხატა:

- ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ მთლად მნიშვნელოვანი დაგვაავიწყდა: იერუსალიმში სად ვიტრაპეზოთ პასეჟი, მოძღვარო? მე სიმონ კვირინელის დუქანს ვამჯობინებდი.

- ღმერთი სხვას გვკარნახობს! — თქვა იესომ, — ნუ დაიზარებ, ჯიგრე, იოანეს მოჰკიდე ხელი და იერუსალიმში წადით, იქ ერთი ადამიანი გელოდებათ — დოქით მხარზე. გაჰყევით და როცა ერთ სახლში შევა, ოჯახის უფროსს მოახსენეთ: მიიღეთ მოკითხვა ჩვენი მოძღვრისაგან, რომელსაც აინტერესებს, სად გაიშლება მისთვის სუფრა, რათა თავის მოწაფეებთან ერთად ივანშმოს და პასეჟი იზეიმოსო? ის გიპასუხებთ: ჩემი თაყვანისცემა თქვენს მოძღვარს! და გადაეცით, რომ ყველაფერი მზადაა და შეუძლია მობრძანდესო!

გაოგნებული მოწაფეები ერთმანეთს უყურებდნენ. პეტრეს თვალები გაუფართოვდა:

- არ გვეზუმრები, მოძღვარო? ნუთუ ყველაფერი მზადაა უკვე — ცხვარი, მწვადი, ღვინო, სულ ყველაფერი?

- უკლებლივ! — უპასუხა იესომ, - დამიჯერეთ და წადით! ჩვენ აქ ვსხედვართ და ვსაუბრობთ, მაგრამ ამ დროს ღმერთს კი არ სძინავს, ადამიანებისთვის იღვწის იგი!

ოთახის კუთხიდან ამ დროს მისუსტებული ხველა გაისმა. ყველანი დარცხვენილად მიტრიალდნენ: მთელი ამ ხნის განმავლობაში, სულ გადავიწყებოდათ სულთმობრძავი მოხუცი რაბინი. მაგდალინელი მიიჭრა მასთან, უკან მიჰყვა სამივე ქალი, მოწაფეებიც ჩამოუდგნენ სასთუმალთან. იესომ კვლავ დაადო ხელისგული რაბინის გაყინულ პირს. მან თვალები გაახილა, იესო დაინახა და გაუღიმა. ხელი ოდნავ შეარხია, რითაც ყველას მიანიშნა, რომ გაკრეფილიყვნენ. და როცა მარტონი დარჩნენ, იესო დაიხარა, პირზე, თვალებსა და შუბლზე ეამბორა. რაბინი თვალებში უყურებდა და მთელი სახე უბრწყინავდა.

- ისევ ვიხილე ის სამნი, - წაიჩურჩულა, - ელია, მოსე და შენ. ახლა უკვე დარწმუნებული ვარ. სხვა აღარაფერი დამრჩენია...

- სასუფეველი დაგემკვიდროს, რაბი! ჰპოვე სიმშვიდე?

- ვპოვე! მომეცი ხელი, რომ გეამბორო.

იესომ ხელი ტუჩებთან მიუტანა, კარგა ხანს დააყოვნა ასე - გაყინულ ტუჩებზე აკრული.

ზეშთაგონებული იყო, ჯერ მდუმარედ უყურებდა იესოს. მერე კი ამოთქვა:

- და იქ, ზემოთ როდის შევხვდებით? შენ როდის მოხვალ?

- ხვალ, პასექისას, რაბი!

მოხუცმა რაბინმა ჯვარედინად დაიკრიფა ხელები და ნეტარებით აღავლინა ხმა:

- უფალო, აწ დაიხსენი მონა შენი, რადგან ჩემმა თვალებმა მხსნელი იხილეს!

XXVIII

მზე მეწამულისფრად ჩადიოდა. ზეცის აღმოსავლეთი ჯერ შეივერცხლა, ხოლო შემდეგ უზარმაზარი, პასექის მუნჯი მთვარე აღმოხდა. მინავლებული მზის სხივები ჯერ კიდევ აღწევდნენ იესომდე და ფერმიხდილ სახეს უცნაურად უნათებდნენ. მოწაფეების ცხვირ-პირსა თუ ხელებს ელამუნებოდნენ და ოთახის კუთხეში, სარეცელზე მისვენებულ, აწ უკვე ნეტარი და უკვდავადქმნილი მოხუცი რაბინის სახეს ეალერსებოდნენ. მარიამი ჩვეულებისამებრ, ჯარასთან ჩამომჯდარიყო, თვალში რომ არავის მოხვედროდა, ღვარად მდინარი ცრემლი სახეს ულტობდა და ნახევრად მოქსოვილ ტილოს უსველებდა. სახლში ისევ უცხო სურნელი იფრქვეოდა და იესოს თითებიდანაც იგივე სურნელება იღვრებოდა.

უტყვად ისხდნენ. რაც უფრო ღამდებოდა, გული მით უფრო ეკუმშებოდათ. უცებ ფანჯრიდან შურდულივით შემოიჭრა მერცხალი, სამი წრე შეკრა მათ თავს ზემოთ, მხიარულად დაიჭიკჭიკა და კვლავ ისარივით გაფრინდა გარეთ. ერთადერთი, რისი დანახვაც მოასწრეს, მერცხლის მაკრატელა კუდი და თეთრი მუცელი იყო.

გეგონებოდათ, ამ საიდუმლო ნიშანს ელოდაო, იესო მყისვე წამოდგა და თქვა:

— დროა!

ნელი მზერა მიმოატარა ირგვლივ ყოველივეს — საცეცხლეს, სამუშაო იარაღებს, საოჯახო ნივთებს, ჭრახს, თუნგს, ჯარას, შემდეგ – ოთხ ქალს: მოხუც სალომეს, მართას, მაგდალინელს და მარიამს, რომელიც საქსოვს უჯდა. სულ ბოლოს კი უკვდავებას ნაზიარებ, განსპეტაკებულ რაბინს შეხედა.

- მშვიდობით! – თქვა და გამოსათხოვებლად ხელი აღმართა.

სამი ახალგაზრდა ქალი მწუნარედ შესცქეროდა, ვერც ერთმა ვერაფერი მიუგო. მხოლოდ მოხუცმა სალომემ შეუძახა:

- ისე ნუ გვიყურებ, შვილო, თითქოს სამუდამოდ გვემშვიდობებოდე!

- მშვიდობით, – გაიმეორა იესომ და ქალებს მიაშურა.

ხელი დაადო მაგდალინელს თავზე, შემდეგ მართას. მარიამმაც მიაგდო საქსოვი და მიუახლოვდა თავდახრილი. თითქოს ამ ქალებს აკურთხებდა, გულში იკრავდა და თითქოს ენება, სამივე თან წაეყვანა სამუდამოდ. იმათაც ერთდროულად აღმოხდათ მოთქმა-გოდება.

ეზოში რომ გავიდა, მოწაფეებიც მიჰყვნენ. მესრის გასწვრივ, ჭასთან ერთი შტო ყვაოდა და ახლა, მით უმეტეს მოსაღამოვებულზე, სურნელს ღვრიდა ძალუმად. იესომ ხელი გაიწვდინა, ერთი ყვავილი მოწყვიტა და კბილებს შორის მოიქცია: „ღმერთმა მომანიჭოს ძალა, — გულში დალოცა საკუთარი თავი, - ღმერთმა იმის ძალა მომცეს, რომ ეს ნაზი ყვავილი ისე ვატარო, რომ ჯვარცმისას კბილებით არც კი დავაზიანო!“

ჭიშკართან ისევ შედგა. ხელი ასწია:

— დანო, - იღუმალი ხმით გამოსძახა, - საყვარელო დანო, მშვიდობით!

ვერც ერთმა სიტყვა ვერ მიაღწია. მხოლოდ მოთქმა-გოდება მიაცილებდა ეზოდან.

წავიდა. იერუსალიმის გზას დაადგა. მოაბის მთებიდან სავსე მთვარე ამოდიოდა, იუდეის მთებს მიღმა მზე იკარგებოდა. წამიერად ცის ეს ორი დიდებული სამკაული ერთმანეთს პირისპირ დაენახვნენ, შემდეგ ერთი ზემოთ აუყვა, მეორე კი – ჩაიძირა.

იესომ იუდას ანიშნა, ისიც მაშინვე ეახლა და გვერდით დაუდგა. ისევ საიდუმლოდ გაენდვნენ ერთმანეთს ეს ორნი. ჩუმად ლაპარაკობდნენ, ხან იუდა დახრიდა თავს და ხან იესო, ერთმანეთის სიტყვები რომ გამოერჩიათ და სათანადოდაც ეპასუხათ.

- შემიხდე, იუდა, ძმაო, — ამბობდა იესო, - ეს უნდა აღსრულდეს!

- უწინაც გკითხე, მოძღვარო, ნუთუ სხვა გზა არ არის?

- არ არის, ძმაო იუდა! მეც მეწადა სხვა გზა მენახა, აქამდე მეც იმედს ვეჭიდებოდი, მაგრამ ამაოდ! სხვა გზა არ არსებობს! ბოლო ჟამია, ეს სამყარო — სამკვიდრებელი ბოროტისა უნდა დაინგრეს და მერე გვეწვევა ცათა სასუფეველი, და მხოლოდ ჩემით! ჩემი სიკვდილით უნდა აღსრულდეს! სხვა გზა არაა! ნუ ყოყმანობ, იუდა, ძმაო, სამ დღეში აღვსდგები!

- ამას მხოლოდ იმისთვის მეუბნები, რომ მანუგეშო, წავიდე და ისე გაგცე, რომ გული არ შემიდრწუნდეს. გასამხნეებლად მეუბნები, რომ გავუძლებ... მაგრამ არა, რაც უფრო ახლოვდება ის დრო, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ვერ ვუძლებ, მოძღვარო, ვერ გავუძლებ!

- შეძლებ, იუდა, ძმაო ჩემო! ღმერთი მოგცემს საამისო ძალას, იმიტომ რომ ეს უნდა აღსრულდეს! უნდა გამცე, რათა მოვკვდე! ჩვენმა განდობამ უნდა იხსნას ეს სამყარო! შემწეობას გთხოვ!

იუდამ თავი ჩაქინდრა და ცოტა ხანში:

- ჩემ მაგივრად რომ ყოფილიყავ, გაცემდი შენს მოძღვარს? შეძლებდი ამას?

იესო დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა. ბოლოს კი:

- არა! - თქვა, - მე ამას ვერ შევძლებდი! ამიტომაც დამინდო ღმერთმა და უფრო ადვილი ვალი დამაკისრა - ჯვარს ვეცვა!

იესომ მკლავში მოჰკიდა ხელი, ჩუმი ვედრებით დაელაპა. რაკა:

- მარტო ნუ დამტოვებ, დამენმარე! შეხვდი მღვდელმთავარ კაიაფას? განემზადნენ იარაღსხმული ტაძრის მცველები, რათა შემიპყრონ? განა ისე ვერ მოაგვარე ყველაფერი, ჩემო ძმაო, როგორც შევთანხმდით? ჰოდა, მაშ, ამ საღამოს პასეჟი ვიზეიმოთ ყველამ ერთად, და მე განიშნებ როდის ადგე, წახვიდე და მოიყვანო ისინი. მხოლოდ სამი მძიმე დღეა წინ. მერწმუნე, ელვასავით განვლენ ისინი. მესამე დღეს კი, აღდგომისას ყველა ერთად შევიყრებით, ერთად გავიზიარებთ სიხარულს!

- და ეს ამათაც ეცოდინებათ? - ჰკითხა იუდამ და საჩვენებელი თითი მოწაფეების ჯგუფისაკენ გაიშვირა.

- ამ საღამოს გავუმხელ მათ, რათა ჯარისკაცებსა და ლევიტელებს არ შეეწინააღმდეგონ ჩემი შეპყრობისას.

იუდამ დამცინავად გაიღიმა:

- ესენი და წინააღმდეგობა? - თქვა, - სად იპოვე, რაბი, ესენი?!

მთვარე ამოდინდა, მიწას ეღვრებოდა მისი მკრთალი ნათელი. ქვებს, ხეებსა და ადამიანებს ეფინებოდა მისი შუქი. ლურჯი ჩრდილები აჩნდნენ გზას. მოწაფეები უკან ჯგუფ-ჯგუფად მიჰყვებოდნენ, საუბრობდნენ, ერთმანეთს ეპაექრებოდნენ. ზოგიერთი ნერწყვსაც კი ყლაპავდა გაშლილ სუფრაზე ფიქრში, ზოგიც შეშფოთებულიყო და რაბის ორაზროვანი სიტყვების ამოხსნას ცდილობდა. თომას საბრალო მოხუცი რაბინი წამოაგონდა.

- ეგეც წავიდა! — ჩაილაპარაკა, - მისი წყალი გადაგვსხმოდეს!

- რა? ჩვენც სიკვდილი გვიწერია? - თქვა შეშინებულმა ნათანიელმა, - აკი ვთქვით, უკვდავების გზაზე ვდგავართო?

— კი, ეგრეა, მაგრამ ჯერ სიკვდილის გზა უნდა განვვლოთ - აუხსნა თომამ.

ნათანიელმა თავი გააქნია:

- უკვდავებისკენ მიმავალთ უხეირო გზა აგვიჩვენებია, - წაიბურტყუნა, - აგერ ნახავთ, თუ ჯოჯოხეთის შარს არ გადავეყაროთ.

მათ წინაშე იერუსალიმი აღიმართა - სავსე მთვარე დაჰქათქათებდა და მოჩვენებას ჰგავდა ქალაქი - უთეთრესი და გამჭვირვალე. მთვარის შუქზე სახლები ისე მოჩანდნენ, თითქოს ჰაერზე მდგარიყვნენ. და სულ უფრო გარკვევით მოისმოდა შენივთული ზუზუნის ხმა: მაგალობელი ადამიანებისა და სამსხვერპლო ცხოველებისა, გულისმომკვლელად რომ ზმუოდნენ.

პეტრე და იოანე აღმოსავლეთის კარიბჭესთან იდგნენ და მათ ელოდნენ. მთვარის შუქზე სახეები უელავდათ. გამოჩნდნენ თუ არა, მყისვე სიხარულით გამოცვივდნენ შესაგებებლად:

- ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც შენ დაგვამბობდი, მოძღვარო! სუფრა გაშლილია, ისღა დაგვრჩენია, მოვულხინოთ!

- ხოლო მასპინძელზე თუ გვკითხავ, - თქვა იოანემ სიცილით, - მან ყველაფერი რომ გააწყო, უცებ სადღაც გაუჩინარდა.

იესომ გაიღიმა:

- სწორედ ესაა ნამდვილი სტუმართმოყვარეობა, — თქვა, მასპინძელმა თავი არ შეგაწყინოს!

აჩქარდნენ. გზები ხალხს ველარ იტევდა, ჩირაღდნებითა და ლამპრებით მოიწვევდნენ ადამიანები. ჩარაზული კარების მიღმიდან კი მოისმოდა საზეიმო საგალობელი პასექისა:

„გამოსლვასა ისრაელისასა ეგვიპტით, სახლი იაკობისი ერისაგან ბარბაროზთასა

იყო ჰურიასტანი სიწმიდე მისა და ისრაელი საბრძანებელ მისა.

ზღუამან იხილა და ივლტოდა, და იორდანე უკუნიქცა მართლუკუნ.

მთანი იმღერდეს, ვითარცა ვერძნი, და ბორცუნი, ვითარცა კრავნი ცხოვართანი.

რაჲ არს შენდა, ზღუაო, რამეთუ ივლტოდე, და შენ, იორდანე, რამეთუ უკუნიქცე მართლუკუნ?

მთანი, რამეთუ იმღერდით, ვითარცა ვერძნი და ბორცუნი - ვითარცა კრავნი ცხოვართანი?

პირისაგან უფლისა შეიძრა ქუეყანა, პირისაგან ღმრთისა იაკობისა,

რომელმან გარდააქცია კლდე ტბად წყალთა და კლდე განუკუეთელი — წყაროებად წყალთა. “

მოწაფეები მიდიოდნენ, პასექის საგალობელი ესმოდათ და თავადაც მღეროდნენ. წინ პეტრე და იოანე მიუძღოდათ.

დაწინაურებულნი უეცრად შეჩერდნენ. ხელი მიჰკრეს ყელ გამოჭრილი ცხვრის სისხლით მონიშნულ ჭიშკარს და შევიდნენ. უკან იესო და მშვიერი თანამგზავრები მიჰყვნენ. ეზო გადაიარეს, ქვის კიბეზე ავიდნენ და ზედა სართულზე შეაბიჯეს. სუფრა გაშლილი იყო, სამი შვიდსანთლიანი შანდალი ცხვარს, ღვინოს, ხმიადსა და მისაყოლებლებს ანათებდა, და კიდევ – ხელჯობებს, ვახშობისას ხელში რომ უნდა სჭეროდათ ისე, თითქოს გრძელ გზას მიუყვებიანო.

- მშვიდობა შენდა! — თქვა იესომ, ხელი ასწია და უხილავ მასპინძელს მიესალმა.

მოწაფეებმა გაიცინეს:

- ვის ესალმები, მოძღვარო?

- უხილავს! — უპასუხა იესომ და მკაცრად გადახედა მათ.

განიერი პირსახოცი ჩამოხსნა, წყალი აიღო, ჩაიმუნლა და მოწაფეებს ფეხების დაბანა დაუწყო.

- მოძღვარო, ვერასდროს დაგანებებ, რომ ფეხები დამბანო! - წამოიძახა პეტრემ.

- ნუ შემეწინააღმდეგები, პეტრე! რომ არ განგბანო, ჩემთან ერთად ვერ შემოხვალ ცათა სასუფეველში!

- რაკი ასეა, მოძღვარო, მართო ფეხები კი არა, აჰა, ჩემი ხელებიც და თავიც — უპასუხა სხარტად პეტრემ.

მაგიდას შემოუსხდნენ. შიოდათ, მაგრამ ვერავის გაებედა, ლუკმა გაეტეხა. ამ საღამოს სახე გამკაცრებოდა მოძღვარს და სიმწარე დასტყობოდა ბაგეებზეც. იესომ სათითაოდ შეათვალიერა მოწაფეები, მარჯვნივ – პეტრეს, მარცხნივ - იოანეს და მერე ყველას დააკვირდა, განსაკუთრებით კი – მის პირისპირ მჯდომ, კუშტად მომზირალ ჟღალწვერა თანამზრახველს.

- უპირველესად, — თქვა, — მლაშე წყალი შევსვათ, რათა გავინსენოთ ის ცრემლები, ჩვენს მამებს რომ დაუღვრიათ მონობის მიწაზე.

მლაშე წყლით სავსე დოქი აიღო, ჯერ იუდას შეუვსო პირთამდე სასმისი, შემდეგ რამდენიმე ყლოუპი სხვებსაც გადაუნაწილა, ბოლოს კი თავისთვისაც დაისხა.

- ვახსენოთ ადამიანის ცრემლები, წუხილი და თავგანწირვა თავისუფლებისთვის! — თქვა და სავსე ჭიქა ერთბაშად გამოცალა.

სხვებმაც მიჰბადეს, პირები აუმწკლარტდათ. იუდამ ერთი მოყუდებით დაცალა, ამოაბრუნა ჭიქა და იესოს უჩვენა – წვეთიც კი არ დაეტოვებინა.

- მამაცი ხარ, იუდა, - უთხრა და გაუღიმა, — ყველაზე უფრო დიდ სიმწარესაც გაუმკლავდები.

ხმიადი აიღო და გატეხა, მოწაფეებს გაუნაწილა. შემდეგ ცხვრის ხორციც სათითაოდ შესთავაზა, იმათ კი თავ-თავიანთი წილი მწარე მწვანილეული აკრიფეს და წინ დაიწყვეს: რჯულის თანახმად, შაშკვლავი, ქონდარი და დაფნა უნდა ეგემნათ. მერე ცხვრის ხორცზე წითელი წვენი მოასხეს იმ აგურების სახელზე, ტყვეობისას

მათი წინაპრები რომ ამზადებდნენ. აჩქარებით ჰამდნენ, როგორც რჯული უბრძანებდათ, და თითოეულს ხელში ეჭირა ხელჯოხი, ცალი ფეხიც წინ წაედგათ, წასვლისათვის მზაობის ნიშნად.

იესო მათ უყურებდა. პირი არაფრისთვის დაუკარებია. თვითონაც ეჭირა ხელში ჯოხი იმათსავით, ცალი ფეხიც წინ წაედგა, ისიც შემზადებულიყო დიდი მსვლელობისთვის. არავინ ლაპარაკობდა, მხოლოდ ყბებს იქნევდნენ გამალებით, ძვლებს ხრავდნენ და ღვინით სავსე ჭიქებს აჭახუნებდნენ. ზემოდან, სანათურიდან მთვარე დასცქეროდათ - ნახევარ სუფრას სწვდებოდა მისი სინათლე, მეორე ნახევარი კი იისფერ წყვდიადში ჩაძირულიყო,

ღრმა სიჩუმე ისევ იესომ დაარღვია.

- ჩემო სანდო თანამგზავრნო, - თქვა, - პასეჟი ნიშნავს გასვლას. წყვდიადიდან სინათლეში გაღწევას, მონობიდან თავისუფლებაში გადანაცვლებას. თუმც ეს პასეჟი, რომელსაც ჩვენ ვდღესასწაულობთ, კიდევ უფრო მეტის მაუწყებელია: ამ საღამოს პასეჟი გულისხმობს სიკვდილიდან უკვდავებაში გადანაცვლებას. მე წინ მივდივარ, მეგობრებო, რათა სავალი გაგიმზადოთ.

პეტრე შეცბა:

- მოძღვარო, - თქვა, - ისევ სიკვდილზე ალაპარაკდი. შენი სიტყვები ისევ ორღესულ მახვილს ჰგავს. თუ რამე უბედურება გველის, ბარემ გვითხარი! კაცები ვართ და გავუძლებთ.

- მართლაც რომ ამ მწარე მწვანილეულზე უმწარესია შენი სიტყვები, ჩემო მოძღვარო, - თქვა იოანემ, — შეგვიბრალე და გაცხადებულად გველაპარაკე.

იესომ თავისი წილი, ჯერაც ჩაუკბეჩავი პური აიღო, ლუკმა-ლუკმა დაუნაწილა მოწაფეებს:

- მიიღებდეთ და სჭამდეთ, — უთხრა, - ეს არის ხორცი ჩემი.

შემდეგ თითოეულს საკუთარი სასმისიდან აგემნა ღვინო და თქვა:

- მიიღებდეთ და სვამდეთ, ეს არის სისხლი ჩემი.

ის თითო ლუკმა პური ყველამ შეჭამა, შესვეს თითო-თითო ყლოუპი ღვინო და გონება აემღვრათ: ღვინო სისხლივით მლაშე მდორე მოეჩვენათ, პური კი გიზგიზა ნაკვერჩხალივით შეენივთა მათ არსებას. ცალკეულმა შეიგრძნო, შიშითა და ძრწოლით როგორ გაიდგა მათში ფესვი იესომ და მთლიანად მოიცვა ისინი. პეტრე იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და ატირდა, იოანემ გულზე დაადო თავი იესოს:

- წასვლა გინდა, მოძღვარო, — ქვითინებდა, - შენ წასვლა გინდა... წასვლა... - და მეტის თქმა ველარ მოახერხა.

— არსადაც არ წახვალ! - შესძახა ანდრიამ, - აკი, გუშინწინ თქვი: „ვისაც დანა არ აქვს, სამოსი გაყიდოს და შეიძინოსო!“. სამოსს გავყიდით, იარაღს ავისხამთ და აბა, ერთი გაბედოს სიკვდილმა და მოგიახლოვდეს!

- ყველა დამთმობთ, - მიტევებით თქვა იესომ, - ყველანი!

- მე არასოდეს! — შეძახა პეტრემ და ცრემლები შეიმშრალა, — არასოდეს მიგატოვებ!

- პეტრე, ჰე, პეტრე, სანამ მამალი იყივლებდეს, სამგზის უარმყოფ!

- მე? მე უარგყოფ? — დაიღრიალა პეტრემ და მკერდზე მუშტი დაირტყა, - მე შენ უარგყოფ? არ განგშორდები სიკვდილამდე!

- სიკვდილამდე! — შეჰღმუვლა ყველა მოწაფემ და ფეხზე წამოცვივდნენ.

- დასხედით, - მშვიდად თქვა იესომ, — ჯერ არ დამდგარა დრო. ამ პასეჟის დღესასწაულზე, ერთი დიდი საიდუმლო უნდა გაგანდოთ. გონების კარი გახსენით, გულის კარი გახსენით, შიში დასძლიეთ!

- თქვი, მოძღვარო! - წაიჩურჩულა იოანემ. ლერწამივით უთრთოდა გული.

- დანაყრდით? აღარ გშიათ? სხეული გაძდა? ახლა დაანებებს სულს, რომ მშვიდად მომისმინოს?

სულგანაბულნი მიაჩერდნენ:

— საყვარელო მეგობრებო, მშვიდობით! მე მივდივარ! — წარმოთქვა თუ არა, მოწაფეებმა შეჰყვირეს, მიეჭრნენ, ყოველი მხრიდან აეფარნენ, რომ არ წასულიყო, მწუნარებდნენ, მოთქვამდნენ.

მაგრამ იესო მშვიდად მიუბრუნდა მათეს და უთხრა:

- მათე, შენ უბით დაატარებ წმინდა წერილს. ადექი და ხმამაღლა წაიკითხე ესაიას წინასწარმეტყველება, რათა ამათი გული განმტკიცდეს. გახსოვს? „ამოიზარდა როგორც მორჩი მის წინაშე...“?

მათეს სახე გაუნათდა, მარდად წამოხტა. კუზიანი იყო, ფეხები მობრეცილი, უფერული და გალუული, მაგრამ უეცრად, თითქოს წელში გაიმართა, დაწვებზე ცეცხლი მოედო და თითქოს მის იერსაც ფერ-ხორცი შეემატა, მაღლა ცას მისწვდა ძალითა და სიმწარით აღსავსე სიტყვები წინასწარმეტყველისა:

„ამოიზარდა როგორც მორჩი მის წინაშე და როგორც ფესვი ურწყული მიწიდან; არც ღირსება ჰქონია და არც მშვენება, რომ ზედ შეგვეხედა, არც იერი, რომ მივეზიდეთ.

საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული, გატანჯული და სნებამორეული, ერთი იმათგანი, ვისაც პირს არიდებენ. საძულველი იყო და არად ვაგდებდით.

ნამდვილად კი, მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი; ჩვენ კი გვეგონა, ღვთისგან იყო ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული.

მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დაღეწილი; მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ...

ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი ღუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე. “

- კმარა, - თქვა იესომ და ამოიოხრა.

თანამგზავრებს მიუბრუნდა და მშვიდად განუმარტა:

- ეს მე მიგულისხმა ჩემზე ამბობს წინასწარმეტყველი ესაია: მე ვარ კრავი - სასაკლავოსკენ მიმავალი და მორჩილი.

გაჩუმდა და ცოტა ხანში დასძინა:

- იმ დღიდან, როცა დავიბადე, სწორედ იმ დღიდან მოყოლებული მიმათრევინ სასაკლავოსკენ.

გაოგნებული, დამუნჯებული მოწაფეები უყურებდნენ. ცდილობდნენ გაეგოთ, რას ეუბნებოდა მათ: და უეცრად ყველა ერთად მაგიდაზე დაემხო და გოდებას მოჰყვნენ.

წამიერად იესოს გულს სიმბდალე შეეპარა: როგორ დატოვოს თანამგზავრები, როცა ასე განიცდიან მასთან განშორებას? თავი ასწია, იუდას შეხედა. ისიც დაჟინებით უყურებდა კარგა ხანია, მკაცრი მზერით: უნდოდა გამოეცნო, რას განიცდიდა იგი და თუ შეეძლო სიყვარულს, რომ მისი ძალა განქარვებინა. მათი მზერა ელვასავით შეეჯახა ერთიმეორეს. ერთის თვალები უმოწყალო იყო, მეორისა - მავედრებელი და მწუხარე. მხოლოდ ერთი გაელვება და მაშინვე შეარხია თავი იესომ, მწარედ გაუღიმა იუდას და ისევ მოწაფეებისკენ იბრუნა პირი.

- რა გატირებთ? — უთხრა, - ასე რატომ გეშინიათ ღმერთის ყველაზე უფრო მოწყალე და კაცთმოყვარე მთავარანგელოზის - სიკვდილისა? მიწერია, რომ ვეწამო, ჯვარს ვეცვა, ჯოჯოხეთში ჩავიდე, მაგრამ სამ დღეში აღვსდგები და ზეცას ავალ, რადგან მამის გვერდითაა ჩემთვის სამარადჟამო ადგილი.

- ისევ მიგვატოვებ? - ტირილით შესძახა იოანემ, - ჯოჯოხეთშიც და ცაშიც შენთან ერთად წამოვალთ, მოძღვარო!

- ამქვეყნადაც მძიმე ტვირთი გვაწევს, იოანე, საყვარელო! თქვენ აქ უნდა დარჩეთ და სწორედ აქ უნდა იღვაწოთ. აქ, მიწაზეა თქვენი სიმამაცის ასპარეზი, აქ უნდა იბრძოლოთ სიყვარულით, აქ უნდა დამელოდოთ და მეც დავბრუნდები!

იაკობი თითქმის შერიგებოდა კიდევ მოძღვრის სიკვდილს და გონებაში ალაგებდა, რას იზამდნენ, როცა მარტონი დარჩებოდნენ სამყაროში, მოძღვრის გარეშე.

- ჩვენ არ ძალგვიძს წინ აღვუდგეთ ნებას ღვთისა, - თქვა, - და ასევე მოძღვრის ნებას! შენი ვალია, მოძღვარო, რომ მსხვერპლად შეეწირო და აკი, წინასწარმეტყველებიც ამასვე ამბობენ... ხოლო ჩვენ მოვალენი ვართ, ვიცოცხლოთ, რათა ამაოდ არ დაშვრეს შენი სიტყვები. ჩვენი ვალია, რომ ახალი წმინდა წერილი განვამტკიცოთ, ჩვენი კანონები დავადგინოთ, ჩვენი სინაგოგები აღვმართოთ, ჩვენი მღვდელმთავრები ავირჩიოთ, ჩვენივე სწავლულები თუ ფარისევლები განვამწესოთ.

იესოს შეეშინდა:

- ასე სულს აცვამ ჯვარს, იაკობ, - შესძახა, — არა, ამას ნუ იზამთ!

- მხოლოდ ასე შეიძლება შეაკავო სული, რომ ჰაერს არ შეერთოს და არ განქარდეს!
— შეეპასუხა იაკობი.

- მაგრამ ასე ხომ თავისუფალი აღარ იქნება, ანუ სული აღარ ერქმევა?!

- დიდი ამბავი! სულის მსგავსი ხომ მაინც იქნება, ჩვენთვის - დამონებულთათვის ესეც შვებას მოიტანს, მოძღვარო!

იესოს ცივმა ოფლმა დაასხა. მოწაფეებს გახედა, მაგრამ ერთსაც არ აუწევია თავი, რომ იაკობს შეწინააღმდეგებოდა. პეტრე ზებედეს ვაჟს სიამაყით შეჰყურებდა: გამჭრიახი გონება აქვს, მბრძანებლობას მიჩვეული, მამამისის ნავებსაც ხომ ის განაგებდა. ერთი ამას დამიხედეთ, თავად მოძღვარსაც მიუჩენს ადგილს... სასოწარკვეთილმა იესომ ხელები გაშალა, თითქოს დახმარებას ითხოვსო:

- მოგივლენთ ნუგეშისმცემელს, - თქვა, - ანუ სულს ჭეშმარიტებისა და იგი წარგიძღვებათ.

- მაშ, სწრაფად მოგივლინე ნუგეშისმცემელი, - შესძახა იოანემ, - მცდარ გზას რომ არ დავადგეთ და მართალი გზა არ დავკარგოთ, ჩემო მოძღვარო!

იაკობმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი:

- და ეს ჭეშმარიტების სული, როგორც ამბობ, ისიც ჯვარს ეცმევა? სანამ ადამიანები იარსებებენ, სული ყოველთვის ჯვარცმული იქნება, რომ იცოდეს. მაგრამ არა უშავს, რაღაც ყოველვის რჩება ხოლმე და გეუბნები, ესეც საკმარისია ჩვენთვის.

- ჩემთვის არ არის საკმარისი! — შესძახა სასოწარკვეთილმა იესომ.

ამ ტკივილიანმა შეძახილმა იაკობი შეაცბუნა, მოძღვარს მიუახლოვდა, ხელი შეახო მკლავზე თანაგრძნობით და უთხრა:

- შენთვის არ კმარა, რაბი, და ამიტომაც აღიხარ ჯვარზე! შემინდე, რომ შეგეპასუხე!

იესომ თავზე ხელი დაადო გაჯიუტებულს:

- თუკი ღმერთს სურს, რომ სული მარადიულად ეცმოდეს ჯვარს დედამიწაზე, მაშინ კურთხეულ იყოს ჯვარი! დაე, მხრებზე მოვიგდოთ იგი სიყვარულით, მოთმინებით, რწმენით ვატაროთ და ერთ მშვენიერ დღესაც, იგი ჩვენს მხრებზე ფრთებად გარდაისახება.

გაჩუმდნენ. მთვარე ამაღლებულიყო, ცის კაბადონზე იდგა. მკვდრის ნათებად მოეფინა მისი შუქი მაგიდებს. იესომ ხელები გადააჯვარედინა.

- აღვასრულე, - თქვა, - რაც უნდა მექნა, გავაკეთე. რაც უნდა მეთქვა, ვთქვი. ვფიქრობ, ვალი მოვიხადე.

და წინ მჯდომ იუდას ანიშნა, ისიც წამოდგა, ტყავის ქამარი მოიჭირა, კაუჭა ჯოხი მოიმარჯვა. იესომ ხელი დაუქნია, დამშვიდობების ნიშნად.

- ამ საღამოს გეთსიმანიის ბაღში ვილოცებთ, - უთხრა, - კედრონის ხევის გადაღმა. ღმერთმა დაგლოცოს! ღმერთი მწედ გექმნას, იუდა, ძმაო!

იუდამ პასუხის გაცემა დააპირა, სულ ერთი სიტყვის თქმა უნდოდა, მაგრამ მყისვე გადაიფიქრა. კარი ღია იყო და ისიც გარეთ გავარდა.

- სად მიდის? - იკითხა შეშფოთებულმა პეტრემ და წამოდგა, რომ გაჰყოლოდა, მაგრამ იესომ შეაჩერა.

- ღმერთის ბორბალი დატრიალდა, - თქვა, - ნუ დააბრკოლებ!

ქარი ამოვარდა, შვიდსანთლიან შანდალზე ალი ათამაშდა, უეცრად შმაგმა ქარმა დაჰბერა და შანდალი ჩააქრო. სავსე მთვარე შემოვიდა შიგნით. ნათანიელი მეგობრისკენ გადაიხარა:

- ეს ქარი არ არის, ფილიპე, ვიღაც შემოვიდა. ვაითუ, სიკვდილია?

- და რომც იყოს, შენ რა გენალვლება? - მიუგო მწყემსმა, - ჩვენ არ შეგვეხება და...

მეგობარს ზურგზე დაჰკრა ხელი, გასამხნეველად.

- დიდი გემები, — თქვა, - დიდ ქარიშხლებს ნიშნავს. ჩვენ კი, დიდება ღმერთს, მხოლოდ პატარა ნავების ნიჩბები ვართ.

მთვარეს წარეტაცა იესოსთვის სახე, თავად გადაჰფარვოდა — დიდი შავი თვალების გარდა, არაფერი უჩანდა. შეშინებულმა იოანემ მალულად ხელი გაიწვდინა და მოძღვრის სახეს შეახო, რათა ენახა, რომ ნამდვილად მათთან იყო, რომ ჯერ კიდევ არსებობდა.

- რაბი, — წაიჩურჩულა, - სად ხარ?

- ჯერ არ განგშორებივარ, იოანე, საყვარელო, - მიუგო იესომ, - წამიერად გავიფანტე, რადგან ერთი ასკეტის სიტყვებზე ვფიქრობდი, კარმელის წმინდა მთაზე რომ მითხრა: „მე ღორივით ვიყავ ჩაფლული ჩემი სხეულის ხუთ ტალახშიო“, ასე მითხრა. „მერე როგორ განიწმინდე? — ვკითხე, - ბევრი იბრძოლე ამისათვის?“. „არა, სულაც არ გავრჯილვარ, - მიპასუხა, - ერთ დილას აყვავებული ნუშის ხე ვიხილე და განვიწმინდეო“. იოანე, საყვარელო, წამიერად აყვავებულ ნუშის ხედ მომეჩვენა დღეს სიკვდილი.

წამოდგა.

- წავედით! — თქვა, - დროა!

დაწინაურებულ იესოს ჩაფიქრებული მოწაფეები მიჰყვებოდნენ.

- გავიქცეთ, - უჩურჩულა ნათანიელმა თავის მეგობარს, გული ცუდს მიგრძნობს.

- მეც მაგაზე ვფიქრობ, - მიუგო ფილიპემ, - მაგრამ თომაც წავიყვანოთ.

მთვარის შუქზე თომას დაუწყეს ძებნა, თუმცა იგი უკვე ვიწრო ქუჩებში მიმალულიყო. ესენიც, ორნი, უკან ჩამორჩნენ და სიდრონის ხევს რომ მიაღწიეს, დანარჩენები წინ გაუშვეს, თავად კი დასხლტდნენ.

იესო კედრონის ხევში ჩავიდა მათთან ერთად, ვინც შემორჩა, გვერდითა ფერდს აუყვავა, გეთსიმანიის ბაღისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. რამდენჯერ გაუთენებიათ ღამე ამ ბებერი ზეთისხილის ხეების ძირში, ღვთის წყალობასა და ადამიანთა ურჯულოებაზე საუბარში!

შეჩერდნენ. ამ საღამოს მოწაფეებს მაძღრისად ეჭამათ, ესვათ და ახლა ძილი მორეოდათ. მიწაზე ფეხით გოროხები და ქვები მიჰყარ-მოჰყარეს, ადგილი მოასუფთავეს და დასაწოლად მოემზადნენ.

- სამი ჩამოგვცილებია, - თქვა მოძღვარმა და მიმოიხედა, - რა დაემართათ?

- გაიქცნენ... - ბრაზით უპასუხა ანდრიამ.

იესომ გაიღიმა:

- ნუ განსჯი, ანდრია, — უთხრა, - ერთ დღესაც, ისევ დაბრუნდებიან, ნახავ, სამივე დაბრუნდება და თითოეულს თავზე ედგმება თითო გვირგვინი, ყველაზე უფრო დიდებული და უკვდავი - სამეფო, ეკლის გვირგვინები.

თქვა და ზეთისხილის ხეს მიეყრდნო, რატომღაც საშინელი დაღლილობა იგრძნო უეცრად.

მოწაფეები უკვე დაწოლილიყვნენ. სასთუმლად მოზრდილი ქვები მოემარჯვებინათ, დაძინებას აპირებდნენ.

- მოდი, მოძღვარო, ჩვენ შორის დაწექი, - თქვა პეტრემ და დაამთქნარა, — ანდრია გვიდარაჯებს.

იესო ხეს მოშორდა:

- პეტრე, იაკობ, იოანე, - თქვა, - გამომყევით! — მწუხარებითა და ბრძანებით აღვსილიყო მისი ხმა.

პეტრე, ვითომ ვერ გაიგონაო, მიწაზე გაწვა, ისევ დაამთქნარა, მაგრამ ზებედე სორი ვაჟი დასწვდა, ფეხზე წამოაყენეს.

- წავედით, - თქვეს, - არ გრცხვენია?

პეტრე თავის ძმას მიუახლოვდა:

- ანდრია, კაცმა არ იცის, რა მოხდება. შენი დანა მომეცი!

იესო წინ მიდიოდა, ზეთისხილის დაბურული ხეივანი განვლეს, სინათლეზე გავიდნენ. მათ წინ მთვარითმოსილი იერუსალიმი თეთრად ელვარებდა. რძისფერი ზეცა დასდგომოდა თავზე, ერთი ვარსკვლავიც რომ არ ჩანდა, სავსე მთვარე კი, ამოსვლისას რომ თვალს ადევნებდნენ, ახლა უძრავად დამდგარიყო ცის თაღზე.

- მამა, - წაიჩურჩულა იესომ, - მამაო, რომელიც ხარ ცათა შინა და რომელიც მიწაზე ხარ, მშვენიერია ეს სამყარო, შენ რომ შექმენ და ჩვენ რომ ვუჭვრეტო, მშვენიერია ის სამყაროც, ჩვენ რომ ვერ ვხედავთ და არ ვიცი, მომიტევე, მამა, მაგრამ მე არ ვიცი, რომელი უფრო მშვენიერია!

დაიხარა, ერთი მუჭა მიწა აიღო, დაყნოსა. მიწის სურნელმა ღრმად შეაღწია მის არსებაში. სადღაც ახლოს ბუსტუდის ხე უნდა ყოფილიყო და მიწასაც ფისისა და თაფლის სუნის ასდიოდა. ლოყასთან, ყელთან მიიხუტა, ეამბორა.

- რა სურნელია! — ჩაიჩურჩულა, - რა სითბოა, რა სიყვარული!

ცრემლი მოერია. მუჭს არ ხსნიდა, მიწასთან განშორება ეძნელებოდა.

- ერთად, — ჩურჩულებდა, - ერთად ვეზიარებით სიკვდილს, ჩემო მოძმევ! სხვა ახლობელი მე არა მყავს!

- მეტი აღარ შემიძლია, — თქვა გაბეზრებულმა პეტრემ, - სადღა მივყავართ? უფრო შორს ვეღარ წავალ. აქვე დავწვები.

და სასურველ ადგილს ეძებდა, რომ უეცრად მათკენ მომავალი იესო შენიშნა. მაშინვე ბუზღუნის შეწყვეტა და გაეშურა მისაგებებლად.

- სადაცაა შუაღამე მოაწევს, მოძღვარო, — უთხრა, - ეგებ აქ მოვისვენოთ.

- შვილნო ჩემო, - თქვა იესომ, — ჩემი სული მწუხარეა სიკვდილის წინ! თქვენ დაბრუნდით და ხეების ძირას წამოწეკით, მე აქ დავრჩები, მთვარის შუქზე, რათა ვილოცო. გთხოვთ, ღრმა ძილს ნუ მიეცემით იფხიზლეთ და ამაღამ თქვენც ჩემთან ერთად ილოცეთ, რათა დამეხმაროთ ამ მძიმე ჟამის დაძლევაში...

სახე იერუსალიმისაკენ მიაქცია:

- წადით! — უთხრა, - მარტო დამტოვებთ!

მოწაფეები თვალის დახამხამებაში გაიკრიფნენ, ზეთისხილებში მიიმაღნენ. ის კი პირქვე დაემხო. გული, გონება, ტუჩები მიწას ვერ შორდებოდნენ, თავადაც მიწად ქცეულიყო.

- მამა, — დაიჩურჩულა, — მამა, აქ კარგად ვარ, მიწა მიწასთან ვარ, ნუ მაიძულებ! მწარეა ის სასმისი, რომელსაც მაწვდი, უმწარესია, ვერ გავუძლებ... თუ შეიძლება, მამა, თუ შესაძლებელია, ამარიდე იგი!

გაჩუმდა. ყური მიუგდო, იქნებ ღამის სიჩუმეში მამის ხმა გაეგონა. თვალები დახუჭა - ვინ იცის, ღმერთი კეთილია, შეიძლება მასში მამამ გაიღვიძოს, შვილს მოწყალედ გაუღიმოს და ანიშნოს - მოიცადე, მოიცადეო. კანკალებდა. ვერაფერი გაიგონა... ვერაფერი დაინახა... გარშემო მიმოიხედა, სულ მარტოდმარტო იყო... შეეშინდა, ფეხზე წამოხტა, თანამგზავრებს დაუწყო ძებნა, რათა გული განემტკიცებინა და ჰჰოვა ისინი - სამივე მათგანს ღრმად ეძინა. პეტრეს ფეხი ოდნავ წაჰკრა, შემდეგ იაკობს და იოანეს.

- არ გრცხვენიათ? — უთხრა გაწბილებულმა, - ცოტა ხნით ჩემთან ერთად ლოცვაც კი არ შეგიძლიათ?

- მოძღვარო, - თქვა პეტრემ და თან თვალებს ვერ ახელდა, - მოძღვარო, სულს უნდა, მაგრამ ხორცი უძლურია. გვაპატიე!

იესო კვლავ სხივმოსილ ადგილას გავიდა, მუხლებზე დაეცა და შესძახა:

– მამა, ძალიან მწარეა, ძალიან მწარე ეს სასმისი, რომელიც მომაწოდებ. მომაშორე პირიდან, გთხოვ!

და როგორც კი ეს თქვა, მთვარის შუქზე იხილა, როგორ გადმოეშვა ზეციდან ერთი ფერმკრთალი, მკაცრი ანგელოზი. ფრთები მთვარისა ჰქონდა, ხელებით კი ვერცხლის ლანგარზე შემოდგმული თასი მოჰქონდა. იესომ ორივე ხელი სახეზე აიფარა და მიწაზე მოიკუნტა.

- ესაა, მამა, შენი პასუხი? არ გებრალეები?

ცოტა ხანს ასე იყო, იცდიდა. მერე ნელ-ნელა მოიცილა ხელები სახიდან, რომ დაენახა, ისევ თუ ადგა თავზე ის ანგელოზი: კიდევ უფრო ქვემოთ ჩამოსულიყო იგი და ახლა თასი მის ტუჩებსაც კი ეხებოდა – შეჰყვია, ხელები გაშალა და გულადმა დაეცა მიწაზე.

გონს რომ მოეგო, ცის თაღზე მთვარეს ერთი მტკაველით ეცვალა ადგილი, ანგელოზი კი მთვარის შუქში ჩაკარგულიყო, ხოლო გაღმა, იერუსალიმის გზაზე მეჩხერად მოძრავი სინათლეები გამოიკვეთა, ჩირაღდნებივით. მოდიოდნენ თუ მიდიოდნენ? სად მიდიოდნენ? ისევ შიშმა დარია ხელი, ერთი სული ჰქონდა ადამიანები დაენახა, ადამიანის ხმა გაეგონა, ძვირფას ხელებზე შეხებოდა. სირბილით გაბრუნდა, თავისი სამი თანამგზავრი უნდა ეპოვა.

მათ კი ისევ ისე ეძინათ, სახეებზე მთვარის შუქი და ნეტარება დაჰფენოდათ. იოანეს სასთუმლად პეტრეს მკლავი ამოედო, პეტრე კი იაკობის მკერდზე მისვენებულიყო, ხოლო შავთმიან იაკობს ერთ ქვაზე მიედო თავი, მკლავები ფართოდ გაეშალა და შავ წვერ-ულვაშში თეთრად მოელვარე კბილები უჩანდა. ალბათ ტკბილ სიზმარს ნახულობდა და იცინოდა. იესოს ისინი შეებრაღა, ახლა უკვე არ შეხებია მათ, აღარ გააღვიძა, ფეხაკრეფით გაბრუნდა უკან. მერე ისევ პირქვე დაემხო და კვლავ ატირდა.

- მამა, - ჩუმად ამოთქვა, თითქოს არც უნდოდა, ღმერთს მისი ხმა მისწვდომოდა,
- მამა, დაე, იყოს არა ნება ჩემი, არა! დაე, იყოს ნება შენი!

წამოდგა, კვლავ იერუსალიმის გზას გახედა. მოძრავი ჩირაღდნები უფრო ახლოს ჩანდა, უკვე ცხადად შეამჩნია ამ შუქზე მოსიარულე ჩრდილები, რკინის მუზარადებით...

- მოდიან... მოდიან... – წაიჩურჩულა და მუხლები მოეკვეთა.

და სწორედ ამ დროს, ერთი პატარა კვიპაროსის ტოტზე ბუღბუღი დაჟდა, ყელი წაიგრძელა - მთვარისაგან უზომოდ დამთვრალიყო, საგაზაფხულო სურნელებისგან თუ თბილი ღამისგან. მასში დავანებულიყო რომელიღაც ყოვლისშემძლე ღმერთი, სწორედ ის, ვინაც ცა და დედამიწა და ადამიანთა სულები შექმნა. მაგალობელი ჩიტის ხმა მისწვდა. იესომ თავი ასწია, ყური მიუგდო. იქნებ სწორედ ადამიანთა ჭეშმარიტი ღმერთი იყო სამყაროს შემოქმედი – ის, ვისაც მიწა და ჩიტების ერთი ბეწო გულები და ფრთების ფარფატი უყვარს? მის შიგნით, მის არსებაში მყისიერად გამოიღვიძა და ბუღბუღლის გალობას სხვა ბუღბუღი გაეპასუხა, მარადიული ტკივილისა და

მარადიული სიხარულის მაუწყებელი საგალობლებით - ღმერთის, სიყვარულისა და იმედის შესახებ...

ის გალობდა, იესო კი ცანცანებდა. არ იცოდა ესოდენ სასოება თუ გადანახულიყო მასში, ამდენი დაფარული, უტკბესი სიხარული და შეცოდება. მისი არსება აყვავდა და ბულბულიც აყვავებულ შტოებზე შეჯდა, ახლა უკვე ენანება, აღარ უნდა რომ წავიდეს. ან სად წავიდეს? რატომ წავიდეს? ეს მიწა არის თავად სამოთხე... და სწორედ ამ დროს, როცა ბულბულთა ხმატკბილობას აყურადებდა და სამოთხეში შედიოდა ისე, რომ ხორცს არც განშორებია, ჩახლეჩილი ხმები მოესმა, ჩირაღდნებს შორის რკინის მუზარადები დალანდა და ამ მწარე სინათლისა და კვამლის ფონზე თითქოს იუდაც გაარჩია - მსწრაფლ მიუახლოვდა იგი და დაკუნთული მკლავები მოჰხვია, მისი ჟღალი წვერი კი სახეზე სცემდა. შეჰყვირა, მოეჩვენა, რომ წამისად გული წაუვიდა, მაგრამ გამხნევდა და იგრძნო, როგორ მიუტანა პირთან იუდამ თავისი მძიმედსასუნთქი პირი და ჩახრენწილი, სასოწარკვეთილი მისი ხმაც მყისვე გაიგონა:

- მოძღვარო!

მთვარე სადაცაა იუდეის თეთრ-მოლურჯო მთებს შეეხებოდა. საშინელი ყინვა ჩამოწვა, იესოს თითები და ტუჩები გაულურჯდა. მთვარის შუქზე კი ბრმა და ფერმკრთალი იერუსალიმი წამოიმართა.

იესო შებრუნდა ჯარისკაცებისა და ლევიტელებისაკენ:

- მშვიდობა თქვენდა, ჩემი ღმერთისგან მოვლენილნო! - თქვა, - წავედით!

წუთით, ღრიანცელში გაარჩია პეტრეს ყვირილი, მახვილი აღემართა, რათა რომელიღაც ლევიტელისათვის ყური მოეჭრა.

- ჩააგე ქარქაშში! — უბრძანა, - თუ მახვილს კვლავ მახვილს დავუხვედრებთ, მაშინ როდისღა მოეღოს ბოლო ამ სამყაროში სისხლისღვრას?!

XXIX

იესო სიცილ-ხარხარით გაიდევნეს, ქვებზე ახოხიალებდნენ. კვიპაროსებსა და ზეთისხილის ხეებს შორის მიათრევდნენ. კედრონის ხევში ჩაიყვანეს. იერუსალიმში რომ შევიდნენ, კაიაფას სასახლეს მიადგნენ. სწორედ იქ შეკრებილივინ მსაჯულები, მეამბოხის განსასჯელად.

ციოდა, მონებს ეზოში ცეცხლი დაენთოთ და თბებოდნენ. დროდადრო, ლევიტელები გამოდიოდნენ სასახლიდან და ახალი ამბები გამოჰქონდათ ეზოში - ისეთ რამეებს ამბობდნენ, თმა ყალზე დაუდგებოდა ადამიანს, მის ბრალს ჰყვებოდნენ, ანუ როგორ მკრეხელობდა ეს უღმერთო, ისრაელის ღმერთზე რას ამბობდა, ან ისრაელის რჯულზე და წმინდა ტაძარზე როგორ იმუქრებოდა - დავანგრევ და მტვრად ვაქცევო!

თავშებურული, პეტრე ეზოში თავდახრილი შეძვრა, ცეცხლს მიეფიცხა, ხელებს ითბობდა და დაზაფრული უსმენდა ახალ ამბებს. ერთი მონა ქალი მიუახლოვდა პეტრეს დააცქერდა და შესძახა.

- რა გვემალეები? - უთხრა - თავი ასწიე, დაინახოთ! მგონი, შენც იმისიანი ხარ...

ლევიტელებმა ეს სიტყვები რომ გაიგონეს, გარს შემოეხვივნენ. პეტრეს შეეშინდა, ხელი ასწია:

- ვფიცავ, - თქვა, - არც კი ვიცნობ ამ ადამიანს! - და ჭიშკარს მიაშურა.

აქაც, ერთმა მონა ქალმა შენიშნა გაქცეული პეტრე და მისკენ ხელგამშვერილმა შესძახა:

- სად მიდიხარ? შენც მასთან ერთად იყავი, დაგინახე!

- არც კი ვიცნობ ამ ადამიანს! - ისევ შეჰყვირა პეტრემ, მამხილებელი ჩამოიშორა და ფეხი ააჩქარა. ჭიშკართან ორმა ლევიტელმა შეაჩერა, მხრებში წაავლეს ხელები და შეანჯღრიეს:

- შენი კილოც გაგცემს, — დაუყვირეს, — გალილეველი ხარ შენც, მისი მოწაფე!

და ამჯერადაც იუარა პეტრემ, გაჰყვიროდა, იფიცებოდა:

- არც კი ვიცნობ ამ ადამიანს!

ამ დროს კი ეზოს მამალმა დაიყვილა. შეძრწუნებულ პეტრეს გაახსენდა იესოს სიტყვები: „პეტრე, ჰე, პეტრე, სანამ მამალი იყვლებდეს, სამგზის უარმყოფ...“ იქაურობას გაერიდა, მიწაზე დაემხო და აქვითინდა.

თენდებოდა. ზეცა სისხლისფრად შეიღება, გაწითლდა. აღშფოთებისგან გაფითრებული ერთ-ერთი ლევიტელი ეზოში გამოვარდა.

- მღვდელმთავარი სამოსს იგლეჯს ტანზე, რადგან იმ წყეულს უთქვამს: „მე ვარ ქრისტე, ძე ღვთისაო!“ ყველა უხუცესი ფეხზე წამოცვივდა, მღვდელმთავარს მიბაძეს — ტანსაცმელს იგლეჯენ და გაჰყვირიან: „სიკვდილი! სიკვდილი მაგასო!“.

მეორე ლევიტელიც გამოვარდა:

- ახლა პილატესთან მიჰყავთ. მარტო მას აქვს უფლება, რომ სიკვდილით დასაჯოს. ჩამოეცალეთ! გაატარეთ! გააღეთ ჭიშკარი!

ჭიშკარი მოაღივებს. ისრაელის მთავრები გარეთ გამოიკრიფნენ. წინ მიდიოდა გაცოფებული მღვდელმთავარი კაიაფა, უკან ბოროტად მზირალნი, პირმოკუმული, ავსიტყვა უხუცესები მოჰყვებოდნენ. მათ უკან კი მშვიდი, მწუხარე იესო მოაბიჯებდა. თავიდან სისხლი სდიოდა, რადგან უკვე მოესწროთ მისი ცემა.

ღრიანცელი, ლანძღვა-გინება ატყდა ეზოში. პეტრე შეკრთა, ჭიშკრის საყრდენს მოეჭიდა, ცრემლი სდიოდა: „პეტრე, ჰე, პეტრე, — ჩურჩულებდა, - მშიშარავ, მატყუარავ, შე მოღალატე! ადექი და შეჰყვირე: მეც მასთან ვარ! — და დაე, მოგკლან“. მისი სული ბოხოქრობდა, შფოთავდა, მაგრამ სხეული უძრავად იდგა, ჭიშკრის ძელს მოსჭიდებოდა და ცანცანებდა.

ზღურბლზე იესომ წაიბორძიკა, დაეცემოდა კიდეც, საიდანღაც ვიღაცის ხელი რომ არ შეშველებოდა. პეტრე იყო. მოეჭიდა. ისიც შიშისგან ადგილზე გაქვავდა, ხმა ვერ ამოიღო, ვერ გაინძრა. გრძნობდა, რომ მოძღვარს ჩაეჭიდა ხელი მისთვის და არ უშვებდა. ჯერ კიდეც არ გათენებულიყო, მოლურჯო წყვდიადი იდგა და იესოც არ მიბრუნებულა, იმის დასანახავად, თუ ვინ შეაშველა ხელი... თავი შეიმაგრა და ისევ უკან გაჰყვა რაბინებს პილატეს კომპისაკენ.

პილატემ ადრინად გაიღვიძა, დაიბანა, სურნელოვანი ზეთი იცხო და თავისი კომპის ტერასაზე ავიდა შეშფოთებული. არასდროს მოსწონდა ეს დღე — პასექის დღესასწაული, ებრაელები გიჟდებოდნენ, მათი ღმერთი ახლა ისევ დაათრობდათ, ისევ დაერეოდნენ რომაელ ჯარისკაცებს და შეიძლება წელსაც ხოცვა-ჟლეტა ამტყდარიყო, რაც რომს ხელს არ აძლევდა. წლევანდელი პასექისას კი სხვა სადარდელიც გასჩენოდა: შეიძლება ასეც კი სჯობდეს, ჯვარს რომ აცვან ებრაელებმა ეს უბედური, სულელი ნაზარეველი. რა საძაგელი მოდგმა!

კომპის სარკმლებს ქვემოთ დიდი ღრიანცელი ატყდა. პილატემ გადაიხედა და შენიშნა, რომ ეზო სავსე იყო ებრაელებით, ტაძრის სტოები და ტერასები გაშლეგებულ ხალხს აევსო, ჯოხები და შურდულები მოემარჯვებინათ, იესოს ურტყამდნენ, წიხლავდნენ და დასცინოდნენ. რომაელი ჯარისკაცები კი მას იცავდნენ და კომპის დიდი კარიბჭისკენ მიჰყავდათ.

პილატე დარბაზში შევიდა, დიდებულად მორთულ-მოკაზმულ ტახტრევანზე დაჯდა. კარი გაიღო და ორმა ჯანიანმა შავკანიანმა იესო შემოაგდო. ტანსაცმელი შემოეფლითათ, სახე სულ დაესისხლიანებინათ, მაგრამ მაინც თავაწეული იდგა და თვალებში არაამქვეყნიური, მშვიდი ნათელი უბრწყინავდა.

პილატემ გაუღიმა:

- ისევ შევხვდით, იესო ნაზარეველო, დიდო მეფეო იუდეველთა! ამბობენ, შენი სიკვდილით დასჯა სურთო...

იესომ ფანჯრიდან ზეცას გახედა, გონებით და სხეულით თითქმის უკვე იქ იყო. არაფერი უთქვამს.

პილატე გაბრაზდა:

- ზეცას თავი დაანებე, – დაუყვირა, — მე შემომხედე! განა არ იცი, მხოლოდ ჩემი უფლებაა, გამოგიხსნა ან ჯვარს გაცვა?!

- შენ ჩემზე არავითარი უფლება არ გაქვს, – მშვიდად მიუგო იესომ, – მხოლოდ ღმერთია უფლებამოსილი!

ეზოში ბრბო მძვინვარებდა:

- სიკვდილი მაგას! მოკვდეს! მოკვდეს!

- ასე რამ გააცოფათ? – ჰკითხა პილატემ, - რა დაუშავე?

- ჭეშმარიტება ვუქადაგე, – უპასუხა იესომ.

პილატემ ისევ გაიღიმა:

- და რომელი ჭეშმარიტება? ან რას ნიშნავს ჭეშმარიტება?

იესოს გული მოეწურა: ასეთია ეს სამყარო, ასეთები არიან მისი მმართველები, მეკითხება, ჭეშმარიტება რას ნიშნავსო და თან იცინის.

პილატემ სარკმლიდან თავი გადასწია. ახლახან გაახსენდა, სწორედ გუშინ რომ შეიპყრეს ბარაბაც, ლაზარეს მკვლელობის გამო. ძველი წეს-ჩვეულების თანახმად კი, პასეჟის დღეს რომაელები ერთ სიკვდილმისჯილს ათავისუფლებენ.

- რომელი გინდათ გავათავისუფლო? – გადასძახა, - იესო მეფე იუდეველთა თუ ავაზაკი ბარაბა?

— ბარაბა! ბარაბა? — იღრიალა ხალხმა. პილატემ მცველებს დაუძახა, იესოზე მიანიშნა და უბრძანა:

- გაამათრახეთ, ეკლის გვირგვინი დაადგით თავზე, წითელი ტილო მოახვიეთ და ჯოხიც მიეცით – სამეფო კვერთხად დაიჭიროს! მეფეა და მეფესავით შემოსეთ!

იფიქრა, ასეთს რომ დაინახავენ, შეიძლება შეიბრალონ კიდეცო.

გააფთრებით ეცნენ მცველები, სვეტზე მიაბეს და ცემა დაუწყეს, აფურთხებდნენ, ეკლის გვირგვინიც შეუკრეს და თავზე დაადგეს. იესოს შუბლიდან და საფეთქლებიდან სისხლი სდიოდა. ზურგზე წითელი ტილო მოაგდეს, ხელში გრძელი ჯოხი დააკავებინეს და ისევ პილატეს მიჰგვარეს. მან კი, იესოს დანახვისას, სიცილი ველარ შეიკავა.

- მეუფეო ურიათა! — თქვა, - აქეთ მოდექი, იმათაც დაგინახონ!

ხელი ჩაავლო და ვერანდაზე გაიყვანა.

— აჰა, კაცი იგი! — შესძახა.

- ჯვარს ეცვას! ჯვარს ეცვას! — ისევ იღრიალეს ქვემოდან.

პილატემ ბრძანა, ერთი თასი და თუნგიც წყალი მოეტანათ. დაიხარა, ყველას წინაშე დაიბანა ხელები და:

- მე ხელები დამიბანია, - თქვა, - მე მის სისხლში ბრალი არ მაქვს! უბრალო ვარ! თქვენზე იყოს მისი ცოდვა!

- ჩვენზე იყოს და ჩვენს შვილებზე მისი ცოდვა! – ღრიალებდნენ აბობოქრებულნი.

- თქვენი იყოს! — თქვა პილატემ.

წინ გაიგდეს, ზურგზე ჯვარი აჰკიდეს, აფურთხებდნენ, ამათრახებდნენ, გოლგოთისაკენ მიათრევდნენ. ის კი ბარბაცებდა, რადგან მძიმე იყო ჯვარი. თვალს აქეთ-იქით აპარებდა, ეგებ რომელიმე მოწაფე ეხილა, თანაგრძნობისა და ტკივილის გამზიარებელი. თვალეები დააწყდა, მაგრამ არავინ ჩანდა სიახლოვეს.- კურთხეულ იყოს სიკვდილი! - თქვა, — დიდება შენდა, ღმერთო! კურთხეულ იყოს სიკვდილი!

ამ დროს მოწაფეები სიმონ კვირინელის ღუქანში შეყუჟულიყვნენ, ელოდნენ როდის დასრულდებოდა ჯვარცმა, რათა ღამით გადაკარგულიყვნენ ისე, რომ ყველას დავიწყებოდა მათი არსებობა. კასრებს უკან მიმალულნი გზას აყურადებდნენ, როგორ გარბი-გამორბოდა გახარებული ხალხი. ყველანი – კაცებიცა და ქალებიც გოლგოთისაკენ მიიწევდნენ. კარგად შეირგეს პასეჟი, ხორცეულით დაძღნენ, ღვინოც არ დაიკლეს და ახლა ჯვარცმასაც დაესწრებიან – დრო ხომ უნდა გაეყვანათ სანახაობაში.

მოწაფეები ყურს უგდებდნენ ქუჩის ზუზუნს და ცახცახებდნენ. შიგადაშიგ იოანეს ტირილის ხმა თუ გაისმოდა, ხანდახან კი ანდრია წამოდგებოდა, ღუქანში ბოლთის ცემას მოჰყვებოდა და იმუქრებოდა. პეტრეც ილანძლებოდა, იგინებოდა, საკუთარ თავს აგინებდა, რომ არაკაცი იყო, რადგან არ ეყო სიმამაცე, გავარდნილიყო გარეთ და მოძღვართან ერთად მომკვდარიყო... არადა, რამდენჯერ შეუფიცავს მისთვის: „შენთან ერთად, მოძღვარო, სიკვდილამდე!“, მაგრამ ახლა, როცა სიკვდილი კარს მოადგა მოძღვარს, იგი კასრებს უკან იმალება.

იაკობი გაგულისდა:

– იოანე, – თქვა, – შეწყვიტე ტირილი! კაცი არა ხარ?! შენც კიდეც, ანდრია, უღვაშის წიწკნას თავი დაანებე და დაჯექი! მოდით, ერთად გადავწყვიტოთ: თუკი მართლა მესიაა და სამ ღღეში აღსდგება, რა ნამუსით უნდა წარვდგეთ მის წინაშე? გიფიქრიათ თქვენ ამაზე? აბა, რას იტყვი, პეტრე?

- თუ მესიაა, ცუდადაა ჩვენი საქმე – აი, რას ვიტყვი, — უპასუხა სასოწარკვეთილმა პეტრემ, - არც დამიმაღავს თქვენთვის, უკვე სამგზის რომ უარყავი.

- მაგრამ თუ მესია არ არის, მაინც ცუდადაა ჩვენი საქმე! — თქვა იაკობმა, - აბა, რას იტყვი, ნათანიელ?!

- რას ვიტყვი და, შევეშვათ ბჭობას. არის თუ არა იგი მესია, რა აზრი აქვს, ჩვენი საქმე მაინც წასულია!

- და ასე, უნუგეშოდ უნდა მივატოვოთ? რანაირად გაგიძლებთ გული? — თქვა ანდრიამ და წასვლა დააპირა.

მაგრამ პეტრემ ხელი სტაცა:

– შეჩერდი! ნაკუწ-ნაკუწ აგჩეხავენ, შე უბედურო! ეგებ მოვიფიქროთ სხვა რამ!

- სხვა რადა, თქვე მლიქვნელებო, ფარისევლებო? — წაიღრინა თომამ, — აქვე ვთქვათ და ნუ შეგვრცხვება. ჩვენ გარიგება დავდეთ, მთელი ჩვენი ქონება ჩავდეთ. ხო, ეგრეა, რას მიყურებთ? ვაჭრობაა, როგორც ხდება ხოლმე – მომეცი, მოგცემ. მე ჩემი წვრილმანები გავიღე, ჩემი თმისსარჭები, სარკეები, კოჭის ძაფები, რათა ცათა სასუფეველი მომეპოვებინა. თქვენც ასევე არ მოიქეცით? ვილაცამ ნავი დათმო, ვილაცამ — ცხვრები, ვილაცამ კიდეც — მხართეძოზე წამოწოლა... და ახლა, როცა საქმე ეშმაკებს გადაეცა, ჩვენს კაპიტალსაც ეშმაკები დაეპატრონენ, გავკოტრდით! და

ფრთხილად ვიყოთ, ჩვენი სიცოცხლევ საფრთხეშია! ანუ რაც მოხდა, მოხდა! ვერას გავაწყობთ!

- მართალია, — შესძახეს ფილიპემ და ნათანიელმა, - რაც იყო, იყო!

შეშფოთებულმა პეტრემ მათეს მიმართა, რომელიც მოშორებით იჯდა, გაფაციცებით უსმენდა მათ და ხმას არ იღებდა.

- ღვთის გულისათვის, მათე, ესენი არ ჩაიწერო! ვითომ არც გაგიგონია! სულელებად ნუ გამოგვიყვან უკუნისამდე!

- შენ ნუ სწუხხარ, - მიუგო მათემ, - ჩემი საქმისა მე ვიცი! ბევრ რამეს ვხედავ, ბევრი რამე მესმის, მაგრამ მერე გამოვარჩევ ხოლმე უმჯობესს. თუმცა თქვენთვისვე გეუბნებით, კაცური გადაწყვეტილება მიიღეთ, ღირსება დაიცავით, რომ აღვწერო და სახელ-დიდება ჰპოვოთ, უბედურებო! მოციქულები ხართ, გახსოვდეთ!

ამ დროს სიმონ კვირინელმა კარი გააღო და დუქანში შემოალაჯა. ტანსაცმელი შემოფლეთოდა, სახე და მკერდი გასისხლიანებოდა, მარჯვენა თვალი ისე დასიებოდა, აღარც უჩანდა. ილანძლებოდა, ღრიალებდა. დაფხრეწილი სამოსი შემოიძრო და თავი ჩარგო ნიჟარაში, სადაც ღვინის ჭიქებს რეცხავდა ხოლმე, მერე პირსახოცს დასტაცა ხელი, იფურთხებოდა და თან ტანს იმშრალებდა, ლანძღვა-გინებასაც არ აკლებდა. შემდეგ კასრის ონკანს შეუშვია პირი და ღვინო ჩაირაკრაკა. კასრების უკანა მხრიდან ფხაკუნით რომ შემოესმა, დაიხარა და შეყუჟული მოწაფეების დანახვამ მთლად გადარია.

- ფუი! მოწყდით აქედან, თქვე ლაჩრებო! — დაუყვირა, — ასე ხო? ასე ტოვებენ წინამძღოლს, არა? ასე გარბიან ბრძოლის ველიდან, ხომ? უვარგისო გალილეელებო, საზიზღარო სამარიტელებო, არაკაცებო!

- სულს ეწადა, სიმონ, — შეჰბედა პეტრემ, — ჩვენს სულს ეწადა, ღმერთმა იცის, მაგრამ სხეული...

- გაჩუმდი, ყბედო! როცა სული მიიწევს, სხეული რას გააწყობს მასთან? ყველაფერი სულად იქცევა, ეგ ხელჯობივ - შენ რომ გიჭირავს, სამოსელიც – ზედ რომ გაცვია, და ქვაც, რომელსაც დააბიჯებ, ყველაფერი, ყველაფერი სულად იქცევა! შემომხედეთ, თქვე მხდალებო, ჩემს ხორცს შეხედეთ – ერთიანად დაწყლულებულია! ტანსაცმელი ძონძებად მექცა და ბუდეებიდან ლამის თვალელებიც ამომცვივდეს. გინდათ იცოდეთ – რატომ? მოშორდით, თავიდან მომწყდით თქვე ცრუმოწაფეებო! იმიტომ, რომ თქვენს მოძღვარს გამოვესარჩლე, ხალხს ვეკვეთე, მე, დიახ, სწორედ მე – მედუქნე, ეს საძაგელი კვირინელი! და რატომ ვქენი ეს? გგონიათ, დავიჯერე, რომ მესიაა და ათმაგად დამიბრუნებს სახელ-დიდებას? არა, სრულიად არა! მხოლოდ იმიტომ, რომ ღირსებამ შემაწუნა და საერთოდაც არ ვნანობ ახლა!

ბოლთას სცემდა, სკამებს ეხლებოდა, იფურთხებოდა, იგინებოდა, მაგრამ მათე ეკლებზე იჯდა, ისე უნდოდა გაეგო, რა მოხდა კაიაფასთან, პილატესთან, რა თქვა მოძღვარმა, რას ამბობდა ხალხი, რათა ყველაფერი ჩაეწერა თავის ფურცლებზე.

- თუ ღმერთი გწამს, სიმონ, ძმაო, - უთხრა, - დამშვიდდი და მოგვიყევი რაც ნახე, როდის და სად რა მოხდა, და რამე თუ თქვა მოძღვარმა.

- რაღა თქმა უნდა, თქვა! — უპასუხა სიმონმა, - „ვאי თქვენ, მოწაფეებო!“ - აი, რაც გავიგონე! ჰოდა, ჩაწერე! რას მომშტერებიხარ? მოკიდე კალამს ხელი და წერე: „ვאי თქვენ!“.

კასრებს უკან ქვითინი გაისმა, იოანე ძირს დამხობილიყო და მოთქვამდა, პეტრე კი კედელს თავს ურტყამდა.

- თუ ღმერთი გწამს, სიმონ, - ისევ შეევედრა მათე, - სიმართლე გვითხარი, რომ დავწერო. ნუთუ ვერ ხვდები, რომ სწორედ შენს სიტყვას გაიმეორებს მთელი სამყარო?

პეტრე კვლავ კედელს ახლიდა თავს.

- გულს ნუ გაიტეხ, პეტრე, - უთხრა მედუქნემ, - და მე გეტყვი, რა უნდა ქნა, რომ საუკუნო სახელი ჰპოვო... მომისმინე: აი, ახლა სადაცაა აქაც ჩამოატარებენ, ხმაც ისმის უკვე, ჰოდა, გახვალ, კარს ვაუკაცურად გააღებ, ჯვარს ჩამოართმევ და შენ შემოიღებ ზურგზე. მძიმეა იგი სატარებლად, თქვენი ღმერთი კი ძალიან სუსტია და დაიღალა.

გაიცინა, ფეხი მიჰკრა პეტრეს:

- გააკეთებ? აი, მაგას კი ვნახავდი!

- გეფიცები, ასეც ვიზამდი, ხალხის რომ არ მეშინოდეს, - წაიქვითინა პეტრემ, — გადამთელავენ...

მედუქნემ ზიზლით გადააფურთხა:

- მომწყდით თავიდან! — შეჰყვირა, - არც ერთი იზამთ ამას? შენ, ნათანიელ, შე ახმახო, არც შენ იზამ? ვერც შენ, ანდრია? ვერც ერთი? როგორ, ნუთუ ვერავინ? ფუი თქვენ! ჯანდაბამდე გზა გქონიათ! ვაი, შე საბრალო მესიავ, რა მთავარსარდლები შეგირჩევია ამ სამყაროს დასაპყრობად?! მე, მე უნდა ამოგერჩიე, სწორედაც რომ მე უნდა შეგერჩიე, მერე რა, რომ წყალწაღებული ვარ. სამაგიეროდ, ღირსება მაქვს! და თუ ღირსება მაქვს, გინდა ლოთი იყავი, გინდა მატყუარა და ავისმქმნელი, მაინც კაცი ხარ! აი, თუკი სიამაყე არ მაქვს, უცოდველი მტრედიც რომ იყო, ფუი შენ, გალიასაც კი არ იმსახურებ!

ისევ გადააფურთხა, წავიდა, კარი გააღო და ზღურბლზე შედგა, მძიმედ სუნთქავდა. ქუჩა ხალხით იყო სავსე. ქალები და კაცები გამორბოდნენ და გაჰყვიროდნენ:

- მოდის! მოდის! მოდის მეფე იუდეველთა!

მოწაფეები ისევ კასრების უკან მიმალნენ. სიმონი მათ მიუბრუნდა:

- თქვე უღირსებო, - შეჰყვირა, — გარეთაც კი არ გამოდიხართ, რომ დაინახოთ? იმ უბედურმაც რომ დაგინახოთ და ცოტა ნუგეში ჰპოვოს? ვაი თქვენ, ისევ მე გავალ და მე ვანიშნებ — აქ ვდგავარ, სიმონ კვირინელი, შენთან ვარ-მეთქი!

თქვა თუ არა, ერთი ნახტომით გადაევილო და ქუჩაში გაიჭრა.

ხალხი ტალღა-ტალღა მოედინებოდა. წინ რომაული კავალერია მოდიოდა, მათ კი მხრებზე ჯვარმოგდებული იესო მოჰყვებოდა, სისხლი სდიოდა ჩამოფლეთილსამოსიანს. ძალა გამოლეოდა, ბარბაცებდა, წაიბორძიკებდა, ჩაიკეცებოდა და კვლავ ფეხზე აყენებდნენ, წიხლს ურტყამდნენ, ხელს ჰკრავდნენ გზა რომ განეგრძო. იესოს უკან მისდევდნენ მკელბელნი, ბრმანი, სნეულნი – მასზე დაბოღმილიყვნენ, რომ არ განკურნა, აგინებდნენ, თავის ყავარჯნებს და ხელჯოხებს ურტყამდნენ. ის კი დროდადრო მიმოიხედავდა ხოლმე, იქნებ რომელიმე მეგობარი დაენახა... რა მოუვიდათ მის საყვარელ მოწაფეებს?..

დუქნის წინ შედგა, შებრუნდა და მედუქნე შენიშნა, რომელიც ხელს უქნევდა. გული სინარულით აღევსო, თავი უნდოდა დაეკრა მისთვის, მისალმების ნიშნად, მაგრამ ქვას წამოკრა ფეხი, დავარდა და ზურგზე ჯვარი დაემხო.

კვირინელი მიეჭრა, იესო ფეხზე წამოაყენა, ჯვარს დასწვდა, თვითონ მოიგდო ზურგზე, შებრუნდა და იესოს შეჰღიმა:

- გამაგრდი, — უთხრა, - მე შენთან ვარ, ნუ გეშინია!

გაიარეს კარიბჭე დავითისა, აღმართს დაადგნენ. სადაცაა გოლგოთის წვერსაც მიაღწევდნენ. ქვალორღიანი იყო გზა. აქ ჯვარს აცვამდნენ მუამბოხეებს, და მაშინათვე ტოვებდნენ ჯვარზე, ფრინველებს რომ დაეკორტნათ... ჰაერში ლემის სუნი იდგა.

კვირინელმა მხრებიდან ჯვარი ჩამოიხსნა, ორმა ჯარისკაცმა ორმო გათხარა და ღრმად ჩაასეს ჯვარი. იესო ლოდზე ჩამომჯდარიყო და ელოდა. მზე უსაშველოდ აჭერდა, გავარვარებული ცა კი თეთრი იყო და დახურული: არც ცეცხლის ალი, არც ანგელოზები, იოტისოდენა ნიშანიც კი არ აჩნდა, რომ იქ ზემოდან ვიღაც ხედავს, რაც აქ, ქვემოთ, მიწაზე ხდება... ასე იჯდა და ელოდა, თითებიდან მიწას იცლიდა, რომ უეცრად იგრძნო – ვიღაც იდგა მის წინ და უყურებდა. მშვიდად, წყნარად ასწია თავი, დაინახა, იცნო:

- მშვიდობა, – წაიჩურჩულა, – მშვიდობა სანდო თანამგზავრო, სვლა აქ მთავრდება. აღსრულდა ის, რაც გეწადა, რაც მე მინდოდა: მთელი ცხოვრება ვესწრაფოდი წყევლა კურთხევად მექცია და კიდევ შევძელი, მორჩა, დავზავდი! მშვიდობით, დედა! - თქვა და აჩრდილს მსუბუქად დაუქნია ხელი.

ორი ჯარისკაცი იესოს მხრებში დასწვდა:

— ადექი, მეუფეო, – დაუყვირეს, — ტახტზე ადი!

გააშიშვლეს, მისი სისხლით დაფარული, გამხდარი სხეული გამოჩნდა. ხვატი იდგა, მოქანცული ხალხი ხმას ველარ იღებდა, მუნჯად უცქეროდნენ სანახაობას.

- ღვინო მიეცი, რომ დალიოს, ცოტა გამაგრდეს, - თქვა ერთმა ჯარისკაცმა.

მაგრამ იესომ თასი მოიცილა, მკლავები გაშალა:

- მამა, — წაიბუტბუტა, — დაე, აღსრულდეს ნება შენი!

- მატყუარა! ორპირო! თაღლითო! — ღრიალებდნენ ბრმები. ხეიბრები, სნეულები.

- აბა, სად არის სასუფეველი ცათა? სად არის პურით სავსე თონეები? - ღრიალებდნენ უპოვრები და ქვებს ესროდნენ.

იესომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და შეჰყვირა:

- ძმებო! – მაგრამ ჯარისკაცებმა აღარ დააცალეს, ჯვარზე აიყვანეს და ბოშები იხმეს, რომ სამსჭვალეები ჩაერჭოთ. როგორც კი ჩაქუჩები შემართეს და პირველი ლურსმნის ჩაჭედების ხმა გაისმა, მზემ დამალა თავისი სახე. როცა მეორე სამსჭვალს ასობდნენ, ცა დაბნელდა და ვარსკვლავები გამოლაგდნენ. არა, ვარსკვლავები კი არ იყო, ზეცის მსხვილი ცრემლები ცვიოდა მიწაზე.

ხალხი შიშმა შეიპყრო. რომაელი მხედრების ცხენები უცებ დაფრთხნენ, უკანა ფეხებზე შედგნენ და ცოფიანებივით აჭიხინდნენ, წიხლებს ჰკრავდნენ ებრაელთა ბრბოს. და უეცრად მიწაც, ცაც, ჰაერიც დამუნჯდა, თითქოს მიწა უნდა იძრასო... სიმონ კვირინელი ქვებზე დაემხო, ბევრჯერ შეძრულა ეს სამყარო მის ფეხქვეშ და შიშმა აიტანა.

- ახლა მიწა გაიხსნება, — ბუტბუტებდა, — და ჩაგვყლაპავს.

თავი ასწია, გარშემო მიმოიხედა - თითქოს გულწასული სამყარო ლურჯ წყვდიადში ჩაინთქა. ხალხს თავები გაუჩინარებოდათ, მხოლოდ მათი თვალები – შავი ხვრელები ხვრეტდნენ ჰაერს. ყვავები, რომლებიც სისხლის სუნზე მოყრანტალდნენ გოლგოთაზე, დამფრთხალნი გაფრნიდნენ უკან... ჩუმი, საყვედურივით კვნესა ისმოდა ჯვრიდან. კვირინელმა გული განიმტკიცა, თავი ასწია, შეხედა და გაოგნებისგან შეჰყვირა: არა, ბოშები კი არ იყვნენ, ჯვარცმულს რომ ლურსმნებს აჭედებდნენ, ანგელოზების გუნდი მოვლენილიყო ციდან, იესოს გარშემო დაფრინავდნენ, ჩაქუჩებს სიხარულით იქნევდნენ და ჯვარცმულის ხელებსა და ფეხებს აჭედებდნენ, სხვები კი ჯვარზე გაკრულის სხეულს თოკით ამაგრებდნენ, რათა არ ჩამოვარდნილიყო. პაწაწინა, ვარდისფერლოყებიან და ოქროსკულულებიან ანგელოზს კი შუბი მოემარჯვებინა და იესოს გულში ასობდა.

- ნეტა თვალი ხომ არ მატყუებს? – ჩურჩულებდა აცახცახებული კვირინელი, - ნუთუ ღმერთი, თვითონ ღმერთი მას ჯვარს აცვამს?!

და სწორედ ამ დროს – ამაზე უფრო დიდი შიში და ტკივილი სიმონ კვირინელს არასოდეს გამოეცადა ცნოვრებაში - სწორედ ამ დროს, ჰაერი შეძრა საყვედურივით აღსავსე, საზარელმა და სულისშემძვრელმა ხმამ:

- ელი... ელი...

ჯვარცმულმა მეტის თქმა ვეღარ შეძლო, ეწადა, მაგრამ ვეღარ შეძლო, ერთბაშად სუნთქვა შეეკრა და თავი ჩამოუვარდა...

გაოგნებული იესო თვალებს სიხარულით ახამნამებდა: ეს ჯვარი კი არა, ხე იყო — მიწიდან ცამდე აღმართული, გაზაფხული იდგა და ის ხეც ყვავილებად აფეთქებულიყო. ყოველ შტოზე კი თითო ჩიტი შემომჯდარიყო და ჭიკჭიკებდა... თვითონ ფეხზე იდგა, ზურგით მიყრდნობოდა აყვავებულ ხეს, თავი მაღლა აეწია და ითვლიდა: ერთი, ორი, სამი...

– ოცდაცამეტი, — წაიბუტბუტა, — ზუსტად იმდენია, რამდენ წელსაც ითვლის ჩემი დრო... ოცდაცამეტი ჩიტი ჭიკჭიკებს.

თვალეები გაუფართოვდა, მთელი სახე თვალეზად ექცა და ყოველ მხარეს ახლა ისე იხედებოდა, შემობრუნება არ სჭირებოდა, ყოველ მხარეს აყვავებულ სამყაროს ჭვრეტდა. მისი ყურები მომართული ნიჟარებივით იჭერდნენ აგუგუნებულ სამყაროს მთელ ღრიანცელს, ლანძღვასა და ტირილის ხმებს და სიმღერად გარდაქმნიდნენ. მის გულს კი შუბი ჩასობოდა და სისხლი სდიოდა.

სათითაოდ, უმოწყალოდ ჭკნებოდნენ მის ეკლიან თმასა და სისხლიან ხელებში ყვავილები. იდგა ასე — ტკბილ ჭიკჭიკში ჩაძირული, ცდილობდა გაეხსენებინა, თუ ვინ იყო და სად იყო, რომ უეცრად ქარი ამოვარდა – ციდან ანგელოზი ჩამოფრინდა და მის წინ ჩამოდგა. ქვეყნად თენდებოდა.

ბევრი ანგელოზი ეხილა სიზმრად, მაგრამ ასეთი არასოდეს - ხო რა საოცარი, ადამიანური სილამაზე ჰქონდა, როგორი რბილი, შავი თრთვილი დასდებოდა ლოყებსა და ზედა ტუჩზე! თვალეები კი მაცდურად უციმციმებდა, ვნებით ავსებოდა, შეყვარებული ქალივით თუ შეყვარებული ყმაწვილივით. მოქნილი, მკვრივი სხეული ჰქონდა, ნაწნავები გამოყვანილ თეძოებამდე სცემდა და მათაც ამაღელვებელი, მოლურჯო ფერი დაჰკრავდა. ილღიებიდან კი ადამიანური ოფლის საამო სურნელება გამოსდიოდა.

იესო შეცბა:

- ვინ ხარ? - ჰკითხა და გული აუჩქარდა.

ანგელოზმა გაუღიმა და მის სახეს ადამიანური სითბო მოეფინა. ორი, ფართო, მწვანე ფრთა დაკეცა, თითქოს უფრთხილდება, იესო მეტად არ შეაშინოსო.

- მეც შენსავით ვარ, — უპასუხა, — შენი მფარველი ანგელოზი! მენდე!

ალერსიანი და იდუმალი იყო მისი ხმა – ადამიანური, მოწყალე და ახლობლური. რაც კი აქამდე მოესმინა ანგელოზთათვის, ახსოვდა მკაცრი, საყვედურიანი და ახლა სიხარულით აღსავსე გაკვირვებას განიცდიდა. ვედრებითა და მოლოდინით შეხედა ანგელოზს, რომ კვლავ ეთქვა რამე. მანაც უცებ გამოიციო კაცის სურვილი და ღიმილით უპასუხა:

- ღმერთმა იმისთვის გამომგზავნა, რომ შენს ბაგეებს სიტკბო მოვფინო, რადგანაც ბევრი შხამი გასვეს ადამიანებმა, ბევრი შხამი შეგასვა ზეცამ, შენც იტანჯე, იბრძოლე და მთელი შენი ცხოვრება ერთი ტკბილი ღღეც კი არ გაგთენებია. დედაშენმა, შენმა ძმებმა, მოწაფეებმა, ღარიბებმა, ხეიბრებმა, ჩაგრულებმა - ყველამ, ყველამ იმ ბოლო, საშინელ წამს მიგატოვა და მარტოდმარტო დარჩი, დაუცველი აღმოჩნდი კლდეზე,

შუა წყვილიაღმის. და მაშინ მამა ღმერთს შეებრაღე: „აქ რას უზიხარ? — დამიძახა, - განა მისი მფარველი ანგელოზი არ ხარ? ჩადი და იხსენი იგი. მე არ მინდა, რომ ჯვარს ეცვას, ეს საკმარისია, ეყოფა!“. „ძალთა უფალო, - შიშის კანკალით ვუპასუხე, - გან იმისთვის არ გაგზავნე მიწაზე, რომ ჯვარს ეცვათ იგი? რომ ადამიანები გამოეხსნა? სწორედ ამიტომ ვიჯექ აქ მშვიდად. მეგონა, რომ ასეთი იყო შენი ნება“. „დაე, სიზმარში ეცვას ჯვარს იგი, - მიპასუხა ღმერთმა, - ისეთივე შიშს გამოცდის, ზუსტად იმავე ტკივილს“.

- ჩემო მფარველო ანგელოზო, - შეჰყვირა იესომ და ორივე ხელი თავზე შემოიჭირა, - ჩემო მფარველო ანგელოზო, გონება ამერია. როგორ, ნუთუ ჯვარს არ მაცვეს?

ანგელოზმა ქათქათა ხელი იესოს გულზე დაადო, დასამშვიდებლად:

- იყუჩე, საყვარელო, - უთხრა და თვალებში სითბო ჩაედგარა, - ნუ შიშობ! ჯვარზე არ ასულხარ, არა...

- რას ამბობ? ნუთუ სიზმარი იყო ეს ყოველივე? კი მაგრამ - ჯვარი? სამსჭვალეები? ან ის ტკივილი? მზის დაბნელება? ნუთუ მართლა სიზმარი იყო?

- ხო, ასეა, სიზმარი იყო! შენ ყველა ვნება დაითმინე, ოღონდ - სიზმრად. ჯვარზედაც გაცვეს - ეგეც სიზმრად, და სიზმრადვე გაგეხსნა ის ხუთი ჭრილობა, ნაიარევად რომ დააჩნდა შენს ხელებს, ფეხებს და შენსავე გულს.. ისე ძლიერი იყო ვნება, ხედავ, სისხლიც გდის...

იესო ვერ გარკვეულიყო, მისი გონება სხვაგან ქროდა. ნეტავ სად არის? ეს მდელო აქ საიდან გაჩნდა? ან ეს ხეები და ეს წყლები რას ნიშნავს ნეტა? მაგრამ იერუსალიმი? ჩემი სული? და კვლავ ანგელოზს მიუბრუნდა, მკლავზე შეეხო - რა ნორჩი და სპეტაკია მისი კანი!

- ჩემო მფარველო, როცა მესაუბრები, ჩემი სხეული თითქოს უფრო მსუბუქდება, ჯვარიც თითქოს მკრთალად მოჩანს და სამსჭვალავნი ჩრდილნი ხდებიან, ჩემი ჯვარცმა კი ღრუბელივით ადის ცაში და სადღაც შორეთში მიფარფატებს.

ანგელოზმა ხელი მოხვია:

- წავედით, - და თითქოს ფრენით გადაევილო აყვავებულ მდელოს, - იესო ნაზარეველო, დიდი სიამენი მოგელის შენ იქ! თავად ღმერთის ნებითაა, ისე ვიზრუნო შენთვის, რომ ყველა საქმე, რასაც კი შენატროდი მთელი ცხოვრების განმავლობაში, სწორედ ახლა დააგემოვნო... საამოა მიწა, შენც ნახავ, სასურველია ღვინოც და ხალისიც, საამოა ქალის ბაგენი, მართლაც უდიდესი სიხარულია, პირმშო რომ მუხლებზე აგაცოცდება... შეიძლება არც დაიჯერო, მაგრამ ჩვენც კი, ანგელოზები, ზეციდან ხშირად ვსტუმრობთ მიწას, რათა ცოტა სული მოვითქვათ.

უზარმაზარი, მწვანე ფრთები შეათამაშა და იესოს გარს შემოავლო:

- აბა, შებრუნდი, — უთხრა, - იქით, უკან გაიხედე!

...და იესო რას ხედავს?! იქ, სადღაც, ზემოთ, ნაზარეთის ბორცვი მოჩანდა, რომელსაც მზე სხივებით აკაშკაშებდა. ყველა კოშკის კარიბჭე ფართოდ გამოეხსნათ,

ათასობით ადამიანი მიდი-მოდოდ: დიდებულნი, მათი ცოლები — ოქროცურვილი სამოსებით, თეთრ ცხენებს მიაგელვებდნენ ცხენოსნები... ლივლივებდა ოქრონაქარგი შროშანებით დამშვენებული, აბრეშუმის თეთრი დროშები... გზას მიიკვლევდნენ აყვავებულ მთებს შორის, გადადიოდნენ სამეფო ციხესიმაგრეებს, მერე კვლავ უკან ბრუნდებოდნენ, გორაკებს მწკრივად ედებოდნენ, მდინარეებს გადალახავდნენ, შიგადაშიგ შორეული სიცილისა და ტკბილი საუბრის ხმა ატანდა, დაბურული ხეივანიდან კი — ქოშინის ხმა...

- ჩემო მფარველო ანგელოზო, - ჰკითხა ნანახით გაოგნებულმა იესომ, - ეს მთავრობანი რაღას ნიშნავს?! ის დიდებულნი ვინ არიან, საზეიმო სვლით მოსიარულენი?

- მაყრიონია, დიდი სამეფო მაყარიონი! — ღიმილით უპასუხა ანგელოზმა, — საქორწინო სამზადისია.

- ვინ ქორწინდება?

და ანგელოზის თვალებს ციმციმა ნაპერწკლები შეეთამაშნენ:

- შენ, - თქვა, - და სწორედ ეს იქნება პირველი იმ სიამეთაგან...

იესომ უცებ იგრძნო როგორ მოაწვა სისხლი: მაშინვე მიხვდა, ჰატარძალი ვინც იქნებოდა. მთელი სხეულით გრძნობდა სიხარულს. ახლა უკვე ეჩქარებოდა:

- წავიდეთ!

და მყის იხილა: თავადაც ოქროსაღვირიან თეთრ ცხენზე იჯდა; საკუთარ სხეულს შეავლო თვალი — კი მაგრამ, როდის ქცეულიყო მისი ძველი, ამოკემსილი კვართი ოქროცურვილ ქსოვილად, ხასხასა აბრეშუმად?! ან ვინ შეუმკო ლაჟვარდისფერი ბუმბულით თავი?

- ნუთუ ეს არის სასუფეველი ცათა, - იკითხა, - მე რომ ვქადაგებდი? მართლა ეს არის, ჩემო მფარველო ანგელოზო?

- არა, - სიცილით უთხრა ანგელოზმა, — არა, ეს მიწაა.

- და ასე როგორ შეიცვალა?!

- ის არ შეცვლილა, შენ შეიცვალე! ერთ დროს შენს გულს იგი არ სურდა, მისი სურვილის წინააღმდეგ მიდიოდა მაშინ შენი გული, ახლა კი — არა, ახლა შენს გულს მიწა სწადია; და სულ ესაა მთელი საიდუმლო: მიწისა და გულის ჰარმონია, იესო ნაზარეტელი, სწორედ იგია სასუფეველი ცათა... თუმცა დროს რატომ ვკარგავთ ლაპარაკში? წავიდეთ, სასძლო გელოდება.

და თეთრ ცხენებზე ამხედრებულნი გზას დაადგნენ. მათ უკან, მთებიდან მომავალი სამეფო კავალერიის ცხენების ჰიხინის ხმა აღწევდა, ქალების სიცილ-კისკისიც უფრო და უფრო ახლოდან მოისმოდა. ფრთაშრიალა ჩიტები მიაპობდნენ ჰაერს ჩრდილოეთის მიმართულებით და ჰიკჰიკებდნენ: მოდის! მოდის! მოდის! იესოსაც გული ჩიტივით უფრთხიალებდა, ლამის საგულედან ამომხტარიყო ამღერებული: მოვდივარ! მოვდივარ! მოვდივარ!

და უცებ, ასე სიხარულით ანთებული რომ მიიჩქაროდა, გაახსენდა მოწაფეები. შებრუნდა, სამეფო მაყარს გადაავლო თვალი, ეგებ მათ შორის ამოეცნო რომელიმე, მაგრამ იესოს მოწაფეთაგან არავინ ჩანდა... დაბნეულმა შეხედა თავის თანამგზავრს და ჰკითხა:

- კი მაგრამ, ჩემი მოწაფეები? ერთსაც ვერ ვხედავ, სად არიან?

ანგელოზმა კი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით მიუგო:

- გაუჩინარდნენ!

- რატომ?

- ეჰ, შიში...

- ნუთუ იუდაც?

- ყველა! სულყველა! თავ-თავიანთ ნაკებს დაუბრუნდნენ, საკუთარ სარდაფებს მიაშურეს და იქ დაიმაღნენ. იფიცებიათ, რომ არ გიცნობენ და თვალიც არ მოუკრავთ შენთვის... უკან ყურება არას გარგებს, მათზე ნულარ ფიქრობ, წინ, მომავლისკენ გაიხედე!

აყვავებული ღიმილის სუნი ათრობდა ჰაერს.

- აი, მოვედით! — თქვა ანგელოზმა და ჩამოხდა.

ცხენი უეცარ ნათებად იქცა, გაუჩინარდა.

და ამ დროს ზეთისხილის ხევიდან ღრმა, საყვედურნარევი ზმუილი გაისმა, ტკივილსა და სიტკბოს ერთად რომ იტევდა. იესო შეკრთა, თითქოს მისი შიგნეული მოუხმობსო; გაიხედა და დაინახა - ზეთისხილის ხეს მიბმული, რქებდაგრეხილი ნიშა ხარი კუდაბზეკილი დამდგარიყო და შავად ელვარებდა. იესოს თავის სიცოცხლეში არ ენახა მსგავსი ძლიერება და ბრწყინვალეობა, არასდროს ეხილა სხეულის ამგვარი სიმკვრივე და ასეთი შავი, სიმამაცით სავსე თვალები! შეეშინდა. „ეს ხარი არ არის, - გაიფიქრა, — ეს ყოვლისშემძლე ღმერთის ერთ-ერთი სახეა იმ მრავალ, შეუცნობელ და უკდავ სახეთაგან“.

ანგელოზი იქვე ჩამომდგარიყო და მრავლისმთქმელი ღიმილი აღბეჭდოდა სახეზე.

- ნუ გეშინია, იესო ნაზარეველო, ხარია - ახალგაზრდა, დაუკოდავი ბულა, შეხედე, რა ენერგიულად ატრიალებს ენას, როგორ ილოკავს სველ ნესტოებს, როგორ ეჭიდება ზეთისხილის ხეს და როგორ ებრძვის; როგორ ეჯაჯგურება და იწევს, რომ თოკი გაწყვიტოს და გაიქცეს... აბა, გახედე, ქვემოთ მდებლობზე. ხედავ რამეს?

— ძროხებს, დეკეულებს... ბალახს ძოვენ.

- არა, არ ძოვენ. ელიან, ისინი ბუღას ელიან, რომ თოკი გაწყვიტოს. უსმინე, უსმინე, როგორ ბუბუნებს! რა სინაზეა, რა ვედრება, რა ძალა ისმის მისი ხმიდან! ჭეშმარიტად, ვითარცა ღმერთი დაჭრილი და შეუცნობელი... შენ სახე რატომ აგერია? შენ, იესო ნაზარეველო, თვალები როგორ დაგებინდა, რატომ მიყურებ?

- წავიდეთ, - დაიბუბუნა იესომ და მისი ხმა ვედრებად, ძალად და სინაზედ გამთლიანდა.

- ჯერ მოიცადე, ხარი გამოვხსნა, - მიუგო ანგელოზმა, — არ გეცოდება?

თოკი გახსნა. ერთი წუთის განმავლობაში ხარი უძრავად იდგა და როგორც კი თავისუფლება იგრძნო, მთელი ძალით შეითამაშა და მდელოსაკენ გაექანა.

და სწორედ ამ დროს, ბალიდან, ლიმონის ხეებს შორის, ნაზი ჟღარუნის ხმა მოისმა, მძივებისა და სამაჯურებისა... იესო უცებ მიტრიალდა; მარიამი იყო, მაგდალინელი - მორცხვად, კრთომით მოიწევდა, თავს ლიმონის ყვავილების გვირგვინი ედგა.

იესო მთელი ძალით მიეჭრა, მკლავებშორის მოიქცია, ერთიანად გარს შემოეჭდო.

- მარიამ, ჩემო საყვარელო, ჩემო, - ამბობდა, - ო, რამდენ ხანს, რამდენი წელი ვნატრობდი ამ წუთს?! ვინ გვაბრკოლებლა? ვინ გვიშლიდა? ნუთუ ღმერთი? რატომ ტირი, შენ რა გატირებს?

- სიხარული... სიხარულისგან ვტირი, ჩემო. უსასრულო მოლოდინისგან... წამო!

- გავეშუროთ! მიდი, მოგყვები!

სულ ერთი წუთით მიტრიალდა, თანამგზავრს რომ გამოშვიდობებოდა, მაგრამ ანგელოზი აღარსად იყო: აღარსად ჩანდა ის ამაღლა, სამეფო წყება, დიდებულნი, თეთრი ცხენები, თეთრი დროშები, ყოველივე გამქრალიყო. ქვემოთ, მდელოზე ოდენ ერთი ბულა მოჩანდა, დეკულებს რომ მისდგომოდა სხვა არაფერი.

- ვის ეძებ, ჩემო? უკან რა გინდა, რას უყურებ? მხოლოდ ჩვენ ვართ, ჩვენ ორნი ვართ ამ სამყაროში. კოცნით მოგიჩვენ ნაიარევს, მაგ ხუთ ჭრილობას - ხელ-ფენსა და მკერდზე რომ გაქვს, კოცნით მოვარჩენ. რა სიხარული, რა შვებაა ეს ყოველივე! რა აღდგომა! სამყარო აღსდგა! მოდი, წავიდეთ!

- საით? მომეცი ხელი! მე შენ მოგყვები, გენდობი .

- დიდი მდელოსკენ. მადევრები მოგყვებიან, შენი დაჭერა უნდათ, ხომ იცი... ყოველივე მზად იყო - ჯვარი, სამსჭვალნი, ხალხი, პილატე... მაგრამ უეცრად ანგელოზი გამოჩნდა და მოგიტაცა, წამოგიყვანა. წამო, წავიდეთ, სანამ მზე კარგად გაანათებს, არ დაგვინახონ... გადაირიგნენ, სულ გაგიჟდნენ, შენს სიკვდილს ითხოვს უკლებლივ ყველა.

- რატომ, განა რა დავუშავე?

- სიკეთე გასურდა მათთვის, ხსნა გასურდა არასოდეს გაპტიებენ ამას... ხელი მომეცი, ჩემო, გამომყევ - შენს ცოლს, ყოველთვის რომ მოძებნის გზას და სამშვიდობოს გაგიყვანს, წამო!

ხელი ჩასჭიდა. მისი ცეცხლისფერი კაბა სწრაფ ნაბიჯებს მიმოჰვებოდა და მიწას დაფენილ ლიმონის ხეთა ყვავილებზე დაფრიალებდა. კაცის თითებზე შემოწნული

მისი თითები მხურვალეების ალით იწვოდნენ, მისი ბაგე კი ლიმონის ფოთლის სურნელს აფრქვევდა.

წუთით შედგა გულამომჯდარი, მარიამის მზერა ჟრუანტელად ჩაეღვარა იესოს სხეულს. ხედავდა - მასაც სწორედ ისე უცნაურად, მარგალიტივით უციმციმებდა თვალები, როგორც იმ ანგელოზს. მაგრამ მარიამმა გაუღიმა:

- ნუ გეშინია, — უთხრა, - რა ხანია, წლებია, მინდა რაღაც გითხრა, ენის წვერზე მედგა სათქმელი, მაგრამ ვერ ვბედავდი, ახლა გაგანდობ.

- რისი თქმა გასურდა? მითხარი, ჩემო, ყოველივე მოურიდეებლად უნდა მითხრა.

- რა და, მეშვიდე ცაზეც რომ იმყოფებოდე და მგზავრმა ჭიქა წყალი გთხოვოს, უნდა ჩამოხვიდე მეშვიდე ციდან, რათა წყურვილი მოუკლა იმ მგზავრს; წმინდა ასკეტიც რომ იყო და ქალმა კოცნა გთხოვოს, უნდა მიატოვო შენი წმინდანება და წყურვილი მოუკლა იმ ქალს. სხვაგვარად ვერ ცხონდები...

იესომ ქალი მკლავებშორის მოიქცია და მის ბაგეებს დაეკონა.

სულ გადაფითრდნენ, ძალა წაერთვათ, მუხლები მოეკვეთათ, ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი აღარ შეეძლოთ... იქვე, აყვავებული ლიმონის ხის ძირას ჩაიკეცნენ.

მზე თავზე ედგათ, ქარი ქროდა, ლიმონის ხიდან ჩამოცვენილი ყვავილები ორ შიშველ სხეულს ეფინებოდა. გვერდით კი ერთი მრგვალოთვალება ხვლიკი ქვაზე აკრულიყო და მათ ნეტარებას დაჟინებით მისჩერებოდა. შიგადაშიგ, ხარის ზმუილის ხმა ატანდა, უკვე გამძღარი, დამცხრალი ხმა. ოდნავ ჟინჟლავდა... წვრილი წვეთები ეცემოდა ცეცხლმოდებულ მათს სხეულებს და აგრილებდა. ირგვლივ მიწის სურნელი იდგა.

მარიამ მაგდალინელი კაცს ეხვეოდა, ჩაჭდობოდა, განხორცებას არ ანებებდა და ბუტბუტებდა.

- არასოდეს, ჰო, არასოდეს შეხებია ჩემს ბაგეებს კაცის ტუჩები, არც ამ ღაწვებს უგემიათ საამო ჩხვლეთა, ამ მუხლებს შორის სხვისი მუხლი არასოდეს მოქცეულა. დღეს დავიბადე დღეს, დღეს ვიშვი! შენც ტირი, ჩემო?

- ცოლო ჩემო, ტკბილო მეუღლე, მე არ ვიცოდი, რომ ასეთი ლამაზი იყო ეს სამყარო და სხეული – ასეთი წმინდა, იგი ხომ ღმერთის ასულია, პირმშვენიერი და სულისა. რას ვიფიქრებდი, რომ ხორციელი სიამე ცოდვა სულაც არ არის.

- რა გინდოდა, რას დაიჩემე ცის მეუფება, რისთვის წვალობდი ან რომელ უკვდავების წყაროს ეძებდი? მე ვარ ის წყარო, უკვდავების წყალი აგერ ვარ, შენც დაიხარე, შესვი, ცხონდი! ნუთუ ისევ რამე გაეჭვებას, რას ფიქრობ, ჩემო?

- გული ჩემი იერიქონის ვარდია, წყალში რომ იშლება და ყვავილდება. ცოლო ჩემო, ახლა მივხვდი, უკვდავების წყარო რაც არის.

- აბა, რა არის?

- ეს არის ის გზა!

- რა გზა? რომელი? რომელი გზა, მითხარი, ჩემო.

- გზა, რომელსაც უკვდავებამდე მიჰყავს მოკვდავი. მივხვდი, რომ ღმერთი მიწაზეა, ადამიანის ფორმით მოდის დედამიწაზე. მცდარ გზაზე ვიდექ, მცდარად ვიბრძოდი. გზას ხორცის გარეთ დავეძებდი - იქ, ღრუბლებში, დიდ ზრახვებსა და სიკვდილთა შორის. შენ, ცოლო ჩემო, ღვთის ყველაზე სანდო მსახურო, გთხოვ, მაპატიე! შენ წინაშე მუხლს მოვიყრი, შეგვედრები, შენ - დედავ ღვთისა: რას დავარქმევთ ჩვენს ძეს, ჩვენს პირმშოს?

- შენ გადაწყვიტე! წაიყვანე და როგორც გსურდეს, ისე მონათლე იორდანეში. ის შენ გეკუთვნის!

- მაშ, დავარქვათ ნუგეშისმცემელ!

- ჩუმად, რაღაც ხმა გავიგონე, თითქოს ვიღაც დადისო ხეებს შორის. ჩემი მსახური ყრმა იქნება, მე დავავალე აქვე ახლოს ყოფილიყო, რომ არავის შევემჩინეთ. ჰო, აი, ისიც!.. სავლე!

ყრმას თვალები თეთრად უელავდა, გაოფლილი, შავი სხეული კი რბენით დაქანცული ცხენივით უპრიალებდა. მაგდალინელი უცებ მიეჭრა, ხელი ტუჩებზე ააფარა:

— ჩუმად!

მერე იესოს მიუბრუნდა:

- დაღლილი ხარ, ჩემო, - უთხრა, - დაიძინე, მე მალე მოვალ!

თუმც კი იესოს უკვე თვალები დაეხუჭა და ტკბილი ძილი დაჰფენოდა ქუთუთოებზე. არც შეუნიშნავს, როგორ გაიქცა მაგდალინელი და უდაბურ გზაზე სამუდამოდ გაუჩინარდა.

მაგრამ გონებამ იგრძნო და წამოდგა. მძინარე სხეული იქვე მიატოვა და თავად მაგდალინელს დაედევნა. სად მიდიოდა? ასე უცებ რატომ აევსო მშვენიერი თვალები ცრემლით და რად ჩაუდგა ბინდი მწერაში? შევარდენივით მიფრინავდა მის თავზე და არ ანებებდა გაქცეოდა.

შეშინებული არაბი ყრმა წინ მიდიოდა. ზეთისხილის ჭალა გაიარეს, მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო, რომ მინდორში შევიდნენ. ბალახზე გაწოლილი დეკეულები იცოხნებოდნენ. ერთ დაჩრდილულ ფანჩატურს მიადგნენ, რომელიც სულ ქვისგან იყო ნაგები. აქოშინებული ადამიანების ხმაური და ძაღლების ყეფა მოესმათ. არაბი ყრმა შიშმა შეიპყრო:

- მივდივარ! - თქვა და გზას დაადგა.

მაგდალინელი მარტო დარჩა. გარშემო მიმოიხედა. კლდეები და კაჟის ქვები იყო ირგვლივ. ცოტა ეკლები, ერთი უნაყოფო ლედვის ხეც იდგა ნანგრევებში, ორი ყორანი შემომჯდარიყო კლდეზე, ხვლიკები დაცოცავდნენ და როგორც კი მაგდალინელს მოჰკრეს თვალი, მაშინვე ძახილი მორთეს, თითქოს მეგობრებს უხმოებნო.

ქვები ცვიოდა, ადამიანები ნანგრევებისკენ ამოდიოდნენ შავი, წითელხალეობიანი, ენაგადმოგდებული ძალი გამოჩნდა.

ფანჩატური კვიპაროსებითა და პალმის რტოებით იყო სავსე, ისე, ვით სასაფლაო. და უეცრად გაისმა მშვიდი, ბედნიერი ხმა:

- მშვიდობა!

მაგდალინელმა მიმოიხედა:

- ვინ ლაპარაკობს? ვინ მესალმება?

- მე!

- შენ ვინ ხარ?

- ღმერთი!

- ღმერთი?! თმას ჩამოვიშვლი, მკერდს დავმაღავ, მიტრიალდი, ჩემს სიშიშვლეს ნუ შეხედავ, უფალო, მრცხვენია! რატომ მომიყვანე ამ ველურ უდაბნოში? სად ვარ? კვიპაროსების და პალმების გარდა ვერაფერს ვხედავ.

- ასეა საჭირო! სიკვდილი და უკვდავება ერთად არიან. იქ მოგიყვანე, სადაც მსურდა, დიდო მოწამეო! სიკვდილისათვის მოემზადე, მაგდალინელო, რომ უკვდავად იქცე!

- არ მინდა მოვკვდე, არ მინდა, რომ უკვდავად ვიქცე! ამ მიწაზე ცხოვრება მინდა და მერე ისევ მტვრად მაქციე.

- სიკვდილი სურნელებითა და სანელებლებით დატვირთული ქარავანია. შავ აქლემზე შემოჯექი და ზეცის უდაბნოში შედი, ჩემო მაგდალინელო!

- ეს შეშლილი ლაშქარი ვინაა, კვიპაროსების უკან რომ ჩანს?

- ნუ გეშინია, მაგდალინელო, ისინი შენი მეჯოგეები არიან. ხელით მზერა მოიჩრდილე! ნუთუ ვერ ხედავ შავ აქლემს, რომელიც მათ მოჰყავთ და რომელსაც ხავერდის წითელი უნაგირი ადგას ზურგზე, რათა ზედ შეჯდე? ნუ აღუდგები!

- უფალო, განა სიკვდილისა მეშინია, მაგრამ სასაყვედურო მაქვს შენთან! პირველად მოხდა, რომ ჩემმა სულმა და სხეულმა ერთი და იგივე ბაგე იგემეს, პირველად მოხდა, რომ დაზავდნენ ისინი და ახლა ვკვდები!

- კარგი დროა სასიკვდილოდ, მაგდალინელო, უკეთეს დროს ვერც კი ინატრებ, ნუ აღუდგები!

— ეს რა ხმებია, რა მუქარები, რა ხარხარი მესმის? უფალო ნუ მიმატოვებ ჩამქოლავენ!

მშვიდმა და ბედნიერმა ხმამ ახლა უკვე ძალიან შორიდან უპასუხა:

- მაგდალინელო, შენი ცხოვრების ყველაზე უფრო დიდ სიხარულს მიეახლე! სასაყვედურო არაფერი გაქვს, კეთილია ეს სიკვდილი! ნახვამდის, პირველმოწამეო! -

ხმა დაიკარგა და მაშინვე გამოჩნდა ბრბო - შეშლილი ლევიტელები და კაიაფას სისხლისმსმელი მონები, დანებითა და მახვილებით მოემართებოდნენ. მაგდალინელი დაინახეს და მყისვე ყველა ეს მახვილი, ძაღლებისა და ადამიანების მისკენ გაექანენ.

- მარიამ მაგდალინელო, შე მეძავო! - ღრიალებდნენ და ხარხარებდნენ.

მზე შავმა ღრუბელმა დაფარა, სამყარო ბნელმა მოიცვა.

- არ ვარ, არ ვარ მე მეძავი! - გაჰყვიროდა უბედური, — ვიყავი, მაგრამ აღარა ვარ, დღეს დავიბადე!

- მარიამ მაგდალინელო, შე მეძავო!

- ვიყავი, არ ვარ, გეფიცებით! ნუ მომკლავთ! შემიბრალებთ! შენ ვინა ხარ, მელოტი, სქელმუცლიანი, დაგრეხილფეხებიანი, მე რომ მიახლოვდები, კუზიანო? არ შემეხნო!

- მარიამ მაგდალინელო, შე მეძავო, მე ვარ სავლე და მე ისრაელის ღმერთმა გამომგზავნა დამასკოდან, იმისათვის, რომ მოვკლა იგი.

- ვინ? ვინ უნდა მოკლა?

- ვინ და შენი საყვარელი!

ბრბოს მიუბრუნდა:

- შეიპყარით! ესაა მისი საყვარელი, ეცოდინება! თქვი, უსირცხვილოვ, აბა, სადა გყავს დამალული?

- არ ვიტყვი!

- მოგკლავ!

- ბეთანიაში!

- მატყუარავ! სწორედ იქიდან მოვდივართ ახლა. სადღაც აქ გყავს დამალული, სიმართლე თქვი

- თმას ნუ მქაჩავ. რაში გჭირდება მისი მოკვლა? რა დაგიშავა?

- ვინც კი წმინდა სჯულს აღუდგება, ყველა მოკვდება!

კუზიანი ლაპარაკობდა, ვნებააშლილი უყურებდა, უფრო და უფრო უახლოვდებოდა, ცხელი იყო მისი სუნთქვა, მაგდალინელს კი თვალები მაცდურად უელავდა.

- სავლე, — უთხრა, - ჩემს მკერდს შეხედე, ჩემს მკლავებს და ყელს შეხედე! განა საცოდაობა არ იქნება მათი მოშობა? ნუ მოკლავ მათ!

სავლე კიდევ უფრო მიუახლოვდა, მისი სუნთქვა ხშირი იყო და ხრინწიანი:

- აღიარე სად არის და აღარ მოგკლავ! მომწონს შენი მკერდი, მკლავები და ეგ ყელი... შეიბრალე ეგ სილამაზე, აღიარეს რას მიყურებ? რაზე ფიქრობ?

- ვფიქრობ და გული მიკვდება, სავლე, რა სასწაულს ჩაიდენდი, უეცრად შენში ღმერთი რომ გაბრწყინებულიყო და ჭეშმარიტება გეხილა! სწორედ ასეთი, შენნაირი მოწაფეები უნდა ჰყავდეს ჩემს საყვარელ არსებას, რათა სამყარო მართოს. მეთევზეები, მეწვრილმანები და მენახირეები კი არა! შენისთანა ცეცხლის ალი სჭირდება, სავლე!

- სამყარო მართოს?! სამყაროს მართვა უნდოდა, არა? კი მაგრამ, როგორ? თქვი, მაგდალინელო, ეგ მეც მინდა.

- სიყვარულით!

- სიყვარულით?

- სავლე, მისმინე რა უნდა გითხრა! სხვები გაუშვი, არ გაიგონ! ვისაც შენ დევნი და ვისი მოკვლაც გინდა, იგი ღმერთის არის, სამყაროს მხსნელი, მესიაა. სულს ვფიცავ, რომ ღმერთს არ გავცემ!

ერთი გამხდარი, გალუული ლევიტელი გამოენთო, რომელსაც მეჩხერი რუხი წვერი ჰქონდა:

- სავლე, სავლე, მისი მკლავები მახეა და მგლებს იჭერს. ფრთხილად იყავი!

- წადი!

კვლავ მაგდალინელს მიუბრუნდა:

- სიყვარულით? მეც კი მინდა სამყარო ვმართო, ნავსადგურებში მივდივარ ხოლმე, შორს მიმავალ გემებს ვუმზერ და გული მეწვის: მინდა სამყაროს კიდებს მივაღწიო, მაგრამ არა როგორც მონამ, მათხოვარმა ებრაელმა, არამედ, როგორც მეფემ - ჩემივე მახვილით. მაგრამ როგორ? არ შემიძლია და ამ დროს მინდება ხოლმე, რომ ამ ჩემს უუნარობას შევაკვდე და სხვებს ვკლავ, დარდი რომ ოდნავ შევიმსუბუქო.

გაჩუმდა, კიდევ უფრო მეტად მიუახლოვდა ქალს და ცოტა ხანში:

- სად არის შენი მოძღვარი, მაგდალინელო? — ხმა მოუ ბა, — აღიარე, წავალ, ვიპოვი, ვესაუბრები, რათა მითხრას, თუ რა არის სიყვარული; მასწავლოს რომელია ის სიყვარული, რომელიც მთელ სამყაროს დაიპყრობს! გესმის რასაც გეუბნები? რატომ ტირი?

- იმიტომ, რომ მინდა გითხრა სადაც არის, რათა ერთმანეთს დაუზავდეთ თქვენ ორნი. იგი სიტბოა, შენ ცეცხლი ხარ! თქვენ ორნი შეძლებთ, რომ სამყარო დაიმორჩილოთ. მაგრამ მაინც ვერ გენდობი! ვერ გენდობი, სავლე, და ამიტომაც ვტირი.

ამბობდა მაგდალინელი, რომ უეცრად ქვამ გააპო ჰაერი და მაგდალინელს ყბაზე მოხვდა, დაუბზარა.

- ძმებო, აბრაამის, ისააკის, იაკობის ღვთის სახელით, დაუშინეთ! — აღრიალდა ფერმიხდილი ლევიტელი — პირველმა მან დაიტაცა ქვა და ესროლა.

ჰაერში ქუხილის ხმა გაისმა. დასავლეთით ჰაერი დასისხლიანდა.

- მის მრავალნაკოცნ პირს ესროლეთ! — აღრიალდა კაიაფას მეორე მონა — და მაგდალინელს კბილები დასცვივდა.

- მე მუცელში!

- მე გულში!

- მე შუბლში!

მაგდალინელმა თავი მხრებში ჩარგო, რომ ასე დაეცვა თავი. სისხლი სდიოდა პირიდან, მკერდიდან, მუცლიდან. დატრიალდა სიკვდილის ჩარხი.

შევარდენმა ფრთები მოიქნია, მრგვალი თვალები გარემოს მიმოატარა, მჭახედ დაჰკვივლა და უკან გაბრუნდა: იპოვა საკუთარი სხეული, რომელიც ლიმონის ხეების ჩრდილში ისევ ისე იწვა, ეძინა და მასში შევიდა. იესომ წამწამები აახამხამა, წვიმის მსხვილი წვეთი დაეცა ტუჩებზე, გაიღვიძა, წამოჯდა და ჩაფიქრდა: რა სიზმარი ნახა — არ ახსოვდა. მხოლოდ ქვები ჩარჩენილიყო მის ხსოვნაში, და კიდევ — ქალი, და სისხლი. მაგდალინელი ხომ არ იყო ეს ქალი ნეტავ? სანე აერია, წყალივით აემღვრა, ველარაფრით იმორჩილებდა და ამაოდ ცდილობდა, რომ დაენახა, გაერჩია რა ხდებოდა... უეცრად კი ის ქვები და სისხლი ჯარად გადაიქცა, ერთი ქალი იჯდა ჯარასთან, ძაფს ართავდა და ღიღინებდა. ძალიან ტკბილი, საყვედურით სავსე იყო მისი ხმა.

მის თავზე, ხის ხშირ ფოთლებში ოქროსფერი ლიმონები ელვარებდნენ. ხელისგულებით დაეყრდნო გემრიელ მიწას, მისი სიგრილე და საგაზაფხულო სითბო შეიგრძნო, გარშემო მიმოიხედა, არავინ იყო, ვერავინ დაინახავდა, დაიხარა და მიწას აკოცა.

- დედა, — თქვა ხმადაბლა, - მაგრად დამიჭირე და მეც მაგრად მოგეჭიდები, ხელს არ გაგიშვებ! დედა, რად არ ხარ შენ ჩემი ღმერთი?

ლიმონის ხის ფოთლები შეირხა, სველ მიწას მსუბუქი ნაბიჯების ხმა დაედო, რომელიღაც უხილავმა შაშვმა ჩასტვინა. იესომ ზემოთ აიხედა და დაინახა, რომ მის წინ სახეგაბრწყინებული, მოღიმარი, მისი მფარველი მწვანეფრთიანი ანგელოზი იდგა. ანგელოზის სხეულის მუქი ბუმბული ჩამავალი მზის შუქზე მაცდურად ელვარებდა.

- მშვიდობა, — უთხრა მას იესომ, - სანე გიბრწყინავს, რამე ახალი ამბავი გაქვს ჩემთვის სათქმელი? შენ გენდობი: რადგან მწვანეა შენი ფრთები, ისე როგორც მიწის ბალახი.

ანგელოზმა გაიცინა, ფრთები დაკეცა და მის გვერდით ჩაიმუხლა. ლიმონის ხიდან ერთი ყვავილი მოწყვიტა და შმაგად დაყნოსა. დასავლეთით გაიხედა - ცას იისფერი დასდებოდა. მიწას თბილმა ნიაგმა დაჰქროლა და ლიმონის ხის ფოთლები სიხარულით ააშრიალა, ააცეკვა.

- რა ბედნიერები ხართ თქვენ — ადამიანები, - თქვა ანგელოზმა, - მიწისა და წყლისაგან ხართ შექმნილი, ამ მიწაზე კი ყველაფერი მიწისა და წყლისგანაა, ამიტომაც ესადაგებით ერთიმეორეს - ქალები და კაცები, ხორცი, ბალახი, ხილი... - განა

ყველა ერთი არ ხართ? ერთი მიწისგან მოზელილი? ერთი წყლისგან? ყველას ერთმანეთთან შერწყმა გინდათ. აჰა, აჰ რომ მოვდიოდი, გავიგონე, როგორ გიხმობდა ერთი ქალი.

– რატომ მიხმობს? რა უნდა ჩემგან?

ანგელოზმა გაიღიმა:

– მისი მიწა და წყალი შენს მიწასა და წყალს ეძახის: ზის ჯარასთან, ძაფს ართავს და თან ღიღინებს. მისი სიმღერა მთებამდე აღწევს, მინდორს ეღვრება და ათბობს. აჰა, აჰამდეც მოაღწია! ჩუმად, აი, არ გესმის? მეგონა, მღეროდა, მაგრამ არა, კი არ მღერის, დასტირის, გლოვობს. ყური მიუგდე, აბა, რა გესმის?

- რა მესმის და, ის, რომ ჩიტები ბუდეებში ბრუნდებიან, მოსალამოვდა.

- სხვა არაფერი? მთელი ძალა მოიკრიბე, სული გაუშვი - სხეულიდან გავიდეს, რათა გაიგონო.

- მესმის! მესმის ქალის ხმა მესმის, შორს, ძალიან შორს, მოტირალი ქალის ხმა ისმის. მაგრამ სიტყვებს ვერ ვარჩევ.

- მე კი ცხადად ვარჩევ სიტყვებსაც. შენც მოუსმინე: აბა, ნახე რას დასტირის?

იესო ადგა, მთელი ძალა მოიკრიბა, სული მისი სხეულიდან გავიდა, სოფელს მიაღწია, ჭიშკარში შევიდა, ეზოში დადგა.

— ახლა მესმის... - თქვა იესომ და თითი ტუჩებთან მიიტანა.

- თქვი.

ვერცხლის დაფაო, ოქროს დაფაო, ჰოი, დაფავ მოოქრულო,

ნუ წამართმევ მის წითელ ტუჩებს, მის შავ თვალებს ნუ მომაშორებ,

ნუ წამართმევ ბულბულივით მგალობელ ენას...

– იცანი ვისი ხმაა, იესო ნაზარეველო?

— კი.

– მარიამია, ლაზარეს და ისევ თავის მზითევსა ქსოვს... ჰგონია, რომ მოკვდი და ტირის... თოვლივით თეთრი ყელი მოუშიშვლებია, მკერდს უმძიმებს ლურჯი ქვებისგან ასხმული თილისმები, მისი მთელი სხეული კი სურნელოვან ოფლს დაუცვარავს. ახალგამომცხვარი პურის სუნი აქვს, მწიფე კომშის, სველი მიწის სუნი ასდის. ადექი, წავიდეთ, რომ ვანუგეშოთ.

- კი მაგრამ, მაგდალინელი? – შესძახა დამფრთხალმა იესომ, - მაგდალინელი სადაა?

ანგელოზმა იესოს მკლავში ხელი მოჰკიდა, მიწაზე დასვა.

- მაგდალინელი? – ხმადაბლა გაიმეორა, – მართლა, როგორ დამავიწყდა, შენთვის მეთქვა, რომ ის მოკვდა.

- მოკვდა?

- მოკლეს! ჰეი, სად მიდიხარ, ნაზარეველო, ასე მუშტებშემართული? აბა, ვის მოკვლას აპირებ? ღმერთის? მაგდალინელი ღმერთმა მოკლა! დაჯექი! ყოვლადმოწყალემ ისარი სტყორცნა, ბედნიერების მწვერვალზე რომ იმყოფებოდა, სწორედ მაშინ ჩაასო ისარი მაგდალინელს და უკვდავად აქცია. განა არსებობს ამაზე დიდი სიხარული ქალისათვის? ველარ ნახავს, როგორ ჭკნება სიყვარული, როგორ ერევა გულს სიმნდალე, როგორ ღვება მისი სხეული... იქ ვიყავი იმ დროს, როცა კლავდა და დავინახე, როგორ აღმართა მაგდალინელმა ხელები ცისკენ და შესძახა: „გმადლობ, უფალო, ეს მინდოდა!“.

მაგრამ იესო აღშფოთდა:

- ასეთი დიდი მორჩილება, – შესძახა, - მხოლოდ ძაღლებს და ანგელოზებს შეუძლიათ. მე ძაღლი არ ვარ, არც ანგელოზი, ადამიანი ვარ და ვამბობ, გავყვირი: უსამართლობაა, უსამართლობაა, ყოველისშემძლეო, უსამართლოდ მოკალი იგი! ყველაზე უფრო უსულგულო ხისმჭრელებიც კი უფრო თბიან, რომ ყვავილობის დროს მოჭრან ხე. მაგდალინელი კი თხემიდან ტერფამდე ყვაოდა!

ანგელოზმა ხელი მოჭხვია, თმაზე, მხარზე და მუხლებზე მიეაღერსა. ხმადაბლა, ნაზად ესაუბრებოდა... უკვე დაბნელდა, ქარი ქროდა, ღრუბლები გაიფანტა და დიდი ვარსკვლავი დააჩნდა ზეცას — ცისკრის ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო.

- მოითმინე, - უთხრა, - მორჩილება გმართებს, სასოს ნუ წარიკვეთ! დაიხსომე, მხოლოდ ერთი ქალი არსებობს დედამიწაზე, ერთი - ოღონდ უთვალავი სახით. ერთი მიდის და მეორე მოდის, მარიამ მაგდალინელი მოკვდა, მაგრამ ლაზარეს მარიამი ცოცხალია, ჩვენ გველის, შენ მოგელის, ის იგივე მაგდალინელია, ოღონდ სხვა სახით. მოუსმინე! აი, ისევ ამოიოხრა. წავიდეთ, რომ ვანუგეშოთ! იგი ინახავს თავის წიაღში, შენთვის ინახავს, ნაზარეველო, ყველაზე უფრო დიდ სიხარულს – შენს ვაჟს. გესმის? შენს ვაჟს! წავედით!

ანგელოზმა აღერსიანად, ნელა წამოაყენა მიწიდან თავისი მეგობარი. იდგნენ ლიმონის ხეების ძირში და ცისკრის ვარსკვლავი დასდგომოდით თავზე. ანგელოზმა გაიცინა.

ნელ-ნელა იესოს გული დაუმშვიდდა, მარიამ მაგდალინელისა და ლაზარეს მარიამის სახეები ერთიმეორეს შეენიშვთა ამ წყვილადში, ერთარსად იქცნენ. სურნელოვანი ღამე ჩამოდგა და გადაფარა ისინი.

- წავიდეთ - წაიღუღუნა ანგელოზმა და იესოს თავისი მრგვალი, ბუმბულიანი მკლავი წელზე მოხვია.

სველი მიწისა და მუსკატის სუნი ჰქონდა მის ამონასუნთქს. იესოც მიენდო, თვალები დახუჭა, რათა ღრმად შეესუნთქა, წიაღში ჩასვლოდა თავისი მფარველი ანგელოზის ამონასუნთქი.

ანგელოზმა ღიმილით შემოხვია ცალი ფრთა, ღამეს ყინვა მოჰყოლოდა და თავის შებუმბულულ, მწვანე ფრთებში საგულდაგულოდ შემაღა იესო, რომ არ შესცივებოდა. ნოტიო ჰაერში კი გაზაფხულის ჩუმი დატირებასავით გაისმოდა ქალის მოთქმა:

„ვერცხლის დაფაო, ოქროს დაფაო...“

- წავედით! – თქვა იესომ და გაიღიმა.

XXXI

მწვანე ფრთებში გამოხვეული იესო ანგელოზს წელზე ეჭიდებოდა და მთელი ღამე დაფრინავდა მიწის თავზე. ცაზე ვეება მთვარე იდგა, უცნაური იყო იგი ამ საღამოს, იცინოდა და ახლა მასზე კაენის მიერ აბელის მოკვლის სცენა კი არ იკითხებოდა, არამედ ერთი დიდი პირი, ორი მშვიდი თვალი და დაბერილი, ანთებული ორი ლოყა ესახებოდა – ღამლამობით მოხეტიალე, შეყვარებული ქალის სახე მიეღო მთვარეს. ხეები მათ გზას უთმობდნენ, ჩიტები ადამიანებევით ესაუბებოდნენ, მთები იხსნებოდნენ, ორ ღამეულ მფრინავს გაატარებდნენ და მერე ისევ იკეტებოდნენ.

– რამხელა ბედნიერებაა! მიწის თავზე ისე დავფრინავ, როგორც სიზმარში!

„ცხოვრება სიზმრად იქცა, იქნებ ესაა სწორედ სამოთხე?“ - უნდოდა ანგელოზისთვის ეკითხა, მაგრამ შეეშინდა ლაპარაკისას არ გამოღვიძებოდა.

გარშემო მიმოიხედა: როგორ შემსუბუქდნენ კლდის, ქარისა და მთის სულები! თავს ისე გრძნობ, როგორც მაშინ, როცა მეგობრებთან ერთად ზიხარ გულდამძიმებული და გრილ ღვინოს მოგაწვდიან, შესვამ და ნელ-ნელა გონება ცხრება, მსუბუქდება, თავს ზემოთ ირწევს, ვარდისფერ ღრუბლად იქცევა და მასში უკუღმა ირეკლება ოქროვან-ჰაეროვანი ეს სამყარო.

ისევ მოუნდა ანგელოზისთვის რაღაც ეთქვა, მაგრამ მან პირზე ხელი ააფარა, გაუღიმა და ნაზად უთხრა:

- ჩუმად!

რომელიღაც სოფელს მიუახლოვდნენ, მამლებმა დაიყვილეს, თენდებოდა. მთვარე მთის მიღმა გადაგორებულიყო და სამყაროს ახლა განთიადი ჰფენდა მშვიდ ნათელს. მიწა გამოფხიზლდა, დროც გონს მოეგო; მთა, სოფელი, ზეთისხილის ხეივანი უკან დაბრუნდნენ და კვლავ იქ დადგნენ, სადაც ღმერთმა დაადგინა და უბრძანა აქ დალოდებოდნენ ბოლო ჟამს. აჰა, ესეც საყვარელი გზა, აი, მისთვის ასე ძვირფასი სოფელიც – ზეთისხილის, ლეღვის ხეებსა და ვენახებში ჩაფლული ბეთანია. აი, ესეც მეგობრობით აღსავსე სახლი, რომელშიც წმინდა ჯარა დგას, ანთებული საცეცხლეა და ორი და ცხოვრობს ისე, როგორც ორი ჩაუქრობელი ცეცხლის ალი.

- მოვედით, – თქვა ანგელოზმა.

საკვამურიდან კვამლი ამოდოდა. როგორც ჩანს, დებმა გაიღვიძეს და ცეცხლს ანთებენ.

- იესო ნაზარეველო, — თქვა ანგელოზმა და იესო ფრთებიდან გამოიხსნა, — დებმა ცეცხლი უკვე დაანთეს, უთენია ჩამოწველეს ძროხები და რძეს გიმზადებენ. რა არის სამოთხეო - განა ამის კითხვა არ გინდოდა გზაში? რა არის და - ათასობით პაწაწინა სიხარულია, იესო ნაზარეველო! იმ კარზე დაკაკუნებაა, რომელსაც ქალი გაგიღებს, საცეცხლესთან დაგსვამს, სუფრას გაგიშლის და ღამით, ჭრაქს რომ ჩააქრობს, თავის მკლავებში მოგიქცევს. ასე, ნელ-ნელა, ხვევნა-ხვევნით, ძიდან ძემდე მოდის გამოიხსნა, აი, სწორედ ესაა ის გზა.

- გავიგე, — თქვა იესომ, მოიხსნა კართან დადგა და სახელოურს მოეჭიდა, რათა დაეკაკუნებინა.

მაგრამ ანგელოზმა შეაჩერა:

- ნუ ჩქარობ, — უთხრა, — მომისმინე. მე არ მინდა, რომ დავშორდეთ. მეშინია შენი მარტო, დაუცველად დატოვებისა. ამიტომ შენთან ერთად ვიქნები, მაგრამ ყრმად გადავიქცევი, არაბ ყრმად, აი, იქ ლიმონის ხეებთან რომ ნახე, და შენ იტყვი, რომ მონა ვარ, რომელიც გემსახურება. არ მინდა ისევ ცუდ გზას დაადგე და დაიღუპო!

უთხრა და ახლა იესოს წინ პატარა არაბი ყრმა იდგა - მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა, თეთრი, ფართო კბილები ჰქონ და, ყურებზე კი ვერცხლის რგოლები. ხელში პირთამდე სავსე კალათი ეჭირა.

- ბატონო, — უთხრა და გაუღიმა, - აი, ესეც საჩუქარი ორი დისთვის: აბრეშუმის შესამოსელი, საყურეები, სამაჯურები და ძვირფასი ბუმბულის მარაოები, ქალის ყველა სამშვენისი აქაა. ახლა კარზე დააკაკუნე.

იესომ დააკაკუნა, სახლიდან ქოშების ხმა მოისმა და ქალის ტკბილი ხმა:

— ვინ ხარ?!

იესო ერთიანად გაწითლდა, იცნო — მარიამის ხმა იყო. კარი გაიღო და ორივე და მას ფეხებში ჩაუცვივდა:

— ჩემო მოძღვარო, ვეთაყვანებით შენს ვნებებს და წმინდა აღდგომას, კეთილი იყოს შენი დაბრუნება!

- ნება მომეცი, შენს მკერდს შევეხო, ვნახო ხომ ნამდვილი ხარ, — თქვა მარიამმა.

- ნამდვილი სხეულია, მარიამ, - თქვა მართამ, — ისეთივე ხორცია, როგორიც ჩვენი, ვერ ხედავ? და აჰა, ჩრდილიც კი ეცემა ზღურბლს.

იესო უსმენდა და იღიმოდა. გრძნობდა, როგორ ეხებოდნენ დები, ყნოსავდნენ და ხარობდნენ მისით.

- მართა, მარიამ, ტყუპო ცეცხლო, მშვიდობა თქვენდა! მშვიდო, უბრალო, სტუმართმოყვარე მშვიდობა, მშვიდობა! ისევ ვცოცხლობთ, ისევ ვსვამთ, ისევ ვიცინით და ვტირით, დიდება შენდა ღმერთო!

ლაპარაკობდა, ესალმებოდა და მიგნით, სახლში შედიოდა.

- ჯარავ, საპურევ, სუფრავ, დოქო, საყვარელო ჭრაქო, მშვიდობა თქვენდა! დედაკაცის სანდო მონები და მეგობრები ხართ, თაყვანსა ვცემ თქვენს წყალობას, როცა დედაკაცი სამოთხის კარს მიეახლება, შედგება და იკითხავს: „შიგნით ჩემი მეგობრებიც ხომ შემოვლენ, უფალოო?“. „რომელი მეგობრები?“ - ჰკითხავს ღმერთი, „აკვანი, ჭრაქი, დოქი, ჯარა, საქსოვი. თუკი ისინი არ შემოვლენ, მეც არ შემოვალ!“ და გულკეთილი ღმერთი გაიცინებს: „ქალები ხართ, - იტყვის, - განა შემოძლია გუნება წაგიხდინოთ? ყველა შემოდით, აჰა, გაავსეთ მთელი სამოთხე ვარცლებით, აკვნებითა და საქსოვებით. მაგრამ ჩემი წმინდანები სად უნდა წავიყვანო?!“.

ქალებმა გაიცინეს, შემობრუნდნენ, არაბი ყრმა დაინახეს, ხელში სავსე კალათა რომ ეჭირა.

- ეს არაბი ყრმა ვინაა, ჩემო მოძღვარო? — თქვა მარიამმა, - მისი კბილები მომწონს.

იესო საცეცხლესთან დაჯდა, ქალებმა რძე, თაფლი და ხორბლის პური მოუტანეს, იესოს თვალები ცრემლით აევსო:

- შვიდი ზეცა არ მყოფნიდა, - თქვა, - შვიდი დიდი სიქველე, შვიდი დიდი აზრი არ მყოფნიდა და ახლა, ნახეთ, როგორი სასწაულია, ჩემო დებო! ერთი პატარა სახლი მყოფნის, ერთი ლუკმა პური და დედაკაცის ერთი, უბრალო სიტყვა!

სახლში ოჯახის თავივით ტრიალებდა, ეზოდან ფიჩხი შემოიტანა, საცეცხლეს შეუწოთ, ალი ავარდა. ჭიდან წყალი ამოიღო, შესვა, მერე ხელები გაშალა, მარიამსა და მართას მხრებზე შემოხვია, ისინიც მიენდნენ.

- მარიამ, მართა, საყვარლებო, სახელს ვიცვლი, — თქვა, - თქვენი ძმა მოკლეს, რომელიც მე აღვადგინე, მე კი მოვედი, მისი ადგილი დავიკავე, აქ, კუთხეში მის სკამზე ვჯდები, მის სახეს ვიღებ, მისი მინდვრების ხვნა-თესვასა და მომკას ვიწყებ. საღამოს სახლში ვბრუნდები და მისი დები დაღლილ ფეხებს მბანენ, სუფრას მიშლიან, საცეცხლესთან ვჯდები, მისსავე სკამზე. მე ლაზარე ვარ!

ლაპარაკობდა, არაბი ყრმა კი თავისი დიდი თვალებით შეჰყურებდა: ხედავდა, როგორ იცვლებოდა იესოს სახე, მთელი სხეული, თავი, მკერდი, თეძოები, ხელები და ფეხები — უფრო და უფრო ემსგავსებოდა ლაზარეს სხეულს, მაგრამ ჯანსაღი, ფერხორციანი, ძალით სავსე ლაზარეს სხეულს. მზით დამწვარი მკერდი ჰქონდა, გარუჯული მკლავები და ხარის კისერი. დებიც ხედავდნენ მის გარდასახვას ამ ბინდში და ცახცახებდნენ.

- სხეულს ვიცვლი და სულს ვიცვლი, მშვიდობა თქვენდა! ომს ვუცხადებ მარხვას, უმანკობას და სიღატაკეს. სული ცოცხალი მხეცია და ჭამა უნდა, ეს პირი კი, ჩემს წვერ-ულვაშს შორის, სწორედ მისი პირია, სხვა პირი არ აქვს. ყოველი დედაკაცის წიაღში ერთი ჩვილია ჩამალული, გამოკეტილი – ჯერ უშობელი ჩვილი, რომელსაც სინათლისკენ გაუწვდენია ხელები და გამოსვლა სურს; გასაღები კი კაცს უპყრია. გახსენით კარი! ვინც ვერ შობს, იგი თავადვე კლავს. მარიამ, ტირი?

- სხვანაირად აბა, როგორ გიპასუხო, მოძღვარო? სხვა პასუხი, ჩვენ – ქალებს არ გვაქვს.

მართამაც მკლავები გაშალა.

- ჩვენ, ქალები, – თქვა, – გადაშლილი მკლავები ვართ! შემოდი, მოძღვარო, დაჯექი და გვიბრძანე რაც გსურს! შენ ხარ პატრონი!

იესოს სახე უბრწყინავდა.

- ღმერთს აღარ ვებრძვი, - თქვა, - დავზავდით. აღარც ჯვრებს აღარ გამოვთლი, მხოლოდ ვარცლებს, აკვნებს და სამფეხებს დავამზადებ. ნაზარეთში ვაცნობებ, რომ ჩემი იარაღები მომიტანონ, გამწარებული დედაჩემიც მოვიდეს და შვილიშვილები დაზარდოს, მის ბაგეებსაც ეღირსოს ტკბილი სიტყვების თქმა.

ქალებიდან ერთი მკერდით დაყრდნობოდა მუხლებზე, მეორეს კი მისი ხელი ეჭირა და არ უშვებდა. არაბი ყრმაც, სახით მუხლებს ჩამოყრდნობილი, ცეცხლის წინ იჯდა, თავს აჩვენებდა თითქოს ეძინა, მაგრამ გრძელ წამწამებს შორის იესოს უყურებდა და კიდევ ორ ქალს, მაცდურად და სიხარულით იღიმოდა.

მარიამმა მკერდი მუხლებთან მიუტანა და უთხრა:

- საქსოვს ვეჯექი და ვქარგავდი, ჩემო მოძღვარო, თეთრ სუდარაზე ვქარგავდი შენს ვნებებს: ჯვარს და მის გარშემო ათასობით მერცხალს. შავ და წითელ ძაფებს ვუყრიდი და დავტიროდი. შენ გაიგონე ჩემი ტირილი, შეგებრალე და მოხვედი.

მართა მშვიდად უცდიდა, როდის დაასრულებდა მარიამი საუბარს და თავადაც დაიწყო:

- მე სხვა არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ცომი ვზილო, სარეცხი ვრეცხო და ვამბობდე: სხვა სიხარული, ჩემო მოძღვარო, მე არ ვიცი! გული მიგრძნობს, ცოლად ჩემ დას ამოირჩევ, მაგრამ მეც ნება მომეცი, რომ თქვენთან ერთად ვისუნთქო ეს ნაქორწინები ჰაერი, თქვენი ლოგინები ვშალო, ვალაგო და სახლის საქმეებს მივხედო.

გაჩუმდა, ამოიოხრა და ცოტა ხანში:

- ჩვენს სოფელში, ასულები ერთ ძალიან მწარე სიმღერას მღეროდნენ ხოლმე გაზაფხულზე, სწორედ იმ დღეებში, როცა შინველები კვერცხებს დებენ. ამ სიმღერას გიმღერებ ახლა და გაიგებ, რადგან მთელი მისი სიმწარე მის ხმაში ჩანს:

თქვენ, უწვერულო ვაჟებო,

მომბეზრდა ყიდვა-გაყიდვა,

მყიდველი კი არსადა ჩანს,

მაინც ვყიდი და მყიდიან,

ვინაც მომისწრებს, მისი ვარ!

ვინც მერცხლის ერთ კვერცხს მიბოძებს,

მას მივცემ მეც ჩემს ბაგეებს,
ვინც არწივის კვერცხს მიბოძებს,
პასუხად ჩემს მკერდს მივაგებ.
ხოლო ვინც დანას მიბოძებს,
ჩემს გულს მას ფეხქვეშ დავუგებ!

და თვალები ცრემლით აევსო. მარიამმა ხელები გაშალა და კაცს წელზე მოეხვია, იფიქრებდი ეშინია, არ მოსტაცონო. მართამ იგრძნო, როგორ დაესერა გული დანებით, მაგრამ გამაგრდა და განაგრძო:

- ჩემო მოძღვარო, კიდეც ერთ რამეს გეტყვი და წავალ, მარიამთან მარტო დაგტოვებ: ერთ ღროს, აქვე ახლოს, ბეთლემში ერთი სასტიკი ბატონი ცხოვრობდა, ბოყაზი ერქვა. ზაფხული იყო, მის მონებს უკვე ყანა მოემკათ, კალოები გაელეწათ და მთელ კალოზე გასაშრობად მარჯვნივ ხორბალი, მარცხნივ თივა გაეფინათ. ის კი მათ შორის იწვა და ეძინა. შუადამისას, ერთი ღარიბი ქალი მივიდა, რუთი ერქვა, და ჩუმად, რომ არ გაჰღვიძებოდა, ფერხით მიუწვა. ქვრივი იყო, შვილი არ ჰყავდა, ამაზე სწუხდა. კაცმა ფეხებთან მისი სხეულის სითბო იგრძნო, ხელით დაუწყო ძებნა, იპოვა და მკერდზე მიიწვინა... გაიგე, მოძღვარო?

- გავიგე, გეყოფა! – თქვა იესომ.
- წავედი, - თქვა მართამ და ადგა.

მარტონი დარჩნენ ორნი. ლეიბი და სუდარა აიღეს, ზედ რომ ჯვარი და მერცხლები მიქარგულიყვნენ და ზემოთ, სახლის სხვენზე ავიდნენ. შავი ღრუბელი მიცურდა მზესთან, ჩამოეფარა. მოქარგული სუდარის ქვეშ მიიმალნენ, რათა ღმერთს არ დაენახა ისინი და ალერსს მიეცნენ... წამით, როცა იესომ სუდარა დასწია და თვალები გაახილა, დაინახა, როგორ იჯდა არაბი ყრმა სახურავზე, შორს, იერუსალიმისაკენ იყურებოდა და სალამურს აკვნიებდა...

მეორე დღეს მთელი სოფელი მოვიდა ახალი ლაზარეს სანახავად. არაბი ყრმა მიმორბოდა, ბრძანებებს ასრულებდა: ჭიდან წყალი ამოჰქონდა, ცხვრებს მწყემსავდა, მართას ცეცხლის დანთებაში ეხმარებოდა, მერე კი ზღურბლზე ჩამოჯდებოდა და სალამურს აკვნიებდა. სოფლელები ძღვენით მოდიოდნენ – რძე, სიმინდი, ფინიკი, თაფლი მოჰქონდათ, რომ უცნაურ სტუმარს მისალმებოდნენ, რომელიც ასე ჰგავდა ლაზარეს. ზღურბლზე არაბ ყრმას ჩაუვლიდნენ, აჯავრებდნენ, იცინოდნენ და ისიც იცინოდა.

უსინათლო უხუცესიც მოვიდა, ხელი გაიწვდინა, იესოს მუხლები, გვერდები და ზურგი მოუსინჯა: ეს არ არის ლაზარე, ამის ამონასუნთქს სხვა სუნი აქვს, სხვანაირადაა მოზელილი მისი ხორცი და ძვლებიც ხორცთან მაგრადაა მიმაგრებული, ცელითაც კი ვერ დააშორებ ერთმანეთისგან.

იესო იჯდა ეზოში და ათას ტყუილ-მართალს ყვებოდა, იცინოდა:

- ლაზარე არ ვარ, ნუ გეშინიათ. ჩაიარა მისმა დრომ! მორჩა! უბრალოდ, მეც ლაზარე მქვია, ოსტატი ლაზარე ვარ და ხურო ვარ, ერთი მწვანეფრთებიანი ანგელოზი მოფრინდა და აქ მომიყვანა, მეც ამ სახლში შემოვედი! – თქვა და არაბ ყრმას გახედა, სიცილისგან რომ იგრიხებოდა.

დრო უკვდავების წყალივით სწრაფად დიოდა და სამყაროს რწყავდა, თავთავები პურებად იქცნენ, ყურძენი — წვენად, ზეთისხილი - ზეთად, აყვავებული ბროწეულის ხეები კი ბროწეულებით დაიხუნძლა... შემოდგომამ ჩაიარა, ზამთარი დადგა და ვაჟიც დაიბადა. მქსოველი მარიამი, მშობიარობის შემდეგ ამაყად იწვა და ახალშობილს უყურებდა - ამაზე დიდი სიამაყე მას არ გააჩნდა. ღმერთო, როგორ გამოვიდა მისი წიაღიდან ეს სასწაული? „უკვდავების წყალი დავლიე, – ფიქრობდა, — უკვდავების წყალი შევსვი და არ მოვკვდები“.

მკაცრი ღამეა. წვიმს. მიწა იხსნება და ცას თავის წიაღში უშვებს, ტალახად აქცევს. ოსტატი ლაზარე თავის სახელოსნოში, ნახერხზე გაწოლილა, ნახევრად გამოთლილ აკვნებსა და ვარცლებს შორის. მკაცრი ღამეა, ახალშობილ ვაჟზე ფიქრობს, ღმერთზე ფიქრობს, წვიმას უსმენს და სიხარულს გრძნობს. პირველად მოხდა, რომ ღმერთმა ჩვილის სახე მიიღო, ისიც აგერ წევს და უსმენს გვერდითა ოთახიდან გამომავალ ღმერთის ტირილს, სიცილს და ხედავს როგორ ცქმუტავს დედის კალთაში. „ეს რა ახლოს ყოფილა ღმერთი, - ფიქრობს და შავ წვერზე ხელს ისვამს, - როგორი ნაზი და ვარდისფერი ყოფილა მისი ფენისგულები, რა ადვილად იცინის თურმე ეს ყოვლისშემძლე, როცა მას ადამიანის თითები ეხება და ეფერება“.

არაბი ყრმა კუთხეში იჯდა, კართან და თავს აჩვენებდა, თითქოს ეძინა. დაამთქნარა. ახალშობილის ღუღუნე ესმოდა და სიხარულით იღიმოდა. ახლა, როცა ამ სიბნელეში ვერავინ ხედავდა, ისევ ანგელოზად ქცეულიყო, მწვანე ფრთები ნახერხზე გაეშალა და ისვენებდა.

— იესო, - წაიჩურჩულა, - იესო, გძინავს?

იესომ წაუყრუა, რადგან ძალიან სიამოვნებდა სიჩუმეში უტყვად ყოფნა და ახალშობილის ხმის მოსმენა. მხოლოდ გაიღიმა: როგორ შეუყვარდა ეს არაბი ყრმა – მთელი დღე ემსახურება, ხის გამოთლაში ეხმარება, საღამოს კი, როცა შრომას მოამთავრებენ, ზღურბლზე ჯდება და სალამურს აკვნესებს ხოლმე. იესოც უსმენს მის მუსიკას და მთელი დღის ჯაფა ავიწყდება. და როცა კი პირველი ვარსკვლავი გამოჩნდება, ყველა ერთად სხდება სუფრასთან, არაბი ყრმა განუწყვეტლივ ხუმრობს და კისკისებს, მარტომყოფ მართას აჯავრებს, მის ქალწულობას დასცინის და იცინის.

- ჩვენ იქ, გაღმა, ჩემს სამშობლოში - არაბეთში, - იტყოდა ხოლმე და მაცდურად გადახედავდა მართას, - თქვენსავით, ებრაელებივით კი არ ვმალავთ გულისნადებს, არამედ დაუფარავად, ცხადად ვამბობთ და ვაკეთებთ. ბანანის ჭამა მომინდება? ავდგები და შევჭამ. ცურვა მომინდება? - ვცურავ. ქალის კოცნა მინდა? - ვკოცნი. არც ჩვენი ღმერთი გვეჩხუბება ამის გამო, რადგან ისიც არაბია, არაბები უყვარს, ოქრო-ვერცხლის რგოლები აქვს ყურებზე და ისიც იმას აკეთებს, რაც სურს. ჩვენი დიდი ძმია იგი და ორივეს ერთი დედა გვყავს – ღამე.

- და თქვენი ღმერთიც კვდება? - ჰკითხა ერთხელ მართამ და გამოაჯავრა.

- მანამ სანამ ერთი არაბი მაინც ცოცხლობს, ისიც ცოცხალია! — უპასუხა არაბმა ყრმამ და მართას ფეხისგულზე მოუღატუნა.

ყოველდამით, როცა ჭრაქებს ჩააქრობდნენ, მისი მფარველი ანგელოზი სიბნელეში ფრთებს გაშლიდა, მივიდოდა და მეგობარს მიუწვებოდა. ჩურჩულებდნენ, რათა არავის გაეგონა, ანგელოზი რჩევებს აძლევდა შემდეგი დღისთვის. მერე ისევ არაბ ყრმად იქცეოდა, ნახერხში მიწვებოდა და დაიძინებდა. თუმცა ამ საღამოს ანგელოზს ძილი არ ეკარებოდა.

- იესო, — ოდნავ ხმას აუწია, — იესო, გძინავს?

და როგორც კი მიხვდა, რომ პასუხს არ აძლევდა, ფეხზე წამოხტა, მიუახლოვდა, შეანჯღრია:

- ჰეი, შენ, ლაზარე-ოსტატო, ვიცი არ გძინავს. რატომ არ მპასუხობ?

- ლაპარაკი არ მინდა, ბედნიერი ვარ, — უპასუხა იესომ და თვალები დახუჭა.

- ბედნიერი ხარ ჩემთან ერთად! - ყოყოჩურად თქვა ანგელოზმა, — რამე სასაყვედურო ხომ არა გაქვს?

- არაფერი, ყრმაო, არაფერი...

გული გაუთბა, წამოდგა:

- რა მრუდე გზა მქონდა არჩეული, - წაიჩურჩულა, - რა უდაბნოს, რა უდაბურ აღმართს მივყვებოდი იმისთვის, რომ ღმერთი მეპოვა! გავყვიროდი და ჩემი ხმა დაუსახლებელ მთას ეხლებოდა, ისევ უკან მიბრუნდებოდა, მე კი ვფიქრობდი, რომ ეს იყო სწორედ პასუხი!

ანგელოზმა გაიცინა:

- მართო კაცს ან ქალს არ შეუძლია ღმერთის პოვნა, ორივეს ერთად შეუძლია. ეს არ იცოდი და გასწავლე. და აჰა, შენც მარიამთან ერთად იპოვე ღმერთი, ამდენი ხანი რომ ეძებდი. ახლა კი ზიხარ წყვდიადში და უსმენ, როგორ იცინის იგი, როგორ ტირის თუ უხარია...

- დიახ, ეს არის ღმერთი, ეს არის ადამიანი, ეს არის გზა, - წაიბუტბუტა იესომ და თვალები ისევ დახუჭა... ელვასავით გაურბინა გონებაში წარსულმა, ამოიოხრა. ხელი ანგელოზის ხელს გაუწვდინა.

- ჩემო მფარველო ანგელოზო, - უთხრა მადლიერებით, - შენ რომ არა, დაღუპული ვიქნებოდი. ნურასოდეს მიმატოვებ!

- არ მიგატოვებ, ნუ გეშინია. არასოდეს მიგატოვებ, იმიტომ რომ მომწონხარ.

- როდემდე გასტანს ბედნიერება?

- მანამ, სანამ მე ვიქნები შენ გვერდით, იესო ნაზარეველო.

- მარადიულად?

- და რას ნიშნავს მარადიულად? შენ რა, ჯერ კიდევ ვერ მოეშვი ამ დიდ-დიდ სიტყვებს, იესო ნაზარეველო? დიდი სიტყვებიდან, დიდი იდეებიდან, ცათა სასუფეველიდან ჯერ კიდევ ვერ დააღწიე თავი? ნუთუ ვერც შენმა ვაჟმა შეძლო განეკურნე?

და მუშტი იატაკს მძლავრად დაჰკრა:

- აი, ეს არის სასუფეველი ცათა - ეს მიწა! ღმერთი ისაა - შენი ვაჟი და ეს არის მარადისობა - თითოეული წუთი, იესო ნაზარეველო! ყოველი წუთი, რომელიც გადის. არ გყოფნის ერთი წუთი? მაშინ, იცოდე, მარადისობაც არ გეყოფა!

გაჩუმდა. ეზოში მსუბუქი ნაბიჯების ხმა გაისმა, ფეხშიშველი მოდიოდა ვიღაც და მათ უახლოვდებოდა.

- ვინ არის? - იკითხა იესომ და წამოდგა.

- ერთი ქალი, - უპასუხა ანგელოზმა და გაუღიმა, წავიდა და კარზე ურდული გადასწია, გააღო.

- ვინ?

ანგელოზმა თითი დაუქნია, თითქოს საყვედურობსო:

- ადრეც ხომ გითხარი, დაგავიწყდა? სამყაროში ორი ქალი არ არსებობს, ქალი მხოლოდ ერთი არის. ერთია, მაგრამ ურიცხვი სახით. ჰოდა, ერთ-ერთი ამ სახეთაგან შენთან მოდის. ადექი და მიეგებე! მე მივდივარ.

გველივით გასრიალდა ნახერხში და გაუჩინარდა.

შიშველი ფეხების ხმა მოახლოვდა და კართან გაჩერდა. იესო კედლისაკენ გადაბრუნდა, თვალები დახუჭა და თავი მოაჩვენა, თითქოს ეძინა. კარი ვიღაცის ხელმა შემოაღო. ნელ-ნელა წამოვიდა, იმ კუთხეში მივიდა, სადაც იესო იწვა, უტყვად, უხმაუროდ მოიკუნტა მის ფეხებთან.

იესომ იგრძნო, როგორ შევიდა ქალის სითბო მასში ფეხისგულებიდან, მუხლებამდე, თეძოებამდე, გულამდე და ყელამდე მიაღწია. ხელი გაიწოდა, ნაწნავები მოხვდა ხელში, სიბნელეში ქალის სახე, ყელი, მკერდი დაძებნა და ისიც მორჩილად დაიხარა, ჩუმად იყო, მხოლოდ ცახცახებდა და მთელ სხეულზე ოფლი სდიოდა.

და კაცის ჩუმი, თბილი და მოწყალე ხმაც გაისმა.

- ვინ ხარ?

ქალი ცახცახებდა, არ ლაპარაკობდა. იესომ ინანა, რომ ეს ჰკითხა. აჰა, ისევ დაავიწყდა ანგელოზის სიტყვები! რა მნიშვნელობა ჰქონდა რა ერქვა, საიდან იყო, როგორი იყო მისი ფორმა, მისი ფერი, მშვენიერი თუ უსახური სახე ჰქონდა? იგი ხომ მიწის მდებარი სახე იყო, მკერდი უთრთოდა, მის წიაღში მიმალულიყვნენ ვაჟები და ასულები, იხრჩობოდნენ, გარეთ გამოსვლა არ შეეძლოთ, და აჰა, მოვიდა კაცი, რათა მათ კარი გაუხსნას და გამოიყვანოს. იესოს გული მოწყალებით აევსო.

- მოდი, - ჩუმად უთხრა და მკერდზე მიიწვინა, - მაპატიე, რომ გკითხე ვინ ხარ.

- მე რუთი ვარ, - წაიჩურჩულა მოცახცახე ქალმა.

- რუთი? რომელი რუთი?

- მართა.

XXXII

ასე გადიოდა დღეები, თვეები, წელიწადები...

ოსტატი ლაზარეს სახლი ლამაზი ვაჟებითა და ასულებით ივსებოდა. მართა და მარიამი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ - ვინ მეტ ბავშვს მოავლენდა ამქვეყნად. მათი ქმარი კი ხან სახელოსნოში ატარებდა დროს — ფიჭვის, მუხისა თუ კვიპაროსის ხეები ადამიანთა შემწე იარაღებად რომ ექცია, ხანაც ყანაში ებრძოდა ქარებს, თხუნელებსა თუ ჭინჭრებს და შებინდებისას, დაქანცული ბრუნდებოდა შინ; მერე თავისსავე ეზოში ჩამოჯდებოდა მოსასვენებლად. მიეგებებოდნენ ცოლები და დაბანდნენ ფეხებს, დაუნთებდნენ ცეცხლს, გაუშლიდნენ სუფრას და მკლავებს. ის კი, ვინც ხეზე მუშაობისას ხისგან აკვნებს აღმოაცენებდა, მიწის დამუშავებისას - ყურძნებსა და პურის თავთავებს, სწორედ ასე - ცოლებთან შეხებისას, ღმერთს აღმოაცენებდა ხოლმე მათგან.

„რა ბედნიერებაა ეს ყოველივე, - ფიქრობდა იესო, - რა საოცარი გაპასუხება სულისა ხორცთან, კაცისა - მიწასთან!“ მართა და მარიამიც მკლავებს მოჰხვევდნენ, ეხებოდნენ, რათა კიდევ ერთხელ ეხილათ, რომ ყოველივე ნამდვილი იყო - ეს სიხარული და ეს სიტკბო და ეს კაცი, ვინაც უყვარდათ და ეს ბავშვები, მათი წიაღი ვისაც შობდა - ნამდვილი იყო. მეტისმეტი ეჩვენებოდათ ეს ნეტარება და ცახცახებდნენ.

და ერთ ღამესაც, მარიამი საშინელმა სიზმარმა გამოაღვიძა: წამოხტა, ეზოში გავარდა, დაინახა - იესოც იქვე, ეზოში იჯდა. ხელისგულებით დაყრდნობოდა მიწას და სახეზე ბედნიერების შუქი ეფინა. მარიამი ქმარს გვერდით მიუჯდა.

- მოძღვარო, - ჩურჩულით წამოიწყო, - სიზმრები რაღა არის? საიდან მოდის? მათ ვინ გვიგზავნის?!

- არც ანგელოზნი, არც დემონები! — თქვა იესომ, - მაშინ, როდესაც ლუციფერი ღმერთს აღუდგა, სიზმრები ჩადგნენ დემონებსა და ანგელოზებს შორის. ღმერთმა კი ისინი ძილის ჯოჯოხეთში ჩანთქა... და რატომ მეკითხები? რა სიზმარი ნახე, მარიამ?

მარიამი ღუმდა და ტიროდა. იესო ხელზე მიეალერსა:

- ჩემო მარიამ, ჰომ იცი, რომ რასაც კი გულში შეინახავ, ისვე გამოგჭამს. ჰოდა, ამოთქვი, გზა მიეცი დარდებს!

მარიამს სუნთქვა ეკვროდა, თქმა უნდოდა და ვერ ამბობდა, იესო კვლავ მოეფერა - გასამხნევებლად.

– მთელი ღამე სავსე მთვარემ არ დამაძინა. მაგრამ სადღაც გამთენიისას, თითქოს ჩამთვლიმა – რაღაც ჩიტი ვნახე სიზმრად, თუმცა არა, ჩიტი არ იყო, ექვსი ფრთა ჰქონდა – სულ ცეცხლისა... ალბათ ერთ-ერთი სერაფიმი იქნებოდა იმათგან, ღვთის ტანტრევანს რომ დასტრიალებენ... მოვიდა, უტყვად დაფრინავდა ჩემ გარშემო, მერე უეცრად თავს წამომადგა, ფრთები მომხვია, ნისკარტი ყურთან მომიტანა და ალაპარაკდა... მოძღვარო, მოძღვარო, გთხოვ, გევედრები, თქვი, რომ გავჩუმდე.

- ნუ გეშინია, მარიამ, განა შენთან არ ვარ? ჩემთან, აბა, რაღა გაშინებს?! ალაპარაკდა? და რა გითხრა?

- რომ ყოველივე, ჩემო მოძღვარო, ეს ყოველივე არის...

მარიამს ისევ სუნთქვა შეეკრა. იესოს მუხლებში ჩაუვარდა და შემოეჭლო.

- ეს ყოველივე არის?.. რაო, რა არის? მარიამ, ჩემო საყვარელო, ეს ყველაფერი რა არისო?

- სიზმარიო... - ჩაიჩურჩულა მარიამმა და მოთქმას მოჰყვა.

იესო შეცბა:

- სიზმარიო?

- კი, სიზმარია, ეს ყველაფერი სიზმარიაო...

- რა ყველაფერი?

- შენ, მე, მართა, ჩვენი ალერსი ღამღამობით, და ბავშვები.. ყველაფერი, ყველაფერი ტყუილიაო. ცდუნებამ შექმნა ეს ყოველივე, რათა ჩვენ მას ავყოლოდით. ცდუნებამ ძილის, სიკვდილისა და ჰაერისაგან შექმნა ეს ყველაფერი... მოძღვარო, ჩემო მოძღვარო, მიშველე!

მარიამი დაეცა, წუთით აცახცახდა და ერთიანად გაშეშდა. მართამ ვარდის ძმარი მოარბენინა, საფეთქლები დაუზილა. მარიამიც კვლავ გონს მოეგო, თვალები გაახილა და იესო თავისკენ მიიზიდა.

- ტუჩები შეარხია, - თქვა მართამ, — დაიხარე, შენთან საუბარი უნდა.

იესო დაიხარა, თავი წამოუწია. მარიამმა კვლავ შეარხია ტუჩები და რაღაც თქვა...

- რა თქვი, მარიამ, საყვარელო? ვერ გავიგე.

მარიამმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა:

– ის, რომ, — წაიჩურჩულა, - ის, რომ შენ, მოძღვარო...

- მე? რა მე?.. თქვი!

– შენ ჯვარს ეცვი! — თქვა და გონება კვლავ დაკარგა.

მარიამი ლოგინში ჩააწვინეს, მართა მასთან დარჩა, იესომ კარი გააღო და გზას დაადგა: იხრჩობოდა. უკნიდან ნაბიჯების ხმა მოესმა, შემობრუნდა — არაბი ყრმა იყო.

- რა გინდა? — ბრაზით გასძახა, — მარტო მინდა ვიყო.

- მე არ მინდა მარტო დაგტოვო, იესო ნაზარეტელი, — უპასუხა არაბმა ყრმამ და თვალები აუელვარდა, - რთული წუთია ეს წუთი შენთვის. შეიძლება გონება დაკარგო.

- ზუსტადაც რომ ეგ მინდა, დავკარგო! ხშირად სწორედ ეგ წყეული გონებაა რომ მაბრკოლებს.

არაბმა ყრმამ გაიცინა.

- ქალი ხომ არ ხარ?! — თქვა, - სიზმრების გჯერა? შეეშვი, დადგნენ და ქალებმა იტირონ რამდენიც უნდათ, ქალები არიან, არ შეუძლიათ მეტისმეტი სინარულის ატანა და ამიტომ ტირიან. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, რა არ შეგვიძლია?

- შეგვიძლია, ხო... გაჩერდი!

სწრაფად მიდიოდნენ. ერთ აბიბინებულ გორაკზე ავიდნენ, სიმწვანეში ამოღერილ ფრინტებსა და ყვითელ გვირილებს შორის მიაბიჯებდნენ. მიწას ქონდრის სუნი ასდიოდა. იესომ ზეთისხილის ხეებს შორის თავისი სახლი გამოარჩია - საკვამურიდან მშვიდობისმაუწყებელი კვამლი ამოდიოდა. იესოს სული დაუთბა. „დაცხრენ ქალები, — გაიფიქრა, — კერიაში დაიბუდეს, ცეცხლი დაანთეს“.

- უკან დავბრუნდეთ, — უთხრა არაბ ყრმას და მიაჩუმა, - ქალები არიან, შეიბრალებ!

გავიდა რამდენიმე დღე.

ერთ საღამოს, მზის ჩასვლისას, გზაზე ვიღაც უცნაურმა, შემთვრალმა მგზავრმა ჩამოიარა. შაბათი იყო. იესო არ მუშაობდა, ზღურბლზე იჯდა, მუნღებზე თავისი უმრწემესი ძე და ასული დაესვა და ეთამაშებოდა. დილით ეწვიმა, ნაშუადღევს ამინდი დაწმენდილიყო, ახლა კი დასავლეთისკენ მინანაობდნენ ალუბლისფერი, მეჩხერი ღრუბლები და მათ შორის მდელოსავით მოჩანდა ფირუზისფერი ზეცა. სახურავზე მტრედები ღულუნებდნენ. მარიამი ქმრის გვერდით ჩამომჯდარიყო — ჩამოწელილი, მძიმე მკერდით.

მგზავრი შეჩერდა, იესოს არეული მზერა მიაპყრო და გაიცინა:

- ჰეი, ოსტატო ლაზარე, — ლაპარაკისას ენა ებმოდა, - ეე, ლაზარე-ოსტატო, ეგ რა მაღლი გჭირს ასეთი! წლები გადის შენი სახლის კარს მიღმა და შენ ისევ შენს სიტყვას ადგახარ: ვითარცა პატრიარქი იაკობი, თავის ორ ცოლთან, ლიასა და რაქელთან ერთად, შენც ასევე მტკიცედ დგახარ შენს ორ ცოლთან - მარიამსა და მართასთან ერთად. ყური მომიკრავს, ერთ-ერთი მათგანი სახლის საქმეთა ჟინითაა შეპყრობილი და მეორე - შენი ჟინით, აი, შენ კი ყველაფრის ჟინით - ხის, მიწის, ქალისა და ღვთისა. მაგრამ სხვა ამბებსაც მოუსმიე, კარს გარეთაც გამოჰყავ ცხვირი, მზე მოიჩრდილე და დაინახე, რა ხდება ამ სამყაროში. გაგიგია, პილატე ვინ არის, პილატე პონტოელი? კუპრმა კი დანთქას მაგისი ძვლები!

იესომ, რომელმაც იცნო შემთვრალი მგზავრი, გაიღიმა:

- სიმონ კვირინელო, ღვთისა და ღვინის კაცო, კეთილი იყოს შენი მოსვლა! აი, სკამი, ჩამოჯექი! აბა, მართა, ღვინო ძველი მეგობრისთვის!

მგზავრი სკამზე ჩამოჯდა და სასმისი ორივე ხელით მოიყუდა.

- მე ყველა მიცნობს, — წაიტრაბახა, — ყველას შემოუვლია ჩემს დუქანში და ქედი მოუდრეკიათ; შენც იქნები ნამყოფი იქ, ლაზარე-ოსტატო, მაგრამ სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, როცა გეკითხები - პილატე გაგიგია, პილატე პონტოელი? ოდესმე შეხვედრიხარ?

არაბი ყრმა მოვიდა, კარის სახელურს ჩამოეყრდნო, საუბარს დაუგდო ყური.

- თითქოს ბუნდოვნად, - თქვა იესომ და ცდილობდა გაეხსენებინა, — მეჩხერ ღრუბლებად მოედინება მისი სახე ჩემს გონებაში: შევარდენივით ცივი, ნაცრისფერი თვალები, დამცინავი სიცილი და ოქროს ბეჭედი; სხვა არაფერი მახსოვს. ხო, კიდეც ვერცხლის თასი, რომელშიაც ხელები დაიბანა. სხვა არაფერი... სიზმარი იქნებოდა, გონების თრთვილი, მზე ამოვიდა და გაფანტა. მაგრამ ახლა, კვირინელო, შენ რომ შემახსენე, კვლავ მომაგონდა, სიზმრად სასტიკად მტანჯავდა ეს მოგონება.

- ჯანდაბა! გამიგონია, ღმერთის თვალში, სიზმარი უფრო მძიმე ცოდვაა, ვიდრე დღის ჭეშმარიტებაო. როგორც ჩანს, ღმერთმა გამოსცადა პილატე: ჯვარს ეცვა!

იესომ შესძახა:

- ჯვარს ეცვა?!

- რატომ შეშინდი? ღირსი იყო! გუშინ, გამთენიისას ჯვარზე გაკრული იპოვეს. გონზე აღარ იყო, თვალსაც ვერ ხუჭავდა, წამოხტებოდა, თასს აიღებდა და მთელი ღამე ხელებს იბანდა, თანაც ყვიროდა: „მე ხელები დამიბანია, მე უბრალო ვარო“. მაგრამ ხელებიდან სისხლი მაინც არ შორდებოდა, ისევ წყალს ისხამდა, კვლავ და კვლავ იბანდა... გარეთ გარბოდა, გოლგოთაზე და ძრწოდა, შვებას ვერსად ჰპოვებდა. ორი არაბი მონა ჰყავდა, ყოველ საღამოს უბრძანებდა: „ჩემი მათრახი აიღეთ, დამცხეთ!“, ეკლებს აგროვებდა, გვირგვინს აკეთებდა, თავზე იდგამდა და სდიოდა სისხლი.

- მახსოვს... მახსოვს... მახსოვს... - ბუტბუტებდა იესო და შიგადაშიგ თავისი არაბი ყრმისკენ აპარებდა თვალს, რომელიც წინკარს ჩამოყრდნობოდა და უსმენდა.

- მერე კი სმას მიეძალა, დუქანებში დაეხეტებოდა, ჩემს დუქანშიც მოდიოდა ხოლმე, ღორივით სვამდა — გამოჩერჩეტებამდე... ცოლმა კი შეიძულა და მიატოვა, ბოლოს რომიდან ბრძანებაც მოვიდა და ადასრულეს... ოსტატო ლაზარე, გესმის? რატომ ოხრავ?

იესო მიწას ჩასჩერებოდა, არ უპასუხა. არაბმა ყრმამ სიმონ კვირინელს სასმისი კვლავ შეუვსო.

- ხმა ჩაიკმინდე და წადი! — მალულად ჩასჩურჩულა ყურში.

მაგრამ სიმონი გაბრაზდა:

- და რატომ უნდა გავჩუმდე? ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, გუშინ გამთენიისას იპოვეს შენი ძვირფასი პილატე გოლგოთის წვერზე – ჯვარზე გაკრული!

იესომ უეცრად მკერდზე მწვავე ჭრილობა იგრძნო, თითქოს ლახვარი ჩასცესო; ხელებსა და ფეხებზე ოდნავ დაჩნეული, ცისფერი წერტილები გადიდნენ, გასივდნენ და გაწითლდნენ.

მარიამმა დაინახა, რომ იესო გაფითრდა, დაიხარა, მუხლებზე მოეფერა:

- საყვარელო, დაღლილი ხარ, შემოდი შიგნით და წამოწეკი!

მზე უკვე ჩასულიყო. ჰაერს სიგრილე შერეოდა. არაბმა ყრმამ სიმონს მკლავში ხელი წაავლო, რომელიც უკვე გვარიანად შემთვრალიყო, ლაპარაკითაც დაღლილიყო და ძილი ერეოდა, მუჯღუგუნე ჰკრა, წამოაყენა და იქაურობას გაარიდა.

- მეტისმეტი მოგივიდა ლაპარაკი, – ბრაზით მიუგო, – წაეთრიე! — და იერუსალიმისკენ მიმავალი გზა უჩვენა.

შეშფოთებული არაბი ყრმა შინ დაბრუნდა. თავის სახელოსნოში წამოწოლილ იესოს თვალი სანათურისთვის მიეშტერებინა, მართა ვახშამს ამზადებდა, მარიამი კი ახალშობილს ძუძუს აწოვებდა და ქმარს უტყვად უმზერდა. არაბი ყრმა შემოვიდა, მისი თვალები ჯერ კიდევ ბრაზით ელვარებდნენ.

- წავიდა, - თქვა, — გალემილი იყო. არც კი იცოდა, რას ამბობდა.

იესო მობრუნდა, არაბ ყრმას შიშით შეხედა, ტუჩები მოიკვნიტა, რამე რომ არ ეთქვა.

მერე ისევ შეხედა, თითქოს დახმარებას სთხოვსო. მაგრამ ყრმამ სიტყვის თქმაც კი არ აცადა, ისე გაუღიმა:

- დაიძინე, დაიძინე...

იესომ თვალები დახუჭა. ბაგეებსა და შუბლზე სიმშვიდე დაეფინა, დაეძინა. მეორე დღეს კი, გამთენიისას, როდესაც გაიღვიძა, სიხარული და სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს დიდ საფრთხეს გადაურჩაო. არაბ ყრმასაც გაღვიძებოდა, სახელოსნოში ტრიალებდა და იღიმოდა.

- რა გაცინებს? – ჰკითხა იესომ და თვალი ჩაუკრა.

- ადამიანებზე მეცინება, იესო ნაზარეველო, - ჩუმად მიუგო არაბმა ყრმამ, ქალებს რომ არ გაეგოთ შიგნით, - რა საშინელება უნდა ტრიალებდეს თქვენს საბრალო გონებაში ყოველ წამს მარჯვნივ გაიხედავ - უბედურებაა, მარცხნივ - უბედურება, უკან - უბედურება, აი, მხოლოდ წინ არის რაღაც სხვა - ქაოსზე გადაჭიმული თოკი!

- ერთი წუთით! — მიუგო იესომ და თავადაც გაიცინა, - ჩემი გონებაც სწორედ მაგ თოკზე გადიოდა და სადაცაა ქაოსში ჩაინთქმებოდა, მაგრამ გადავრჩი!

ქალები შემოვიდნენ, საუბრის თემა შეიცვალა, ცეცხლი დაინთო, დღე დაიწყო. ეზოში ბავშვების ჯარი ირეოდა, იცინოდნენ და დამალობანას თამაშობდნენ.

- მარიამ, - შესცინა იესომ ცოლს, - რამდენი ბავშვი გყავს? მართა, ეზო გაივსო. ან სახლი უნდა გავაფართოვოთ, ან ბავშვების გაჩენას უნდა შევეშვათ.

- სახლი გავაფართოვოთ, — მიუგო მართამ.

- ლამისაა კედლებსა და ხეებზეც კი დაიბუდონ, ციყვებივით არიან. ჩვენ, ჩემო მარიამ, სიკვდილს გამოვუცხადეთ ომი. ღმერთმა დალოცოს ქალის წიაღი, თევზივით სავსეა ქვირითითა, თითო ქვირითი - თითო ადამიანი... სიკვდილი ჩვენ ვერ დაგვამარცხებს!

- სიკვდილი ჩვენ ვერ დაგვამარცხებს, ოღონდ შენ იყო კარგად, ჩემო საყვარელო! — მიუგო მარიამმა.

იესო ხუმრობის გუნებაზე იყო, უნდოდა მარიამი გამოეჯავრებინა, თანაც დღეს ძალიან მოსწონდა თავისი ცოლი, ასეთი - ახალგაღვიძებული რომ იდგა მის წინ და თმას ივარცხნიდა.

- მარიამ, შენ სიკვდილზე არ ფიქრობ ხოლმე ხანდახან მაინც? ღმერთს არ ევედრები? არ გეშინია რა იქნება იმქვეყანად?

მარიამმა გრძელი თმა უკან გადაიწია და გაიცინა:

- ოხ, ეს კაცური ფიქრები, - თქვა, — არა, ღმერთს არ ვთხოვ წყალობას, ქალი ვარ და კაცისაგან ვითხოვ წყალობას. ღმერთს არც კარს ვუმტვრევ საიმისოდ, რომ სამოთხის საუკუნო სიხარულზე ვემათხოვრო; ქმარს ვეხვევი და სხვა სამოთხე მე არც მინდა. საუკუნო სიხარული კი თქვენთვის იყოს, კაცებისათვის.

- საუკუნო სიხარული კაცებს გვქონდესო? - თქვა იესომ და მარიამს შიშველ მხარზე მიუაღერსა, - ჰატარა კალოა ეს მიწა, ძვირფასო ცოლო, რანაირად შეიძლება მასში ჩაიკეტო და იქიდან გასვლა არ გინდოდეს?

- ქალი ბედნიერი მხოლოდ საზღვრებს შორის მყოფობისას არის, ეს შენც იცი, ჩემო მოძღვარო! ქალი წყლის ავზია, და არა წყაროს სათავე, და ეს შენ იცი.

ამ დროს მართა შემოვარდა აქოშინებული:

- ვიღაც ჩვენს სახლს კითხულობს და აქეთ მოდის. ჯმუხნი, კუზიანი კაცია, კვერცხივით გასრიალებული თავი აქვს, ძლივს მოჩლახუნობს, მაგრამ სადაცაა მოაღწევს კიდეც.

არაბი ყრმაც შემოიჭრა აღელვებული:

- მაგისი სახე არ მომწონს მე, კარს არ გავუღებ! მოვა ახლა ესეც და აგვირ-დაგვირევს ყველაფერს!

იესომ არაბ ყრმას მრისხანედ შეხედა:

- და შენ რისი გეშინია? ვინაა ეგეთი, რომ შეგაშინა? კარი გააღე!

არაბმა ყრმამ თვალი ჩაუკრა:

- გააგდე! — მშვიდად უთხრა.

- რატომ? ვინ არის?

- გააგდე! – გაიმეორა ყრმამ, — და ნულა მკითხავ.

იესო გაბრაზდა.

- მოიცა, მე რა, თავისუფალი არ ვარ? განა იმას ვერ გავაკეთებ, რაც მე მინდა? კარი გააღე!

ამასობაში ქუჩიდან ნაბიჯების ხმაც მოისმა, მერე შეწყდა და ჭიმკარზე დააკაკუნეს.

- ვინ არის? – იკითხა იესომ და ეზოში გავიდა.

- ღვთის მოციქული, გააღეთ - გაისმა ხრინწიანი ხმა.

კარი გაიღო. ზღურბლზე ვიღაც ჯმუხნი, კუზიანი, მელოტი კაცი იდგა - ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეთქმოდა. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ, სტუმართან შესაგებებლად გასულმა ქალებმა უკან დაიხიეს.

- მშვიდობა თქვენდა და სინარული, ძმანო ჩემნო! - თქვა სტუმარმა და ხელები გაშალა, - სახარება მომაქვს თქვენთან!

იესომ შეხედა, თავს ძალას ატანდა გაეხსენებინა - სადღაც ჰყავდა ეს კაცი ნანახი.

და ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

- ვინ ხარ? მგონი, სადღაც შევხვედრივართ... კაიაფას სასახლეში? რომელიმე ჯვარცმისას?

არაბმა ყრმამ, ეზოს კუთხეში რომ მიყუჟულიყო, გადაიხარხარა:

- სავლეა, სავლე ვერ იცანი? სისხლისმსმელი სავლე!

- მართლა სავლე ხარ? – ჰკითხა შეშინებულმა იესომ.

- კი, ვიყავი, ახლა უკვე აღარა ვარ სისხლისმსმელი სავლე. მე ვიხილე ნათელი იგი ჭეშმარიტი, მე პავლე ვარ! დიდება უფალს, გამომიხსნა და აღმძრა იმისთვის, რომ სამყარო გამოვიხსნა. არამხოლოდ იუდეა, არამხოლოდ პალესტინა, არამედ - მთელი სამყაროს სახარება, რომელიც მომაქვს, შორეულ ზღვებსა და მიწებზე განივრცობა! თავს ნუ იქნევ, ლაზარე-ოსტატო, ნუ იცინი, ნუ დამცინი! სამყაროს ვიხსნი!

- ეჰ, ჩემო ძმაო, მე იქიდან მოვდივარ, საითაც შენ მიემართები, - მიუგო იესომ, — ახალგაზრდა როდესაც ვიყავი, ისე ვით თქვენ, მახსოვს, მეც ატანილი ვყავდი იმ აზრს, რომ სამყარო უნდა დამეხსნა. და სიყმაწვილევ ამას არ ნიშნავს? სამყაროს ხსნის სურვილია იგი! ფეხშიშველი, ჩამოძონძილი დავდიოდი, ძველ წინასწარმეტყველთა მსგავსად, და გავყვიროდი: სიყვარული! სიყვარული! და ათასი სხვა რამ, რისი გახსენებაც ახლა არ მინდა, მასხრად მიგდებდნენ, მამათრახებდნენ და ლამის ჯვარზედაც მაცვეს. ჰოდა, შენც ეგრე დაგემართება, ჩემო ძმაო!

იესოს ლაპარაკის საღერღელი აეშალა, დაავიწყდა რომ ოსტატ ლაზარედ იქცა, ვიღაც უცნობს თავის საიდუმლოს უმხელდა

არაბი ყრმა შეშინდა, მათ შორის ჩადგა, რათა საუბარი ჩაეშალა.

- თავი დაანებე, ბატონო, ნუ ელაპარაკები! მეც მინდა რაღაც ვუთხრა, ახლა მე მაცალე!

უცნობს მიუბრუნდა.

- შენ რა, განა ის წყეული არ ხარ, უსამართლოდ, სრულიად უსამართლოდ რომ მოკალი მარიამ მაგდალინელი? სისხლში გაქვს ხელები ამოსვრილი. გაეთრიე ჩვენი წმინდა ეზოდან!

- შენ? შენ? — აბუტბუტდა აცახცახებული იესო.

- ღიახ, მე, მე ვარ, - მძიმედ ამოიოხრა პავლემ, — მკერდზე მჯიღს ვიცემ, ტანზე სამოსს ვიგლეჯ, ვყირი: შევცოდე! შევცოდე! ნაბრძანები მქონდა – მომეკლა ყველა, ვინაც კი მოსეს რჯულს გადადიოდა, ყველა დავზოცე, ვისაც მივწვდი და დამასკოსკენ გავეშურე. გზად კი, უეცრად, ციდან ელვა გადმოემშვა და ძირს დამაგდო. გასაოცარი ნათელისგან თვალისჩინი დავკარგე, ველარაფერს ველარ ვხედავდი. და ჩემ თავს ზემოთ, საყვედურის ხმა გაისმა: „სავლე, სავლე, რად მღევნი? რა დაგიშავე?“, „ვინ ხარ, უფალო?“ — დავიყვირე. „მე ვარ იესო, რომელსაც შენ სღევნი! ადექი, დამასკოსკენ გაეშურე, და იქ გეტყვიან, რისი ქმნა გმართებს“. მეც წამოვდექი, ვკანკალებდი, თვალები გახელილი მქონდა, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. ჩემმა თანამგზავრებმა ხელით ჩამიყვანეს დამასკოში. და იქ ყოფნისას, იმ ქაოსში, საჭირო დროს ჩემთან მოვიდა ანანია – იესოს მოწაფე, ხელი დამადო თავზე და უფალს შეევედრა: „ჩემო უფალო, ქრისტე, დაუბრუნე თვალისჩინი, რათა სამყარო მოიაროს და სახარება იქადაგოს!“

როგორც კი ეს თქვა, თვალებზე ბინდი გადამეცალა, ვიხილე სინათლე, მოვინათლე. მოვინათლე და პავლედ ვიქეც, ხალხთა მოციქულად, ხმელსა და წყალზე სახარებას ვინაც ქადაგებს! თვალები რად გაგიფართოვდა, ლაზარე-ოსტატო? რა არეულად მიმზერ? რატომ წამოვდექი?

იესო ბოლთას სცემდა ეზოში, მუშტებშეკრული, ტუჩებგაფითრებული დადიოდა. შეხედა ცოლებს, კუთხეში რომ მიყუჟულიყვნენ შეშინებულნი, შეხედა ბავშვებს – ატირებულნი დედების კალთებს რომ შეჰფარებოდნენ.

- წადით, – უბრძანა, – მართო დაგვტოვეთ!

არაბი ყრმა მისკენ დაიძრა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ იესომ ბრაზით შეხედა:

- განა თავისუფალი არ ვარ? – უთხრა, – კმარა! მეტს ველარ მოვითმენ, უნდა ვილაპარაკო!

და კვლავ პავლეს მიუბრუნდა, ხმა უკანკალებდა:

- რომელი სახარება? — ძლივს ამოთქვა.

- იესო ნაზარეველი, გაგონილი გექნება მისი სახელი, იოსებისა და მარიამის ძე კი არ იყო, არამედ ძე ღვთისა! ჩამოვიდა მიწად, მიიღო სახე კაცისა, რათა ეხსნა ადამიანი. ურჯულო მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა კი შეიპყრეს, პილატეს წარუდგინეს

და ჯვარს აცვეს, მაგრამ აღსდგა მესამე დღეს და აღვიდა ზეცად. ასე დამარცხდა სიკვდილი, ძმანო ჩემნო, მოგვეტევა შეცოდებანი, განიხვნა კარნი სამოთხისა!

- და შენ იხილე აღმსდგარი იესო ნაზარეველი? - კბილებში გამოცრა იესომ, — შენი თვალებით იხილე? როგორი იყო?

- ელვა, ელვა იყო, რომელიც საუბრობდა.

- ცრუობ!

- მისმა მოწაფეებმა ხომ იხილეს! ყველა ერთად შეკრებილიყო ჯვარცმის შემდეგ ერთ სარდაფში და ყველა კარი ჩარაზული იყო, რომ უცებ მოვიდა, დადგა მათ შორის და თქვა: „მშვიდობა თქვენდა!“. ყველამ იხილა და განცვიფრდნენ. მხოლოდ თომამ არ დაიჯერა, თითი დაადო მის ჭრილობებს, თევზი მისცა და მანაც შეჭამა...

- ცრუობ!

მაგრამ პავლე ემხში შესულიყო, მისი დაღრანკული სხეული დაჭიმულიყო, თვალები უელავდა.

- კაცისაგან არ ჩასახულა, ქალწულმა დედამ შვა: მთავარანგელოზი დაეშვა ციდან და ქალს მიმართა: „გიხაროდენ, მარიამ!“ და მისი სიტყვა თესლად ჩაიღვარა ქალის წიაღში, და ამგვარად იშვა იგი!

- ცრუობ! ცრუობ!

გაოცებული პავლე გაჩუმდა. არაბი ყრმა ფეხზე წამოდგა, კარი ჩარაზა: მეზობლებს ხმები გაეგოთ, კარი ნახევრად გაეღოთ და მათ საუბარს აყურადებდნენ. შეშინებული ცოლები კვლავ ეზოში გამოვიდნენ, მაგრამ არაბმა ყრმამ ისინი ისევ სახლში შეიყვანა და ჩაკეტა. იესო აღელვებისგან კრთოდა, გულს, ვერაფრით იმშვიდებდა. პავლეს შეხედა, ხელები მხრებში ჩაავლო და შეანჯღრია:

- ცრუობ! ცრუობ! — უყვიროდა, - მე ვარ იესო ნაზარეველი, არასდროს ვყოფილვარ ჯვარცმული, არასდროს აღვმდგარვარ. მარიამისა და იოსების ძე ვარ, მამაჩემი ხუროა, ნაზარეთიდან! მე არ ვარ ძე ღვთისა, მეც ისეთივე ვარ, როგორიც სხვები, ადამიანის ძე! რა სისულელეებსაა, რომ ყბედობ? როგორ არ გრცხვენია? რატომ ცრუობ? ნუთუ ამ ტყუილებით აპირებ სამყაროს ხნას, შე უღმერთო?

- შენ? ნუთუ შენ ხარ? - ბუტბუტებდა გაოგნებული პავლე.

ოსტატე ლაზარე როცა პავლეს ეჩხუბებოდა და ლანძლავდა, მოციქულმა მის ხელებსა და ფეხებზე ცისფერი ლაქები შენიშნა, სამსჭვალისგან დანატოვარ ლაქებს რომ ჰგავდნენ, და გულ-მკერდზეც - რაღაც ჭრილობა.

- რა თვალებს აცეცებ? - უყვიროდა იესო, - რას მიყურებ ხელებსა და ფეხებზე? ეს ნიშნები, შენ რომ უყურებ, ღმერთმა დამადო - ღმერთმა თუ ცდუნებამ? ჯერ კარგად ვერ გამიგია, - ოღონდ ძილში! სიზმრად ვნახე, თითქოს ჯვარს ვეცვი და მეტკინა, მაგრამ შევყვირე, გამომელვცია და დავმშვიდდი. ის, რაც ცხადში უნდა დამმართნოდა, სიზმარში ვიწვინე და ასე გადავრჩი!

- გაჩუმდი! გაჩუმდი! - კბილებში გამოსცრა პავლემ და ხელებით გაუკავა სახე, - გაჩუმდი!

მაგრამ, აბა, რას გაჩუმდებოდა! მრავალი წლის განმავლობაში გულში ჩაჭედვოდა ეს სიტყვები, იქ ინახავდა, ახლა კი თითქოს გული გახსნა და სიტყვებიც გათავისუფლდნენ. არაბი ყრმა მკლავზე მოეჭიდა, - „გაჩუმდი! გაჩუმდი!“ — ეუბნებოდა, მაგრამ მან ერთი ხელის მოქნევით მოიშორა და მიწაზე დასცა, მერე კვლავ პავლეს მიუბრუნდა:

- დიახ, ყველაფერს, ყველაფერს ვიტყვი, იქნებ ამით ვპოვო სიმსუბუქე! რაც ცხადში უნდა დამმართნოდა, ძილში გამოვცადე, გადავრჩი და ამ სოფლად მოველ – სხვა სახელით, სხვა სხეულით და აქ ვცხოვრობ კაცის ცხოვრებით – ვჭამ, ვსვამ, ვშრომობ, შვილებს ვაჩენ, გადაიარეს დიდმა ხანძრებმა, მე მშვიდ, კეთილშობილ ცეცხლად ვიქეცი, კერაში ჩავდექი და ჩემი ცოლი ახლა ჩემი შვილებისთვის სადილს ამზადებს. მთელი სამყაროს მბრძანებლობისთვის ვიღწვოდი ოდესღაც, მაგრამ აქ ვპოვე ნავსადგური, ეს სახლეული არის ჩემი ხომალდი. ასე იყო და სასაყვედუროც არაფერი მაქვს. მე კაცის ძე ვარ, გეუბნები, არ ვარ ძე ღვთისა! შენ კიდეც იკმარე, ნუ დაწანწალებ მთელ სამყაროში და სიცრუეს ნუ ავრცელებ. ავდგები და სიმართლეს ვიტყვი, მთელ სამყაროს გავაგებინებ!

ახლა უკვე პავლეს გამწარდა:

- შენ თვითონ იკმარე ყბედობა, გაჩუმდი! — დაუყვირა და დაეძგერა, - გაჩუმდი! ხალხმა არ გაიგოს, არ დაფრთხნენ! ამ სამყაროს ტალახში, უსამართლობასა და სილატაკეში, ჯვარცმული იესო, აღმსგარი იესო იყო ერთადერთი ნუგეში ღირსეული და უსამართლოდ გვემული ადამიანისათვის! ტყუილია თუ მართალი - სულ არ მაინტერესებს. მთავარია, ხსნა ჰპოვოს სამყარომ!

- უმჯობესია ჭეშმარიტებით განადგურდეს სამყარო, ვიდრე სიცრუით გადარჩეს! სწორედ ამგვარი გამოხსნის გულში სახლობს ის დიდი მატლი – სატანა!

- და რას ნიშნავს ჭეშმარიტება? რას ნიშნავს სიცრუე? ჭმარიტება ის არის, რაც ადამიანებს ფრთებს შეასხამს, რაც დიდ საქმეებს, დიდ სულებს შობს და ამ მიწიდან აღგვამაღლებს. სიცრუე კი ის არის, რაც ადამიანს ფრთებს უკვეცს.

- აღარ გაჩუმდები, სატანის ძეო? ფრთებს რას ეძახი, იმას რაც შენ გაქვს? ლუციფერის ფრთებს?

- არ გავჩუმდები! არ მაინტერესებს, რა არის სიმართლე და რა ტყუილი, არ მადარდებს ჩემი თვალთ ვნახე თუ არა მისი ჯვარცმა! მე ჩემი დაჟინებით, ჩემი მისწრაფებით, ჩემივე რწმენით ვქმნი ჭეშმარიტებას! მას აქეთ-იქით კი არ დავეძებ, თავადვე ვქმნი! ადამიანზე დიდ ჭეშმარიტებას ვქმნი და ამით ვზრდი ადამიანის მნიშვნელობას. აუცილებლობა მოითხოვს, გესმის, სამყაროს სჭირდება, ხსნისთვის სჭირდება, რომ შენ ჯვარს ეცვა - და მე გაცვამ ჯვარს, გინდა თუ არა, სულერთია! გარდუვალია შენი აღდგომა და მე აღგადგენ, გინდა ეს შენ, თუ არ გინდა. და დაე, იჯექი აქ ამ მიყრუებულ სოფელში და იოსტატე – აკვნების, ვარცლების კეთებითა და ბავშვების შობით. კარგად იცოდე, რომ დამჭირდეს, ჰაერს ვაიძულებ შენი ფორმა

მიიღოს, შენი სხეული შეიმოსოს, ეკლის გვირგვინი დაიდგას, სამსჭვალეები და სისხლი დაითმინოს. ეს ყოველივე ხსნის თანმდევი, მისი შემწე და სხვაგვარად ხსნა არ იქნება ურიცხვი თვალი, მთელი დედამიწიდან, შენსკენ იქნება მოპყრობილი, რათა გიხილონ შენ – ჯვარცმული და ჰაერში გაკიდებული. იტირებენ და მათი ცრემლები მათსავ სულებს განწმენდს ყველა ცოდვისაგან. მაგრამ მესამე დღეს აღგადგენ, რადგან აღდგომის გარეშე არც ხსნა არ არსებობს. უკანასკნელი და ყველაზე საზარელი მტერი კი სწორედ სიკვდილია. მას დავამარცხებ! როგორ? შენი აღდგომით დავამარცხებ, იესო, ძეო ღვთისა, მესიავ!

- ეს სიცრუეა! ავდგები და ყველგან ხმამალა ვიტყვი ამას, მთელ ქვეყანას გავაგებინებ: არც ჯვარს ვცმულვარ და არც აღვმსდგარვარ, მე ღმერთი არ ვარ შენ რა გაცინებს?

- რაც გინდა ქენი, რაც გინდა ის თქვი, თუ კი არ გეზარება! მე არც შენი მეშინია და არც არაფერში აღარ მჭირდება. ბორბალი, რომელიც შენ დაძარი, გზას დაადგა და აწი ვილა შეძლებს მის შეჩერებას? მართლა, როცა ლაპარაკობდი, ერთი წამით მომინდა, რომ თავს დაგსხმოდო და მიმეხრჩვე, რათა შემთხვევით არ წამოგცდეს და უბედურმა ადამიანებმა არ ნახონ, რომ ჯვარს არ ცმულხარ. მაგრამ მყისვე დავმშვიდდი. მიდი, აბა, თქვი ერთი, რასაც იკვებხნი! სწორედ ისინი, ვისაც შენი სწამს, სწორედ ისინი მყის დაგიჭერენ, ცეცხლს მიგცემენ, მკრეხელობისთვის ცოცხლად დაგწვავენ!

- მე ერთადერთ რამეს ვამბობდი, ერთადერთ მცნებას ვასწავლიდი – სიყვარულს! დიან, სიყვარულს და სხვას არაფერს!

- თქვი „სიყვარული“ და მაშინვე გაათავისუფლე ყველა ანგელოზი და დემონი, ვინაც კი ადამიანის წიაღში თვლემდა. როგორც ხედავ, არც ისე მარტივი, არც ისე მშვიდი სიტყვაა იგი! რადგან მასში ბევრი სისხლია, მასშია ჯარები, რომლებიც ერთმანეთს ხოცავენ, სახელმწიფოები, რომლებიც ცეცხლს მისცემიან, მასშია სისხლის მდინარეები. ცეცხლის მდინარეებმა შეცვალეს დედამიწის სახე. ახლა კი რაც გინდა, ის თქვი, მიდი, იყვირე: არ მინდოდა ამის თქმა, ეს არ არის სიყვარული, ნუ დახოცავთ ერთმანეთს, ძმები ვართ ყველა, ერთად დავდგეთო! მაგრამ, აბა, სად უნდა დადგნენ, უბედურო? მორჩა, დამთავრდა!

- ისე იცინი, როგორც დემონი.

- ისე ვიცინი, ვით მოციქული! მე შენი მოციქული ვიქნები, გინდა ეს შენ თუ არა. მე თავად შეგქმნი, შენც შეგქმნი და შენს ცხოვრებასაც, შენს სწავლებას, შენს ჯვარცმასა და აღდგომასაც მე თვითონ შეგქმნი, სწორედ ისე, როგორც მე მინდა. შენ იოსებმა კი არ შეგქმნა, ნაზარეველმა ხურომ კი არ გშვა, არამედ მე გშვი, მე – ჰავლემ, შენმა აღმწერელმა.

- არ მინდა! არა, არ მინდა!

- გინდა, არ გინდა - შენ ვინ გკითხავს? შენი ნებართვა მე არაფერში არ მჭირდება და ჩემ საქმეში რატომ ერევი?

იესო ეზოს ბაქანზე ჩაიკუზა, სასოწარკვეთილმა თავი მუხლებს შორის მოიქცია - როგორ უნდა გამკლავებოდა ასეთ დემონს?

- აბა, როგორ უნდა გადარჩეს სამყარო შენით, ოსტატო ლაზარე? – თავზარდაცემულ იესოს თავზე დასდგომოდა და აღტყინებით დასძახოდა ჰავლე, – ერთი მითხარი, რა უმაღლესი მაგალითი უნდა მისცე ხალხს საიმისოდ, რომ შენ გამოგყვეს, თავისი ბუნება დაძლიოს და სული ფრთებად გარდაისახოს? ხალხი მე დამიჯერებს, თუ ხსნა უნდა, მე დამიჯერებს!

აქეთ-იქით მიმოიხედა. ეზოში სიმშვიდე იყო. არაბი ყრმა ერთ კუთხეში მიყუჟულიყო, გადათეთრებულ თვალებს გიჟივით აცეცებდა, დაბმული მწევარივით იღრინებოდა. ცოლები სადღაც მიმალულიყვნენ, არც მეზობლები ჩანდნენ სადმე, მაგრამ ჰავლემ, ისე თითქოს უზარმაზარ ეზოში დგასო, დიდ, ხალხით სავსე მოედანზე, თვალი მოავლო იქაურობას, ბაქანზე შედგა და დაიწყო ქადაგება უხილავი ხალხის წინაშე:

- ძმანო, შეხედეთ, შემომხედეთ! ერთ მხარეს დგას ოსტატი ლაზარე, მეორე მხარეს კი მე ვდგავარ – ქრისტეს მონა! თქვენ აირჩიეთ: თუ მას გაჰყვებით, ოსტატ ლაზარეს, თქვენი ცხოვრება გადატაკდება, ჭად იქცევა და უღელს დაგადებთ, ისე იცხოვრებთ და დაიხოცებით, როგორც ცხოვრობენ და კვდებიან ცხვრები, რომლებიც ბოლოს მხოლოდ მცირე მატყლს, ცოტაოდენ ბლავილსა და ბევრ ფუნას ტოვებენ. თუ მე მომყვებით, სიყვარულით, ბრძოლითა და ღვწით მთელ სამყაროს დავიმორჩილებთ! თქვენ აირჩიეთ: ერთ მხარეს - ქრისტე, ძე ღვთისა და ხსნა სამყაროსი, მეორე მხარეს კი ოსტატი ლაზარე დგას. თავად განსაჯეთ!

ჰავლე სიშმაგეს შეეპყრო. არწივისებრი, მრგვალი თვალებით გადახედა უხილავ ხალხს. სისხლი უდუღდა. ეზო დაინგრა, არაბი ყრმა და ლაზარე-ოსტატი გაუჩინარდნენ და გაისმა ხმა ჰაერში:

- ერთა მოციქულო, დიადო სულო, შენ, ვინც შენი სისხლითა და ცრემლებით თხზავ სიცრუეს და სიმართლედ აქცევ, წინ წადი! გამიძებნე! სადამდე ვივლით?

ჰავლემ ხელები გაშალა, სამყარო გულში ჩაიხუტა და შესძახა:

- იქამდე, სადამდეც ადამიანის მზერა გასწვდება! და მის მიღმაც, სადამდეც კი ადამიანის გული გასწვდება! დიდი არის ეს სამყარო, დიდება შენდა ღმერთო! ისრაელის მიწის იქით ეგვიპტეა, სირიაა, ფინიკია, აღმოსავლეთი, საბერძნეთი და მისი ვეება სამფლობელო, კვიპროსია, როდოსი, კრეტა! უფრო იქით კი – რომი, იმის იქით – ბარბაროსები – გრძელი, ქერა ნაწნავები და ორლესური მახვილები რომ აქვთ... და რამხელა სიხარულია, დილა-უთენია გზას დაადგე, ქარი ზღვისკენ გერეკებოდეს და ხელთ ჯვარი გეპყრას, რომელსაც კლდეებსა და ადამიანთა გულებში ჩავასობთ და მთელ სამყაროს ასე დავიპყრობთ! და რამხელა სიხარულია, გვდევიდნენ, გვირტყამდნენ, საპყრობილეში გვაგდებდნენ და გვაწამებდნენ ქრისტესათვის!

გონს მოეგო, დამშვიდდა და ჰაერში უხილავი ხალხიც გაქრა, შებრუნდა. იესოს შეხედა, რომელიც კედელს მიყრდნობოდა და შეძრწუნებული უსმენდა ჰავლეს.

- ქრისტესათვის, შენთვის კი არა, ლაზარე-ოსტატო, არა, ნამდვილი, ჩემი ქრისტესთვის!

იესოს მეტის ატანა აღარ შეეძლო, აქვითინდა.

არაბი ყრმა მიუახლოვდა:

- იესო ნაზარეველო, – უთხრა ჩუმად, ტირი? რატომ ტირი?

- რანაირად შეიძლება, ჩემო იდუმალო მეგობარო, - ჩაიჩურჩულა იესომ, - რანაირად შეიძლება, ხედავდე იმ ერთადერთ გზას, რომელიც იხსნის სამყაროს და არ ატირდე?

პავლე ბაქნიდან ჩამოვიდა, თავზე შერჩენილი სულ რამდენი ღერი თმაც კი უბრწყინავდა. სანდლები გაიხადა, დაფერთხა, რომ მტვერი ჩამოცლოდა და ჭიშკრისაკენ გაემართა.

- შენი სახლის მტვერს ვიბერტყავ სანდლებიდან, თან არ გამყვეს, მშვიდობით! — უთხრა იესოს, რომელიც სახეწაშლილი იდგა შუა ეზოში, - მშვიდობაში კარგი საქმელი, კარგი ღვინო, ტკბილი კოცნა, ლაზარე ოსტატო, და ეგ შენი კარგი სიბერეც და არ გაბედო ჩემს საქმეში ჩაერიო, თორემ წასულია შენი საქმე! გესმის, ოსტატო ლაზარე? წასულია შენი საქმე! თუმც არ გეგონოს, რომ ძალიან გამიხარდა შენთან შეხვედრა, უბრალოდ მე გადავრჩი. ეს მინდოდა. შენგან გადარჩენა მინდოდა და ამისრულდა კიდეც. ახლა მე თავისუფალი ვარ, არავინ მადგას თავზე, მშვიდობით!

თქვა, კარს ურდული ჩამოხსნა, ერთი ნახტომით გავიდა და იერუსალიმის დიდ გზას დაადგა.

- როგორ ჩქარობს, როგორ მშვიერი მგელივით გარბის, ხალხის შესაჭმელად მიემართება... – თქვა არაბმა ყრმამ, ჭიშკარში გავიდა და ბოროტი მზერა გააყოლა.

შემობრუნდა, რომ იესო დაეცვა და ეს ზეციური, საშიში სული განედევნა მისგან, ასე რომ შეაწუხა. მაგრამ იესო უკვე გარეთ გასულიყო, შუა გზაზე იდგა და შიშით, მოლოდინით შესცქეროდა მძვინვარე მოციქულს, რომელიც სირბილით შორდებოდა. საზარელი, დავიწყებული მოგონებები და წადილები აიშალა მასში უეცრად.

არაბ ყრმას შეეშინდა. მკლავში წაავლო ხელი;

- იესო, - ჩუმად, ბრძანებით უთხრა, - იესო ნაზარეველო, გონება აგერია. რას უყურებ? შინ შემოდი!

მაგრამ იესო უტყვად იდგა, ფერი წასვლოდა, ერთი შეხედა, ანგელოზის ხელი მკლავიდან მოიშორა.

- შედი შინ! — ახლა მრისხანედ გაუმეორა ანგელოზმა, - ისმინე, რასაც გეუბნები! ხომ არ დაგავიწყდა მე ვინცა ვარ!

- თავი დამანებე! – ამოიღრიალა იესომ და პავლეს მზერას არ ამორებდა, რომელიც უკვე გზის ბოლოში იყო და სადაცაა თვალს მიეფარებოდა.

- მასთან ერთად გინდოდა წასვლა?

- თავი დამანებე, - ისევ დაუღრიალა იესომ და კბილები აუკაწკაწდა, ერთიანად აკანკალდა.

– მარიამ! – შესძახა არაბმა ყრმამ, — მართა! — იესოს წელზე მაგრად მოეჭიდა, რომ არ გაქცეოდა.

ქალებმა მისი ძახილი გაიგონეს, გამოიქცნენ, უკან ბავშვების ჯგრო მოსდევდათ. ახლომანლო ჭიშკრები იღებოდა, მეზობლები გამორბოდნენ და იესოს ეხვეოდნენ. ის კი იდგა შუა გზაზე, ცვილისფერი დასდებოდა სახეზე, უცებ კი თვალებზე ბინდი გადაეკრა და მშვიდად, მსუბუქად დაეცა მიწაზე.

იგრძნო, როგორ წამოაყენეს, საგებელზე მიაწვინეს, საფეთქლებზე ვარდისწყალი ავკურეს, ძმარი აყნოსეს, რათა გონს მოსულიყო. მანაც თვალები გაახილა, დაინახა თავისი ორი ცოლი, გაიღიმა. დაინახა არაბი ყრმა, ხელი გაუწოდა, ხელზე მოჰკიდა და უთხრა:

- მაგრად დამიჭირე, არ გამიშვა, წასვლა არ დამანებო! აქ კარგადა ვარ!

XXXIII

იესო ძველი ხეივანის ჩრდილში იჯდა, თეთრი, ზღვასავით წვერი მოშიშვლებულ მკერდამდე სცემდა. დღეს პასექია. დაიბანა, სუფთა სამოსით შეიმოსა, თმაზე, წვერზე, იღლიებში სურნელოვანი წყალი ივკურა. კარი ჩარაზულია, კაციშვილი არ არის ახლომანლო, მისი ცოლები, შვილები და შვილიშვილები სახლში არიან, იცინიან და თამაშობენ. არაბი ყრმა კი დილიდან დარჭობილა სახლის სხვენზე და უსიტყვოდ, ბრაზით გასცქერის იერუსალიმს.

იესომ ხელებზე დაიხედა – დაკოჟრებოდა, დაგრენოდა და მუქი ლურჯი ვენები ამობერვოდა. ხელის თითოეულ ძვალს კი უწინდელი საიდუმლო ჭრილობები აჩნდა, რომლებიც ახლა ძლივსდა ეტყობოდა, ნელ-ნელა გამჭრალიყვნენ... ერთიანად გაჭაღარავებული თავი გააქნია, ამოიოხრა:

– როგორ სწრაფად გაირბინეს წლებმა, როგორ უცებ დავბერდი! ჩემი ცოლებიც ჩემთან ერთად დაბერდნენ და ჩემი ეზოს ხეებიც, კარიც, ფანჯრებიც და ეს ფილაქანი, რომელზედაც დავაბიჯებ...

შეეშინდა. თვალები დახუჭა და შეიგრძნო, ფეხის გულებიდან როგორ წყალივით დიოდა მასში დრო – კეფისაკენ, ტვინისაკენ მიედინებოდა, ყელს, გულმკერდსა და მთელ შიგნეულს ეღვრებოდა.

ეზოში ნაბიჯების ხმა გაისმა, თვალები გაახილა, მარიამი იყო. შენიშნა, რომ იესო ფიქრში ჩაძირულიყო, მივიდა და ფერხთით მიუჯდა, იესომ ხელი თავზე დაადო, მარიამსაც ერთიანად გათეთრებოდა ყორნისფერი თმა. გამოუთქმელი სინაზით აეგსო გული: „ჩემს ხელში დაბერდა, - გაიფიქრა, – ჩემს ხელში გაჭაღარავდა...“ - დაიხარა და საუბარი გაუბა:

- მარიამ, საყვარელო, გახსოვს, რამდენჯერ მოფრინდნენ მერცხლები იმ დალოცვილი დღის შემდეგ, რაც მასპინძლად შემოვაბიჯე თქვენს სახლში? რამდენჯერ დავთესეთ, მოვიმკეთ, რამდენჯერ ვიზეიმეთ ერთად რთველი და ზეთისხილის კრეფა? თმა გაგითრდა, ჩემო ნუშისთვალება მარიამ, და ყოჩაღი მართაც გაჭაღარავდა.

- კი, საყვარელო, გავჭალარავდით, - თქვა მარიამმა, - წლები გადის... ეს ხეივანი, რომლის ჩრდილშიც ახლა ვსხედვართ, ერთად გავაშენეთ სწორედ იმ წელს, როცა ის წყეული კუზიანი მოვიდა, რაღაც ჯადო გაგიკეთა და გული წაგივიდა. განსოვს? აბა, რამდენი წელია, რაც ამ ხეივნის ყურძენით ვსაზრდობთ?

არაბი ყრმა მსუბუქად ჩამოხტა სახლის სხვენიდან და მათ წინ გაჩნდა. მარიამი ადგა და წავიდა. ეს მსახური საშინლად არ მოსწონდა: არც იზრდებოდა, არც ბერდებოდა, ადამიანი არ იყო იგი, სული იყო, ბოროტი სული, სახლში ჩაუსახლდათ და წასვლა არ სურდა. არც მისი მაცდური და ბოროტად მოციმციმე თვალები მოსწონდა და არც მისი ღამეული, საიდუმლო საუბრები იესოსთან.

არაბი ყრმა მიუახლოვდა. თვალები დამცინავად გაურბოდა, ბასრი კბილები უელავდა.

- იესო ნაზარეველო, — უთხრა ჩუმად, - დასასრული ახლოვდება.

გაკვირვებული იესო მისკენ შებრუნდა:

- და რომელი დასასრული?

არაბმა ყრმამ თითი ტუჩებთან მიიტანა:

_ დასასრული ახლოვდება, - გაიმეორა და პირისპირ ჩაუცუცქდა, უყურებდა და იცინოდა.

- უნდა დამტოვო?

და უეცრად იესომ რაღაც საოცარი სიხარული და სიმსუბუქე იგრძნო.

- კი, დასასრულმა მოაწია. რატომ იღიმი, ნაზარეველო?

- სიკეთით გეველოს, ყრმაო! რაც მინდოდა, მივიღე. ახლა უკვე აღარ მჭირდება.

- ასე გულცივად მიშორებ, უმადურო? ანუ ამოდ დავშვერი შენთვის, ამდენი წელი სულ ამოდ გემსახურე, რომ ყველა ის სიხარული მომენიჭებინა, რაც გეწადა?

- თუკი შენი მიზანი იყო, რომ ფუტკარივით ამოგეხრჩვე თაფლში, მაშინ სულ ამოდ დამშვრალხარ, ყრმაო. იმდენი თაფლი ვჭამე, რამდენიც მინდოდა და რამდენის ჭამაც შემეძლო, მაგრამ ჩემს ფრთებს არ დავუხრჩვივარ.

- და რომელ ფრთებს, უგუნურო?

- ჩემს სულს!

არაბმა ყრმამ ბოროტად გადაიხარხარა:

- გგონია, რომ შენ სული გაქვს, უბედურო?

- მაქვს და მას მფარველი ანგელოზი და არაბი ყრმები არ სჭირდება, რადგან იგი თავისუფალია.

არაბი ყრმა გადაირია:

- მეამბოხე! - დაიდრიალა, ეზოდან ერთი ქვა დაიტაცა, ხელის გულში მოიქცია, მტვრად აქცია და ჰაერში მიმოფანტა.

- კარგი, — თქვა, - ვნახოთ! — და ლანძღვა-გინებით გაეშურა ჭიშკრისაკენ.

საზარელი ყვირილის ხმები შემოესმა, ქვითინისა და მოთქმის ხმები, ცხენები ჭიხვინებდნენ, მთავარი გზა ხალხით იყო სავსე, გარბოდნენ და გაჰყვიროდნენ:

- იწვის, იწვის იერუსალიმი იწვის იერუსალიმი დაიპყრეს! დავილუპეთ!

უკვე თვეები გასულიყო, რაც რომაელებს ქალაქი ალყაში მოექციათ, მაგრამ ისრაელი, იაჰვეს ძალით, მამაცად იდგა, ღრმად სწამდა, რომ წმინდა ქალაქი არასოდეს დაეცემოდა, წმინდა ქალაქს არ ეშინოდა, რადგან მის ყოველ კარიბჭეს მახვილადმართული ანგელოზი იცავდა. თუმცა ახლა...

ქალები გარეთ გაცვივდნენ, სახეს იხოკავდნენ და კიოდნენ. კაცები სამოსს იგლეჯდნენ ტანზე, ღმერთს მოუხმობდნენ, რომ შესწოდათ. იესო ადგა, მარიამსა და მართას ხელი მოჰკიდა, შინ შეიყვანა და კარი ჩარაზა:

- რა გატირებთ? — თანაგრძნობით ჰკითხა, - რატომ აღუდგებით ღმერთის ნებას? მოისმინეთ სიტყვა, რომელსაც ახლა გეტყვით და არ შეგეშინდეთ: დრო ცეცხლია, საყვარელო ცოლებო, ცეცხლი არის დრო, ღმერთს კი ხელში უჭირავს შამფური და ყოველ წელს ატრიალებს საპასეჟე ცხვარს. ამ წელს, საპასეჟე ცხვარი იერუსალიმია, მეორე წელს რომი იქნება, შემდეგ...

- გაჩუმდი, მოძღვარო, - შეჰყვირა მარიამმა, - დაგავიწყდა, რომ ქალები ვართ? ვერ გავუძლებთ...

- მაჰატიე, მარიამ, - თქვა იესომ, - დამავიწყდა. გული ივიწყებს, გულს წყალობა აღარა აქვს, როცა აღმართს დაადგება.

ამ საუბარში იყვნენ, რომ უცებ გზიდან მძიმე ნაბიჯების ხმა მოესმათ. უცნობები მოდიოდნენ, მკერდზე მჯიღს იცემდნენ და მსხვილ ჯოხებს მთელი ძალით ურტყამდნენ ჭიშკარს.

არაბი ყრმა წამოხტა, კარის ურდულს ეცა, იესოს შეხედა და მაცდურად გაუღიმა.

- გავალო? - ჰკითხა, ძლივს იკავებდა სიცილს, - შენი ძველი მეგობრები არიან, იესო ნაზარეტელი.

- ჩემი ძველი მეგობრები?!

- ახლავე ნახავ! - თქვა არაბმა ყრმამ და კარი ფართოდ გააღო.

დაღვლარჭნილი, უცნობი ბერიკაცების ჯგრო ჭიშკარში შემოვიდა. ერთმანეთს ისე ეყრდნობოდნენ, ხელს იმნაირად აშველებდნენ, იფიქრებდი ერთმანეთზე შეხორცებულანო, ასე - ჯგუფად მოდიოდნენ.

იესომ ნაბიჯი წადგა წინ, გაჩერდა. უნდოდა ხელი აეწია, მისალმებოდა, მაგრამ უეცრად აუტანელი ტკივილი მოედო მის სულს, ტკივილი, ამბოხი და სიბრაღული. მუშტებშეკრული იდგა და იცდიდა. მძიმე საუბრის ხმა, კვამლის სუნით

გაჟღერებული, გაწეწილი თმა და ღია ჭრილობები ეხვია ირგვლივ. ჰაერი ყარდა. არაბი ყრმა კედელს მიყრდნობოდა და იცინოდა.

იესომ კიდეც ერთი ნაბიჯი გადადგა და წინ მომავალ ბერიკაცს მიმართა:

- მოდი აქ, წინამძღოლო, - უთხრა, - მოდი ერთი, დროის მტვერი ჩამოგაცილო და ამოგიცნო, ვინ ხარ. გული ამიჩქარდა, შენი დაღარული კანისა და ჩამქრალი თვალების დანახვისას, ვერ გცნობ...

- ვერ მცნობ, მოძღვარო?

- პეტრე! შენ ხარ? ის კლდე, რომელზეც ოდესღაც, ჭაბუკური სიგიჟით შეპყრობილს, ჩემი ეკლესიის დაშენება მსურდა? როგორ შეცვლილხარ, იონას ძევ! კლდეს კი არა, ახლა დახვრეტილ ღრუბელს ჰგავხარ!

- წლების ამბავია, ჩემო მოძღვარო...

- რომელი წლების? არა, წლები რა შუაშია. სანამ სული მტკიცედ დგას, სხეულიც მყარადაა, წლებს არ ანებებს, რომ შეეხოს: შენი სული დაეცა, პეტრე, შენი სული!

- სამყაროს საზრუნავებს აყვევი, ვიქორწინე, შვილები ვიყოლიე, ბევრი ტკივილი ვნახე და ვიხილე, როგორ იწვის იერუსალიმი, ადამიანი ვარ და გავტყდი!

- ადამიანი ხარ, გატყდი... - თანაგრძნობით დაიჩურჩულა იესომ, - უბედურო პეტრევ, ამ სამყაროში, დღეს, აღარ კმარა იყო მხოლოდ ადამიანი, დემონიც უნდა იყო და ღმერთიც, რათა გაუძლო.

ახლა მეორეს მიუბრუნდა, რომელიც პეტრეს უკან იდგა:

- შენ? - თქვა, - ცხვირი მოჭრილი გაქვს, სახე კი თავის ქალად გქცევია, ზედ მხოლოდ ხვრელებია, აბა, როგორ უნდა გიცნო. რამე თქვი, ძველო მეგობარო, აბა, შესძახე: მოძღვარო! - იქნებ გავიხსენო რომელი ხარ.

და ფუტლიარმაც მთელი ძალით შესძახა:

— მოძღვარო!

თავი ჩაქინდრა და გაჩუმდა.

— იაკობი: ზებედეს უფროსი ვაჟი, მტკიცე გონება, გაუტეხელი ვაჟკაცი!

- არა! ოდენ მისი ნარჩენები, მოძღვარო, — ამოიგმინა იაკობმა, - ქარიშხალში მოვყევი, ჩემი ხომალდი დაიმსხვრა, კიჩო მოძვრა, გვერდები დაელეწა. და ასე, ხომალდდამსხვრეული ვუბრუნდები ძველ ნავსადგურს.

- რომელ ნავსადგურს?

- შენ, მოძღვარო!

- და მე რა უნდა გიშველო? ნავსადგური არ ვარ, რომ შენი ხომალდი შევიფარო. მტკივნეულ რამეს გეტყვი, მაგრამ სამართლიანს: შენთვის, იაკობ, ერთადერთი

ნავსადგური ახლა უკვე ზღვის ფსკერია. ეს ჭეშმარიტებაა, მამაშენი, ზებელე რომ ამბობდა ხოლმე.

იესო უცაბედმა მწუხარებამ და მღელვარებამ შეიპყრო. ბერიკაცების მეორე ჯგუფს მიუბრუნდა:

- თქვენ? თქვენ სამნი? ჰეი, შენ ჩამომჭკნარო სხეულო, ოდესღაც ნათანიელი არ იყავი? ეს რანაირად დაუძლიერებულხარ, როგორ მოშვებულა შენი ხორცი, მუცელი, ყელი? რა უქენი იმ მკვრივ სხეულს, ნათანიელ? სახლის ჩონჩხს დამსგავხარ, მხოლოდ ძვლებიღა დარჩენილხარ... მაგრამ ნუ ოხრავ, ესეც კმარა, ნათანიელ, საიმისოდ, რომ ცად ახვიდე.

მაგრამ ნათანიელი გაბრაზდა:

- რომელ ცაში? მერე რა, რომ ყურთასმენაც აღარა მაქვს, თითებიცა და ცალი თვალიც დავკარგე, მაინც ყველაფერი მახსოვს, რასაც გვაძალებდი და ეგ შენი დიდებანი და ცათა სასუფეველი, მხოლოდ კვამლი იყო, გაიფანტა, თრობა იყო და გამოვფხიზლდით. აბა, ფილიპე, შენ რას იტყვი, მართალი არ ვარ?

- რა უნდა გითხრა, ნათანიელ, – უპასუხა ერთმა ბერიკაცმა და ამოიოხრა, - რით განუგეშო, ძმაო! შენი ცოდვა ჩემ კისერზეა!

იესომ თანაგრძნობით გააქნია თავი, მოხუცს, ფილიპე რომ ერქვა, ხელზე ხელი მოჰკიდა:

- მეტისმეტად შეგიყვარე, ფილიპე — ჩემო მწყემსმთავარო, რადგან ცხვრები არ გყავდა. მხოლოდ სამწყემსო ჯოხი გქონდა და ჰაერს მწყემსავდი. ღამღამობით ქარებს მიერეკებოდი და მათ მწყემსავდი. გონებაში ცეცხლს ანთებდი, მასზე დიდ ქვაბებს შემოდგამდი და რძეს აღულებდი, მერე კი მთის წვერიდან ბარისაკენ გადმოღვრიდი, რომ ლატაკებს შეესვათ იგი. შენს გულში იყო ყველა სიმდიდრე. მის გარეთ კი სილატაკე, გაცამტვერება, დაცინვა და შიმშილი იყო. აი, ესაა ჩემი მოწაფე! მაგრამ ახლა... ფილიპე, ჩემო მწყემსმთავარო ფილიპე, როგორ დაცემულხარ! ვაი შენ, ნამდვილ ცხვრებზე ფიქრობ, ხელშესახებ მატყლზე და ხორცზე, დაღუპული ხარ!

- მშიერი ვარ! — უპასუხა ფილიპემ, - მშია, აბა, რაზე გინდა ვიფიქრო?

- ღმერთს მოუხმე გონებაში და დაპურდები! - თქვა და იგრძნო, როგორ განუმტკიცდა თავადაც გული.

მერე ერთ კუზიან მოხუცს მიუბრუნდა, წყაროს თხრილში რომ მოკუნტულიყო და კანკალებდა. ძონძები ჩამოაშორა, დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო. შემდეგ თმა გადაუწია, ყურსუკან გარჭობილი, ძველისძველი, გატენილი კალამი დაინახა და გაიცინა

- ჩემს დიდ მოამაგეს სალამს ვუძღვნი. - თქვა და მიესალმა, - ჩემს მწერალს, მუდამ დაცქვეტილი რომ აქვს ყურები და შიშისაგან კურდღელივით უცანცანებს, შიშისაგან, ცნობისმოყვარეობისა და შიმშილისგან მშვიდობა, მეღნით მოთხვრილ თითებს და მათს სამელნეს – გულს! ისევ აწვალე ქაღალდებს შენ, ჩემო მწერალო?

ვხედავ ყურსუკან გაქვს გარჭობილი უკვე დამსხვრეული კალამი, ნუთუ იბრძოლე ამ მშვილდ-ისრით?

- რატომ დამცინი? – მოკუმული ტუჩებიდან გამოსცრა მათემ, - კიდევ დიდხანს უნდა დაგვცინო? როგორი მოწიწებით დავიწყე შენი ცხოვრებისა და ღვაწლის აღწერა, რათა მეც შენთან ერთად დავდგომოდი უკვდავების გზას. მაგრამ ახლა? ფარშევანგი ყვავი აღმოჩნდა! ვაი, ჩემს შრომას!

იესომ გრძნო, რომ მუხლები მოეკვეთა. თავი ჩაქინდრა, მაგრამ სწრაფადვე ასწია და მრისხანედ, მუქარით გაიშვირა თითი მათესკენ.

- გაჩუმდი! - შესძახა, - გააჩუმე ეგ უსრიცხვილო პირი!

ერთი მონგრეული ელამი ბერიკაცი ნათანიელის ფეხებშორის გამოძვრა და ქირქილებდა. იესო მისკენ შეტრიალდა, დაინახა და მაშინვე იცნო:

- თომა! მშვიდობა! სად დაკარგე ეგ კბილები და ის ორი ღერი თმა, კეფაზე შერჩენილი? ან რომელი თხიდან გადმოიწერე ეგ წვერი, ნიკაპზე რომ გიცანცარებს? შე ცბიერო, ზრახვამრავალო, თომა, შენ ხარ?

- დიახ, თავიდან ფეხებამდე! მხოლოდ კბილები და ის ორი ღერი თმა დამცვივდა გზაში, სხვა ყველაფერი თავის ადგილზეა.

- ტვინიც?

- ტვინიც ადგილზეა! მამალივით! ქანდარაზე შემოჯდება, კარგად იცის, რომ მზე მას სულაც არ ამოჰყავს, მაგრამ მაინც ყოველ დილას ყივის, იმიტომ რომ იცის, როდის უნდა იყივლოს.

- და შენც იბრძოლე იერუსალიმის გამოსახსნელად?

- ვიბრძოლეო? სულელი კი არა ვარ! წინასწარმეტყველი ვიყავი.

- წინასწარმეტყველი? ანუ შენმა ჭიყყელა გონებამ ფრთები გამოისხა? ღმერთმა დაჰბერა მასზე თუ რა მოხდა?

- ახლა აქ ღმერთი რა შუაშია? არა, უბრალოდ, ჩემმა გონებამ თავისით მიაგნო საიდუმლოს.

- და რომელ საიდუმლოს?

- რომელს და იმას, თუ რას ნიშნავს წინასწარმეტყველი. შენც იცოდი ეს ერთ ღროს, მაგრამ მგონი, დაგავიწყდა.

- აბა, ერთი გამახსენე, ცბიერო თომა, იქნებ ისევ გამომადგეს რამეში, თქვი, ვინ არის წინასწარმეტყველი?

- ვინ არის და, წინასწარმეტყველი ის არის, ვისაც იმედი მაშინაც არ ტოვებს, როცა ყველა კარგავს იმედს. და როცა ყველას იმედი აქვს, თავად – კარგავს. რატომო? - მკითხავ. იმიტომ, რომ მან დიდებული საიდუმლო იცის: რომ ბორბალი მაინც ტრიალებს.

- საშიშია შენთან საუბარი, თომა, - თქვა იესომ და თვალი ჩაუკრა, - მაგ შენს ელამ თვალეში, აქეთ-იქით რომ აცეცებ, ვხედავ, როგორ ჩანს ორი რქა და ერთი კუდი. და კიდევ სინათლის, ნაპერწკალი, რომელიც წვავს.

- ჯემარიტი სინათლე ყოველთვის წვავს, მოძღვარო. ეს შენ იცი, მაგრამ გებრალეა ადამიანები. გულს ებრალეა და ამიტომაც ეს სამყარო წყვდიადში სუფევს. თუმცა გონებას არ ებრალეა და ამიტომ იწვის სამყარო... მანიშნებ, რომ გავჩუმდე, მართალი ხარ, ჩუმად ვიქნები. ამ კეთილი ადამიანების წინ საიდუმლო არ უნდა გავთქვათ, ვერ გაუძლებენ. მხოლოდ ერთი მათგანი გაუძლებს. აი, ის.

- ვინ ის?

თომა ჭიშკრისკენ გაძვრა და ისე, რომ არ შეხებია, ერთ ახმახზე მიუთითა, რომელიც ზღურბლზე იდგა. ხმელ-ხმელი იყო, თმისა და წვერის ძირებზე კი სიწითლე ჯერ კიდევ შერჩენოდა.

- აი, ეს! - თქვა და უკან დაიხია, - იუდა. მხოლოდ ის დგას ჯერ კიდევ მტკიცედ, გაუტეხლად, ქედმოუხრელად ფრთხილად იყავი, მოძღვარო, მშვიდად ელაპარაკე, არ განარისხო! შეხედე, კეფიდან სიშმაგის კვამლი ასდის.

„მართლაც, უნდა ვიფრთხილო უდაბნოს შმაგ ლომთან, არ დაგვკბინოს!“ - და შესძახა:

- იუდა, ძმაო, დრო სამეფო ვეფხვია და ადამიანებს, ქალაქებსა და სამეფოებს მუსრს ავლებს და მომიტევე, ღმერთო, მაგრამ ღმერთებსაც არ ეპუება. თუმცა შენ კი ვერ შეგეხო. სიმამაცე არ დაგიკარგავს, არ შეეპუე. აგერ, ვხედავ, რომ ისევ უბეში გიდევს გაშლილი დანა, შენს თვალეშიც სიყმაწვილის ცეცხლი გიზგიზებს - ანუ ზიზღი, მრისხანება და იმედი. მშვიდობა შენდა!

- იუდა, — წაიჩურჩულა იოანემ, რომელიც იესოს ფეხებთან მიყუყულიყო, ვედარ იცნობდით - თეთრწვეროსანს ღრმა ჭრილობები აჩნდა ლოყებსა და ყელზე, - იუდა, ვერ გაიგონე? მოძღვარი მოგესალმა, შენც მიესალმე!

- ეს ხომ, ჯიუტია, - თქვა პეტრემ, - აჰა, ტუჩებს იკვნეტს, რომ არაფერი თქვას.

იესოს კი მზერა მიეპყრო თავისი ძველი, მოუდრეკელი მეგობრისთვის და თბილად მიმართავდა:

- იუდა, ჩემი სახლის სახურავზე მოჭიკჭიკე, მახარობელმა ჩიტებმა ბევრჯერ გადაიფრინეს და კეთილი ცნობა დამიტოვეს ეზოში. მამცნეს, რომ მთებს მიაშურე და ტირანებს ებრძოდი - ადგილობრივ და უცხო ტირანებს! შემდეგ კი იერუსალიმში ჩასული სადუკეველ მოღალატეებს ეკვთე თურმე, წითელი ბაფთები შეგიბამს და სამსხვერპლო ცხვრებივით გამოგიღადრავს ყელი - ისრაელის ღმერთის სახელზე. შენ დიდებული სული ხარ, დიდებული, ბნელი და სასოწარკვეთილი. იმ დღის შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს განვეშორენით, ძმაო, იუდა, ერთი კარგი დღეც არ გრგებია. ძალიან მომენატრე, მშვიდობა შენდა!

იოანე შიშით შეჰყურებდა იუდას, რომელიც ისევ ტუჩებს იკვნეტდა, რომ არაფერი ეთქვა.

- ნახეთ, მის თავზე კვამლი უფრო გამრავლდა, ბოლი ასდის, - წაიჩურულა და უკან გაძვრა, მიიმალა.

— ფრთხილად იყავი, მოძღვარო, - თქვა პეტრემ, - ყოველი მხრიდან გაკვირდება, სინჯავს, საიდან მოგიაროს და თავს და გესხას!

- შენ გეუბნები, იუდა, ძმაო, - კვლავ განაგრძობდა იესო, - არ გესმის? მე გესალმები, ნუთუ ხელს გულზე არ დაიდებ და არ მეტყვი: მშვიდობა შენდა! იერუსალიმის ტკივილმა ხომ არ დაგამუნჯა? ტუჩებს ნუ იკვნეტ, კაცი ხარ და უნდა გაუძლო, ქვითინი შენი საქმე არაა! შენ შენი ვალი ვაჟკაცურად მოიხადე: შენს მკლავებზე, მკერდზე, სახეზე, მთელ სხეულზე დაჩნული ჭრილობები მიანიშნებენ, რომ ლომივით იბრძოლე. მაგრამ აბა, ადამიანს ღმერთის წინააღმდეგ რა ძალუძს? იერუსალიმის გადასარჩენად იბრძოდი და სწორედ ამ დროს კი ღმერთს ერკინებოდი! მაგრამ ღვთის გულში იგი უკვე კარგა ხანია ნაცარტუტადაა ქცეული.

- ერთი ნაბიჯით წამოიწია, - წაიჩურჩულა შეშინებულმა ფილიპემ და თავი ხარკით ჩარგო მხრებში, - აი, ახლა დააცხრება!

- გვერდზე გავდგეთ, - თქვა ნათანიელმა, - სადაცაა მუშტს შემართავს!

- მოძღვარო, მოძღვარო, - შესძახეს მართამ და მარიამმა, - გაფრთხილდი!

- მეც თავი არ დამიზოგავს. როგორც შემედლო ისე ვიბრძოლე, იუდა, ძმაო: როცა ყმაწვილი ვიყავ, ყმაწვილურად გამოვიდე თავი და სამყაროს გადასარჩენად აღვდექი. შემდეგ, როცა გონება დამიღვინდა, მეც ზრდასრულთა ამალაში გავერთიანდი: შრომას მივყავი ხელი, მიწას ვხნავდი, ჭებს ვთხრიდი, ვაზსა და ზეთისხილს ვაშენებდი, ქალის სხეულს მკლავებში ვიქცევდი და ადამიანებს ვძერწავდი. და სიკვდილი დავამარცხე! განა მუდამ ამაზე არ ვსაუბრობდი? დიახ, პირობა აღვასრულე - მე დავამარცხე სიკვდილი!

და უეცრად, იუდამ ხელი ჰკრა პეტრეს, ქალებიც ჩამოიშორა, წინ რომ გადალობებოდნენ, და მძვინვარედ შესძახა:

- შე მოღალატევ!

ყველა დადუმდა. იესომ ხელი მკერდზე მიიღო, ფერი დაკარგა.

- იუდა, ნუთუ მე მეუბები? მე ვარ მოღალატე? — წაიბუტბუტა — უარყავი ეგ სიტყვები! მკრეხელობას ამბობ, იცოდე!

- მოღალატევ! შე გამცემო!

ამ ამბის შემსწრენი გადაფითრდნენ და წინკარისკენ გაიძურწნენ. თომა უკვე ზღურბლს მიღმა იყო, ქალები რომ მისცვივდნენ:

- ძმებო, - შეჰკვივლა მარიამმა, - არ დაგვტოვოთ, ძმებო, სატანამ ხელი აღმართა მოძღვარზე და სადაცაა დაარტყამს კიდევ!

- პეტრე! პეტრე, შენ სად მიდიხარ? — ახლა მართა მივარდა პეტრეს, რომელსაც კარისაკენ აეღო გეზი, - ნუთუ კიდევ უარყოფ, პეტრე?

- ვერ ჩავერევი – თქვა ფილიპემ — ისკარიოტელს ჯერ კიდევ ძალა ერჩის, მე კი უკვე დავბერდი. ნათანიელ, წავედით!

იუდა იდგა იესოს წინ, მთელი სხეული უხურდა, ოფლისა და გამომჰალი ნაჭრილობების სუნად ყარდა.

- მოღალატე! — კვლავ შეჰყვირა, – გამცემო! შენი ადგილი იქ იყო, ჯვარზე! იქ გაგამწესა ისრაელის ღმერთმა, იქ დაგადგინა, რომ გებრძოლა! მაგრამ შიშისგან ცივმა ოფლმა დაგასხა როცა სიკვდილის პირისპირ წარსდექ, გაიქეცი და მარიამისა და მართას კაბის ქვეშ დაიმალე, შე მხდალო! სახე და სახელიც კი შეიცვალე, როგორმე თავი რომ დაგეძვრინა, შე ცრუ ლაზარე!

- იუდა ისკარიოტელო, – დაიწყო ქალებისაგან შეგულიანებულმა პეტრემ, - იუდა ისკარიოტელო, განა ასე ელაპარაკებიან მოძღვარს? სულ დაკარგე პატივისცემა?

- და რომელ მოძღვარს? - დაიღრიალა ისკარიოტელმა და ხელი აღმართა, - ამას? ნუთუ ამას გულისხმობ? განა თვალები არ გაქვთ? ერთი შეხედეთ! ტვინი არ გაქვთ? ეს არის მოძღვარი? აღარ გახსოვთ, რას ამბობდა? რას გვასწავლიდა, მოგვიწოდებდა? აბა, ახლა სად არიან ანგელოზები, ისრაელის დასახსნელად მიწას რომ უნდა მოვლენოდნენ? ან ის ჯვარი დამანახეთ, ჩვენთვის ცათა სასუფევლის კარი რომ უნდა შეეხსნა, აბა, დამანახეთ, სად არის ჯვარი? დაინახა თუ არა იგი ამ ცრუმესიამ, მაშინათვე გული გაუსკდა შიშისაგან, დედაკაცებმა მოიტაცეს, ბავშვები რომ მოევლინა ამქვეყნად. ახლა კი, აგერ ჩამომდგარა და გაიძახის - იბრძოლე, მედგრად, მედგრად იბრძოლე! აქ დამდგარა და საკუთარ სიმხდალეს იკვებნის: მშვენივრად იცი, შე ლაზარო, რომ შენი ადგილი, იქ იყო, ჯვარზე! სხვებს რაც უნდათ ის ექნათ, სხვებს დაეხნათ მიწებიცა და ეს ქალებიც, აი, შენი ვალი კი, შენი ვალი იქ იყო! ჯვარზე! ამას ახლა მე გეუბნები! დამდგარხარ და ტრაბახობ, რომ სიკვდილი შენ დაამარცხე! საცოდავო, გგონია ასე ამარცხებენ სიკვდილს? ასე, ამგვარად - შვილების შობით? იმ შვილების, სიკვდილს ლუკმად რომ გაუმზადე?! რა არის შვილი? სიკვდილის ლუკმა! შენც სიკვდილის ყასბად იქეც, დგახარ და საჭმელ ხორცს უმზადებ, მოღალატეც, გამცემო, მხდალო!

- იუდა, ძმაო ჩემო, – წაიბუტბუტა იესომ და მთელი სხეულით აცახცახდა, – იუდა, ჩემო ძმაო, შემიბრალე!

- შენ გადაბუგე ჩემი გული, ხუროს ძეო, გული დამიწვი, - დაიღრიალა იუდამ, – გული მომიკალი და როგორ უნდა შეგიბრალო? ახლა მარტო ისლა მინდა, ვგოდებდე და ქვებს თავს ვახლიდე. წყეულიმც იყოს ის დღე, როცა შენ მოევლინე ამქვეყანას, წყეულიმც იყოს ის დღე, როცა მე დავიბადე, როცა შენ შეგხვდი და ჩემი გული იმედებით როცა აღავსე. როს მიგვიძლოდი, ჩვენც მოგსდევდით და შენს ნაუბარს გულისყურით ვისმენდით ყველა – მიწისა და ზეცის შესახებ. რა სიხარული იყო მაშინ, რა სილაღე, რა სიმდიდრე! ჩვენი ყურძენი ბარაქიანი ჩანდა, მწიკვი ხორბალიც კი გვყოფნიდა დასანაყრებლად, ერთ დღეს ოდენ ხუთი პურით დავაპურეთ ათასობით ადამიანი. რა ვარსკვლავები იყო მაშინ, რა ბრწყინვალეობას გამოსცემდნენ, რა ნათელი იღვრებოდა ციდან! ვარსკვლავები კი არა, ანგელოზები იყვნენ. არა, ანგელოზები არა, ჩვენ, ჩვენ ვიყავით, შენი მოწაფეები, ჩვენ აღვზევდით და მანათობლებად მოვედეთ

ზეცას, შენ, შენ იყავი, შუაში რომ უძრავად იდექი ცისკრის ვარსკვლავით და ჩვენ, ყველანი შენ გარშემო ფერხულს ვუვლიდით. გახსოვს, გულში რომ მიხუტებდი და მევედრებოდი: „გამეცი, გამეცი, რათა ჯვარს ვეცვა, რათა აღვსდგე და გადავარჩინოთ ეს სამყარო?!“.

იუდა წამიერად დადუმდა, ამოიოხრა, ძველი ჭრილობები კვლავ გაეხსნა და სისხლმაც თავიდან იწყო დენა.

ბერიკაცები ისევ ერთმანეთს შეეყუჟნენ, თავები ჩაქინდრეს და გადაეშვნენ მოგონებებში – გასახსენებლად თუ ხელახლა გასაცოცხლებლად.

იუდას კი თვალთაგან ცრემლი ჩამოუგორდა. ბრაზით შეიშრო, მისი გული ჯერაც რისხვითა და ყვირლით იყო აღვსილი. ისევ განაგრძო:

- „მე ვარ ტარიგი ღვთისა, — ამბობდი, - და მივდივარ, რათა დავიკლა და ამით ვიხსნა მთელი სამყარო... იუდა, ძმაო ჩემო, ნუ გეშინია, სიკვდილი ოდენ კარიბჭეა უკვდავებისა: ეს კარიბჭე უნდა შევალო, გთხოვ, დამეხმარე“. და მე კი როგორ ძლიერ მიყვარდი, როგორი ნდობა მქონდა შენი, რომ დაგთანხმდი, წავედი და აღვასრულე შენი წადილი, წავედი და გაგეცი... აი, შენ კი... ო, შენ კი...

პირზე დუჟი მოერია, იესოს მხარზე სტაცა ხელი, მთელი ძალით მოიქნია და კედელს ააკრა. კვლავ აღრიალდა:

- აქ რას მიკეთებ? რატომ, რატომ ჯვარზე არ ახველ? შე ლაჩარო, შე მოღალატევ, შენ ხარ გამცემი! ნუთუ ეს იყო ყველაფერი? ნუთუ ოდნავაც არ გრცხვენია? ჰა, მუშტს აღვმართავ და გეკითხები: რატომ, რატომ არ ახველ ჯვარზე?

- გაჩუმდი! გაჩუმდი! — ევედრებოდა იესო, რომლის სხეულზეც ხუთივე ჭრილობიდან სისხლი მოედინებოდა.

- იუდა ისკარიოტელო, – კვლავ წამოიჭრა პეტრე, - სიბრალულის იოტისოდენა გრძნობაც კი აღარ გაგაჩნია? ვერ ხედავ მის ფეხებს? მის ხელებს? ჰა, თუ არ გჯერა, ფერდზე ხელი თავად დაადე, სისხლი სდის, ნახე!

მაგრამ იუდას სიმწრის ღიმილი აღებეჭდა სახეზე, ძირს დააფურთხა და დაიყვირა:

- ჰეი, შენ, ხუროს ძეო, ვერა, მე მაინც ვერ გამაბრიყვებ! ამ ღამით შენმა მფარველმა ანგელოზმა მოგაკითხა...

იესო შეცბა:

- ჩემი მფარველი ანგელოზი? – ხმის კანკალით ჩაიბუტბუტა.

- შენი მფარველი ანგელოზი, დიახ, დიახ, სატანამ მოგაკითხა, სხეული და გული მთლიანად წითელ-წითელი ლაქებით აგივსო, რათა დასცინო და დაგცინოდეს... ჰა, რას მიყურებ? რად არ მჰასუხობ? ლაჩარო! მოღალატევ! გამცემო!

იესომ თვალები დახუჭა. თავბრუ დაეხვა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, რომ არ დავარდნილიყო.

— იუდა, – მიუგო ხმის კანკალით, – მუდამ მკაცრი და უხეში იყავი, მუდამ სცდებოდი იმ საზღვარს, რასაც ადამიანი ჰქვია. გავიწყდება, რომ ადამიანის სული არის როგორც ისარი, ზეცისკენ რომ მოდრეკილა, სულ ზემოთ და ზემოთ რომ მიიწევს, მაგრამ მაინც კვლავ ძირს ვარდება. მიწიერი ცხოვრება ფრთების შეკვეცაა, სხვა არაფერი.

ამ სიტყვების გაგონებაზე, იუდა სულ გადაირია:

- გრცხვენოდეს! – აყვირდა, - როგორ დაეცი შენ - დავითის ძე, შენ – ძე ღვთისა, შენ - მესია, როგორ დაეცი! მიწიერი ცხოვრება ნიშნავს: პურს ჭამდე და სწორედ ეს პური აქციო ფრთებად; ნიშნავს – წყალს სვამდე და ეს წყალი ფრთებად აქციო. მიწიერი ცხოვრება ნიშნავს – ფრთები შეისხა. ამას სწორედ შენ ამბობდი, მოლალატევ, ჩემი სიტყვები კი არ არის, შენ, შენ ამბობდი. თუ დაგავიწყდა, შეგახსენებ, არ მეზარება! სადა ხარ მათე, მწერალო მათე? აქეთ მოიწი! გადაშალე შენი დავთარი, რომელსაც მუდამ თან ატარებ, როგორც მე – დანას. გადაშალე ეგ ნაწერები, რომელიც უკვე ამოჭამა დრომ, მტვერმა, ოფლმა. თუმცა რაღაცის გარჩევა მაინც შეიძლება. გაშალე შენი ნაწერი, მათე, გაშალე და წაიკითხე, რათა ისმინოს და გაიხსენოს: ერთ ღამეს, ერთი უცნაური რაბინი იერუსალიმისა, სახელად ნიკოდიმოსი, მალულად მოვიდა, ჰპოვა იგი და ჰკითხა: „ვინ ხარ? რას საქმიანობ?“. შენ კი, ხუროს ძეო, გახსოვს? მიუგე: „მე ფრთებს, ფრთებს ვკვდავ!“ და როგორც კი ეს სიტყვები თქვი, ყველამ ვიგრძენით, თუ ვით შეგვესხა მხრებზე ფრთები. ახლა კი, ახლა, ხედავ, სადამდე დაეცი? სლოკუნ-სლოკუნით გვიმტკიცებ, რომ თურმე აი, ეს მიწიერი ცხოვრება ფრთების შეკვეცაა. წადი, აქედან დამეკარგე, შე ლაჩარო! თუკი ცხოვრება ჭეჭა-ქუხილს, ელვას არა ჰგავს, რა თავში ვიხლი ეგეთ ცხოვრებას? არ გაბედო, პეტრე, არ გაბედო მოახლოება! არც შენ, ანდრია! დედაკაცებო, ნუ წიოკობთ: არაფერს ვავენებ. რისთვის აღვმართო ამაზე ხელი? ეს ხომ მკვდარია, აღარ არის! ღმერთმა შეუნდოს, ღმერთმა, რადგან მე, მე არ ძალმიძს მიტევება! დაე, ამის კისერზე იყოს ისრაელის მთელი სისხლი, ეს ცრემლები, ეს ნაცარტუტა!

ბერიკაცებს ძალა არ ეყოთ აეტანათ ეს ყველაფერი და ძირს დაემხენ. მოგონებებმა გაიღვიძეს მათში, დაიწყეს გაცოცხლება, გაახსენდათ სასუფეველი ცათა, ტახტნი, დიდებანი და უეცრად გოდება იწყეს. მოთქვამდნენ, მთელი ხმით ტიროდნენ, თავს ქვებს ახლიდნენ.

უცაბედად, იესომაც იწყო გოდება, იუდასთან მიიჭრა, მუხლებში ჩაუვარდა და ატირდა:

- იუდა, ძმაო, მაჰატიე, გთხოვ, მაჰატიე!

იუდამ უკან დაიხია, ხელი ჰკრა, არ დაანება მიახლოება:

- არ მომეკარო, – დაიყვირა, - უკვე აღარაფრისა მჯერა, აღარავისი მჯერა, შენ დაშანთე ჩემი გული, შენ, შენ დაშანთე!

იესო ისევ წაბარბაცდა, ისევ სცადა მიახლოება. ქალები კი პირქვე დამხობილიყვნენ, თმას იგლეჯდნენ და კიოდნენ, მოწაფეები ბრაზითა და ზიზღით უმზერდნენ. არაბი ყრმა აღარსად ჩანდა.

- მოღალატე ვარ, - ბუტბუტებდა, — მხდალი, გამცემი... ამას ახლა ვგრძნობ, ლაჩარი ვარ... დიახ, ჯვარზე იყო ჩემი ადგილი, ჯვარზე უნდა ავსულიყავ, შევშინდი და გავიქეცი... ძმებო, იმედი გაგიცრუეთ, მომიტევეთ, ძმებო... ნეტავ, ო, ნეტავ ახლა შეიძლებოდეს ჩემი ცხოვრების თავიდან გავლა!

თქვა და დავარდა, ქვალორლიან მიწას თავს სცემდა.

- მეგობრებო, ჩემო ძველო მეგობრებო, ერთი კარგი სიტყვა მაინც თქვით, მანუგეშეთ, თორემ ხომ ხედავთ, ვიღუპები, დავიღუპე! აი, ხელს გიწვდით: ნუთუ ერთი თქვენგანიც არ გამომიწვდის პასუხად ხელს და არ მანუგეშებს? ნუთუ ერთიც არ მეტყვით თბილ სიტყვას? არავინ? არვინ? არც შენ, იოანე, მოწაფეთაგან უსაყვარლესო? ო, პეტრე, არც შენ?

- მე რა ვთქვა, აბა, რაღა უნდა ვთქვა? - ამოიგმინა უსაყვარლესმა მოწაფემაც.

- გაგვაწბილე, - თქვა პეტრემ და ღაწვებზე ცრემლი შეიმშრალა, - იუდა მართალია, სიტყვას გადახველ, გვიღალატე. ჩვენი ცხოვრებაც არარაობად იქცა, განქარდა.

და ბერიკაცთა გუნდს ერთხმად აღმოხდა ცრემლნარევი მოთქმა:

გამცემო! მხდალო! მოღალატევ!

გამცემო! მხდალო! მოღალატევ!

მაშინ მათემ იწყო გოდება:

- ვაგლახ ჩემს შრომას! ყველაფერი წყალმა წაიღო! არადა, როგორ რუღუნებით, რა სიფრთხილით ვუსადაგებდი შენს სიტყვებსა და საქმეებს იმას, რაც შენზე უწინ დაეწერათ წინასწარმეტყველთ! რთული იყო, ძალიან რთული, მაგრამ შევძელი. და ვამბობდი: ერთ მშვენიერ დღეს, მორწმუნენი გადაშლიან ამ ოქრონაჭედ, სქელ დავთრებს და იტყვიან: სახარებაი მათესი თავისი საკითხავი! ეს ფრთებს მასხამდა და ვწერდი, ვწერდი. ახლა კი, ახლა ეს ყოველივე, ეს დიდება ნაცარტუტად იქცა და შენ ხარ დამნაშავე, შენ, გამცემო, უმადურო, უწიგნურო, შე მოღალატევ! მხოლოდ ჩემ გამოც, თუნდაც მარტო ჩემი ნაწერების გადასარჩენად, ღირდა, რომ ჯვარზე ასულიყავ!

ბერიკაცთაგან კვლავ ერთიანად, ერთხმად გაისმა ცრემლნარევი, მწარე გოდება:

გამცემო! მხდალო! მოღალატევ!

გამცემო! მხდალო! მოღალატევ!

მაგრამ იმ წუთას ზღურბლიდან თომა შემოიჭრა:

- მე არ დაგტოვებ, რაბი, მე შენ არ მიგატოვებ! ახლა, როცა ყველა უარგყოფს და მოღალატეს გიწოდებენ, მე არ დაგტოვებ! არ მიგატოვებ მე — წინასწარმეტყველი თომა! ვთქვით: ბედისწერის ბორბალი ბრუნავს! ჰოდა, მე არ მიგატოვებ, შენთან ვიქნები: დაველოდები როდის მობრუნდება ბედისწერის ბორბალი შენკენ.

პეტრე წამოდგა:

- ჩვენ წავედით! მიდი, იუდა, წინ გაგვიძეხ!

- ბერიკაცები რის ვაივავლახით წამოიმართნენ, მუშტები შემართეს იესოს თავზე, რომელიც, პირქვედამხობილი და ხელებგაშლილი, მთელ ეზოზე განრთხმულიყო.

- გამცემო! მხდალო! მოღალატევ! – სათითაოდ დასძახებდა თითოეული, – გამცემო, მხდალო, მოღალატევ! – და მიდიოდნენ.

ძლივძლივობით გაახილა იესომ თვალი, მიმოიხედა - მარტოდმარტო დარჩენილიყო. აღარსად ჩანდა ეზო, სახლი, ხეები, სოფლის კარიბჭენი, თავად სოფელი, ფეხებს ქვემოთ მხოლოდ სისხლისგან დანამული ქვებიდა ეყარა, ქვები, და იქით, უფრო ქვემოთ, სიბნელიდან, ხალხის ათასობით თავი მოჩანდა.

მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ გაერჩია, თუ სად იყო, თუ ვინ იყო, რატომ სტკიოდა. სურდა ეყვირა, მთელი ძალით დაეძახა „ლამა საბაქთანო...“, მაგრამ ვერ შეძლო, ოდნავ შეარხია ტუჩები. თავბრუ დაეხვა, გული მისდიოდა, გონებაში ერეოდა ყოველივე და იკარგებოდა...

მაგრამ უეცრად, ჰა, სადაცაა გონება რომ უნდა დაკარგოს, ქვემოდან ვიღაც შეიბრალებს. ძმრით გაჟღენთილ ღრუბელს აწვდიან, ტუჩებსა და ღწვებზე სცნებენ. ღრმად შეისუნთქა მძაფრი სუნი, გონს მოეგო. მკერდი შემართა, ცას ახედა და შემადრწუნებელი ხმით შესძახა:

- ლამა საბაქთანო!

და მყის ჩაქინდრა თავი ძალღონეგამოცლილმა.

საზარელ ტკივილს გრძნობდა ხელებში, მკერდში, ფეხებში. კვლავ დაეწმინდა სამზერელი, დაინახა ეკლის გვირგვინი, სისხლი, ჯვარი, და იხილა – თუ ვით ბრწყინავდა დაბნელებულ მზეში ორი ოქროს რგოლი და ორი წყება ბასრზე ბასრი, თეთრი კბილები, გამკინავი, დამცინავი სიცილის ხმა გაისმა უცებ, რგოლები და კბილები კი აღარსად ჩანდნენ. დარჩა იესო, მარტო, ჰაერში გაკიდებული.

თავი გააქნია და ერთბაშად გაახსენდა - ვინ იყო, სად იყო, რატომ სტკიოდა... დაუცხრომელმა, შმაგმა სიხარულმა მოიცვა მისი გული: არა, არ იყო მოღალატე, არც გამცემი, არც მხდალი იყო. არა, არა, ჯვარცმული იყო! ღირსეულად გაძლო ბოლომდე და არც სიტყვა არ გაუტეხავს. იმ წამს, როდესაც შესძახა „ელი, ელი!“, სწორედ იმ წამს, იგი ცდუნებამ წარიტაცა და გონება აურია. სულ ტყუილი იყო ყველა ის სიხარული, ქორწინებანი, შვილები... ტყუილი იყო ის ბებრები, ის ავყია ბერიკაცები, მოღალატეს, მხდალსა და გამცემს რომ უწოდებდნენ... ეს ყოველივე ცდუნება იყო, ბოროტისგან მოვლენილი მოჩვენება. მისი მოწაფეები ცოცხლობენ და მეუფებენ, შემოიარეს წყალ-ხმელეთი და ქადაგებენ. ყოველივე, ვითარც ჯერ არს, ისე აღსრულდა, დიდება შენდა, ღმერთო, ო, ღმერთო, დიდება შენდა!

და გაისმა ხმა გამარჯვების:

აღსრულებულ არს!

და ნიშნავდა:

ყველაფერი ახლა იწყება.